რედაქციისაგან

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის მეორე ტომში მოთავსებულია მოთხრობები და პიესები, რაც დიდი მწერლის მხატვრული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს.

ნაწარმოებები დალაგებულია ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპით, ოღონდ დაუმთავრებელი მოთხრობები და ნაწყვეტები წარმოდგენილია ცალკე, პიესების შემდეგ.

ჩვენს გამოცემაში, ადრინდელი გამოცემებისაგან განსხვავებით, "კაცია-ადამიანი?!" მოთავსებულია "გლახის ნაამბობზე" წინ, რადგან იგი 1858–1863 წლებით თარიღდება, "გლახის ნაამბობმა" კი საბოლოო სახე მიიღო და მთლიანად გამოქვეყნდა მხოლოდ 1873 წელს (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. კომენტარები).

გამოცემის მომზადებისას ტექსტის დადგენისათვის გათვალისწინებულია ავტორისდროინდელი ყველა ხელნაწერი და ბეჭდური წყარო, საჭიროების შემთხვევაში ტექსტი შედარებულია ავტორის გარდაცვალების შემდეგდროინდელ გამოცემებთანაც.

ილია ჭავჭავაძის ყველა დასრულებული მხატვრული ნაწარმოები, რომლებიც წინამდებარე ტომშია მოთავსებული, პიესა "მაჭანკალის" გარდა, ავტორის სიცოცხლეში უკანასკნელად დაიბეჭდა "თხზულებათა" 1892 წლის გამოცემის II და III ტომებში. სწორედ ეს გამოცემა არის აღებული ჩვენი გამოცემის ძირითად წყაროდ; პიესა "მაჭანკალი" კი ავტორის სიცოცხლეში საერთოდ არ დაბეჭდილა, იგი იბეჭდება ავტოგრაფული დედნის მიხედვით, რომელიც ამჟამად ყვარლის სახლ-მუზეუმშია დაცული.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის "თხზულებანი", გამოცემული ოთხ ტომად 1892 წელს "წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის" მიერ, ავტორის უშუალო მონაწილეობით დაიბეჭდა. ამ გამოცემის მომზადებისას ავტორს გულდასმით გადაუხედავს ტექსტებისათვის და შიგ ბევრი შესწორება შეუტანია ორთოგრაფიული და გრამატიკული ნორმების მხრივ. ეს გამოცემა ავტორის ბოლო ნებას გამოხატავს და ძირითად წყაროდ მისი არჩევა სწორედ ამით არის განპირობებული.

ცხადია, უკრიტიკოდ არც ამ ტექსტს ვიღებთ: სხვა წყაროების მოშველიებით დაზუსტებულია ცალკეული ადგილები, აღდგენილია შემთხვევით გამორჩენილი სიტყვები და ფრაზები, გასწორებულია კორექტურული შეცდომები და სხვა უზუსტობანი. რაც შეეხება ავტორისეულ ენობრივ ფორმებს, ისინი უცვლელად არის დატოვებული, თუმცა ზოგი მათგანი საგრძნობლად განსხვავდება ამჟამად სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული ფორმებისაგან (მოაჯირი, ჭიისკარი ესტიბარი, ბაშვი და სხვ.). ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ორიოდე ფორმა (აქედ, შუბსაფენი...). დატოვებულია აგრეთვე პარალელური ფორმები, რომლებიც ზოგჯერ ერთსა და იმავე თხზულებაში და ერთ გვერდზეც კი გვხვდება (ახლა და ეხლა, თითონ და თვითონ, თავადიშვილი და თავადისშვილი, წუთისოფელი და წუთის-სოფელი...). თანამედროვე ნორმების მიხედვით გასწორებულია მხოლოდ პუნქტუაცია და კომპოზიტების მართლწერა.

ერთი სიტყვით, ტექსტი დადგენილია იმ პრინციპების დაცვით, რის შესახებაც უფრო დაწვრილებით საუბარი იყო პირველი ტომის სარედაქციო წერილში.

მოთხრობები გამოსაცემად მოამზადა ეთერ შარაშენიძემ, პიესები და დაუმთავრებელი პროზაული ნაწერები - ლეილა სანაძემ.

მგზავრის წერილები

ვლადიკავკასიდამ ტფილისამდე

I

დილის ექვსი საათი შესრულდა თუ არა, იმ სასტუმროს წინ, რომელშიაც მე წინა ღამეს ჩამოვხტი, რუსის პირდაუბანელმა და თავდაუვარცხნელმა „იამშჩიკმა" ფოშტის პოვოსკა მოაყენა. ეს იყო ვლადიკავკასში. საკვირველია! რუსის მხატვრების სურათებზედ რა ლამაზად არის ხოლმე გამოყვანილი ამ სქელკისერა „იამშჩიკის" ბრიყვი სახე, იმისი ოყრაყული სანახაობა, იმისი მიდუნ-მოდუნებული ზლაზვნა, უადამიანო და პირუტყვული მიხვრა-მოხვრა. რამოდენადაც სურათია კარგი, ორ იმოდენად საძაგელია ნამდვილი. მაგრამ ამბობენ: И дым отечества нам сладок и приятен. კვამლის სიტკბოებაზედ კი უკაცრავოდ, და სიამოვნებაზედ კი ამას მოგახსენებთ, რომ კვამლი ფრიად სასიამოვნოა, – პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლჭვრეტას უშლის, მეორე იმისათვის, რომ კვამლი ხშირად თვალიდამ ცრემლს გვაყრევინებს ხოლმე. ოჰ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურობასაც ვერა ვხედავთ.

როცა ავიბარგე, ესე იგი ჩემი ერთადერთი ბოხჩის ოდენა ტყავის ხურჯინი ჩავაგდე პოვოსკაში, მივუბრუნდი ჩემს ახლად გაცნობილს ფრანსიელს გამოსასალმებლად.

– ეგ ეტლი ვისი მოგონილია? – მკითხა მან და მიმიშვირა ხელი ფოშტის პოვოსკაზედ, რომელზედაც ჯერ არგამოფხიზლებული ,,იამშჩიკი" უგემურად სთვლემდა.

– რუსისა, – ვუპასუხე მე.

– მგონი, არა ხალხი მაგაში არ შეეცილოს. მებრალებით, რომ თქვენ იძულებული ხართ მაგას გაალაყებინოთ ტვინი და გაადღვებინოთ გულ-მუცელი.

– არა უშავს-რა. მთელი რუსეთი მაგით დადის, და მე რა ღმერთი გამიწყრება, რომ დამიშავდეს რამე.

– მაგით დადის?! იმიტომაც შორს არის წასული!.. ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ. მე კი, სწორედ გითხრათ, თავს ვერ გამოვიმეტებდი, რომ მაგაში ჩავმჯდარიყავ. მშვიდობით! თუ შევხვდეთ ერთმანეთს კიდევ როდისმე, გთხოვთ მიცნობდეთ.

ამ სიტყვებზედ მომაწოდა ხელი გამოსასალმებლად და ისე მჭიდროდ მომიჭირა ხელი ხელს, როგორც მარტო ევროპიელმა იცის ხოლმე.

პოვოსკაში ჩავჯექ.

პოვოსკა ჩემს ჩაჯდომაზედ შეტოკდა. ,,იამშჩიკმა" თვალები აახილა და მე ბღვერა დამიწყო. მერე აკრიბა სადავეები, ,,მწუო, მწუო," დაუწრუწუნა უჭმელობისაგან გადალეულს და ყურებჩამოყრილს ცხენებს და მოუღერა შოლტი. ცხენები

მიდგნენ-მოდგნენ, მაგრამ ალაგიდამ არ დაიძრნენ. Ну, чо-о-рт, трогай што-ли! დაიყვირა „იამშჩიკმა”, აიქნივა სადავენი და ფეხებითაც ტყაპუნი დაიწყო. შენც არ მომიკვდე, ცხენებმა ყურიც არ გაიბღერტყეს. ამ ყოფას ის ჩემი ნაცნობი ფრანსიელი ფანჯრიდამ უყურებდა და სიცილითა სკდებოდა. რა უხაროდა იმ სულელს?

– მაგით დადის!.. ხა, ხა, ხა! – ხითხითებდა იგი, – ვიღა დაეწევა! თუმცა მე სასიხარულო არა მჭირდა-რა, მაგრამ მეც გამეცინა. „იამშჩიკმა” თავისი ძროხის თვალები ჩემკენ მწყრალად მოაბრუნა და ისე მრისხანედ შემომიბღვირა, თითქო მემუქროდა: შენც ეგრეო. მერე ისევ ცხენებს მიუბრუნდა და ყოველს მათგანს თითო შოლტი გადუჭირა. ცხენებმა ამის პასუხად ტყუპ-ტყუპი ტლინკი აყარეს, როგორც იყო ადგილიდამ დასძრეს ჩვენი პოვოსკა და ძუნძულით გასწიეს. დანჟღრეულმა ზარმა დაიწყო თავისი უგემური ჟღარაჟღური, პოვოსკამ ქვებზედ ხტომა და მე ლაყლაყი ხან აქეთ და ხან იქითა.

II

ამ ყოფით განვშორდი ვლადიკავკასს და პირი ჩემის ქვეყნისაკენ ვქენი. თერგის ხიდი ისე გამოვიარე, რომ, არამც თუ წყალი დამელიოს, თვალიც არ ამიხილებია. მეშინოდა, რომ თერგდალეულობა არ დამწამონ-მეთქი. თერგდალეულები ჩვენს ქართველს კაცს როგორღაც არ ეჭაშნიკება და არ მოსწონს. ამაზედ ფრიად საფუძვლიანი საბუთი აქვთ: პირველი, იმიტომ არ მოსწონთ, რომ თერგდალეულები მართლა-და თერგდალეულები არიან, მეორე იმიტომ... იმიტომ, რომ მეორედაც თერგდალეულები არინ, მესამე იმიტომ... იმიტომ... იმიტომ, რომ მესამედაც თერგდალეულები არინ. მოდი და ამისთანა ჭკვიანური საბუთი სხვა საბუთით დაურღვიე ჩვენს დარღვეულს ქართველობას.

ეგ დასაღუპავი თერგი! რა ორპირი ყოფილა! დახე, როგორ მიმკვდარა. რაკი ზურგი ჩვენკენ უქნია და პირი რუსეთისაკენ, რაკი გაუმინდვრებია და გაუვაკნია, როგორღაც ის დევგმირული ხმა ჩასწყვეტია. ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასთან ის თერგი აღარ არის, რომელზედაც ჩვენს პოეტს უთქვამს:

„თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან”...

იქ ისე მიმკვდარა, ისე დადუმებულა, თითქო ან როზგქვეშ არის გატარებულიო, ან დიდი ჩინი მიუღიაო. მაგრამ იქნება თერგი იქ ეგრე იმიტომ მიჩუმებულა, რომ მობანე კლდენი გვერდით არ ახლავს, ის კლდენი, რომლის:

„კლდოვანთა გულთა ღრუბელნი
შავადა ზედ დასწოლიან
და მრისხანებით ქვეყანას
წარღვნითა ემუქრებიან”.

მაგრამ მაინცდამაინც ვაი შენ, ჩემო თერგო! შენ, ჩემო ძმობილო, ზოგიერთ კაცსავით, საცა მისულხარ, იქაური ქუდიც დაგიხურავს. ცოდვა არ არის, შენი ჭექა-ქუხილი, შენი ზარიანი ხმაურობა, შენი შფოთვა და ფოთვა, შენი გაუთავებელი

ბრძოლა ქვა-კლდე-ღრესთან, თითქო შენი განიერი წადილი შენს ვიწრო საწოლში ვერ მოთავსებულაო. ბევრი რამ საგულისყუროა შენში, ჩვენო დაუმონავო თერგო, შენს ძლევამოსილს და შეუპოვარს დენაშია. აქ კი მიმრჩვალხარ დამარცხებულ და ნათრევ ლომსავითა. ცოდვა ხარ და ცოდვას შვრები!..

„ჰე, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?"

შუადღე იყო, რომ ლარსის სტანციაში მოვედი. ლარსამდი ჩემმა გულმა ვერაფერი განსაკუთრებითი სიამოვნება ვერა მიიღო-რა, გარდა იმისა, რომ რამოდენადაც ჩემს სამშობლოს ქვეყანას ვუახლოვდებოდი, იმოდენად გარემო ბუნებას ჩემის ქვეყნის ფერი ემატებოდა და თერგს შფოთვა და ღელვა.

შევედი სტანციის ცარიელს ოთახში, ჩაის დალევა მინდოდა და ამის გამო სამოვარის დადგმა შევუკვეთე ერთს ფეხმოტეხილს სალდათსა, რომელიც ბოლოს სტანციის გუშაგად გამოდგა. მინამ სამოვარს შემოიტანდნენ, მივწექ გაფიცრულ ტახტზედ და თავი ფიქრებს მივეცი.

ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელესა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასთვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, – ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლყურძენაცა... ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთაქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა.

III

რაკი ვლადიკავკასიდამ გამოვედი და ჩემის ქვეყნის სიომ დამკრა, გულმა სულ სხვარიგად დამიწყო ფეთქა. პოვოსკაში ქვებზედ ხათქა-ხუთქი უკეთესთა ფიქრთა დამიბნევდა ხოლმე. ახლა კი, როცა სტანციის ოთახის ტახტზედ მამაპაპურად გავიშოტე, ღვთის წყალობა შენა გქონდეს, რომ მე ფიქრს მივეცი სრული ჩემი გულისყური და ყურადღება. ჯგუფად მომიგროვდა ყოველიფერი, რაც კი დამეტოვა ჩემს მშვენიერს პატარძალსავით მორთულს ქვეყანაში, რაც კი მენახა, მეცადნა და მეცნო უცხოეთშია. მრავალნაირი ფიქრები ერთად, რეულად, გონების თვალწინ წარმომიდგნენ, მაგრამ ელვის უმალეს ერთი ფიქრი მეორეზედ მეცვლებოდა, ასე რომ ჩემი გონების თვალი ერთ და იგივე საგანზედ ერთს წუთსაც ვერ გავაჩერე – ერთის სიტყვით, ჩემს ტვინში სრული რევოლუცია მოხდა: ძირს მილაგებულნი ფიქრები მაღლა მოექცნენ, მაღლა დალაგებულნი ძირსა და მერე აირივნენ ერთმანეთში. სიტყვამ „რევოლუცია" არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა

მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირიოს- დაირიოს და მერე დაწმნდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ.

ამ ყოფაში ვიყავ. ბოლოს ჩემთა ფიქრთა, ყოველმა თითოეულად, თავისი შესაფერი ადგილი დაიჭირა ჩემს გონებაში. მათ შორის ერთი უფრო ბრწყინვალედ გამომეხატა. იმ ერთს მოჰყვა მეორე, მეორეს – მესამე, ასე რომ ბოლოს ერთ განუწყვეტელ გრეხილად შემექმნენ. როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, – ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც უცხო ნაიადგზედ გადარგულსა და აღზრდილსა? იქნება ზურგიც არ შემომაქციოს, იქნება მიმითვისოს კიდეცა, რადგანაც ჩემში მაინცდამაინც ჩემის ქვეყნის დვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მიამბოს თავის გულისტკივილი, თავისი გლოვის დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდეც და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვასმინო, რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა ჟოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობლად. შევიძლებ კი? შევიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა? გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ რომ მამულის სიტყვას მამულის შვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა, გულითაცა, რომლისათვისაც დუმილიც გასაგონია; ჩემს სიტყვასაც გავაგებინებ, იმიტომ, რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის. მაგრამ ამას სულ სიტყვაზედ ვლაპარაკობ, საქმე კი საქმეშია, შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმ? – ვკითხე მე ჩემს თავს და გავჩერდი კიდეც. ვიგრძენ, რომ ამ კითხვამ შესწყვიტა ის ზემოხსენებული ჩემი ფიქრების ფერადი გრეხილი.

– მართლა-და რა უნდა ვქნა? – ვკითხე ჩემს თავს ხმამაღლივ.

– ჩაი უნდა მიირთოვო, – მიპასუხა სტანციის გუშაგმა, რომელმაც ამ დროს შემოიტანა სამოვარი და ჩემს სტოლზედ დადგა.

– ჩაიო!..

– სამოვარი იმისთვის არ მიბრძანეთ? – მიპასუხა სულელმა გუშაგმა და გავიდა გარეთ. არ გასულა ამის შემდეგ რამდენიმე წუთი, რომ კარი ისევ გაიღო და ერთმა რუსის აფიცერმა შემოჰყო თავი. იმისი სახის მეტყველება ამჟღავნებდა, რომ ღვინოსა და არაყს ძალიან დაახლოვებით იცნობდა. თვალად ერთი ოცდაათის წლისას ჰგვანდა. ზედ ეტყობოდა, რომ მგზავრი არ იყო.

– ნება მომეცით, – მითხრა მან რუსულად, – გაგაცნოთ ჩემი თავი: მე გახლავართ პადპარუჩიკი N. აქ ლარსში ვდგევარ, როტა მაბარია.

– ძალიან მოხარული ვარ, – ვუპასუხე მე, წამოვუდეგ ფეხზედ და ჩამოვართვი გამოწვდილი ხელი.

– საიდამ მობრძანდებით?

– პეტერბურგიდამ.

– ფრიად სასიამოვნოა. ამ უდაბურსა და ვერანა ადგილას ერთი ეგ სიამოვნებაღა მაქვს, რომ შევხვდები ხოლმე მგზავრს განათლებულის ქყვეყნიდამ. კაცი, რომელიც გონებითა სცხოვრობს, მოვალეა ღვთისა და ქვეყნის წინაშე შეხვდეს განათლებულს კაცს საბაასოდ გონების გასაფხიზლებლად. დიდად მოხარული ვარ. ბაასი ჭკვის საზრდოა.

მითხრა ესა და კიდევ გამომიწოდა ხელი, მეც ხელმეორედ ხელი ჩამოვართვი.

– თქვენ ვინა ბრძანდებით? – მკითხა მან.

– მე გახლავართ ერთი სომხის სოვდაგრის დახლდარი.

– დახლდარიო!.. – თქვა და ტუჩები აიპრუწა.

– დიაღ, ბატონო!

ჩემმა ახალმა ნაცნობმა რომ ეს გაიგონა, მყისვე დიდკაცური სანახაობა მიიღო: მხრები მოიმარჯვა, ის პირველად მორიდებული ლაპარაკი სხვა ჰანგზედ შესცვალა.

– საიდამ მოდიხა-ა-ართ?!. – მკითხა გაკვირვებით და დაცინებითაცა.

– პეტერბურგიდამ.

– ჰმ, – ჩაიცინა აფიცერმა, – პეტერბურგიდამ. კარგია, გღირსებიათ პეტერბურგის ნახვა. პეტერბურგი!.. ძალიან კარგი ქალაქია, – თქვა ესა და არხეინად ჩამოჯდა სკამზედ: – პეტერბურგი!.. ო, ო, დიდი ქალაქია. პეტერბურგი!.. ვრცელი ქალაქია!.. არა ჰგავს თქვენ წიტიან ქალაქსა. აბა რა ქალაქია თქვენი ქალაქი? ერთი თავიდამ რომ გადააფურთხო, ფურთხი ქალაქის ბოლოს დაეცემა. პეტერბურგი კი... ხომ გინახავთ პეტერბურგი? რუსეთის გულია. მართალია, აქამდისინ მთელი რუსეთი ჰფიქრობდა, რომ მისი გული მოსკოვია, მაგრამ მთელს რუსეთს მე განვუფანტე ეგ ცრუ და უგუნური აზრი: მე მწერალი გახლავართ. გთხოვთ, რომ მიცნობდეთ. ეგრე კი ნუ მიყურებდით. მე დავამტკიცე, რომ პეტერბურგია მთელის რუსეთის გული. იზლერის ბაღი ხომ გინახავთ?

დავუგდე კი ყური ამ აფიცერს და გულში კი ვფიქრობდი, ხომ არ გაგიჟებულა-მეთქი, მაგრამ გარდა ამ გადარეულის ლაპარაკისა არა შევატყე-რა.

– არა, იზლერის ბაღი გინახავთ, თუ არა? – მკითხა კიდევ იმან.

– პეტერბურგის გულობა რით დაამტკიცეთ? – ვკითხე მე და არ მივეცი პასუხი მის უკანასკნელს კითხვაზედ.

– არა, ჯერ მე მითხარით: იზლერის ბაღი გინახავთ, თუ არა? თქვენ, აქაურები, ესე იგი ქართველები თუ სომხები, სამეცნიერო ლაპარაკს ჩვეულნი არა ხართ, ამტომაც ერთის საგნიდამ მეორეზედ გადახტებით ხოლმე. თქვენ ზედმიყოლებითი, რიგიანი სჯა არ იცით. ეგ, რასაკვირველია, გაუნათლებლობისაგან მოგდით. მგონი, თქვენ არც კი იცით, – რა არის ცივილიზაცია, ასოციაცია, არღუმენტაცია, ინტელიგენცია, კასსაცია და ფილოლოღია. მაგრამ ეგ არაფერი, წარმავალია. თქვენც გაიწურთნებით. მადლობა ღმერთს, აფიცრობა და ჩინოვნიკობა ბევრი მოდის რუსეთიდამ თქვენს გასანათლებლად. არა, ჯერ მითხარით, იზლერის ბაღი გინახავთ, თუ არა? თუ ეგ არ გინახავთ, პეტერბურგიც არ გინახავთ.

– მინახავს.

– გინახავთ? მაშ თქვენ განათლებულებში ფეხი ჩაგიდგამთ, ფრიად მოხარული ვარ, ფრიად მოხარული ვარ. იზლერის ბაღი? როგორი ბაღია, ჰა? ფერიებით სავსე სამოთხე ის არის, აი! ფერიები, ხომ იცით, რა არის? ეგ სამეცნიერო სიტყვაა, იქნება არ იცოდეთ. ეგ მდაბიურად რომ ვთარგმნოთ, იმასა ჰნიშნავს, რომ ის ბაღი სავსეა

ჟუჟუნათვალებიან ქალებითა. გინდა ერთს ჩაავლე ხელი, გინდა მეორეს. აი, განათლებას რა შეუძლიან. თქვენი ქალები კი კაცს დაინახავენ თუ არა, იმალებიან. არა, პეტერბურგი... დიდი ქალაქია, ფრიად განათლებული, და იზლერის ბაღი განათლების გვირგვინია, ასეთი ბაღია, რომ „მწუ".

ამ სიტყვებზედ მეცნიერმა აფიცერმა თითებზედ იკოცა.

– მე იმედი მაქვს, რომ ეს სამოვარი ამ სტოლზედ თქვენთვის სდგას.

– თქვენმა იმედმა არ მოგატყუათ თქვენ.

– მე იმედი მაქვს, რომ თქვენ, როგორც განათლებულის ქვეყნიდამ მოსული კაცი, მეც მითავაზებთ ჩაისა.

– არც მაგ იმედს გაგიმტყუნებთ.

– რომიც, რასაკვირველია, გვექნება.

– მაგაზედ კი უკაცრავოდ.

– ეგ ვერაფერი ნიშანია. თქვენ სომეხი ხართ, თუ ქართველი?

– ქართველი.

– ძალიან მიამა, რომ ქართველი ხართ. თუმცა ჩვენი ლერმონტოვი კი ამბობს, რომ бежали робкие грузины, მაგრამ მაინც ქართველები სჯობიან იმ პოიებსა. პაპიროსები კი, რასაკვირველია გექმნებათ.

– გახლავთ.

– იმედი მაქვს, რომ მითავაზებთ.

– დიდი სიამოვნებით. ინებეთ.

– აბა, მაშ თქვენ ჩაი დაასხით და მერე მოვყვეთ სამეცნიერო ლაპარაკსა. თუმცა თქვენთვის ძნელი იქნება სამეცნიერო ლაპარაკის გაგება, მაგრამ მე შიგადაშიგ სამეცნიერო სიტყვებს მდაბიურად გითარგმნით და ამ რიგად სამეცნიერო ლაპარაკის გაგებას გაგიადვილებთ.

მე ჩაი დავასხი და ერთი ჭიქა იმას დავუდგი. ჩაი რომ მოსვა, გამოაბოლა პაპიროსი და მოჰყვა ლაპარაკსა.

– თქვენი ქვეყანა, მეცნიერის ენით რომ ვთქვა, განათლებული არ არის, ესე იგი, მდაბიურის ენით რომ ვთქვა, გაუნათლებელია. ხომ გესმით?

– ძალიან კარგად.

– აკი მოგახსენეთ, გაგიადვილებთ-მეთქი სამეცნიერო სიტყვის გაგებასა. ახლა დავიწყოთ იქიდამ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის, ესე იგი, გაუნათლებელია. ეს ჩაი მოსკოვისა უნდა იყოს?

– არა, სტავროპოლში ვიყიდე.

– სულ ერთია. ახლა დავიწყოთ, როგორც წეღანა ვთქვით, იქიდამ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის. ეგ იმასა ნიშნავს, რომ თქვენი ქვეყანა ბნელია. ხომ გესმით?

– დიაღ, კარგად.

– ახლა რაკი იქიდამ დავიწყეთ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის, ისიც უნდა ვთქვათ, რომ განათლება რა არის. მე ამას მაგალითებით აგიხსნით: წარმოიდგინეთ ბნელი ოთახი. წარმოიდგინეთ, თუ არა?

– წარმოვიდგინე.

– არა, იქნება სადმე ერთი ფანჯარა ღია დაგრჩათ, ისიც დაკეტეთ.

– დავკეტე, – ვუპასუხე კი და სიცილი მომივიდა.

– ძალიან კარგი. რაკი ის ფანჯარაც დაკეტეთ, ფარდაც ჩამოაფარეთ.

– ჩამოვაფარე.

– რაკი ფარდაც ჩამოაფარეთ, ოთახიც დაბნელდა, ვეღარაფერს დაინახავთ. უეცრად შემოიტანეს სანთელი, განათდა ოთახი. განათლებაც ეგ არის. სწორედ მოგახსენოთ, არც ეს პაპიროსია ურიგო. პეტერბურგიდამ იქნება?

– არა, ვლადიკავკასში ვიყიდე.

– სულ ერთია. ახლა ხომ გესმით განათლების მნიშვნელობა?

– ძალიან კარგად.

– ახლა, რადგანაც აგიხსენით განათლების მნიშვნელობა, თქვენ უნდა ერთი რამა გკითხოთ: თქვენში ცივილიზაცია როგორ მიდის?

– მაგისას ვერას მოგახსენებთ: დიდი ხანია ჩემს ქვეყანაში არა ვყოფილვარ.

– ეგ არაფერი, მე ეხლავ შევიტყობ, როგორ მიდის: რამდენი გენერლები გეყოლებათ თქვენ, ქართველებს?

– იქნებ ერთი ოციოდე მოგროვდეს.

– რაო, ოციოდეო!.. ო, ო, ეგ დიდი საქმეა, – წარმოსთქვა დიდის ყოფით ჩვენმა მეცნიერმა აფიცერმა, – ოციოდეო!.. ამ ერთ მუჭა ხალხში და ოცი გენერალი!.. ეგ, ბატონო, დიდი ცივილიზაცია გქონიათ. ვერ უყურებთ, ოციოდე გენერალი! არა მჯერა. იქნება თქვენ, მეცნიერების ენით რომ ვთქვა, დეისტვიტელნი სტაცკის სოვეტნიკებსაც მართალ გენერლებშია სთვლით, ესე იგი, მდაბიურის ენით რომ ვთქვა, იქნებ შტაცკის გენერლებსა, ანუ უფრო მდაბიურად რომ ვთქვა, უეპოლეტო გენერლებსა, ანუ ამაზედ უფრო მდაბიურად რომ ვთქვა, უულვაშო გენერლებსაც მართალს გენერლებში სთვლით? უთუოდ ეგრე იქნება.

– არა, თქვენმა მზემ, – დავუფიცე მეც, – არა, თქვენმა მზემ, სულ მართალს გენერლებს მოგახსენებთ.

– ოციოდ მართალი გენერალი! ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება! საცა ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიზაციას. სულ რამდენი წელიწადია, რაც რუსეთი აქ შემოვიდა?

– იქნება სამოცდაათი.

– შვიდს წელიწადში ორი გენერალი? დიდი საქმეა, დიდი ცივილიზაცია არის. მერე როგორი გენერალი?! მართალი გენერალი! თუ ღვთის ძალით თქვენში ცივილიზაციამ ეგრე იარა, სამოცდაათ წელიწადს უკან კიდევ ოცი გენერალი მოგემატებათ და სულ ორმოცი შეიქნება.დიდი საქმეა. მე ეგ არ ვიცოდი. ან საიდამ უნდა შემეტყო? სულ არ იქნება სამი წელიწადი, რაც ამ ქვეყანაში ვარ. სწორედ მოგახსენოთ, არც მოცლა მქონდა, რომ თქვენის ქვეყნისათვის მეცნიერი თვალი დამეკვირვებინა. მე ერთს დიდს საოსტატო საგანს გამოვეკიდე, მრავალი ვიძიე, ისტორიები წავიკითხე და ჩემი დრო სულ ამ სამეცნიერო საქმეზედ გადავაგე. მაგრამ ცუდად არ წახდა ჩემი ღვაწლი, შთამომავლობა მოიგონებს ჩემს სახელსაცა.

– რა იმოქმედეთ?

– რა ვიმოქმედე! ადვილი სათქმელია. აი, ბატონო, რუსეთში მებატონეებს ყმები ჩამოართვეს. მებატონეს ბიჭი აღარ შერჩა. მოჯამაგირეს ანაბარას დარჩა. შეწუხდა ქვეყანა, მოჯამაგირეებმა დაუწყეს ყველაფერს სახლში პარვა. მე, როგორც გულმტკივნეული

შვილი, ჩავუფიქრდი ამ ჩემის ქვეყნის მწუხარებას, – ვთქვი: ქვეყანას შველა უნდა-მეთქი. მადლობა ღმერთს, ვუშველე კიდეც. ასეთი რამ მოვიგონე, რომ მოჯამაგირეს სახლში პარვა აღარ შეუძლიან. ერთმა უბრალო შემთხვევამ კი მაპოვნინა წამალი. ჩემი დენშჩიკი ფრიად დიდი ქურდი იყო, საშაქრეში შაქარს აღარ უშვებდა. ვიფიქრე, ვიფიქრე, როგორ ვუშველო ამ საქმეს-მეთქი. დავიწყე ყუთის დაკეტა, მაგრამ ხან დაკეტა დამავიწყდებოდა ხოლმე, ხან გასაღები სტოლზედ დამრჩებოდა ხოლმე, და როცა სახლიდამ გავიდოდი, დენშჩიკი შაქარს მომპარავდა. ბოლოს ავიღე, ორი ბუზი დავიჭირე და ჩავსვი საშაქრეში, თავი დავხურე და არ დავკეტე კი. ახლა მკითხავ – რისთვისაო? იმისთვისა, რომ თუ დენშიკი კიდევ შაქრის მოპარვას დააპირებდა, ხომ ყუთი უნდა გაეღო. რაკი ყუთს თავს ახდიდა, ბუზები მაშინვე ამოფრინდებოდნენ. მერე, როცა შინ მოვიდოდი, ავხდიდი ყუთს და შიგ რაკი ბუზებს აღარ ვნახავდი, აშკარა იქნებოდა, რომ ყუთის თავი აუხდია ვისმე. ვინ ახდიდა, თუ არ ჩემი დენშჩიკი. რაკი ეს გამოვიგონე, მე დენშჩიკი შაქარს ვეღარ მპარავს. ეხლა, ყოველ დილას ჩაის გავათავებ თუ არა, ოთახში ბუზებს ვიჭერ, დავიჭერ ბუზებს, ჩავსვამ შაქრის ყუთში და მთელი დღე არხეინადა ვარ. ვიცი, რომ არავინ მომპარავს. როგორ მოგწონს ჩემი აზრი? იაფი და ქურდობის უებარი წამალია. ეგ წამალი ყველაფერში იხმარება, რასაც კი ჩვენს ოჯახში ყუთში ვინახავთ ხოლმე. ეს აზრი ჯერ არავისთვის არ გამიმჟღავნებია, მაგრამ თქვენი ქვეყანა ისე მიყვარს, რომ თქვენ ეგ გაცნობეთ და გთხოვთ – თქვენს გაუნათლებელს მებატონეებს აცნობოთ. ერთი ეს არის, რომ არყის ქურდობას ჯერ ვერა ვუშველე-რა. არაყის ბოთლშიაც კი ვცადე ბუზების ჩასმა, მაგრამ ეგ წყეულები შიგ ირჩობიან – губа не дура. მაგრამ მაგის წამალსაც მალე მოვიგონებ. არა, როგორ მოგწონთ ჩემი ოსტატობა? ფრანცუცებმაც იციან ხოლმე მაგისთანა ეშმაკობის მოგონება, მაგრამ იმათის მაშინების ყიდვა ძვირია. ეს ჩემი ოსტატობა კი გროშიც არ დაჯდება. აბა რა არის ორი ბუზის დაჭერა და ყუთში ჩასმა? დიდი არაფერი აბა ეხლა ჰნახეთ, რა შედეგი ექნება ამ ჩემ მოგონილ საქმეს: ეს ჩემი ოსტატობა რომ გავრცელდება, მაშინ შეიძლება რომ ბუზების სყიდვა დაიწყონ. აი, ქვეყანაში ახალი აღებ-მიცემობაც გაჩნდება: ჩაივლით ერთს მშვენიერს დილას თქვენს ქალაქში და დაინახავთ ბუზების მაღაზიასა. ცუდია თუ? რამდენი მშიერი კაცი ლუკმას იშოვნის ბუზების მეოხებითა. ეხლა კი ბუზები რანი არინ? არაფერი. რის გამოსადეგნი არიან? არაფრისა. აი, მეცნიერის და ჭკვიანის კაცის ნამოქმედებსა და ნაღვაწლს რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის. მე აქ არ მოვდიოდი, თუმცა კი ბევრს მეხვეწებოდნენ. ჩემს გულში ვამბობდი: ღმერთს თუ ნიჭი მოუცია რამე ჩემთვის, ისევ ჩემებს გამოვადგე-მეთქი, მაგრამ ამ ახლად დაჭერილ ქვეყნებს უფრო განათლება უნდა-მეთქი; აქ განათლებული კაცები საჭირონი არიან. აბა ცოტა ხანი მოიცადეთ, რა მოხდება. მე ხომ, ზევით რომ ვთქვი, ის მოვიგონე, ახლა სხვა ჩემისთანა სხვას მოიგონებს, იქნება იმისთანა კაციც გამოვიდეს, რომ თქვენს ქალაქშიაც იზლერის ბაღი გამართოს: მეცნიერის კაცისათვის ყველაფერი შესაძლოა. ამ ყოფითა მთელის პეტერბურგის განათლება აქ გადმოვა. მაშინ ჰნახავთ, რომ ერთს მშვენიერს დღეს სეირნობა გაიმართება იზლერის ბაღში, იმ ბაღში თქვენი ქალები თამამად სიარულს დაიწყებენ, გინდა ერთს უთხარ „შენი ჩირიმე", გინდა მეორეს, ხმასაც არ გაგცემენ. აბა ხალხი მაშინ დაინახავს თავისს სამოთხეს, როგორც მეცნიერნი იტყვიან, ესე იგი, სამოთხე რომ მდაბიურად ვთქვათ... მაგრამ რა ვთქვათ, მდაბიურადაც სამოთხე სამოთხეა. ხომ გესმით?

– ძალიან კარგად.

IV

იმ საღამოს სტეფანწმინდას ამოვედი. მშვენიერი საღამო იყო, ასე რომ იმ ღამეს იქ დავრჩი, რათა თვალი გამეძღო მშვენიერის სანახავების ხილვითა. ოხ, საქართველოვ!

“სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა?”

ოთახიდამ გარეთ გამოვედი და შევხედე სტეფანწმინდის პირდაპირ აყუდებულს მყინვარსა, რომელსაც ყაზიბეგის მთას ეძახიან. დიდებული რამ არის ეგ მყინვარი. აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ქუდადა მაქვს და დედამიწა ქალამნადაო. ცისა ლაჟვარდზედ მოჩანდა იგი თეთრად და აუმღვრევლად. ერთის მუჭის ოდენი ღრუბელიც არა ჰფარავდა მის მაღალს შუბლსა, მის ყინვით შევერცხლილს თავსა ერთადერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალე, ზედ დაჰნათიდა, ერთს ალაგს გაჩერებული, თითქო მყინვარის დიდებულს სახეს განუცვიფრებიაო. მყინვარი!.. დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მაღელვებს, მაციებს და არ მათბობს, – ერთის სიტყვით მყინვარია. მყინვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედამიწაზედ უდგა, თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მოდის და მობღავის და აბღავლებს თავის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამალებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაივაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღელვებელი და ღირსსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში ჩანს მთელის ქვეყნის უბედურობის ნაცარტუტა. მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია – როგორც უკვდავება და ჩუმია – როგორც განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია. ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდამ ამაღლებულა, მაღლიდამ კი შენობა არსად არ დაწყებულა. ამიტომაც მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მამწონს და უფრო მიყვარს. არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს! მაღალიაო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მიყვარს მყინვარი. მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა. ნეტავი შენ, თერგო! იმით ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გარდაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი…

V

ჩამოღამდა. თერგისა და მყინვარის ყურებაში და ზოგიერთ ფიქრების გართვაში დრო ისე გამეპარა, რომ თითქმის ვერ შევიტყე, მზე როგორ გამოესალმა მისგან გამთბარ ქვეყნიერებასა და როგორ მიეფარა მთებსა. დაღამდა, თვალწინ აღარა სჩანს-რა, მისწყდა ხმაურობა ქვეყნისა, ქვეყანა დადუმდა.

დაღამდა, მაგრამ არ ვიცი, რას ვიქმოდი, რომ იმედი არა მქონდეს კვლავ გათენებისა. სიცოცხლე სიცოცხლედ-ღა ეღირებოდა?.. მიყვარს, ბუნებავ, შენი დაწყობილობა, რომლის მეოხებითაც ყოველი ღამე თენდება ხოლმე.

დაღამდა, მაგრამ მე მაინც სტანციის გარეთა ვარ და დაჟინებით ყურაცქვეტილი გონებას ვადევნებ თერგის თავზედ ხელაღებულის დენის ხუილსა. ყველა დადუმდა და შენ არ სდუმობ, თერგო! მერწმუნეთ, მე მესმის ამ ხმაგაკმენდილს ქვეყანაში თერგის დაუჩუმარი ჩივილი. არიან ადამიანის ცხოვრებაში იმისთანა წუთნი მარტოობისა, როცა ბუნებას შენ თითქო შენსას აგებინებ და იგი თავისას შენ გაგებინებს. ამიტომაც შეგიძლიან სთქვა, რომ მარტოობაშიც არსად მარტო არა ხარ, ჰოი, ორფეხო ცხოველო, რომელსაც ადამიანს გეძახიან. ამ ღამეს ვგრძნობ, რომ ჩემის ფიქრებისა და თერგის ჩივილის შუა არის რაღაც იდუმალი კავშირი, არის რაღაც თანხმობა. გული მიტოკს და მკლავი მითრთის. რისთვის? დროს დავაცალოთ ამის პასუხის მიცემა.

დაღამდა. მისწყდა ადამიანის ფეხის ხმა, მისწყდა ადამიანის მორჭმული ხმაურობა, აღარ ისმის მისის დაღლილის ზრუნვისა და წადილის გუგუნი, ქვეყნის ტკივილმა დაიძინა, ადამიანი აღარა სჩანს ჩემს გარშემო. ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!.. არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა! ჰოი, ბნელო ღამევ, მეჯავრები შენ მე! შენ რომ არ დაარსებულიყავ ქვეყნისათვისა, მე მგონია, რომ ნახევარი უბედურობაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ იქნებოდა. შენთა მოვლენათა დასცეს პირველად თავზარი ადამიანის გონებასა და დააფრთხეს იგი. მას აქეთ შეშინებულსა გზა თვისი ვერ უპოვნია, – და აჰა, იბრძვის ადამიანი და დღევანდლამდე ათასში ერთსა თავისი ერთხელ დამფრთხალი გონება ფრთხოლას ვერ გადუჩვევია. აი მიზეზი ქვეყნის უბედურობისა. ჰოი, ბნელო ღამევ! მეჯავრები შენ მე. შენის კალთის ქვეშა, ვინ იცის, რამდენი გაბოროტებული მტერი ადამიანისა ეხლა თავს იმალავს? ვინ იცის, ამ ბნელ ფარდის ქვეშ, რომელიც ეხლა ჩემს თვალს ჩამოაფარე, რამდენი მჭედელი და მტარვალი ქვეყნისა სჭედავს ბორკილთა ადამიანის ბედის შესაჭედად? შენ ხარ ხელის შემწყობი იმ ხელობისა, რომელსაც თვალთმაქცობას ეძახიან და რომელიც ადამიანის დამფრთხალს გონებასა უბედურობას ბედნიერებად აჩვენებს ხოლმე; შენ ხარ ჟამი და დრო კუდიანების სერობისა, საცა ისმის სადღეგრძელო სიბნელისა. ჰოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენ!..

სტანციაში შევიტყე, რომ მთებში დიდი დაბრკოლებაა ფოშტით მიმავალისათვის, რადგანაც სტანციებში ცხენები ხშირად თურმე აკლდებათ. მირჩიეს ფასანაურამდე ცხენი მექირავნა და ცხენდაცხენ გადავსულიყავ. მე ეს რჩევა ჭკვაში დამიჯდა იმ ფიქრით მივეცი თავი ძილს, რომ ხვალე საჯდომს ცხენს ვიქირავებ და ისე გავივლი მთებსა.

გათენდა. რა მშვენიერი რამა ხარ, დილის რიჟრაჟო! რა მშვენიერი რამა ხარ, დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ! მე მგონია, რომ ამ დილას ყოველი ტკივილი ქვეყნისა უნდა დაყუჩებულიყოს, მაგრამ თერგი მაინც ჰბღავის და იბრძვის. სჩანს, ქვეყნის ტკივილი დაუყუჩავია.

გათენდა და გაიხმაურა ქვეყანამ ადამიანის ხმითა. დღემ დაიწყო თავისი დაუდეგარი ფაცაფუცი. კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურობით გულაღტყინებულსა. ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოვნახავ და, თუ ვიპოვე, ვეთაყვანები.

გავედი სტანციის გარეთ და ერთს მოხევეს შევხვდი. ვიქირავე მისგან ცხენი იმ პირობითა, რომ თითონაც ცხენით გამომყოლოდა. ბოლოს არამც თუ ვინანე, დიდად კმაყოფილიც დავრჩი, რომ ჩემი საქმე ეგრე მოეწყო. ჩემი მოხევე ძალიან კაცი გამოდგა. იგი იყო ჭაღარამორეული, ხანში შესული კაცი. ბოლოს გამოჩნდა, რომ იგი თვალყურმადევარიც ყოფილა იმ პატარა ქვეყნისა, რომელიც მის გარეშემო ბედს შემოეხაზა და რომელიცა იმის უფერულის ცხოვრების მისაქცევ-მოსაქცევად დაენიშნა.

შევსხედით ცხენებზედ და წამოვედით სტეფანწმინდიდამ. უკანასკნელად შევხედე მყინვარს. იგი როგორღაც დიდკაცურად იბღვირებოდა თავის სიმაღლიდამ. ამან ამირია იმ დილით დამშვიდებული გონება. გულმა კვლავ ტოკვა დამიწყო და მკლავმა თრთოლა. სრულის მძულვარებით მოვაშორე თვალი მყინვარის დიდებულებასა და უფრო დიდის პატივით გამოვეთხოვე მის ფეხთა ქვეშე გაგიჟებით მავალს თერგსა.

ჩემი მოხევე სანახავად ღირსი იყო. იგი, თითონ ზორბად მოსული, იჯდა ერთს პატარა მთის ცხენზედ, რომელიც თითქმის მთელს გზას მგლურის ძუნძულით სასაცილოდ მოძუნძულებდა. ჩემს მოხევეს ჩამოეფხატა ბანჯგვლიანი ქუდი თვალებზედ და ისე გარინდებული იდვა განიერ უნაგირზედ გადაბოტებული, ისე არხეინად და გულაუმღვრევლად აყოლებდა თავის ახოვანს ტანს ცხენის ძუნძულს, ისეთის დამშვიდებით და განცხრომით აბოლებდა თავის ჩიბუხსა, რომ გეგონებოდათ – ამისთანა ქეიფში სხვა კაცი ძნელად თუ იქნება დედამიწის ზურგზედაო.

– რა გქვიან ძმობილო? – ვკითხე მე.

– ...ლელთ ღუნიას მიხმობენ, – მომიგო მან.

– სადაური ხარ?

– სადაველ? გაიბოტნიდამ, აქაივ მთაჩია, თერგ-კიდურზედ.

– ქართველი ხარ, თუ ოსი?

– ოვსი რაიდ ვიქნები?! ქართველ ვარნ მახევე.

– კაი ადგილია ეს თქვენი ადგილი.

– არაა გონჯაი*: ჩვენს ბეჩაობას შეჰფერობს.

---

* გონჯაი - ცუდი.

– ამისთანა წყალი, ამისთანა ჰაერი სწორედ ბედნიერებაა.

– ჰმ! – ჩაიცინა მოხევემ.

– რას იცინი?

– საცინალს ვიცინი. ცარიალ სტვამაქი მაგნით ვერ გაძღების.

– აქ ძალიან მოსავალი უნდა იცოდეს?!

– რაიდ არ ეცოდინების? ადგილ არაა გონჯაი, პატარ გვაქვნ: თვითვაულს კაცს ორ-ორ შაბადის ყანა არ ექმნების. ვიწროდ ვარნ.

– ეს დიდი გზა დიდ ხელს მოგცემთ.

– რაი ბედენაა გზაი? იგ მისთვის ვარგობს, ვისეც თვის ნაშვრელ-ნამუშევერ გასატან-გასასყიდ აქვნ.

– მაშ ქირაზედ არ დადიხართ?

– რაიდ არ დავდივართ? დავდივართ.

– მაშ ქირით ფულს იშოვნით.

– ვშაულაბთ. ჯიბეჩი არ რჩების: მთის კაცი მახევე სვამეხის კერძია. ჭამადი, სმადი არაა სახლჩი, ნაშოვერ დუქანჩი მიდის.

– მაშ ისევ ბარი სჯობნებია: იქ ხალხი უფრო მაძღარია.

– ვინ უწყის? იქაითაც საჭირბოროტოია დარჩენა. ადგილ ჰხაშმობს. იქაველ კაცს ფერი არა აქვნ, ჯანი არა აქვნ. აქაველ ჯანმრთელნი არნ. ცარგვლის გამჩენმა განაგო: იქაით მაძღრობა, აქაით სიმრთელე.

– რომელი ქვეყანა სჯობია, მაძღარი თუ მრთელი?

– ორივენ ერთადა. უერთურთოდ ქვეყანაი გონჯაა.

– ორში რომ ერთი ამოგარჩევინონ?

– ორჩიდა? არჩევანზედ? ამ ღორღიან კლდეთ ვიჯობდი, ჯანმრთელია. ადამის ძეი ბალახითაც, გაჭირდის, გაძღების, სატკივარს რაი ეყვის?

ამ დროს ჩემს მოხევეს უეცრად თოკის უზანგი ჩაუწყდა, თავი ვერ დაიმაგრა და ცხენს გვერდზედ მოექცა. მერე ისევ გასწორდა, ჩამოხტა ცხენიდამ და დაიწყო უზანგის გამართვა.

– საჭირბოროტოია შეკაზმულ ცხენ, – წამოიძახა ღიმით მოხევემ, – დაილოც შიშვალ ცხენ: ფეხ გადაწვდიდი და გადაჯდიდი.

მე აღარ მოვუცადე მოხევეს და წინ წავედი.

VII

– ერთი მითხარ, თუ ღმერთი გწამს, – ვუთხარი მოხევეს, როცა მე დამეწია, – აი სტეფანწმინდის პირდაპირ რა მონასტერია?

– თერგ-გაღმით?

– დიაღ.

– გიწყალობნოსთ ცოცხალთა, შეგინდნოსთ მკვდართა, წმინდა სამების სახტარი არნ, უწინდალთ განძთა საფარი, ერთა საბჭო.

– როგორ თუ განძთა საფარი, ერთა საბჭო?

– ქართველთა მეფეთა განძი აქაიდ უფარვან მტრიანობას, მცხეთაიდ საუნჯეი

საფარად აქ ზიდულა მრავალჯერ.

– საბჭო რაღა არის?

– საბჭოი? იქაიდ არნ სენაკ, სად სამართალი ბჭეთაგან იბჭოდის. რაიც მძიმა საქმე ხევჩი ავარდის, მუნ იბჭობიდნეს.

– ვერ მეტყვი, როგორ იყო ეგ ბჭობა და რაზედ უფრო მოხდებოდა ხოლმე?

– რაიდ ვერ გეტყვი? რაიც ვუწყი შეგასმენ. როდეს ასტყდის ერობაჩი დიდ-დევა, დიდ-საქმე, დიდ-არჩევანი, ერობას იქაიდ გამართვინ, აირჩივინ ბჭედა ბრძენ-ბერკაცნი, პეიტრობით* სახელდებულნი, დასხმინ მათ იმ სენაკჩი საბჭობად. რაიც მერედ სამების სახელით, ხთისგან მათხავნილ მადლით იგნ ბჭენი სთქმიან, გადასჭრიდიან, არვინ შეშლიან, არვინ გადავლიან.

– შენ მოსწრებიხარ მაგისთანა ბჭობას?

– რაიდ შევესწროდი? ადრინდალ თქმულობას გიზრახავნ.

– ეხლა რატომ აღარ არის ეგა?

– აწინა?

ჩაფიქრდა ჩემი მოხევე და პასუხი კი არ მომცა. ცოტა ხანს შემდეგ თითონ მკითხა მე:

– შენ რაი მილეთის ხარნ?

– ქართველი ვარ განა ვერ შემატყე?

– რად შეგეტყვის? ტალავარ** არა გაქვნ ქართველთა: რუსად მორთულხარნ.

– განა კაცს ქართველობა მარტო ტანისამოსზედ შეეტყობა?

– თვალთათვის ტყობად სამასელ არნა.

– ენა და საუბარი?

– ქართველთ ენად ბევრი საუბრობს: სვამეხიც, ოვსიც, თათარიც, სხვა მილეთიც.

– ტანისამოსს ქართვლისას კი ცოტანი იცმენ?

– ქართველის ტალავრის იერი*** სრულად სხვაია. რუსულჩი ქართველ კაც მეუცხოების.

– ქართველი გულით უნდა ქართველობდეს, თორემ ტანისამოსი რა არის?

– მართალ ხარნ. მაგრამად გულჩი ვინ ჩაიხედნის? გული შიგნიდ არნ, უხედველ, ტალავარ გარედ არნ, სახედველ.

– თუმცა მე რუსული მაცვია, დამიჯერე, რომ გულით ქართველი ვარ.

– იქნების.

არ ვიცი, ჩემმა მოხევემ დამიჯერა, თუ არა, ეს კია, რომ ამის შემდეგ ამისთანა ბაასი გავაბით.

– წეღანდელ სიტყვაზედ რომ პასუხი არ მომეცი, – დავიწყე კვლავ მე: – მე გკითხე, ეხლა რატომ აღარ ბჭობენ-მეთქი სამების სენაკში.

– აწინა?.. ერობა სადა არნ? რუსობაჩი ვარნ. აწინა ყველაი გაცუდდის. ყველაი გაუქმდის. სამების ძირჩი სოფელ გერგეთ არნ. იქაველ კაცთ მეფეთა შეუთქვეს სახტრის დარაჯობაი. მის სამაგიერ მეფეთა თარხნობა მიანიჭის სრულ სოფელს, გუჯარიც მაჰსცის

---

* პეიტრობით – მეტის გონებით სახელგანთქმულნი

** ტალავარი – ტანისამოსი.

*** იერი – შეხედულობა.

საშვილიშვილად. ყვაველ ღამ აწინაც გერგეთიდ სამ-სამ კაც დარაჯად იგზავნების. გერგეთელნ აწინაც სახტრის დარაჯობას თავ-დებულობენ, მაგრამად რუსობაჩი თარხნობა გაუცუდდის, მეფეთ გუჯარს რუსობამ ყური არ ათხოვის. გერგეთი აწინა სხვავითა ბეგრობს. გაუქმდის ადრინდალ დაწყობაი, ხთის მათხავნილ მადლითი ბჭობაიც სამებაჩი გადავარდის.

– მაშ უწინდელი დაწყობა და დრო უკეთესი იყო?

– რაიდ არა?

– რით იყო უკეთესი?

– ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთურთს დავეყუდნით, ერთურთს ვიხვეწებდნით. ადრიდა?! ქვრივ-ობოლთ ვიფარევდით, შინ მიწრიელს*, გარედ მავნეს დავულაგმნდით, ხთისა და ბატონის იასაულს მის ყუდროს არ მივკერძდნით, ერთურთს ლაღ მტერთან ჩავეფარვიდნით, დაცემულ ვიურვებდნით. ატირდომილს ვიხოიშნიდნით და ესრედ იყვის ბრალება კაცისა, ერთურთობა. აწინა ერობა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთსულობაი დავარდნის, მტრობა-ბძარვაი გახშირდნის. აწინა ქვრივ-ობოლ ვინ განიკითხის, ატირდომილ ვინ გააცინის, დაცემულ ვინ აღადგინის? აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ – პირად და გულად ჯუღურ არნ. ერი დავარდნილ, გალახულ არნ, ვრდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთ-წყობაი. ადრიდა ჩვენობა იყვის. წარხდა, მოისრნა ქვეყანაი, რაია აწინა ჩვენი დარჩენა? ჭამად-სმად სასყიდვალ, ტყეი სასყიდვალ, გზაი სასყიდვალ, ლოცვა-კურთხევაი სასყიდვალ, სამართალ სასყიდვალ, რაიდ დარჩების ბეჩავი მახევე?..

– ეხლა რომ მშვიდობიანობა არის?

– რაის ვაქნევ ცარიალ მშვიდაბას ცარიალ სტვამაქით. რაი არნ მშვიდაბა? უხმარ სატევარს ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის! რაი არნ მშვიდაბა ცოცხვალ კაცთათვის? რაი არნ მტერობა, თუ ერი ერობს? ცარიალ მშვიდაბა მიწაჩიც გვეყოფის.

– მტერი რომ დაგეცემოდათ, აგიკლებდათ და ცოლ-შვილს გიწიოკებდათ ხოლმე?

– აწინა მავალე სვამეხი უფროს გვაწიოკებს, უფროს სახლს გვიკლებს. ადრიდა მტერს მაინც ფარ-ხრმალით შევეთამაშით, ვიგერიებდით, სვამეხს რაი ეყვის, ვერმოსაგერიებელ, ვერ შესათამაშებელ? ადრიდა მტერთან ბრძოლაჩი, სწორების ჯობინობაჩი, სახელ ვშოობდით, სვამეხთან ვაჟაი რაი სახელ ჩამორჩების? ადრიდა, მართალ ხარნ, მტერ იყვის, ერთგულთა ვაჟათა ჩუქებაც დიდ-იყვის: ადგილ-მამულ ებოძვის, თარხნობაი მიეწყვებოდის. აგერნა თერგკიდურზედ ხელთუქმნი ციხეი ჩნდების. იგ ციხეი არშისა ციხედა ცნობილ არნ.

– როგორ ხელთუქმნი?

– ხთით არნ ციხედა, არ შეუვალ, არ შეულეწ.

– მერე რა უნდა გეთქვა?

– იქაიდ ადრიდა კახთ ლაშქარ მისევოდის. ელაშქრნათ, იგ ციხე ხელთ ეპყროთ. ხევსა შეძრწუნებულს ბატონთან შველაი ეზრახნა. მან შველა ვერ მასცის. შაწუხდის

---

* მიწრიელ – ეშმაკი

უშველი ერი. კახთა ვაჟანი ხევისანი მრავალნი მახოცნეს, მავიდნენ ციხეჩი, ალამნი დასცის. ერთი ყაფილა პეიტარბერ-კაცი, მახევე. ქალაი ჰყოლია უთხოვარ, მზედუნახველ. მან, მახევემ, გაისაურნა* კახთ ლაშქრის დათრობად. მაზიდნა ღვინოი, შაგზავნა ციხეჩი. თვისა ქალსა მზედ-უნახველს მაღვინობა შეუთქვნა, უანდერძნა. კახთა, ღვინოის მწყურვალთა, ლამაზ ქალაის მზირალთა, თავი იღორნეს, სრულ ითვრნენ ღვინოით. ქალაიმ განახვნის ციხის კარნი, მახევეთ ამცნის მოღორნა კახთ ლაშქრის. მოვეს მოხევენი, შავეს უგებრად ციხეჩი. დაჰსცის კიჟინა, კახნი სრულ მთვრალნი მახოცნის. ხელთ იგდის მახევეთ კვლავადა ციხე. არაგვთ ერისთავს იგ ამცნეს. მან მაჰსცა წყალობად იმ ქალაის მამას იგ ციხე, გუჯარიც მაჰსცა…

– ეგ რა ვაჟკაცობა ყოფილა?

– რაიდ არა? ჭკუიანი ვაჟკაცობაი ეგე არნ: სად ღონეი ვერ ღონობს, იქაიდ ხერხს ემუდვნის.

– მაგ კახელების ამოხოცვის ამბით რა უნდა გეთქვას?

– აწინა ყაველნი ქართველნ ძმანები ვარნ. არ მტრობით ვისაუბრე კახთათვის. იგ უნდა შემესმინა, რომ ადრიდა სამსახურს თავვიდევდით, საჩუქარიც, ბოძებაც დიდ იყვის; სახელით, ვაჟკაცობით სარჩო-საბადებელთ მაშოვერ ვიყვენით, კაცი უბრალად არ წარხდის. აწინა ტყუობით, მეძავ-მრუშობით, ფიცთა გატეხვით, ერთ-ურთ ღალატით სარჩო-საბადებელ საშოვერ გაგვიხდნის.

VIII

მართალია თუ არა ჩემი მოხევე, მე მაგის გასინჯვაში არ შევალ, ან რა ჩემი საქმეა ეგა? მე გაკვრით, როგორც მგზავრი, ვიხსენიებ მას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცდა მარტო იმაშია, რომ იმის აზრისათვის იმისივე ფერი შემერჩინა და იმის სიტყვისათვის იმისივე კილო. თუ ეს შევასრულე ჩემი განზრახვაც შემისრულებია.

ჩემმა მოხევემ მე კიდევ ბევრი რამ სხვა მითხრა, მაგრამ ყოველი მისი ნაამბობი დასაწერად არ გამოდგება შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა… მე მარტო ამას ვიტყვი, რომ იმან თავისის სიტყვით თავისს გულისტკივილს მიმახვედრა.

მიგიხვდი, ჩემო მოხევე, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი. “ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო” – სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის როდემდის?... ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!..

[1861 წ.]

---

* გაისაურნა – გაისაზრა, მოიფიქრა.

კაცია – ადამიანი?!

„მოყვარეს პირში უძრახე,
მტერს პირს უკანაო”.
გ ო ნ ი ე რ ი ა ნ დ ა ზ ა.

რიტორიკაში სწერია: ყველაფერი შესავალით უნდა დაიწყოს კაცმაო. ჭეშმარიტია. ჩვენც ისე დავიწყოთ.

ვინც ლუარსაბის სახეში თავის თავს იცნობს, ვინც ლუარსაბზედ დაწერილს თავის თავზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დამიწყებს და „გიჟიას“ დაუძახებს ამ მოთხრობის უხეირო დამწერსა. ეს კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ.

სხვამ რაც უნდა სთქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით გავამხნევებ ჩემს თავსა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო”. სადა ხარ ეხლა ამ გონიერის სიტყვის მთქმელო? ვიცი, სადაცა ხარ: ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რაცა გქვიან: შენ ხალხის გენიას გეძახიან. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ: შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ. შენ და მხოლოდ შენ უკეთებ გულს იმას, ვისაც „სხვისთვის“ გული სტკივა. მაშინაც კი უკეთებ, როცა თვით ის „სხვანივე” თავიანთ გულშემატკივარს ცოდვად უთვლიან გულისტკივილსა. რა ვუყოთ? ზოგი გულისტკივილს იმითი იჩენს, რომ მოყვარეს ცუდსაც უქებს, და ზოგი კი იმითი, რომ ცუდს უწუნებს. ამ ორგვარ ხალხში რომელს უფრო მეტი და ჭეშმარიტი გულისტკივილი და სიყვარული აქვს – ეს თითონ მკითხველმა გამოიცნოს.

I

კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი. წარმოიდგინეთ შუა კახეთის პატარა სოფელში ერთი ტრიალი, დაცემული ადგილი და იმ ადგილის შუაგულსა ორსართულიანი სახლი ქვითკირისა. აი, ის სართულები რა ფერისა იყო: ქვეშ იყო მარანი, წალმით დახურული, და იმ მარნის უკანა კედელზედ ამოყვანილი გახლდათ ერთი პატარა ოთახი მოაჯირითურთ. მოაჯირს ეკრა ზედ მერცხლის ბუდესავით ერთი მცირედი ფიცრული, რომელიც საქვეშაგებოსა ჰთამაშობდა. კარგა მანძილზედ კიდევ ფიცრულის სათორნეც იდგა, იმას აქედამ ხულა, რომელსაც ზედ ჰქონდა მოდგმული ცალთვალა სასიმინდე, ერთი უბადრუკი რამ და მგლოვიარე. ბაღჩაც იყო, ღობით გავლილი. ღობესთან, ერთის ფურცლის ხის სიახლოვეს, მოჩანდა ძველი ჩალური, დროთა ბრუნვისაგან ისე გვერდზედ წამოღებული და წამოხრილი, თითქო გრილოში წამოწოლას აპირებსო, მაგრამ ბებერსავით ნეკრესის ქარის ტკივილებს უეცრად ისე წამოხრილი და დაღრეჯილი შეუკავებიათო. ეზო ამ ციხე-დარბაზისა, სიგრძეზედ თუ სიგანეზედ, კარგა ფართოდ იყო გაზიდული. იმას ერტყა გარშემო ძველი ტყრუშული ღობე, რომელიც ზოგიერთგან გადაქცეული იყო და ეხლანდელს პატრონს არც კი მოსვლია ფიქრად, რომ გაეკეთებინა. ეტყობა, რომ ქართველია!..

ღობე ერთგან თავდებოდა უშველებელის ჭიის-კარებითა, რომლის ერთი ნახევარი, თუნდ ორი წელიწადია, ისე საცოდავად დაღრეჯით გადმოჰკიდებოდა ერთს ყუნწსა, ასე გგონია ბოძს დაუჭერია საცემლადაო და ის კი იწევსო, რომ როგორმე ხელიდამ

დაუსხლტესო. ჭიის-კარიდამ იწყება კალო, დიაღ მოზრდილი. მისი ბუჩო ერთ მხრივ მთელ კალოს სამხრეთის ნაპირზედ გორასავით გაწოლილი იყო, ასე რომ იმისი ბოლო ზედ საბძელთან დააწყდებოდა. საბძელი იყო სასაცილო, ისე სულელურად ჩაფიქრებული და გვერდაწეული მარტო ფრთა-მოტეხილი ბატი თუ მინახავს.

ჩემს პატარა ბიჭობაში ბევრი კარგი ნახულა ამ ბუჩოზედა: აქ ხშირად უქეიფნიათ გრძნობის აღმტაცის ხრუტუნით ნებიერს ღორებსა; თავის ფაფუკის დინგით ბევრჯერ უთხრიათ ეს სურნელი ბუჩო, ისე გულმოდგინებით, ისეთის სინაზით, ასე გგონია მართლა და ღორები იყვნენ. მერე იმათი ოხუნჯობა! იმათი ალერსი! ოჰ, ეს კი აუწერელია. რაღაც კმაყოფილებით გატაცებულთა, იმ ღორებს ერთმანეთისათვის ბევრჯერ წაუთავაზებიათ დინგი. რა ყვირილი და ჭყივილი ასტყდებოდა ხოლმე! ეგრე ჩვენი გლეხკაცი საალერსოდ წაუთავაზებს ხოლმე ქისტსა ახალ მოყვანილ პატარძალსა. ვიღაცამა სთქვა: „ქართული სიყვარული ლანძღვაო“, მეც ვიტყვი: ქისტი კიდევ საოხუნჯო ალერსია. ადმინისტრაციაში მაგას კიდევ სხვა მნიშვნელობა აქვს: იქ ქისტი შემამცნებელი საბუთია. ეგ ჩვენი საქმე არ არის.

შიგ თითონ ეზო ისე უწმინდური იყო, როგორც ძველი ჩინოვნიკის გული. დიდი საქმე იყო, პატრონამდინ ისე მიგეღწიათ, რომ ან არ გასვრილიყავით, ან კიდევ ერთი ამბრის სურნელება თან არ აგეყოლიათ. ეს გარეგანი, ეხლა, ბატონებო, შიგ სახლში ვეწვიოთ თავადს თათქარიძესა.

ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ, თუ ვეწვევით, ფრთხილად უნდა ვიყვნეთ. იატაკი აგურისა არის. ეგ არაფერი. ეს არის ძნელი, რომ აგურები შიგადაშიგ ამოცვივნულან; იმათი ალაგი ამოთხრილ ორმოებად დარჩენილა. თვალების ძალიან გაფაციცება უნდა, თორემ, თუ ფეხი შიგ ჩავარდა, ვაი შენს მტერს! ან კისერი მოსტყდება კაცსა, ან თითონვე ფეხი. თუმცა, მართალია, სახლის პატრონი ბევრს ბოდიშს მოიხდის, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ ბოდიში ძნელად თუ მოარჩენს მოგრეხილს კისერსა, და არც მოტეხილ ფეხისათვის არის უებარი წამალი. ამ ხიფათს შეიძლება კაცი გადურჩეს, თუ რომ ოთახი ნათელი იყოს. ვაი, რომ არც ეს არის. თუმცა ორი, სათოფეზედ კარგა მოდიდო, ფანჯარა აქვს, მაგრამ ოთახი მაინც ბნელია, იმიტომ რომ ფიჭვის ჩარჩოებზედ მინის მაგიერად მეტად გამჭრიახ გონებას გაქონილი ქაღალდი გაუკრავს. აი, ამაზედ არის ნათქვამი: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“. მოგონებაში ქართველ კაცს პირველი ევროპიელი მეჭორეც არა სჯობია.

ბევრჯერ მინახავს სხვაგანაც მაგისთანა ფანჯრის სასაცილო სამკაული. ბევრჯერ მინახავს ის გაქონილი ფანჯრის ქაღალდი ნემსით დაჩხვლეტილიცა: ხან გულია გამოყვანილი, ხან ჯვარია, ხან კიდევ დაწერილია რამე, თუნდ ამისთანა რამ: „დათვი ხეზედ როგორ გავა, იავნანინაო!..“ ეს კი ქალის საქმე უნდა იყოს. თუნდ მართლადაც ესე იყოს, რა დასაძრახისია? მოსწყენია დავითნის კითხვა, გულზედ რაღაცა სევდა მოსწოლია, და გონების გასართავად და უგემურ დღის დასალევად მიმჯდარა ფანჯარასთან, ამოუძვრია გულის ქინძისთავი და მიუყვია ხელი ამ მართლა-და გონებაგასართველ საქმისათვის. უსაქმო ყოფილა და საქმე გაუჩენია ამ ანდაზის ძალით: „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო“.

იმ თათქარიძის ოთახში იდგა ორი გრძელი ტახტი, ერთმანეთის პირდაპირ. ასეთი ფაქიზი ქეჩა და ხალიჩა ეშალა ზედა, რომ, როცა კნეინა ადგებოდა, ყოველ მის ბრწყინვალების ბრწყინვალე ფეხის ბრწყინვალე გადადგმაზედ ისე ლამაზად

აბოლდებოდა ხოლმე, რომ კაცი ყურებით ვერ გაძღებოდა. ამ ორ ტახტშუა აღმოსავლეთის კედელზედ მოჩანდა, კბილებჩაცვივნულ ბებერ დედაკაცის დაღებულ პირსავით, ერთი ამოჭვარტლული გარედამ და შიგნიდამ, ერთი მწუხარე და დაღრეჯილი ბუხარი. აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა სხვადასხვანაირი ნივთები, მაგალითებრ: ტალახიანი ყარაბაღული თეთრი წაღები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი შანდალი, სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყრალაბალახი, ზურგიელის ნაჭერი და სხვანი და სხვანი.

II

არ გეგონოთ, მკითხველნო, რომ ეს სახლი ეკუთვნოდეს ერთს ვისმეს ღარიბსა და მის გამო იყოს ეგრე გულშეუტკივრად თავმინებებული, არა, ამის პატრონს ჰყავს ოცი კარგად გაკეთებული კომლი კაცი, ასე რომ ათ ურმამდინ საბეგრო ებმებოდა, ცხვარი ბლომად და ასიოდეც ცხენი, რომელიც ყმაზედ ნაკლები არ არის განათლებულ მებატონისათვის. ეს სულიერი ქონება. ეხლა უსულო ჩამოვთვალოთ: ორი მოზრდილი ვენახი და ასორმოცდაათი დღის სახნავ-სათესი. ეს ქონება, ყმებიდგან დაწყებული ცხენამდინა და მიწამდინა, იმის ხელში, ვინც გამოყენება იცის, კაი ლუკმა არის. მაშ რაღად სდგას ეგრე ცუდად? მკითხავს გაკვირვებული მკითხველი. იმიტომ, რომ ქართველია, – მოგიგებთ სრულიად დარწმუნებული, რომ კაი საბუთი გითხარით.

დიაღ, ამ მშვენიერ სახლში ქართველი კაცი იდგა. აქ სცხოვრებდა ტკბილად და აუმღვრევლად ორმოცის წლის კაცი თავადი ლუარსაბ თათქარიძე, თავის განუშორებელ მეუღლითურთ, რომელსაც ერქვა კნეინა დარეჯანი.

თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი – უკაცრავოდ არ ვიყო ამ სიტყვაზედ – როგორც კარგი ნასუქი კურატი. დარბაისელის კაცის შეხედულება ჰქონდა მის ბრწყინვალებასა: თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის სიმძიმეს მორგვივით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო; წითელი, თურაშაულ ვაშლსავით ხაშხაში ლოყები; სამკეცად ჩამოსული ტრფიალების აღმგზნები ფაფუკი ღაბაბი; დიდრონი თვალები, ყოველთვის დასისხლებულნი, თითქო ყელში თოკი წაუჭერიათო! გაბერილი, მეტად გონიერად გადმოგდებული, დიაღ პატივსაცემი და პატივცემული ღიპი, კოტიტა და ქონით გატენილი ბალნიანი ხელები, დამორილი სხვილი ფეხები – ესე ყოველი ერთად და თვითოეული ცალკე გახლდათ თავად ლუარსაბის „ცით მონაბერის სულის” ღირსეული სამკაული. ის „მონაბერი სული“ არსად არა სჩანდა, თითქო ჩამკვდარაო, ისე გაშლილიყო მის ბრწყინვალების ქონშია. ქართველს კაცს არც ქარის შემოტანილი უნდა და არც გატანილი; ის „მონაბერი სული“ ქარად ხომ არ მიიღო ჩვენმა თავადმა?

სწავლა, ღვთის მადლით, არაფრისა არა ჰქონდა. რომ ჰქონოდა, ეგრე მსუქანიც აღარ იქნებოდა. ხშირია ხოლმე, რომ, როცა სული ჭლექდება ხორცის დღეობა მაშინ არის, როცა სული ჰყვავის ხორცი დნება. ამიტომაც ჭლექები ჭკვიანები არიანო, ამბობენ ხოლმე. ჩვენი ლუარსაბი, მგონი, თითონაც ბევრს არ იცემდა თავში, რატომ სწავლა არა მაქვსო, სწორედ ამის გამო.

– ეგ ეხლანდელი ჭირიაო, – იტყოდა ხოლმე გულმტკივნეულად, თითქო ქვეყანა ამ ჭირისაგან ებრალებაო.

მართალიც ბრძანდებოდა მისი ბრწყინვალება: მისის აზრით კაცი ძირგავარდნილი ქვევრი იყო, რომელსაც დღეყოველ უნდა ჩააყარო ხორაგი და ჩაასხა სასმელი, მაგრამ კიდევ მაინც ვერ აავსო. მისი ბრწყინვალება თავის თავზედ ჰხედავდა თავის ბრწყინვალე გონიერებით, რომ ამ მნიშვნელობას კაცი უსწავლელადაც კარგად ასრულებს, ნამეტნავად ჯოგის და ყმის პატრონი, ყმისა რომელსაც ჯოგში დიდი განსხვავება არა აქვს.

– დრო გამოიცვალა, – იტყოდა ხოლმე აღმოოხვრით ლუარსაბი, – დრო გამოიცვალა. რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო, ქართველ კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი კი აღარ შერჩათ ჩვენს შვილებსა და!.. ჭამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ვეღარა სმენ, რა კაცები არიან?! წიგნი იციან? მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ, ქუდი არა მხურავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი. წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა, ეგ ხომ ქალის საქმეა. ვენაცვალე უწინდელ დროს! ყველაფერი მაშინ თავის დონეზედ იყო მოყვანილი, ყველა თავის ქერქში იყო. ვენაცვალე!.. კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პატიოსანი.

ეჰ, ჩემო ლუარსაბ! ვიცი, გულწრფელი კი ხარ, როგორც ყველა ძველი ქართველი, მაგრამ ძველს დროს ტყუილად შეჰნატრი. რომ არც კი იცი, რა იყო სანატრელი ძველს დროში? ცხენი განა ეხლა კი არ არის? თოფი განა ეხლა კი ნიშანში ვერ მივა? მარჯვე მკლავი ცოტაა? ეხლაც არის ეს ყველაფერი, მაგრამ ის გული აღარ არის, ის გულის სიმხურვალე. ის თავგამოდება მამულისათვის, რომელიც კაი ცხენს და კაი თოფს კაი საქმეში ახმარებდა. უწინ კაცი აშვენებდა ცხენსაც და თოფსაც. ეხლა კი ცხენი და თოფი კაცს აშვენებს. კარგი იყო ძველი დრო, მაგრამ არც ეს ბესარიონ გაბაშვილის სიტყვებია ურიგო: „ერთი მაქვს სჯობს ათასს მქონდას“. – ესა ვთქვათ და ენა მოვიკვნიტოთ, თორემ.

თუმცა ლუარსაბი ეგრე სწუხდა ეხლანდელ დროების ჭირისა გამო, მაგრამ სახე მუდამ ერთ განსაკუთრებულ სულელობით უცინოდა ხოლმე. „ხარი ხართან დააბიო, – ან ფერს იცვლის ან ზნესაო“, ნათქვამია. ეს ანდაზა არსად ისე გამართლებული არ მინახავს, როგორც თავად ლუარსაბის სახლში. ამისი ძვირფასი მეუღლე კნეინა დარეჯანი სწორედ თავის ქმრის მეორე გვერდი გახლდათ და იყვნენ „ერთ სულ და ერთ ხორც“, როგორც ბრძანებს საღმრთო წერილი. მერე რარიგად: იგივე სიმრგვლე, იგივე სიმსუქნე, იგივე მოცინარე პირი და თითქმის იგივე სისულელე. ეს ორი ტურფა გვრიტი, ერთსულოვანი და ერთხორციანი, საკვირველად ტკბილად სცხოვრობდნენ, ქვეყნის უგემურ ყაყანს მოშორებულნი. მამალი იყივლებდა თუ არა, ბედნიერ ცოლ-ქმარს თვალები დაჭყეტილები ჰქონდათ, დარეჯანი მაშინვე წამოფრინდებოდა, ლუარსაბმა კი, ნებიერმა ლუარსაბმა, ხანდისხან განაზება იცოდა. ქვეშაგებიდგანვე ის გულგადაღეღილი ტახტზედ გადაგორდებოდა ერთის ქშენით, ვაი-ვაგლახით და კიდევ რაღაცეებით... მომხდარა ისე, რომ სადილობამდინაც ამ ნებივრობაში უგემური დრო გაუტარებია.

ქართველები იტყვიან: ვისაც ბალანი ბლომად აქვს ტანზედ მოდებულიო, ის ბედნიერიაო. მართალიც არის, პირუტყვები სულ იმისაგან არიან ბედნიერნი! თუ ეს ტყუილია, ბევრი ჩვენგანი პირუტყვობას რადა ჰცდილობს? იმისთვის, რომ პირუტყვები ბედნიერნი არიან, ბედნიერები კიდევ იმისთვისა, რომ ტანზედ ბალანი აქვთ.

ლუარსაბის ტანისა კი რა მოგახსენოთ და გული კი, რო გენახათ, ღორის ჯაგარსავით მოდებული ჰქონდა, ასე რომ მრავალ საეჭვო სულიერებს შეეძლოთ შიშიანობის დროს აქ თავი შეეფარათ, მაგრამ... მაგრამ რა? განა ლუარსაბი ბედნიერი არ იყო? იმდენი დღეგრძელობა ამის დამწერს ჰქონდეს, რამდენი იმის ტოლი თავადიშვილი

იმის ყოფა-ცხოვრებას შეჰნატროდა. მარტო იმის ტანის ბალანი სამყოფი იყო, რომ უბედურ კაცში შური აენთო, რომ სხვა არა იყოს-რა. თორემ რა უჭირდა ლუარსაბსა? ფერი აკლდა, თუ ხორცი? რა, სხვა უხეირო კაცსავით, ფიქრი და ზრუნვა ძილს დაუფრთხობდა, მადას წაართმევდა? ფერი კარგი ჰქონდა, ხორცი უკეთესი, სმა-ჭამა და ძილი ხომ რაღა. მეტი რა უნდა ქართველ კაცს, რომელიც ბედს და უბედობას ბალნით არჩევს, და რომლისათვისაც ბედს თუ ხვედრს დაუნიშნავს, რომ თავისი დღენი ქუდით უნდა ბუზს ერეკებოდეს.

მკითხველო, ხომ არ მოგეწყინა? რასაკვირველია, მოგეწყინა: აქ არ არის არც სიყვარულის ეშმაკობა, არც კაცისკვლა, არც უიმედო ქალის ოხვრა, არც წყალში გადავარდნა, ერთის სიტყვით, რაც აშვენებს გასართველად დაწერილს მოთხრობასა ის აქ არაფერი არ არის. მაშ მოგეწყინება, ამას რაღა თქმა უნდა. მაგრამ ეს უნდა იცოდე შენ, მკითხველო, რომ მე ამისა ქვემორე ხელის მომწერელი მკითხველის გასართველად არ ვწერ ამ უხეირო მოთხრობასა. მე მინდა ამ მოთხრობამ ჩააფიქროს მკითხველი და, თუ მოიწყენს, ამის გამო მოიწყინოს; იმიტომ რომ ფიქრი და მოწყენა გაუყრელნი და-ძმანი არიან. მე მინდა, რომ მკითხველმა იმიტომ კი არ მოიწყინოს, რომ გასართველი არ არი, არამედ იმიტომ, რომ ჩამაფიქრებელია. თუ ამოდენა იხერხა და შესძლო ამ უხეირო წერილმა, მე ამის მეტი არა მინდა-რა და არც მდომებია, ჩემო მოწყენილო მკითხველო! თუ ვერ იხერხა, რა ვუყო? ამით ვინუგეშებ, რომ „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობია". ამ დალოცვილს ანდაზას რამდენი უხეირო კაცი ხეირიანად გამოჰყავს და გამოუყვანია. მეც იმათში...

როცა ლუარსაბი იმ ზემოთ აღწერილ განცხრომაში ბრძანდებოდა, სიკვდილი იყო, რომ ვისმეს მოეშალა ამისი ქეიფი და ნებიერობა, ესე იგი ტახტზედ დარბაისლურად და პატიოსნად გადაგორ-გადმოგორება. სტუმარი ეჯავრებაო, ამაზე ამბობდა უგუნური ხალხი, მაგრამ განა სიძუნწით მოსდიოდა ეს ამბავი? აბა თქვენგან არ მიკვირს! სიძუნწე და ქართველი ორივე ერთად მოთავსდება? ყინული და ცეცხლი ერთიერთმანეთს არ დალევენ? თუ ეჯავრებოდა სტუმარი, იმიტომ ეჯავრებოდა, რომ უნდა ამდგარიყო და ტანთ ჩაეცვა. ადგომა კიდევ არაფერი, ეს ესე არ ეზარებოდა ლუარსაბსა: ტანთ ჩაცმა იყო ამის სიკვდილი. მთელს ზაფხულს ისე გაატარებდა, რომ პერანგის და მის ამხანაგის მეტს არას მიიკარებდა ტანზედ, თუ თავის ნებაზედ მიაგდებდით, თუ არა, მეტი რა ჩარა იყო. ზამთარში კიდევ პერანგზედ ქურქს წამოისხამდა, თუ ვინმე დიდი კაცი არ ეწვეოდა, ვსთქვათ თუნდა დიანბეგი. მაშინ, რა დროს ამბავსაც მე ვწერ, დიანბეგი დიდი ბობოლა იყო; ეხლაა, რომ, რაც ეს ოხერი სწავლა შემოვიდა, დიანბეგს დიდკაცად არ აგდებენ, თორემ უწინ – უჰ! უჰ! რა დიდი ვინმე ბრძანდებოდა. ასეთი დიდი, რომ კინაღამ აზნაურის სტუმრობაზედ ნათქვამი ანდაზა დიანბეგზედ არ გადაკეთდა: კინაღამ „დიანბეგის სტუმრობა, ნუ გგონია ხუმრობად" არ შეიცვალა. რომ დიანბეგის სტუმრობა ხუმრობა არ არის ეს ყოველ გლეხკაცმა ძალიან კარგად იცის დღესაც და ადრევ კი თავადიშვილმაც იცოდა.

დარეჯანი კი არ იყო ეგრე ზანტი, როგორც ლუარსაბი, – ამაში კი ღვთის წინაშე, ისინი ერთმანეთს არა ჰგვანდნენ; გამოვიდა, რომ ფერი ერთი ჰქონდათ და ზნე კი არა. რაკი, ბატონო, კნეინა თვალს გააჭყეტდა, შავარდენივით გადმოფრინდებოდა ტახტიდამ, გადიკრავდა შუბლსაფენსა, ზედ წაიკრავდა ჩითმერდინსა, გადიცვამდა ჩითის კაბასა – ხანდისხან სიჩქარისაგან უკუღმაცა – შიშველა ფეხს შეიმოსავდა ჩუსტითა და – ჰერი ბიჭო

– დაეშვებოდა ჩალურისაკენ, სადაც მოსამსახურენი სუფევდნენ, ესე იგი ვაინაჩრობით და გულში ჩაკეტილ გაბოროტებით სულს იბრუნებდნენ. საკვირველიც იყო და სასაცილოც ამ ჩვენის კნეინის ტყუილუბრალოდ ფაცაფუცი. ეს ამოდენა დედაკაცი, ჩაგოდრებული, ჩასორსლებული, ხშირად დილიდამ შუადღემდინ ფეხზედ იდგა და გორგალსავით დაგორავდა. უსაქმო არ იყო, როგორც სჩანს: იქ მუჯლუგუნს წაჰკრავდა საკერავზედ მთვლემარე წირპლიან გოგოსა, აქ თავში ჩაუტყაპუნებდა ძონძებში გახვეულ პატარა მურიან ბიჭსა, რომელიც მთქნარებით და ზარმაცად სწმენდდა საღამოსათვის ჯერ კიდევ წუხანდელ გაქონილს შანდალსა; აქ იმას გაუწყრებოდა – რაზედ? თითონ კნეინამაც არ იცოდა – რაზედ; აქ ამას გამოგილანძღავდა – რისთვის? არც ეს იცოდა კნეინამა; დასწყევლიდა, დაჰქოლავდა, დასტუქსავდა, ერთის სიტყვით, მთელის ღამის ნაგუბარსა წამოანთხევდა ქვეშევრდომებზედ და მერე დაღლილი და დაქანცული შემობრუნდებოდა; თუ გოგო დაჰხვდებოდა, ვერ მაითმენდა, რომ ერთი მუჯლუგუნი კიდევ არ ეთავაზებინა, „მეხი კი დაგეცა“-საც ზედ დაატანდა, თუ ქეიფზედ იყო, და ეგრე ქანცგაწყვეტილი შეგორდებოდა ოთახში, საცა ხანდისხან ხოლმე რუმბსავით გაბერილი თავადი გორავდა და, თუ ზაფხული იყო, ჭერში ბუზებსა სთვლიდა.

ერთხელ ფრიად ღირსსაცნობი სჯა და ბაასი გამართეს. ეს იყო შუა ზაფხულის პაპანაქებაში, სადილწინ, როცა დარეჯანმა გაათავა ერთი ზემოხსენებულ-გვარი მოგზაურობა და თავში ტყაპუნი და ოფლში გაწუწული შემოვიდა ოთახში. ლუარსაბმა შეხედა, და დაინახა თუ არა, რომ ოფლი წურწურით ჩამოსდის წითელ ლოყებზედ, თავის გულში სთქვა სრულიად კმაყოფილმა: – კაი ოჯახის ბურჯია, კაი მადლიანი დედაკაცია! გმადლობ, ჩემო გამჩენო, რომ ამისთანა შემახვედრე.

ესა სთქვა და კმაყოფილი თავისი უბრყვილო ბედისა გადატრიალდა ერთის გვერდიდამ მეორეზედ ღვთისა და კაცის მადლიერი თავადი. ეს გადატრიალება იმის ნიშანი იყო, რომ ლუარსაბს იამა რამე.

– სად იყავ, შენი ჭირიმე, – ჰკითხა მერე კნეინასა, – რომ ეგრე დაიღალე?

– როგორ თუ სადა, შენი ჭირიმე? ოჯახობაა, სახლია, კარია, თვალყურის ჭერა უნდა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, – მიუგო კნეინამ.

– ეგრე, ჩემო დარეჯან, ეგრე გეთაყვანე! დედაკაცობაც ეგ არის და.

– მაშ? – მიუგო ქებით თავგაზვიადებულმა ცოლმა, – ესე უნდა თვალგაფაციცებული დასტრიალებდე მოსამსახურესა, თორემ ჭამის მეტს არას გააკეთებს. ბიჭებს მოვლა უნდა.

– მაშ, მაშ!

– ბევრმა არ იცის, როგორ მოეპყრას.

– მაშ, არ იცის, თორემ, რომ იცოდეს, კარგია, მაშ!

– ხანდისხან ტყუილუბრალოდაც უნდა დასტუქსო. რომ გამოლანძღო კიდეც, ცუდი არ იქნება. აი, მე გავლანძღავ კიდეც, გავუჯავრდები, დავტუქსავ, დავწყევლი, – სულ რისთვის? იმისთვის, რომ შიში და კრძალვა ჰქონდეს, თორემ შენი მტერი!..

– ოღონდაც, შენი მტერი!.. ოღონდაც!..

– ეს გლეხები არიან: გაქირ ვირსავით თუ ერთხელ შედგა, მერე, თუნდა შვინდის სახრით მისდგე, ფეხს ვერ გადაადგმევინებ, თუ ადრევე დატუქსული არა გყავს.

– ოღონდაც, დატუქსული უნდა გყვანდეს, – მიუგო ხელახლად თავის ცოლის სიბრძნისაგან გაოცებულმა ლუარსაბმა, – ოღონდაც, გაქირ ვირსავით შედგება.

– არა, გეთაყვა, ეს, რაცა ვთქვი, ტყუილია?

– ტყუილი რად იქნება? მართალია. შენოდენა დედაკაცს სიზმარიც დაეჯერება, – წამოროხა უთავბოლოდ ლუარსაბმა. თითონაც არ იცოდა „სიზმარი“ რისთვის ჩააკერა ლაპარაკში.

ორივე დაჩუმდნენ. ლუარსაბმა ჭერს მიაბჯინა თვალები; იქ ჯგუფად ისხდნენ ბუზები. დარეჯანმა მატყლის წინდის ქსოვა დაიწყო.

პატარა ხანს უკან ლუარსაბმა წამოიძახა:

– დარეჯან, აბა, თუ ჭკვიანი დედაკაცი ხარ, გამოიცან, ა იმ ფიცარზედ რამდენი ბუზი ზის?

– აბა სადა?

– აი, ჭერის ფიცარზედ.

თურმე, ნუ იტყვით, ამ სასაცილო ლუარსაბსა, დაჩუმებულნი რომ იყვნენ, იმ დროს ის ბუზები უთვლია! დარეჯანმა რა იცოდა.

– რამდენია? – სთქვა დარეჯანმა, – მაიცა, ჯერ დავთვალო.

– ეგრე ხომ მეც გამოვიცნობ. აბა ისე გამოიცან, კაცობა ის იქნება.

– ისე გამოვიცნო? მაშ კარგი, ოცდაათი იქნება.

– ოლოლო შენ, ვერ გამოიცან.

– მაშ რამდენია?

– რამდენია? გითხრა? არა, არ გეტყვი.

– სთქვი, თუ იცი, რაღა.

– თუ კაცი ვარ, ორმოცი უნდა იყოს. ოლოლო შენ, მე გამოვიცან.

– დიაღ, გამოიცან... დაგითვლია, როგორც იმ დღესა ჰქენი, ეგრე ხომ მეც გამოვიცნობ.

– შენც არ მამიკვდე, ის კარგი მამა არ წამიწყდეს, რომ არ დამითვლია.

– მაშ საიდამ იცი, რომ ორმოცია.

– საიდამ? იქიდამ, რომ გონება მაქვს.

– განა მე კი არა მაქვს გონება?

– შენც გაქვს, მაგრამ კაცის გონებასთან დედაკაცის გონება როგორ მოვა? მე ვარაუდით მივხვდი, რომ ორმოცია.

– რომ არ იყოს ორმოცი?

– ჯარიმა გადამახდევინე.

– მაშ დავთვალოთ.

დაიწყეს ცოლმა და ქმარმა ბუზების თვლა. გამოვიდა, რომ ორმოცდაათზედაც მეტი იყო.

– გამოიცნო?! – სთქვა ნიშნის მოგებით დარეჯანმა, – დიაღ, გამოიცნო, გონება აქვს ამ ჩემ ბატონს და იმიტომ გამოიცნო.

ლუარსაბს შერცხვა, ცოტად აირია.

– გაფრენილან, თორემ ორმოცი იყო, – სთქვა სულელმა თავის გასამართლებლად, – სწორედ გაფრენილან.

– უფრო კარგი, თუ გაფრენილან, უფრო ცოტა არ უნდა დარჩენილიყო? მანდ ორმოცდაათზედაც მეტი არის ეხლა.

ლუარსაბი გაიწურა, ეს რა წამოვროხეო, სთქვა გულშია.

რომ ჩააფუჩეჩოს თავისი მახეში გაბმა, კბილების კრაჭუნით, რომელსაც კნეინა ღიმილს ეძახდა, სთქვა:

– დალახვრა ღმერთმა ეგ ვეღარ მოვიფიქრე, ბიჭოს!.. თითქო ოთხჯერ დავთვალე.

– აკი არ დამითვლიაო.

– შენგან არ მიკვირს! რომ არ დამეთვალა, სოლომონ ბრძენი ხომ არ ვიყავ, რომ ისე გამომეცნო. როგორ არ დავთვალე, აი დალახვრა ღმერთმა, შემცდარვარ, თორემ გაჯობებდი, აი, ჩემო სულიკო! მე და ჩემმა ღმერთმა, გაჯობებდი.

სთქვა და გაცრუებული ლუარსაბი შაქარსავით გაუტკბილდა თავის ამ ჟამად გამარჯვებულს მეუღლესა.

– აკი არ დამითვლიაო, შე ეშმაკო, შენა! – მიატანა ღიმილითვე კნეინამა.

– ხომ გაგიტყდი, შენი კუჭისა, სხვა რა გინდა?

– შენი სიცოცხლე და ბედნიერება, ჩემო ტურფავ! რა უნდა მინდოდეს სხვა.

– დარეჯან!.. – უთხრა გულნატკენად და მორცხობით ლუარსაბმა, – დარეჯან!.. თუ გიყვარდე, ტურფას ნუ მეძახი.

– რატომ, შენი ჭირიმე? რატომ?

– ჩემოდენა კაცს არ უხდება, შენ გეთაყვანე: ტურფას პატარა გოშიას ეძახიან, ეგ ძაღლის სახელია, აბა რა კაცის საკადრისია ეგ სახელი?

– მაშ შენ ჩემი გოშია არა ხარ? არა ხარ განა? მე შენგან ეგ პირველად მესმის, – მიუგო გულამომჯდარად დარეჯანმა, რადგანაც ეგონა, გოშიაობაზედ რომ ხელი აიღოვო, სჩანს გულიც აუყრია ჩემზედაო.

ლუარსაბი მიხვდა, რომ გულიც ატკინა და ტყუილუბრალოდაც ატკინა, და რომ ის გულაყრილობის ფიქრი გაუფანტოს, უთხრა კბილების კრაჭუნით:

– ჰო, გეთაყვა, ჰო, შენი გოშია ვარ, მაშ რა ვარ?

– პირწყლიანი დედაკაცი არა ყოფილა ეს დალოცვილისშვილი, – სთქვა თავის გულში ლუარსაბმა, – მოლექსესავით რა ლამაზად მოაწყო ჩემი გოშიობა... რა ენის პატრონია!.. როგორ იხერხა?!

თითონაც უნდოდა ერთი ამისთანა ალერსი მოეწყო რამ, მაგრამ, როცა ეს გაჭირება დაადგებოდა, თვალებში სულ ზურგიელი, თართის დოში, არტალა ნივრით და სხვა ამისთანა გაეჩხირებოდა ხოლმე. აბა ამ საგნებით რა ალერსს გამოხატავს კაცი? მაგრამ ლუარსაბმა მაინც კიდევ მოახერხა წყლიანი სიტყვა:

– შენ იცი, ჩემი რა ხარ? სულის წიწმატი, გულის ტარხუნა, გონების, – აბა რა ვთქვა? – თუნდა მარილი იყოს. კარგად არ ვთქვი, ის კარგი და სახელოვანი მამა ნუ წაგიწყდება? კარგი მოწყობა არ იყო?

წამოროშა ესა და მხიარულობის ნიშნად დააკრაჭუნა კბილები თავის პირწყლიანობით აღტაცებულმა ლუარსაბმა. არც დარეჯანი დარჩა უსიამოვნოდ. ხშირად გაუტარებიათ ამ-რიგად დრო ჩვენს ცოლქმარსა. ნეტავი იმათ, მკითხველო!..

III

ლუარსაბმაც კი იცოდა ბიჭების „დაწიოკება“, როგორც თითონ იტყოდა ხოლმე. მართალია, ცოტა ზანტი იყო, მაგრამ იმოდენა მამულ-დედულს მოვლა არ უნდოდა? ეს მამულის მზრუნველობა ძალას დაატანდა ხოლმე და წამოახტუნებდა ტახტიდამა. მაშინ

უნდა გენახათ, რა ლამაზი იყო ჩვენი ლუარსაბი: ფეხშიშველა, ლურჯი კალმუხის ქუდით თავზედ, წითელ პერანგის და მის განუშორებელ ამხანაგის ანაბარას, გულგადაღეღილი, ფაშვიანი, ჩიბუხით ხელში მიგორდებოდა მოაჯირის გადასაყუდებელთან და გადასძახებდა ძილისაგან გაბოხებულ ხმითა თავის მოურავს დათოსა:

– დათო! ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდამ? (იმ სოფელში ბაზარიც გახლდათ).

– დიაღ, შენი ჭირიმე.

– რა ნაჭერია?

– ჩალაღაჯი.

– სამწვადედ?

– სუკი ვიშოვე, შენი ჭირიმე.

– ძვირფასი კაცია, – გაიფიქრებდა ხოლმე მადლიერი მებატონე, მერე დათოს ეტყოდა: – ბარაქალა, ჩემო დათო! თუ კაცმა დაივიწყა, ღმერთი არ დაივიწყებს ბატონის ერთგულობასა. ბარაქალა! შენ ჩემი მარჯვენა მკლავი ხარ, მაგარი მკლავი.

დათო თავს მოიფხანდა ხოლმე და უხეიროდ გაიღიმებდა ამგვარ ქებაზედა.

– მეზვრემ მწვანილი მოიტანა? – ჰკითხავდა კიდევ ბატონი.

– მოიტანა.

– ტარხუნა ხომ არის?

– გახლავს.

– კიტრი?

– კიტრიც გახლავს.

ლუარსაბს იამა. ტახტი რომ ყოფილიყო, ერთი ორჯერ მაინც გადატრიალ-გადმოტრიალდებოდა.

– მაშ სახლი სავსე ყოფილა, – სთქვა ბატონმა სიამოვნებით.

– როდისა გხლებიათ ნაკლული, შენი ჭირიმე, რომ ეხლა იყოს?..

– ეგრე, ჩემო დათო! ბატონის ოჯახის პატივი და სახელი ერთგულმა ყმამ ქვეყანას უნდა მოსდოს. ბარაქალა! თუნდ ნაკლული იყოს, უნდა სთქვა, რომ სავსეაო. შენ გამოცდილი კაცი ხარ, – ეს ყველაფერი იცი.

– ამოდენა კაცი შენს ხელში ვარ და როგორ არ მეცოდინება, შენი ჭირიმე!

– ეხლა ერთი ეს ვიკითხოთ, – სთქვა პატარა ხანს უკან მზრუნველმა მებატონემ, – ურმები გაისტუმრე?

– გავისტუმრე, შენი ჭირიმე! ეხლა თუნდ ორღობეებს იქნებიან გაცილებულნი.

– სად გაისტუმრე?

– ყანაში, შენი ჭირიმე!

– რამდენია?

– ოთხი საბატონო და ათი ბეგრისა.

– რატომ ბეგრისა ხუთმეტი არ არის?

– ხუთმეტი ჩვენ კაცებში თავის გაჩენაში არ შებმულან, შენი ჭირიმე, და დღეს საიდამ იქნებოდა!

– ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, ვეჟო! რატომ არ არის? მე არ ვიცი, ხუთმეტი უნდა ყოფილიყო. როგორ იქნება? ბატონს სამსახური უნდა, მაშ მე ბატონი აღარ ვყოფილვარ!.. გაგონილა!.. ფიე! ხუთმეტი უნდა ყოფილყო. მე ვუჩვენებ იმათ, რომ მე ბატონი ვარ და ისინი ყმები არიან.

მართლა-და ლუარსაბსა თავის დღეში ათის ურმის მეტი არ შეჰბმია და რაზედ გაწყრა ეგრე უწყალოდ? დათოსაც არ ესმოდა ეს წყრომა რის ნიშანი იყო. გაუკვირდა და ბატონს ყურება დაუწყო, ხომ არ გაგიჟდაო. დიაღ, ლუარსაბი კი იქნება, რომ გაგიჟდეს!.. და თუ ტყუილუბრალოდ გაწყრა, მაგისი საბუთები სულ გოგრაში ჰქონდა. როგორც ამისი ძვირფასი კნეინა, ისე თითონაც ძალიანა ჰჩემობდა მოსამსახურეების და ყმის მოხმარებასა.

– გლეხკაცს ეგრე უნდა მოეპყრას ბატონიო, – იტყოდა ხოლმე ბრძენი თავადი, – ეგრე უნდაო, რომ ყოველ ცისმარა დღეს ეშინოდეს, თორემ, ღორის მკბენარსავით, რომ გლეხკაცი ფეხზედ დაისო, თავზედ აგაცოცდებაო. მაშ! შიში შეიქმს სიყვარულსაო.

ოღონდაც, ჩემო ლუარსაბ, ოღონდაც!

ის კი არ იცოდა ამ ბედნიერმა ადამიანმა, რომ უმიზეზო და ამგვარ ტყუილ-უბრალო აპილპილებაზედ გლეხებს სულ სხვა მსჯელობა და დასკვნა აქვთ ხოლმე. ეჰ, შენ რაც უნდა სთქვა, მკითხველო, და ამ ცოლ-ქმარს კი ეგონა, რომ თუ მუცელი მაძღარი აქვთ, ამგვარ ყმების მოხმარების ცოდნისაგან აქვთ.

ამისთანა სულელობას ჩვენი გულწრფელი თავადი ეძახდა ბიჭების „დაწიოკებასა“. დარწმუნებული იყო, რომ ეს „დაწიოკება“ ისე აუცილებლად საჭიროა ოჯახისათვის, როგორც სმაჭამა კაცისათვისა. ამიტომაც, რომ შემოვიდოდა ოთახში, თავის თავის კმაყოფილებით ეტყოდა ხოლმე ცოლსა:

– ძლივს არ გავისტუმრე ურმები (ტყუილიც უყვარდა ჩვენს ლუარსაბსა), ძლივს! დალახვროს ღმერთმა გლეხკაცი! ვეჟო, მინამ თავს არ დაადგები და კარგად არ დასჭყივლებ, ხელს კი არ გასძრავს და. გაგონილა! მე რომ არ ვყოფილიყავ, ყანა მინდორში დაგვილპებოდა.

– ეგრე, შენი ჭირიმე, – გაუკეთებდა გულს და თავს უფრო მოაწონებდა დარეჯანი, – ეგრე უნდა. მას აქეთ, რაკი ევამ ადამი შეაცდინა, მას აქეთ ნაბძანებია ღვთისაგან, რომ ჩვენის ოფლით პური უნდა ვჭამოთ.

– ეგ თავადებზედ ხომ არ არის ნათქვამი, გლეხებზედ არის ნათქვამი, გლეხებზედ, – მიუგო ლუარსაბმა.

– მაშინ თავადები სად იქნებოდნენ?

– როგორ არა, იყვნენ: ჩვენი გვარი მაშინდელია.

– რას ამბობ? ისე ჭლაპარაკობ, ასე გგონია, არა იცოდე-რაო. მაშინ ადამის და ევას მეტი არავინა ყოფილა და ადამი თავის თავზედ თავადი ხომ არ იქნებოდა?

– მართლა, ეგ კი ვეღარ მოვიფიქრე. არა, გეთაყვანე, ის რა ხე იყო, იმათ რომ ხილი მოიპარეს?

– ხე ბოროტისა და კეთილისა.

– ეხლა აღარ არის იმისთანა ხე?

– როგორ არა: ამბობენ, რუსთ ხელმწიფის ბაღში ერთი ოქროს ოთახიაო, იმაში არის, სულ იაგუნდის ფოთლები ასხიაო.

– ზურმუხტისა იქნება, – გაუსწორა ლუარსაბმა.

– ჰო, მართლა, ზურმუხტისაა, ზურმუხტიც ხომ ფოთოლსავით მწვანეა: დიაღ, ზურმუხტისაა, სულ ალმასები და იაგუნდები ასხია ხილის მაგიერად.

– ნეტავი მაჭამა, აბა გემო იმაში იქნება.

– ძალიან კი მიგიშვებენ: ქვიშაზედ უმრავლესი ჯარი ახვევია თურმე.

– მაშ ხონთქარს როგორ მოუპარვინებია?

– აი როგორ: ერთი ფერია ყოფილა, ფერია არწივად გადაქცეულა, შეპარულა, მოუგლეჯია ერთი დიდი ალმასი, ჩაუყლაპავს და ისე გამოპარულა.

– წაუღია, წაუღია! რა ეშმაკი ყოფილა!

– მაშ, წაუღია. მერე დედოფალი შებძანებულა, უნახავს, რომ ერთი დიდი ალმასი აკლია, მაშინვე რუსთ ხელმწიფისთვის შეუტყობინებია. რუსთ ხელმწიფე მაშინვე მიმხვდარა, რომ ეს ხონთქრის საქმეა და ომი დაუწყია. ის ომი ხომ დღესაც არ გადაწყვეტილა.

– მაშ შერჩა, შერჩა?

– ვინ იცის? ჯერ ომი არ გათავებულა.

– ნეტავი მე მამეპარა.

– ხომ დაგარჩობდნენ.

– რომ არ შევატყობინებდი: ჩავყლაპავდი და მუცელს ხომ ვერ გამიჭრიდნენ.

– გაგიჭრიდნენ კი არა, მეტსაც გიზამდნენ.

– რა ეცოდინებოდათ, რომ მე მაქვს?

– შენი ჭირიმე, მკითხავს ვერ იშოვიდნენ, რომ ეკითხნათ.

– მართლა, ეგ აღარ მომაგონდა. დაიცა, რა გითხრა: ადამმა რომ შეჭამა, ის რაღა იქნა?

– კუნძულელ ხელმწიფეს ზღვაში ეპოვნა თურმე და იმასა აქვს.

– აბა, დახე ღვთის სამართალსა! მე მეპოვნა, უფრო მადლი არ იქნებოდა?

– მერე ვინ შეგარჩენდა? ორასი წელიწადია თურმე მაშრიყ-მაღრიბის ხელმწიფე სულ იმისათვის ებრძვის კუნძულელსა.

– აქამდინ ვერ წაართო?

– ვერა.

– პაი, პაი, პაი! ღონიერი არა ყოფილა ისიცა!..

– მე კი არ ვიცი, რომ ღონიერი ყოფილა!.. ხელმწიფე და უღონო გაგონილა!

– ერეკლე მეფე რომ ყოფილიყო ეხლა, ის კი უთუოდ წაართმევდა, დიდ ვაჟკაცს ამბობენ.

– ის, რასაკვირველია, წაართმევდა, მაგრამ სად არის?

– ცოდო არ არის, ის ეხლა მიწაში ლპებოდეს და შენი მაზლი დავით კი ცოცხალი იყოს!

– აბა, უყურე წუთის-სოფლის მუხანათობას! ეგ რა კიდევ, თამარ დედოფალი შავ მიწაში უნდა იყოს და შენი რძალი ელისაბედი კი მზეს უყურებდეს!

– აბა, წუთის-სოფლის ანგარიში ეგ არის და, – დაატანდა ლუარსაბი და ამოიოხრებდა, მერე ისე, რომ სანთელი წინ სდგომიყო, გააქრობდა.

დილით ლუარსაბი და მისი მეუღლე კნეინა დარეჯანი, რაკი მოიცლიდნენ იმ საუცხოვო ოჯახის მოვალეობისაგან რომლის ნიმუშიც ზევით მოვიხსენიე, მიუჯდებოდნენ ჩაის და ერთი ლაზათიანად გაიბერებოდნენ თბილის წყლით, როგორც ამბობს ჩვენი გლეხკაცი. პატარა ხანს უკან, ორიოდ გონიერ ბაასის შემდეგ, თუნდ იმის მსგავსისა როგორც ზემოხსენებულია, სადილობაც მოვიდოდა, ერთი მაშინ მიძღებოდნენ „ძველებურადა, ჩვენებურადა“, და ლუარსაბი რაღაც დაღლილის სიამოვნებით წამოიძახებდა ხოლმე გულწრფელად: „გმადლობ შენ, უფალო, რათა განმაძღე მე“. ამას

იტყოდა თუ არა და, გამოისახავდა პირჯვარსა, მსწრაფლ სუფრიდამ იქავ ტახტზედ გადაგორდებოდა და, სრულიად კმაყოფილი თავისის ცხოვრებისა, დაიკრავდა მუცელზედ ხელსა და იტყოდა რაღაც ტრაბახობითა: „მე თუ უსწავლელი ვარ, მე ვიცი... რა ჰქვიან... მე ვიცი, შიმშილით კუჭი მიდნება, დიაღ, მიდნება! ზედაც ემცნევა ჩემ სტომაქსა“. გამოსაცდელად ერთს კიდევ დაიკრავდა მუცელზედ ხელსა, თითქო სინჯავსო, კარგად არის გატენილი თუ არა, და რა ჰნახავდა, რომ კარგად არის, როგორც ცხენი დააკრაჭუნებდა კბილებს მეტის სიამოვნებისაგან: „დიაღ, – კიდევ იტყოდა, – ლუარსაბი უსწავლელი გახლავთ, იმიტომაც მშიერია“. სადილს შემდეგ ძილი, მერე ისევ გაღვიძება, მერე ისევ ჩაი, მერე ვახშამი, და ბოლოს ისევ ის სატრფიალო ძილი, – და ესრეთ ტკბილად და აუმღვრევლად მიდიოდა ამ ორთა უმანკო სულთა უბოროტო ცხოვრება ამ წუთის-სოფელში, რომელმაც ისე არაფერი არ იცოდა ამათის ვინაობისა, როგორც ამათ არა იცოდნენ-რა, ჭამა-სმის გარდა, ღვთისაგან განაჩენი ამ მუხანათის წუთის-სოფლისა.

IV

ამ ყოფაში და ჭკუის გონიერ ვარჯიშობაში გადიოდა დილა. როცა სადილს უკან ლაზათიანად გამოიძინებდნენ ცოლ-ქმარნი, როცა საღამოზედ ნიავი ფრთას გაშლიდა და ბაღჩის ღობის გრძლად გამოწოლილი ჩრდილი ეზოს მოადგებოდა, მაშინ კნეინა დარეჯანი ერთ ბალანგაცვივნულ ხალიჩას ჩრდილში გააშლევინებდა და დაბრძანდებოდა ხოლმე თავმომწონე პატარძალივით თავდახურული, წარბებ-აჭიმული და გამოპრანჭული. ლუარსაბიც, თავის განუშორებელ ჩიბუხით ხელში, ჩამოვიდოდა და ქოშებით შიშველ ფეხებზედ, ხშირად წითელ პერანგის ანაბარას და უფრო ხშირად ლურჯ კალმუხის დარბაისლურად ჩატეხილ ქუდით, ბოლთასა სცემდა გრილოშია.

საღამო ხანი როგორც მოგეხსენებათ ჩვენს სოფლებში და ნამეტნავად კახეთში სადარბაზო ხანია. რაც ეს რაღაც წყეული განათლება შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში, რასაკვირველია, მეტად თუ ნაკლებ ეს საქებური ჩვენი ძველი ჩვეულებაც დაჩაგრა, ასე რომ ზოგიერთნი განათლებით გაჩარხულნი ეხლა ვიზიტობენ, თორემ უწინ კი საღამო ხანი დიდს პატივში იყო. ამიტომაც საღამოობით დარეჯანი ეგრე გამოიპრანჭებოდა ხოლმე და ასე იფიქრეთ – უკაცრავოდ კი არ ვიყო – საკურტუმესაც კი გაიკეთებდა. მაშინ, როდინდელ ამბავსაც მე ვწერ, ჯერ კრინოლინი არ იყო, და თუნდ ყოფილიყო კიდენაც, იმ სოფლამდინ ვინ მიაღწევინებდა მაგ იუბკების მეუფესა. ყველამ კარგად იცის, რომ განათლება ფეხმძიმედ დადის, ნამეტნავად ჩვენში ასკინკილობს, და აბა იმ სოფელში ეგრე ჩქარა როგორ მიიტანდა სახელოვანს „ხაბარდასა“. სწორედ გითხრათ, ზოგიერთ სოფლის ორღობეებშიაც ვერ გაეტეოდა ეგ განათლებული კრინოლინი, თუნდ რომ მისულიყო კიდენაც.

– ქალბატონი ადღეგრძელა ღმერთმა, – უთხრა ერთხელ ერთმა ლამაზად მოყვანილმა გლეხის პატარძალმა, გრძელ კავების ქნევით და ცოტა ტუჩების პრანჭვითა.

– აი, ღმერთმა გაცოცხლოს, ჩემო ბაბალე!.. რასა იქ, ხომ კარგადა ხარ? – მოიკითხა თავის რიგზედ დარეჯანმა, მაგრამ ისე კი, რომ პატივი კნეინობისა სრულიად არ დაუმცირებია.

– რაღა რასა ვიქ, შენი კვნესამე! ჩვენებიანთ ვენახში ჩვენი კამეჩი შეპარულა, და

მეველეებს დაუჭერიათ, ეხლა ორი დღეა ბაკში ჰყავთ დაჭერილი. ეხლა, შენი სახელის ჭირიმე, ამას გემუდარები, გვაპატივებინოთ, აგრემც ჩვენი ნათელმირონობა დღეგრძელობას მოგიმატებს, შენი კვნესამე!

– რა? მითამ გამოვაშვებინოთ?

– ჰო, შენმა მზემ, ეხლა ჩვენი ვედრება ეგ არის, ქალბატონო.

– როგორ იქნება, ჩემო ბაბალე? ეხლა, მართალია, შენ ჩემი ნათელმირონი ხარ, მაგრამ სოფელი აყაყანდება, ყველა მაგას მოჰყვება.

– აგრემც ღმერთი ბატონის თავს გიდღეგრძელებს, და მაშინ, როგორც გნებავთ, დამსაქმეთ. აი ეხლაც, შენი კვნესამე, ერთი გაბმა აბრეშუმი მოგართვი, ღმერთი და თქვენი წყალობა თუ კიდევ შეგვაძლებინებს კიდევაც თქვენი ყურმოჭრილი ყმანი ვართ.

ბაბალემ ჯიბიდამ ამოიღო ერთი გაბმა აბრეშუმი და მიართო კნეინასა. კნეინამ გამოართო და ამოიდო ქვეშ, ზედაც დაატანა:

– ეგ რომ არა ყოფილიყო, განა ისე კი, რაც შემიძლიან, არ გაგირიგებდი! – ლუარსაბ! ლუარსაბ! – დაუძახა ქმარსა, რომელიც შორიახლო ბოლთასა სცემდა და ერთი-ორჯერ მსუნაგსავით მაცდურის თვალით გადმოჰხედა კიდეც მოხდენილ პატარძალსა.

ლუარსაბი მოვიდა.

– ქა! ბაბალეს კამეჩი მეველეებს დაუმწყვდევიათ და გემუდარება – გამოაშვებინო.

ლუარსაბმა შეხედა პატარძალსა, რომელმაც ჩვეულებისამებრ თავი იქით მიიბრუნა. ლუარსაბმა დააკრაჭუნა კიდეც თავისებურად კბილები სიამოვნების ნიშნად, მითამ-და სამაცდუროდ გაიღიმა.

– კამეჩიო!..

– ჰო, კამეჩი, – დაატანა დარეჯანმა, – აი ერთი გაბმა აბრეშუმიც მოგართვა.

– მაშ კარგი! დათო ბიჭო! დათო! – დაიყვირა ლუარსაბმა, – ჩადი და უზბაშს უთხარი, ჩემი ნათლიდედის კამეჩი ეხლავ გამოუშვას, თორემ იქაურობას სულ მტვერს ავადენ.

სთქვა, ერთი კიდევ მაცდურად დააკრაჭუნა კბილები, და გამარჯვებულსავით ამაყად წავიდა ისევ ბოლთის საცემლად.

– აი, აგრემც ღმერთი მაგაზედ უფრო მეტს დიდებას და პატივს მოგცემს, აგრემც გაგაპატიოსნოს ღმერთმა, და ერთი კაი ვაჟიშვილი მოგცეს და მე ძუძუ მაწოებინოს, შენი კვნესამე, შენი, ბატონო და ქალბატონო!

– ჰხედავ, – უთხრა დარეჯანმა, როცა ლუარსაბი წავიდა, – ჰხედავ, რა რისხვა შეუთვალა, იქაურობას სულ ააწიოკებს.

– დიდება აქვს, შენ გენაცვალე, და იმიტომ.

– ეგეც ხომ, მაგრამ ხმაც დიდი აქვს სოფელში გავარდნილი. აი, დავით, ჩემი მაზლი: იმას კაცად არავინ აგდებს.

– აბა, შენი კვნესამე, იმათ ფეხი სად მოუწვდებათ თქვენამდინ, ელისაბედიც მითამ თავადისშვილის ცოლია და თქვენცა?

– ახლა იმასა ჰკითხე ზოგი, იმისთანა დიდი კაცი აქ არავინ არის.

– უი, უწინამც დღე გაუქრება! გუშინ მეზობლიანთას გახლდი, იმათი გოგოც იქ მოვიდა. რაც იმან იმათზედ ილაპარაკა, ადამიანისაგან არ გაგონილა.

– რა, გეთაყვანე, რა! – ჰკითხა აჩქარებით და მოუთმენლად დარეჯანმა.

– რაღა რა? ისა, რომ საწყალ გოგოს თავისის თითებით მოგროვილის ფულით ერთი

ჩითმერდინი უყიდნია, იმას უნახავს და წაურთმევია. ეხლა თურმე თავზედ იკრავს. გოგოს ცოდვით აღარა ვართ, ქალბატონის მზემა, ისე გულანატირად ჰლაპარაკობდა ბედშავი. მე ხომ თქვენის ფეხის ნატერფალიც არა ვარ, მაგრამ მაგას მეც ვითაკილებდი, მამა მიცხონდა!

– უი! უი! დახე იმას, იმ წყეულს! ამას იქით როგორღა ამბობს, რომ თავადისშვილის ცოლი ვარო. წართმევა არაფერი, ეგ, რასაკვირველია, ქალბატონის ნებაა: გოგოც ჩემია და ჩითმერდინიც; მაგრამ გოგოს ჩითმერდინის თავზედ შემოკვრა კი სწორედ თავლაფის დასხმაა. კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირნახირო. აი, მეხი კი დაეცა. ისიც, ამას იქით, ჩვენში ერევა, თავადის-შვილის ცოლი ვარო! სხვა არა უთქვამს-რა გოგოსა?

– სხვა არა მოუხსენებია-რა.

– ნუ დამიმალავ, ჩემო ბაბალე! ხომ იცი მე შენი მწყალობელი ვარ, თუ უთქვამს კიდევ რამე, მითხარი.

– არაფერი არ უთქვამს, მამი-ჩემის ცხონებამ, თორემ, რომ ეთქვა, რად დაგიმალავთ.

– რა ვიცი? იქნება გეშინოდეს-მეთქი.

– თქვენისთანა მწყალობელი რომ კაცს სადმე ეგულებოდეს, იქ ვიღასი უნდა ეშინოდეს.

– მეც ეგ უნდა მეთქვა, ჩემო ბაბალე!

– მართალია, გლეხები გახლავართ, მაგრამ ჩვენც გვესმის ეგენი. ვისი უნდა მეშინოდეს, თქვენ აქა მყევხართ!

– მაშ სხვა არა უთქვამს-რა?

– არა უთქვამს-რა, აგრემც ჩემზედ მიწა ნუ გენახოთ.

– იტყოდა.

– ის ერთი დედისერთა შვილი არ დამიმიწდეს, არა უთქვამს-რა.

– მართლა, შენი შვილი რასა იქს? – ჰკითხა მერე დარეჯანმა, რომ ვერა გახდა-რა.

– რაღა როგორ არის, შენი კვნესამე, ქალბატონო! ავად შენი მტერი გვყვანდეს, ავად მე ისა მყავს. რა არ ვუყავი: ბალახებში არ ვაბანე, არ შევალოცვინე, შანები არ შევაბი, მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა, აგრემც არა ეშველოს-რა შენს მტერსა! თქვენთანაც კი მომასწავლეს, ვითამც თქვენ უებარი ლოცვა იცოდეთ, – მიშველეთ რამე, აგრემც მაგიერს ღმერთი გადაგიხდით.

– მე მარტო შაკიკის ლოცვა ვიცი და დასუნთქვილისა. განა შენი შვილის სენი შაკიკია?

– ჰო, თქვენმა მზემ, შაკიკი გახლავთ. ლამის თავი გაუხეთქოს.

– გოგო, ლამაზისეულო! – დაიყვირა კნეინამ, – წადი, საწერკალამი და ქაღალდი, ქეჩის ქვეშ რომ ნაბარათევია, ჩამომიტანე. მე დაგიწერ ლოცვას, ჩემო ბაბალევ, დაწერილი ქაღალდი იმ მხარეს დააკარ, რომელიცა სტკივა, ეგრე იყოს ორი-სამი დღე, თუ შაკიკია – გააქარწყლებს მაშინვე.

ვერ უყურებთ, მკითხველო! კნეინა დარეჯანი მე უსწავლელი მეგონა და დახეთ, რაები სცოდნია? ეხლა მომაგონდა, რომ იმისი განაყოფი რძალი ელისაბედი, რომელიც ორგანაც მოვიხსენიეთ, თურმე ჩუმად ქვეყანაში ჰლაპარაკობდა, რომ ვითომც დარეჯანმა ჯადოობაც იცისო, ვითომც სოლომონ ბრძნის წიგნიც წაეკითხოს და ამიტომაც ღმერთი უწყრება და შვილს არ აძლევსო. ამისთანა ცილისწამებას როგორ დავიჯერებ? მაგრამ

ელისაბედი კი ფიცით იჭაჭებოდა, რომ ეგ ეგრეაო. მაინც არ დავიჯერებ: რძალი – როგორც მოგეხსენებათ ჩვენის კურთხეულის ცხოვრების ამბავი – რძლის მტერია. განა ამისთანა ჭორები მოუგონია ელისაბედს დარეჯანზედა?

ამ დროს ძაღლმა, რომელიც შორიახლო იწვა და წაეყო ცხვირი მიწაშია, დაიყეფა, მაგრამ, რაკი თვალი გაახილა და დაინახა ორი მომავალი დედაკაცი, ისევ ხმა გაიკმინდა და ღრენით გაჯავრებულსავით ისევ ცხვირი ფეხებით ამოთხრილ მიწაში ჩაჰყო. დარეჯანმაც მოიხედა ამ ხმაურობაზედ და დაინახა კნეინა ელისაბედი და იმის ჩითმერდინით დარბეული, გულდაჩაგრული გოგო.

დარეჯანი ფეხზედ წამოდგა.

– მობძანდით, ჩემო რძალო! – მიაგება სიტყვა ელისაბედსა, – ძლივს არ მოგვიგონეთ!

– შენმა სიცოცხლემ, მოცლა არა მაქვს. ეს ისაო, ეს ესაო, სახლია, კარია, ხომ მოგეხსენებათ.

– აქეთ მობძანდით, აქეთ უფრო ნიავია, – მოიპატიჟა დარეჯანმა.

– სულ ერთია, – სთქვა ელისაბედმა და წაიძრო ფეხიდამ კროული ჩუსტები, გადმოვიდა ხალიჩაზედ და ჩაჯდა დარეჯანის გვერდით.

– სხვა, როგორა ბძანდებით, ჩემო რძალო? ჩემი მაზლი დავითი ხომ კარგად სუფევს, – დაიწყო ისევ დარეჯანმა.

– კარგად გახლავთ, – მიუგო ელისაბედმა.

– შინა ბძანდება?

– აბა ამისთანა დროს კაცი შინ დადგება, მამულის და მოსავლის პატრონი? ყანაშია, ეს ორი დღეც იქნება, – სთქვა რაღაც ნიშნის მოგებით ელისაბედმა და უნებლიეთ შეჰხედა ლუარსაბსა, რომელიც ბოლთასა სცემდა და რომელსაც ფეხებზედ ეკიდა მოსავალიც და მამულიცა.

დარეჯანს ეწყინა. ამას ეგონა, რომ ელისაბედმა სახრე ლუარსაბისაკენ გადმოიქნივა.

– რასაკვირველია, ვისაც კაცი არა ჰყავს და არ აბადია, რომ ჩააბაროს სახლის პატრონობა, და ვინც ასე გაზრდილა პატარაობითვე რომ არც მზე დასიცხავს და არც ავნებს, ის შინ არ დადგება, ჩემი ლუარსაბი მაგას ვერა იქს.

– განა მაგაზედ მოგახსენე! – დაასწრო ელისაბედმა.

– მეც განა მაგაზედ მოგახსენე! – დაატანა დარეჯანმა, – მე მარტო ეს უნდა მეთქო, რომ ჩემს ლუარსაბს ჯერ ისე არა გასჭირებია-რა, რომ გლეხობა ჩაიდინოს.

– გლეხობა ჩაიდინოსო!.. რას ბძანებთ, ჩემო რძალო? არა, თქვენმა მზემ! ვინც მოსავლის დროს შინ არა დგება, განა იმისაგან, რომ გაჭირებულია, ან გლეხობა ჩაიდინოს და მესვეურსავით მკაში ბეგრის ხალხთან ოფლი იწუროს? თქვენც არ მამიკვდეთ. აი, თუნდ თქვენი მაზლი, – განა გლეხია, ან გლეხობას იდენს, რომ ყანაშია? სულაც არა, თქვენმა მზემ! მუშები იქა მკიან და იმას კი, როგორც შეჰფერის თავადიშვილის პატიოსნებასა, ხელზედ ლამაზი ნაგეში მიმინო უზის და ნადირობს. გუშინ საღამოზედაც, ჯერისთვის რომ ბიჭი ამოვიდა, ერთი აბგა მწყერი გამოეგზავნა. რა სათაკილოა, თქვენი ჭირიმე, მეფეები ნადირობენ და იმისთვის რა სათაკილოა!..

– არა, თქვენმა მზემ, ჩემო რძალო, მე ჩემს მაზლზედ არ მომიხსენებია. ისიც ლუარსაბის ძმა არ არის, ერთის სისხლისა და ხორცისა? განა არ ვიცი, რომ სხვებსავით

ხელებს არ დაიბებრებს ნამგლის ჭერითა და არც ამ პაპანაქებაში დაისიცხება? განა არ ვიცი, ნამდვილის სისხლის თავადიშვილი ამას ვერ აიტანს, და, სწორედაც მოგახსენო, არც საკადრისია: თავადს თავადობა უნდა ეტყობოდეს და გლეხს – გლეხობა.

– მართალი ბძანებაა, თქვენმა მზემ!

– არა და, რომ არ იქნება: მთა და ბარი ვის გაუსწორებია?

– არავის, თქვენმა მზემ, ღვთის ბძანებას ვინ წაუვა?

ამ დროს ფეხის ხმაურობაც მოესმა დარეჯანსა, მოიხედა და დაინახა თავისი გოგო, ლამაზისეული, რომელსაც ხელში ეჭირა რაღაც ნაბარათევი და თავმოტეხილი წამლის მინა, რომელიც საწერელობას ჰთამაშობდა.

– რა დაგემართა აქამდინ? ის კიდეც წავიდა, – უბძანა დარეჯანმა.

– ჯერ კიდევ აქ გახლავთ, ჩალურშია თაფლუასთან, – მიუგო გოგომა.

– მაშ კარგი, – სთქვა დარეჯანმა, დაიდო მუხლებზედ ქაღალდი და დაიწყო შაკიკის ლოცვის წერა. ამ დროს ლუარსაბიც მოვიდა ახალუხ და შალვარჩაცმული, მოიკითხა ზდილობიანად თავისი რძალი და გაგორდა იქავ ხალიჩის ახლო მწვანე ბალახზედ და, დაასვენა რა ჩიბუხის ტარი თავის ღირსეულს მუცელზედა, დაუწყო პირაღმა ყურება გუმბათიან ცასა.

მშვენიერს სურათს წარმოადგენდა ეს კრება. აღვწერ, თუ კი შევიძელ ჯერ გოგოდამ დავიწყოთ.

სასაცილო რამ იყო ეს ლამაზისეული: ერთი რაღაც უშნოდ ჩასუქებული, ჯმუხი, ჭუჭყიანი, ტანზედ ეცვა ხამის ჩითის კაბა, ჭუჭყისაგან ვერ გაირჩეოდა რა ფერისა იყო; კალთები აქა-იქ გამომწვარი ჰქონდა ზამთარში ცეცხლთან ახლო გდებისაგან, ბოლოები სულ მომპალი და შემოფხრეწილი ჰქონდა; დახეულებიდამ გამოჩანდა ერთი რაღაც დამპალის საბნის ნაგლეჯი, კაბის ქვეშა გარშემო ჩამოკიდებული, მითომ-და იუბკაა. აი, მეხი კი დაგეცა! ამასაც კი სდომებია იუბკა! თავზედ ეკრა შიგადაშიგ ამოფლეთილი ჩითმერდინი, ქალბატონის გამონაცვალი. იმ ამოფლეთილებში მუთაქის მატყლსავით დასორსვლილი შავი – უკაცრავოდ არ ვიყო – წილიანი და დაუვარცხნელი თმა მუჭა-მუჭად ამოშვეროდა. ქუსლებდახეთქილი, მუგუზალსავით შავი ფეხები, წენგოსაგან შეღებილი ხელები, ცხვირპირი ქვაბების მურით მოთხუპნული – აი, ამგვარი იყო ის ცხოველი, რომელსაც დარეჯანი „ლამაზისეულს“ ეძახდა და რომელიც გულხელდაკრებილი დაჰყურებდა ბალანგაცვივნულ ხალიჩასა. ხალიჩაზედ ორი პატიოსანი და დარბაისელი კნეინა იჯდა, როგორც მოგახსენეთ წინათვე, – ორი კნეინა, მაგრამ კი სხვადასხვანაირი: ერთი მსუქანი, წითური, მეორე გამხდარი და უფერო. მსუქანი თავჩაღუნული სწერს, გამხდარი კი თვალგაფაციცებით თვალს ადევნებს მწერალის ხელსა, იქნება როგორმე შევატყო, რასა სწერსო: ხანდისხან გოგოსაც თვალს უშვრება და თავს უქნევს იმის ნიშნად, რომ „წეღან რომ სთქვა – „წავიდაო“, ვიზედა სთქვაო“. გოგოც იქიდამ ანიშნებს და ელისაბედი ვერ მიმხვდარა. მაშიბ გოგო პირზედ ხელს იფარებს, თავს იქით იბრუნებს, მითამ ეცინება კიდეც, რომ ელისაბედი ჰცდილობს და ვერ მიმხვდარა კი, და ჰმორცხობს კიდეც, რომ ბატონის რძალთან სიცილსა ჰბედავს. აქეთ ბალახებზედ ხალისიანად ჰქშენს ჩვენი ლუარსაბი, პირაღმა წევს, აბოლებს ჩიბუხს და, მინამ თვალში ცრემლი არ მოუვა, თვალს გულმოდგინებით ჩიბუხის ბოლს ადევნებს, – ვნახო, ღრუბლებამდინ ავა, თუ არაო. იქით, ხალიჩის დასწვრივ, ღობის გადმოღმა, ჩვენი ნაცნობი ქოფაკი ძაღლი წევს, ისევ ისე მიწაში ცხვირწაყოფილი და

ქანცმიწყვეტილსავით თვალებდახუჭვილი; ყოველს ხმაურობაზედ მძიმედ ახილებს თვალსა და გულზედ-მოსულსავით ჰღრინავს, თითქო ჯავრობსო, რომ ძილს უფრთხობენ. პატარა შორიახლო ძველი, ჭუჭყიანი სამოვარი სდგას, გვერდით დაჩოქილია გოგოზედ უარესად ჭუჭყიანი, დაგლეჯილი პატარა ბიჭი და, რაც ძალი და ღონე აქვს, უბერავს სამოვარსა. ხანდისხან ისეთის სახით გადააპარებს თვალსა იქითკენ, საცა ძაღლი განცხრომითა წევს და მოსვენებაშია, რომ თითქო შეჰნატრისო მის ყოფა-ცხოვრებასა და გულში ამბობსო: – ნეტავი შენ, რომ ძაღლი ხარ! ნეტავი მეც ძაღლი ვყოფილიყავი!

ეს საძაგელი სურათი საძაგელის მიწისა, სასაცილოდ ახამებდა ამ დიდებულ სამხრეთის ცასა, მის ერთნაირად ღრმასა და ციაგსა კამარასა, რომელზედაც სარტყელსავით მიიგრიხებოდა ერთ გაუწყვეტელ ზოლად მთების ლაჟვარდი გრეხილი.

დრო გავიდა. დარეჯანმა გაათავა ლოცვის წერა და ბარათი მისცა გოგოს, ამ სიტყვის ზედ-დატანებით: როგორც გითხარი, ისე მოიქეცი-თქო.

მერე მოუბრუნდა ელისაბედს და შესაქცევრად ჩამოუგდო ლაპარაკი. ლუარსაბი ისევ ოცნებაში იყო და აბოლებდა ჩიბუხსა.

– პურის მოსავალი როგორი გაქვთ წელს? – ჰკითხა დარეჯანმა.

– თქვენმა მზემ, შარშანდელზედ ცოტა. თქვენს მაზლს ოცდაათის ურმის იმედი აქვს, – დაიტრაბახა ელისაბედმა.

– ეგ, ბატონო, კაი მოსავალია. ოცდაათი ურემი ხუმრობა არ არის; ჩვენც მოგვივა მაგდენი, მაგრამ ჩვენ ერთი ორად მეტი ნახნავი გვქონდა თქვენზედა, – იტყუვა თავის რიგზედ დარეჯანმაც.

– რას ბძანებთ, ჩემო რძალო, ჩვენზედ მეტი თქვენ რად გექნებოდათ. ჩვენ დიდი ნახნავები გვქონდა წელსა.

– რად გექნებოდათო? ჩვენ მკათათვის ნახევარში გუთანი გატანილი გვქონდა, თქვენ კი ენკენისთვეშიაც არ გაგეტანათ.

– არა, თქვენმა მზემ, ჩვენ თქვენზედ ადრე გავიტანეთ. ჩვენ დიდი ნახნავები გვქონდა.

– აი, ბატონო, თუნდ ლუარსაბსა ვკითხოთ. ეგ კაცია, მაგას უფრო ეცოდინება. ლუარსაბ! – დაუძახა ქმარს კნეინამა.

– რაო? – ჰკითხა ლუარსაბმა და მოიღრიჯა ცოლისაკენ კისერი.

– შენი რძალი ამბობს, რომ ჩვენ ამათზედ ნაკლები ნახნავები გვქონდაო წელსა.

– ეჰ, რას ამბობ, ჩემო რძალო! წელს ოთხი თქვენოდენა ნახნავები მქონდა, – მიუგო ლუარსაბმა. ამგვარებში ლუარსაბმა საშინელი კვეხნა იცოდა. – რას ბძანებთ!.. ჩემოდენა მოსავალი კახეთში ორს არ მოუვა, ქართლშიაც ბევრს არ მოუვა. აი, ჰნახავ, რამოდენა ფრთამოქცეულს წამოვაყენებ კალოზედა. ასეთს წამოვაყენებ რომ... რომ... აბა რა გითხრათ? თუნდ თორმეტ ამ სახლის ოდენასა, ვაი არა აქვს ლუარსაბსა! ფიე! ნახნავი იყო, რომ ჩემი იყო. შარშან ვენახისა არ იყოს, ჩემოდენა ღვინო კახეთში ორს არ მოუვა. ქართლში ხომ ნახევრის ნახევარიც არ მოუვათ. მაშ! თუ ეს მართალი არ იყოს, საიდამ ვცხოვრობ ეგრე მეფურად? საიდამ? ლევანსავით ურმებს ხომ ქირაზედ არა ვგზავნი, თავადიშვილის სისხლს ხომ არ შევირცხვენ! სომეხი ხომ არა ვარ, რომ ქირაობით ვიცხოვრო. თავადიშვილი ვარ, კაი ოჯახის და გვარის შვილი.

კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ ელისაბედმა აღარ დააცალა:

– მართლა, ჩემო მაზლო, ლევანი ქირაზედ ურმებს ატარებს?

– მართლა, მაშ! ის შერცხვენილი, გვარის დამამცირებელი ისა!

– ნიკოლოზიც ატარებს თურმე, – დაუმატა დარეჯანმა.

– მაშ?! – უპასუხა ლუარსაბმა.

– უი, ლაფი დაესხათ თავზედ. კარგი გვარის მასახელებელი ისინი ყოფილან, – სთქვა ელისაბედმა.

– ნეტავი თავადიშვილი მაინც არ იყოს! – დაუმატა გულმტკივნეულად დარეჯანმა.

– ეგ არის და, რომ თავადიშვილია! – სთქვა წყრომით ლუარსაბმა. – თავადიშვილი რომ არ იყოს, ჯანი გავარდეს. ან გლეხი იყოს, ან სომეხი, კიდევ ჰო, ეგა მკლავს, რომ თავადიშვილია. ძალიან არ წახდა ხალხი, თქვენი ჭირიმეთ! ამასაც შევესწარი, რომ თავადიშვილი ქირაზედ ურმებს ატარებს!

– მერე რა დედ-მამის შვილი – წამოიძახა დარეჯანმა.

– ეგა სთქვი და, – მიუგო ლუარსაბმა.

– კაცმა ეგრე როგორ უნდა დაკარგოს პატივი, – სთქვა თავის რიგზედ ელისაბედმა.

– ამას იქით გლეხი და თავადი რით უნდა გაირჩიოს. გლეხიცა გზავნის ურმებს ქირაზედ და თავადიშვილიცა, ისიც ქირითა სცხოვრობს და ესეცა. რით უნდა გაირჩიოს? – იკითსა ლუარსაბმა.

– არაფრით, თქვენმა მზემ, – დაარწმუნა რძალმა.

– ოღონდაც, რომ არაფრით, – კვერი დაჰკრა ცოლმაც.

– მშიერი რომ ვკვდებოდე, მშიერი, და ასი ურემი მებმებოდეს, მე მაგას არ ვიკადრებდი, თავი არ მომიკვდება. შენა, ჩემო რძალო?

– უი, უწინამც დღე გამქრობია. ვიკადრებდი კი არა, მე ჩემის ხელით თავს მოვიკლავდი. ოხრად დამრჩეს ქირით შემოტანილი ქონება. რა თავადიშვილის საქმეა.

– შენა, დარეჯან? – ჰკითხა ეხლა თავის ცოლს ცნობისმოყვარე თავადმა.

– არც მე, – სთქვა დარეჯანმა.

– მაშ არც მე, – სთქვა ლუარსაბმა იმ სახით, თითქო ამ სამის აზრით სამის ქვეყნის ბედი გადაწყდაო. – არა, დრო ძალიან გამოიცვალა, ჩემო რძალო! – გააგრძელა სიტყვა ლუარსაბმა, – ხალხი წახდა, სისხლი მოითხარა. აბა ჩვენ დროს ვინ მოიფიქრებდა, რომ თავადიშვილს თავი შეერცხვინა და ურემი ქირაზედ ეტარებინა. ქვით არ ჩავაქვავებდით? თავზედ ლაფს არ დავასხამდით? მაგრამ ეხლა? დასწყევლოთ ღმერთმა სირაჯობენ კიდეცა!.. გაგონილა? თავადიშვილების სირაჯობა! ოჰ, ღმერთო, რატომ წარღვნა არ მოვა? სომხები გახდნენ, სწორედ სომხები: ეხლა ისღა აკლიათ, ადლი ამოიჩარონ იღლიაში, სოფელ-სოფელ იარონ და „სავაჭრო, სავაჭრო“ იძახონ.

– მაგასაც იქმონენ, თქვენმა მზემ, – სთქვა ელისაბედმა, – მე კი ღმერთმა ნუ შემასწროს იმ დროსა და!

– იქმონენ, თავი არ მამიკვდება, იქმონენ, – წარმოსთქვა მწუხარებით ლუარსაბმა, – ბატონო! სისხლი რომ აღარ არის? წახდა სისხლი, მოითხარა.

– მართლა რომ წახდა, – დაატანა დარეჯანმა.

– აი, მაგალითად, გუშინ ზაქარიას ცოლს რა უქნია? – წამოიძახა ენაჭარტალა ელისაბედმა, – იცით რა უქნია? – ბიჭს გაუჯავრებია... ზაქარიას ცოლი ხომ ანჩხლია?

– მერე რა-რიგი! საშინელი! – დაჰკრა კვერი დარეჯანმა.

– ბიჭს გაუჯავრებია, – დაიწყო ისევ ელისაბედმა, – გამოსდგომია, წაუძვრია

ფეხიდამ, ჩუსტი ყოფილა თუ ქოში, – ქოში იქნებოდა, – ამდენი უცემია, რომ დაუოსებია თურმე.

– არა, თუ ღმერთი გწამს? – ჰკითხა გაკვირვებულმა ლუარსაბმა.

– თქვენმა სიცოცხლემ!

– ეს რა მესმის, თქვენი ჭირიმეთ! იქნება პატარა ბიჭსა სცემა?

– კიდეც ეგ არის, რომ არა. პატარა ბიჭს რომ სცემოს, ეგ არაფერი: აი, მეცა ვსცემ ხოლმე, – სთქვა ელისაბედმა.

– მეცა, თქვენმა მზემ, – უპასუხა დარეჯანმა, – პატარა ბიჭი და გოგო სულ ერთია. როგორც ქალბატონმა რომ გოგოსა სცემოს, არ დაიძრახება, ისე პატარა ბიჭს რომ სცემოს, არაფერია.

– რასაკვირველია, – ჩამოართო სიტყვა ელისაბედმა, – პატარა ბიჭის ცემაზედ ვინ დაიძრახება. ის კი ვაჟკაცი კაცი გხლებიათ, აბა ქალი რომ ვაჟკაცს შეებას, ვერაფერია, თქვენმა მზემ.

– დიდება შენდა, ღმერთო ჩემო, – სთქვა პირჯვრის-წერით ლუარსაბმა, – ეს რა მესმის, თქვენი ჭირიმეთ: დედაკაცმა ისე თავზედ ხელი უნდა აიღოს, რომ ვაჟკაცსა სცემოს? ცემა არაფერია, მაგაში ბატონს ვინ დასძრახავს, – იმისი ბატონი არა ვარ, რომ მინდა ვცემ, მინდა არა, – მაგრამ კაცმა კაცს უნდა სცემოს, დედაკაცისაგან რომ არა თქმულა! რომ არ გაგონილა! აი, გოგო ჰყავს, გოგოს რამდენიც უნდა სცემოს, ეგ საკადრისია, კაცს კი... ღმერთო დამიხსენ ქვეყნის ცოდვისაგან.

– ეგ რა კიდევ... – უნდა დაეწყო კიდევ ელისაბედს ჭორიკანაობა, მაგრამ ამ დროს ჩაიც მოართვეს.

– სიტყვა კი არ დაივიწყოთ, ჩემო რძალო, – უთხრა დარეჯანმა, – ჩაი მიირთვით.

– მიირთვით, სულ ერთია, – უპასუხა ელისაბედმა და წამოავლო ჭიქას ხელი.

ჩაი ჩამორიგდა.

ელისაბედმა მოსვა ცოტა თუ არა, ისევ დაიწყო გაწყვეტილი სიტყვა:

– იმას მოგახსენებდით: იმ წუწკს ნიკოლოზს, იცით, რა უქნია? თავის მოახლისათვის არშიყობა დაუწყია. ერთხელ ბინდი ყოფილა, – აქ რაღაც წასჩურჩულა დარეჯანს ყურში, – ბიჭებს დაუნახავთ, ქალბატონისთვის შეუტყობინებიათ, ის საწყალი ქალიც მისულა და გულს შემოჰყრია. აი, ბატონო!..

– მართლა?

– თქვენზედ მიწა არ მენახოს! – მოაჭორა ელისაბედმა და, მითამ ნიკოლოზის ცოლზედ გულიც შესტკივა, დაუმატა: – მე ის საწყალი ქალი მეცოდება, თორემ ნიკოლოზს თუნდა თავშიაც ქვა უხლია.

– საშინელ დროებას არ შევესწარით, თქვენი ჭირიმეთ! – მართალის გულით სთქვა ლუარსაბმა, – სწორედ მეორედ მოსვლა მოახლოვდა: ვაჟო, ქალს ქალობა აღარ ეტყობა, კაცს – კაცობა. ტყუილად კი არ მოგვეჩვენებიან ეს კუდიანი ვარსკვლავები, ერთი ღვთის რისხვა რამ უნდა მოვიდეს. რომ არ გაგონილა ყურით და ენით არა თქმულა ქალისაგან ვაჟკაცის გალახვა და ქმრისაგან ეგრე აშკარად მაგისთანა ამბები! სირცხვილი აღარ არის ეხლანდელ დროში. პირში წყალი გაგვშრობია.

– არა, ისე ჩუმად მოეხდინა მაინც იმ სულის მტერსა, კიდევ არაფერი იქნებოდა, – სთქვა დარეჯანმა.

– ჩუმად რომ მოეხდინა, ვინ რას იტყოდა? – გააწყვეტინა სიტყვა ლუარსაბმა, – განა

უწინ კი არ იყო მაგისთანა ამბები, ხორციელები არ იყვნენ თუ? მაგრამ უწინ სულ დაფარული იყო, ისე დაიჭერდნენ საქმეს, რომ ხორციელ ადამიანს არ გააგებინებდნენ. ბევრი მაგისთანაები მომხდარა უწინაც, მაგრამ აბა ერთი შეგიტყვიათ რამე? სულ ისე ჩუმად და გონიერად იცოდნენ უწინ ყველაფერი, ამიტომ რომ პირში წყალი ჰქონდათ. ეხლა, ბატონო, არაფრისა აღარ ჰრცხვენიანთ. ნამუსი აღარ არის, არა, წახდა ქვეყანა.

– სწორედ მეორედ-მოსვლის ნიშნებია, – დაუმატა დარეჯანმა.

– სწორედ. აი, ერთი კიდევ რა შევიტყე. გოგო და ბიჭი დაითხოვეთ, მოგახსენებთ, – სთქვა ელისაბედმა.

გოგო და ბიჭი დაითხოვეს. ელისაბედმა შემოავლო თვალი გარეშემოსა და ჰნახა რომ არავინ არ არის, მიჯდა ახლო. ლუარსაბმა ყურები დააცქვიტა და ახლო მოიწივა. დარეჯანმაც ყურთან ლეჩაქი გადაკეცა, რომ კარგად გაიგოს.

ელისაბედმა დაბალ ხმით დაიწყო:

– ამ წინაზედ რომ კუდიანი ვარსკვლავი ამოვიდა, ხომ გახსოვთ?

– დიაღ, – მიუგეს ერთხმით ცოლ-ქმარმა.

– იმ დღეს თურმე გველეშაპი გამოსდგომოდა მზესა, – ისიც ხომ გაიგეთ?

– დიაღ, დიაღ, გავიგეთ! – წამოიძახეს ერთად შეშინებულმა ცოლმა და ქმარმა.

– იმ კუდიან ვარსკვლავზედ და გველეშაპზედ სომხების ტერტერებს თავიანთი კარაბადინი გაუშლიათ და უთქვამთ, რომ – აქ უფრო ხმა დაიდაბლა, – თავადიშვილებს ყმები ჩამოერთმევათო.

– ვაი შენს ლუარსაბსა! – წამოიძახა ფერწასულმა ლუარსაბმა. – ეგ რა სთქვი, რა? აკი მოგახსენეთ, ბატონებო, რომ წარღვნა უნდა მოვიდეს-მეთქი. აი, ღვთის წყრომა! სულ ჩვენისავე ცოდვებისაგან მოგვევლინა. მამაჩემი ზაალ ნუ წამიწყდება, რომ წავალ, ზაქარიას ცოლსაც, ლევანსაც, ნიკოლოზსაც წიხლქვეშ გავიგდებ, რომ ეს ამბავი სულ იმათი უნარია. კიდევ ატარონ ქირაზედ ურმები!

– რაზედ გაცხარდი, შენ გეთაყვანე! – მიატანა ლუარსაბსა ცოლმა, – სომხების კარაბადინს როგორ უჯერებ! შარშანწინ კი არა სთქვეს, რომ დედამიწა ხარის რქაზედა სდგას. იმ ხარს ერთი რქა მოსტეხია და ქვეყანა უნდა გადაბრუნდესო, მაგრამ ტყუილი კი გამოდგა. გარეჯელ მკითხავს ეთქო, რომ არც რქა მოსტეხია და არც არაფერიო.

– მართლა, ეგ კი აღარ მომაგონდა! – სთქვა ეხლა კი დამშვიდებულმა ლუარსაბმა, – ჭორი იქნება. აბა, გეთაყვა, მეფის ერეკლეს ნაბოძებს სომხის კარაბადინის სიტყვით ვინ წამართმევს? თუნდ ეგ არ იყოს, რიღას თავადიშვილი ვიქნებით, თუ ყმაც არ გვეყოლება: კარაბადინი კი არა, სოლომონ ბრძნის წიგნიც რომ იყოს, არ დავიჯერებ. ან რა დასაჯერია?

– რასაკვირველია, დასაჯერი არ არის, მაგრამ გლეხობაში ეგ ხმა გავარდნილა, ეგ ცუდია, თქვენმა მზემ, – სთქვა ელისაბედმა.

– ხმა გავარდნილა, მე ვიცი, თათქარიძობას წამართმევენ! შარშან კი არ იძახდნენ, რომ საიქიოს ბატონები ყმებად შეიცვლებიანო, ყმები ბატონებადაო; ვენაცვალე ღვთის მადლს, იქაც ისე არიანო ბატონი ბატონადა, ყმა ყმადაო, როგორც აქა. ინგლისის ხელმწიფეს ბარათი ჩამოუგდიაო ფრანგის ხელმწიფისათვის, რომ „ნუ გეშინიანო, მეცა და ჩემ დიდკაცებსაცაო აქ უფრო დიდი პატივი გვაქვსო, მინამ მანდაო. ნუ დაიჯერებო, რასაც მანდ ყბედობენო“.

– რასაკვირველია, ეგ აგრე იქნება: ბატონყმობა ღმერთს დაუწესებია და თითონვე ღმერთი რად მოშლის? ვენაცვალე ღვთის დიდებასა! – სთქვა დარეჯანმაცა.

– უფლისა უფალსა და კეისრისა კეისარსაო, სახარებაში სწერია: კეისრები ჩვენა ვართ, – დაუმატა ელისაბედმა.

– მართალი ბძანებაა, ჩემო რძალო! სახარების სიტყვას ვინ წაუვა? – მიატანა დარეჯანმა.

– არავინ, თქვენმა სიცოცხლემ! – დაამტკიცა ელისაბედმა და წამოდგა შინ წასასვლელად, – მშვიდობით ბძანდებოდეთ!

– მშვიდობით, ჩემო რძალო! ბიჭებში კი ხმა გააგდეთ, რომ ტყუილია-თქო, – ურჩია ლუარსაბმა.

– თქვენც რომ ეგრე ჰქმნათ, ცუდი არ იქნება: გლეხები არიან, მალე დაიჯერებენ ტყუილსაც და მართალსაც. მშვიდობით, – გამოესალმა და წავიდა ელისაბედი. თან აედევნა დაჩაგრული გოგო.

– ღმერთო, რა მეჭორეა!.. რა ენაჭარტალაა!.. – უთხრა ქმარს ელისაბედზე დარეჯანმა.

– ის რა მოიგონა, თქვენი ჭირიმეთ, ყმები უნდა ჩამოგვერთოსო! – დაჰკრა კვერი ლუარსაბმა.

– შენ ხომ მაშინვე დაიჯერე!

– კარაბადინმა სთქვაო, მოდი და ნუ დაიჯერებ. ის კი, ღვთის წინაშე, არ მომაგონდა, რომ გარეჯელ მკითხავს ბევრჯერ გაუცრუებია სომხური კარაბადინი.

– გონება სადა გქონდა?

– ეჰ, შე დალოცვილო! აქა მქონდა, მაგრამ ვერ მომაგონდა. სულ რომ მაგონდებოდეს, რაც გამიგია, მეტი რაღა მინდა: სოლომონ ბრძენი ვიქნებოდი. თუნდ ეგ არ იყოს, ქვეყანაზედ რა ვიცი რამდენი ეშმაკის მანქანებაა, ეგეც იქნება ერთი იმათგანი იყოს. ვეჟო, ცოდვილ ქვეყანაზედ რა არ მომხდარა ჩვენის ცოდვებისაგან? ეგეც შეიძლება, რომ მოჰხდეს, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ასტკივდებაო, ნათქვამია; ხმა გავაგდოთ, რომ ტყუილია.

– რასაკვირველია, ცუდი არ იქნება, ჩვენ მაგითი რა დაგვაკლდება?

– არაფერი, შენმა მზემ, ეხლავ დავუძახებ დათოსა და ვეტყვი. – დათო, დათო! – დაუყვირა ბატონმა.

– ბატონო! – სადღაც შორიდამ მოისმა დათოს ხმა: – ეხლავ გიახლებით.

ცოტას ხანს შემდეგ დათოც მოვიდა და ჰკითხა ბატონსა:

– რას გვიბძანებთ?

– იმას, რომა, ყმები ჩამოგვერთმევაო რომ ამბობენ, ტყუილია. გესმის, თუ არა? ყველას უთხარი, რომ ტყუილია. ხელმწიფეს მოუწერია, რომ დავარჩობ, ვინც იტყვის, რომ ეგ მართალიაო, ვინც გუნებაში მაგას გაიტარებსო. გაიგე?

– გავიგე, შენი ჭირიმე! – უპასუხა დათომა, – განა მაგას ვინა ჰფიქრობს? აი, რაღაც გოგო-ბიჭები მიჰქარავენ, შენი ჭირიმე, იმათ ვინ დაუჯერებს. წვრილფეხობის სიტყვა რა დასაჯერია? იყბედებენ და დაჩუმდებიან.

– ეგრე სთქვი ხოლმე სხვაგანაც, ჩემო დათო! ან რა კარგი იქნება თქვენთვის, რომ ჩვენ არა გყვანდეთ.

– შენი მტერი ყოფილა, ჩვენ ვიქნებოდით, შენი ჭირიმე!

– რაც უნდა იყოს, მამასავით გპატრონობთ.

– დიაღ, შენი ჭირიმე! სწორედ მამა ბძანდებით და ჩვენ შვილები ვართ. თუ

ხანდისხან გაგვიწყრებით, აგვიკლებთ, წაგვართმევთ, – ეგ რა? სულ – ჩვენის სიკეთისათვის არის ხოლმე, განა მამა შვილს არ გაუწყრება?

– ოღონდაც, რომ გაუწყრება, მაგრამ შვილი ისევ შვილია, მამა ისევ მამაა ხოლმე.

– მართალი ბძანებაა. სხვას არა აქვს მაგის გაგება, ამბობს, რომ რაც ჩემია, ჩემი უნდა იყოს, ბატონი რად უნდა გვართმევდესო. ის კი არ იციან, რომ თუ ბატონი ართმევს რასმეს, სულ იმათისავე სიკეთისათვის ართმევს. ხომ მოგეხსენებათ, გლეხკაცი რეგვენია.

– ოღონდაც რეგვენია, – ჩაერივა დარეჯანი, – მაშ ბატონი რისა არის, თუ არ დასტუქსავს, არ წაართმევს? თუნდ ეგ არ იყოს: უცხო ხომ არ ართმევს, ისევ თავისივე ბატონია.

– მართალი ბძანებაა. მამაა, უცხო რად იქნება? – დაუმატა ეშმაკობით დათომა.

– დიდი და პატარაობა სად არ არის? – სთქვა ლუარსაბმა, – აი, თუნდ თითებზედ დაიხედე: ერთი დიდია, მეორე პატარა. რისთვის? ამისთვის, რომ ღმერთს აგრე გაუჩენია, დიდი და პატარაობა ყველგან უნდა იყოს. აბა, დაიხედე!

– განა არ დამიხედნია, შენი ჭირიმე! დიდიც არის, პატარაც, მაგრამ, დაილოცა ღვთის სამართალი, ისე გაუჩენია, რომ ერთმანეთს არ უშლიან, – სთქვა ცბიერმა დათომ.

– მაშ! ყველგან არის დიდი და პატარაცა, ეხლა როგორ იქნება, რომ ჩვენში არ იყოს. ან რა დასაჯერია? – გააგრძელა ლუარსაბმა და ვერ გაიგო კი დათოს აზრი.

– ვისაც თავში ტვინი აქვს, აკი არ იჯერებს, შენი ჭირიმე, ვინც უტვინოა, ისინი მოგახსენებენ, რომ მართალიაო.

– როგორი მართალია? – დაატანა დარეჯანმა, – ხელმწიფისათვის ან ჩვენ რა დაგვიშავებია, რომ ყმები ჩამოგვერთოს, ან თქვენ რა შეგიმატებიათ, რომ გაგააზატონ. ეს როგორ ვერ მოიფიქრეთ?

– მითამ მოგახსენებენ, შენი ჭირიმე, ჭკვიან კაცებს დაუწერიათო, რომ ქვეყნისათვის კარგი იქნებაო. ტყუილი უნდა იყოს.

– ტყუილია, მაშ რა არის? – დაიყვირა ლუარსაბმა, – აბა, რომელი ჭკვიანი კაცი იტყოდა მაგას, თუ არ იუდას კერძო?

– აი, მეხი კი დავაყარე იმისთანა ჭკვიანსა! – მიაყარა ქოქოლა დარეჯანმა.

– თუ ეგ მართალია, გარეჯელ მკითხავს იცი რა უთქვამს? – ჰკითხა ლუარსაბმა.

– არა, შენი ჭირიმე! რა მოგახსენათ?

– ისა, რომ ტყუილიაო.

– აბა, იმისთანა გულთმისანს მოდი და ნუ დაუჯერებ, – დაუმატა დარეჯანმა.

– მე ეგ ადრევე ვიცოდი, შენი ჭირიმე, რომ ტყუილია, აბა უბატონოდ რა ხეირი დაგვეყრება? უპატრონო საყდარსაო ეშმაკები დაეპატრონებიანო, გლეხები იტყვიან ხოლმე. ჩვენც ეგრე მოგვივა. ეხლა ამითი გვატყუებენ თავადებსაც და გლეხსაც, რომ ქვეყნისათვის კარგი იქნებაო, თორემ რა დასაჯერია?

– თუ მე არ ვიქნები, ქვეყანა თუნდ ძირიანად ამოვარდნილა, თუნდ ბოდბელისა არ იყოს, „ქვა ქვაზედაც ნუ იქნება“, – სთქვა ლუარსაბმა, – ქვეყნისათვის კარგი იქნებაო! თუ მე და შენ არ ვიქნებით, ქვეყანა რად გვინდა? ჯანიც გავარდნია. არა, დათო?

– დიაღ, შენი ჭირიმე! სულ ტყუილია. მე ბევრისათვის მითქომს, რომ ტყუილია, და როდი მიჯერებენ.

– შენ უთხარი, რომ თითონ ბატონმა თავის პირით მიბძანა-თქო, მაშინაც არ დაიჯერებენ? – უბძანა ლუარსაბმა.

– მაშინ კი რაღა ეთქმით, შენი ჭირიმე!

– ეგრე, ჩემო დათო! ყველას უთხარი.

– ბატონი ხარ, მაშ გიახლოთ?

– წადი.

დათო წავიდა. ვინ იცის გულში როგორ ეცინებოდა ამ პირმოთნე ყმასა.

– არა, გული დააჯერა, რომ ტყუილია, – უთხრა დარეჯანმა, როცა დათო წავიდა.

– ჭკვიანი კაცია, დააჯერებდა, – უპასუხა ლუარსაბმა.

V

– ყველა-ყველა და ამაღამ ვახშმად რა გვაქვს? – ერთს საღამოს ლუარსაბმა თავის მეუღლეს ჰკითხა, როცა ქათმების შესხდომის დრომ მოაღწია. – დარეჯან! არ გეყურება, დედაკაცო? ამაღამ რა უნდა ვჭამოთ?

– რატომ რა უნდა ვჭამოთ, გენაცვალოს დარეჯანი! ღვთის წყალობა ბევრი გვაქვს, – ანუგეშა დარეჯანმა.

– მაინც?

– სადილიდამ დარჩომილი კაი ცივად ძროხა გვაქვს, კარგი ღორის სუკებია, კარგი...

კიდევ უნდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ღორის სუკების ხსენებაზედ აღტაცებულმა ლუარსაბმა სიტყვა გააწყვეტინა:

– უჰ, უჰ, უჰ! ეგ ღორის სუკები, შენმა მზემ, რადაც უნდა ჰღირს. სხვა? მე ამაღამ როგორღაც მადაზედა ვარ.

– ზურგიელიცა გვაქვს, ღვინოები რომ იყიდა, იმისი ფეშქაშია. ასეთია, რომ ქონი გასდის.

– უჰ ეგეც კარგია. სხვა?

– ყველი, პური და კაი გული.

– არც ეგ არის ურიგო, შენმა მზემ: ჩვენისთანა ვახშამი ხელმწიფესაც არ ექნება.

გაიკეთა ჩიბუხი მადაწახალისებულმა მებატონემ და, მინამ სანატრელს ვახშამს მოიტანდნენ, მოუთმენლად წინა და უკან პატარა ოთახში ბოლთასა სცემდა. ხანდისხან რაღაც ფიქრში გართული უეცრად წამოიძახებდა: „ღორის სუკები? შენმა მზემ, რომ კარგია!“

ვახშამსაც, როგორც ყველაფერსა ამ წუთისოფელში, ბოლო მოეღებოდა. გამაძღარი და ტახტზედ გადაგორებული ლუარსაბი ეხლა ხვალისთვის დაიწყებდა ზრუნვასა. მაშ! ოჯახის კაცი იყო.

– ესეც ვახშამი, ღვთის მადლით, გადავაგორეთ, ეხლა ხვალინდელ დღისათვისაც ვიფიქროთ. ხვალაც ჭამა გვინდა, დალოცვილს ღმერთს ეგრე გაუჩენია კაცი. ხვალ რაღა ვჭამოთ?

– ხვალ?.. – ჩაფიქრდა დარეჯანი, ვითომც და ძნელი გამოსარკვევი საქმე მიანდვეს: – ხვალ? დაიცა ერთი მოვიგონო... ხვალ? არტალაზედ როგორა ხარ?

– უჰ, უჰ! შენმა მზემ, კარგი რამ მოიგონე. არტალაზედ? ვაცივითა ვარ, ვაცივით, – უპასუხა მსუნაგსავით სულწასულმა თავადმა, – ბარაქალა, დარეჯან! ერთი კარგი მსუქანი არტალა, ჩვენი თედოს მოხარშული, ნივრით, ერთ სახელმწიფოდა ჰღირს, მე და ჩემმა ღმერთმა. ეგ ძალიან კარგი. სხვა? მარტო ეგ რას გვეყოფა?

– ერთი კარგი ჩიხირთმა? – ჰკითხა მაცდურის ღიმილით კნეინამა.

– ჩიხირთმა?.. ჰა, ჩიხირთმა?.. არა, გეთაყვა, ბოზბაში სჯობია, – მიუგო მცირე დაფიქრების შემდეგ ლუარსაბმა.

– ეხლა მაგას დაიჟინებ. რითა სჯობია?

– ვა!.. ტყემლის მჟავით გაკეთებული ბოზბაში?.. – ისეთის ხმით წამოიძახა ლუარსაბმა, თითქო უკვირსო: ეს ამისთანა უბრალო ჭეშმარიტება როგორ არ ესმის ამისთანა ჭკვიან დედაკაცსაო.

– შენც არ მომიკვდე, ლუარსაბ, კარგად გაკეთებულ ჩიხირთმას ბოზბაში არა სჯობდეს.

– ვა!.. – უფრო გაკვირვებით შეჰყვირა ლუარსაბმა, – ტყემლით გაკეთებულს ბოზბაშს ჩიხირთმა უნდა ამჯობინო?.. შენს ჭკვაზედ არა ხარ, დედაკაცო! ჯერ ისე ბოზბაში რა არის, რომ ტყემლით რა იყოს!.. რას ამბობ, რასა? ერთი მსუქან ბოზბაშში ამოვლებული პურის ლუკმა მთელ ქვაბ ჩიხირთმას მირჩევნია. ამის შემდეგ შენ უნდა დამაჯერო, რომ ჩიხირთმა სჯობია? მაშ კაცი აღარ ვყოფილვარ, ქუდი არა მხურებია.

– შენ ერთი ახირებული კაცი ხარ: რასაც იტყვი, ხომ კაცი ვეღარ გადაგათქმევინებს? – არ იყო რომ ცოტა წყენით არ უთხრა დარეჯანმა დაჟინებულს ლუარსაბსა.

– მაშ? კაციც მაგისთანა უნდა. ის ხომ კარგია, დღეს ერთი სთქვას, ხვალ სხვა? – სთქვა ლუარსაბმა, შემოიყარა დოინჯი და გამარჯვებულსავით ამაყი შეხედულობა მიიღო.

დარეჯანმა იგრძნო, რომ ლუარსაბმა საბუთიანად დაიჭირა და შერცხვენილმა ბანზედ სიტყვა გადააგდო:

– მაშ შენ ბოზბაშს ამჯობინებ?

– ვამჯობინებ.

– მაშ შენ პირში გემო არა გქონია, – ეხლა კი გულზედ მოსულსავით სთქვა დარეჯანმა.

ლუარსაბი აიტკიცა, მაგრამ თავი შეიკავა და არ იყო რომ მაინც ცოტა წყენით არ უპასუხა:

– შენ არა გქონია, რომ ჩიხირთმას ამჯობინებ, თორემ მე ხომ ბოზბაში მირჩევნია.

– აბა რას მიედ-მოედები? – ეხლა კი გაანჩხლდა დარეჯანი, – ბოზბაში როგორა სჯობია ჩიხირთმასა, რომ როცა ჩიხირთმა მაგონდება, პირში წყალი მომდის, თუ მშიერიც ვარ, მაშინ უფრო, ბოზბაშზედ კი – არა. მაშ ჩიხირთმა სჯობნებია. ეხლაც დაიჟინებ? – ისეთ გულდაჯერებით და ზაფრიანად წარმოსთქვა ეს კნეინამა, რომ, ასე გგონია, უნდა ეთქვაო: „შე სულელო, ამისთანა საბუთი მაქვს და შენ კი მაინც შენსას ამბობო?“

მაგრამ არც ამის მოპირდაპირე იყო სუსტის ჭკუისა, რომ ის საბუთი უფრო ძლიერის საბუთით არ დაერღვია. მართალია, პირველშივე ძალიან ჩაფიქრდა, მაშინვე ვერ მოახერხა, რა ეთქვა, მერე კი ღვთის წყალობა გქონდეთ ყოჩაღად ლუარსაბმა იმას მიუგო.

– მაგ სიტყვებზედ სდგეხარ? – ჰკითხა ჯერ ლუარსაბმა და ფეხზედ წამოდგა.

– ვდგევარ.

– მაშ კარგი: შენ ხომ ჩიხირთმა მშიერს მოგგვრის პირში ნერწყვსა, მე კი ბოზბაში – მაძღარსაცა. აი, თუნდა ეხლა: მე ხომ ამაღამ შენზედ მეტი მიჭამია, მაგრამ რომ მაგონდება პირამდინ პურჩაყრილი, ჩაჟუჟუნებული ბოზბაშით სავსე მათლაბა, თუ ზემოდამაც

ერთი კარგი კანჭი აძევს!.. რას ამბობ, დედაკაცო? მე მოგიკვდე, თუ შენ გესმოდეს რამე: ბოზბაში წვნიანების მეფეა, როგორც თართი – თევზებისა. შენ რა იცი, დედაკაცი ხარ.

– აბა შენ კაცმა როგორ უნდა დაგიჯეროს, რომ ეგეც არ იცი: ორაგული თქმულა თევზების მეფედ და არა თართი... აბა, სულ ეგრე სტყუი ხოლმე, – უკიჟინა ნიშნის მოგებით გახარებულმა კნეინამ, რომ ტყუილში დაიჭირა.

შერცხვა ცოტა ლუარსაბსა, მაგრამ არ შეიმცნივა და გაიზრახა, რომ პატივისათვის – რაც უნდა დაემართოს – უნდა დაამტკიცოს, რომ თართი არის მეფე.

– ეხლა მაგას დაიჟინებ. თართია-მეთქი.

– რაგულია.

– ეჰ, თართია, თავი არ მამიკვდება, არც ეხლა დაიჯერებ?

– ორაგულია, ორაგული! – დასძახა კნეინამა.

– აბა საიდამ იცი, რომ ორაგულია?

– შენ საიდამღა იცი, რომ თართია?!

ამ კითხვამ გააბა ლუარსაბი მახეში. მერე რარიგად! ხსნა არ იყო! ძალიან კი უნდოდა მოეგონა რამ, უნდოდა ეთქვა კიდეც, რომ „კარაბადინში“ სწერიაო, მაგრამ მოაგონდა, რომ დარეჯანი უფრო ნაკითხია და ვეღარ გაბედა.

დარეჯანი ჭკვიანი დედაკაცი იყო როგორც იცის თითონ მკითხველმა ჰნახა რომ ლუარსაბმა პასუხი ვერ მოუხერხა, უფროდაუფრო დააყარა თავმოწონებით:

– მითხარ, საიდამ იცი? მაშა! რაც არ იცი, ნუ იტყვი. აბა ეხლა სთქვი: ჩიხირთმა არა სჯობია?

დარეჯანმა იფიქრა, რომ ეგრე დაჭერილი ლუარსაბი თუ გატყდება, ეხლა უნდა გატყდეს. ამისთანა გაჭირებაში თუ დაიყოლიებს ჩიხირთმის უკეთესობაზედ, თორემ სხვა დროს ვეღარა. ამიტომაც ეგრე უეცრად გადავიდა ისევ ჩიხირთმაზედ.

ლუარსაბი დაგვიღონდა, მკითხველო! ისე თავჩაღუნული იდგა, როგორც პატარა ბავშვი, როცა შაქრის ქურდობაში დაიჭერენ. არ იცოდა რა ექნა. ჰგრძნობდა, რომ ცოლმა დაიჭირა, აჯობა, მაგრამ ამის კისრად აღება ეთაკილებოდა. სხვა დროს იქნება დაეთმო, მაგრამ ეხლა, რაკი საქმე სახუმარი აღარ იყო, რაკი ჯიბრზედ შედგა, ეხლა დათმობა სათაკილო ეგონა. მართალია, იყო წუთი, როცა ისე დამარცხებული ჰნახა თავისი თავი, რომ თითქმის დააპირა კიდეც ჩიხირთმის უკეთესობის აღიარება, მაგრამ ამ დროს თვალწინ წამოუდგა მაორთქლავი მათლაბა ლავაშჩაყრილის ბოზბაშისა, მოაგონდა ზემოდამაც გადახირული ბატკნის კანჭი, ამან გაიტაცა ისევ ლუარსაბი: ამის სულს ღონე მოემატა, გული გაუმაგრდა, დაავიწყა სირცხვილიც, დამარცხებაც, გამარჯვებაც და ათქმევინა ეს ღონიერი სიტყვები:

– მე არ ვიცი, თუნდ რომ მართლა ორაგული იყოს თქმული თევზების მეფედ, მაინც კიდევ ბოზბაში სჯობია ჩიხირთმასა.

– ჩიხირთმა, ადამიანო!

– ბოზბაში, დედაკაცო!

– ეჰ, წეღანდელი არ იყოს, მტყუანი ხარ და არა სტყდები, – უთხრა ყვედრებით დარეჯანმა.

– შენა ხარ მტყუანი.

– დახე! შენ არა თქვი – თართიაო?

– მე ეგ არ მითქვამს – ეგ შენა თქვი, – იცრუა ლუარსაბმა და თავის სიტყვა თავის

ცოლს გადააბრალა, – მე ორაგული ვთქვი.

– დახე, დახე, თქვენი ჭირიმეთ!.. ეს რა მოიგონა! – წამოიძახა ეხლა კი სწორედ გულზედმოსულმა დარეჯანმა.

– ამდენი იყვირე, რამდენიც გინდოდეს! – დაბალ ხმით უთხრა ლუარსაბმა და წავიდა, რომ გარეთ გავიდეს. კარებში რომ მივიდა, ერთი კიდევა სთქვა:

– მე ორაგული ვთქვი. – თქმა ამისა და იმისი გარეთ გასვლა ერთი იყო.

– მტყუანს?.. – მისძახა გაკაპასებულმა, ამ უსირცხვილობისაგან მოთმინებიდამ გამოსულმა ცოლმა, – გაუწყრეს წმიდიგიორგის მადლი და ნეკრესის ღვთისმშობლისა!

ლუარსაბმა ყური არ ათხოვა, თუ ვერ გაიგონა – არ ვიცი, ეს კი ვიცი, რომ ამ წყევლამ დარეჯანს მშვიდობიანად ჩაუარა.

ხშირად შუაღამემდინ ცოლ-ქმარნი გაცხარებულნი და გაჭარხლებულნი ამისთანა ღრმა აზრებს ამტკიცებდნენ: „დღეს რა ვჭამოთ“, – იტყოდნენ დილით. „ხვალ რა ვჭამოთ“, – იტყოდნენ საღამოზედ. ეს იყო იმათი სულის საზრდო, ეს იყო იმათი გონების ვარჯიში, ეს იყო იმათი აზრის აღებ-მიცემა.

რა იცოდნენ ამათ, რომ თავისის ქცევით, თავისის ცხოვრებით არისხებდნენ ღმერთსა, რომელსაც თავისი სული ამათთვის შთაუბერია.

– ვაჟო! მე ვარისხებ ღმერთსაო? – გეტყოდათ გაოცებით ლუარსაბი: – წირვა-ლოცვას მე არ ვაკლდები, კაცი მე არ მამიკლავს და კაცისათვის მე არ მამიპარავს, რაზედ ვარისხებ ღმერთსა?

მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ მოგიპარავს, ერთის სიტყვით, რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია ესეც კარგია: უარარაობას ეგა სჯობია. მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქნია?

– დიაღ, – მეტყვი შენ, – მისვამს და მიჭამია, არც ერთი დღე მშიერი არა ვყოფილვარ.

მითამ პასუხი ეგ არის? წირვა-ლოცვას არ ვაკლდებიო. რა გამოვიდა? იქ ყოველთვის გსმენია ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს სიტყვა: „ვითა მამა ზეცისა იყავ შენ სრულიო“. აბა, ან ერთს წამს შენს სიცოცხლეში მაგისთვის სცდილხარ? არა, შენ მაგისათვის არა სცხოვრობ: შენ სცხოვრობ, რომ სვა და სჭამო, და არა იმისთვის სჭამ და სვამ, რომ იცხოვრო, ესე იგი ეცადო, რომ ვითა მამა ზეცის იყო შენც სრული.

VI

ოცი წელიწადია თურმე, რაც ლუარსაბი და დარეჯანი ერთს უღელში შებმულან და ერთს ბედის კალთას ქვეშ ამოფარებულან. საოცარი ამბავია ამათი ჯვარისწერა. ჯერ ლუარსაბი თავის ძმასთან, დავითთან, გაუყრელი იყო, როცა ოცი წლისა შესრულდა და მოინდომა ცოლის შერთვა. ძალიან მოინდომა, მაგრამ არ იცოდა ვისი ქალი შეერთო; მდიდარიც უნდოდა, კაი გვარისშვილიც და მზეთუნახავიცა. ამაების მექონი ქალი ჩვენში ძვირია. ლუარსაბს ჯერ კი თვალი ეჭირა, იქნება შემხვდესო, და, რომ ვერსად ვერა ჰპოვა, გაიზრახა გულში, შეიკეროს პტყელის ბუზმენტებით ჩოხა, ბუზმენტებითვე მორთული განიერი მაუდის შალვარი, ერთი ოციოდ თუმანს თავი მოუყაროს და ჩავიდეს ქალაქში იმ ფიქრით, რომ ერთი-ორიოდჯერ ქუჩა-ქუჩა გავაჭენებ დროშკასაო, იქნება ერთი მდიდარი, კაი გვარის და ოჯახის შვილი ქალი ბადეს მოხვდესო, თუ არა და სომხის ქალები ხომ იქ

არიან, ათასს თუმანს წამოვიღებო. ბოლოს შეიტყო, რომ შორს წასვლა საჭირო არ არის: თავად გძელაძეს, დიაღ პატიოსანის გვარის და კაი ოჯახის შვილს, ერთი მზეთუნახავი ქალი უზის გასათხოვარი და ზედ ზურგზედ ორასი თუმანი თეთრი ნაღდად აკერია. აუფორთხალდა ლუარსაბს გული, გაუჯდა გვერდებში და დღემუდამ საამურად უღიტინებდა, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოეხდინა საქმე. უშველა ღმერთმა და ერთს დღეს მაჭანკალიც გაუტყვრა.

მაჭანკალი, გძელაძისაგან მოგზავნილი, გახლდათ ერთი მოხუცებული, დარბაისელი, ღარიბი და ქვრივი დედაკაცი, რომელიც მას აქეთ, რაც ქმარი მოჰკდომოდა, ამ პატიოსანის ხელობით თავს ირჩენდა. ამას „სუტ-კნეინას“ ეძახოდნენ, იმიტომ რომ ამისი უბედური ქმარი მთელ სიცოცხლეში კნიაზობას ეძებდა და ვერ დაიმტკიცა. ჩვენც ეგრე დავუძახოთ.

დიდი ენამეტყველობის სახელი ჰქონდა გავარდნილი თავადიშვილებში ამ სუტ-კნეინასა. ამისთანა გამოცდილი შუამავალი თურმე ორიც არ დადიოდა დედამიწის ზურგზედა. ამიტომაც ბლომად იღებდა ფეხის ქირასა, მაგრამ ეს იყო კარგი, რომ რაკი იკისრებდა საქმეს, ბოლოსაც მოუღებდა. აი, გძელაძესაც ეს ამოერჩივა, ხუთი თუმანი ბე მიეცა და თხუთმეტსაც დაჰპირებოდა, როცა საქმეს გაარიგებს. თუმცა გძელაძემ გამოგზავნა ლუარსაბთან, მაგრამ გამოცდილმა სუტ-კნეინამ ისე აჩვენა თავი, რომ მითამ ჩემ თავად მოვედიო, რომ ლუარსაბსაც დაავალოს და დასცინცლოს რამე.

ეს მოჰხდა ერთის აზნაურიშვილის სახლში, რომელმაც ჯვარი დაიწერა და ქორწილში სხვათა შორის ლუარსაბიც დაჰპატიჟა. ის სუტ-კნეინა ამ აზნაურიშვილის მამიდა იყო. ქორწილის მეორე დღეს, სადილის შემდეგ, ჩვენი ლუარსაბი შექეიფიანებული წავიდა და ფანჩატურში დაწვა. მზე დაწურვაზედ იყო, როცა ვიღაცამ ხელი ჰკრა და გააღვიძა. ლუარსაბმა გააჭყიტა თვალები და დაინახა ერთი პატიოსანი ხნიერი დედაკაცი. წამოხტა მაშინვე ფეხზედ.

– დაბძანდით, შენი ჭირიმე, მოისვენეთ, – უთხრა სუტ-კნეინამა, – უკაცრავადა ვარ, მოსვენება დაგიფრთხეთ, მაგრამ დედითქვენის მეგობრობა და ხათრიჯამი რომ მაგონდება, ის პატივი და სიყვარული, თქვენზედაც გული შემტკივა... აი, ამოდენა (დაბლა ხელით აჩვენა) ხელში მჭერიხართ, მითამაშებიხართ. დედათქვენი და მე დიდი მეგობრები ვიყავით, უერთიერთმანეთოდ ვერ გაგვეძლო, დიდი სიყვარული გვქონდა ერთმანეთისა: დები რად იქნებიან ისე, როგორც ჩვენ ვიყავით. დედათქვენი ხომ არ გახსოვთ?

– არა, მე მაშინ ორის წლისა ძლივა ვყოფილვარ, – მიუგო ლუარსაბმა, რომელმაც არ იცოდა ჯერ, რა ამბავია და ან რა უნდა ამ კნეინასა.

– რასაკვირველია, არ გეხსომებათ. ის უბედური ღმერთს რომ თავის უმანკო სულს აბარებდა, – იმის დამკარგავი მე ცოცხალი რაღადა ვარ, ეჰ, მადლობა ღმერთს, იმის ნებას ვინ წაუვა, – რომ უმანკო სულს აბარებდა, მე მაშინ ფეხთით ვეჯექი. ყველანი დაითხოვა ჩემ გარდა. მამათქვენი, მგონია, მაშინ მიცვალებული იყო.

– არა, ჯერ მასუკან თუნდ ექვსი წელიწადი იცოცხლა, – მიუგო ისევ ლუარსაბმა.

– მართლა, მართლა, რამ დამავიწყა? – სთქვა სუტ-კნეინამა, მითამ-და მართლა დაავიწყდა, – აი, სიბერე რა არის, ხსოვნამ მიღალატა, დიაღ, ცოცხალი ბძანდებოდა. დახე ჩემს გონებას! თავის პირით არ მიბძანა: „დაო, ხორეშან! ვიცი, რა სიყვარული გაქვთ შენ და ჩემ ცოლსა, წადი, ფეხთით დაუჯექ, იამება, შენ რომ გნახავს ისე ჩემი ნახვაც არ იამება“.

მამათქვენი დარბაისელი კაცი იყო, დიდი პატიოსანი, სახელოვანი და ყველასაგან პატივცემული. დიდი შიში-კრძალვა ჰქონდათ იმისი, განა მარტო საქრისტიანოში, სალეკოშიაც; დაღისტნამდინ იმისი სახელი გავარდნილი იყო, რუსებისაგანაც დიდი პატივი ჰქონდა. აბა თქვენ რა გეხსომებათ, პატარა იყავით. ჰო, რას მოგახსენებდით?.. – ჰკითხა ლუარსაბსა.

– რომ მამიჩემის სახელი დაღისტნამდინ გავარდნილი იყო, რომ რუსებისაგანაც დიდი პატივი ჰქონია, – უპასუხა ლუარსაბმა.

– არა, ეგ ხომ ვიცი. რაზედ დავიწყე, ის დამავიწყდა, ველარ მომიგონებია. აი, ბატონო, სიბერე ეს გახლავთ: წუთის წინად რას ვლაპარაკობდი, არ მახსოვს, მამათქვენის სიკვდილი – ოცის წლის ამბავი – რომ არ მახსოვდეს, რა საკვირველია.

– თორმეტის წლის ამბავი გახლავთ, – გაუსწორა ლუარსაბმა.

– თუნდ თორმეტისა, მაინც საკვირველი არ არის. რაზედ დავიწყე ლაპარაკი?.. – ჩაფიქრდა სუტ-კნეინა, მითამ-და არ იცოდა, რაზედ დაიწყო. იცოდა, ძალიან კარგად იცოდა, მაგრამ ჰფიქრობდა, ისე როგორ მოახერხოს, რომ ლუარსაბმა ტყუილში ველარ დაიჭიროს, როგორც მამის სიკვდილში დაიჭირა. ლუარსაბი გაშტერებული იდგა და სულ არ ესმოდა, რა განზრახვით მოსულა ამასთან კნეინა და რა განზრახვით ჰლაპარაკობს.

– ჰო, მართლა! – წამოიძახა სუტ-კნეინამა, ფიქრის შემდეგ, – იმას მოგახსენებდით: ცხონებული დედათქვენი რომ უმანკო სულს უფალს აბარებდა, ყველანი დაითხოვა, ჩემგარდა, და, როცა მარტოკანი დავრჩით, მიბძანა თავის სირინოზის ხმითა: „მე, ჩემო გულითადო მეგობარო ხორეშან, დიდის ხნის სიცოცხლე აღარა მაქვს. ვიცი, რომ ჩემი სიყვარული დიდი გაქვს. აი, ეს შენ და ეს ჩემი ობლები, შენ იყავ ამათი დედა“. ეს რომ ბძანა, – ვუი უბედურების მნახველს! – გული ამოუჯდა. მეც ღაპაღუპით წამომივიდა ცრემლები, ბევრი ვიტირეთ. მერე ხომ განუტევა კიდეც ის ანგელოზის სული. მე, როგორც თავზარდაცემული, ისე გიჟსავით დავრბოდი, თურმე ეგონათ, ვერ ავიტან მწუხარებას და ჭკვიდამ შევცდები. დიდი სიყვარული გვქონდა, ესე ვიყავით, თითქო ერთი ხორცი გვაქვსო და ერთი სული. დედათქვენიც ასეთი დედაკაცი ბძანდებოდა, – დაუმკვიდროს ღმერთმა სასუფეველი, – ასეთი დედაკაცი ბძანდებოდა, რომ ყველას ხატსავით უნდა ელოცნა. ასეთი რამ იყო! სადღა არიან ეხლა იმისთანები! ჩვენც ვიტყვით, დედაკაცები ვართო... მესამეს დღეს ქრისტიანულის წესით მივაბარეთ მიწასა იმისი ნათელი გვამი. დიდი სამღვდელო იყო მოპატიჟებული. მოგახსენებენ, მამათქვენს გვამის გასაპატიოსნებლად არქიელიც უნდა მოეწვივა, მაგრამ დროშკის ცხენები ვერ ეშოვნათ, რომ გაეგზავნათ. თქვენ ერთი ბეწო ობლები დარჩით, თქვენ და დავით პატარები იყავით, თქვენ მაშინვე შემიყვარდით, თქვენკენ მაშინვე გული უფრო მამიწევდა. არ ვიცი რად, დათიკოც ხომ იმისი ნაშობი იყო, მაგრამ თქვენ ჩემთვის სხვა იყავით. მე თქვენ ხომ არ გეხსომებით?

– არა, არ მახსოვხართ.

– აბა, რასაკვირველია, არ გეხსომები, შენ სამის წლისა იქნებოდი, როცა მე ქმარი მომიკვდა, ვაი იმის დამკარგავს! მას აქეთ შინიდამა ფეხი არ გამომიდგამს, ვარ ესე უნუგეშო, უპატრონო, ქვრივ-ოხერი. სიხარული ჩემთვის სიხარული აღარ არის, ქვეყანა ჩემთვის სულ შავებშია ჩაცმული. მაპატივეთ კადნიერება, იქნება თავი მოგაწყინეთ. რა ვქნა? ბედისაგან დამწვარ-დადაგული ვარ, დარდები მეშლება ხოლმე. რაღა გავაგრძელო, მოკლე სიტყვა სჯობია. თქვენ სამის წლისა იქნებოდით, რომ ქმარი დავკარგე.

მოგშორდით და მას აქეთ აღარ მინახვიხართ, მაგრამ გულით ისევ თქვენთან ვიყავი; ვისაც კი თქვენებურს შევხვდებოდი, თქვენს ამბავს ვკითხავდი, ერთ ღამეს – აი, ეს სამი თვეც არ იქნება, – დამეძინა. ვნახოთ, ღრმა ძილში რომ ვარ, ერთი მშვენიერი ანგელოზი, შუქმოფენილი, განწმენდილი და გასპეტაკებული თვალწინ გამომეცხადა. სიზმარს მოგახსენებთ, მაგრამ ასეთი სიზმარი იყო, რომ აქამდინ ცხადი მგონია. „–ხორეშან! – მიბძანა სულმა ცხოველმა, – მე შენის გულითადის მეგობრის სული ვარ, განწმენდილი და გასპეტაკებული“. მაშინვე მუხლებზედ მოვეხვიე დედი-თქვენის სულსა, დედათქვენი ბძანდებოდა. „– მუხლებზედ ნუ მეხვევი, – მიბძანა ხელახლად, – მე შენგან გული მტკივა: რად დაანებე თავი ჩემს დავითს და ლუარსაბსა? დავითი კიდევ არაფერი, იმან ცოლი იშოვა და დაბინავდა, ლუარსაბს რატომ არ ჰპატრონობ?“ სამი ღამე ერთიერთმანეთზედ მომევლინებოდა და სულ იმას მეტყოდა ხოლმე. ეგრე გახლდათ, თქვენი დაუტირებელი არ მოვკვდე! თუნდ ეგ არ ყოფილიყო, მე, როგორც მოგახსენეთ, უფლისა წინაშე აღთქმა მივეც, რომ დედობა გაგიწევო, და, აი, დღეს მოვიდა ის დღე. თქვენ ყმაწვილი კაცი ბძანდებით. მე, რა წამსაც დაგინახეთ, მაშინვე მივხვდი, რასაც გაუგიჟებია ის საწყალი ქალი. ღმერთმა შეარცხვინოს შენს მხარ-ბეჭთან ყარამანის მხარბეჭი და სიტურფე ტარიელისა, გონიერება გარდანქეშანისა. თვალი მოგკარით თუ არა, მაშინვე მივხვდი, რასაც აუნთია ცეცხლი იმ უბედურის ქალის გულშია. უბედურს ვამბობ იმიტომ, რომ იქნება თქვენ იმაზედ არც კი ჰფიქრობთ, ის კი იქა ჰდნება.

ლუარსაბს იამა, ისე უნებლიეთ ქუდი უფრო ჩაიტეხა, კისერი მოიღერა, წვრილ, ახალ აშლილ ულვაშებს ხელი გადუსო, წელში გასწორდა და მხარბეჭი მოიმარჯვა. ისე იამა, რომ პირველ ხანში ვერ მოახერხა სიტყვის თქმაცა. ჯერ არ იცოდა, რასაკვირველია, ის ქალი ვინ იყო, მაგრამ მაინც იამა.

– არც ქალია ურიგო, – დაიწყო ისევ სუტ-კნეინამა, – როგორი ყარამანიც შენ ხარ, იმისთანა სალბიხურამან ის არის. სწორედ ტარიელ და ნესტანდარეჯანი იქნებით, ორივე ერთად რომ შეგყაროთ. არც გვარი და შთამომავლობა აქვს ცუდი. მუხრან-ბატონთან ერთ ფურცელზედ არის იმათი გვარიც ჩაწერილი. კაი ქალი, კაი გვარიშვილი, კაი ოჯახი, სახელგანთქმული ნათესაობა, – ბიძა ერთი მაიორი ჰყავს, მეორე დიანბეგია თათრებში, ფულიც აქვს ნაღდად, მეტი რა გინდა? მერე დედი-შენის სურვილიც არის. ის ანგელოზი წუხელიც მომევლინა და მითხრა: „ეგ უთუოდ მოახდინეო!“

– ფული რაერთი აქვს? – ჰკითხა ლუარსაბმა.

– ორასი თუმანი ექნება?

– ნაღდად?

– სულ ბაჯაღლო ოქრო; შინა აქვს, პარკში შეკრული.

– გძელაძიანთ ქალი ხომ არ არის?

– თქვენ ვინ გითხრათ?

– მე ვიცი.

– მაინც?

– ვიცი, ის არის. განა მე კი გულში არა მქონდა იმ ქალის სახე, – მორცხობით ჩაიღიმილა ამ სიტყვაზედ ლუარსაბმა.

– საიდამ? გინახავს თუ?

– თვალითაც არ მინახავს, მაგრამ ისე ვიცი.

– მაშ ნებას დამრთავთ თქვენ მაგიერ ვილაპარაკო? რარიგად გაუხარდება ქალსა!

– თორემ მამას კი არა, – სთქვა სუტ-კნეინის ქებით გაზვიადებულმა ლუარსაბმა.

– არ გაუხარდება, თქვენმა მზემ! – გაუძნელა ძალად საქმე სუტ-კნეინამ.

– მაშ იმისგან არა ხართ მოგზავნილი?

– რას ბძანებთ? იმისაგან რომ ვიყო, საქმე გათავდებოდა, რაკი თქვენი ნებაც არის. ის არის, რომ თითონ მამა დიდს უარზედ სდგას.

– უარზე სდგასო!.. – წამოიძახა გულნატკენმა ლუარსაბმა, – რაში მიწუნებს მითამ? გვარი იმაზედ ცუდი არა მაქვს და ოჯახი მითამ რაო?

– ეხლა, ხომ მოგეხსენებათ, რიხიანი კაცია.

– მაშ არა იქს, რაღა?

– როგორ არა იქს, მაგრამ დიდი ცდა და ხერხიანობა კი უნდა.

– მაშ შეიძლება დავიყოლიოთ?

– ვინ იცის? ეგ ხერხზედ ჰკიდია, მაგრამ მაინც კიდევ ღმერთმა იცის, ჯიუტი კაცია.

– ხერხი კიდევ თქვენი საქმეა.

– მართალია, მაგრამ მარტო ჩემი ხერხი რასა იქს?

– სხვა რა უნდა? რაც შემეძლება, ჩემ კისერზედ იყოს. მადლის გადახდა ჩვენც ვიცით.

– უი, შენ გეთაყვანე, შენა! მაგას ვინ მოგახსენებს? გულუხვობაში თქვენი გვარი დიდი ხანია განთქმულია, განა არ ვიცი. თუნდ ეგ არ იყოს, დედიშენის შვილს მე უნდა გამოგართო რამე, მაშინ შემერგება ლუკმა? არა, გეთაყვა, მე მაგას არ ვიქ, ეგ შენ იცი. მაგრამ... მაგარი ეს არის, რომ „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო“, ერთი ოციოდ თუმანი მოგინდება, რომ იმისი მახლობლები შემოვისყიდოთ. ერთი კაცია იქ, იმისი სიტყვა გძელაძიანთ მოსესათვის ბეჭედია, ფირმანია სწორედ. იმას უნდა ხახა დავულბოთ.

– ეხლა სად ვიშოვო მე ოცი თუმანი? – უთხრა ცხვირპირჩამოშვებულმა, დაღონებულმა ლუარსაბმა.

– მაგაზედ ნუ შესწუხდები: შენ თამასუქი მამეც და ფულს მე გიშოვი.

– ბატონი ხარ. აი, თუნდ ეხლავ, – წაატანა სიტყვა გახარებულმა ლუარსაბმა.

სუტ-კნეინამ, რომ ჰნახა ესე ადვილად ლუარსაბის დაყოლება, იფიქრა: სულელი ყოფილა, რატომ ბლომად არ ვუთხარიო და, რომ გაასწოროს შეცდომა, ეს მოიგონა:

– ეს კი უნდა იცოდე, ჩემო შვილო, რომ დიდს სარგებელს გამოგართმევენ.

– დიდსა? მაინც რამდენს?

– თუმანზედ შვიდ შაურს.

– რა ვუყოთ, მივცემ. „როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო“, – ნათქვამია.

– მაშ ყური დამიგდე: შენ ჯერ უარზედ დადეგ, ვინც რა უნდა გითხრას, ფეხი მაგრა დააჭირე, იქნება იმ ქოფაკს, როცა დაყაბულდება, ჭახრაკი მოვუჭიროთ, მეტი დავსტყუოთ, გესმის? მე სულ შენთვის ვამბობ, თორემ მე რა მერგება. ხომ გესმის?

– მესმის, როგორ არ მესმის! ფეხი უნდა დავაჭირო.

– მაშ ეხლა მე ვიცი, ხვალ დილაზედ თამასუქს მოვამზადებინებ, შენც ხელი მოაწერე და მერე მე ვიცი.

– თამასუქი წინ მოგცე?

– მაშ, ქა!.. ფულს ისე ვინ განდობს? მე რომ მქონდეს, არ დაგიჭერ, ხომ იცი. დედიშენის შვილს როგორ დავუჭერ, მაგრამ მე, ქვრივ-ოხერს, ვინ მომაბადა, სომეხს უნდა გამოვართო. აბა სომეხი, ხომ იცი, რა ურიაა.

– ვიცი, ვიცი.

– მერე, როცა გავარიგებ, მეც ერთი ქვრივ-ოხერი ვარ... ერთი-ორჯერ პურს მაინც მაჭმევ, – შეაბრალა თავი სუტ-კნეინამა, – შენი გვარი დარდიმანდობაში და პურმარილობაში განთქმულია.

ლუარსაბს იამებოდა ხოლმე, როცა ეგრე იხსენიებდნენ იმის გვარს, ოღონდ ეს გეთქვა და ჩოხას გაიხდიდა და შენ ჩაგაცმევდა.

– ერთი ეს მითხარ, ქალი როგორია? ყველა-ყველა და ეს კი დაგვავიწყდა, – მოიგონა ბოლოს ლუარსაბმა.

– წიგნში და ხელსაქმეში კარგად გაწურთვნილია, მეტი რა გინდა, – უპასუხა იმანაც.

– წიგნი რად მინდა? რა, ბრძნად ხომ არ დავსომ!.. შენ ერთი ეს მითხარ, მადლიანი სახე აქვს? ფერზედ როგორ არის?

– მაგას ნუღარ მკითხავ, კალმით ნახატია.

– მაშ რაღა, ფეხი დავაჭირო? – ჰკითხა ლუარსაბმა, რომელსაც სუტ-კნეინის უკანასკნელ სიტყვებზედ სიხარულმა და წადილმა ტანში მეტად საამურად გაურბინა.

– დიაღ, ფეხი დააჭირე. ამას შენთვის ვამბობ, რადგანაც ჩემს დაზედ უკეთესის შვილი ხარ, თორემ – თითონ შენ იცი – მე გამორჩენა არა მაქვს-რა. ჩემის სულის საცხონებლად მინდა მოვახდინო ეს საქმე, თორემ მოსე გძელაძე მე არას მამცემს. ნეტავი დავიყოლიო და დედიშენის შვილის ბედნიერება მოვახდინო და გამორჩენას ვინ იკითხავს!

– ჩემ კისერზედ იყოს ეგა. ლამაზია? – ჰკითხა ღიმილით კიდევ ლუარსაბმა.

– გითხარ, კალმით ნახატია-მეთქი.

– ორასი თუმანიცა აქვს?

– იქნება მეტიც, – ეგ მე და შენზედ ჰკიდია.

– იქნება მეტიცო!.. ჰა, თქვენ რას იტყვით, ცუდი არ იქნება, – ისე სთქვა ლუარსაბმა, თითქო რჩევას ეხლა აპირებსო.

– შენ როგორღაც გულში ჯერ არ გადაგიწყვეტნია, როგორც ვხედავ, – დაატანა ცბიერმა სუტ-კნეინამ, რომ გამოათქმევინოს, გულში კარგად გაუჯდა თუ არა; თუ გაუჯდა, კიდევ დასტყუოს რამე.

– ეჰ, რას ბძანებ?

– როგორ რას ვბძანებ? თუ გულში არა გაქვს, ნუ შემარცხვენ, ეხლავ თავი დამანებებინე.

– თავი როგორ დაგანებებინო, რომ იმ ქალის სიყვარული გულში ნაღვერდალსავით ჩამიგდე. აბა, როგორ დავანებო თავი? მითამ რაში დავიწუნებ?

– მაშ გავათავეთ?

– გავათავეთ.

– უი, შენ გენაცვალოს ჩემი თავი! ძლივს დედიშენის მოვალეობას და უფლისა წინაშე აღთქმას არ შევასრულებ, თუ მოსე გძელაძე ძალიან არ გაგვიჯიუტდა!

– ის კაცი რომ სთქვი, მოიყიდე, მეც აქ ფეხს დავაჭერ.

– ნეტავი იმის მეტი ქრთამი არ დაგვეხარჯოს! იქნება სხვასაც მოუნდეს.

– შუაზედ გაუყავ ოცი თუმანი.

– უი ჩემ თვალებს! ქა, როგორ იქნება? უბრალო კაცის შვილები ხომ არ არიან,

ათ-ათ თუმანში ხელი გაისვარონ, თავადიშვილები არიან, სახელგანთქმულები, იმათი მოსყიდვა ადვილი არ არის. აი, როგორ გეტყობა, რომ ჯერ ყმაწვილი ხარ.

– ოცის წლისა ჯერ სრული არა ვარ, – იტყუა ლუარსაბმა, სრული იყო.

– ისიც ჩვიდმეტის წლისა იქნება. სწორედ გვრიტები იქნებით. უი, ნეტავი კი იმ ბედნიერ დღეს შევესწრა, რომ თქვენ ერთად მხარიმხარ მსხდომნი გნახოთ და! ბევრი არ შემოგნატრებენ!

– მაშ ერთი აუჩქარე, თუ მართლა ეგრეა, თუ ღმერთი გწამს, – შეეხვეწა მოუთმენელი ლუარსაბი.

– ნეტავი ჩემს აჩქარებაზედ იყოს დამოკიდებული და მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მე მაგას ბოლო მოვუღო, მაგრამ ის წყეული მამაა საქმე. ღმერთი მოწყალეა, ნუ გეშინიან.

ეგრე გათავდა პირველი მოციქულობა სახელოვანის მოციქულისა. ლუარსაბს ამ დღის აქეთ, ცხადივ თუ სიზმრად, სულ ის კალმით ნახატი ქალი აგონდებოდა და ორასთუმნიანი პარკი. საღერღელი მეტად აეშალა, სურვილმა მეტად აადუღა, ასე რომ, როცა მოიგონებდა, ერთს ლაზათიანად გაიზმორებდა და ამას იტყოდა მსუნაგსავით ტუჩის ლოკვითა: „კალმით ნახატი ქალი, ორასი თუმანი ბაჯაღლო ოქრო და იქნება მეტიცო... ჰა! რას იტყვი ლუარსაბ, ურიგო არ იქნება, განა? ამაზედ არის ნათქვამი: „ბედი მომეცი და სანახვეზედ გადამაგდეო!“

VII

თუმცა სუტ-კნეინამ თავის ანგარიშების გამო საქმე ცოტად გააგრძელა, მაგრამ მალე უნდა გათავებულიყო, რადგანაც ორივეს მხრივ ნების დართვა იყო. სუტ-კნეინის ანგარიშების გარდა, ერთი სხვა ხიფათიც მოსდევდა ამ საქმეს: ქალი, პირველი, რომ ოცის წლისა იყო და ამბობდნენ ოცდაერთისაცაო – ეგ არაფერი, ამაში შეიძლებოდა კიდევ ხერხიანად მოეტყუებინათ, ცხენი ხომ არ იყო, კბილებზედ შეეტყოთ, მაგრამ ჭირი ის იყო, რომ მეტად მახინჯი გახლდათ. აბა, აქ როგორ მოატყუებ? თვალებს ხომ არ აუბამ? მართალია, შეიძლებოდა, პირველში სხვა ეჩვენებინათ, მერე, რაკი ჯვარის დასაწერად მოვიდოდა, ძალად გადასწერდნენ ჯვარსა, მაგრამ სუტ-კნეინას ეშინოდა: მერე ხომ თმით მათრევენო. თმით თრევა კიდევ არაფერი, რომ კარგად გამორჩენა შეიძლებოდეს, ოცი თუმანი აბა რა ფულია! მართალია, ლუარსაბსაც ჩამოართო ბარათი, მაგრამ, რაკი ამისთანა მახეში გააბამდა საწყალსა, მერე როგორღა მივიდოდა ფულის გამოსართმევად? ხომ უზიარებლად დაარჩობდა. ეჩივლა და ბარათი დიანბეგთან წარედგინა, რა გამოვიდოდა? ლუარსაბი გააბათილებინებდა, თუ არა და ნახევარს დიანბეგი წაიღებდა. მაგ ნახევარს ჯანი გავარდეს, ოღონდ საქმე არ გამოაშკარავდეს. მაშინ რა ეშველებოდა სუტ-კნეინასა? ხომ ციხეში დაიჭერდნენ. „არა, – იფიქრა კნეინამ, – ეს ბარათი კიდევ აქა მქონდეს: როცა დრო მოვა, შევუთვლი, თუ მომცა, ხომ რა კარგი, თუ არა და ჯანი იმასაც გავარდეს. ერთის სიტყვით, ეს ბარათი ან ჰო არის, ან არა. საჰო-არაოდ საქმე რად გავიხადო. სიფრთხილეს თავი არ ასტკივა: ისევ ისა სჯობია, მოსე გძელაძეს ათიოდ თუმანი ნაღდი – აი ეგ მიყვარს! – მოვამატებინო და გავბედო ლუარსაბის მოტყუება, თორემ იქ ჩივილი, ერთი დავიდარაბა ასტყდება, იქნება საქმეც გამოაშკარავდეს, ამას იქნება კიდევ სხვა საქმეებიც ზედ შემიკეცონ, – ერთი ხათაბალა რამ გამოვა... რადა? არა,

ეგ ჩემი საქმე არ არის: მე მიყვარს „ჩისტად“ საქმის დაჭერა.

ეგრე მომართული იყო სუტ-კნეინა, როცა გძელაძიანთ სოფელში შევიდა ამისი ურემი, მითამ-და ერთ რაღაც ძველ საყდარში ღამის სათევად მოვიდა. მეორე დილას თითონ მოსე გძელაძე მოიჭრა და სუტ-კნეინა თავის სახლში შეიპატიჟა. დაიწყეს ლაპარაკი.

– აბა, ჩემო ღვიძლ დაზედ უფრო უკეთესო დაო! ქალია თუ ვაჟი? – ჰკითხა მოსე გძელაძემ.

– ვაი, რომ ქალია, – უპასუხა შეწუხებულსავით სუტ-კნეინამ.

– როგორ? არ ირთავს?

– არა.

– მაინც რას ამბობს?

– ქალი არ მოსწონს – ნუ გეწყინებათ კი, – მახინჯი არისო.

– ვაი შენს მოსეს! განა უნახავს სადმე?

– არა, არსად არ უნახავს, მაგრამ შეუტყვია.

– თუ არ უნახავს, მაშ კიდევ შეიძლება საქმე დავატრიალოთ.

– აბა როგორ?

– თუ შენ შემეწევი, ჩემო დაო, და ჩემს პურ-მარილს არ დაივიწყებ, საქმეს დამში მოვიყვანთ.

– აბა, გეთაყვა, მე რაღა თხოვნა მინდა, ხომ იცი ჩემს თავს შენის სამსახურისათვის არ დავზოგავ.

– მაშ თუ ეგრეა, დამაცა.

ადგა მოსე, გავიდა გარეთ და პატარა ხანს შემდეგ შემოიყვანა ერთი მშვენიერი, მოხდენილი ახალგაზრდა გოგო. დააყენა სუტ-კნეინის წინ, ხან აქეთ შემოატრიალა, ხან იქით, მერე უბძანა, რომ გარეთ გავიდეს.

გამოცდილი სუტ-კნეინა მიხვდა, რასაც მოასწავებდა ეს ამბავი, მაგრამ თავი მოიკატუნა, მითამ და არაფერი იცის. მოსე გძელაძე მოვიდა და მოუჯდა ისევ გვერდით.

– როგორ მოგეწონა? – დაიწყო გძელაძემ.

– ერთი ტურფა რამ არის, – უმანკოებით მიუგო მანკიერმა სუტ-კნეინამ.

– უფრო კარგი იქნება, რომ ჩემის ქალის ტანისამოსით მოვრთოთ?

– რასაკვირველია: ერთი-ორად მოემატება სიკეკლუცე.

– ეხლა შენ რას იტყვი, რომ ნიშანის მომტანს ეს გოგო, ლამაზად მორთული, ჩემის ქალის მაგიერად ვაჩვენოთ? – ჰკითხა მოსემ და თვალი თვალში გაუყარა, რომ პასუხი იქ ამოეკითხა.

– მერე სასიძო ხომ მოვა ნიშნის მერეთ, იმას რაღას უზამ?

– იქამდინ ვინ დააცლის? მესამე დღესვე ჯვარისწერა დავუნიშნოთ. სადღა მოიცლის, რომ ქალის სანახავადაც მოვიდეს?

– მერე ხომ მაინც ჯვარის საწერად მოვა?

– მერე მე ვიცი. შენ ოღონდ მანამდინ დამეხმარე, მერე ჩემს კისერზედ იყოს. ძალად ჯვარს გადავწერ.

– არა, გეთაყვა, მე მაგ საქმეში ხელი დამიბანია, მე მაგას არა ვიქ, ეხლავ გეუბნები.

– რატომ?

– აბა, იმას გაუგია, რომ მახინჯიაო...

– მაგის ფიქრი ნუ გაქვს, – გააწყვეტინა სიტყვა მოსემა, – ნიშანის მომტანი რომ ამ გოგოსა ჰნახავს, მივა და ეტყვის: რას მიჰქარავ, იმისთანა ქალი ჩემს თვალებს ჯერ არ უნახავსო. თუნდ ეგ არ იყოს, ერთი ხუთიოდე თუმანი და იმისი ჯანი. ასეთს ავალაპარაკებ, რომ...

– ძმას გამოგზავნის.

– უფრო კარგი. რასაც თავის თვალით ჰნახავს, თუნდ ქრთამი არ იყოს, ის არ უნდა უთხრას? თორემ ფულიც ხომ არა მშურს.

– არა, გეთაყვანე, მე მაგ ცოდვაში არ ჩავდგები. აი, შენი ბეედ მოცემული ხუთი თუმანი, მე კი ხელი დამიბანია.

ამოიღო ორი ოცდახუთმანეთიანი ასიგნაცია და მისცა მოსეს გამოქნილმა მოციქულმა.

– მაშ მღალატობ?.. – უთხრა გულის სატკენად მოსემა, – მაშ ჩემი ოჯახის დაღუპვა გინდა? მაშ ჩემი საწყალი ქალი არ გებრალება? ეჰ! მუხანათო წუთის-სოფელო!.. სულ ტყუილი ყოფილა: პურ-მარილიც, პატივისცემაც, სიყვარულიც, მეგობრობაც!.. ეჰ, შენი ნებაა!.. ეს კი იცოდე, რომ გულში შხამწასმული ისარი გამიყარე, სპილენძის ტყვია მომარტყი, ურჯულო ლეკსავით ქრისტიანი სული წამწყმინდე.

მოსეს ეგონა, რომ ამ სიტყვებით მოვულბობ გულსაო, ის კი არ იცოდა, სუტ-კნეინა რა კნეინა იყო! სუტ-კნეინა კი იქნებოდა, რომ სიტყვით მოტყუებულიყო!.. სუტ-კნეინას თუმცა გულში ეცინებოდა, მაგრამ სახე შეიჭმუხნა, მითამ სწუხს კიდეც და ვერა უშველია-რაო.

– შენ ნუ მამიკვდები, მოსე, – უთხრა მწუხარეს ხმით კნეინამ, – და იმ შენის სახის ჩემს უბედურს ქმარს პირშავად არ შევეყრები საიქიოს, რომ შენის ოჯახის სამსახურისათვის მე თავს არ დავიზოგავდი, მაგრამ სამსახურიც არის და სამსახურიც.

– რა ვუყოთ, რომ არის? – მიუგო ეხლა კი ცოტად იმედმოცემულმა მოსემ, რადგანაც შეატყო, რომ სუტ-კნეინა დაყოლებას აპირებს, – რა ვუყოთ რომ არის? განა ჩვენ კი არ ვიცით სამსახურის გადახდა? რა უმადური მე მიპოვე? ოცი თუმანი არ დაგპირდი? ოცდახუთი იყოს, შე დალოცვილო!

– არა, გეთაყვა, ფულზედ ხომ არ არის საქმე: თმით მათრევენ სიბერის დროს, სულს წავიწყმენდ.

– ოცდაშვიდი იყოს.

– არა, გეთაყვა, ფული რა სახსენებელია: საქმე დიდი გასაბედავია.

– ხომ მოხერხება შეიძლება? ოცდარვა იყოს.

– არა, შეძლებით კი შეიძლება, მაგრამ თავს ვინ გამოიმეტებს?

– ოცდაცხრა იყოს, – უმატებს ნელ-ნელად მოსე და ყოველ მომატებაზედ ჰხედავს, რომ სუტ-კნეინა რბილდება.

– ძალიან თავის გამომეტება კი უნდა, თორემ შეძლებით რა არ შეიძლება.

სუტ-კნეინამ, ხელოვანმა სუტ-კნეინამ, ძალიან ცბიერობითა სთქვა ეს უკანასკნელი სიტყვა, თითქო მოსე რომ ფულს უმატებს, იმას ყურსაც არ ათხოვებსო, და მარტო იმასა ჰფიქრობს: შეიძლება, თუ არაო. დიდი ხანია იცის სუტ-კნეინამა, რომ შეიძლება, მაგრამ კარგა მსუქანის ლუკმის ამოვლება უყვარდა, რაკი ქვაბში ხელს ჩაჰყოფდა ხოლმე. მოსეს რომ არ დაესწრო, თითონ სუტ-კნეინა ეტყოდა მაგას, ესე მოვიქცეთო. კალმით ნახატიაო, უთხრა და ამისთანა მახინჯს ხომ არ დაანახვებდა? სწორედ მაგისთვისაც მოვიდა, რომ

მოსესთან არჩიოს, ისე კი, რომ ფულიც მეტი გამორჩეს. რაკი მოსემ დაასწრო, გამორჩენის საქმე ნახევრად გარიგდა. სუტ-კნეინას კიდეც გაუხარდა, – ეხლა მე უარზედ უნდა დავდგეო, სთქვა გულში, და თუ გამორჩენაა, აქ გამოვრჩებიო.

– ოცდაათი იყოს, – დაუმატა კიდევ სწორე გზაზედ დამდგარმა მოსემ. — მეტი კი აღარ შემიძლიან.

– რატომ? – დაიწყო ისევ თავისებურად კნეინამ, რაკი ოცდაათამდინ აიყვანა, – რატომ? შეძლებით კი შეიძლება, მაგრამ ნიშნობაში მეც უნდა ვიყო, რომ, თუ მოხერხდეს, კარგად მოხერხდეს. ეს არის ჭირი, რომ ამ კაბით ხომ ვერ მოვალ?

– კაბაც შენი ჭირის სანაცვლო იყოს, – დაასწრო გახარებულმა მოსემ, რაკი ჰნახა, რომ სრულიად დაიყოლია, – კაბა ჩემ კისერზედ იყოს.

– მაშ ყური მათხოვე, რას გეტყვი: მე იმას ნიშანის მოსატანად ძმას გამოვაგზავნინებ. შენ გოგო ლამაზად მორთე, – ეცადე არავინ გაგცეს, – სამ დღეს უკან კი უთუოდ ქორწილი უნდა მოახდინო. მოიგონე რამე, რომ ყმაწვილმა ქალის ნახვა არ მოასწროს. მერე ხომ შენ იცი, ჩემი საქმე მაშინ გათავებული იქნება.

– ნიშნობის ღამეს ფულს სრულად ჩაგაბარებ, ეხლა თუ გინდა, ეს ხუთი თუმანი ბე ისევ წაიღე.

– არა, ათი თუმანი მიბოძე, რა ვიცი, იქნება როგორ დამჭირდეს, აქ ხომ ვერ გამოვიქცევი.

– შვიდ თუმანნახევარი იყოს ჯერ.

– ათი მიბოძე. ისევ შენის საქმისათვის მინდა, შენს საქმეს მოვახმარებ, თუ გამიჭირდა. ჩემთვის ხომ არა გთხოვ.

– რა? ეს ათი თუმანი იმ ოცდაათ თუმნის ანგარიშში არ გინდა წაიღო თუ?

სუტ-კნეინამ გაიცინა.

– მაშ, ქა?

– ჰო, ეგრე სთქვი, მე მეგონა, მართლა, ეს ცალკე გინდა, რომ ჩემს საქმეს მოახმარო.

– არა, გეთაყვანე, იმის ანგარიშში მიმაქვს. საკაბე კი მალე მიბოძე, რომ შეკერვა მოვასწრო.

– აი, ათს თუმანს მოგართმევ, იქიდამ შეიკერე და მერე გავსწორდებით.

სუტ-კნეინა დაჰყაბულდა, მაგრამ მოსტყუვდა კი.

რაღა გავაგრძელო, მოსემა და კნეინამ ესე დააწყეს საქმე და სწორედ ეგრეთაც ბოლო მოუღეს. კაი ბადე დაუგეს ლუარსაბსა და კარგადაც გააბეს.

ორი კვირა რომ გავიდა, აღტაცებულმა ლუარსაბმა, აქაო და საქმე გარიგდაო, კარგის ნიშანით თავისი უფროსი ძმა დავითი გამოისტუმრა. დიდის ყოფით მიიღეს დავითი. ხალხი მოსემ არ მოიწვივა, სრულიად არავინ, რომ ეშმაკობა არ შეუტყონ, ლუარსაბსაც მისწერა, ნურავის შეატყობინებო. აი, ის წიგნი ნამდვილი თავის ღირსებით და შეცდომებით:

„ჩემო აღმატებულო ბედნიერო გვაროვანო სიძეო:.

„თუმცა დიდათ ბედნიერი ვარ რომელიცა რომა შენგანა ვარ დღეს მოხუცებული ბედნიერი და გული ჩემი სიხარულით აღავსე ნეტარითა სიძოობითა თქვენითა და თვალი ჩემი აახილე რომელიცა რომა დაინახა ისევ გაზაფხული მუხთალისა სოფლისა ამისა ფრიად სიხარულში ვარ რომელიცა ეხლა ვარ ჩემო აღმატებულო გვაროვანო სიძეო რომელიცა გთხოვ გამოგზავნო ნიშანი რომა საქმემ არ დაიგვიანოს დიდი ხალხი არ

გამოგზავნო რომელიცა რომა მე მოხუცებული კაცი ავადა ვარ სნეული და პატივი და მასლაათი და ქეიფი რომელიცა აწ მე აღარ ძალმიძს რომელიცა ფრიად შეაწუხებენ ქორწილში რომელიც თქვენ იქნებით ჩემს სახლში მასპინძელი დიაღ დიდი ხალხი მოვიწვიოთ თქვენცა დიდი და პატიოსანი ნათესაობა გყავს რომელიცა არც მე ვარ უნათესაო და ბლომად შევყაროთ ისე როგორათაც შეჰფერის დიდებულს გვაროვნობასა თქვენსა და ჩემსა ოჯახს სახლკარიანობასა ჩემსა.

“სხვებრ ბძანდებოდეთ ბედნიერებით იესო ძე ღვთის მიერ ვითხოვ თქვენს ბედნიერებას რომელიცა რომა მსურს ნახვა თქვენი თქვენი სიმამრი ბრწყინვალე თავადი მოსე ნოშრევანისძე გძელაძე:”

რასაკვირველია, თავაზიანი ლუარსაბი ამ წიგნის შემდეგ აღარ გაგზავნიდა ბევრს ხალხსა. მარტო ერთი დავითი და ერთი კიდევ ვიღაცა გამოისტუმრა, რომ ახალი სიმამრი, რადგანაც ავად არის, არ შეაწუხონ, დავითს კი დააბარა, რომ ფულზედ კარგად მოილაპარაკოს, როდის ჩააბარებენ, და მერე ქალი კარგად გასინჯოს.

დიდის პატივით მიიღო მოსემ დავითი. ქალის მაგიერად ის მშვენიერი გოგო მორთეს და დავითს ისე აჩვენეს. დავითი გაგიჟდა, რომ დაინახა და გულში არ იყო რომ შურმაც არ გაუარა, ნამეტნავად თავისი მჭლე ცოლი რომ მოაგონდა ამასთან. ვახშამზედ რომ ისხდნენ, მარტო ოთხნი იყვნენ დავითი და ამასთან მოყოლილი ის ვიღაცა, თითონ მოსე და ამისი მოზრდილი შვილი. კნეინაც თუმცა მოსესთან იყო, მაგრამ ქალთან ივახშმა. მოსემ ბოდიში მოიხადა, რომ ხალხი არ დაუპატიჟა ამისთანა ბრწყინვალე გვარიშვილებსა.

– რა ვქნა, შენი ჭირიმე, – უთხრა დავითს მოსემა, – ჩემო ახალო მოყვარევ! ავადა ვარ, თასლიბს ვერ გავუწევდი. სიძუნწეში არ ჩამომართო, შენი ჭირიმე! აბა, ჯერ ისე ავადმყოფი რა არის, მერე მასპინძელი რა უნდა იყოს. თორემ იმდენი სიკეთე ღმერთმა შენ მოგცეს, რამდენი ნათესაობა და მახლობლობა მე მყვანდეს. მაგრამ ჩემი მაყურებლები რა ქეიფს გასწევდნენ. ისევ ის ვამჯობინე, ნუ დავპატიჟებ-მეთქი. ამ ნიშნობამ ისე შინაურულად ჩაიაროს, ქორწილი კი ჩემ კისერზედ იყოს. ქორწილისა რა ბძანა ჩემმა სიძემა?

– რაც ჩქარა იქნება, ისა სჯობიაო, – უპასუხა დავითმა, პირფერობაში კი ნუ ჩამომართმევთ და ეს ქალი რომ ჰნახოს იმან, იმ წამშივე ჯვარს დაიწერს, თავი არ მომიკვდება!

– მზეთუნახავი ყოფილა, – დაუმატა სტუმარმაც.

– რა ვქნა? მადლობა ღმერთსა, ღმერთმა ეგ მომცა და ყველაფერი ღვთის ნებაზედ ჰკიდია, – თქვა მოსემა, – მიხარიან, თქვენმა მზემ, რომ ქალი მოგეწონათ.

– ღმერთმა აცოცხლოს პატარძალი! – წამოავლო ჯამს ხელი დავითმა, – ღმერთმა ტკბილად შეაბეროსთ ერთმანეთს!

– მადლობელი ვარ, თქვენი ჭირიმეთ! – დაუკრა ყველას თავი მოსემა. – მაშ რაც მალე იქნება, ისა სჯობია.

– იმან ისე მოგახსენათ, – უპასუხა დავითმა, – მეც, სწორედ მოგახსენოთ, მაგას ვურჩევ ჩემს ძმასა. რაღა გავაგრძელოთ საქმე.

– ჩემის ფიქრითაც ეგრე სჯობია, – სთქვა მოსემა, – ქალი აქა ჰდნება – მამისაგან კი არ უნდა ითქვას ესა, მაგრამ შორეული ხომ არა ხართ, თქვენთან რა დავმალო, – ქალი აქა ჰდნება...

– ის კიდევ იქ, თქვენმა სიცოცხლემ! – წაართო სიტყვა დავითმა.

– მაშ, როცა მიბძანებთ, მაშინ იყოს ქორწილი, – სთხოვა მოსემა.

ერთის სიტყვით, გადასწყვიტეს, რომ სამშაბათს საღამოზედ სიძე უნდა მოვიდეს და იმ ღამესვე ჯვარი უნდა დაიწეროს. მეორე დღეს დავითმა ფულზედ ჩამოუგდო ლაპარაკი. მოსემ დააჯერა, რომ ქორწილის მეორე დღეს ორასს თუმანს სულ ბაჯაღლო ოქროებს თავის ხელით მიართმევს. ხელი-ხელს დაჰკრეს, დავითი – მეორე დღეს პატარძალი აღარ აჩვენეს, – შინ წამოვიდა და მოსე თავის სახლში დარჩა. როცა მოსემ ცხენზედ შესო და გამოისტუმრა დავითი, როცა მარტო დარჩა, ხელები დაიფშვნიტა მეტის სიხარულისაგან და სთქვა ღიმილით: ყოჩაღად წავიყვანე საქმე. ეხლა ჩემი წუხილი მარტო ის არის, რომ სუტ-კნეინას ხრიკი მოვუგდო, ერთი მიზეზი რამ მოვუგონო, რომ ფული აღარ მივცე იმაზე მეტი, რაც მიმიცია, თორემ, იმისაგან რომ მოვტყუვდე, სირცხვილია.

ამ ფიქრში იყო, რომ სუტ-კნეინა – მოსეს ცოლი არა ჰყვანდა და ჯალაბობას კნეინა ჰთამაშობდა – წინ მოეგება გახარებული.

– ჰა, რარიგად მოვიდა საქმე! – უთხრა სუტ-კნეინამა, – მომილოცავს შვილის ბედნიერება. დიდი ჯაფა კი გავწიე. სულ ვიწურებოდი – შენზედ მიწა არ მენახოს – სულ ვიწურებოდი, რომ ან აი ეხლა შეიტყობენ-მეთქი, ან აი ეხლა – და დავიღუპები, მაგრამ მიშველა ღმერთმა და ვერ შეიტყეს.

– ეჰ, შე დალოცვილო – უპასუხა მოსემ, – იწურებოდი, ასე გგონია, პირველად ჩაგედინოს ამისთანა საქმე. იწურებოდა!.. თქვენი ხელობა მეტი რა არის? იწურებოდა!..

სუტ-კნეინა შეკრთა.

– არა, ჰხუმრობ, თუ მართლა მეუბნები? – ჰკითხა შემკრთალმა სუტ-კნეინამა.

– მაშ არაᲗდა გეხუმრები!

– ეხლა განა?

– ეხლაცა და მაშინაც.

– ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, თუ ეგრეა, მე კი გამისტუმრე და მერე შენ იცი.

– სადაც გინდა წაბძანდი, ხელს ვინ გიჭერს.

– რასაკვირველია, ხელს არავინ დამიჭერს, მაგრამ დაპირებული მიბოძე და ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, რაც გინდა ილაპარაკე ჩემზედ: გული არ მეტკინება.

– დაპირებულიო!.. რაც მოგეცი იმასაც ვნანობ და გგონია, კიდევ მოგცე რამა!

– ეხლა ეგ ნამუსია? მოხუცებული დედაკაცი ფოშტის ცხენსავით მათრიე, ქვეყანაში თავი შევირცხვინე, საქმე საქმეზედ მოვიყვანე და ეხლა მაგას მეუბნები?! ნამუსია?

– დაჩუმდი, თორემ...

– არა, ნამუსია?.. შენა გკითხავ, ნამუსია?

– ის კი ნამუსია, რომ აგიღია ფეხი, სოფლიდან სოფლად დადიხარ და მაჭანკლობ, ნამუსია? შარშან რომ ათ თუმნად შენი დისწული, გასათხოვარი ქალი, დიანბეგს მიჰგვარე, ნამუსია? როცა დაორსულდა, შენ რომ წამალი მიეცი და მუცელი წაუხდინე, ნამუსია?..

სუტ-კნეინას გული ყელში მოებჯინა, თავისი სიფრთხილე, გამოცდილობა ამგვარებში და გულის სიგრილე დაჰკარგა.

– მაშ თუ აგრეა, – დაიყვირა გაკაპასებულმა სუტ-კნეინამ, – შენი ფეხი დამკარ თავში, შენი ფეხი, თუ ეგ საქმე არ დაგიხლართო!

– შენი ლეჩაქი დამხურე თავზედ, – ამ მუქარაზედ მშვიდობიანად უპასუხა მოსემ, –

შენი ლეჩაქი, თუ ეხლავ გომურში არ დაგამწყვდიო, მინამ ქორწილი არ გათავდება. რას მიზამ! მიჩივლებ თუ? არა მგონია, შენი თავი სადიანბეგოდ გახადო: ცოდვა ბევრი გაწევს კისერზედ, სულ ერთი-ერთმანეთს ზედ მიეკეცება, და მაშინ ციმბირშიაც ალაგი არ გექნება, შე ტყუილო-კნეინავ, შენა! ეს ის დიანბეგი კი არ არის, რომელსაც გოგოს გაურიგებდი ხოლმე და ბურთსავით ხელში ათამაშებდი! ის დრო წავიდა.

ვერც ამ სიტყვებმა მოიყვანეს თავის გონზედ გამწარებული სუტ-კნეინა. ის ისევ-ისე სიმწარისაგან გონებამიხდილი იყო, თორემ გაჯავრების და მუქარის მაგიერ ისეთნაირად მოიკატუნებდა თავს, ისეთნაირად მოუკვდებოდა ხელში, რომ ყველაფერს გააქარწყლებდა. ეხლა კი ჯავრისაგან, როგორცა ვთქვი, გონება დაბნეული ჰქონდა, იმიტომაც მაინც კიდევ შეჰყვირა:

– დამამწყვდევ!.. უი, მეხი კი დაგეცა მაგ უხეირო თავზედ! დამამწყვდევ რა, შენი მოახლე გოგო ვარ, ან შენი გომბიო ქალი!..

– რაო? აი, თუ გოგოზედაც უარესი არა ხარ. მე ეხლავ გაჩვენებ, როგორც გაგისტუმრებ გომურში, – უთხრა ხუმრობაგაშვებით მოსემა, – შენ რომ ჩამოგარჩო კიდეც, ხმას არავინ გამცემს. მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო, მერე რომ არა დამაბრალო-რა, ეხლავ მიჩვენე ჯიბეში რა გაქვს.

მივარდა სუტ-კნეინას ჩვენი მართალი კნიაზი. სუტ-კნეინა ჯერ გაუძალიანდა, ბოლოს კი, – ღვთის წყალობა გქონდეთ, – იკადრა ერთის ლურჯის ხელსახოცის ამოღება, რომელშიაც რაღაცები ეხვია. სუტ-კნეინა გაფითრდა და პირი გაუშრა. ვეღარა უთხრა-რა. მოსემ გაშალა ხელსახოცი და თავისი ათი თუმანი იქ გამოკრული ისევ ხელუხლებლად ჰნახა, მაშინვე ჯიბეში იკრა. ერთი რაღაც ქაღალდიც მოჰხვდა ხელში. გაშალა, თამასუქი იყო, ის თამასუქი, რომელიც სუტ-კნეინამ ლუარსაბს დასტყუვა. მინამ ამ საქმეში იყო გართული, სუტ-კნეინას თავისი ხერხი, ეშმაკობა, გამოცდილება დაუბრუნდა. იფიქრა სუტ-კნეინამ: „ამ ყვირილს და მუქარას თავი უნდა დავანებო, თორემ დამწყვდევას გამიმართლებსო. თუნდ დამამწყვდივოს, არაფერი, ხუთი-ექვსი დღე სიზმარსავით გაირბენს: შინ მივწერ, რომ მზითევს ვუმზადებ-მეთქი და ქორწილამდინ ვეღარ გადმოვალ. ვინ რას შეიტყობს, ოღონდ ეგ ათი თუმანი მაინც დავიბრუნო! ეგ მაინც არ დამეკარგოს!..“ ამ ფიქრებმა თვალის დახამხამების უმალ გაურბინეს გონებაში სუტს, მაგრამ კი მოხერხებულს კნეინასა.

– ეს ვინ მოგცა შენ? – ჰკითხა მოსემ და აჩვენა თამასუქი. სუტ-კნეინას მზად ჰქონდა პასუხი.

– ეხლა, შენ არ დაიჯერებ, რასაკვირველია, რომ ეგ თამასუქი თუ ჩამოვართვი, ისევ შენის საქმისათვის ჩამოვართვი. თუ ვინიცობაა, რომ მოვატყუეთ, ქალი ის არ ვაჩვენეთ, ეს შეეტყო და უარზედ დამდგარიყო, ამ თამასუქს ვაჩვენებდით და ვეტყოდით: დაიწერე, თორემ დიანბეგს წარვუდგენთ და სულ ნაღდს დაგათვლევინებთ. აი, რისთვის გამოვართვი, შენ ხომ არ დაიჯერებ, გაჯავრებული ხარ, მაგრამ მე კი გული ძალიან შემტკივა შენთვისა.

– თუ ეგრეა, რატომ აქამდინ არ მაჩვენე?

– რომ ვაჩვენო-მეთქი, ვიფიქრე, ვაი თუ ამის იმედით საქმეზედ მუყაითობა იმისთანა აღარ გასწიოს-მეთქი. რა ვიცი? ხორციელები ვართ.

– ეხლა მაგითი გინდა მამატყუვო განა?

– აკი გითხარ: არ დაიჯერებ-მეთქი. კაცს რაკი ერთხელ და ერთხელ ესტიბარი

წაუხდება, აღარ დაუჯერებენ. მეც ისე მომდის. შენა გგონია, გატყუებ? თუნდ ეგ ბარათი შენ მიირთვი, ორასს თუმანში გაუბარე და მე ეგ ათი თუმანიც მეყოფა, ჩემო კარგო!

– შენ მაგითი მე ვერ მომატყუებ. ეს ბარათიც მე დამრჩება, ეს ათი თუმანიცა, და შენ კი გომურის მაგიერად ხულაში დაგამწყვდევ, რომ ჯვარის-წერამდინ არ გამცე. მერე რაც გინდა ჰქენი. – ბიჭო! – დაიყვირა მოსემ.

ბიჭი მოვიდა.

– ეს ტყუილი-კნეინა წააბძანე ხულაში, ხალიჩაც მიართვი, მუთაქაც, ქვეშსაგებიც. პური და ღვინო არ მოაკლოთ. ეს კი უნდა ჰქნა, რომ გარედამ კლიტით უნდა გადაკეტო და გასაღები აქ მომართო. თუ ეს აბმავი შეუტყვია ვისმე, ვაი თქვენი ბრალი!

ბიჭი არ გაინძრა, ჯერ ტყუილი ეგონა.

– არ გეყურება შე ...შვილო! – დაუჭყივლა მოსემა.

ეხლა კი იკადრა ბრძანების დაჯერება, მივიდა, წაავლო ხელი და გამოსწია საწყალ სუტ-კნეინასა, რომელიც ეხლა კი ისე მაიკუნტა, ისე მაიკუნტა, რომ მუშტის ოდენა გახდა, მაგრამ მაინც კი იმედი არ დაჰკარგა, რომ გააქარწყლებს ამ ამბავსა და მშვიდობით გადარჩება. კიდევ სიტყვა მოახერხა ეშმაკურად და უთხრა მოსესა ისე, ვითამ აქ არაფერი ამბავია:

– უი, შენ კი გენაცვალოს ჩემი თავი! ტყუილი გაჯავრება რარიგად გიხდება! ამ სულელ ბიჭმაც დაიჯერა, ასე ჰგონია მართლა უბძანე. გლეხკაცია, ვერ მიხვდა, ნუ გაუწყრები, შენ გენაცვალოს ჩემი თავი!

ამისთანა ოსტატობამ კინაღამ მოსე არ გააცინა. ბიჭიც გაშტერებული შედგა. ბევრი კიდევ სხვა იოსტატა სუტ-კნეინამა, მაგრამ ვერაფერმა ვეღარ უშველა: ხულაში დაამწყვდიეს, შინ კი წიგნი მისწერა, – ჯერ კი მოსემ გადიკითხა, – რომ აქ მზითევს და საკერავებს ვუმზადებო და ოთხშაბათამდინ ნუ მომელოდებითო. ეს მისწერა, შევიდა ხულაში, დაჯდა ხალიჩაზედ და დაიწყო ტარის რთვა, რომელსაც, საცა წავიდოდა, თან წაიღებდა ხოლმე. ესე იყო, მითამდა აქ არაფერია.

VIII

როცა დავითი შინ მივიდა, საღამო ხანი იყო. ამისი ცოლი, ელისაბედი და ლუარსაბი ეზოში ღობის ჩრდილში ისხდნენ. თვალი შეასწრო თუ არა, ლუარსაბი წამოხტა, მიეგება ძმას, ვერაფერი კი ვერა ჰკითხა, იმიტომ რომ რცხვენოდა. დავითი ცხენიდამ გადმოხტა, გაისწორა მოშვებული ჩაღსაკრავი, მოვიდა, ცოლს არც კი მიემშვიდობა და წამოწვა ხალიჩაზედ.

– როგორ მოგეწონა სასძლო? – ჰკითხა ცოლმა. ლუარსაბმა ყურები აიცქვიტა.

– მზეთუნახავს რომ იტყვიან, ის არის, – მიუგო დავითმა, – მე იმისთანა ლამაზი ქალი არ მინახავს.

ლუარსაბს გაუხარდა, ელისაბედს ეწყინა: ჩემზედ უკეთესი იქნებაო.

– მართლა, გეთაყვანე? – ჰკითხა ლუარსაბმა.

– შენ ნუ მომიკვდები, იმისთანა ქალის მნახველი არა ვარ. – ამის მერე ცოლს შეჰხედა და შურით დაუმატა: – მე რომ პატარა კიდევ მომეცადნა, სხვა რიგად წავიდოდა ჩემი საქმე.

– რა? შენ შეირთავდი თუ? – წააყვედრა გულღვარძლიანმა ცოლმა, – უი შენ

თვალებს! შენთვის მეც არ ვემეტებოდი ჩემს ბედსა. მამა-ჩემი განა რომ უარზედ იდგა, შენისთანები მთხოულობდნენ!

– უარზედ იდგა, მე ვიცი, რუსთ ხელმწიფის შვილს მიგცემდა. იმისიც მადლობელი იყავ, რომ მე გავბრიყვდი.

ესე სიტყვა-სიტყვაზედ შეჰყვნენ და ერთი კაი ლაზათიანი ჩხუბი მოუვიდათ, ასე რომ მოგეწონებოდათ. ელისაბედს იმ დღითვე შურით აევსო გული და შეიძულა ჯერ თვალით არნახული რძალი.

„მალე ჩემი მტერი დაჭკნეს, მალე მე ის დავაჭკნო, – ამბობდა გულში ელისაბედი, – ამ სახლში ჩემზედ უკეთესი და ჩემზედ უფროსი არავინ არ უნდა იყოს. ჩემი ქმარი უნდა მაყვედრიდეს იმის სილამაზეს?! უი, უწინამც დღე გაჰქრობია. ასეთ ეკალს გავუყრი თვალში, რომ დღენი ვაწყევლინო!“

ელისაბედი ქორწილში არ წავიდა.

ქორწილის ღამეს დიდი ამბები მოხდა. მოვიდა სიძე დიდის მაყრიონით, ძმაც თანა ჰყვანდა, სწორედ სამშაბათს დღეს. იმ დღეს საცოლო არ აჩვენეს, რასაკვირველია. მოსესაც შეეყარა დიდი ხალხი. უგანზრახვოდ არ იყო ეს ხალხის შეყრა მოსეს მხრით. ეხლა კი მართალი ქალი გაისტუმრეს საყდარში. როცა ყველაფერი მოამზადეს, მერე მიიპატიჟეს საქმროცა. როცა შევიდა ლუარსაბი საყდარში და თვალი მოჰკრა თავის საცოლოსა, ელდა ეცა. მოუბრუნდა თავის ძმას დავითს, თავაზასაც და ზრდილობასაც თავი დაანება და უთხრა:

– დავით, აკი მზეთუნახავიაო?

ხალხს სიცილი წასკდა, საწყალი პატარძალი სირცხვილით აინთო და ტირილი დაიწყო. დავითი წინ წადგა; რომ დაინახა ერთი უმსგავსო პატარძალი, მღვდელს მიუბრუნდა:

– მამაო! ჯერ სხვა იწერს ჯვარს, თუ ეს რა ამბავია?

– კნიაზი ლუარსაბ თათქარიძე და დარეჯან მოსე გძელაძის ასული იწერს ჯვარს, – მიუგო მღვდელმა.

– პატარძალი სად არის?

– აი, ესა ბძანდება.

– ლუარსაბ! – დაუძახა ძმას დავითმა, – მოგვატყუვეს, ეგ ის არ არის, ჯვარი არ დაიწერო.

მთელი ხალხი გაოცდა. ლუარსაბი დაღონებული და უფრო გაფითრებული გამოვიდა საყდრიდგან, მთელი მაყრიონი გამოჰყვა. ცხენები მოიკითხეს, უნდა წამოსულიყვნენ. ცხენები დაემალათ. შეატყობინეს მოსეს, რომ საქმრო ჯვარს არ იწერსო. მოვიდა მოსე და თან მოიყვანა მრავალი ხალხი.

– კნიაზო დავით! ეს რა ამბავია? – უთხრა გაჯავრებულსავით მოსემ, – ქალი საყდარშია და საქმრო ეხლა დადგა უარზედ? აქამდინ სად იყავით, თუ არ გინდოდათ ჩემი ქალი? ვინ გეხვეწებოდათ? თქვენისთანა ოჯახისშვილები მეხვეწებოდნენ, რომ არ მივეცი!

– აი, ბატონო, ქალი მანდ არის და, ვისაც გნებავდეთ, იმას მიეცით. ჩემი ძმა კი მაგის შემრთველი არ არის, – მიუგო თავგამოდებით დავითმა.

– ეხლა განა? როცა მთელმა ქვეყანამ შეიტყო, რომ ჩემს ქალს ირთავს შენი ძმა, როცა შენმა ძმამ საყდარშიაც შეიყვანა ჩემი ქალი? არა, თავზედ ლაფს არავის არ დავასხმევინებ!

ან უნდა ჯვარი დაიწეროს, ან არა და აქედამ ცოცხლები ვეღარ წახვალთ! გაგონილა? სიძე სახლში ჩამიდგეს, ქალი საყდარში შეიყვანოს და ჯვარი აღარ დაიწეროს!..

– ის კი გაგონილა, რომ პატარძალი შეცვალონ! ეს შენი ქალი არ არის.

– ხალხო და ჯამაათო! დახე, რომ ვეღარა მოუგონიათ რა, იმას ამბობენ, შენი ქალი არ არისო, – დაუძახა ხალხს მოსემ.

– მაშ ვისია, თუ მაგისი არ არის! – გაიხმაურა მოსეს ხალხმა, ჩვენ ფიცს მოგცემთ.

– არა, ბატონებო, ჩემი ძმა ჯვარს არ იწერს. თუ ძალაზედ დადგებით, არც ჩვენა ვართ ლაჩრები, – წამოსთქვა დავითმა და ხანჯალი მოიმართა.

ქალები, ვინც კი იყვნენ საყდარში, სულ აქეთ-იქით მიიფანტნენ, ჰნახეს რომ ამათი ალაგი არ არის. პატარძალი კი და ორი ვიღაც ბებერი მოსემ საყდრიდამ არ გამოაყვანინა, იმედი ჰქონდა, რომ როგორმე მოახდენდა ჯვარისწერას.

– მაშ მოსე თავადიშვილი აღარ ყოფილა, – წამოიძახა მოსემ, – თუ თქვენ ჩემი ოჯახი შეგარცხვენინოთ; ჩემის ცოცხალის თავით არ ვაკადრებ ჩემს გვარს, რომ თათქარიძეებმა საყდარში ქალი გამიუპატიურონ, ჯვარი უნდა დაიწეროს.

– არ დაიწერს.

– უკანასკნელი სიტყვაა?

– უკანასკნელია.

– დავით! – უეცრად გადაასხვაფერა სიტყვა მოსემ და ხმაც მოურბილა, – აქეთ მობძანდი.

დავითი გაჰყვა. იქით ორნივ გაშორებით გადგნენ. მოსემ ამოიღო ხუთი თუმანი და უთხრა ხმადაბლა დავითს:

– ეს ხუთი თუმანი, დაჩუმდი, შენ რა გინდა? შენ ხომ არ ირთავ?

დავითი დარბილდა.

– ხუთ თუმანზე ძმა როგორ გავყიდო? – უპასუხა.

– შვიდი იყოს.

– ან შვიდად.

– რვა იყოს

– ვერც რვა თუმნად.

– მაშ რამდენი გინდა?

– ათი მაინც იყოს.

– ცხრაზედ რას იტყვი?

– არა, ათი.

– ეჰ, ჯანი გავარდეს: ათი იყოს.

ამოიღო ათი თუმანი და მისცა. დავითმა ჯიბეში ჩაიდო.

– მე კი დავჩუმდები და ჩემი ძმისა შენ იცი, – უთხრა ღიმილით დავითმა.

– ოღონდ შენ დაჩუმდი და ერთი ორიოდე კაცი თქვენი მაყრიონიდამაც დაიყოლიე და ლუარსაბს მე მოვუხერხებ.

– ბატონი ხარ. მაგის პირობას გაძლევ.

– მაშ ხელი დაჰკარ.

დაჰკრეს ხელი ხელს და საწყალ ლუარსაბს ძალად გადასწერეს ჯვარი იმ ღამესა. მოსემ არც დაპირებული ორასი თუმანი მისცა, იმის მაგიერ ის თამასუქი დაუბრუნა, სუტ-კნეინას რომ წაართო. ლუარსაბს არ მიჰყვანდა ცოლი, მინამ არ გამისწორდებაო,

ბოლოს ესეც რომ ვერა გახდა-რა, გარემოებას დაემორჩილა და წამოიყვანა შინ თავისი დარეჯანი.

ელისაბედი სიხარულით აღარ იყო, რომ ლუარსაბმა მზეთუნახავის მაგიერ გონჯი ცოლი მოიყვანა. „ჰი, ვენაცვალე ღმერთსა! – ეტყოდა ხოლმე ქმარს ელისაბედი, – ჰი, ვენაცვალე! ჯერ ჩემზედ უკეთესი უნდა შეერთო და მერე ჩემთვის ნიშნი მოეგო! ჰი, ვენაცვალე ღმერთსა!“ ბოლოს ხომ, როგორც მოგეხსენებათ, ცოლების მოწყალებით ძმებს ჩხუბი მოუვიდათ და გაიყარნენ.

IX

ჩვენმა ლუარსაბმა ესე დაიწერა ჯვარი. თუმცა ძალადობით მოხდა ესა, თუმცა მზითევშიაც მოატყუეს და მზეთუნახავის მაგიერ მახინჯი დარეჯანი შერთეს, მაგრამ შუბლზედ ეგ მეწერაო, იფიქრა და დაემორჩილა ბედისწერასა. ბოლოს ხომ, – შენც იცი, მკითხველო, – რომ ამათ ერთმანეთი შეუყვარდათ. ამათ კი ისე ეგონათ რომ უყვართ ერთმანეთი და სხვისა კი არ ვიცი. „ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო". – ნათქვამია, ფერი ფერს შეხვდა და ერთმანეთი შეიფერეს. ეს შეფერება ჩვენში ცოტასა აქვს მიღებული სიყვარულად? კარგი რამ არის ქართველი კაცი: ბედსაც და უბედობასაც თანასწორად ემორჩილება ხოლმე. არც ერთისთვის გაიხეთქს თავს და არც მეორისთვის დაიწყებს ბრძოლასა და არის ისე ყველგან ერთნაირად გულგრილი და შეუპოვარი. ამ გულგრილობას და შეუპოვრობას კმაყოფილებად ადიდებენ; კმაყოფილება კიდევ, – ვიღაცამა სთქვა, – ბედნიერება არისო. ბევრჯერ უთქვამთ დარბაისელთ მოხუცებულთ ჩემთვის, რომ ახალ თაობას იმითი მაინც ვჯობივართო, რომ ჩვენ ცოტას კმაყოფილებიცა ვართო. მე კი დავჩუმებულვარ და გამიფიქრია: „კმაყოფილება კაცის მომაკვდინებელი სენია. ბედნიერია ახალი თაობა, თუ მართლა ის კმაყოფილება არა აქვს. იმედი თუა სადმე, ამაში უნდა იყოს: უმადლონი სჯერდებიან მას, რაც არის, იმიტომაც იმათში უფრო ბევრია ბედნიერი, მადლიანნი კი ძნელად: ამათ ყოველთვის უკეთესი უნდათ იმიტომ, რომ კარგს უფრო კარგი მოსდევს თანა, „მჯობს მჯობი არ დაელევაო”, – ნათქვამია.

ჩვენი ცოლ-ქმარნი კი ამისთანანი არ იყვნენ: ამათ თავიანთ ცხოვრებაზედ „მჯობი“ ცხოვრება არ ეგონათ ქვეყანაზედა. ესენი კმაყოფილნი იყვნენ: ვალი ამათ არ ემართათ და ვახში, დავა არავისთანა ჰქონდათ და დარაბა, მხოლოდ ერთი ჯავრი ედოთ გულშია: შვილი არა ჰყვანდათ. აი, ლუარსაბი ორმოცის წლისა და დარეჯანი ორმოცდაერთისა შესრულდა, რომ ღმერთმა მემკვიდრე არ უბოძათ. ბევრჯერ გადაფურცლა კნეინამ კარაბადინი, ბევრი რაღაც ბალახიბულახი მიირთო და ლუარსაბსაც დაალევინა. მაგრამ ვერა ეშველათ-რა. „ტყუილად თავს რად იხეთქენ, – ამბობდა ხოლმე ამათზედ ღვარძლიანი ელისაბედი, – ტყუილად რად იხეთქენ? სოლომონ ბრძნის წიგნს რომ ჩააბულბულებდა ხოლმე და კუდიანობდა, ეგ იმან ჩასცხო თავშია. ღმერთმა მაგათზედ გული აიყარა, ეხლა აღარა ეშველებათ-რა”.

ჩვენი ცოლ-ქმარნი კი იმედს არა ჰკარგავდნენ. შეიტყეს, რომ ქალაქში ერთი მკითხავია, ის შეიტყობს უშვილობის მიზეზსაო. თუმცა შვილოსნობის დრო გადასვლოდათ, მაგრამ მაინც კიდევ ქალაქისაკენ კაცი აფრინეს, თან გაატანეს ერთი კარგი ბაღდადი, რომელზედაც, როგორც მოგეხსენებათ, უკითხავს მკითხავი იმას, ვინც თითონ ვერ მივა, და რომელიც, რასაკვირველია, მკითხავს დარჩება ხოლმე. სამს დღეს

უკან ბიჭმა პასუხი მოუტანათ, რომა „თქვენზედ ხატია გამწყრალიო. მერე რომელი ხატი? თელეთისაო, ასე სთქვა მკითხავმაო“. ეს რომ გაიგეს ცოლ-ქმართ, ერთ დროს და ერთხმად პირჯვრისწერით წამოიძახეს:

– საიდამ სად მოგვიკითხა! დიდება სახელსა უფლისასა, – სთქვეს და ისევ პირჯვარი გადიწერეს.

– დალახვრა ღმერთმა! საიდამ სად მოგვიკითხა! – ისევ გაიმეორა ლუარსაბმა.

– ხატზედ „დალახვრას“ როგორ ამბობ?

– ღმერთო, ნუ მიწყენ, ღმერთო, ნუ მიწყენ! – რამდენჯერმე პირჯვარი გადიწერა სხაპასხუპით, – აი, დალახვრა ღმერთმა, დაჩვეული რომ ვარ, ისე თავისთავად ითქმის ხოლმე, ღმერთო, ნუ მიწყენ!

– ახლა რას იტყვი, ლუარსაბ, წავიდეთ?

– შორს რომ არის?

– რა ვუყოთ? ალბად ნება ღვთისა ეგ არის.

– მოდი, აქვე ნეკრესის ღვთისმშობელი ვილოცოთ.

– თელეთის ხატს ეწყინება: მე დავიბარეო, აქ კი არ მოვიდნენო და იქ კი წავიდნენო, იტყვის.

– მართალია, ეწყინება. გული მოუვა. აი, მე ხომ კაცი ვარ, მეც გული მამივიდოდა და ის ხომ ხატი ბძანდება – ვენაცვალე იმის მადლს! – უფრო გული არ უნდა მოუვიდეს?

– ეგ არის და.

– მაშ რა ვქნათ?

– უნდა წავიდეთ.

– შორს კი არის, თუ შენც იტყვი.

– ეხლა, თუ მივდივართ, ნუღარ ამადლებ გვიწყენს.

– მართლა, მართლა! ნუ მიწყენ, აგრემც დიდება შენსა სახელსა, ხატო თელეთისაო! გიახლები, გიახლები და თაყვანსა ვცემ სახელსა შენსა.

დაიჯერეს მკითხავის სიტყვა: თედოს შეაბმევინეს ურემი, გადააფარეს ფარდაგი, ერთი კარგი ცხვარი დააკრეს ურმის ბოლოს, ახსენეს ღმერთი და ერთ მშვენიერ ზაფხულის დილას შეუდგნენ ქალაქის შარაგზასა. ურემში ისხდნენ კნეინა დარეჯანი და მისი მოახლე ლამაზისეული. ერთი ბიჭი და ლუარსაბი თავის წითელს ულაყ ცხენზედ მჯდომი ნელ-ნელა აედევნენ უკან ფეხმძიმე ურემსა. მეომარის თვალადობა ჰქონდა ამჟამად ჩვენს უამისოდაც საყვარელს ლუარსაბსა, თუმცა კი, როგორც ბამბის ტომარა, ისე იდო ცხენზედა. წელზედ ერტყა ქართული ხმალი და გრძელი ლეკური ხანჯალი, უკან წელში გაყრილი ჰქონდა სევადიანი დამბაჩა. შავი შალის ჩოხა ეცვა, იმისი კალთები ვაჟკაცურად ამოტარებული ჰქონდა ჩოხის ჯიბეებშია. შარვალში იჯდა, შარვლის ტოტები ჩაეკეცნა მაღალყელიან ყარაბაღულ თეთრ ჩექმებში, წვივებზედ პტყელი ჩაღსაკრავი, გრძელფოჩებიანი, სირაჯსავით შემოეკრა. თავზედ ეხურა ლურჯი ყალმუხის ქუდი, კახურად ჩატეხილი და შუბლთან შიგ შეკეცილი, რადგანაცა ცხელოდა, – ერთის სიტყვით, ხმლის პირი, ზედწამოცმულ ვაშლით, რომ ამოღებული სჭეროდა, თავიდამ ფეხამდინ ორშაბათის ყეინი იქნებოდა.

ამ ყოფით ავიდნენ თელეთში მეხუთე დღეს, ილოცეს და მეორე დღესვე დაბრუნდნენ. ქალაქს რომ ჩამოუარეს და შეუდგნენ კახეთის გზასა, კნეინა დარეჯანმა შეაქცია ზურგი კოფასა, წამოიჩოქა და გამოჰხედა ქალაქსა. ლუარსაბს ურემში ეძინა. ისიც

გააღვიძა.

– ლუარსაბ, ერთი შეხედე, რა ამბავია. ამოდენა ქვეყანა გაგონილა, რომ აქ არის! დიდება შენდა, ღმერთო! სულ ქვითკირის შენობა უნდა იყოს.

კნეინას ქალაქი ჯერ არ ენახა.

– მაშ არა და წნული იქნება.

– ერთი შეხედე-და, რამდენი საყდრებია!..

– ვიცი. განა არა ვყოფილვარ?

– პირველად რომ ჩაგიყვანეს, კენჭები არ ჩაგაყლაპეს?*

– როგორ არა? სამი ასეთი კენჭი ჩავყლაპე, რომ ძლივს მოვინელე.

– აღარ დაგცადა ქალაქმა?

– არა, რაღას დამცდიდა. რომ კენჭებჩაყლაპული ვიყავ? რომ არ ჩამეყლაპა, მაშინ სხვა იქნებოდა.

– ეგ ხომ აგრეა. კაი სანახავი კი უნდა იყოს!

– კარგი როგორ არ არის, მთელი მილეთის ხალხი სულ მანდ დაწანწალებს: თათარი, ყაზილბაში, ურია, ოსი, სომეხი, რუსები ხომ რაღა, ბუზსავით ირევიან.

– მართალია, რომ აქ კაცს თავს მოსჭრიანო და მერე ისევ გააცოცხლებენო?

– მართალია, მაშ? ეგ კიდევ რა! რაღაც მოუგონიათო, ფიცრებს თავისთავად ხერხავსო.

– ეხლა ეგა სთქვი.

– თავი არ მამიკვდება.

– როგორ? ისე თავისთავად?

– თავისთავად.

– არც კაცია, არც ადამიანი?

– არა.

– მაშ ხერხი ვის უჭირავს?

– ეშმაკს და ქაჯს, ღმერთმა ნუ იცის რუსების თავი!

– რუსების მოგონილია განა ეგა?

– მაშ არა-და შენის მაზლის დავითისაა!

– დიდება შენდა, ღმერთო თვალთმაქცობას რომ ჰთამაშობენ, ისიც გინახავს?

– აბა რომელი?

– აი, გაჭენებულ ცხენზედ რომ კაცი დადგება, იმ კაცზედ კიდევ კაცი, იმაზედ კიდევ კაცი და კიდევა და კიდევა.

– ეგ რა არის? მე კი არ დავდგებოდი ხოლმე გაჭენებულ ცხენზედ ჩემ პატარა ბიჭობაში!.. – დაიკვეხა ლუარსაბმა.

– აი, შენმა მზემ! შენ კი იქნებოდი, რომ დამდგარიყავ.

– ღმერთმა იცის! ეხლა ჯანი აღარ მამდევს და სიმარდე, თორემ ეხლავ გიჩვენებდი.

– ნუ იკვეხ. ხომ ვიცი, ჩემო კარგო, რაცა ხარ.

– განა კვეხნისთვის ვამბობ? მე იმისთვის ვთქვი, რომ ეგ რა თვალთმაქცობაა-მეთქი. მაგაზედ უფრო ბევრი ასეთია, რომ...

– მაინც?

---

* ჩვენში ბევრსა სწამს, რომ თუ ვინც პირველად ქალაქში ჩადის და კენჭს არ ჩაჰყლაპავს, ქალაქი დასცდისო. მეც, ამის დამწერს, გადამაყლაპეს ერთს დროს.

– რა ვიცი, რამდენი რამ არის.

– სთქვი რაღა, მეც ვიცოდე.

– ბევრია.

– მაინც?

– რა ვიცი, რამდენი რაღაცაებია...

– მაინც?

– ეჰ, ვინ მოსთვლის? ბევრია, ნეტავი შენ! რა-რიგად ჩამოცხა! უჰ!

რომ არ იცოდა რა ეთქვა ჩვენ უბოროტო ლუარსაბსა, სიტყვა გადაასხვაფერა. მოიხადა ყალმუხის ქუდი, შუბლიდან და სახიდან იმითი ჩამოიწმინდა ოფლი. მერე გააკეთებინა ჩიბუხი და ჩიბუხის წევაში ისევ ხვრინვა ამოუშვა, მერე ასეთი, რომ რამდენიმე დღის უძილო ეგონებოდა კაცსა.

X

მეხუთე დღეს შინ მშვიდობით მოვიდნენ ჩვენი ბედნიერი ცოლ-ქმარნი, თან მოჰყვათ, რასაკვირველია, იმედი, რომ შვილი გაუჩნდებათ. მაგრამ გავიდა სამი თვე, ყმაწვილმა მუცელში არ გაიჩუჩუნა, გავიდა ექვსი თვე, კაბა არ დაუვიწროვდა დარეჯანსა. გავიდა ცხრა თვეც და დარეჯანს მუცელი არ ასტკივდა. დარეჯანი მაინც იმედს არა ჰკარგავდა: ამდენი სხვადასხვა ფერის და სხვადასხვა ნაირად შელოცვილი ქვები შეიბა და კაბის უბეზედ დაიკერა, რომ მართლა იმედი უნდა ჰქონოდა, და ჰქონდა კიდეც. თუ აქამდინ არ ეყოლა, ის იმიტომ, რომ ლუარსაბმა ხატს დაამუნათა და წააყვედრა – „შორს არისო“. თორემ ეს დამუნათება და წაყვედრება არა ყოფილიყო, ეხლა შვილი ეჯდებოდა დარეჯანს კალთაში. ლუარსაბი ავ გუნებაზედ იყო. ეგ არაფერია, რომ შვილი არ უჩნდებოდა და ხატმა მოატყუვა: დაიბარა და არ მისცა კი შვილი; ამის ჯავრი ის იყო, რომ დავითს, ამის ძმასა, უთქვამს: „ის ოხერი, როდის იქნება ჩაძაღლდეს, რომ იმის მამულებზედ ვინავარდოო“. ესა ჰკლავდა ლუარსაბსა, თორემ შვილის უყოლობა ამისთვის კიდევ დიდი უბედურება არ იყო.

ერთხელ ესე დაღონებული აქეთ ტახტზედ გულდაღმა იწვა ლუარსაბი, იქით ტახტზედ კიდევ კნეინა დარეჯანი წინდასა ჰქსოვდა. ძალიან ცუდს გუნებაზედ იყო ხმაგაკმენდილი ჭერს გაუშტერა თვალი და ჰფიქრობდა, იმაზედ ჰფიქრობდა, როგორ მოახერხოს, რომ შვილი გაუჩნდეს. – „განა შვილი იმისათვის მინდა, რომ მართლა შვილი მყვანდეს? – ამბობდა თავისთავად, – შენც არ მამიკვდე! დავითის გამოჯავრებით მინდა, ის არ მინდა ჩემს მამულებზედ გავახარო. იმისი ჯავრი არ მინდა შევირჩინო, თორემ ეს ჯაბრი რომ არ იყოს, ძალიანაც არ ვინაღვლიდი, რომ შვილი არა მყავს. ცოტანი არიან უშვილონი განა? მეც იმათში ვიქნებოდი. დავითი არ მინდა გავახარო, დავითი!”

ეს რომა სთქვა თავისთავად, გადმობრუნდა დარეჯანისაკენ დაღონებული და მწუხარე ხმით უთხრა:

– ეხლა დავითს უნდა შერჩეს ის სიტყვები!.. უნდა ჩვენს მამულ-დედულზედ გავახაროთ!.. დარეჯან! შენი ჭირიმე, თუ გიყვარდე, თუ გიყვარდე, აი! ერთი ვაჟიშვილი ჰშობე, დავითის გამოჯავრებით მაინცა ჰშობე, რომ სხვა არა იყოს-რა. ოღონდ იმისი ჯავრი კი ამომაყრევინე და მერე თუნდა მამკალ. შენი ჭირიმე, შენი დედაკაცობის ჭირიმე! თუ გიყვარდე, აი!

– ვშობამ, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, ვშობამ, თუ აგრეა! – უპასუხა კნეინამ ისე, ასე გგონია მართლა ამის ხელში იყოს შვილის შობა. – წუხელის სიზმარში ერთმა მოხუცებულმა კაცმა – ფეხებამდინ უმტვერო ქაღალდივით წვერი ჰქონდა – ერთი წამალი დამალევინა და მითხრა: გამრავლდი, ვითარცა იაკობო! მე მაშინვე მუხლზედ ვემთხვივე, შენ მაგიერადაც ვემთხვივე.

– მართლა? – წამოიძახა იმედმოცემულმა ლუარსაბმა, – ისე თვალითა ნახე?

– აი, როგორც შენა გხედავ.

– შენი ჭირიმე!.. მაშ იმედია, დარეჯან-ჯან!

– მაშ ქა!

– ჰო, შენ გეთაყვანე, შენა! – დაიჯერა და გაიღიმა ლუარსაბმა, – როგორ გითხრა?

– გამრავლდიო, ვითარცა იაკობ.

– იაკობი ვინ იყო?

დარეჯანმა არ იცოდა, ვინ იყო. ისე კი გაეგო, მგონი წირვა-ლოცვაზედ, იაკობის სახელი, და ვინ იყო, რა იყო, როდის იყო, – ამაების არა იცოდა-რა. მაგრამ არცოდნა ითაკილა, ისევ რაღაცა მოჭორება ირჩივა „არ ვიცის“ თქმასა, როგორც ამგვარ შემთხვევაში ყველა ქართველმა იცის ხოლმე.

– ვინ იყო? – იკითხა დარეჯანმა, – წირვა-ლოცვაზედ მაინც არ გაგიგია?.. აბრაამის მძახლის განაყოფის შვილი იყო.

– ეხლა, გამრავლდიო, ვითარცა იაკობ, მითამ რაო?

– მითამ ისაო, რომ გამრავლდიო, – აუხსნა დარეჯანმა.

– აი, ვენაცვალე იმის ენას! მაშ იმედია?

– კიდევ! ნუ იცი შენ ეგ, ნუ! ნუ ხარ უჯერო, ცოდვაა.

– აღარ ვიქნები, აღარ, ოღონდ შენ შვილი ჰშობე, თუნდა ენასაც მოვიკვნეტ, ოღონდ კი დავითს ნუ გაახარებ.

– ღმერთია მოწყალე გეუბნები, არ გავახარებ-მეთქი.

– ახ, ნეტავი კი მართალა ჰშობო და.

– კიდევ! ნუ ხარ უჯათი, წმინდა კაცის სიტყვაზედ როგორ ხარ უჯერო, რა დაგემართა?!

– აი, დალახვრა ღმერთმა! ჩემთავად გულში უნდა მეთქვა, ღმერთმან იცის – და აკი კიდევ წამომცდა. ახ, ნეტ...

– კიდევ!

– ფუი, დალახვრა ღმერთმა! კინაღამ კიდევ არ წამცდა!.. ეხლა, მეტად რომ მინდა, იმიტომ, თორემ... ეჰ, გადავბრუნდები, დავიძინებ, თორემ, მე რომ ვიცი ჩემის ენის ამბავი, ერთს კიდევ წამომაროშვინებს რასმეს და ღმერთი მიწყენს.

– თელეთისა არ იყოს! იმდენი ამუნათე, იმდენი იძახე – შორს არისო, რომ გაგვიწყრა და აი, დღესაც შვილი არა გვყავს.

– მერე აკი მაშინვე შევეხვეწე, ნუ გაჯავრდები-მეთქი. რატომ არ მაპატივა! რა ვუყოთ, რომ „შორს არის“-მეთქი ერთხელ წამომცდა? ერთი ალილო მღვდელსაც შესცდებაო.

– კარგი, კარგი! რაც იყო, იყო; ეხლა მაინც არ აწყენინო.

– მაშ დავიძინებ.

– შენი ნებაა.

ლუარსაბი გადატრიალდა და პატარა ხანს უკან ერთი მადლიანი თავისებური ხვრინვა ამოუშვა.

ნეტავი არ დაეძინა. ძილში საშინელი სიზმარი ჰნახა. ჰნახა, რომ დავითი სიხარულით აღარ არის, რომ ამას შვილი არ უჩნდება; დადის ყველგან და სულ იმას იძახის: ის ოხერი როდის იქნება ჩაძაღლდეს, რომ იმის მამულებზედ ვინავარდოო. სტკივა გული ლუარსაბსა, ჯავრი მოსდის, გული ყელში მოებჯინა. რა ჰქნას? – „ღმერთო! – ამბობს სიზმარში გულნატკენად ლუარსაბი, – რა დაგიშავე, შე დალოცვილო, რომ შვილს არ მაძლევ? მიბძანე და აკი გიახელ თელეთს სალოცავადა, თორმეტ-აბაზიანი ცხვარი დაგიკალ, ორი აბაზის წმინდა სანთელი აგინთე. სხვა რა ვქნა? წირვა-ლოცვას უამისოდაც არ ვაკლდებოდი, მარხვა მე არ გამიტეხია, ყოველ წელიწადს წმინდა ზიარება მიმიღია და აღსარება მითქვამს. აბა ჩვენ მღვდელსა ჰკითხე, თუ მე ცოდვა მიქნია რამე. დავითის ლუკმად უნდა გამხადო?! რაც იმას ქვეყანაზედ ცოდვა ჩაუდენია, ვინ მოსთვლის? შარშან ივანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის დღეს ხორცი უჭამია. პურის ნატეხს რომ მიწაზედ ჰხედავს, არ აიღებს და არ ემთხვეა, იქნება ფეხიც დაადგას და გასრისოს კიდეცა. უკურთხეველ ყურძენსა სჭამს, ფერისცვალობამდის არ მოიცდის ხოლმე, აღდგომა-დღეს მღვდელს არ მოუცდის, რომ სუფრა უკურთხოს, ისე მივარდება ხორცეულს, როგორც დათვი, ამისთანა მსუნაგია. ზიარებით კი ეზიარება ხოლმე, მაგრამ რა გამოვიდა? სამი დღე ემზადება, მარტო სამი დღე. აბა, ეს რა ზიარებაა! ეს ყველა იცი, შე დალოცვილო ღმერთო, და მაინც კიდევ იმისაკენა ხარ! დაილოცა შენი სამართალი! ჰო, მართლა, ერთი კიდევ დამავიწყდა: ერთი მწევარი ჰყავს, თავის თეფშში აჭმევს ხოლმე. ქრისტიანი კაცი კია! მე ხომ ამისთანას არაფერსა ვცოდავ, რად მიწყრები? მერცხალი გინდა, იმას დასძლევს ხოლმე,* ოფოფი გინდა, იმას დასძლევს, გუგული, კვიცი – რაც გინდა, ყველაფერი ბოროტი იმაშია. მე კი, ღმერთო, ხომ შენ იცი, არაფერს არ დავუძლევივარ, რად მიწყრები? იმისთვის, რომ თელეთში წასვლაზედ ჭოჭმანობა დავიწყე? აკი მაშინვე მოვინანიე!..“

ეგრე უჩიოდა ღმერთს ლუარსაბი. მერე ჰნახა, რომ მითამ ღმერთმა მიიღო ეს ჩივილი საბუთად და გული მოიბრუნა ლუარსაბისაკენ, აი, მითამ რვა თვეც არის, რაც დარეჯანი ორსულია. ერთი თვეც, ერთადერთი, და ლუარსაბს შვილი ეყოლება და დავითს თვალი დაუდგება. უხარიან სიზმარში ლუარსაბსა, რომ ამის ჩივილმა გასჭრა, სიხარულით ფეხზედ ვეღარა დგება. დავით და იმისი ცოლი ჯავრით აღარ არიან. ლუარსაბს ისე შვილი არ უხარიან, როგორც ისა, რომ დავითი და ელისაბედი ჯავრით აღარ არიან. ორი კვირაც მითამ გავიდა, აი, ორი კვირა კიდევ და დარეჯანი დაწვება. უხარიან, უხარიან ლუარსაბს, მაგრამ! – აი, უბედურება – ლუარსაბი უეცრად ავადა ჰხდება და ძალიანაც ჰხდება, ასე რომ მითამ მოკვდა კიდეცა. მაგრამ ისე კი მოკვდა, რომ ყველაფერსა ჰგრძნობს. ესმის, რომ დარეჯანი საშინელის ხმითა სტირის და სოფლის მოტირალე დედაკაცები მწუხარე ბანს აძლევენ. ესმის, რომ იქით, სადღაც კუთხეში, დავითი და ელისაბედი იცინიან, ჰხტიან და ლუარსაბის ავეჯეულობა თავის სახლში გადააქვთ. ლუარსაბს სისხლი ყელში მოსდის, უნდა წამოდგეს, მაგრამ იცის რომ

* არის ამისთანა ამაოთმორწმუნება ჩვენში, რომ თუ ღვინო დალეული არ შეხვდა პირველად მერცხალს, მერცხალი დაგძლევს. კვიცი რომ დაინახო, მაშინვე ქვაზედ უნდა შედგე, თორემ დაძლეული იქნები, ოფოფს თავდავარცხნილი უნდა დახვდე და სხვა. ლუარსაბს, როგორც ათასს სხვას, ეს დაძლევა ცოდვა ჰგონია, ამიტომაც ეგრე გულმოდგინედ დავითს ღმერთთან აბეზღებს.

მკვდარია და იმიტომ არა დგება. – „ხვალ მამულებს ჩავიბარებო," – იძახის ხმამაღლა დავითი. ლუარსაბი იწურება ამ სიტყვებზედა, იტანჯება, უნდა სთქვას – რომ „ნუ მისცემთო, დარეჯანი ორსულად არის, შვილი ეყოლებაო", მაგრამ იცის, რომ მკვდარია და არას ამბობს. საშინელ მდგომარეობაშია საწყალი, ცოცხალმკვდარი ლუარსაბი. რა ჰქნას აბა მკვდარმა? – „ვაი, რა დროს მოვკვდი!.. როცა ღმერთმა შვილის მოცემა ინება, მაშინ! – ამბობს სიზმარში თავის-თავად ლუარსაბი, – ახ, ნეტავი ეხლა კი გავცოცხლდე და!.."

მაგრამ სად არის გაცოცხლება? აი, კუბოც მოიტანეს, აი, ჩაასვენეს კიდეცა და კუბოში ჩადებული და მორთული დაასვენეს ტახტზედა. მესამე დღეს მღვდლებიც მოვიდნენ, ასწიეს კუბო და წაიღეს გალობითა და ტირილითა. ამ გალობაში და ტირილში დავითისა და იმის ცოლის მხიარული სიმღერა ესმის ლუარსაბსა. ესმის ეს ყველაფერი, ჰგრძნობს რომ ანდერძიც აუგეს და სასაფლაოზედაც წაიღეს, უნდა სთქვას: „ნუ დამმარხავთო", მაგრამ იცის მკვდარია და არას ამბობს. აი, მიწაში ჩაუშვეს საწყალი ლუარსაბი, ესმის, რომ საფლავის პირზედ დავითი სდგას და ეუბნება დიანბეგს: ხვალ მამულები უნდა ჩამაბაროვო. ელისაბედი კი უჯავრდება: რას ჰბოდავ? სახვალიოდ რად იხდი საქმესა, განა დღეს კი ვერ ჩაიბარებ? ლუარსაბს ეს ყველაფერი ესმის, ჰხვნეშის, ჰწვალობს, იტანჯება, ცივ ოფლს ასხამს, ჰკანკალებს, თრთის ცალკე შიშისაგან, ცალკე ჯავრისაგან, რომ დავითსა რჩება ბურთი და მოედანი. – „ახ! ნეტავი კი ეხლა გავცოცხლდე და!" – იძახის გულში ლუარსაბი.

მაგრამ სად არის გაცოცხლება? აი, მიწაც მოაყარეს, ჯერ მუჭა-მუჭად მიწა ცვივა და კუბოს ფიცრებზედ რახარუხი გააქვს, მერე შეატყო, რომ ნიჩბებითაც დაუწყეს მიწის ყრა. ლუარსაბს უღონდება გული, სული ეხუთება, ჰაერი დაეხშო და, აი, ერთი წუთიც და გათავდება კიდეცა. მაგრამ ვინ არის მეშველი? ესმის, რომ ხალხის ხმაურობა თანდათან მისწყდა, ყველანი წავიდნენ და მარტო ლუარსაბი საფლავში დააგდეს დაფლული. გულმა ტეხა დაუწყო, რომ დარეჯანმაც კი, ამის საყვარელმა დარეჯანმაც კი, სხვებსავით თავი დაანება და ამასთან არ დაიმარხა. ლუარსაბს გული ამოუჯდა, დაიწყო ტირილი: „ეგ იმედი მქონდა იმისაგან!" ამბობს თავის გულში: „დამაცა, შენც საიქიოს არ მოხვალ, იქ მოგაგონებ". ამ ლაპარაკში რომ არის, საფლავზედ ფერხულის ხმა შემოესმა, ხმა გაიკმინდა, ყური დაუგდო. მოესმა, რომ დავითი და ელისაბედი ფერხულში ჩაბმულან და ჯერ კიდევ სველ საფლავზედა ფერხულსაც უვლიან. „ჩაძაღლდი, განა?" – უყვირიან ზემოდამ. ეხლა კი გული აენთო; ერთი საშინლად გაინძრა, უნდოდა ისე წამოწეულიყო, რომ კუბოს თავი და მიწა აეგლიჯნა, საფლავიდამ ამოსულიყო, ამათთვის ერთი ყოფა დაეწია და თავზედ ლაფი დაესხა. ამ ტრიალში და ვაი-ვაგლახში რომ არის, ერთი იხტუნა, მითამ საფლავიდამ ამოხტომა უნდა, და ტახტიდამ ძირს აგურებზედ კი ბრაგვანი მოიღო. მაშინ კი თვალები დააჭყიტა, ჯერ კიდევ სიზმრის შიშისზარი ისევ უბზუოდა თავში, ასე რომ სულელსავით გაშტერებული და ფილაქანზედ გაშოტილი პირღია დარჩა. სასაცილო რამ იყო. ისე დაიკარგა, ისე გაფითრებული და ცივ ოფლში იყო, რომ დიდხანს გონზედ ვეღარ მოვიდა და არამც თუ წამოდგომა მოაგონდა, არც კი გაინძრა. ისეთი შეშინებული იყო, რომ სიკვდილის ფერი ედო ოფლიან სახეზედა. ამის დაცემაზედ ოთახი, რასაკვირველია, შეინძრა. დარეჯანს თურმე იქით, მეორე ტახტზედ – ჩასძინებოდა და ოთახის ზანზარზედ ამასაც გამოეღვიძა. ამან, – რადგანაც ჯერ არ იცოდა ლუარსაბი რა ყოფაშია, – ჯერ წამოიძახა, – ლუარსაბ! გაიგე? მიწისძვრა იყო.

ლუარსაბი ჯერ კიდევ სიზმრის ამბავში იყო და ხმა არ გასცა, დარეჯანი წამოჯდა და მხოლოდ მაშინ დაინახა, რომ ლუარსაბი გაფითრებული აგურებზედ უძრავად ჰგდია და სულელსავით დაუჭყეტია უგუნური თვალები. დარეჯანს ფერი ეცვალა.

– უი შენს დარეჯანსა! ეს რა დაგმართვია, შენ გეთაყვანოს ჩემი ცოცხალი თავი!

ლუარსაბმა ვერც ეს დარეჯანის ნათქვამი გაიგო. სიზმარმა ისეთი თავბრუ დაასხა, რომ შიში ჯერ გამონელებული არა ჰქონდა და ეს ამბავი სიზმრის გაგრძელება ეგონა, იმიტომ ჯერ არც არა ესმოდა-რა და ვერცარასა ჰხედავდა, თუმცა თვალები კი ეჭყიტა. დიაღ, ჯერ ისევ სიზმარი ეგონა, მხოლოდ ის აოცებდა, რომ „აკი დამმარხესო და მგონი მე ჩემს ოთახში ვარ ეხლაო. ეს როგორ მოჰხდაო?”

ამის ფიქრში დაიფანტა ამისი გონება. ამიტომაც პასუხის მაგიერად თავისი შიშნაჭამი თვალები გიჟსავით შეაჭყიტა დარეჯანსა, თითქო ჰხედავს კიდეცაო და არც იჯერებსო, რომ იმის წინ დარეჯანია. დარეჯანს ელდა ეცა, ხომ არ გაგიჟდაო. მაშინვე ტახტიდამ ჩამოფრინდა და მივარდა გაშოტვილს ლუარსაბს.

– რა დაგემართა, შენი ჭირიმე, შენი! ხმა ამოიღე, გეთაყვანე, თორემ ლამის მე ჩემი დამემართოს!

– დამაცა!.. – გაუქნივა თანაც ხელი ლუარსაბმა, მითამ მამშორდიო, – მინდა მოვიგონო.

ესა სთქვა, ხმა გაიკმინდა, მაინც არ წამოდგა და თვალებდაჭყეტილმა და პირდაღებულმა დაიწყო ფიქრი, რომ მოიგონოს ის, რაც დაემართა. ისე უეცრად და ამ ყოფით გამოღვიძებულს სიზმრის ამბავი ცოტაღა დაახსოვდა და ის უნდა მოეგონა.

– შენ გენაცვალე! – მიემუდარა დარეჯანი, – ჩქარა მითხარ, თორემ შიშისაგან ლამის გავთავდე.

ლუარსაბმა ყური არ ათხოვა და სიზმრის ფიქრში წასულმა თავისთავად ხმამაღლა ლაპარაკი დაიწყო:

– მე მოვკვდი. დარეჯანი ჯერ კი ტიროდა და მერე, როცა დამმარხეს და ყველამ თავი დამანება, დარეჯანმაც მიღალატა. ეგ იმედი მქონდა იმისაგან? თავი დამანება და ჩემთან არ დაიმარხა!.. აკი უყვარდი! დამაცალოს!.. ის სულ-ძაღლი დავითი!.. ის ქოფაკი ჩემი რძალი!.. ფერხული დააბეს განა, დამაცადონ!.. აი, მკვდარი არა ვყოფილიყავ, მე ვუჩვენებდი იმათ!.. მაგრამ რა მექნა, რომ მკვდარი ვიყავი!..

ბევრს რაღაცეების ბოდვას მოჰყვა ჩვენი ლუარსაბი. დარეჯანი კი გაფითრებული ყურს უგდებდა, არ ესმოდა რას ჰლაპარაკობს.

– შენი ჭირიმე, ლუარსაბ! – უთხრა კანკალით დარეჯანმა, – სიზმარში ხარ, თუ ცხადივ? მითხარ, თორემ შენს მაყურებელს სული დამელია.

– ეხლა განა? მაშინ რატომ არ დაგელია, როცა მიწა მომაყარე და მარტოკა ჩამფალი შავ მიწაშია?

– რას ამბობ, შენი ჭირიმე, რასა? ერთი შემატყობინე.

– რა უნდა შეგატყობინო? ცარიელი ტირილით რა გამოვიდა, უნდა თან ჩამამყოლოდი. არა გრცხვენიან, პირში როგორღა მიყურებ?

– უი, თვალები ეხლა დამდგომია, თვალები! – შეჰჭყივლა დარეჯანმა და მაშინვე გამოვიდა მოაჯირზედ, რომ ბიჭებს დაუძახოს, რადგანაც გული დააჯერა, რომ ლუარსაბისათვის ეშმაკს ძილში თავში ჩაუკრამს და ჭკვიდამ შეუშლია. ის კი არა თუ, ლუარსაბი ჯერ კიდევ სიზმრის ამბავშია.

– მიშველეთ, მიშველეთ! –

ჰყვიროდა დარეჯანი მოაჯირიდამ თავში ცემით თავმოხდილი და გაწეწილი.

– მიშველეთ! უი ამ დღის მნახველსა, შე ქოფაკო დარეჯანო!

ჰყვიროდა კნეინა და იცემდა თავში, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ლუარსაბი ამ ყვირილზედ სრულიად გამოფხიზლდა. წამოხტა აგურებიდამ და ისე გაღეღილი გავარდა, რომ შეიტყოს, რა დამართვია დარეჯანსა. დარეჯანმა დაინახა თუ არა ლუარსაბი, ეგონა, მე გამომიდგაო, იშვირა ფეხი და ეცა კიბეს. კიბეზედ ფეხი გაუსხლტა და ისე რახარუხით ჩაგორდა ძირამდინა. ამ კიჟინაზედ და კიჟინაზედ ბიჭები მოგროვდნენ.

– დაიჭირეთ, დააბით! – წივოდა გვერდებდალეწილი დარეჯანი, – დაიჭირეთ, თორემ დაგვჭამს, ვაი, შე ქოფაკო თავო! ამ დღესაც შეესწარ, რომ ქმარი გაგიგიჟდა! –

ჰწიოდა საწყალი კნეინა და იცემდა ძალზედ თავში, თითქო იმისი ბრალი იყოს ლუარსაბის გაგიჟება. ლუარსაბი გაოცდა, ეს ამბავი რომ ჰნახა, სრულიად გაშრა. ეხლა ამას ეგონა, რომ ცოლი გაუგიჟდა და დაიწყო საწყალმა ტირილი: გულჩვილი იყო.

– რა გაყვირებს, ადამიანო, – გადასძახა ხმაამოჯდომით და ნაღვლიანად დარეჯანსა, სრულიად გონებაზედ მოსულმა და დამშვიდებულმა, – ვინ გაგიჟდა, შენი სულისა, შენი! მე ჩემ გონებაზედა ვარ.

დარეჯანმა შემოჰხედა, დაინახა, რომ ლუარსაბი ისევ ის ლუარსაბია, არც გიჟი, არც ჭკვიანი, არც ფლავი, არც ჩლავი; მაგრამ მაინც კიდევ ჯერ ეჭვში იყო. გიჟმა იცის ხანდისხან დაჭკვიანებაო, გაიფიქრა გულში.

– აბა სწორედ შემომხედე, – დაუძახა ქვევიდამ დარეჯანმა და თვალები შემოაჭყიტა.

– აჰა, შენი სულისა! – სთქვა და შეჰხედა ლუარსაბმა.

– წეღან რას ჰლაპარაკობდი?

– აბა როდის, შენი ჭირიმე!

– აი, აგურებზედ რომ იწექი.

– სიზმარი ვნახე და იმას ვიგონებდი.

– მაშ აგურებზედ რად იყავი გაშოტილი?

– ცუდი სიზმარი ვნახე: მმარხავდნენ მითამ და საფლავიდამ ამოხტომა მინდოდა და ძირს კი დავეცი.

– მართლა, შენ გენაცვალე! – შემოჰხარა დარეჯანმა, – ვუი, შერცხვენილო თავო! მე კი ქვეყანა შევყარე, ქმარი გამიგიჟდა-მეთქი.

დარეჯანი ამოვიდა მაღლა ლუარსაბთან და მაშინვე შემოსცინა. ლუარსაბმაც კბილები დაუკრიჭა.

– მართლა გიჟი გეგონე, შენი სულისა? – ჰკითხა ლუარსაბმა.

– მართლა მეგონე, შენ გენაცვალოს ჩემი თავი.

– აი, დალახვრა ღმერთმა, მე კიდევ შენ მეგონე გიჟი. მადლობა ღმერთსა, ორივ კარგადა ვართ. კიბეზედ რომ ჩაგორდი?

– რა მიშავს? მე, რაკი შენ შენს გონებაზედ გხედავ, ყველაფერი დამავიწყდა.

– მეც ისე ვარ.

– უი, შენი ჭირიმე, შენი! რომ მართლა გაგიჟებულიყავ, რა მამივიდოდა? – უთხრა ესა დარეჯანმა და სიხარულით ატაცებულმა, რომ ლუარსაბი თავის ჭკვაზედ არის, ლოყაზედ უჩქმიტა.

ლუარსაბს იამა და, რომ უკან არ ჩამორჩეს ალერსშია, თითონაც უჩქმიტა და ზედ ტკბილის ხმით და ღიმილით „ჰი!” დაატანა. ესე მოხდა ეს ამბავი.

XI

ლუარსაბმა ეს სიზმარი თავიდამ ბოლომდინ, როგორც იყო, ისე უამბო. დარეჯანმა ისე ახსნა ეს სიზმარი, რომ სწორედ ცხრა თვეს უკან შვილი უნდა ეყოლოს.

– აბა, როგორ? – ჰკითხა ლუარსაბმა.

– ხომ სტიროდი სიზმარშია? – ეხლა დარეჯანმა ჰკითხა.

– ვტიროდი.

– მეც ხომ ვტიროდი?

– შენცა სტიროდი.

– ტირილი კიდევ სიხარულის ნიშანია. მე და შენ სიხარული სხვა რა გვექნება, თუ არ შვილის ყოლა? მაშ შვილი გვეყოლება და ჩვენი სიხარულიც ისე აგვიხდება.

– მართლა, ტირილი ხომ სიხარულის ნიშანია. უთუოდ ეგრე აგვიხდება. აი, ვენაცვალე სულში იმ სიზმარსა! თვალი არ დაუდგება დავითსა! აბა, ფერხულს მაშინ ჩამოუვლის, აი! ღმერთო, შენ იცი ეხლა.

ამ დროს ლამაზისეულმა კარი შემოაღო და გახარებული შემოვარდა ოთახში.

– ქალბატონო, ქალბატონო! – წამოიძახა გოგომა, – ჩამჩიაშვილს რომ ძაღლმა შვილი დაუცოფა, იმისთვის ერთი აქიმი დედაკაცი მოუყვანიათ, იმ დედაკაცმა თურმე მკითხაობაც იცისო. ხომ არა გნებავთ აკითხვინოთ? რაც კაცს გულში აქვს და შუბლზედ აწერია, ყველაფერს თურმე მაშინვე შეიტყობს.

– შენს პირს შაქარი, ჩემო ლამაზისეულო, შენს პირს შაქარი, – წამოიძახა გახარებულმა დარეჯანმა, – წადი და ეხლავ აქ მომიყვანე, ფულს გაჩუქებენ-თქო.

გოგო გამოტრიალდა და გაიქცა.

– დარეჯან, შენი ჭირიმე, დარეჯან! სიზმარი ცხადდება! – შეჰყვირა ღრეჯით გახარებულმა ლუარსაბმა, – ვა! მეტი რაღა გინდა! ღმერთმა თავისთავად მკითხავი კარზედ მოგაყენა. ეს რის ნიშანია?

– მაშ, ქა, რომ გეუბნებოდი და არ მიჯერებდი, მაშ რის იმედით გეუბნებოდი, რომ შვილი მეყოლება-მეთქი? მე რათა ხანია გული მითხრობდა.

– მეც დიდი ხანია გული მითხრობდა, თურმე ეს ამბავი იყო. აბა, ეხლა დაუდგება თვალი დავითსა, აი!

* *

– რა ნაღველი აქვთ იმისთანა, რომ ავადმყოფს თავი დამანებებინეს და აგრე საჩქაროდ მიბარებენ? – ჰკითხავდა ლამაზისეულს გზა-და-გზა ერთი ტანში მოხრილი, პატარა, მოკუნტული, დაღმეჭილი ბებერი დედაკაცი.

– რა ვიცი? ხომ იცი, რომ უშვილონი არიან...

– ეგ ხომ მე უშენოდაც ვიცი, რომ შვილი არა ჰყავთ, – გააწყვეტინა სიტყვა ოსტატურად გამოქნილმა და ცბიერმა მკითხავმა.

სულელს ლამაზისეულს გაუკვირდა: საიდამ იცისო!

– მაშ ქალაქში რომ მკითხავს აკითხვინეს და ეთქო, თელეთი ილოცეთო, ისიც

გეცოდინება? – უთხრა გოგომა და დააცქერდა გაოცებული, ვნახოთ, რას იტყვისო.

– მაშ, ჩემო კარგო, ჩვენი ხელობა რა არის? პურს მაგითი ვჭამ და ეგ როგორ არ მეცოდინება? – მიუგო ოსტატმა დედაბერმა ისე არხეინად, ასე გგონია, მართლა იცოდაო.

– თელეთში რომ ვიყავით, ისიც იცი?

– გეუბნები, შვილო, ჩვენი ხელობა ეგ არის-მეთქი. მაგითი ვცხოვრობთ, მაშ არ გვეცოდინება?

ძალიან უხაროდა გულში მკითხავსა, რომ ამისთანა სულელი გოგო შეჰხვდა, რომ ზოგიერთი საჭირო ამბავი გზადაგზა გამოათქმევინა. გოგოს კი საშინლად უკვირდა ამისთანა გულთამხილაობა ამ დედაკაცისა, სულელს ფიქრადაც არ მოუვიდა, რომ თითონ გააგებინა ყველაფერი, – უმაგისოდ არა ეცოდინებოდა-რა.

გოგომ თავლაზედ ამოატარა მკითხავი. მკითხავმა თავლის გარეშემო თვალი გადაავლო და ერთი ამოღრანტული რაღაცა შენიშნა. „ეს კარგია”, სთქვა გულში.

ცოლ-ქმარი მოუთმენლად ელოდნენ მკითხავსა, ბოლოს მკითხავიც მოვიდა. რა წამსაც ფეხი ოთახში შემოდგა და თავი დაუკრა, მაშინათვე ოსტატურად მოფიქრებული სიტყვები მიაყარა:

– ძერას ჰკითხეს: შვილები გირჩევნია, თუ ორი თვის წყალუსმელობაო? – წყლის უსმელობაო. ჯორსა ჰკითხეს: – შენ რაღაო? – უშვილობაო. თქვენთვის არავის უკითხავს და რატომ შვილი არა გყავთ? ვინ დაგწყევლათ ეგრე?

ცოლ-ქმარმა გაოცებით ერთმანეთს შეჰხედეს: საიდამ გაიგო ეგრე მალეო! ლუარსაბმა პირი დააღო ჯერა, მინამ სიტყვების აზრს მიჰხვდებოდა; როცა მიჰხვდა, თითქო შეშინდაო, პირჯვარი გადიწერა და სთქვა იმ სახით, როგორც ჭექა-ქუხილის დროს ვიცით ხოლმე:

– კურთხეულ არს სახელი უფლისა. ეს რა მესმის, თქვენი ჭირიმეთ!.. დედაკაცო! ჩვენ გულში იჯექ?..

მკითხავმა ხმა არ გასცა, თითქო ამისთანა ქებას ყურსაც არ ათხოვებსო. მიუბრუნდა რაღაც მზრუნველობით გოგოს და უთხრა:

– ჯამით წმინდა წყალი მომიტანე, ერთი შავტარა დანა, ნახშირი და ახალი ხორბალი.

მინამ გოგო ამას მოუტანდა, ლუარსაბი და დარეჯანი ენა-ჩავარდნილებსავით იყვნენ. ეგონათ, რომ თუ არ ეშმაკის მანქანებით, ამისთანა გულთმისნობა არ იქნება. მოდი და ეშმაკის ხსენებაზედ შიშისაგან ენა ნუ ჩაუვარდებოდათ!

გოგომ მოიტანა ყველაფერი. ბებერი ძირს ჩაჯდა. ჩააგდო ჯერ ერთი ხორბლის მარცვალი, აიღო ხელში დანა და ნახშირი და დაიწყო ტუჩების ცმაცუნი, მითამ-და ულოცავს. მერე გაუშტერა თვალი წყალსა. ჩვენი ცოლ-ქმარნი შიშით და კრძალვით ელოდებოდნენ, ჩვენი ბედისწერა რას იტყვისო.

– ქალაქში მკითხავთან გიკითხვინებიათ, – დაიწყო კუდიანმა, – მკითხავიც კარგი შეგხვედრიათ. სწორედ უთქვამს, რომ თელეთი ილოცეთო.

ეხლა კი მართლა შეშინდნენ ცოლიცა და ქმარიცა. ერთმანეთს ყურება დაუწყეს. ამისთანა გულთამხილაობა რომ არ გაეგონათ თავის დღეში!

დედაბერი ვითომ არაფერს არ ამცნევს, რაც ძალი და ღონე აქვს აცმაცუნებს ტუჩებსა და თითო ხორბლის მარცვალსა ჰყრის წყალში.

– კარგი გიქნიათ, – დაიწყო ისევ მკითხავმა, – კარგი გიქნიათ, რომ მკითხავისთვის

დაგიჯერებიათ და თელეთის სალოცავად წასულხართ. შეგეწიოთ თელეთის მადლი; მაგრამ...

აქ სიტყვა გასწყვიტა ბებერმა: თითქო წყალში უნდა ამოიკითხოსო, თვალი უფრო დააკვირვა.

– მაგრამ რა? – წასძახეს ერთხმად ცოლმა და ქმარმა.

– მაგრამ ისა, რომ იმ მკითხავს გულთმისნობა სავსე არა ჰქონია, – ცოტა ჰკლებია, თორემ თელეთი როგორ არ გიშველიდათ, რომ გამოეცნო.

– აკი შენი ბრალიაო, დარეჯან! ადრევ რომ მითხარი. გამოდის ჩემი ბრალი არა ყოფილა, – უთხრა ლუარსაბმა თავის ცოლსა, მაგრამ ისე კი, რომ გაშტერებული თვალი მკითხავისათვის არ მოუშორებია.

– დამაცა, რა დროს ეგ არის. მე აქ შიშისაგან სული მძვრება. რა ყოფილა, შენ გენაცვალე, ეს დედაკაცი!.. – ამბობდა მართლა შეშინებული დარეჯანი.

– დიაღ, მკითხავის ბრალია, – მოჰყვა ისევ კუდიანი, – იმის ბრალია. იმას რომ მიგნება ჰქონოდა, ეხლა შვილი კალთაში გეჯდებოდათ. დიაღ გეჯდებოდათ, რომ...

აქ ისევ სიტყვა გასწყვიტა ხერხიანმა დედაკაცმა და უფრო გაუშტერა თვალი წყალსა. ლუარსაბი და დარეჯანი სმენად გადაიქცნენ.

– დიაღ, თელეთი გიშველიდათ – კიდევ შეგეწიოთ იმისი მადლი – თელეთი გიშველიდათ, – გააგრძელა სიტყვა მკითხავმა ისევ თვალაუღებლად, – რომ თქვენ სახლში ჯადო არა ყოფილიყო.

ლუარსაბმა და დარეჯანმა, შიშისაგან სულწასულთა, ერთს დროს და ერთხმად კანკალით წამოიძახეს:

– ვაი, ადრე და მალე დაღუპულო ოჯახო!..

– ნუ გეშინიანთ: ეხლა ის ჯადო საშიში აღარ არის, მე ხელში მყავს.

– აბა, მაჩვენე, თუ ხელში გყავს, – უთხრა ლუარსაბმა, მაგრამ, რადგანაც თითონ ეშინოდა იმისი ნახვა, დარეჯანს უთხრა: – მე კი ვერ შევხედავ, მე თვალებს დავხუჭავ და შენ გასინჯე.

– უი, არა გეთაყვანე, შენ თითონა ჰნახე, მე დავხუჭავ თვალებსა, – მიუგო შიშისაგან ფერმიხდილმა ცოლმა.

– ნუ გეშინიანთ, – დააშოშმანა მკითხავმა, – განა მართლა ხელში მყავს, ჯადო თქვენს ეზოშია.

– სადა, გეთაყვანე, სადა? არიქა, ბიჭებო, მიშველეთ! – დაიყვირა ბატონმა.

– თავლას უკან რომ ორმოა, ჯადო იქა დევს... – მშვიდად დაუმატა მკითხავმა.

– ბიჭებო, არიქა, ბიჭებო! აბა, თქვენი ჭირიმე, ბიჭებო! თუ ბატონის წყალობა გინდათ, ბიჭებო! თუ ჩოხები გინდათ, თავლის უკან ორმოაო! არიქა, ბიჭებო! თქვენი ჭირიმე, ბიჭებო!

ჰყვიროდა ოთახში ზარდაცემული ლუარსაბი. აქეთ კიდევ დარეჯანი კანკალმა აიტანა და ტუჩები გაულურჯდა, მაგრამ მაინც კიდევ ქმარს უთხრა:

– აქ რომ ჰყვირი, ვინ რას გაიგებს? გარეთ გადი და გაგზავნე ბიჭები.

– არა, გეთაყვანე, ეხლა კი შენ გადი და მერე თუნდა ორმოცჯერ მე გავალ.

– გადი, რისა გეშინიან, ჯადო ხომ არ დაგარჩობს, – ეუბნებოდა კნეინა და თითონაც კი ეშინოდა.

– არა, გეთაყვა, შენ გადი. რა არის? ეხლა, თუ ღმერთი გწამს, შენ გადი, თუ

გიყვარვარ, შენ გადი.

– არა გრცხვენიან, მე დედაკაცსა მგზავნი და შენ კი ქუდი გეხუროს და კაცი გერქვას?

– რა დროს კაცობაა, რას ამბობ? სახლში ჯადო არისო.

– მე დავუძახებ ბიჭებს, – უთხრა მკითხავმა, – მაგაზედ როგორ დაღონდით!

– ჰო, გეთაყვა, შენ დაუძახე, ჩვენ,ხომ ხედავ, დავღონდით, – შეეხვეწა ლუარსაბი, – ეხლა, ოთახში რომ ჩვენ მარტონი დავრჩებით, ხომ არაფერი?

– არაფერი.

მკითხავი გავიდა, ბიჭები გაისტუმრა ჯადოს ამოსაღებად. ბიჭებმა ბევრი უტრიალეს თავლასა და ორმო ვერა ჰნახეს. მოვიდნენ და ბატონს უთხრეს: იქ ორმოს რა უნდაო.

– ვაი, შენ ჩემო თავო! – დაიძახა ლუარსაბმა, – დახე, ჯადოს ამათთვისაც თვალი აუბამს, რა გვეშველება?

მკითხავმა ჩაიცინა.

– მე წავალ თითონ. მე ჯადო თვალებს ვერ ამიბამს, – სთქვა მკითხავმა, – თქვენც წამოდით, რომ თქვენის თვალითა ჰნახოთ.

– არა, გეთაყვანე, ჩვენ ისეც დაგიჯერებთ, – უთხრა ლუარსაბმა, რომ ეშინოდა იქ წასვლა. – უჩვენოდ წადი, შენა ჰნახე, მითამ ჩვენ გვინახავს.

დედაბერი წავიდა, თან ბიჭები წაასხა და პატარა ხანს უკან რაღაცა ძონძები ამოიტანა.

– აქ ნუ შემოიტან, – ჰყვიროდა ლუარსაბი და თან კუთხეში იმალებოდა, – აქ ნუ შემოიტან, მანდვე დააწვევინე, მანდვე!

ჯადო დასწვეს.

XII

მეორე დღეს გუშინდელი ბიჭები დაიბარა ლუარსაბმა და ამისთანა საუბარი დაუწყო:

– მართლა ორმო იყო?

– თქვენი რისხვა არა გვაქვს, მართლა ვნახეთ, – მიუგეს ბიჭებმა. იმათ ხომ მალე იციან ამისთანაების გატანა.

– არა, თქვენ ის ორი თვალითა ჰნახეთ?

– ორის თვალითა, აი ისე, როგორც შენ გხედავთ, ბატონო!

– დიდება შენდა, ღმერთო! ამოდენა კაცი აქ დავბერდი და მე იქ ორმო არსად არ მინახავს!.. გაგონილა? როგორ შეიტყო? დიდი მისნობა არ უნდა ჰქონდეს?..

– მაგის ხელობა ეგ არის, შენი ჭირიმე, და იქიდამ შეიტყო, – მიუგეს ბიჭებმა.

– ალბად ეგრეა, თორემ... აი, დალახვრა ღმერთმა! აბა, თქვენ გინახავთ ვისმე იქ ორმო, ან გაგიგონიათ?

– რაც არ არის, რასა ჰნახავდნენ, – წაიბუტბუტა ერთმა თავმოწონებულმა ყმაწვილმა ბიჭმა, რომელიც შორი-ახლო იდგა და მკლავი ხანჯალზედ ებჯინა, – ერთი რაღაც გოგო-ბიჭების ნაჩიჩქნია და იმ კუდიანმა ორმოდ გახადა. რა უკვირთ?

ეს ისე სთქვა, რასაკვირველია, რომ ლუარსაბს არ გააგებინა.

– შენ რა გენაღვლება, ძამო, – წასჩურჩულა ერთმა ხნიერმა გამოცდილმა გლეხკაცმა, – ხომ ჰხედავ, ბატონს უხარიან, რომ იქ ორმოა. დაე ეგონოს, რომ ორმოა, შენ რა?

– შენი რისხვა არა მქონდეს, – მიუბრუნდა მერე ბატონს ცბიერი მონა, – მე იქ ორმო არც მენახოს და არც გამეგონოს დღევანდლამდინა. აი, ჭიპი აქ მომიჭრია და ამოდენა კაცს ლამის სულიც აქ დამელიოს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, შენი ჭირიმე, კუდიანის საქმე ეგ არის.

– განა ის კუდიანი იყო?

– მაშ? კუდიანობის ღამეს, ჭიაკოკოლობას, შენი ჭირიმე, გადააჯდებიან ხოლმე – აი, დასწყევლოთ ღმერთმა – ცოცხზედა და თავის ბატონთან გაფრინდებიან ხოლმე. მოგახსენებენ, ჩიტურაშვილის დედა თურმე ბუხარში აძვრება ხოლმე, ცოცხზედ, როგორც ცხენზედ, შეჯდება და, ჰერი ბიჭო, გაუტევს ხოლმე.

– ეგ მეც გამიგია. რამდენი სასწაულია ქვეყანაზედ! დიდება შენდა ღმერთო!.. – გადიწერა პირჯვარი ლუარსაბმა, – მაშ ჩიტურაშვილის დედასაც ეცოდინება მკითხაობა?

– განა ყველამ იცის, შენი ჭირიმე! ის უფროსი რომ ჰყავთ და კუდიანობის ღამეს ძღვენით რომ მიდიან ხოლმე, ის უფროსი თურმე ეტყვის: შენ, მავანო, მკითხაობა მიჩუქებია შენთვის, მეორეს კიდევ ეტყვის: შენთვის – აქიმობაო, ესე გახლავთ.

– ეგრე იქნება, თორემ აბა საიდამ გამოიცნობდა, რომ იქ ორმო არის? ჭკვიანი არ უნდა იყოს ის უფროსი?

– მოგახსენებენ, სოლომონ ბრძენზედ უფრო ჭკვიანიაო.

– არ ეტყობა, თუ! დიდება შენდა, ღმერთო ჩემო! – გადიწერა ისევ პირჯვარი და შევიდა ოთახში დარეჯანთან.

– გაიგე, დედაკაცო, რა ამბები მოახდინა იმ უხეირო, უკბილო ბებერმა? – უთხრა ცოლსა, – ის უფროსი რომ ჰყავთ, იმისი პირველი კარისკაცი ეგ უნდა იყოს. აი, დალახვრა ღმერთმა! ეს რა ვნახე, თქვენი ჭირიმეთ!

– კარგი, ნუღარ მომაგონე, თუ ღმერთი გწამს! აქამდინ ტანში შიშისაგან ჟრუანტელი მივლის.

– აი, გულთმისნობა რა არის! ამდენს ხალხს ჩემს სახლში ჭიპი მოუჭრიათ და ერთმა არ იცოდა დღევანდლამდინ, რომ იქ ორმოა. რა ქნა, თქვენი ჭირიმეთ!

– ღმერთო, შეგცოდე და, იმას თუ ეშმაკი არ ეჯდა ტანში, რა ვიცი?

ცოლ-ქმარმა ეშმაკის ხსენებაზედ პირჯვარი გადიწერეს და სამჯერ შეაფურთხეს ეშმაკსა.

– ეხლა კი... რა ვიცი? ეხლაც რომ შვილი არ გვეყოლოს, ერთი მეტისმეტი ღვთის წყრომა იქნება, – სთქვა ლუარსაბმა.

– ეჰ, შენც ერთი!.. მაგას რაღა თქმა უნდა. ისე დაჯერებული ვარ, რომ მითამ შვილი კალთაში მჯდომია. რაები არ გამოიცნო!.. მოდი და ნუ დაიჯერებ.

– მაშ! მეც იმიტომ ვამბობ და!.. მკითხაობა რომ არ გაეჩინა ღმერთსა – ვენაცვალე იმის სიბრძნეს, – რა გვეშველებოდა? ჯადოს ვიღა იპოვიდა?

ორივენი ჩაჩუმდნენ და ორივენი მაინც კიდევ გაოცებულნი იმეორებდნენ გონებაში გუშინდელს საოცარს ამბავსა. ბოლოს ლუარსაბმა ისევ დაიწყო:

– დარეჯან! წყალში ხომ არა ჰხედავდა? ჰა? შენ რას იტყვი?

– იქნება მართლა! შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, სწორედ წყალში ჰხედავდა.

– რა ვქნა, მე კი აგრე მგონია და!

– ღმერთმან იცის, იქნება სწორედ ეგრე იყოს.

– რა ვიცი! მე კი რაღაც ეჭვი მაქვს და!

– შენმა მზემ, ეგრე უნდა იყოს.

– რა ვიცი, ჩემმა გონებამ კი ეგრე გასჭრა და!

– ჩემი გულიც ეგრე მითხრობს, ლუარსაბის სიცოცხლემ!

– იმ ხორბლის მარცვალს რომ ჩააგდებდა ხოლმე წყალში და რაღაცა რგოლები კეთდებოდა, ის ხომ არ იყო?

– იქნება მართლა! სწორედ ის იქნებოდა.

– რა „ის”?

– რომ სთქვი „ისა”.

– აკი გითხარ! – მიუგო ლუარსაბმა თავმოწონებით, რომ მე გამოვიცანიო, – სწორედ ეგრე უნდა იყოს, თორემ ის დედაკაცი ეშმაკი ხომ არ იყო, რომ იმისთანა სასწაული მოეხდინა.

– ეგრე უნდა იყოს, მე კი – ღმერთო, შეგცოდე, – ეშმაკობა შევწამე.

– შენგან არ მიკვირს! ეშმაკი როგორ იქნებოდა, რქები არა ჰქონდა. ეშმაკს რქები უნდა ჰქონდეს.

– ეჰ, განა ეგ მე კი არ ვიცი, ისე გავიფიქრე.

– ჰო, ეგ სხვა არის.

ორივენი დაჩუმდნენ, ორივენი დარწმუნდნენ, რომ რაც გუშინ არ ესმოდათ, მკითხავს რომ უყურებდნენ, ის დღეს გამოიცნეს და გაიგეს.

– მე კი გამოვიცან, აი, – დაიკვეხა ლუარსაბმა. დარეჯანს, თუმცა ლუარსაბი უყვარდა, მაგრამ მაინც კიდევ თითონ უნდოდა, რომ გამოცნობის სახელი ამისი იყოს და არა ლუარსაბისა: კაცი სულელი, თუ ბრძენი, ყოველთვის თავმოყვარეა.

– განა, რომ მდომებოდა, მე კი ვერ გამოვიცნობდი, – მიუგო დარეჯანმა, – არ მინდოდა, თორემ გუშინვე გამოცნობილი მქონდა.

– ეხლა მაგას დაიჟინებ.

– ღმერთმანი, რომ ასეა.

– ეჰ, შენ ხომ კაცი ვერას დაგანახვებს და თუნდ სოლომონ ბრძენი მოვიდეს, მაშინვე ეტყვი: მე შენზედ ჭკვიანი ვარო. ეხლა რა არის, ერთხელ მე დამითმო. უცხო ხომ არა ვარ, შენი ქმარი ვარ.

არ ვიცი, დარეჯანმა დაუთმო, თუ არა, ეს კი ვიცი, რომ ლუარსაბს ძალიან ეწყინა, დარეჯანი რომ შეეცილა.

XIII

მკითხავმა მეტად მტკიცედ დააჯერა ცოლ-ქმარი, რომ შვილი ეყოლებათ. ამ იმედს მცირედი ეჭვიც არ შეურყევდათ. ამ დაჯერებამ იქამდინ მიაღწია, რომ ერთს მშვენიერს დღეს დარეჯანს ეჩვენა, ვითომც მუცელში ყმაწვილმა გაუჩუჩუნა. რასაკვირველია, გახარებულმა კნეინამ მაშინვე ლუარსაბს ახარა.

– მართლა გაიჩუჩუნა? – წამოიძახა სიხარულისაგან გონებამიხდილმა ლუარსაბმა.

– რას ამბობ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი!.. დარბაისელი დედაკაცი სიხარულისაგან კინაღამ არ შევხტი, მაგრამ მომაგონდა, რომ მუცელი წამიხდება-მეთქი, და შენ მაინც

კიდევ არა გჯერა.

– უი, შენ კი ჩაგეკონე მაგ გემრიელ სულშია! ბარაქალა, რომ არ შეხტი, თორემ მუცელი წაგიხდებოდა. იმ სიხარულში ეგ როგორღა მოგაგონდა! მე კი, მე და ჩემმა ღმერთმა, შევხტებოდი, მერე ისე შევხტებოდი, რომ დავცემულიყავი, კიტრსავით გავსკდებოდი. დაუდგეს თვალი დავითსა! ფერხული, აბა, ეხლა დაუაროს, აი! მაშ დღეს მე და შენ ერთი კაი ქეიფი გავწიოთ, ერთი კაი წითელი ღვინო ავახდევინოთ, რომ შვილის სადღეგრძელო დავლიოთ. ურაა! – დაიყვირა ლუარსაბმა და, რადგანაც გულდაღმა იწვა, თავისებურად, ტახტზედ, ერთი ფეხიც აიშვირა მაღლა და მანამ "ურა" არ გაათავა, ფეხი არ ჩამოუღია.

ეს ამბავი სადილობის დროს მოხდა. აახდევინეს წითელი ღვინო. ცოლ-ქმარნი, დაჯერებულნი, რომ მემკვიდრე ეყოლებათ და დავითიანთ თვალები დაუდგებათ, სადილზედ გამხიარულდნენ. ნამეტნავად ლუარსაბი შექეიფიანდა და კარგად გამოიბრუჟა. ელისაბედი ამბობდა, რომ ვითომც დარეჯანსაც უყვარსო ღვინის სმა. ეს კი ვიცი, რომ იმ სადილზედ ამანაც გადუსო ორიოდ ჭიქა. ლუარსაბმა სამი ჭიქა ერთად ჯერ არ-დაბადებულის შვილის სადღეგრძელო გადაჰყლაპა და ალავერდი დარეჯანთანაც მივიდა. დარეჯანმა, თუმცა ესეც ჩაღლეული იყო, მაგრამ დედაკაცობის პატივი შეინახა და ჭიქა თუმცა ჩამოართო, სულ არ დალია.

– დალიე, შენ გეთაყვანე! – ეუბნებოდა მთვრალი ლუარსაბი, – ეხლა ქეიფს ნუ წამიხდენ. ჩვენის შვილის სადღეგრძელოს როგორ არა სომ? თუ მე და შენ არ დავლევთ, მაშ ვინ უნდა დალიოს? ღმერთი გვიწყენს, იტყვის: მე შვილი მივეცი და ისინი სადღეგრძელოსაც არა სმენო. ნუ აწყენინებ მოწყალე ღმერთსა, ძლივს კაი თვალით არის ჩვენზედა. მეც ქეიფს ნუ წამიხდენ. დალიე, გეთაყვანე!

უთხრა და მიაწოდა ისევ ჭიქა.

დარეჯანმა ჩამოართო ჭიქა, მაგრამ ისეთის მორცხობით, ისეთის თვალების ხამხამით და გემრიელ ღიმილით, რომ მე მაშინვე მივხვდი, რომ კნეინა უამისოდაც გადაკრულია. ჩამოართო და გადაჰკრა. სასაცილო რამ იყო კნეინა: ღვინო თანდათან ეკიდებოდა, ლოყები აუხაშხაშდა კიდეც, ტუჩებს ღიმილი მიეკრა ზედა და აღარა ჰშორდებოდა. ქვევითი ტუჩი ძირს ჩამოეშვა და დორბლმა დენა დაუწყო, თვალები აემღვრა და თავის-თავად ეხუჭებოდა, – ერთის სიტყვით, დარეჯანი ქეიფზედ იყო. ლუარსაბიც დაითვრა. მიუშვა აღვირი ღვინოსაგან მოდუნებულს ენასა და მოჰყვა უგზო-უკვლო ტიტინს, დარეჯანი სულ თავს აცანცარებდა და შესცინოდა.

– ვენაცვალე კახეთსა! – ამბობდა მთვრალი ლუარსაბი ენადაბმით, – ვენაცვალე! ეგ რომ არა ყოფილიყო, არც კახური იქნებოდა. მაშინ მე რაღა კაცი ვიქნებოდი? ჩემს გათქმულ სახელსა მაშინ ვინღა მოიგონებდა? დღეს თუ ლუარსაბის სახელი იხსენება სადმე, ღვინის მადლობელი უნდა ვიყო. თუ კაცი ვარ მე დღეს, აი, ამ შავის ყურძნის წვენითა ვარ კაცი! ჩემოდენას საქართველოში ორიც არ დალევს, დიდი მსმელი ვარ. მე რომ სიმღერა ვიცოდე, მთელის კახეთის ღვინო არ მომერევა. ეს არის რომ არ ვიცი და! სიმღერა ღვინოს ანელებინებს და! თორემ სხვაფრივ რა მიჭირს: ფაშვი კაი მსმელისა მაქვს, აქ თუნდა ოთხი ჩაფი ღვინო ჩაეტევა. ხომ გახსოვს ის იმერელი? აი, რომ მოვიდა, დადიანის „პოვერნია“ ვარო? „პოვერნია“ კი არა, – შენც არ მამიკვდე – ის ძალად გამოგზავნეს იმერლებმა: აბა წადიო, კახეთში ერთი დევი კაცი არისო, ლუარსაბ თათქარიძე, ოღონდ ის კი დაგვითვრეო და ნახევარ იმერეთს შენ მოგცემთო. ეხლა იმან მე

რომ დამინახა, მაშინვე მიხვდა, რა კაციცა ვარ, იმიტომ „პოვერნიობა“ დაირქვა, სახელი არ წამიხდესო. კვეხნაში კი ნუ ჩამომართმევ და ჩემი სახელი სათათრემდინ არის გავარდნილი, იმერეთშიაც მისულა ჩემი ქება. მაგრამ აი, ამ შენმა უხეირო ლუარსაბმა ასე გაგიხადე ის ფხიკიანი იმერელი, რომ, რომ... სულ ჩემი მზე ვაფიცებინე. თითონვე თავის პირით მითხრა: ბაყბაყ-დევი ხარო. თითიც მომიკაკვა და ყურში ჩუმად ჩამჩურჩულა: სანაძლევო მოიგეო, ნახევარი იმერეთი შენი უნდა იყოსო. რომ მეჩივლა, რასაკვირველია, იმ ნახევარს გამოვიტანდი, მაგრამ ჩვენი მამა-პაპის მამულებიც მაშინ ისე ოხრადა გვრჩებოდა და იმერეთი რაღად მინდოდა? ეხლა ოხრად აღარ დაგვრჩება: ვენაცვალე შენს სტომაქსა! ეხლა შიგ პატარა თათქარიძე ზის და, მგონია, წითელ ღვინოში ჭყუპალაობს. უჰ, შენი კი ჭირიმე! მოდი ერთი ეგ ნაზი ტუჩები ამოგწუწნო! ეხლა ეგეც ხომ შვილი გვეყოლა, აბა ეხლა მაგის ქორწილზედ ვიფიქროთ. იცი, რა, დარეჯან? შენ ხომ ბრძენი დედაკაცი ხარ და არც მე ვარ, ღვთის მადლით, სულელი, თოთხმეტის წლისა შესრულდება თუ არა – აბა, იანგარიშე, როდის შესრულდება, მგონი ბევრი ხანი არ გასწევს, მალე შესრულდება, – შესრულდება თუ არა, ჯვარიც დავწეროთ, რაღას უნდა მოვუცადოთ? ეხლა მაგის ქორწილში ლეკურს არ ჩამოუვლი? მე კი – ღვთის წყალობა შენა გაქვს – ასეთს ბუქნას დავუვლი, რომ იქაურობას სულ მტვერი ავადინო... ეხლა იმ იმერელს რომ ვაჯობე, იცი, რა ვუთხარი? წადი-მეთქი, სადაც შენი სთქვა, იქ ჩვენიცა სთქვი-მეთქი, და იმერლებსაც უთხარი, რომ, რაც თქვენ კრიკინას წვენი გამოუვა, ერთ „ყლაპად“ არ მეყოფა-თქო, და „ყლუპი“ კი კიდევ თქვენზედ დარჩება-თქო. აი, ამისთანა კაცები ვართ კახეთში-მეთქი. მაშ!.. თუ ღმერთი გწამს, კარგად არ მითქვამს?

– კარგად და პატიოსნად.

– მაშ, მოდი ერთი კიდევ ამოვწუწნო ეგ შენი მარწყვი ლოყები. ეხლა, დარეჯან, შვილის ქორწილში ლეკურს არ ითამაშებ?

– რატომ.

– ჰო, გეთაყვანე! მოდი, იცი, რა ვქნათ? მითამ ეხლა ქორწილია: აბა ერთი... ერთი შენებური დიდოური... მე „განდიდურს“ დაგძახებ. თუ გიყვარდე, აი! მითამ ქორწილია. თუნდა ლეკური იყოს, ჰა! მე „პაწპაწინა ნიგვზის ტოტს“ დაგძახებ. ჰა და პაწპაწინა ნიგვზის ტოტი! პაწპაწინა ნიგვზის ტოტი! ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი დარეჯანასა!.. ურაა!.. აი, გიდი!.. ქუდი ჭერში!.. კახური კა... ცის... ჭი... რი... იი... მეე... ჩა... აა... რაკ... რაა... კებს... კუ... უუ... ლა... სა... იმ იმერელსაც... კაი... საქმე... დავმარ... დავითსაც... თვალიმც... გამოს... ძრო... მია... ურაა!..

ყროყინებდა სიმღერის ხმაზედ გაბრუჟებული ლუარსაბი, ჰბოდავდა რაღაცეებსა და ამ ბოდვაში ჩაეძინა კიდეცა.

XIV

აღარ გაათავებ? – მკითხავს მოწყენილი, და იქნება გაჯავრებულიც, მკითხველი. – როგორ არა? გავათავებ, მაგრამ იცით რითა? იმითი, რომ ლუარსაბის ბედნიერება დაირღვევა. თუ მაგისთანა მტკიცე ბედნიერებაც დაირღვევა, მაშ რაღა ყოფილა დაურღვეველი ქვეყანაზედ? – დაიძახებს ჩემთან ერთხმად დაღონებული მკითხველი.

მარტო ქვეყანაა, მკითხველო, დაურღვეველი, და ერთი ლამაზი, გონიერი ქართვლის ანდაზა: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“, თორემ „ნუ

დააგდებ ძველსა გზასაო“ – ეს ჩინეთიდამ შემოგვეპარა და რასაც ჩინეთის ფერი ადევს, ის რასაკვირველია, დაირღვევა ღვთისა და თქვენის წყალობითა, ჩემო ძველის გზის მოყვარეე, მაგრამ მაინც კიდევ საყვარელო ქართველო!..

გაიარა რაოდენმამე ჟამმა და წუთის-სოფლის დაუდგრომელმა ბრუნვამ ბევრი რამ გამოსცვალა დედამიწის ზურგზედ. ამათ შვილი არ მიეცათ. დარეჯანმა ერთი აქიმი დედაკაცი იშოვა და წამლობა დაიწყო, აქიმმა დედაკაცმა ერთი რაღაც წამალი მისცა, მთელი ორი კვირა ასმევდა და მესამე კვირას კი დარეჯანს ფეხები გააჭიმინა. დარჩა ქვრივად საწყალი ლუარსაბი. წვერი დაიყენა, შავები ჩაიცვა. თავისი ბედნიერება სულ დარეჯანთან დამარხა. ორი სიამოვნებაღა დარჩა ამ ტრიალ ქვეყანაზედ: ერთი – მადა; მეორე ისა, რომ ლამაზისეული ფეხთ უჯდა ხოლმე, როცა ძილს დააპირებდა ბატონი, ფეხის გულებზედ და კანჭებზედ ხელს უსვამდა და ისე აძინებდა. ესღა იყო ამისათვის ნუგეშად, თორემ ის პატიოსანი ფაშვი ჩამოებღერტა, ის ხაშხაში ლოყები ჩაუყვითლდა, ის დიდრონი ძროხის ოდენა თვალები უგემურად მიელივა, ის სამკეცი ფაფუკი ღაბაბი გუდა ლეღვსავით გაუხდა, ამასთანაც ის თავისებური განსხვავებითი მუდამი ღიმილი სახიდამ დაეკარგა, – ერთის სიტყვით, წახდა კაკალი კაცი. მწუხარებამ ესე იცის. ბოლოს, ფერისცვალობის დღეს, რაღაც ეშმაკად, ნათლიმამამ ნახევარი ლიტრა კალმახი მოართვა. ჯავრისაგან იმ კალმახს ლაზათიანად მიაძღა, მოუვიდა კუჭის ანთება და ჩაჰბარდა პატრონსა.

მოკვდა ლუარსაბიცა ისე, როგორც იხოცებიან ბევრნი ჩვენგანნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ.

წაიშალა ამ ორთა გვამთა ცხოვრების კვალი დედამიწის ზურგზედა. რისთვის მოვიდნენ და რისთვის წავიდნენ? ნუთუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეშოვნათ და სამ-სამი ადლი მიწა? ან კიდევ ქვაზედ წაიწერონ, რომ „ჩყ... წლამდინ თავადი ლუარსაბი თათქარიძე და მისი კნეინა დარეჯანი ცოცხალნი ყოფილან და მერე დახოცილან?“ სხვა ხომ არაფერი გვეტყვის, რომ ესენი ამ ქვეყანაში ყოფილან და უცხოვრიათ. „წამკითხველო, შენდობა გვიბძანეთო“, ამბობს იმათი ქვის ზედწარწერილი. ნახევარი საუკუნე ამისთვის იცხოვრეს ამ ქვეყანაზედ, რომ ბოლოს მაინც კიდევ „შენდობა“ ითხოვონ და საბოდიშოდ გაიხადონ საქმე? უფროსთაგანს ქართვლის საფლავის ქვას რომ აწერია „შენდობა გვიბძანეთო“, ეხლა მესმის, რისთვისაც აწერია. მაგ შესანდობარს და შესაბრალისს ჩვეულებას თავისი აზრი და საფუძველი ჰქონია, მაგრამ არ გითარგმნი კი, მკითხველო! თუ კაი გული გაქვს და გამჭრე გონება შენც თითონ ჩემზედ უკეთესად მიხვდები, თუ არა და, თქმა საჭირო არ არის. ტყუილად გულს გატკენ, გაგარისხებ და ის რისხვა ისე აგიბამს თვალსა, რომ სხვას შენზედ მეტადაც რომ გული სტკიოდეს, ამას ვეღარ დაინახავ და იმის გულის სატკენ სიტყვას მუხანათობაში ჩამოართმევ.

მე გავათავე და შენ, რაც გინდა, ჰქმენ, მკითხველო! გინდა იცინე, გინდა იტირე, როცა ამ ამბავს წაიკითხავ. ორივეს საბუთი ისევ ამავე მოთხრობაში გაქვს. თუ ოდესმე თვალი აგიხილებია და შენს გარშემო რაც გინახავს, იმაზედ გონება გივარჯიშებია, – ნახავდი, რომ ხშირად ერთი და იგივე საგანი ზოგს აცინებს, ზოგს ატირებს. მე მინახავს ერთი მოხუცებული, ღარიბი, შიშველ-ტიტველი, ფეხებდახეთქილი დედაკაცი. ვინ იცის, რა-გვარ უბედურობისაგან ლოთად ჩავარდნილიყო და ლოთობაში სამუდამოდ დაეკარგა თავისი დედაკაცობა და ადამიანობა. მე მინახავს ის საცოდავი დედაკაცი, ქალაქის ბიჭებს

დაეჭირათ და ხუთ გროშად მთელი საათი ახტუნებდნენ პამპულასავით. მე მინახავს, რომ იმათში ბევრი იცინოდა და ზოგიერთს კი ამ საცოდავის დედაკაცის მაგ ყოფაზედ გული უტიროდათ. ვინ იყო ამათში მართალი? მოცინარენი, თუ მოტირალენი? ორივენი, იმიტომ რომ ერთნი თვალითა ჰხედავდნენ მარტო და თვალისათვის მართლა სასაცილო იყო, მეორენი კი – თვალითაცა და გონებითაცა. გონებას კი – ძნელად თუ გაეცინება. სჩანს, შეიძლება, რომ ერთი და იგივე ამბავი სატირალიც იყოს და საცინარიცა, – ეგ იმაზედ არის დამოკიდებული, როგორი აგებულებისა ხარ: თუ იმისთანა გონების ძალა გაქვს, რომ, რაც უნდა მწუხარე ჭეშმარიტება იყოს, გულდაგულ შეხვდები, და თუ იმისთანა გულიცა გაქვს, რომ უბედურს და გზაკვალარეულს შეიბრალებ, ამისთანა სასაცილო ამბავი უფრო ხშირად უნდა გატირებდეს შენა, თუ არა და იცინე, რამდენიც გენებოს. იცინე და თანაც გაჯავრდი ამ მოთხრობის დამწერზედ და მამიგონე ჭორი – შენ ხომ ჭორების მოგონება გიყვარს – რომ მე ვითომც ქართველობას ვღალატობ, რადგანაც იმის სასაცილო ამბავს გიამბობ და არა ვმალავ ზოგიერთ გულ-მოკლე პატრიოტივით. ვიცი, რომ, ჩვენდა საუბედუროდ, თქვენში, მკითხველო, ძნელად იპოვება იმისთანა კაცი, რომ მართალს სიტყვას გონება გაუსწოროს. ვიცი ეს და მაინც კიდევ პირში, როგორც მოყვარე, გეტყვი, რომ ლუარსაბი და დარეჯანი შენს კალთაში დაბადებულან და შენის ძუძუთი გაზრდილან. გინდა მიწყინე, გინდა არა. თუ იმათ დასცინებ, მითამ შენის თავისთვის დაგიცინია, თუ დასტირებ – ეგ კაი ნიშანია: სჩანს, სწუხხარ, რომ ამისთანანი ვართ, სჩანს, შენის თავის გასწორების განზრახვამ ფრთა აიბა. ღმერთმა ქნას, რომ ეგ აგრე იყოს.

მე თუ შენ მიყვარხარ, მკითხველო, იმისთვის მიყვარხარ, რომ იმედი მაქვს ეგ გასწორების განზრახვა, დღესა თუ ხვალე, შენში გაიღვიძებს. ამ იმედს ნუ წაგვართმევ. ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა. ამას მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს – რამოდენადაც შეძლება აქვს-შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო. მინამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვია? ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე, თუ გინდა, მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნება გენიშნოს რამე. ესეც იცოდე: მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გექცევი, – სარკე მოგიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?! რა ვუყოთ, თუ ეს სარკე გაბზარული გამოდგება და შიგა-და-შიგ ლაქებიანიცა? რაცა მქონდა ის მოგართვი, როგორც შემეძლო, ისე დაგეხმარე. თუ მაინც-და-მაინც წყრომას არ დაიშლი, შენი ნებაა. მე შენის წყრომისა არ მეშინიან. მაშინ მხოლოდ დავღონდები, რომ შენშიაც მოვტყუვდი; რომ შენ ის არა ჰყოფილხარ, რაც მეგონე. მაშინ გულხელდაკრებილს ესღა დამრჩება სათქმელად: მე მიყივლია და გათენდება თუ არა, ეგ ღმერთმა იცის! წყრომა კი რომ არა ყოფილიყო, ეგ გათენება, ჩვენც კარგად გვეცოდინებოდა, როდისაც იქნებოდა!..

სხვაფრივ მშვიდობით ბძანდებოდეთ და შენდობით იხსენიებდეთ მონასა თქვენსა...

1858 – 1863 წ.

გლახის ნაამბობი

რა ქნას კარგმა მონარდემა,
დროზედ შაში თუ არ მოვა.

I

მე, სწორედ, ნადირობის ტრფიალს რომ იტყვინ, ისა ვარ. საკვირველად მიყვარს დაბურულს, ხმაგაკმენდილ ტყეში ხის ძირას ჯდომა და მილეულის გულისცემით ლოდინი ნათვალევის ნადირისა. არის რაღაცა მოუწყინარი სიამოვნება ამ ხალისიან გართვაშია. თუ გნებავთ, ამასაც კი ვიტყვი, რომ ნადირობა ცოდვაა: ყოველი სულიერი ღვთის დანაბადია, ყველას აქვს თანასწორი ნება ამ თვალუწდომელ ქვეყანაში ცხოვრებისა, მაგრამ რა გაეწყობა?.. ტყუილად კი არ გვარწმუნებს ჩვენი საღმრთო წერილი, რომ პირველი სისხლი უბოროტო ქვეყანაზედ კაცმა კაცისა დაანთხიაო. კაცი მოსისხლეა, მეც კაცთაგანი ვარ. ბევრჯერ მინახავს ირემი დამფრთხალი ძაღლისაგან, ბევრჯერ მინახავს და ბევრჯერ გაუტაცნია ჩემი გონება მის თავისუფალს სილამაზესა. გადუწყვია რა ზურგზედ თავისი შტოიანი რქები, მორბის გამალებული, ლამაზი და ამაყი, უკან მოჰყეფს ნაგეში ძაღლი. ძაღლს მიურბის საწყალი და ზედ კი შეეხლება ხოლმე კაცსა, რომელიც ამ შემთხვევაში ძაღლზედ უფრო შეუბრალებელია და დაუნდობელი. შორიდამვე ესმის ირმის ფეხის ცემა ყურმახვილ მონადირესა; ესმის და მისი მოსისხლე გული ღელდება და ღელდება მეტის მოუთმენლობისა გამო. აი, მოვიდა თოფის მანძილზედა, ფოთლებ და ბუჩქებ შუა გამოჩნდა მისი დაღონებული, ნაღვლიანი თავი. ძაღლი დაუახლოვდა. იშვირა ფეხი ირემმა და ისარივით გადმოეშო ბუჩქნარზედ. გგონია, აგიქცევს გზას და მიეცემა საყვარელის ტყის განსაცდელით სავსე თავისუფლებასა, მაგრამ არა, დაუშტვენ. მაშინ უნდა ჰნახოთ, რა მწუხარებით შედგება, რარიგ საოცარ მშვენიერებით მოიღერებს კისერსა, რა გაფეთებით და იმედგადაწყვეტილად დაიწყებს ნაღვლიანის თვალების ტრიალს, ყურების ცქვეტას, გაგანიერებულის ნესტოებით სუნის აღებასა!.. ისეთი ლამაზია, ისეთი ნაზია და იმ სინაზესთან ისეთი მიმზიდველი ამაყიცა, რომა, გგონია, რაც ბუნებისაგან მინიჭებული მადლი აქვსო, სულ ეხლა შემოიკრიბაო, რომ სიკეთით და თავის სილამაზით მაინც შეაბრალოს თავი დამალულს მტერსაო! მაგრამ კაცი მაგისთანა გულჩვილი არ არის, რომ მაგით მოტყუვდეს. რაკი იყნოსა, კაცის სუნი აიღო, ირემმა დააპირა გაქცევა, მაგრამ თოფმა იგრიალა, და ირემი, აქამდინ ცოცხალი, თავისუფალი და ლაღი, გაირთხო იმ ბალახზედ, რომლის კალთაშიაც პირველად აახილა თვალი, რომ მიესალმოს ქვეყანასა და ბოლოს უკანასკნელად დახუჭოს, რომ სამუდამოდ გამოესალმოს. ისინი იყვნენ ამის აკვნად და ბოლოს საფლავადაც გადაექცნენ. უნდა ჰნახოთ ის ამაყი, თავისუფალი ნადირი, რარიგად უდრტვინველად და მშვიდადა კვდება, მაგრამ მე ყოველთვის მის ცრემლმორეულ თვალებში ეს აღმომიკითხავს: ჩემო მკვლელო! ქვეყანა ღვთისა დიდია და ფართო... რად შეგშურდა, რომ მეც, უბოროტოს და მშვიდსა, ამ ღვთის მიუწვდომელ ქვეყანაში ერთი მტკაველი ალაგი მეჭირა?.. ეს სიტყვები აღონებდნენ გულს, მინამდინ დედამიწა შეიშრობდა სისხლსა დაღვრილსა

და როცა შეიშრობდა, მეც კი მომაგონდებოდა, რომ ჩვენ თითონ სულიერთა მეუფენი, ჩვენ თითონ ქმნილებათა გვირგვინნი, ჩვენ თითონ ღვთის სახისანი ერთი-ერთმანეთს არ ვუთმობთ იმ ადგილსა, – რაკი მოვიგონებდი, რომ ყოველ კაცის ნაფეხურსა ერთი მუჭა კაცისავე სისხლი შეუშვრია, მაშინვე დამიდინჯდებოდა გული და გამართლებული ვიტყოდი: „ისიც კარგია, ჩემო პირუტყვო, რომ იქა ჰკვდები, სადაც დაიბადე. ჩვენ, კაცები, ხანდისხან მაგ ბედნიერებასაც მოკლებულნი ვართ”.

II

ჩვენს სოფელს ქვემოდამ ერთი თხუთმეტიოდე ვერსტი რომ გაგევლოთ, კაი სანადირო ადგილები იყო. რა იქ!.. ყველგან, ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში, სადაც, გლეხისა არ იყოს, „ქრისტე ღმერთს თავისი უხვი კალთა დაუბღერტია”, ყველგან კაი ადგილებია. რაც გინდა არის: დაიწყეთ მოხდენილ ირმიდამ და გაათავეთ დარბაისელ გარეულ ღორითა, ან გულისხმიერ დათვითა. ფრინველს ხომ თვლა არ უნდა. მაგრამ, ჩვენ სოფელს ქვემოდამ, რომ ვსთქვი, ის ალაგები მეტად მიყვარდა. კარგად ვიცოდი იმათი ვითარება და შენიშნული, ნათვალევიც მყვანდა იქ ნადირი. ორის-სამის დღით წავიდოდი ხოლმე; როცა დამიღამდებოდა, ავბრუნდებოდი ერთ პატარა სოფელში, სადაც მყვანდა ერთი პატიოსანი გლეხკაცი ნათელ-მირონად. ღამეს იქ გავატარებდი და მეორე დილას, ტრედის-ფრად რომ ინათებდა, დავეშვებოდი თავ-თავქვე სანადიროდ. ორი თვე აღარ ვყოფილვარ იქითკენ, ბოლოს მომინდა წასვლა. ერთ მშვენიერს ზაფხულის დილას ვახსენე ღმერთი, ავიღე ორლულიანი თოფი, დავუძახე ჩემ მეძებარს და წავედი.

იმ ჩემ ნათლიმამის სოფლის სათავეში, ორღობეები რომ იწყებოდა, ზედ საურმე გზის პირას, იდგა ერთი ძველი საბძელი, გომურზედ მოდგმული. გომურის ჩასავალში ჩარდახსავით იყო წინ წამოწეული. ამ საბძლის გარეშემო ადამიანის კვალი არა სჩანდა. ის იყო, მგონია, აყრილის კაცისა, ან ამოწყვეტილისა, თავმინებებული და პატრონსავით დავიწყებული. რასაკვირველია, ხშირად შემხვედრია ამ საბძლისაკენ ავლა და ჩამოვლა, რადგანაც ზედ გზის პირას იდგა, მაგრამ, აი, რამდენჯერ ამივლია და ჩამომივლია, არც ერთხელ არც ერთი სულიერი მე იქ არ დამინახავს. თუ იქნებოდა, ისიც ხანდისხან ზურგწამხდარი, დაჭლევებული გლეხკაცის ცხენი, რომელიც უილაჯობით შორს ვერ წასულიყო და საბძლის გარეშემო სჯიჯგნიდა გოლვისაგან გადამხმარ ბალახსა. ეხლა კი რომ ამოვიარე, ჩემდა გასაკვირველად, დავინახე ერთი კაცი, გომურის კარებთან მიწოლილი. ეგ არაფერი. დილაზედ ჩამოვიარე, შევიხედე, ის კაცი ისევ-ისე მწოლარე დავინახე. საღამოზედ, ჯერ ბინდი არ მოჰრეოდა სინათლესა, ამოვიარე – ის კაცი ისევ ისე ვნახე. გამიკვირდა უფრო იმიტომ, რომ იმის მეტი იქ არავინ მოჩანდა. დავაპირე, ამაღამ უთუოდ გამოვკითხავ ჩემ ნათლიმამას ამის ვინაობას-მეთქი. ჩემ კითხვაზედ ნათლიმამამ მომიგო:

– რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე! მაგის ვინაობა აქ არავინ იცის. ეგ ვიღაც გლახა არის, დავრდომილი და უპატრონო; სნეულია, მოსულა და მანდ შეჰკედლებია, აი, ეს თუნდ თვე-ნახევარი იქნება.

– სულ მარტოდმარტო არის?

– რა ვიცი, შენი ჭირიმე! მანდ კი გულშემატკივარი არავინა ჰყავს და.

– მაშ ვინ აცხოვრებს?

– ქვეყანა. იმ გზაზედ ხალხის ფეხი არ მისწყდება. ამვლელ-ჩამვლელი არ დაილევა: ერთი ღვთის კაცი იქნება ვინმე და მიუგდებს ორიოდე ლუკმა პურსა. ისიც მეტს არაფერსა ჰთხოულობს, ცარიელ პურითაც იოლად მიდის.

– აქაური ხომ არ არის?

– რასა ბძანებთ!.. აქაური რომ იყოს, ისე როგორ გაუწყრებოდა ღმერთი, რომ თავისიანი არ მიეცა. არა აქაური არ გახლავთ.

– შენ გილაპარაკნია იმ კაცთან?

– რატომ? მილაპარაკნია.

– თავის აფალი არა უთქვამს-რა?

– არა. მაგრამ კაი სიტყვის კაცი კი ყოფილა ის უბედური.

– იქნება შენ თითონ არ გამოგიკითხავს?

– როგორ არ გამომიკითხავს. „მეო, – ერთხელ მითხრა, – ერთი დავიწყებული კაცი ვარ, რად გინდა ჩემი ვინაობა? შემომხედე, ჩემო ძმობილო, და მიცანიო". სხვა არაფერი უთქვამს თავის თავზედ. მეც აღარა გამომიკითხავს-რა მასუკან. მგონი, თავს იმალავს.

მე გამაოცა ამანა. მე ბუნებითაც ცნობისმოყვარე ვიყავ და ეხლა, იფიქრეთ, ამ ნათლიმამის ნაწყვეტმა სიტყვებმა როგორ აღმიძრეს გული იმ კაცის ამბავის შესატყობრად. რა უნდა ჰქონოდა თავის დასამალავი? – ვფიქრობდი გულში. გავიზრახე, რომ თითონ გლახას, რაც უნდა დამემართოს, გამოვათქმევინო თავისი ვინაობა.

ერთხელ ტყუილუბრალოდ ნათრევნახეტი, დაღლილი და ხელცარიელი მოვდიოდი ჩემ ნათლიმამისაკენ. ჯერ მზე ისევ მაღლა იყო, კალოს ხარის გამოშვების დრო იქნებოდა. ის უბედური კაცი, ისევ ისე მწოლარე, იმავე ადგილას დავინახე. ვეღარ მომითმინა გულმა, ვსთქვი, რაც უნდა იყოს, მივალ, იქნება ვათქმევინო რამე: მაინც ცოტად დაღლილი ვარ, ნათლიმამის სახლამდინაც კაი მანძილი იყო კიდევ. სხვა არა იყოს-რა, ქარს მაინც ამოვაღებინებდი დაღლილ მუხლებსა. მივედი, „გამარჯვება" ვუთხარი.

– ღმერთმა გადღეგრძელოთ, – მიპასუხა იმან სნეულის ხმითა და წამოიწივა პატივსაცემლად, რადგანაც თავადის-შვილი ვეგონე.

მე შევნიშნე, რომ ამ წამოწევამ ძალიან შეაწუხა, თითქო ტკივილები აეშალნენო, ისე მტკივნეულად შეიკრიბა წარბები და დაეღმიჭა გაყვითლებული სახე. ის იყო სრულიად დათენთილი სნეულებისაგან. ყვითელი სახე, შიგა-და-შიგ ტყლაპსავით ჩაჩნეული, შეშუპებული ჰქონდა, როგორც წყალმანკის მქონესა, თმა და მოზრდილი ჭაღარა წვერი ჭუჭყისაგან ისე გასქელებოდა, თითქო იმის თმას თავის დღეში არც წყალი მოჰხვედრიაო და არც სავარცხელი. რუსის ფარაჯის ნაგლეჯებში იყო გახვეული ის უბედური, ქვეშ ეშალა ლეკურ ნაბდის ნაგლეჯი. გვერდთ ედგა ერთი პირმოტეხილი ლიტრა, იქავ ეგდო რუსული სხვილი ტილოს თოფრაკი და ერთი მოზრდილი კომბალი, ეგ ერთგული და უმუხანათო თანამგზავრი ყოველის უბედურისა. ძალიან გაქელილი სჩანდა დაუნდობელ ცხოვრებისაგან, მაგრამ იმასში რაღაცა იყო იმისთანა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ცხოვრების ქარიშხალსა ჯერ კიდევ არ გაუქრია მისის სულის სიცხოვლე და სიძლიერე. მისი დაღლილი და არ-უგონო თვალები, პირქუშად და შეწუხებულად მაყურებელნი, სავსენი იყვნენ სიმტკიცითა და ღონითა; ეტყობოდათ ზედ, რომ ამათ პატრონს ბევრი ცეცხლი უნახავს, ბევრი ავდარი შესწრებია და გამოუვლია, მაგრამ არც ცეცხლს და არც

ავდარსა ისე არ მოუკლავთ, როგორც შეეძლოთ. საზიზღარი სანახაობა ჰქონდა, მინდა ვსთქვა, საცოდავიცა, მაგრამ ამის თვალების სიამაყეს ვერ ვაკადრებ მაგას. დიდრონი, შიშველი ფეხები საცოდავად ასიებოდნენ, დახეთქილ წყლულიდამ ჩირქი სდიოდა. ღმერთო, შეგცოდე, ეს რომ დავინახე, თვალი მოვარიდე, ისე მეზიზღა.

– გეზიზღები განა, შე კაი კაცო! – მკითხა დაგვემილის ხმით, მაგრამ მე ის ხმა გამკიცხავ ხმად მეჩვენა. მე შევხედე და ერთი მწუხარე, თუ მძულვარე ჩემი შემარცხვენელი ღიმილი დამხვდა იმის სახეზედა. მე შემრცხვა და მაშინვე თავი დავიხარე, ვერ გავუძელი იმის თვალების მკაცრს მეტყველებას. ვგრძნობდი, რომ ჩემის სულმოკლეობის სირცხვილმა სახეზედ ცეცხლი მომიკიდა ამ კაცის თამამ კითხვაზედ. მე პასუხი არ მივე, და ან რა უნდა მეთქვა?

– მართალი ბრძანდები, – განაგრძელა იმ უბედურმა, თითქო მე შევეცოდეო, ჩემს დასამშვიდებლად, – მართალი ბრძანდები! ცოცხალ კაცს მატლი მეხვევა!.. თითონ მე მეზიზღება ჩემი თავი, შენი რა საკვირველია!

ამან ვერ დამიშოშმანა სულმოკლე გული, თუმცა, თითქო უგუნური ქცევა ჩემი თითონვე გამიმართლაო. მაგრამ ვაი იმ გამართლებასა!.. გული უფრო ამემღვრა, მე იმ წამს ჩემი თავი შემძულდა, რას ბძანებთ?.. ჩემს წინ ნახევარმკვდარი კაცი იდო, ეგრე უნუგეშოდ დარჩომილი. იმას ისე ეჭირებოდა გულმტკივნეული ქცევა და თბილი სიტყვა, მე კი მხეცურად თვალი მოვარიდე და შევიზიზღე, მოდი აქა და თავი გაიმართლე! უნდა წამოვმდგარიყავი და ბოდიშით შემენანა ჩემი მხეცური ქცევა, მაშინ გავმართლდებოდი, მაგრამ სულის ღონე ჩემი ამ პატიოსნურ საქმისათვის უძლური იყო. სუსტი რომ იქნება კაცი, იქნება!..

– მე ეს ოთხი თვეა, რომ ასე ვარ, – დაიწყო კიდევ, – დამიგდო ავადმყოფობამ და ამ დღემდინ მომიყვანა. ესე უპატრონოდ ამ დაქცეულ ჩარდახის ქვეშ ამომდის სული. ამოდენა დედამიწის ზურგზედ დამტირებელი არა მყავს. სიკვდილსაც ისე დავავიწყდი, როგორც კაცსა: ველი და არ მოდის. ისიც კაცსავით კეთილი ყოფილა: როცა გიჭირს, მაშინ გემალება. ნუ მოვა... მე უფალმა იმოდენა ღონე კიდევ შემარჩინა, რომ ჩემს ბედს ბოლომდინ, საფლავის კარებამდინ მივიტან. ეს კია რომ, სადაური სადა ვკვდები!..

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?
ყოვლიმც შენი მონდობილი
ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა!
სადაურსა სად წაიყვან,
სად აღუფხვრი სადით ძირსა,
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს
კაცსა შენგან განაწირსა!”

– მართალი უთქვამს ამის მთქმელსა, შენი ჭირიმე! თუ ქვეყანამ პირი უკუმარიდა და არ შემიკედლა, ღვთის კალთა ხომ ფართოა!..

ეს რომ სთქვა, ღმერთს შეჰხედა. მე აბა წარმოიდგინეთ, რა-რიგად გამიკვირდებოდა ძონძებში გახვეულის გლახისაგან ეს „ვეფხვისტყაოსნის” სიტყვები!.. ბარაქალა იმ კაცის მეტყველებას, რომლის სიტყვები ამისთანა უნუგეშოსაც ანუგეშებს საფლავის კარამდინა! მშვიდობა ძლიერსა სულსა შენსა, უკვდავო რუსთაველო!

რა ვქნა? – ვთქვი ჩემს გულში, – ეს კაცი ის არ უნდა ყოფილიყო, რაც ეხლა არის. ცნობისმოყვარეობა ჩემი წრეს გასცილდა, მერე იმანაც სიტყვა თითონვე ისე გამიგრძელა, რომ იმედი მომეცა გამომეთქმევინებინა რამე. მინდოდა მეკითხნა, მაგრამ ვერ გავბედე: შევატყე, რომ დიდი ხნის ცნობილმა ქარმა უეცრად მოჰბერა გამოვლილი სევდა. ჯერ ვამჯობინე, სევდის ღრუბელი გადეყარა, მერე მეკითხნა ვინაობა. ბოლოს ისევ ჩემსკენ მობრუნდა და დიდხანს დამაცქერა შავი თვალები. მე ისე მეჩვენა, ვითომც სახის მეტყველება შესცვლოდა. ეხლა კი დრო იყო, მგონი, დამეწყო საუბარი, მაგრამ ვიფიქრე, ვიფიქრე, როგორ მოვაყოლო, და ვერა მოვაგვარე-რა. ხომ ესეა ეს ოხერი, როცა გიჭირს, ხერხიც მაშინ გეკარგება და ღონეცა. ბოლოს ვთქვი: დავიწყებ, ჯანი გამვარდეს, თუ უხერხოდ მომივა.

– შენ, ძმობილო, – ვუთხარი მონაწილეობით, – აქაური არ უნდა იყო, თორემ თავისიანი როგორ დაგელეოდა?

– მართალი ბძანებაა, – მიპასუხა იმან, – მე აქაური არა ვარ, ჩემი ქვეყანა აქედამ შორს არის, მაგრამ იქაც რომ ვყოფილიყავი, ესე ოხრად ამომივიდოდა სული, იმიტომ, რომ იქაც ისე აღარავინა მყავს, როგორც აქა.

– დიდი ხანია, რაც ამ მხარესა ხარ?

– კარგა ხანია, ბატონო! აი, ხუთი წელიწადი უნდა შესრულდეს ამ შემოდგომაზედ, თუ მანამდინ დამცალდა. დიაღ!.. ხუთი წელიწადი იქნება, რაც სამუდამოდ დამაკარგვინეს ჩემი მიწა-წყალი. თუნდა რომ მე ვაპატიო, ღმერთი მაინც მოჰკითხავს, ვინც ეგ სიკეთე მიყო.

– როგორ თუ დაგაკარგვინეს!.. განა ძალადა ხარ გამოგდებული?

– ეგ რომ გითხრათ, მითამ ჩემი ამბავი მიამბნია.

– თუნდ რომ მიამბო, რა დასაძრახისია?

– არა, განა მაგას მოგახსენებთ, მაგრამ მე არ მინდოდა ჩემი ამბავი ვისთვისმე მეთქო.

ეს ისეთნაირად სთქვა, რომ მე იმედი მომეცა დაწვრილებით თქმევისა, თუ რომ ცოტად მაინც ძალას კიდევ დავატანდი.

– რატომ არ გინდა? რისა გეშინიან?

– ჰმ, – ჩაიცინა გლახამა, – რისა უნდა მეშინოდეს?..

– მაშ რა გაბრკოლებს? სთქვი, თუ ღმერთი გწამს, – დავეღრიჯე მე, რომ ვერა გავხდი-რა, – რა წამსაც დაგინახე, ღმერთია მოწამე, გული შენკენ მომიბრუნდა, თუმცა...

– თუმცა რა?

– არაფერი... მე მინდოდა მეთქვა, რომ შეგატყე, წუთის-სოფლისაგან დაჩაგრული ხარ, – გავუსხვაფერე მე სიტყვა, – მიამბე, ვინა ხარ, გულნაკლულად ნუ გამიშვებ...

– ვინა ვარ?... – მომიგო მან და შედგა, თითქო თქმა არ უნდაო.

III

– მე, სწორედ მოგახსენოთ, – დაიწყო ხელახლად გლახამა, – ჩემს ვინაობას არ გეტყოდი, თუ ჩემი აღსასრული არ მოახლოვებულიყოს. ვიცი – ჩემი დღე დათვლილია. თუმცა ძალიან კი მეძნელება თქმა, მაგრამ რა გაეწყობა? გულში გაიღვიძა კიდევაც ძველებურმა საქმემა და ეხლა რაღა დროს დამალვაა? გინდა ეგ არ იყოს, ეხლა არაფრისა

მეშინიან, თუნდა გამცე კიდეც. მე როდესღაც ვფიქრობდი ჩემის ვინაობის დამალვასა, როცა სიცოცხლე ტკბილი იყო ჩემთვისაც, როცა იმედი მქონდა, რომ ქვეყანაზედ მეც, როგორც იქნებოდა, შრომით თუ ოფლით ვიყიდდი ლუკმა პურსა და ისე დავლევდი წუთის-სოფლის დღესა. ეხლა კი, როცა სიცოცხლე ბალღამსავით გამიმწარდა და ის ერთად-ერთი, ჩემსავით ობოლი იმედი წამართო ჟამთა-ვითარებამა, ეხლა მე ფიქრი აღარაფრისა არა მაქვს. გეტყვი ყოველ ჩემ გარდასავალს და დაე ღმერთმა ეს აღსარებად მიმითვალოს, თუ რამ შევცოდე და მონანება ვერ მოვასწარ, შემინდოს. მე ვარ ნაყაჩაღევი. ჩემი თავი ერთ დროს წმინდი-გიორგის ჯვარად იყო დაფასებული, მაგრამ, ხომ მხედავთ, შესყიდულმა ტყვიამ აქამდისინ ვერ მიპოვა. მე, მართალია, ვიყავ ერთ დროს კაი მოსხეპილი, ხელმარჯვე ბიჭი, ძალი და ღონე ყველაფერში შემწევდა, მაგრამ, ღვთის წინაშე ვაღიარებ, მე საყაჩაღო კაცი არ ვიყავი. იქ ასეთი გული უნდა, რომ დედას კალთაში შვილი მოუკლა და ხელი არ აგიკანკალდეს. მე იმისთანა არ ვიყავ: გული მორბილებული მქონდა პატარაობითვე, მე ყმაწვილობითვე სხვა მზემ დამკრა და სხვარიგად გამითბო გული; მაგრამ ჟამმა მიმუხთლა და კაცმა არ მიპატივა, მეც დავკარ ფეხი და გავვარდი ყაჩაღად.

– მე კახელი არ გახლავარ, – მოჰყვა კვლავ მცირე ჩაფიქრების შემდეგ. – ჩემი მიწა-წყალი, როგორც მოგახსენეთ, აქედამ შორს არის, და ვაი რომ ჩემ სიცოცხლეში იმ მიწას ვეღარ ვინახულებ და იმ წყალს ვეღარ დავეწაფები!.. შვიდის წლიდგან მოკიდებული ოც წლამდინ ჩემის განთიადის დღენი ბატონის სახლში დამიღამებია. ის ღმერთმა იცის ცაში და დედამიწაზედ მე, რაც მე იქ გულმტკივნეულად მიწევნია უღელი; მაგრამ დამნახავი ვინ იყო, მაღალის ღმერთის მეტი? თავდაპირველადვე ამადევნეს ჩემოდენა ბატონის შვილსა, დათიკოს. კაი მოგეცათ, კაი ბავშვი ის იყო პატარაობისას. ჩემი წყენა ბატონის სახლში არავის შეეძლო: დათიკოს რომ ვუყვარდი, ყველას იმისი რიდი ჰქონდა. დათიკო, როგორც მოგეხსენებათ მამის-ერთა ბავშვის ამბავი, მეტი გაზვიადებული რამ იყო, განებიერებული, ერთს ალიაქოთს ასტეხდა ხოლმე, რომ ჩემთვინ ეწყენინებინათ რამე. მე, სწორედ მოგახსენოთ, ძალიან შევიჩვიე ჩვენი პატარა ბატონი, იმანაც შემიჩვია, ასე რომ ბოლოს ეს შეჩვევა მე სიყვარულად გადამექცა. ყმაწვილის გული, შენი ჭირიმე, ადრეულა ყვავილსა ჰგავს: მზე დაჰხედავს თუ არა, გაიშლება, ის კი აღარ იცის, რომ ზამთრის სუსხი კიდევ მოასწრობს ნამდვილ გაზაფხულამდე და დააჭკნობს. მე რა ვიცოდი? ჩემი გული პირველად ბატონის სახლში გათბა და სითბომვე ბოლო მომიღო. თუნდ ეგ არ იყოს, შინისაკენ მე გული არ მიმიწევდა. იქ ასეთი სულთამხუთავი დედინაცვალი მეჯდა, რომ, როცა კი მოვიგონებდი, ჟრჟოლას მომგვრიდა მარიამობისთვის ცივებასავით, ბატონთან კი განებიერებული ვიყავ ბატონის შვილსავით. დათიკოს ვუყვარდი და მეც მიყვარდა. მაშინ რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომა ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს!.. ეს რომ მცოდნოდა, ღმერთსა ვფიცავ და ჩემ მამა-პაპის სალოცავსა, გულში ნაღველას ჩავიწურავდი და იმის სიყვარულს კი იქ არ გავიტარებდი. მაშინ რა ვიცოდი?..

თოთხმეტის წლისა შევიქენით ბატონი და ყმა, როცა ქალაქში სასწავლებლად დათიკოს გაგზავნა დიდმა ბატონმა დააპირა. მეც, რასაკვირველია, თან უნდა გავყოლოდი. მამა-ჩემმა რომ შეიტყო ესა, იახლა ბატონს და ჩემი თავი სთხოვა. ხომ მოგეხსენებათ: გლეხკაცისათვის თოთხმეტის წლის ბიჭი ოჯახობაში განძი არის. თუ ბიჭი

პატარა მადლიანია, ამ ხანში კარგად შეიძლებს გლეხკაცის ჭირის და ლხინის განახევრებასა. თუნდ ეგ არ იყოს, მამა-ჩემს პირველ ცოლიდამ მარტო მე დავრჩი, და, მგონია, ვეძნელებოდი, არ ვემეტებოდი შორს გასაგზავნად.

დიდი ბატონი – ღმერთმა აცხონოს – მეტი გულთბილი კაცი იყო. ჩემი დათიკოსთან მოშორებაც ეძნელებოდა და მამა-ჩემიც ეცოდებოდა. ის დალოცვილი მე მომიბრუნდა და მიბძანა: გაბრუშკი! თუ არ გინდა დათიკოსთან წასვლა, აქ დარჩი მამა-შენთან, მე ძალას არ დაგატან. ვიცი, ამას დათიკო იწყენს, მაგრამ რა ვუყოთ: შვილი მამისა არის. ამისთანა კეთილი იყო ის კურთხეული! ბატონის კაცის შვილი მამისა კი არ არის, ბატონისაა, მაგრამ ის კურთხეულის შვილი სხვა გულის პატრონი იყო...

მე ალმური ამივიდა სახეზედა, ბატონი თითქმის მამაჩემს მოურბილდა და, ვაი თუ აქ დამაგდოს-მეთქი. ის კი არ იცოდნენ: მე დათიკოსთან სიკვდილი მერჩივნა ჩემ დედინაცვალთან ასის წლის ცხოვრებასა. გული მეტკინა, მახსოვს თვალებში ცრემლიც მომერია. ვსთქვი ჩემ გულში: გამიწყრა ღმერთი, ისევ ჩამაგდეს იმ ქაჯის ხელშია! მაგრამ, ღმერთმა უშველოს, დათიკომ დამიხსნა ცეცხლისაგან. ის თავდაპირველადვე ერთი ამაყი, თვით-რჯული ბავშვი იყო, რასაც იტყოდა, მოკვდებოდა და თავის ქეიფზედ კი გაივლიდა. მე რომ დავჩუმდი, დიდ ბატონს ის მიუბრუნდა და თამამად უთხრა: თუ გაბრუშკას არ გამატანთ, მე ქალაქში წამსვლელი არა ვარ. გაჯიუტდა ეს ყმაწვილი, ზედ გადააკვდნენ და ვერ გადაათქმევინეს ნათქვამი. რა ექნა დიდ ბატონსა? მამიჩემისაც ეხათრებოდა და თავის შვილის ამბავიც იცოდა. ბოლოს, რომ ვერა გააწყო-რა, ბატონმა ისევ მამი-ჩემის წყენა ირჩია და უთხრა თავისებურად, გულმტკივნეულად: ხომ ხედავ, ჩემი დათო, დათიკო ისე შეჰჩევია შენს შვილს, რომ მოშორება ეძნელება. დაე, წავიდნენ! კარგია, რომ პატარაობითვე ბატონი და ყმა ერთმანეთს შეეჩვივნენ: ყმისათვის ბატონთან შეზრდილობა დიდი ზურგია. ნუ დაუშლი, თუ ღმერთი გწამს, დაე უყვარდეთ ერთმანეთი.

მამა-ჩემსა ვერაფრად ეჭაშნიკა ეს ნაუბარი ბატონისა; უგემურად გაიქნია თავი და ისე გაჯავრებული და გულაყრილი წავიდა, რომ, როცა ქალაქს მივდიოდი, არც-კი მინახულა. ეგ, გითხრათ ჩემი გულქვაობის ამბავი, სულაც არ შევიმჩნიე მაშინ. ბოლოს კი ბევრი ვინანე. ის-ის იყო, მამა-ჩემი თვალით ვეღარა ვნახე: იმავ წელიწადს ამოიჭამა წუთის-სოფელმა, და მე ისე, მშობლისაგან შეუნდობარი, უთვისტომოდ, ობლად, მარტოდ-მარტო დავრჩი ამ ტრიალ ქვეყანაზედა. ამ თვალმიუწდომელ დედამიწის ზურგზედ ერთი დათიკოღა დამრჩა. მე იმაზედ დავლიე ობოლის გულის სიყვარული!..

ჩავედით ქალაქში. ჩვენ დაგვაყენეს დიდ ბატონის ნათლიდედასთან. ის იყო ერთი ღარიბი, ქვრივ-ოხერი, ხნიერი დედაკაცი. ერთი ვაჟიშვილი ჰყოლოდა თურმე და ისიც შეჰშურებოდა იმისთვის ბედსა და წაერთმივა საწყლისათვის. ორ-ოთახიანი სახლი ჰქონდა მტკვრის პირას. მე რომ მივათვალ-მოვათვალიერე იქაურობა, ვთქვი ჩემს გულში: აქ, მგონი, ჩვენ კუჭს ვერ გავიძღობთ-მეთქი. მერე დათიკოსაც ვუთხარი ეგა, იმან გამიცინა და მითხრა: თორმეტი თუმანი უნდა ვაძლიოთ წელიწადში და წლის სამყოფი პური და ღვინო, როგორ შეუძლიან მშივრები დაგვყაროსო? მართალი უნდა სთქვას კაცმა, ის დალოცვილი ისე გვინახავდა, როგორც საკუთარ შვილებსა. ღმერთმა მშვიდობა მისცეს იმის სულს!..

დათიკო ყოველ დილით სკოლაში მიდიოდა, სადილად შინ მოვიდოდა, სადილს-უკან წავიდოდა, ზარების დარეკვის დროს ისევ შინ დაბრუნდებოდა. საწყალს

რაღაცა რუსული ტანისამოსი ჩააცვეს. ძალიან ითაკილა პირველში, ასე რომ ერთხელ შემომტირა კიდენაც, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ კაცის ამბავი, ყველაფერს მალე შეეჩვევა; ისიც შეეჩვია. მე ბევრი საქმე არა მქონდა. რაკი დათიკოს სკოლაში გავისტუმრებდი და სახლს დავგვიდი, მთელი დღე ისე გულხელდაკრებილი ვიჯექი. ხანდისხან იქნება ბაზარში გავეგზავნე დედაბერსა მწვანილის სასყიდლად, სხვას ყველაფერს თითონა ჰყიდულობდა. მეც, რაკი ჩემს საქმეს ბოლოს მოვუღებდი, ავიღებდი თავს და ქუჩის პირას ქვაზედ ჩამოვჯდებოდი, თვალებს ავაყოლებდი ამვლელს და ჩამომვლელს, როგორც მოგეხსენებათ უსაქმო კაცის ამბავი. ჩვენის ქუჩიდამ ერთი ვიწრო ქუჩა აუბრუნდებოდა, და იქავ ერთი პატარა საყდარი იდგა: იმის დასწვრივ, ჩვენკენ, ამ ორ ქუჩის კუთხეში ერთი უშველებელი, დიდი ალაყაფისკარებიანი სომხის სახლი იყო. იქ ხშირად მინახავს ერთი მოზრდილი იმერლის ბიჭი; უფრო საღამოს ხნობით გამოდიოდა, დაჯდებოდა კარების დირეზედ და სულ რაღაც ხელნაწერსა კითხულობდა. მე ძალიან გამიკვირდა, ვინ ბიჭი-მეთქი, და ვინ წიგნის კითხვა!.. მე მაშინ ბრიყვსა, წიგნი მარტო სათავადო ხელობა მეგონა. თურმე, ნუ იტყვით, ჩვენისთანა საწყალ კაცის შეფერებაც სცოდნია. ღმერთო მაღალო! სადაც კი შენი მადლიანი ხელი ურევია, იქ ყველაფერი საყოველთაო ყოფილა!

ერთხელ კვირა-დღე იყო. დათიკო სადღაც წავიდა და საღამომდინ შინ არ შემოუხედნია. იმან როგორღაც ორიოდ თვეს შემდეგ ხშირად დაიწყო გარე-გარე სიარული და ხანდისხან მამლის ყივილამდინაც არ შემოვიდოდა შინ. მგონი, მაშინ იმას სწავლაზედ გული აცრუებულიცა ჰქონდა. კვირა-დღე იყო, როგორც მოგახსენეთ. მე შინ საქმე არა მქონდა-რა, გამოვედი ქუჩაში. ჯერ ჩვენ საყდარში წირვა არ გამოსულიყო. გავედი თუ არა, ის იმერლის ბიჭი წიგნით ხელში იქავ დამხვდა, საცა უწინ ვხედავდი ხოლმე; მეც აქეთ ქუჩის პირას ქვაზედ ჩამოვჯექ და დავუწყე ცქერა. ის ბიჭი თვალაუღებლივ კითხულობდა; ხან ჩაიცინებდა, ხან ისევ გაუცინებლივ დასცქეროდა მუხლებზედ გადაშლილ ნაწერსა. მე გულმა ვეღარ მომითმინა, მივედი იმასთან და გამარჯვება ვუთხარი. იმანაც, რასაკვირველია, სალამი მამცა.

– შენი სახელი, ძმობილო? – მკითხა იმან.

– გაბრიელ. შენი? – ეხლა მე ვკითხე.

– გლახუკა.

– სადაური ხარ?

– რაჭველი. შენა?

მეც ვუთხარი, სადაურიცა ვარ.

– რაჭველი? მაშ მოჯამაგირედ იდგები? – დავუმატე მე.

– დიაღ, სომეხთან ვდგევარ. შენა?

– მე? ბატონის შვილს ვახლავარ.

– აი, ყმაწვილი რომ დაიარება, იმას?

– იმას.

– დიდი ხანია ქალაქში ხარ?

– კარგა ხანია. შენა?

– მე, თუნდა ორი წელიწადია, აქა ვარ.

– მეც, ერთი წელიწადი იქნება, აქა ვარ და რატომ ადრევ არ მინახვიხარ?

– აქ არ ვიყავი, ჩემი აღა კარგა ხანი იყო კახეთში და თან ვახლდი. ეხლახან ჩამოვედით, ორი თვე არ იქნება ჯერ კიდენ.

– კიდეც იმიტომ. ეგ რა არის? – ვკითხე და დავანახვე წიგნი.

– ზღაპრების წიგნია, ჩემო ძმაო! საქმე არა მაქვს და გულს ამაში ვართობ.

– აბა თუ ღმერთი გწამს, წაიკითხე, მეც გავიგონო, – ვუთხარი მე ხვეწნითა.

დამიჯერა იმ კაი კაცმა და დაიწყო ისეთნაირად კითხვა, რომ, ღმერთო შეგცოდე, შური მომერივა. ეგ კიდევ არაფერი: ყური ვუგდე და ის, რასაც კითხულობდა, თითქო მეცნო, თითქო სადღაც უწინაც გამეგონოს. გადააბრუნა ახლა სხვა გვერდი, ახლა სხვა წაიკითხა, ის კი სწორედ ჩვენ სოფელში გამეგონა. არ ვიცი რად, მაგრამ გული კი სიხარულით გადამიტრიალდა. „დალახვრა ღმერთმა, – წამოვიძახე უცებ, – ჩვენი გლეხური ზღაპარი აქ სად მოსულა?..” დიაღ, ჩვენი მდაბიო ზღაპარი გახლდათ. იმერლის ბიჭმა ჩაიცინა ჩემ სიტყვაზედა.

– ეგრეა, ჩემო გაბრიელ! – მითხრა გლახუკამ, – წიგნი იმისთანა რამ არის, რომ თქვენის სოფლის ამბავს ქალაქში ჩამოიტანს, ქალაქისას – სოფელში წაიღებს; საიდგან სად კაცს კაცთან გაალაპარაკებს.

– მართალი ყოფილა, როგორცა ვხედავ, – ვუთხარი მე, – მაგრამ... ჩვენი ზღაპარი!.. აი, დალახვრა ღმერთმა, წიგნში ჩაწერილა! აბა ერთი კიდევ წაიკითხე.

კიდევაც წამიკითხა იმ დალოცვილის შვილმა. რა გავაგრძელო, იმ წიგნმა თავი შემაყვარა. ისე ჩემ სიცოცხლეში არა მინატრია-რა, როგორც იმ დღეს წიგნის კითხვა მე ვინატრე: მშურდა, გეტყვით ჩემ გულის სიძუნწეს, რომ ის ისე თამამად კითხულობდა, მე კი ისე უხეიროდ დავეხეტებოდი. ბოლოს, გულის წადილს რომ ვეღარ გავუძელ, მივვარდი ზედ გლახუკას და დაველრიჯე:

– თუ ღმერთი გწამს, მოდი ერთი მადლიანი საქმე ჰქენ და წიგნი მასწავლე. მე ერთი ობოლი ბიჭი ვარ, თუ მე ვერ გადავიხდი სამაგიეროს, ღმერთი ხომ დიდია!..

რას ბძანებთ?.. მაინც ისე უსაქმოდ ვაღამებდი ჩემს დღეს. მე რომ მაშინ წიგნი მცოდნოდა და ის ზღაპრები მეკითხნა, ჩემს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა.

– მართლა გულითა ხარ მოწადინებული? – მკითხა გლახუკამ.

– რას ამბობ? მოწადინებულიო!.. ზედ დავაკვდები, შენ ოღონდ ეგ სამადლო საქმე მიყავ! – ვუპასუხე გიჟსავით.

– მაშ თუ აგრეა – ადვილია.

– ვაცხონე მამა-შენი!.. – შევყვირე გახარებულმა, – მადლიანი ბიჭი ყოფილხარ.

– ნუ გგონია, რომ მე გასწავლი. მე არ დაგზარდებოდი, მაგრამ ხომ იცი, ძმაო, მოცლა არა მაქვს, მე კაი ოსტატს გიშოვნი.

ფერი მეცვალა, ეს რომ მითხრა. როგორც თავმოწონებული ფარშავანგი ჰხარობს მინამ თავის შავ ფეხებს დაინახავს, როცა კი ძირს დაიხედავს და თვალს მოჰკრავს, მაშინვე ფრთებს დაღონებული ჩამოჰყრის, ისე ამ სიტყვებზედ ჩემმა ჯერ წახალისებულმა გულმა ჩამოჰყარა ფრთები.

– ეჰ, ძმობილო! – ვუთხარი გულნატკენად – შენშიაც მოვსტყუვდი. ოსტატს კაი გაძღოლაც უნდა, მე ცალი ფულიც არა მაქვს თვალზედ მივიკრა. ვხედავ, რომ ტყუილ-უბრალოდ წახალისდა ჩემი წადილი.

იმან გამიცინა და მითხრა:

– აჩქარებული კაცი ჰყოფილხარ, თოფის წამალსავით ჰფეთქავ. განა მე არ ვიცი, შე კაი კაცო, რომ მე და შენისთანა კაცს საოსტატო ფული არ ექნება? მე იმისთანა ოსტატს გიშოვნი, რომ უფულოდ გასწავლოს.

– გულს მირბილებ განა? – ვკითხე უჯერობით.

– დამიჯერე, მართალს გეუბნები.

– მართალს?!

– ჰო, ისეთი კაცი გიშოვნო, ძმასავით მოგეხმაროს.

– ბიჭოს!.. მაშ ღვთის კაცი ყოფილა!..

– შენ არა სტყუი. სწორედ ღვთის მსახური კაცია. მეც იმან მასწავლა, ღმერთმა გადაუხადოს სამაგიერო.

– არა, დამაცა: როგორ თუ ღვთის მსახურია, სამღვდელოა?

– სწორედ. შენ ხომ ამბობ – ფულიო, ფული კი არა, სანთლით ეძებს შენისთანა მოწადინესა, რომ წიგნი ასწავლოს. ვისაც არ უნდა, იმდენს ეჩიჩინება, იმდენს ეჩიჩინება, რომ ძალად ანდომებს. მეც ისე მნახა ერთხელ აქ ქუჩაში. დაილოცა ის დღე, ჩემთვის კაი დღე იყო... დამიწყო დალოცვილმა ლაპარაკი: სადაური ხარო, აქ რას აკეთებო? მეც ყოველისფერი მოვახსენე. რა გავაგრძელო, ისე მოინადირა ჩემი გული ტკბილის სიტყვით, ისე შემიჩვია, რომ, ბოლოს, წიგნის სწავლებაც დამიწყო. რა მე?.. ათიოდ პატარა ბიჭები, ამ ჩვენს უბანში მოგროვილები, იმასთან დადიან და სწავლობენ. როგორც შენ, ისე იმან იმათგან გროში არ იცის. მე ერთხელ, ჯამაგირი რომ ავიღე, მინდოდა მიმერთმივა ორი მანეთი იმ დალოცვილისათვის, მაგრამ, თუმცა არ გამიწყრა, მიწყინა კი.

– მამა გყავს? – მკითხა მე.

– არა, შენი ჭირიმე!

– დედა?

– გახლავთ.

– ვინ ინახავს?

– მე, შენი ჭირიმე! ჩემს მეტი არავინა ჰყავს.

– მაშ ეგ ფული დედა-შენს შეუნახე, – მიბძანა თავისებურად გულთბილად, – შენ რა გაქვს, მე რა უნდა მამცე?

– დედაჩემს თავისი წილი გავუგზავნე და ეს გადავანარჩუნე, რომ თქვენ ლოცვაში მომიხსენიოთ.

– ლოცვა არც ფულზედ და არც ფულით არ იყიდება.

– საყდრის და ღვთის სადიდებლად მაინც მიიღეთ, შენი ჭირიმე!

– ღმერთი, ჩემო ძმაო, მარტო კარგის საქმით იდიდება და არა ფულითა.

– მიწყრებით, შენი ჭირიმე!

– არა, მე მართალს გეუბნები.

– მაშ რა ვქნა,მიბძანე?

– შენთვის შეინახე: თუ მეტია შენთვის, იმას მიეცი, ვინც მე და შენზედ უფრო ღარიბია, მაგას უფრო მოგიწონებს ღმერთი. აგერ, ამ თქვენის ქუჩის ბოლოს, ერთი ღარიბი სახლობა არის, პურის შოვნის ილაჯი არა აქვთ, მე და შენ კი ყოველ-დღე მაძღრები ვართ...

ეს ისეთნაირად მითხრა, რომ არ დაიჯერებ, მაშინვე გამოვტრიალდი, ვიპოვე ის სახლობა და იმისთვის გადადებული ორი მანეთი იმათ მივართვი. აი, რა მადლიანი კაცია!.. ნეტა თითონ ჰქონდეს რამე მაინცა! ღვთის განაჩენი არა აბადია-რა, დღედღეურად ძლივა სცხოვრობს. მაგრამ სულ ტყუილი ყოფილა, კაცს რაკი ღვთის მადლი ჩაესახება გულში, მდიდარია თუ ღარიბი, მაინც მადლის გზაზედ წავა. მაგ კაცის ამბავი რომ გიამბო, არ დაიჯერებ, იმისთანა რამ არის. საცა კი სიკეთეა ამ უბანში, იმისი მადლიანი ხელიც იქ

ურევია. დაილოცა ღვთის სამართალი, რომ მე და შენისთანა თავმინებებულ კაცს მაგისთანა პატრონს გაუჩენს ხოლმე!.. მე თუ კაცი ვარ, ეგ იმისი უნარია, ღმერთმა გადაუხადოს! ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ჩვენისთანა კაცის ვალისა ღმერთია მზღველიო. აგერ თითონაც გამობძანდა, – დაატანა გლახუკამ და მიმახედა საყდრისაკენ.

წირვა გამოსულიყო, თეთრ-ჩადრიანი დედა-კაცები თეთრად მოედვნენ ქუჩასა; კაცები კი, როგორც მოგეხსენებათ ჩვენი ადათი, ჯგუფად შეგროვდნენ საყდრის დერეფნის წინ და დაიწყეს თავისებურად ყაყანი. იმათში შეერია ერთი მაღალტანიანი, ახალგაზრდა მღვდელი.

– ის არის ? – ვკითხე გლახუკას, თვალი კი იმ მღვდლისაკენ დამრჩა.

– აბა, ის არის, ძმაო, წამო, კურთხევა ვსთხოვოთ.

IV

პასუხის თქმა აღარ დამაცალა, წამოდგა და წავიდა საყდრისაკენ. მეც თან ავედევნე. მივედით. ის მღვდელი შუაში იდგა, ხალხი ბუზსავით ირევოდა იმის გარშემო. ზოგს ის ელაპარაკებოდა, ზოგიც დაუზარებლად პასუხს აძლევდა, ზოგი გაეხუმრებოდა, ზოგს თითონაც გაუხუმრებდა, და მაშინ უნდა გენახათ გულიანი ხარხარი ერისა.ზოგი კიდევ სულგანაბული შესცქეროდა, თითქო დაჯერებულიაო, იმის პირიდამ ოქრო გადმოვარდება, და შიშობს, ხელიდამ არ წამივიდესო. ბევრი სიკეთე უნდა დაეთესოს კაცსა, რომელსაც ეგრე სიყვარულით გარს არტყია ხალხი! კაციც ის არის, შენი ჭირიმე, და ქუდიც იმასა ჰხურავს. ალბად კაი კაცსაც თაფლი აცხია, რომ დიდი და პატარა ბუზსავით ზედ ეხვევა!.. დედამიწის ზურგს ბევრი არ უტარებია იმისთანა.

სწორედ კაცს რომ წყალი მოსწყურდება, ისე მომწყურდა იმის სიტყვების გაგება. გადავიხარე თავი, რომ დამენახა და გამეგო რამე. წინ ედგა ერთი პატარა ბიჭი თავჩაღუნული.

– ყველა, ყველა და, შენ რატომ ჩემთან აღარ დადიხარ? – უბძანა მღვდელმა, – მოგწყინდა განა, შე ცუღლუტო, წიგნის კითხვა?

– მე რა ვიცი? – უთხრა ბიჭმა, – მამაჩემი არ მიშვებს. – მღვდელი თითქო შეკრთაო, ისე ეწყინა ეს პასუხი.

– რატომ არ გიშვებს?

– გეყოფა, რაც ისწავლეო, – მეუბნება.

– აქ ხომ არ არის მამა-შენი?

– აი, იქითა ზის.

– აბა, აქ დაუძახე.

პატარა ბიჭი ციბრუტივით მოტრიალდა და გაიქცა მამის დასაძახებლად.

– ვერ უყურებთ პეტრეს!.. – სთქვა თავის-თავად მღვდელმა და ჩაფიქრდა...

– ეგ არის და!.. – დაიძახა ვიღაცამ, – ავი ძაღლი არც თითონა სჭამს, არც სხვას აჭმევსო.

ხალხმა გაიცინა, მღვდელსაც ღიმილი მოერივა, მაგრამ მარდად შეიკავა სიცილი.

– მამას არ უსწავლია და პაპას, შვილს რად ასწავლის? – სთქვა მეორემ, – შეჩვეული ჭირი ურჩევნია მაგისთანა თავხედს კაცსა შეუჩვევარ ლხინსა.

– გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდესო, – მაგისთანა კაცზედ არის ნათქვამი, – წამოიძახა მესამემ.

იქნება კიდევ ბევრი ელაზღანდარათ, რომ თითონ პეტრე არ მოსწრებოდათ.

– კაცო! – უბძანა მღვდელმა, – მართალია, შენ შვილს შენ უშლი სწავლასა?

– მართალი გახლავთ. რა მაგის საქმეა? არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი, შენი ჭირიმე! – უპასუხა თამამად პეტრემ.

– როგორ თუ არა იყო გვარი მისი?

– ესე, შენი ჭირიმე! ჩვენ გლეხკაცებს გვეძახიან, დღე-და-ღამ ოფლი უნდა ვიწუროთ და პური ისე ვჭამოთ. ღმერთს ეგრე უბძანებია: „ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენიო”. ეს ღვთის ბძანება მარტო ჩვენ დაგვაწვა კისერზედ და ვეწევით კიდეც. წიგნი რა ჩვენი საქმეა? ის ჩვენ დამშეულ კუჭს ვერ გაგვიძღობს. ჩვენი წიგნი დედამიწაა, ვენაცვალე იმის მადლს! როცა დედამიწას მწვანე ხავერდსავით ჯეჯილის ყდა გადაეკვრება, მაშინ იმაზედა ვკითხულობთ ჩვენს ბედსაცა. ჩვენი კალამი დაუღალავი გუთანია, მელანი კიდევ გულ-ღვიძლიდამ გამოწურული ჩვენი ოფლია. ამოვაწებთ ოფლში გუთანსა, გადვუხსნით ხოლმე დედამიწას მადლიან გულსა, ჩავაყრით შიგ თესლსა, როცა დრო მოვა – მივალთ – და ის დალოცვილი მიწა თავის დღეში არ დაიღლება, ისე არ გაძუნწდება, რომ მიბარებული ერთი-ორად მაინც არ დაგვიბრუნოს. ტყუილად კი არ ეძახიან მიწას: „დედაო”, ის გვაწოვებს ჩვენ ძუძუსა, იმას დავხარით დღე-და-ღამ, ჩვენი ჭირიც და ლხინიც ის არის, შენი კვნესამე! წიგნი კარგია, ვინ არ იცის? ბევრიც სხვა რამეა კარგი ამ ქვეყანაზედ, ჩვენ იქამდინ ხელი არ მიგვიწვდება... გაგიბედავთ, შენი ჭირიმე, და გეტყვით, ჯერ კუჭი უნდა გავიძღოთ, კუჭი!.. ჩვენი თავდაპირველი გულის-ტკივილი ეს არის!..

– მართალს ამბობს, მე და ჩემმა ღმერთმა, – გაიხმაურა ხალხმა, რომელიც წუთის წინად ისე თავხედად დასცინოდა პეტრესა.

– რას ბძანებთ?.. – წამოიძახა ხალხის ხმით გულგაკეთებულმა პეტრემ, – წელში ვერ გავსწორებულვართ, პირუტყვსავით მაღლა ვერ აგვიხედნია, სულ დედამიწას დავყურებთ, თითქო ჩვენი ბედი იქ დაკარგულა და ვეძებთო, ვინ ჩვენ და ვინ წიგნი!..

– მე მესმის, ჭკვიანო პეტრევ, შენი გულის ვითარება, – უბძანა დაღონებით მღვდელმა, – მე მოზიარე ვარ შენის გულის-ტკივილისა!.. შენ გუთანი გირჩევნია წიგნსა, იმიტომ რომ შენ გუთანი დღეს პურს გაჭმევს.

– მართალი ბძანებაა, შენი ჭირიმე, – მიუგო პეტრემ.

– ეხლა შენ ერთი ეს მითხარ: რომ არ გცოდნოდა, რომ ცეცხლში რკინა რბილდება, საიდამ გააკეთებდი ბარ-საკვეთს, ცულსა, ეჩოსა, რომლითაც გუთნის ხესა სთლი? რომ არ გცოდნოდა, რომ ეგრე უნდა გამოყვანა გუთანსა, რით მოხნავდი მიწასა? რომ არ გცოდნოდა, რომელ მიწას როგორ უნდა მოხვნა, – ღრმად ჩაშვება ბარ-საკვეთისა, თუ თხლად, – რა გეშველებოდა?

– შენი მტერი იქნებოდა, მე ვიქნებოდი.

– საიდამ იცი ეს ყველაფერი?

– როგორ თუ საიდამ?.. მამა-პაპით, შენი ჭირიმე! მადლობა ღმერთსა, თვალი მქონია – მინახავს, ყური მქონია – მსმენია. გულისყური მქონია – მივხვედრილვარ, ხსოვნა მქონია, გონებაში ჩამრჩენია.

– რაც გინახავს, გსმენია, მიხვედრილხარ, გონებაში ჩაგრჩენია, – ამას სულ ერთიანად რას ეძახი?

პეტრე ჯერ ჩაფიქრდა, თითქო არ იცის რა სთქვასო, მერე კი ისე ჭოჭმანობით წამოიძახა:

– რა ვიცი, შენი ჭირიმე, რას ვეძახი.

– მაინც?

– ჩემ გამოცდილებას, ჭირნახულობას, ჩემ ცოდნასა, შენი ჭირიმე!

– კუჭს გიძღობს ეგ შენი ცოდნა?

– მაგას რაღა პასუხი უნდა, შენი კვნესამე? თითონ შენ კარგად იცი, რომ უმაგისოდ წყალში გადასაგდები ვიქნებოდი.

– ეხლა ერთი ეს მითხარ კიდევ: რამდენი შენზედ უფრო მცოდნე კაცია ქვეყანაზედ?

— რა ვიცი, შე დალოცვილო? მგონი, თავზედ იმოდენი ბალანიც არა მქონდეს: მჯობს მჯობი არ დაელევა.

– იმ მცოდნე კაცების ჭირნახულობა, გამოცდილება, ცოდნა რომ შენსას ზედ დაემატოს, – კარგი არ იქნება? უფრო ადვილად არ გაიძღობ კუჭს, უფრო ცოტა ოფლით ბევრს არ მოიმკი?

– ღვთის წყალობა გქონდეთ, რომ კარგი ის იქნება, მაგრამ ხათაბალა ეს არის, რომ თვალი იმათამდინ არ მიმიწვდება და ყური. საიდამ სადაო, წმინდაო საბაო: ამოდენა დედამიწის ზურგზედ სად ვეძებო მე ისინი, რომ გამოვკითხო რამე?

– მე რომ გაჩვენო იმისთანა რამ, რომ მთელის ქვეყნის ოსტატობა, ჭკვიან კაცების ნაცადი, ცოდნა, თუ მოინდომებ, სულ მუდამ ხელთა გქონდეს, ერთი სიტყვით, რომელ ჭკვიან კაცთანაც გინდა, შორიდამვე გაგალაპარაკო, – რას იტყვი?

– იმას ვიტყვი, რასაც მთელი ქვეყანა ამბობს: ეგ ხომ მისნობა იქნება.

– აბა მაგისთანა მისანია წიგნი.

მე რომ ეს გავიგონე, სწორედ მოგახსენოთ, თავიდამ ფეხებამდინ ჟრჟოლამ გამიარა, არ ვიცი კი რად. ეს კი ვიცი, რომ ჩემ-გარდა სხვასაც ეგ დაემართა: ხალხს, თითქო მზემ დაჰკრაო, სახე გაუნათლდა. პეტრე კი ისე სახტად თვალებდაჭყეტილი დარჩა, თითქო თავბრუ დაესხაო. ისე ატაცებულსავით დიდხანს იქნებოდა, რომ მღვდლის სიტყვებს არ გამოეფხიზლებინათ.

– ეხლა რას იტყვი, წიგნი გიშველის რასმეს, თუ არა?

– ნება მომეცი, – უთხრა გულამომჯდარმა პეტრემ, – ეგ მუხლები გადაგიკოცნო. ჩემი ტუჩები ბევრჯერ მიჰკარებია სხვის მუხლსა და შენისთანას კი არც ერთხელ.

მღვდელმა არ მიუშვა მუხლებამდინ. მაშინ პეტრემ პირნათლად შეჰხედა და გონება-გახარებულმა წამოიძახა:

– დაილოცა შენის ენის პირწყლიანობა!.. ღმერთი მაღლიდამ გიყურებს, შე ღვთისაგან კურთხეულო ადამიანო, რომ მე სულის წაწყმედისაგან დამიხსენ. წელან გელაპარაკებოდი ბრმა; შვილის ცოდვაში ვდგებოდი, ეხლა, შენის მადლიანის ენით თვალხილული, გეუბნები: ის მამა შვილის დამღუპავი ყოფილა, რომელსაც შენისთანა ღვთის კაცი გამოუჩნდება შვილის გასაწურთვნელად და არ გააწურთვნინებს. ნუ შეჯდება მწყერი ხესა, ნუ იქნება გვარი მისი, ჩემმა შვილმა კი წიგნი უნდა იცოდეს, შენი ჭირიმე!.. მომეცი ხელი, შენი კვნესამე!.. ერთი გემთხვიო!..

გულმოლბობილი პეტრე მივარდა ხელზედ საკოცნელად, მღვდელმა აკურთხა და არ ამთხვევინა კი.

– მაშ დამილოცე მაინც მამის-ერთა შვილი! – უთხრა პეტრემ და შვილი წინ წამოაყენა. მღვდელმა აკურთხა ის ბავშვი და თავზედ აკოცა გაღიმებულმა.

– შვილო! ეს დღე დაიხსომე, – უთხრა შვილსა პეტრემ, – ეს დღე მე და შენთვის მზიანი დღეა.

მღვდელი აირია, ვნახე, რომ მოენამა თვალებიცა. უეცრად მოაშორა თვალი გულამომჯდარ პეტრეს და იმის თავჩაღუნულ შვილსა. თითქო თავის გულის მადლიანობა უნდა დაუმალოს მამასაც და შვილსაცაო. მღვდელი რომ მიტრიალდა, ერთ ვიღაცა დროულ კაცს თვალი შეასწრო და უთხრა:

– ზაქარიავ! არა გრცხვენიან, კაცო, რომ ძმასთან ვერ მოთავსებულხარ, ძმასთან!.. ვინც შეიტყობს, რას იტყვის? სირცხვილია, სირცხვილი! თავზედ ერთი ბეწვიც აღარა გაქვს შავი და მაგისთანა საქმეებს კი სჩადი.

– რა ვქნა, შენი ჭირიმე? – უპასუხა იმან ცოტად შერცხვენილმა, – განა რომ მრცხვენიან, მაგრამ ერთი აჯამი რამ არის, მოუსვენარი. ღმერთია მოწამე, მე უბრალო ვარ.

– ნუ ჰცრუობ მაგ-დროული კაცი, ცოდვაა!.. დღეს არ გეუბნებოდით საყდარში, რომ ქრისტე-ღმერთმა მტრის სიყვარულიც ბძანა, და შენ კი, მტერი კი არა, ღვიძლი ძმა ამოგიძულებია. სირცხვილია!.. უშვილო კაცი ხარ, დროული... თუ კაცისა არა გრცხვენიან, ღმერთი ხომ ყველასა ჰხედავს, რა პირით შეხვდები?

– აბეზარსა ვარ მოსული, ამ საყდრის მადლმა და შენი რისხვა არა მაქვს! ძმარს მაწურებს ცხვირში! სხვა არა იყოს-რა, უფროსი ძმა ვარ...

– მე არ ვიცი! თქვენ ორივ მტყუანები ხართ ღმერთთანაც და კაცთანაც, იმიტომ, რომ ძმები ხართ და ჰჩხუბობთ კი. ამ ხალხთან გეუბნებით შენცა და შენს ძმასაცა: თუ ერთი-ერთმანეთის პატივი არ გექნებათ, საყდარში აღარ შემოგიშვებთ.

ეს რომ სთქვა, აკურთხა ყველანი და გამოემართა შინისაკენ. გამობრუნებაში წინ შეეხალა გლახუკა.

– ოჰ, გლახუკას გაუმარჯოს, ჩემს გლახუკას! – შემოსცინა მღვდელმა, – რასა იქ და როგორა ხარ?

– გახლავარ, შენი ჭირიმე, შენის ლოცვით და კურთხევით, – მიუგო გლახუკამ და ქუდმოშვლეპილმა კურთხევა ჩამოართვა.

აკურთხა თუ არა, გადასდო მხარზედ ხელი და ისე ხელგადაჭდობილი წამოვიდა. მე ბევრი რამ გამიკვირდა იმ დღეს და ისე კი არა გამკვირვებია-რა. აბა, გლახუკა ვინ იყო? ერთი უბრალო მოსამსახურე – და მაინც კი მღვდელმა არ ითაკილა და ხელი გადასდო. მაშინ მე რა ვიყავ, მაგრამ ამისთანა თავდაბლობამ ჩემი გული მოინადირა. მეც იმათ უკან ავედევნე.

– სადა ხარ, რომ აღარა ჰჩანდი? – ჰკითხავდა მღვდელი.

– ეს თვე-ნახევარია, რაც გიახელი, – უპასუხა გლახუკამ, – თორემ აქამდინ აღას ვახლდი კახეთშია.

– ერთხელ მაინც როგორ არ მინახულე, ბიჭო! ერთ დროს მე და შენ ხომ მეგობრები ვიყავით, პური ერთად გაგვიტეხია, ერთ ჭერ-ქვეშ დაგვიხველებია, სხვა არა იყოს-რა.

– თქვენმა მადლმა, მოცლა არა მაქვს. ამოდენა სახლი და სახლის ავეჯეულობა ეხლა მარტო მეღა მაბარია, ჩემ მეტი აღარავინ ჰყავთ, სულ ყველანი დაითხოვეს, თორემ როგორ არ გიახლებოდით: თქვენზედ უკეთესს ვისა ვნახავ?

– ეგა სჯობია ჩემ ნახვასა, ჩემო გლახავ! შენს საქმეზედ იყავ ბეჯითი, გულმოდგინე, ერთგული, რომ ღმერთიც მადლობელი იყოს და კაციც: რასაც ვიკისრებთ, ის უნდა ავასრულოთ კიდეც. ლუკმა მაშინ არის ტკბილი, როცა კაი კაცობით არის ნაშოვნი. ჩემი ნახვა, ძმავ, ისე საჭირო არ არის: არა კაცი იმოდენა სიკეთეს არ მოგცემს, რამოდენადაც შენის ვალის ასრულება.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ქუჩას ჩამოსცილდნენ. არ ვიცი, ჩემის ფეხის ხმაურობა გაიგო, თუ არა, შემომხედა და, რომ დამინახა უკან მივდევ, მკითხა:

– რაო, ძმობილო, ჩემთან საქმე ხომ არა გაქვს?

– არა, შენი ჭირიმე! გლახუკას მოვდევ.

– მე მეგონა, ჩემთან გინდა რამე, – მითხრა ესა და წავიდა ისევ-ისე ხელგადაჭდობილი.

მე დავშორდი. გლახუკამ რაღაც ლაპარაკი დაუწყო. მე არაფერი აღარ მესმოდა, ისე შორს ვიყავ. მინამ გლახუკა გაათავებდა სიტყვას, მღვდელი შედგა და ორიოდჯერ თავის მადლიანის თვალით შემომხედა. მაშინვე მივხვდი, რომ ჩემზედ ლაპარაკობდნენ და, სწორედ გითხრათ, გული ამიტოკდა, თითქო იმ ლაპარაკით ჩემი ბედისწერა სწყდებოდა. იმ დალოცვილმა ხელი დამიქნივა. მე ვიშვლიპე ქუდი და, როგორც სალდათი უფროსს, ისე ქუდმოხდილი გამოვეჭიმე. იმან თავის ხელით ქუდი თავზედ დამხურა. მაშინ კი თვალი გავუსწორე. რა გითხრათ, რა კაცი დავინახე ჩემ წინ!.. ხატებს რომ ჰხატავენ, ის იყო! მადლით, მადლით იყვნენ სავსენი იმის ჩაფიქრებული თვალები! დიდი მადლი უნდა უტრიალებდეს კაცს გულში, რომ ისე გამოსცეს, გამოატანოს თვალებს, როგორც იმის თვალებისათვის გამოეცა და გამოეტანა. არ ვიცი, ჩაგონებული რომ ვიყავ, იმისთვის მეჩვენა ის კაცი ხატად, თუ რა, ეს კი ვიცი, რომ აქამდინაც გულში ისე ჩამრჩა ჩასახული, როგორც პირველადა ვნახე. წამოსადეგი კაცი იყო, გამხდარი სახე ცოტა ფერმკრთალი ჰქონდა. ნაღველს ცოტაოდნად ხელი გაეკრა, როგორც ემჩნევა ხოლმე მუდამ ზრუნვის ნაჩვევსა და სხვის გულის შემატკივარსა.

შავი წვერი ჯერ არ ჩამოზრდოდა, ისე ახალგაზრდად მეჩვენა. თავიდან ფეხებამდინ ისეთი სანახაობა ჰქონდა, რომ, როგორც მზე მზეუჭვრიტასა, კაცის გულს ერთის ნახვითვე თავისაკენ მიიბრუნებდა.

– შენ წიგნის სწავლა გინდა, ძმობილო? – მიბძანა დალოცვილმა, – თუ ეგ გულში გედო, წეღან რომ გკითხე, რატომ არ მითხარ? რად დამიმალე გულის წადილი? გულდახურული ჰყოფილხარ. ხომ იცოდი გლახუკასაგან, რომ მე წიგნს ვასწავლი ხოლმე შენისთანა კაი კაცსა.

ეს რომ მითხრა, გამიღიმა, მომავლო თავზედ ხელი და მოცინარემ გამიქნივა თავი. მე ჩავღუნე მორცხვობით თავი და ვერა ვუთხარი-რა.

– თავი რას ჩაღუნე? მარტო პირუტყვი იყურება დაბლა, კაცმა კი უნდა ცას უყუროს. თითქო ჩემი შეგრცხვაო... აბა შემომხედე, მეც შენისთანა კაცი ვარ.

მომავლო ნიკაპზედ ხელი, თავი მაღლა ამიწია და ზედ დაატანა:

– ხუმრობა-გაშვებით, თუ მოწადინებული ხარ წიგნისთვის, მე ოსტატი და შენ შეგირდი. ჰა, შენ რას იტყვი ამაზედ?

– რა მეთქმის, შენი ჭირიმე, მადლობის მეტი? – ძლივ-ძლივ გავუბედე თქმა.

– მადლობა მერე იყოს. შენი სახელი?

– გაბრიელ.

– მაშ იცი, რას გეტყვი გაბრიელ? როცა შინაურ საქმეს ბოლო მოუღო, გლახუკას უთხარ და ეგ მოგიყვანს ჩემთან. ასე კი მოახერხე, არც შინ მოსცდე საქმეს და არც გარეთ, რომ შენმა წიგნის სწავლებამა შინაურ საქმეს არ დაუშალოს.

– შინაურ საქმეს!.. თუნდ რომ მოვცდე, რა ცუდ საქმისთვის მოვცდები?

– მაგას ვინ ამბობს, ჩემო ძმაო? მაგრამ ის კი სჯობს, რომ არც მწვადი დასწო და არც შამფური; ერთი საქმე გააკეთო და მეორე კი გააფუჭო, ეგ ცუდია. შენ ხომ ბატონის კაცი ხარ?

– ყმა გახლავარ.

მღვდელმა უგემურად გაიქნია თავი, თითქო შეწუხდაო.

– რაც უნდა იყო, მე და შენ კაცები ვართ, ღვთის შვილები, – მითხრა პატარა ხანს უკან, – იარე ჩემთან, აი აქვე ვდგევარ. შენ ოღონდ იბეჯითე, ნურც წიგნზედ ინაღვლი, ნურც არაფერზედ, ყველაფერი გექნება. შენ ასეთი ბიჭი სჩანხარ, რომ ორ-სამ თვეზედ გლახუკასაც გამოეჯიბრები წიგნშია.

მე გამეცინა.

– რას იცინი? არა გჯერა თუ? კაცმა რომ მოინდომოს, კლდეს გაარღვევსო, ხომ გაგიგონია?

– კლდის გამრღვევ კაცს სხვა ფერიც აძევს, შენი ჭირიმე!

– იმ ფერისა იქნება შენც გაცხია: ყველას ღვთის სული გვიდგა, ჩემო ძმაო!

– ღმერთმა ქნას, მეც ეგ მინდა, ნეტავი მეცხოს!

– აი, ეს ბურთი და ეს მოედანი, ვცადოთ: ცდა ბედის მონახევრეაო.

– მე უარზედ არა ვდგევარ, ვცდი, თუნდა კლდემ ქვეშ მომიტანოს.

ეს რომ ვუთხარი, თვალი თვალში გამიყარა, თითქო ჩემი სიტყვა გულს მოჰხვდაო, მერე სახე გაუნათლდა და მითხრა:

– ე! თუ ეგრეა, მაგისთანა გულმაგარსა ვერაფერი ვერ მოგიტანს ქვეშ, თუ მოგიტანს, აუდგები ფეხზედ. აკი გითხარ, კაი ბიჭი ხარ-მეთქი. შენისთანა შეგირდი ოსტატის სიხარულია, მაშ მე და შენ დავძმობილდებით, ჩემო გაბრიელ!

რომ გითხრათ, რომ ამ სიტყვებმა მუხლები მომიდრიკეს, მომანდომეს იმის მუხლებზედ მოხვევნა, – არ დაიჯერებთ. ეს ასე კი იყო, მაგრამ იმ ღვთის კაცმა მარდად დამცა ხელი მხარშია და ისე ღონივრად ამზიდა ერთ ფეხზედ წამოჩოქილი, რომ როგორც ლურსმანი, ისე დამაყენა ფეხზედ. არ იყო, რომ ცოტა ნათაკილევსავით არ მითხრა:

– ეგ მეორედ აღარა ქნა, ცოდვაა!.. მაგისთანა თაყვანი მარტო ღმერთს შეჰფერის!..

– ჩემი ღმერთი შენა ხარ! – დავუძახე მე აღტაცებულმა.

– აგე, შენი ღმერთი სად არის, – მაჩვენა ცაზედ, – მე იმისი ცოდვილი მსახური ვარ, შე გულფიცხო.

მე სულელმა რა ვიცოდი მაშინ იმისთანა კაცის ყადრი. ბატონი რომ სადილიდამ ჩამორჩომილ ნესვის ქერქს მომიგდებდა, მაშინვე მუხლზედ საკოცნელად კინწისკვრით წამაბარბაცებდნენ, ამან კი ობოლს, ოხერს ძმობა დამიპირა, ყმასთან არ ითაკილა ძმობა, ყმასთანა, რომელსაც, როცა კი ბატონი მოიწადინებს, ქოფაკს ძაღლზედაც გასცვლის. მოდი და ნუ მოიდრეკდი იმის წინ მუხლსა. მე მახსოვს დიდი ბატონი, ხომ კაი კაცი იყო,

მაგრამ მაინც გული მოეფხანებოდა, როცა მე მუხლზედ ვაკოცებდი ხოლმე. მე მეგონა, ამასაც ამით ვაამებ, ის კი არა თუ მიწყინა და ჩემს რეგვენობას აპატივა... მაშინ მიკვირდა ეგრეთი ქცევა მღვდლისა, ეხლა კი მესმის!.. თურმე კაი კაცს თავისი გულივე მადლს უხდის; მაშინ ეგ რა ვიცოდი? რა კაცი იყო!.. არა, მე ეხლა რომ მაგონდება იმისი საქმეები, მგონია, რომ ციდამ იყო ჩამოსული, რომ კაცს ქვეყანაზედ აჩვენოს კაცობა. ვაი, რომ ბედმა ქვეშ მომიტანა იმისგან წახალისებული თავმომწონე ბიჭი და აი, ველარ წამოვუდექი, თორემ ვინ იცის? იქნება მეც შემძლებოდა კაი კაცობა...

გული თოფის-წამალსავით მიფეთქდა, გონება მიხურდა, რაღაც ღონე მომეცა და ატაცებულსავით შევძახე:

– შენ ღვთის მსახური იყავ და მე კი შენი ვიქნები. ჩემი მადლობა ეგ იქნება, სხვა-რიგად მე გადახდა არ შემიძლიან.

– აგე, მადლობის მთქმელი სად არის, – მანიშნა ცისკენ, – ის ეხლა იქიდან ორივეს დაგვყურებს...

– და შენს სიკეთეს თავის გულის-ფიცარზედა სწერს, – ვუთხარი მე და გავაწყვეტინე სიტყვა. ეს ჩემი სიტყვა თითქო გაუკვირდა, გაოცებით შეხედა გლახუკასა, გლახუკას კიდევ პირი დაეღო და გაშტერებით გვიყურებდა.

– ცეცხლი ყოფილა შენი გული, – მითხრა პატარა ხანს უკან მღვდელმა, – ყური მომიგდე, დღეს შენ დაგჭირდი, ხვალ თუ ზეგ შენ მე დამჭირდები, „სოფელი ასე მქმნელია", დრო მოგვივა, გავსწორდებით, ხომ გაგიგონია: მთა მთას არ მოხვდება, კაცი კი კაცსაო. არა, გლახუკავ?

– მართალი ბძანებაა, – უთხრა გლახუკამ.

– ჰმ, – ჩავიცინე მე, – გულს მირბილებ, ბატონო, მე მიგიხვდი. შენისთანა კაცს იმისთანა რა გაგიჭირდება, რომ ჩემისთანას შველა შეეძლოს?

– მითომ რატომაო?.. ტაბიკი ხომ რა არის, უბრალო ჩხირია, იმ ვეება ურემში არც კი სჩანს, უმისოდ კი ურემს ვერ შეაბამ. ეგრეა ყველაფერი, ჩემო ძმაო, დიდი თუ პატარა ერთი-ერთმანეთისთვის საჭირონი ვართ, თუ დღეს არა, ხვალე მაინცა. არა შემიძლიან-რაო?.. კაი კაცობა არ შეგიძლიან?.. მაშ რაღა კაცი ჰყოფილხარ?.. ღვთის სული რად გიდგა?.. მე შენ დამიჯერე, წადილი იყოს, თორემ შეძლება ყოველთვის იქნება. აი, ვთქვათ, შენ რომ წიგნს ისწავლი, – დაჯერებული ვარ, რომ მალეც ისწავლი, – შენც მონახე შენისთანა კაი ბიჭი და იმასაც ასწავლე, ვალს მაგით მოიშორებ, ვითომ იმისთვისაც მე მისწავლებია და მე მიქნია სიკეთე. მეტი რა მინდა, რომ ჩემი სახელი ლოცვით მოვახსენებიო შენისთანა კაი კაცსა. ბევრჯერ იქნება, ჩემო გაბრიელ, შეგირდი შენ რომ დაგლოცავს, მეც მომიგონებს: „ღმერთმა აცხონოს შენი მასწავლებელიო". ის ლოცვა საიქიოს წინ გამიძღვება, ღმერთამდინ აქედამვე გზას გამინათებს. მე ეგ მეყოფა, შენც შენს ვალს მოიშორებ. მერე რა-რიგად? ისე, ნეტავი, ყველამ მოიშოროს! არა შემიძლიან-რაო? ღმერთს შენთვის გონება, გული მოუცია, ავარჯიშე, მინამ სიცოცხლე შეგწევს. გონება – გზას გაგინათლებს, გული – გაგითბობს, ღმერთი ძლიერია... ყველას გულში, – ბატონია თუ ყმა, მე ვარ თუ შენა, – ღვთისაგან ანთებული ცეცხლი ანთია; ის ცეცხლი არ უნდა გავაქროთ, თუ რომ გვინდა პირნათლად შევეყაროთ ჩვენ გამჩენსა. ის ცეცხლი მეც, შენც და სხვასაცა ხანდისხან იმისთანა საქმეს გვაქმნევინებს, რომ ქვეყანას აკვირვებს... რა ვუყოთ, რომ მე და შენ დღეს პატარები ვართ? ვინ იცის, ძმაო, ხვალ ბედი რომ

გადატრიალდება, ვინ წინ მოიქცევა და ვინ უკან?.. რაც შეგვეძლოს, ჩვენ ისა ვქნათ, ღმერთიც ჩვენგან იმასა თხოულობს და კაციცა...

დიდი ხანი მელაპარაკა და ბევრი რაღაცები მითხრა, მაგრამ ხსოვნამ მიღალატა და ეხლა არ მაგონდება. ეს კი ვიცი, რომ იმის სიტყვებმა ძლიერ ჩამაფიქრეს და მას შემდეგ, თუნდა ჩემი სულთამხუთავი ყოფილიყო, თამამად თვალს გავუსწორებდი. აქამდინ კი კაცისაც მრცხვენოდა.

– რამდენი ხანი ვყოფილვარ მე მაგასთან, – მითხრა გლახუკამ, მღვდელი რომ წავიდა, – და მაგისთანაები ჩემ დღეში ჩემთან არ უთქვამს.

– ყველაფერი ბედი ყოფილა, ჩემო ძმაო, – ვუთხარი მეცა.

– არა, ძმაო, ეგ ბედის საქმე არ არი.

– მაშ ვისი საქმეა?

– ღმერთისა, რომ შენ ეგრეთი გაუჩენიხარ.

არ ვიცი ეს რისთვის მითხრა. თქმა ამისა და იმისი გაბრუნება ერთი იყო. მეც ავიღე თავი და ჩაფიქრებული წაველ შინისაკენ.

V

თქმა აღარ უნდა, რომ მეორე დილით, რაკი ჩემი საქმე გავათავე, გულმა მღვდლისაკენ გამიწია. მე გლახუკას გამოვკითხე მღვდლის სახლი და მარტოკა წავედი. შევაღე დაბალი ქუჩის კარი. დერეფანში ერთი უბრალო ტახტი დამხვდა, ზედ ისხდნენ შვიდიოდე პატარა ბიჭები. შუაში თავმოხდილი იჯდა ჩვენი მღვდელი. ზოგს აწერინებდა, ზოგს აკითხებდა. იქით, პატარა მოშორებით, ვიღაც დედაბერი კედლის პატარა ბუხრის წინ ქვაბებს დასტრიალებდა. თვალი შემასწრო თუ არა, მღვდელმა გამიღიმა: ოჰ, გაბრიელს გაუმარჯოს, – დამიძახა მაშინვე.

მე თავი დავუკარი და კურთხევა ჩამოვართვი.

– მალე გცოდნია, ძმობილო, პირობის ასრულება, – მიბძანა ხელახლად.

– შენის წყალობით და ჩაგონებით, შენი ჭირიმე! – მეც ვუპასუხე.

– ვითამ?

– რა ვიცი? მე ის კი აღარა ვარ, რაც შენამდინ ვიყავ და.

– მეფერები თუ?

– მე არ მოგიკვდე, გაბრიელმა მაგითი შენ გული არ აგაყრევინოს!

– თუ ღმერთი გწამს, მითხარ: რამდენი წლისა ხარ?.. – მკითხა და არ ვიცი რისთვის გადამიგდო ბანზედ სიტყვა!

– მგონია, თოთხმეტ-თხუთმეტისა ვიქნები...

– თოთხმეტ-თხუთმეტისა... – გააგრძელა სიტყვა, თითქო არა სჯერაო და დაფიქრებით თვალი თვალში გამიყარა.

– რაზედ მკითხე, შენი ჭირიმე?

– ისე გკითხე. მე... სწორედ გითხრა... მეტისა მეგონე... – ეს ისეთ ჭოჭმანობით და შესვენებით მითხრა, თითქო სიტყვა არ დაათავაო და შუაზედ გაწყვიტაო. – აი, დედავ, – მიუბრუნდა უცბად მღვდელი დედაბერსა, – წუხელ რომ გითხარ გაბრიელი – ეს არის. თოთხმეტის, თუ თხუთმეტის წლისა ყოფილა...

ბებერმა შემომხედა და სთქვა:

– ღმერთმა გაუზარდოს თავის დედ-მამას სასახელოდ.

მე არ გავაგრძელებ ჩემ წიგნის სწავლასა, ისეცა გრძელდება ჩემი ამბავი და ვფიქრობ – თავი არ მოგაწყინო. მარტო ამას კი ვიტყვი, მამა შვილს ისე როგორ მოექცევა, როგორც ის ჩვენ გვექცეოდა. დალოცა ღმერთმა იმის გზა და კვალი! ცალი არ ჰყვანდა ქვეყანაზედა. მე მალე მიმახვედრა წიგნსა. სამ-ოთხ თვეზედ არამც თუ წიგნის კითხვა შემეძლო, ლოცვებიც გავიზეპირე, დღევანდლამდინ მახსოვან. მარტოობაში ღმერთს დღესაც იმ ლოცვების სიტყვებით ველაპარაკები, ისინი მიკვალავენ ცისაკენ გზასა და დღე-და-დღე იმათთან ვაყოლებ სულსა. ღმერთო! შენ გაუნათლე იმასაც გზა სააქაოსაც და საიქიოსაც! თუ შენი სული ჩაჰსახებია ვისმე ქვეყანაზედ, ის იმათში პირველია.

არ გასულა სამი-ოთხი თვე, რომ სხვა შეგირდებს დამაშორა. მიბძანა: „შენ, ჩემო, გაბრიელ, შავარდენი ჰყოფილხარ. მე და შენ უნდა ცალკე ვიაროთ: სხვა შეგირდები ტაატით მიდიან, შენ კი მირბი. ამას იქით ისინი დილაობით ივლიან, და შენ კი საღამოობით მოდი ხოლმე. მოდი, მოვუჯდეთ წიგნსა, შენ მე წამახალისე, მე კიდევ შენ წაგახალისებ”.

მე ძალიან მოვწონდი იმ დალოცვილსა. მიქებდა ხოლმე გულისყურს და მიხვედრასა: „ვიციო, – ზედ დაატანდა ხოლმე, – შენ მაგითი თავს არ გაიზვიადებ, ჭკვიანი ბიჭი ხარ, იმიტომ პირში გეუბნები”.

გავიდა რამდენიმე დრო, წიგნი კარგად დავიხელთავე, წერაც გავიკვეთე. ერთხელ, როცა წიგნის კითხვა გავათავე და ნაწერიც მომიწონა, მომისვა გვერდით და დამიწყო თავისებურად ლაპარაკი. ეგ იმან ხშირად იცოდა ხოლმე, როცა კი დავაჯერებდი, რომ მაგითი შინ საქმეს არ მოვცდებოდი. მეც, როგორც მოგეხსენებათ გათამამებულ კაცის ამბავი, ვკითხავდი, ვებაასებოდი, და, – არ ვიცი, ჩემი სიტყვა-პასუხი მოეწონა, თუ რა, – მიბძანა: „შენ, ჩემო გაბრიელ, ერთი კაი წიგნი მინდა გაჩუქო”.

ადგა, გამოაღო პატარა თახჩის კარი და გადმოიღო ერთი დაბეჭდილი წიგნი.

– აი, ძმაო, ეს წიგნი არის ქართველების გულის საუნჯე. რაც კი რამ გვაქვს ჩვენს ენაზედ, ამას ჯერ არა სჯობია-რა. თამარ მეფე ხომ გაგიგონია?

– როგორ არა, ღვთისნიერი რამა ყოფილა.

– ღვთისნიერიო!.. რას ამბობ? თუ წელში გამართულა როდისმე ჩვენი ქვეყანა – ეგ იმის მეფობის დროს გაიმართა; მზეს თუ როდისმე საქართველო გაუნათებია და გაუთბია – იმის დროს ყოფილა; სიტყვას თუ ძალა გამოუჩენია, გულსა სიმტკიცე, მკლავსა სიმაგრე – ეგ დალოცვილის მეფის თამარის დედობის დროს მომხდარა! ის დედა იყო, ჩვენ შვილები... დრო ყოფილა, ჩემო ძმაო, ქართველობით თავი მოგვიწონებია. ტყუილად კი არ არის ამ წიგნში ნათქვამი: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია.” დედაკაცი იყო, კურთხეულ არს სახელი მისი! და დედაბოძად კი შეექმნა ჩვენს ქვეყანასა...

– ეგ წიგნიც იმან დაწერა?

– არა, იმ ღვთისაგან დალოცვილსა ერთი კარისკაცი ჰყოლია, შოთა რუსთაველი, იმას დაუწერია.

– ეს სულა?

– სულ. თავიდან ბოლომდინ გალექსილია. ძნელი გასაგები კი იქნება მაგრამ ერთი-ერთმანეთს ვუშველით და გავიგებთ. ბევრგან იმის სიტყვები გაჭირებაში გულს მოგფხანენ, ჭირს გაგიადვილებენ, გულს და გონებას გაგიწვრთნიან და სიკეთისათვის წაგახალისებენ.

– საღმრთო რამ არის?

– ყველაფერი საღმრთოა, ჩემო ძმაო, რაც კაცის გულს გაუთბია, თითონ დამწვარა, ზღაპრისა არ იყოს, სანთელსავით და სხვისთვის კი გაუნათებია. კაცი ის არის, ჩემო ძმაო, რომელიც თავის გონების ნამუშავარს, გულის სიკეთეს, ხიდად გასდებს, რომ, თუ არ თითონ, სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს. იმ ხიდს ზედ ამჩნევია ყოველთვის ღვთის მადლი, მაშინ ყველაფერი საღმრთოა. მაგრამ რას გეუბნები? აქ ერთგანა სწერია:

„უნდა კაცი კაცისათვის
სიცოცხლისა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად”.

მგონია, ეგრე სწერია, თუ ხსოვნამ არ მიღალატა. საღმრთო არ არის, მაშ რა არის? ქრისტე-ღმერთმაც ეგ არ გვიბძანა?..

გაოცებული ვუყურებდი მღვდელს. სახე გამოეცვალა, თვალიც გაუნათლდა, გული შეეძრა, აუტოკდა, თითქო მკერდში არ ეტევაო. ვატყობდი, რაღაც უნდა ეთქვა კიდევ ჩემთვის, მაგრამ აღარა მითხრა-რა და სიარულში გააქარწყლა გულის წადილი.

– ვისაც უნდა, რომ ღმერთი ასახელოს და ადიდოს, – სთქვა პატარა ხანს უკან მღვდელმა თავის-თავად, – იმან ორი სახელი უნდა იქონიოს: ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლი.

ისევ ჩაფიქრდა. ეს რომ სთქვა, აქეთ-იქით დაიწყო სიარული, თითქო მე დავავიწყდიო. მაგრამ ბოლოს ისევ მოვაგონდი, მომიბრუნდა და მითხრა:

– აბა წავიკითხოთ.

მომიჯდა გვერდით, გადამიშალა თითონვე რამდენიმე ფურცელი და მომცა. დავხედე იმ ადგილს, სადაც თითი დამიდო, ეწერა: „ამბავი პირველი როსტევან არაბთა მეფისა”. მე ვუთხარი:

– რატომ თავიდამ არ მაწყებინებ?

– ნუ აჩქარდები, ყველაფერი თავის დროზე უნდა. თავი უფრო ძნელია, მგონი, შენთვისაც და ჩემთვისაც; თუნდ ეგ არ იყოს, ამბავი აქედამ იწყება. მერე, როცა მე და შენ კარგად მივხვდებით, მაშინაც მოვესწრობით მაგის გადაკითხვასა.

მეც დავუჯერე. იმ დღიდამ დავიწყეთ მე და იმან „ვეფხის-ტყაოსნის” კითხვა. მაშინ ვიქნებოდი ჩვიდმეტ-თვრამეტის წლისა. ის დღეები ჩემთვის უღრუბლონი იყვნენ!.. წავიდნენ და არ მობრუნდებიან უკან... რა ვუყოთ? გულს ხომ ისევ ეტყობა იმათი სითბო, ესეც ნუგეშია.

ის ბევრგან შემაყენებდა ხოლმე და მკითხავდა: „გესმისო”? თუ ვეტყოდი „მესმის”, ხომ რა კარგი, თუ არა და მომიყვებოდა და თითონ იმ წიგნზედ უარესად არ მელაპარაკებოდა. იმ ალაგთან რომ მოვედი, საცა სწერია: „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა – დაკარგულია”, – მახსოვს დიდხანს შემაყენა. ამისთანა სიტყვებზედ უყვარდა იმას შედგომა და ბაასი. მაშინდელი სიტყვები, რა მაშინდელი! რაც რამ უთქვამს ჩემთვის, დღევანდლამდინ სიზმარივით დამახსოვდა.

– გესმის ეგა? – მკითხა, – სახარებაში ქრისტე-ღმერთი ერთს იგავსა ბძანებს, თუ არ მოგწყინდება, გეტყვი. თურმე ყოფილა ერთი ბატონი, რასაკვირველია, მოსამსახურეებიც

ჰყოლია. თითონ სხვაგან დაუპირებია წასვლა, დაუბარებია მოსამსახურეები და ფული დაურიგებია; ერთისათვის ბევრი მიუცია, მეორისა და მესამისათვის ერთი-ერთმანეთზედ ნაკლები და უთქვამს: ასარგებლეთ და, როცა მოვალ, სარგებლით დამახვედრეთო. თითონ წასულა. იმ ორ მოსამსახურეს ჭკვა უხმარიათ, ბატონის ბძანება აუსრულებიათ და, რაცა ჰქონიათ მიბარებული, ერთი იმოდენა კიდევ მოუგიათ. მესამე კი ერთი უჯიშო რამა ყოფილა, უმადლო, მცონარე; უფიქრია – მოგებას ვინა ჩივის, ესეც არ დავკარგოვო. აუღია და მიწაში ჩაუფლავს. ბატონი რომ მობრუნდა, მოიწონა ორივე მსახურის მადლიანი საქციელი, მესამეს კი გაუწყრა, წაართო ის ფული და იმათ მისცა ვისაც მოგებით ეარნათ. მესამე კი ხელცარიელი დარჩა. მიწაში ჩაფლა საწყალმა – არ დამეკარგოსო, მაგრამ ბოლოს მაინც კიდევ დაჰკარგა. რომ გაეცა კი, იმისი იქნებოდა. ბატონი ღმერთია, იმისი მსახურები – ჩვენა ვართ. ღმერთმა ყველას გონება და გული, სიკეთის შეძლება დაგვირიგა, ზოგს, მართალია, ცოტა, ზოგს ბევრი, მაგრამ ბევრს ბევრი მოეკითხება, ცოტას – ცოტა. იმისთვის კი არ დაგვირიგა, რომ იმ ზარმაც მონასავით კიდობანში, ან მიწაში დავმალოთ, – იმისათვის, რომ ბევრი გაჭირვებულია ქვეყანაზედ, უნდა გავცეთ, რომ მოვიგოთ რამე, თორემ ხელცარიელები დავრჩებით, როცა ღმერთი მოგვკითხავს. ამიტომაც არიან ეგრე გულმართალნი ეს სიტყვები: „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა – დაკარგულია". ის ღვთის მადლი, რომელიც ყოველ კაცსა თავდაპირველვე ჩაგვსახებია, ჩვენთვის დაკარგულია, თუ სიკეთე არ მოვაგებინეთ.

ამას რომ მიბძანებდა, ამ დროს, ჩვენ რომ ვისხედით, იმ პატარა ოთახის კარი გაიღო და შემოვიდა მიკონკებულ ჩადრში შეხვეული ერთი ღარიბი დედაკაცი. მღვდელი მუთაქაზედ წამოყუდებული იყო, მაშინვე გასწორდა.

– მარიამს გაუმარჯოს, მარიამს!.. – დაუძახა მღვდელმა, – შენი ქმარი როგორ არის?

– რაღა როგორ არის, შენი ჭირიმე, – უპასუხა გულანატირად დედაკაცმა, – ავად შენი მტერი იყოს, ავად ის არის. იმ დღეს, დედათქვენმა რომ წამალი უბოძა, იმან ცოტად არგო; მაგრამ დღეს კი დილაზედ ტკივილები ისევ აეშალნენ. არ ვიცი, რა ვქნა? გული ხელთ აღარა მაქვს იმის მაყურებელსა. ლამის ღმერთმა ჩემზედ ხელი აიღოს. ის ამ ქვეყნისა აღარ არის, შენი ჭირიმე... რა მეშველება, რომ ღმერთი გამიწყრეს...

დედაკაცს ტირილი მოერივა და სიტყვა ვეღარ გაათავა. მე მღვდელს შევხედე. ერთმა მწუხარების ფერმა გადაჰკრა სახეზედ, დაღონდა, წარბი შეეკრა, თითქო გულში ისარი გაეყარაო. საკვირველია, ღმერთმან იცის! როგორ ეტეოდა ამოდენა ხალხის გულისტკივილი იმ ერთ გულშია... დაილოცა ღვთის სიძლიერე, იმისი გზა და კვალი გაუგებარია.

მღვდელი ადგა, დაიწყო წინ და უკან სიარული. არა უთხრა-რა, თითქო აცლის, ჯერ გული მოიბრუნოსო. ბოლოს კი, ჰნახა რომ დედაკაცი ტირილს არ ეშვება, მოუბრუნდა და იმ მადლიან და სანდო ხმითა, რომელიც იმისაგან მერეც ხშირად გამიგონია და მინამ პირში სული მიდგას არ დამავიწყდება, უბძანა დედაკაცსა:

– ნუ სტირი, დედი... სულმოკლეობა ღვთის საწყენია. ღმერთია მოწყალე, იმისი ნუგეში დიდი არის, ღმერთი არის ყველას მფარველი, მოჭირნახულე ადამიანი იმას უყვარს; რაც უნდა მოხდეს, უნუგეშოდ არ გაგიშვებს. ნუ სტირი, ნუ! ღმერთს მიენდე და კაცის სიკეთესა. ნუ სტირი!

– რა ვქნა, შენი ჭირიმე? ცრემლი, – წაიქვითინა ბებერმა, – მწუხარების შვილია... თავის-თავად მოდის, როცა გული იწურება.

– მართალია, დედი, მწუხარების შვილია, მწუხარებას ალბობს, მაგრამ გონების თვალს არ უნდა მოერიოს ცრემლი. საქმის დანახვა სჯობს ცრემლით თვალების აბმასა. თუნდა ეგ არ იყოს, შენ ქმარს საცრემლო რა სჭირს? დედი-ჩემის წამალმა ხომ არგო, კიდევ წაიღე, შე დალოცვილო!

– დიაღ, შენს მადლს ვენაცვალე, მაგისთვის გიახელ, – უთხრა ისევ გულამომჯდარად დედაკაცმა და მერე ხმა-წყვეტით ზედ დაატანა, – ერთი საქმე კიდევ მაქვს თქვენთან...

– მიბძანე, – მიუგო მარდად მღვდელმა.

– ხომ იცით, თქვენს მეტი პატრონი არა ჰყავს ჩემისთანა უნუგეშოს. მრცხვენიან, რომ გლახასავით თქვენ შემოგყურებთ და გაწუხებთ, მაგრამ...

– კარგი, დედი, მესმის, – არ გაათავებინა მღვდელმა. – დედი! – გასძახა მეორე ოთახში თავის დედასა, – მარიამს შენთან საქმე აქვს. წადი, – უთხრა დედაკაცს, – დედა-ჩემმა იცის...

– აი, აგრემც ღმერთი გადღეგრძელებს ქვრივისა და ობრის ნუგეშად, აგრემც ღმერთი გადაგიხდის ღარიბის გაკითხვის სამაგიეროს, აგრემც...

– კარგი, კარგი... – კიდევ არ დააცალა სიწითლე-მორეულმა მღვდელმა, თითქო შერცხვა და მადლობას თაკილობსო, – ღმერთმა გილხინოს. წადი, დედი, შენს ქმარს მალე მიეშველე. ნუ იტირებ კი. ცრემლი ისე არ არგებს, როგორც შეაწუხებს. უთხარი შენს ქმარს: მეც დილაზედ ვინახულებ, ღმერთია მოწყალე-თქო, ყველანი მშვიდობით ვიქნებით-თქო.

დედაკაცი რომ გავიდა, მღვდელს მაინც გული არ დაუამდა, კიდევ იმის ფიქრში იყო.

– მართლა რომ შესაბრალისია ეგ საწყალი, – სთქვა მერე, – ქვეყანაზედ მაგ ქმრის მეტი შემნახავი არავინა ჰყავს. შვილი მაგას არ შერჩა და ძმა, დარჩება ისე უპატრონოდ, უბედური. კაი კაციც იყო მაგის ქმარი. მართალია, გამოწურულ ოფლში ამოვლებულ ლუკმასა სჭამდა, მაგრამ კაი კაცობაც მაგაშია; მაგით რჩებოდა ის და არჩენდა თავის ცოლსა, ეხლა რა ეშველება? დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი!..

– მართლა რომ დაილოცა ღვთის სამართალი! – მივატანე მეც იმის ქცევისაგან გულგახარებულმა, – დაილოცა ღვთის სამართალი, შენისთანა კაცს არ დალევს ქვეყანაზედ ქვრივ-ობრის და უპატრონოს ნუგეშად. შენმა სიტყვამ ეხლა იმას ცრემლი მოსწმინდა. დაილოცა ღვთის სამართალი! მადლიან კაცს თან აადევნებს უბედურსა მხარის მისაცემად.

ხმა არ გამცა, ყური მომარიდა. საკვირველია კეთილი კაცი! სარკეში ჩახედვა ეჯავრება, თავის-თავის დანახვა ეთაკილება, ეზარება. რაც უნდა უყავ, თავის სიკეთეს კი ნუ დაანახვებ. მაგრამ რა? ღმერთი ხომ ჰხედავს და ხელის გულზედ სწერს... დედამიწის სარკე ზეცა არის, ის გადიცემს ხოლმე წუთის-სოფლის საქმესა...

VI

თუ გული გაქვთ, თქვენვე იგულეთ ეხლა: რა იქნებოდა იმ დედაკაცისათვის ის მადლიანი ნუგეში იმ მადლიან კაცისა! მართალია, მღვდლის ლიტონი სიტყვა უკვდავების წყარო ხომ არ იყო, რომ მკვდარი გაეცოცხლებინა, მაგრამ მაინც კიდევ დიდი საქმეა ისეთი ღვთისნიერი გულშემატკივრობა. „ღვთის ნუგეში დიდიაო”, – სთქვა

მღვდელმა. მე რომ ვნახე, არც კაცისა ყოფილა ნაკლები. თქვენ რომ როდისმე გაგჭირებოდათ, მაშინ შეიტყობდით – მწუხარისათვის, იმედგაწყვეტილისათვის ცარიელი სიტყვა, თუ ნამეტნავად იმ სიტყვაში გულის სითბო და სიმართლეც ურევია, მაშინ შეიტყობდით, – ის ცარიელი სიტყვა რა ტკივილის დამყუჩავი რამ არის!.. ასე გგონია, იმ სიტყვებმა ნახევარი ნაღველი თან წაიღესო, ისეთი ლოდი აგეცლება გულიდამ. სიტყვა ხომ არაფერია და კაცს არაფრად უღირს, მაგრამ რამდენი კაცია ქვეყანაზედ – მოძმესათვის ისიც არ ემეტება. ესეც კია, ზოგმა თუნდ გამოიმეტოს კიდეც, გაჭირებულ გულს არ მოხვდება, ვერ მიაღწევს გულამდინა. ამისთანა კაცები გულს ვერ მოჰფხანენ გაჭირებულსა და ვერც ნუგეშსა სცემენ. მზე ზამთრისა ყვავილს ვერ ამოიყვანს.

მღვდელი, ის დალოცვილი მადლით სავსე მღვდელი, იმისთანა არ იყო. დედაკაცი რომ ატირდა, მაშინ რომ შეგეხედნა, გული იმისი თვალებში გამოიხატა და ზედ ეწერა: „რა ვქნა, დედი? ჩემი სისხლი რომ მოარჩენდეს შენს ქმარსა, ძარღვს გავიხსნი და დავალევინებო!” ამისთანა კაცის სიტყვა მწუხარებას შუაზედ გაარღვევს და აბრეშუმის ხელსახოცსავით ლბილად მოსწმენდს თვალიდამ ცრემლსა.

როგორც შემეძლო, ხომ გითხარი, მღვდელმა რა უთხრა დედაკაცსა. დიდი არაფერია, მაგრამ დამიჯერე, რომ იმ ნათქვამმა იმ დედაკაცს თავისი გულის ნაღველი იმ ოთახში დააგდებინა და ის კი გაისტუმრა ნუგეშითა. მზე რას უზამს იმოდენას დამზრალს ყვავილსა, რაც თბილი სიტყვა დაჩაგრულს გულსა!.. ოო!.. სითბო?.. დიდი რამ არის!.. დედამიწის ზურგი იმითი აყვავდება ხოლმე, წუთის-სოფლის ცხოვრება იმითი მოისხამს ყვავილსა! მაგრამ რა სიტყვა!.. ცარიელ სიტყვას ის მღვდელი არა სჯერდებოდა. მერე შევიტყე, წელიწად-ნახევარი თურმე ინახავდა – თითონ ღარიბი – დაგდებულ ქმარსა და ცოლსა.

შენ ღვთის გამგებლობას უყურე! ის-ის იყო, კაცის გულის სიკეთეზედ მელაპარაკებოდა, ღმერთმა ისე მოიწადინა, თვალით დამანახვა ის, რაც სიტყვით მღვდელმა ჩამაგონა. სწორედ სასწაული იყო ღვთისა, რაღა იმ დროს შემოვიდა ის დედაკაცი, რომ, რაცა სთქვა, ის ჩემ თვალწინვე აესრულებინა. გინდა დაიჯერე, გინდა არა, მე კი ვიტყვი მართალსა: ერთი მაშინ მოხდა ეგ სასწაული, მეორედ კიდევ მაშინ, როცა იმ ადგილას მივედით, საცა სწერია:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან ყოველი გასწორდეს,
სუსტი და ძალგულოვანი,
ბოლოს შეჰყარნეს მიწამან
ერთგან მოყმე და მხცოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი”.

სწორედ იმ დროს ქუჩიდამ ერთი აყალმაყალის და ალიაქოთის ხმა შემოვიდა. ხომ მოგახსენეთ, მტკვრის პირას ვიდექით-მეთქი და მღვდელიც ხომ იქავე იდგა. მღვდელი გაფითრდა და ისე, როგორც იყო, უცბად ეცა ქუჩის კარებსა. მეც გამოვედი გარეთ. საღამო

ხანი იყო. ხალხი – დიდი თუ პატარა – ერთი დაქანებული საურმე იყო მტკვრისკენა, იქით მირბოდა.

– რა ამბავია, ძმებო, რა ამბავია? – დაუყვირა ხალხს მღვდელმა.

– რაღა რა ამბავია, შენი ჭირიმე! კაცი ირჩობა, – დაუძახა ვიღაცამ.

ამის თქმა და მღვდლის ფეხის მოსხლეტა ერთი იყო. ისე თავშიშველი გაფრინდა გაფოთებული. მეც უკან გამოვუდექი. ჩავედით. ხალხი და დედაკაცობა შეგროვილი იყო მტკვრის გადასახედზედ. იმათი ჟღავი-ჟღუვი, ალიაქოთი კაცს დააყრუებდა. დედაკაცების საცოდაობას კი ნუღარ მკითხავთ, სულ „ვიშ! ვიშ!" გაჰქონდათ. რომ დაინახეს მღვდელი მოდისო, ერთობ სიხარულით დაიგრიალეს: „მღვდელი მოვიდა, მღვდელი! მადლობა ღმერთსა, ქრისტიანი სული აღარ დაირჩობაო!" სჩანს, შენი ჭირიმე, იმ მღვდლისაგან კვლავაც ბევრი მაგისთანაები ენახათ, რომ ეგრეთ იმედი ყველას მოეცა.

მღვდელმა ხმა არავის გასცა, ზედაც არავის შეჰხედა, იმისი თვალები მოუსვენრად დაჰყურებდნენ მტკვრის დენასა, თითქო უკანასკნელი საუნჯე იქ ეღუპებაო. თვალის დახამხამების უმალ გაიძრო ტანისამოსი და გადმოყარა ჩემკენ. ერთს წამს კი, მინამ იხდიდა, მტკვრისათვის თვალი არ მოუშორებია. მე შევხედე: გაფითრებული იყო და დაღონებული. ერთი ეს კი სთქვა: ირჩობა ჩვენისთანა ადამიანი და არავინა შველის? შემდეგ სწრაფად გადისახა პირჯვარი, ახსენა სახელი ღვთისა, იშვირა ფეხი და გადავარდა წყალში. მაშინ კი თან გადაჰყვა ტყაპა-ტყუპით შვიდიოდე ბიჭი, თითქო მღვდლის საქციელმა წაახალისაო.

ცოტა ხანს თვალიდამ დავკარგე მღვდელი. მე იმისი დარჩობის შიში მომეცა. „რა ვქნა, ხომ არ დაირჩო" – წამოვიძახე ჩემ თავად. „ჰმ, – ჩაიცინა ჩემ გვერდით ერთმა კაცმა, – მაშ შენ ეგ ვერ გიცვნია, – მიპასუხა მე და გაშტერებით თვალი წყალს ააყოლა, – მაგას ღვთის კაცს ეძახიან, არც წყალი ერევა მაგ დალოცვილს, არც ცეცხლი ეკიდება. აგე, თუ არა გჯერა, სად ამოჰყო თავი!" – გამიშვირა თითი და დამანახვა გახარებულმა მღვდელი.

მივიხედე, თითო ხელის მოქნევაზედ ის დალოცვილის-შვილი ერთ დიდ ალაგს გადაინაცვლებდა,როგორც გემი, ისე არღვევდა წყალს. მღვდლის შორიახლო ის უბედური მუშა, – წყლის მუშა ყოფილიყო, საწყალი, – ქანცგაწყვეტილი ფორთხალებდა. ხან ჩაიძირებოდა, ხან მაღლა ამოვარდებოდა ხოლმე.

– ნუ გეშინიან! – ეძახოდა ხალხი, – არ შეუშინდე წყალსა, ცოტა კიდევ თავი შეიმაგრე, შენი დამხსნელი მოდის.

აი, მიდის და ებრძვის წყალს მღვდელი, ხალხი აქედამ წასახალისებლად ხმას აძლევს: „აი, შენი გამჩენის ჭირიმე, შენი! დაილოცა შენი მკლავების ძარღვები!.. ჰე.. ტაი, ტაი, ტა!.. რა-რიგად მიდის, ნავია! აბა, შვილო, დედის ძუძუ მაგას შეჰრგებია, აი... – იძახოდა ერთი.

– დედის ძუძუ ვის არ შეჰრგებია, მაგრამ მადლიანი ძუძუ უნდა, რომ მაგისთანა შვილი გაჰზარდოს, – ამბობდა მეორე.

მაგრამ მღვდელს არ ეჭირებოდა არც ერთის თქმა, არც მეორისა, არც ხალხის წახალისება და გულის გამაგრება. იმისი სიმაგრე და წამახალისებელიც ის ცეცხლი იყო, რომელიც, თითონ რომ სთქვა, ყოველს კაცს გულში უნთიაო. რას ბძანებ? სიკეთე კაცს გულში ვერ ეტევოდა, სხვის წახალისება აქ რა საჭიროა! სიკეთის ქმნა სწორედ, რომ იტყვიან, სწყუროდა: დრო მოეცა და ზედ დაკდომით დაეწაფა.

ისე შენ მორჩი შენს ნაღველსა, როგორც იმ მღვდელმა ის მუშა მოარჩინა. როცა ნაპირზედ გამოიტანეს, როგორც ძმასა ზედ დასტრიალებდა გონებამიხდილ მუშასა. როგორც იყო, გამოაბრუნეს ის საწყალი. თითონ მღვდელი მუშაზედ ნაკლებ შესაბრალისი არ იყო. შემოდგომა გახლდა, სულ გალურჯებული იყო, სიცივისაგან კბილით კბილსა სცემდა და ჰკანკალებდა.

– გლახავ! – მიუბრუნდა ვიღასაც მღვდელი, – თუ ღმერთი გწამს, ამაღამ შენ სახლში ბინა მიეცი ამ საცოდავსა, მადლია!

– ბატონი ბძანდები, – უპასუხა იმანაცა, – მაგას რაღა თქმა უნდა, შენი ჭირიმე! შენ კინაღამ მაგის გულისათვის თავი არ დაირჩე და მე ბინას როგორ არ მივცემ. აბა ბიჭებო, მიშველეთ!

დაუძახა ხალხსა. ხალხი მოსცვივდა, ასწიეს მუშა და ციმციმით წაიღეს, მღვდელიც უკან აედევნა.

– შენ კი შინ წამობძანდი, შენი ჭირიმე! – ვუთხარი მე, – დაღლილი ხარ, ჰკანკალებ.

– მუშას შველა უნდა კიდევ, – მითხრა პასუხად.

– შე დალოცვილო!.. შენ თავსაც უნდა შველა, – მივატანე მე.

– აგერ ჩემი მშველელი სად არის!.. – მითხრა ეს თუ არა, ცა დამანახვა და გამეცალა.

მინამ კარგად არ მოასვენა, მინამ გული არ დაიჯერა, რომ ეს კაცი აღარ მოკვდება, – ის დალოცვილი არ მოჰშორებია.

ის მუშა კი მოარჩინა სიკვდილსა და თითონ კი კინაღამ სული არ მიაბარა უფალსა. ისე ავად გახდა, რომ კინაღამ თან არ გადაიტანა. ღმერთმანი, შეინანებდა და იტყოდა: „სხვისთვის თავი რად წავიხდინეო. მარტო ვყოფილიყავ, კიდევ ჰო: დედა-ჩემს ვის ანაბარას გავუშვებდი, მე რომ იქ ამტეხოდა რამეო!”

იმისი საცოდავი დედა კი ეუბნებოდა: შვილო! თავს რაზედ იკლავდი? რა ვუყოთ, რომ ირჩობოდა? შენც რომ იქ აგტეხოდა რამე, დედა-შენს რაღას ეტყოდი, საიქიოს რომ შეჰხვდებოდი?

– პირნათლად შევხედავდი, რომ იმის ძუძუმ კაი საქმე შემაძლებინა, – უთხრა მღვდელმა.

– ზოგი მე მკითხე ეხლა. შენ დაგხარი დღე-მუდამ ზედა, შენს მეტი აღარავინ გამაჩნია დედამიწის ზურგზედ და ისე გამომიმეტე, რომ კინაღამ თავი არ მოიკალი სხვისთვის, კინაღამ...

– აკი ღმერთმა დამიფარა და არა ამიტყდა-რა.

– როგორ არა აგიტყდა-რა? სამი დღე, ვუი შენს დედასა, უსულო მკვდარსავით წინ მედე და დაგტიროდი. რომ ღმერთს არ მოეხედნა, რა მეშველებოდა?

– ქვეყანა დიდია, დედიჯან! ყველა კაი კაცი შენი შვილი იქნებოდა.

– უი, უი! – გადიწერა პირჯვარი მღვდლის დედამა, – ღმერთმა ნუ შამასწროს მაგ დღეს!.. შენის ხელით მინდა, შვილო, მიწა მივიყარო.

ერთხელ, ჯერ კიდევ მორჩენილი არ იყო, რომ მივედი. მეც კი, ღმერთო შეგცოდე, ვუთხარი: მეტის-მეტი თავგამომეტებული ჰყოფილხარ. თუ შენი თავი არ გებრალებოდა, დედა-შენს მაინც შეიბრალებდი. უფრო ცოდვა არ იქნებოდა, რომ მოხუცებული დედა უპატრონოდ დაგეგდო ამ ტრიალ ქვეყანაზედ?

– ცოდვა ეგ კი არ არის, ცოდვა ის არის, ჩემო ძმაო, როცა შვილი დედის ჭირნახულს ყვავილებს არ გამოატანინებს, როცა დრო მოუვა, – მითხრა დასუსტებულმა. – აქ ახლო

მოჯექ. იმ დღეს დედა-ჩემს ვერა ვუთხარი-რა, მოხუცებულია, უსიყვარულობაში ჩამომართმევდა. დედის გული ზღვა არის სიყვარულისა. რომ უთხრა, შვილი რომ უკვდებოდეს, ორის დღის სიცოცხლე კიდევ მიემატება შენს შვილსაო, ოღონდ სული საუკუნო ჯოჯოხეთს მიეციო, – დედა მაგას იქს; შვილმა კი დედისათვის რომ ეგა ქნას, დედა იწყენს. მე რომ ჩემი თავის და ღვთის იმედი არა მქონოდა, სულელი ხომ არ ვიყავ აღელებულ წყალს მივცემოდი. ღმერთმა შეძლება მომცა და ინება ჩემის ცოდვილის ხელით იმ კაცის მორჩენა. თუნდ ეგ არ იყოს და მეც იქ თავი გამეფუჭებინა, რა ცუდს საქმეზედ გავიფუჭებდი თავსა! ხომ უნდა მოვკვდე დღესა თუ ხვალე, ის არა სჯობია ღვთისა და... გეტყვი ეხლა კი, კაცის სამსახურში (აქ მღვდელი გაწითლდა) ამომივიდეს სული!.. აქ სახელი მაინც დაგრჩება და იქ სიკეთე წაგიძღვება. „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა", ჩემო კარგო! სახელის მოხვეჭა კიდევ, სხვამ რაც უნდა სთქვას, ცხონებაა სულისა. სამოთხესაც აქედამვე ეგ ანათებს და ჯოჯოხეთსაც აქედამვე ეგ აქრობს, როგორც შვილისათვის, ისე დედისათვის! დედა-ჩემს ეგ არ ესმის და იმიტომ თქმა ამისი ვეღარ გავუბედე.

– ეგ აგრეა, მართალსა ბძანებ, მაგრამ...

– მაგრამ რა?

– მაგრამ ისა, შენი ჭირიმე, რომ...

– მესმის, რის თქმაც გინდა, – გამაწყვეტინა სიტყვა, – იქნება გეგონოს – ვინც კაი საქმესა ჰშვრება, სახელისთვის ჰშვრება? არა, სახელი თავის-თავად მოდის ხოლმე და კეთილ საქმეს ზედ გამოებმება. მართალია, არიან იმისთანა კაცები, რომელნიც სიკეთეს იქმოდნენ მარტო იმისთვის, რომ სახელი დაგვრჩებაო. მაშინ ისინი იმ კაი საქმეს სახელზედ ჰყიდიან. ეს ცუდია, მაგრამ მე და შენ რა დავა გვაქვს? დაე, თუნდ გაჰყიდონ, ოღონდ ნივთი კარგი რამ იყოს, დაე, საქმე საქებური იყოს, – და გულის-წადილის გაჩხრეკა ღვთის ნებაზედ მივაგდოთ. აი, ეხლა, ვინც თავდაპირველად გუთანი მოიგონა, ვინ იცის, სხვისთვის ისე არა ჰფიქრობდა, როგორც თავისთვისა, ისე სიკეთისათვის არა, როგორც სახელისათვის, ჩვენ რა? ღმერთმა ცხონება მისცეს იმას, რომ იქნება თითონ მშიერი მოკვდა და ამოდენა მილეთის მცხოვრებლებს კი გაუწყვეტარი ლუკმის სახსარი მისცა. იმისი სახელი გაქრა ქვეყანაზედ, საქმე კი, რომელიც ყველა სახელზედ უკეთესი სახელია, დარჩა საუკუნოდ, საქმე – რომელიც მარტოკა დასძლევს მთელ ქვეყნიერების ცოდვებსა! ხომ ეხლა არავინა ჰკითხულობს: – რა წადილი ჰქონდა, როცა საწყალი თვალსა და გონებას იწყალებდა ამ სახელოვან საქმისათვის. ის წავიდა თავის კარგის თუ ცუდის გულის-წადილითა და იმის გულის-წადილის ნაჭირნახულევი კი ხელთ დაგვრჩა...

– მე მაგაზედ ფიქრადაც არ მამსვლია მეთქვა რამე, მე მინდოდა მეთქო...

– რა უშავს? – გამაწყვეტინა ისევ სიტყვა, – მეტი ხომ არ იქნება, რომ მე ეგა ვთქვი?

– მეტს ვინ მოგახსენებს? – ჩამოვართვი მეც სიტყვა, – მე მანდამდინ გონება სად მიმიწვდებოდა, რომ ეგ მომფიქრებოდა. მე მინდოდა მეთქო, რომ სხვის მოსარჩენად დედა-ჩემს არ დავღუპავდი, ვერ დავთმობდი, იმის იმოდენ საცოდაობას კისრად ვერ ავიღებდი. შენი სიცოცხლე იმისთვის სხვა რამ არის, სხვა ნუგეშია!..

– სიცოცლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა. მზე რომ ამოდის, ვარსკვლავები მაშინ არა სჩანან... ის როგორა სწერს, ავთანდილი, როსტევანსა?

„მე იგი ვარო . . . . .
ვის სიკვდილი მოყვრისათვის
თამაშად და მიჩანს მღერად”.

კარგი სიტყვა არის, თუ მოყვარედ ქვეყანა მიაჩნია ადამიანსა. ისიც კარგია, ხომ გახსოვს:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი”.

– მახსოვს და მესმის კიდეცა, რაზედაც მითხარი ეგა. მაგრამ მაგისთანა ნაძრახი სიცოცხლე ნეტავი მე მქონდეს, როგორიც შენა გაქვს.

მღვდელი ბავშვსავით წამოწითლდა. ის დალოცვილი ვერ იფერებდა ქებასა.

– შენ მე ნუ გადმომწვდები ხოლმე, – მითხრა ღიმილითაც და მორცხობითაც, – ხომ არ იცი, მე რა კაცი ვარ?

– შე დალოცვილო, – დავატანე ზედ, – თუ მიგნება არა მაქვს, მადლობა ღმერთს, ბრმა ხომ არა ვარ, რომ არ დავინახო. ნაძრახი სიცოცხლეო!..

– მაშინ ნაძრახი იქნებოდა, თუ ჯერ არ არის, ჩემო ძმაო! კაცი ირჩობა, ღვთის კერძო, შენსავით შვილი ერთის მამა-ღმერთისა, შენ კი გულ-ხელ-დაკრებილი დაჰყურებ, როცა იმის მორჩენა შეგიძლიან, სასახელოა? მერე ღმერთს რა პასუხს მისცემთ, ან შენ და ან დედაშენი, ღმერთს რას ეტყვით? არ გეტყვით: რად მოიკალით გული, რომელიც თქვენის მოძმის სიყვარულისათვის მომიცია თქვენთვის? რად დამალეთ და დაიშურეთ ღონე და შეძლება, რომელიც გაჭირებულის მოძმის საშველად მომიმადლებია? როცა, ჩემო ძმაო, ადამიანს პირს არიდებ, მითამ ქრისტე-ღმერთისათვის მოგირიდებია პირი. იესომ ბძანა: განკითხვის დღეს გეტყვითო: მწყურვალი ვიყავ, არ მასვითო; მშიერი ვიყავ, არ მაჭამეთო; შიშველი ვიყავ, არ ჩამაცვითო; სნეული ვიყავ, არ მომიარეთო. როცა მეტყვიანო: უფალო! სადა გნახეთ, რომ არ გიშველეთო? მე ვეტყვიო: ყოველი გაჭირებული კაცი, თქვენგან არ-გაკითხული, – მე ვიყავიო. ესეა, ძმაო!.. სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი, გზა ცხოვრებისა, აი, ხიდი ცხონებისა, აი, გასაღები სამოთხისა!..

გზა გამიკაფა, მაგრამ ჟამმა მიმუხთლა და არ დამაცალა ზედ გამევლო!.. მომიტანა კლდემ ქვეშა და, ხომ ჰხედავ, ისე ვქრები, როგორც ცეცხლი, როცა გარედამ ჰაერი არა შველის!..

ტყუილად კი არ მითხრა, როცა ავთანდილის და შერმადინის ამბავი წავიკითხე და ატაცებულმა უნებლიეთ წამოვიძახე:

– ვენაცვალე შენს დამწერსა! აი, ბატონ-ყმობა თუ იყოს – ამისთანა.

– მოგწონს? – მკითხა მღვდელმა.

– აბა რა?

– მართალი ხარ! – მიბძანა იმან ნაღვლიანად, – უარესს ეგა სჯობია.

ამის შემდეგ რაღაც ფიქრმა წაიღო მისი გონება და გული; მე თვალი მომარიდა და ჭერს გაუშტერა. კარგა ხანი დაჩუმებული იყო, მერე კი თითქო უნებლიეთ, თავის-თავად უფრო დაღონებულად სთქვა:

– იმას კი არა შეედრება-რა, როცა ცა ქუდადა გაქვს და დედამიწა ქალამნადა.

მე მაშინ არ მესმოდა, რას ამბობს. უეცრად ჩემკენ მოატრიალა თვალი. როცა კარგა ხანი კიდევ მოიფიქრა, მითხრა:

– ერთი ეს მითხარ: ხელში ნაპატივები მიმინო უფრო კარგია, თუ ის მიმინო, რომელსაც გაჩენის დღიდგან კაცის ხელი არ მოჰხვედრია?

– რასაკვირველია ის, რომელსაც ხელი არ მოჰხვედრია.

– რადა? ის ხომ უფრო გაპატივებულია?

– ვაი იმ პატივს!.. ხან ფრთას აუკვრენ – არ გაფრინდესო, ხან ბოლოს – არ გაიქნივოსო, თვალებს კი ყოველთვის აუბმენ ხოლმე – არა დაინახოს-რაო.

– ყველას ეგრე უზმენ ხოლმე?

– მაშა? ამბობენ, თუ არ ეგრე, მიმინო არ გაიგეშება თურმე. კლანჭებზედაც ეჟვნებიან თოკს გამოაბამენ, თუ ვინიცობაა ნავარდზედ გაიწიოს, – არ გაუშვან.

– თოკი თოკია, ეჟვნები რაღადა აქვს?

– ხალისისათვის თუ უკეთებენ: ატოკდება, თუ გაფრინდება – ეჟვნები ხმას აძლევენ.

– იქნება. მაგრამ, მგონია, ფრთების ფრიალი, როცა კი გაშლის ხოლმე და გაინავარდებს, იმ ეჟვნების ხმას ერჩივნოს და წასახალისებლადაც ის ეყოს.

— აბა მაგას რაღა თქმა უნდა? რასაკვირველია, ურჩევნია.

— მეც ეგრე მგონია, ჩემო გაბრიელ... ეხლა, რას აქნევენ მიმინოსა?

— შე დალოცვილო! ისე მკითხავ, თითქო არ იცოდეო. მწყერს აჭერინებენ და თითონ კი სეირს უყურებენ.

– მერე?

– მერე რა! მწყრებს აბგაში ჩაიწყობენ და შინ წამოვლენ.

– მიმინოს?

– მიმინოს იმას გამოაწიწკნინებენ, რაც კაცის საჭმელად არ ვარგა.

– საწყალი! თხის პატრონს არც თხის კუდიო... მერე მიმინო მადლობელია?

– არა მგონია. კიდევ რა! ბევრი მონადირეა, თავის დღეში მუცელსაც არ გაუძღობს, – კარგად ვერ მოეტევებაო; ზოგმა კიდევ ეგ ხანდაზმობით იცის.

– მინამ სული არ ამოუვა, სულ ამ ყოფაშია მიმინო?

– არა. თუ მიმინომ შემოდგომამდინ გაუძლო მონადირესა და არ მოკვდა, თავის ნებაზედ გაუშვებენ ხოლმე.

– დახე, ყველას დრო სდომებია!..

– მაშ უდროოდ რა იქნება? მინამ მწყერია, ანადირებენ, როცა მოილევა, იმასაც აღდგომის დღე მოუვა ხოლმე.

– მაშ მინამ მწყრები ბუდობენ, მინამდინ მონადირეს ხელთა ჰყავს მიმინო?

– დიაღ, – გამეცინა მე, – მინამ მწყრები ბუდობენ.

– მგონი, მწყრები მაშინ მოილევიან, როცა სამალავი და საფარი აღარ არის მინდვრებში; სიმინდი რომ მოიჭრება, ყანები, ფეტვები რომ დაიმკებიან; ერთის სიტყვით, როცა ყოველ კაი კაცის ნამუშავარი შემოვა.

– დიაღ, შემოდგომაზედ მწყერი ილევა, მაშინ მიმინოსაც თავის ნებაზედ გააფრენს ხოლმე მონადირე.

– დაილოცა ისევ შემოდგომის მადლიანობა!.. ვისაც კი მადლი ჰქონია და სიკეთე, უმუშავნია, დაუთესნია, – სულ ყველაფერი მაშინ მომწიფდება და მოიკრიფება! სახლი,

კარი ღვთის წყალობით აივსება ხოლმე... ქორწილებიც კი მაშინ იციან, ყველა მაშინ დაბინავდება, მიმინოც კი, მიმინოც!.. კაი დრო არის! პური, ღვინო, ლხინი, ყველაფერია ბლომად. ყველა, დიდი თუ პატარა, მაძღარია მაშინ და მხიარული!.. კაი დრო არის!.. ორი-სამი თვეც, – და გაზაფხულიც ზედ მოებმის ხოლმე, ის ლამაზი, მხიარული, თბილი გაზაფხული!.. ღმერთო! მოსავალი მოდის და გულმართლად მოამკევინე ყოველ მუშაკსა!..

VII

მე იმ მღვდელზედ სიტყვა ძალიან გაგიგრძელე, ბატონო, და ყბედობაში ნუ ჩამომართმევთ. ორიოდე ნათელი დღე მე იმასთან გამიტარებია, გონებისა და ადამიანობის თვალი, – ავად თუ კარგად, – იმასთან ამიხილებია. ჩემის ბნელის ცხოვრების გზაზედ იმის მეტი ვარსკვლავი არ ამოსულა, – და ამ უპირო ქვეყანამ სხვა ნურა დამაყვედროს-რა. ამიტომ მიყვარს მე იმ მღვდელზედ ლაპარაკი, როცა კი ვლაპარაკობ ხოლმე. სული ისევ სულობს, როცა იმას ვახსენებ. დამიჯერეთ, რომ მე იმის ხსენებაზედ ამ ქვეყნად კიდევ მადლი ღვთისა მწამს, კიდევ მგონია, რომ ეს ქვეყანა შესაფერია და ამ ქვეყანასთან ძაფი არ გამწყდომია. დალოცა ღმერთმა ის კაცად-კაცი!..

ბევრი რამ მოგახსენე იმ ღვთის კაცზედ, მაგრამ ნაასალიც ვერ გითხარი: იმისი გული და ამბავი ზღვა არის და მე უბედურმა კოვზით ზღვის ამოწურვა მოვინდომე. ყბედობაში ნუ ჩამომართმევ, შენი ჭირიმე. თუ მოგაწყინე თავი, ნუ გამკიცხავ და მაპატივე.

ხუთი წელიწადი აგვითავდა ჩვენ, რაც ქალაქში ვიყავით. მეექვსე წელიწადი რომ დაიწყო, დიდი ბატონის სიკვდილის ამბავი მოგვივიდა. მაშინ დათიკო იქნებოდა ცხრამეტისა, თუ ოცის წლისა. მამის სიკვდილზედ პირველში ბევრი ინაღვლა და, მგონი, იტირა კიდეც. ჩემსავით დაობლდა და ჩემსავით ნაღველი მალე გადაიყარა. დიდხანს აღარ უფიქრნია: ფიცხლავ შინიდამ ცხენები დაიბარა და სამუდამოდ შინ წამოსვლა დააპირა. მინამ ცხენები ჩამოგვივიდოდა, დათიკომ რუსული ტანისამოსი გაიძრო და ქართული ტანისამოსი ჩაიცვა. სულ გამოიცვალა ახალს ტანისამოსში. მშვენიერი შესახედავი ყმაწვილი კაცი დადგა.

არ გასულა ხუთი-ექვსი დღე დაბარების შემდეგ, რომ ცხენები ჩამოგვივიდნენ. მეორე დღეს უნდა ქალაქიდამ გავსულიყავით. მე მღვდლის სანახავად წავედი.

– გაბრიელს გაუმარჯოს! – შემომძახა მღვდელმა, როცა შევაღე კარები და შევედი იმის პატარა ოთახში, – ამბავი-ხაბარი, ჩემო გაბრიელ!

– დიდმა ბატონმა თქვენი ჭირი წაიღო, – მოვახსენე მე, – დათიკომ შინიდამ ცხენები დაიბარა და ხვალ შინ წასვლას ვაპირებთ.

– მერე დათიკო სწავლას თავს ანებებს?

– თავს ანებებს.

მღვდელს ეს ამბავი ძლიერ ეწყინა. წამოდგა ტახტიდამ და თავის ოთახში წინა და უკან სიარული დაიწყო. პატარა ხანს უკან მითხრა:

– „სწყეროდეს, წყალსა ვინ დაღვრის კაცი უშმაგო, ცნობილი“, ჩემო გაბრიელ! საკვირველია, რომ მე ის ყმაწვილი ვერ მოვიკარე!.. ეხლა შინ იქნება?

– შინ გახლავს.

გადიცვა მაშინვე ანაფორა და წამოვიდა დათიკოსაკენ. მეც უკან გამოვყევ.

დათიკოსთან მღვდელმა არ შემიყოლია.

დათიკოსთან მღვდელმა კარგა ხანი დაჰყო. როცა გამოვიდა, მე წინ დავხვდი.

– ვერა გავაწყე-რა, – მიბძანა მე მღვდელმა ნაღვლიანად, – თავის სიტყვის კაცი ყოფილა. ღმერთმა სიკეთის შეძლება მისცეს.

დილაზედ ჩავალაგეთ ბარგი, დავამზადეთ ცხენები და, მინამ წავიდოდით, მღვდელთან გავიქეცი კურთხევის ჩამოსართმევად.

– მიდიხარ, მიდიხარ, გაბრიელ?! – მითხრა მღვდელმა დაღონებითა.

– გიახლებით. მაშ რა ვქნა? – ვკითხე მე იმ-რიგად, რომ, თუ ეთქო ნუ წახვალო, – იქნება, არც კი წავსულიყავ.

– უნდა წახვიდე. სხვას ვერასა იქ: შენი ნება შენს ხელთ არ არის.

მე აღარა ვუთხარი-რა. მივედი, ლოცვა-კურთხევა ვთხოვე. იმან პირჯვარი გადამწერა და მიბძანა:

– მშვიდობით, ჩემო გაბრიელ! მართალი იყავ და სიმართლეს სდიე. გზა ყოველთვის კაცური გექნება. ესეც იცოდე: ვინც კარგსა საქმეს არ მისდევს, იგი თავისა მტერია. მშვიდობით.

მომეხვია მე, როგორც მამა შვილსა; დავკოცნეთ ერთმანეთი და გავიყარენით. ეჰ, ბატონო, ქვეყანა ძნელი შესაფერი ყოფილა!

ორ დღეს უკან ჩვენი სოფლის ბოლოებში მივედით. მზე ჯერ ჩასული არ იყო და მთის წვერზედ ცეცხლივით ენთო. მე ჩვენს სოფელში მისვლა ძალიანაც არ მიმიხაროდა. მე იქ აღარავინა მყვანდა, მაგრამ ჩემის მიწა-წყლის სიომ რომ დამკრა, გული ამიტოკდა: ის მთა, ის ბარი, ის ტყე, ის მინდორ-ველი რომ დავინახე, ავივსე ლხენითა და სიამითა. ის, რაც გულში მაშინ დამიტრიალდა, არც სიხარულსა ჰგვანდა და არც ნაღველსა, გულში რაღაც „მზიანი ჩრდილი“ იყო, თითქო ნაღველი სიხარულში გაიშალაო და სიხარული – ნაღველში. გული ოდნავ და მეტად ტკბილად მიცემდა. სმენად გარდამექცა გულისყური, ყველაფერი ჩემს გარსა თითქო რაღაცას კარგსა და დიდი-ხნის დავიწყებულს ამბავს მიამბობდა. იმ დროს რომ კაცს ჩემთვის ხმა გაეცა, მეწყინებოდა.

მე ხომ იმ ქვეყნისათვის ტიალ-ოხერი ვიყავ და იმ ქვეყნისა კეთილი არა მახსოვდა-რა, მაგრამ მაინც კიდევ თავისი მიწა-წყალი დიდი რამ ყოფილა კაცისათვის. ვინც თავის მიწა-წყალს არ მოჰშორებია, – ეგ იმას ვერ უცვნია. ჩემ და ქვეყნის შუა ხომ ეხლა ხიდი ჩატეხილია და, დღესა თუ ხვალე, სულაც გავშორდები, მაგრამ ღვთის მოწყალებად ჩავთვლიდი, რომ მე ჩემის მიწა-წყლის კალთაში სული დამელია. ვაი, სადაური სადა ვკვდები!

შინ რომ მივედით, დათიკომ მეორე დღესვე დამიბარა და მითხრა:

– ჩემო გაბრიელ, მე შენს ანაბარასა ვარ. აი ეს სახლი, ეს კარი, საქონელი, მამულ-დედული შენთვის ჩამიბარებია. ღვთის მოწყალება გვაქვს, მეც მაცხოვრე და შენც იცხოვრე.

ეს რომ მითხრა, ერთი კარგი ხელი ტანისამოსი მაჩუქა. მე რომ ის ჩავიცვი, თავადის-შვილში ვერ გამომარჩევდით.

ჩავიბარე ყოველიფერი, ყოველიფერი ხელში დავიჭირე და ღვთის შეწევნით საქმე ისე მოვიყვანე, რომ სახლიდამ ბეწვის ოდენაც არა იკარგებოდა-რა. მართალია, ჩემის ერთგულობის გამო ბევრს შევძულდი, ბევრი მოვიმდურე, ყმა თუ მოჯამაგირე, მაგრამ ღმერთია მოწამე, უსამართლობა არავისათვის გამიწევია. ორ წელიწადში საქმე ისე

მოეწყო, რომ დათიკო კაი ოჯახის-შვილად ჩაითვლებოდა იმ ახლო-მახლო თავადის-შვილებში. ღვთის წინაშე უნდა სთქვას კაცმა, რომ დათიკოც პირშავად არ იყო ჩემთან, ტოლ-ამხანაგად მინახავდა და ძალიან მადლობელი იყო ჩემი.

ყველაფერში კაი ყმაწვილი კაცი იყო: მშვენიერის სანახაობისა, გულუხვი, გულმარდი, გიჟმაჟი და ვაჟკაცი. თოფისა და იარაღის ხმარებაში იმ ძირობაზედ იმას ორიც არა სჯობდა. ის რომ ყარაბაღულ ცხენზედ შეჯდებოდა, ყელმოღერებული, ალვის ხესავით ადამიანს თვალი ზედ დარჩებოდა. ყველაფრით ძალიან ლამაზი და მოხდენილი იყო. მაგრამ ერთი ავი სენი სჭირდა, – და იმ სენმა ისე იმას არ ავნო, როგორც მე: ქალების მუსუსი იყო და ამისთანაებში ნამუსგაქნილიცა. რაკი გულში ვისმე ქალის ფიქრს ჩაიდებდა, თავის გულის წადილისათვის არაფერს დაერიდებოდა, არაფერს არ ითაკილებდა, არაფერს და არავის დაზოგავდა: ყველაფერს და ყველას ხიდად გასდებდა დაუნდობლად და თითონ გაივლიდა. მე მგონია, ის უბედური თავის ნათესავსაც არ დაინდობდა მაგისთანაებში – ასეთი თავდაუჭერელი იყო, რაკი პირწყლიან გოგოს დაინახავდა. ბევრს გლეხის გოგოს მოუკლა იმან ნამუსი, ბევრს კაი ოჯახის-შვილს თავზედ ლაფი დაასხა. სხვაფრივ კი, ღმერთმა კაი მოგცეთ, კარგი ის იყო.

მე რომ ის არ მყვარებოდა, ცუდად დავუმიწებდი იმ მოხდენილ მხარბეჭს, რომ ამოდენა სირცხვილი აჭამა ქვეყანასა!.. მაშინ ჩემი ბედიც იქნება სხვა-რიგად დატრიალებულიყო. მაგრამ რა მექნა? ის, სხვა ყველაფერში მადლიანი ბიჭი, მეტად მიყვარდა. არ ვიმეტებდი, თორემ ადრევე იყო ჩემის ხელისაგან გასანიავებელი. ქვეყანა წამურტლა და აქამდისაც მიკვირს, რომ ამ მართლა-და მურტალს ქვეყანაზედ კაცი როგორ არ გამოჩნდა, რომ თოფი ეკრა და მიწასთან გაესწორებინა. შენ რაღას აკეთებდიო, იქნება იფიქროთ ჩემზედ. რას ვაკეთებდი? ეგა მკითხე და გამკიცხე კიდეც. გული მეც მემღვრეოდა, მაგრამ ჩემი გაუბედავობა, თუ იმისი სიყვარული, ჩემს გულს იმორჩილებდა იმ დრომდინ, მინამ მე და ის ერთს გზაზედ ერთმანეთს არ გადავეხარიხენით. ის მე არ ჩამომეცალა და არ ამიქცია გზა. მეც არ შევეპუე.

ჩვენის სოფლის ბოლოს ერთი კაი ოჯახის-შვილი იდგა, ჩვენის ბატონის ყმა. პეპია ერქვა სახელად. კეთილი სადმე კაცი იყო, ხანშესული, დროული, გლეხკაცობაში სახელიანი და პატივცემული.

იმას, შენი ჭირიმე, იქნება მარტო ჩემს საუბედუროდ, ერთი ახირებულად მადლიანი, ჯეირანივით ლამაზი გოგო ჰყავდა. ის იყო პეპიას სული და გული და იმის მეტიც აღარავინ შერჩენოდა ახლად დაქვრივებულს პეპიას. ბევრმა კარგად აშენებულმა გლეხმა სთხოვა ქალი, მაგრამ არავის მიათხოვა, თითქო სხვისათვის არ ემეტებოდა ის ობოლი მარგალიტი. გოგო იყო, შენი ჭირიმე, რომ თვალი ზედ დაგრჩებოდა: თეთრ-წითური, შავ-თვალ-წარბა, ტანწვრილი და მაღალი. ბევრი თავადის-შვილის ქალი ინატრებდა იმის ჯეირანივით მოღერებულ ყელსა, იმის გიშრის თვალსა, იმის გიშრის თმასა, ლერწამს ტანსა!.. მარილიანი რამ იყო, ჩემ საუბედუროდ.

აკი გამიწყრა ჩემი გამჩენი და პეპიას ქალს თვალი სადღაც მოვკარი. თვალის მოკვრა და გულში სიყვარულის ცეცხლის ჩავარდნა – ჩემთვის ერთი იყო. როგორც თოფის-წამალი ნაპერწკლისაგან, ისე ავფეთქდი სიყვარულისა და ნატვრისაგან.

რაღა გაგიგრძელოთ, თურმე ნუ იტყვით, – იმ გოგოსაც ჩემი ფიქრი მისცემოდა. ეხლა რაღა ვარ, შენი ჭირიმე მაშინ ოცის, თუ ოც-და-ერთის წლის გათამამებულ ბიჭსა ადამიანობა მეტყობოდა. კვეხნით არ ვიტყვი – ჩემს ტოლს ბიჭებში ნაბოლოვარი არ ვიყავ

და თვალ-ტანადაც არაფერი მიჭირდა.

ერთხელ კალოზედ კევრზედ იდგა და, მე რომ ამოვუარე, ჩუმ-ჩუმად შემომცინა. როგორც კოკორი მზისაგან, გული ისე გადამეშალა და ამიყვავდა; ამომივიდა მზე, გამინათლდა ქვეყანა. ამიცქანცქალდა ობოლი გული, ამიცქანცქალდა ისე, რომ ამოდენა კაცი მოვიყარე და ისე აღარ ამცქანცქალებია. ეჰ, პირქუშო წუთის-სოფელო, ისიც ხომ მომიშალე!..

შუადღე იყო, ვენახიდამ მოვდიოდი და, ორღობეში რომ შემოვედი, ჩემს მზეს ორღობის თავში თვალი შევასწარ: თურმე მამისათვის კალოზედ ჯერი მიჰქონდა. გულმა ცემა ერთს წუთს შესწყვიტა, დამეცა ბურანი, თვალთ დამიბნელდა, – და ეს ამოდენა ვაჟი-კაცი წავბარბაცდი და წავაწყდი ღობეს. მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მე მოვიკრიბე ღონე და გონზედ მოვედი. ეს რაც დამემართა, ერთის წუთის საქმე იყო. იმანაც მე თვალი მომკრა: შეკრთა, როგორც შველი მონადირესაგან, და უცებ უკან გატრიალდა. მე ბევრი აღარ მიფიქრია: ვისხლიტე ფეხი და გამოვუდეგ. ისე ფეხაკრეფით ჩქარა მიდიოდა, თითქო უკან მტერი ეგულებაო. დავეწივე კაკლებ-ქვეშ გამინდვრებულზედ და მივაძახე:

– ქალო! რა მიგარბევინებს? მგელი ხომ არა ვარ, ბიჭი ვარ, ადამიანი. – იმან ხმა არ გამცა და არც შემომხედა. თავმომწონე ბიჭი ვიყავ და გული ყელში მომებჯინა. ვიშვირე ფეხი და ორ გადახტომაზედ წინ მოვექეც.

– ნუ გარბი, შენი კვნესამე! – ვუთხარი მე და გამოვუწივე ყელი, — შენ ხელთ მომიცია ჩემი საბელი ყელისა.

იმან წარბი შეიკრა და ისე მრისხანედ და მწყრალად შემომხედა, რომ თვალს თვალი ვერ გავუსწორე. მე შევკრთი; მე ვაჟი-კაცი შევუშინდი იმ პატარა, უღონო გოგოსა!.. ძლიერი ყოფილა უძალოდაც ადამიანის შვილი!..

– გზა!.. – მითხრა ამაყად და ბძანებითა, – მამა მყავს და ნამუსი მაქვს.

– ღმერთმან ნურც ერთსა და ნურც მეორეს ნუ მოგაშოროს, – ვუპასუხე მე გულმართლად, მაგრამ იმედგადაწყვეტილად, – მე სამტროდ არა ვარ მოსული, ღმერთო, ხომ შენ იცი! ჩემი გული და წადილი ისეთი წმინდაა, კელაპტრად ხატს აენთება. მე მარტო ის მინდოდა, რომ ჩემი ობოლი თავი შენთა ფეხთ-ქვეშ გზად გამეშალა. არ ინდომე?! ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ლამაზო ქალო, და მე თუნდა შენის ჭირის სანაცვლოდ ვიყო. გზაო, მიბძანე შენ, – დამითმია გზა!.. გზა მშვიდობისა!.. ლხინი შენ და ჭირი მე.

ვთქვი ეს თუ არა, ჩამოვეცალე. იმან ფეხი წინ არ წადგა და ერთხელ კიდევ თვალი გადმომავლო. წყრომა აღარ სჩანდა იმის ტბა-თვალში. სიხარულის სიომ გადამირბინა გულზედ. ბედმან ჩემკენ მოიხედა. კიდევ გული მომეცა და გახალისებულმა ვუთხარი:

– ქალო! რად მიკარგავ გზა და კვალსა? რისა გეშინიან, რომ ვერხვივითა თრთი? ცა რისხვით თავზედ დამექცეს, ფეხ-ქვეშ დედამიწა გამერღვეს, თუ გაბრიელმა შენზედ ავი ფიქრი გულს გაიტაროს!..

– დამეხსენ!.. – მითხრა იმან იმგვარად, რომ, ვისაც მართლადა დახსნა უნდა ისე, იმ-რიგად არ იტყოდა.

– არ დაგეხსნები, მინამ ჩემის გულის წადილს არ შეიტყობ. ნუ ფრთხი უგუნურ ტრედივითა. შენი სიყვარული გულს ჩამივარდა: მე ქმარი და შენ ცოლი, ჩემო მარგალიტო! ოღონდ ჩემი გულის პასუხი კი მითხარ და ჩემი ობოლი თავი მოკვდეს, თუ რომ გაბრიელმა შენ რამ გაწყენინოს.

იმან პასუხი არ მამცა. მეც აღარ მოვეშვი.

– თავი მამიკვდეს, თამრო, – დავიწყე მე ხელახლად, – თავი მამიკვდეს, თუ შენის მეტი ცოლი მე მოვინდომო. ხმა ამოიღე, შენი კვნესამე, შენი!.. ერთი ობოლი ბიჭი ვარ, რასაც მხედავ – ესა ვარ. ნუ დამაწყევლინებ ჩემის გაჩენის დღესა, ნუ დამღუპავ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი!.. მე ქმარი და შენ ცოლი... მითხარი რამე, შენი ჭირიმე, თორემ ლამის ლოდინში სული შენთა ფეხთა-ქვეშ გამიფრთხეს.

ხმა არ გამცა.

– თამრო! შემომხედე, ამ ერთმა ლოდინის წუთმა რა-რიგად დამადნო. გამაგონე შენი სირინოზის ხმა, სულგანაბული, გულკვდომითა გიგდებ ყურს და ველი პასუხს. მითხარ!.. მითხარ, გინდივარ თუ არა და შენს გამჩენს დაავალე! თუ არ გინდივარ, თქმა ნუ გიჭირს!.. ნუ გებრალები!.. ერთი ობოლი ბიჭი ვარ, მაგრამ შენის პირისაგან თქმულს ღვთის რისხვასაც ავიტან, არამც თუ უბედო ბედის წყრომასა. ნუ დამადნე ლოდინითა, ხმა გამე, ხმა!..

ეს რომ ვუთხარი, ხელი მკლავში ჩავავლე. ხელი რომ იმის ტანს მოხვდა, ერთმა რაღაც ელვამ ტვინიდამ გულამდე უცბად გამირბინა, ჟრჟოლამ ძარღვებში დამიარა. ის შეტოკდა, მაგრამ არ ინდომა თავის მკლავისა ჩემი ხელიდამ გამოცლა. არამც თუ მიწყინა, გამიღიმილა კიდეც. იმისი მარგალიტი კბილები, ლარივით გამწკრივებული ორ ლალ ტუჩებ-შუა, ცის-სარტყელად მეჩვენა. გული სიხარულით ამევსო. ვაი, რა დღე იყო და რა-რიგად დამიღამა წუთის-სოფელმა!..

– გამიშვი, ადამიანო! – მითხრა ღიმილითა, – ცუდად ნუ გადამკიდებიხარ, ქვეყანა დადის, სირცხვილია.

– სირცხვილი იმას, ვინც საძრახისი ინდომოს. არ გაგიშვებ. რომ გაგიშო, ჩემი სულიც თან უნდა გაგაყოლო. რასაც მე გემუდარები, იმის პასუხი მითხარ და ინაცვალე ჩემი თავი კიდეც!..

– რა გითხრა, ადამიანო?

– ან ჰო და ან არა და მომკალ კიდეც!..

– შენს სიკვდილს კიდევ ჰოს თქმა მირჩევნია, შე უბრალოდ იმედ-გადაწყვეტილო! – წამოიძახა იმან უეცრად და მკვდარი გამაცოცხლა. სთქვა იმან ეს თუ არა, გამისხლტა ხელიდამ და როგორც ნიავი თვალიდამ წამივიდა. გამიფრინდა ჩემი ნოეს ტრედი, მწვანე შტო კი ხელთ დამიგდო; გამიფრინდა და თვალი ჩემი მიეკერა იმ ორღობეს, რომელსაც ის ბოლოს შეუბრუნდა და მიეფარა.

ღმერთმა უშველოს!.. ადამიანს ხანგრძლივ რომ შეხვდეს ამ წუთის-სოფელში იმისთანა დრო, ეს წუთის-სოფელი სამოთხე იქნებოდა. მაგრამ წუთის-სოფელი იმიტომა ჰრქმევია, რომ ყველაფერი წუთობითა სცოდნია, უბედურობის მეტი. ის-ის იყო, ჩემს ბედს იმის ოდენი სიხარული ვეღარსად დავსტყუე. წავიდა იგიცა, ვითა სიზმარი ღამისა, წავიდა და იმის ნაცვლად, რასაცა მხედავთ, ის მომეცა... იმ სიხარულის ხატი ეხლა შიგ გულში უქმადღა მიკიდია. დამაწაფა სოფელმა უკვდავების წყაროსა და ბოლოს შხამად ამომადინა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი:

„მიმნდომნი საწუთროსანი
მისთა ნივთთაგან რჩებიან,
იშვებენ, მაგრამ უმუხთლოდ
ბოლოს არ მოურჩებიან“.

ეჰ, მოგაწყინე თავი ამდენის ჩივილითა, შენი ჭირიმე, მაგრამ რა ვქნა? ჭირთა თქმა – ლხინიაო.

VIII

ერთხელ კვირა-დღე იყო, დათიკო წირვაზედ წავიდა და იქიდამ ვიღასაც სადილად მიეწვია. მეც ავიღე თავი, პეპიას ბაღჩას ავუარე. გადავიხედე, კაკლის ჩრდილ-ქვეშ თამრო დავინახე, მწვანე ბალახზედ წამოწოლილი. ვიშვირე ფეხი და გადავხტი ღობეზედ. ის ცოტად შეკრთა და, რომ დამინახა მე ვარ, დაშოშმანდა. მე და ის დიდი ხანია ეგრე ჩუმად ვინახულებდით ხოლმე ერთმანეთსა, მაგრამ, ღმერთია მოწამე, კოცნასაც ვერ ვუბედავდი.

– შენა ხარ? – მკითხა იმან, როცა მიველ და წამოვუწექ წინა.

– მე ვარ, შენი კვნესამე! რადა ხარ ეგრე მოწყენილი, ჩემო სიკეთევ? – ვკითხე მე, რადგანაც ნაღვლიანობა შევატყე.

– დღეს ავი დღე გამითენდა.

– რადა? ავი იმას, ვინც ავი შენთვის მოინდომოს. რადა ნაღვლობ?

– არის მიზეზი.

– მაინც?

– დღეს მამა-ჩემი ავ-გუნებაზედ მოვიდა საყდრიდგან და იმიტომ.

– შენ დღეს საყდარში იყავ?..

წამოვვარდი ფეხზედ და ისე აჩქარებით ვკითხე, რომ თამრო გაოცდა.

– ვიყავ, – მითხრა იმან, – რაზედ აჰფეთქდი?

– ბატონი იქ იყო?

– იქ იყო. დერეფანში იდგა, როცა მე წინ გამოვუარე.

– შენ წინ გამოუარე?!

გავაგრძელე სიტყვა და დავაკრაჭუნე კბილები. როგორც ტყვიანაკრავი, ისე გაფითრებული მკვდარსავით იმის წინ გავშეშდი. დიდხანს, დიდხანს ხმაამოუღებლივ ჩავყურებდი იმის ორმოსავით ჩაღრმავებულ შავ თვალებსა. ისიც გაკვირვებული შემომცქეროდა. ხმა აღარ გამიცია. გამწყრალსავით გულნატკენი ისევ იმ ღობეზედ გადმოვხტი და წამოვედი შინ, რომ შემეტყო რამე...

მაშინვე მივუხვდი პეპიას ნაღველსა. იმ კვირა-დღეს დათიკოს დაენახა საყდარში თამრო და პეპიასათვის ეკითხნა:

– ეგ გოგო ვისია?

პეპიას ფერი შესცვლია თურმე და თრთოლით უპასუხნია: ჩემი გახლავთო.

– კაი საპროშტავი ყოფილა!.. – ეთქო იმ დაუნდობელს ადამიანის-შვილსა.

მომკვდარიყო საწყალი პეპია, რომ გაიგო, რომ იმისი ქალი ბატონს მოეწონა. კარგად იცოდა, რაც იყო ბატონის მოწონება და რასაც მოასწავებდა. მე რომ ეს შევიტყე, შევფიცე ღმერთსა, რომ მე მოვკვდები და იმას კი არავის წავაქელვინებ-მეთქი.

იქნება არ დამიჯეროთ, მაგრამ ჯოჯოხეთს მიეცეს ჩემი სული, თუ იმ კვირა-ღამეს ჩემი მღვდელი სიზმარში არ მომჩვენებოდა. ის დაღონებული იდგა ჩემ-წინა და რასაც დავეკითხებოდი, პასუხად სულ ამას მეტყოდა ხოლმე:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის
თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული – გზად და ხიდად“.

ბოლოს, მე მითამ მუხლებზედ მოვეხვიე, ცრემლით და ტირილით შევჩივლე ჩემი ამბავი და ვუთხარი: მიბძანე, საით რას გავხდე? იმან არა მითხრა-რა და წავიდა. რომ გადიოდა გარეთ, შემომხედა მე და მაშინ კი მითხრა: – რასაცა გასცემ შენია, რაც არა – დაკარგულია.

დამიჯერებთ ამას, თუ არა – თქვენ იცით. მინდა კი, რომ დამიჯეროთ, იმიტომ რომ მართალია. აღსარებასავით ამ ამბავს გიამბობთ და ტყუილს არ ვიტყვი.

მეორე დღე რომ ჩემთვის არ გათენებულიყო, ისა სჯობდა. ისეთი გულმოწყვეტილი და აღრინებული ვიყავ, რომ არ ვიცოდი, რა მექნა. მე არავის არ შევატყობინე, რაც ვიცოდი. მე ჩემს ბედს გავუჩუმდი, მაგრამ ორივე თვალი კი გავაფაციცე. თვალ-ყური ვადევნო, – ვთქვი ჩემს გულში ბოლოს, – იქნება ისე არა სწვიმდეს, როგორცა ჰქუხს-მეთქი. ხანდისხან ერთი საშინელი ტკივილი გულის-ფიცრის ტეხას დამიწყებდა ხოლმე. ვაი თუ თამრომ... მაგრამ არა, მალე გადავიგდებდი ხოლმე გულიდამ ამ ფიქრსა.

ამ ყოფაში ვიყავ და ჯერ არსაიდამ ავი არა ისმოდა-რა. ერთხელ მე ბიჭებში ვიყავ და ბატონის ხმა მოგვესმა, გიტოს ეძახოდა. ღამე იყო, ძილის-პირი მოახლოვებული იყო. გიტო გახლდათ დათიკოს უნამუსობის ავან-ჩავანი. გიტო რომ წავიდა, მეც იმის გაუგებრად თან ავედევნე, ჩუმ-ჩუმად შევიპარე ერთს ბნელს ოთახში, რომლის კარიც დათიკოს ოთახში გადიოდა. დათიკოს ოთახში სანთელი ენთო. მე კარებთან სულგანაბული ავიტუზე და ყური, როგორც ლურსმითა, კარებზედ მივაკარ. გიტოს ზურგი ჩემკენა ჰქონდა შემოქცეული და ისე იდგა, დათიკო კი წინა და უკან დადიოდა ოთახში. ბოლოს დათიკო გაუსწორდა გიტოს, შედგა და ჰკითხა:

– პეპიას სახლი იცი?

– თუ მიბძანებ, გიახლები, – უპასუხა გიტომ.

– გინახავს იმის გოგო?

– როგორ არა, შენი ჭირიმე! აბა გოგო ის არის, აი! იმისი ბადალი დუნიაზედ არ იქნება.

– მაშ თუ აგრეა, შენ იცი და შენმა ბიჭობამ.

– ჩემი კისერი გახლდეთ. მერე გასათხოვარიც არის!..

– თუ კაი ჩოხა გინდა, თუ არა და კატასავით სარზედ ჩამოგარჩობ.

– ბატონი ბძანდები, ადვილია. მარტო ეს არის ძნელი, რომ იმ გოგოს საყვარელი ჰყავს და ცოლ-ქმრობაც ნათქვამი აქვს. მაგრამ, რაც უნდა იყოს, დედაკაცია: ერთი ჩაქსულა კაბა და იმისი ჯანი.

– ნამუსწართმეული ხომ არ არის ჯერ?

– უცოდველია, როგორც გვრიტი.

– ვინ არის იმის საყვარელი?

– ჩვენი გაბრო.

– გაბრო?!. – გააგრძელა დათიკომ სიტყვა და ჩაჩუმდა.

მე სმენად გადავიქეც, ვსთქვი, რომ ან აი ეხლა, ან ცოტა ხნის შემდეგ დათიკო

იტყვის, თავი დამინებებიაო, გიტო ნუღარ გაირჯებიო. მაგრამ მიმტყუვნა იმედმა და დათიკოს კაი კაცობამ იმოდენა სიკეთე ვერ შესძლო. მოუბრუნდა გიტოს და გულ-დადინჯებულად, თითქო კაი საქმეს შვრებაო, უთხრა:

– მეწყინა, ეგ რომ მითხარი, მაგრამ არა უშავს-რა. შენ, რაც გითხარ, ისა ჰქენი, მე და გაბრო მოვრიგდებით.

რა წამსაც ეს გავიგონე, გაბოროტებული გამოვტრიალდი და მოვშორდი იმ ცოდვის-შვილებსა. რა ილაპარაკეს მას უკან, არ ვიცი. ეს კი ვიცი, რომ მე და დათიკოს შუა ხიდი მაშინ ჩატყდა და მეც გულში ერთი ძარღვი ჩამწყდა. მოვრიგდებითო!.. ვაი შენს გაბრიელსა, რა ცუდად უცვნიხარ!..

საქმის დაგვიანება აღარ ევარგებოდა, უნდა მეხერხნა რამე, რომ საწყალი გოგო მახეში არ გაბმულიყო. მაშინვე გავიზრახე, რომ პეპიასთან წავიდე და ყველაფერი შევატყობინო. გლეხის ვახშმობა დიაღ გადასულიყო, როცა მე პეპიას სახლთან მივედი. კაშკაში მთვარე იდგა და ასეთი მთვარის შუქი იყო მოფენილი ამ ცოდვილს ქვეყანაზედ, რომ თითქოს ეს ქვეყანა სიწმინდით არი განათებულიო. მე პეპიას შევასწარ თვალი სახლის დერეფანში. ის საწყალი დაჩოქილიყო და ჰლოცულობდა. მე ფეხაკრეფით მივეპარე და აქეთ ბოძს ავეტუზე. კარგა ხანს ბუტბუტებდა და გულში ხელს იცემდა ის უბედური მამა, ბოლოს, თითქო თავი დაივიწყაო, გულამომჯდარმა მაღლა ხმით შეჰბღავლა უფალსა: – შენთვის მომიბარებია ჩემი უცოდველი თამრო!.. ნუ გაუმრუდებ გზას!.. ღმერთო, მფარველო მართლისაო, ნუ დამანახვებ ჩემის შვილის მიწასთან გასწორებას!..

ადგა ის საცოდავი ადამიანის-შვილი, ხელი თვალებზედ მოისო, თითქო ცრემლს იწმენდსო, ერთი კიდევ ჩაიკრა გულში ხელი და გაემართა სახლში შესასვლელად. მაშინ მივაძახე:

– პეპიას გაუმარჯოს!

– ვინა ხარ? თუ ავი სული არა ხარ, ამ დროს აქ რა ხელი გაქვს? – გამიწყრა პეპია.

– ავსულობას ნუ მწამობ. მე შენთან მოსალაპარაკებელი მაქვს, – ვუთხარი მე პირდაპირ.

– ვინა ხარ? ვინ?

– შენი კეთილის-მყოფი, გაბრიელი ვარ.

პეპიას ელდა ეცა: ალბად ბატონისაგან მოგზავნილი ვეგონე გოგოს თაობაზედა; ამიტომაც მწყრალად და გაჯავრებით მითხრა:

– მე შენთან საქმე არა მაქვს-რა. თუ შენ კაი კაცი იყო, მზეს არ დაემალებოდი. ამ დროს ძაღლსაც კი სძინავს!..

მითხრა ეს და გაიწია შინ შესასვლელად. მე ხელი მოვკიდე და შევაყენე.

– არ გეყურება, შე უბედურის დღისავ, რომ მძიმე საქმე მაქვს-მეთქი!.. – ვუთხარი მე.

– შენის ბატონის პატრონს რა საქმე უნდა გქონდეს, თუ არ სულის წასაწყმედი. რა გინდათ, შვილო, ჩემგან? როგორ არ გებრალებით ბებერი, უღონო, უპატრონო კაცი? თქვენში ღმერთი არ არის?..

– ღმერთიც არის და ღვთისაგან ჩაგონებული სიკეთეცა.

– კარგი, კარგი! – გამაწყვეტინა სიტყვა, – კარგი! ვიცი, რა მადლიც ტრიალებს თქვენ გულში, ვიცი!..

– ეს გული დამიწდეს, თუ შენი ღალატი შიგ იდოს, – მოვუჭერ მე სიტყვა თამამად

და გაბედვით.

– თუ ღმერთი გწამს, მე მამშორდი, ბევრი გველი მინახავს – ჯერ გულში ჩასძვრენოდეს და მერე კი დაეშხამოს. შენის გამჩენის გულისათვის, მამშორდი, ნუ შემამთხვევ ცოდვას. აი, ხომ ჰხედავ, უილაჯო ვარ. ჩემი პირდაპირ მორევნა დიაღ ადვილია, მაგრამ მოტყუება კი ძნელია. დაანებე თავი მაგ გატკბობილის ენით ჩემს ცდუნებასა, ჩემს საცოდაობაში მევე ნუ შემარევინებ ხელს. მე რაღა ცდუნება მინდა? თქვენ რაღა ოსტატობა გინდათ? მე რა შემიძლიან თქვენთან, ქვეყანა თქვენკენ არის. პირდაპირ მოდით და მოწამლული ისარი მკარით გულში. რაღა ეშმაკობა გინდათ? რაც გინდათ ისა ჰქენით. მე ღმერთს მივანდე ჩემი გულის წყურვილი, იმას გაეცით პასუხი!..

საბრალოს გული ამოუჯდა და ტირილი დაიწყო. მეც მეტკინა გული: იმის საცოდაობამ დამწვა.

– იმედ-დაკარგულო, უბედურო კაცო! – ვუთხარი მე გულთბილად და გულნატკენად, – ღმერთი ხომ ჰხედავს, მე მოვსულვარ იმისათვის, რომ შენთვის ჩემი თავი დავდო, რად მწამობ ავკაცობასა? რად არ მენდობი? მე ხომ შენთვის ცუდი არა მიქნია-რა! ვაი შენ, ჩემო თავო! ცილს ნუ მწამობ უმიზეზოდ. მაშ შენ გაბრიელი ვერ გიცვნია? ადრე და მალე აიგავოს მტვერსავით ეს ობოლი თავი, თუ ადამიანის ღალატი ოდესმე გულში გამტარებოდეს. ვაი შენ, ჩემო თავო! რად მირცხვენ ყმაწვილ-ბიჭობას? სამაგისო რა მიქნია, რა? სულს ნუ წაიწყმედ ცილისწამებითა, ნუ!.. იმ ღვთის გულისათვის, რომელსაც შენ წეღან ეევედრებოდი, მომენდე მე და მაშინ ჰნახავ, რაც კაცი ვარ. იმ ღვთის წინ გაძლევ ფიცს, რომ მე შენი სიკეთისათვის ვარ აქ მოსული. დამიჯერებ, კარგია, არა და, – მე მაინც ჩემს თავს შენთვის არ დავზოგავ!

ჩემმა სიტყვებმა იმას გული ჩემკენ მოუბრუნეს. მერე რა-რიგად? წამავლო ხელი, მომეხვია და ჩემს მკერდზედ ზედ-დაკდომით ქვითინი დაიწყო.

– შენს ღმერთს აპატივე, შენს ღმერთს!.. – ჰბღავოდა საცოდავად პეპია, – ღმერთი ხომ მოწამეა, შენგან ავი არა გამიგია რა, მაგრამ რა ვქნა? რა ვქნა მე უბედურის დღისამ? შვილი მეღუპება, შვილი!.. ჩემი სისხლი, ჩემი ხორცი!.. ერთად-ერთი შვილი ცოცხალი მემარხება!.. გესმის ეს, ჩემო გაბრიელ! შვილს ვკარგავ, შვილო, მოდი და უნდო ნუ ვიქნები! შემინდევ! შენს ღმერთს აპატივე, თუ გაწყინა რამე ბებერმა, ჭკვადაკარგულმა, უბედურმა მამამა. რა ვქნა? ჩემი შვილია, ჩემი გულ-ღვიძლია, ჩემო გაბრიელ! ვის მივენდო, ვის, ამ ცოდვით სავსე ადამიანის-შვილებში? ძმას არ ვენდობი, ძმას, მაგ საქმეში, ღმერთო, ხომ შენ იცი. მაგრამ მაცდუნებ, თუ არ მაცდუნებ, შენ კი უნდა მოგენდო. აჰა, ჩემი საბელი ყელისა!.. შენ იცი!.. გინდა გველივით გამსრისე, გინდა დამიხსენ წაწყმედისაგან! შენ იცი და შენმა ყმაწვილკაცობის მადლიანობამა. მე არა შემიძლიან-რა, ხომ ჰხედავ! შემიბრალე და ნუ დამანახვებ ჩემის თამროს უნამუსობას!.. შენის ხელით დაეც დანა და დაგვიხსენ მამა-შვილნი ცოდვისაგან. მე ცოცხალი დამმარხე, მიწა მომაყარე და მაგას კი ნუ მიზამ, რომ ჩემი თამრო... ვაიმე, შვილო!..

აქ მეტის გულის ამოჯდომისაგან საწყალს ხმა ჩაუწყდა, სიტყვა შაეკრა და ენა დაება. ღმერთო! რამდენი ამისთანა ცრემლი იღვრება ამ შენგან გაჩენილ დედამიწის ზურგზედ, მაგრამ სიავე ადამიანისა აქამდის არ ჩაირეცხა. დიდება შენს მოთმინებასა!

მეც ამიყოლია იმისმა სევდამ და გულის-ტკივილმა. რომ არ შემრცხვენოდა, მეც ვიტირებდი. ისე წელმოწყვეტილი, ისე გამშრალი ვიდეგ იმის წინ, რომ ვერც ნუგეში ვეცი, ვერც იმედი მოვუმატე. ენა მე აღარ მიჯერებდა და გონება. ვიდეგ ისე სულელსავით იმის

წინ. მაგრამ ბოლოს კი, რომ ვნახე, რომ გული ვეღარ დაიმორჩილა და სევდამ დაიბრიყვა, – ვუთხარი:

– გული დაიმშვიდე, კაცი ხარ, რომ სხვა არა იყოს-რა. ნუ გეშინიან, ისე არა სწვიმს, როგორცა ჰქუხს. ღმერთი მოწყალეა, ყველანი კარგად ვიქნებით.

– ჰო, შენი ჭირიმე, გაბრიელ! – მიპასუხა იმან, – ეგრე, გეთაყვანე! შენს ხელში ვარ, შვილო, შენ გეთაყვანოს ჩემი თავი. მართლა-და ღმერთი მოწყალეა. ადრე და მალე რად ვითხელებ ჭკვასა და გონებას! იმისთანა რა მიქნია, რომ ღმერთმა ჩვენზედ ხელი აიღოს. აი, გეთაყვა, ცრემლს მოვიწმენდ და დავდინჯდები, ოღონდ მიშველე რამე, შენი კვნესამე, შენი!

მე კიდევ ვეღარა მოვახერხე-რა სათქმელად და გავჩუმდი. ბოლოს მაინც კიდევ იმან დაიწყო:

– იცი რა, ჩემო გაბრიელ! მე წავალ, ბატონს ფეხ-ქვეშ ჩავუვარდები, ენით ავულოკავ ფეხის ნატერფალს. გადვუკოცნი მუხლებს, – იქნება ღმერთი შემეწიოს და როგორმე თავი შევაბრალო. ისიც კაცია, ჩემის სიბრალულით და საცოდავობით მოლბება.

– შენ ბატონს კარგად ვერ იცნობ.

– მა რა ვქნა? – შემომბღავლა საცოდავად, თითქო ყველაფერზედ იმედი გადუწყდაო.

– ეგ საქმე მე დამაცალე. შენი დახმარება მარტო იმისთვის მინდა, რომ თვალ-ყური გეჭიროს, ნამეტნავად გიტოს გაუფრთხილდე. ის ძაღლი-კაცია. როგორც მორიელი, ისე შემოგეპარება და დაგსუნთქავს. დანარჩენი მე ვიცი.

– ეგრე, შენი ჭირიმე, ეგრე! ღმერთი იყოს შენი გადამხდელი.

კიდევ ერთმანეთს გავუჩუმდით. პეპიამ ჩაღუნა თავი და რაღაც ფიქრებს გადაეკიდა. მეც ჩემი დარდი მედო გულში და იმ დარდმა გამიყოლია. კარგა ხანი ვიყავით ჩაჩუმებულნი, მაგრამ ხან ის შემომხედავდა მე, ხან მე იმას შევხედავდი და არაფერს კი ერთმანეთს არ ვეუბნებოდით. ვატყობდი, რომ რიღაცის თქმა უნდოდა და თითქო ვერ ახერხებსო. მეც მინდოდა ერთის რასმის თქმა, მაგრამ ვერა ვბედავდი, ცუდად არ ჩამომართოს-მეთქი. ჩემი და თამროს ცოლ-ქმრობის პირობისა პეპიამ ჯერ არა იცოდა-რა.

– გაბრიელ! – მითხრა ბოლოს პეპიამ, – მე ერთი ქალი-ღა შემარჩინა ბედმა და იმის მეტი მე არავინ არ მივის ამ ტრიალ ქვეყანაზედ. მოდი, ის ცოლი და შენ ქმარი და მეც მამა თქვენი. ჰა, რას იტყვი შენ?

მე ჩემს ყურებს არ დავუჯერე ეს უეცარი ჩემის ნატვრის ასრულება და ჩემის დარდის მოკვეთა. იმნაირმა სიხარულმა ისე დამიჭირა გული და გონება, რომ გაშტერებით ყურება დავუწყე და მე სულელმა ვერა ვუთხარი – თუ არ გინდა, სთქვი: მე მაგით გულს არ მატკენ. ცოლ-ქმრობა ნებითია.

– არ მინდაო?! რას ამბობ, ადამიანო? ჩემი ნატვრა ეგ იყო! ვენაცვალე ჩემს იღბალს! ნატვრა თუ ასრულდეს, მაგეთი! ეჰ, დალახვრა ღმერთმა, ვერ მომიხერხებია!.. პირდაპირ გეტყვი: ცოლ-ქმრობა ერთმანეთისათვის ნათქვამიცა გვაქვს. ეხლა, რაკი შენი ნებაც არის, ჩემს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს. გიშველოს ღმერთმა შენც და ამ ქვეყანასაც, რომ ნატვრა ცარიელ ნატვრად არა რჩება ცის ქვეშა.

ჩვენი ცოლ-ქმრობის ნათქვამობა რომ შეიტყო, რაღაც ნაღველმა გადურბინა გაფითრებულ სახეზედა. ხმა არ გამცა. მე შევატყე, რომ კიდევ ავ ფიქრს გადაეკიდა ის უნდო ადამიანი და ამიტომაც ზედ დავატანე:

– ცოლ-ქმრობა კი გვითქვამს, მაგრამ არც შენთან და არც ღმერთთან პირშავად არა ვართ. ღმერთო, ხომ შენა ხარ მოწამე, ჩვენი სიყვარული წმინდა არის, როგორც ანკარა მთის წყარო. თუ მზის შუქი წყაროს აამღვრევს, მაშ ჩვენს სიყვარულსაც ჩვენი გული აუმღვრევია. ცამ რისხვით მკითხოს და დედამიწამ არ მიმიღოს, თუ ცოდვა რამე ჩვენს გულში ჩასახულიყოს. ნუ ჰშიშობ! ღმერთთანაც და შენთანაც ორნივე პირნათლადა ვართ. ღმერთია ამის თავდები, ღმერთი!

დაიჯერა ჩემი ალალი სიტყვა. ის ალალი ადამიანი, როგორც მალე ავს დაიჯერებდა, ისე მალე კარგსაც მიენდობოდა.

– მამკალ, აქვე ჩამაქვავე, ჩემო გაბრიელ! – მითხრა იმან ნანვითა, – აქავ მიწასთან გამასწორე! ცუდი გული მაქვს – ეს ოხერი. უნდო ვარ, უნდო! მერე საწყალი ჩემი გოგოც ძალიან მიყვარს!.. მამკალ, გამაქერ! ცუდის გულის პატრონი ვარ მე ცოდვილი, ცუდის! შენ შვილი და მე მამა, მე სულელს სხვა რაღა მინდა!

ისე თქვენ გაიხარეთ, როგორც გახარებული მე იმ ღამეს შინ წამოველ. რაღა მინდოდა? ერთი ნატვრა მქონდა, ისიც ასე უცბად ამისრულდა. შინ რომ მოვდიოდი, მე მეგონა ის კაშკაში მთვარე, ის მბრწყინავი ვარსკვლავები ჩემს ბედს შეჰნატრიან-მეთქი. როგორც ცაზედ, ისე ჩემს გულში ერთი ღრუბელი აღარ იყო. კეთილი ღამე იყო ის დალოცვილი ღამე! რა უნდოდა ავკაცობას ჩემგან? რაზედ ჩამითრია და დამღუპა სასიკეთოდ გამზადებული? ვინ იცის? იქნება ეხლა მე ვყოფილიყავ რიგიანი მუშა-კაცი, ცოლშვილი გარს შემორტყმული მყოლოდა! რომ მოვმკვდარიყავ კიდეც, დამტირებელი მეყოლებოდა, მიწას მაინც თავისიანი მომაყრიდა, ცრემლს მაინც ჩემნი დამადენდნენ და ეგრე ძაღლისა და ნადირის შესაჭმელი არ გავხდებოდი!.. შერჩეს ავკაცს ჩემი დაღუპვა... მე ხომ ამ ქვეყნისა აღარა ვარ, ერთი ფეხი საფლავში მიდგას, დღესა თუ ხვალე ჩემი სულთამხუთავი მოვა და სულს გამაფრთხობინებს, მაგრამ გულზედ სისხლი გადამესხმის ხოლმე, როცა ამას ვიგონებ.

ის დალოცვილი მღვდელი ხშირად მარიგებდა ხოლმე, რომ მტერსაც პატივება უნდაო. მეც ვამბობ, მაგრამ მაგას მარტო ენა ამბობს და გულში კი სხვა ბალღამი ტრიალებს. ღმერთო, შეგცოდე, მაგრამ შენგან გაჩენილს ადამიანსა მარტო შენი სახე თუ მისცემია, თორემ გული კი არა. სულ ტყუილია! მაინც ადამიანს მტერი არ შეჰყვარებია...

IX

იმ ბედნიერს ღამეს ჩემს თვალს ძილი არ მიჰკარებია: ლხინსაც ჭირსავით ძილის გაფრთხობა სცოდნია.

ირიჟრაჟა თუ არა, მეც ფეხზედ ვიდეგ. წუხანდელი ღამის მადლი ისევ გულში ტრიალებდა. შევხაროდი იმ რიჟრაჟ დილას, იმ ლურჯ ცასა, იმ ნამით პირდაბანილს დედამიწასა და მე მეგონა, რომ ცაც და ქვეყანაც მე შემომხარიან. ქვეყანაზედ მე, თამრო და პეპია რომ მაშინ მარტო ვყოფილიყავით, სამოთხე სანატრელი აღარ იქნებოდა. მაგრამ ჩვენ გარდა კიდევ ბევრნი იყვნენ და იმ ბევრში ჩვენი ბატონი დათიკოცა, რომელმაც გიტოს უთხრა: მე და გაბრიელ მოვრიგდებითო. მომაგონდა ეს სიტყვები და სამოთხე ჩემი თვალის დახამხამების უმალ ჯოჯოხეთად გადამექცა: ჟრუანტელმა დამირბინა ტანში და ყოველს სახსარში ტკივილით გამიარა, კბილებმა კრაჭუნი დამიწყეს, მუშტები

თავისთავად დამეკუმშნენ, თითქო ჩემი გზის ამრევი ხელში უნდა გამეწურაო. იმ წამს დათიკო რომ დამენახა, მგონია, ძმა რომ ყოფილიყო, ძმა, – იმის დანახვა და იმის სულის გაფრთხობა ერთი იქნებოდა ჩემთვის. ავკაცობაში ნუ ჩამომართმევ: უცბად გამწარებული გული დაუნდობარია.

ბრაზმორეული გამოვედ ეზოს გარეთ და მეც თითონ არ ვიცი, რა გზით და როგორ მივადეგ უეცრად პეპიას ბაღჩის ღობეს. რომ დავინახე ჩემი თამროს ბუდის ღობე, თითქო გამოვფხიზლდი, გამომეღვიძა. გადავიხედე ღობის იქით, – ჩემი თამრო მოსჯდომოდა გეჯას და ბაღჩის წყლის პირას სარეცხსა ჰრეცხდა. ვაი, რა ლამაზი იყო იმ მშვენიერს დილას ის მშვენიერი ქალი! არ ვიცი, დილა იმას ამშვენებდა, თუ ის დილასა.

იმის შორი-ახლო თოხის ტარზედ დაბჯენილი იდგა პეპია და თამროს ელაპარაკებოდა. მე სმენად გადავიქეც.

– ეი, შენ, ეი! პატარა ეშმაკო! – ეუბნებოდა პეპია თამროს და თითს უქნევდა, – ეგ რეები ჩაგიდენია, ჰა? მე ვიცი შენი!

– რას ამბობ, ადამიანო, ნეტავი ვიცოდე? – უპასუხა თამრომ და შეაჭყიტა თავის მაყვალი თვალები, — რა ჩამიდენია?

– ჰმ, რა ჩაგიდენია!.. მითამ არ ვიცი, მითამ არც შენ იცი, თავი მოიკატუნე. მე ჩიტმა ამბავი მომიტანა.

– რას ამბობ, ადამიანო, რას?

– აი, შე მასხარავ, შენა! შეგრჩეს, რომ მამასაც უმალავდი, შეგრჩეს!

– მამას მზემ და თავი არ მამიკვდეს, მე შენი ლაპარაკი არ მესმოდეს.

– დამაცალე, შე ცუღლუტო, დამაცალე! – ეუბნებოდა პეპია და სახე კი უცინოდა, – ასეთს კაცს მიგათხოვო, რომ სულ შენი დღენი გაწყევლინო, დამაცა!

– ცხადივ ამბობ, ადამიანო, თუ სიზმრივ? რაებს ამბობ?

– სიზმარს გეუბნები. როცა ერთ რეგვენს ქმარს მიგათხოვებ, მაშინ ეს სიზმარი აგიცხადდება. დამაცა!..

– ახა, ღმერთო ჩემო, რას გადამკიდებია.

ეს რომ სთქვა თამრომ, გაჯავრდა და ისე ღონივრად დაუწყო სარცეხს სრესა, თითქო ჯავრი ამაზედ უნდა ამოიყაროსო.

– მაშინ სხვა-რიგად დაუშტვენ, – უთხრა პეპიამ.

– დავუშტვენ რა, ბულბული ვარ? – ტუჩებ-აბრეცით ბუტბუტებდა ლამაზი გოგო.

– აი, ალილო და ხვალაო, – მაინც არ იშლიდა თავისას პეპია,– მე კი მიყივლია და...

– რა გიყივლია? – სთქვა და დააცქერდა შვილი მამასა.

– რომ რეგვენ ქმარს მიგცემ.

– კიდევ!.. უწინამც დღე გაჰქრობია.

– რაო? არ მოგდის გუნებაში?

– მამი, ღვთის გულისათვის დამეხსენ. რა ცუდ გუნებაზედ ამდგარხარ!

– არ დაგეხსნები, შე ცუღლუტო, შენა!

– გუნებას ნუ მირევ, დამეხსენ-მეთქი.

– მე შენთვის ქმარი მიშოვნია.

– თუ გავთხოვდე, მაშინ.

– მაშ არა სთხოვდები?

– არა.

– რატომ?

– მიტომ?

– მაინც?!

– იმიტომ.

– არავის შეირთავ, არავის?!

– ორ ხელმწიფის შვილიც რომ იყოს, არ შევირთავ. ეხლა? არ დამეხსნები?

– მაშ შენ, როგორც გატყობ, არც გაბრიელს შეირთავ.

უთხრა ცდითა პეპიამ და ღიმილით დააცქერდა შვილსა. მე თამროს შევხედე. იმას შერცხვა, ალმური აუვიდა ლოყებზედ, თავი ჩაღუნა, ვერაფერი ვერა უთხრა-რა მამას პასუხად. მიუბრუნდა ისევ სარეცხს და უგულოდ სრესა დაუწყო, თითქო გარეცხა კი არ უნდა სირცხვილის გაქარწყლება უნდაო.

– არ შეირთავ? – დაიწყო ისევ პეპიამ, – ბატონი ხარ, მე ძალას არ დაგატან.

თამრომ ერთი შემოჰხედა ქვეშ-ქვეშად მამასა და მერე ღიმით ისევ ჩაღუნა ლამაზი თავი.

– მოლოზნობა ხომ არ გინდა, დედო? – გაუხუმრა კიდევ პეპიამ, – ეგეც შენი ნება იყოს, მაგაზედაც ყაბული ვარ. ხმა ამოიღე. რატომ ჩაგივარდა ეგ შენი ტიკტიკა ენა? არ გეყურება, გელაპარაკები?

მისწვდა პეპია და თამრო წამოაყენა. ის არ გაუძალიანდა და წამოდგა.

– პირობა თუ მიგიცია ვისთვისმე!.. იქნება მახეში მოიმწყვდიე ვინმე!.. – უცინოდა პეპია.

– იი, დამეხსენ!.. რას გადამეკიდე, ადამიანო?

— სთქვი, აბა სთქვი, — ვინ გააბი მახეში.

– იჰ, ბეჩავ, რა გინდა ჩემგან? – ფხუკიანობდა თამრო.

– აბა, თუ ქალი ხარ და მეტყვი.

– ახა, ღმერთო ჩემო! არ დამეხსნები? ქა! იჰ...

გამოეცალა ხელიდამ თამრო და გაექცა მამასა.

– აქ მო, შვილო! გვეყოფა ხუმრობა,– უთხრა ეხლა კი ხუმრობა-გაშვებით პეპიამ, – თუ შენ თქმასა ჰთაკილობ, აქ მო, ჩემო იმედო, მე გეტყვი. მამისა იმას უნდა ეთაკილებოდეს, ვინც მამასთან პირშავია. შენ იმისთანა არა ხარ, ჩემო სალხენო! აქ მო, შვილო, აქ!

თამრო შედგა. პეპიამ იმისკენ გასწია. მამა მივიდა შვილთან, მკლავი კისერზედ გადაჰხვია და მეტად გულთბილად უთხრა:

– მე გაბრიელმა ყველაფერი მითხრა, ჩემო კარგო! მე ყველაფერი ვიცი. ღმერთმა ერთმანეთს შაქრის-ყინულსავით ტკბილად შეგაბეროთ. შენს მეტი ვიღა მაბადია, შვილო, შენი კვნესამე, შენი!.. თუ შენ ბედში მეყოლები, მე რაღა მომკლავს. გაბრიელი კაი ალალი ბიჭია, კაი ხელღონიერი, ჯანიანი ბიჭია. გლეხკაცს მეტიც არა უნდა-რა. ისე გაგიფრთხილდება, როგორც თავის ორ თვალსა, ჩემო იმედო ქვეყნისავ! კაი პატრონი მოგცა ღმერთმა, მადლი უფალსა! მე ეხლა თუნდა შენს კალთაში სულიც დავლიო, მაგდონს არას ვინაღვლი. რის დარდიღა უნდა მქონდეს? თუ ღმერთი შენს შვილიერებასაც შემასწრებს, ხომ ძაღლიც არ დაჰყეფს ჩემს ბედსა, – თუ არა და ეგეც ნება ღვთისა იყოს, ვენაცვალე იმის მადლს! გაბრიელი, მართალია, ღარიბი ბიჭია, მაგრამ გლეხკაცი ღარიბობით არ დაიწუნება. ქვეყანა ღონიერია, მარტო ერთი მკლავის გაქნევა უნდა. თავს

ყველა დაირჩენს. თუნდ ეგეც არ იყოს, ღვთის წყალობა ბევრი მაქვს. მე რა ოხრად მინდა? პური, ღვინო, მამული – სულ თქვენია. ღმერთმა, ობლების პატრონმა, ყველაფერი მშვიდობაში მოგახმაროთ, შვილო! მეც, მინამ ცოცხალი ვარ, ვიცოდვილებ თქვენს სადღეგრძელოდ და როცა მოვკვდები, თქვენ იცით, შვილო, და თქვენმა კაი ადამიანობამ, მკვდარს როგორც მომივლით...

მე ამის გამგონმა იქ ვეღარ ვიდგომილე. იმისთანა ტკბილის მამა-შვილობის მაყურებელსა გული ლხენით ამიტირდა, ცრემლი თვალში მომერია. ვაი, რა კარგია ხოლმე ხანდისხან ეს უხეირო წუთის-სოფელი! ავ-კარგიანი ყოფილა, შენი ჭირიმე, ეს ქვეყანაცა. იმ მამისა და შვილის ლაპარაკმა გულის სიმწარე ჩემი გამინიავა, სიკეთის იმედი კიდევ ჩამესახა გულში და კაი გუნებად შევიქენ. მტრობამ გულში ვეღარ იდგომილა.

ვთქვი ჩემს გულში: – მე იმათ დავუშლი, რომ გამოვუჩნდე-მეთქი, ავდეგ და შინ წამოვედი. რით გათავდა იმათი ლაპარაკი, – არ ვიცი. ეს კი ვიცი, რომ იმ წამს ისინი ბედნიერნი იყვნენ.

გადიოდნენ დღენი და ღამენი. მე თვალგაფაციცებით გულისყურს ვადევნებდი დათიკოსა და გიტოს. მე ვატყობდი, რომ რამოდენიც მეტი ხანი გავიდა, იმოდენად დათიკომ ჩემზედ გული შეიცვალა. ორ მტერსავით ერთმანეთს ველოდით, — აბა წინ ვინ დაიწყებს ომსაო. მაგრამ მინამ საქმე ომამდინ მიდგებოდა, მე მინდოდა დათიკოსთან მომელაპარაკნა პეპიას ქალის თაობაზედა და ვცდილიყავ როგორმე დამეყოლიებინა ისე, რომ ხელი აეღო თამროზედ და ჩვენში ისევ სიყვარული ჩამოვარდნილიყო. იმის ავკარგიანობის იმედი მქონდა, მაგრამ იმედმა მიმტყუნა.

რაღა გაგიგრძელო სიტყვა: გიტო ვერაფერს გახდა, სალაპარაკოდაც არ შევახვედრეთ მე და პეპიამ თამრო. ამან უფრო გააფთრა დათიკოს ჟინიანი და მურტალი წადილი. აშკარაა, ამის მიზეზი მე ვეგონებოდი, ამიტომაც მე დათიკომ ხაფანგი დამიგო და ქვეშ მომიმწყვდია. როგორ მეგონებოდა, რომ იმისთანა ვაჟკაცი ეგრე მხდლად მომექცევოდა.

ერთხელ, დილით, დათიკოს დავეძახნე და მე შინ არ ვიყავ. როცა მოვედი, კიდევ დამიძახა და შემიყვანა თავის ოთახში.

– სად ბძანდებოდი, ჩემო შერმადინ? – მითხრა დაცინვით დათიკომ.

– არსად, ისე დავეხეტებოდი.

– ასე ადრე?

– რაც შენთვის ადრეა, ის ჩვენთვის ადრე არ არის.

– ეგ გადაკვრით ლაპარაკი რად იცი შენ?

– ეგრე გავუჩენივარ ღმერთს...

– ყური დამიგდე: შენ რაღაც ნაღველი გაქვს და მე მიმალავ.

– იქნება.

– არა, თუ ღმერთი გწამს.

– მართალს მოგახსენებ.

– მოდი, მითხარ, — რა ნაღველი გაქვს.

– თქმა ადვილია, ბატონი ხარ, გეტყოდი, მაგრამ შენთვის რა ხელსაყრელია?

– ეგ მე ვიცი.

– მე რატომ აღარ უნდა ვიცოდე?

– შენც შეიტყობ.

მე ძალიან გამიხარდა, რომ ჩემი საქმე ასე მოეწყო და ამიტომაც პასუხად პირდაპირ ვუთხარი:

– თუ აგრეა, მოგახსენებ: მე პეპიას გოგო მიყვარს და ჯვარი უნდა დავიწერო.

– მერე რა გიშლის?

– პეპია ცოლზედ მგლოვიარედ არის, სულ ექვსი თვე არ არის, რაც ცოლი დამარხა და ჯერ-ხანობით ეს მიშლის.

– სულელი ჰყოფილხარ.

– რადა?

– რომ ჯვარს იწერ.

– მაშ?

– მაშ ისა, რომ ქალი ჟინის საკლავად არის კარგი და არა ზურგზედ ასაკიდად. მაგრამ მე არ გიშლი, დაიწერე ჯვარი. მზითევი და შენი დაბინავება ჩემი კისერი იყოს.

– შენ რა შუაში ხარ, რომ მზითევს მპირდები? – ვკითხე თამამად.

შევატყე, რომ ჩვენი საქმის კვანძი აქ იხსნებოდა.

– ქალი ჩემია, – მითხრა იმან უსირცხვილოდ, – და მზითევსაც იმიტომ გპირდები, რომ ჯერ ჩემი იქნება.

– ეგ რა სთქვი? – წავძახე მე კანკალით.

– ისა ვთქვი, რაც შენ გაიგონე, – მითხრა იმან დინჯად.

– დათიკო! მე გლეხკაცი ვარ და შენ ბატონი, – ვუთხარი მე გულმხურვალედ და ვედრებითა, – გევედრები, გზიდამ ჩამომეცალე. გულიდამ ნუ ამომარეცხინებ შენს სიყვარულს, შენს ერთგულებას და ინაცვალე ჩემი ობოლი თავი. დათიკო! თუ ღმერთი გიყვარს და შენი გამჩენი გწამს, თავიდამ მოიშორე იმ გოგოზედ ფიქრი. ნუ ამაყრევინებ შენზედ გულსა, შენთანა ვარ შეზრდილი. შენი ჭირიმე, დათიკო, ცოდვას დამხსენ!.. მაგისთანა ვაჟკაცი ხარ და შენი გული როგორ ვერ დაგიმორჩილებია! მადლი ჰქენ და ჟინი მოიკალ: ყველას დაგითმობ და იმ გოგოს ნამუსს კი არა. ის გოგო ჩემია.

– ჯერ ჩემია-მეთქი, – გამაწყვეტინა სიტყვა, – მერე თუნდა შენი იყოს, თუნდა სხვისა.

– დათიკო! შენი ჭირიმე, ხიფათს ნუ შემამთხვევ, ცოდვაში ნუ გამხვევ! დამითმე ის გოგო და შენს ღმერთს დაამადლე.

– როცა მე ჩემსას ავასრულებ, მერე შენთვის დამილოცნია.

– მართალს ამბობ და აღარ ჰხუმრობ? – ვკითხე და გული ყელში მამებჯინა.

– შენი ცალი ვიქნები, რომ შენ გეხუმრო.

– მაშ გაბრიელს თავზედ ქუდი არ ეხუროს, თუ შენ შენი წადილი შეისრულო.

– თუ ღმერთი გწამს, წინ არ გადამიდგე!.. – მითხრა იმან უკადრისად და დაცინვით.

– წინაც გადაგიდგები და მეტსაც გიზამ.

– მემუქრები თუ?

– ძალი შემწევდეს ქადილსა, ფრიდონისა არ იყოს.

– შენი შერცხვენილი იყოს, ვინც შენისთანას შეუშინდეს.

გულმა ბაგა-ბუგით ცემა დამიწყო, მკერდში გული აღარ მეტევოდა. დათიკოს მოკვლის სურვილმა ელვასავით გამირბინა ფიქრში, მაგრამ თავი დავიჭირე, დავძლიე ეშმაკის ცდუნება.

– დათიკო! სად მიგყევარ? ნუ გამწირავ, შემიბრალე შენი გაბრიელ!..

– წყალსაც წაუღიხარ.

– გოგოს მარტო მე უნდივარ, დათიკო! ღმერთთან ცოლ-ქმრობის პირობა მიგვიცია...

– ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და თქვენი პირობაცა.

– დათიკო! შენ შენს ბედისწერას აუტანიხარ.

– დამეკარგე აქედამ!

– დათიკო!.. არ გეცოდება იმისი დროული მამა? იმის მეტი შვილი არა ჰყავს. ნუ დაასხამ თავზედ ლაფს, ნუ დაეწყევლინები...

– აქედამ გამეცალე-მეთქი, – შემომჭყივლა.

– დათიკო! არ გებრალება ის ღვთის სული, უცოდველი გოგო? ნუ წაართმევ ნამუსს! მე მაჩუქე იმისი თავი.

– მერე შენ გაჩუქებ.

– მერე და არა ეხლა?.. ფუ, მაგ ნამუსს და მაგ კაცობასა!.. – შევძახე ესა იმედ-მოშორებულმა და გაბრაზებულმა, გავიძერ ხანჯალი, და გადავდგი ბიჯი თუ არა დათიკოსაკენ, მეორე ოთახიდამ გამოცვივდნენ სამი დამალული ბიჭი, მომცვივდნენ უკანიდამ და გამაკავეს. ხანჯალი ხელიდამ გამვარდა. თურმე ეს წინათვე განეზრახა დათიკოს, წინათვე ყველაფერი გაემზადებინა, რომ მე სამართალში მივცემოდი და ამით მე თავიდამ მოვეშორებინე. მე რა ვიცოდი? ერთი კი ძალ-გულიანად შევბღერტე ჩემი დამჭერები, იქნება ხელიდამ წავუვიდე-მეთქი, მაგრამ იმ დალოცვილის-შვილებს რკინის ჭახრაკისებ მაგრა ვეჭირე.

– ფუ, მაგისთანა ვაჟკაცობასა!.. ფუ, მაგისთანა თავადიშვილობასა!.. – შევკივლე უილაჯომა დათიკოს, – მაინც კიდევ გზას გიპოვი და შენს უნამუსობას ქათამსავით ზედ წაგაკლავ!..

დათიკომ პასუხი არ მომცა. ბიჭებს უბძანა და მე დიანბეგთან წამიყვანეს.

დიანბეგმა ყველაფერი გამომკითხა, მეც ყველაფერი ისე ვუამბე, როგორც იყო. არა დამიმალავს-რა. რომ გავათავე ჩემი ამბავი, მკითხა:

– მაშ შენ და პეპიამ შეჰკარით პირობა ერთად, რომ შენი ბატონი დღეს დილით მოგეკლათ?

მე გამაოცა ამ კითხვამ. ვიფიქრე, იმ საწყალ ადამიანის გარევაც უნდათ-მეთქი ამ საქმეში და ეგრეთ იმის ბოლოს მოღებაცა-მეთქი ფერი მეცვალა, მაგრამ რას ვუშველიდი?

– ცოდვას ნუ აიღებ, დიანბეგო, კისერზედ, – ვუთხარი მე, – პეპია ამ საქმეში ღმერთსავით ალალია და უცოდველი.

– ნუ მიჰქარავ! – გამიწყრა დიანბეგი, – მაშ იმ ღამეს რომ პეპიასთან იყავ, რას აკეთებდი?

– აბა რა ღამეს?

– აი, დერეფანში რომ ჰლაპარაკობდით.

– ღმერთი, რჯული, არც მაშინ და არც მერე, ბატონის მოკვლის ფიქრი ჩვენ გულში არ გაგვიტარებია!

– აბა, ძალიან დაგიჯერებ, აი! მაშ რისთვის იყავ, თუ არ მაგისათვის?

მე ვუამბე გულმართლად, რაც მაშინ მე და პეპიამ ვილაპარაკეთ.

– მამი-შენის ცხონებას, არ მამატყუო!.. – დამცინა იმ უსამართლო მოსამართლემ.

ჩემი ნათქვამი სულ ერთიანად დაწერა და მითხრა – ხელი მოაწერეო. მე წავიკითხე,

ქართულად ნაწერი იყო. რაც ლაპარაკი გვქონდა მე და დიანბეგს, სულ სიტყვა-სიტყვით ეწერა. მეც უშიშრად ხელი მოვაწერე. დიანბეგმა უბძანა: გამიყარეს ბორკილი და სატუსაღოში შემაგდეს.

ვეგდე მარტოდ-მარტო იმ საძაგელ სამყოფელოში. რა გითხრათ, რა ჭირი გამოვიარე იმ ერთს დღეს და იმ ერთს ღამეში!.. გულმა ღრღნა დამიწყო, სისხლი ძარღვებში გამიყინდა, ტვინი კი მეწოდა. ძნელია, შენი ჭირიმე! ბრალიანი კაცი ყველაფერს აიტანს, რაც უნდა სატანჯველი იყოს. ვაი იმას, ვინც უბრალოა!.. მაშინ... უჰ, მაშინ... ღმერთმა დაიფაროს ყოველი ქრისტიანი და ყველა ადამიანის შვილი... როგორც ცოფიანი ძაღლი, თავს შეიჭამს უბრალოდ სატანჯველს მიცემული კაცი. ვისაც არ გამოუცდია ეს დღე, იმან არ იცის – რა მწვავეა. ღმერთმა ნურავის გამოაცდევინოს.

ჩემი თავის ჯავრი ხომ მკლავდა და მკლავდა, პეპიას და იმის გოგოს ნაღველი უფრო ცეცხლს მიკიდებდა. სწორედ გითხრათ, მე ჩემი თავი ძალიანაც არ მენანებოდა: მე ერთი უთვისტომო ბიჭი ვიყავ. რაკი საქმე ასე მოხდა, თუნდა თოფითაც დავეხვრიტეთ, ბევრი არა მენაღვლებოდა-რა. რა დედ-მამა ამიტირდებოდა, რა და-ძმანი ამიგლოვდებოდნენ? ერთი კაცი ვიყავ, წავიდოდი და მტვერი მტვრად ვიქცეოდი. ქარი დამქროლავდა და იმ მტვერსაც აჰგვიდა დედამიწის ზურგიდამა. ისინი მებრალებოდნენ, ისინი! მე ვიყავ იმათი გულშემატკივარი ამ ტრიალს ქვეყანაზედ, მარტო მე!.. ვაი რომ უხეიროდ თავი წავიხდინე!.. ეგრე უხეიროდ რომ არ გავფუჭებულიყავ, მე ვიცოდი, რა კაცობასაც მე იმათ გავუწევდი, მაგრამ აღარ დამცალდა. იღბალმა აქაც წამიცდუნა და მიღალატა. ვაი, რომ ჩემს მტერს, ჩემის უხეირობით, გზა დავუცალე!..

სამს თუ ოთხს თვეს უკან მოწმეების კითხვა გაათავეს და მე დიდ სატუსაღოში გამგზავნეს ჩვენ პატარა ქალაქს, საცა ნაჩალნიკი და სასამართლო იმყოფებოდა.

ორი წელიწადიც იმ სატუსაღოში ვეგდე. ამ ორ წელიწადში სულ მარტო ვიყავ ერთს უწმინდურს პატარა და ბნელს ოთახში. რამდენი ათასი ფიქრი მამივიდა და წამივიდა, ვინ მოსთვლის? მე კარგად ვიცოდი, რომ დანაშაული არა მქონდა-რა, მაგრამ ესეც ვიცოდი, რომ, თუ ღმერთზედ და სამართალზედ ხელს აიღებდნენ, ციმბირს იქით გადამაცილებდნენ.

პირველ ხანებში რომ მამგონებია ჩემი უბრალოება და ის ტანჯვა, რომელსაც მე მიმცეს, დავცემულვარ იატაკზედ და უილაჯობით მიწა მიღრღნია, კბილით ხორცი მიგლეჯნია, თითებიდამ ჩემი სისხლი მიწოვნია. ასეთი დღე დამდგომია. დრო ყოფილა, რომ შხამს გამოვაჟენთებდი, შხამს, ჩემის დაშხამულის გულიდამ და წვეთ-წვეთად ჩავაწურებდი ჩემს დამღუპველსა, რომ იქ შემხვედროდა. მაგრამ ის სად იყო? ღმერთო, მაღალო, ნურა ქრისტიანს კაცს, ნურა ადამიანს ნუ მიაყენებ იმ დღეს, რაც მე ხანდისხან იმ სატუსაღოში დამდგომია!.. შენი ჯოჯოხეთი იმასთან სამოთხეა.

ორის წლის შემდეგ მე განაჩენი წამიკითხეს. მე ხაროს სათხრელად დავენიშნეთ და საწყალი პეპია საციმბიროდ გაეხადნათ. ღმერთო! რაღას იცდი და არ წარღვნი ამ ცოდვით სავსე ქვეყანასა!

X

შვიდმა თუ რვა თვემ კიდევ გაიარა და ბოლოს მითხრეს, რომ შენი გაგზავნის დრო

მოვიდაო. აქამდინ მე სულელი კიდევ რაღასაც ველოდი: მეგონა ღვთის სამართალი კიდევ გაიღვიძებს-მეთქი და მართალს გამამართლებენ. ამაშიაც მოვსტყუვდი.

შემხსნეს ძველი ბორკილი, გამიკეთეს ახალი, უფრო მაგარი და სატუსაღოს გალავანში გამომიყვანეს. გაზაფხულის პირი იყო.

გალავანში თხუთმეტიოდ სამგზავროდ გამზადებული სალდათი მწკრივად იდგა. გამოიყვანეს სხვა ოთახებიდამ სხვა ტუსაღებიცა. მე გარინდებული ვიყავ და ისე უგულოდ ვუყურებდი თითო-თითოდ გამომავალს ტუსაღებსა. ბოლოს ორი თათარი გამოიყვანეს და იმათ უკან მოსდევდა ბორკილის ჩხარა-ჩხურით ერთი ტანში მოკაკული, დროული გრძელ-თეთრ-წვერა ტუსაღი: თავი ჩაეღუნა და მზეს არ უყურებდა, თითქო მზეცა და ქვეყანაცა იმისთვის აღარ იყო. დავაკვირვე თვალი და, ვაი იმის მნახავს! – პეპია ვიცანი. მე აქამდის იმის იქ ყოფნა არ ვიცოდი. პეპია იყო, მაგრამ რა პეპია!.. ვეღარ იცნობდი, ისე მომკვდარიყო და გამოცვლილიყო!..

– პეპიავ, კაცო, შენა ხარ? – გაოცებით შევყვირე საცოდავსა.

იმან თავი მაღლა აიღო და შემომხედა.– შენც აქა ხარ? მოგიკვდეს თავი, საცოდავო პეპიავ! ჩემი თამრო აბა ეხლა კი ცოცხალი დამარხული იქნება!.. ვაიმე, შვილო! ყველა იმედი შენის დახსნისა ეხლა დამეღუპა, აი!..

შემოიკრა ორივე ხელი თავში, მუხლი ჩაეკეცა და ხმამაღლა ქვითინი დაიწყო. მე იმის საცოდავობამ დამწვა.

— შენ რაღად, ჩემო გაბრიელ? შენ რაღად, რაღად? — ქვითინებდა ის ტანჯული კაცი: — ვთქვათ მე იმისათვის, რომ უბედურის შვილის უბედური მამა ვარ, შენ რაღად, შე უბედურის დღისავ!

— მეც იმიტომ, ჩემო პეპიავ, — ვუპასუხე მე გულამომჯდარმა, — რომ შენი სიკეთე მოვინდომე. მაგრამ ეხლა აღარა გვიშველის-რა. ჩვენ სამნი უილაჯონი ვართ და იმისაკენ კი მთელი ქვეყანა ყოფილა. ნუ სტირი. ცრემლს ამ ქვეყანაში გასავალი არა ჰქონია, — ტყუილად ნუ ჰღვრი. ღმერთი გვიპატივებს, თუ კაცმა ვერ გვიპატივა.

— ეჰ, ჩემო გაბრიელ, არც ღმერთი ყოფილა ჩვენკენ! ვაიმე, შვილო თამრო!.. შენს ნამუსს ღმერთიც ვეღარ დამიბრუნებს. გათავდა ყველაფერი ჩემთვის! ამ ქვეყანაზედ მე აღარა დამრჩენია რა...

იქნება საწყალს პეპიას კიდევ რაღაცა ეთქვა, მაგრამ სალდათმა წამოუარა, თოფის კონდახი წამოჰკრა და წამოაყენა. მეც ჩამაჩუმეს.

უფროსმა უბძანა, სალდათები გარს შემოგვერტყნენ და ბორკილის ჩხარა-ჩხურით ექვსი ტუსაღი გამოგვამგზავრეს. საწყალი პეპია და ერთი სნეული ტუსაღი ძლივ მობობღავდნენ. გალავანს გარეთ რომ გამოვედით, პეპია და ის სნეული ტუსაღი ურემზედ დასვეს. სიავეს შეჩვეულსა, ეს რუსების სიკეთე გამიკვირდა.

შვიდს დღეზედ მყინვარის მთას დავუახლოვდით. საღამო ხანი იყო და ის სოფელი, საცა იმ ღამეს ჩვენ უნდა შეგვესვენა, ჯერ კიდევ შორს იყო. ჩამობინდდა. მეურმემ დაიძახა, ურემი გატყდაო. ყველანი შეგვაყენეს. სალდათები გარს შემოგვისხდნენ, ზოგმა ჩიბუხის კეთება დაიწყო, ზოგმა პურის ჭამა, ზოგი წამოწვა. ჩვენც ჩავსხედით. ტუსაღები ამბობდნენ, რომ ხვალ საქართველოს მიჯნას გავცილდებითო.

გული მომიკვდა, ეს რომ გავიგონე, და დავღონდი. ჩემისთანა უთვისტომო ადამიანისათვის ქვეყანა ყველგან ერთი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქართველისათვის საქართველო დიდი რამა ყოფილა. რაც უნდა იყოს, შენი ჭირიმე, ჩვენი აკვანი

საქართველოა, ჩვენი მამა-პაპის საფლავი საქართველოა, ჩვენის ენის ქვეყანა ეს არის, ჩვენი სიტყვა-პასუხის გამგონი ეს არის, ჩვენი მზე აქ არის და ჩვენი მთვარე, და თუ გული გაქვს — გულიც აქ არის, თუ სიყვარული გაქვს — სიყვარულიც აქ თუ იქნება, თორემ სხვაგან სადა? სადაური სად მივყევართ, — ვკითხავდი ჩემს თავს ტკივილითა და წუხილითა, — ეს ქვეყანა აღარ უნდა ვინახულო, აქაურმა მზემ აღარ უნდა გამათბოს, აქაურმა მთვარემ შუქი აღარ უნდა მომფინოს!.. სიტყვა-პასუხის გამგონი აღარ უნდა მყვანდეს!.. აქაურმა წყალმა წყურვილი აღარ უნდა მომიკლას!.. აქაური სალოცავი აღარ უნდა ვილოცო!.. თამროც აქ უნდა დამრჩეს უპატრონოდ!

ვწუხდი და ამ ფიქრებში ვიყავ. უეცრად ცხენების თქაფა-თქუფი შემომესმა. წამი არ დასცალებია, რომ ხუთი თუ ექვსი ცხენოსანი ზედ წამოგვაწყდა. დასჭყივლეს რუსებს, ჩვენ კი გვითხრეს: ვისაც შეგეძლოთ, თავს უშველეთო. მალე მტერი თქვენ მოგიკვდეთ, მალე ის სალდათები გაფრთხნენ, მაგრამ მერე კიდევ შემოგროვდნენ და სროლა ასტეხეს. ამ ალიაქოთში მე და პეპიამ დრო ვიხელთეთ და გზის გადაღმა თავ-თავ-ქვე დავეშვით. ის ბერიკაცი ასეთი გამორბოდა, რომ ოცის წლის ბიჭი გეგონებოდა. გამიკვირდა, მაგრამ მაშინ კი დავიჯერე, რომ გაჭირებას ბევრი რამ შესძლებია. ჩვენ უკან აგვედევნა ერთი ცხენოსანი და, რომ დაგვეწივა, მე ქლიბი მომაჩეჩა ხელში, გზა მშვიდობისაო, შემოგვძახა.

— თუ ღმერთი გწამს, ვინა ხარ? ბნელაში ვერ გარჩევ, გვითხარი შენი სახელი და დაგვალოცინე შენი თავი, — შევეხვეწე მე.

— სახელი რად გინდათ? ვინცა ვარ, ის ვიქნები, — მიპასუხა იმან, — თუ გინდათ დამლოცეთ: სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს.

გვითხრა ეს, ჰკრა ცხენს მათრახი და ბნელაში მიგვემალა.

ცოტა თუ ბევრი უგზო-უკვლოდ ვიარეთ. პეპიამ სიარული ვეღარ შესძლო. წამოვიკიდე საცოდავი ზურგზედ და, თუმცა ის ამას ჰთაკილობდა, ისე წავიყვანე. დიდხანს არ მომინდა სიარული, იქავ ერთს უდაბურს ხევში ჩავედით და იმ ღამეს იქ ვისადგურეთ. მე მაშინვე დავიწყე ბორკილების გაქლიბვა და რიჟრაჟზედ ძლივ გავათავე იმათი გატეხა... დავწექ და დავიძინე. მზე კარგად ამოსული იყო, რომ გამომეღვიძა. მაშინ მომაგონდა, რომ ჩვენ ერთი ნამცეცი პური არ გვქონდა. შენი მტერი გახდეს, როგორც მე მაშინ გავხდი. არ ვიცოდი, რა მექნა, ვისთან წავსულიყავი იმ ტუსაღის ფარაჯითა? მაშინვე დამიჭერდნენ. პეპია, მართალია, არას ამბობდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ საწყალს შიმშილი მოერია. როგორც იყო იმ დღეს და იმ ღამესაც შიმშილი მოვითმინეთ, მაგრამ შველა კი არსით იყო.

გათენდა მეორე დილაც და იმედმა არსაიდამ მოგვიტანა ნუგეში. პეპია საცოდავად გახდა, თვალები ჩაუძვრა, ლოყები ყბებშუა ჩაეკეცა და სულ მოიშალა. მეც ძალიან ვიტანჯებოდი ცალკე იმის ყურებით, ცალკე უიმედობით, რომ შველა არსაიდამ მეგულებოდა. პეპიამ ეს შემატყო და მითხრა:

— შვილო გაბრიელ! ნუ მიწყენ კი და მე სიარული აღარ შემიძლიან. მე შენთვის მეტი ბარგი ვარ: თავი დამანებე. მე ამ ქვეყნისა აღარა ვარ და არც ამ ქვეყნისათვის გამოვდგები. შენ წადი, შვილო, ტყუილად ჩემის გულისთვის ხელახლად თავს ნუ გაიფუჭებ. ისიც გეყო, რაც ჩემის გულისთვის შენ მოგივიდა.

მე ეს სიტყვა ძალიან მეწყინა.

— რას ამბობ, შე უბედურო? — ვუთხარი მე თითქმის მწყრალად, — რომ წავიდე, ვის ხელთ დაგაგდო? ღმერთს რაღა პასუხი გავცე?

— ღმერთს ჩემზედ დიდი ხანია, შვილო, ხელი აუღია. მე მაინც-და-მაინც მგლისა და ყორნის ლუკმადა ვარ გაჩენილი. მე იმათ ანაბარას დავრჩები. შენ კი ღმერთმა გზა დაგილოცოს, წადი და იცხოვრე ქვეყნად...

— მე წავიდე და ქვეყნის სირცხვილი ვჭამო!.. ვაი შენს გაბრიელს! ღმერთმა ნუ ქნას, რომ გაბრიელმა ეგ იკადროს. შენ აქედამ ფეხს ნუ მოიცვლი, მეც მალე მოვალ.

ეს ვუთხარი, დიდხანს არ ვიფიქრე და გააფთრებული წამოვედი. ერთს მთის წვერს გადავადეგ და აქეთ-იქით ზვერა დავიწყე. მთის ძირში წყალი აქაფებული მოჰხუოდა, წყლის აქეთ პირას გზატკეცილი მიიკლაკნებოდა. მე იმ გზაზედ დავინახე ერთი ცხენოსანი.

დავეშვი მთიდამ ქვემოდ და უშიშრად მივუხტი იმ ცხენოსანსა. რომ შევატყე სომეხია, ჩემის თავის იმედი უფრო მომეცა.

— ჩამოხე ცხენიდამ! — შევჭყივლე სომეხს. იმას ხუმრობა ეგონა.

— ვა, ჩამოვხტე, რა შენი ყურმოჭრილი ყმა ვარ! — მითხრა იმან, — ვერ მყურობ? კაცი თოფ-იარაღში ვზივარ.

დიდხანს აღარ დავაცალე, წავწვდი, თოფი გოთურგით ჩამოვაწყვიტე და თამამად შევუტივე:

— ჩამოხე-მეთქი, თორემ მტვერსავით გაგანიავებ!

მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მე იმას ფერი ვაცვლევინე. რომ ჰნახა, რომ აღარა ვხუმრობ, იკადრა ცხენიდამ ჩამოხტომა და შეშინებულმა მითხრა:

— ვა, ცხენისათვის როგორ გაწყენინებ! აჰა, მიირთვი თავის უნაგირით; მარტო უნაგირი ოც-და-ხუთი მანეთია, ჰა! ცხენია რომა, თავის შეკაზმულობით გეყოფა შენ საცხოვრებლად. მშვიდობაში, მე კი წავალ, ხმასაც არ გაგცემ.

— მაგით ვერ მომატყუებ, ეგ ხმალიც შემოიხსენ.

— ბატონი ხარ, — აჰა, ეს ხმალიც.

— ქამარ-ხანჯალიცა.

— არც მაგაზედ გაწყენინებ, ჯეელი ბიჭი ხარ, მოგიხდება.

— ეგ დამბაჩაც გაიძრე წელიდამ.

— ესეც შენი ფეშქაში.

— ეგ ტანისამოსიც!..

— ვა! მე რაღა ჩავიცვა?

— ბევრს ნუ ჰლაპარაკობ, — დავუყვირე შეტევით.

— მაშ დაიცა, ჯიბეში ანგარიშების წიგნები მაქვს, სულ არაფერია, უბრალო ბარათებია, შენ არ გამოგადგება. ერთი ის ბარათები ამოვიღო.

— ამაიღე, მაგრამ ერთი-ორიოდ თუმანი უნდა მამცე.

— ბატონი ხარ, თამასუქიც არ მინდა.

— მაგ ხურჯინში პური და ღვინო ხომ არა გაქვს?

— ბევრი.

— ეგეც უნდა დამითმო.

— ეგეც შენი ფეშქაში. მეტი რა ვქნა? იცი რას გეტყვი: ეხლა მე ჩემთვის წავალ და შენ შენთვის წადი.

— ბატონი ხარ.

ერთი სიტყვით ესენი ყველაფერი მამცა. ჯიბიდამ ბევრი ფული ამოიღო, მითომ მე

ვერ დავინახე და უხაროდა, რომ ის სულ არ წავართვი. მოვახტი ცხენსა და გამოვქუსლე პეპიასაკენ. ის იყო ჩემი პირველი ავკაცობა, მაგრამ ეგეც ვინ იცის? იყო თუ არა ავკაცობა? „მდიდარს ართმევ, ღარიბს აძლევ, ღმერთი როდი წაგახდენსო“,—იტყვის ხოლმე ჩვენი ხალხი.

იმ დღეს იმ ხევში დავრჩით. კარგა ლაზათიანად დავნაყრდით და თითქმის ორი დღის უჭმელები ამით მოვსულიერდით. როცა დაბინდდა, პეპია შევსვი ცხენზედ, მე წინ გამოვუძეღ და წამოვედით. მესამე დღეს მაღლანდორეთს მოვადეგით. საწყალი პეპია გზაზედ ძალიან ავად გამიხდა: აღარცა სჭამდა, აღარც სვამდა და აღარც ხმას იღებდა. შევატყე, რომ ეს კაცი ამ ქვეყნისა აღარ არის. ბოლოს იმისი აღსასრულიც მოვიდა.

ერთ მთის წვერზედ ავედით თუ არა, პეპიამ ძლივძლივობით მითხრა:

— შვილო, აქ დამაყენე. მე ცხენზედ ჯდომა აღარ შემიძლიან და არც სიარული, სულთამხუთავი თავს მადგა.

დავაყენე ცხენი, ჩამოვიყვანე ცხენიდამ პეპია, გავუშალე ქვეშ ფარაჯა, დავუდე თავით უნაგირის ბალიში და დავაწვინე. საღამო ხანი იყო, მზეც გადაიხარა. ძლივღა ჰფეთქავდა საწყალი!.. მე თავით დავუჯექ. ვიყავით ის ორნი იმ უშველებელს მთის წვერზედა მარტოდ-მარტონი. მზე წითლად-ყვითლად ელვარე ჰღუოდა, მთის წვერისკენ გადახრილი. ქვეყანა, გაზაფხულისაგან ხელახლად გაცოცხლებული და გაღვიძებული, როგორც აკვნიდამ ბავშვი, ისე გამოიყურებოდა ტკბილად. ყველა იყო ბედნიერი ჩვენ გარშემო ჩვენ გარდა. მე და პეპია ვიყავით მარტო უბედურნი. ისა კვდებოდა და მე გაბოროტებული, გულმოწყვეტილი დავყურებდი მომაკვდავსა.

— გაბრიელ! — მითხრა ბოლოს პეპიამ, — ფეხ-მუხლი მიცივდება, შვილო, მე ვკდები! ვაი, რომ უზიარებელი ვკვდები! შვილო, ჩემი სისხლი ჩემს მკვლელს აპატივე, მეც მიპატივებია. მაგრამ... თუ თამრო ნამუსწართმეული ჰნახო, შემომფიცე, რომ იმის დამღუპველს მზეს დაუბნელებ! შემომფიცე, რომ ისე უზიარებლად და შეუნდობარს მოჰკლავ, როგორც მე ვკვდები! შემომფიცე! თუ ეგ ცოდვა იყოს, ამიღია კისრად.

მე შევფიცე.

— ფიცი მტკიცე უნდა იყოს!.. — დაიწყო კიდევ საცოდავმა, — პირისპირ იქ, საიქიოს, შევხვდებით... ვაიმე, შვილო თამრო... გაბრიელ! თუ თამროსათვის ნამუსი შეურჩენიათ, ჩვენი ამ დღეში ჩაგდება შენს გამჩენს აპატივე. მეც მიპატივებია. ფიცი მომე!

მე იმის სიტყვისაგან გულგაკეთებულმა მაგის ფიციც მივე.

— ვაი, ნეტავი ეხლა ჩემი თამრო დამანახვა, — მოჰყვა ისევ პეპია, — ნეტავი ერთი კიდევ თვალით მიჩვენა, რომ სული ტკბილად დამელია! ჩემო კარგო შვილო, ჩემო მამის-ერთავ, თამრო! სადა ხარ ეხლა? რატომ შენს საცოდავს მამას თვალებს არ დაუხუჭავ? რატომ ხელებს გულზედ არ დაუკრებ? რატომ არ დაიტირებ, შვილო! შენი დაუტირებელი უნდა მოვკვდე? რა შევცოდე სამაგისო ღმერთს! მაგრამ, ღმერთო, კიდევ შენ გეხვეწები, უცოდველად ამყოფე ჩემი ობოლი გოგო!.. ღმერთმა გაკურთხოს, ჩემო კარგო თამრო! ღმერთმა თავის კალთა გადაგაფაროს, ჩემო ბოლონდელო სულის სადგურო, ჩემო ბოლონდელო თვალის სინათლევ! შენც შეგეწიოს ღმერთი ჩემო გაბრიელ! ქვეყანაც დამილოცნია, თუ იმის ზურგზედ ჩემი თამრო უცოდველად დადის... თუ არა და წაწყმდეს ეს ადრე და მალე წასაწყმენდი მურტალის ადამიანის მურტალი სამყოფელო! მშვიდობით, ჩემო გაბრიელ! აღსასრული ჩემი მოვიდა, მე სულსა ვლევ!.. შვილისაგან დაუტირებელი ვკვდები!.. უზიარებელი და მოუნანიებელი მივდივარ სააქაოდამ!.. მაგრამ

მაინც კიდევ თუ შენს ბატონს ჩემი გოგოს ნამუსი შეუნახავს, უთხარი, რომ, როცა პეპია კვდებოდა-თქო, შენა გლოცავდა-თქო. ღმერთო! ჩაიბარე ჩემი ცოდვილი სული!.. შვილი ჩემი ჩამიბარებია შენთვის, მაღალო ღმერთო! უჰ!.. შვილო!.. თამრო!..

ამ თამროს ხსენებაზედ დალია იმ ალალმა ადამიანმა თავისი ალალი სიცოცხლე. ბოლონდელი ამოკვნესა იმისი მაინც თამროს სახელი იყო და მაგ ამოკვნესას ამააყოლა საწყალმა თავისი ტანჯული, ნაქენჯნი, მაგრამ მართალი სული და ისე გაშორდა ამ გულშეუტკივარს, ცოდვით სავსეს წუთის-სოფელსა. თამროს სახელი, მკვდარ ტუჩებზედ გამოსახული, ტუჩებზედვე შერჩა ზედშეკვდომილი. ეჰ, ნეტავი მეც იმას თან გავყოლოდი!..

ღმერთო, მიეცი იმის სულსა ლხენა და მანდ მაინც ნუ დაუძვირებ შენს მადლსა იმ უსამართლოდ გატანჯულს ადამიანის-შვილსა!

ხმლითა და ხანჯლით, როგორც იყო, საწყალს სამარე გავუჩიჩქნე და დილაზედ, როცა მზემ ხელახლად გაიღვიძა, დავმარხე კიდეც და მივაბარე მიწას. მზე იყო იმისი წმინდა სანთელი და კელაპტარი და დილის ნამის ორთქლი საკმეველად შეექმნა.

XI

გაბოროტებული, გულდამწვარი, გულჩათუთქული მოვაჯექ ცხენსა და დავეშვი იმ მთიდამ უგზო-უკვლოდ. გზა-და-გზა სულ საწყალი პეპიას უბოროტო სიკვდილი მელანდებოდა და იმისი მადლიანი თქმულობა მაგონდებოდა. ნაღველი უფრო გამიმწარდა, მაგრამ სიარულმა თავისი ქნა, ნაღველი თან-და-თან გამიქარწყლა, გული ამღვრეული დამიწმინდა, გონება დამიდინჯა და მე სრულიად დავწყნარდი და დავმშვიდდი. იქნება ეგრე დაწყნარებულს და ჯავრგადაყრილს კიდევ ბევრი გზა გამევლო, თუ რომ პეპიასათვის მიცემული ფიცი ხელახლად არ მომგონებოდა. კაცის-კვლის ფიცი იყო! ტანში შემაჟრჟოლა და ფერი მეცვალა. ბედმა იქამდინაც მიმიყვანა-მეთქი, — ვამბობდი გულში, — რომ კაციც უნდა მომაკვლევინოს. დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი!.. მე, გაბრიელს, კაცის-კვლის ცოდვა უნდა დამდებოდა?! მე კაცის სისხლში უნდა გამესვარა ხელი?!

მე იმისთანა ხასიათის კაცი ვიყავ, რომ გააფთრებულს, გულაფეთქებულს, ცეცხლმოკიდებულს იქნება უეცრად კაცი შემომკვდომოდა, მაგრამ თუ წინ მოსაფიქრებლად ორს წუთს მაინც ჩემი ჭკვა და გული შემრჩებოდა, ადამიანს სასიკვდილოდ ძნელად თუ გამოვიმეტებდი. ეხლა სწორედ ამისთანა დღე დამადგა: წინ მოსაფიქრებლად დიდი დრო მქონდა, ამიტომაც რამდენადაც ჩემს ფიცზედ ვფიქრობდი, იმდენად ვიტანჯებოდი. ორში ერთი უნდა მექნა: ან ფიცისათვის მეღალატნა და ან კაცი მომეკლა. მე აქამდინაც არ ვიცი, ამათში რომელი უფრო მძიმე ცოდვაა.

— ღმერთო, — ვამბობდი ჩემ თავად, — თამრო უცოდველად დამახვედრე, რომ მეც ქვეყანას ვაპატივო პეპიასავით ჩემი მიწასთან გასწორება და თავი ცოდვისაგან დავიხსნა! ღმერთო, მომხედე! ნუ მიმიყვან იქამდინა!

კაცის-კვლა, რაც უნდა იყოს, მაინც ცოდვაა, შენი ჭირიმე! ეს მე ვიცოდი და ეს მიკიდებდა ცეცხლს და გულ-ღვიძლსა მწვავდა. მაგრამ, როცა მომაგონდა, რომ ჩემმა სასიკვდილომ ერთის წუთის ჟინის საკლავად სამი ადამიანის სული არ დაგვინდო, მე ცოცხალი გამომასალმა ამ წუთის-სოფელს, შვილს მამა უზიარებლად მოუკლა და თუ

ამასთან შვილსაც ნამუსი წაართვა, — განა ამისთანა კაცის მოკვლა დიდი ცოდვა უნდა იყოს-მეთქი! — ვფიქრობდი გულზედმოსული და ბრაზმორეული. მაშ ღვთის სამართალმა აღარ უნდა გაიღვიძოს-მეთქი! მაშ რას მეუბნებოდა მღვდელი, სხვა შენთვისაო და შენ სხვისთვისაო, თუ არ ამასა?!

გადავწყვიტე, რომ ჩემგან ფიცის ღალატი და უკან დახევა შეუძლებელია და სამარცხვინო. რა უნდა მომივიდეს? — ვკითხავდი გონება-ანთებული ჩემ თავს, — სამუდამო ტანჯვა და ჯოჯოხეთი?! მაშ სამოთხე რომ მომელოდეს, რაღა თავის გამოდება იქნება?! დეე, რაც მომივა, მომივიდეს. დეე, ეგეც ჩემს აქაურს ჭირსა ზედ დაერთოს სხვის ჭირის სანაცვლოდ. ღმერთი ხომ ჰხედავს-მეთქი, რომ ჩემს სისხლს არ ვიღებ; ღმერთმა ხომ იცის, რომ მე ჩემს სამაგიეროს ჩემს მტერს არ ვუხდი: მე ჩემს მტერს ჩემი ყველა დავუთმე, ყველა ვაპატივე, ყველა დავივიწყე. ჩემი გაბოროტება პეპიას სიკვდილმა და იმის მადლიანმა სიტყვამ თან გაიყოლია. მე ამაზედ ფიციც მივეცი. ღმერთი დაინახავს ამას — ის გულთამხილავია — დაინახავს, შემიბრალებს და შემიწყალებს, თუ არა და, ის იქნას, რაც ჩემ ბედისწერას ჩემთვის გაუწესებია.

ხომ ამაზედ დავდეგ, მაგრამ მაინც კიდევ, თითქო უნებლივ, გადვუშალე ღმერთს ხელები და გულმართლად და ნატვრით შევძახე: ღმერთო, დამიხსენ კაცის-კვლისაგან! თამრო უცოდველი მაჩვენე! ძნელი ყოფილა, შენი ჭირიმე, კაცის-კვლის ფიქრის წინათვე გულში გატარება! მეტად ძნელი ყოფილა!.. მე იმ ერთმა დღემ თითქმის დამაბერა. კაცს, თუ გინდა რომ გულში ჯოჯოხეთი გაუჩინო, კაცისკვლის ფიქრი ჩაუსახე გულში. ეგ ეყოფა სატანჯველად.

ბარში რომ ჩამოველ და გავივაკე, გულმა მღვდლისაკენ გამიწია, მინდოდა რომ იმისაგან ლოცვა-კურთხევა მიმეღო და მერე, რაც მოსასვლელი იყო, მოსულიყო. გულს დავუჯერე და ქალაქისაკენ გამოვწიე.

მეორე დღეს, საღამოზედ, დიღმის ვიწროებში მივედი და იქ ერთს დუქანში ჩამოვხტი, რადგანაც ქალაქში ჩამოხტომა ვერ გავბედე. წავედი, ცხენი დუქნის გომურში დავაბი, მოვუარე და საჭმელი მივე. მერე ამოვედი დუქანში პურის საჭმელად. მედუქნემ დაზგაზედ ვახშამი გამიმართა. მეც დაზგაზედ დავჯექ და პურის ჭამა დავიწყე.

პურის ჭამას რომ ვათავებდი, ერთი დროშკა მოადგა ჩვენს დუქნის კარებსა. შიგ ერთი ქალი და ერთიც ქალაქის ბიჭი იჯდა.

— მედუქნევ, — დაუძახა გარედამ ბიჭმა, — ცალკე ოთახი არა გაქვს?

— რამდენიც გინდა, — უპასუხა მედუქნემ.

ქალი და ბიჭი გადმოვიდნენ დროშკიდამ და დუქანში შემოვიდნენ. ქალს თვალი მოვკარ თუ არა, ფიცხლავ ელდა მეცა: რაღაც რამ უცები მომეჩვენა, ჩემს თავს არ დავუჯერე. ქალი რომ დაზგას მოახლოვდა და კარგად გავსინჯე, სისხლი ტვინში ამივარდა. გიჟსავით ვისკუპე დაზგიდამ და ქალს წინ გადავუდეგ.

— თამრო!.. — შევკივლე მე კანკალით და თრთოლით.

— გაბრიელ!.. — მომაძახა მე იმან და ზედ მკერდზედ ფერმიხდილი დამეცა.

— მამა რა მექნა, მამა? — შემომბღავლა საცოდავად.

— მოშორდა ამ წუთის-სოფელს. ერთი მითხარ, რამ მოგიყვანა აქა?

— მაგას ნუღარ მკითხავ! ნუ, ნუ მკითხავ!.. სტიროდა საწყალი, — შენი თამრო დიდი ხანია დამიწებულია. შენი თამრო მოკვდა.

— მაშ შენ ვინა ხარ? — დავიძახე თავზარდაცემულმა.

— ის თამრო აღარა ვარ. მე ეხლა ავლაბრის უნამუსო ვარ, შემიბრალე და დამიტირე მე ბედშავი!..

— უნამუსოო!..

ვკარ ხელი შეუბრალებლად იმ უბედურსა და მკერდიდამ, როგორც გველი, ისე მოვიშორე. გარეტიანებული გიჟსავით გამოვვარდი გარეთ, მოვახტი ცხენსა, დავწყევლე იქაურობა და ჩვენის სოფლისაკენ გამოვწიე. ფიცის ასრულების დღე მოვიდა. ჩემი ტოკვა და ყოყმანობა კაცის-კვლის თაობაზედ იმ დღეს სრულიად გათავდა. იმ გაბოროტებულს გულზედ ცა და ქვეყანა რომ ხელში მჭეროდა, ყველსავით გავწურავდი და კბილით გავგლეჯდი.

სამი-ოთხი თვე ვუტრიალე დათიკოს და ვერსად ვერ ჩავიგდე ისეთი ჟამი, რომ ერთმანეთს პირდაპირ შევხვედროდით. ქურდულად ბევრჯერ შემეძლო იმისი მოკვლა, მაგრამ რა კაცობა იქნებოდა? ისიც ძალიან ვაჟკაცი იყო და მინდოდა ერთმანეთს პირდაპარ შევყროდით, რომ ან მოვეკალ და ან მე მომეკლა.

ამ სამ-ოთხ თვეში ნადირსავით ტყეში ვიმალებოდი და მაინც კი ორი სომეხი გავძარცვე და ხუთი თავადიშვილი. მაგრამ, ღმერთო, ხომ შენ იცი, არც ერთისათვის იმაზედ მეტი არ წამირთმევია, რაც მეც თითონ მიჭირდა. ყველას ვეუბნებოდი, ვინცა ვარ, რომ ჩემი სახელი დათიკომდინ მისულიყო, გაფრთხილებულიყო და ყოველთვის მზად ყოფილიყო.

გამივარდა ყაჩაღობის ხმა და დაიწყეს ჩემი დევნა. დაიწყეს ჩემი სახელით ძარცვა და ავაზაკობა იმ არე-მარეში. კაცის-კვლაც სამჯერ მოჰხდა, მაგრამ მე ამა ყველაფერში უბრალო ვარ, თუმცა ყველაფერს მე მაბრალებდნენ და მართლა ავაზაკნი კი ამით თავს იმალავდნენ. ჩემი გზა და კვალიც ამით ერეოდათ ხოლმე; დღეს იტყოდნენ: გაბრომ აქ გაძარცვა კაციო და გზებს შემიკრავდნენ; იმავე საღამოს მოუვიდოდათ ამბავი, რომ გაბრომ სამის დღის სავალს იქით კიდევ გაძარცვა კაციო — და დაებნეოდათ გონება. ვერ მიჰხვდნენ, რომ გაბრო თავისთვის არის და აქაც და იქაც სულ სხვა-და-სხვანი ავაზაკობენ იმის სახელითა. ბოლოს, რომ არა ეშველათ-რა, წმინდა გიორგის ჯვარი დაჰპირდნენ იმას, ვინც მე ან ცოცხალს დამიჭერდა, ან მკვდარს მიმიტანდა.

დათიკოს ნადირობა მეტად უყვარდა და იმის იღბალი ჰნახეთ — ამ სამ-ოთხ თვეში არც ერთხელ არ უნადირნია. მე უფრო იმ ადგილებში ვისაფრებოდი, საცა უწინ დათიკო სანადიროდ დაიარებოდა ხოლმე. ბოლოს, იმის ბედისწერის დღეც მოვიდა და ერთმანეთს შევხვდით.

მზე ჩაწურვაზედ იყო, რომ მე დათიკო დავინახე ცხენით მინდორ-მინდორ მომავალი. უკან ერთი მეძებარი მოსდევდა. მე ტყეში ხეზედ ვიჯექ. ჩამოვედი ხიდამ, მოვახტი ცხენსა და გულის-ცემით ტყეში ლოდინი დავუწყე. გზა იმ ტყის პირას იდო. დათიკო იმ გზაზედ გამოვიდა და ჩემკენ წამოვიდა. რომ მომიახლოვდა, იმისი ღიღინი მომესმა. შევხედე და სრულად იყო იარაღით მოკაზმული. სჩანს ჩემი ფიქრი ჰქონია-მეთქი, — ვიფიქრე გულში, — რომ ეგრე გამართულია.

დამიპირდაპირდა თუ არა, ვასკუპე ცხენი და ზედ მივაგდე.

— თუ ვაჟკაცი ხარ, გამიმაგრდი! — შევჭყივლე მე. ჯერ ვერ მიცნო.

— ვინა ხარ? მაგრამ, ვინც უნდა იყო, შენ მე ფერს ვერ მაცვლევინებ, — მიპასუხა იმან თამამად და გულმაგრად.

წამი აღარ გაუტარებია: მარდად გადმოიგდო მხარზედ გადაკიდებული

ორლულიანი თოფი და თვალის დახამხამების უმალ ორივ ერთად დამახალა. მე თოფს ხელი ავუკარ და იმის ნასროლმა საფანტმა ზუზუნით თავზედ გადამიარა.

— მე ვარ გაბრო, შენი სულთა-მხდელი!.. — შევძახე მე და, მანამ სხვა იარაღს მაიხმარებდა, შიგ მარცხენა ძუძუში დამბაჩა დავეცი.

საწყალი შეტოკდა ცხენზედ, გადიწია გადასავარდნელად, მაგრამ თავი შეიმაგრა, კიდევ მოასწრო ხმლის ამოღება და მოქნევა. ხმალიც ამცდა, მოხვდა ჩემს ცხენს თავში და იქავ სული გააქრობინა. ცხენი და მე ერთად დავეცით დედამიწაზედ. მინამ მე წამოვდგებოდი, დათიკო ცხენიდამ ძირს დაცემულიყო. მე თავზედ წავადეგ და დავინახე, რომ ის მშვენიერი ყმაწვილი კაცი, ის თავმომწონე თავადიშვილი ძლივღა ჰფეთქავდა თავის ყმის ფეხთა წინაშე!.. მაგრამ, გეტყვით ჩემის გულის ძუნწობას, მე ის მაინც არ შემეცოდა.

— წაგაკალ თუ არა შენს უნამუსობას!.. — წავაყვედრე მე.

— ჰმ, — ჩაიცინა იმან ისე გულდინჯად, თითქო ქვეშსაგებში მშვიდობითა წევსო, — ამით გათავდა შენი შერმადინობა?

— როგორიც ავთანდილი შენ იყავ, მეც იმისთანა შერმადინობა გაგიწიე.

— წადი, შვილო! სახელად ჩემი სიკვდილიც გეყოფა. დღეს ჩემი დღე არ იყო: რასაც ვესროლე, ავაცდინე. ვაი, რა ცუდად მოვკვდი?! ფუ ჩემს კაცობას! ნიშანიც ვერ დაგასვი.

— რა დროს ეგ არის? ღმერთი მაინც ახსენე და ისე დალიე სული, შე ცოდვით სავსევ!

— დარიგებას თავი დაანებე. ალალი იყოს შენზედ ჩემი სისხლი, კაი ვაჟკაცი ჰყოფილხარ. მეც ბევრი რამ ცუდი მიქნია, არა უშავს რა, — ჩემი ასე ცუდად წახდენა იმაში გამებაროს. აი დედასა!.. რა ცუდად შეგხვდი!.. მაინც შენის ხელით მოვკვდი! გახსოვს, მაშინ რომ გითხარი: სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს-მეთქი. აკი არც დაჰკარგა.

— შენ იყავ მყინვართან რომ დაგვიხსენი? — ვკითხე გაოცებულმა.

— მე ვიყავ თუ არა — შენ რა?

— რისთვის დაგვიხსენი?

— ვერა ჰხედავ? აი, ამ დღისათვისა. პეპია რასა იქს?

— მოკვდა.

— ესე უზიარებლად და მოუნანიებლად, როგორც მე?

— ეგრე.

— ეგეც ბარი-ბარში... მშვიდობით და გამარჯვებით, გამარჯვებულო გაბრიელ!.. ვნანობ, რომ ესე უსახელოდ მოგეკვლევინე. გამარჯვებით...

კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ აღარ დასცალდა: ერთი გაიზმორა, ერთი კიდევ წამოიწივა, დაეცა და სულიც დალია. მოკვდა ის უბედურის-შვილი. ტუჩებზედ ისეთი ღიმი შერჩა, თითქო დაიცინებაო. ჰმ, სიცილით მოკვდა ტირილით ნაშობი!

დავიჭირე მისი ცხენი, შევჯექ ზედ და წამოვედი. ცხენის მეტი მე იმისი არა გამოვიყოლე-რა.

დათიკოს მოკვლის შემდეგ მე იმ არე-მარეში ყოფნა ძალიან გამიძნელდა. ძალიან გამიხშირეს დევნა. მეც იქ აღარა მეკეთებოდა-რა და, სწორედაც გითხრათ, ყაჩაღობაც მომწყინდა: ჩემი ხელობა არ იყო. როცა უილაჯობით კაცს ვძარცვავდი, ერთს ვაი-ვაგლახს გამოვივლიდი ხოლმე ჩემ თავად და ჩემს თავს მევე ვძრახავდი. ვერ დაემორჩილა ჩემი

გული ავკაცობასა, თუმცა ბევრი ავკაცობა ვქენი, ვერ შევეჩვიე, ვერა. ბოლოს გადავწყვიტე, რომ გადავვარდები შორს საითმე, ჩემის ხელის ამაგით ლუკმა-პურს, როგორც იქნება, ვიშოვნი და, მინამ ჩემი აღსასრული მოვა, იმით დავირჩენ თავს-მეთქი. სხვა ამ ქვეყნისა მე აღარა მინდოდა-რა და აღარც მერგებოდა-რა: ამ ქვეყანაში მე წილი არაფერში მედო.

გამოვწიე და კახეთს შემოვეკედლე. ალაზანზედ რომ მოვედი, შიგ შუაწყალში ცხენიდამ გადმოვხტი, დავეც დათიკოს ცხენს დამბაჩა თავში და წყალს გავატანე: ჩემი იარაღიც სულ ჩავყარე წყალში, რომ არც ცხენით და არც იარაღით არავის არ ვეცანი. აქ, კახეთში, მოჯამაგირობა დავიწყე, მეხუთე წელიწადია, როგორც მოგახსენე, ჩემი აქ ყოფნა. პირველი წელიწადი მშვიდობით დავყავ, მეორე წელიწადს კი კახეთმა დამცადა და ციებ-ცხელება შემეყარა. ორ-სამ თვეს თავს დამანებებდა და პატარა რომ მოვჯობინდებოდი, ისევ მომიბრუნდებოდა ხოლმე. მე თავს არ ვუდებდი და, რაც შემეძლო, ვმუშაობდი. სამი წელიწადი ამ ყოფაში ვიყავ. ამ ბოლო წელიწადს წყალმანკი გამიჩნდა და ფეხები დამისივდა. სიარული გამიძნელდა, მუშაობისათვის ვეღარ გამოვდეგ. ქვეშსაგებად დამიგდო ავადმყოფობამ. ერთმა გლეხკაცმა შემიკედლა. მინამ ერთი ორიოდ გროში მქონდა და ვხარჯავდი, მინამ მინახა, როცა კი გამომელია ფული — იმ დალოცვილმა მკრა ჭიტლაყი და გამომაგდო გარეთ. ეს ოთხი თვე იქნება მას აქეთ. იმ სოფელში სირცხვილით ვეღარ ვიდგომილე, იმიტომ რომ საგლახაოდ საქმე მიხდებოდა და ვთაკილობდი. ავდეგ და აქეთ წამოვედი. გზაზედ, რაც ტანისამოსი მქონდა, ამ რუსის ფარაჯაზედ გავცვალე და ერთი თუმანიც სართი ავიღე. ორ-თვე-ნახევარი ამით ვირჩინე თავი. აქ რომ მოვედი, სიარული ვეღარ შევიძელ, იმიტომ რომ ფეხები დამიწყლულდა, დამიჩირქდა და დამისკდა. აი, ხომ ჰხედავთ, ბოლოს მატლიც დამეხვია. ამ საბძელამდინ, როგორც იყო, მოვაღწიე და ამ ჩარდახ-ქვეშ შევაფარე თავი. გზის პირია, ხალხის ფეხი აქ არ მოსწყდება და თითო-ოროლა კეთილი კაცი ხან პურს მაწვდის ხოლმე და ხან წყალს. მას დღეს აქეთ ასე ვარ. რაც გადამხდა, იქნება იმის ღირსიც ვიყო. რაც ავკაცობა ვქენ, იქნება იმის სამაგიეროც ეს არის? ვინ იცის? ღვთის განგებას ვინ მიჰხვდება? ეხლა ვატყობ, რომ წყალმანკიც მერევა, აი, თითქმის გულიც დამიჭირა. მოვიდა ჩემი აღსასრული, მადლობა ღმერთს! ქვეყანას თუ რამ შევცოდე, შემინდოს, სხვა ღმერთმა იცოდეს!.. მე ამ ქვეყნისათვის ავი არ ვიყავ, მე მარტო უბედური ვიყავ. ბევრი წილი ცოდვა, მე მგონია, აქავ გადავიხადე. იქნება ესეც ტყუილი ნუგეში იყოს, — ეგ ღმერთმა იცის და იმისმა შეუცდომელმა სამართალმა. გულუტკივრად ვეთხოვები მე ამ ქვეყანასა, იმიტომ რომ მე იმისი არა მემადლება-რა. ზიარებაც არ მაღირსა ამ წუთის-სოფელმა!..

XII

ამით გაათავა გლახამ თავისი ნაამბობი. შუაღამე გადასული იყო. მე გამოვეთხოვე იმ საცოდავს კაცსა და იმის ამბისაგან გუნებაარეული წამოვედი ჩემი ნათლიმამისაკენ.

მეორე დილას მღვდელი ვიკითხე, რომ ის უპატრონო კაცი მეზიარებინა და იმისი უკანასკნელი ნატვრა ამით ამესრულებინა. მერე იქნება დამეყოლია როგორმე და ჩემს ნათლიმამასთან ამომეყვანა. ჩემმა ნათლიმამამ მითხრა, რომ არა მგონია მღვდელი ეხლა

შენ გამოგყვესო: ქალაქიდამ ახალი ბლაღოჩინი დაუნიშნავთ, წუხელის მღვდელსა სწვევია და მღვდელი ვერ მოიცლისო. სწორედ ჩემდა გასაოცრად ეგრეც მოჰხდა: მღვდელს შემოეთვალა, რომ არა მცალიანო. დიდად მეწყინა და დიდად გამიკვირდა ამისთანა პასუხი. მე თვითონ წავედი მღვდელთან, პირდაპირ ბლაღოჩინთან შევედი, ვუამბე ჩემის მოსვლის მიზეზი და მღვდლის პასუხი შევატყობინე. ბლაღოჩინი საშინლად გაწყრა და ძლიერ დასტუქსა ის უგულო მღვდელი. მაშინვე მოითხოვა სანაწილე, გამომყვა მე, მღვდელი და დიაკვანიც თან გამოიყოლია.

ჯერ კიდევ ადრე იყო, რომ გლახასთან ჩავედით. ის საწყალი იმ ერთს ღამეს სრულიად გამოცვლილიყო. ასეთი ფერი და სისუსტე ეტყობოდა, თითქო იმისი სიცოცხლე ბეწვზედა ჰკიდიაო.

რა წამსაც გლახამ ბლაღოჩინი დაინახა, თვალები ცეცხლსავით ისევ სიცოცხლით აენთო; რაღაც იოცა და ისეთნაირად დააკვირდა ბლაღოჩინსა, თითქო რაღასაც იგონებსო, თითქო სჯერა კიდეც და არცა სჯერა ის, რასაც თვალით ჰხედავდა. ორჯერ თუ სამჯერ თვალები მოიფშვნიტა, თითქო რაღაცა უშლის ხილვასა და კარგად ვერა ჰხედავსო, და ისევ იმავ გაოცებით ბლაღოჩინს გარინდებულმა მზერა დაუწყო. მერე, თითქო ეშმაკის გაფრთხობა უნდაო, პირჯვრისწერას მოჰყვა და თვალი უფრო და უფრო დააცქერა ბლაღოჩინსა. მე გამიკვირდა ეს ამბავი. ვთქვი ჩემს გულში: ამ კაცს ეს რა ემართება-მეთქი.

— კურთხევა უფლისა შენზედა, ჩემო ძმობილო! — უთხრა ბლაღოჩინმა. — მე, მღვდელი, მოვსულვარ, რომ წმიდა ზიარება მიგაღებინო ქრისტიანს კაცსა. რა გიკვირს, რომ ეგრე გაშტერებული მიყურებ?

— მაშ შენ მოჩვენება არა ხარ? — შეჰკივლა გლახამ.

— არა.

— მღვდელო!.. — დაიბღავლა საცოდავად გლახამა, — არ გებრალები შენი გაბრიელ?!

ბლაღოჩინი თავზარდაცემულსავით წაბარბაცდა. მე მივაშველე ხელი და შევიმაგრე.

— მადლი უფალსა, მადლი... — დაიწყო გლახამ, ეხლა კი დაწყნარებით, მაგრამ მხიარულად, — ჩემი სული თურმე შენ გლოდნებია, ეხლა ნუგეშით და იმედით მოვკვდები... მაზიარე, შენი ჭირიმე, შენის მადლიანის ხელით. შენგან ანთებული სანთელი შენ ხელში უნდა გავქრე. ცოტა-ღა მაქვს სიცოცხლე, მაზიარე.

— გაბრიელ!..

— მე ვარ, მე!.. — გააწყვეტინა ბლაღოჩინს სიტყვა, — და შენც ისა ხარ, ვისიც მოლოდინი ჩემს სულსა ჰქონია. ვენაცვალე შენს მადლსა!.. მაზიარე, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, სიკვდილი მერევა.

— რამ მოგიყვანა ამ დღემდინ? — ჰკითხა შეწუხებულად ბლაღოჩინმა.

— იმ ცეცხლმა, რომელიც ყოველს ღვთისაგან გულში გვინთია, როგორც შენ ერთხელ მიბძანე. მე ესე მგონია და სხვისა კი არ ვიცი, მაზიარე, შენი ჭირიმე!

ბლაღოჩინი საცოდავად გახდა: გაფითრდა, ნაცრისფერი დაედო სახეზედ, ენა ჩაუვარდა, სიტყვა მოეჭრა, თითქო თითონ იყო ამის საცოდაობის მიზეზიო. ხმა ველარ გასცა გლახას, ხმა! არეულმა დაიწყო ზიარებისთვის მზადება.

— აღსარების თქმას სულთამხუთავი აღარ დამაცლის, — უთხრა გლახამ, — შემინანია ყოველიფერი, უაღსარებოდ შემინდე და მაპატივე და ისე მაღირსე ზიარება.

— შემინდვიხარ.

— რვა კაცი გამიძარცვავს!.

— შემინდვიხარ.

— კაცი მომიკლავს.

— მაინც აქ მე შემინდვიხარ და იქ ღმერთმა იცოდეს. შენთვის ვილოცებ, უბედურო გაბრიელ.

— რაკი შენ შემინდე, — წამოიძახა სიხარულით გლახამ, — ღმერთიც შემინდობს, იმიტომ რომ შენის ენით ყოველთვის ღმერთი ჰლაპარაკობდა. თუ ღირსი ვარ ეხლა ზიარებისა, მიბოძე.

— შენთვისა და მრავალთათვის არის განტეხილი ხორცი ესე ქრისტესი და დანთხეული მისი წმიდა სისხლი მისატევებლად ცოდვათა. მიიღე და სჭამე!.. — სთქვა დიდებითა და ნუგეშის-ცემით ბლაღოჩინმა.

— ვენაცვალე ჩვენთვის ჯვარცმულ ქრისტესა! — წარმოსთქვა სასოებით გლახამა, — მაღირსე ეხლა ზიარება, მღვდელო!

ბლაღოჩინმა ლოცვა დაიწყო, ამოიღო სანაწილედამ წმიდა ნაწილი, გლახას წინ დაუჩოქა, კოვზით ზიარება მიაწოდა და წარმოსთქვა ვედრებითა:

— ჰოი, ყოველთათვის ჯვარცმულო ღმერთო! ტანჯულთა და ცოდვილთა მეოხევ! მოიხსენე ესე მოსავი შენი, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა.

— მომიხსენე მე, უფალო, და დამიფარე!.. — შეევედრა გლახა და მერე ბლაღოჩინს უთხრა, — არა, შენი ჭირიმე! მე ეგრე მწოლარედ ზიარების მიღებას არ ვაკადრებ ჩემსა მხსნელსა და მაცხოვარსა. ვენაცვალე იმის მადლს! მინდა ჯერ პირქვე დავემხო იმის წმიდა ხორცისა და სისხლის წინ და შევავედრო ჩემი თავი.

წამოდგომა მოინდომა. ჩვენ მივცვივდით საშველად და ორივე ფეხზედ, მისვე სურვილისამებრ, წამოვაჩოქეთ. პირჯვარი გადიწერა, ღმერთს მუდარების სახით შეხედა, აღუპყრა ხელნი და გოდებით შეევედრა: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“. მერე ბლაღოჩინის წინ მომტირალი პირქვე დაემხო.

დიდხანს იყო ისე პირქვე დამხობილი, მარტო ყრუ ქვითინი მისი ხანდისხან მოგვესმოდა. ბოლოს ქვითინი შესწყვიტა. ბლაღოჩინი დასწვდა წამოსაყენებლად, მაგრამ გლახას, ისე პირქვე დამხობილსა, სული დაელია კიდეც. საცოდავსა მაინც ზიარების მიღება არ დასცალდა.

[1859, 1862 – 1873]

ამბავად გაგონილნი

I

ერთხელ მეფე ერეკლე II მიბძანდებოდა თურმე ქალაქიდამ კახეთს და თან, რასაკვირველია, ამალა ხლებია. მზე დაწურვაზედ ყოფილა, როცა მეფე მიბძანებულა საგარეჯოს ბოლოებზედ, დაუნახავს, რომ ერთს ყანაში დიდძალი მუშა დგას და მკის. იკითხა – ეს ამოდენა მუშა ვისიაო. მოახსენეს – აქ საგარეჯოში ერთი შეძლებული გლეხია

და იმისი მამითადიაო.

– შაბაშ გლეხსაო, – ბრძანა თურმე და იმისი ვინაობა იკითხა. მოახსენეს ვინც არის და თან დაატანეს: ასეთი ხელმოჭერილი რამ კია, რომ პურს არავის აჭმევს, თუ არას გამორჩაო.

შეაყენა მეფემ ცხენი და უბრძანა: თუ აქ არის ის გლეხი, აქ მომიყვანეთო.

მოიყვანეს, მეფემ უბრძანა: ვახშმად ჩემის ამალით მენი სტუმარი ვარო.

– მობძანდი, შენი ჭირიმე – უპასუხა გლეხმა: – მაპატიე კი, აქ სამზადისი არა მაქვს, შინ მეწვიეო.

მეფემ ნება დართო. გლეხი გადაჯდა ცხენზედ და ჭენებით წინ წავიდა. ვიდრე მეფე აბძანდებოდა სოფელში, ჩამოღამდა კიდეც. გლეხი წინ მოეგება, მიიწვია მეფე მიწურის სახლის ბანზედ, რომელიც თავიდამ ბოლომდე საფენით მოეფინა კიდეც. ძალიან კარგად დახვდა თურმე მეფესა და იმის ამალასაც. როცა მეფემ ვახშამი მიირთო, წასვლა დააპირა და ცხენები მოითხოვა. მოართვეს ცხენები. გლეხს მადლი უბრძანა და ზედ დაატანა:

– აკი, შვილო, შენ პურს არავის აჭმევ ისე, რომ არას გამორჩეო?

– მაინც ეგრეა, შენი ჭირიმე! – უპასუხა თამამად გლეხმა: – მართალი მოუხსენებიათ.

– როგორ? აბა დღეს მე რას გამომრჩი?

– აი ბანზე მიწა ახლად დაყრილია. ამის დატკეპნას კარგა მუშა მოუნდებოდა და მე მეტი გამორჩომა რად მინდა, რომ ჩემმა ბატონმა და ამოდენა დიდებულმა ხალხმა თავისის საკუთარის ფეხით ბანი დამიტკეპნესო.

მეფეს მოეწონა ეს მოსწრებული სიტყვა, გაეცინა და ხალათი უბოძა.

2

მეფე ერეკლე II-ს ჰხლებოდა ერთი ღარიბი მოხუცებული დედაკაცი და მოწყალება ეთხოვნა.

– სხვისა მამავ და ჩემო მამინაცვალო, ერთხელ ჩემკენაც მოიხედეო, – ეხუმრა დედაკაცსა.

– რა არის, ამოდენა ხანია სულ მოწყალებაზედ დადიხარო, – ებრძანებინა ხუმრობითვე მეფეს, – განა შვილები არა გყავსო?

– მაშ რის დედაკაცი ვიქნები, რომ შენთვის ყმა არ გამეზარდოს, შვიდი შვილი გაგიზარდეო!

– არა გრცხვენია, დედი, შვიდის შვილის პატრონი და საგლახაოდ დაიარებიო!?

– ვიშ, შენი კვნესამე! ნეტავი ერთი მყვანდეს და შენისთანაო.

3

მეფე გიორგი XIII-ს ერთი კარისკაცი ჰყოლია. თუმცა ხნით მეფეზე უფროსი ყოფილა, მაგრამ წვერ-ულვაშში ერთი ჭაღარაც არა რევია თურმე. ერთხელ მეფეს იმისათვის ებძანებინა:

– ერთი მითხარ, რისაგან არის, რომ მე ამოდენა ჭაღარა გამომერია, ლამის სულ გავთეთრდეო და შენ კი, ჩემზედ უფროსს, ეგრე შავად შეგაბერდა თმა და წვერ-ულვაშიო?

– წესიც ეგრეა, ბატონოო! – უპასუხა კარისკაცმა. – თქვენ ხელმწიფე ბძანდებით, პირნათლად უნდა სუფევდეთო, და მე კი თქვენი ყმა ვარ, პირშავადაც რომ ვიყო, არა

მიშავს-რაო.

4

მეფე გიორგი XIII ერთს დროს ყაზახ-ბორჩალოს მიბძანებულა და სწვევია ერთს დარბაისელს, საქართველოს ერთგულს მოხუცებულს აღალარსა. ჩამოვარდნილა ლაპარაკი ცხენებზე და მეფეს უკითხავს აღალარისათვის:

– ყაზახ-ბორჩალოს ცხენი უწინ გათქმული იყო მთელს საქართველოში, ეხლა კი იმისთანა ცხენები აღარ გამოდიან. რა იქმნენ ის უწინდელი ცხენებიო?

– იმ ცხენებზე ის უწინდელი ქართველები შესხდნენ და წავიდნენო, – უპასუხა გულამოჯდომით მოხუცებულმა აღალარმა.

[1877 წ.]

ს ა რ ჩ ო ბ ე ლ ა ზ ე დ

პატარა ამბავი

I

შუა ზაფხული იყო. მინდვრები და ქედები გოლვას სულ მთლად გადაეჭკნო და ფერი ეცვლევინებინა. იმ დღეს, რა დღიდამაც ვიწყებთ ჩვენს ამბავს, ასეთი ცხარე მზე სწვავდა ქვეყანასა, ასეთი პაპანაქება იდგა, რომ დედამიწას ბუღი ასდიოდა, თითქო გახურებული თონეაო. კაცი სიცხისაგან დაოსებული ძლივს სულს იქცევდა. ამისთანა დღეს საქონელ-გამოშვებულნი ღვინის ურმები იდგნენ მწკრივად ლოჭინის ხევის პირას. ხევში წყალი გოლვისაგან ისე მილეულიყო, რომ ძლივსღა მოიპარებოდა ქვებთა შორის რიყეზედ. საცოდავი მეურმეები, ქანცგაწყვეტილნი სიცხისაგან, გულდაღმა გაშოტილიყვნენ კონკილაზედ აყენებულ ურმებ-ქვეშ. ყველას ეძინა; – მარტო ორიოდ ბიჭი, კალთებაწეულნი, იდგნენ გუბის პირას და ხის ჯამებით ასხამდნენ წყალს პირდაღებულს, დასიცხულს კამეჩებსა, რომელნიც გუბეში ეყარნენ. აქეთ, პატარა მოშორებით, თავი მოეყარნათ ხარებსა, ჩამდგარიყვნენ გუბის პირას, თვალებდახუჭვილნი იცოხნებოდნენ და კუდით იგერიებდნენ მოუსვენარ ბუზებსა.

მზე გადიხარა: თბილმა შეგუბებულმა ჰაერმა მოძრაობა დაიწყო. იმ ენაჩავარდნილმა ადგილმა გაიხმაურა. აიშალნენ მეურმეები თვალების ფშვნეტითა; პირზედ წყალი შეისხეს და შესაბმელად მორეკეს საქონელი, რომელიც სიცხის გატეხაზედ მინდვრად გასულიყო და სცოხნიდა გოლვისაგან გამხმარს ბალახსა. „ჰოო, ხიო, პატრონძაღლო.....“ და სხვა ამისთანა და ამაზედ უარესიც ისმოდა მეურმეების ხმაურობაში. როცა შეაბეს და წინამეურმემ შოლტი გამართა, რომ ხარებს გაუტყლაშუნოს და დასძრას ურემი, მაშინ უეცრად ხევის ყურედამ ორი ყმაწვილი გამოვიდა გზაზედ. ორივეს ტანზედ სალდათის მაუდის „კურტკები“ ეცვათ. ერთს მათგანს თავზედ ეხურა უშველებელი ჩერქეზული ქუდი. ქუდი ისე ჩამოფხატოდა თავზედ, რომ ცხადი იყო, ქუდის პატრონი სხვა ყოფილა და მხმარებელი სხვაა. მეორეს ეხურა სალდათური

უწინდებური უკაზიროკო ქუდი.

ჩერქეზულქუდიანი თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა, მეორე ან თოთხმეტისა, ან ხუთმეტისა. უფროსის სახე არ იყო ძალიან მარილიანი: იმისი სხარტე და ფირფიტა ნიკაპი, იმისი წვრილი, სწრაფი და მოუსვენარი თვალი, ჩქარ-ჩქარი თვალთა ხამხამი ცხადად ამბობდა, რომ ამ კაცის კანში რაღაც უფხო გულია დამალული. მეორე, უმცროსი, უფროსსა ჰგვანდა კიდეც და არცა ჰგვანდა: ჰგვანდა ზოგიერთ სახის ასოს მოყვანილობაში, მაგრამ უფრო მარილიანი იყო. ამისი შავი და ღრმა თვალები მკვახედ გამოიყურებოდნენ. წარბშეკრული და გულდახურული, თითქო რაღაცას ითმენსო და თავისთავს ძალას ატანსო, შინაგანი ამღვრეულობა არავის ამცნოსო. პირველი იმისთანა იერის ყმაწვილი იყო, რომ კაი კაცის კვალზედ წავიდოდა, – შესამჩნევი არა იქნებოდა რა, ავის კაცის კვალზედ დადგებოდა, – ქურდ-ბაცაცობის მეტს ვერაფერს ვერ შესძლებდა. მეორეს კი სხვა ნიშანწყალი ჰქონდა.

– გამარჯვება თქვენი, – უთხრა მეურმეებს უფროსმა.

– აი, გაგიმარჯოთ, – მისცეს პასუხი.

– თქვენ უთუოდ ქალაქს მიდიხართ.

– გამოცანა გერგება, – დაუძახა დაცინებით ერთმა მეურმემ.

უფროსმა ღიმილით ჩამოართვა ეს დაცინება და ლაქუცითაც. უმცროსმა უფრო წარბი შეიკრა და რისხვამ ელვასავით გაურბინა სახეზედ, მაგრამ თავი მალე შეიკავა. ეტყობოდა, რომ გულის მოძრაობას მოერია.

– აი, დალახვრა ღმერთმა ავი კაცი! – წამოიძახა უფროსმა: – ჩვენ თუქურმიშის შკოლაში ვიყავით, ჩვენ ორნივ ძმები ვართ, თავადიშვილები...

– ბეჟან! – დატუქსვის ხმით დაუძახა უმცროსმა თავის ძმას და ისეთის თვალით შეხედა, რომ სიტყვა გააწყვეტინა. ეტყობოდა, რომ უმცროსს რაღაც სიტყვა თავისის ძმისა არ მოეწონა და გაწყრა. ბეჟანმა, თუმცა პირველში სიტყვა გაწყვიტა, მაგრამ მალე მოუტრიალდა გაწყვეტილ ამბავს და ძმას ყური აღარ ათხოვა.

– ჩვენ ორნივ ძმები ვართ, თავადიშვილები, – განაგრძო ბეჟანმა, – მამაჩვენმა ქალაქიდამ ერთი თუმანი გამოგვიგზავნა, – როცა დაგითხოვონო, ერთი რუსის პოვოსკა დაიჭირეთ და წამოდითო. ჩვენც, – აი, ამოაგდო ღმერთმა ავი კაცის ქოქი, – ერთს რუსს გავურიგდით, რვა მანეთი მივეცით, რომ ქალაქში ჩავეყვანეთ. წამოგვიყვანა, გზაზედ დუქანში დაგვეთრო, გადმოგვყარა პოვოსკიდამ, თითონ შინ დაბრუნდა და ჩვენ ასე გამოგვისტუმრა. ჩვენი ბარგი და რვა მანეთი ფული თან გაიყოლა იმ სულძაღლმა.

უმცროსი მთლად აირია. მიტრიალდა, ზურგი მეურმეებს და თავის ძმას შეაქცია, დაიწყო უაზროდ ყურება და მერე დაჟინებით დააცქერდა ჩამავალს მზესა.

– ერთი ასეთი ბუზმენტიანი ჩოხა გაიყოლია თან ჩემი, რომ ხუთ თუმნადა ღირდა, – დაიწყო ისევ უფროსმა, – ჩოხას ჯანი გავარდეს, ის ძველი და სხვა ახალი: მამაჩვენი შემძლებელი კაცია...

უმცროსი მოუტრიალდა ძმას უფრო გულამღვრეული და გაჯავრებული, ვიდრე წინად.

– ბეჟან, გეყოფა, კარგი!.. – უთხრა უმცროსმა, თითქო წყრომითაც და ვედრებითაც.

ბეჟანმა მაინც კიდევ ყური არ ათხოვა და მოჰყვა ისევ თავისებურად:

– ორი დღის უჭმელები ვართ. ცუდი საქმე დაგვმართა იმ ოჯახდაქცეულმა. აბა ეხლა რა უნდა ვქნათ ამ უცხო ქვეყანაში?

– ვაი ჩემს გამჩენს! – უპასუხა ერთმა დროულმა მეურმემ. – უცხო ქვეყანაში რად იქნებით!.. ასე გონია, სათათრეთში იყვნეთ!.. ეს ქვეყანა საქრისტიანო საქართველოა. პურსაც გაჭმევთ, ღვინოსაც დაგალევინებთ და კაი ქეიფსაც გაგაწევინებთ. ვაი ავკაცს, რომ თქვენი ცოდვა აუღია, თორემ თქვენ რა გიჭირთ? ასე ჩაგიყვანთ ქალაქშია, რომ ქარიც არ მოგადინოთ.

უმცროსს წარბი გაეხსნა, მოღრუბლულს სახეზედ რაღაც სიამოვნების ფერმა გადაჰკრა. ერთობ მისის სახის მეტყველებამ განცვიფრებული სიხარული გამოსთქვა, თითქო ადამიანის გულკეთილობას პირველად შეხვდაო და უკვირსო.

იმ დროულმა კაცმა გახსნა ხურჯინი, ერთი შოთი ერთს მისცა, მეორე – მეორესა და ერთი ჩარექა ღვინოც ჩამოუსხა პატარა ტიკჭორიდამ.

– ვაი შენს პეტრეს! – დაიწყო იმავ დროულმა. – ჩვენ დალოცვილს ქვეყანაში შიმშილით ლეკიც არ მომკვდარა, თქვენ რად შეგშინებიათ? შეექეცით, შვილო! ეხლა კი ამ მშრალს პურს პურადძვირობაში ნუ ჩამოგვართმევთ, ამაღამ კი ასეთს ცხვრის მწვადებს გაჭმევთ, რომ ხონთქარმაც კი ტუჩები ილოკოს.

პეტრემ დაისო ორნივე თავის ურემზედ; წასვლა უთხრეს წინამეურმესა. დაიძრა ქარავანი ურმებისა. ამტვერდა მშრალი გზა.

იმავე დღეს, გლეხის ვახშმობის დროს, ამ მეურმეებმა ქალაქის პირში გამოუშვეს ურმები, რადგანაც ღამე იყო, და ქალაქში ღამის ხარჯს საქონელისას მოერიდნენ. მეურმეებმა თითო-თითო ღერი შეშისა, შორიდამ წამოღებული, გადმოიღეს ურმებიდამ და ცეცხლი დაანთეს. პეტრემ შესწო მწვადი თავის პატარა სტუმრებისათვის და როგორც შეეძლო გაუმასპინძლდა. ვახშამი სჭამეს. დაღალულნი მეურმეები დაეყარნენ და ძილს მიეცნენ. საქონელი მინდორზედ საძოვნელად გაიშალა; ღამის მეხრეები გვერდით ედგნენ ყარაულად. პეტრემ ყმაწვილებს ქვეშ გაუშალა თავისი ნაბადი და უთხრა:

– თავადიშვილები ხართ, ჩვენსავით ცარიელ მიწაზედ გდებას ვერ აიტანთ.

ყმაწვილები დაწვნენ, პეტრეც შორი-ახლო მიეგდო და მკვდარსავით დაეძინა.

გათენდა მტრედისფრად. მეურმეები აიშალნენ, მაგრამ ჩვენმა პეტრემ თავისი სტუმრები თავის ადგილას ვეღარა ნახა. მიიხედ-მოიხედა და თვალი ვეღარსად ვერ მოჰკრა.

– ვაი შენ ჩემო თავო! – დაიძახა ბებერმა პეტრემ, რაკი გული დააჯერა, რომ ყმაწვილები გაპარულან, – აკი არ მომატყუეს ეს დროული კაცი! გაპარულან!.. წაიღებდნენ რასმეს!..

იკრა პეტრემ ჯიბეს ხელი და ორივე მოჭრილი ჰქონდა. კეთილმა ბერიკაცმა გულნაკლულად ჩაიცინა:

– აკი იმ ძუძუმწოვრებმა არ გამქურდეს ეს დროული კაცი! – სთქვა ღიმილით და თაკილითაც პეტრემ. – ჩემზედ ახია: ისე როგორ დავიძინე, რომ ვერც კი გავიგე. აი დალახვრა ღმერთმა სიბერე! არა, შვილო, ეხლა ჩემი შვილდი უნდა ძირს დავდო. ტყუილად კი არ მეუბნებოდა ჩემი უფროსი შვილი: მამი, – დაჰბერდი, შორს გზაზედ მეურმეობაში ვეღარ გამოდგებიო. აკი ვეღარ გამოვდეგ, მე კი მეგონა აღზევანსაც წავალ-მეთქი კიდევ მარილზედ. ჰაი ტა, ტა, ტა... დავბერდი, დავჩაჩანაკდი... სირცხვილით შინ როგორღა მივიდე. მეურმე კაცი, ქალაქს მიმავალი ღვინის ურმით, გამქურდეს! მერე ვინა? ძუძუთა ბავშვებმა!.. ჯიბე მომჭრეს, ჯიბე. ვაი შენ, ჩემო თავო!

– ბევრი წაიღეს? – ჰკითხა ვიღაცამ.

– სამი და ათი შაური, – მიუგო პეტრემ. – აქ შვილო, სავალალო ეგ კი არ არი, მაგას ვინა სჩივის. ეს სირცხვილი როგორა ვჭამო, როგორ! უსუსურმა ბავშვმა გამქურდა. ვისაც ვეტყვი, დამცინებს, ჯალაბსაც კი სიცილად არ ვეყოფი, მეზობლები ჯავრით გამხეთქენ, ბიჭო, მძინარეს ჯიბეები დამაჭრეს!.. არა, შვილო, რაკი ქართველმა რუსული შლაპკა დაიხურა, იმის საქმე წასულია. ფუ, ეშმაკს! მერე ვინა? ჯერ ტუჩებზედ დედის რძე არა ჰქონდათ შემშრალი... ეს დროული კაცი... აი ტაი, ტაი, ტაი! ღმერთმა იმათ კი შეარგოთ და მე კი ეს სირცხვილადაც მეყოფა და სიცილადაც.

გაიქნივა თავი ისეთის ღიმილით, თითქო ხუმრობაში ატარებსო ამ საქმეს, მაგრამ გულში კი მართლა სცხვენოდა.

II

გავიდა ოთხი წელიწადი. გაზაფხულის პირი იყო. პეტრე, უწინდელზედ უფრო მიბერებული, ქალაქს მოდიოდა, წისქვილის ქვები უნდა ეყიდნა. მაგრამ როგორ მოდიოდა? იმავე თავმოწონებით, როგორც უწინ, ხოლო ეხლა სხვა მიზეზი ჰქონდა თავმოწონებისა. მას აქეთ, რაც ის ხიფათი შეემთხვა, ხელი აიღო მეურმეობაზედ – ვხედავ, აღარ ვარგივარო, ეუბნებოდა ხოლმე თავის შვილს გულის ტკენითა. ეხლა ამის ღვინის ურემზედ მისი უფროსი შვილი უჯდა და ხარკამეჩს ისა ჰხმარობდა. თითონ კი გადაებოტნა უშველებელ სავსე რუმბზედ და ყეინსავით გამოჭიმული იჯდა. გზის მამალი* ამის შვილის ურემზედ დაესვათ, პირველობაც ურმის ქარავანში ამის შვილისათვის მიეცათ. პეტრეს ეს ამისთანა პატივი შვილისა და ტოლებში თავგამოსაჩენი ამბავი ძალიან უხაროდა და თავი მოსწონდა. უხაროდა და ჰფიქრობდა: შინ რომ მივალ, ჩემს ბებრუცუნა ჯალაბსაც ვახარებო ჩვენის შვილის გაპატიოსნებასაო.

პეტრეს ქალაქში ერთი ორიოდ დღე მოუგვიანდა. ქარავანიც დაბრკოლდა რაღაც საქმეზედ და ჯერ არ აპირობდა ქალაქიდამ დაძვრას. ბოლოს სთქვეს: დღეს საღამოზედ, მზე რომ გადიხრება, უნდა ქარავანი დაიძრასო. პეტრემ ნაყიდი წისქვილის ქვები დაუდო ურემზედ და ბაკში მიიტანა, საცა ქარავანი იყო გამოშვებული. შუადღეც მოტანებული იყო და იმ საღამოს გასვლას აპირობდნენ. პეტრემ სთქვა: მაინც საქმე არა მაქვს-რაო, მოდი, ერთი ავლაბრის მოედანზედ გავალ, ქვეყანაა, შევიტყობ რასმესო. მოედანზედ ხალხი ირეოდა, როგორც ყოველთვის. ბევრგან ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ჟრიამული და ყაყანი გაჰქონდათ. პეტრეც ერთს ამ ჯგუფში გაერია, ერთი შევიტყო, რას ყაყანებენო. აქ გაიგო, რომ ზარბაზანი გავარდება თუ არა, მახათაზედ ერთს კაცს ჩამოარჩობენო. პეტრეს თავის დღეში არ ენახა ეს ამბავი. გულმა ძალიან გაუწივა იქით.

„ბევრი ვაი-ვაგლახი მინახავს ჩემს სიცოცხლეშიო, – სთქვა გულში, – მოდი, ერთი ესეცა ვნახოო“.

სთქვა და გაჰყვა ხალხს, მახათაზედ მიმავალს. მახათაზედ ბუზსავით ხალხი ირეოდა. იქ თავში, ერთს განაპირებულს ადგილს, სარჩობელა გაემართათ და გარშემო

---

* ურმის ქარავანი რომ წავა შორს მანძილზედ, ერთ-ერთს ურემზედ მამალს დასმენ ხოლმე, რომ მამლის ყივილმა გათენება შეატყობინოს ქარავანსა. მეურმეების საათი გზაზედ – მამალია. უფრო ხშირად ვისაც პირველობა აქვს ქარავანში, მამალიც იმას უზის ხოლმე. ურმის ქარავანში პირველობა, ესე იგი წინა ურმის მეურმეობა, გლეხობაში სასახელოა, რადგანაც მარტო კარგს, გზის მცოდნეს, ფხიზელს, სანდო მეხრეს და კაი ხარ-კამეჩის პატრონს ანდობენ ხოლმე მაგ პირველობას.

ჯარი ედგა. წინ ფართო მოედანი ხალვათად იყო, არავის არ უშვებდნენ ახლო. პეტრემ მიიხედ-მოიხედა, ნახა ამოდენა ხალხი, კაცი თუ დედაკაცი, და გაუკვირდა.

„ვთქვათ, კაცები ჩემსავით თამაშად მოსულანო, ამ დედაკაცებს რაღა ღმერთი გასწყრომიათო, ეგრე თავი მოუყრიათ! რა მაგათი საქმეაო“.

ბოლოს ამაზედ დადგა, რომ სწორედ ტყუილი რამ თვალთმაქცობა იქნება ჯამბაზისაო.

„არც ეგ არის ურიგოო, – სთქვა გულში პეტრემ, – ეგ უფრო კარგიც იქნება, თორემ მართლა კაცის ჩამორჩობა აბა რა სანახავიაო? კატა ხომ არ არის, აიღო და ჩამოჭკიდო; რაც უნდა იყოს, ღვთის სული ადამიანია. კიდეც იმიტომ ამოდენა მანდილოსანს თავი აქ მოუყრია. დედაკაცის თვალი მსუნაგია თვალთმაქცობაზედ... ახლა იმ სომეხმა რომ მომატყუა, კაცს არჩობენო, რა გაიტანა? აქაო და სოფლელია, მალე მოტყუვდებაო. ვთქვათ, რომ მოვტყუვდი, მითამ რაო? თამაშას ხომ ვნახავ... ღვთის წინაშე კი, იქავ რომ მცოდნოდა თვალთმაქცობას ითამაშებდნენ, იქნება არც წამოვსულიყავ, აი! ჰაი, ჰაი, კაცის გული მალია, მალი ცოდვის საქმეზედ. კაცის დარჩობის სანახავად გამოუქნელ მოზვერსავით კი გამომიწია და!.. ამ პატარა გულში რამოდენა ცოდვა და მადლი ტრიალებს“.

ბევრს რაღაცაებს მოსთქვამდა გულში ჩვენი უსაქმო პეტრე, სრულად დარწმუნებული, რომ აქ თვალთმაქცობა რამ იქნება. თორემ დედაკაცებს აქ ან რა ხელი აქვთო, ან ვინ მოუშვებდაო.

ბოლოს ვიღაცამ გაიხმაურა: „მოჰყავთ, მოჰყავთო“. მიიხედა პეტრემ, ნახა, რომ სალდათებს ერთი ვიღაცა რუსულ ფარაჯაში გახვეული კაცი მოჰყავთ.

– ჰა, პეტრევ!.. – არიგებდა პეტრე თავისთავს, – არ გაბრიყვდე, ეშმაკმა არ გაცდინოს, მართალი არ გეგონოს!.. ეგ სულ მაცდურობაა, დაგცინებენ, იტყვიან, სოფლელია და მოტყუვდაო.

მაინც კი გაიწია, რომ ახლო ნახოს. იმდენი მიძვრა-მოძვრა ხალხში, რომ გაინაპირა თავი. სალდათებმა ზედ გვერდზედ ჩამოუარეს და ჩამოუტარეს ფარაჯაში გახვეული კაცი.

– აი, დალახვრათ ღმერთმა! – სთქვა თავისთავად პეტრემ. – მართლა სალდათებს არა ჰგვანან, ე! რარიგ ჩაუცმევიათ! ი თოფების ჭერაც რომ უსწავლიათ!.. რას არ მოიგონებენ ე ქალაქის ბიჭები! დახე, სულ რუსის ბიჭებსაც რომ ჰგვანან.

ამ ლაპარაკში რომ იყო, თვალი მოჰკრა ფარაჯაში გახვეულს. ის იყო ოცისა თუ ოც-და-ერთის წლის ყმაწვილი ბიჭი. წვერ-ულვაში ახლად გამოშვებული ჰქონდა და ლეკურად დაყენებული. სახეზედ ზაფრანის ფერი ედო. პეტრეს რაღაც ფიქრმა გაურბინა გულში.

– რა ვქნა! ეს ბიჭი მეცნობა. ღმერთო, მომაგონე: სად უნდა მენახოს? – ჰკითხა ამაოდ თავისთავსა, ამაოდ იმიტომ, რომ ვერ მოეგონა, სად ენახა.

– ეჰ, ქალაქის ბიჭი იქნება ვინმეო, – სთქვა ბოლოს. – ბაკებში დღეში ათასი კაცი შემოდის და გადის, იქნება იქ მენახოს და გულში ჩამრჩენოდეს, ვინ იცის? არა, რარიგად გაფითრებულა, მითამ-და მართლა არჩობენ. ჯამბაზი თითონ ეს იქნება სწორედ. არა, შვილოს, ვერ მომატყუებთ!..

– ვუი, ვუი შენს დედას!.. – იძახოდნენ მანდილოსნები. – რა ახალგაზრდა ბიჭი ყოფილა!..

პეტრეს გაუკვირდა ეს ძახილი.

– აი, დედაკაცები არ არიან, თმაგრძელი და ჭკუამოკლე! – სთქვა თავისთავად პეტრემ, – რა მალე მოტყუვდნენ. ხომ თითონაც სუყველანი თვალთმაქცები და კუდიანები არიან, მაგრამ აჰა... ეგენიც კი ტყუვდებიან. მაგრამ იქნება ამათ ჩემი გაბრიყვება უნდათ, სოფლელიაო. ჰა, პეტრევ!.. თავს გაუფრთხილდი, არ გაბრიყვდე!.. არ შერცხვე ეს დროული კაცი; ამოდენა ჯარ-ჯამაათის სასაცილოდ არ გაიხადო თავი. დასწყევლოს ღმერთმა ეს ქალაქელები, კაცი თუ ქალი, რა მალე შეგვატყობენ ხოლმე სოფლელ კაცს, თითქო შუბლზედ გვეწეროს.

– რა გენაღვლებოდა, შე უბედურის დღისავ! – ამბობდა ერთი დედაკაცი ჩადრში გახვეული, – შენთვის ყოფილიყავ და ამ დღეში არ ჩავარდნილიყავ. ვაი შენს დედასა, შე საცოდავის შვილო!

– დიაღ, მოჰყევ ენაჭარტლობას, – ამბობდა გულში პეტრე. – სწორედ დაგიჯერე, აი, არა, აქაო და სოფლელი ვარ, არ გამაბრიყვო კი, თუ ღმერთი გწამს...

– ეგა სთქვი, ეგა და! მაგრამ კაცის წერა რაც იქნება, ის არის, – უპასუხა მეორე დედაკაცმა, – საცოდავი წერას აუტანია. მაგრამ ეგ ხომ მოკვდება და წავა, ვაი მაგის მშობლების ბრალი, რა ცეცხლში ჩაცვივიან! ღმერთო, დაიხსენ ყველა ქრისტიანი.

– ბიჭოს! – სთქვა გულში პეტრემ, – პირობა შეუკრავთ, თუ რა ღმერთი გასწყრომიათ. აქედამ მოვშორდე, თორემ ერთს სირცხვილს მაჭმევენ ეგ კუდიანები, მე და ჩემმა ღმერთმა.

სთქვა და ადგილი გადინაცვლა.

მივიდა და ჩადგა ახლა სულ სხვა ჯგუფა ხალხში, აქაც დედაკაცები ბლომად იყვნენ. ერთი გული ეუბნებოდა, მოდი ვკითხავ, რა ამბავია, მეორე კი ეუბნებოდა, სირცხვილია, დამცინებენო.

– რა ახალგაზრდაა ეგ უბედურის შვილი! – სთქვა ერთმა დედაკაცმა, – ჯერ დღე სწორედაც არ გასთენებია და ეგრე ადრე და მალე კი უნდა მზე დაუბნელდეს.

– რა თონეში უნდა იწოდეს ახლა ამისი დედის გული, ღმერთო, მაგისთანა დღეს ნუ შემასწრობ! – დაუმატა მეორემ და ჩაიკრა გულში ხელი.

– აბაიმე, აბაიმე!.. – სთქვა გულში პეტრემ, ეხლა კი ცოტა წყენითა. – ჩემზედ მოიცალა ამოდენა ხალხმა, თუ რა ამბავია ჩემს თავს. ესე მალე როგორ შეკრა ყველამ პირობა!.. ახა ღმერთო ჩემო! კარგია, არა ვკითხე. აბა კიჟინას დამცემდნენ, აი! ჰა, პეტრე, გაფრთხილდი, არ გაგაბრიყვონ, სასაცილოდ არ გაიხადო თავი. აი უსაქმურ ხალხს რომ იტყვიან, ეს ქალაქელები არიან: დასწყევლოთ ღმერთმა, ყველამ ჩემზედ არ მოიცალა!

ამბობდა ამას თავის გულში პეტრე და ეგონა, რომ მართლადა ეს ხალხი ამისათვის არის მოცლილი, სოფლელია და გავაბრიყვოთო. ამათაც გაექცა და ხელახლად გადინაცვლა ადგილი. ძნელი რამ არის, როცა გუნება თავში გამწევ ცხენსავით დაღოჯავს ჭკუის ლაგამს და ცალმხრივ გაიწევს.

III

ამასობაში ის ფარაჯაში გახვეული ბიჭი მიიყვანეს და სარჩობელას ქვეშ დააყენეს. ცალმხრივ მღვდელი მოუდგა, მეორე მხრივ ვიღაცა ჩინოვნიკი. წითელპერანგა ჯალათი უკან ედგა.

– ე მღვდელი რაღას გაუგიჟებია, – ეუბნებოდა თავისთავს პეტრე, – ტერტერა იქნება, თორემ მართალი მღვდელი ამას რად იკადრებდა. ის წითელპერანგა ვინ უნდა

იყოს? იქნება თავიდათავი ჯამბაზი ეს იყოს.

ჩინოვნიკმა ქაღალდი ამოიღო და წაიკითხა.

– ეს თილისმის ლოცვა იქნება, – სთქვა პეტრემ თავისთავად, – უთუოდ ჯადოს იქმონენ, თორემ აი ვნახოთ. მაშ კაი ამბავი იქნება.

მერე მღვდელი რაღასაც ეუბნა ფარაჯაში გახვეულს. პეტრემ თუმცა ყურები აცქვიტა, ფეხის თითებზედაც შედგა, მაგრამ შორს იყო და ვერა გაიგო-რა.

ფარაჯაში გახვეულს გახადეს ფარაჯა, გადააცვეს თეთრი პერანგი თავიდან ფეხებამდე, ასე რომ პირის-სახე აღარ უჩანდა. წითელპერანგა ჯალათმა გაასწორა სარჩობელაზედ ყულფი, მერე კიბე მიადგა სარჩობელის ბოძს. მოუბრუნდა უბედურს, ხელის კვრით წინ წაიგდო, აიყვანა კიბეზედ, მოსწია ყულფი, რომ თავი გააყოფინოს. ხალხს ხმა ჩაუწყდა, თითქო სული შეეხუთაო, თითქო ამოდენა ხალხის გულის ძგერა შედგაო.

ჯალათმა თავი გააყოფინა ყულფში, გამოაცალა კიბე და ჰკრა ხელი. ხალხმა ერთი ღრმად და ყრუდ ამოიქშინა, ისე, როგორც ამოიქშენს ხოლმე უეცრად ცხელ-წყალ თავგადასხმული.

უბედური სარჩობელაზედ ჩამოეკიდა, ქანაობა დაიწყო და ფორთხალი. დიდხანს იქნია საწყალმა ფეხები.

– დილამდი რომ სულ ეგრე იქნივო ფეხები, მაინც არ დაგიჯერებ, – ამბობდა თავისთავად პეტრე.

ხალხი, წუთის წინად სულგანაბული, ეხლა მხიარულად ჰყაყანებდა და ლაზღანდარობდა კიდეც. დაირღვა ხალხის გროვა, დაიშალა და გაიშალა მინდორზედ. ყველამ თავის სახლისაკენ გასწია სრულიად კმაყოფილმა, რომ ეს სამარცხვინო და გულის ამაზრზენი თამაშა ნახა. პეტრემ მიიხედ-მოიხედა და ნახა, რომ აღარავინ რჩება აქ. ჯარიც წამოვიდა, მარტო ორი ყარაული-ღა დარჩა სარჩობელასთან. იმ წითელპერანგა კაცმაც გადიცვა რაღაც სხვა ტანისამოსი და გამოსწია. სარჩობელაზედ დარჩა უძრავად დაკიდებული ის უბედურის შვილი. პეტრე გაოცდა.

– ბიჭოს, ეს იყო! – სთქვა თავისთავად, – ვერაფერი თამაშა იყო. იქნება თვალთმაქცობა იმაში იყო, რომ შეცვალეს, კაცის მაგიერ ტომარა ჩამოჰკიდეს, ფეხებს რომ იქნევდა?.. მართულებს ვერ გაუკეთებდნენ თუ!.. მართულებით თუნდ ლეკურსაც ათამაშებენ. მაინც ვერაფერი ამბავია, ტყუილად მოვცდი. აი, აქ კი მოვტუვდი. აბა ვგდებულიყავ ჩემთვის ბაკში, ერთი ლაზათიანად გამომეძინა, ის არა სჯობდა? მე ვთქვათ ჰო, ეს ამოდენა ხალხი რაზედ გაბრიყვდა? ბიჭო და, იქნება მართლა ჩამოარჩეს!.. ნეტავი მეკითხნა. ეჰ, დამცინებდნენ... ჰა, ვინ იცის? ე ხალხი რომ ასე ქეიფის გუნებაზეა, მიდის და მიყაყანებს მხიარულად! ეს რომ მართლა დარჩობა ყოფილიყო, ქვები ხომ არ არიან, ოჯახდაქცეულები ერთ ცვარ ცრემლს მაინც ჩამოაგდებდნენ. რაც უნდა იყოს ღვთისკერძო ადამიანია, კატა ხომ არ არი. მაგრამ ე დედაკაცობას რომ სულ ერთიანად თავი აქ მოეყარა!..

გულში დიდი ეჭვი ჩაუვარდა. ეხლა მარტო იმის დარდი ჰქონდა, შეეტყო რაში ტყუვდება: იმაში, რომ ეს მართალი თვალთმაქცობაა და ტყუილი ჩამორჩობა, თუ მართალი ჩამორჩობაა. სწორედ გითხრათ, პირველში მოტყუებას, უფრო ჰთაკილობდა მისი გული: აბა თვალთმაქცობამ ტყუილი მართლად როგორ უნდა მაჩვენოს ამ დროულ კაცსაო. და მართალი-კი რომ ტყუილი გამომდგარიყო, ეგ არაფერი; მაგას როგორღაც

უფრო ადვილად ჰყაბულდებოდა ჩვენი პეტრე. მაინც კი ძალიან უნდოდა შეეტყო მართალი.

ბევრჯელ გაუწია გულმა, მოდი დავეწევი ვისმე და ვკითხავო; ბევრჯელ მივიდა კიდეც და უნდოდა ეკითხნა თუ არა, შეფერხებულა: – არა, შვილოსა, დამცინებენო, ისევ ჩემს ჭკუას ავყვე, ისა სჯობიაო.

ამ ფიქრებში გართული მიბარბაცებდა ჩვენი პეტრე ავლაბრის ბაკებისაკენ. გზაზედ დუქანი დაინახა. დუქნიდამ ხალხის ჟრიამული გამოდიოდა. – მოდი, შევალ, ერთი ვნახოთ, რას იტყვიან დღევანდელ ამბავისასო. იფიქრა: თანაც ცოტად დავნაყრდები, დილას აქეთ არა მიჭამია-რაო. შევიდა, მოითხოვა ნახევარ ჩარექი ღვინო, მოათლევინა გამხმარი ზურგიელი, მიჯდა კუთხეში და ქეიფს მიეცა. დაჯდა თუ არა, თითქო ფეხდაფეხ მოჰყვაო, შემოვიდა ერთი ნაბადში გახვეული ყმაწვილი კაცი. ამ ახლად მოსულმა მოითხოვა საწერ-კალამი, ქაღალდი, დაეყრდნო დაზგას და წერა დაიწყო. ჩვენი პეტრე ხელახლად დააცქერდა ახალს სტუმარს. რა ვქნა, სად მინახავს ეს ბიჭიო, იძახდა გულში. თითონ ბიჭი თავაუღებლად სწერდა წიგნსა. ამ ყოფაში კარგა ხანმა გაიარა, პეტრეს დაგვიანება აინუნშიაც არ მოსდიოდა და იმ ბიჭის ცქერაში ისე ნელა ილოღნებოდა, რომ საღამომდისაც თავის საუზმეს ვერ გაათავებდა. მისი ფიქრი სულ ის ბიჭი იყო: რა ვქნა, მეცნობა და რატომ არ მაგონდებაო, წამდაუწუმ ეკითხებოდა თავისთავს და თვალს არ აშორებდა. მზემ კარგა გადიხარა ჩასავალისაკენ და პეტრე კი იმ ბიჭის ვინაობით გაკვირვებული არ იძროდა ადგილიდამ. ბოლოს, რომ მეტი გზა აღარ იყო, პეტრე წამოდგა და, იმ ბიჭის უამბობით წყურვილმოუკვლელი მივიდა, მედუქნეს გაუსწორდა, ერთი კიდევ გადაავლო თვალი იმ ბიჭს და ფუსფუსით გაექანა ავლაბრისაკენ. ჯერ ბაკებამდე კიდევ კარგა მანძილი იყო, რომ უეცრად უკანიდამ ვიღაცამ მხარზედ ხელი დაჰკრა. პეტრე მობრუნდა. დაინახა ისევ ის ნაბადში გახვეული ტანად მაღალი ყმაწვილი ბიჭი, თვალებზედ ქუდჩამოფხატული.

– აჰა, ჩამომართვი ეს წიგნი, – უთხრა ყმაწვილმა ბიჭმა და მიაჩეჩა ხელში ქაღალდი, – თუ შენ კითხვა არ იცი, წააკითხე ვისმე და ყური კარგად დაუგდე. დღევანდელს ამბავს ამ წიგნიდამ შეიტყობ.

სთქვა ესა თუ არა, მაშინვე გამობრუნდა ყმაწვილი ბიჭი, და თუმცა ნაბიჯით წამოვიდა, მაგრამ ისე ჩქარა კი, რომ ჩვენი პეტრე სირბილითაც კი ვერ დაეწეოდა. პეტრემ გაოცებულმა მარტო ესღა მოასწრო ეკითხნა წარმავალისათვის:

– ბიჭო, ვინა ხარ? სახელს მაინც მეტყოდი.

– წიგნი გეტყვის, წიგნი, – დაუძახა ნაბდიანმა და გასწია ისე, რომ უკან აღარ მოუხედნია.

ეხლა მოაგონდა პეტრეს, რომ წეღან სარჩობელაზედ ერთი ნაბდიანი ბიჭი სულ გვერდით აეტუზებოდა ხოლმე, საითაც კი წავიდოდა.

– განა არა, – სთქვა თავისთავად, – მაშინვე მივხვდი, რაღაც ამბავია, როგორც კრუხი წიწილას, ისე გარს დამტრიალებდა. ნაბდიანი იყო, მაგასავით თვალებზე ქუდი ჩამოეფხატა. სწორედ ისევ ის ბიჭია, თუნდაც დაგენაძლიო.

ვის ენაძლევებოდა, ეგ არ ვიცი, ხოლო ეგ კი იყო, რომ წიგნი აიღო-დაიღო, გადაატრიალ-გადმოატრიალა, ჩაიდო ჯიბეში და სთქვა ნატვრითა:

– ახ, ნეტავი წიგნი კი ვიცოდე და! დღევანდელს ამბავს ამ წიგნიდამ შეიტყობო. იქნება მატყუებს კიდეც, მაგრამ რაო? თავისთავს მოატყუებს, მე რა? თითონ წავიდა, ხომ

ვერ დამცინებს.

IV

უფრო გამალებული წავიდა პეტრე ავლაბრის ბაკებისაკენ. გული არ უთმენდა, უნდოდა მალე გაეგო რა ეწერა წიგნში. ამის შვილმა წიგნი კარგად იცოდა. მღვდელთან იყო ნასწავლი. პეტრე მიდიოდა, მაგრამ გული ფეხს უსწრობდა.

– რარიგ გაგრძელდა ეს ოხერი გზაო, – ამბობდა გულში, – მივდივარ და ვეღარ მივსულვარო.

ბოლოს, როგორც იყო მივიდა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა და სულს ძლივს იბრუნებდა დაღალულობისაგან. მიათვალ-მოათვალიერა იქაურობა, ნახა, რომ არავინ არის. მეურმეები დაქსაქსულიყვნენ, ბაზარში გასულიყვნენ, ზოგს რა უნდა ეყიდნა საშინაოდ, ზოგს რა. პეტრეს იამა, რომ არავინ იყო ბაკში, იამა უფრო იმიტომ, რომ ამისი შვილი მარტოკა აქ სადმე უნდა ყოფილიყო, რადგანაც ქალაქში იმას არაფერი საქმე ჰქონდა. მართლადაც, იქავ დერეფნის გრილოში იპოვნა შვილი; მიწოლილიყო გრილოში და ეძინა. გააღვიძა.

– ერთი ადეგ, ეს წიგნი წამიკითხე, – უთხრა პეტრემ და მიაწოდა წიგნი.

შვილმა თვალები მოიფშვნიტა, გაიზმორა და წიგნი ჩამოართვა.

– სად გიპოვნია, მამი? – ჰკითხა შვილმა.

– მიპოვნია კი არა! მოვდიოდი და ხელში მომაჩეჩეს, – უპასუხა პეტრემ. სხვა რამის დამატება მეტი ეგონა.

შვილმა წიგნი გახსნა, გადაშალა და ასიგნაციები გადმოცვივდა. გაოცდნენ შვილი და მამა, ეს რა ამბავიაო. შვილს ფულის დათვლა უნდოდა, მამა გაუწყრა და ტუქსვით უთხრა მოთმინებადაკარგულმა:

– რა დროს ეგ არის ერთი წაიკითხე-მეთქი, რა სწერია. ლამის გული ბუდიდამ ამომვარდეს, ვეღარ მომითმენია.

შვილმა დაიწყო კითხვა:

– „დღეს რომ ყმაწვილი ბიჭი დაარჩვეს, ჩემი ძმა იყო...”

— რაო? – გააწყვეტინა კითხვა ზარდაცემულმა პეტრემ და ელდისაგან გაფითრდა. — ჩამოარჩესო!.. მაშ მართალი იყო ის ამბავი!.. მაშ ხალხი რაღას ჰხარხარებდა მერე!.. წაიკითხე, წაიკითხე. ნეტა არ მენახა.

– მამი, რას ამბობ? – ჰკითხა გაოცებულმა შვილმა, – რატომ ეგრე დამთხვევით და გადარეულად ლაპარაკობ!

– წაიკითხე-მეთქი, მე ვიცი რასაც ვლაპარაკობ, – უთხრა პეტრემ წყრომით და გულის აღელვებით. საწყალი ბერიკაცი სულ თრთოდა, თითქო ციება აცახცახებსო.

შვილმა

„მამაჩვენი გაიქნივგამოიქნივა თავი, – მამაჩემს ეს რა დამართვიაო, და დაიწყო ისევ კითხვა:ერთი ღარიბი აზნაურიშვილი იყო. როცა მოკვდა, ჩვენ ორი ძმანი პატარები დავრჩით. დედა მალე გაგვითხოვდა, შეირთო ერთი ვიღაც აზნაურიშვილი, ქალაქში მსახურობდა. რაც მამისაგან დედულ-მამული გვქონდა, – ცოტა, მაგრამ იმოდენა, რომ ტკბილის ლუკმის ილაჯი გვექნებოდა, – სულ ცემითა. შიშველ-ტიტველნი, მშიერ-მწყურვალნი ვეხეტებოდით სოფლის ორღობეებში უპატრონოდ. ბიჭი იყო შინამოსამსახურე – ჩვენა გვცემდა, მამინაცვალი იყო, – მამინაცვალმა წაგვართვა, დაგვიყიდა, მიცვალ-მოცვალა და ჩვენ ცარიელზედ დაგვსვა. მინამ

პატარები ვიყავით, ჩვენ სოფლად ვეყარენით უპატრონოდ და ისინი კი ქალაქში იყვნენ. როცა მოვიდოდნენ, ჩვენ საწყლებს სულ ტყავს გვაძრობდნენჩვენა გვცემდა, ყველანი – შინაურები, ვისაც კი შეეძლო, გვიტყაპუნებდნენ თავში. ბევრს უცხოს, მართალია, ვეცოდებოდით, საწყალი ობლები, მაგრამ შველა კი არსად იყო. ბოლოს, რომ ცოტა წამოვიზარდენით, მამინაცვალმა მოგვიშორა თავიდამ, მიგვაბარა სალდათის შკოლაში თუქურმიშაზედ, ვაიდამ ვუიში ჩაგვაგდო. აგვიყროლეს სული რუსულის ლანძღვითა და თრევითა, ამოგვართვეს სული ცემა-ტყეპითა. ვითმინეთ და ვეღარ ავიტანეთ. დავკარით ფეხი და გამოვიქეცით. შევიარეთ ჩვენს სოფელში, ჩვენის ძველის სახლიდამ ბიჭებმა გამოგვყარეს, ერთის ღამის ბინაც არ მოგვცეს. გამოვედით ორნი ობოლნი ამ ტრიალ დედამიწაზედ უპუროდ, უფულოდ, უბინაოდ, უნუგეშოდ, უთვისტომოდ. ვის შესტკივდებოდა ჩვენთვის გული? ჩვენ ყველასათვის უცხონი ვიყავით, ყველანი – ჩვენთვის. გამოვწიეთ ქალაქისაკენ, გაბოროტებულნი, მთელს ქვეყანაზედ გულამღვრეულნი. გადავემტერეთ უსამართლო ქვეყანას, გადავემტერეთ ყველას, მამინაცვალს, დედას, ავსა, კარგსა, შენა და სხვასა. პატარები ვიყავით, ყველა ჰხედავდა, რომ თვალნათლივ გვძარცვავდნენ, არავინ არ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო. ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო. მინამ ცოცხალი ვარ, ყველას გადვუხდი და როცა აღარ ვიქნები, იქ, ღმერთს გავცეთ ყველამ პასუხი. სულ ყველანი იქ მივალთ და იქ დავუდგებით ერთმანეთს პირისპირ. ვნახოთ, ვინ გამოვა მართალი, ვინ – მტყუანი. ღმერთი გულს უფრო სინჯავს, მინამ საქმეს; იქ სამართალი არ გაბრუნდდება.

...გახსოვს, ამ ოთხი წლის წინად ლოჭინის ხევის პირს რომ ურმები გამოშვებული გქონდათ? გახსოვს, ორი ყმაწვილი რომ მოგადგათ? ისინი ჩვენ ვიყავით, ორის დღის უჭმელები. საწყალმა ჩემმა ძმამ, ბეჟანს რომ ვეძახოდი, ბევრი ტყუილი ილაპარაკა მაშინ... მე მწყინდა ეგ, მე მაგას ვთაკილობდი, მაგრამ ვერა გავაწყე-რა. ჩემი საცოდავი ძმა უჯათი იყო, თვითრჯული, და ვაი რომ ამასთანავე გულნამცეცაც იყო. ღმერთმა მიპატიოს ის ერთადერთი სული, ის ერთადერთი ჩემი სისხლი და ხორცი, ის ერთადერთი ძმაკაცი, ის ერთადერთი ადამიანი ჩემი კეთილისმყოფელი, ჩემთვის თავდადებული, ჩემი მოსიყვარულე და ერთგული. დღეს ჩემის თვალით ვნახე, რომ კატასავით დამირჩეს!.. განა ამას შევარჩენ ქვეყანასა, მინამ კაცი მქვიან, მინამ თავზედ ქუდი მხურავს, მინამ პირში სული მიდგა!

„შენ მაშინ გულისტკივილით დაგვიურვე. შენმა გულკეთილობამ კინაღამ მადლის შუქი არ ჩააწვდინა ჩემს ბნელს გულამდე, კინაღამ შენმა გულკეთილობამ არ მომინადირა. მთელი ღამე არა მძინებია, გამიკრთა მაშინ ძილი, თუმცა ძალიან დაღალული ვიყავ. როცა ჩემი ძმა წამოდგა და შენ ჯიბეების ჭრა დაგიწყო, გული დამეთანაღრა, ავიმრიზე, თმა ყალხზედ შემიდგა. მაგრამ ხმა არ გავე, არ დავუშალე. გაწყდეს, საცა წვრილიამეთქი!.. ეგეც ჩემი მძარცველია, ეგ რომ კაცი ყოფილიყო, მე არ გამაძარცვინებდა-მეთქი.

„გაგქურდეთ და ჩამოვედით ქალაქს. აქ ცოდვაც და მადლიც უფრო ხალვათად დადის. ორივეს დიდი შარა-გზა აქვს. მას აქეთ დღე არ გამოსულა, რომ არავინ არ გაგვეძარცვოს. ჩვენი დანაკარგი, ვინც შეგვხვდა, ვაზღვევინეთ. ამით ვირჩენდით თავსა, ამითვე ვიფხანდით ისარნაკრავს, გამწარებულს და გაბოროტებულს გულსა. გული მაინც არ დაგვიცხრა, რაღაცას ლამობდა, საითღაც იწევდა. ვერ დავაამეთ და ვერა...

„ამ ორის წლის წინად ისე მოხდა, თითქო თითონ ბედმა მიგვიყვანა მამინაცვლის

სახლშიო. დედაჩვენი მაშინ შინ არ იყო, სოფელში გაესტუმრებინა ქმარს. შევუცვივდით ღამე ორნივ ძმანი, მამინაცვალი შემოგვაკვდა, გვინდოდა აგვეკლო იქაურობა და ვეღარ მოვასწარით. შეგვიტყვეს, პოლიცია თავს დაგვესხა, მე კი გამოვასწარ და ჩემი საწყალი ძმა მოემწყვდიათ და დაეჭირათ. ბოლო ხომ იცი: დღეს ჩემის თვალით ვნახე, რომ ჩემი ერთადერთი ძმა, ერთადერთი კეთილისმყოფელი კატის კნუტსავით ჩამომირჩეს. თქვენ იდექით და სეირს უყურებდით, მე კი ვუყურებდი და ვიწოდი... არ შეგარჩენთ, არა, ამ ამბავს!.. ყველამ უნდა მიზღას ჩემი დანაკარგი. ძმის სისხლს, მინამ ცოცხალი ვარ, ავიღებ. მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო. ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩავტეხე ხიდი: მე ერთი აქეთ პირას დავრჩი, თქვენ მრავალნი იქით. განკითხვის დღემ გამოაჩინოს, საით არიან მართალნი და საით მტყუანნი. ღმერთი გულთამხილავია: მინამ საქმეს სასწორზედ დასდებდეს, ჯერ გულში ჩახედავს ადამიანს. მე ჩემი გზა მართლის გზა მგონია. მართალი ვარ, თუ მტყუანი, – არ ვიცი. ეს კი ვიცი, რომ ერთი პატარა ძარღვი კიდევ მქონდა გულში და ისიც დღეს სარჩობელაზედ ჩამწყდა. ამით სამუდამოდ მოვწყდი ქვეყანასა, როგორც წინადვე მოტეხილი ტოტი უკანასკნელ ძაფზეღა დაკიდებული. მშვიდობით!.. თუ როდისმე ჩემი ნახვა მოიწადინო, მოდი და მეც ჩემ ძმასავით სარჩობელაზედ მნახე. ჩემი ბოლო ეგ არის.

„არ ვიცი რად და ჩემი გული კი იწევდა, რომ შენ-წინ გადაშლილიყო. აჰა, გადაგიშალე და ლოდი ამეცალა.

„შენ სამს და ათ შაურს ერთი ათად გიბრუნებ. შენმა გულკეთილობამ რომ ტკბილი ნაღველი ჩამისახა გულში და კინაღამ არ დამიმორჩილა, აქამდის კიდევ გულში მიღვივის, როგორც ნაცრის ქვეშ შენახული ნაღვერდალი. ისიც გაქრება, ვიცი. განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემის მამინაცვლისა! განა შენ კი არ დამირჩე ერთად-ერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე!“

შვილი გაოცდა, მამას ცივმა ოფლმა დაასხა.

– მე რა შუაში ვარო! – დაიძახა კვნესით და თრთოლვით შეშინებულმა პეტრემ. პეტრე მთლად ცახცახებდა.

მართლა-და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს...

[1879 წ.]

ოთარაანთ ქვრივი

I

რას მიქვიან ტკბილი სიტყვა?

იმ ვეებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდა „წაბლიანს“ დავარქმევ, ყველამ იცოდა, ვინ არის ოთარაანთ ქვრივი. სოფლის გზირისათვის რომ გეკითხათ, ოთარაანთ ქვრივის კარმიდამოში მზისა და წვიმის მეტს არავის შეეძლო გავლა ქვრივის უნებურად.

ნაცვალი თუ იასაული, – რაც გინდ დიდი საქმე ჰქონოდათ, – ოთარაანთ ქვრივის ეზოში ვერ გაიწაწანებდნენ, და თუ როგორმე გაჰბედავდნენ, ისეთს ალიაქოთს ასტეხდა, რომ ბედსა და თავს დააწყევლინებდა. ნამეტნავად გზირს კარგად ახსოვდა ერთი ამბავი, და მერე ხომ მთელმა სოფელმაც შეიტყო. გზირს ერთხელ ერთი ქათამი წაერთმია, – დიამბეგი მობრძანდა, სოფლად ქათმებს ვაგროვებთო, და ასეთი ვაი-ვაგლახი დააწია,

რომ, ამბობენ, გუბერნატორამდე თავის ფეხით იარაო და ერთი ქათამი შვიდეულად დაუსვა მოურიდებელს გზირსაო. თუმცა თითონ ქვრივსაც ერთი ათიოდ მანეთი შემოჰხარჯოდა მისვლა-მოსვლაში, მაგრამ ამას ამბობდა თურმე:

– ფული რა არის?! ხელის ჭუჭყია... ერთი თუმანი რა სათქმელია!.. ჯავრი რომ არ შევარჩინე, ეს რადა ჰღირს! ტყუილუბრალოდ რომ არ დავეჩაგვრინე, ცოტაა?! დეე ამას იქით იცოდნენ, რომ მე ოთარაანთ ქვრივს მეძახიანო.

სწორედ იცოდნენ კიდეც. ჯგუფად რომ გლეხკაცობა სადმე მდგარიყო, ნამეტნავად თუ შიგ ერია სოფლის მოხელე ვინმე – ნაცვალი თუ მამასახლისი – და, ოთარაანთ ქვრივი მიმავალი დაენახათ, ისე გაიფანტებოდნენ აქეთ-იქით, თითქო ალალმა დაჰქროლა წიწილებსაო.

კაცი ვერ იტყვის, სძულდათ, თუ უყვარდათ ოთარაანთ ქვრივი სოფელში. შიშით კი ყველას ეშინოდა. ასე იფიქრეთ, ტირილით გაჭირვეულებულს და გაკაპასებულს ბალღებსაც კი ოთარაანთ ქვრივის სახელით აშინებდნენ გულზედ მოსული დედები.

– დაჩუმდი, შე არ-გასაწყვეტო, თორემ აგერ ოთარაანთ ქვრივი მოდისო.

ოთარაანთ ქვრივმა ეს კარგად იცოდა და ბევრს არას ჰნაღვლთბდა, რომ ასე ეკრძალებიან, ერიდებიან და უფრთხიან ყველანი.

– ქალაჩუნები რომ არიან, იმიტომაო, – იტყოდა ხოლმე თავისთავად. – ჩემი რად უნდა ეშინოდეთ? რა ბაყბაყ-დევი მე მნახესო! მე მარტო ისა ვარ, რომ ჩემს ჯავრს არავის შევარჩენ, ტყუილუბრალოდ არავის დავეჩაგვრინები. თუ გაჭირდა, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემდინ ვივლიო.

სოფელმა კარგად იცოდა, რომ ოთარაანთ ქვრივს ტყუილ-უბრალოდ ბაქიობა და მუქარა არ უყვარდა. იმისი თქმა და ქმნა ერთი იყო.

– მე და ჩემმა ღმერთმა, ბარაქალა დედაკაციაო, – იტყოდა ხოლმე დათია ბადიაშვილი ოთარაანთ ქვრივზედ, – არც სხვისას შეირჩენს, არც თავისას შეარჩენს სხვასა. ახლა შინა ჰნახე, – რა ამბავი აქვს: მთელი დღე ციბრუტივით ჰტრიალებს ოჯახში. იმისი ხელი და ფეხი დილიდამ საღამომდე არ დადგებაო.

სოფლის დედაკაცობას ხომ უფრო ეშინოდა ოთარაანთ ქვრივისა. ვაი იმას, ვისაც უსაქმოდ მოასწრობდა ხოლმე: ძირიანად ამოიღებდა, ძირიანად მოსთხრიდა.

– რაო, მუქთამჭამელოო? – ეტყოდა ხოლმე, – შენს ქმარს თავისთავის გამოკვება კი ეადვილება, რომ შენც მუქთად გკვებოსო. რას დაგიკრებია გულზე ეგ დასამიწი ხელები, – აი, მოგიკვდეს ეგ უგულო გული! მამაშენსა აქვს ცხონება, შენც თუ ხელი გასძარი, შენს ქმარს მეტი ლუკმა გულზე დაადგება, აი!.. მეტი მოუვა განა!.. აი დამიწდი, დამიწდი, კარგი რამ შენა ხარ!..

ისე არავის გაუვლიდა გვერდით, რომ არ გაეკინწლა, თუ რამ თვალში არ მოუვიდოდა. ძნელად იქნებოდა, რომ ტკბილი სიტყვა ეთქვა ვისთვისმე.

– ტკბილი სიტყვა რა არისო! – იტყოდა ხოლმე, – ამ გამწარებულს წუთისსოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოჰფხანს. გულის ფხანა რაღა დარდუბალაა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება. სიტყვა სამურველი ხომ არ არის, მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მისწიოს, ან იქით, თორემ ობი მოეკიდება, როგორც კიდობანში დავიწყებულს პურს. გული ადგილიდამ უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა

რის მაქნისია! უქმის კაცის საქმეა. თავადიშვილები ფეხის გულზე ხელს ასმევინებენ, რომ ძილი მოიგვარონ, გულის ფხანაც ის არის: ძილს მოჰგვრის. ის კი არ იციან, რომ თუ წუთისსოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა.

– ოთარაანთ ქვრივს გულის მაგიერ ქვა უდევსო, – ამბობდნენ სოფელში.

II

პილპილმოყრილი მადლი

მართლა ასე იყო თუ არა, ეს უნდა ეკითხოს ერთს სხვა ქვრივს დედაკაცსა, რომელიც სოფლის მეორე ნაპირას იდგა და მეტად წვრილშვილიანი იყო. ეს დედაკაცი ცოტა უხეირო, უნდილი რამ იყო, გარჯა ეზარებოდა და წვრილშვილი ნახევარზედ მშიერ-მწყურვალი ჰყვანდა. ოთარაანთ ქვრივი ყოველ კვირა დღეს ერთ ათიოდ შოთს და ერთ ბადია კორკოტს თავის ფეხით გადაუტანდა ხოლმე.

– აჰა, ხეთქეო, – ეტყოდა ხოლმე დედაკაცსა, – დაგიღია ეგ შავის მიწით ამოსავსები პირი, შე პირშაო, შენა, და შენი დღენი ძაღლსავით სხვას შეჰყურებ, აგერ გამოხრულს ძვალს გადმომიგდებენო. შე არ-დასაცალებელო, რისთვის მოუცია ღმერთს ეგ ბარძაყის ოდენა მკლავები!.. დახე, დახე, ამ წუწკსა, წუწკის შვილსა, სამგლე გოჭსავით გათხვირულა, ლუკმაპურის შოვნის უნარი კი არა აქვს. რა კარგი დაეყრებათ ამ შენს ცოდვის შვილებსა! შენი მაყურებლები შენგან აბა რა კარგს ისწავლიან! ესენი მაინც არ გეცოდება, შე უბედურის დღისავ!..

დედაკაცი, ამისთანაების ჩვეული, მაინც მადლობას ეტყოდა ხოლმე.

– მადლობა!.. შენთვის მაგრად შეინახე, ძონძებში გამოიკარ, არ დაგეკარგოს... დიდი განძია ეგ შენი მჭლე მადლობა ოთარაანთ ქვრივისათვის, ო შენმა მზემ! ეგრე ხელგაშლით რად იხარჯები. აი, მეხი კი დაგაყარე! მადლობა!.. კარგია – მუქთაა, თორემ მაგასაც ხომ ვერ იშოვიდი, რომ გარჯით საშოვარი იყოს. მადლობა!.. ეგ შენი მადლობა გინდა გახიე, გინდა გაფხრიწე...

გლახა-მათხოვარი ისე არ მიადგებოდა კარს, რომ ოთარაანთ ქვრივს რითიმე არ გაეკითხა, მაგრამ თავისებურად კი წამოულაგებდა.

– ი... ი... ი... შენ კი მოგიკვდა ეგ უხეირო თავი, – მიაყოლებდა ხოლმე, როცა გასაკითხს აწვდიდა, – დაგიბრიყვებია ჩემისთანა სულელი დედაკაცები და ლუკმაპურს პირიდამ აცლი. აი, მეხი კი დაგაყარე მაგ ქეციან თავზედ. შე ოხერო, რომ აგიღია თავი და დაეხეტები სათხოვრად, ნამუსი აღარა გაქვს? ამ წუთის-სოფელში ვისა აქვს მეტი ლუკმა, რომ შენც გაძლიოს. ვერა ჰხედავ, შე გულმკვდარო, რომ ვინც კია, წელებზედ ფეხს იდგამს და დღის სარჩოს ძლივსა ჰშოულობს და შენ როგორღა გარჩინოს! ქვეყნისა არა გრცხვენიან! არა, შე ოყრაყო, ოთარაანთ ქვრივი დედაა შენი, მამაა, თუ შენი მოვალეა, რომ შეგინახოს! აი გაგიხმეს ეგ ხელ-ფეხი! რისთვის გასხია ეგენი მაგ მუტრუკს ტანზედ, თუ ვერ მოგიხმარებია? ქვეყანას თავისი თავი კი შეუნახავს, რომ ეგ შენი ბრიყვი თავიც ინახოს? ფუ, შენს ნამუსსა!..

თუ მეტად შესაბრალისი და ღონემიხდილი გლახა შეხვდებოდა, ამაებს ხომ ეტყოდა და ეტყოდა და ბოლოს დაუმატებდა:

– წამოეთრიე ერთი მარანში, ღვინოს ჩაგაცეცხლებ. ნუ გეგონოს კი, რომ მადლს გიშვრებოდე რასმე. აი, გაქრეს, – ოთარაანთ ქვრივმა შენთვის არა გამოიმეტოს-რა. აი, ქვევრში რაღაც წუმპე ნაძირალა დამრჩა, მაინც გადასაღვრელია და ბარემ შენ ჩასცეცხლო.

წაიყვანდა, ერთ ორიოდ ჩარექას კაი ღვინოს გადაახუხებდა და გამოისტუმრებდა თავისებურად ქება-დიდებით.

ერთხელ ერთი მთხოვარა მიადგა კარს. ოთარაანთ ქვრივმა გამოუტანა გასაკითხად ერთი უშველებელი შოთი, რასაკვირველია, თავისებური პილპილიც მოაყარა ზედ: კარგად, ლაზათიანად გამოგილანძღათ. როცა მთხოვარა გაბრუნდა, მაშინ შეასწრო თვალი, რომ ფეხები დაჰხეთქოდა ფეხუცმელობით.

– დამაცა, შე არდასაცალებელო, – დაუძახა მთხოვარას.

მთხოვარა გაჩერდა. ოთარაანთ ქვრივი შევარდა სახლში, იღლიას ქვეშ ამოიჩარა ექვსი შოთი, მოვიდა მთხოვარასთან და დაუყვირა:

– მე გამომყევ, შე ადრე და მალე დასამარხავო!

გაოცებული მთხოვარა გაჰყვა, ოთარაანთ ქვრივი გავიდა სოფლის ბაზარში, ერთი შოლტი საქალამნე ღორის ტყავი გადმოაღებინა მედუქნეს, ექვსი პური მისცა, ტყავი გამოართვა და ისე მიახალა თავში მთხოვარას, რომ საწყალმა თვალებზედ ხელი მიიფარა, ცხვირ-პირში არ მომხვდესო.

– აჰა, შე არდასარჩენო, ამოისხი და ჩაიცვი. იქნება ამოსხმაც არ იცოდე, შე დასაღუპავო.

– რაო, ოთარაანთ ქვრივო, გემართა მაგისი, თუ რა არის? – ჰკითხა ქოსმანსავით გათხვირულმა მედუქნემ.

– მაშ არა-და, მაგის თავის მზემ, ჩემს თავს პურს დავაკლებდი და მაგის ქალამანში მივცემდი, – იტყუა ოთარაანთ ქვრივმა.

III

ხუთი ქისა

ოთარაანთ ქვრივს სოფლის ნაპირას ერთი კაი მოზრდილი ფიცრული ედგა. მისი ეზო, საკმაოდ ფართო გლეხკაცისათვის, გარს შემორტყმულია ტყრუშულის ღობითა. ეზო წმინდაა, ფაქიზად შენახული და დერეფნიდამ მოყოლებული ჭიისკარამდე სიგძე-სიგანეზედ მწვანით აბიბინებული. დერეფნის წინ, ერთ ოციოდ ნაბიჯზედ, უშველებელი კაკალი სდგას, შტოებ-ძირდაშვებული, შემორგვალებული, თითქო განგებ შემოკვეცილიაო.

კაცის თვალს ეამებოდა, რომ ეს ეზო ენახა. სახლი, როგორცა ვთქვით, ფიცრულია. მარტო ჩრდილის მხრივ კედელი მთლიანია, სხვა მხრივ კი ყოველგან თითო კარი აქვს დატანებული. კედლები ყველგან დაჩითულია სათოფეებითა. სჩანს შიშიანობის დროს ყოფილა აშენებული.

ამ სახლს მარჯვნივ წალმით დახურული მარანი ედგა, ოთხკუთხივ ღია და ფარღალალა. სახლის უკან კალო-საბძელია და საბძელქვეშ გომური. სახლის მარცხნივ პატარა ადგილია შემოღობილი და შიგ ბოსტანია.

აქ მოჰყავს ხოლმე ოთარაანთ ქვრივს ყოველივე ბოსტნეულობა, რაც კი

დასჭირდება საზაფხულოდ, თუ საზამთროდ. თავისის ხელით ჰბარავს, სთოხნის, ჰმარგლის, სთესს და ჰკრეფს ხოლმე. თუმცა სოფლელნი ბევრს იძახდნენ: ვის გაუგონია დედაკაცის ბარი და თოხიო, მაგრამ ოთარაანთ ქვრივი არას დაგიდევდათ.

– თუ არ გაუგონიათ, ეხლა გაიგონონო, – ამბობდა ხოლმე. – მითამ მე რითა ვარ ნაკლები აიმ დამპალ გოგიაზედ! თუ იმასა ჰშვენის ბარი და თოხი, მე რაღა ღვთისაგან შერისხული ვარ. რა ვუყოთ, რომ ის მამაკაცია და მე დედაკაცი. მითამ ჩემზედ წინ რით არის? იმასაც ორი ხელი და ფეხი აქვს და მეცაო. თუ ის ხელ-ფეხს ასაქმებს, მე რაღა დარდუბალა გადამკიდებია!.. რა საპყარი და დავარდნილი მე მნახესო!..

ბოსტანში მუშაობა ისე უყვარდა, რომ სხვის ხელს არ მიაკარებდა. ბოსტანში პატარა რუი იყო გაჭრილი და მუდმივ და გაუწყვეტლად წყალი ჩამოჩუხჩუხებდა, დიდის სოფლის რუიდამ წამოყვანილი. იმ სოფელში წყალი ბევრი იყო, სოფელს ზედ შუაზედ სამის წისქვილის წყალი ჩამოუდიოდა. როცა ძალიან გოლვა იყო, მაშინ კი წყალს სოფლელნი ერთმანეთსა ჰპარავდნენ, სტაცებდნენ ბოსტნებისა და ნამეტნავად ვენახების სარწყავად. ოთარაანთ ქვრივს კი ვერ უბედავდნენ წყლის მოკლებასა. თუ ვინმე გაჰბედავდა, ვაი იმას!.. ოთარაანთ ქვრივი მეწისქვილესავით გაიდებდა ხოლმე მხარზე თოხსა და აჰყვებოდა რუს თავამდინა. გლეხები რომ ამ ყოფით დაინახავდნენ ოთარაანთ ქვრივსა, იტყოდნენ:

– წამოვიდა მეხი, და ვაი იმას, ვისაც დაეცემაო.

სახლში რომ შესულიყავით, ყველაზედ უწინარეს თვალში გეცემოდათ სიფაქიზე და დაგვილ-დაწმენდილობა იქაურობისა. თარო ჩრდილოს მთლიან კედელზედ თავიდამ ბოლომდე გახიდულია და ზედ ჩამომწკრივებულია სუფთა ჭურჭელი ქაშანურისა. ორიოდე ქვაბი, ტაფა, ჩამჩა, ქაფქირი, ძალზედ დაწმენდილ-დარეცხილი, მხიარულად გადმოიცქირებიან მაღლიდამ, თითქო თავს იწონებენ, რომ კარგი მომვლელი და პატრონი ასჩენიათ.

კერას აქეთ-იქით თითო ტახტია დაფენილი ჭრელის ფარდაგებითა. კარგა ხნის ფარდაგებია, მაგრამ კარგად შენახული და ნაპატრონები. ტახტების თავზედ თითო ბაცანკალი, ანუ როგორც ზოგან ეძახიან, სართუმალი სდგას ხარატით ნაკეთები. კუთხეში ერთი დიდი კიდობანია. ეტყობა ძველი ნაკეთობაა, იმიტომ, რომ წინაპირზედ გამოხარატებულია სხვადასხვა სახე და ძველებური გრეხილ-ხვეულები სილამაზისათვის. ერთი დიდი სკივრიცა სდგას მეორე კუთხეში. ეტყობა ერთს დროს ლურჯად ყოფილა შეღებილი და ეხლა კი საღებავი გადასვლია. ამ სკივრზედ აკოკოლებულია ქვეშსაგები, ლურჯის სუზანით თავიდან ბოლომდე ჩამოფარებული.

ამ სახლის, ანუ როგორც თითონ ოთარაანთ ქვრივი ეძახდა, დარბაზის მოწყობილობისათვის რომ თვალი კარგად დაგეკვირვებინათ, იტყოდით, ამის პატრონი შეძლებული კაცი უნდა იყოსო. არც მოსტყუვდებოდით. გლეხკაცობის კვალობაზედ ოთარაანთ ქვრივს ბევრი შეჰნატრებდა. ამას ქმრისაგან დარჩა ნახევარგუთნეული საქონელი, ორი ფურკამეჩი, სამი ძროხა, ამას გარდა ორის დღის კარგად გაკეთებული და გავსებული ვენახი და ოციოდ დღის სახნავ-სათესი მიწა.

ვენახს ქვრივი ძალიან კარგად უვლიდა, ძალიან აპატიებდა და ვენახიც კარგს მოსავალს იძლევოდა. ამბობდნენ, რომ ოთარაანთ ქვრივი, რაც უნდა მდარე მოსავალი ყოფილიყო, სამს საპალნეს ღვინოს მაინც გაჰყიდდაო ყოველწლივ. მისი ღვინო საპალნე შვიდ-რვა და ათ თუმნადაც ბევრჯელ გაყიდულა თურმე. შინაც სახარჯოდ ღვინოს

სამყოფზედ მეტს ინახავდა. ათის დღის მიწას ყოველწლივ ხნავდა. სყიდვით იქნებოდა, ალოთი, თუ თავისის გუთნით, ათის დღისას უსათუოდ მოჰხნავდა და მოსთესავდა.

გაჰყიდდა ღვინოსა და მომეტებულს პურს თუ არა, ფულს ხუთ ნაწილად ჰყოფდა და ხუთ რიგად ინახავდა. ამისათვის ნაჭრებისაგან ჭრელი ქისები ჰქონდა, ჩანთასავით შეკერილები. ერთს ამისთანა ქისას „საჭირნახულოს“ ეძახდა და შიგ ინახავდა სახარჯოს პურისა და ქერების სამკალად, მოსაზიდად და სალეწად. მეორე ქისას „ბარაქალა ქისას“ ეძახდა. ამაში ინახავდა სახარჯოს ვენახის სამუშაოსათვის. მესამე ქისას “საჯანაბო” ერქვა. ამაში ინახავდა ფოსტის ფულსა და საბეგროსას, თუ ვინიცობაა სოფელი ოდესმე შეაწერდა. მეოთხე ქისაში ინახავდა მოჯამაგირის საჯამაგირო ფულსა. ამ ქისას ეძახდა: „მიეცი და მოგეცესო“. მეხუთე ქისაში ჰქონდა საშინაოდ სახარჯო და ღარიბთა გასაკითხი ფული. ამ მეხუთე ქისას ოთარაანთ ქვრივი ხან „ფარსიღას ქარვასლას“ ეძახდა, ხან „შიოს მარანსა“.

თვლა თუმცა მაგრერიგად არ იცოდა და ხშირად კენჭებს მოიშველიებდა ხოლმე, როცა უამისოდ დათვლა უჭირდებოდა, მაგრამ ანგარიში ძნელად შეეშლებოდა. პირველს ოთხს ქისაში იმდენს ჩააწყობდა, რამდენიც საჭირო იყო და ძალიან იშვიათად მომხდარა – ანგარიში არევოდეს. რაც პირველს ოთხს ქისას გადარჩებოდა, ყველას მეხუთე ქისაში დაუთვლელად ჩაჰყრიდა და, მინამ გამოილევოდა, დაუთვლელადვე ჰხარჯავდა.

IV

განძი და ანდერძი

ყველაზედ უძვირფასესი განძი სხვა დარჩა ოთარაანთ ქვრივს თავის ქმრისაგან. ქვრივს კი მართლა უძვირფასესად მიაჩნდა და სხვისა კი არ ვიცით. ეს განძი თოფ-იარაღი იყო. მისი ქმარი, დიდი გამრჯელი, მოამაგე, დიდი მუშაკაცი, განთქმული მონადირეც ყოფილა. სახლში რომ შესულიყავით და კერიდამ მარჯვენა ტახტის ზემოდ კედლისათვის შეგეხედნათ, ჰნახავდით ბუდით ჩამოკიდებულს კარგად მოზრდილ თოფს, ხმალს თავისის ყაწიმებითა, ხანჯალს, დამბაჩას, სასწრაფოს და საპირისწამლეს.

კვირა არ გავიდოდა, რომ ოთარაანთ ქვრივს არ ჩამოეღო ეს იარაღი და გულდადებით არ გაეწმინდა. როცა ამას შეუდგებოდა, გეგონებოდათ ჭლოცულობსო, ისე გულდასმით, კრძალვით და სასოებით დაუწყებდა ხოლმე წმენდასა. რაც ქმარი მოჰკვდომოდა, მას აქეთ სულ ასე ექცეოდა ამ იარაღსა. სულთმობრძავი რომ ყოფილიყო, მაინც ერთს კვირას ისე არ გაატარებდა, რომ არ დაეწმინდა, არ დაეკრიალებინა, ცხვრის დუმით არ გაეპოხა და ისე არ დაეკიდნა თავის ადგილას. ხოლო ერთხელაც ისე არ გაუწმენდია, რომ თვალში ცრემლი არ მოჰრევოდეს, გული არ ამოსჯდომოდეს და არ ატირებულიყოს.

– ვაი, ვაი მე უბედურსა!.. – ჩაიკრავდა ხოლმე გულში ხელს. – სადედაბეროდღა გახდა ეს ვაჟკაცის იარაღი. მოგიკვდათ, თქვე საწყლებო, კაი პატრონი!.. უიმე!.. განა მარტო თქვენ მოგიკვდათ!.. ხომ მეც მომიკვდა, მეც!.. წაიღო შავმა მიწამ ჩემი თევდორე... წამოგექცა, ოჯახო, დედაბოძი, დაგიმიწდათ თოფო და ხმალო, თქვენი ფანდი ვაჟკაცი... გატყდა შუაზედ ჩვენის წუთისსოფლის უღელიცა, მოგიკვდა, ოთარაანთ ქვრივო, ტოლდასადები მეუღლე, დარჩი ცალად... ვაიმე უშენოსა!.. ყვირილობის თვეში რომ

ირემს მომაყენებდა ურმით!.. იმისი ზარიანი ხმა რომ ყურს მომხვდებოდა, გული გადამიტრიალდებოდა სიხარულით. ჭირიცა და ლხინიც სულ მღერით და გალობით იცოდა. კაცი იყო, კაცი!.. ვენაცვალე იმის ჩრდილს!.. იმისი მუშაობა რომ ენახა კაცს, – თუნდა მარტოც ყოფილიყო, – ქორწილი ეგონებოდა. ქვასაც კი გააღვიძებდა და ხელს გაანძრევინებდა. ვენაცვალე იმის სახელს!.. რო კვდებოდა, მაშინაც კი არ შეუკრავს წარბი, დამიძახა და მითხრა:

– რა გატირებს, ადამიანო! განა შენ კი შეჰრჩები ამ წუთის-სოფელსაო. ყველას ბოლო ეს არის, ტირილით ნაშობი სიცილით უნდა კვდებოდესო. სააქაოს სტუმარი ვიყავ და ეხლა შინ მივდივარო. რა გატირებსო.

– რა ვქნა მე უშენომა? – შევჩივლე მე.

– როგორ თუ რა ჰქნა!.. გაისარჯე და ირჩინე თავიო. მე კი თითებიდამ ზეთი და ერბო მწვეთდა თუ! ვირჯებოდი და უტკივარს ლუკმას ვჭამდიო. ქვეყანა ღონიერია, ნუ გეშისო. ოღონდ ჭირს ნუ დაუტყდები, ნუ გაელახვინებიო... ე ჩემ პატარა გიორგის უპატრონეო, არ გამიღარიბო, არავის დამიჩაგვრინო, არავის არ შემინატვრინოო! გაიზარდოს და მერმე თითონ იცის: თუ იქნება თავისით იყოს, თავის მარჯვენით კაცობდესო. მამისეული თოფ-იარაღი შეუნახე, გამოადგება... თოფი ხაზინიანია – გაუფრთხილდეს, მხარში ცემა იცის. შორს მანძილზედ კარგად მიდის, ნიშანი კი ცოტა მაღლა დაუჭიროს... ეი... მაგის ტყვიის ზუზუნი ერთ რათმედა ჰღირს!.. ეჰ, რა ვუთხრა ამ წუთის-სოფელს!.. არ დამცალდაო... შენც მენანები, მაგრამ ეგ უფრო მენანება, ბალღია უსუსური, უმწეო. ეჰ, ნეტავი კი ეგ დავაჟკაცებული მენახა და!.. მერმე თუნდა ურმის თვალზედ გავცმოდიო... ეჰ, რაც არის, არის... ეშმაკის კერძად არ გამხადო, მკვდარს დამიურვე, მიპატრონეო.

ამის მერმედ ბევრი აღარა დასცალდა-რა. სთქვა ეს თუ არა, გადაბრუნდა კედლისაკენ, ერთი ამოიკვნესა, ჯიგარი თან ამოაყოლა, „მივდივარო“ მითხრა და მიაბარა ღმერთს ალალი სული. ვაი შენს დამკარგავს, ჩემო კარგო თევდორე.

ყოველს ამას მოიგონებდა ხოლმე ოთარაანთ ქვრივი, კალთით მოიწურავდა თვალებიდამ ცრემლს, და მინამ თოფ-იარაღს კრიალს არ დააწყებინებდა, არ მოეშვებოდა არც წმენდას და არც ტირილსა. რა თქმა უნდა, რომ ამ ცრემლს არავის დაანახვებდა, შვილსაც კი, შვილსაც არ შეამცნევინებდა ხოლმე.

ქმრის ანდერძს არ უღალატა. ოჯახიც შეინახა, სარჩო-საბადებელსაც თუ არ მოუმატა, არა დააკლო-რა, იარაღსაც კარგად უვლიდა და მკვდარსაც უურვებდა იმით, რომ ყოველ კვირას კორკოტსა და წანდილს ჰხარშავდა იმის სულის საცხონებლად და ყოველწლივ აწირვინებდა.

შვილის მოვლას ხომ ზედ შეალია თავისი ყმაწვილქალობა. ოცდაოთხის წლისა ძლივ იქნებოდა, როცა დაქვრივდა და ერთის წლის შვილი დარჩა. ის დღეა და ეს დღე, ჩაიცვა ლურჯი შილის პერანგი, შავი კაბა, თავზედ შავი მანდილი მოიხვია და აი ეს ოცი წელიწადია მხიარული ფერი არ მიუკარებია ტანზედ. თუმცა ბევრი მთხოვნელი ჰყვანდა, ბევრი ეხარბებოდა ოთარაანთ ქვრივის ოჯახში შესვლას, მაგრამ, – თქვენც არ მომიკვდეთ, – არ გათხოვდა და არა.

– მერე რა პირით-ღა შევეყარო საიქიოს ჩემს ქმარსაო, – ამბობდა ხოლმე. – აი, უწინამც დღე დაუბნელდეს ოთარაანთ ქვრივს, მინამ მამინაცვალს სახლში დაუსვამდეს თავის პატარა გიორგისა. ვენაცვალე იმის სიყრმეს!.. მამაშენს ვუღალატო!.. შენ გაგცე!.. აი,

უწინამც დედამიწა გაირღვევა და შიგ ჩამიტანს. გაიზარდე, ჩემო თვალის სინათლევ, და გაახარე აქ დედაშენი და იქ მამაშენი. აი, შენ დაგედოს მტლად შენი უბედური დედა!

იტყოდა ამას და შიგ გულში ჩაიკრავდა ხოლმე თავის პატარა ბუთხუზა ბიჭსა.

V

დედა-შვილობა

იმ დროს, როცა ჩვენს მოთხრობას ვიწყებთ, ოთარაანთ ქვრივის შვილი გიორგი ოცდაერთის წლის ბიჭი იყო. ერთი ჯმუხი და ძარღვიანი ყმაწვილი კაცი დადგა. კუპრსავით შავი და კარგად დაკოკრებული წვერ-ულვაში ლამაზად უხდებოდა მის შავგვრემანს და მოხდენილად მოყვანილს სახესა. თვალადობით მეტად სანდომიანი და მარილიანი იყო, და უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ მისი დიდრონი ქორული თვალები ცოტა მრისხანედ არ გამომეტყველებდნენ. თვალთა მეტყველების ჭექას აძლიერებდა გადაბმული წარბები. ეს მარილიანობას სახისას ბევრს უშლიდა. ამის გამო კაცი უნებურად თვალს მოარიდებდა პირველ თვალის მოსწრებაზედ. ხოლო რამდენსაც უფრო დააკვირდებოდით მის პირისახეს და თვალებსა, უფრო და უფრო მოგეწონებოდათ გიორგი. იშვიათად იცოდა ღიმილი, მაგრამ როცა კი გაიღიმებდა, თვალი ზედ დაგრჩებოდათ, ისე უხდებოდა ღიმილი. ტანადაც ერთი ბრგე კაცი იყო, მარჯვედ მოყვანილი და კარგად ჩასხმული.

კოხტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა. იმისი ყაითნებით მორთული საცვეთები, ჭრელი წინდები და ლამაზად გაწყობილი ფეხზედ ქალამანი რომ გენახათ, მაშინ დაიჯერებდით, რომ ჩვენებურ გლეხის ფეხსაცმელსაც თავისი სიტურფე და სილამაზე აქვს.

ბაზარში რომ გაივლიდა, იტყოდნენ ხოლმე: ერთი დოინჯის შემოყრა-ღა აკლია, თორემ თავადიშვილია და თავადიშვილიო.

ბევრს სოფლის საპატარძლო ქალებს თვალი დარჩენია გიორგიზედ, ბევრს შევარდნია გული, ბევრს ჩასახვია გულში იმისი სურვილი. გიორგის კი აინუნშიაც არავინ მოსდიოდა... ტოლ-ამხანაგობას აგრერიგად არ ეწყობოდა. და თუ როგორმე ჩაერევოდა, პირველობას ყველგან ამას უთმობდნენ.

მუშაობაში ხომ მთელს სოფელში ამას სწორი არა ჰყვანდა თითქმის.

– ერთი გიორგის ხელეური მთელ ძნად შეიკვრისო, – ამბობდნენ გლეხკაცები: – ბარს დაჰკრავს, ბარს, ასე გგონია დედამიწა უნდა შუაგულამდე ჩაანგრიოსო. მარტოხელი ძნის ურემს დაუდებს და შინ მოიტანსო. რაკი საქმეს დაადგება, ზედ შეელევა, მინამ თითონ საქმეს არ შეჰლევსო. საქმის გულით ამყოლია და ბოლომდე გამტანიო.

ბევრს ამისთანაებს ლაპარაკობდნენ გიორგიზედ სოფელში და მუშაკაცობის სახელი გავარდნილი ჰქონდა.

– ძალიან ხელგამომავალი ბიჭიაო, – ამბობდა ხოლმე ამისი დედა, – დიდი გამრჯელი, მაგრამ ცხონებულსავით გულღია და გულმხიარული არ არისო. ის ცხონებული ისე შეეჭიდებოდა საქმეს, თითქო ღრეობასა და ლხინშიაო. ესეც იმისავით გულმოდგინეა, დაუზარებელი, ხელმართალი, მაგრამ ძნელად თუ სადმე წარბს გაიხსნის და საქმეს შესცინებსო, სულ პირდაღვრემილია და წარბშეკრულიო.

თუმცა ასეთი იყო გიორგი, მაგრამ თავისის დედის ყურმოჭრილი ყმა იყო თითქმის. მის უნებურს თავის დღეში არ ინდომებდა. თუმცა კარგა მოზრდილი იყო, მაგრამ გიორგი სახლსა და ოჯახში ბატონობას არ შეეცილა დედასა. გვგონია, პირველობას და უფროსობას არც კი დედა დაუთმობდა, თუმცა შვილი გაგიჟებით უყვარდა. ან რა საჭირო იყო? ვაჟკაცს არ შეეძლო ოჯახის მოვლა ისე, როგორც ოთარაანთ ქვრივსა.

ამათს დედაშვილობას ბევრი შეჰნატროდა. დედაც შეჰხაროდა თავმოწონებით შვილსა. დედამიწის ზურგზედ იმის მეტი სიხარული და ლხენა არა ჰქონდა-რა, რომ შვილისათვის ეცქირნა, შვილისათვის ეცოცხლნა. „შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენთვის დავიცემ დანასაო“, იტყოდა ხოლმე თავის გულში დედა, როცა შვილს სამუშაოდამ მომავალს დაინახავდა.

ხომ ესე იყო, მაგრამ თავის დღეში არავისთვის შეუტყობინებია, რომ შვილი ასე გაგიჟებით უყვარს. შვილსაც კი უმალავდა თავის გულისნადებსა. მარტო ეს კი იყო, რომ შვილთან ტკბილი ლაპარაკი იცოდა. თავის დღეში არ გაუჯავრდებოდა, თავის დღეში ავის სიტყვით არ მოიხსენიებდა, თუმცა ხშირად კი სტუქსავდა. შვილი, რომელიც სხვისაგან თავზედ ფრინველსაც არ გადიფრენდა და ფეხქვეშ ჯიანჭველასაც არ გაიტარებდა, დედას თავის დღეში სიტყვას არ შეუბრუნებდა, რაც უნდა ძლიერ ეტუქსნა.

– მართალია და იმიტომაო, – იტყოდა ხოლმე თავისთავად გიორგი, — ბრალი ჩემია და ტუქსვაც ჩემზედ ახიაო.

არც ერთხელ არ ახსოვს გიორგის, რომ დედას უმიზეზოდ, ტყუილ-უბრალოდ დაეტუქსოს. რაკი ჩაუფიქრდებოდა ტუქსვას, მაშინვე გულს დააჯერებდა, რომ დედა მართალია. მართალს შეჩვეულს თითონაც მართალი უყვარდა. ღალატი და არმობა ისე გააწიწმატებდა ხოლმე, რომ თუ საჭირო იყო, ხელსაც გამოიღებდა, ჩხუბს ასტეხდა, თავს გამოიდებდა. ჯერ კიდევ ბალღობაში მოუხდა ამისთანა საქმე და აქამდე ახსოვდა. ახსოვდა იმიტომ, რომ დედისაგან ტუქსვას, შერისხვას მოელოდდა, და ამის მაგიერ დედამ კი მოუწონა.

ერთხელ – ჯერ გიორგი ათი-თორმეტი წლისა ძლივ იქნებოდა, – ერთს მოზრდილს ბიჭს თავისზედ პატარა ბიჭისათვის ქამრის ღილები დაეტყუვნა. მოტყუებული ბალღი ტირილით იჭაჭებოდა და ის კი ღილებს არ უბრუნებდა, გიორგიც მაშინ იქ ყოფილიყო და ბალღებთან ჰთამაშობდა თურმე. ყური მოჰკრა ბალღის გულამომჯდარ ტირილსა, შეიტყო მიზეზიცა და აემღვრა პაწაწა გული. დაანება თავი თამაშობას და მივარდა ღილების დამჩემებელს: მიეცი, რას ემართლებიო. იმას ხელი ეკრა მეტიჩარასათვის და გადაექცია. გიორგი წამომხტარიყო და ქვა დაეშინა. მივარდნოდა ურჩი ბიჭი, ხელახლად წაექცია გიორგი და ცემა დაეწყო. მოშველებოდნენ გიორგის სხვა ამხანაგები, ამოედოთ ქვეშ გიორგის მცემელი, წაერთმიათ ღილები და კარგადაც დაეზილათ. თუმცა პატარა ბალღს დაუბრუნეს წართმეული ღილები, მაგრამ გიორგი კი კარგად იყო დაბეგვილი. ცხვირი გაეტეხნათ და სისხლი სდიოდა. წითელი გულისპირი სულ ჩამოებხრიწნათ.

ცხვირპირდასისხლიანებული გიორგი, გულისპირჩამოგლეჯილი რომ შინ მიუვიდა დედას, ელდა ეცა.

– ეგ რა არის, შვილო, მაჩვენე ერთი, რა გაქვს გატეხილი?

– კუპრაანთ თედომა მცემა.

– რადა?

– თედოს მანასაანთ გოლასათვის ქამრის ღილები წაერთმია. ჩვენ უკანვე გვინდოდა გამოგვერთმია და ჩხუბი მოგვივიდა. მომერია, ის დიდია, მე პატარა.

– მერე წაართვით?

– წავართვით.

– რა უყავით?

– ისევ გოლას მივეცით.

დედას იამა და შუბლზედ წარბი გაეხსნა.

– ნუ გეშინიან, ცხვირი გაგიკაწრავს ცოტად, გაიზრდები, დაგავიწყდება, – უთხრა შვილს.

– არ დამავიწყდება. დაიცა ერთი გავიზარდო!.. მე ვუჩვენებ, ცემა როგორც უნდა.

დედამ შვილი გულს ჩაიკრა.

— სულ ცხონებული მამაა, ცხონებული მამა, – გაიხარა დედამ, – უი, შენ კი გენაცვალოს დედა-შენი, ჩემო ქებავ და დიდებავ!

ეს გულში სთქვა და გულშივე დაიმარხა, შვილს ცხადლივ არა უთხრარა. ხოლო ცხვირ-პირი რომ დაჰბანა და მოალამაზა, ეს დაატანა:

— აი, ჩემო კარგო, ეხლა უფრო ლამაზიცა ხარ და!.. წადი, შვილო, ითამაშე, ეხლა უფროც მოგიხდება. ჰტიროდა განა გოლა?

— მაშ?

— გაუხარდა ღილები?

— მაშინვე დაჩუმდა, აღარა ჰტიროდა.

პატარა გიორგი გამოჰწკრინდა თავის ტოლ-ამხანაგებისაკენ სათამაშოდ.

დედამ უყურა, უყურა გამალებულს შვილსა და როცა თვალთაგან მიეფარა, სთქვა:

— უი, შენ კი გენაცვალე! მამაც კარგი გყვანდა და არც შვილი იქნები უარესიო.

VI

გიჟია, თუ რა?

ეს ხასიათი დასჩემდა გიორგისა. დედისავით, – თავისი იყო, თუ სხვისა, – თუ ცუდი რამ იყო, გამოეკიდებოდა. ბევრს ამისათვის არ მოსწონდა გიორგი. კაცო, რა უნდა, სხვის საქმეში რად ერევაო? არა ერთი და ორი იძახდა ამას სოფელში. ამ ხასიათმა ბევრი ხიფათი შეამთხვია, მაგრამ არც თითონ იშლიდა, არც დედა უშლიდა. ამას წინად, – სულ ორი კვირა არ იქნება – კინაღამ სოფლის სასამართლომ გომურში არ ჩაამწყვდია. ერთი უცნაური და დაუჯერებელი ამბავი ჩაედინა.

გიორგი ტყეში ყოფილიყო ჭიგოს საჭრელად. ომარაანთ მოჯამაგირე ენახა ტყეში. თურმე ურემი გამოუტანებიათ შეშისათვის და ის კი ჩრდილში წამოწოლილიყო და ლაზათიანად ჰხვრინავდა. ეს კიდევ არაფერი. კამეჩები წნელით გამოება ურემზე. საცოდავი პირუტყვები იქავ ურმის თვალთან ეყარნენ და ზარმაცად იცოხნებოდნენ უილაჯობით.

გიორგი თურმე ზედ მიადგა მოჯამაგირეს, ტყიდამ მოდენილი. ფეხი წაჰკრა გასაღვიძებლად.

– ადე, ძმობილო, აუშვი ე კამეჩები, ცოდონი არიან.

– შენ რა ჩემი ფეხები გინდა, – დაუყვირა მოჯამაგირემ, როცა თვალები წამოაჭყიტა.

– თითონ რომ არ ვარგიხარ, შენი ფეხები ვისთვის რის მაქნისია. კამეჩები ცოდონი არიან-მეთქი.

– მერე შენ რა გეპრიანება?

– ის მეპრიანება, რომ არამია შენთვის ჯამაგირი. ვთქვათ პატრონს ატყუებ და ატყუებ, ე პირუტყვი მაინც არ გენანება, ქრისტიანი არა ხარ, მაგათი ცოდო მაინც არ გწვავს!.. მიგიღძვია საცოდავები წნელით ურემზედ, შიმშილით ფერდები ჩასცვივნიათ.

– მაშ არა და თავზედ დავისვამდი.

– დაისვამდი, მე ვიცი, მაგ ქეციან თავზედ ბევრს კი მოსძოვდნენ, აი!.. ვერა ჰხედავ, ტყეში ბალახი მუხლამდეა! ფასი ხომ არ გაგივა, გაგეშო, პირი მოეტყუებინათ.

– გამეშო-რა, მუქთი ფეხები მაქვს, მაგათ ძებნაში მერე სული ამომრთმევოდა.

– აი, შე უნამუსო! აქაო და არავინა მხედავსო, ნამუსის ქუდი აგიხდია და ლაფში გადაგიგდია. შენს ღმერთს რაღას ეუბნები! აქაო და კამეჩი პირუტყვია, შებრალება არ უნდა, თუნდაც სხვის ამანათი, სხვის მონაბარი არ იყოს!

– მერე შენ რა? ვისი ტიკი-ტომარა ხარ. შენი მოჯამაგირე ხომ არა ვარ?

– აი გაქრეს, გიორგიმ შენისთანა კაცი ახლოც არ მიიკაროს!!. ჩემი რომ იყო, ცარიელ პურის ჭამის ფასადაც არ შეგინახავდი. ადე-მეთქი!..

– დამეხსენ... შენ შენს წერას ხომ არ აუტანიხარ, რატომ ეგრე არახუნებ. თუ ზურგი არა გქავა, შენ შენს გზაზედ წადი-მეთქი, თორემ...

– თორემ... მე ვიცი, ყურებზედ ხახვი არ დამაჭრა. ადე-მეთქი, ამ პირუტყვების ცოდვაში ნუ სდგები, თორემ ამ ჭიგოს ხომ ჰხედავ?..

გიორგიმ ამის თქმაზედ ფეხი კიდევ წაჰკრა. მოჯამაგირე გულზე მოვიდა. წამოუხტა ზეზე. გიორგის წინ აეტუზა, გულ-მკერდი გადმოუგდო და მიუშვირა, თითქო ეუბნებაო: აბა, ეს მე და ეს შენ, დამკარ თუ კაცი ხარ და ქუდი გხურავსო.

გიორგის მოეწონა ამისთანა სითამამე მოჯამაგირისა, მაგრამ უკვირდა, – რის იმედითაო.

– რა ვქნაო, – სთქვა გულში გიორგიმ, – თუ ეს მართლა ვაჟკაცია, საქმეს არ უღალატებდა, პირუტყვს შეიბრალებდა, და თუ ვაჟკაცი არ არის, რატომ ესე გაბედულად მომიშვირა გულ-მკერდი და თავმოწონებით ალვის ხესავით წინ გამემართაო.

– თუ კაცი ხარ და თითს დამაწებ!.. მაშინ ნახავ შენს სეირს, – უთხრა გულ-მკერდ მოღერებულმა მოჯამაგირემ.

მუქარა იწყინა გიორგიმ. აღარც აცია, აღარც აცხელა, ეცა, წამოჰკრა სარმა და თუმცა ვერ დასცა, წააბარბაცა კი და ცალი ხელი დააბჯენინა დედამიწაზედ. წამოუხტა ფიცხლავ მოჯამაგირე, დაეტაკა გიორგის და ჰკრა გულისპირში ხელი. გიორგი შეტოკდა და გადაიზნიქა უკან.

– ბიჭოს!.. შენ აღარა ხუმრობ, – დაუძახა გიორგიმ, ჭიგო ხელიდამ გააგდო და შეძიძგილავდნენ.

გიორგიმ ბევრი აღარ აცალა: ჰკრა მოგვერდი და გააკრა დედამიწას, როგორც შოთი თონესა. წაქცეულს ხელიც არ დააკარა. მოჯამაგირემ დამარცხება ძალიან ითაკილა, – ისიც თავმოწონებული ბიჭი იყო – წამოუხტა და ერთი ლაზათიანი სილა გაუშალა გიორგის უეცრად. როგორ თუ სილაო, მივარდა გიორგი, ამოიდო ქვეშ და იმდენი სცემა,

რომ მოჯამაგირემ ხვეწნა დაუწყო.

– წადი, საცა შენი სთქვა, იქ ჩემიც ნუ დაგავიწყდებაო, – უთხრა გიორგიმ, – და ღმერთს კი არსად წაუხვალ ამ პირუტყვების ცოდვითაო.

თქმა არ უნდა, რომ გიორგისაგან გაბოროტებულმა მოჯამაგირემ თავისი ცემა შესჩივლა ომარაშვილსა.

– რადა გცემაო? – ჰკითხა ომარაშვილმა.

— მაგდენს რად უდებ ურემსაო? ან საქონელი არ გეცოდება, ან შენი თავიო!.. ეგეც რომ არ იყოს, სხვასაც ხომ მაგდენს მოსთხოვენო: ვთქვათ, შენ შეგიძლიან, სხვა მაინც არ გეცოდებაო. მომდგა ამაზედ და ჭიგო ზედ დამალეწა. შენც დედა და მამა საფლავში არ დაგიყენა. აქაო-და ჯამაგირს იძლევა, სულს ხომ არ ამოგართმევს ადამიანსაო.

– ბიჭო-და, მაგდენი არა გედო-რა ურემზე!

– ეგა სთქვი-და!.. მეც ეგ არ მიკვირს, რა მოეჩვენა იმ ოჯახდაქცეულსა! მე კი ასე შემაქცია-და!..

ომარაშვილი გავლენიანი კაცი იყო სოფელში, ითაკილა, მოჯამაგირე როგორ გამილახა იმ გუშინდელმა ჭყლინტმაო. წაიყვანა მოჯამაგირე და სოფლის სასამართლოში აჩივლა. თითონაც, რასაკვირველია, წაექომაგა.

– მოწმე გყავსო? — ჰკითხეს მოჯამაგირეს.

– ოთარაანთ გიორგის რა მოწმე უნდა? ღმერთმანი, იტყუებს-და!.. – სთქვა ვიღაცამა.

– მაგას კი მართალს ამბობს, – სთქვა ერთმა მოსამართლემ, – ის ტყუილს არ იტყვის, პირიანი ბიჭია.

კვირა დღეს დაიბარეს გიორგი.

– მართლა სცემე? - ჰკითხეს.

– მართლა ვცემე.

– რადაო?

გიორგიმ ყველაფერი უამბო.

– ბიჭო-და, შენ რა დავა გქონდა?

– ის დავა მქონდა, რომ მაგისთანა ნამუსახდილ კაცისაგან ქვეყანაა დაღუპული. კაცი კაცს ვეღარა ჰნდობია. მაგის გამოისობით კარგ მოჯამაგირესაც ნამუსი აქვს გატეხილი. თითონ ხომ ეძინა და ეძინა, კამეჩებიც მიეღრძო ურემზედ. იმათ საცოდაობამ დამწვა, სხვა არა იყოს-რა.

თქვენი მტერი იყოს, მოსამართლეებს დღე დაადგათ. ომარაშვილის გულის მოგებაც უნდოდათ, ერთს სადილს მაინც გვაჭმევსო; ოთარაანთ ქვრივისაც ეშინოდათ, გუბერნატორამდის ივლისო. თუნდ ეგეც არ ყოფილიყო, გული გიორგისაკენ უწევდათ, თუმცა ცემა კი ცემად ედგათ თვალ-წინ. არ იცოდნენ, გულს აჰყოლოდნენ, ოთარაანთ ქვრივის შიშსა, თუ ომარაშვილის ხათრსა.

ომარაშვილმა დაიხსნა გაჭირვებისაგან სამართალი.

– მე ჩემდა თავად მიპატიებია გიორგისათვის, – სთქვა ამან, – და სხვამ თავისი იცის. ყოჩაღ, ბიჭო, მე და ჩემმა ღმერთმა, ყოჩაღ!.

– უპატიებია!.. წამოიძახა გაჯავრებულმა მოჯამაგირემ, – აი, გამიჯდა გვერდებში!.. ზოგი ამ ჩემს დალურჯებულს გვერდებსა ჰკითხე.

– რა ვკითხო, შე ოხერ-ტიალო! მე თუ მკითხავ, ეგ ცოტაც არის შენთვის-და!.. –

უპასუხა ომარაშვილმა.

– მე და ჩემმა ღმერთმა, მართალს ამბობს, – სთქვეს მოსამართლეებმა და დაითხოვეს შინ გამართლებული გიორგი.

– ბიჭო-და, ეს კაცი ან გიჟია, ან ღვთისაგან მოგზავნილი, – ეუბნებოდა გიორგიზედ ერთი იქ დამსწრეთაგანი მეორეს, როცა სასამართლოდამ ხალხი დაიშალა და შინისაკენ წავიდ-წამოვიდა. – რომ არ გაგონილა!..

– მე და ჩემმა ღმერთმა, მაგის გულში ან ღვთის მადლი ჰტრიალებს, ან ერთი რაღაც უბედურებაა მაგის თავს, – დაჰკრა კვერი მეორემ.

– იმდღევანდელი არ იყოს: ბეჟანიშვილის მოჯამაგირეს ურმით საფქვავი მოჰქონებოდა შინ. იმ ოჯახდაქცეულს თავსუბუქად დაედო. კამეჩები თურმე ყელში ჰხრიალებდნენ, ისე წასჭეროდათ აპეურები. ოთარაანთ გიორგი გზად მოდენილა თურმე. დაუნახავს ეს ამბავი. ამხტარა ურემზედ, საცალოები წაუწევ-წამოუწევია, გაუმართავს რიგზედ ურემი, ერთი ლაზათიანი, შენი მოწონებული ჩაუთხლეშია თავში და უთქვამს:

– შე ადრე და მალე დასაბრმავებელო, ვერა ჰხედავდი, კამეჩები ირჩობოდნენ, რა პირით მიდიოდი პატრონთანაო.

– ეხლა ჩვენში რომ ვიკითხოთ: რა დავა ჰქონდა?

– ეგა სთქვი და გაათავე. მეც ეგ არ მიკვირს! აკი ვამბობ ეგ კაცი ან გიჟია, ან ერთი რამ ღვთის ნიშანია მაგის თავზედ მეთქი.

– დედაც ხომ მაგისთანა გადარეული და დამთხვეული ჰყავს. მამაც კი – ღვთის წინაშე – ცოტა არ იყოს, მოუსვენარი კაცი იყო. ეგეები იმანაც იცოდა.

– აი, ამაზედ არის ნათქვამი: დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო. მაგათში ან დიდი ცოდო ჰტრიალებს, ან დიდი მადლი. აქ სხვა ნიშანწყალია.

გიორგი რომ შინ მივიდა, ყველაფერი უამბო დედას. ოთარაანთ ქვრივს გაუკვირდა:

– დახე, მაგ ვირთაგვებსაც ზოგჯერ სწორე სამართალი სცოდნიათო!..

VII

ჯავრი დედისა

გიორგი ოც-და-ერთის წლის ვაჟიკაცი იყო და ცოლის შერთვა ფიქრადაც არ მოსდიოდა. ოთარაანთ ქვრივი ამაზედ ძალიან ჰნაღვლობდა და სწუხდა.

– რა ვუყო?.. – ჰფიქრობდა ხოლმე, – ცოლ-ქმრობის საქმე ცაში ჰრიგდებაო. სჩანს ღმერთს ჯერ არ მოუწადინებია. დრო კი უწერს: მაგ ხნის ბიჭებს შვილებიცა ჰყავთ. ოი, ერთი მაგის შვილი კი გამიგორა კალთაში და თუნდა მაშინვე გულ-ხელი დამიკრიბონ და ცოცხალი დამმარხონ.

ეს ხომ აწუხებდა და აწუხებდა, ამ მწუხარებას ერთი სხვა ნაღველიც ზედ დაემატა. ოთარაანთ ქვრივი ამ ბოლოს ხანებში ჰხედავდა, რომ შვილს გუნება ეცვალა, უფრო დაიღვრიმა, უფრო გული დაიხურა, უფრო ჩაიკეტა, უფრო დანაღვლიანდა. ხომ არც წინად იყო მხიარულის გუნებისა, მაგრამ ეხლა მეტის-მეტია, თითქო რაღაც წაჰკიდებია და თქმა ეკრძალებაო.

მოვიდოდა შინ მუშაობიდამ კარგა ბინდისას და, თუ მთვარიანი ღამე იყო, წამოწვებოდა ეზოში მწვანეზედ, თავ-ქვეშ ორსავ ხელებს ამოიდებდა და გარინდებული

იდო ხოლმე მთელის საათობით გულაღმა. შეჰყურებდა ცას და ღრუბლებს, თითქო ვარსკვლავებსა სთვლისო, ან ღრუბლებს თვალს ადევნებს თავის გასართობლადაო. რა მოერია, რამ სძლია, რამ დაუღონა შვილი – დედას ვერ გაეგო.

– შვილო, შინ შემოდი, ნამუშავარი ხარ, დედამიწამ არ დაგცადოს, – უთხრა ერთხელ დედამ.

– არა მიშავს რა, დედი! ცოტა ხანს კიდევ მამყოფე ასე, დედა-შვილობას.

– ძილის დროა, შვილო! ლამის ალიონი ამოვიდეს...

– ეჰ, დედი!.. ზოგჯერ ძილიც ძილი არ არის...

– რატომ, შვილო? – იკითხა დედამ და გასწია შვილისაკენ. თავს რომ წაადგა, უთხრა:

– გიორგი!.. შვილო!.. არ მეტყვი, ბიჭო, რა წაგეკიდა? დედა ვარ შენი, დედა... ნაღველი გაქვს რაღაცა და არ მეუბნები.

გიორგი წამოჯდა.

– არა, დედიჯან! ასე მიყვარს მთვარიან ღამეში გდება.

– ეს ორი წელიწადია, რაც ეგრე დაიჩემე. რატომ ადრე არ იცოდი?

– განა კაცი სულ ერთს გუნებაზეა! მაშინ ისე ვიყავ, ეხლა ასე ვარ. დრო იყო ძუძუსა ვწოვდი, დრო მოვიდა –გამომცხვარ პურსა ვჭამ. ამით მითამ რაო?

– ისაო, შვილო, რომ ზოგი ჩემს გულშიაც ჩამოიხედე.

– ჩამიხედნია, დედი, ჩამიხედნია და ვიცი, რომ შიგ მარტო მე გიზივარ...

– მაგას არ გეუბნები... იმდღევანდელი არ იყოს!..

– რა იმდღევანდელი?

– აი, საბარავად რომ იყავი ვენახში. მე ჯერი ჩამოგიტანე. შენ ვაზებში გიპოვე: მხარი დაგებჯინა ბარის ტარზედ, ბარის ტარს დაჰყუდებოდი და გაშტერებული დასცქეროდი დედამიწას ელდანაცემსავით. რა ამბავი იყო? მაშინ არა გკითხე-რა, აქ კი დავიჭდიე, აქ.

ოთარაანთ ქვრივმა გულის-ფიცარზედ დაიდო ხელი.

– წაშალე ნაჭდევი, ტყუილად გარჯილხარ. რა ამბავი იქნებოდა?! დავიღალე და ხელ-ფეხს ქარი ამოვაღებინე, – უთხრა შვილმა.

– შენი ფიქრი სადა ჰქროდა, რომ ვერც კი გამიგე, როგორ მოგივედი, ისე სმენა-დახშული და გონება-გაქცეული იდექი. განა ერთხელ და ორჯელ მინახვიხარ: ჰმუშაობ, ჰმუშაობ და უცებ გაირინდები ხოლმე. განა ერთხელ და ორჯელ მინახვიხარ: სადილ ვახშამზე ლუკმა პირში ჩაგიდვია, ყბაც არ მოგიქნევია, განაბულხარ, თითქო სადილიდამ წაგიღო რამემ, კლდის პირას დაგაყენა და ხელის კვრას გიპირობსო.

– ეგეც დრომ იცის, დედი!

– სხვამ არაფერმა?

– იქნება სხვამაც...

– ჯადომაც იცის, შვილო ჯადომაც...

გიორგის გულში მოხვდა ეს უკანასკნელი სიტყვა. აიტკიცა, ეჯავრა. კარგადაც ვერ მიეგნო, – რად უხსენა დედამ ჯადო. გუმანმა კი წაიღო, გუმანმა აიყოლია მისი გონება.

– ჯადო რა მოსატანი იყო? – ჰფიქრობდა გიორგი თავისთავად, – ვაი, თუ...

ვერ დაასრულა სათქმელი. სიტყვა შეეკრა, თითქო ელდა ეცაო, რომ გულიდამ კლიტე აჰგლიჯეს, კარი გაუღეს და შიგ ჩაჰხედეს.

გაიქნია უმადურად თავი, წამოდგა ფეხზედ, დედას ტკბილად მოჰკიდა მკლავზედ ხელი და უთხრა:

– წავიდეთ, ეხლა კი ძილის დროა. „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობაო“, შენგან გამიგონია, დედი!

– „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანაო“, მაშ ესეც გაიგონე, ჩემო კარგო! – უთხრა დედამ.

– რა ვქნა, – ჰფიქრობდა გულში გიორგი, – რატომ ეგრე ახლო მიმივიდა? ცოდნით მოსდის, თუ ალალბედობით? თითონ ჰტრიალებს ახლოზედ, თუ ჩემს გუმანს მოაქვს იმისი სიტყვა შორიდამ ახლოს. გაცლაო!.. თქმა ადვილია!..

იმ ღამეს ოთარაანთ ქვრივს დილამდე ძილი არ მიჰკარებია. იმ დღის ნალაპარაკევმა ათასნაირს ფიქრის მორევში ატრიალა ნაფოტსავით იმისი ჭკუა და გონება.

– პაჭიჭს კი, მგონი, წვერი შემოერღვა, – სთქვა თავისთავად ბოლოს, – მგონი, მივკვლიე: დროც ერჩის და ხანიც უწერს. რატომღა არ მეუბნება, ვინ არის?

ეხლა ამას სწუხდა, ამას მტკივნეულობდა დედა.

– არ უჭირს და იმიტომ, – ინუგეშა თავი ოთარაანთ ქვრივმა, – როცა გაუჭირდება, მეტყვის.

მოხუჭა თვალი ქვრივმა. არ დაეძინა. გადაბრუნდა ხან იქით, ხან აქეთ, ძილი არ მიეკარა.

ღამე კი არ უცდიდა, თავის გზას ეშურებოდა.

– მართლა კი მივუხვდი?.. მართლა კი მივკვლიე?.. – ეჭვობდა გიორგის დედა, – იქნება გუმანმა დამიბრიყვა და მატყუებს. რა ვიცი?.. ადამიანის გული თვალთუწვდენი ორმოა. ვინ იცის?.. იქნება მე ერთი მგონია, იქ კი სულ სხვა ამბავია... სხვა რა უნდა იყოს, რა?.. – ჰკითხავდა თავისთავს და გული უკვნესოდა, რომ პასუხი ვერ ეპოვნა.

ღამე კი მიდიოდა და მიდიოდა. დიდ-ვახშმობას გადასცილდა. ხმაურობა მისწყდა, მარტო კუთხეში, პურის კიდობანთან, თაგვი აფხაკუნებდა.

– სხვა რა უნდა იყოს, რა!.. – იძახდა ძილდამფრთხალი ოთარაანთ ქვრივი, – თუ გამტეხავს, ამის ნაღველი გამტეხავს... არ გამენდო... არ მეუბნება ჩემი გიორგი და არა... თუ გული შევარდნია ვისზედმე, რად უნდა მიმალავდეს! რა დასამალავია ჩემთან!... და თუ სხვა რამ ასტეხია... ღმერთო, ნუ მაფიქრებინებ...

გადიწერა სამჯერ პირჯვარი, თითქო ლანდი რამ მოელანდა და იმას იგერებსო.

გვიანი მთვარე კი მთის წვერზედ შედგა და პირიქით გადაქანებას აპირებს. აგერ გადაექანა კიდეც და ჩავიდა. ღამე მიიწურა. უფრო დაბნელდა, ქვეყანა უფრო გაჩუმდა, უფრო გამუნჯდა, ხოლო თაგვი ისევ ცოდვილობდა კიდობანთან.

– ამ ორის წლის წინად თოფ-იარაღი აისხა ზედ, – ვენაცვალე იმის სიყმეს! უხდებოდა მამისეული, – წავიდა და სამი დღე შინ აღარ დაბრუნებულა. მე, სულელს, მაშინ ეს გუნებაშიც არ გამიტარებია. ეხლა კი მაღონებს და გულთა მკბენს... სანადიროდ ვიყავიო, მითხრა. თუ სანადიროდ იყო, ხელცარიელი რად მოვიდა? მერე ყვირილობაც იყო... თავის დღეში ხელცარიელი არ მინახავს ნადირობიდამ დაბრუნებული. იმ ცხონებულს არ ჩამოუვარდება. თუ მეტი არა, მამაზედ ნაკლები არც ეს არის... მას აქეთ დაიგდო ნაღველმა. მე კი ესე დამახსოვდა-და!.. მას აქეთ დააწვა რაღაც ლოდი გულზედ და ვეღარ აუხსნია... ხომ კაცი... ღმერთო, ნუ მაფიქრებინებ, ღმერთო, ცა-მრგვლის გამჩენო! რა ვიცი?.. ამ ტიალ წუთის-სოფელში ფათერაკი-ბევრია... ღმერთო, მაშორე, ფუ, ეშმაკსა

და იმის თავსა და ტანსა!..

შეაფურთხა ეშმაკს და გადიწერა კიდევ სამჯერ პირჯვარი შეშინებულმა დედამ. ფიქრი კი მაინც ერჩოდა, ეჭიდებოდა.

ამოვიდა ალიონიც. ღამემ დღეს კარი დაურაკუნა.

რაკი ამისთანა ფიქრმა ერთხელ გული ამოუფრთხო ბუდიდამ, უძილობისაგან გალახულმა, ფიქრის ჭიდილში მოქანცულმა ოთარაანთ ქვრივმა თავი ვეღარ დაუჭირა გულს, ვეღარ დაიწყნარა, ვეღარ დაიმორჩილა.

– ღმერთო, მიხსენ! – იძახდა ღონემიხდილსავით და ერთს ავს ფიქრს რომ აიცილებდა, ახლა უფრო უარესს წააწყდებოდა. ფიქრი ლანდად გადაექცა.

ღამე გამოეთხოვა ქვეყანას. ერთი კალთა ცისა აიხადა. გარიჟრაჟდა. მტრედისფერმა გადაჰკრა ცის გუმბათსა. დილამ კარი გაუღო დღეს და გამოახედა.

ოთარაანთ ქვრივიც მოჰღალა ფიქრმა... თვლემა მოერია, ღვიძილი ძილად ექცა და ცხადი – სიზმრად. სჩანს ამ ფიქრების ზარი ძილშიაც ჩაჰყვა, რომ მძინარემ რამდენჯერმე წამოიძახა:

– ღმერთო, მიხსენ! ღმერთო, მიხსენ!

VIII

გასტეხს ქვასაცა მაგარსა...

მზემ ადგომა მაინც ვერ დაასწრო. ოთარაანთ ქვრივი პირდაბანილი და ტანთ-ჩაცმული იყო, რომ მზემ მაშინ ძლივს ამოჰყო თავი მთის წვერიდამ და გადმოხედა ქვეყანას თავის ერთად-ერთის ოქროსავით ბრჭყვიალა თვალითა. მთების ნამს მოახვედრა მზემ თავისი სხივი თუ არა, მთამ ორთქლი აუშვა, თითქო საკმელს უკმევს ამ უზარმაზარს ცეცხლის ბურთსაო.

– რა დამემართა წუხელის? – ჰკვირობდა ოთარაანთ ქვრივი, – რამ წამიღო? რამ დამძლია და ამითრია? ჭირს ნუ გაუტყდებიო, მითხრა ცხონებულმა. მოდი და ნუ გაუტყდები!.. დამალული ჭირი ძნელია. პირდაპირ მოსულს კიდევ როგორც იქნება შეეჭიდება კაცი... ვის ვეჭიდო და რას, რაც არ ვიცი. გული ამან შემიშინა... ბნელმა თავის ნაბადში გაახვია ჩემის გიორგის ამბავი. თუ სიყვარულია... ღმერთმა ბედი მისცეს და თუ სხვა რამ არის!.. ცოდო... სისხლი... ჩაიქოლე თავი, ოთარაანთ ქვრივო, ჩაიქოლე... გულზედ ლოდსავით დააწვება და თავის დღეში აღარ აეხსნება. აღარ აეხსნება... აღარ, აღარ!..

კიდევ აჰყვა წუხანდელს ფიქრსა. სულ ის სამის დღით წასვლა შვილისა აგონდებოდა და აფრთხობდა.

ფიქრი, რაკი ერთხელ ასე თუ ისე გამოიკვანძა, თოვლის გუნდასა ჰგავს, მთის წვერიდამ დაქანებულს: რაც დიდ მანძილზე მიჰგორავს, უფრო ძლიერდება, უფრო ჰმატულობს, უფრო ჰდიდდება. თუ კაცმა არ დააყენა, ზვავად იქცევა და სხვას ყველაფერს თან გაიტანს. ოთარაანთ ქვრივსაც ასე მოუვიდა. დაუგუნდავდა ფიქრი, შვილის სიყვარულმა ხელი ჰკრა და დააგორა იმ მაღალ მთიდამ, საცა მარტო ჭეშმარიტი დედა-შვილური სიყვარული ჰსადგურობს. რა გაუძლებდა!..

ყოველგვარი სიყვარული, – დედა-შვილურია, თუ სხვა, – მაინც ფრთხილია და მშიშარა: ჭირი უფრო ელანდება, ვიდრე ლხინი, როცა საყვარელის ტკივილი გამოცანაა, დამალულია, მიუგნებელია.

დედას შვილი ისევ ლოგინში მწოლარე ეგონა, როცა – აქაოდა შვილი არ გამოვაღვიძოო – ბნელ სახლიდამ ფეხ-აკრეფით გარეთ გამოვიდა ცოცხით ხელში დერეფნის დასაგველ-დასაწმენდად. გაუკვირდა რომ თვალი შეასწრო გიორგის, კაკლის ქვეშ ჩრდილში მწოლარეს. გიორგის თავისებურად ამოედო თავ-ქვეშ ორივ ხელები, პირაღმა იწვა ფეხებ-გაშოტვილი და კაკლის მაღალ შტოებს შესცქეროდა. ყუისავით თეთრი და ფაფუკი ღრუბელი ნაჭერ-ნაჭერ აქა-იქ მიდიოდ-მოდიოდა წყნარად და აუჩქარებლად გადაწმენდილ ცაზედ, თითქო ტოლ-ამხანაგებს ეძებენო ხელი-ხელს გადასაბმელად. ციაგ-მკრთალს ლაჟვარდს დილის ცისას საუცხოვოდ გადაეშალა თავისი კალთები ამ სუბუქად მცურავ პაწია სტუმრებისათვის, თითქო დედა იწვევს ახლად გაღვიძებულს ბალღებს კალთაში გასაგორებლადაო. სხვა დროს ამისთანა ცა, ამისთანა დილა ოთაარაანთ ქვრივსაც კი გაუხსნიდა მჭახე შუბლსა. ეხლა კი დარდი და ნაღველი არ აცლიდა.

– შვილო, ამდგარხარ კიდეც!.. მე კი ისევ ქვეშაგებში მეგულებოდი, ვერც კი დავხედე შენს ქვეშაგებს, არ გავაღვიძო-მეთქი.

– ძილი გამიკრთა, დედი! მე ჩემი ვქენ, ძილმა თავისი, არ იქნა, არ დამეძინა. გამიხარდა, რომ გათენდა და გარეთ გამოვედი.

დედა მივიდა, თავთ დაუჯდა შვილს და შუბლზე ხელი გადაუსვა.

– გიორგი, შენ შენსას მაინც არ იშლი…

– რას მიჩივი, დედი?

– რაღაც ნაღველი გაქვს, შვილო, რაღაც ნაღველი... წუხელის შენმა ჯავრმა არ დამაძინა.

– მართლა-და, ძილში ჰლაპარაკობდი, – შორს გადუგდო სიტყვა გიორგიმ. – სულ ამას იძახოდი: ღმერთო, მიხსენ, ღმერთო, მიხსენო!

– მე, შვილო?

– ჰო-და შენ.

– მე ძილში ლაპარაკი არ ვიცი.

– ეგრე კი იყო-და!

– მე ცხადლივაც მეჯავრება ტყუილ-უბრალო ღიჭინი.

– ღვთის ხვეწნა ტყუილ-უბრალოა?

– მა რა არის, როცა უდრო-უდროა. განა ჩემის მეტი დარდი არა აქვს ღმერთსა?! ვენაცვალე იმის მადლს...

– დედი, რას ამბობ?

– იმას, ჩემო კარგო, რომ ღმერთმა ადამიანი გააჩინა, უბძანა: წადი, შენს თავს შენვე მოუარეო; შენ იცი და შენმა წუთისოფელმაო; რაც წაგეკიდოს, შენი ბრალი იქნება, მე ნურას დამაბრალებო; მე ხელი დამიბანიაო; აქ ჩემთან რომ ამოხვალ, მაშინ სხვა არისო. ადუღებულ კუპრის ზღვაზედ ბეწვის ხიდს გაგიდებ, თუ კარგი ხარ, – გაივლიო; მადლი მხრებში შეგიჯდება და გაგატარებსო; კაი კაცს არ ჩაუწყდებაო.

– მადლი სუბუქია და ცოდო მძიმე განა, დედი?..

გიორგის უხაროდა, რომ დედა ფიქრით შორს წაუვიდა და ჰცდილობდა უკან აღარ

დაბრუნებულიყო, კიდევ მე არ ჩამაცივდესო. ის კი არ იცოდა, რომ ცოდოს ხსენებაზედ დედას ელდა ეცა. ოთარაანთ ქვრივმა ყურები აცქვიტა, ცოდო რად ახსენაო. ჩვეულმა და ჭირვეულმა ფიქრმა ხელახლად დაჰქროლა და მოუშუშა გული.

– მა რა არის, შვილო!.. – უპასუხა გულშეხუთულმა დედამ, – ეს წუთის-სოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია, სხვა არაფერი. ზოგი ცოდოს იკიდებს ზურგზედ და ტყვიასავით მძიმეა, ზოგი მადლს და ბუმბულსავით სუბუქია. შენთან ცოდოს რა ხელი აქვს!.. – უთხრა დედამ და ჩაუკვირდა შვილს, აცა რას იტყვისო დამნაშავე სამაკვდინო განაჩენს ისე გულის ფანცქალით არ მოელოდინება, როგორც ამ ჟამად დედა შვილისაგან პასუხს ელოდა.

– უცოდველი ვინ არის? ისეთისაგან კი ღმერთმა მიხსნა, – უპასუხა შვილმა.

დედას გულზედ მოეშვა.

– მა რას ჩაკეტილხარ და დახურულხარ შენს გულში? შვილო, დედა ვარ და არა უცხო. შენი ჯავრი გულში ჩამიჯდა ჭიასავით და ჭიასავით მფქვავს და მჭამს. შემიბრალე და მაცოცხლე!..

გიორგი მაშინვე წამოჯდა, თითქო ცეცხლი შეუკეთესო. პირველი მაგალითი იყო, რომ მისმა გულგაუტეხელმა დედამ თავი შეაბრალა. ამას ოთარაანთ ქვრივი ყოველთვის ჰთაკილობდა. ეხლა კი გულმა სძლია ხასიათის გაუტეხლობას. დედა-შვილური სიყვარული მძლეთა-მძლეა.

შვილმა შეჰხედა დედას. ოთარაანთ ქვრივს ცრემლი მოსდგომოდა თვალებში... ოთარაანთ ქვრივი ჰტიროდა!.. ამის მეტად დედის თვალზედ შვილს ცრემლი არ ენახა — ან იქნება ენახა და არ ახსოვდა; გიორგის ეოცა, გაუკვირდა. რკინის გადნობას ხელში ჭერისაგან დაიჯერებდა და დედის თვალში კი ცრემლს არა, სხვას რომ ეთქვა.

შეწუხდა გიორგი. ჩაუფიქრდა თავის-თავს — დროა თქმისა, თუ არაო.

— დედი, — წამოიძახა ბოლოს შვილმა, — გეტყვი და ნუ შემრისხავ: შენი უნებური საქმე მწადიან. რიდი მქონდა და ვერ გეუბნებოდი, წადილი კი ვერ მოვიკალ, აი, რამდენი ხანია ვეჭიდები...

— რა არის, შვილო, მაგისთანა? — უპასუხა დედამა და მსწრაფლ უკუექცა თვალთაგან ცრემლი. ოთარაანთ ქვრივი მაშინვე გამოიცვალა და ისევ საქმიან დედაკაცად იქცა, რაკი სიტვა საქმეზედ მიდგა.

— მოჯამაგირედ მინდა დავდგე. გული შინ აღარ მიდგება.

— ეგ რა სთქვი, შვილო? მამის შენის შვილი და ბოგანა-მოჯამაგირობა? საიდამ სადაო? ხომ საფლავში გადატრიალდა მამა-შენი სირცხვილისაგან...

— ამას ვშიშობდი, დედიჯან, რომ გაწყენდი... მეც შემიბრალე, ადამიანი ვარ.

— მერე რა წაგეკიდა სამაგისო?

შვილმა თავი ჩაღუნა და პასუხი არ გასცა. დედას ელვასავით გაურბინა რაღაცა ფიქრმა.

— მერე ვისთან აპირობ დგომას? — ჰკითხა ხელახლად დედამ.

— ერთად-ერთი სახლია. ან იქ, ან არსად არ.

— ვისი სახლია ისეთი? გლეხისა, თუ თავადისა?

— თავადისა.

— აქ, ჩვენში?

— ჩვენში. არჩილს უნდა დავუდგე.

ოთარაან ქვრივმა ეხლა კი თითზედ იკბინა. თითქო რაღაც ენიშნაო, რაღასაც მიაგნოვო. შვილს გადაწყვეტილი არა უთხრა-რა. აღარც შვილი გამოეკიდა, თითქო დიდმა საგონებელმა ამისათვის აღარ მოაცალაო.

IX

უცნაური ნასკვი.

არჩილი ახლად გადმოსული იყო რუსეთიდამ. სწავლა იქ შეესრულებინა. ვეღარც დედას მოუსწრო, ვეღარც მამას, ორივენი დაჰხოცოდნენ. მარტო ერთი გასათხოვარი და-ღა ჰყვანდა და და-ძმანი ერთად სცხოვრობდნენ. გვარიანი სახლ-კარი და მამულები დარჩათ მამისაგან და იმავ სოფელში ჰქონდათ ბინა, საცა ოთარაანთ ქვრივი იყო.

სოფელი ძალიან ემადლიერებოდა ამ და-ძმასა. კაი ხალხიაო, ყველა ამას იძახდა, ვისაც კი დაეკითხებოდით. ოთარაანთ ქვრივსაც ზოგიერთი კარგი ახსოვდა ამ და-ძმისაგან. თითონ არჩილს და იმის დასაც ბევრი რამ ჰქონდათ შეტყობილი ოთარაანთ ქვრივზედ და ბევრს იცინებდნენ ხოლმე მოწონების სიცილითა, როცა კი უცნაურის ქცევის და სიტყვა-პასუხის ამბავს ამ დედაკაცისას გაიგონებდნენ.

— პატივსაცემი დედაკაციაო ეს ოთარაანთ ქვრივი, — ხშირად უთქვამთ დასაცა და ძმასაცა და ერთი შემთხვევაც არა ჰქონიათ, რომ სიყვარულით და თავაზით არ მოეკითხნათ, როცა კი ოთარაანთ ქვრივს შეჰხვედრიან.

არ ვიცით, ოთარაანთ ქვრივს საამურად ჰქონდა ეს თავაზიანი მოკითხვა, თუ არა. ეს კი ვიცით, რომ როცა ამათზედ კარგს ვინმე იტყოდა, ოთარაანთ ქვრივი დაატანდა:

— ჭკუა აქვთ და იმიტომაო.

გიორგის ამბებიც არა-ერთხელ მისვლიათ და-ძმასა და არა-ერთხელ გაჰკვირვებიათ მისი ზნე და ხასიათი. ვერ გამოეცნოთ, — გლეხკაცობაში საიდამ და როგორ უნდა დაწნულიყო ამისთანა ზნე, ამისთანა ხასიათი.

— „ბევრი რამ არის, ჩემო ჰორაციო, ამ ქვეყნიერობაში იმისთანა საიდუმლო, რომელიც სიზმრადაც არ მოსჩვნებიათ ჩვენს ფილოსოფოსებსაო”, — ეტყოდა ხოლმე არჩილი თავის დას ჰამლეტის სიტყვებს, როცა გიორგიზედ ჩამოუვარდებოდათ ლაპარაკი.

გამოუცვნელს გამოცანას ამით მოუღებდნენ ხოლმე ბოლოს.

— გიორგი გიახლათ, — მოახსენა ერთ საღამოს მოსამსახურემ არჩილსა. არჩილი მაშინ ტახტზედ წამოწოლილი იყო და ყურს უგდებდა დას, რომელიც რაღაც წიგნს ხმამაღლა უკითხავდა.

— ვინ გიორგი? — ჰკითხა არჩილმა.

— ოთარაანთ ქვრივის შვილი.

— მობრძანდეს.

შემოვიდა გიორგი და, ქუდმოხდილი გაჩერდა რა კარებთან, სთქვა:

— საღამო მშვიდობისა.

— აი, გაგიმარჯოს, ჩემო გიორგი! — უთხრა მხიარულად არჩილმა. — რასა იქ? როგორა ხარ? როგორ არის შენი პატიოსანი დედა?

— რა გვიჭირს? ღვთის მადლით კარგადა ვართ.

— ამბავი, ხაბარი... რისთვის გარჯილხარ?

— ნუ მიოცებთ კი და თქვენთან ყოფნა მწადიან.

— მოდი-და ნუ იოცებ. რისთვის? როგორ?

— როგორც გნებავდეთ: გინდათ მოჯამაგირედ გიახლებით, გნებავთ მუქთად გემსახურებით. ჩემთვის არაფერი ბედენაა.

— რას ამბობ, კაცო! — ჰკითხა მართლა გაოცებულმა არჩილმა. — შენის ოჯახის პატრონი და მოჯამაგირედ დგომა, — ვის გაუგონია. ან შენ ვერ გაგიგია, რა გინდა, ან მე არ მესმის, რას ამბობ.

— მე კარგად ვიცი, რასაც ვამბობ, თქვენ ოღონდ ეგ წყალობა მიყავით. გული აღარ მიდგება შინ, ლამის მარტოობამ დამლიოს.

— მერე დედა-შენი? — იკითხა არჩილის დამა და თავისი მარილიანი თვალები მიაშუქა გიორგისა.

— დედა-ჩემი... დედა-ჩემსა სწყინს, ქალბატონო, მაგრამ ვეღარ გაუტეხივარ.

— აბა, ჩემო გიორგი, ჩვენ დედა-შენს ვერ ვაწყენინებთ. იმისი დიდი თავაზა და ხათრი გვაქვს, — უთხრა არჩილმა.

— თქვენ ეს მიბძანეთ, მამყოფებთ თქვენთან, თუ არა და დედი-ჩემისა მე ვიცი, არ ამიხირდება... დედის-ერთა ვარ...

— მამყოფებთო!.. ორისავე ხელით, სიხარულით. შენისთანას სად ვიშოვი. განა არ გიცნობ... ეს დედა-შენი მაღონებს.

— მადლობელი ვარ. მაშ მშვიდობით ბძანდებოდეთ. ამ დღეებში გიახლებით.

— ჯამაგირი?

— გინდა იყოს, გინდა არა, მოგახსენეთ, დიდი ბედენა არ არის.

— ეგ არ იქნება. მაგისი ყაბული არა ვარ. სთქვი, — რა მოგცე?

— რაც შენი ნებაა.

— ეგ არ იქნება-მეთქი, სთქვი.

— რაცა ვღირდე, ის მომეცი.

— ჩემს ნამუსზედ აგდებ რაღა?

— რა ცუდი თამასუქი ეგ არის!

— ჩემი ნამუსი რომ შენს კაი-კაცობას არ გასწვდეს?!

— არა უშავს-რა!.. რაც დამაკლოთ, ალალი იყოს თქვენზედ, გულს არ დამაკლდება. მშვიდობით ბძანდებოდეთ.

ორივეს დაუკრა გიორგიმ თავი და მაშინვე გავიდა.

დამა და ძმამ ერთმანეთს შეჰხედეს.

— ეს რა ამბავია? — ჰკითხა დას არჩილმა.

— არ ვიცი, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს! მიკვირს და მეოცება.

— უთუოდ ფული რამ დასჭირებიათ.

— რომ არა ჰთხოულობს!..

— ეგეც კი. ჩვენ კი ბედი გვეწია, რომ მაგისთანა კაცი ვიშოვეთ, და ოთარაანთ ქვრივს როგორღა გადვურჩებით, არ ვიცი.

— იმის უნებურად ნუ ვიქთ მაგასა: პატივსაცემი დედაკაცია, ნუ ვაწყენინებთ.

— შენც არ მომიკვდე, დედის უნებურად მე გიორგი სახლშიაც არ შემოვუშვა, თუმცა კი ძვირფასი კაცია ჩვენთვის.

დამა და ძმამ ცალ-ცალკეც ბევრი იფიქრეს, მაგრამ ამ უცნაურს ნასკვს წვერიც ვერ უპოვეს გამოსახსნელად.

X

მხილებაა, თუ კადნიერება?

არ გასულა ამის მერმედ ორი დღეც, რომ ოთარაანთ ქვრივი არჩილიანთას მივიდა.

— ო, ნათლიდედ, ნათლიდედ! მობრძანდი, — დაუძახა შორიდამვე არჩილმა, როცა ოთარაანთ ქვრივს თვალი შეასწრო. და-ძმანი ძირს ეზოში ისხდნენ დიდ ფურცელ-ქვეშ და დილის ჩაის შეექცეოდნენ.

— დილა კარგა-ყოფნისა, — მიესალმა ოთარაანთ ქვრივი, როცა ახლოს მივიდა.

არჩილი წამოხტა, ოთარაანთ ქვრივს მიართვა თავისი სკამი და მიიწვია დასაჯდომად.

— დაბძანდი, დაბძანდი. კესო, ნათლიდედას ჩაი მოართვი, — უთხრა არჩილმა თავის დასა.

— ჩაი რა ჩემი საქმეა, თქვენ შეექეცით, მე უმაგისოდაც გავძლებ. ქალო, როგორ გიკითხო? ხომ მშვიდობით ბძანდებით? — მოიკითხა ქალი ოთარაანთ ქვრივმა და ჩამოსკუპდა სკამზედ.

— ვართ შენის ლოცვითა და კურთ...

— მე ჩემთვისაც არა ვლოცულობ, ღმერთი არ შევაწუხო-მეთქი, და თქვენთვის სად ვილოცებდი, — უთხრა მკვახედ ოთარაანთ ქვრივმა და სიტყვა მოუჭრა.

— ჰა, აფრა არ აუშვა შენებურად, — უთხრა ღიმილით ქალმა და, თითქო მახლობელი მოყვარეაო, თავაზიანად ხელი დაჰკრა კალთაზედ, თავის სკამიდამ ლამაზად გადაწვდილმა.

ოთარაანთ ქვრივი შეიჭმუჭნა. როგორღაც ეხამუშა, ეუცხოვა ამისთანა ტოლ-ამხანაგური ქცევა ახალგაზრდა ქალისაგან: მე ვინა და ეს გუშინდელი ძუძუთა ვინაო, იფიქრა. მიუხვდა კი, რომ კესო აფრთხილებს და ისე კი, რომ საწყენად არ დაურჩეს.

— ენამ გულისა უნდა სთქვას, ფერ-უმარილი რა საჭიროა, — უთხრა ქალს ოთარაანთ ქვრივმა ცოტა არ იყოს მწყრალად.

— ეგ რაზედა სთქვი?

— იმაზედ, რომ შენ ჩემს სიტყვა-პასუხს შეუშინდი და გაფრთხილება გინდა ჩემი. მიხვევ-მოხვეულს სწორე სჯობია.

— მკვახედ იცი ლაპარაკი და კაი დედაკაცი კი ხარ.

— შენც რომ ჩემი დღენი გამოგევლო, ჩემს ტაფაში დამწვარიყავ, შენც ეგრე ილაპარაკებდი. ან სხვაფრივ ლაპარაკი რა საჭიროა? ადამიანს ვარამი და ჭირი ალაპარაკებს. ქვეყანაზედ რომ ჭირი არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდა: მეტი ბარგია. ლხინს რა ლაპარაკი უნდა? ძაღლს რომ უხარიან, კუდის ქნევითაც იტყვის ხოლმე.

— ე... ე... ე! თქვენ მე ვიცი, პატარა ხანს უკან ქვასაც ჩამოურევთ, — ჩაერია არჩილი, — ნათლიდედა საქმის დედაკაცია, რა ემასლაათება? არა, ნათლიდედ?

— რატომ? ზოგან თქმაც კარგია.

— შენ ხომ მაგისათვის არ მოხვიდოდი ჩვენთან; საქმე რამ გექნება, — უთხრა ხელახლად არჩილმა.

— მართალია, უსაქმოდ არ მოვსულვარ.

— ბრძანე: შენი ხმალი და ჩემი კისერი.

— ჩემს გიორგის თქვენთან დგომა უნდა.

— ვიცით და შენ მოგერიდენით. შენი დიდი ხათრი გვაქვს და ხათრს ვერ გაგიტეხთ. შენს უნებურად ეგ საქმე არ მოხდება.

— ჩემი ნებაც არის. ჩემი შვილი ჯერ მე დამეკითხა. მეწყინა, მაგრამ დაშლა აღარ ეგებოდა. მცხვენიან, კაი ოჯახის შვილია, კაი მამის ჩამომავალია. ვთაკილობ და გვიანღაა წუწუნი: ვერ გავტეხე, ვერ ავუხირდი. დეე, რაც საქნელია, იქმნას.

— თუ ეგრეა, უარს მე ვეტყვი, — უთხრა არჩილმა, — შვილი შენისთანა დედას როგორ არ უნდა ჰნებდებოდეს!..

— ნუ, ნუ!.. ნუ ეტყვი უარს. მე დედა ვარ და წამავალი. ის შვილია და მომავალი; მე მივდივარ, ის მოდის. იმისი დღენი გასავლელი მინდორია, მე კი ჩემი მანძილი გამივლია. მე ბოლოში ვარ, ის თავში. წინ ვერ ავეფარები.

— მითომ რა გაჭირებაა, თუ შენი საამური არ არის? — იკითხა კესომ.

— გაჭირება რას მიქვიან? სურვილია, იღბალია... ჯერ დაუდუღარი მაჭარია და ბუყბუყებს. დაუდუღარს მაჭარს სარქველი არ დაეხურება, ჭურჭელს გაჰხეთქს. დეე, თავის ნებაზედ იყოს. მე არ ვუშლი, რაკი თითონ არ იშლის.

— რაკი ასეა, ისე შეგინახავ შვილს, მტერიც კი შენატროდეს, — უთხრა არჩილმა.

— მაგას არ წავეხარბინები. ის თითონაც კარგად შეინახავს თავისთავს, ისეთის მამის შვილია, — უპასუხა ოთარაანთ ქვრივმა, — ეჰ, კარგი იქნებოდა სასხვისოდ არ გაეხადნა თავი, მაგრამ რაც არის, არის!..

— ახლა შენ რომ მარტო დარჩები? — იკითხა კესომ.

— მარტო რად დავრჩები? ზოგი ჩემს გულშიაც ჩაიხედე, რამდენი ბღარტები მიზის. ჭირადაც მეყოფიან და ლხინადაც.

— აკი ნათლიდედამ მიხვევ-მოხვევა არ იცისო? აკი პირდაპირ თქმა უყვარსო? მე აქ არა მესმის-რა, — სთქვა არჩილმა და შეხედა დას, თითქო იმას ეკითხებაო.

— მიხვეულ-მოხვეული რა ვთქვი? ადამიანს მინამ ხელ-ფეხი ერჩის, მარტო არ იქნება, საქმეა ტოლ-ამხანაგი მარტოხელისა. წუთის-სოფელი ვის აცლის მარტოობისათვის? მარტო თქვენისთანას... მარტონი თქვენა ხართ.

— მართალი გინდოდა და ეგეც მართალი, — უთხრა კესომ ძმას უწყინარობის ღიმილითა.

— ნათლიდედა სიტყვას მარტო ეკლადა ჰხმარობს, — მითამ და გაიხუმრა არჩილმა, მაგრამ ვაი ხუმრობას!..

არჩილი წამოდგა ფეხზედ, ტანში გაიმართა, თითქო რაღაცამ დაუჭიმა ძარღვებიო, — ჩაიწყო ჯიბეში ხელები და მოჰყვა წინა და უკან სიარულს, მერე მივიდა, წინ დაუდგა კესოს და ჰკითხა რუსულად:

— როგორ გგონია? წინდახედული მხილებაა, თუ წინდაუხედავი კადნიერება?

— შენ მართალი ხარ, — უპასუხა დამ რუსულადვე, — ერთი ჭკუამ იცის და შესაწყნარებელია, მეორე ურცხვობამ და საწყენია. მე პირველი მგონია.

არ ვიცით ძმამ დაიჯერა თუ არა დის სიტყვა, ამას კი ვიტყვით, რომ არჩილი ამის

შემდეგ მივიდა ოთარაანთ ქვრივთან მხიარულის სახითა და მართლის გულით უთხრა:

— ბრძენი დედაკაცი ხარ, ნათლიდედ, ბრძენი!..

სხვა დროს იქნება ერთი თავისებური მკვახე სიტყვა ეტკიცა ოთარაანთ ქვრივს ამ ქებისათვის, მაგრამ ეხლა კი გაუჩუმდა. მერე თითონაც უკვირდა, ნეტა ენა რამ დამიბაო.

XI

ორი თვალი.

იმ დღეს, როცა გიორგიმ დააპირა არჩილიანთას წასვლა მოჯამაგირედ დასადგომად, ისეთი მხიარული სახე ჰქონდა, რომ ოთარაანთ ქვრივმა სიამოვნებითა სთქვა:

— ძლივს შუბლგახსნილი არა ვნახე!

სიამოვნებით კი სთქვა?..

ამაზედ ჰოც ითქმის და არაცა. ეს რაღაც „მზიან-ჩრდილიანი“ სიამოვნება იყო. მზიანი იმიტომ — რომ უხაროდა შვილის სიხარული, ჩრდილიანი იმიტომ — რომ ეწუხებოდა დედური წუხილი, სტკიოდა დედური გული, — რად უხარიან ჩემგან წასვლა და სხვასთან ყოფნაო!.. მზე და ჩრდილი, ნათელი და ბნელი, ტკივილი და ამება ერთმანეთში გაება და ჩაეწნა.

დედამ შვილს ჩაულაგა ერთი ხელი უკეთესი ქვეშაგები, საცვალი ტანისამოსი, კაი ლეკურის შალის ჩოხა-შალვარი, ყანაოზის ახალუხი, ორი წყვილი თავისის ხელით მოქსოვილი ჭრელი წინდა, ახლად ნასყიდი ყაითნებით მორთული საცვეთები, ბაზარში განგებ შეკერილი და ყაითნებითვე დახლართული ქვემოური ქალამნები. ყველაფერი ეს გამოუკრა ჯერ სუზანში, მერე ფარდაგში და შეჰკრა მაფრაშასავით თოკებით.

— დედი, დედი! ეს რა ამბავია? — ჰკითხა გაცინებით შვილმა, როცა ეს სამზადისი დაინახა, — ცხრა მთას იქით ხომ არ მისტუმრებ, რომ მაგოდენა ბარგ-ბარხანას თან მატან.

— არა, შვილო!.. უამისობა არ იქნება. დეე იცოდნენ, რომ ოჯახის შვილი ხარ და არა ეული ვინმე, ბოგანა. დეე იცოდნენ, რომ ოჯახიდამ გასდიხარ და არა უოჯახობიდამ.

— განა არ იციან?

— გაგონილს თვალით ნახული სჯობია. დეე რაც ყურით გაუგონიათ, თვალითაც ნახონ.

— სასაცილოდ ამიგდებს მთელი სოფელი, ეგრე ბარგ-აკიდებული რომ მნახონ.

— თავ-საცილს კაცი არ მოუკლავს. კაცი რომ სულელების კბილთა ღრეჭას აჰყვეს, სად წავა?

— მეტის-მეტია, დედი, ამოდენა ბარგი!.. თითქო ქალი ვიყო და მათხოვებდე.

— ქალი რომ იყო, ეგრე ადვილად ვერ გამიფრინდებოდი ხელიდამ.

— ქალი ხომ უფრო საბოლოვო არ არის დედ-მამისათვის. ქალი მოდის იმისათვის, რომ წავიდეს და სხვაგან გაიკეთოს ბუდე.

— მართალია, მაგრამ ქალი, — მინამ გათხოვდება, — დასაფრენი ბღარტია და ფრთას ქვეშ უზის დედასა.

— როგორ? წნილად შემინახავდი თუ?

— მაგას არ გეუბნები. ქალი ბედს შინ მოელოდინება, კაცი კი გარეთ ეძებს...

გიორგი აიმრიზა, ხმა აღარ გასცა. მიჰტრიალდა და კუთხეში რაღაც ფაცური დაიწყო, ვითომ-და ეძებს რასმე.

ოთარაანთ ქვრივმა ეს უცებ გაწყვეტა ლაპარაკისა შენიშნა და არ შეიმცნია კი.

— უფრთხის ახლოს მისვლასაო, — იფიქრა დედამ.

გიორგი პატარა ხანს შემდეგ ხელახლად მოუტრიალდა დედას, ხელი ჩაჰკიდა შეკრულს ბარგსა და ეგრე, ხელჩაკიდებისაგან ერთ მხრივ გადახრილმა უთხრა:

— ნება შენი იყოს, დედი!.. ამ ბარგი-ბარხანით მიუვალ...

სთქვა ესა, მხიარულად შეიგდო მხარზედ ბარგი და გასწია.

ოთარაანთ ქვრივმა დიდხანს ადევნა თვალი დერეფნიდამ... დიდხანს ადევნა, დიდხანს, მინამ თვალთაგან მიეფარებოდა შვილი, თითქო ხმაამოუღებლად იხვეწ-იმუდარებოდა, — ერთი მაინც შემომხედოსო. მაგრამ გიორგიმ უკან აღარ მოიხედა...

დედას გულმა ტეხა დაუწყო.

— უკან აღარ მოიხედა!.. — დაიკვნესა დედამ, — ჩემგან მიდის, თითქო ძაფიც არ იჭერს; სხვაგან მიდის, თითქო თოკით ეწევიანო.

ფეხთმდგომელას ოთარაანთ ქვრივს თავი ძირს ჩამოუვარდა დამბლასავით, თითქო კისრის ძარღვი გაუწყდა, ვეღარ შეიმაგრა და ნიკაპით გულზედ დასაბჯენად-ღა დაეკიდაო.

— ჩემგან მიდის და პატარა ნაღველიც უკან არ ახედებს... განა აქ არა დაჭრჩა-რა!.. სხვაგან მიდის და სიხარული მარტო წინ აყურებინებს… განა ყველაფერი იქ არის, სულ ყველაფერი!.. — დაიკვნესა ხელახლად დედის გულმა.

ამის თქმაზედ ოთარაანთ ქვრივმა კაბის სახელო წამოიწია და მთელი მკლავი დაჭიმულ სახელოთი მოისო თვალებზედ.

თითონაც არ იცოდა, — რადა ჰქმნა ესე. ეს უნებურად, უცოდნელად მოუვიდა. ხელმა თავისთავად დაასწრო, მინამ გული ცრემლს წამოჰღვრიდა. თითქო ხელი არ დაეკითხა გულს, — არ დამაგვიანოს, არ დამიშალოსო.

ოთარაანთ ქვრივს თვალში ცრემლი არ უჩანდა!.. განა აქვს კი ცრემლი ცეცხლმოკიდებულ გულსა?!

ჩამოჯდა ოთარაანთ ქვრივი დერეფნის დირეზედ. ჩაჰკიდა კვლავაც თავი და ორისავე იდაყვით მუხლების თავზედ დაებჯინა.

ოთარაანთ ქვრივი ფიქრმა წაიღო...

— დედა-შვილობაში შენ-ჩემობა რად არის? — ჰკითხა ოთარაანთ ქვრივმა თავისთავსა. — დედა-შვილობაში ორი თვალი რად უნდა იყოს? ნეტა დედას სხვასავით მაინც ორი თვალი არა ჰქონოდა... თუ აქვს, რად უჭრის ერთი თავისად, მეორე შვილისად? გული რად იხედება გარეთ ორის თვალითა, რად? — რატომ ერთი თვალი არ ებრმავის, როცა მეორე იყურება?.. ვინ ვისთვისაო, — რა საკითხავია დედა-შვილობაში?.. ვაი რომ საკითხავი ყოფილა! ამის ჭიდილია თურმე დედა-შვილობაცა!..

დიდხანს იტრიალა ამ ფიქრების მორევში გულმა და გონებამ ოთარაანთ ქვრივისამ. მერე თითქო რაღაც ხიდი გაიდოვო მორევიდამ გამოსასვლელად, წამოდგა ფეხზედ და ხმამაღლა სთქვა:

— არა, შვილო!.. შენ გაიხარე, შენ!.. მე კი... მე კი... მე ჩემისად მაყურებელს თვალს დავიბრმავებ და შენისად მაყურებელით-ღა ვივლი და ვიცოცხლებ...

XII

უეცარი წკიპურტი.

გიორგი მოჯამაგირედ დადგა. პირველს დღესვე არჩილმა ვენახში წაიყვანა გიორგი. არჩილი ახალს ვენახს აშენებდა და უნდოდა მიწა ჭანდრაკის ფიცარსავით უჯრა-უჯრა დაეყო და ისე მოერიგებინა ვაზი მწკრივად და ლარზედ. ორი ჭრა კიდეც გაეკეთებინა ასე და ვაზის რქა ჩაეყარა. ძალიან მოსწონდა არჩილს ესე უჯრა-უჯრა ჩარიგებული ვაზი. გიორგის რომ დაანახვა ეს თავისი ახალშენი, თავმოწონებით უთხრა:

— როგორ მოგწონს? ერთი შეჰხედე გინდა აქედამ, გინდა იქიდამ, სულ ლარსა და მწკრივზეა ჩარიგებული.

— ეგრე ჩარიგება ვაზისა კარგია: მზე და ნიავი თანაბრად დაუვლის ყველგან. ამას წინად, — სამი-ოთხი წელიწადი იქნება, — გავიგე, რომ კახეთში ეგრე უკეთებია ვენახი ერთს თავადიშვილს. გული არ დამიდგა, მინამ არ წავედი და არა ვნახე. ვნახე და მომეწონა. საკეთებლადაც უფრო სამხროა. კარგია ეგრე.

— ძლივს ერთი კაცი არა ვნახე ამ სოფელში, რომ მომიწონა ნაკეთები.

— ნაკეთებს კი ვერც მე მოგიწონებ.

არჩილი შეჰფიცხდა და აიტკიცა.

— რატომ, ბიჭო?

— იმიტომ, რომ აქ ფერდობია...

— ვაი შენ, ჩემო თავო! — გააწყვეტინა სიტყვა არჩილმა, — შენც ბევრი არა გცოდნია-რა, ჩემო გიორგი. ბიჭო-და, საქმე ის არის, რომ ფერდობია და მზის-გული ფერდობიცა.

— განა მაგას ვიწუნებ? მზის-გულ ფერდობს რა სჯობია ვენახისათვის!..

— მაშ რას ამბობ?

— აქ ჩვენში ხომ ნამი არ იცის, როგორც კახეთში, და მშრალი მიწაც არის. ჩვენში ვაზს რწყვა უნდა. რაც გინდ მაგრად იდგეს კაცი, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მოახვედროს ვენახს წყალი, თორემ ვაზი ვერ მოიხდენს. პირველში ხომ კარგა წყალს მოინდომებს და მოინდომებს, მინამ რქა იხეირებს.

— მერე რა გინდა სთქვა?

— მერე ისა, რომ ეგრე სისწვრივ ვაზი რომ ჩაგიყრია ამ ფერდობის გარდი-გარდმოდ, როგორ-ღა მოატარებ ვაზებში წყალსა. წყალი აღმა ხომ ვერ ივლის?

— მაშ, შენის ფიქრით, ლარი აღმა-დაღმით უნდა დაგვეჭირა თავ-თავ-ქვესაკენ, რომ ზემოდან ქვევით ედინა წყალს!

— წყალი მაშინ, რა თქმა უნდა, კარგად ივლიდა, მაგრამ არც ეგ ივარგებდა. წყალი რუისა, თუ ნიაღვრისა, მაღლიდამ დაქანებული, ზემოდამ სულ ქვევით ჩაიტანდა მიწას, ჩაჰრეცხდა ვენახსა, ზემო-პირის ვაზს სულ ძირს გამოუხრამავდა.

— მაშ როგორ უნდა ყოფილიყო?

— ეგრევ, მაგრამ ლარი სწორეზე კი არ უნდა წაგეღო, ცოტა გეზად უნდა დაგეჭირა, რომ წყალს საკმარისი თავ-თავ-ქვე ჰქონოდა და მიწაც ზევიდამ ქვევით არ ეზიდნა. აგერ რუიც ხომ მარტო გარდი-გარდმოდ ემხრობა ამ ახალშენსა! აქედამ ცოტა გეზ-გეზად თუ

არ წავიდა თავ-თავ-ქვესაკენ, სხვა გზით წყალს ვენახი არ მოიხდენს. ეხლა კი წყალს ავალა პირაღმა აქვს. როგორ უნდა იდინოს? აბა გაიხედე!..

არჩილმა გაჰხედა-გამოჰხედა, ხან აქედამ გაუსისწვრივა თვალი, ხან იქიდამ, ხან აქედამ მოუდგა, ხან იქიდამ და იმისთანა ვერა იპოვა-რა, რომ ხელი ჩაეკიდნა და გიორგი გაემტყუნებინა.

— ბატონო-და, მაგას რა დიდი ამბავი უნდა, — უთხრა გიორგიმ, რაკი შეამცნია, რომ არჩილი ჰო-არაობაშია. — აი, თუნდა ეხლავ მოვუგდებ წყალს და მაშინაც არ გამოჩნდება!

— საჭირო არ არის. შენ მართალი ხარ, ჩემო გიორგი! კიდევ კარგია, — ეხლა დროზედ შემომესწარ, ჯერ მინამ მარტო ორი ჭრა ჩამიყრია და გასწორება ადვილია, თორემ, შენი მტერი!.. აქაურს გლეხკაცობას სიცილად არ ვეყოფოდი, თუნდ ხარჯსაც აღარ შევშინებოდი.

არჩილი შინ ამოვიდა და ყველაფერი თავის დას უამბო. ბევრი იცინა დამ, რომ არჩილს ესეთი უეცარი წკიპურტი მოჰხვედრია.

— ეგ რა მოგსვლია?! — ჰკითხა კესომ და გულიანად ჩაიხარხარა. ჩაიხარხარა, მაგრამ წყენა დაცინებისა მოატკბო და-ძმურის სიყვარულის კილომა: — ეგ რა მოგსვლია?

— ის, ჩემო კარგო, რაც თავმოწონებულს არ-ცოდნას მოსდის ხოლმე ყოველთვის. ამოვიკითხავთ წიგნებიდამ რაღაცას და გვგონია, — ეს-ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩვენ ჩავკიდეთო. ქვეყანაზედ ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა. ჩვენ კი აღარც იქით ვიხედებით, აღარც აქეთ. რაკი წიგნი ხელთ გვიპყრია. თითქო ჭკუა, თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყოს.

— შენა და წიგნების ეგრე აბუჩად აგდება?

— მე აბუჩად წიგნებს კი არა, ჩემს თავს ვიგდებ: არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის. უკადრისობად მიგვაჩნია ჭკუა უწიგნო ტყაპუჭ-ქვეშაც ვიგულვოთ. ჩვენ ვთაკილობთ და არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი იგივ წიგნია. ყველა გონიერი კაცი, თუნდა უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობარისათვისაც კი ოსტატია. ეს ტყუილი თაკილი...

— ტყუილმა ბრძნობამ იცის, — დაატანა კესომ და ჩამოართვა სიტყვა ღიმილით.

— და უვიცობის ცუდმედიდობამ!.. — დაუმატა არჩილმა.

XIII

ახალი ცოცხი კარგად ჰგვის!..

ამისი თქმა ძლივ გაათავა არჩილმა, რომ ოთახში ერთი ყვირილი და ხმაურობა შემოესმათ. არჩილი მაშინვე გარეთ გავარდა და მუაჯრიდამ გადასძახა ჩალურიდამ გამოცვივნულ მოსამსახურეებს:

— ეს რა ყვირილ-ღრიალია?

— რა მოგახსენოთ? თავლიდამ მოდის, — უპასუხა ვიღაცამ.

— ერთი შემიტყვეთ, რა ამბავია?

მინამ ერთ-ერთი ვინმე წავიდოდა, თავლიდამ გამოჰრბოდა კიდეც მეჯინიბე,

ვიღასაც მხარ-უკუღმა მუშტს უღერებდა, იმუქრებოდა, მოილანძღებოდა.

— ბატონო, ეს რა ღვთის წყრომაა? — შემოსძახა ქვევიდამ მეჯინიბემ, მუაჯარზედ გადმომდგარს არჩილსა. — ეს ვიღაც ოხერ-ტიალი მოთრეულა, თავ-პირი აღარ შემარჩინა ცემითა.

— ვინ ოხერ-ტიალი?

— აი, ეს ახალი მოჯამაგირე.

— გიორგი?

— ეშმაკმა იცის იმისი თავი და ტანი, გიორგია თუ ვიღაცა.

— მერე რა იყო?

— რაღა რა იყო?!. თქვენ რომ ვენახიდამ მობძანდით, თქვეს ცხენს მოვხადე და დავაბი. ისიც ხომ თქვენ ფეხ-და-ფეხ მოგყვათ. შემოვიდა თავლაში, ჩხუბი დამიწყო, გამლანძღა, გავლანძღე და მერე ამომიდო ქვეშ და ისე გამხადა, რომ ნეკნები ჩემი აღარ არის.

— აბა ერთი გიორგის დამიძახეთ, — უბრძანა არჩილმა.

ერთი მოსამსახურე გაიქცა დასაძახებლად. ამ დროს კესოც გამოვიდა მუაჯარზედ, გვერდით მოუდგა ძმას და ჰკითხა:

— რა ამბავია?

— რაღაც ჩხუბი მოსვლიათ.

— ვისა და ვის?

— გიორგისა და მეჯინიბეს.

— რაზედ?

— სწორედ არც მე ვიცი. აი, გიორგი მოვა და შევიტყობთ.

მოვიდა გიორგიცა. იღლიაში ახალუხი ჩამოჰხეოდა და სცდილობდა დაემალა. გოგო-ბიჭებმა, ვინც კი ამ დროს სახლში მოიხელებდა, ყველამ მუაჯართან ეზოში მოიყარა თავი.

— ჩხუბი მოგივიდა? — ჰკითხა არჩილმა გიორგის.

— არა. ამასთან საჩხუბარი რა მქონდა?

— მაშ რას გიჩივის, მცემაო.

— ცემით კი ვცემე.

— ეგ ხომ ჩხუბზედ უარესია. რადა სცემე?

— შენი ცხენი ისე ოფლიანი დაება. თავლაში რომ შევედი, თითონ პირაღმა გაშოტილიყო ტახტზედ და ყალიონს ეწევოდა. მე ვუთხარი: — ცოდო არ არის, ოფლიანი ცხენი დაგიბამს, ცოტა ხანს მაინც ატარებდი, ზურგზედ წყალს მაინც გადაავლებდი-მეთქი. ხომ წახდა ცხენი: ან ზურგმა ჰავა აართვა, ან ფეხში დაიხუთა-მეთქი. არამკითხე მოამბეო, მიტყიპე და მიაგდეო, მითხრა არხეინად და ყალიონი ძალზედ გამოაბოლა. — ვერც მიმტყიპავ და ვერც მიმაგდებ-მეთქი. წავედი ცხენის ასაშვებლად, მე მინდოდა პატარა მეტარებინა და წყალი გადამევლო ოფლიან ზურგზედ. — წადიო, ვიღაცა მოთრეულხარო, — დამიძახა და დედა შემაგინა. ამაზედ გული მომივიდა და ვცემე. მამაჩემსაც არ შევარჩენდი დედი-ჩემის ავად ხსენებას.

— ეგრე კი იყო? — ჰკითხა კესომ გიორგის და გადმოჰხედა.

— ტყუილი რა საკადრისია!..

— ეგრე იყო, ეგრე! — დაიძახა პატარა ბიჭმა მეხბორემ, რომელიც მაშინ თავლაში

შესწრობოდა, — სწორედ ეგრე იყო, მე იქ ვიყავი.

— კესო, ერთი დავთარში ნახე, რა ერგება, და გამოუტანე.

კესო გამოუკითხავადაც მიხვდა ვისზედ უთხრა ძმამ. შებრუნდა ოთახში, პატარა ხანს შემდეგ გამოვიდა და უთხრა:

— ოც-და-ხუთი მანეთი-ღა ერგება. აი ფულიც.

არჩილმა ჩამოართვა ფული, მუაჯარიდამ გადუგდო მეჯინიბეს და ჩასძახა:

— აი, ძმობილო, ეს-ღა გერგება. ალალი იყოს შენზედ და მე ჩემს სახლში კი ვეღარ დაგაყენებ...

— მე მცემეს და მევე მიწყრებით?!

— ამას იქით ჭკუა იცოდე: შენ რომ ცუდკაცობდე, კაი-კაცობაზედ სხვას მაინც ნუ გალანძღავ.

არჩილი და კესო შებრუნდნენ ოთახში. გოგო-ბიჭები წავიდ-წამოვიდნენ.

— მითამ ახალი ცოცხია და კარგად ჰგვისო! — ამბობდნენ დაცინვით ზოგიერთნი ახალს მოჯამაგირეზედ.

— დაძველდები და შენც მოატან ქვიშასაო, — იძახოდნენ მეორენი.

— ეგ სხვა დედის შვილია!.. მაგას ოთარაანთ ქვრივის შვილს ეძახიანო! — ამბობდა ამათში მარტო ერთად-ერთი კაცი, ისიც ხმაამოუღებლივ, თავის გულში ამბობდა.

ეს იყო მეწისქვილე არჩილის კარის წისქვილისა, — კაცი ძველი, გულჩახვეული, გულჩაკეტილი, ჩუმი და ამიტომ ყველასაგან დაბრიყვებული. ვინ იცის, საიდამ სად იყო გადმოგდებული, და აქ წისქვილში როდის შემოხიზნული? აქ მეწისქვილედ დაბერებულიყო უცოლოდ, უშვილოდ, უთვისტომოდ. არავინ იცოდა, ვინ არის და საიდამ არის... ამისი ვარსკვლავი მარტო ამოსულიყო სადღაც და როდესღაც და ეხლა მარტოვე ჩადიოდა დინჯად და მშვიდობიანად, ტკბილად და უწყინარად.

XIV

განა თითონ კი იცოდა?

— როგორ მოგეწონა ეს ამბავი? — ჰკითხა არჩილმა დას, როცა ოთახში შევიდნენ.

— ახირებული გული ჰქონია, — უპასუხა დამ, თითქო პირველ ხანს სხვა უკეთესი ვერა მოეგონა-რაო.

— ეგ ცოტაა. ნამუსი ჰქონია, ნამუსი!.. ის დიდი ნამუსი, რომელიც სხვისასაც ისე ერჩის, როგორც თავისას.

— ნურც აგრე გაადიდებ მაგ უბრალო საქმესა.

— მაგას ნუ იტყვი. რაც კარგია, იქ დიდ-პატარაობა მოსატანი, სახსენებელი არ არის. რაც კარგია — თავისთავად დიდია. ჰხედავ, უსწავლელი კაცია. მაგისი ნამუსი ჭკუით კი არ არის ახილებული, გულით გამოკვებილია, მარტო გულით. ეს დიდი საქმეა ჩემის ფიქრით, იმიტომ, რომ მაგისთანა ნამუსი მთელის გვამის, მთელის აგებულების წყურვილია, როგორც სითბო სიცივეში, როგორც სიგრილე სიცხე-პაპანაქებაში, როგორც პური შიმშილში. მინამ ჭკუა იტყვის, ჭკუა ურჩევს, გულმა იცის, რა ჰქმნას. ეს დიდი საქმეა-მეთქი, დიდი.

— რაო? დედის ავად ხსენება იწყინა, სხვა ხომ არაფერი?

— ეგ ბოლოა. შენ სათავე მოუჩხრიკე ამ საქმესა. გულმა არ მოუსვენა, ცხენი რომ მოუვლელი ნახა და მეჯინიბე არხეინად მწოლარე. საქმე და მოსაქმე ერთმანეთს გაჰყროდა და ეს მართალმა გულმა იუცხოვა, არ შეიფერა, ხომ არც ცხენი იყო იმისი, არც მეჯინიბე იმისაგან დავალებული. რა ეწოდა, რა უნდოდა, ჩვენად რომ ვიკითხოთ? ჩვენი ამება? ჩხუბი რომ არ მოსვლოდათ ეს ამბავი ჩვენამდე ხომ არც კი მოაწევდა. მეჯინიბის ჯავრი სჭირდა და მიზეზი მოუდო? რა ჯავრი უნდა სჭირებოდა, კაცს პირველადა ჰხედავს. არც ერთი და არც მეორე. საწანახედოდ გამხდარი საქმე ნახა, იქავ ხელთუძრავი მოსაქმე და გულმა არ მოუთმინა. რაც გინდა სთქვი და, ეს დიდი ნიშანწყალია კაცობისა... სწორედ დიდი ნიშანწყალია. ეხლა მესმის, რაც იყო, იმ დღეს რომ მეწისქვილემ გვიამბო. აი, ბურკიაშვილის კამეჩი რომ დაეჭირა მინდვრიდამ მომავალს და კახუაშვილისათვის მიეყენებინა კარზედ, შენს ჯეჯილს აფუჭებდაო. მე თუმცა ზოგიერთი ამბები ვიცოდი გიორგისა, მაგრამ, — ღმერთო შეგცოდე, — აქ კი გავიფიქრე, უთუოდ ბურკიაშვილის ჯავრი სჭირებია-მეთქი გიორგისა. ეხლა ვნანობ, რომ ეს გავიფიქრე და ამ ფიქრით შევუგინე ნამუსი მაგ პატიოსანს კაცსა.

— ბოდიში მოიხადე, — უთხრა დამ გულითადად და ჭკვადასმით, რაკი ხუმრობა-გაშვებით ჩაუკვირდა თავის ძმის ნათქვამსა.

— ბოდიშს იმით მოვიხდი, რომ მე მაგას შეგირდად მივებარები, დიაღ, შეგირდად. ჩვენ რანი ვართ მაგასთან!.. დეე, გვასწავლოს და გვწურთნოს...

არჩილმა წინა და უკან სიარული დაიწყო ოთახში და ფიქრს მიეცა. კესოც ჩაფიქრდა. გიორგი, როგორც ჩემთვის, მკითხველო, ისეც იმათთვის გამოცანა იყო.

— კესო! — შესდგა ბოლოს კესოს წინ არჩილი და უთხრა, — იცი რას გეტყვი? აი, სახლის წინ რომ ყვავილების ბაღს იკეთებ, მოდი გიორგისაც დაეკითხე ხოლმე. მე მგონია, ეს ლოთი გარმიანელი მებაღე სულაც დავითხოვოთ და გიორგის ჩავაბაროთ, ურიგო არ იქნება. ჭკვა-გონებიანი ბიჭია, შენ ოღონდ ანიშნე და, იმედი მაქვს, მიგიხვდება, სად რა და როგორ გააკეთოს. სხვას ხომ დღიური მუშებიც გაუძღვებიან, რაკი გიორგი თავ-მდგომელი იქნება. ცოდოა მაგისთანა ბიჭის ამაზედ მოცდენა, მაგრამ ჯერ ეს იყოს და მერე სხვას რასმე ავუჩენთ.

— ძალიან კარგი, — მოუწონა დამ, — ოღონდ ეს არის, რომ ჯერ ყველაფერი მარტო ქაღალდზეა გამოხაზული და ვაი თუ ვერა გავაგებინო-რა. აბა, ჯერ ერთი ვაჩვენებ, გაიგებს რასმე თუ არა.

მეორე დღეს არჩილი დილა-ადრიანად თავის ახალშენს ვენახში წავიდა. ცხენს რომ ქუსლი ჰკრა და პირი უბრუნა, პირუკუღმა მოსძახა გიორგის:

— სამუშაოზედ არსად წახვიდე, კესოს შენთან საქმე აქვს.

„კესოს”?!

გიორგის გული გადაუტრიალდა...

კესოც ადრე ამდგარიყო, მაგრამ მინამ მილაგ-მოლაგდებოდა, ჩაიცვამ-დაიხურავდა, კარგა ხანი გავიდა.

ბოლოს კესომ იხმო გიორგი.

გიორგიმ რომ მარტო ნახა თავისი თავი კესოსთან, თითქო შიშმა აიტანა. ალბად იმორცხვა და საკვირველიც არ არის: თავის დღეში უცხო ქალთან მარტოდ არ ყოფილა.

კესოს ტახტზედ გადაეშალა დახაზული ქაღალდი, სხვადასხვაფერად აჭრელებული. ეს ბაღის მოხაზულობა იყო და რომელიღაც წიგნიდამ გადმოეღო თითონ

კესოს და ძმასთან ერთად შეესწორებინა თავის სურვილისამებრ.

— აბა აქეთ მო, გიორგი. ერთი ეს ნახაზი უნდა გაჩვენო, — უთხრა კესომ გიორგის, კარებში გაშეშებულსავით ატუზებულს.

გიორგიმ ფეხი წინ ვერ წასდგა.

— ეს ოხერი, რამ დამიდუნა მუხლებიო, — იფიქრა.

— რას იბუზები ახლად მოყვანილ პატარძალსავით. ფეხი გადმოდგი, ნუ გეშინიან, არ შეგჭამ.

გიორგიმ ორი ბიჯი წინ წასდგა და მაინც შორი-ახლო დაუდგა კესოსაც და ქაღალდსაც.

— ე რა ფანცქალმა ამიტანაო!.. — გაიკვირვა გულში.

— რა დაგემართა, ადამიანო!. აი, აქ მო, ჩემთან ახლო, — უთხრა ეხლა კი ცოტად გაჯავრებულმა კესომ.

„ახლო”!..— ზოგჯერ მოკლე სიტყვაც გრძელია.

გიორგიმ ფეხი არ გაანძრია. მარტო კისერი გადაიწვდინა და ისე შორიახლოდამ ჩაჰხედა ქაღალდსა, როგორღაც უხერხულად და გვერდელად.

— კაცო, არ გეყურება? მე ახლო ვარ და ძლივს ვხედავ და შენ მაინდამ რას დაინახავ, მამლაყინწასავით კისერი წამოგიშვერია. ახლო მოდი-მეთქი.

გიორგი მაინც ადგილიდამ არ დაიძრა.

— ე რა ფრთხოლამ ამიჩემაო! ჯადო მეწევა უკან, თუ ხატი არ მიშვებს წინ? — ჰკითხავდა თავისთავს გაოცებული გიორგი.

კესომ აღარ აცალა, წაავლო ხელი სახელოზედ და გამოსწია.

გიორგი წაბარბაცდა. თითქო მეხმა ახლო გაუარაო. ალბად ფეხი წამოჰკრა რასმე...

— რა იყო? — იკითხა კესომ.

— არაფერი. ფეხი ფეხს თუ წამოვკარ, — მიუგო გიორგიმ და გულში გაიფიქრა: ფეხის ძარღვები დამაჭრეს, თუ რა მომდის ეს ოხერ-ტიალი!..

— აი, — უთხრა კესომ, როცა გვერდით დაიყენა გიორგი და ჩაახედა ქაღალდში, — დაბალ მესერით შემორტყმული ადგილი ხომ გინახავს ჩვენის სახლის წინ, — ეს ის არის. ეხლა, ჩემო გიორგი, ამ ადგილს ამისთანა მიხვეულ-მოხვეული გზები უნდა დაუკეთდეს. ამ გზებს აგურის ფხვნილით წითლად მოვფენთ. გზებსა და გზებს შუა აი ასეთი კვლები უნდა დაიკვალოს, როგორც აქ არის გამოხატული. ამ კვლებში სხვადასხვა ფერადი ყვავილები დაითესება. აი, შუაგულს ხომ ჰხედავ? აქედამ...

— მე ვერასა ვხედავ, ვერა!.. შენი ჭირიმე, ეხლა თავი დამანებე, სხვა დროს მიბძანე, — უთხრა გულამოსკვნილის ხვეწნით გიორგიმ და განზედ გაუდგა კესოს. — რაღაცა ხათაბალა გადამეკიდა, თვალები ამება, რეტი დამესხა. ვერც ვერას ვხედავ, ვერც ვერა მესმის-რა. ეხლა დამითხოვე, შენის ღმერთის გულისათვის...

კესომ ნახა, რომ გიორგი მართლა არც თავის ფერზედაა, არც თავის გუნებაზედ. დაითხოვა და სთქვა თავისთავად:

— გულის ჭიდილი მოუვიდა, თუ რა ამბავია!

განა თითონ გიორგიმ კი იცოდა, რა ამბავია!

კაცია და გუნებაო.

ეს მოხდა მარტის დამდეგსა. გავიდა მარტი, გავიდა ლამაზი აპრილი და უფრო ლამაზი მაისი. დადგა თიბათვეცა. კესოს ყვავილების ბაღი, გეგმაზედ გაკეთებული, მოირთო, მოიკაზმა. ისე გაჭლამაზდა წითლად მიხვეულ-მოხვეული გზებითა, შიგა-და-შიგ დაყოფილ მწვანე მდელოებითა, ყვავილების ფერადითა, რომ კაცის თვალი ვერ გაძღებოდა. ღონიერი ბუნება და ადამიანის გამრჯელი ხელი თითქო ერთმანეთს შესჯიბრებოდნენ, — აცა ვინ ვის აჯობებს ამ ბაღის გალამაზებასა და შემკობაშიო. ერთსაც და მეორესაც თითქო თავი არ დაეზოგათ, და რაც მადლი ჰქონოდათ, სულ აქ დაეპნიათ, სულ აქ დაებღერტყნათ.

კესოს მეტის-მეტად უხაროდა, რომ ასე კარგად, ასე ლამაზად აუსრულდა თავისი დიდი-ხნის სურვილი. მინამ მთის იქიდამ მზე ამოალაპლაპებდა თავის სხივსა და თეთრს თოვლიან მთის წვერს ოქროს წყალს, ოქროს ჯავარს გადაასხამდა, კესო ჩაცმულ-დახურული ბაღში იყო ხოლმე ყოველ დღე და თითქმის საღამომდე, დიდ-ბინდამდე არ აგონდებოდა, რომ სახლშიაც შესვლა საჭიროა. მთელი დღე დაჰგოგავდა ფერად ყვავილებს და მწვანე მდელოებს შორის და ყოველს ყვავილს, ყოველს ახლად ამოხეთქილს ნერგს, ყოველს ახლად გამოკვანძილს კოკორს შეჰხაროდა, როგორც საყვარელი საყვარელსა. თუ არავინ იყო, „ნამეტნავობისაგან გულისა” დაუწყებდა ხოლმე გასაშლელად გაღიმებულს ყვავილს ალერსიანს საუბარსა, თითქო მერცხალი თავის ბღარტებს ეჭიკჭიკებაო.

ძვირად, ძალიან ძვირად კი შეემთხვევოდა, რომ იმის ბაღში სხვა არავინ ყოფილიყო: გიორგი იქ იყო და იქ! რაც უნდა ადრე გამოსულიყო ბაღში, გიორგი ან თოხით ხელში, ან ბარით, ან სასხლავით იქ დაჰხვდებოდა ხოლმე.

გიორგიმ არჩილისა და კესოს სწავლებითა და ჩვენებით გააკეთა და დაჰკვალა ის ბაღი და გიორგისვე ებარა. არა მგონია თავის ორს თვალს ისე გაჰფრთხილებოდა, როგორც ამ ბაღს უვლიდა და უფრთხილდებოდა. მტვერი რა არის, — მტვერს არ დაადენდა, არ შეარჩენდა ბალახსა და ფოთოლსა.

არჩილი და კესო ძლიერ ემადლიერებოდნენ გიორგის და არა ერთხელ უთქვამთ ერთმანეთისათვის, რომ ორი-სამის კაცის ოდენას აკეთებს ეგ ერთი კაციო.

არც გიორგი ემდუროდა თავის ბედსა. პირიქით, უხაროდა კიდეც თავისი ბედი.

— მე მეტი არა მინდა-რაო, — ამბობდა ხოლმე თავის გულში, როცა ამისთანაებს ჩაუფიქრდებოდა, — გადამკიდებიან, ჯამაგირისა სთქვი რამეო. რა ჯამაგირი მინდა!.. მე ისიც მყოფნის, რომ ყოველ ცის-ამარა დღეს მზეს ვუყურებო.

რა უნდოდა ამით ეთქვა გიორგის, გამოცნობა ძნელია. ეს კი სათქმელია, რომ როცა ბაღში ჰმუშაობღა და ქეიფზე მოვიდოდა სულ ერთსა და იმავე სიმღერას ჰღიღინებდა ხოლმე ხმადაბლა: „ეს სოფელი მიტომ მინდა, შენ გიყურო, ჩემო მზეო”, თითქო სხვა აღარა იცოდა-რა, თითქო სხვა არაფერი ენატრებოდა, არაფერი ეხარბებოდა ამ დედამიწის ზურგზე.

მართლად თქმულა: კაცია და გუნებაო!..

ა ლ ბ ა დ !..

გავიდნენ კიდევ დღენი და თვენი. დადგა მაძღარი შემოდგომა. სოფელში გაიმართა ქვევრების რეცხვა, საწნახელების ხიზვა და წმენდა. ქარვასავით ჩაფერიანებული მსუქანი მტევნები თეთრის ყურძნისა, მაყვალსავით შავად შეკუნწლული საფერავის ვაზები იწვევდნენ პატრონებს დასაკრეფად, — მალეო, თორემ ვდუღვართ და გადმოვდივართო. დაიკრიფა ვენახებიც, დაიწურა ყურძენი, დაჰდუღდა მაჭრები. მისწყდა სოფელში ხმამაღალი სიმღერა საწნახელში ჩამდგარ და ხელი-ხელ გადაბმულ მუშებისა. მხიარულმა მაჭრობამ თავისი დრო მოიჭამა და მიჩუმდა, თითქო მოიღალა და მოიქანცაო.

მოვიდა შუაგული შემოდგომისა. სოფლის ორღობეებში დაიწყეს ჭრიჭინი მძიმედ დადებულ თივის ურმებმა. სოფელი ეშურებოდა ვენახებიდამ შინ თივის ზიდვას საქონლის გამოსაკვებად ზამთარში: ეშინოდათ თოვლს არ მოესწრო.

არჩილსაც ოთხი საძნე ურემი შეება, თივას აზიდვინებდა და შინ ეზოში, გომურის შორი-ახლო ბოძებზედ შემდგარს მაღალ სათივეზედ ადგმევინებდა, რომ საქონლის პირი არ მისწვდეს და არ გააფუჭოს.

მზე ჯერ მთას არ გადასცილებოდა ჩასასვლელად, იქ წვერზედ შემდგარიყო, თითქო ჰნანობს, — რას ვეშურები და ამ ლამაზ ქვეყანას ეგრე მალე რად ვეთხოვებიო. მშვიდობიანი, გრილ-სითბოიანი, მშრალი, უნესტო, უღრუბლო საღამო შემოდგომისა კუტსაც კი ფეხს აადგმევინებდა და გარეთ გამოახედებდა.

არჩილი და კესოც გამოსულიყვნენ სახლიდამ, ჩასულიყვნენ სათივესთან, იქ ერთს უშველებელ კუნძზედ ჩამომსხდარიყვნენ და უცქეროდნენ მუშებს, რომელნიც თივასა სდგამდნენ.

არჩილს უამისოდაც ძალიან უყვარდა მუშებში ყოფნა და იმათთან ლაპარაკი, ზოგჯერ ლაზღანდარობაც. კესოსათვის არა-ერთხელ უთქვამს, რომ მე იმათგან ზოგჯერ ჭკუასა და ხშირად ენასა ვსწავლობო.

ოთხი ურემი ოთხ-კუთხივ მოსდგომოდა სათივეს. სამი დაცლილი იყო და ერთიდამ-ღა აწვდიდნენ თივასა. შუა-სარი სათივისა ორ ადლზე-ღა ჰჩანდა და სათივე ვიწროზე ადიოდა თავის მოსაბმელად.

ამ დროს გიორგის თოხი მხარზე გაედო და მოდიოდა.

— პეტრე, აი პეტრე — დაუძახა შორიდამ თივის მდგმელს. — ბაღისაკენ გადახრილია ე თავი სათივისა; გვერდელად აგყავს, არ ივარგებს, გაასწორე.

— გიორგია. საიდამ იძახის? — იკითხა არჩილმა, რადგანაც იმ მხრივ, საიდამაც გიორგი მოდიოდა, არჩილს წინ ურემი ეფარა. ურმის გამო ვერც გიორგი დაინახავდა არჩილსა და კესოს, ვერც ესენი გიორგისა.

— საიდამ მოსდიხარ თოხით მხარზე? — ჰკითხა არჩილმა, როცა გიორგი ახლო მოვიდა და საღამო-მშვიდობისა უთხრა და-ძმასა.

— წყალი გადმოვარდნილიყო ამ ჩვენ პატარა ბაღში წისქვილის რუიდამ და იმის გადასაგდებად ვიყავი.

— რას იძახოდი?

— არაფერს. ცოტა თანაბრად ვერ ადის ვიწროდამ თივა, ავდრის წყალს დაიგუბებს და გაფუჭდება. ის დავუძახე პეტრეს, გაასწორე-მეთქი.

— აბა მაჩვენე.

არჩილი წამოდგა. გიორგი გაუძღვა და მეორე მხრიდამ შეახედა.

— მართალი ხარ, — უთხრა გიორგის არჩილმა, — პეტრე! გიორგი მართალს ამბობს, თავი ვერ ედგმის კარგად.

პეტრემ შუა-სარზედ ჩამობმულს წნელს მოჰკიდა ხელი და ეგრე ხელ-მომაგრებულმა გარშემო შემოუარა და ჩახედ-ჩამოხედა სიმრგვლივ სათივეს.

— აკი ღმერთი არ გამწყრომია! — დაიძახა პეტრემ. — გასწორება უნდა, მოდი, თუ ღმერთი გწამს, გიორგი. ერთი ამომეშველე, გავასწოროთ, თორემ მე მარტოკა დღეს მაგას ვეღარ მოვასწრობ და საქმის სახვალიოდ დაგდება კი მეზარება.

— კაცო-და ფეხი სად მოვიკიდოთ ორმა კაცმა მაგ ვიწროზედ? — ასძახა გიორგიმ.

— მაშ ნუ დამზარდები, შენის ღმერთის გულისათვის: მე ჩამოვალ და შენ ამოდი. მე მკლავებიდამ მოვწყდი, შენ შესვენებული ხარ, მალე გაასწორებ. აბა თუ ბიჭი ხარ, მადლს იზამ და მარილს მოაყრი.

— იცი კი დადგმა თივისა? — ჰკითხა კესომ ამჟამად აქ მოსულმა, — ამბობენ, მაგას ცოდნა უნდაო.

— ხელობა რა არის, ქალბატონო, — შეჰღიმა გიორგიმ. — განა სად გავიზარდე!..

— მაშ აბა! — უთხრა არჩილმა, — ეს ბურთი და ეს მოედანი.

პეტრემ წაავლო სარზედ გამობმულ წნელს ხელი, ჩამოცურდა და ფეხი ძლივს მოაწვდინა საძნე ურმის ჭალებამდე ფეხის მოსაკიდებლად. როგორც იყო ჩამოვიდა, მივიდა, გიორგის მხარზედ ხელი დაჰკრა და ტკბილის გულით უთხრა:

— ჩემს კისერზედ იყოს, ჩემო გიორგი! არ დაგეკარგება. სხვა არა იყოს რა, მამი-შენის ხნის კაცი ვარ. ეჰ, შვილო და ძმაო, კაცი რომ დაჰბერდება, შვილდი უნდა ძირს დასდოს.

— რადაო? — ჰკითხა გიორგიმ.

— მადაო, ჩემო კარგო, რომ ბერ-კაცს თვალიც ატყუებს და ხელიც ჰღალატობს, ის ქარი აღარა აქვს, რაც ახალგაზრდას. შენს ხანში ხელს არ მოვიტეხდი, რომ ეს ამბავი მომსვლოდა?

— ახალსა ნამუდრაგალსა ბერის სჯობია ჩანჩალიო, გულს ნუ გაიტეხ.

— გაცოცხლა ღმერთმა, თქმაც იცი და კეთებაც.

გიორგიმ ეს უკანასკნელი სიტყვები ვეღარ გაიგონა, მაშინვე ავარდა ურემზედ, ორ-თითით მოიწვდინა თივაზე სარტყელსავით ჩამოკიდებული წნელი და თვალის დახამხამების უმალ სათივეს ზედ თავზედ მოექცა. მიშალ-მოშალა, ჩამოჰყარა ძირს თივა, დაადაბლა სათივე და რაკი ნახა, — აქედამ ეხლა სწორედ ავაო, დაიწყო დგმა. მინამ დიდი ბინდი მოეფინებოდა ქვეყანას, გიორგიმ თავისი საქმე გაათავა.

— ცეცხლია, სწორედ ცეცხლი, ე დალოცვილის შვილი! — ეუბნებოდა არჩილს გულმართალი პეტრე, როცა ქვევიდამ შესცქეროდა გამალებულს მუშაობას გიორგისას.

— მართლა კარგი რამ არის, — კვერი დაუკრა არჩილმა.

— კარგიო!.. ბადალი არა ჰყავს, ბადალი ამ სოფელში!..

გიორგიმ რომ გაათავა, გადმოსძახა პეტრეს:

— აბა, პეტრე, ერთი შენებურად დაუარე სიმრგვლივ, კარგად შემოკვერცხლილია, თუ არა?

პეტრემ აუარ-ჩაუარა სათივეს და ასძახა:

— კარგია, კარგი. ჩამოდი, მაგას სხვა აღარა უნდა-რა.

გიორგიმ წაავლო ხელი წნელს, ფეხები თივას მიაბჯინა, დასჭიმა წნელი და დაიწყო ჩამოცოცვა სათივიდამ. შუამდე მოვიდა თუ არა, უეცრად გაუწყდა წნელი... გიორგი პირაღმა გადმოქცეული, წამოვიდა მაღლიდამ და ურმის ჭალს ზედ დაეგო ზურგითა. ჭალმა ვერ გაუძლო, გადატყდა, მაგრამ ზურგის ძვალი კი შეუნგრია...

არჩილი, კესო, ხალხი მისცვივდნენ და გიორგი ცოცხალ-მკვდარი ნახეს დედამიწაზედ პირქვე დამხობილი, სისხლი შადრევანსავით სცემდა...

არჩილი მაშინვე მუხლის კვერებზედ დაეცა გიორგის წინ და სცდილობდა წყლული შეეხვია. ზოგი არჩილმა, ზოგი სხვებმა, როგორც იყო, წყლული შეუხვიეს და, ცოტა არ იყოს, სისხლის დენამ უკლო.

ცოცხალ-მკვდარი გიორგი და გულშემოყრილი კესო ცალ-ცალკე შეიტანეს ხელით სახლში.

— აი, ღვთის წყრომა!.. რა შეგცოდე, ღმერთო, რომ მე გამხადე საბაბი!.. — უნებურად წამოიძახა პეტრემ და ატირდა.

— ხიფათი რომ იქნება, — იქნება, — ანუგეშა ვიღაცამ პეტრე. — ალბად ეგ წერებულა მაგის შუბლზედ!.. შენი რა ბრალია?!.

XVII

ზ ა რ ი.

არჩილმა თავის ოთახში აატანინა გიორგი და თავის ლოგინზედ დააწვენინა. მაშინვე კაცი აფრინა მკურნალის მოსაყვანად მახლობელ ქალაქიდამ. ორი-სამი კაცი კიდევ სხვა გაჰგზავნა სხვადასხვა სოფლებში, რომ შინაური ჯარა-ექიმებიც მოეწვიათ, ვინც კი გამოჩენილი იყო და შინაკაცებმა დაუსახელეს.

თითონ იმავ სოფელშიაც იყო ერთი სახელგანთქმული ჯარა-ექიმი — ოფოფაანთ დემეტრე. ისიც დაიბარეს და ნახევარ საათსაც არ გაუვლია, დემეტრე ჩამოვიდა.

გასინჯა დემეტრემ გიორგი. კარგა ხანსა სინჯა, კარგა ხანს იქნია თავი და ბოლოს უთხრა არჩილს:

— არა, ბატონო!.. მე მაგას ხელს ვერ მოვკიდებ. ეგ ამ ქვეყნისა აღარ არის. მაგისი წერა ეგა ყოფილა...

— ერთი სცადე... თუ ღმერთი გწამს, ხელი დაადე... რაც გინდა მთხოვე და მაგის ცოდოს კი ნუ დაატრიალებ ჩემს სახლში, ჩემს თავზედ!..

ეხვეწებოდა, ევედრებოდა არჩილი, რომელიც იმ უბედურის წამიდგან აღარ მოშორებია გიორგის: გიორგის ლოგინთან დაჩოქილიყო, მომაკვდავის ცივი ხელი თავის ხელის-გულზედ დაედო და თითონაც არ იცოდა, რისთვის უზელავდა ხელით ხელსა.

— ტყუილი წვალება-ღა იქნება უბედურისა. სჯობია უწვალებლად მიაბაროს სული, — მიუგო დემეტრემ. — ამაღამ, — დიდი საქმეა, — თუ გაატანა: შიგანური სულ შენგრეული აქვს.

— მერე ცოდო არ არის ამისთანა ბიჭი მოკვდეს!.. — წამოიძახა გულამოჯდომით

არჩილმა და თავი ჩაჰკიდა დიდის მწუხარებით.

— ჰაი, ჰაი რომ ცოდოა!.. — დაიღმუილა ვიღაცამ ტირილის ხმით.

ყველამ იქით მიიხედა, საიდამაც ეს ხმა მოვიდა და ბნელს კუთხეში არჩილის მეწისქვილე კი დაინახეს. ამ ბერი-კაცს შეეტყო ეს ამბავი, მოვარდნილიყო, შეპარულიყო ოთახში, საცა გიორგი ესვენა და ბნელ კუთხეში მობუზული ქვითქვითებდა ჩუმად, თითქო ეშინოდა, არავინ გამიგოსო...

— არ გებრალები, ჩემო სოსიავ, რომ ასეთი ცოდვა დატრიალდა ჩვენს ოჯახში!.. — შესჩივლა არჩილმა მეწისქვილეს, რაკი ნაღველის მოზიარე იგულვა, თითქო ამით ნაღვლის განქარვებას ჰლამისო.

— ოღონდაც, ბატონო, ოღონდაც!.. — წაიქვითინა ეხლა კი ხმამაღლა მეწისქვილემ, რაკი გული ვეღარ შეიმაგრა... — ვაი მაგის დედის ბრალი, ვაი!..

მარტო ეხლა მეწისქვილის ხსენებამ მოაგონა არჩილს ოთარაანთ ქვრივი. ამ ვაი-ვაგლახში აღარავის მოჰგონებია, შვილის ამბავი დედისათვისაც შეეტყობინებინათ.

ოთარაანთ ქვრივმა ჯერ არა იცოდა-რა.

არჩილი მეტად შესწუხდა, არ იცოდა, რა გზით და როგორ გაემჟღავნებინა დედისათვის. ამის ფიქრსა და წუხილში იყო, რომ გიჟსავით გაფეთებული შემოვარდა კესო, უკვე მოსულიერებული. კესოს ცოცხალის ფერი არ ედო.

— როგორ არის, არჩილ, როგორ? — ჰკითხა აჩქარებით ძმასა და მაშინვე გიორგის ლოგინთან მიიჭრა.

— შენი მტერიმც ნუ ყოფილა ასე!.. — ძლივ-ძლივ წაიდუდუნა ძმამ.

კესომ დაჰხედა გიორგის. გიორგი გვერდზედ დაეწვინათ, ასე რომ პირისახე კესოსაკენა ჰქონდა. კესომ ნახა, რომ ეს ბრგე ყმაწვილი კაცი ძლივს-ღა ჰფეთქავს... კესოს მტკივნეულად შეეკეცა შუბლი... მიიფარა ორივე ხელი ორსავ თვალზედ და, თითქო მოგუბებული ცრემლი უკუვ უნდა აქციოსო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჭმუჭვნა დასრესა დაუწყო თვალებსა ხელებ-ჩამოუღებლივ.

— კესო, ნუ შევატყობინებთ დედასა? — ჰკითხა ძმამა.

— როგორ თუ ნუ? შვილი მოვუკალით და არც კი ვატყობინებთ, — რომ სულთმობრძავს მაინც მოუსწროს, სული დედის კალთაში მაინც დაჰლიოს... — მოსთქვამდა ქვითინით კესო.

— მე აღარა მესმის-რა, — უთხრა ძმამა, — ამ საცოდავობამ გამაშტერა. აღარც ჭკუა მერჩის, აღარც ხელ-ფეხი!.. დაბნეული ვარ.

გაჰგზავნეს დედასთან ბიჭი. მალე მოვიდა ოთარაანთ ქვრივი. თუმცა ფეხაჩქარებით, მაგრამ ისე გულ-დინჯად შევიდა გიორგის ოთახში, თითქო შენათვალი არაფრად შეუმჩნევია და აინუნშიაც არა მოსდის-რაო. მარტო სახე თითქო უფრო ჩამოსჭკნოდა, წარბებ-შუა შუბლი ორ-სამ კეცად ჩაჰნაოჭებოდა და ზაფრანის ფერი ედო.

იმასთან გაგზავნილი ბიჭი კი გოგო-ბიჭებში ლაპარაკობდა, რომ შენათვალი ვუთხარი თუ არა, ეს ვეება დედაკაცი კინაღამ თავზე არ წამომექცაო.

— რა გატირებს, ჩემო კარგო!.. — უთხრა გზა-და-გზა გიორგისაკენ მიმავალმა დედამ მტირალს კესოს. — განა სატირლადაც გაჰხდა საქმე!..

ხმა არავინ გასცა რიდისა და კრძალვისაგან. ზარი დიდი იყო!.. ოთარაანთ ქვრივი მივიდა შვილის ლოგინთან და რა დაჰხედა ცოცხალ-მკვდარს შვილს, ერთი საშინელი შემოიკრა თავში ხელი და იქვე მუხლი მოეჭრა და ჩაიჩოქა.

ხმაგაკმენდილს ოთახში ენა ვეღარავინ დასძრა, ასოც ვეღარავინ შეატოკა.

მარტო ერთად-ერთის სანთლის ალი ჰთრთოდა ლოგინის თავში, სხვა ყველა სულიერი თითქო გაქვავდნენ, თითქო მარილის სვეტებად გადიქცნენო.

დადუმდა, შეჰდგა ყველა და მარტო დედა-შვილობის საცოდავობა-ღა თავის დიდებულის ზარით ჰღაღადებდა უთქმელად, უტყვად, ხმა-ამოუღებლად.

ამას მარტო თვალი გულისა-ღა თუ ჰხედავდა და ყური გულისა-ღა თუ ისმენდა!.. ხორციელი სმენა, ხორციელი ხედვა ამისათვის უღონოა.

XVIII

უკანასკნელი განდობა

— მღვდელი, ღვთის გულისათვის, მღვდელი!.. — დაიკვნესა პატარა ხანს უკან დედამ, რა ცოტა გულს მოეშვა და დაბნეული გონება მოიკრიბა.

მოიყვანეს მღვდელი და შვილი უზიარეს!..

მანამ ეს მოხდებოდა, ოთარაანთ ქვრივი თითქო ღონეზედ მოვიდა. ჯერ ხომ გულმა გასტეხა, მერე თითონ მოერია გულსა, თითონ გაიტეხინა გული. როგორც ტყვიანაკრავი ვაჟკაცი, ისე გაუძალიანდა, გაუკერპდა, გაუჯიქდა ტკივილსა და წვა-დაგვას.

ოთარაანთ ქვრივმა ერთს მუხლზედ წამოიჩოქა, გადააწვდინა ხელი, გადაჰხადა საბანი და გულზე ხელი მოუსვა ხმაჩაკმენდილს და თვალებ-დახუჭვილს შვილსა.

დედის გულთამხილავმა გულმა პირველშივე შეიტყო, რომ აქ საშველი აღარა არის-რა და შვილს სიკვდილი ხელიდამ აცლის. აღარაფერი იკითხა, აღარაფერი იძია... იმედ-გადაწყვეტილი მარტო იმას-ღა ეშურებოდა, ისე არ მომიკვდეს, რომ ხმა არ გამცეს, არა მითხრას-რაო.

— შვილო, გიორგი! აბა ერთი მომხედე შენს დედას!.. რა დაგემართა!.. ვაჟკაცი რამ გძლია ისე, რომ დედისათვისაც თვალს არ ახელ!..

შვილმა იგრძნო დედის ხელი თავის გულზედ, თუ ხმამ დედისამ გამოაბრუნა, — ეს კი იყო, რომ თვალი გაახილა და უღონოდ მოატარა გარშემო. მალე ისევ მიელულა თვალი, ისევ დაეხუჭა და ტუჩებს-ღა დაუწყო ტოკვა.

— თქმა უნდა და ილაჯი აღარა აქვს... — დაიკვნესა დედამ.

ამის თქმაზედ ორი სხვილი ცრემლი ჩამოუგორდა თვალთაგან და გაფითრებულ ლოყებზედ ნავალი დააჩნია, თითქო მდუღარე ტყვია იყო და საცა გაიარა, ამოსწვაო.

სახე კი... არ უტიროდა, არა!..

გაკერპებულმა დედამ სახეს არ ამოაბეჭდვინა მწვავი ტკივილი გულისა. ძალის-ძალად გაყინული ცრემლი კი დაადნო ცეცხლმოკიდებულმა გულმა და ძალის-ძალადვე შეუპოვრად შეკრულს სახეს ერთი ძარღვიც ვერ შეუშალა. იმედ-გადაწყვეტილობის სუსხმა ისევ გაჰყინა ეს დამდნარი დედაკაცი.

— წყა... — წამოიხრიალა გიორგიმ და ვერ დაათავა სიტყვა.

— წყალი, წყალი! — დაიძახა რამდენმამე ხმამ ერთად.

დემეტრემ ურჩია, ღვინო მიაწოდეთ, ცოტად მოაღონიერებსო.

— შვილო, დედის-ერთავ, მამის ობოლო! ერთი ხმა გამე, ერთი კიდევ მომხედე!.. —

შეჰკვნესა დედამ და ტუჩებთან მიუტანა პატარა თასით ღვინო.

გიორგიმ ორიოდე წვეთი ჩაჰყლაპა და თითქო მოსულიერდა, თვალი ხელახლად აახილა, წყნარად მიატარ-მოატარა და უეცრად გაუშტერდა.

დედამ შვილის თვალის სისწვრივად გაჰხედა და დაინახა მტირალი კესო...

— დედი! ჰხედავ... ამ... ანგელოზს!.. — ძლივ-ძლივობით გამოსთქვა გიორგიმ, ისევ კესოზედ თვალ-გაჩერებულმა.

— ვხედავ, შვილო!..

— დედი!.. ღვინო...

დედამ კიდევ დაალევინა ღვინო.

— ეგ იყო ჩემი ბედისწერა... არა ვნანობ, არა! — კვლავ მიუბრუნდა გიორგი გაწყვეტილს სიტყვას.

არჩილმა გაოცებით შეჰხედა კესოს. კესოსაც ელდა ეცა, გაფითრდა, გაშრა, გაშტერდა. დედას კი თითქო არ ეუცხოვა ეს ამბავი.

არც არჩილმა, არც კესომ, არავინ, არავინ არ გაჰბედა ამისთანა ზარიანს დროს ხმა ამოეღო. ყველა სმენად გადიქცა.

— აი, ნეტავი ერთი შენს კალთას მაინც მამთხვევინა და ისე მომკლა!.. — ინატრა გიორგიმ და იმისმა თვალმა, კესოზედ მიქცეულმა, უფრო სთქვა ხვეწნა და ვედრება, ვიდრე ენამ და ხმამ.

კესო ტირილით მივარდა და თვალ-ცრემლიანმა შუბლზედ აკოცა გიორგის... თავი რომ აიღო, ცრემლი მოსწყდა და მომაკვდავს გულზედ დაეცა. ამ პატარა უეცარმა ცრემლმა ერთხანად შესძრა გიორგი და შეაჟრჟოლა. ეს ცრემლი თითქო უკვდავების წყაროდ ებკურა, იამა, გაუხარდა, მოსულიერდა, თითქო მიმავალი სიცოცხლე უკანვე დაუბრუნდაო.

ამისთანა დროს სიხარული, ბედნიერება, იგივ სიცოცხლეა, მხოლოდ ხანმოკლე და შეურჩენელი.

— ჰხედავ, დედი!.. ცოცხალი მაგის ღიმს ვერ ვეღირსე, ვკვდები და მაგისი ცრემლი ზედ დამდის. ესეც მეყოფა თან წასატან ლხენად... არა ვნანობ, არა!.. მივდივარ და თან მიმაქვს ამის ცრემლით განედლებული სიხარული. იქ ვახეირებ, იქ... ნუ იწუხებ, დედი!.. შენგან გამიგონია, რასაც არა ეშველება-რა, კაცი არ უნდა აეთრევინოსო!.. არჩილ, ნუ მიწყენ, ნუ!.. ნურც შენ, ნურც შენ!.. განა არ ვიცოდი, — მე ვინ და შენ ვინ!.. სად მოგწვდებოდი ცაში ვარსკვლავს... გული გწვდებოდა, გული, ხელი კი ვეღარ... ხატსავით გლოცულობდი, მზესავით დამნათოდი... არც კი იცოდი, — ვის ათბობ, ვის ალხენ, ვის აცოცხლებ!.. მინამ ცოცხალი ვიყავ, ვერ გაგიტყდი, მცხვენოდა... მერიდებოდა... მეშინოდა... ვკვდები და გეუბნები... მკვდარს რაღა მომეკითხება? მკვდარი ყველა თანაბარია!..

თავი უღონოდ მოსწყდა ბალიშზედ, თვალი ისევ მიელულა, სულმა ბრძოლა დაუწყო და მარტო ხელს-ღა აფათურებდა უძლურად, თითქო ვიღასაც ეძებს და იმისი პოვნა უნდაო.

პატარა ხანი კიდევ და გიორგი აღარ იყო.

— გაჰთავდა!.. — დაიკივლა დედამ და ზედ გადაეშვა მკვდარს შვილსა. პირქვე დაემხო შვილის გულზედ. აღარც ხმა, აღარც კრინტი!.. კაცს ეგონებოდა, დედამ შვილის გულზედ სული დაჰლიაო.

ცოტა ხანს მოუცადეს, ვითომ გულზედ მოეშოსო, მაგრამ რაკი ნახეს, რომ ეს დედაკაცი არც ხმას იღებს, არც იძვრის, ფიქრი მიეცათ, — ხომ არა აუტყდა-რაო.

კესო მივიდა და ჰლამოდა აყენებას, ოთარაანთ ქვრივმა მაშინღა მოსცა ხმა.

— თქვენი ჭირიმე, მარტო მამყოფეთ ჩემ მკვდარ შვილთან. მე არა მიშავს-რა. იმისთანა ვარსკვლავზედა ვარ გაჩენილი... მე ბედშავი!.. ვაი, რომ არა მიშავს-რა!..

არჩილმა ყველას აქ მოგროვილს მოახლე-მოსამსახურეებს ჩუმად ხელით ანიშნა ოთახიდამ გასვლა. ყველანი გაიკრიბნენ. არჩილი და კესოც ფეხაკრებით გავიდნენ, მხოლოდ მოახლეს უბრძანეს მეორე ოთახიდამ ყური ეგდო ოთარაანთ ქვრივისათვის.

დაცარიელდა ოთახი.

ეხლა კი წაიშინა თავში ხელი ოთარაანთ ქვრივმა, რაკი მარტო იგულა თავი.

— ჩემი გიორგი აღარ არის, არა!.. — ჰღმუოდა ხმადაბლა დედა. — მე დავრჩი, მე, და გიორგი კი აღარ არის!.. შვილო, წამიხველ? მომიკვდი? წამიხველ, წამიხველ და აღარ მომიხვალ!.. შვილო, შენი დასამარხავი ვიყავ და მე გმარხავ შენა, მე!.. შენი დასატირებელი ვიყავ და მე დაგტირი!.. ამ ხელებმა გაგზარდა და ამ ხელებმავე უნდა მიწა მოგაყაროს!? მაგ ხელებს უნდა დაეკრიბნა ჩემთვის გულზე ხელი და ეხლა მე უნდა დაგიკრიბო, მე!.. ვაი დედას, ამის დამსწრეს!..

პირქვე დაეცა ხელახლად შვილის გაცივებულს გულს და ტირილი კი არა, მარტო ქვითქვითით გოდება-ღა ისმოდა.

— ვუი, ვუი, ვუი!.. — გაისმა ოთახში ბღავილსავით ვიღასიც ტირილის ხმა.

ოთარაანთ ქვრივმა იუცხოვა და თვალი წყრომით მოატარა ოთახში.

ერთად-ერთი სანთელი ბევრს არას ანათებდა ფართო ოთახში და ნამეტნავად ერთს კუთხეში ჰბნელოდა. აქ მობუზული კაცი დაინახა ოთარაანთ ქვრივმა.

თავის უნებური კაცი ნახა თუ არა, გულჩვილი დედა უცბად ისევ მჭახე ოთარაანთ ქვრივად გადაიქცა.

— შენ ვიღას მეტიჩარა ხარ? — შეჰყვირა ოთარაანთ ქვრივმა გაჯავრებით.

— შენს საცოდავობას ვეღარ გავუძელ, ტირილი ყელთ მომებჯინა და არც მე მინდოდა, ტირილი წამსკდა და ძროხასავით ბღავილს მოვყევ ეს ოხერ-ტიალი...

— მერე აქ რას უგდიხარ?

— მარტოდ შემეცოდე. ვთქვი — უცხო სახლია, ესეც ადამიანია, წყალს მაინც მივაწვდი-მეთქი.

— ვინა ხარ?

— სოსია.

— ვინ სოსია?

— თუ გაგონდები, კარგია, თუ არა-და, მაინც ღმერთმა გილხინოს, თუ შვილის მერმედ კიდევ რამ სალხენი დაგრჩენია ამ წუთისსოფელში.

— რატომ არ დამრჩენია? სიკვდილის მოლოდინი ლხენა თუ არა გგონია!..

ბებერი მეწისქვილე, როცა ყველანი გავიდნენ, სხვებს არ გაჰყოლოდა და აქ ბნელს კუთხეში ქურდულად მიმალულიყო, წინანდებურად მობუზული.

— წადი, აქ შენ ადგილი არა გაქვს, — უთხრა ოთარაანთ ქვრივმა: — მარტო მინდა ვიყო…

— შენი ნებაა, წავალ და კარებს უკან ძაღლსავით მივეგდები თუ რამ დაგჭირდეს, დამიძახე.

— კარგი, მომშორდი!

XIX

ჩატეხილი ხიდი

დიდის ყოფითა და ამბით დაამარხვინა არჩილმა გიორგი. მთელი ახლო-მახლო სამღვდელოება, ახლო-მახლო სოფლები მოიწვია მიცვალებულის "გასაპატიოსნებლად" და ამისთვის არა ხარჯი არ დაჰზოგა. ისე დაჰმარხა, თითქო იმისი სახლის-კაცი, იმისი ოჯახისშვილი ჰყოფილიყო.

სახლიდამ ეკლესიამდე და მერე ეკლესიიდამ სასაფლაომდე კუბო ეჭირა არჩილს და გლეხკაცებთან ერთად ეწევოდა, ასე რომ არავის გამეეცვლევინა.

კესო მძიმე შავებში ჭირისუფალსავით გულხელ-დაკრებილი და მგლოვიარედ თავ-ჩაკიდებული ხმა-ამოუღებლივ მიჰყვა მიცვალებულს სასაფლაომდე. როცა კუბო სამარეში ჩაუშვეს, მუხლი მოიყარა, პირჯვარი გადიწერა და ხმაგაკმენდილი ჰლოცულობდა. ბოლოს, ერთი პეშვი მიწა მიაყარა და უცბად წამოდგა. გამოტრიალდა, თითქო შეაშინა რაღაცამაო.

— დახე, სტირის!.. — სთქვა ერთმა იქ მდგომელმა დედაკაცმა.

— სიყვარული ძნელია! — უპასუხა მეორემ. — გაიგებდი, ერთმანეთი ჰყვარებიათ.

— საწყალი ცრემლსა ჰმალავს, თითქო სცხვენიანო.

— რა სირცხვილია, — გაიბა დედაკაცობაში ლაპარაკი, — ის კი ადამიანი არ იყო?! ლამაზი გოგო და ლამაზი ბიჭი — სხვა რა უნდა სიყვარულს?

გლეხკაცობამ ზოგმა მოუწონა და-ძმას ამისთანა თავმდაბლობა და „გაპატიოსნება" მიცვალებულისა, ზოგი კი იძახოდა:

— კაცი მოიდნეს და ქვეყანას ამით უბმენ თვალსაო.

იქნება ეგრეც იყო. ეს კია: სხვის გულში — მართალი ადვილი საპოვნელი არ არის.

განა არა, — არჩილს ამ სიტყვებისათვის სადღაც და როგორღაც ყური მოეკრა და როცა კესომაც შეიტყო და აპილპილდა, — ეს რა დაგვწამესო, არჩილმა უთხრა:

— ნუ გიკვირს.

— რატომ არ უნდა მიკვირდეს! ჩვენ წმინდა გულით ჩვენი ვალი გადვიხადეთ და იმათ ჩირქი მოგვცხეს.

— საკვირველი ის იქნებოდა, რომ ეგ არ ეთქვათ. ისინი თავის მხრით მართალნი არიან. ჩვენ-შუა ხიდია ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დაჰრჩნენ, ჩვენ აქეთ. შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ვეღარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი. რად უნდა გვიკვირდეს, რომ იმ სიშორეზედ კაცს კაცი მარგილად ჰგონია და ღვთის მსგავსებით შექმნილი სახე ადამიანისა ელანდება როგორც ერთი ტყლაპი რამ. ამ დიდ მანძილზედ განა ცოტა რამ არის, რომ უღონო თვალს თეთრი შავად აჩვენოს? ჩვენ კიდევ ხედვა გაძლიერებული გვაქვს, დურბინდით შეგვიძლიან ყურება და ეგ დურბინდი სწავლაა და ცოდნა, ისინი მაგასაც მოკლებულნი არიან.

— მაშ მადლი მადლად, კეთილი კეთილად აღარ უნდა გადიოდეს იმათში?!

— ჩვენი მადლი, ჩვენი კეთილი არა სწამთ, არა სჯერათ. ერთიც და მეორეც ჩვენგან უკვირთ, ეუცხოვებათ. რადა და რისთვისაო? იკითხავენ ხოლმე. კეთილისათვის? რად მიზამს კეთილსაო, ჩემო რაოვო? და აი, სწორედ აქ არიან მართალნი. მართლა-და ჩემო

რაოვო? ჩვენ ვინ და ისინი ვინ! ორი სხვადასხვა ქვეყანაა. შორი-შორსა ვართ-მეთქი... იმათს ჭირსა და ლხინს ცალკე ღობე ავლია, ჩვენსას ცალკე. გული გულს ვეღარ მიგვიკარებია, ვეღარ მოგვიხვედრებია. და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ერთმანეთისა აღარა გვესმის-რა. აბა ერთი მითხარ: რა დადის ეხლა ჩვენ-შუა? მარტო ერთი პტყელი ენა მწიგნობარისა, — მე ჩვენისთანა კაცს მწიგნობარს ვეძახი, — მარტო პტყელი ენა-მეთქი მწიგნობარისა და ხარბი ხელი გაუმაძღარისა. ამისთანა მოციქულები აბა კარგს რას დაგვაყრიდნენ.

— მაშ გული ქვეყანაზედ აღარ არის!.. მოჰკვდა, გამოეცალა ადამიანს...

— გული... გული, ესე იგი, ის მადლი, რაც ენას და ხელს უნდა ასაქმებდეს, მართლა რომ აღარ არის. ან არის და დამუნჯებულია, დაყრუებულია, თითქო იმათაც და ჩვენც მოგვკვდომოდეს, თუ მთლად არა, ერთი ნახევარი მაინც. ამ ცალთვალა და ცალყურა ნახევრით-ღა ვცხოვრობთ ღა ვკითხულობთ ერთმანეთს. აქ ცდომა უეჭველია, იმიტომ რომ სწორედ ის თვალია დახუჭვილი, ის ყურია დახშული, რომელიც სჭრის სხვის ხედვად, სხვის სმენად. გული რა არის? მარტო ერთად-ერთი კაცი რომ ყოფილიყო ქვეყანაზედ, გულიც არ იქნებოდა. გული მადლია, და მადლი მარტო ორს შუა ჰსაქმობს. ორნი მაინც უნდა იყვნენ, რომ მადლი მოჰხდეს, იმიტომ, რომ მადლი ერთისაგან გაწირვაა და მეორისაგან შეწირვა ერთსა და იმავე დროს. თუ ან გამწირველი არ არის, ან შემწირველი, მადლიც არ არის, მაშასადამე, გულიცა. თუ ორნი არ არიან, გულმა რისთვის ამოციქულოს ან ენა, ან თვალი, ან ყური. თავის თავთან მოციქული საჭირო არ არის, მოციქული სხვასთან უნდა. უსხვისოდ ერთის გული მარტო პარკია, სისხლის აღებ-მიმცემი აგებულებისათვის. სად არის ის სხვა? წყალგაღმაა, შორს... შორს... მაშ რაღად გვიკვირს, რომ იქიდამ ვეღარ გვხვედვენ, ჩვენი აღარა სჯერათ-რა... კეთილიც კი. მაგ ჯერვამ თვალი რას მოაბას, ფეხი სად მოიკიდოს? მკვდარს გულში? შეუძლებელია.

— ეგ, ჩემო საყვარელო, ძველი მოთხრობაა ახლად ნაამბობი: აქაო-და გლეხია, ყოველთვის მართალი უნდა იყოს.

— მაგ სულელობას რადა მწამებ, ჩემო კარგო? მე გლეხკაცს გუშინდელ ბალღსავით კი არ შევხარი, — ანგელოზია-მეთქი, მე ვსინჯავ, მე ვჩხრეკავ და, როგორც ჭკვა-დამჯდარი მგლოვიარე, დავტირი ჩემს დაკარგულს ნახევარსა. ის ჩემგან მოკვეთილი ნახევარია, მე იმისგან. მე დაკარგული მენანება, მებრალება და არ მემართლება კი. გლეხი უწმინდურია თავისი ტყაპუჭით კი არა, ზოგჯერ თავის გულითაც. ესეც ვიცი, მაგრამ ჩვენ კი უკეთესნი ვართ? ამ წმინდა და უმტვერო თოვლსავით სპეტაკს პერანგ-ქვეშ განა ჩვენ იმაზედ მეტნი ვართ? ისინი მენანებიან, მებრალებიან-მეთქი, მე კი ჩემი თავი მძაგს და მეზიზღება. არა, ნახევარ კაცად, ნახევარ გულით ცხოვრება სიკვდილია, კდომაა...

— კდომა ხრწნაა და ხრწნას მარტო ჩირქი სდის. ეს თუ უნდა გეთქვა.

— შენ დამასწარ. მაგრამ ორ ტოტად კი. ერთი ტოტი — ჩვენი მკვდარის ნახევრისაა და ნუ გიკვირს, რომ ერთმანეთს უჩირქოდ ვერ გადვურჩებით, როცა ერთმანეთს მოვხვდებით ხოლმე. კარგს ვიზამთ რასმე და ერთმანეთს მკვდარის ნახევრით გულს ვუჩხრეკთ. ამიტომაც კარგის მქნელი, — იმათია თუ ჩვენი, — ან სულელი გვგონია, ან მატყუარა. მკვდარი ცოცხალს ვერ დაინახავს, ვერ გაიკითხავს ცოცხლურად...

— მაშ წასულია ჩვენი საქმე, თუ მართლა ეგრეა!

— ვინ გითხრა? ჩვენისთანისა — იქნება ჰო, მაგრამ იმათი კი არა.

— არ მესმის. აკი ორივენი, — ჩვენცა და ისინიც, — ერთნაირად მკვდარნი ვართ, შენის სიტყვით.

— ეგრეა, მაგრამ შენ ის ცოცხალი ნახევარი გავიწყდება, რომელიც შერჩენილი გვაქვს. განსხვავება აქ არის. ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი — შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება — ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ — დონდლონი, დუნენი. აბა იმათს სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კვნესაა და მაინც სიმღერას ეძახიან. ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია. გახსოვს, რა გვითხრა პაატამ, როცა ჩვენთან ქალაქში ჩამოვიდა იმ საშინელს თოვლ-ჭყაპში სამის მანეთის სათხოვნელად და მე გავეხუმრე:

— ბიჭო, სამის მანეთისათვის ამ სიშორედ როგორ წამოხვედი-მეთქი ამ ვაი-ვაგლახში — „აი, ბატონო, თქვენ რა იცით, ხურმა რა ხილიაო, — მითხრა უზრდელობით და არა წყენისათვის: — აქედამ რომ მივალ, ნაჯაფევი, გზისაგან გალახული, თოვლ-ჭყაპისაგან გაწუწულ-გალაფული და ჩემს დაძონძებულ საბანში ცახცახით გავეხვევი და მივეგდები — რა ტკბილად დამეძინებაო, თქვენ ისე თავის დღეში ვერ დაიძინებთო”. იმათთვის ძილი მართალი მოსვენებაა, მართალი აღდგენაა დახარჯულის ღონისა, ჩვენთვის კი ნებიერობაა, ღონის გასიებაა, დამძიმებაა, წყალმანკია, იმიტომ, რომ ჩვენი ღვიძილიც ძილია. იმათი ცოცხალი ნახევარი, ავად თუ კარგად, მაინც ჰსაქმობს, და ჩვენი კი უქმია. საქმეა სიცოცხლე. ეს არის იმათი კარგი და ამითი გვჯობნიან...

— ნადირი კი არ დაძრწის დილიდამ საღამომდე საჭმლის საშოვნელად. ჰშიან და, რომ ამისათვის ხელ-ფეხსა სძრავს, საქებ-სადიდებელია?! ადამიანს ადამიანობა უნდა ემჩნევოდეს. აქ არის თავი და ბოლო ქება-დიდებისა.

— მაგით რა უნდა სთქვა?

— ის, რომ ადამიანობით ისინი ჩვენზედ უარესნი არიან. გლეხკაცისთანა ხარბს, გლეხკაცისთანა გაუტანელს, გლეხკაცისთანა შეუბრალებელს და უმადურს ძნელად თუ ნახავ სადმე, მაშინაც კი, როცა თავის მოძმე გლეხს ვიწროში მოატანს: დაარჩობს, მიწასთან გაასწორებს. სხვას ვიღა სჩივის...

— მჯერა, თითო-ოროლა ეგეები მეც ჩემის თვალით მინახავს, ჩემის ყურით გამიგონია. მაგრამ ცხოვრება მაინც იმათშია: იქა ჰდუღს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თითონ სიცოცხლის ძარღვიცა. რაც სთქვი, ეგ ჭუჭყია, ქაფია მდუღარე ცხოვრებისა, თავზედ მოგდებული. ძირში კი წმინდაა. მაშ რა სწნავს იმისთანა კაცურ-კაცს, როგორც გიორგი იყო, ან იმისთანა დედაკაცს, როგორც ოთარაანთ ქვრივია? მაგისთანა პური მარტო იმათს თონეში-ღა ჰცხვება, ჩვენი თონე კი მარტო ჩვენისთანა კუტ-პურს აცხობს. დღესაც ვერ გამომირკვევია — რა მოგვეჩვენა გიორგის სახით?.. ჩვენ ხედვად და სმენადაც უღონონი ვართ და იქ კი... იქ კი რამოდენა ღონე ყოფილა შექმნისა... გიორგი...

— ნუღარ მომაგონებ! მე ჩემი მემართება, როცა ის უბედური მაგონდება.

XX

დასაწყისი განთიადისა.

არჩილმა გასწყვიტა ლაპარაკი და წინა და უკან მოჰყვა სიარულს ოთახში. ვინ იცის, — კესო შეეცოდა, თუ დაიღალა, და სიარულით ქარის ამოღება მოინდომა. ხოლო პატარა ხანს შემდეგ შუა-გზიდამ უეცრად მოუტრიალდა კესოს და უთხრა:

— არა, ჩემო საყვარელო დაო! ნუ მიწყენ კი და ეგრე ადვილად გზაასაქცევი, თავიდამ მოსაშორებელი არ არის გიორგის ამბავი. გახსოვს გრიგოლ ორბელიანი? რა-რიგად აგვიტაცა იმისმა სიტყვამ, როცა ვკითხულობდით:

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
თაყვანისცემა ღირსებას,
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს
და არა გვარიშვილობას".

— ეგ აქ რა მოსატანია? — ჰკითხა კესომ.

არჩილი ჩაფიქრდა: გაუკვირდა მიუხვედრელობა კესოსი.

— შენი კითხვა მაკვირვებს, კესო!

— საკვირველი აქ არა არის-რა, — მიუგო კესომ და თავი ჩაჰღუნა, თითქო ეს დუნე პასუხი თითონვე ეთაკილაო.

— მაშ გიორგის შეირთავდი? — ჰკითხა უეცრად არჩილმა.

კესომ ეს უეცარი კითხვა იწყინა, თუ რა, დიდხანს პასუხი არ გასცა.

არჩილმა აცადა. გული კი აუფანცქალდა. ვინ იცის — რა უფრო ენატრებოდა: ჰო, თუ არა. არჩილმა ხელმეორედ ჰკითხა:

— შეირთავდი?..

— არა.

— მეც ეგრე მოვიქცეოდი. გამოდის, რომ თუ არ გვარიშვილობას...

— ნუ იტყვი მაგას!.. — შეჰკივლა კესომ წყრომითა და თვალები დაუბრიალა.

— ნუ სჯავრობ, კესო! მართალს თვალი თვალში უნდა გაუყარო უშიშრად. მადლი მაგასა აქვს...

— არ მიყვარდა და იმიტომ.

— ჩვენი ვაიც მაგაშია. სჩანს ჩვენთვის წიგნი სხვა ყოფილა და საქმე სხვა. არ გიყვარდა იმავ მიზეზით, რა მიზეზითაც არ შეირთავდი: გლეხკაცი იყო. სად არის აქ „თაყვანისცემა ღირსებისა", რომელიც ჩვენ ასე მოგვწონდა? წიგნშია და არა საქმეში, ენაზეა და არა გულში. აბა გიორგის ამბავი წიგნში ამოგვეკითხნა, რა პტყელ-პტყელ ლაპარაკს მოვყვებოდით მე და შენ და ჯვართ ვაცვამდით, ვისაც კაცის საწყაოდ გვარიშვილობა მოუხმარია. „ღირსების თაყვანისცემას" ვიღა სჩივის, შენ ვერც კი მიუხვდი სიყვარულს, კაცი თურმე თავს გევლებოდა. აი, რა დიდი კედელია ჩვენსა და იმათ შუა! ჩვენის სისხლხორცის ქვითკირია, ქვითკირი... ჩვენ რომ გვკითხონ. ვითომ დიდი ხანია გადაგვიქცევია ეს მაგარი კედელი. მაგრამ რით? მარტო წიგნისაგან გაალმასებულ ენითა. ენით ვაქცევთ და გული კი ისევ ებღაუჭება, ისევ აშენებს, აგებს... ნახევარ-კაცნი ვართ და ვაი, რომ უკეთესი ნახევარი მოგვთლია...

— არჩილ, მეტის-მეტია.

— მკვახედ, უფერ-უმარილოდ ლაპარაკს გულქვაობაში ნუ ჩამომართმევ, ჩემო კესო. სიცოცხლეში ხშირად არ მოგვევლინება იმისთანა რამ, რომ ჭკვა გვასწავლოს, თვალი აგვიხილოს. ხომ მიწასთან გასასწორებელნი ვიქნებოდით, თუ ჩვენისთანებს

იმოდენა ღონეც არა აქვს, რომ თვალის ახილების ტკივილს გაუძლოს. ეს-ღა გვაკლია.

— მაშ სთქვი!.. თუმცა ტკივილითა სჭრი, მაგრამ ამებით ჰკერავ კიდეც. სთქვი!..

— იცი, რა იყო გიორგი!.. გიორგი მთელი წიგნი იყო, ხიდ-გაღმა დაწერილი. გიორგი წიგნია-მეთქი, მთელი წიგნი ცხოვრებისა, სულ სხვა ასოებით დაბეჭდილი. წინ გადაგვეშალა ეს წიგნი და ვერ წავიკითხეთ. რას არა ვკითხულობთ მე და შენ და ათასი ჩვენისთანა. მწიგნობრობით დღეს ვის არ მოაქვს თავი და მაგის ანბანი კი თურმე არა გვცოდნია. გიორგი ცოცხალი ხატია ღირსებისა. „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებსო", ნათქვამია, და რამდენჯერ გვითქვამს მე და შენ, — რა კარგად და მართლად არის ნათქვამიო. წიგნში ეს დანახული გვაქვს, ენაზედაც ხომ გვაკერია და გვაკერია. ცხოვრებამ კი რომ ამისი ცოცხალი ხატი წინ დაგვიყენა, ვერ ვიცანით: თვალით ნახული ვერ დავინახეთ. არ შეირთავდი!.. ვის? „მშვენიერს სულსა". არ გიყვარდა, ვინ? „თაყვანსაცემელი ღირსება". არ გიყვარდა ის, ვისაც „ცის სხივით აცისკროვნებს მშვენიერება" სულისა.

— სიყვარული ბრძანებით არ მოდის.

— განა მზე კი უბრძანებს ხოლმე ვარდს, გაიშალეო!.. აქ თავისთავად უნდა მოსულიყო, რომ, უკაცრაოდ, ბრმა გული არ დახვედროდა, გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილი. აბა შენი ტოლი კაცი ყოფილიყო და ვინ იცის, იქნება ბრძანებასაც გაეჭრა, სიყვარულს ხომ მაინც მიუხვდებოდი და მაინც, სხვა არა იყოს-რა, თუნდა ნაასალი მადლიც გიორგისა არ სცხებოდა. აქ კი გვარიშვილობამ კარი გულისა არ გაუღო. წმინდა შუქი მშვენიერის სულისა ამაოდ და უქმად-ღა ჯავარსავით ეფინებოდა ცივს კედელს. შენ ვერც კი მიუხვდი, ვერც!.. იმან კი იცოდა და არა სჩიოდა. „არა ვნანობო, არაო!.." მოკვდა და ეს უწყინარი სიტყვები ჩვენ დაგვიგდო ჩვენის თავის გასაკითხად.

— ნურც ეგრე გამასწორებ მიწასთან!.. მეყოფა!.. — უთხრა კესომ და ტირილი დაიწყო.

არჩილს შეეცოდა, მივიდა და შუბლზედ აკოცა.

— წმინდაა ეგ ცრემლი და არ მოგწმენდ. თქვენ, ქალები, ამით გვჯობნიხართ მამაკაცებს...

— რომ ცრემლს — გვინდა თუ არა — წყალსავითა ვღვრით ხოლმე. კმარა სიცილი!.. დავიტანჯე!..

— ო, ჩემო კარგო, ზოგჯერ ცრემლი „მდუმარე წვიმისამებრ ნაყოფის გამომცემელია". ცრემლი ყოველთვის არ არის უბრალო წყალი, ცრემლი ზოგჯერ ფარია, და დროზედ ხმარებული ფარი იგივ ხმალიაო, ვიღაცას უთქვამს.

— მაგით რა გინდა სთქვა?

— შენი ტირილი მიხარიან... მეც ვიტირებდი, რომ მარტო უკანღა ვიხედებოდე, როგორც ეხლა შენ. იქ, უკან ბნელა... ღამეა...

— და ხიდია ჩატეხილი, ხიდი!.. — წამოიძახა ტკივილით კესომ.

— ეგ მინდა, რომ ყველამ დავინახოთ, ეგ მინდა, რომ ყველამ ვიცოდეთ. შენ ეხლა ჰხედავ, შენ ეხლა იცი.

— ვიცი და ვტირი...

— ამიტომაც მიხარიან შენი ტირილი...

— არჩილ, წინ რაღაა, წინ! — შეჰბღავლა უეცრად კესომ და ორისავ ხელის თითები ერთმანეთში ჩაიწნა და ფშვნეტა და მტვრევა დაუწყო.

— ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა, — შუქია წინასი და შუქი ხომ...

— დასაწყისია განთიადისა, განა, ჩემო კარგო?!

— სწორედ.

და-ძმანი სიხარულით ერთმანეთს გადაეხვივნენ.

XXI

ეძახის.

შუა-ხანში შესულმა შემოდგომამ ზამთრისაკენ პირი ჰქმნა და ნახევრად-შექცეული ზურგი მთლად შეაქცია ზაფხულსა. ის თბილ-გრილი, ის მშრალ-სველი, ის ციაგ-ლურჯი შემოდგომა, რომელიც ჩვენმა დალოცვილმა ქვეყანამ ასე ტკბილად, ასე ლბილად იცის, მიჰბერდა და ჭაღარა მოერია. მისი ჭაღარა ჭირხლია.

მთა-ბარს, ტყე-მინდორს დილ-დილაობით ჭირხლი ედებოდა და მხოლოდ შუადღის გულზედ მზე პირდაპირ დაჰხედავდა თუ არა, ჭირხლს, ზოგს წყლად ქცეულს, მწყურვალი მიწა სვამდა და ზოგი ორთქლად ცას აჰქონდა და ბამბის ქულასავით თეთრ, ფუნჩულა ღრუბლად აქა-იქ ატარებდა თავის თვალგადუწვდენელს სიგრძე-სიგანეზე, სიღრმე-სიმაღლეზე.

მოვიდა ზამთარი და მოიტანა თოვლი. სწორედ შობის ღამეს ხელახლად მოვიდა დიდი თოვლი და სოფლის გზებსა და ორღობეებში თეთრ უმტვერო სუფრასავით დაეგო და დაეფინა. გლეხკაცობის სახლებს, ჩალით და ზოგან კრამიტით დახურულებს, მძიმედ დაედო თოვლი და ჭუჭყიანი თავსახურავები მოჰრთო თეთრად, თითქო ძალზე გარეცხილი ჩადრები გადააფარაო. კაკლის ხეები ეზოებში და ხილისანი ბაღჩებსა და ბაღებში შეიკუნწლა ახალის თოვლის ქულითა და შავად გაშიშვლებული ტოტები თეთრად გამოლამაზდა. ორღობის ღობეები, ზოგან ჯარჯით, ზოგან წალმით დახურული, სქლად დადებულ თოვლ-ქვეშ ისე სჩანდა, თითქო თეთრი საფარავი აქვთ გადაჭედილი ზემოდამაო.

თოვლი რომ გადიღო, ბევრს ხანს არ გაუვლია, ყინვამ მოუჭირა: აცივდა, აყინდა. ძველს თოვლში შეპარებული სითბო დღისა თოვლიდამ ჯერ კიდევ წყალს აწვეთებდა, მაგრამ ყინვა არ უშვებდა და ყინულად ქცეული ნაწური ჩურჩხელებსავით ეკიდა ხის ტოტებს, ღობეების ნაპირებს, ჩარდახების და ბანების გარეშემო.

ღამე არ იყო ბნელი. ცაზე დროგამოშვებით კაშკაშა მთვარე ხან გამოჰყოფდა ხოლმე ღრუბლებიდამ თავს, ხან ისევ ღრუბლებში გაეხვეოდა, თითქო ღრუბლის ბნელი და მთვარის შუქი ერთმანეთს ეჭიდებიან და ხან ერთია ქვეშ, ხან მეორეო.

სოფელს დიდი ხანია ეძინა იმ გულიანის ძილითა, რომელიც მართლა სასვენია და არა სანებიერებელი. მისწყდა სოფლის ხმაურობა, დღის ჟღივილ-კივილი, მისწყდა ადამიანის ფეხის ხმაც. ახალ მოსულს თოვლს, ყინვა-დაკრულს, არსად არ აჩნდა ნაფეხური ადამიანისა... სოფელს ხმა გაეკმინდა და თითო-ოროლა ადგილას მეტის-მეტად ფრთხილის ძაღლის ყეფა-ღა ისმოდა, ხანდისხან.

ყველას ეძინა, ყველას... ერთის მეტს.

იყო სახლი, საცა იმ ერთს არ ეძინა. ამ სახლში ჰბნელოდა. სანთელი არ ენთო და მარტო კერაში თავხეს სისქე კუნძს ცალ გვერდზედ ცეცხლი ეკიდა და უგემურად ჰბოლავდა. როცა ნაღვერდალმოსხმული გამომწვარი გვერდი ხისა დროგამოშვებით პატარა ენასავით ალს წამოაგდებდა, ერთი მხარე სახლისა პატარა მანძილზედ ცოტა-ხნობით მოჰშუქდებოდა.

კერასთან ცეცხლის შორი-ახლო ძაღლი იწვა. რგვლად გადმოექექნა თბილი ნაცარი, თითონაც გორგალსავით დახვეულ-ჩახვეულიყო, უკანა ფეხები წინ წამოეყარა, წინანი — უკან, თავზედ ბანჯგვლიანი კუდი გადმოეფარა, ცხვირი კუდის ბოლოში წაეყო და ეძინა. ძაღლის გვერდით, ცოტა მოშორებით, ვიღაცა მოხუცებული დედაკაცი კერასთან ცეცხლა-პირასვე იწვა დედამიწაზედ გაშლილ ქვეშაგებში და გულიანად ეძინა. დედაბერის ქვეშაგების გვერდით ტახტი იდგა და ზედ იწვა სნეული, ქვეშაგებად ჩავარდნილი, დამდნარი, მილეული და თითქმის სასიკვდილოდ მიხრწნილი.

ეს იყო ის, რომელსაც მთელს სოფელში არ ეძინა...

— ვინ მეძახის, ვინ!.. — იძახოდა ძილდაკარგული სნეული თავის გულში, თუმცა არსაიდამ კი ხმა და ჩამი-ჩუმი არ იყო. — წადი, წადიო!.. რად იძახის გული? რად მეწევა, რად?

იტრიალა ღონემიხდილმა სნეულმა, იშფოთა...

— მივაღწევ კი!.. — ჰკითხა თავისთავს: — ფეხის გადადგმის ილაჯი აღარა მაქვს... გზაზედ დავეცე სადმე და სული დავლიო, ხომ საძაღლედ გაჰხდა ჩემი ლეში... რად მეძახი, რად!..

შეჰკივლა ეხლა კი ხმამაღლა ვიღაცას კვნესითა და ვაებითა და მაშინვე გადაჰხედა ცეცხლა-პირას მწოლარე ბებერ დედაკაცს, ხომ არ გამოეღვიძა და არ შემიტყოვო.

მარტო ძაღლმა წამოიხედა; პირველში ერთი ყრუდ ყელში წამოიყეფა და რაკი დაინახა პატრონია და სხვა არავინ, წინანდებურად წაჰყო კუდის ბოლოში ცხვირი და არხეინად ისევ ძილს მიეცა.

ბებერს კი ისევ-ისე გულიანად ეძინა.

— სძინავს!.. — სთქვა ისევ ჩუმად სნეულმა. — მეც მალე დავიძინებ... სულთამხუთავი კარს მირაკუნებს. დავიძინებ და, მადლობა ღმერთსა, აღარ გავიღვიძებ... მეყოფა...

ამის თქმაზედ სნეული გაყუჩდა, თითქო რაც სტკიოდა, დაუამდაო.

— კიდევ!.. კიდევ მეძახის!.. დღევანდელ დღეს დაიბადა, დღევანდელ დღეს!.. მოვდივარ, მოვდივარ!..

სთქვა და ქვეშაგებში უღონოდ წამოჯდა. ტანისამოსი იქავ თავით ელაგა. ჩაიცვა თბილი წინდები, თბილი ახალუხი, ზედ გადაიცვა კაბა, მოიხვია თავს შავი შალი, გადმოცოცდა ქვეშაგებიდამ, წაჰყო ქოშებში ფეხი და უღონობამ სძლია: ფეხი წინ ვეღარ წასდგა, დაჰბარბაცდა და ცალის ხელით ქვეშაგებს უკანვე გადაებჯინა, — არ წავიქცეო.

ცოტა ხანს ეგრე ხელდაბჯენილი იდგა გარინდებული. როცა პატარა მოსულიერდა, მისწვდა ჯოხს, ქვეშაგებზედ მიყუდებულს, და ფეხაკრებით გავიდა სახლიდამ. უღონოს სიარულით ეზო გაიარა, ორისავ ხელით წინ წაძღოლილ ჯოხზედ დანდობილმა. ეზოს კარიდამ რომ ავადმყოფმა ფეხი ორღობეში გადმოდგა და დაინახა ახლად მოსული, ფეხუხლებელი თოვლი, სთქვა:

—ჯერ უწმინდური და მურტალი ფეხი ადამიანისა არ მოჰხვედრია და არ

გაუცოდვიანებია ეს უცოდველი თოვლი... კიდევ!.. მოვდივარ, მო!..

ფრთხილს ძაღლს პატრონის გარეთ გასვლა არ გამოეპარა. ადგა, ნაცრიანი ბალანი ერთი ორჯელ შეიბღერტა, გაიბობღა, ტანი დაიგრძელა, ჯერ წინა ფეხები დაიჭიმა, მერე — უკანა, გაიზმორა, დაამთქნარა და ზლაზნით გაეკიდა პატრონსა. დერეფანში რომ გავიდა, პატრონი აღარსად სჩანდა. ჩახტა დერეფნიდამ ეზოში, თოვლზედ ახალი ნაფეხური პატრონისა დაჰსუნა და აუჩქარებელის ძუნძულით აედევნა კვალსა.

ბებერმა დედაკაცმა კი ვერ შეუტყო ავადმყოფს გაპარვა. იმას ისევ-ისე გულიანად ეძინა.

რაში ჰგვანდნენ ერთმანეთს მძინარე და წამავალი!

მართალი უთქვამთ: წუთის-სოფელი ზოგისათვის მამაა, ზოგისათვის — მამინაცვალიო.

XXII

წყევა-კრულვიანი საკითხავი.

გათენდა შობა დღე. ჯერ თითქმის კარგადაც არ გათენებულიყო, რომ მინდვრის ფარეხებიდამ ორს მეცხვარე თუშს ოთხიოდე ჭედილა და ხუთიოდე თოხლი წინ გამოეგდოთ და სოფელში მიერეკებოდნენ, — ბედნიერი დღეა და გაჰხსნილდა, იქნება გავყიდოთო. ძალიანა ციოდა. ცხვრები მოგოგავდნენ თოვლიან გზაზედ და მოაქანებდნენ თავისებურად დუმებსა. მეცხვარეებს ისე სციოდათ, რომ შეცივნული ხელები გულზედ გადაეჯვარედინებინათ და უბეში ეწყოთ, კომბლები კი იღლიაში ეჩარათ, წინ გამოშვერილები.

გზა სოფლის სასაფლაოს ბოლოზე მოდიოდა და აქედამ უხვევდა სოფლის ორღობისაკენ. მოვიდნენ ამ გზაზედ თუ არა, სასაფლაოდამ ერთი ღმუილი შემოესმათ.

— ეს რა ჰღმუის? — იკითხა ერთმა.

— კაცო, აფთარი არ იყოს და არა სთხრიდეს ვისიმე საფლავს. გავაფრთხოთ, მადლია, — სთქვა მეორემ და წელიდამ დამბაჩა გაიძრო და დაჰცალა.

ღმუილი პატარა ხანს შესწყდა დამბაჩის ხმაზედ, მაგრამ ისევ მალე მოისმა. ეხლა კი ღმუილს წკავწკავიც მოემატა.

— აბა ერთი ვნახო... — სთქვა ერთმა მათგანმა და გასწია სასაფლაოსაკენ.

შორი-ახლო მიუვიდა ხმას და დაინახა, რომ ძაღლი წამოსკუპული იჯდა ვიღაცის საფლავზედ, უკანა ფეხებზედ ჩამჯდარიყო და წინა ფეხებზედ დაბჯენილი და სოფლისაკენ პირმიქცეული საცოდავად ჰღმუოდა.

გაუკვირდა მეცხვარეს. მივიდა ახლო და ელდა ეცა. ძაღლის ზურგთ უკან მკვდარი დაინახა: საფლავზედ გარდი-გარდმო გადაქცეულიყო, ფეხები აქეთ პირას მიწაზედ ებჯინა თითის წვერებითა და ორივე ხელი იქით პირას გადაეკიდნა, თითქო სდომებია მთელი საფლავი ქვითა და მკვდრით ერთის ხვევნით გულში ჩაეკრაო.

ელდაცემულმა თუშმა დაუძახა ამხანაგს. ამხანაგმა ხმა არ მოსცა. ორღობეში შეესწრო და ძახილი ვერ მისწვდა.

გამობრუნდა თუში, ნახულით გაოცებული.

— აქ რამ მოიყვანა ამ ყინვაში და რამ მოჰკლაო? — ჰფიქრობდა გზა-და-გზა.

თავის ამხანაგს რომ დაეწია, უამბო ნახული.

— დახე, ძაღლი პატრონს არ მოჰშორებია! — წამოიძახა ამხანაგმა. — დალოცვილი პირუტყვია. ბარაქალა ძაღლო, ბარაქალა!..

მეცხვარემ და ნამეტნავად თუშმა იცის ყადრი ამ ერთგულის და მართლა საქებარის ოთხფეხისა...

შეატყობინეს სოფელს. თუმცა შობის დღე იყო, მაინც დიდი და პატარა, კაცი და ქალი გაიკრიბა და სასაფლაოს ზედ დაედო.

ის მკვდარი ოთარაანთ ქვრივი გამოდგა, ის საფლავი — განა თქმა-ღა უნდა — გიორგის საფლავი იყო... ის ძაღლი... მაგრამ ძაღლს ვიღა იკითხავს?

შეიქმნა ჟღივილ-ყაყანი. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. მითამ არ იყო სალაპარაკო თუ? გაიბა ლაპარაკი... მითქმა-მოთქმაში დაავიწყდათ, რომ მკვდარს პატრონობა რამ უნდა. ყველას ის ეხარბებოდა, — ერთი გავიგო, ვინ რას ამბობს, და საცა ჯგუფს დაინახავდა, ან ლაპარაკის ხათხათს ყურს მოჰკრავდა, იქ გარბოდა და მიეშურებოდა.

— გაჰტყდა ეს რკინის დედაკაციცაო, — ამბობდნენ ზოგიერთნი, — ეს ფესვმაგარი ხეც წამოიქცაო.

— დედის-ერთა შვილის დაკარგვა ძნელია, მერე რა შვილისა! — იძახოდნენ დედაკაცები, — აკი ეს გაუტეხელი დედაკაციც გასტეხა და გაანადგურაო.

ბევრს ეცოდებოდა ეგრეთ გათავებული ოთარაანთ ქვრივი. დამტირებელი კი არავინ იყო. ძნელია ეგრეთ წასვლა სააქაოდამ. მაგრამ რა? ვინც მოჰკვდა, თავსა მოუკვდაო, იტყვიან ხოლმე გლეხები. განა მართალი არ არის!

არა, — ზოგჯერ მართალი არ არის. აქ იყო ერთი კაცი, რომელსაც მოუკვდა ოთარაანთ ქვრივი!.. ეს იყო სოსია მეწისქვილე. თითქმის ოც-და-ათი წელიწადია მაგ დედაკაცზედ გული შევარდნილი ჰქონია. ჯერ გასათხოვარი ყოფილა, უთხოვნია და დაუწუნიათ. ის დღეა და ეს დღე, სხვა აღარავინ უნდომნია, გული აღარავისზედ მისვლია. როცა ოთარაანთ ქვრივი დაქვრივდა, მაშინ ერთხელ კიდევ გაუარა თურმე გუნებაში იმისმა შერთვამ, მაგრამ თავის გულში სთქვა:

— მაგას ასეთი ქმარი მოუკვდა, რომ მე ფეხის ჩლიქადაც არ ვეკადრებოდი... ვეღარ შევბედავ, ვეღარა!..

სთქვა და ახლოც თურმე აღარ გაუარა, ოთარაანთ ქვრივსა რიდისა და კრძალვისაგან.

სოსია მეწისქვილეს ეხლა ორივე მუხლი მოეყარა უსულო ოთარაანთ ქვრივის წინ. იმისი მკვდარი ხელი ხელთ ეჭირა და ქვითქვითებდა ჩუმად.

— ადე, რას ჰღმუი უპატრონო ძაღლსავით! — დასცინა მოხუცს ახალგაზრდა გლეხმა ბიჭმა ამხანაგების სამასხაროდ. — შენც მითამ მარაქაში ერევი... შენი რაო?

— ნუ ამბობ მაგას, ჩემო მამავ და შვილო! — უპასუხა თავისებურად ტკბილად მოხუცმა ტირილის ხმით, — სხვა სხვის ომში ბრძენიაო...

იქნება კიდევ ეთქვა რამე სოსიას, მაგრამ ამ დროს ხელდახელ გაკეთებული საკაცეც მოიტანეს და რომ მივიდნენ მკვდრის ასაწევად და საკაცეზედ დასადებად, ვიღაცამ წაიბორძიკა მეწისქვილის ფეხზედ და ითაკილა.

— ეს ვიღა ოხერია, ფეხებში გვედებაო! — სთქვა წაბორძიკებულმა და, ღონივრად წაჰკრა რა ფეხი ბერიკაცსა, დაატანა: — წადი, იქით გაეთრიეო.

დაბრიყვებული ბერიკაცი გადაიქცა თოვლზედ. როგორც იყო წამოდგა და როცა ტყავის კალთებს თოვლისაგან იბერტყავდა, უთხრა ხელის მკვრელს:

— ცოცხალზე არ გამახარა წუთის-სოფელმა და მკვდარზედაც აღარ მატირებთო!.. ცოდო ვარ, შვილო, ცოდო!

მართლა, რომ ცოდოა!..

მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო?

ერთიც ეს არის საჭირბოროტო და წყევა-კრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში.

[1886]– 6 ქრისტიშობისთვეს 1887 წელსა

ნიკოლოოზ გოსტაშაბიშვილი

საახალწლო მოთხრობა

მახსოვს, როცა პატარა ვიყავი, რა გულის ფანცქალით ვნატრობდი, წინაღამე ახალის წლისა მალე გათენდეს-მეთქი. მე მახსოვს ეს წინადღე, ეს წინაღამე ახალის წლისა ჩვენს პატარა სოფელში, საცა ბღარტებსავით გარს ვეხვიენით დედ-მამას ორნი დანი და სამნი ძმანი. იმ დღეს ჩვენთვის აღარც კაკანათი იყო, აღარც თოვლის გუნდა, აღარც თოვლში ხტომა და სირბილი. თვალი და გული ხვალისაკენ მიგვირბოდა, ხვალეს ველოდდით, ხვალე გვახსოვდა, ხვალეს ვნატრობდით. გარედ რა გვინდოდა, როცა შინ იმოდენა ხილ-ხული და ტკბილეულობა გვეგულებოდა. შინ ოთახებში დავფუსფუსებდით: იქ იყო, რაც იყო. აქ ალვახაზსა ზელდნენ, იქ ნუშს და ნიგოზს არჩევდნენ გოზინაყისათვის, აქეთ უცეცხლო თაფლი თითს გვიქნევდა, მოდით, პირი ჩაიტკბარუნეთო, იქით დედაჩვენი ბუხარში თაფლს აღნობდა და თაფლი თითქო გვეუბნებოდა: დაიცადეთ ხვალამდე, დღეს მე თქვენთვის ვდნებიო. ჩვენ თვალებდაჭყეტილები ამაებშორის დავძვრებოდით და ბედნიერები ვიყავით, თუ როგორმე მოვასწრებდით და თითს ამოვავლებდით თაფლს. სიცილს, ხარხარს და დედის უგულოდ ტყუილად ჯავრობას ბოლო არა ჰქონდა. ჩვენც ვიცოდით, რომ არც დედა, არც მამა გულით არ გვიჯავრდებოდნენ და სელებს ვაფაცურებდით, აცა რამ მოვიცხოთო სალოკავად. ყველაზედ უფროსი ჩვენში თორმეტს წელს არ იყო გადაცილებული.

მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი რამ კარგი წაგვართვა და თან წაიყოლა. დაგვეხოცა დედ-მამა, მომიკვდა ორი ძმა, გადამეცვალა ერთი დაცა. დავრჩით ამ ქვეყნიერობაზედ მარტო ორნი და-ძმანი. ეხლა ერთსაცა და მეორესაც თმაში ჭაღარა გვირევია, და როცა ახალი წელიწადი მოდის, მინდა თუ არა, ცრემლიანის თვალით უკან მიმახედებს ხოლმე. ვხედავ ჩემს თავს ჩვენს პატარა სოფელში, ჩემს პატარა ფუნჩულა და-ძმებს შორის, ვხედავ, როგორ დაგვხარიან შვილებს დედა, მამა, როგორ შევხარით ბავშურის სიხარულითა დედას, მამას, მესმის ტრედივით უგუნური ტიტინი ჩემის პატარა დისა, პატარა ძმისა, მომესმის ჭკუადამჯდარი, სიყვარულიანი ლაპარაკი დედიჩემისა, მამიჩემისა. დღეს ყოველივე ეს მარტო ტკბილი სიზმარია. დღეს იქ, იმ პატარა სოფელში, საცა ამოდენა სახსოვარი აუგია ჩემს გულს, მარტო ხუთი სამარეღაა და ამ სამარეებში მარხია ყოველივე ის, რისთვისაც ეხლა გული მეწვის, გული მედაგება. იქ ჰმარხია დედა, მამა, ორი ძმა და ერთი და, და ამასთან ერთად ჩემი ყმაწვილობაცა, ესე იგი,

იგი ბედნიერება, რომელიც წავიდა და თავის დღეში არ მომიბრუნდება.

წავიდა ის ბედნიერი დრო და აღარ მოვა. წავიდა და გული ჰკვნესის რაღაც სხვანაირ ტკივილისა, რაღაც სხვანაირ მწუხარებისაგან, რომელსაც ზოგჯერ ადამიანი სისარულზედაც არ გასცვლის ხოლმე. ტკბილია კვნესა ამ ტკივილისა, ტკბილია ცრემლი ამ მწუხარებისა. აქ კვნესა ნიავსავით აგრილებს გულის წვასა და ცრემლი ჰნამავს გადამჭკნარ გულსა გამოსაცოცხლებლად. ვიღამაცა სთქვა: დატკბობა საამური ტკივილიაო, და სწორედ ამისთანა ტკივილია ეს ტკივილიცა.

ყველაზედ მეტად დამახსოვდა ერთის ახალის წლის წინაღამე. ჩვენ, პატარებს, არ ვიცი, ხვალის ლოდინისაგან თუ მეტისმეტ გართობისაგან, ძილი აღარ მოგვეკიდა. არა ერთხელ და ორჯერ გვიბრძანა დედამ: წადით, შვილებო, დაიძინეთო, და ჩვენ კი თითით ყელს ვუწევდით და ისე ვეხვეწებოდით: დედას ჭირიმე, ნუ გაგვრეკავ, არ გვეძინებაო. დედა გოზინაყებისა და ალვახაზის სამზადისში გართული იყო, გარს ჯამები, ბადიები და ტაბაკები ედგა ნუშით, ნიგოზით და თაფლითა. მამაჩვენი კი ბოლთასა სცემდა ოთახში ჩიბუხით ხელში. ჩვენმა პატარა დამ, რო დაცუცუნებდა ჯამებსა და ტაბაკებ-შორის, როგორღაც ფეხი წამოჰკრა ერთს უშველებელს ბადიას და შიგ ყოფილი თაფლი კი პირქვე წამოაქცია. დედას ძალიან ეწყინა და არ იყო რომ გაჯავრებით უთხრა მამას: ერთი თავიდამ მომაშორე, ღვთის გულისათვის, ეს ბაჯაჯღანები!.. გაასხი იქით ოთახში. ზღაპარი რამ უამბე, იქნება დაეძინოთ და მომასვენონო.

მამაჩემმა ძალიან კარგი ზღაპრები იცოდა და ჩვენც ძალიან გვიყვარდა ყურისგდება ზღაპრისა. გვიამა, რომ დედამ დაავალა მამას ზღაპარი ეთქვა. მივცვივდით ჩვენც, ზოგი ხელზე ჩამოვებობღენით, ზოგი ახალუხის კალთაზედ.

– შენი ჭირიმე, მამილო, ზღაპარი გვითხარი, – შევბღავლეთ აქეთ-იქიდამ – დედა აქედამ გვერეკება და შენ ზღაპარი მაინც გვითხარ, არ გვეძინება.

– ბატონი ხართ, აბა, წავიდეთ.

მამა გავიდა მეორე ოთახში და ჩვენც გავყევით. ოთახში ბუხარს ერთი ამბავი გაჰქონდა აპრიალებულის ცეცხლისაგან. ბუხრის პირდაპირ ერთი გძელი ტახტი იდგა, ავიდა მამაჩვენი, ტახტზედ მოიკეცა. ჩვენც გარშემო შემოვუსხედით. ჩვენი პატარა და გულდაღმა წამოუწვა მამასა, იდაყვებზე დაებჯინა, თავისი პატარა თავი ხელებზედ დაანდო და ისე შეაჭყიტა მაყვალსავით შავი თვალები, თითქო მართლა ზღაპრის მოსმენა უნდოდა. ის კი არა თუ, როგორც იმას, ისეც იმაზედ მომდევარს მესამე ძმას, მაშინვე ჩაეძინებოდათ ხოლმე ორიოდე სიტყვის შემდეგ.

მამამ დაიწყო:

«მე ადრევაც მიამბნია, რომ ჩვენს ქვეყანას ძალიან ემტერებოდნენ თათრები. მოსვენებას არ გვაძლევდნენ, ხან აქედამ, ხან იქიდამ მოგვესეოდნენ ხოლმე. ჩვენც, რაც შეგვეძლო, რაც ძალი და ღონე გვქონდა, ვებრძოდით, ვეომებოდით. ყველას უყვარს, შვილებო, თავისი ქვეყანა, და როცა უჭირს, ძნელია კაცმა უმტყუნოს და თავი არ გამოიმეტოს. ბევრიც იმეტებდა თავს და ბევრმაც სახელი დაიგდო, სახელი გაითქვა თავისის ვაჟკაცობითა და ქვეყნისათვის თავდადებით. აი, ერთ ამისთანა ვაჟკაცის ამბავს გეტყვით და კარგად დაიხსომეთ».

«ერთს დროს ჩვენა გვყოლია ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტე. იმის დროს ყიზილბაშების ყეინად დაჯდა შაჰ-სულთან-უსეინ. ამ ყეენმა გამოჰგზავნა დიდის ჯარით თავისი სარდალი, რომ საქართველო აიკლოს და თავისად დაიჭიროს. დაიძახეს ჩვენშიაც ჯარიანობა და თავი მოიყარეს ქართველებმა მტრის დასახვედრად. შეიყარა ორი ერთმანეთზედ სამტროდ გამართული ჯარი საომრად. ერთს მხარეს დაყწყვნენ ყიზილბაშნი, მეორე მხარეს ქართველები. გაიმართა ომი. რით გათავდა ეს ომი, ამის ამბავი გძელია. მე მარტო ერთს რასმე გიამბობთ, რაც ამ ომში მოჰხდა. როცა გაცხარდა ბრძოლა, მაშინ გამოჰქუსლა ერთმა ყიზილბაშმა ცხენი და გამოვარდა მოედანზედ რაზმიდამ. გაუქროლ-გამოუქროლა ჩვენებს წინ ცხენი, თითქო ჯირითშია და არა ომშიო. ეწყინა ქართველ ყმაწვილობას ასე თამამად და გაბედულად ნავარდობა ყიზილბაშისა, – დახე, როგორ გვბრიყვობს?! კაცად აღარ გვაგდებს თუ რა ამბავია, რომ ასე უშიშრად გაგვირბის და გამოგვირბისო, იძახდნენ.

ჰკრა ერთმა მოსხეპილმა ყმაწვილკაცმა ცხენს ქუსლი და ზედ მიაგდო ყიზილბაშს. ყიზილბაშმა ჰკრა შიგ გულის ფიცარში შუბი და საბრალო ვაჟკაცი ჯერ ჩამოეკიდა ცხენს და მერე უსულოდ დაეცა დედამიწაზედ.

– აი, ქუდიც არა მხურებია, აი, დღის ძუძუც არ შემრგებია, თუ მაგის სისხლი შეგარჩინოვო, – დაიძახა ახლა სხვამ და მიაგდო ცხენი ყიზილბაშს. ყიზილბაშმა ესეც ჩამოაგდო ცხენიდამ და უფრო გახალისებულმა გამარჯვებით გაათამაშ-გამოათამაშა ცხენი მოედანზედ. გავიდა მესამე, გავიდა მეოთხე, გავიდა მეხუთე და ყველას ცალკე იგივე დღე დააყენა თათარმა. ასეთი ყმაწვილი კაცები დაჰხოცა, რომ უკეთესს კაცი ვერ ინატრებდა. შეწუხდა ქართველობა: ეს სირცხვილი როგორა ვჭამოთო, შინ რა სახელით-ღა მივიდეთო. არ იცოდნენ, რა ექმნათ. ყველას შიში და ფიქრი მიეცა. ვეღარავინ ჰბედავდა გასვლას. ის ყიზილბაში კი ათამაშებდა მოედანზე ცხენს, თითქო ყაბახობაზე გამოსულა და ამოდენა ქართველობა აინუნშიაც არ მოსდისო.

– ნიკოლოოზ სად არის, ნიკოლოოზი, – დაიძახეს ქართველებმა: – ის თუ გვიშველის, თორემ ლამის ამ ურჯულო თათარმა დედაკაცის ლეჩაქი თავზე დაგვხუროს და ისე გაგვისტუმროს შინაო.

– ნიკოლოოზ გოსტაშაბიშვილო, ნიკოლოოზ! – გაჰკივლეს აქეთ-იქიდამ ჩვენებმა.

გოსტაშაბიშვილი თურმე გაცხარებულ ომში იყო და ამ კივილზე ომიდამ გამოვიდა. ჩოხის კალთით გასისხლიანებულ ხმალსა სწმენდავდა, როცა მისცვივდნენ ჩვენები და თავისი სირცხვილი უამბეს. გოსტაშაბიშვილი, მართალია, ძალიან გათქმული და სახელოვანი ვაჟკაცი იყო, მაგრამ მაშინ სიბერე მორეული ჰქონდა და უწინდებურად აღარც მკლავი ერჩოდა, აღარც მუხლი.

– სად შემიძლიან მე ეხლა დაბერებულსა და დაჩაჩანაკებულს იმასთან ომის გასწორება, – უთხრა ყმაწვილებს გოსტაშაბიშვილმა, – ვერა ჰხედავთ, ახლად ულვაშაშლილი ვაჟკაცია, კაცი ლომსა ჰგავს.

– ხუთი ვაჟკაცი მოგვიკლა, იმათ სისხლს ნე შეარჩენ! იმ ურჯულოსაგან სირცხვილს ნუ გვაჭმევ! – შეევედრნენ ჩვენები.

გოსტაშაბიშვილმა ახსენა ღმერთი, აუკრიბა სადავე ცხენს და ჰკრა ქუსლი. ცხენმა ერთი ორიოდე კამარა შეჰკრა, ისკუპა და თვალის დახამხამების უმალ ვაჟკაცი ვაჟკაცს წინ დაუდგა. ყიზილბაშმა წამოუღერა თავისი შუბი. გოსტაშაბიშვილმა ხელი აუკრა და აიცდინა. ეს ისე მარჯვედ მოუვიდა, რომ ქების კიჟინა დასცეს. მინამ ყიზილბაში მეორედ

შეუტევდა შუბით, გოსტაშაბიშვილი ცხენდაცხენ ეცა, წასწვდა, ერთი-ორი ღონივრად შეჰბღერტა და ცხენიდამ ძირს დასცა, ასე რომ დაცემულს ფეხზედ ადგომა გაუძნელდა. ჩამოხტა ცხენიდამ გოსტაშაბიშვილი, ააყენა ყიზილბაში ფეხზე და უთხრა:

– ნუ, გეშინია, მე თავს არ მოგჭრი. შენი თავი შენის ვაჟკაცობისათვის მიპატიებია. ცოდვაა შენი გაფუჭება. წადი და ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცესო.

– მეც სიცოცხლეს თუ ვისგანმე ვიჩუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგანაო, – უპასუხა ყიზილბაშმა, სალამი მისცა და წავიდა».

[1889 წ]

გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები

(ოთახი მიროვოის პოსრედნიკისა: სტოლი დგას, ზის პოსრედნიკი, რამდენიმე გლეხკაცი დგას, ორი მებატონე სკამებზედ სხედან)

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. აბა, გლახა ჭრიაშვილო! რადგანაც შენ ყველაზედ წინ მოხვედი, შენ უნდა სთქვა, რა საქმე გაქვს ჩემთან.

გ ლ ა ხ ა ჭ რ ი ა შ ვ ი ლ ი. მენა, შენი ჭირიმე, გლახა ჭრიაშვილი გახლავარ, როგორც მოგეხსენებათ. პაპაჩემი აზნაური გხლებიათ ნუგზარ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თორემ მენა ეგ ამბავი საიდამ მეცოდინება. დიდი ხნის კაცი ვიყო, კიდევ ჰო, მაგრამ მაგარი ესა, რომ არა ვარ დიდი ხნისა. ბატონი ჩემი – აი, დამლახვრა ღმერთმა, - სულ არ მავიწყდება, რომ ეხლა ბატონი აღარ არის, მაგრამ – ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო, – კიდონ ბატონი წამცდება ხვალმე. ნუ შემრისხამთ, შენი ჭირიმე.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. მაგისათვის შენ არავინ არ შეგრისხავს.

გ ლ ა ხ ა ჭ რ ი ა შ ვ ი ლ ი. ნუ შემაცდენ, შენი ჭირიმე. ჩვენ გლეხკაცნი ვართ, ყველაფერს მალე დავიჯერებთ ხვალმე. როგორ არავინ შემრისხავს, რომ ბძანებაა – ოცდახუთი მანეთი წაერთოს და ორმოცდაათი როზგი დაეკრას იმასაო, ვინც თავის ნაბატონარს დღეის იქით ბატონს დაუძახებსო.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. ეგ ვინ გითხრა შენ?

გ ლ ა ხ ა ჭ რ ი ა შ ვ ი ლ ი. განა გლეხკაცნი რომა ვართ, ზაკონის კანონი ჩვენ კი არ ვიცით, შენი ჭირიმე?

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. დღეის ამას იქით იცოდეთ: ვინც მაგისთანა სულელურს ხმებს ჰყრის ხალხშია, თუ ჩავიგდე, ძალიან დავასჯევინებ. შენც გირჩევ, მეორედ მაგისთანა სულელობა არავისთან აღარ გაბედო. ეგ სულ ტყუილია და ამასთანაც სამარცხვინოა, რომ თქვენისთანა ჭკვიანი კაცები მაგისთანა სულელურს სიტყვებს იჯერებენ. მერე? თქვი, რა გინდა?

გ ლ ა ხ ა ჭ რ ი ა შ ვ ი ლ ი. მენა? შენი მშვიდობა და დღეგრძელობა, შენი ჭირიმე.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. მაგის გარდა?

გ ლ ა ხ ა ჭ რ ი ა შ ვ ი ლ ი. ღმთისა და ხელმწიფის წყალობა.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. შენ, ჩემო საყვარელო, თუ მარტო მაგისათვის მოსულხარ, მადლობელი ვარ, შეგიძლიან შინაც წახვიდე. ჰხედავ, ხალხი მელის, მაგათი საჩივარიც უნდა მოვისმინო.

გ ლ ა ხ ა ჭ რ ი ა შ ვ ი ლ ი. არა, შენი ჭირიმე, მენაც მოსახსენებელი მაქვს. აგრემც ღმერთი დიდ დღეს მოგცემს, პატარა მომისმინე. ამათთვის დიდი ბედენა არ არის, რომ ცოტა კიდონ მოიცადონ. მოგახსენო, შენი ჭირიმე?

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. გეუბნები, სთქვი-მეთქი და შენ კი ხევისბერისავით ლოცვა-კურთხევას მეუბნები, თითქო დასამწყალობელად მოსულხარო. აბა, რა გინდა, სთქვი.

გ ლ ა ხ ა ჭ რ ი ა შ ვ ი ლ ი. მენა? ეს მინდა, შენი ჭირიმე, რომ პაპაჩემი აზნაური გხლებიათ ნუგზარ ერისთვის დროსაო, თუ გაგიგონიათ, სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თორემ მენა რა ვიცი? დიდი ხნის კაცი არა ვარ, რომ ნუგზარ ერისთავი მსხომებიყო. ეს კი ვიცი, რომ სისხლის წვიმების დრო ყოფილა. (პოსრედნიკი, თითქო მობეზრდაო, მხრებს იწევს). არა, ნუ გამიწყრები, შენი ჭირიმე, ერთი დალაგებით მომახსენებინე ჩემი გულის დარდი, როგორც ზაკონის კანონია.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. ვინ გიშლის? ოღონდ ამასა გთხოვ: ძალიან ნუ გააგრძელებ, მოკლედ მითხარი.

გ ლ ა ხ ა ჭ რ ი ა შ ვ ი ლ ი. ოო, გადღეგრძელა ღმერთმა! მაშ ისევ თავიდან დავიწყებ და ბოლომდინ გავალ, თუ მიბძანებ.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. თუნდა თავიდამ დაიწყე, თუნდა ბოლოდან, ოღონდ კი მალე შემატყობინე, ჩემთან რა საქმე გაქვს.

გ ლ ა ხ ა ჭ რ ი ა შ ვ ი ლ ი. აი, შენ ღმერთს კი ვენაცვალე! მაშ თავიდამ მოგახსენებ.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. ბძანე.

გ ლ ა ხ ა ჭ რ ი ა შ ვ ი ლ ი. ისევ დალაგებით მოგახსენებ, შენი ჭირიმე. სიჩქარით, შენი ჭირიმე, თქვენც კარგად მოგეხსენება, სოფელი არავის მოუჭამია. მოსამართლე ხელმწიფის ყურია. უნდა ყველაფერი თავიდამ ბოლომდინ გაგაგებინო. თუ წყალი სათავეშივე აიმღვრა, ბოლომდინ მღვრიედ ივლის. ამიტომაც მინდა ისევ თავიდამ დალაგებით მოგახსენო, იმიტომ რომ კარგად დალაგებით დაწყობილი თავიდამვე საქმე ბოლომდინ ანკარა წყაროსავით გავა. ეს თქვენ უფრო კარგად მოგეხსენებათ, თორემ მენა ამაებისა რა მეცოდინება? ერთი რეგვენი გლეხკაცი ვარ, ჩემს დღეში სამართლის კარი არც კი დამინახავს, რა ფერია: წითელია, თუ შავი? იქნება თეთრიც იყოს, ვინ იცის? მენა ის თვალითაც არ მინახავს, მაღალი ღმერთის ღმთის რისხვა და თქვენი ღმთის რისხვა არა მაქვს, მართალს მოგახსენებ. აი, ამიტომაც მინდა თავიდამ დავიწყო. ისე სჯობია, თავიდამვე დალაგებით მოგახსენო: პაპაჩემი აზნაური გხლებიათ – ეს დიდიხნის ამბავი გახლავს – ნუგზარ ერისთვის დროსაო, თუ გაგიგონიათ, სისხლის, წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თქვენი ღმრთის რისხვა არა მაქვს, თორემ მენა იმ დროებისა რა მეცოდინება? დიდი ხნის კაცი როდი ვარ. მართალია, წვერ-ულვაშში ჭაღარა გამომრევია, მაგრამ მაგარი ესაა, რომ დიდი ხნისა არა ვარ. ასე კი ნუ მხედამთ, რომ გავთეთრებულვარ. ჯაფამ გამტეხა, შენი ჭირიმე, ჯაფამ. რაც მენა ბატონის ბეგარაში ოფლი მიღვრია, სულ რომ ერთად მოვკრიბო, ზღვა იქნება, თქვენი ღმთის რისხვა არა მაქვს, თორემ რა გამტეხდა აგრე მალე. მენა ბევრი ვიყო, ბევრი ვიყო, სულ ბევრი ვიყო, (ჩაფიქრდება) რაღა სიტყვა გაგიგძელო, გაგიგძელდეს სიცოცხლე, იმ დღეს ჩვენ სოფელში რომ

ბძანდებოდი, აი პატარა საყდარი არ გახლავთ, აი, ხალხი რომ მოაგროვე და ხელმწიფის სიტყვა რომ გამოგვიცხადე, აი, იქავ, ჩვენებიანთ წინა – ის საყდარი სულ არ იქნება ხუთი წლით ჩემზედ წინ აშენებული. აბა, მას აქეთ რა ხანი უნდა იყოს გასული? ჩოტკის კაცი, მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მაგას გამოიცნობდა და იტყოდა: მაგდონი არაფერი ხანიაო გასული, მაგრამ მაგარი ესა, რომ კაცმა შემომხედოს – ასის წლისა ვეგონები. ჯაფამ და ბატონის სამსახურმა აგრე იცის, თორემ არც ისე ხნიერი ვარ. სულ, აკი მოგახსენე, ის საყდარი ხუთის წლით ჩემზედ წინ არის აშენებული-მეთქი. მენა ახლა, ასე რომ მოგახენებთ – საყდარი-მეთქი, საყდარი ხომ საყდარია, თქვენ ეს უფრო კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ მაგარი ესა, რომ ხორციელი ადამიანი სულ სხვა არის. ასე, რომა... ეჰ, რაღა სიტყვა გაგიგძელო, გაგიგძელდეს სიცოცხლე, მაინცდამაინც ადამიანი სულ სხვა არის. თუნდ ეგეც არ იყოს, მაინც ხომ საყდარი ქვა და კირია, ადამიანი კი სულ სხვა არის, ასე რომა...

ერთი მებატონეთაგანი. (თითქო მოთმინებიდამ გამოვიდაო) ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, კაი დალაგება გცოდნია.

გლახა ჭრიაშვილი. (დაცინებას ვერმიხვედრილი) რა ვქნა, შენი ჭირიმე, ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასაო.

იგივე მებატონე. ზოგჯერ, ძმობილო, თქმითაც დაშავდების.

მეორე მებატონე. დაეხსენ, სიტყვას ნუ აწყვეტინებ, თორემ, მე რომ მაგისი ამბავი ვიცი, ეგ ისევ თავიდამ მოგვიყვება და შენი მტერი, ჩვენი საქმე იქნება.

ერთი გლეხთაგანი. რა დაგემართა, ადამიანო, ფეიქრის ქსელსავით გააბი და აღარ ათავებ.

გლახა ჭრიაშვილი. (გლეხს) კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო. შენა, შვილო, რა გიჭირს? სხვა სხვის ომში ბრძენიაო, მე კი არა მკითხავ, რა ნაღველი მაწევს.

პოსრედნიკი. კითხვით კი გკითხავთ და, რომ არ იქნა, ვერ შეგვატყობინე!

გლახა ჭრიაშვილი. ლამაზად კი დავიწყე და რომ არ მათავებინებენ! ჰო, იმას მოგახსენებდი: ის საყდარი სულ არ იქნება ხუთის წლით ჩემზედ წინ აშენებული, დიდი ხნისა რად ვიქნები? მაგრამ მაგარი ესა, რომ მაინცდამაინც ჩემ წილს წყალს კიდონაც ჩაუვლია. მენა ბევრი, ბევრი, ძალიან ბევრი რომ ვთქვა, ერთი ხუთიოდ წელიწადი იქნება კიდონ ვიცოცხლო, ახლა ხუთი არ იყოს, შვიდი იყოს, შვიდი არ იყოს, ათი იყოს, სიტყვაა. ჯაფამ ძალიან გამტეხა, აი, შენი ჭირიმე! თოვლივით კი გამათეთრა და – ღმერთმა ასე თქვენც გაგათეთროთ.

პოსრედნიკი. მადლობელი ვარ დალოცვისათვის. სხვა?

გლახა ჭრიაშვილი. სხვა ისა, შენი ჭირიმე, რომ პაპაჩემი აზნაური გხლებიათ, დიდი ხნის ამბავს მოგახსენებ – ნუგზარ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო, ასე ამბობენ, თორ...

პოსრედნიკი. მე შენ, როგორც გატყობ, დღეს შენის საქმის გათავებას არ აპირებ. მოდი, ერთ რასმეს გირჩევ: პატარა ხანს იქით მიდეგ; მე ჯერ ამათ გამოვკითხავ თავიანთ საქმეს და მერე მომიყევ შენი ამბავი. შენთვისაც კარგია, უფრო კარგად მოიფიქრებ.

გლახა ჭრიაშვილი. უჰ, დღეგრძელობა მოგცეს ღმერთმა, ეგ ძრიელ კარგად ბძანე. დიაღ, კარგი გახლდებათ. გულისყურს მოვიკრებ და უფრო დალაგებით მოგახსენებ. ახლა ხომ მოგეხსენება, გლეხკაცი ვარ. მართალია, ჩვენს სოფელში

სიტყვაპასუხიანს კაცს მეძახიან, მაგრამ მაგარი ესა, რომ მაინც კიდევ თქვენი საკადრისი სიტყვა-პასუხი სად მეცოდინება, – ერთი ბეჩავი გლეხი ვარ. ასე რომ, ჩვენობაში სიტყვა-პასუხს კარგად გამოვიყენებ, თქვენთან კი მოფიქრება სჯობია. ეგ კაი სიტყვა ბძანე; ჩემთვის ლამაზად გულისყურს მოვიკრებ, ახლა, გლეხკაცი ვარ, ბევრი რამ მავიწყდება, ასე რომ, ნახევრის ნახევარიც ვერ მოგახსენე. რომ მოვიფიქრებ და მოვისაზრებ კი, ყველაფერს ზღაპარსავით მოგახსენებ, ასე რომა, თქვენ...

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. კარგი, კარგი. (მეორე გლეხს) აბა, ეხლა შენი რიგია. რას იტყვი? (ამ დროს შემოვა მოხუცებული აზნაურისშვილის ქვრივი).

ქ ვ რ ი ვ ი. (სხაპასხუპით) თქვენმა მზემ, ეს მეორედ მოსვლის ნიშნებია. ღმერთო, დაგვიფარე (იწერს პირჯვარს). რა ამბავი მოხდა, თქვენი ჭირიმე! სისხლით ნაშოვნი ყმები, მეფე ერეკლის თორმეტის ბეჭდით დამტკიცებული ოქმები თავზედ დაგვახიეს კი და! (გლეხებს). გიხარიანთ განა, თქვე უბედურისშვილებო!.. ჰი!.. (ქოქოლას აყრის) მეხი კი დავაყარე თქვენ ტილიან თავებს!.. როგორ კისერმოღერებულები დგანან გუშინდელი მატლები!.. უუ, უწინამც დღე გაგქრობიათ!..

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. მე გთხოვთ, მაგათ თავი დაანებოთ და თქვენს გაუფრთხილებელ სიტყვებსა ცოტაოდენი პატივი დასდვათ. აქ მოედანი არ არის. თუ რამ საჩივარი გაქვთ, მერე მიბძანეთ. ჯერ ამათ უნდა მოვუსმინო, რადგანაც ესენი თქვენზედ წინ არიან მოსულნი.

ქ ვ რ ი ვ ი. (ისევ სხაპასხუპით) სულაც არა, თქვენმა მზემ! ვინ მოგახსენათ? მაგათ ჩემზედ წინ უნდა ილაპარაკონ, მაგათ? მაშ მე კეთილშობილის ქვრივი აღარა ვყოფილვარ, მაშ მე...

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. დამშვიდდით. წესისა და რიგის აღსრულებით თქვენ თქვენი კეთილშობილება არ ჩამოგერთმევათ. სამართალი ამას ითხოვს, რომ ვინც წინ მოვა, ყველაზე უწინარეს საქმე იმას უნდა გაუთავდეს.

ქ ვ რ ი ვ ი. სულაც არა, თქვენმა მზემ! აზნაურიშვილს, წინ მოვა თუ მერე მოვა, გლეხთან ყოველთვის პირველი ადგილი აქვს, თავადს კიდენ აზნაურთანა. ჩვენც ვიცით კანონები, აქაო და თორმეტი შკოლა არ გამოგვივლია, ასე გგონია, არა ვიცოდეთ-რა. მეფე ვახტანგის კანონი ჩვენც წაგვიკითხავს. თუ ეს კანონებიც შეუცვლიათ, გამოგვიცხადეთ მაინცა. (გლეხებს) აი, თქვე გველის წიწილებო, გიხარიანთ განა!..

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. უმორჩილესად გთხოვთ, მაგათ თავი დაანებოთ და იმ ადგილს, საცა ბძანდებით, პატივი დასდვათ და სიტყვა ფრთხილად იხმაროთ.

ქ ვ რ ი ვ ი. (გულამომჯდარად) აბა, ეხლა აგვიშენდა ჩვენ, კეთილშობილებს, ოჯახები, აი! თქვენც, ჩვენი მიწა-წყლის შვილს, კეთილშობილის სისხლსა და ხორცს, ამათი მხარე გჭერიათ. აბა, თქვენგან რაღას უნდა მოველოდეთ? (გლეხებს) დახე, დახე ამ ცოდვიშვილებს, რა ღიმილი მოსდით! (მიუბრუნდება მებატონეებს) რას გაჩუმებულხართ, კაცები არა ხართ, ხმას ვერ ამოიღებთ? ცა თავზედ გვექცევა. (პოსრედნიკს) აბა, მე რაღა მეთქმის!.. რაღა სამართალი უნდა მომეცეს თქვენგან, თქვენც ამათი მხარე გჭერიათ. კეთილშობილის ქვრივს მეუბნებით, სიტყვა ფრთხილად იხმარე გლეხკაცთანაო. ისღა დაგვრჩენია, გულზედ ხელები დავიკრიბოთ და წყალში ჩავცვივდეთ, სხვა რა გზა გვაქვს! თქვენი ჭირიმე, ეს რა

მესმის: გლეხთან ენა მოიკვნიტეო!.. მაშ ჩვენ რაღა ვყოფილვართ! (გლეხებს) გიხარიანთ განა! დაიცადეთ, შხამად ამოგივათ ეგ სიხარული. (პოსრედნიკს) ამ დალოცვილმა ხელმწიფემ, ვსთქვათ, ყმები ჩამოგვართვა, კეთილშობილება ხომ არ ჩამოურთმევია, რას გვემართლებით?

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. მესამედა გთხოვთ, ღონისძიება მამცეთ ამ გლეხებს საჩივარი მოვუსმინო. დაბრძანდით, თქვენი რიგიც მოვა.

ქ ვ რ ი ვ ი. რაო? მე განა მაგათი ამხანაგი ვარ, რომ მაგათ რიგში ჩავდგე, მაგ კახურ ღორებშია. უწინამც დღე გამქრობია!..

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. (მოთმინებიდამ გამოსული) მე ძალიანა ვწუხვარ, რომ თქვენ თქვენის ურიგო ლაპარაკით იძულებულს გამხდით, გთხოვოთ, აქედამ გაბძანდეთ.

ქ ვ რ ი ვ ი. (პატარად ფიქრ-მიცემული) რადა, თქვენი ჭირიმე, რისთვის? კახური ღორები რომ ვსთქვი, სხვა ხომ არაფერი! მაშ განა ტყუილია? ბატონო, ეგენი არ არიან, რომ ოცდახუთ-ხუთ მანეთად დააფასეს? კახური ღორი, თქვენმა მზემ, ზოგჯერ მეტადაც იყიდება. მაგ სულელებს ფიქრადაც არ მოუვიდათ, რომ ერთი ოცდახუთ-ხუთიოდ მანეთი თითონ ზედ დაეყარათ, რომ კაცი კაცის ფასად გასულიყო. აი, გლეხები მაგისთანა უსვინიდისონი არიან, აი, რომ თავის თავის ფასიც არ იციან. თქვენ კი მიბძანებთ, გლეხთან სიტყვა ფთხილად იხმარეო! აბა, როგორ ვიხმარო, მაგის ღირსნი არიან განა ეგენი?.. მშვიდობით ბძანდებოდეთ, ღმერთმა თქვენ მშვიდობა მოგცეთ და ჩვენ კი ჩვენს სისხლს არ დავკარგავთ. მშვიდობით, მე თქვენთან, ღმერთმა დამიფაროს, რომ კიდევ მოვიდე. თქვენ გლეხების მხარე გჭერიათ, მშვიდობით!..

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. მშვიდობით ბძანდებოდეთ.

ქ ვ რ ი ვ ი. მაშ მითხოვთ რაღა? კეთილშობილის საჩივარის მოსმენა არ გინდათ?

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. მე არ გითხოვთ, თუ თქვენს რიგს მოუცდით და რიგიანად ილაპარაკებთ...

ქ ვ რ ი ვ ი. მაგას თავის დღეში ჩემს თავს არ ვაკადრებ. ღმერთმა დამიფაროს, თქვენთან ვიჩივლო როდისმე. აზნაურსა და კეთილშობილს თქვენთან სამართალი არა ჰქონია. (ქვრივი გავა და მეორე ოთახში შეხვდება სხვა მებატონეს. ამათი ლაპარაკის ხმა ისმის პოსრედნიკის ოთახში).

მ ე ბ ა ტ ო ნ ე. ჩემო რძალო, სად მიბძანდები?

ქ ვ რ ი ვ ი. ჯანაბას, ჩემო მაზლო, ჯანაბას! ეხლა დაგვიდგა ჩვენ თვალი, რომ მაგისთანა მოსამართლე დაგვინიშნეს!

მ ე ბ ა ტ ო ნ ე. როგორ?

ქ ვ რ ი ვ ი. ასე რომ, შენაო, რადგანაც მებატონე ხარო და კეთილშობილიო, გლეხთან წინ არ უნდა წამოდგეო; გლეხთან პირში ბურთი უნდა გედოსო; თუ ხმას ამოიღებო, კრძალვითა და შიშით უნდა ამოიღოვო, არ უნდა უჩივლო გლეხსაო. თქვენთვის ეხლა სამართლის კარი დახშულიაო; რაც არიან ეხლა, გლეხები არიანო; მე თქვენს საჩივარს ყურსაც არ ვათხოვებო; ბატონყმობა გადავარდაო და თქვენ ვიღა ყრიხართო, სწორედ ამ სიტყვით, ვიღა ყრიხართო!

მ ე ბ ა ტ ო ნ ე. (შეკრთომით) არა, თუ ღმერთი გწამს?

ქ ვ რ ი ვ ი. თქვენზედ მიწა არ მენახოს.

მ ე ბ ა ტ ო ნ ე. არა, ისე სთქვა, თქვენ ვინა ყრიხართო?

ქ ვ რ ი ვ ი. სწორედ მაგ ლექსით. მერე კიდევ რაო? (ჩაფიქრდება და იგონებს) ასეო, ისეო, თქვენ ვინა ყრიხართო. მერე ვისთან მითხრა? ოთახი სავსეა იმ ძაღლის გავარდნილებითა.

მ ე ბ ა ტ ო ნ ე. არა მჯერა.

ქ ვ რ ი ვ ი. შედი და დაიჯერებ. მე კი ღმერთმა დამიფაროს, მაგასთან ვიჩივლო, ვიღაცა გდებულა ეგ თქვენი მირუა, თუ ვიღაცა.

მ ე ბ ა ტ ო ნ ე. (შედის პოსრედნიკის ოთახში; ქვრივი ჯუჯრუტანიდამ იყურება ყურებაცქვეტილი). პოსლადნიკს ვახლავარ, მე გახლავარ...

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. კარგად გიცნობთ. დაბძანდით, თქვენი ჭირიმე. (სკამს მოუდგამს. მებატონე ჯდება).

მ ე ბ ა ტ ო ნ ე. (თავისთავად) ფიცი მწამს და ბოლო მაკვირებს! ეს კაი თვალითა ვნახე. (ამ დროს გაიღება კარები და შემოვარდება ისევ ის ქვრივი).

ქ ვ რ ი ვ ი. თუმცა თქვენ არ გინდათ ჩემი საჩივარი მოისმინოთ, მაგრამ მე მაინც ჩემსას არ დავიშლი, ჩემს საჩივარს ვიტყვი. თუ სამართალს არ მამცემთ, დაილოცა ხელმწიფე, თქვენზედ დიდი მოსამართლეებიცა ჰყავს; მარტო თქვენს ანაბრად არა ვართ გაშვებული.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. აი, სკამი ინებეთ. ჯერ ამ გლეხს უნდა გამოვკითხო თავისი საჩივარი. (გლეხს) აბა, რასა სჩივი შენ?

მ ე ო რ ე გ ლ ე ხ ი. მენა იმასა ვჩივი, შენი ჭირიმე, რომ ბატონმა ვენახი ჩამომართო, მამა-პაპის აშენებული.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. რამდენი ხანია მას აქეთ?

მ ე ო რ ე გ ლ ე ხ ი. იქნება ერთი ათი-თორმეტი წელიწადი. მე მაშინ ღამისმეხრეობა შემძლებია, როცა ეგ მომხდარა.

ქ ვ რ ი ვ ი. (აწყვეტინებს გლეხს სიტყვას) მე მაგას ვერ მოვითმენ, რომ მაგან ჩემზედ ადრე საჩივარი მოგახსენოს. მე კეთილშობილის ცოლი ვარ, კეთილშობილის სისხლი მიდგა. მე ჩემს საჩივარს მოგახსენებ: ჩემმა გლეხმა...

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. (წყრომით) ბატონო, გთხოვთ ღონისძიება მომცეთ, ჯერ ამას მოვუსმინო. (გლეხს) რაო, რა სთქვი, როდის ჩამოგართო ვენახი?

მ ე ო რ ე გ ლ ე ხ ი. ერთი ათი-თორმეტი წელიწადი იქნება, შენი ჭირიმე!

ქ ვ რ ი ვ ი. ჩემმა კაცმა...

ა ხ ა ლ ი მ ო ს უ ლ ი მ ე ბ ა ტ ო ნ ე. ჩემო რძალო! დააცალე, რას გეეხირები ხოლმე ლაპარაკში.

ქ ვ რ ი ვ ი. ვის დავაცალო, ვისა?.. ამ ტყლაპსა?.. ოჰ, დიდი რამ მომხდარა, თუ მებატონეს მაგისათვის ვენახი წაურთმევია. კარგია, რომ ეგ თითონ ძაღლზედ არ გაუცვლია. ვერ უყურებთ, რა დრო მოვიდა? რაზედ ჩივიან? აი, გვცოდნოდა, მე ვიცოდი, როგორც ძაღლის ლეკვებზედ გაგცვლიდით. დააცალე! უკაცრაოდ. მე ის არ გახლავარ, მითხრან, დაჯექ – დავჯდე; მითხრან, ადექ – ავდგე. კეთილშობილის ცოლს მეძახიან, მე ჩემის თავის პატივი ყველგან ვიცი. (პოსრედნიკს) არა, თქვენგანაც მიკვირს, მაგისთანა ზღაპრებს ყურს როგორ ათხოვებთ? ვენახი ჰქონია და ბატონს წაურთმევია. დიდი რამ მომხდარა, თქვენმა მზემ! როგორ გაუბედნია მებატონეს!.. (გლეხს) მეხი კი დავაყარე თქვენს თავს!.. კიდეც რომ... სჩივიან. ვერ უყურებთ, ბატონზედ სჩივიან. აი, სად არის ის დრო, რომ ეხლა შენი ბატონი

მაგისათვის არ გაგაწვენინებს და ფეხებიდამ თავამდე ტყავს არ აგაძრობს. კიდეც რომ სჩივის? უი, უწინამც დღე გაგქრობიათ! (პოსრედნიკს) განა მაგათ საჩივარიც შეუძლიანთ მებატონეებზედ? მაგრამ რა! თქვენ მაგათი მხარე გჭერიათ და ყველაფრის ნებას მისცემთ, ვინ არის პატრონი!

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. (მოთმინებიდამ გამოსული) მე იმოდენა მოთმინება ვიქონიე, რომ თქვენს უსაქმო ლაპარაკს აქამდინ ყური ვუგდე. რადგანაც ეხლა ვხედავ, რომ მაგ უთავბოლო ლაპარაკს ბოლო არა აქვს, გთხოვთ, ან თავი დაგვანებოთ და შინ წაბძანდეთ, ან დაბძანდეთ და ხმა აღარ ამოიღოთ, მინამ თქვენი რიგი არ მოვა.

ქ ვ რ ი ვ ი. (სხაპასხუპით) ჩემმა გლეხმა ამ ორის კვირის წინად ქალი გაათხოვა, მღვდელმა უჩემოდ ჯვარიც დასწერა და საჩექმეს არ მაძლევს. მე გთხოვთ, საჩექმეც წამირთოთ, როგორც რიგია და კანონია, და მღვდელიც გააკრეჭინოთ. (გლეხებს) ოლოლო თქვენ!.. დაგასწარით თუ არა! ჰი! ეხლა თუნდ საღამომდინ ვიჯდები. მე ჩემი კი შევასრულე და!.. ხმასაც არ ამოვიღებ, ო, თქვენმა მზემ, ეხლა ხმასაც არ ამოვიღებ. (ჯდება სკამზედ და გამარჯვებულივით აქეთ-იქით იყურება).

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. (გლეხს) შენ, ჩემო ძმაო, ის ვენახი ვეღარ დაგიბრუნდება, რადგანაც შენ თითონ ამბობ, ათი-თორმეტის წლის წინად ჩამომართოვო.

მ ე ო რ ე გ ლ ე ხ ი. დიაღ, წინად იყო ეგ ამბავი, – კაცმა მართალი უნდა სთქვას!

ქ ვ რ ი ვ ი. (თავის მაზლს მებატონეს) გაიგე, ჩემო მაზლო, ჩემო ძმაო! აი, მეხი კი დავაყარე მაგის კეთილშობილებას, ჩვენ სახლიდამაც გვაგდებს და მაგ ტილიან გლეხს კი "ძმაოს" ეუბნება.

მ ე ო რ ე გ ლ ე ხ ი. მაშ მენა აღარა მეშველება რა, შენი ჭირიმე!

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. თუ კანონზედ მივარდა საქმე, ვერაფერი, მაგრამ მე შენ მებატონესთან მოვილაპარაკებ, იქნება შეგაბრალო და თითონ თავის ნებით დაგიბრუნოს.

მ ე ო რ ე გ ლ ე ხ ი. მადლობელი, შენი ჭირიმე, შენი. (გავა).

ქ ვ რ ი ვ ი. (თავის მაზლს ჩუმად) ვისი კაცია? (მაზლი ჩუმად ეუბნება, ვისიც არის) კიდეც იმიტომ!.. ის დიდი კაცია, მაგის ბატონი, და იმიტომაც მაგ ტურტლიანს ვერა უშველა რა. მეც არ გამიკვირდა, გლეხი როგორ გაამტყუნა-მეთქი, – თურმე ნუ იტყვი, იმისი ჰშინებია.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. (პირველს მებატონეს) აი, თქვენი გლეხიც ჩემს დაბარებაზედ გიახლათ, რას უჩივით?

პ ი რ ვ ე ლ ი მ ე ბ ა ტ ო ნ ე. ვხედავ. მაგაზედ ჩემი ხუთი თუმანი ყალანია და აი, რამდენჯერ მითქვამს და არ მაძლევს.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. (ამ მებატონის გლეხს) მართალია, რასაც შენი მებატონე გიჩივის?

გ ლ ე ხ ი. ჰაი, ჰაი, მართალია. (მებატონეს) მაგრამ, ბატონო, მაგისათვის რად შეიწუხეთ თავი? აკი მოგახსენეთ, კავკავს ურმები გავისტუმრე და, რა წამსაც ჩამომივლენ, მაშინვე მოგართმევ-მეთქი.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. მაშ, შენ თანახმა ხარ, მირათვა ეგ ფული?

გ ლ ე ხ ი. ჰაი, ჰაი! მაშ არა? მაგისათვის ჩემს სულს როგორ დავუმძიმებ. რაც თავი შემისწავლია, შენი ჭირიმე, მე ვინახავ მაგათა, მაგათის მადლით ღმერთი მეც ბლომად მაძლევს. მე ჩემს მებატონეს როგორ ვუღალატებ, ღმერთი მაგათ მაგიერ მიხდის. (მებატონეს) ბატონო, შენი ჭირიმე, რაკი ეგრეა და ძალიან გიჭირს, დღესვე ავიღებ ვალადა და თქვენ კი არ შეგაწუხებთ. მეტყოდი, შე დალოცვილო, თუ

ძალიან გიჭირდა და ღვთის მოღალატე ვიქნებოდი, თუ თავი ქვას არ მეხალა და არ მეშოვნა. მაგისთვის როგორ გაჩივლებდი? ვაი შენ, ჩემო თავო!.. საჩივრად საქმეს როგორ გაგიხდიდი!

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. ბარაქალა, რომ აგრე მუყაითი ყოფილხარ შენის მოვალეობის აღსრულებისათვის; წადი, უშოვნე და ჩააბარე.

გ ლ ე ხ ი. ჰაი, ჰაი, ჩავაბარებ დღესვე; (მებატონეს) წამობძანდები, ბატონო? (მებატონე ადგება და გაჰყვება გლეხს).

ე რ თ ი მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი მ ე ბ ა ტ ო ნ ე. (თავისთავად, ხმამაღლა) ვინა სთქვა, – გლეხმა ჩვენზედ გული აიყარაო. მიუქარავს, ვინც ამას იტყვის დღეის შემდეგ. კაი კაცი ყოველთვის კარგი იქნება.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. დიაღ, პატიოსანი გლეხი ყოფილა. (მოხუცებულს მებატონეს) ახლა თქვენი საქმე უნდა გავარჩიოთ. ეს თქვენი ნაყმევი იაკო შაიაშვილი იძიებს თქვენგან ერთ რაღაც მიწას საკუთრებად; აი, ნასყიდობის ქაღალდიცა აქვს (მიაწოდებს ქაღალდს).

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი მ ე ბ ა ტ ო ნ ე. (ღიმილით) მე, შენი ჭირიმე, უწინდელი კაცი ვარ, კითხვა არ ვიცი. (გლეხს) იაკო! ეგ რა მიწაა?

ი ა კ ო შ ა ი ა შ ვ ი ლ ი. აი, შენი ჭირიმე, ღელის მიწას რომ ეძახიან, ჩვენებიანთ მიწის გვერდზედ, აღმა-დაღმა მიწა.

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი მ ე ბ ა ტ ო ნ ე. ის განა ნასყიდია? როდინდელი?

ი ა კ ო შ ა ი ა შ ვ ი ლ ი. პაპითქვენისაგან უყიდნია პაპაჩემსა.

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი მ ე ბ ა ტ ო ნ ე. პირველად მესმის. მაშ პაპიჩემის ხელი უნდ ეწეროს მაგ ქაღალდზედ. ცხონებულმა წერა კარგად იცოდა. ბიჭო-და, თუ ნასყიდი იყო, ღალას რაღად მაძლევდი?

ი ა კ ო შ ა ი ა შ ვ ი ლ ი. ბატონი იყავ და გაძლევდი, მე რა წინააღმდეგობა შემეძლო. მენა და შენა იმისთანა ბატონყმობა არა გვქონია, რომ ამეღო თავი და სხვასავით მეჩივლა. ღალას რად გაძლევდი? იმიტომ გაძლევდი, რომ შენზედ მენა ჩემი დღენი არა დამკარგვია რა. ჩვენი ბატონყმობა ბატონყმობა არ იყო, სესხი და ვალი იყო: მენა შენ მინახავდი და მენა შენ გინახავდი. ჩვენთვის ბატონყმობა არ გადავარდნილა, ისევ-ისე შენ ერთგულ იაკოდ მიგულე.

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი მ ე ბ ა ტ ო ნ ე. მაშ თუ აგრეა, ჩემო იაკო, ეგ ქაღალდი ჯერ ჩემთვის უნდა გეჩვენებინა. მე და შენში სხვა კაცი რა საჭირო იყო? ისეც მოვშველდებოდით. ეგეც რომ არ იყოს, ერთი-ორიოდ დღის შავ მიწას როგორ დავიშურებდი შენთვის: შენი დღენი ჩემს ერთგულებაში დაგიღამებია.

ი ა კ ო შ ა ი ა შ ვ ი ლ ი. ნუ მიწყენ, შენი კვნესამე. რა ვიცი! საშვილიშვილო საქმეა. მენა და შენ რომ ცას შევბერებულიყავით, მაშინ არა მენაღვლებოდა რა, შენთან არა გამიჭირდებოდა რა. ვინ იცის, ჩვენ რომ აღარ ვიქნებით, რა მოხდეს? ქაღალდს დამტკიცება უნდა. იქნება ტყუილიც არის, ვინ იცის? ნუ მიწყენ, შენი ჭირიმე! საშვილიშვილო საქმეა, ბატონო, და თუ მართლა წყენულობ, მალე მტერი შენ მოგიკვდეს, მალე იაკომ ეს ქაღალდი შენის ჭირის სანაცვლოდ გახადოს. ორი დღის მიწისთვის შენ დაგკარგავ?! ამ ფარატინას ჩვენს სიყვარულს როგორ დავარღვევინებ!

ქ ვ რ ი ვ ი. (თავისთავად ბუტბუტებს) ოო, შე ჭრელო გველო, ფარისეველო! რარიგად უძვრება გულში!.. უი, ნეტავი ერთი შენი ბატონი მე ვიყო!..

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი მ ე ბ ა ტ ო ნ ე. მართალი ხარ, იაკო, საშვილიშვილო საქმეა. (ცოტა აღელვებით) მე აღარა მეთქმის რა. (პოსრედნიკს) აბა, ერთი წაიკითხეთ, რა სწერია. აი, ბატონო პოსრედნიკო, პურმარილობა ბატონყმობაშიაც ყოფილა თურმე! (პოსრედნიკი ჰკითხულობს ქაღალდს).

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. (ბოლოს) "ხელს ვაწერ უთრუთი ...შვილი".

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი მ ე ბ ა ტ ო ნ ე. უთრუთი პაპაჩემი გახლდათ. (გლეხს) მაშ რაკი აგრეა, თუნდ შენი ერთგულობა და პურმარილიც არ მახსოვდეს, მაინცდამაინც პაპიჩემის ნაფურთხსაც არ ვუღალატებდი. მე, მართალია, ერთი ღარიბი აზნაურიშვილი ვარ, ერთი ორიოდ დღის მიწა ჩემის სახლობისთვის დიდი რამ არი, მაგრამ, რაც უნდა იყოს, პაპიჩემის სახელს მე მჩვრად არ გავხდი. მომიცია შენთვის, ჩემო იაკო, ღმერთმა კაიკაცობაში გამოგიყენოს!

ქ ვ რ ი ვ ი. (წაიბუტბუტებს) მიუცია!.. მუხრან-ბატონი მობძანდა და უწყალობა!.. დიაღ, სწორედ დაგიმადლებს კი!..

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი მ ე ბ ა ტ ო ნ ე. (თითქო ეწყინაო) ყველას, ჩემო დაო, თავისი თავი აბარია. მე მუხრან-ბატონი არა ვარ, მე ერთი იმ ღარიბი აზნაურთაგანი ვარ, რომელსაც ერთი ლუკმა ღარიბული პური აქვს და ჰცდილობს, რომ ის ლუკმა შეერგოს. დამიმადლებს თუ არა, – ეგ თითონ იცის. მე კი, როგორც მივლია, საფლავის კარებამდინ ისევ-ისე ვივლი (გლეხს) იაკო! მე და შენ, მგონი, ერთმანეთზედ გულს არ ავიყრით!

ი ა კ ო შ ა ი ა შ ვ ი ლ ი. უწინ ჩემზედ მიწა გენახოს, შენი ჭირი მენა ვარ, ჩემი ლხინი შენა ხარ, გულს როგორ ავიყრი!

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი მ ე ბ ა ტ ო ნ ე. (ლმობიერად) დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი: გაუყრელს ვერავინ ვერ გაჰყრის! (პოსრედნიკს) აბა, შენი ჭირიმე, ერთი ქაღალდი დაგვიწერეთ, ხელი მოვუწერო, თორემ (სარტყელს ორივე ხელით იბღერტს და ღიმილით) ლამის უჭმელობით გავწყდე.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. ეხლავ, ჩემო ბატონო! (პოსრედნიკი სწერს მორიგების ქაღალდს და დაწერის შემდეგ ხმამაღლა ჰკითხულობს).

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი მ ე ბ ა ტ ო ნ ე. ძალიან კარგი. (ქვრივის მაზლს) მე წერა არ ვიცი, აი ჩემი ხელი, ჩემ მაგიერ ხელი მოაწერე. (მებატონე ხელს აწერს) ეხლა ხომ შეგვიძლიან შინ წავიდეთ?

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. შეგიძლიან წაბძანდეთ. მადლობას მოგახსენებთ მშვიდობიანად მორიგებისათვის. გასაგონადაც სასიამოვნოა მაგისთანა სიტკბოებითი მეზობლობა, როგორიც თქვენა გქონიათ.

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი მ ე ბ ა ტ ო ნ ე. მაგას ნუ ბძანებთ, – სასარგებლოა, სასარგებლოა, თორემ ჩემს სიტყვას მოიგონებთ. (გლეხს, მხიარულად) წამო, იაკო, ერთი ჩვენ კაკალქვეშ ჩავსხდეთ და ერთი კიდევ ხელახლად დავიძახოთ მე და შენ: "ბატონისა ვარ ლაღი ყმა, მტერო, არ შეგეპოვები"-თქო და სხვამ რაც უნდა სთქვას. მშვიდობით! (გლეხიცა და მოხუცებული მებატონეც გადიან).

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. (მესამე გლეხს) შენ ამათი (უჩვენებს ქვრივის მაზლზედ) ნაყმევი არა ხარ?

მ ე ს ა მ ე გ ლ ე ხ ი. ჰაი, ჰაი, რომ მაგათი ვარ.

ქ ვ რ ი ვ ი. (თითქო თავისთავს ელაპარაკებაო მწუხარებით) უი, ამ დღის მნახველს! ნაყმევიო და არა ყმაო!.. ღმერთო! რას შეგვასწარ!..

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. ეს თქვენი ნაყმევი მოგახსენებთ, რომ ამ წლის თებერვალში სამის დღის მიწა ჩამოგირთმევიათ.

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. მართალია. ჩემია და ჩამოვართვი ყოვლად მოწყალე ხელმწიფის ბძანებითა.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. სწორედ ვერ შეგიტყვიათ: გამოცხადების დღის აქეთ მებატონეს მთავრობამ ნება არ მისცა, რომ გლეხს ჩამოართოს რამე; ვიდრე დებულების ოქმი დაიწერება, იმ დრომდე გლეხს ის უნდა ეჭიროს, რაცა სჭერია.

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. ოქმი დიდი ხანია, თქვენმა მზემ, დაწერილი მაქვს და ყუთშიაც მიდევს. მეფე ერეკლეს ოქმია. რომ გაშალოთ, ამ ოთახს თავიდამ ბოლომდინ გასწვდება. თორმეტი მეფეთ-მეფის ბეჭედი აზის, ხონთქარსაც ხელი უწერია. აი, თორემ ჩემმა რძალმა კარგად იცის.

ქ ვ რ ი ვ ი. როგორ არ ვიცი! იმითი გვიდგა სული, თორემ ჩვენ რა ვიქნებოდით. ის რო არა გვქონდეს, ხომ სულ ყველაფერს ჩამოგვაცლიდით და ამ დასამიწებს მისცემდით.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. მე მაგ ოქმს არ მოგახსენებთ.

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. სხვა ოქმი კი, სწორედ მოგახსენო, ჩვენ არა გვაქვს. არა, ჩემო რძალო, მგონია, არა გვაქვს?

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. რასაკვირველია, ის ოქმი, რომელსაც მე მოგახსენებთ, თქვენ არ გექნებათ. ეხლა უნდა დაიწეროს. იმას დებულების ოქმს ეძახიან, რომელშიაც გამოცხადებული უნდა იყოს, თქვენგან რა ერგება გლეხს და გლეხისაგან რა გარდასახადი გერგებათ თქვენ.

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. თქვენც არ მამიკვდეთ, ჩემგან გლეხს არა ერგოს რა, და თუ იმისგან მარგუნებთ რასმეს, ეგ თქვენ იცით. ქაღალდის დაწერით რომ არ შეგაწუხოთ, განა უქაღალდოდ კი არ დაგჯერდებით. ერგოს რამე!.. რა უნდა ერგოს ჩემს ყმასა ჩემგანა? რა ჩემი ძმა არის? შენც არ მამიკვდე, მე ახალი ოქმი არ ვინდომო. აბა რა? მეფე ერეკლეს ოქმი იქით მიაგდეო და ახალი დაწერეო. ყოვლად მოწყალე ხელმწიფემ ინება, ყმა გაანთავისუფლა. მიწაო, ბძანა, ბატონისა არისო. მე ჩემი ჩამაბარეთ, მაგას თავისი თავისუფლება მიეცით. აღარც ოქმი და აღარც დავიდარაბა, მშვიდობით და გამარჯვებით! არა, ჩემო რძალო?

ქ ვ რ ი ვ ი. დიაღ, თქვენმა მზემ! თუ მართალი გნებავთ, მართალიც ეგ არის.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. მცირემამულიანი მებატონე ხომ არა ბძანდებით? სულ რამდენი დღის მიწა გექნებათ?

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. (ასე გგონია, ეწყინაო) მცირემამულიანი რად ვიქნები? (ტრაბახობით) მე, სულ ცოტა რომ ვსთქვა, ერთი ოთხას-ხუთასიოდ დღისა მეტი მაინც მექნება.

ქ ვ რ ი ვ ი. (პოსრედნიკს) წიგნში ჩაწერეთ, შენი ჭირიმე, ჩემის ობლების ნუგეშო, რომ ნახევარი ჩემის ობლებისა არის.

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. ახლა, ჩემო რძალო, რა არი, მაშინვე პირში მივარდები ხოლმე კაცსა. (ჩუმად) ვატყუებ.

ქ ვ რ ი ვ ი. (ჩუმად) მეტყოდი, შე დალოცვილო, ხმას ამოვიღებდი? (ხმამაღლა) დიაღ, მარტო მაგის წილად ხუთასისა რომ არ იყოს, არც კი ბევრით ნაკლები იქნება. მაგრამ მაინცდამაინც კი ერთი მაგოდენა ჩემს ობლებს უნდა ერგოს. წიგნში ჩაწერე, შენი ჭირიმე, რომ მთავრობამ იცოდეს.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. მე იმისთვისა გკითხეთ, რომ, თუ ვინიცობაა, სამოცს დღეზედ მეტი არ გექნებოდათ, მაშინ ნება გქონდათ ამ ორი წლის შემდეგ თქვენის ნაყმევებისათვის ჩამოგერთოთ მიწები სრულიად, და ეხლა კი ჩამორთმევა მაინცდამაინც არ შეიძლება.

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. (წყრომით) რა არის, ჩემო რძალო, პირში მომვარდები ხოლმე და ადამიანს სიტყვას არ მოაფიქრებინებ. აბა, სადა გვაქვს ოთხას-ხუთასი დღისა, რომ მოჰყვები ხოლმე?

ქ ვ რ ი ვ ი. მერე ვინ ამბობს, რომ გვაქვსო? არც ხუთასისა იქნება და არც ოცდაათისა, ორივეს წილს მოგახსენებ. ხუ... თა... სი... კი არა! ნეტავი იყოს და, დაე ამ დასამიწებსაც ჰრგებოდათ.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. მაგას მერეც გამოვიძიებთ. ეხლა კი თქვენ ის სამის დღის მიწა თქვენს ნაყმევს ისევ უნდა დაუბრუნოთ.

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. რატომ? მიწა ხომ ჩემია. ასე არ ინება ყოვლად მოწყალე ხელმწიფემ?

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. დიაღ, თქვენია.

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. თუ ჩემია, მევე მამეცით; მინდა, რომ ჩემი იყოს. მე მინდა ჩემი მიწა მევე მოვიხმარო. ხათაბალაა, შენია და შენი კი ნუ იქნებაო! გაგონილა?

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. თქვენია, მაგრამ მთავრობამ გლეხის ნაჭერი მიწები ისევ გლეხს მისცა სახმარებლად, რომ თავის ცოლ-შვილი გამოკვებოს,. ხელმწიფისა და მებატონის ხარჯს გაუძღვეს და თქვენ კი, იმის ნიშნად, რომ მიწები თქვენია, დაწესებული გარდასახადი უნდ ამოგართოს.

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. არ მესმის. ერთი ეს მიბძანე: მიწა ვისია?

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. მოგახსენებთ, მებატონისა-მეთქი.

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. თუ მებატონისაა, გლეხს რაღად აძლევთ? მაშ სახელი ჩემი ყოფილა და სახრავი კი იმისი. ჰო, ეხლა კი მივხვდი, რაღას მაწვალებ, შე დალოცვილო, აგრე მეტყოდი, რომ შენი არ არის-თქო.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. (მოთმინებიდამ გამოსულსავით) ერთის სიტყვით, ის სამის დღის მიწა, რომელიც თქვენ, თქვენისავე სიტყვით, ამ თებერვალში ჩამოგირთმევიათ, გლეხს უნდა დაუბრუნოთ.

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. მაშ ის მიწა სწორედ უნდა დაუბრუნდეს?

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. ყოვლის უარის უთქმელადა. და თუ ჩამოსართმევია, თითონ კანონი ჩამოართმევს თავის დროზედ.

ქ ვ რ ი ვ ი. (თავის მაზლს) აკი გითხარ, დაბალი ღობე გნახა-მეთქი. რატომ იმ გლეხს კაცს არ დაუბრუნა ვენახი, თუ აგრეა?

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. მე მგონია, კანონი დიდისა და პატარისათვის ერთი უნდა იყოს. წეღან იმ გლეხს უბძანე: რაკი ბატონს ვენახი ჩამოურთმევია, არა გეშველება რაო, – და ეხლა მე მიბრძანებ: რაკი ჩამოგირთმევია, უნდა დაუბრუნოვო. ეს სადაური სამართალია?

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. იქ სხვა გარემოება იყო და აქ სხვა არის.

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. სულაც არა. იქაც ჩამორთმევაა და აქაც. იქ უფრო ძნელიც არის, რომ კაცს გაშენებული ვენახი ჩამოართოს კაცმა და ჩემს კაცს კი, ჩემს საკუთარს ცარიელს სახნავ მიწაზედ, რა ოფლი დახარჯვია. არა, ჩემო რძალო?

ქ ვ რ ი ვ ი. დიაღ, თქვენმა მზემ, თუ მართალი გინდათ, მართალიც ეგ არის.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. ეგ ხომ აგრეა, მაგრამ ის კი დაგავიწყდათ, რომ იქ უწინვე ყოფილა ჩამორთმეული, აქ კი გამოცხადების შემდეგ.

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. (თითქო გაუხარდაო) დიაღ, კარგი და პატიოსანი! ეგ კარგად ბძანე. მანდ დავდგეთ. მე ჯვარზედ და სახარებაზედ დავიფიცავ, რომ როცა მე ის მიწა ჩამოვართვი, გამოცხადებული არ იყო ბატონყმობის გადავარდნა. ჩვენკენ მაგის ჩამიჩუმიც არა ყოფილა.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. გამოცხადება იყო 1864 წ. გიორგობის რვასა.

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. აი, ქალაქში რომ გამოაცხადეს?

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. დიაღ.

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. მეც მაგას მოგახსენებ, რომ მაშინ მე იქ არა ვყოფილვარ. ის ერთი შვილი მყავს – უკაცრაოდ, რომ თქვენთან ვიფიცავ – ის ერთადერთი შვილი არ მამიკვდება, მაშინ მე იქ არა გხლებივარ. აი, თუნდა, – კარგია მოწამეც აქავე მყავს, – ჩემს რძალსა ჰკითხეთ. არა, ჩემო რძალო?

ქ ვ რ ი ვ ი. დიაღ, სწორე ბძანებაა. განა არა, მე კიდეც ვუთხარი: ჩემო მაზლო, წავიდეთ-მეთქი, წავიდეთ-მეთქი, ჩემო მაზლო! ჩვენც ყმები გვყავს, ერთი შევიტყოთ, რა ამბავია-მეთქი. ახლა ხომ მოგეხსენებათ ჩვენი, ქართველების, ამბავი: დაზარდა, არ წამოვიდა. ბოლოს კი, დახე, დედაკაცის ჭკვას რომ არ აჰყვა, რა კარგად გამოვიდა! რაკი რომ გამოუცხადებდნენ, მიწას გლეხს ხომ ვეღარ წაართმევდა?

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. (თავმომწონედ) მე კი არ ვიცოდი! კაცს შორმხედველობა უნდა ჰქონდეს!.. განა არა, ზედ გადამაკვდა ჩემი რძალი და მაინც არ წავედი.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. შესაძლოა, რომ იქ არ ჰყოფილიყავით. მერე მაგით რაო?

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. ისა, რომ მე არ გამომცხადებია, მგონი ცხადია.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. თქვენ გამოგცხადებიათ, თუ არ გამოგცხადებიათ, ეგ კანონისათვის სულ ერთია. მხოლოდ ამას მოგახსენებთ, რომ გიორგობის რვას 1864 წ. აქეთ არა მებატონეს ნება არა აქვს გლეხს ჩამოართოს რამე.

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. ეჰ, თქვე დალოცვილო, კანონი თქვენს ხელშია, და როგორც გინდათ, ისე ატრიალებთ.

ქ ვ რ ი ვ ი. ოღონდაც, ოღონდაც!..

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. მე განაჩენს დავწერ და, თუ უკანონობას რასმეს ხედავთ, ზედ დააწერეთ, რომ კმაყოფილი არა ხართ და მერე იჩივლეთ.

ქ ვ რ ი ვ ი. ბევრს რასმე ვხედავთ, მაგრამ გამგონი ვინ არის?

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. ეჰ, შე დალოცვილო, სად ვიჩივლო? ასე გგონია, შვიდი შკოლა გამეთავებინოს, ჩემს გვარს ძლივ დავწერ ხოლმე. აძლევთ, მიეცით, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ. (ქვრივს) შენ კი მიყავ ეს საქმე, ბებრუხანავ! მაშინვე კი მიმოწმა – ხუთასი დღისაო. სადა გვაქვს ხუთასი დღისა? აბა სადა გვაქვს?

ქ ვ რ ი ვ ი. რაო, ბებრუხანაო! უი შენ თვალებს!.. აი, კარგია, რომ მოწამე მყვანდა. (პოსრედნიკს) ჯერ ამან არა სთქვა, თქვენი ჭირიმე. ხუთასი დღისაო? (პოსრედნიკს სიცილი მოსდის) არა, ნუ კი იცინით, სწორედა ბძანეთ: ამან არა სთქვა? ამ ნიშნით, მე სიტყვა მოვუჭერი კიდეც: ნახევარი ჩემის ობლებისაა-მეთქი. მერე, როცა მაგანა სთქვა – სადა გვაქვს მაგდენიო, აკი მეცა ვთქვი – სადა გვაქვს-მეთქი. ესე არ იყო?

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. ესე იყო, თუ არ იყო, მე ვიცი შენი!.. (გაჯავრებული გადის).

ქ ვ რ ი ვ ი. (წამოხტება და კარებიდამ მისძახის) შენ იცი, მე ვიცი ყურებზედ ხახვს დამაჭრი. ბაიყუშის ბაიყუშო! (შემობრუნდება და პოსრედნიკს) საშინელი ცრუ რამ არის ეგ წყეულ-შეჩვენებული. არ გამომცხადებიაო! სტყუის, თქვენმა მზემ, გამოსცხადებია კიდეც და ყველაფერი. მაგისაგან გლეხკაცებს მოსვენება არა აქვთ. მე რომ თქვენი ვიყო, ციხეში ჩავასმევინებდი. ერთი ბუნტი კაცია, ავის პირის პატრონი. არ გამომცხადებიაო!.. თქვენც ლამაზად მიუხვდით. მგონი, მე რომ განიშნეთ, ტყუის-მეთქი, მაშინ მიუხვდით. ვის ატყუებს? თქვენ გატყუებთ? აი, ეგ მურტალი, ეგა!.. კარგად უყავით, რომ გაამტყუნეთ. მაგისთანა კაცს ეგრე უნდა. (დაბლა ხმით) ეგ, სწორედ მოგახსენო, ქურდიც არის, საციმბიროა.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. მაგას თავი დაანებეთ, თქვენ თქვენი საჩივარი ბძანეთ.

ქ ვ რ ი ვ ი. (წამოდგება ფეხზედ სკამიდამ და მოწიწებით) ახლა მე მოგახსენო, ჩემო დიდებულო ხელმწიფევ, ბრძენო და ბრძენთა-ბრძენო, ქვრივ-ოხრის გამკითხავო, ობოლთა მწყალობელო, მაღალო და სვიანო, უხვო და მდაბალო! ამ ორი კვირის წინად ჩემმა ნაყმევმა, – ყმა რო ვთქვა, გამიწყრებით, – თავისი გომბიო გოგო გაათხოვა, ერთ ვიღაც ოხერს მისცა, ერთ თავისთანა მუტრუკს. მივუგზავნე ჩემი გოგო და შევუთვალე: ეხლა, ქალს რომ ათხოვებ, საჩექმეს არა ნაღვლობ-მეთქი? ყურიც არ შეებღერტა. ახლა მე თითონ მივუვარდი და ვუთხარი: საჩექმეზედ რას ამბობ? წადიო, საიდამაც მოთრეულხარ, იქავაო, – სწორედ ამ სიტყვით მიპასუხა, თქვენზედ მიწა არ მენახოს. აბა, ჩემი მაზლი ხომ არა ვარ, ან იმისი გომბიო ცოლის ამხანაგი, რომ ტყუილი მოგახსენო: სწორედ ეგრე მითხრა. – ეგ კიდევ არაფერი. შემოიყარა, ბატონო, ჩემ წინ დოინჯი მუხრან-ბატონივით, ამიწია ჩემ თვალწინ და დამიწია მხრები, ჩემ წინ, ჩემ წინ, თქვენმა მზემ. აბა, თქვენი ჭირიმე, ეხლა რომ მაგაებს მეუბნება და მაგაებს სჩადის, მეფე ვახტანგის კანონებს და რჯულს არღვევს, მერე რაღასა იქს, როცა თავისუფლება, – ღმერთმა კი ნუ დაასწროს, – როცა თავისუფლება უფრო ძვლებში გაუჯდება. არა, თქვენვე თქვენის მაღალგონიერებითა ბძანეთ: მერე რაღასა იქს? მე რომ თქვენი ვიყო, – აბა ჩემგან ჭკვა რად გესწავლებათ, მაგრამ მე რომ თქვენი ვიყო, – იმას ერთი ლამაზად მივტყეპდი რუსულის წკეპლითა, იმ საჩექმეს ერთიორად წავართმევდი და მომიგდებდი მე საცოდავსა, ერთს ქვრივ-ოხერს, ობლების პატრონს. მადლიც მადლად ჩაგეთვლებოდათ და მეც, ქვრივ-ოხერს, მეფე ვახტანგისაგან დაწესებულს, დაბეჭდილს და დამტკიცებულს კუთვნილ მიბოძებდით და თქვენის გაჩენის დღეს მალოცვინებდით. იმას კი ერთ ლაზათიანად მივჯოხავდი, რომ მეორედ აღარ გაებედნა, თორემ ერთი ბუნტი კაცია. ეგენი, ჩემო დიდებულო ხელმწიფევ, ღორის ტილივით არიან: ფეხზედ რომ დაისვათ, თავზედ აგაცოცდებიან. თქვენ მაგათ კარგად არ იცნობთ, ო, თქვენმა მზემ. (ამ დროს შემოვა ამ ქვრივის ნაყმევი. ქვრივი დაინახავს თუ არა, სიტყვას გასწყვეტს და გაკაპასებული შეუტევს გლეხსა)

რაო, რისთვის მოეთრივე, შე ძახლის ნათრევო! აიდგით განა ენა! დამაცადე, თუ შენი ცოლი, ის გველის წიწილა, ძაღლებს არ ვათრევინო.

გ ლ ე ხ ი. აი, შენი ჭირიმე, ამისათვის გიახელ. აღარა გვაქვს, ბატონო, ამისაგან მოსვენება. აქაო და ხელმწიფემ რად გაგანთავისუფლათო, ლამის ლანძღვითა და თრევით მთელი სოფელი აჰყაროს. ხელმწიფემ გაგვანთავისუფლა, ჩვენი რა ბრალია!..

ქ ვ რ ი ვ ი. მაშ ვისი ბრალია, მაშ ვისი ბრალია! (პოსრედნიკს) სწორედ ამათი ბრალია, თქვენზე მიწა არ მენახოს! (გლეხს) არზა არზაზედ რომ გააჭრელეთ და ჩუმ-ჩუმად სამართალში დაძვრებოდით – ბატონები აღარ გვინდაო, მითამ არ ვიცით, განა!.. აი, შე წუწკის შვილო! რაო? მითამ ჩვენ წავედით და ვითხოვეთ: ყმები ჩამოგვართვითო! (პოსრედნიკს) მე რომ თქვენი ვიყო, ამ სიცრუვისათვის ციმბირში დავაკარგვინებდი. დახე, ჩვენ გვაბრალებს. ქვეყნის ცოდვა ჩვენ უნდა დაგვადვას კისერზედ! ბუნტია, მა რა არის? ო, თქვენმა მზემ, ბუნტია!..

გ ლ ე ხ ი. (ხვეწნით პოსრედნიკს) ერთი წამალი რამ დამდევი, აგრემც ღმერთი გადღეგრძელებდეს. ერთი ამას კი მომაშორეთ და, რაც გნებავდეთ, ის მიყავი. ამის წყევლისა და ქოქვისაგან სოფელს კი ვეღარ უხეირნია-და! წამოხტება დილით, გამოვა დერეფანში, ამვლელს და ჩამომვლელს სწყევლის და თან მისძახის ხოლმე: გიხარიანთ განაო, გიხარიანთ განაო! აი, თქვე ასეთებოო, აი, თქვე ისეთებოო. მენა ხომ რაღა? დღე არ გავა, ცოლ-შვილი არ დამიწიოკოს. ერთი, ღმერთი გადღეგრძელებდეს, გადამასახლეთ საითმე და ამ ჯოჯოხეთს კი მამარჩინეთ.

ქ ვ რ ი ვ ი. (შეტევით) რაო? გადაგასახლონ? ვინა? ვის შეუძლიან შენ გადაგასახლოს? მაშ მეფე ერეკლეს ხსენება ქვეყანაზედ აღარა ყოფილა; მაშ იმისაგან ბოძებულს თორმეტ მეფეთ-მეფის ბეჭდიანს ოქმსა ძალა აღარა ჰქონია. აბა იქა სწერიხარ, რომ შენ შენის შესავლითა და გასავლითა ჩემი ყურმოჭრილი ყმა ხარ. თუნდა რომ აქავ შუაზედ გასქდე, ეგრეა.

გ ლ ე ხ ი. აღარა ვართ, ქალბატონო, თქვენი ყმები, არა და არა.

ქ ვ რ ი ვ ი. უი, შე ძაღლის ნაშენო, იქ ჩემ სანეხვეში ჩაგარჩობ მურა ძაღლსავითა! (პოსრედნიკს) არა, მოწყალეო ხელმწიფევ, თუ ეხლა ეგენი არიან ჩვენი ბატონები, ერთი გვიბძანეთ, თუ არა და, რაზედ მალანძღვინებთ, თქვე დალოცვილიშვილო, ამ დროულს დედაკაცს, პატიოსანის აზნაურიშვილის მეუღლესა. ამ ძაღლის ნაშენისაგან როგორ უნდა მეკადრებოდეს, რომ ეგ მეუბნებოდეს – თქვენი ყმა აღარა ვარო.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. (გულზედ მოსული) მე მაგ უშვერისა და ურიგო ლაპარაკისათვის თქვენ, თქვენო კეთილშობილებავ, ჯარიმად სამს მანეთს გახდევინებთ და, თუ კიდევ არ მოიშლით, სამართალში მიგცემთ. მოთმინებიდამ გამოგყევართ.

ქ ვ რ ი ვ ი. (მართლა შემკრთალი) რადა, ჩემო დიდებულო ხელმწიფევ, მე თქვენთვის ცუდი სიტყვა არ მომიხსენებია. მე ამ პირუტყვს ვეუბნები. ნუ ინებეთ გაჯავრება, ჩემო მაღალო ხელმწიფევ! სამი მანეთი არა ბრძანეთ, აი, იმ ჩემს გლეხს ერთი სამად საჩექმე წავართვათ, როგორც დალოცვილი მეფე ვახტანგის კანონი ბძანებს, – სამი მანეთი კი არა, ექვსი თქვენ ინებეთ, დანარჩენი მე მიბოძეთ. ღმერთმანი. კანონისა მორჩილი არა ვარ.. და! ეს გლეხი კი საშინელი მურტალი რამ არის. დახე, მე უნდა მეჩივლა და ამან არ დამასწრო!.. საკვირველია, სად შეიტყობენ ხოლმე. ეს რაც ბატონყმობის გადავარდნის ხმა ჩამოვარდა ქვეყანაზედ მეხად, ეს წუწკისშვილები

სწორედ გულთმისნები შეიქნენ... იმ დღეს, აი დიდი წვიმები რომ გახლდა, – მიწურმა ბანმა ვეღარ დაიჭირა. გამოვედი გარედ, – ეს ძაღლ... კინაღამ არ წამცდა – ეს გველხოკერა იქავ ჩემთან ახლო დგას, დავუძახე და ისე ტკბილად, დედაშვილურად ვუთხარი: შვილო გიორგი-მეთქი, (გლეხს) გაგიწყრეს წმინდა გიორგი, (პოსრედნიკს) შვილო გიორგი-მეთქი – თქვენზედ მიწა არ მენახოს, სწორედ ამ სიტყვით: შვილო გიორგი-მეთქი, თუ ეს ტყუილი იყოს, ამას (გლეხზედ ანიშნებს) გაუწყრეს წმინდა გიორგი! – შვილო გიორგი-მეთქი, ჩემო კარგო და პატიოსანო-მეთქი, – თქვენმა მზემ, სწორედ ამ სიტყვით, – ერთი მოდი და შენის ლამაზ-ლამაზ, მადლიან თათებითა ნიჩაბი აიღე და ბანი დამიტკეპნე, შენებურადა, მითამ მე დედა ვარ-მეთქი და შენ ჩემი შვილი-მეთქი, აგრემც ღმერთი ჩემდროულად მოგყრის-მეთქი, – სწორედ ამ სიტყვით, თქვენმა მზემ. ახლა, რა არის-მეთქი! (ჩაფიქრდება და ალერსის სიტყვებს იგონებს და ვერ მოუგონია) ახლა, ბევრი რამ ისე ლამაზ-ლამაზი მარგალიტივით სიტყვები ვუთხარი, ისე დედაშვილურადა, როგორც მოგეხსენებათ ჩემი ამბავი, დაყვავებით და ლოლიობითა. მაგრამ რა? მგელს სახარება თუნდა წაუკითხე, თუნდა არა. მომყო, ბატონო, პირი – აი ამოემსოს მაგას შავი მიწით პირი! – მომყო, ბატონო, პირი, ასე გამხადა, ასე გამხადა, რომ რაღა მოგახსენოთ. რა ვიცი რაები არ მაკადრა, თქვენზედ მიწა არ მენახოს. აბა ეგ მოსათმენია? მაგრამ რაკი სახარებაში (გლეხს) – გაგიწყრეს იმისი მადლი – (პოსრედნიკს) რაკი სახარებაში სწერია, – მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენიო, მეც მოვითმინე, ავიკარ პირი. აბა, ხომ მოგეხსენებათ დარბაისელი კეთილშობილის დედაკაცის ამბავი, ჩემს თავს რად ვაკადრებდი, რომ მაგ ძაღლ... კიდევ კინაღამ არ წამომცდა – მაგ ორფეხა მუტრუკს სიტყვით შევბმოდი. ავიკარი პირი. ეს კი ვუთხარი: კარგი, შვილო-მეთქი, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს-მეთქი, – სწორედ ამ სიტყვით, თქვენმა მზემ, – ღმერთმა მშვიდობა მოგცეს-მეთქი, გაუწყრეს მაგას ღმერთი. როგორც მოგეხსენებათ ჩემი ამბავი, ისე დედაშვილურად ვუთხარი, მშვიდობიანად, მაგრამ რა? განა მაგათზედ ტკბილი და გულმტკივნეული სიტყვა გასჭრის?! ესე გახლდათ, ჩემო მოწყალევ ხელმწიფევ! ეხლა მე ვიცი, თქვენ ამ უბედურისშვილს დააჭერინებთ, ციხეშიაც ჩასომთ, მაგრამ ამას კი გეხვეწებით, ბევრს ნუ აცემინებთ: აზიზადა მყავს გაზდილი, მაგას ერთი ორმოც-სამოციოდე რუსის წკეპლა ჭირადაც და ლხინადაც თავსაყრელად ეყოფა. რა ვქნა? ჩემი გაზდილია, მაინც მებრალება. გთხოვთ უმორჩილესად, მაგაზედ მეტს კი ნუ დააკვრევინებთ. რაც უნდა იყოს, მე ეგენი, ეგ გველის წიწილები, მაინც ჩემად მეგულებიან, შვილებსავით დაგვიზდია, დიდი სიბრალული მაქვს. ეგრე, გეთაყვანე, ბევრს ნუ აცემინებთ. თუ სამოცი გეცოტავოთ, ერთი ოციოდე კიდევ მოუმატეთ, არა უშავს-რა. მაგაზედ მეტს კი... აი, მუხლმოდრეკითა გთხოვთ – ნუ გადააჭარბებთ. ეს კია, რომ რუსს უნდა დააკვრევინოთ როზგები, თორემ ქართველი ხომ მოგეხსენებათ, მაგისთანებში ქალაჩუნა არის: ისე ვერ დაჰკრავს, როგორც ზაკონი და კანონია. ამასაც, თქვენმა მზემ, მაგისთვის ვამბობ, თორემ ცემა ცემად ჩაეთვლება და ეგ კი ისევ-ისე ვირად დარჩება. კიდევ მეორედაც გაბედავს და იტყვის: დაე მცემონო, ხომ არ მეტკინებაო. და ეგრე გული წაუხდება და მაგის წახდენა მე არ მინდა, – შვილივით გამიზდია; ჩემი ამაგი ფუჭად ჩაივლის. ახლა, არ იქნება, რომ კიდევ ჩვენ, მებატონეებმა, არ

ვიფიქროთ მაგათთვისა. მაგათ ხომ ღმერთმა თავისი ჭკვა არ მისცათ. (გლეხს) აი, დაგიდგა ეგ თვალი, ხომ ყელს გვაჭრევინებთ ჩვენა, მაგრამ ჩვენ კიდევაც იმოდენა გულისტკივილი გვაქვს თქვენი, რომ ჩვენს ზრუნვასა და ცდას მაინცდამაინც არ გაკლებთ. (პოსრედნიკს) ეგრე, თქვენს თავს ვენაცვალე, ოთხმოცი იყოს, მეტი კი არა.

1865 წ.

მაჭანკალი

მოქმედნი

თ. დ ა ვ ი თ ი, თ ა თ ქ ა რ ი ძ ე – 40 წლისა.
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი, მისი ცოლი – 35 წლისა.
ლ უ ა რ ს ა ბ ი, თ ა თ ქ ა რ ი ძ ე, ძმა დავითისა – 20 წლისა.
მ ო ს ე გ ძ ე ლ ა ძ ე, თავადიშვილი – 45 წლისა.
ხ ო რ ე შ ა ნ ი, სუტ-კნეინად ცნობილი, მაჭანკალი – 40 წლისა.
პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ე.
მ ე ო რ ე მ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ე.
მ ზ ა რ ე უ ლ ი.
ი ვ ა ნ ე, მოსე გძელაძის მოსამსახურე.
ქ ო რ წ ი ლ ი ს ხ ა ლ ხ ი, მ ა ყ რ ი ო ნ ი მ ე ფ ი ს ა დ ა დ ე დ ო ფ ლ ი ს ა.

მოქმედება პირველი

სცენა წარმოადგენს ერთის აზნაურშვილის ეზოს. აზნაურშვილს ქორწილი აქვს. სცენის უკანა მხარეს ხალხი ირევა. მზარეულები და მოსამსახურეები გარბიან და გამორბიან სცენაზედ: ზოგს ქვაბი მიაქვს საჭმლითა, ზოგს პური ხონჩითა, ზოგს ტიკით ღვინო და ამისთანები. ერთი მზარეული სცენის უკანა მხარესა დგას და ქვაბიდამ წვენს ურიგებს მოწვეულ გლეხკაცობასა. ეზოში ორგან-სამგან ფანჩატურებია, ერთი მათგანი ავანსცენის მარცხენა მხარესა დგას.

გ ა მ ო ს ვ ლ ა 1

მ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ე. კაცო, აღარ მოხედავთ სუფრას, თქვე ოჯახდაქცეულებო! სუფრიდამ ხალხი აიშალა, მოდით, ავალაგოთ.

მ ე ო რ ე მ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ე. ოჯახიც დაგექცეს და სახლ-კარიც დაგეღუპოს! ჩვენ კი გულხელდაკრეფილები ვსხედვართ თუ? ვერ უყურებთ, მთელი დღეა ფეხი არ ჩაგვიკრეფია. წადი და თავში ქვა იეცი და შენ აალაგე.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ე. აი შავი ქვა და ნაცარი ცხელი თქვენ თავს, კაი კაცები თქვენა ხართ (გადიან).

მ ზ ა რ ე უ ლ ი. (უსხამს წვენს გლეხკაცსა) სვავები ხართ, თქვე არდასაცალებელნო, რა ღმერთი გაგიწყრათ! აქაო და მუქთიაო, ხომ ზედ არ შეასკდებით.

გ ლ ე ხ კ ა ც ი. შევასკდებით კი არა, მეტსაც ვიზამთ. მაშ ღმერთს მუცლები იმისათვის მოუცია, რომ ქორწილიდამ შინ ცარიელები მივიტანოთ? ეჰეი, გაგვიჯდა გვერდებში! მითამ შენ რაზედ გშურს? შენი რა იხარჯება?

მ ზ ა რ ე უ ლ ი. ბიჭო-და, დღევანდელი დღეა მკლავი აღარ შემრჩა: – დაასხი და დაასხი. რა სვავი გაგიჩნდათ მაგ დასაღუპავ მუცლებში! გაძღომა კი არ მოგეკიდათ და!

გ ლ ე ხ კ ა ც ი. ჩვენც მანდა ვართ და! სულ რომ სხვამ არა გვჭამოს, ახლა ცოტაც არის ჩვენა ვჭამოთ სხვანი. ყანაა და ვმკით. რაო ახლა?

მ ზ ა რ ე უ ლ ი. აჰა და თანაც გადაჰყოლიხართ.

გ ლ ე ხ კ ა ც ი. ეგრე იყოს! მოკლას ხარი თივამა, თუ ერთი ორიოდე ჯამი საფერავის წვენიც მოუკუპრავში გავისტუმრე. (გადის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა 2

დ ა ვ ი თ ი დ ა ე ლ ი ს ა ბ ე დ ი (შემოდიან)

დ ა ვ ი თ ი. ნახე, დედაკაცო, იმდენ ხალხში რა ყოფა დამაწია.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ახია შენზედ.

დ ა ვ ი თ ი. ახია თუ არა, მეტი გზა არ არის, ცოლი უნდა შევრთათ. ატეხილია და რასა იქ.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ატეხილია რას მიქვიან? ხომ მაშინვე გაგვეყრება და ცალკე გავა.

დ ა ვ ი თ ი. მაშ არა-და შენ მოგიჯდება გვერდით.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მერე შენს შვილებს რა პასუხს აძლევ?

დ ა ვ ი თ ი. დედაკაცო, გაგიჟდი, თუ რა დაგემართა?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. გავგიჟდი კი არა, მართალს ვამბობ. ოთხი ვაჟი და ექვსი ქალი რომ თავზედ მომახვიე, შენს სულს რაღას ეუბნები?

დ ა ვ ი თ ი. ბიჭოს, ასე გონია მარტო ჩემი ბრალი იყოს. მოგახვიე რა, ქუჩაში აკრეფილები ხომ არ არიან, შენი შვილები კი არ არიან თუ?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მეც მაგას ვტირი და ვჩივი.

დ ა ვ ი თ ი. ეხლა გვიანღა არის, ჩემო კარგო!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. გვიან კი არა, იმათ პატრონობა უნდათ.

დ ა ვ ი თ ი. მერე ვინ არა ჰპატრონობს?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ვინა და შენ. ცოლს რათა ჰრთავ შენს ძმასა, თუ პატრონობა გინდა?

დ ა ვ ი თ ი. დედაკაცო, თუ გადარეული ხარ, ეგ მითხარ, თუ არა და რას მიედ-მოედები? სად იმის ცოლის შერთვა და სად ჩემი შვილები? რა კუდი უნდა გამააბა, არ მესმის.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. აგრემც არა გაგაგონოს რა ჩემმა გამჩენმა. აი, ნეტავი ფეხი მომტეხოდა და შენს სახლში ფეხი არ შემომედგა.

დ ა ვ ი თ ი. აი, ნეტავი ეგრე ყოფილიყო.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. აბა მაგ ჭკუის პატრონი სხვას რას იტყოდი. აი, მეხი კი დაგეცა! მე რომ არა ვყოფილიყავი, მგონი შიმშილით მეორე დღესვე სული დაგელია.

დ ა ვ ი თ ი. მამაშენს ბითურასა აქვს ცხონება, სულ შენს მონაგარს არა ვჭამ?!. მზითები არ დამაყვედრო, მამიშენის ცხონებას.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ქა, ვერ უყურებთ ამ ჯაგლაგს, რა თოხარიკი გამოიჩინა! შე უბედურის დღისავ, ენა არ უნდა მოგვარდეს, რომ მამაჩემს ეგრე იხსენიებ.

დ ა ვ ი თ ი. ქალო! არ დამეხსნები? რატომ ეგრე წიწიბურასავით ჩამომეკიდე, რა გინდა ჩემგან?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ნუ შეჰრთავ-მეთქი ცოლს, ნუ! არ გეყურება?

დ ა ვ ი თ ი. დიდება შენთვის, ღმერთო! ახლა წინ მე როგორ გადვუდგე. კაცი იძახის, ცოლი მინდაო, მოდი და უთხარი, ნუ გინდა-თქო. წეღან ვერა ნახე, რა ყოფა დამაწია იმდენს ხალხში?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ეს მაინც ჰქენი, მე დამაცალე.

დ ა ვ ი თ ი. ოჰ, ოღონდ ეგ სიკეთე მიყავ და თუნდა ქრთამსაც მოგცემ.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მაშ შენ სულ არ გაერევი?

დ ა ვ ი თ ი. თუ ხმა ამოვიღო, შენი ლეჩაქი დამხურე.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. არც ქალის არჩევანში?

დ ა ვ ი თ ი. არც ქალის არჩევანში.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მაშ კარგი, ეხლა მე ვიცი, სიტყვას არ გადახვიდე, აი.

დ ა ვ ი თ ი. შენი ფეხი დამკარ-მეთქი, შენი ფეხი. ოღონდ კი ამით გადავრჩე შენს წუწუნსა და წმუკუნსა და ხმას ამოვიღებ?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. კარგი ერთი, შე ჭკუის გლახავ! თუ ვწუწუნებ, შენის შვილებისათვის ვწუწუნებ. შენ რა გესმის!

დ ა ვ ი თ ი. რა ვქნა? მამა არა გყოლია სოლომონ ბრძენი და დედა და შენ საიდამ ჩემულობ ბრძნობასა.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. უი, მეხი კი დაგაყარე!

დ ა ვ ი თ ი. გაგეცალო, თორემ შენი ამბავი რომ ვიცი, ამაზედ სხვილათაც დამიროშამ.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მაშ არ გაერევი?

დ ა ვ ი თ ი. არა-მეთქი.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ეხლა საცა გინდა იქ წაეთრიე. მე ჩემი ვიცი (დავითი გადის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა 3

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი მ ა რ ტ ო

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. რომ არ შეერთო, კარგი იყო, მაგრამ რასა იქ? (ჩაფიქრდება) ახლა მოვლენ და იტყვიან: ელისაბედი ცუდი დედაკაციაო. რათა, თქვენი ჭირიმე? ოთხი ვაჟისა და ექვსის ქალის დედა ვარ. არ ვუპატრონო? არ ვიზრუნო? ჯანი არ გავიგდებინო და იმათ ბინა არ გავუჩინო? დედა ვარ, რომ სხვა არა იყოს რა, მშობელი დედა! ჩემმა მაზლმა ლუარსაბმა რომ ცოლი არ შეირთოს და თავისავით სულელები არ გააშენოს, ქვეყანა დაიღუპება თუ? მამულ-დედული უნდა გაგვიყოს, ნახევარი გაიტანოს და ჩემს შვილებს ყელები დასჭრას. მაშ არ ვინაღვლო? მაშ თავში ქვა არ ვიცე? ჩემს ნაშობს შვილებს ყელებსა სჭრიდნენ და მე ჩემის თვალით ვუყურებდე

და ხმა არ ამოვიღო? ეს კი დედაკაცობაა, და ლუარსაბს კი, იმ ერთადერთს კაცს, რომ ცოლი არ შევრთა, ხელი შევუშალო, ათი უსუსური ბაშვი გლახა მათხოვრობისაგან დავიხსნა, ის კი დედაკაცობა არ არის? თუ მე არ ვებრალები იმ სულის მტერს ლუარსაბსა, თავისი ღვიძლი ძმისწულები მაინც როგორ არ ებრალება? უცხონი ხომ არ არიან. უი, თქვენს დედასა, შვილებო! (ჩაფიქრდება) დეე, შეირთოს ცოლი, ჩადგეს ჩემის შვილების ცოდვაში. თუ დედაკაცი ვარ, ამას მაინც მოვახერხებ, ასეთი ქალი შევრთო, რომ იმისაგან უშვილობის იმედი იყოს. გამიგონია, უშვილობა ზოგჯერ ჯიშმა, მოდგმამ იცისო. ერთი იმისთანა მოდგმა მეგულება ჩვენში. მაშინ სულ ერთი იქნება, რაკი უშვილოდ ამოწყდება, ჩემს შვილებს დარჩებათ ყველაფერი. ჩემს ბედობაზედ სუტ-კნეინაც აქ არის, ქორწილში. ოსტატი დედაკაცია, ის უნდა მივუჩინო ამ საქმეს. იმას ოღონდ კი ფული დაანახვე და მშობელს მამას საფლავიდან ამოიღებს. წავიდე ერთი, როგორმე მარტოდ ჩავიგდო და აქავ გავათავო საქმე. რა ვქნა? დედის მოვალეობა მძიმეა (გადის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა 4

ხ ო რ ე შ ა ნ ი დ ა მ ო ს ე გ ძ ე ლ ა ძ ე შემოდიან და
ავანსცენაზედ დგებიან

მ ო ს ე გ ძ ე ლ ა ძ ე. აბა რაღა გეხვეწო, ჩემო ხორეშან! შენ იცი და შენმა დედაკაცობამ. ხალხი სუფრიდამ აიშალა და საცაა ისიც აქ ფანჩატურებში მოვა მოსასვენებლად. ასლი დროა. პატარა ნაქეიფარიც არის. შენ იცი!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ძნელს საქმეს კი მკიდებ. აბა, იმ ხნის ქალი როგორ გაგისაღო! ყმაწვილს, – შენ თითონ ხომ ნახე, – პირის ბუსუსი ჯერ თმათაც არ გადაჰქცევია.

მ ო ს ე გ ძ ე ლ ა ძ ე. ეჰ, ჩემო ხორეშან, თუ მოინდომებ, რა გაგიჭირდება. თუ ხელს მოჰკიდებ, მგონი არქიელსაც კი ცოლი შეჰრთო, შენი ამბავი რომ ვიცი. ჩემგან კი არა გესწავლება-რა, მაგრამ დავიჯერო – ქალის ხნიერობაში მოტყუება ვერ მოახერხო!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. რატომ, რატომ? ცხენი ხომ არ არის, კბილები გაუსინჯონ. მაგრამ თვალ-ტანადაც რომ ვერაფერი მოსაწონია, აბა ამას რაღა ვუყოთ? ნუ გეწყინება კი, შენი ჭირიმე, საქმეზედ ვლაპარაკობ.

მ ო ს ე გ ძ ე ლ ა ძ ე. ახლა ენაზედ ბრჭყალი მოგედება, რომ უთხრა, კალმით ნახატია-თქო. ბაჟს ხომ არავინ გვართმევს. ვსთქვათ, შე დალოცვილო, თუ გაგვივა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ქა, მერე თავის თვალით არა ნახავს? მაშინ რაღა ვუთხრა. ტყუილიც არის და ტყუილიც. მაგას კი ძალიან მოკლე ფეხები აქვს.

მ ო ს ე გ ძ ე ლ ა ძ ე. ეჰ, შე დალოცვილო, საცა ენაა გძელი, იქ ფეხები გინდა მოკლე იყოს, გინდა გძელი, არაფერია. შენსავით ენამეტყველობის სახელი მქონდეს და მაგ ცოტაზედ დავღონდებოდი? მაშ ოსტატს დედაკაცს რაში გეძახის ეს მთელი ევროპია ხალხი!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ქა, აქაო და ოსტატს მეძახიან, მახინჯს მზეთუნახავად ხომ არ გადავაქცევ!

მ ო ს ე გ ძ ე ლ ა ძ ე. კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, ტყუილად ნუ მიძნელებ.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ნურც შენ აადვილებ ეგრე, შე კურთხეულის შვილო!

მ ო ს ე გ ძ ე ლ ა ძ ე. ხორეშან, ოღონდ მე მამის მოვალეობიდამ გამომიყვანე და ის საცოდავი ქალი დამიბინავე და რა ვიცი: ყმათ რომ დამისახლო, შენი ყურმოჭრილი ყმა ვიქნები. ო, თავი არ მამიკვდება.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ეჰ, დაგპირდი და სიტყვა უკანვე როგორღა წავიღო, თორემ ეგ საქმე ჩემგან ხელის მოსაკიდებელი არ იყო.

მ ო ს ე გ ძ ე ლ ა ძ ე. (ყელს უწევს) ხორეშან, შენი ტკბილის სულის ჭირიმე! აჰა, ეს ჩემი თავი და შენი ხმალი, ოღონდ გამითხოვე.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. გეუბნები, დაგპირდი და სიტყვას უკანვე ვეღარ წავიღებ-მეთქი. ქა, აგერ ისიც მოდის. ჩქარა წადი, ერთად არა გვნახოს და არ გაგვიწყრეს ღმერთი.

მ ო ს ე გ ძ ე ლ ა ძ ე. აბა, ვინძლო!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. გეუბნები, მე ჩემსას არ დავიშურებ-მეთქი და შენც კი შენი დაპირებული არ დაგავიწყდეს.

მ ო ს ე გ ძ ე ლ ა ძ ე. ფულზედ ამბობ? შენი ხმალი და ჩემი კისერი-მეთქი, აკი გითხარი. ჩემი სიტყვა სიტყვაა. მაგის ფიქრი ნუ გაქვს, მითამ ჯიბეში გქონია (გადის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა 5

ხ ო რ ე შ ა ნ ი მარტო

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ამისთანა ოინბაზი კაცი მეორე არ დადის დედამიწის ზურგზედ. ეშმაკს ნევსის ყუნწში გააძვრენს!.. მითამ თავის გუნებაში ფეხის ქირას წინათ არ იძლევა. ერთი ხუთიოდ თუმანი მამიგდო, ეს ბე იყოსო. ახლა რა არის? საქმე გაურიგო, მერე აიღოს და, პუპუზ, პირში ჩალა გამომავლოს. (ქოქოლას აყრის ორივე ხელით) აი, მეხი კი დაგეცა მაგ წიწლაკიან თავზედ! რა დაბალი ღობე მე მიპოვა!.. უი, უწინამც დღე არ უნდა გაუქრეს ხორეშანსა, რომ მოსე გძელაძემ მოატყუოს! დამაცა! დედაკაცი არ ვიქნები, დედაკაცი, თუ შენვე არ მეხვეწებოდე, აი ფული და წაიღეო. ჯერ ერთი აქ მოვჩხრიკო ფონი. მე ხორეშანს მეძახიან!..

გ ა მ ო ს ვ ლ ა 6

ი გ ი ვ ე და ლ უ ა რ ს ა ბ ი (შექეიფიანებული)

ლ უ ა რ ს ა ბ ი. (პუბლიკისკენ) ბიჭოს, ეს ვინ ოხერია!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. უკაცრაოდ, შენი ჭირიმე, იქნება მოსასვენებლად მობძანდი ფანჩატურქვეშ და მე კი აქ დაგიხვდი.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. არა მიშავს რა, ნურას უკაცრაოდ.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ახლა რა ვიცი, ნაქეიფარი ბძანდები.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ო, ო, ო! ქეიფი იყო, რომ ჩვენ გავწიეთ. ვერა ხედავთ ამ წიტიან აზნაურშვილსა, რა ქორწილი გაგვიჩაღა!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისკენ) ქა, უთუოდ არ იცის, რომ ჩემი ბიძაშვილია. (ლუარსაბს) ჩემი ღვიძლი ბიძაშვილი გახლავთ.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. თუნდა ორთ ხელმწიფის შვილი იყოს. კაცმა მართალი უნდა სთქვას: კაი ქორწილი გადაიხადა, კაი, რომ მეტი აღარ იქნება. კაი შეძლებისაც კი ყოფილა, მე და ჩემმა ღმერთმა, ე თქვენი ბიძაშვილია თუ რაღაცაა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. დიახ, აქვს ერთი უწყინარი და უტკივარი ლუკმა-პური.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ხუმრობაა, მთელი ქვეყანა, კაცი თუ ქალი, აქ შეუყრია. კარგად დაგვხვდა. აბა ტყუილი როგორა ვსთქვა, ძალიან კარგად დაგვხვდა. ბევრ კაი თავადიშვილს გაუჭირდება, ო, მე და ჩემმა ღმერთმა. ყოჩაღ, აზნაურშვილო, მე და ჩემმა ღმერთმა, ყოჩაღ! რა ქეიფი გაგვაწევინა, რა ქეიფი! ლხინი იყო, რომ თქვენი მოწონებული. რა ჩაკრული თქვეს! აბა ჩაკრული ის იყო, აი! ჭიმია კი ვერ მიჰყვა ნაცარასა, თუ თქვენც იტყვით. მეტად მაღლა აუწია. ძალიან ხმა აქვს. ლამაზი ბანიც შეხვდათ. უჰ, ბანი იყო, რომ ის იყო! კარგადაც დავლიეთ.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ღმერთმა შეგარგოთ.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. არც ღვინო იყო ურიგო, ღვთის წინაშე. ისე შემერგო, როგორც დედიჩემის რძე, ო, მე და ჩემმა ღმერთმა. აი პატარა ხანს ჭიდილი გაიმართა სადილს უკან და მინამ გათავდებოდა, ცაცხვის ქვეშ ცოტა ჩამძინებოდა. მგონი ორჯერაც ხეირიანად ვერ ჩავთლიმე და თითქმის გამომნელდა კიდეც. ტყუილი ცოდვაა, ძალიან კაი ღვინო იყო.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) უი, დამიდგა თვალი, ახლა მე რაო?

ლ უ ა რ ს ა ბ ი. აი ბეჩავ, კახეთო, მაინც შენი ყურძნის წვენი სულ სხვაა! სწორედ მოგახსენო, ეს ჩემი პირველი სმა იყო.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ). ქა, გააგძელა ლაპარაკი, აღარ ათავებს.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. პირველი ასე, რომ დიდ ხალხში ამის მეტად არ მისვამს. განა არა, უწინაც მისვამს, მაგრამ წვრილფეხობაში. ჩასათვლელი არ არი. დღეს კი რომ ვსვი, ხალხში ვსვი. მერე როგორ ხალხში? მთელის ჩვენის მხრის თავადაზნაურობა, ქალი თუ კაცი, სულ აქ არის ერთად თავმოყრილი. აქ სმა სახელია და მგონი ვიშოვე კიდეც სახელი, აი, ამ წიტიანმა ლუარსაბმა. ეგრე კი ნუ მიყურებთ! ლამაზად დავლიე.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) ქა, ქადაგად ჩავარდა, თქვენმა მზემ.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ანჯიქოს გვერდით დამსვეს. ანჯიქო ხომ გაგიგონიათ? კახეთში თავი მსმელია.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) ვიშ, გეთაყვანეთ. (ლუარსაბს) გათქმული და სახელოვანი.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. სახელოვანიო!.. სახელოვანი ვის ეკადრება? სმაში კოპიტიშვილია, აი, ფალავანი.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. სააპყრანია, შენ ნუ მომიკვდები, სააპყრანი. (პუბლიკისაკენ) ეს რა ჭირს გადავეკიდე, თქვენი ჭირიმეთ.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. დამსვეს და თანაც მეუბნებიან: აბა, შენ იცი, როგორც გაუძღვებიო. სახელი თუ გინდა, სახელიც ეგ იქნებაო. ვახსენე ღმერთი, გადავიწერე პირჯვარი და მოვუჯეგ გვერდით. მოვუჯეგ, მაგრამ რა მოვუჯეგ. გულს სულ ბაგაბუგი გაჰქონდა. ხუმრობაა, ანჯიქოსთან სმა!..

ხ ო რ ე შ ა ნ ი. დიდი გაბედვა ყოფილა თქვენგან, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს. (პუბლიკისაკენ) გული გამიწვრილა.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მითამ რატომაო? ეგრე კი ნუ მიყურებთ, მე გული შიგნიდამა მაქვს, მაშ! ჩემის თავის იმედი რომ არა მქონოდა...

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ო, ო, იმედი გაბედულობის ნიშადურია. მართალსა ბძანებთ. (პუბლიკისაკენ) მე რის დარდი მაქვს და ეს რაებს მაროტვინებს.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. რაღა გაგიგძელოთ...

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) კიდევ მოჰყვა!

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ლამაზათ ვსვით, ისე დალაგებით, დაწყნარებით. ის დალოცვილიც მართლა რომ კაი მსმელი ყოფილა, ისე ალალი, უტყუარი.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. კაი მსმელია, ძალიან კაი მსმელი, ისე ალალი, უტყუარი.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. კარგადაც შევხვდით ერთმანეთსა, ისე თქვენი მოწონებული.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) უი, დამიდგა თვალი, ეს თავისას არ იშლის.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ჯობნით, როგორა ვსთქვა, ვაჯობე-მეთქი, სუფრიდამ ერთად წამოვდეგით. სმა კი, მე და ჩემმა ღმერთმა, გავუსწორე. ესეც დიდი საქმეა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. დიახ, ქოფაკმა ძაღლმა რომ კურდღელი დააბრუნოსო, დაჭერად ჩაეთვლებაო, ნათქვამია.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. კარგად უთქვამს მაგის მთქმელს, ღვთის წინაშე. სხვები კი ისე შემოგვეფანტნენ, როგორც ძერას წიწილები. ქვეყანა მე შემომცქეროდა, ვერ უყურებთ ამ ცინგლიანს ლუარსაბსაო, ამ გუშინდელ ჭყლინტსაო, რა დევს შეეჭიდაო და სმა გაუსწორაო. ქვეყანა ამას იძახდა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) ქა! აღარ ათავებს, თუ რა ღმერთი უწყრება.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. კვეხნაში ნუ ჩამომართმევთ და ბევრმა დედამ ინატრა ჩემისთანა შვილი. აბა თუ ღმერთმა კაცს შვილი მისცეს, ამისთანაო, სულ ამას იძახოდნენ. თორემ თქვენც კარგად მოგეხსენებათ, იქა ბძანდებოდით.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. როგორ არა, მთელი ქორწილია და შენი ქება, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. (პუბლიკისაკენ) ჭკვიანი დედაკაცი ყოფილა. (ხორეშანს) მაშ ტყუილს ვიტყოდი? ჩემი რძალი ელისაბედი... ხომ იცნობთ?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ძალიან კარგათ, დიდი კეთილი რამ არის.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. კეთილი კი არა, სულ ლოყებს იკაწრიდა სიკაპასით, ლუარსაბმა თავი რად იჩინაო.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) ეს ვერაფერი მომივიდა!

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ჯავრით იჭაჭებოდა, ჯავრით.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. არა, ცოტა ბოროტიც კია.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ახლა თქვენა გკითხავთ: ღმერთს ჩემთვის უნარი მოუცია და არ გამომეჩინა? არა, თქვენა გკითხავთ, არ გამომეჩინა?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. შური, ჩემო კარგო, სულ შური. მაგითი არა ვართ დაღუპული ჩვენ, ქართველები! ო, ო, თქვენი რძალი, – დიდი ბოროტი რამ არის.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ახლა რათა შურს ჩემი კარგი, თუ ავი სული არ არის? თუკი უცხონი შემომნატრიან, ის ნათესავი მაინც არის, რომ სხვა არა იყოს რა!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. უი, შენ გენაცვალე! ეხლანდელ დროში ნათესავობა სადღა არის. მე იმისთანა უგულო დედაკაცი ჯერ არ შემხვედრია, დედაკაცი ლამის დავბერდე.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. აი, დამაცადოს! ერთი მეც ცოლი შევირთო და ოჯახს მოვეკიდო, ზოგიც მაშინ ნახოს თავისი თამაშა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) ზოგი ფათერაკი მარგებელიაო, ეს კარგად გამოინაპირა.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. არა, შემომდგომია და მეუბნება, რა დროს შენი ცოლიაო. ბიჭო-და, მე უფრო არ უნდა ვიცოდე, დრო არის, თუ არა? არა, თქვენა გკითხავთ, ჭკვიანი დედაკაცი ბძანდებით, მე უფრო არ უნდა ვიცოდე?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (მითომ მორცხობს) უი, ქა! მაშ ვინ უნდა იცოდეს.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ეგა ბძანეთ და! აი, ჩემო რძალო, ხომ ოსტატი დედაკაცი ხარ, მაგრამ არც კი მე ვარ, ღვთის მადლით, სულელი.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. შორი-შორს სიტყვა კია, და იქნება ეხლა ჩემზედ ჰფიქრობთ, ეს ვინ ოხერიაო, უცხო კაცს თავზედ წამომდგომიაო...

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ე, ე, ე! გულთმისანი ყოფილხართ, მე და ჩემმა ღმერთმა. უკაცრაოდ კი ვარ და სწორედ ეგ ვიფიქრე, წეღან პირველად რომ დაგინახეთ.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მაგრამ უცხო რად ვიქნები? დედის თქვენის მეგობრობა და ხათრი რომ მაგონდება, იმისი სიყვარული და პურ-მარილი, თქვენ ჩემად მიმაჩნიხართ. უცხო რად ვიქნები? აი ამოდენა (ხელით დაბლა აჩვენებს) ხელში მჭერიხართ, ხელში მითამაშებიხართ. ეხლა ამბობთ, ქვეყანა მე შემომნატრისო, – ასეთი ბალღი იყავი, ასეთი, რომ ქვეყანას მაშინვე შენზედა ჰრჩებოდა თვალი. მაშინვე ამბობდნენ, ერთი სახელოვანი კაცი დადგებაო. თუ მამას არ დაემჯობინება, ნაკლები აღარ იქნებაო. ღმერთმანი, არ გამართლდა და! მთელი ეს ქორწილის ხალხია და შენი ქება. ჯადო უყავი, შენ გენაცვალე, ამოდენა ხალხს, თუ რა ამბავია?!

ლ უ ა რ ს ა ბ ი. არა, მამა არ წამიწყდება. ეს იყო ანჯიქოს სმა გავუსწორე. რა ვქნა, უნარი მაქვს და!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) კიდევ არ გააბას და არ გამიწყრეს ღმერთი. (ლუარსაბს) ეს მთელი ქვეყანა რომ შემოგნატროდა, მე სიხარულით აღარ ვიყავი. უი, შენ კი გენაცვალოს ჩემი თავი, რამოდენა კაცი შექმნილხარ, რა ტურფა და მშვენიერი. ერთი კარგად დამენახვე, რომ შენის ყურებით დავსტკბე. (ლუარსაბი იჭიმება თავმოწონებით). იფ, იფ! მართლა რომ ბევრი დედა გინატრებს... უი, ჯვარიმც გწერია, თვალი არა გკრა. აბა შეჰშურდები შენს რძალს, მა რა იქნება. წეღან მეუბნება, ცოლი რად უნდაო. აი მეხი კი დავეცი იმის შურიან თავს! ცოლი შენისთანას უნდა, რომ მარგალიტივით შვილები გარს ეხვეოდნენ.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. იმას კი დაუნიჟნია, ცოლი რად უნდაო!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. უი, უწინამც დღე დაუბნელდეს! ჰო, ის უნდა მომეხსენებინა, დედათქვენი და მე დიდი მეგობრები ვიყავით. დიდი სიყვარული გვქონდა ერთმანეთისა. დები რად იქნებიან ისე, როგორც ჩვენ ვიყავით. დედათქვენი ხომ არ გახსოვთ?

ლ უ ა რ ს ა ბ ი. არა, მე ძუძუთა დავრჩენილვარ.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. აბა საიდამ გეხსომებათ! ის უბედური რომ ღმერთს თავის უმანკო სულს აბარებდა...

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ვინა?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. დედათქვენი, ბატონო, დედათქვენი რომ თავის უმანკო სულს ღმერთს აბარებდა – იმისი დამკარგავი მე ცოცხალი რაღადა ვარ.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. (ტირის და ტირილის ხმით მკლავით ცრემლს იწმენდს) ო, მე და ჩემმა ღმერთმა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ეჰ, მადლობა ღმერთს, ღვთის ნებას ვერავინ წაუვა. რომ თავის უმანკო სულს ღმერთს აბარებდა, მე მაშინ ფეხთით ვეჯექი. აბა, არ მიშორებდა და! ყველანი დაითხოვა ჩემს გარდა. მამათქვენი, მგონია, მაშინ მიცვალებული ბძანდებოდა.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მიცვალებული კი არა, მას უკან თუნდ ექვსი წელიწადიც კიდევ იცოცხლა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) ახლა მამა რომ არ ჩამეკერებინა, არ იქნებოდა? (ლუარსაბს) მართლა, მართლა, რამ დამავიწყა? აი, სიბერე რა არის. ხსოვნამ მიღალატა. (პუბლიკისაკენ) ქა! რა შავ ქვათ მინდოდა მამა. (ლუარსაბს) დიახ, ცოცხალი ბძანდებოდა. დახე, ჩემს მახსოვრობას!.. თითონ თავის პირით არ მიბძანა...

ლ უ ა რ ს ა ბ ი. დედამ განა?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. არა, ბატონო, მამათქვენმა. დიახ, თითონ თავის პირით მიბძანა: ჩემო დაო, ვიცი, რა სიყვარული და ტრფიალება გაქვს შენა და ჩემს ცოლსაო. წადი, ფეხთით მოუჯექო, იამება, შენ რომ გნახავსო, ისე ჩემი ნახვაც არ იამებაო. მამითქვენის სიტყვებია, შენზედ მიწა არ მენახოს. მამათქვენი დიდი დარბაისელი კაცი ბძანდებოდა, სახელოვანი, გათქმული და ყველასაგან პატივცემული. (პუბლიკისაკენ) იამა, თქვენმა მზემ. (ლუარსაბს) დიდი შიში-კრძალვა ჰქონდათ იმისი, განა მარტო საქრისტიანოში, სათათრეთშიაც. იმისი ხმა და სახელი დაღისტნამდინ იყო გავარდნილი. რუსებისაგანაც დიდი პატივი ჰქონდა.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. უშველებელი კაცი სადმე იყო თურმე.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ერთი ვეშაპი რამ ბძანდებოდა, სწორედ ვეშაპი.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მე კი კარგად არ მახსოვს და მოგახსენებენ, ასეთი ხელები ჰქონდაო, რომ ჩვენი თედოს გამამცხვარი ლავაში რომ გაგეშალაო, ვერ გასწვდებოდაო ვერც სიგანეზედ, ვერც სიგძეზედაო. დიდი მსმელიცა ყოფილა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. კახეთში ცალი არა ჰყოლია.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ნეტა ანჯიქო და ის როგორ მოვიდოდნენ?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ანჯიქო იმასთან რა სახსენებელია. კაცი თურმე კამეჩს შასჭამდა. ჰო, რას მოგახსენებდი?

ლ უ ა რ ს ა ბ ი. რომ მამიჩემის სახელი დაღისტნამდი იყო გავარდნილი, რომ რუსებისაგანაც დიდი პატივი ჰქონია, რომ კამეჩს შასჭამდაო...

ხ ო რ ე შ ა ნ ი. უი, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ეგ ხომ მეც ვიცი. რაზედ დავიწყე ლაპარაკი, ის ველარ მომიგონია. აი, შენ გეთაყვანე, სიბერემ ეს იცის. წუთის წინად რას ვლაპარაკობდი არ მახსოვს და მამითქვენის სიკვდილი, ოცი წლის ამბავი, რომ არ მახსოვდეს, რა საკვირველია! (პუბლიკისაკენ) მგონი გავასწორე, რა შავ ქვად მინდოდა მამის ხსენება!

ლ უ ა რ ს ა ბ ი. თორმეტი წლის ამბავია, ოცისა რად იქნება.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (წამოხტება და პუბლიკისაკენ) ქა! ეს რა მემართება დღეს, თქვენი ჭირიმე. ვთქვათ, გავბრიყვდი და მამა ვახსენე, ახლა ჩოტკში რომ არ ჩავმდგარიყავ, ვინ დამემდურებოდა.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. (გაკვირვებული თავისთავად) ე რატომ ეგრე წამოფრინდა. რა ეკალმა უჩხვლიტა, ნეტა ვიცოდე.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (ლუარსაბს) ახლა ხომ მოგეხსენებათ, სიტყვაა, თუნდ თორმეტისა იყოს, მაინც საკვირველი არ არის? ჰო, იმას ვამბობდი. (ჩაფიქრდება) ქა, რაზედ დავიწყე ლაპარაკი?

ლ უ ა რ ს ა ბ ი. (პუბლიკისაკენ) ღმერთმა ნუ იცის შენი თავი.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ჰო, მართლა, იმას მოგახსენებდი: ცხონებული დედათქვენი რომ თავის უმანკო სულს ღმერთს აბარებდა, ყველანი დაითხოვა ჩემ გარდა, და როცა მარტოკანი დავრჩით, მიბრძანა თავის სირინოზის ხმითა: მე, ჩემო გულითადო მეგობაროო, დიდი ხნის სიცოცხლე აღარა მაქვსო; ვიცი, ჩემი სიყვარული დიდი გაქვს, – აი ეს შენ და ეს ჩემი ობლებიო. შენ იყავი ამათი დედა და პატრონიო. ეს რომ ბძანა, – უი იმ უბედურის დღის მნახველსა, – გული ამოუჯდა. (ლუარსაბი მკლავით ცრემლს იწმენდს). მეც ღაპაღუპით წამომივიდა ცრემლი. ბევრი ვიტირეთ. მერე ხომ განუტევა კიდეც ის ანგელოზი სული.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. (ტირილის ხმით) საწყალმა დედაჩემმა, განა?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. დიახ, დედათქვენმა. მე, როგორც თავზარდაცემული, ისე გიჟსავით დავრბოდი თურმე, ეგონათ მწუხარებას ვერ ავიტან და ჭკუიდამ შევცდები. დიდი სიყვარული გვქონდა. ისე ვიყავით, თითქო ერთი ხორცი გვაქვს და ერთი სულიო. დედათქვენიც – ვაი იმის დამკარგავსა! – ასეთი დედაკაცი ბძანდებოდა, რომ ყველას ხატსავით უნდა ელოცნა. ახლა იმისი მნახველი შენი რძალი ელისაბედიც იტყვის, მეც დედაკაცი ვარო. უი, (ორივე ხელით ქოქოლას აყრის) მეხი კი დავაყარე, სწორედ მაგასა ჰგვანდა, აი, თუ არ დაუშლია. დედაკაცი ბძანდებოდა-მეთქი, – მე თქვენ მოგახსენებთ, – რომ სადედოფლო იყო სწორედ. შენი რძალი ელისაბედი კი არ ჩადგეს იმის ფეხში, აი ღმერთი იმას უშველის. მესამე დღეს ქრისტიანულის წესით მივაბარეთ მიწასა იმისი ნათელი გვამი. (ლუარსაბი კიდევ ცრემლს იწმენდს). დიდი სამღვდელოება იყო მოპატიჟებული. მოგახსენებენ, გვამის გასაპატიოსნებლად მამათქვენს არქიელიც უნდოდა მოეწვია, მაგრამ დროშკის ცხენები ვერ ეშოვნათ, რომ გაეგზავნათ. თქვენ ერთი ბეწო ბალღები დარჩით. თქვენა და თქვენი ძმა დავითი პატარები იყავით. შენ მაშინვე შემიყვარდი, შენკენ მაშინვე უფრო მამიწევდა გული, არ ვიცი კი – რად. დავითიც ხომ იმისი ნაშობი შვილი იყო, მაგრამ შენ ჩემთვის სხვა იყავი მაშინვე, მე ხომ შენ არ გეხსომები?

ლ უ ა რ ს ა ბ ი. არა, არ მახსოვხართ.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მგონი, არც კი იცი ვინა ვარ.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. დღევანდლამდე არც კი მინახვიხართ. დღეს კი ყმაწვილებმა მითხრეს, სუტ-კნეინა თუ გაგიგონია, აი ეს არისო.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (წამოხტება და პუბლიკისაკენ) ქა, ვერ უყურებთ, რაებს მიბედავს!

ლ უ ა რ ს ა ბ ი. (თავისთავად) ბიჭოს, რაზედ აიტკიცა?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ეგ რა ჰსთქვი, ყმაწვილო? სუტ-კნეინა ვის ეკადრება!

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მაშ ეგ არა გქვიანთ?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) ქა, სახელი ჰგონია ამ ტუტუცს. (ლუარსაბს) რა პასუხია? სუტ-კნეინა რად მერქმევა?

ლ უ ა რ ს ა ბ ი. რა ვიცი, მთელი ქვეყანა კი მაგას იძახოდა და!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. იძახოდა და ბევრიც მიუქარავთ, მე ხორეშანი ვარ, ხორეშანი. რა მიუქარავთ, თქვენი ჭირიმე: სუტ-კნეინაო!

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მე სწორე სახელი მეგონა, უკაცრაოდ, არ ვიცოდი.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. არცოდნა – არცოდვაო. საქმე გამოჰლევიათ და დაუყბედნიათ. ჰო, იმას მოგახსენებდი: აბა, საიდამ გეხსომებოდით. (პუბლიკისაკენ) სუტ-კნეინაო, პირში კი წამომახალა და! (ლუარსაბს) შენ მაშინ სამის წლისა იქნებოდი, მე რომ ქმარი მომიკვდა. ის დღეა და ეს დღე, გამოვესალმე ქვეყანას, შინიდამ ფეხი არ გამომიდგამს. სიხარული ჩემთვის სიხარული აღარ არის, ქვეყანა ჩემთვის სულ შავებშია ჩაცმული. ვარ ესე უპატრონო, უნუგეშო, ქვრივ-ოხერი... (პუბლიკისაკენ) სუტ-კნეინაო!.. ვერ უყურებთ ამ სასაცილოს!

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ეგ ყველა-ყველა და ახლა მე რაო?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მომიტევე კადნიერება... ხომ მოგეხსენებათ, დედაკაცის გული ჩჩვილია. გული რომ ვეღარ მითმენს, რა ვქნა?

ლ უ ა რ ს ა ბ ი. დედაკაცო-და, მე რა შუაში ვარ, რომ გული არ გითმენს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. რაცა ხარ, შენა ხარ, შენ გენაცვალოს შენი ხორეშანი.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. აღარა ხუმრობ, აი!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ხუმრობა რას მიქვიან. რა ვქნა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, აქ (გულზედ ხელს იდებს) რომ ცეცხლი მიკიდია, ის მალაპარაკებს მე უბედურსა.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. (პუბლიკისაკენ) დახე ამ ქოფაკსა, ჩემი სიყვარულიც ჩავარდნია მითამ. (ხორეშანს) რა დროს თქვენი ეგეებია.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მეც მაგასა ვჩივი და ვტირი, რომ ეგრე უდროოდ დავნელდი და დავიღუპე. რაღა გაგიგძელო, შენ გეთაყვანე, მოკლე სიტყვა სჯობია...

ლ უ ა რ ს ა ბ ი. (პუბლიკისაკენ) ღმერთი-რჯული, მეტყვის, შამირთეო. (ხორეშანს) არა, დედი, არა... თუ ღმერთი გწამს, თავი დამანებე.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. იქნება თავი მოგაწყინე ჩემს ბედშაობაზედ ლაპარაკითა. ჰო, იმას მოგახსენებდი: თქვენ სამის წლისა იქნებოდით, მე რომ ქმარი დავკარგე...

ლ უ ა რ ს ა ბ ი. კიდეც ეგ არის და! მე ჯერ ძუძუმწოვარა ვყოფილვარ, რომ შენ ერთი ქმარი ამოგიჭამია კიდეც. და საიდამ სადაო. ღვთისა მაინც აღარ გეშინიან?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ღვთისა რად უნდა მეშინოდეს, შენ გენაცვალე. მე ღვთის უნებურს საქმეს არა ვჩადი; ცოლ-ქმრობა იმისაგან არის დაწესებული, ვენაცვალე იმის მადლს. მე იმის სახელით და ნებით მოვსულვარ. აი, დამაცადეთ, გიამბოთ...

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ფიე! რას გადავეკიდე, თქვენი ჭირიმე.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ჰო, იმას მოგახსენებდი: ის დღეა და ეს დღე, მოგშორდით და აღარ მინახვიხართ. მაგრამ გულით კი ისევ თქვენთან ვიყავი, აბა, მიყვარდით და სიყვარული არ მასვენებდა.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. კიდევ! დამეხსენ, ერთი, თუ ღმერთი გწამს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) რა ვქნა, ცეცხლს რაზედ იკიდებს ეს ყმაწვილი...

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მაგ დროული დედაკაცი!.. დედად შემეფერები, რომ სხვა არა იყოს რა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. უი, შენ კი გენაცვალოს ხორეშანი, რომ დედის შენის ანდერძს არ გადაჰსდიხარ. რა ვუყოთ, რომ დედად შეგეფერები? დედისშენის ნებაც ეგ იყო.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. (გაოცებით) რაო?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მოგახსენო. ერთს ღამეს – აი ეს სამი თვეც არ იქნება – დამეძინა...

ლ უ ა რ ს ა ბ ი. (პუბლიკისაკენ) აი, ნეტავი აღარ გაგეღვიძნა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ვნახოთ, ღრმა ძილში რომ ვარ, ერთი სასწაული მომევლინა. ერთი მშვენიერი ანგელოზი, შუქმოფენილი, განწმენდილი და განსპეტაკებული, თვალწინ გამომეცხადა.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. (პირჯვარს იწერს) როგორ? ისე ცხადად, ცხადად?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. სიზმარს მოგახსენებ, მაგრამ ასეთი სიზმარი იყო, რომ ბევრს ცხადსა ჰსჯობია. ხორეშან, – მიბძანა სულმა ცხოველმა, – მე შენის გულითადის მეგობრის სული ვარ, განწმენდილი და განსპეტაკებული. მაშინვე მუხლზედ მოვეხვიე დედითქვენის სულს...

ლ უ ა რ ს ა ბ ი. რაო?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. დედითქვენის სულს-მეთქი. დედითქვენის სული ბრძანდებოდა. (ლუარსაბი პირჯვარს იწერს). – მუხლზედ ნუ მეხვევი, ნუ! – მიბძანა ხელახლად.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. (პირჯვარის წერით) რატომაო?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მე შენგან გული მტკივაო. რად დაანებე თავი ჩემს დავითს და ლუარსაბსაო. დავითი კიდევ არაფერი, იმან ცოლი იშოვა და დაბინავდაო. ლუარსაბს რატომ არ ჰპატრონობო. ეგ არის შენი აღთქმაო? სამი ღამე ერთმანეთზედ მომევლინებოდა და სულ ამას მიბძანებდა, შენგან დაუტირებელი არ მოვკვდე.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ჩემზედაც ჯავრობდა?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) ფონს მივაგენი. (ლუარსაბს) ჯავრობით კი არა ჯავრობდა, მაგრამ არ იყო, რომ ცოტა სამდურავივით არ შემოგითვალა: რატომ ცოლს არ ირთამ და არ გამახარებო.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ჩემი რძალი კი იძახის, რა დროს შენი ცოლიაო.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ფუ ეშმაკსა!.. აბა, იმ ანგელოზის სულთან შენი ეშმაკი რძალი რა სახსენებელია!.. ჯვარი აქაურობას... ჰო, იმას მოგახსენებდი: თუნდ ეგეც არ ყოფილიყო, უფლისა წინაშე მე აღთქმა მივეც, რომ პატრონობა გაგიწიო, და აბა როგორ ვუღალატო. აი დღეს მოვიდა ჩემი აღთქმის დღეცა. რა წამსაც დაგინახე, მაშინვე მივხვდი, რასაც გაუგიჟებია საცოდავი ქალი.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ვინ ქალი? მაშ წეღან... დიდება შენთვის ღმერთო, სწორედ გადავირიე...

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ღმერთმა შეარცხვინოს შენს მხარ-ბეჭთან ყარამან ყათილის მხარ-ბეჭი, სიტურფე ტარიელისა, გონიერება გარდანქეშანისა. უი, მშვენიერთა მშვენიერო!..

ლ უ ა რ ს ა ბ ი. კიდევ!.. ერთი კარგად გამაგებინე, თუ ღმერთი გწამს, შენა ხარ, თუ სხვა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ქა! სხვა რა პასუხია? თვითონ მე ვარ, მე, ხორეშანი, დედიშენის გულითადი მეგობარი-მეთქი. სხვა რად ვიქნები.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ახლა, თუ ადამიანისა არა გცხვენია, ღმერთისა მაინც არ გეშინიან?!. მაგ დროული დედაკაცი...

ხ ო რ ე შ ა ნ ი. დროული რა პასუხია! ქალს ქალობით მიწუნებ თუ? (პუბლიკისაკენ) ქა, იქნება შეუტყვია, რომ მახინჯია.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მიწუნებო!.. დედაკაცო, გაგიჟდი, თუ რა დაგმართვია. არ დამეხსნები?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) შეუტყვია, თქვენმა მზემ და დავიღუპე კიდეც. (ლუარსაბს) შენმა გარდამ, ქალს ვერ დამიწუნებ, ვერა.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ვერ დაგიწუნებ, კი არა, მეტსაც ვიზამ. გაგონილა, თქვენი ჭირიმე?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) სწორედ, შეუტყვია. (ლუარსაბს) ვერა-მეთქი, შენმა გარდამ.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ფიე!. ახლა ძალად მომაწონებ, რაღა!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ურიგო არ არის, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს. როგორი ყარამანიც შენა ხარ, ისეთი სალბიხურამან ის არის.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ვინ ისა, დედაკაცო?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. სწორედ ტარიელ და ნესტან-დარეჯანი იქნებით. ორივე რომ ერთად შეგყაროთ. არც გვარი და ჩამომავლობა აქვს დასაწუნი: იმათი გვარი მუხრან-ბატონთან ერთს ფურცელზედ არის თურმე ჩაწერილი.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ვისი? რას ამბობ?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ვისზედაც გელაპარაკები. კაი ქალი, კაი ოჯახი, სახელგათქმული ნათესაობა – ერთი ბიძა მაიორი ჰყავს, მეორე – დიამბეგია ყაზახ-ბორჩალოში, ფულიცა აქვს მზითვად, ორასი თუმანი ბაჯაღლო ოქრო პარკში აქვს გამოკრული იმის მამას. მეტი რა გინდა?

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ის მინდა, რომ ერთი შემატყობინო, ვისზედ ლაპარაკობ, სწორედ გამაგებინე, თორემ ჯავრით ლამის გული ბუდიდამ ამომიხტეს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მერე დედიშენის სურვილიც ეგ არის. ის ანგელოზი ამას წინადაც მომევლინა და მიბძანა: შენის ბიძაშვილის ქორწილში წადიო, ლუარსაბიც იქ იქნებაო, და ჩემ მაგიერ უთხარი, უთუოდ ის ქალი შეირთოსო, ბედი კარზედ მიჰსდგომიაო. ელისაბედს ნუ გაახარებს და ბედს ხელიდამ ნუ გაუშვებსო. მეც აბა რას ვიქმოდი, ავდექი და წამოვედი, თორემ ქორწილებში სიარული რა ჩემი საქმეა – ერთი ქვეყანას განშორებული დედაკაცი ვარ, სულის საქმეზედ შემდგარი. მოვედი და, თვალი მოგკარი თუ არა, მაშინვე მივხვდი, რასაც აუნთია ცეცხლი იმ უბედურ ქალის გულში. უბედურს-მეთქი, იმიტომ რომ იქნება შენ იმაზედ არც კი ჰფიქრობ და ის კი სანთელსავით იქა დნება.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ვინ ქალია?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. აბა გამოიცან.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ფული რაერთი აქვს, ფული?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ორასი თუმანი, სულ ბაჯაღლო ოქრო.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მამაცა ჰყავს?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. დიდი გათქმული და სახელოვანი.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. არც ქვრივია?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ქვრივი რად იქნება? გასათხოვარია.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ეგრე იტყოდი, შე დალოცვილო, წეღანვე და გაათავებდი. მე კი საიდამ სად წავედი. კინაღამ არ გავბრიყვდი და ე დარბაისელი დედაკაცი არ გამოგლანძღე.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. გეგონა ქვრივსა გრთავდი და იმიტომ განა?

ლ უ ა რ ს ა ბ ი. რაც მეგონა, ის მე ვიცი. ახლა სახელს აღარ მეტყვი?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. დიამც იყოს... გძელაძიანთ ქალი.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მოსესი?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ქა, შენ ვინ გითხრა?

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ვიცი, რომ ის არის.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. საიდამ, ქა?

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ორას თუმანს მზითებს იმისას ამბობენ. კაი ფულია, მე და ჩემმა ღმერთმა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. არც ქალია ურიგო, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს. ხომ არ გინახავთ?

ლ უ ა რ ს ა ბ ი. არა, მაგრამ ერთხელ სადღაც ყური მოვკარ და მას აქეთია იმ ქალზედ შამივარდა გული, და რაკი დედაჩემსაც უბძანებია...

ხ ო რ ე შ ა ნ ი. დედიშენის ბძანებაა საქმე, ჩემო კარგო, თორემ სხვა ქალი განა არ იშოვება! უთხარი ლუარსაბსაო, ეგ ქალი შეირთოსო, თუ უნდა, რომ დედა აქ, საიქიოს, მაინც გაახაროსო. ამაზეა, შვილო, ნათქვამი, ცოლ-ქმრობის საქმე ცაში რიგდებაო. უჰ, რარიგად გაუხარდება ქალსა! მაშ ნებას დამრთამ შენ მაგიერ ვილაპარაკო? უჰ, რარიგად გაუხარდება ქალს-მეთქი, რარიგად!

ლ უ ა რ ს ა ბ ი. თორემ მამა კი, მე ვიცი, ცხვირ-ზევით აიცილებს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. აიცილებს კი არა, იქნება მეტიცა ქნას. შენ მაშ გძელაძიანთ მოსეს არ იცნობ? ხელმწიფის შვილმა რომ სთხოვოს, იქნება მაშინაც დაფიქრდეს, ასეთი კაცია.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მაშ იმისაგან არა ხარ მოგზავნილი?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. რას ბძანებ... იმისგან რომ ვიყო, საქმე ხომ გათავებული იქნებოდა. ის არის, რომ თითონ მამა დიდს უარზედ დგას.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მითამ რაში მიწუნებს? გვარი იმაზედ ნაკლები მაქვს, თუ ოჯახი?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ახლა ხომ მოგეხსენებათ, პატარა თავმომწონე კაცია. დიდი ცდა უნდა.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ცდა კიდევ შენს ხელშია.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ცდა ხომ ცდა იქნება, მაგრამ სხვაც არის საჭირო. ხომ გაგიგონია, მშრალი ლუკმა კაცს ყელზედ დაადგებაო. ქრთამი უნდა, ქრთამი, ჩემო კარგო.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ჩემს კისერზედ იყოს. მე ვიცი და ჩემმა კაცობამ.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. იქნება ჩემს გასამჯელოზედ ამბობდე. უი, შენ გეთაყვანე, შენა! მაგას ვინ მოგახსენებს? გულუხვობაში თქვენი გვარი დიდი ხანია გათქმულია. თუნდ ეგეც არ იყოს, დედისშენის შვილს მე უნდა გამოვართვა რამე? მაშინ შემერგება ლუკმა? არა, გეთაყვა, მე მაგას არა ვიქ... ეგ შენ იცი და შენმა გულუხვობამა... მაგრამ მაგარი ეს არის, რომ ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო. ერთი ოციოდ თუმანი მოგინდება, რომ იმისი მახლობელნი შემოვისყიდოთ. ერთი კაცია იქ, იმისი სიტყვა გძელაძიანთ მოსესათვის ბეჭედია, ფირმანია სწორედ. იმას უნდა ხახა დავულბოთ.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ეხლა სად ვიშოვო ოცი თუმანი?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მაგაზედ ნუ შესწუხდები. შენ თამასუქი მომეც და ფულს მე გიშოვი. (პუბლიკისაკენ) მეტი რა გზაა.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ბატონი ხართ, თუნდა ეხლავ.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ეს კი უნდა იცოდე, ჩემო კარგო, დიდს სარგებელს გამოგართმევენ.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. რა ვუყოთ? როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო. რაც უნდა გამომართონ. მე საღერღელი ამეშალა კიდეც და!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) ჰო, ვაცხონე მამაშენი! მეც ეგ მინდოდა. (ლუარსაბს) მაშ ყური დამიგდე. შენ ჯერ უარზედ დადეგ. ვინც რა უნდა გითხრას, ფეხი მაგრა დააჭირე. იქნება იმ ქოფაკს გძელაძეს, როცა დავიყოლიებ, ჭახრაკი ახლა შენიდამ მოვუჭიროთ და მზითები მეტი დავსტყუოთ. შენთვის ვამბობ, თორემ მე რა მერგება. ხომ გესმის?

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ძალიან კარგად. რა სულელი მე მნახე, რომ არ მესმოდეს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) არც კი სოლომონ ბრძენი ბრძანდები, თუ მკითხავ. (ლუარსაბს) მაშ ეხლა მე ვიცი. დღესვე თამასუქს დავაწერინებ, შენ ხელი მოაწერე და მერე მე ვიცი.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. თამასუქი წინ მოგცე?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მა, ქა! წეღან შენვე არა სთქვი, თუნდ ეხლავეო.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ვსთქვი რა, განა ჩემი სიტყვა ბეჭედია. სიხარულმა ამიტაცა და მათქმევინა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მაშ ფულს ისე ვინ განდობს? მე თითონ რომ მქონდეს, ხომ იცი, არ დაგიჭერდი. სომეხს უნდა გამოვართვა. აბა, სომეხი ისე გვანდობს?

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მეტი რა ჩარაა. კარგი, ეგრე იყოს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მერე, როცა გავარიგებ, მეც ერთი ქვრივ-ოხერი დედაკაცი ვარ, ერთი-ორჯერ პურს მაინც მაჭმევ... შენი გვარი გულუხვობაში და პურმარილში გათქმულია.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ეგ ხომ ეგრე იქნება-და! ერთი ეს მითხარ, ქალი მართლა კარგია?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. წიგნში და ხელთსაქმეში ისე გაწურთნულია, ისე გაწურთნულია, რომ რა გინდა სულო და გულო, იმან არ იცოდეს.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. წიგნი რა ჯანაბათ მინდა, დიამბეგათ დავსომ თუ? შენ ერთი ეს მითხარი, ელფერზედ როგორია.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მაგას ნუღარა მკითხამ, კალმით ნახატია, კალმით. (პუბლიკისაკენ) აგრემც ღმერთი უშველის გძელაძიანთ მოსეს.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მაშ ჯერ უარზედ დავდგე, რაღა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. გეუბნები, ჰო-მეთქი. ამას შენთვის ვამბობ, თორემ შენ თითონ იცი, მე აქ გამორჩომა არა მაქვს. ჩემის სულის საცხონებლად მინდა მოვახდინო ეს საქმე, თორემ მოსე გძელაძე მე არას მამცემს. ახ, ნეტავი კი ეს საქმე მოვახდინო და! სწორედ გვრიტები იქნებით, გვრიტები!.. ბევრი არ შემოგნატრებენ!

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მაშ ერთი აუჩქარე, შენი ჭირიმე, თუ ეგრეა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მე ვიცი და ჩემმა დედაკაცობამ. ოცი თუმანი კი, თავისის კუთვნილის სარგებლით, ჯვარს დაიწერ თუ არა, მაშინვე უნდა ჩამაბარო. მოვალეს მივცეთ, თორემ ესტიბარს გამიტეხ.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მაგისი ფიქრი ნუ გაქვს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ეხლა წადი, ამხანაგებში გაერიე, აქ არავინ დაგვინახოს, თორემ ხომ იცი, კუდს რასმეს გამოაბამენ.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მშვიდობით. აბა შენ იცი. (გადის. ხორეშანი მეორე მხარეზედ აპირებს გასვლას და წინ შეეფეთება მოსე გძელაძე).

გ ა მ ო ს ვ ლ ა 7

ხ ო რ ე შ ა ნ ი და მ ო ს ე გ ძ ე ლ ა ძ ე

ხ ო რ ე შ ა ნ ი. უი, ქა, გული კინაღამ გამიხეთქე კი და!

მ ო ს ე. აბა, ჩემო ღვიძლ დაზედ უფრო უკეთესო დაო, ქალია თუ ვაჟი?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ვაი რომ ქალია.

მ ო ს ე. რაო? არ ირთამს?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. არა.

მ ო ს ე. რას ამბობს?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ქალი არ მოსწონს. ნუ გეწყინება კი და უმარილო არისო.

მ ო ს ე. ვაი შენს მოსეს! განა უნახავს სადმე?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. არსად, მაგრამ ვიღასაც სულის მტერს უთქვამს.

მ ო ს ე. მაშ თუ არ უნახავს, ბურთი კიდევ ხელთა გვქონია.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. როგორ?

მ ო ს ე. თუ შენ შემეწევი, ჩემო საყვარელო დაო, და ჩემს პურ-მარილს არ დაივიწყებ, საქმე კიდევ საქმეზედ მოვა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. აბა, გეთაყვა, მე რაღა ხვეწნა მეჭირება. შენთვის ხომ თავსაც არ დავიზოგავ. (პუბლიკისაკენ) აგრემც ღმერთი გიშველიდეს.

მ ო ს ე. მაშ თუ ეგრეა, ყური მომიგდე: ჩვენი გოგო ვარდისახარ როგორ მოგწონს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) ჰმ, მესმის. ეხლა კი გავაბი ოც თუმანში, თქვენმა მზემ. (მოსეს) ერთი ტურფა რამ არის, მარილიანი.

მ ო ს ე. უფრო კარგი არ იქნება ჩემის ქალის ტანისამოსით რომ მოვრთოთ?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ერთი-ორად დაშვენდება.

მ ო ს ე. ახლა შენ რას იტყვი, რომ ნიშანის მომტანს ის გოგო ვაჩვენოთ ჩემის ქალის მაგიერ?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. უი ჩემს თვალებს! ეგ რა პასუხია, ქა! ნიშანის მერმედ საქმრო რომ მოვა ქალის სანახავად, მაშინ რაღას იზამ?

მ ო ს ე. იქამდინ ვიღა დააცლის. დღეს რომ ნიშანი მოიტანონ, მესამე დღესვე ჯვარის წერა დავუნიშნოთ. სადღა მოიცლის, რომ ქალის სანახავადაც მოვიდეს. იმათაც მომზადება უნდათ.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ჯვარის საწერად ხომ მოვა, მაშინ რაღასა იქ? გვირგვინქვეშაც გოგოს ხომ ვერ დაუყენებ?

მ ო ს ე. მერე მე ვიცი, შენ ოღონდ მანამდე მოიყვანე საქმე, მერე ჩემი კისერი იყოს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. არა, გეთაყვა, მე მაგ საქმეში ხელი დამიბანია. მე მაგას ვერ ვიქ. ეხლავ გეუბნები.

მ ო ს ე. რატომ?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. იცის, რომ ქალი არ გივარგა და აბა როგორ მოვატყუოთ?

მ ო ს ე. ახლა სასაცილოდ მიგდებ, რაღა! შენი ხელობა ეგ არის, ჩემო ხორეშან, და მე მეკითხები? განა თითონ არ იცი, ჩემგან ჭკვა არ გესწავლება, მაგრამ დამცინი, რაღა! ეჰ, შენც ერთი! ადამიანო, ნიშანის მომტანი რომ მოვა და იმ გოგოსა ნახავს, არ მივა და არ ეტყვის: რას გაგიჟებულხარო, ქალია, რომ თვალები ზედ დაგრჩებაო. თუნდ ეგ არ იყოს, ერთი ხუთიოდ თუმანი და იმისი ჯანი, ასეთს ავალაპარაკებ, რომ...

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ძმა რომ გამოჰგზავნოს?

მ ო ს ე. უფრო კარგი. ხომ იცი, ჩვენ ქართველობაში ძმა უფრო გაიმეტებს ძმას, ვიდრე უცხო ვინმე. იმას უფრო მალე დავალბობ ქრთამით. თუნდ ეგ არ იყოს, რასაც თავის თვალით ნახავს, ის არ უნდა უთხრას? თორემ ფულიც ხომ არა მშურს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. არა, გეთაყვანე, მე მაგ ცოდვაში ვერ ჩავდგები, ერთი სულის საქმეზედ შემდგარი დედაკაცი ვარ.

მ ო ს ე. (პუბლიკისაკენ) აი, ღმერთი შენ გიშველის.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. აი შენი ბეთმოცემული ხუთი თუმანი. (ფულს აწვდის) მე კი ხელი დამიბანია. (პუბლიკისაკენ) მართლა კი არ გამომართოს და!

მ ო ს ე. (არ ართმევს) მაშ მღალატობ? მაშ ჩემი ოჯახის დაღუპვა გინდა! მაშ ჩემი საწყალი ქალი არ გებრალება! შენს სულს რაღას ეუბნები? ეჰ, მუხთალო წუთისოფელო! სულ ტყუილი ყოფილა პურ-მარილიც, პატივისცემაც, სიყვარულიც და მეგობრობაცა! სულ ფუჭ, ფუჭ! ეჰ, შენი ნებაა. ეს კი იცოდე, გულში შხამწასმული ისარი გამიყარე, სპილენძის ტყვია მომარტყი, სპილენძისა, უსისხლოთ სული ამომხადე, ურჯულო ლეკსავით დამკალი.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. შენ ნუ მომიკვდები, მოსე, და იმ შენის სახის ჩემს უბედურს ქმარს პირშავად არ შევეყრები საიქიოს, რომ შენის ოჯახისათვის, შენის სამსახურისათვის თავს არ დავიზოგავდი, მაგრამ სამსახურიც არის და სამსახურიც.

მ ო ს ე. (პუბლიკისაკენ) ფულზედ მიდგა საქმე. (ხორეშანს) რა ვუყოთ, რომ არის? განა ჩვენ კი არ ვიცით სამსახურის გადახდა, რა უმადური კაცი მე მნახე! ათი თუმანი არ დაგპირდი, ხუთმეტი იყოს, შე დალოცვილო.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. აბა, გეთაყვა, ფული რა სახსენებელია. თმით მათრევენ სიბერის დროს, თმით. სულს წავიწყმენდ, რომ სხვა არა იყოს რა.

მ ო ს ე. ოცი იყოს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) მეტს ავა. (მოსეს) ეჰ, შენც ერთი!.. გეუბნები, აქ ფული სათქმელი არ არის-მეთქი. საქმე დიდი გასაბედვია.

მ ო ს ე. ოცდახუთი იყოს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. დიდი თავის გამომეტება კი უნდა.

მ ო ს ე. ხომ მოხერხდება?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ეჰ, შენც ერთი: ცის ქვეშეთ რა არ მოხერხდება, შენა თქვი, კაცმა თავი გაიმეტოს...

მ ო ს ე. ოცდა ათი იყოს. მეტი კი აღარ შემიძლიან, თუნდა აქავ აქ მოსაჭრელი თავი (ყელზედ აჩვენებს) აქ მომჭერი (გულზედ აჩვენებს).

ხ ო რ ე შ ა ნ ი. რატომ, რატომ, ყველაფერი შეიძლება მაგრამ ნიშნობაში კი მეც უნდა ვიყო, რომ თუ მოხერხდეს, "ჩისტად" მოხერხდეს. ეს არის ჭირი, ამ კაბით ხომ არ მოვალ.

მ ო ს ე. ბაშუსტა! კაბაც შენი ჭირის სანაცვლო იყოს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მაშ ყური მათხოვე. თუ დავიყოლიე, მე იმას ნიშანის მოსატანად ძმას გამოვაგზავნინებ. შენ მართალი სთქვი წეღან, ჩვენში თუ ძმამ ძმას თვალი არ გამოსთხარა, სხვა ვინ გამოსთხრის. ძმას გამოვაგზავნინებ. შენ გოგო ლამაზად მოჰრთე, ეცადე კი არავინ გაგვიგოს. მესამე დღეს ქორწილი უთუოდ უნდა მოახდინო. მაიგონე რამ მიზეზი, ჭკვიანი კაცი ხარ. მერე ხომ შენ იცი. ჩემი საქმე მაშინ გათავებული იქნება. ფული კი სულ ეხლა მიბოძე.

მ ო ს ე. აბა, ეხლა ხელად მაგოდენა ფული საიდამ მექნება, სხვის სახლში ვარ სტუმრად. ნიშნობა გათავდება თუ არა, ფულს დიდის მადლობით უნაკლულოდ ჩაგაბარებ. ეხლა კი ეგ ხუთი თუმანი ისევ ბეთა გქონდეს. თუ არა და ეგეც მე მიბოძე და სულ ერთად მოგართმევ. აბა მე უფრო კარგად შეგინახავ.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) მამა გიცხონდება. (მოსეს) ოცი მაინც იყოს ეხლა. რა ვიცი, იქნება როგორ დამჭირდეს.

მ ო ს ე. არა მაქვს-მეთქი თან, ხორეშანის სიცოცხლემ. აჰა, ოცდახუთი მანეთი კიდევ მიგდია ჯიბეში, თუ გნებავს, ამასაც მოგართმევ. (იღებს ჯიბიდან).

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ეჰ, რაც არის, არის, ფულის გულისათვის როგორ შეგაწუხო, ათი მაინც შეასრულე. შენს საქმეს მოვახმარებ, თუ გამიჭირდა, თორემ მე ამის სიხარბე არ მაქვს.

მ ო ს ე. აჰა, ჯანი გავარდეს ამ ხუთ თუმანსაც. (აძლევს) ალალია, ღვთის წინაშე, შენისთანა კაი დედაკაცისათვის.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. საკაბე კი მალე მიბოძე, რომ შაკერვა მოვასწრო.

მ ო ს ე. მაგ ათს თუმნიდამ შეიკერე და მერე გავსწორდებით. აბა, ხორეშან, – ცხენები შეკმაზული მიდგა, შინ მივდივარ, – შენ იცი და შენმა დედაკაცობამ (გადის).

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ფიქრი ნუ გაქვს. დანარჩენი ნიშნობის ღამეს, აი, ოცი თუმანი, საკაბეშიაც უნდა გავსწორდეთ, იცოდე.

მ ო ს ე. (მობრუნდება და კარებიდამ) მაშა! ჩემი სიტყვა სიტყვაა. მშვიდობით.

გ ა მ ო ს ვ ლ ა 8

ხ ო რ ე შ ა ნ ი დ ა ე ლ ი ს ა ბ ე დ ი (მეორე მხრიდამ შემოდის და აქეთ-იქით იყურება, ხომ არავინ არისო)

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ქა, ამას რაღა მოარბეინებს ჩემთან, იქნება შეიტყო?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ხორეშანს ვახლავარ, ჩემს დაუვიწყარს ხორეშანს. ეგრე უნდა, ხორეშან, ამოდენა ხნის ნაცნობები ვართ და ერთხელ არ შემოგიხედნია ჩვენკენ. ხორეშანი მომიკვდეს, ხორეშანი, თუ დღე და ღამ ამ ფიქრში არ ვიყო: ნეტა ეს ხორეშანი ჩვენსა რატომ არ დადის-მეთქი.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) უი, შენ მოუკვდი ხორეშანს, რაც მაგას მართალს ამბობდე!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. აი, დღესაც აქ მითხრეს, შენი ხორეშანი აქ არისო, ქორწილში. ისე ქორწილი არ მიამა, როგორც ეს ამბავი. ამოდენა ხალხში გეძებე, გეძებე და ვერა გნახე. ბოლოს მითხრეს, აი იქო ფანჩატურებში დასეირნობსო. წამოვედი და ძლივს გიპოვე. ეგრე უნდა, ხორეშან, ეგრე?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. რა ვქნა, შენ გენაცვალე. ერთი ქვრივ-ოხერი დედაკაცი ვარ, ვგდივარ ჩვენს სოფელში, ჩემს ქოხში, ურემი მე არ მაბადია და მხლებელი, რომ წავიდე სადმე და ჩემის კეთილისმყოფელის ნახვის სურვილი მოვიკლა. თქვენი სოფელიც ჩვენზედ არც ისე ახლოა, რომ ფეხით მაინც გადმოვიდე, და ვარ ასე, ქვეყანას მოშორებული. ეხლაც თუ აქა მხედავთ, ისიც იმიტომ, რომ მასპინძელი ჩემი ბიძაშვილია, ურემი გამოეგზავნა და შემოეთვალა, შვილს ვაქორწინებო და უშენობა არ იქნებაო, გადმოდიო. აბა, შენ გეთაყვანე, ლხინია თუ ტირილია, ნათესავი ნათესავს ვერ გამოაკლდება. სხვებრ როგორ გიკითხოთ, კნეინა ელისაბედ.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ვართ, რაღა, ამ წუთისოფლის მაყურებელნი.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. კნიაზი, თქვენი შვილები – ხომ კარგად სუფევენ?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მადლობელი ვარ. ახლა, ჩემო ძვირფასო ხორეშან, შენთან ერთი სათხოვარი საქმე მაქვს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. უი, შენ გეთაყვანე, შენა! შენ, დიდებულის ქრმის პატრონს, ისე რა გაგჭირვებია, რომ ჩემებრ ბედშავთან სათხოვარი გქონდეს. ხუმრობ, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, ხუმრობ, აბა იმ ხელმწიფე ქრმის პატრონი...

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ხორეშანის სიცოცხლემ, მართალს გეუბნები; ძალიან დიდი სათხოვარი საქმე მაქვს, ძალიან დიდი, პირობა კი უნდა მომცე – ამისრულო.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ქა! შენ მიბძანო და არ აგისრულო! ეგ რა ბძანე?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ვიცოდი, ჩემო ხორეშან, რომ მაგას იტყოდი. თუმცა კი თვალი ერთმანეთზედ შორს გვქონდა, გული კი ახლო გვქონია.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) აგრემც ღმერთი გიშველის. (ელისაბედს) ბძანე, შენ გეთაყვანე, ბძანე. მე ღირსიც არა ვარ თქვენის ბძანებისა.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ხომ იცი, ჩემო ხორეშან, მე ერთი მაზლი მყავს, ოცის წლის ყმაწვილია, უცოლო. ლუარსაბს უნდა იცნობდეთ?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. არა, გამიგონია კი. მერე, შენ გეთაყვანოს ჩემი თავი?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ახლა, როგორც სახლში უფროსი, მე იმის მოვალეობაში ვდგევარ. მე უნდა ვუპატრონო, დავაბინავო, ცოლი შევრთა. აბა, ხომ იცი, ჩემის მეტი პატრონი არავინა ჰყავს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ცოლის შერთვას უპირებთ?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. დიახ, ჩემო ხორეშან. რა ვქნა? ჩემი მოვალეობაა, დედაც იმისი ეხლა მე ვარ და მამაცა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. თითონ ყმაწვილი კი მოწადინებულია?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. არა, მაგრამ მინამ მე ცოცხალი ვარ – რა ვიცი, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ – მინდა, რომ ის დაბინავებული ვნახეო. მადლის საქმეა, სხვა არა იყოს რა. აბა, ყმაწვილია, არსად არ გააბან-მეთქი.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. კარგად გიფიქრიათ, თქვენმა მზემ. აბა, ვისაც გულშემატკივარი რძალი ჰყვანდეს, – თქვენისთანა. (პუბლიკისაკენ) კარგი ამბავი არ იქნება, ამანაც ქრთამი მომცეს, ცოლი შეჰრთეო.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მაშ, შენ გეთაყვანე, ნათესაობა და თავისიანობა მისთვის არის გაჩენილი, თუ დიდი პატარას უპატრონებს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ოღონდაც, ოღონდაც!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ახლა შენ იმასა გთხოვ, რომ კაი ოჯახის ქალი ამოურჩიო.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) აკი მოგახსენეთ, ეს-ღა აკლია, გძელაძიანთ ქალი შემეხვეწოს.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. არავინ გეგულება იმისთანა?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. აბა ვინ უნდა მეგულებოდეს?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. გძელაძიანთ მოსეს ქალს რა უჭირს?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) ქა! ეს რა კაი ფეხზედ ამდგარვარ მე დღეს?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ერთი ეს კია, რომ საცა მაგათ გვარის ქალი შესულა, უშვილობით ამომწყდარან. აი, ჯიმშერიანთ ვასო, პაჭიჭიანთ პეტრე, წირვაძიანთ ივანე, მუხუდაძე სოლომონ. სულ გძელაძიანთ ქალები არა ჰყავთ? ზოგს ისე მოუკვდა

ცოლი, რომ შვილი არა ჰყოლია, ზოგი თითონ მოკვდა ისე, რომ შვილი არ დარჩენია. შენ ხომ არა შეგიტყვია რა?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მართალია, გძელაძიანთ გვარის ქალს მოსდგამს უშვილობა. (პუბლიკისაკენ) მიგიხვდი, ქალბატონო.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ეგ მაშინებს და მაღონებს, თორემ რა უჭირს მოსეს ქალს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) მე ვიცი, შენ რაც გაშინებს. (ელისაბედს) მართალია, ჯიში მაგისთანა აქვთ, მაგრამ ყველაფერი ბედია.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მეც მაგის იმედითა ვარ. ჰა, ხორეშან, შენ რას იტყვი?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. რისას?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. გძელაძიანთ მოსეს ქალისას, ძალიან აქებენ.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. არა, მოდგმით კი მოსდგამთ, მაგრამ...

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მაგრამ რა?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მოსე გძელაძე თქვენის მაზლისათვის არ გაიმეტებს თავის ქალს. თუ პოლკოვნიკი არ არის, ქალს არ მივცემო.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. თუ შენ მოინდომებ...

ხ ო რ ე შ ა ნ ი. არა, შენ გეთაყვანე, მიბძანე, წყალში გადავარდიო, გადავვარდები, და მოსე გძელაძესთან კი არ მიგეგზავნები. აბა, წინათვე ვიცი, თავი თავს არ მოვა და რაზედ შევრცხვე ეს დროული დედაკაცი. მეტად მაღლა იწევს თავს.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ხორეშან, ჩემო ძვირფასო დაო! უარს ნუ მეუბნები. აბა, შენთვისაც მადლია და ჩემთვისაც, იმ ობოლს ლუარსაბს ბინა გავუჩინოთ, თორემ დაიღუპება, ყმაწვილია, ვინ იცის რარიგად წაიხდინოს თავი. არა, შენ გეთაყვა, შენც შეგიტყვია, რომ გძელაძიანთ გვარის ქალს უშვილობის მოდგმა აქვთ?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. როგორ არა. ეგ მთელმა ქვეყანამ იცის, განა მარტო მე და თქვენ.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ახლა იქნება მოსეს ქალს არ გამოჰყოლია. წეღან შენვე არ სთქვი, ყველაფერი ბედის საქმეაო? მართალია, ჩემო კარგო, ქალი ძალიან საოჯახო ქალიაო, კაი მზითები აქვსო, და მეტი რა უნდა? დანარჩენი ღვთის ნებაა. ნუ მეტყვი, გეთაყვა, უარს, თუ ღმერთი გწამს, ხელი მოჰკიდე.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. არა, შენი ჭირიმე, წეღანაც მოგახსენე, შენის გულისათვის თუნდა წყალში გადავვარდები და მაგას კი ნუ შემომიკვეთ. მოსე გძელაძე მოკვდება და მაგას არა იქს. ვიცი იმისი ამბავი.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მადლის საქმეა-მეთქი. ობოლი ყმაწვილია, თორემ შენს გასამჯელოსაც წინ არ ვუდგევარ. როგორც გინდა, მიმსახურე.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მიმსახურე, რა ბძანებაა! თქვენ ბატონი და მე თქვენი ყურმოჭრილი ყმა. უი ჩემს თვალებს! მიმსახურეო. მე უნდა გემსახუროთ, მე!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მაშ თუ ეგრეა, ხელი ხელს, ჩემო ხორეშან, და მადლი ღმერთს. (ხელს გაუწვდის).

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) ამისი ცარიელი ხელი რა მეპიტნავება, თქვენი ჭირიმე.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. რაღას ჩაფიქრდი, ჩემო ხორეშან?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. არა, გეთაყვა, ტყუილად თავს ვერ შევირცხვენ, მძიმე ტვირთია.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ახლა, ვიცი, წასვლა-მოსვლა მოგინდება, მაგას ხარჯი უნდა, აი სახარჯოც, ჩემო ხორეშან. (აწვდის ფულს) ცოტაზედ ამხანად ნუ დამემდურები, მერე სხვა იქნება.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (გამოართმევს. სინჯავს ბევრია თუ ცოტაა ო) არა, გათაყვანე, ფული რა სათქმელია, არ იქმონენ, არა. ჯერ ხომ მოსე გძელაძე და მერე...

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მერე ვინღა?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. თქვენი მაზლი ლუარსაბი. აბა შეტყობილი ექნება, რა მოდგმაცა აქვთ გძელაძიანთ ქალებს.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. შენ გძელაძე თქვი, თორემ ჩემი მაზლისა ფიქრი ნუ გაქვს. ქა, ხომ არ შემეშალა? რამდვენი მოგეცი?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მაგდონი არაფერი, სულ კენტი ოცდახუთი მანეთია.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. უი, ქა! აკი შემშლია. შენთვის ოთხი თუმანი მქონდა გადადებული. აი ხუთმეტი მანეთიც. კინაღამ უკანვე არ გავიყოლე. (აწვდის ფულს) თუ ფული კიდევ დაგჭირდეს, თუ გიყვარდე, ნუ დამზოგავ. ოღონდ შემატყობინე და მეორე დღესვე ბიჭის ხელით გაახლებ.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (ართმევს და ჯიბეში იდებს) ეგ არის, რომ თქვენს ხათრს რა ვუყო, თორემ ჩემგან გასაბედი კი არ იყო. თქვენ რომ არა ბძანებულიყავით, მაგ საქმეს დღის სავალზედაც არ მივეკარებოდი.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მაშ იმედი მქონდეს?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ის იმედი, რომ მე ჩემის მხრით შევეცდები. ეს კია, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ფული რამ დამჭირდება, შეგატყობინებ და არ დამიგვიანო.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. გეუბნები, თუ გიყვარდე, ნუ დამზოგავ-მეთქი. მაშ ეგრე, რაღა?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. დიახ, ეგრე.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. აი, დაიმედებული მივდივარ, ჩემო ხორეშან! არა, მართალი კია, რომ უშვილობის მოდგმა აქვთ?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ეგ მაწუხებს და ეგ მაღონებს, რომ მართლა ეგრეა, თორემ კაი მოგეცეს, კაი ქალი ის იყოს. მაგრამ ყველაფერი ღვთის ნებაა. ნუ გეშინიან.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ღმერთო, ხომ შენ იცი, მე იმისათვის კარგი მინდა, და თუ უშვილო იქნება, მადლობა ღმერთს. მშვიდობით, ჩემო ხორეშან, შენ იცი და შენმა დედაკაცობამ. (გადის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა 9

ხ ო რ ე შ ა ნ ი (მარტო)

ხ ო რ ე შ ა ნ ი. აი, მეხი კი დაგაყარე, კაი სული შენა ხარ! უშვილობის იმედითა ჰრთამ რაღა ცოლს, რომ სხვა ვერა გაგიწყვია რა. არა, ძალიან არ მეხვეწებოდა, თუ გიყვარდე, ნუ დამზოგავო. თუ დაგზოგო, შენი ტურტლიანი ფეხი დამკარ!.. ქა, ყველა-ყველა და დღეს რა ბედი დამეცა, თქვენი ჭირიმე! სამივ კი ერთად გაებენ ერთს მახეში და! იმ ბრიყვმა რაღა წამოროშა, სუტ-კნეინაო! სუტ-კნეინა რად ვიქნები?

(ფარდა დაეშვება).

მოქმედება მეორე

მოსე გძელაძის სახლი, სოფლურად მოწყობილი.

გ ა მ ო ს ვ ლ ა 1

მ ო ს ე გ ძ ე ლ ა ძ ე (მარტო)

მ ო ს ე. ამ ნიშნობამ კი მშვიდობით ჩაგვიარა, ქორწილს კი როგორ გადავურჩებით, არ ვიცი. მართლა-და, ეს დაწყევლილი გოგო რა ლამაზი იყო ჩემის ქალის ტანისამოსში. ლუარსაბის ძმა დავითი სულ გადაირია, ნიშანი რომ მოუტანა. თან მოყოლილებმაც ვერა შეგვამცნიეს რა. ხვალზევით უთუოდ ჯვარისწერა უნდა იყოს-მეთქი. არც ისინი არიან უარზედ. აი ხვალზევითაც დღეს არის. აბა, მოსევ, შენი გაჭირვების დროც ეს არის. დღეს მოვა ლუარსაბი ჯვარისსაწერად. დღესვე უნდა გადავწერო ჯვარი, თორემ, თუ დრო დაჰსცალდათ, შენი მტერი! რასაკვირველია, მაყრიონი თან ბლომად მოჰყვება. ვინ იცის, რა ჩხუბი და დავიდარაბა ატყდეს. მეც კი ბლომა ხალხი შევყარე. აბა ერთი უკან დაიხიონ! ერთს სისხლის ღვრას მოახდენენ. დარიგებულნი მყვანან. ორასი თუმანი პირობა მქონდა-მეთქი, ასე ვუთხარ ჩემიანებს, და ეხლა სამასს ითხოვენ-მეთქი და რაღაც მიზეზებს მიდებენ-მეთქი, რა არის, მეტი დამტყუონ. მაგას ნუ მიზამთ-მეთქი, რომ თათქარიძეებმა დაგვიბრიყვონ. დამიჯერეს. ნეტავი არ გვინდაო, ეგ გაბედონო და ჩვენ ვიცითო. თუ ის აქედამ ჯვარდაუწერელი წაგვივიდესო. მაშინ დიდი დაიკვეხოსო. მეც ჩემი თადარიგი დამიჭერია. სუტ-კნეინა აქ მიზის და იმისთვის მითქვამს: ჰა, არამც და არამც ქალი არ დამიგვიანო-მეთქი, რა წამსაც სასიძო მოვა, მინამ ის ტანისამოსს გამოიცვლის, ქალი მორთული საყდარში წაყვანილი იყოს-მეთქი. იქ რაც მოხდება, მოხდეს, ჯვარდაუწერელს კი არ გავუშვებ-და! (ჩაფიქრდება) ეჰ, ეს ჯვარისწერაც, ჩხუბით იქნება თუ დავიდარაბით, ასე თუ ისე, ჩაივლის. საქმე ეს სუტ-კნეინაა. შემომდგომია, პირობა ასე გვქონდაო, რომ ნიშნობის მერმედ, ჯვარისწერამდე, დანარჩენი ფულიც უნდა მომცეო. ოცი თუმანი უნდა მივცე მითამ, იმის ჭკუით. რაღა მიქნია. ახლა რა არის, – მაშინებს, მეტი რა გზა აქვსო, ეხლავ ფული არ მომცესო. მითამ-და, თუ ეხლავ არ მივეცი, ჯვარისწერას დაგიშლიო. აი, მაშ ეს მოსე გძელაძე (ულვაშებზედ გადაისვამს) არ ვიქნები, ეს მოსე-მეთქი, თუ პირში ჩალა არ გამოგავლო და რაც დამცინცლე, მარტო იმაზედ არ დაგსო. აი, მაჭანკალო, შენ უნდა მოატყუო მოსე გძელაძე, რაღა! მაშ რაღა კაცი ვიქნები, რომ შენისთანაებს ყურზედ ხელი არ მოვკიდო, წყალზედ არ ჩავიყვანო და წყალდაულეველი უკანვე არ წამოვიყვანო. ესეც კია, უარი როგორ ვუთხრა? ეხლავ ყელში დანას დამაჭერს, მინამ ჯვარისწერა კიდევ წინ გვიდევს. ახლა ისიც ხომ სულელი არ არის, ჯვარისწერა დამაცალოს. საცაა ის წყეული შემოვა და თხოვნას დამიწყებს. აი ძაღლიც ხსენებაზედ.

გ ა მ ო ს ვ ლ ა 2

ი გ ი ვ ე დ ა ხ ო რ ე შ ა ნ ი (გვერდით მოუჯდება)

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ქალი მზათ არის. მინამ ისინი ტანთ დაიცვლიან, ქალი საყდარში იქნება. ჰა, რა კარგად მოდის საქმე, მოსეჯან! მომილოცავს შვილის ბედნიერება. დიდი ჭაპანწყვეტა კი გამოვიარე, შენზედ მიწა არ მენახოს. აი ეხლაც სულ ცივს ოფლში ვიწურები, ხუმრობა საქმეა? ნიშნობაში ერთი ქალი ვაჩვენეთ, გვირგვინქვეშ კი სხვა უნდა დავუყენოთ. გული გულის ადგილას აღარა მაქვს, სულ ადის და ჩამოდის: რომ შეგვიტყონ-მეთქი, ხომ დავიღუპენით. მინამ ჯვარს დაიწერს, მე კი ჩემი დამემართება-და, ცალკე შიშითა, ცალკე სირცხვილითა! თმებით მათრევენ, თმებით. სულ რისთვის? ჩემი მოსეს გულისათვის (ხელსა სცემს მუხლზედ), შენ გენაცვალოს ხორეშან!

მ ო ს ე. ეჰ, შე დალოცვილო! თმებით გათრევენ რა, პირველი და უკანასკნელი იქნება შენთვის! თმებით ათრევენ! შენი ხელობა სხვა რა არის? თმებით ათრევენ!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (შეკრთება) არა, მაგას მართლა მეუბნები, ქა?

მ ო ს ე. მაშ არა-და გეხუმრები.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ეხლა განა?

მ ო ს ე. ეხლაცა და უწინაცა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მაშ ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, თუ ეგრეა. მე კი გამისტუმრე, როგორც პირობა გვქონდა და მერე შენ იცი. უმადურობას კაცი არ მოუკლავს.

მ ო ს ე. მერე ხელს ვინ გიჭერს, საცა გინდა, იქ წაბძანდი.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ქა, რა პასუხია? დაპირებული მიბოძე და წავალ, შენ ხომ არ შემოგაბერდები.

მ ო ს ე. დაპირებულიო? რაც დამტყუე, იმასაც ვნანობ, და გგონია, კიდევ გავბრიყვდე და მოგცე რამე?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ახლა ეგ ნამუსია? ამდროული დედაკაცი ფოშტის ცხენისავით მარბეინე, თავი შემარცხვენინე, სული წამაწყმენდინე და, როცა საქმე საქმეზედ მოვიყვანე, ეხლა მაგას მეუბნები, რაღა! ნამუსია?

მ ო ს ე. ის კი ნამუსია, რომ აგიღია ეგ გამოყრუებული თავი, სოფელ-სოფელ დაეთრევი და მაჭანკლობ? ნამუსია? შარშან რომ იმ პრადალა დიამბეგს ათი თუმანი გამოართვი სამაჭანკლოში და ქალი მიჰგვარე, ნამუსია? ქალებს რომ რაღაც წამლებს ასმევ, ნამუსია?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მაშ თუ ეგრეა, შენი მყრალი ფეხი დამკარ თავში, შენი მყრალი ფეხი, თუ ეგ საქმე არ დაგიშალო.

მ ო ს ე. მაშ შენი ლაფდასხმული ლეჩაქი დამხურე, შენი ლაფდასხმული ლეჩაქი, თუ ეხლავ გომურისაკენ არ გიკრა თავი და იქ არ დაგამწყვდიო, მინამ ჯვარისწერა არ გათავდება.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. რაო? დაგამწყვდიოო? უი, მეხი კი დაგეცა მაგ წიტიან თავზედ, დამამწყვდევ რა, შენი მოახლე გოგო თუ გგონივარ, ან შენი გომბიო ქალი.

მ ო ს ე. ვჰსთქვათ, რომ ვიღაც სუტ-კნეინა ბძანდები და მაჭანკლობ, მაგით მითამ რაო? რას მიზამ? მიჩივლებ თუ? არა მგონია, შენი თავი სადიამბეგოდ გაიხადო. ბევრი ცოდვა გაწევს მაგ არდასაცალებელს სულზედ. სულ ერთიერთმანეთზედ შეგიკეცენ და მაშინ ციმბირი კი არა, მგონი ციმბირსაც გადაგაცილონ, შე ტყუილო

კნეინავ, შენა! ეს ის დიამბეგი კი ნუ გგონია, პრადალას რომ ეძახდნენ, აი რომ უმაჭანკლებდი ხოლმე და ხელში ბურთსავით ათამაშებდი. ასე გაგიხდი საქმეს, რომ სულ თავი და ბედი იწყევლო.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ყურებზედ ხახვი არ დამაჭრათ ან შენ და ან შენმა ცხვირმოკვნეტილმა დიამბეგმა. უი, უწინამც დღე გაგქრობიათ შენცა და იმასაცა.

მ ო ს ე. აი, თუ არ დაგაჭრი. მე ეხლავ გაჩვენებ, საით გიკრავ თავს. შენ რომ კატასავით ჩამოგახჩო კიდეც, ხმასაც არავინ გამცემს. მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო. მერე რომ არ დამაბრალო რა, ეხლავ მიჩვენე, ჯიბეებში რა გაქვს (მივარდება და ჯიბიდან ამოართმევს ლურჯ ხელცახოცს. ხელცახოცსა შლის და პოულობს თავის ათს თუმანს და ელისაბედის ოთხს თუმანს) ოჰ, ჩემს ათს თუმანს უბღარტნია კიდეცა, ოთხი თუმანიც მოუგია. ბარაქალა, სუტ-კნეინავ! (ფულებს ჯიბეში იდებს) ეს ქაღალდი რაღაა? (კითხულობს) რაო? ჩემი სიძის თამასუქია! ეს რაღა ამბავია, შე ქოფაკო! ოცი თუმნის თამასუქი იმისათვისაც დაგიტყუვნია! ეს ვინ მოგცა შენ? ჰა, ვინ მოგცა-მეთქი!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ახლა შენ არ დაიჯერებ, რასაკვირველია, რომ ეგ თამასუქი თუ ჩამოვართვი, ისევ შენის საქმისათვის ჩამოვართვი. თუ ვინიცობაა ჩვენი ეშმაკობა შეეტყო და უარზედ დამდგარიყო, ამ თამასუქს პირში წავუყენებდი და ვეტყოდი: დაიწერე ჯვარი, თორემ დიამბეგთან წარვადგენ და სულ ნაღდს დაგათვლევინებ-მეთქი. შენ აბა ეხლა რაღად დამიჯერებ, გაჯავრებული ხარ.

მ ო ს ე. თუ ეგრეა, რატომ აქამდის არ მაჩვენე?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ახლა ვიფიქრე, რომ ვაჩვენო-მეთქი, ვაი თუ ამის იმედით საქმეს გული აღარ დაუდოს-მეთქი. რა ვიცი, ხორციელები ვართ.

მ ო ს ე. ახლა მაგითი გინდა მომატყუო განა!?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. აკი გითხარ: აღარ დაიჯერებ-მეთქი. რაკი ერთხელ და ერთხელ შენს თვალში აბრუ გამიტყდა, რაღას დამიჯერებ. შენა გგონია, გატყუებ? აბა მაგას როგორ გაგიბედავდი! განა არ ვიცი, მაგაებში ჩემი ოსტატი შენი შაგირდი იქნებოდა? თუნდა კიდეც გატყუებდე, – ეგ თამასუქი შენ მიირთვი, ნახე, რა სარგებელი სწერია, – მზითებში გაუბარე და მე ეგ შენი ათი თუმანიც მეყოფა, ჩემო კარგო! რა ვუყოთ, ქალს ათხოვებ, ბევრი ხარჯი მოგდის. სირცხვილიც არის, ეხლა შენ მეტი გამოგართოს ვინმემ. ჩემს საკუთარს, ნაწვავ-ნადაგს ოთხს თუმანს ხომ წინ არა უდგა-რა და არა, შენ გენაცვალე.

მ ო ს ე. აი, ეშმაკის ბუდევ! თავი მოიკატუნე განა, წეღან სხვილ-სხვილადა ჰფქვავდი! აბა, ჩემო სუტ-კნეინავ! ეს თამასუქიც მე დამრჩება და ეს ჩემი ათი თუმანიც. სწორედ გითხრათ, არც ეს შენი ოთხი თუმანი დამადგება ყელზედ. შენ კი გომურის მაგიერ ხულაში დაგამწყვდევ, რომ ჯვარისწერამდე არ გამცე და საქმე არ ამირიო. სულ ერთი-ორის საათის საქმეა, ბევრ ხანს არ შეგაწუხებ. მერე კი შენი აღარ მეშინება, რაც გინდა ჰქენი, ბიჭო!

გ ა მ ო ს ვ ლ ა 3

ი გ ი ნ ი ვ ე და ბ ი ჭ ი

მ ო ს ე. (ბიჭს) ეს ტყუილი-კნეინა ხულაში წააბძანე, ხალიჩაც მიართვი, მუთაქაც. ხუმრობა არ არის, არ გაგვიწყრეს ღმერთი და არ გაგვიცივდეს, თბილად ამყოფე. ეს კი უნდა ჰქმნა, კარი კლიტით გარედამ გადაუკეტე, რომ ვინიცობაა ცივი ნიავი არ მიედინოს. ჯვარისწერას გავათავებთ თუ არა, თქმა ნუღარ გინდა, მიდი და დიდის პატივით გამოაბძანე ხულიდამ ეს დარბაისელი სუტ-კნეინა. თუ ეს ამბავი შეუტყვია ვისმე, ვაი შენი ბრალი. (ბიჭი არ იძვრის, ხუმრობა ჰგონია).

არ გეყურება, შე არამზადავ! (დაუბრაცუნებს ფეხებს). (ბიჭი წასწვდება ხორეშანს).

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (მოსეს) უი, შენ კი გენაცვალოს ჩემი თავი! ტყუილი გაჯავრება რარიგად გიხდება! ამ (ბიჭზედ აჩვენებს) სულელმაც დაიჯერა, ასე ჰგონია ამ ბრიყვს, მართლა უბძანებ, გლეხკაცია, ვერ მიხვდა. ნუ გაუწყრები სიბრიყვისათვის, აგრემც გენაცვალოს ჩემი თავი, (ბიჭი შეჩერდება და უკან დაიწევს).

მ ო ს ე. (სიცილით) დახე ამ ოინბაზს! ხუმრობაში უნდა ჩამიტაროს. (ბიჭს წყრომით) რას შედეგი, შე წუწკის შვილო, წაიყვანე-მეთქი! (ბიჭი ხელს ჩაჰკიდებს).

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ჩემი ოთხი თუმანი მაინც მამეც. იმას რაღას მემართლები? ჩემი ნაწვავ-ნადაგია.

მ ო ს ე. (ბიჭს). გაიყვა-მეთქი.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (ხელიდამ გამოეცლება ბიჭს) ქა! შენ აღარა ხუმრობ! როგორ თუ გამიყვანოს. აი, აქავ შენ წინ ეხლავ თავს მოვიკლავ. დამამწყვდიოს რა პასუხია, აღამადხანობაა?

მ ო ს ე. (ბიჭს) არ გეყურება, წაათრიე-მეთქი! (ბიჭი ისევ ხელს ჩაავლებს, ხორეშანი ხელიდამ გამოეცლება).

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ქა, იქნება ჩემი სიტყვა ხუმრობა გგონია. მაგ სირცხვილს კი არა ვჭამ და აი ეხლავ შენ წინ ჩემის დანითვე ყელს გამოვიჭრი (გაცხარებული ჯიბიდამ დანას იღებს, ხსნის და ყელთან მიიტანს) გამოვიჭრა?

მ ო ს ე. აბა, თუ დედაკაცი ხარ, გამოიჭერ.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (დაკუჭავს დანას და არხეინად ჯიბეში იდებს) გამოვიჭრა რა, გიჟი ხომ არა ვარ. (პუბლიკისაკენ) ახია შენზედ, შე ქოფაკო თავო, (თავში ხელს იცემს) ახია! ახლა არ გამიკითხამთ? ჩემს ოთხს თუმანს რაღას მემართლება, თუ ავი სული არ არის.

მ ო ს ე. (ბიჭს) გაიყვა-მეთქი. (ბიჭს მიჰყავს).

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მეტი რა გზა არის, ახია შენზედ, ახი, შე ქოფაკო ხორეშან! წინ გამოართმევდი და! (გადიან).

გ ა მ ო ს ვ ლ ა 4

მ ო ს ე და მ ე ო რ ე ბ ი ჭ ი (შემოვარდება)

ბ ი ჭ ი. მეფიონი გიახლება, ბატონო, მეფიონი.

მ ო ს ე. ბევრი ხალხი ჰყავთ?

ბ ი ჭ ი. მაგდენი არაფერი.

მ ო ს ე. წავიდე, არ მომასწრონ, ქალი საყდარში დავახვედრო და ჩემი ხალხიც მივრეკო. (გადის).

ბ ი ჭ ი. აბა, სეირი იქნება, რომ ეს იქნება, აი! პაი, პაი, პაი! აი, დალახვრა ღმერთმა! ეს ჩვენი ბატონი რა ოსტატი კაცია, თქვენი ჭირიმეთ.

(სცენა გამოიცვლება. სცენა წარმოადგენს საყდრის ეზოს. საღამო ხანია. სცენის მარცხენა მხარეს საყდრის კუთხე მოჩანს და საყდრიდან ჩამოსავალი კიბე).

გ ა მ ო ს ვ ლ ა 5

დ ა ვ ი თ ი დ ა ლ უ ა რ ს ა ბ ი (საყდრიდამ გამოდიან და ჩამოდიან კიბეზედ)

ლ უ ა რ ს ა ბ ი. დავით! აკი მზეთუნახავიაო, კაცო!

დ ა ვ ი თ ი. მოგვატყუეს. ჯვარი არ დაიწერო. მაგრად დადეგ, არ გაცდინონ. აი, შენი სასიმამროც მოდის. შენ იქით წადი, მე ვიცი და მაგან.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. (მიმავალი) არა, მე რატომ აღარ უნდა ვიცოდე, რა სულელი მე მნახა, თქვენი ჭირიმე (გადის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა 6

დ ა ვ ი თ ი დ ა მ ო ს ე (შემოდის)

მ ო ს ე. (ხელს მოჰკიდებს დავითს და ავანსცენაზედ გამოიყვანს) კნიაზო დავით! ეს რა ამბავია! ქალი საყდარშია და საქმრო ახლა დადგა უარზედ? აქამდინ სად იყავით, თუ არ გინდოდათ ჩემი ქალი. ვინ გეხვეწებოდათ?.. თქვენისთანა ოჯახისშვილები მთხოვდნენ, რომ არ მივეცი!

დ ა ვ ი თ ი. აი, ბატონო, ქალი მანდ არის და ვისაც გნებავდეთ, იმას მიეცით. ჩემი ძმა კი მაგის შემრთველი არ არის.

მ ო ს ე. ეხლა, განა? როცა მთელმა ქვეყანამ შეიტყო, რომ ჩემს ქალს ირთამს შენი ძმა. როცა შენმა ძმამ საყდარშიაც შეიყვანა ჩემი ქალი! არა, მე თავზედ ლაფს არავის დავასხმევინებ. ან უნდა ჯვარი დაიწეროს, ან არა და აქედან ცოცხლები ვეღარ წახვალთ. გაგონილა? საქმრო ჯვარისსაწერად მოვიდეს, ნაკურთხი ბეჭედი ჩემის ქალისა ხელზედ ჰქონდეს, ქალი მომზადებული საყდარში მიმაყვაინოს, ამოდენა ხალხი მომაწვევინოს, და ჯვარი კი აღარ დაიწეროს! ან ღვთისა გეშინოდეთ, ან კაცისა გრცხვენოდეთ. გაგონილა, თქვენი ჭირიმეთ!

დ ა ვ ი თ ი. ის კი გაგონილა, პატარძალი შესცვალონ? ეს შენი ქალი არ არის, არა!

მ ო ს ე. ახლა რომ ვერა მოგიხერხებიათ რა, სირცხვილით მაგას იგონებთ, რაღა. აი მთელის მილეთის ხალხი აქ არის, დაიფიცებენ, რომ ჩემი ქალია.

დ ა ვ ი თ ი. ეხლა კი ვიცი, რომ შენი ქალია, მაგრამ პირველში კი სხვა გვაჩვენეთ. არა, ბატონო, ჩემი ძმა ჯვარს არ იწერს. თუ ძალაზედ დადგებით, არც ჩვენა ვართ ლაჩრები. მუქარა ტყუილია.

მ ო ს ე. მაშ მოსე გძელაძე თავადიშვილი არა ყოფილა, თუ თქვენ ჩემი ოჯახი შეგარცხვენინოთ. ჩემის ცოცხალის თავით მაგას ვერ ვკადრებ ჩემს გვარეულობას. სულ აქ არიან, თავებს დაიხოცავენ, ეგ რომ შეიტყონ. რაო? მე ცოცხალი ვიყო და თათქარიძეებმა ქალი და ოჯახი უნდა შემირცხვინონ? თათქარიძეებმა?! მაშ მე ქუდი არა მხურებია, კაცი არა ვყოფილვარ! აი ბეჩავ, გძელაძიანთ მოსევ, განა ეგრეც წაგიხდა სახელი! აბა ვნახოთ, როგორ არ დაიწერს ჯვარს!

დ ა ვ ი თ ი. აი ვნახავთ.

მ ო ს ე. უკანასკნელი სიტყვაა?

დ ა ვ ი თ ი. უკანასკნელი.

მ ო ს ე. დავით! ერთი აქეთ მობძანდი. (ორივე წინ წადგებიან). ეს თოთხმეტი თუმანი, – დაჩუმდი, შენ რა გინდა?

დ ა ვ ი თ ი. თოთხმეტ თუმნად ძმა უნდა გავყიდო?

მ ო ს ე. ოცი იყოს. ღმერთი-რჯული, ოღონდ გვირგვინი კი დაიდგან და ისე შეიყვარებენ ერთმანეთს, როგორც რა ვიცი. ჩვენში სულ ეგრე არ არის, შენ გეთაყვანე? ნუ მიწყენ კი, აბა თუნდ შენი კნეინა, რა მზეთუნახავი ის არის, მაგრამ ერთმანეთი კი გიყვართ. გვირგვინმა ეგ იცის. ეჰ, ვხედავ გეცოტავება, ოცდა-ათი იყოს. წავალ და ეხლავ მოგიტან. (გადის).

დ ა ვ ი თ ი. (მარტო) არა, ერთის მხრით კი მართალი სთქვა, მე და ჩემმა ღმერთმა! გვირგვინი დიდი საქმეა.

გ ა მ ო ს ვ ლ ა 7

დ ა ვ ი თ ი და ე ლ ი ს ა ბ ე დ ი (შემოვარდება ქორწილისათვის მორთული)

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. (ხელს მოჰკიდებს) ერთი აქ მობძანდი, აქ! შენ არ შემომფიცე, არ გავერევიო? ჰა, არ შემომფიცე? რაზედა ჰშლი დაწყობილს საქმეს? ჰა, რაზედა ჰშლი-მეთქი? აქ საქორწილოდ მოვსულვართ და შენ კი ლამის ჩხუბი ასტეხო და ლანძღვით და თრევით წაგვიღონ აქედამა. ხალხს საყდრიდამ არ უშვებენ, თორემ თავ-პირს დაგამტვრევდნენ. ასეთი შფოთი და ჩოჩქოლია საყდარში.

დ ა ვ ი თ ი. ერთი თავიდამ მამშორდი, თუ ღმერთი გწამს. რა შენი საქმეა, რომ აქ მოვარდი.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. უი, შე უტვინო, უტვინოვ! ახლა გინდათ, რომ თათქარიძეებს საქოლავი აგვიგონ? ქალი საყდარში მიაყვანინეთ სახელგანთქმულ ოჯახიშვილს, თქვენს ტოლს თავადიშვილს, და ეხლა უწუნებთ? სადა გქონდათ აქამდინ ეგ დასაბრმავებელი თვალები? აღარ გინდათ, ადამიანებად გახსენოთღა ვინმემ?

დ ა ვ ი თ ი. ქალო-და, ვერა ხედავ, რა ოინი გვიყვეს? აბა, ის მახინჯი ოჯახში როგორ შევიყვანოთ?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. უ, უ, როგორ გეკადრებათ! თათქარიძიანთ რძალი, თუ არ მზეთუნახავი, ვის გაუგონია! აი, მეხი კი დაგეცათ!

დ ა ვ ი თ ი. შენი მზეთუნახაობაც გვეყოფა განა, თუ არ დაგიშლია.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. უი, გაგიწყდეთ ეგ ქოქი, რომ ადამიანის ყადრიც არ იცით.

დ ა ვ ი თ ი. აგე, ბატონებო, წამოიყარა აღვირი და ეხლა შენი მტერი!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მინამ მე თქვენს ოჯახში ვარ, მაგ სირცხვილს ოჯახში არ შეგატანინებთ, არა! როგორ? ქალი ითხოვოთ, დანიშნოთ, საყდარში შეიყვანოთ, ხალხი საქორწილოდ მოაწვევინოთ, და თქვენ კი დაჰკრათ ფეხი და უკანვე გაიქცეთ? უი თქვენს თვალებს! ლუარსაბს თუ მზეთუნახავი ქალი არ მიუსვით გვერდით, ქვეყანა დაიღუპება, ო, თქვენმა მზემ, მხრებზედ ჯინჯილები და გულზედ ჯვრები არ დაუბნელოს!

დ ა ვ ი თ ი. ახლა აღარ დამეხსნები? რა გინდა, დედაკაცო, ჩემგან? ახა, ღმერთო ჩემო!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. აბა, დედაკაცი არ ვიქნები, დედაკაცი, თუ თქვენ ლეჩაქმოხვეულები არ გაგისტუმროთ აქედამ. აბა, ნუ დაიწერს ჯვარს! მე დავწერ ჯვარს, მე! ძალად შევათრევ საყდარში და ჯვარს გადავწერ. მაშ ხუმრობა გგონიათ ქალის გაუპატიურება, ოჯახის შერცხვენა! აბა ერთი გაბედე და ძმას ნუ დაიყოლიებ, მერე გიჩვენებთ მე თქვენს თამაშასა. ასეთი ყოფა დაგაწიოთ, რომ ქვეყნის სამარცხვინოდ გაგიხადოთ ეგ უტვინო თავები.

დ ა ვ ი თ ი. (პუბლიკისაკენ) მართლა-და ერთს რასმეს ბიაბრუობას გვაჭმევს ეს ბაიყუში. უნდა როგორმე მოვახერხო, თორემ თქვენ არ იცნობთ ამ აშაქარს. (ელისაბედს) კარგი, გამეცა! აგერ თითონ მოსეც მოდის. იქნება საქმე საქმეზედ მოვიყვანო უაყალმაყალოდ.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. კარგი, გაგეცლები, და ვაი შენ, თუ ლუარსაბს ჯვარი არ დაუწერია. (გადის და მობრუნდება) ლეჩაქებს დაგახურავთ-მეთქი, ლეჩაქებს.

გ ა მ ო ს ვ ლ ა 8

დ ა ვ ი თ ი დ ა მ ო ს ე (შემოდის)

მ ო ს ე. აჰა, ესეც შენი ოცდაათი თუმანი (აძლევს). შენ იცი და შენმა კაცობამ.

დ ა ვ ი თ ი. (ფულს ჯიბეში იდებს). აბა, შენ აქ სადმე მიეფარე პატარა ხანს და მე ჩემს ძმას ვინახულებ. (ორნივ გადიან. პატარა ხანს უკან დ ა ვ ი თ ს მოჰყავს ლ უ ა რ ს ა ბ ი).

გ ა მ ო ს ვ ლ ა 9

დ ა ვ ი თ ი დ ა ლ უ ა რ ს ა ბ ი

დ ა ვ ი თ ი. ლუარსაბ! ცუდი საქმე დაგვემართა, ძმაო! მაგრამ როგორმე უნდა გავასწოროთ. სირცხვილია, ქვეყანა ყბათ აგვიღებს, საქოლავს აგვიგებენ.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მა რა მოგვივა, რომ მაგათგან მოვტყუვდეთ და ეგ მაიმუნი წავიყვანოთ. არა, შენ ჩემი ფიქრი ნუ გაქვს: ხანჯალზედ რომ ამაგონ, შენს სიტყვას არ გადავალ, მაგრად დავდგები.

დ ა ვ ი თ ი. ბიჭო-და, მაგრად დგომას კი არ გეუბნები. სირცხვილია-მეთქი.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. სირცხვილი და ისეთი?!

დ ა ვ ი თ ი. აბა კარგად ჩაფიქრდი: კაცს ქალი დავუნიშნეთ, ამოდენა ხალხი საქორწილოდ მოვაწვევინეთ, ამოდენა ხარჯი ვაქმნევინეთ, ქალი საყდარში მივაყვანინეთ, ჩვენ კი დავკარით ფეხი და საყდრიდან გამოვცვივდით. ხუმრობაა? ახლა უკან როგორღა უნდა დავდგეთ?

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მე და ჩემმა ღმერთმა, მართალს ამბობ. უკან რად დავდგები. მითხრა, მაგრად იდეგიო, და ვიდგები კიდეც. თუ კაცები არიან, ადგილიდამ დამძვრენ. თუ ძალაზედ მივარდა, ასე გავიბოტები, როგორც ჩვენი შვინდა მოზვერი.

დ ა ვ ი თ ი. კაცო, მე მაგას კი არ გეუბნები, თავზედ ლაფი როგორ უნდა დავასხათ-მეთქი.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. თავზედ ლაფი რა საკადრისია! ისე ავდგეთ და ჩვენ ჩვენთვის წავიდეთ.

დ ა ვ ი თ ი. მერე ამოდენა ხარჯი ხომ უნდა ვუზღოთ, სხვა არა იყოს რა. რას ვემართლებით: კაცს ხარჯი უქმნია, მთელი მილეთის ხალხი მოუწვევია. მგონი ჩვენი მამულები სულ რომ აწერონ, არც კი აუდგეს!

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მე და ჩემმა ღმერთმა, მართალია. თავი დავანებოთ, ჩქარა წავიდეთ, თორემ...

დ ა ვ ი თ ი. ახა, ღმერთო ჩემო, რამ გადარია. რო წავიდეთ, ახლა ხარჯს არ აუზღამ კაცო!

ლ უ ა რ ს ა ბ ი. რა ხარჯს, რას ამბობ?

დ ა ვ ი თ ი. აი ქორწილის ხარჯს. თუ ნებით არა, სამართალი ძალით წაგართმევს. ხუმრობა კი ნუ გგონია, რაც ჩემგან წილი გერგება...

ლ უ ა რ ს ა ბ ი. რაღა რაც წილი, ნახევარი-თქო.

დ ა ვ ი თ ი. ჰო და იმ ნახევარს სულ მთლად გაგიყიდიან და იქნება არც კი აუვიდეს. არა, ძმაო, სხვა გზა არ არის, ჯვარი უნდა დაიწეროო.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ახლა შენ რომ მითხარ, მაგრად დადეგიო, იმიტომ, თორემ, მე და ჩემმა ღმერთმა, მეც კი მინდა. არც ისეთი მახინჯია, ღმერთი, რჯული!

დ ა ვ ი თ ი. შენც არ მამიკვდე. ნიშნობაში ისეთი შვენოდა, რომ თვალი ზედ დაგვრჩა. ახლა ქალია: ზოგი კრთომა, ზოგი მორცხობა, ზოგი ამოდენა ხალხი, საკვირველიც არ არის, რომ სახიდამ მოიშალოს.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ელენთამაც იცისო, გამიგონია. ელენთანაჭამი ქალი გვირგვინქვეშ თურმე გაშავდება. იქნება ეგეც იყოს.

დ ა ვ ი თ ი. სწორედ ეგ უნდა იყოს. მეც არა ვჰსთქვი, ეს ქალი რამ გამოცვალა-მეთქი!

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მაშ ჯვარი დავიწეროო?

დ ა ვ ი თ ი. აბა, სხვა გზა არ არის.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. არა, თუ გიყვარდე, ნიშნობაში მართლა ლამაზი იყო?

დ ა ვ ი თ ი. კალმით ნახატი-მეთქი.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მაშ ჯვარს დავიწერ.

დ ა ვ ი თ ი. ძალიან კარგს იზამ.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მზითვის ფულს ხომ გვაძლევს?

დ ა ვ ი თ ი. ჯვარს დაიწერს თუ არაო, მეორე დღესვე მოვართმევო.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ორას თუმანს, სულ ბაჯაღლო ოქროს?

დ ა ვ ი თ ი. ჰო, ორას თუმანსაო.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. რატომ ეხლავ არ იძლევა?

დ ა ვ ი თ ი. ეხლა წინათვე ვის გაუგონია? რომ ფეხი დაჰკრა და გაიქცე, სადა გდიოს?

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მე და ჩემმა ღმერთმა, ჭკვიანი კაცი ყოფილა. მაშ ჯვარს ვიწერ, წავიდეთ. (ორნივ გადიან და საყდარში შედიან).

გ ა მ ო ს ვ ლ ა 10

მ ო ს ე (შემოდის)

მ ო ს ე. (ხელებს იფშვნეტს სიხარულით) წავიდნენ ჯვარის დასაწერად. აბა, რომ იტყვიან კარგად საქმის მოყვანას, ამას იტყვიან. იფ, მოსევ, ძლივს გულიდამ ლოდი არ აიცალე? არც ჩხუბი, არც დავიდარაბა. ერთი ოცდაათი თუმანი კი დამსხლიტეს ტყუილუბრალოდ, მაგრამ რა ვუყოთ? ხომ საქმე საქმეზედ მოვიდა. მაინც ბარაქალა, მოსევ, რომ ეგრე გადაურჩი ამ ხათაბალას. ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო. ამ სიხარულზედ სუტ-კნეინასაც გამოვაშვებინებ. ახლა ის აღარას დამაკლებს. ბიჭო, (შემოვა ბიჭი) წადი და ის ტყუილი კნეინა გამოუშვი, ეყოფა. (ბიჭი გადის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა 11

მ ო ს ე დ ა ე ლ ი ს ა ბ ე დ ი (საყდრიდამ გამოდის)

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ღვდელმა დაიწყო ჯვარისწერა. ცხელა საყდარში, ვეღარ გავძელ. ბატონო მოსევ, ძალიან მიამა, თქვენმა მზემ, რომ ეს უსიამოვნო ამბავი ეგრე მშვიდობიანად გათავდა. მომილოცნია ქალის ბედნიერება. თქვენმა მზემ, ჩვენც კი მოსალოცავნი ვართ. თქვენის ოჯახის ქალი, თქვენისთანა კაცის მოყვრობა დიდი ბედნიერებაა ჩვენის ოჯახისათვის.

მ ო ს ე. გმადლობ, შენი ჭირიმე. გმადლობ. არც მე ვემდური, თქვენმა მზემ, ჩემის ქალის ბედსა. კაი ოჯახში შევიდა. ოჯახს რომ თქვენისთანა პატრონი ჰყვანდეს, იქ ბედნიერებაა და ბედნიერება. პირმოთნეობაში კი ნუ ჩამომართმევთ და, თქვენი დედაკაცობის ამბავი რომ არა მცოდნოდა, იქნება ჩემი ქალი არც კი გამემეტნა. განა თუ გვარისშვილობით დავიწუნებდი თათქარიძიანთ მოყვრობას, – აბა, ჩემი ტოლი თავადიშვილები არიან, – მაგრამ საქმე ის არის, რომ ოჯახს თქვენისთანა სასიქადულო რძალი ჰყვანდეს. ჩემი ქალი ამით უფროა ბედნიერი, რომ თქვენს ხელში იქნება.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. გმადლობთ ქებისათვის, თუმცა კი ვიცი, რომ ეგ მარტო თავაზით მოგდით.

მ ო ს ე. აბა, მაგას როგორ მიბრძანებთ. ყრუ ხომ არა ვარ, ბატონო, მთელი ქვეყანაა და მაგალითად თქვენა ჰყევხართ.

გ ა მ ო ს ვ ლ ა 12

ი გ ი ნ ი ვ ე და ხ ო რ ე შ ა ნ ი

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ოჰ, ხორეშან! ქა, სად იმალებოდი? სადა ხარ, რომ აქამდის არსადა სჩანდი?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) ღმერთმა ნუ იცის მოსეს თავი. (ელისაბედს) ეჰ, ეს მოსე ხომ დანიჟებული კაცია. დამსო, ბატონო, ქალს მზითვი ჩაულაგეო. ვეუბნები, განა მერე კი ვერ მოვასწრობთ-მეთქი. არაო, წინ წაგდებული საქმე სჯობიაო. აქამდი სულ მაგ საქმეში ვიყავ. არა, მოსეჯან? (პუბლიკისაკენ) აი, აგრემც ღმერთი ამას უშველის.

მ ო ს ე. ახლა რა მექნა? სხვა დროს შენ კაცი ხელში ვეღარ ჩაგიგდებდა და დაგსაქმე. ახლა რა არის, ხორეშან, რომ მამუნათებ.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. უი, შენ გენაცვალოს ხორეშანი, გამუნათებ რა სათქმელია, ნეტავი ამაზედ ერთი ათასად მეტი შემეძლოს, რომ მაგიერი გადაგიხადო. აი (ყელზედ აჩვენებს) აქამდინა ვარ შენგან დავალებული. ჩემს სიტყვას რომ პატივი დასდე, ლუარსაბს ქალი მიათხოვე და ამათთან პირნათლად გამომიყვანე, განა ეგ ჩემთვის ცოტაა?

მ ო ს ე. მე ვარ მადლობელი, მე, რომ ეგ მოახდინე.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მოსე მოუკვდეს ხორეშანს, თუ ეგ შენი მადლობა მე ძვირად არ მიღირდეს.

მ ო ს ე. (პუბლიკისაკენ) დახეთ ამ ქოფაკს!..

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (ელისაბედს იქით მიაყენებს) ხომ კარგად მოვიდა საქმე, თქვენი სურვილისამებრ. ერთი ცოდვა კი ავკიდე ამ ჩემს სულს. უშვილო მოდგმის ქალიაო, ქვეყანა ამბობს.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. (პუბლიკისაკენ) მეც ეგ მინდოდა. ამ სულელს კი ჰგონია, რომ ეგ ძალიანა მწყინს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ეჰ, რაც მოხდა, მოხდა. ყველაფერი ღვთის ნებაა. თქვენ ნუ მოუკვდებით ხორეშანს, თქვენს ოთხს თუმანს რვა თუმანი კიდევ ჩემი დავაყარე, აბა, დაგპირდით და უნდა შემესრულებინა. ახლა რას მიბძანებთ.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. დიდს მადლობას, ჩემო ხორეშან!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ქა! ცალიერ მადლობას რას ვაქნევ? რვა თუმანი დავხარჯე-მეთქი.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მერე?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. თქვენის იმედით.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. იი, თვალიმც გამოგხეთქია!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ქა! შენც ეგრე? იქნება გგონია, მართლა შენი სურვილი აისრულე და იმათ შვილი არ ეყოლებათ? უი, შენი ფეხი დამკარ, შენი ფეხი, თუ სულ ტყუპ-ტყუპი არ ვაყოლიო. დამაცა!.. (მიუბრუნდება მოსეს). ახლა, მოსეჯან, მე რაღას მიპირებ?

მ ო ს ე. ერთს ლაზათიანს პანჩურს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ქა, ყველამ კი გამომავლო პირში ჩალა და! რა ვქნა, ქვეყანა დაჭკვიანდა, თუ მე გავსულელდი?

(ფ ა რ დ ა)

[1881 წ., 31 მაისამდე]

დიამბეგობა

I

დიამბეგობა – შენ რას იტყვი მკითხველო? – კარგია.

” – ჰმ, ჰმ, ჰმუუ! – ჩუმ-ჩუმად ჩაიცინებ და იტყვი ჩემზედ: – ამის დამწერსაც კი ჰქონია პირში გემოო!” არა თუ?

მე ერთ დიამბეგზედ მოგიყვები ერთს ამბავსა და მაშინ ნახამ, თუ დიამბეგობა ცუდია.

იყო და არა იყო რა, ჩვენგან მეტად შორს და ერთს გუბერნიის პრავლენიის ახლო იყო ერთი დიამბეგი, სახელდობრ ბეჟან ბეჟანის-ძე კალმახიძე. ეს ბეჟანი და ამისი ცხონებული ძმა მათე, რომელმაც დიდი ხანია თქვენი ჭირი წაიღო, ერთ ღარიბ აზნაურშვილის შვილები იყვნენ. ბეჟანი უფროსი იყო, ცხონებული მათე კი უნცროსი ყოფილა. ორივე უდედმამოდ ძალიან პატარები დარჩომილიყვნენ. ქვეყანაზედ ამათ აღარავინ ეგულებოდათ ერთის ბიძის მეტი, რომელმაც იმთვენი მზრუნველობა გასწია ობლებზედ, რომ კანტანისტებად მიაბარებინა და ცოტაოდენი მამული კი, რომელიც ამ ობლებს წილადა ხვდებოდა, ის კი პატრონს ჩააბარა, ესე იგი, წაართო და გაყიდა. მოდავე ვინ იყო? მაგრამ ობლების შემწე ღმერთიაო. ბეჟანმა და [მათემ], რაკი წერა-კითხვა ისწავლეს, დაჰკრეს ფეხი და ჩამოვიდნენ ქალაქში. ქალაქში საწყლები, უსახლკარონი, უპატრონოთა დაეთრევოდნენ; ხან სად ეყარნენ, ხან სად, ბევრჯელ შიმშილიც და წყურვილიც გამოიარეს, მაგრამ ბოლოს კი ბეჟანს ბედმა გაუღიმა. თურმე სადღაც ერთს გუბერსკის პრავლენიის სტოლნაჩალნიკს სომეხს გამეგობრებოდა ჩვენი ობოლი ბეჟანი. იმ სტოლნაჩალნიკსა პრავლენიაში რვამანეთიანი ადგილი ეშოვნა. რაკი რომ განაწესეს მწერლის ადგილას, ბეჟანმა პირი მოარიდა თავის საწყალს ძმას, აღარ მიიკარა ახლო, ერთხელ სახლიდამაც გააგდო: წადი, მე რა მაქვსო, რომ შენც შეგინახოო. ამ დღიდგან ძმები ურთიერთს განშორდნენ და სიკვდილამდე აღარ შეყრილან.

ბეჟანი მეტად ბედნიერად მსახურებდა. მეორე წელსვე თექვსმეტი მანეთი გაუხადეს ჯამაგირი; ამას გარდა, რადგანაც ხერხიანი ბიჭი იყო და ძალიან მალე მიხვდა ჩინოვნიკობის ეშმაკობას, ერთს სოვეტნიკსა ახლო დაუახლოვდა. ის სოვეტნიკი ძლიერ პატიოსანი კაცი ყოფილა, როგორც თითონ ბეჟანი იტყოდა ხოლმე. თავის დღეში თურმე მოჩივართან თითონ არ დაიჭერდა საქმეს, სულ ის სომეხი სტოლნაჩალნიკი იყო ხოლმე ამის ავან-ჩავანი, და ზოგჯერ წვრილმანებში ბეჟანიცა. ასე რომ თითონაც ცხოვრობდა – ამბობდა ხოლმე ბეჟანი – და ჩვენც გვაცხოვრებდაო. ბეჟანი დიახ მოხერხებული ყმაწვილი დადგა, მეტად შეაყვარა თავი იმ პატიოსან სოვეტნიკსა, სახლშიაც დადიოდა და შვილებს ზოგს რას, ზოგს რას მიუტანდა ხოლმე თავის ცოდვილი ხელით ნაშოვნი ფულით ნასყიდსა. თითონ სოვეტნიკი, ლმობიერი დროული კაცი, რასაკვირველია, სიამოვნებით უყურებდა ამ სამაგალითო ყმაწვილს კაცსა, რომელმაც უფროსის პატივი აგრე ხშირად და კადნიერებით იცოდა. – ”შენ მაგ სიმდაბლით და უფროსის პატივისცემით შორს წახვალო”, – ეტყოდა ხოლმე კეთილი სოვეტნიკი. მაგრამ ბეჟანი სხვარიგად ფიქრობდა მაგ საგანზედ და შორს წასვლაზედ. – ”შორს რა მინდაო, – იტყოდა ხოლმე გულში, – ჯერ საქმე ცხვირწინა მაქვსო; ჯერ ის სომეხი უნდა გავგზავნო შორსაო,

მერე ჩემს მგზავრობაზედაც მოვიფიქრებო”. – ბეჟანს თვალში ეკლად უჯდა თავისი კეთილმყოფელი სტოლნაჩალნიკი. ხედავდა, რომ იმისი გზიდამ ჩამოცლა მეტად არგებდა ბეჟანსა. მაგრამ როგორ ჩამოაცალოს, რომ სოვეტნიკს ისე მჭიდროდ გულში უზის? უამისოდ უბრალო ქაღალდსაც ხელს არ აწერს? როგორ ჩამოაცალოს? ამის ფიქრში იყო ბეჟანი დღე და ღამ.

ამ ფიქრმა უფრო მაშინ დაუწყო ღიტინი, როცა სტოლნაჩალნიკის პომოშნიკობის ადგილი გაიხსნა იმ სომეხის სტოლში და როცა სომეხის და სოვეტნიკის ცდითა ჩვენ ბეჟანს მისცეს ის ადგილი.

ბეჟანს ჯამაგირიც მოემატა ეხლა და ოფლის და შრომის ფასიცა, ესე იგი წესიერი შემოსავალიცა. ეხლა სოვეტნიკთან რომ მიდიოდა ხოლმე, იმის შვილებს კამფეტებს და ნაკუწებს კი არ წაუღებდა, ეხლა ფრიად საგრძნობელი საჩუქრით მივიდოდა ხოლმე. მაგალითად, შობა დღეს სოვეტნიკის ცოლს ერთი კაი მძიმე საკაბე მიართო, თითონ სოვეტნიკს რვა ჩაფი კაი კახური შავი კუპრივით ღვინო; ახალ წელიწადს უფრო ამაზედ უკეთესი ძღვენი.

– შორს წახვალო, – ეუბნებოდა დროული სოვეტნიკი მწყალობელის ღიმილითა; – ჯერ რა ხარო...

– ოცდაერთისა გახლავარ, – დაუმატა ბეჟანმა თავმოწონებით.

– ოცდაერთისა!.. – წამოიძახა კეთილმა სოვეტნიკმა: – ჯერ ტუჩებზედ რძეც არ გაგშრობია და სუყოველიფერს მიხვედრილი ხარ. ცოდო არ არის, შენისთანა ნიჭს მაღალი სწავლა არ მიუღია!... შენ რას იტყვი, ანნა კარლოვნა? – მიუბრუნდა ცოლს სოვეტნიკი.

– მე იმას ვიტყვი, რომ ამისთანა საკაბის ამორჩევა გამოცდილს დედაკაცსაც არ შეუძლიან, – უპასუხა ცოლმა. – რასაკვირველია, მაგისთანა ჩინოვნიკი ბევრი არ გეყოლება, ეგრეთი ერთგული, თავდაბალი, პატივისმცემელი. არა, სიდორ კარპიჩ, – სამაგალითოა ჩვენი ძვირფასი ბეჟან ბეჟანიჩი.

ბეჟანი ადგა და მძიმედ თავი დაუკრა და თავის პლუტური თვალებით ამდენი იეშმაკა, რომ ცრემლიც მოიდინა, მითამ მეტის ლმობიერებისაგან.

სოვეტნიკმა ეს რომ დაინახა, ადგა, ცუნცულით მივიდა და შუბლზედ აკოცა: ვოტ ლიუბლიუო! – ამისთანა რბილი გული მეტად მოეწონა თვითონაც ლმობიერს სოვეტნიკსა, – აი, კაცი ეს არის! – დაიწყო სოვეტნიკმა, – პირფერობით არ ვამბობ, ბეჟან ბეჟანიჩ! მე დარწმუნებული ვარ, რომ ეგ ცრემლი გულწრფელია. საწყალო, ობოლო! მგონია, იმას ფიქრობდი, ცრემლი რომ მოგივიდა, რომ თუ კაცი ვარ – თქვენგანა ვარ, და მადლობით სავსე გულმა ანნა კარლოვნას სიტყვაზედ ცრემლი წამოგაღვრევინა. მე მესმის შენი კეთილი გულის მოძრაობა, ბეჟან ბეჟანიჩ! მაგრამ ესეც კი უნდა იცოდე, რომ ეგ საკვირველი სამსახურის ნიჭი არა გქონოდა, ჩვენი შემწეობა შენ კაცად არ გაგხდიდა. დიახ, ჩემო საყვარელო, ბეჟან ბეჟანიჩ! ბედნიერია ის ნაჩალნიკი, რომელსაც შენისთანა ხელქვეითი ჰყავს, რომელმაც იცის, რომ კაი თესლი ქვიანს ადგილას არ დაეცემა! ჩვენ რა? ჩვენი რა მადლობელი უნდა იყო? ჩვენი სვინიდისი, ჩვენი პატიოსნება, ერთგული სამსახური – იმას მოითხოვს, რომ შენისთანა კაცები, ქვეყნისა და ხელმწიფისათვის გამოსაყენი, სინათლითა ვძებნოთ და წინ წავიყვანოთ. ეგ ჩვენი ვალია, ჩემო ძმაო! ჩვენი რად უნდა იყო მადლობელი?

– რას ბძანებთ, ბატონო! – უპასუხა თავმოკატუნებით და ცბიერულად ბეჟანმა: – კაცადაც თქვენ გამომიყვანეთ და სიკეთის შეძლებაც თქვენ მომეცით. მე ერთს საწყალს

ობოლს, უბრალო აზნაურშვილს სად შემეძლო, რომ თქვენისთანა მაღალ განათლებულს კაცთან, არამც თუ მცირედი საჩუქარი, არამედ სიტყვის ჩამორთმევა გამებედნა. მე ეხლა უნდა თქვენის ფეხის ნატერფალსა ვკოცნიდე და არა თქვენთან ვიჯდე და ვლაპარაკობდე. თქვენ ასეთი კეთილი ბძანებულხართ, რომ არც კი გინდათ ჩემი კაცად გამოყვანა თქვენ დაიბრალოთ, მაგრამ ეს ცოდვილი გული, სადაც ჯერ ღმერთია და მერე თქვენ, ისე არ დაბრმავდება, რომ თქვენი მოწყალების სხივები არ დაინახოს. ღმერთი გადიხდის თქვენ სიკეთეს და ეს ობოლი თავი, თუ ცოცხალი დარჩა. მე სხვასავით არ გახლავარ, რომ თვალი თქვენკენ მეჭიროს და გული სხვისაკენ. მე თქვენი ყურმოჭრილი ყმა ვარ უკუნით უკუნისამდე.

– გმადლობ, გმადლობ, სამაგალითო ყმაწვილკაცო! – თქვა სოვეტნიკმა და გაუშვირა ხელი. ბეჟანი მივარდა ხელსა და ხარბად აკოცა.

– დიახ, ჩემო ბეჟან ბეჟანიჩ! კეთილი და პატიოსანი გული კარგია. მადლობელი ვარ, მადლობელი, რომ რაც იმედი მქონდა შენზედ, ყოველივე გამიმართლე. მაგრამ ესეც კია, ჩემო საყვარელო ბეჟან ბეჟანიჩ, რომ საკვირველი ბედი მაქვს ხელქვეითების ამორჩევაში. აი, ის ცხონებული ივან ანდრეიჩი, ხომ გახსოვს, ანნა კარლოვნავ, რა კაცი იყო! მე შენ გეტყვი, ბეჟან ბეჟანიჩ, რომ საოცარი გამოცდილი ჩინოვნიკი იყო. მინამ ის ცოცხალი იყო, მე თავისუფალი ვიყავ, კეთდებოდა თავისთავად საქმეები. ძალიან სვინიდისიანიც იყო.

სოვეტნიკმა გადაიწოდა თავი ბეჟანისაკენ, ბეჟანმაც მოწიწებით და ხელქვეითურად მიუშვირა მარჯვენა ყური. სოვეტნიკმა წასჩურჩულა:

– ასეთი სვინიდისიანი იყო, რომ ჩემის ულუფიდამ, ასე იფიქრე, მარტო მეხუთედს თუ აიღებდა, თორემ მეტს თავის დღეში არა. “არაო, მე ამაზედ მეტის ღირსი არა ვარო, – იტყოდა ხოლმე საწყალი. მოკვდა და ოთხასი თუმანი ნაღდი ფული დაუგდო ცოლ-შვილსა, გატლეკილი კი მოვიდა; სულ ოთხი-ხუთი წელიწადი არ ყოფილა ცხონებული გუბერნსკის პრავლენიაში. ასეთი ცოლშვილის მოყვარული და მოცადინე კაცი იყო! ღმერთმა აცხონოს!

– ეს ივან ანდრეიჩი; – დაიწყო ის[ევ] ხმამაღლა: – იმის მერე ეგ შენი სტოლნაჩალნიკი პერანგოვი შემხვდა. თუმცა სომეხია, მაგრამ არ არის ურიგო კაცი.

ბეჟანმა უნდოდ ჩაიცინა და პლუტურად გაიქნივა თავი. სოვეტნიკმა შენიშნა ესა, მაგრამ ყური არ ათხოვა.

– აქაური ავიც იცის და კარგიც, – განაგძელა სოვეტნიკმა, – ყოველ სომეხს ისე იცნობს, როგორც თავის ხუთ თითს; ამ პრისტავების და პოლიციისა ხომ არც ერთი საქმე არ გამოეპარება, ყველას ჩემი შიშით ისე იმსახურებს, როგორც ყმასა და, რასაკვირველია, მეც არ მივიწყებს. არა, გამოსადეგი კაცია!

ბეჟანმა ისევ უნდოდ ჩაიცინა და ისევ ისე პლუტურად გაიქნივა თავი.

– შენ ეს მეორედ თავი როგორღაც გაიქნივე, ვცდები თუ?

– როგორ გაგიბედავთ, რომ მოგახსენოთ, სცდებით-მეთქი, – შეაპარა სიტყვა ბეჟანმა და მერე ჩუმად დაუმატა: – ეშმაკი კაცია.

– როგორ?

– აბა მე იმაზედ ცუდი როგორ უნდა გითხრათ, ლუკმა პური თითქმის იმან გამიჩინა. დღეს თუ ბედნიერება მაქვს თქვენთან ყოფნისა, იმის მეოხებითა მაქვს.

მართალია, დღეის იქით თქვენი მფარველობაც მეყოფა, მაგრამ დღევანდლამდინ ლუკმა პური იმისგანა მქონდა, თორემ თქვენ კარგად მოგეხსენებათ.

– მართალია.

– მამას არ უქნია ჩემთვის იმოდენა სიკეთე, – დაიწყო ისევ ბეჟანმა ოსტატურად, – რაც იმან მე მიყო. უბრალო გომში ვეგდე, გუბერნსკი პრავლენიაში ალაგი მიშოვნა, თქვენს მაღალ განათლებულ პირთან გამაცნო, მას დღეს აქეთ იმან მაცხოვრა. ერთის სიტყვით, მეორედა მშვა ბედნიერებისათვის და თქვენის პატივისცემისათვის; – აბა იმაზედ ცუდი როგორა ვთქვა, ეგ ხომ სულის წაწყმედა იქნება, მაგრამ თქვენი სიყვარული, თქვენი ერთგულება, თქვენი ბედნიერება ჩემს სულზედ უფრო მეტად მიღირს. თქვენი ერთგულება, თქვენი პატივისცემა და სიყვარული თუ გამაბედვინებს თქმასა, თორემ სხვა არაფერი. წეღანაც მოგახსენე, ჯერ ღმერთი და მერე თქვენა ხართ ჩემთვის, მაგრამ ღმერთთანაც კი პირშავად გამოვჩნდები და თქვენთან კი არა, სულს წავიწყმენდ, მამის მგზავს კაცს გავცემ, თქვენ მტერს კი არ გავახარებ. ის თქვენ გატყუებთ. ღმერთო, შეგცოდე, მაგრამ ნუ გააჩენდი ისე, რომ კაცს ერთი უფრო მეტად უყვარდეს, ვიდრე მეორე!

– ეგ რა თქვი? პერანგოვი მე მატყუებს! – წამოიძახა სოვეტნიკმა: – ის პერანგოვი, რომელიც მიკიტანხანებში ათენებდა ღამეს და რომელიც დღეს მე კაცად გამოვიყვანე!.. არ დავიჯერებ, კაცი ამისთანა უმადური არ იქნება.

– აბა მე რად უნდა ვსთქვა ჩემს კეთილმყოფელზედ ავი, მაგრამ რა უყო, რო თქვენი ერთგულობა ძალას მატანს!.. – შეუკეთა ცეცხლი წამალსა ჩვენმა ხერხიანმა ბეჟანმა.

– თქვი, ჩემო ერთგულო ბეჟან ბეჟანიჩ! მერწმუნე, არ დავივიწყებ, რომ თუ არ ჩემი ერთგულება და პატივისცემა, შენისთანა პატიოსანი კაცი არ გასცემდა თავის კეთილმყოფელსა და მამის მაგიერსა! თქვი, ვიცი რომ შენთვის ძნელია მაგის თქმა, ვიცი რო გული გეტანჯება, მაგრამ ნუ გეშინიან, არც მე ვარ უმადური.

– ეჰ, ღმერთო კი მაპატივე, – ამოიოხრა ბეჟანმა, – ყველაფერს მოგახსენებთ: იმ დღეს რო სომეხი კაცის კვლაში გარია ტყუილად პრისტავმა, ხომ ეს საქმე იცით?

– დიახ, კარგად.

– სლედოვატელად რომ ბძანდებოდით, დელოპროიზვოდიტელად პერანგოვი არა გყვანდათ?

– პერანგოვი მყვანდა.

– მაშინ იცით რამდენი თუმანი დაატრიალა იმ სომეხმა?

– ას ორმოცდაათი. ორმოცდაათი პრისტავმა აიღო, ოცდაათი პერანგოვმა და სამოცდაათი მე მერგო.

– სამასი თუმანი ტრიალებდა: ასი თუმანი პრისტავმა აჰკრა, ოცდაათი კვარტალნიმ, ასი თუმანი პერანგოვმა. ღმერთო შეგცოდე, – ჩემ კეთილმყოფელზედ მართალი უნდა ვთქვათ ამათი სიყვარულის გამო, – ასი თუმანი პერანგოვმა აიღო, სამოცდაათი თქვენ მოგიტანათ. ამას გარდა პრისტავსაც ოცი თუმანი დასტყუვა თქვენ სახელობაზედ: სოვეტნიკმა შეგიტყოო, რომ ტყუილად გადააბრალეო კაცის კვლა სომეხსაო. ის კი არ ვიცი, რა უყო. იქნება თქვენ მოგართოთ კიდეც და მე ტყუილად ცოდვაში ვდგებოდე.

– არა, არ მოუტანია. მაშ კარგი, მე ვუჩვენებ იმას ეხლა. ხვალვე შევუდგები იმის თადარიგს. მადლობელი ვარ, ბეჟან ბეჟანიჩ! მაგ ერთგულების ჯილდოდ იმისი ადგილი შენ უნდა დაგრჩეს.

– ღმერთმა დამიფაროს! მართალია, თქვენი მოწყალების ღირსი არა ვარ, მაგრამ ჩემი კეთილისმყოფელი უნდა გააგდოთ და მე იმის ალაგას დამსოთ, ნუ იქთ მაგასა, თქვენი ჭირიმე, ჩემგან ნუ გაუბედურდება ისა და მე რაც გინდა მიყავით. აბა თქვენვე იფიქრეთ, გეთაყვანე: ის, ვიცოდე, რომ უადგილოა და მე კი იმისი ადგილი დავიჭირო!.. ის ჩემი მეორე მშობელი, ბატონო!

– ო, სულგრძელო ადამიანო!.. მე მიკვირს შენი კაიკაცობა!.. ეხლა მესმის შენი ჩემდამი ერთგულება. ერთი მცირედი განძრახვაც არ გქონია შენს თავზედ, და თუ გაეცი შენი მამის მაგიერი, მარტო ჩემის ერთგულების გამო გაეცი. არა, ბეჟან ბეჟანიჩ! ჩემი სტოლნაჩალნიკი შენა ხარ დღეის იქით და არა პერანგოვი. თუ ჩემი მამობა გინდა, უარს არ მეტყვი.

ბეჟანი ხელზედ მივარდა და დიდხანს ზედ დაკდომით ჰკოცნიდა.

– ნუ გააუბედურებთ, შენი ჭირიმე! ნუ იზამთ მაგასა, ნუ დაღუპავთ! მართალია, თქვენი წყალობით ფულიც ბევრი აქვს, მშიერი არ მოკვდება, მაგრამ მე არ მინდა, რომ მე ვიყო იმის უბედურების მიზეზი, შენი ჭირიმე, ივან კარპიჩ! ჩემი მამის მაგიერი იყო!..

– ეხლა მე ვიქნები მამის მაგიერი, ჩემო გულკეთილო ბეჟან ბეჟანიჩ! ცუდი კაცის გზა ის არის, წავიდეს და დაიღუპოს!

– დაღუპვით რად დაიღუპება, თქვენი მოწყალება ფული ბევრი აქვს, მაგრამ…

– მაშ რაღა გინდა, თუ ეგეც იცი. არა, თუ გიყვარდე, პერანგოვი გულიდამ ამოირეცხე, თუ ჩემი თავი გინდა. როგორც ყმა ორ ბატონს, ისეც შვილი ორ მამას ვერ ემსახურება და არც გაგონილა. თუ გიყვარდე, სტოლნაჩალნიკობაზედ უარს ნუ მეტყვი.

– სტოლნაჩალნიკობაზედ უარს როგორ მოგახსენებთ, მოწყალებაზედ უარს ვინ იტყვის, მაგრამ ჩემთვის სულის წაწყმედა არის, რომ ის გააგდოთ და მე იმის ადგილას დავჯდე.

– თუ გიყვარდე-მეთქი.

– აბა, რაკი მაგას მიბძანებთ, თუნდა ადუღებულს ნავთში ჩავვარდები. ნება თქვენი აღსრულდეს! ღმერთო, შენცა ხედავ, გულთამხილავო, რომ მე არც მტრობით, არც ავკაცობით ეს არ მომსვლია, არც იმის უბედურობა მდომნია, მაგრამ რაკი ასე მოხდა და ჩემი მოწყალე ივან კარპიჩი თავის სიყვარულს მაფიცებს მე უღირსსა, რომელიც მათის ფეხის ნატერფალის ალოკვის ღირსიც არა ვარ, მეტი რა გზა მაქვს!

ესა თქვა თუ არა, ისევ მივარდა და აულოკა თითქმის დამჭკნარი და უცოდველი ხელი დროულს ივან კარპიჩსა.

II

პერანგოვი თუმცა დიდი ხანია ხედავდა, რომ ბეჟანი და ივან კარპიჩი ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთსა, მაგრამ აინუნში არაფერი მოსდიოდა. ”აბა, ბეჟანი როგორ მიღალატებსო. სომეხი რომ იყოსო, კიდევ ეჭვი მექნებოდაო, ქართველი მაგას არა იქსო”, – ამბობდა ხოლმე პერანგოვი, თუმცა თითონაც სომეხი იყო. მაგრამ ცუდი ქართველსაც გამოუვა ხელიდამ და სომეხსაც, თუკი თავზედ კაცი ხელს აიღებს. მერე ბეჟანი იმის

თითქმის შინაური იყო. ისე შევიდოდა იმის სახლში და გავიდოდა, როგორც თავის საკუთარს ოჯახში; მერე ბეჟანმა შვილიც მოუნათლა და ცბიერი სომეხი პირველად მოტყუვდა ქართველისაგან, მერე რარიგად! თოკიდამ გამოშვებული კაცი ხომ ცუდია და ცუდი, მაგრამ თუ ქართველმა თოკიდამ დაისხლიტა თავი, იმაზედ უარესი არა მილეთის კაცი არ იქნება.

ჩვენი ბეჟანი ერთს საღამოზედ დაღონებული შევიდა პერანგოვთან. პერანგოვი პერანგის და მის ამხანაგის სინაბარას იჯდა და ბეჟანის ნათლულს ათამაშებდა მუხლზედ.

– ოჰ, პარუნ ბეჟან! – შესძახა გულწრფელად პერანგოვმა: – ვა! რას დაგიღრეჯია ეგ სახე?

– ცუდი მახარობელი ვარ, ჩემო ავეტიქ! – უთხრა ფარისევლურის მწუხარებით ბეჟანმა.

საწყალს და მხდალს სომეხს ფერი ეცვალა: – ანა-ხანუმ, ერთი ყმაწვილი ჩამომართვი!.. გასძახა ცოლსა.

– ერთი მითხარ, რის მახარობელი ხარ?

– ვიღასაც სოვეტნიკთან დაუბეზღებიხარ; მოვკვდი, ეს რომ შევიტყე.

სომეხი გაშრა. რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ვერა თქვა და ისე პირგაღებული დარჩა. პატარა ხანს უკან თავზარმა რომ გაუარა, გაფითრებულმა თქვა:

– რა მითხარი, ვერ გავიგონე.

– ვიღასაც სოვეტნიკთან დაუბეზღებიხარ და გამოგდებას გიპირობს. მე ეს ნამდვილად ვიცი და, როგორც შენი ერთგული, გატყობინებ, რომ შენი თავდარიგი დაიჭირო.

– ვა!.. დახე ბედის ტრიალსა!.. მე რა დანაშაული მაქვს მერე?

– რა ვიცი, შენ გეთაყვანე! მე რომ მკითხო, შენ ივან კარპიჩისათვის სიკეთისა და ერთგულობის მეტი არა გიქნია რა, მაგრამ ხომ იცი, ჩემო ძმაო, ივან კარპიჩი რუსია, კაცის გატანა და სიკეთის ხსოვნა იმათ არ იციან. მოვიდოდა ვინმე, ერთს რასმეს ცილს შეგწამებდა. ისიც, როგორც იცი რუსის ამბავი, გამოძიებაში არ შევიდოდა და დაიჯერებდა.

– აგრე იქნება. მაშ დავიღუპე, რაღა?

– ღმერთმა ნუ დაგღუპოს! დაიღუპე კი არა, შენ რა გიჭირს, ჩემო ავეტიქ, შენის ცოდვილობით და კაიკაცობით ერთი ორიოდე გროში გაიჩინე და ფეხებზედ გკიდია ყველაფერი, მე უნდა ვიცე თავში ქვა, რომ თუ ვინიცობაა შენ დაგითხოვეს, მფარველი და შემწე აღარ მეყოლება, მეც დღესა თუ ხვალე პანჩურსა მკრავენ და გამომაგდებენ. აბა მე ვიქნები დაღუპვილი, აი! სოფლად მოარული გლახა გავხდები. შენმა უბედურებამ მე დამღუპა, მე! ვინ იყო ის იუდა, რომ ამისთანა საქმე ჩაგვადენინა და გულზედ ხელები დაგვაკრეფინა? ღმერთმა მოჰკითხოს სააქაოსაც და საიქიოსაც!

– შენ ისე ლაპარაკობ, ასე გონია, ჩემი საქმე მართლა ხელიდამ წასულიყოს. ვა! განა გასწორება არ შეიძლება?

– არა მგონია.

– ფულს მივართმევ.

– ახლოც არ მიგიკარებს.

– მაშ შენ ვერას მიშველი?

– აბა, რა გიშველო? შენ იმისთანა ამაგი და ჭირნახული გაგიწევია ჩემზედ, რომ შენის გულისთვის წყალშიაც რო გადავვარდე, ცოტა იქნება, მაგრამ მაგით რა გეშველება?

– მაშ მე ახლო აღარ მიმიშვებს!.. – თქვა გულამოჯდომით საწყალმა პერანგოვმა, – კიდეც იმიტომ! ეს ორი კვირაა, არც ერთი საქმე ჩემთან არ დაუჭერია. სუყოველდღე მტუქსავს, ჯავრობს, ყველა ქაღალდსა წუნსა სდებს. თურმე ნუ იტყვი, იუდა ისკარიოტელი შესჯდომია, ბეჟან! ნუ გამიწყრები კი, და რაც მე დამიშორა, მას აქეთ შენ დაგიახლოვა, – ჰა? რა ვიცი?.. ეშმაკია… ქვეყანაა…

– რაო? – მითამ იწყინა ბეჟანმა და მითამ გულიც მოუვიდა, – კაცის ცოდვაში ნუ დგები, ავეტიქ! ღმერთი ყველაფერსა ხედავს, სულს ნუ წაიწყმედ. ჩემზედ გაქვს ეჭვი, ჩემზედ? შენს ბეჟანზედა, რომელიც შვილივით შეიმჩნივე და კაცად გამოიყვანე? ავეტიქ, არ მეგონე შენ მაგისთანა, მშვიდობით! ცული რომ დაგეკრა თავში და გაგეხეთქა, მოწამლული ისარი რომ გულში გაგეყარა, – ის კი გამთელდებოდა, მაგ სიტყვით ნატკენი გული კი თავის დღეში არ გამთელდება. მშვიდობით, ჩემო ავეტიქ, ჩემი თავის სიკვდილი მერჩივნა, მინამ მაგ სიტყვების მოსმენა. აბა როგორ უნდა დაგაყვედრო, მაგრამ დრომ მოიტანა და ვიტყვი: შენის გულისთვის ამ ორი კვირის წინად ძაღლსავით ხელები მილოკნია, ცრემლით მიხვეწნია, რომ შენ არა დაგმართოს რა და შენ ეხლა მაგას მეუბნები. მე კი გაპატივებ მაგასა, იმიტომ რომ მეორე მამა ხარ ჩემი. სიტყვა ის არის – ღმერთმაც გაპატივოს! მშვიდობით!

ესა თქვა თუ არა, ბეჟანი მითამ-და გულნატკენი წამოდგა და დააპირა გარედ გამოსვლა. ავეტიქამ კალთა დაუჭირა და ისევ დასო. ავეტიქას, რადგანაც პირველმა შიშმა სრულიად გაუარა, თავისი გამოცდილი ჭკვა მოუბრუნდა.

– ახარ, რას ჯავრობ, შე დალოცვილი? – უთხრა თამამად ავეტიქამა, – ის ზღაპარი აღარ გახსოვს, რომ ერთმა გლეხკაცმა გველი სიკვდილისაგან დაიხსნა და გველმა სიკეთის მაგიერად ყელში წაუჭირა და კინაღამ არ დაახჩო, ვა! ის კაკალი აღარ გახსოვს, რომელმაცა თქვა, რომ ცხელ პაპანაქებაში მოვლენო, მოიგრილებენო ჩემ ჩრდილშია, მერე ტოტსაც მამტეხენო და ისე წავლენო. ვა! კაცი ამისთანაა, ჩემო ბეჟან! მეც მიქნია მაგისთანა საქმე, რასაც შენა გწამებ, ვა! სიკეთისათვის სიკეთე ვის უქნია? ახარ, ამისათვის რად ჯავრობ?

– იქნება შენ გექნას, – უპასუხა თავმოწონებით ბეჟანმა, – და ბეჟანი კი მაგ ცოდვაში არ ჩადგება.

– მაშ სახელი და დიდება შენ კაცობას, თუ არ ჩადგები, მაგაზედ რად ჯავრობ?

– მე მაგაზედ კი არა ვჯავრობ, ის მეწყინა, რომ შენ, რომელიც ათასს მამას მირჩევნიხარ და რომელსაც შვილივით შეგინახვივარ, ისე როგორ გამომიმეტე, რომ ჩემი ღალატი გულში გაიტარე. აი, ჩემი გულისწვა რა არის, ჩემო კეთილმყოფელო ავეტიქ! ახლა შენ არ იცი, მართალი კაცისათვის მაგისთანა ცილი რა ძნელია!..

[1858 წლამდე]

ცხოვრების გამონაცადი და გამონაფიქრი

(ვუძღვნი ჯერ არდაბადებულ ყრმათა)

მე მქონდა ბედნიერება თქვენთვის მომეხსენებია, საყვარელნო ყრმანო, რომ მე თქვენ დაბადებულნი მგონიხართ, მაგრამ მართლა დაბადება სრულიად ის არ არის, რაც მგონიაობით დაბადებაა. მე თქვენ გიყურებთ, როგორც მომავალ კაცთა, მხოლოდ გონების თვალით, ამისათვისაც მე საჭიროდ დავინახე, რომ საზოგადოდ კაცზედ მოგითხროთ ჩემი გამონაფიქრები... რადგანაც, როგორც უწინაც მოგახსენეთ, მარტო ჩვენს ბავშვებზედ მინდა მოვილაპარაკო, ამისათვისაც ვფიქრობ, რომ ყველაზედ უწინარეს თქვენ უნდა იზრუნოთ, თუნდა ვსთქვათ მაგალითად, მეტრიკის მოწმობაზედ.

– რა არის მეტრიკის მოწმობა? – მკითხავთ თქვენ.

– მეტრიკის მოწმობა არის აკტი, დაწერილი ღერბიან ქაღალდზედ, საცა სწერია, რომ თქვენ, ესა და ესა, სწორედ და ნამდვილად გაჩნდით ქვეყანაზედ და ამასთანაც თქვენს დედ-მამას თქვენს გაჩენაში მონაწილეობა ჰქონიათ (სახელი, წოდება, ჩინი და გვარი, რომელიცა დაწვრილებით იწერება ხოლმე). აკტი ეგე ჩვენთვის, ესე იგი დაბადებულთათვის, მეტად საჭიროა, და უამისოდ იოლად წასვლა შეიძლება მარტო ერთს შემთხვევაში, მაშინ როცა თქვენ მკვდრად იბადებით, ანუ მარტო იმისთვისა სჩნდებით, რომ დაწესებული რიგი აღასრულოთ და დააგვირგვინოთ მეათე თვეზედ ორსულობა მშობელისა, – და მის შემდეგ ცხოვრება თქვენი შესწყვიტოთ.

აკტი ეგე თქვენთვისაც ძლიერ საჭიროა: იმაში ნიშნამენ კანონიერად თუ უკანონოდ გაჩენილხართ თქვენა. უკანონოდ – იმასა ნიშნავს, რომ მშობლებსა თქვენსა თქვენის გაჩენისათვის მარტო ერთად უცხოვრიათ და არა ყოფილან ქორწინებით შეუღლებულნი.

მეტრიკის მოწმობა თვალის ახილვებისვე უმალ საჭიროა, პირველად იმისთვის, რომ იგი არის პირველსახე პაშპორტისა, კოკორი ფორმულიარის სპისოკისა, ურომლისოდაც არც სახელმწიფო სასწავლებელში, არც სამსახურში, არც თავისუფალის ცხოვრებისათვის არსად არ მიგიღებენ.

წარმოვიდგინოთ, რომ მეტრიკის მოწმობა თქვენისვე ძალდატანებით გიშოვეს მშობლებმა, ანუ მალე იშოვიან. თქვენ პაწაწა მხრებიდამ ტვირთი ჩამოგეცალათ, – მერე რაღა უნდა ქნათ?

უნდა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედოთ.

მიიხედ-მოიხედოთ, ესე იგი გაიგოთ, რა არის და როგორ, შეგიძლიანთ თუ არა თავისუფლად მიეცნეთ თქვენს ყმაწვილურს სურვილსა და წადილსა, თუ თქვენის პაწაწა თვალის ახილების უმალვე უნდა დაემორჩილოთ გარემოებასა.

თუ მართლა, ვსთქვათ, თქვენ მკვდრად დაბადებულხართ, აბა როგორ არ უნდა დაემორჩილოთ?

თუ თქვენ უკანონო შვილი ხართ და საწყალი დედათქვენი მდუღარე და უსიხარულო ცრემლით ჰნამავს თქვენს პაწაწა, ბუსუსიანს თავსა, აბა როგორ არ უნდა დაემორჩილოთ?

თუ თქვენ ღარიბის შვილი ხართ და აუცილებელი ხარჯის მწუხარება და ვაი-ვაგლახი თქვენის დედ-მამისათვის გადაემეტება იმ სიხარულს, რომელიც თქვენმა

დაბადებამ მიანიჭა მათ, – გკითხავთ მე თქვენ ხელახლად და მესამედ: აბა როგორ არ უნდა დაემორჩილოთ?

თუ მკვდარი დაიბადეთ, ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, თქვენ გახრწნილების მეტი არა დაგრჩებათ რა, ჩახვალთ მიწაში და დაიშლებით, ესე იგი უსიცოცხლოდ მიახწევთ იქამდინ, სადამდინაც მიახწევენ ხოლმე სხვანი ზოგჯერ ხანგრძლივ სიცოცხლითა.

თუ უკანონოდ დაიბადეთ – უფრო ძნელია... თქვენ უნდა მთელი ძალა მოიკრიფოთ, რომ თქვენი სუსტი დედა გადააჯეროთ, რომ არ დაუწყოს ხვეწნა და მუდარება მას, ვინც თქვენის გაჩენის მიზეზი იყო. ის, ჩვეულებისამებრ, დედიშენისათვის აღარ მოიცლის – და დიდი, დიდი საქმე იქნება, რომ პასუხის მაგიერად ოცდახუთი მანეთი ან ხუთი თუმანი გამოუგზავნოს, და ესეც ხშირად ყინულზედ იწერება ხოლმე.

თუ ღარიბის შვილი ხართ – ისეთი საძნელოა, რომ თქმაც შეწუხებაა... განა ბევრი ხარჯი გინდება თქვენ თქვენის ცხოვრების პირველ ხანებში? ექვსი, ათი, თექვსმეტი გროში დღეში... ბევრი არ არი, მაგრამ თუ კი მაგოდენა ხარჯის ატანაც არ შეუძლიანთ თქვენს მშობლებსა!..

ყოველ ამიდამ თქვენა ხედავთ, საყვარელნო ყრმანო, რომ მწუხარება თქვენზედ წინ იბადება... მაშ იწექით თუ გინდათ აკვანში, თუ წოლა შეგიძლიანთ, იმ დრომდი, ვიდრე გაიგებდეთ.

დაიხსომეთ, რომ მე ძალად მოკლედ ვლაპარაკობ ყოველ ამგვარებზედ. თქვენ მეცოდებით, იმიტომ რომ არ მინდა, რომ უფრო გაგიმწაროთ სიმწარე თქვენის ცხოვრების პირველი ხანებისა; სრულად მომინდვია თქვენთვის, რომ ცხოვრების სიმწარე თითონ თქვენვე გამოსცადოთ; დღესა თუ ხვალე, ამრიგად თუ სხვარიგად, თქვენ მაგ სიმწარეს გამოივლით, შესვავთ, თუ ცხოვრებაში ახალი გზის გაყვანას შეიძლებთ.

აი ამის გამოცა, ყრმანო, ბევრნი და ძალიან ბევრნიცა სწყევლიან ხოლმე თავის გაჩენის დღესა. დღე დღე არის... ყოველს წუთში, ყოველ წამში უთუოდ ვინმე იბადება.

აი ამ მხრით კი მეშინიან ერთრიგად, რომ თქვენთან არ შევრცხვე. მე ვწერ ჯერ არდაბადებულ ყრმათათვის, მაგრამ ვინ იცის, რამდენი კიდეც დაიბადა მას აქეთ, რაც მე მძიმედ და ზლაზვნითა გამომყავს ქაღალდზედ ჩემი გამონაფიქრები... ბევრი იქნება დაიხოცა კიდეც... ”არ შეიძლება, უფ. ავტორო, პატარა ააჩქაროთ თქვენი კალამი, თუ გინდათ, რომ ყოველს ცისმარე დღეს არ დაგაკლდეთ მკითხველები?” – მეუბნებით თქვენ.

– ბატონი ბძანდებით!

თქვენ რომ მიიხედ-მოიხედოთ, ესე იგი გაიგოთ რამე, ამისათვის ბევრი ჯაფა არ დაგჭირდებათ.

მწუხარება, სიღარიბე, უილაჯობა, – ესენი ყველაფერი იმისთანანი არიან, რომ ყველას ადვილად თვალში ეცემიან. თუ რომ თქვენ გარეშემორტყმული კაცობრიობა კარგად და ზრდილობიანად გეპყრობა, თუ თქვენი პირველი სამოსელი სამაგალითო წმინდა ტილოსია ან ბატისტისაა, ადვილად მიხვდებით, რომ თქვენ ბედნიერების შვილი ხართ. თუ თქვენ დაიბადენით მინდორში ან ჭვარტლიან წნულში სადმე, ადვილად მიხვდებით, რომ ნებივრობაზედ და ბრწყინვალებაზედ თქვენ მაშინვე პრეტენზია უნდა თავიდამ გამოიბღერტოთ. თუ თქვენის დაბადების მეორე დღესვე დედათქვენი წავიდა სამუშაოდ, დღიურ ლუკმის საშოვრად, რომ თუნდ გლეხი არ იყოთ, მაინც იცოდეთ, რომ

თქვენის შთამომავლობის და გვაროვნობის ხე ჰყვავის არა მსუქან სამკვიდროზედ, არამედ მიწაზედ, რომელიც მორწყულია ჯაფის ოფლითა. თუ დაბადების დროს იხილეთ თქვენი თავი არა აკვანში და ოთახში, არამედ ძონძებში გახვეული და ქუჩაში გდებული, – და თუ არ გაგეგებათ, რა ხართ და ვინა ხართ – მონახეთ თქვენს ახლო წერილი, საცა ეწეროს: "ღვთის მოყვარე ხალხსა ვთხოვ სამადლოდ გაზარდონ (ამა და ამ სახელის) ყმაწვილი". თუ ამისთანა წერილს იპოვით, მაშინვე მიხვდებით, რომ გადაგდებული ხართ. თუ ვერ იპოვით, რასაკვირველია, ამასვე გაიფიქრებთ, მაგრამ მიხვედრით კი...

თქვენი აკვანში წოლის ხანი თითქო ძალად იმისთვის არისო, რომ ყველაფერი სინჯოთო. თქვენ თქვენთავად ამ ცხოვრების ხანში შეგიძლიანთ ძვირფასი და შეუდარებელი ცნობები მოჰკრიფოთ კაცებზედა, და ის ცნობანი თქვენ ცხოვრებაში მერე გამოგადგებათ მით, რომ მეტისმეტი ნდობა და აღტრფიალება არავისი აღარ გექნებათ. გარეშემო მრავალი ხალხი შემოგერტყისთ. თქვენ მარტო თვალი და გონება ადევნეთ; ბევრს რასმე შეიძენთ. "აი ბაიყუში, დაიწყო ბღავილი ძაღლის ნაშობმა!" – იტყვის ძიძა თქვენის ჩხავილის გამო, რომლითაც თქვენ გინდათ აცნობოთ, რომ მადა მოგივიდათ და ძიძამ უნდა მოგაწოვოთ თქვენ ძუძუ, იმიტომ რომ თქვენი მოწოვება იმას კისრად აუღია და სამაგიეროდ ფულს იღებს. იგივე ძიძა – შემოვა თუ არა თქვენი მშობელი ოთახში – მოჰყვება თქვენს ქებას, რომ "ბევრი ყმაწვილი უნახავს და ამისთანა მშვენიერის და ჭკვიანის ყმაწვილის ნახვა პირველია". აშკარაა, რომ მოისმენთ თუ არა ამ ფრაზასა და შეადარებთ, თქვენ უნებლიეთ გაიფიქრებთ: "ეს ჩემი ძიძა რარიგი დაცემულის ხასიათის დედაკაცი ყოფილაო"...

ახლა ისე რომ მოხდეს, რომ ყველანი, ვისაც კი თქვენთან საქმე დაუჭერია, ქალი თუ კაცი, სულ მაგ ორპირობაში დაიჭიროთ, რა უნდა ქნათ? მე თქვენი ვიყო, მთელი სამი დღე და ღამე სულ ვიბღავლებდი და აქეთ-იქით ვაწყვეტდი თავსა, იმიტომ რომ თქვენგან მიტევება, გაგება, გამართლება რომ მოვითხოვოთ, მაშინ როდესაც ტუჩებზედ რძე არ შეგშრობიათ, უგუნურობა იქნება და შეუძლებელიცა... რძე თქვენი მხოლოობითი საჭმელია დრომდე, ამიტომაც ამაზედ მოლაპარაკება მეტი არ იქნება. დედაკაცის გვამს მაშინ მოუვა ხოლმე რძე, როცა თქვენ იბადებით; დედის ძუძუებში არის თქვენი პირველი კაფე-რესტორანი, საიდამაც ნისიად გამოგაქვთ თქვენთვის საჭმელი და სადაც დიდი ნდობა გაქვსთ...

[1857–1858 წ.]

კოლა

I

მშვენიერ გაზაფხულის დღეს მოეფინა თავისი გამაცოცხლებელი ოქროს სხივები ახალამწვანებულ და გაღვიძებულ ქვეყანაზედა. გომბორის მთა აბიბინებული მხიარულად გადმოიყურებოდა თავის სიმაღლიდამ. მის მწვანით მოსილნი ზოგიერთგან ტიტველა ქედები, ზოგან ტყიანნი, მის ათასფერად აყვავებული მდელოები, მინდვრები, ნებივრობდნენ მზის სხივებშია. საუცხოვო იყო მის თვალახილული ბუნება!

ჯერ კიდევ დილა იყო, მაგრამ მზე მაინც კიდევ თავის ძალას აჩენდა. ერთ უშველებელ მუხის ჩრდილქვეშ, რომლის დაქანებულ მწვანე ბექურ ძირში ზედ გზის პირას დაუყოვნებლივ ბუტბუტებდა ცივი ანკარა მთის წყარო, მოჩანდნენ მგზავრები. აქ-იქ ნაყარნი ძვლები და პურის ნატეხები აჩვენებდნენ, რომ პური ეხლახან უჭამიათ მგზავრებსა. მათ შორიახლო სამი ცხენი კაზმ[მ]ოუხდელები ხარბათა სძოვდნენ წყლიან და პირველშობილ ბალახსა. ერთი ამ ცხენთაგანი იყო წმინდა ყარაბახი. როცა იგი, თითქო მიზიდული ბუნების მშვენიერებითა, ამპარტავნულად წამოიწევდა ცოხნით ლამაზსა თავსა, როცა იგი თითქო მადლიერი და კმაყოფილი ყოჩაღად მოიღერებდა კისერს, იმისი მშვენივრად მოყვანილი თავ-კისერი, განიერი, ფართო მკერდი, იმისი შავი, დიდრონი, შმაგი თვალები, იმისი სიამაყე, ერთი იმისი ლომივით სასტიკი გადმოხედვა, კაი მხედრისათვის რათაც უნდა ღირდა. მდიდრად იყო მორთული ის თავმამწონე ყარაბახელი: ჯგუფად ესხა ვერცხლი მის დიდ მკერდსა, და მის ყოველ ფეხის გადაცვლაზედ იგი გულის რახტი გამოჰსცემდა ვერცხლის ხმასა; უნაგირის მორთულობა, თვით ამ ცხენის ნებივრობით ნაპატივობა გააგებინებდა კაცს, რომ მის პატრონი თავმამწონე და ნებიერი თავადიშვილია. სხვა ორი ცხენი ამ პატიოსან ჯიშის ცხენთან სახსენებელნი არ არიან.

მუხის ჩრდილში თუმცა მოჩანდა მარტო ორი კაცი, მაგრამ პატარა ახლო რო მისულიყავით, დაინახავდით მესამესაც, რომელსაც მიედო თავი მუთაქასავით დასორსლებულ ნაბადზედ და ტკბილად ეძინა. ამას ზედ ეტყობოდა ბატონობა. ორი სხვა კაცი, ცოტა მოშორებით მსხდარნი, ჩუმად ლაპარაკობდნენ, ისე ჩუმად, თითქო ფთხილობენო, რომ ხმამ მძინარე არ გამოაღვიძოსო. ერთი ამათგანი იყო კარგა ხნიერი, დარბაისელი გლეხკაცი, იმისთანა გლეხკაცი, რომელიც პირველ დანახვაშივე მიგიზიდამთ, გაგიკადნიერდებათ, მაგრამ არც ერთის უზრდელ სიტყვით თუ ქცევით არ გადავა ზრდილობის წრესა. ამისთანა გლეხკაცნი მრავალნი არიან ჩვენ დაბალ ხალხში. მეორე ბიჭი იყო ახალგაზდა და მოხდენილი მოსამსახურე: მისი ფაქიზა ტანისამოსი, კოხტურად მოწყობილი წამოსადეგ ტანზედ, მისი ლაღი თვალის მეტყველება, მის თავისუფალი მიმოხვრა ცხადად ამბობდნენ, რომ ეს ბატონის საყვარელი და ნებიერია. პატარა ლეკური ჩიბუხი ედო პირში და ხანდაზმით ცოტა ზარმაცად გამოაბოლებდა ხოლმე ბოლსა.

– ზაქრო! – უთხრა ხნიერმა, – თუ შენც იტყვი, დროა ბატონი გავაღვიძოთ, თორემ წინ კიდევ დიდი გადასალახი გზა გვიწევს.

– ცოდოა, – უპასუხა ზაქრომ და მზრუნველობით გადახედა მძინარესა: – ხედამ რარიგად ტკბილ ძილშია? – ცოდოა, დეე პატარა კიდევ ეძინოს.

– შენი ნებაა, – მიუგო თანხმობით ხნიერმა და წამოწოლილი წამოებჯინა მკლავზედ: – შენი ნებაა, შენ უფრო იცი მაგის ანგარიშები, პატარაობითვე მაგასთანა ხარ, მაგრამ უალაგო ალაგას რო დაგვიღამდეს, არ იქნება კარგი.

– განა აქ დუქანი არსად არის?

– არა, ეხლა აღარ არის.

– ჩემ დროს აქ სადღაც იყო დუქანი.

– იყო, მართალია, ერთი დუქანი, მაგრამ მას აქეთ, რაც აქ კაცები დახოცეს, აღარავინ ბედამს დუქნის გაღებასა.

– კიდეც იმიტომა გკითხე: აქ ჩემ დროს დუქანი იყო.

– მას აქეთ ბევრ წყალს ჩაუვლია, ჩემო ზაქრო!

– ალბად, რვა წელიწადი ხუმრობა არ არი.

– განა რვა წელიწადი იქნება, რაც თქვენ რუსეთში ხართ?

– დიახ, იქნება. ჩვენ რომ აქედამ გაგვგზავნეს, მაშინ კალიობა იყო კახეთშია. აბა მას აქეთ რამდენი ხანია, იანგარიშე.

– კალიობა იყო?!.. რვა წელიწადი უნდა იყოს. ეგ მაშ კარგა ხნის ამბავია. დალახვრა ღმერთმა, მე გუშინდელი სიზმარი მგონია. მართლა, რომ ეს წუთისოფელი სიზმარი ყოფილა. თითქო გუშინა გხედამდი შენცა და ბატონსაცა უწვერულვაშოდ, დღეს კი... რვა წელიწადი!.. რვა ბელტოს ვერ გადმოაბრუნებს კაი გუთნისდედა ისე ჩქარა, როგორც ჩქარა ეს დრო გაგვეპარა ხელიდამ. სიზმარია, მა რა არი ეს წუთისსოფელი.

ამ ხნიერმა კაცმა, როგორც ბევრმა მოხუცებულმა კაცმა, ხშირად იცოდა ამ წუთისსოფელზედ და დროს შეურჩენელობაზედ ამისთანა ჩივილი.

– რვა წელიწადი!.. – თქვა მცირეს ხანს შემდეგ კიდევ ხნიერმა: – ბიჭო! კაი გაძლება კი უნდა უცხო ქვეყანაში რვა წელიწადს. – მერე, ამბობენ, თურმე იქ ღვინოც არ არისო.

– მართალია, ჩვენებური ღვინო იქ სულ არ არი.

– მიკვირს, როგორ გაჰსძელ?

– მეტი რა ჩარა იყო?

– მართალია თუკი ბატონმა გაჰსძლო, შენ რ წითელი კოჭი იყავ. მაგრამ ესეც კია, რომ თავადისშვილი სადაც უნდა იყოს, ყველგან შეეჩვევა და ყველას შეიჩვევს, ჩვენ გლეხკაცები კი უცხოობაში ვერ გავძლებთ. აი ეხლა მე ქალაქში რო ჩავალ ხოლმე – ხომ ჩვენი ქვეყანაა და ჩვენი ხალხი – მაგრამ მაინც გული ვერ მიძლევს, სულ შინისაკენ მიმიწევს.

– მართალია, მაგრამ ხომ გაგიგონია, ძალა აღმართსა ხნამსო.

– როგორ თუ ძალა აღმართსა ხნამსო? – ჰკითხა გაკვირვებით ხნიერმა: – განა შენ ძალად წაგიყვანა?

– არა, მე მაგას ჩემ თავზედ არ ვამბობ, – დაატანა მაშინვე ზაქრომ: მე ეგ ბატონზედა ვსთქვი – ეგ ძალად გაგზავნეს, თორემ ჩემთვის თავის დღეში მაგას არაფერში ძალა არ დაუტანებია, ისეთი დალოცვილი ბატონია. რო მიდიოდა, განა არა მკითხა: ”ზაქრო! წამომყვებიო?” – რატომ არა-მეთქი, ჯანაბასაც თან გიახლები, არამც თუ რუსეთშია.

– ეს უნდა იცოდეო, რომ რვა წელიწადი უნდა იქ ვიყვნეთო.

– თუნდა ათასი წელიწადი-მეთქი, შენ ცოცხალი მყვანდე, თორემ მე ჭირიც ჭირად არ დამაჩნდება. მართალიც არის. უმაგისოდ მე გაძლება სამოთხეშიაც არ შემიძლიან; პატარაობითვე მაგასთან თანშეზდილი ვარ, მერე ეგეც ერთი ღვთისაგან დალოცვილი რამ არი, ეგ მსახურისთვის სწორედ ღმერთია.

– მართალია, კაი ბატონის ხელში სიკვდილი გვირჩევნია ავის ხელში სიცოცხლესა, – მიუგო დიდის მნიშვნელობით გამოცდილმა ხნიერმა: – კაი ბატონი, ბატონი კი აღარ არის, მამაა ჩვენისთანა კაცისათვის, მაგრამ...

აქ მცირეს ხანს შედგა, თითქო ეძნელებაო იმის თქმა, რის თქმაც უნდოდა: – მაგრამ... მაგარი ესა, რომ მაგაზედ შემიტყვია, ძრიელ ანჩხლიაო: თურმე სიანჩხლეში ერთი უფროსი შემოჰკდომია და ამისთვისაც გადაჰკარგესო. ცხონებული დიდი ბატონი კი ამბობდა, ვითომ უფროსსა სცემაო და იმიტომაო, მაგრამ ის მამა იყო, იქნება მალავდა.

დიდ ბატონს ტყუილი არ უთქვამს: ამას არავინ შემოჰკდომია, ამას შემოელახა უფროსი კი არა, ფეთფებელს რო ეტყვიან რუსები, – ისა. მე ეს კარგად ვიცი, მაშინ თან არ ვახლდი?

– ფეთებაა, თუ რაღაც ეშმაკია, – თქვა ოხუნჯობით ხნიერმა, და ნელმა ღიმილმა გაუმრუდა სახე, – განა დიდი კაცი იყო?

– დიდი კაცი კი არა! ჩვენებურად უზბაშს რომ ეტყვიან, ის იყო.

– მაგისათვის ცხრა მთას იქით თავადიშვილი გადაჰკარგეს?... – ჰკითხა გაკვირვებულმა: – ვაი შენ, ჩემო თავო!.. ჩვენ მილიციაში უზბაშების ზურგზედ თავადიშვილებს ყოველ ცისმარე დღეს ტყაპატყუპი გააქვთ, თითქო ხარის ტყავსა ბღერტამენო და ბუზსაც არ იფრენენ, მაგას რა დაემართა?

– ის სხვა არის და რუსის ჯარი სხვა არის. მერე თითონაც იუნკერი იყო ჯერა, აფიცარი ყოფილიყო, კიდევ ჰო.

– რაც უნდა იყოს, ხომ თავადიშვილია?

– ეგრეა რუსების "ზაკონი" და რა ვქნა.

– ვერაფერი "ზაკონია". უბრალო უზბაშის გულისათვის თავადიშვილი თავის მიწა-წყალს უნდა მოაშორონ? მაშ რის თავადისშვილია, თუ უზბაშსაც ვერა ჰსცემს?

– ეგრე კია და შენ, რაც გინდა, თქვი.

– მერე იქ რო იყავით, არაფერი არ დაიმსახურა?

– როგორ არა, ჩინი მიიღო.

– სამსახურიცა აქვს?

– აღარა აქვს. რაწამს ჩინი მოუვიდა, თავი დაანება და აქეთ წამოვიდა. ის-ის იყო მამის უბედურობის ამბავიც მოუვიდა, ჩაჯდა ტროიკაში და წამოვიდა.

– თავი დაანება, თავი?

– დაანება.

– ბიჭოს! ცხონებული ბატონი სულ იმას შეჰხაროდა, რო შვილი სამსახურში დიდკაცობას დაიმსახურებსო და მაგან თავი დაანება!

– ეგ, ჩემო დათო, სწორედ გითხრა, სამსახურის კაცი არ არი. ეგ ერთი თვითრჯული, თავის ნების კაცია, ეგ სამსახურში ვერ გამოდგება. ერთხელ, უფროსმა მეტი სიტყვა რად მითხრაო, კინაღამ თავი ზედ არ შეაკლა. მკლავში დამიჭრეს საწყალი, კინაღამ მკლავი არ დაუშავდა.

– რა, ჩხუბი მოუვიდათ?

– გეუბნები, ერთიერთმანეთს კინაღამ თავები არ შეაკლეს-მეთქი.

– რის გულისათვის?

– წადი და ჰკითხე, რის გულისათვის? მეტი სიტყვა რად მითხრაო!

– ბიჭოს!... უფროსმა უნცროსს მეტი სიტყვა რად მითხრაო?

– მაშ! მაგისთანა ახირებულია.

– თავადიშვილია, ჩემო ზაქრო, და თავმამწონეა. ეგ ჩვენსავით ვერ მოითმენს. მაგას ფეხებზედ ჰკიდია დიდი კაცი, განა მარტო მაგას? ყველა თავადისშვილის სისხლი ეგრეა.

ზაქრომ რო ამ დათოს ღრმა შენიშვნაზედ ვერა პასუხი ხელად ვერ მოახერხა, თანხმობით თავი დაიქნივა და დადუმდა. დათოც ჩაფიქრდა. თუმცა ეს პირად ამართლებდა ბატონის ამგვარ ქცევას, მაგრამ გულში კი შიში მიეცა, რომ ამისთანა ხასიათისაა, ვისაც უნდა ამას იქით ემონოს თითონ. დიდხანს ცდილობდა, რომ თავისი

დაფარული შიში არ გამოეთქვა, მაგრამ ბოლოს მაინც შეტყობის სურვილმა ძალა დაატანა და თქვა დაბლა ხმით:

– მაშ, ბიჭო, მაგისთანა კაცი ჩვენ სიკეთეს არ შეგვყრის. თუ ტყუილუბრალოდ აპილპილდება, ჩვენ ხომ იცი, გლეხკაცები ვართ, ერთი რამ იმის საამური რომ არ წამოგცდეს, ხომ გაბრაზდება?

– კიდეც ეგ არის, ძმაო, საკვირველი, რომ, რასაც ეგ შენ და მე დაგვითმობს, იმას თავის ტოლს არ მოუთმენს, იმისთანა გაუგებარის ხასიათისაა. სალდათებს ისე შეაყვარა იქ თავი, რომ, რო მოვდიოდით, თითქმის ტიროდნენ. თუნდ ეგ არ იყოს, აი მე აქ არა ვარ? ხანდიხან რო მაგას მე სიტყვას გაუბედამ, იქნება შენ არ გაგიბედო, ღვთის მადლმა, მაგრამ, როგორც შენ მე არ მერჩი, ისე ეგ. მართალია, გაჯავრება იცის, მაგრამ ძალიან მალე დატკბება ხოლმე. ერთის სიტყვით, ღვთის წყალობაა მაგისთანა ბატონი.

– შენ პირს შაქარი, ჩემო ზაქრო! დალოცვილი ჩვენი დიდი ბატონიც მაგისთანა იყო. გაჯავრებით კი გაჯავრდებოდა, მაგრამ მერე ისე გაგიტკბილდებოდა, როგორც შაქარი.

– მახსოვს, როგორ არ მახსოვს. ერთხელ რაღაცაზედ, პატარა რო ვიყავ, ყურები დამისრისა და ერთი-ორიოდე სილაც მაჭამა; ბოლოს იმით გათავდა, რო ახალუხი მიყიდა. კაი კაცი იყო ის კურთხეული.

– კაცი რო ის იყო, აი!... დალოცა ღმერთმა!

– არც ეს დაუვარდება იმას კაიკაცობაში, ნუ გეშინიან.

– მე რისა უნდა მეშინოდეს? შეეშინდეს იმას, ვინც არაფერი იცის, თორემ მე ბატონის სამსახურში დავბერდი, ამყოლს ავყვები, დამყოლს დავყვები. ჩემი დრო გადავიდა. თუ ამოდენა ხანია ბატონს ჩემთვის გული არ უტკენია, ეხლა ამ სიბერის დროს რა ღმერთი გამიწყრება, მაგრამ ხიფათია, მოსავალია, ვინ იცის? – გაიქნივა დათომ ეჭვით თავი და გადმოინაცვლა მხარი და ისევ მეორე მკლავზედ დაბჯენილი წამოწვა.

ორივე ჩაჩუმდნენ. დათო მეტად დაფიქრდა; ბოლოს თითქო ფიქრის გადაყრა უნდა, წამოიღიღინა დაბლა: ”ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლამ, ყველა დაგიწყებს გმობასა, სადაც კი შემოგეყრები, გეტყვი შვილსა და ძმობასა”, და თითქო ამ სიმღერამა რაღაც შაღაოთი მიჰსცაო ამ მარტივ კაცსა, წამოდგა და უთხრა ზაქროსა:

– ადეგ, ადეგ, ბატონი გააღვიძე. წინ დიდი გზა გვიწევს, გადალახვა უნდა.

ზაქრო წამოდგა. მოაკრეს ხურჯინებს, დალაგმეს ცხენები და პატარა ხანს უკან მორეკეს ჩრდილოშია. ზაქრო მივიდა და ნელა ხელით გააღვიძა ბატონი. ბატონმა გაახილა თვალები, ზარმაცობით გაიზმორა და წამოდგა.

– დრო არის, – უთხრა ზაქრომ.

იმან ხმა არ გაჰსცა. ადგა, ჩავიდა წყაროზედ, შეისხა პირზედ ცივი წყალი, ამოიღო ჯიბიდამ წმინდა, თეთრი ტილოს ხელსახოცი და მოიწმინდა პირი. პატარა ჯიბის სავარცხლით ჩამოივარცხნა ცოტად შეხუჭუჭებული, შავი გძელი თმა.

მშვენიერი რამ იყო ეს წამოსადეგი ყმაწვილი კაცი! სულ იქნებოდა ოცდახუთის წლისა. ლამაზი, გამომეტყველი სახე დამწვარი ჰქონდა მზისაგან; შავი, გონიერი, ჭკვით სავსე, ცოტად მწუხარედ მაყურებელნი დიდრონნი თვალნი სავსენი იყვნენ სიცოცხლითა და ეშხითა; შავი, რგვლად დაყენებული, ხშირი წვერი ლამაზად შემორტყოდა მის უიმისოდაც მრგვალ სახესა. კარგა თვალი რო დაეკვირა კაცს, შეატყობდა, რო ის ყმაწვილი კაცი დათენთილია ადრე დაწყობილ მოუსვენარ ცხოვრებისაგან. თეთრი შალის ჩერქეზული ჩოხა შავის მასრებით მოწყობილი ლამაზადა ხატავდა მის საროს

მაღალს ტანსა და განიერ ვაჟკაცურ გადმოგდებულ მკერდსა. უბრალო, მაგრამ ლამაზი თასმის ჩერქეზული ქამარი, ვერცხლის ბალთებიანი, შვენოდა მის წვრილ ტანზედა. ზედ ეკიდა პატარა ჩაჩნური ხანჯალი სულ მთლად სევადიანი და ერთი წითელი ბუდით ჩვენებური დამბაჩა. ჩერქეზული, მდიდრად მოჭედილი ხმალი ეკრა ქართულ ხმალსავით ტანზედ. ლამაზად და ლაზათიანად შეკერილი მაღალყელიანნი ჩექმები გაწყობილი იყო მის ლამაზ ფეხზედა. წმინდა პიკეს ახალუხი, თეთრი, უმტვერო პერანგი, რომელიც ჩანდა გულზედ გადასხნილ ახალუხიდამ, ამბობდნენ, რომ ეს ლაზათიანი ყმაწვილი კაცი რიგიან ცხოვრებაში გამოცდილია. ყველაფერი ცალ-ცალკე და ყოველიფერი ერთად ამის ტანზედ იყო მარტივი, მაგრამ მოსახდენი და მიმზიდველი.

ბიჭმა ცხენი მოართო. ამან ერთხელ კიდევ ზარმაცად დაამთქნარა და გამოაჩინა ლარივით სწორედ გაწყობილი, თეთრი, "მიჯრით მიწყობილი" კბილები. მერე მივიდა ცხენთან, გაუსინჯა მოსართავები და თვალის დახამხამების უმალ ვეფხვსავით მოახტა ცხენსა. ცხენმა, რა იგრძნო მხედარი ზედ, გაიგანიერა ცხვირის ნესტოები, დაიწივა უკან, თითქო ფთხისო, აათამაშა წინა ფეხები და მერე კისერმოღერებულმა, რა შეკრა კამარა და შეიკუმშა ლომსავით, ერთი-ორიოდჯერ ისკუპა. მხედრის მარჯვე მოხმარებამ მალე ჩააგდო ფიცხი ცხენი ნაბიჯშია. უკეთესს თვალი ვერასა ნახამდა, როგორც ამ მშვენიერს, ამპარტავანს ცხენს და მის მშვენიერს და ამპარტავანს მხედარსა! ბიჭები, როცა შესხდნენ ცხენებზედ, ის ყმაწვილი კაცი კარგა შორს იყო წასული. ამათ არ ჩათვალეს საჭიროდ იმის მოწევნა და ნელ-ნელა, აუჩქარებლად აჰყვნენ შორიახლო თავის ბატონსა.

II

– დახე, რა მოხდენილია, – ეუბნებოდა იმ ყმაწვილ კაცის სილამაზისაგან გაკვირვებული დათო ზაქროსა და აჩვენებდა თავით ბატონზედ: – სწორედ ამირანია ეგ დალოცვილი. ბევრი ქალი არ ინატრებს მაგის თავსა!...

– ბევრიც შაჰკონებია გულზედ, ჩემო დათო!

– სადა, რუსეთში?

– აბა, იქა, აი!

– ეჰ, იქაური "მათუშკა", რუსის ჯაგლაგი ჩოკჩოკა, თუნდა ჩაეკონოს, თუნდა გადაეკონოს, დიდი სახარბიელო არ არი.

– რაო, ჩოკჩოკა?... ღმერთმან იცის, რა ქალებიც მე იქ მინახამს, აქ არც კი გესიზმრება.

– რა ვიცი, – მიუგო, თითქო ზაქროს აზრი იწყინაო, დათომ: – რა ვიცი, შვილო, აქ კი ვინც მინახამს, კაცი თუ ქალი, კაცის სახე კი არა ჰქონიათ და...

– რა ვუყოთ, რო აქ გინახავს! აბა იქ ნახე, – ყურებით ვერ გაძღები, ისეთები არიან.

– ჩემთვის, შვილო, არც იქ ვარგანან და არც [აქ], მაგრამ ჩვენი ქალისთანა იქ სად იქნება შენისთანა ბიჭისათვის?

– ასეთები არიან, რო... რო... ჩვენები გოგოებათაც არ გამოადგებიან. ბატონს ერთი საყვარელი ჰყვანდა, ვიღაც დიდკაცის ქალი; იმისი თვალები სწორედ, ვარსკვლავებს რო იტყვიან, ის იყო. ბევრი ხათაბალა გამოგვივლია იმის თავობაზედ.

– ხათაბალა, მე ვიცი, ჩვენ ქალებსავით ნამუსშენახული იქნებოდა! რუსის ქალის ნამუსი და ძაღლის ერთია.

– შენ ეგრე თქვი და ჩვენ კი კინაღამ ჩვენი დაგვმართეს. იმდვენი ხათაბალა გამოიარა თითონაც და მე გამომატარა, და ბოლოს იმას თავი დაანება და სხვას დაუწყო დევნა.

– თავადისშვილია და!..

– მართალია, თავადისშვილია, მაგრამ ეგ დალოცვილი მეტი-მეტი მსუნაგია. თუ ქალს სადმე თვალი შეასწრო, თუ პატარა პირწყლიანიც არის, აედევნება უკან, იმდვენსა იქს, თავის ნებაზედ მოიყვანს, მერე ამოიძულებს ისევ და თავ[ს] გაანებებს.

– გაუკალაღნებიათ. აბა ერთ ჩვენებურ ქალს შეხვდეს, ღვთის წყალობა შენა გქონდეს, მალე ეგ მოარჯულონ.

– დრო მოვა, უმაგისოდაც მორჯულდება.

– მართალია, სიყმაწვილე არავის შერჩენია, ცოლს შეირთამს და ჩამოჰყრის ყურებს დაღლილ ცხენსავით.

– ცოლს შეირთამს ეგა?

– მაშ რასა იქს?

– რას ამბობ, კაცო! კაცს გული ასუყებული აქვს ქალებისაგან და ეგ ეხლა ცოლს შეირთავს?

– ძალიან კარგად. მაშ უშვილოდ უნდა ამოწყდეს?

– რა ვიცი, უშვილოდ ამოწყდება თუ არა და ცოლს კი, არა მგონია, თუ შეირთავს. აი, რუსეთში ერთი მდიდარი ქალი ეძლეოდა, ლამაზი და ახალგაზრდა, მაგრამ ზედ გაიგალნენ და ვერ შერთეს, – არ მინდა და არ მინდაო!

– დაიცა, შვილო! კიდევ გნახამ შენ, ლიახვო, კოღოები გეხვეოდნენ, – ხომ შეგიტყვია. მე თუ არა, შენ მაინც მოესწრობი მაგის ცოლიანობას, მაშინ მომიგონე.

– ღმერთმა ქნას. განა მე კი არ მინდა, რომ ეგ დაბინავებული ვნახო, მაგრამ მაგის ანგარიშები რო მე ვიცი, არა მგონია, ცოლი შეირთოს. ცოლი არ იყო, რო რუსეთში ეძლევოდა? რატომ არ შეირთო, თუ უნდოდა? ღმერთმანი, ფულს ბევრს არ აძლევდნენ და მზითებს-და!

– ბედია, ჩემო ზაქრო! ალბათ იმ ქალს მაგის ცოლობა შუბლზედ არ ეწერა, თორემ როგორ არ შეირთავდა?

– ალბათ აგრე უნდა იყოს, – დაეთანხმა ჩვენი ზაქროც, რა ვერა გახდა-რა: – მაგრამ მე ამის ფიქრი მაქვს, რომ ამისთანა ხეტებაში თავი არავის შეაკლას. ჩვენი ქვეყანა ხომ რუსეთი არ არის, ერთი ცალლულიანი და მაგისი ჯანი!

– ეგეც კი. თუნდა ეგ არ იყოს, ყმისათვისაც კი არ ვარგა უცოლო და მერე მაგისთანა დაუნდობარი ბატონი. რა ვიცი? თავზედ ლაფი არავის დაასხას. მერე ზოგიერთს ასეთი ქალები ჰყავთ, რო თვალი ზედ დაგრჩება.

ზაქრომ ამაზედ არა უთხრა-რა. ამან იცოდა თავის ბატონის უწმაწურობა და ეხლა მართლა ფიქრში შეუვიდა და ჭკვას ახლო დაუჯდა დათოს სიტყვები. მართლა და რომ მოჰყვეს გოგოების დევნას, რა უნდა ქნას ზაქრომა? უშალოს, თუ მოეხმაროს? ამის ფიქრში იყო ბატონის მოყვარული მსახური, როცა მოესმა ბატონის ხმა, რომელიც თხოულობდა პაპიროსსა. გაჰქუსლა ზაქრომ ცხენი, მიართო პაპიროსი, მერე პირში მიიცა რა ცხენის სადავე, დაიწყო ცეცხლის კვესება ცხენშეკავებულ ბატონის წინ.

სწორედ ამ საღამოს ჩვენი ნაცნობი მგზავრები დაოფლებულ ცხენებითა მიდიოდნენ თქაფათქუფით ერთ კახეთის სოფლის ვიწრო ორღობეებშია. ჩვენ ყმაწვილ

კაცსა დაღლა ძალიან ზედ დასჩნევოდა, რადგანაც ერთი ფეხი გადმოედო უნაგირის ტახტზედ და ისე მიდიოდა; ჩვენი დათო უკან დარჩომილი და დაღლილი სთვლემდა ცხენდაცხენ და გადადიოდა ხან აქეთ და ხან იქით. ზაქროს კი გაეჩაღებინა ჩიბუხი და ახლო მისდევდა ბატონსა. პატარა ხანს უკან ეს სამივ ცხენოსანი შევიდნენ ერთ დიდ ჭიისკარებშია, გაიარეს დიდი ტრიალი ეზო და ჩამოხდნენ ერთ მაღალ სახლის კიბესთან. იმ ყმაწვილმა კაცმა, თითქო ცხენზედ დაიხუთავო, ორიოდე ნაბიჯი კოჭლობით გადადგა და გაემართა კიბისაკენ.

– ზაქრო, სანთელი! – გამოჰსძახა შუა კიბიდან ბიჭსა.

– მოგართმევ, – მიუგო ბიჭმაც. მცირეს ხანს შემდეგ ერთმა კართოფილის სანთელმა გაანათა ერთი პატარა ოთახი, ქართულად მორთული.

– ძლივს! – წამოიძახა ყმაწვილმა კაცმა და წამოწვა ტახტზედ: – ჩაი მომიტანე, – უბძანა მერე ზაქროსა. ზაქრო გამოვიდა.

ეს ყმაწვილი კაცი ეხლა უფრო დაღონებული და მოღრუბლული იყო, ვიდრე დილასა. თანდათან უფრო მწუხარება ეკიდებოდა მის სახესა, თითქო ამ ოთახის დანახვამა რაღაც სევდა განუღვიძა. ის ხმაამოუღებელი ნაღვლით ატარებდა პატარა ოთახში თვალსა, თითქო რაღაცას იგონებსო, და ის მოგონება ჰსწყლავსო. თვალებშიაც მოერია სისველე, თითქო ცრემლიაო, მაგრამ მარდად წამოდგა ტახტიდამ, მოიფშვნიტა თვალები და დაიწყო მოუსვენრად, ცოტად აღელვებულმა, წინა და უკან სიარული. მერე პაპიროსსაც მოუკიდა, მაგრამ ისე იყო გართული ფიქრებში, რომ პაპიროსი აღარ აგონდებოდა და უქრებოდა ხელში.

ვინ იცის, რა უტრიალებდა გულში ამ ყმაწვილ კაცსა, რომელსაც რვა წელიწადი არ უნახავს ეს ოთახი, სადაც პირველად თვალი გაუხილებია? იქნება პირველ მის დანახვაზედაც დაღონდა? ეგრე იცის დიდიხნის უნახავმა იმ ალაგის ნახვაზედ, სადაც ყმაწვილობა გაუტარებია. მისგან მობერილი სიამოვნება რაღაც დამაღონებელი და დამაფიქრებელი სიამოვნებაა. იგი უფრო ნელს წუხილსა ჰგავს, ვიდრე სიხარულსა, მაგრამ მის მექონე კაცი იმ ნელ, რაღაც გულის გამათბობელ წუხილსა ძნელად გაჰსცვლის სიხარულზედა. ისე ტკბილია იგი, ისე მაცხოვნებელია! ვისაც გამოუცდია სიშორე სამშობლოსი და მერე ღვთის მოწყალებით შეხვედრია მისი ნახვა, ის დამემოწმება ამაზედ. რისაგან არის ესა, ვინ იცის? მაგრამ ესე კია. ჩვენს გმირს კი არ ეტყობოდა ეგეთი სიამოვნება, უფრო ვგონებ წინააღმდეგს შენიშნავდა კაცი, თუ კარგად თვალი დაეკვირვა მის სახისათვის. ხშირად მოსდიოდა თვალზედ დაჟინებული ცრემლი, მაგრამ დაჟინებითა თვითონ თავს იმაგრებდა, თითქო ტირილისა ეშინიანო.

ზაქრომ კარგა ხანს შემდეგ ჩაი მოართო. ბატონმა ხმაამოუღებლივ აიღო სტაქანი და დადგა ფანჯრის დირეზედ. ზაქრო ფოდნოსით ხელში იდგა კარებთან და აყოლებდა თვალს წინ და უკან მოარულს ყმაწვილ კაცსა. ბატონმა ეს შენიშნა და თითქო სწყინსო ამისი აქ ყოფნა, უბძანა:

– წადი და როცა მომინდები, მე თითონ დაგიძახებ, ვახშამი არ მინდა.

ზაქრო მოტრიალდა და გავიდა, მაგრამ თავი როგორღაც გაიქნივა, თითქო ცუდი რამ შენიშნავო.

მოაჯირზედ მოგროვილიყვნენ შინამოსამსახურები, რომ როგორმე დაენახათ თავისი ახალი ბატონი, მაგრამ ზაქრო რო გავიდა, უთხრა იმათ დაღონებით:

– ეხლა წადით, თორემ ბატონი ძალიან მოწყენილია და ითაკილებს, რომ თქვენ ეგრე გარედამ ათვალიერებთ. ჩემი ყოფნაც არ ინდომა.

– რათა ბიჭო? – ჰკითხეს ჩუმათ ზოგიერთმა.

– რა ვიცი? ათასი ჯავრი და ნაღველი მოაწვებოდა გულზედ, – თქვა მონაწილეობით ზაქრომა. – კაცმა შინ ცოცხალ დედ-მამას თავი დაანება და ეხლა მოვიდა და ერთი სულიერი აღარ დახვდა, რომ საწყალისათვის "შვილო" ეთქოს. დედა მაგას აღარსად შერჩენია და მამა, მოდი და ნუ ინაღვლებ!

– მართალია, – მიუგეს ბიჭებმა და ჩუმად სულგანაბულნი ფეხაკრეფით ჩავიდნენ ძირსა.

დაღონებული ყმაწვილი კაცი ისევ ისე მოწყენილი, უფრო მგონი მეტადაც, დადიოდა ოთახში. ჩაი დიდი ხანია დავიწყებოდა და გაციებულიყო ფანჯარაში ხელუხლებელი. დიდხანს დადიოდა, ბოლოს ისე მოერია ცრემლი, რო ვეღარ შეიმაგრა და საცოდავად, გულამოჯდომით წარმოჰსთქვა თავისთავად: – "საწყალი მამა!... საწყალი დედაჩემი!... სამუდამოდ დამეკარგნენ!".

ამის მეტი აღარ ათქმევინა ყელში მობჯენილ მწუხარებამა. დაეცა პირქვე ტახტზედ და ის ვაჟკაცი, დილას ისე ამპარტავანი და ამაყი, ეხლა, როგორც ბაშვი, ისე ტიროდა. დიდხანს ეგდო ეგრე საცოდავი ყმაწვილი კაცი და დიდხანს ეგდებოდა კიდევ, თუ გულმოდგინე მსახურს არ დაეშალა. ზაქრომ რა ნახა, რო ბატონი აღარ უძახის, იფიქრა, იქნება ჩაეძინაო და ამოვიდა, მაგრამ, რა ნახა ბატონი ამ ყოფით, გაჰკვირდა და იოცა. ამოდენა კაცი ამასთან გაიზარდა, და, თუ არ პატარაობისას, ამის თვალზედ ამას ცრემლი არ უნახავს და ეხლა რა წაეკიდა? მაგრამ გონიერი მსახური მაშინვე მიხვდა, რასაც აუტირებია და არ იყო, რო თითონაც არ აუტირდა გული, ისე შეებრალა თავისი საყვარელი ბატონი.

ბატონმა ძალიან ითაკილა ზაქროს აქ ყოფნა და მრისხანედ უთხრა:

– სულელო, აკი გითხარ, მანამ მე არ დაგიძახო, აქ ნუ ამოხვალ-მეთქი. წადი, ქვეშ გამიშალე, მე არაფერი არ მინდა.

ზაქრომ იცოდა ამის ხასიათი, რო გაჯავრების დროს სიტყვის შემობრუნება არ უნდა, ხმა არ გაჰსცა და წავიდა ქვეშაგების ამოსატანად. ის კი წამოდგა, მოიხოცა ცრემლი და ქვეშაგების ლოდინში დაიწყო ისე უწინდებულად სიარული.

პატარა ხანს უკან ქვეშაგებიც გაიშალა. ზაქრომ გახადა ტანსა და ხმაამოუღებლივ გამოვიდა. ის ყმაწვილი კაცი ჩაწვა ქვეშაგებშია დასაძინებლად, მაგრამ მოუვიდა ძილი თუ არა, და თუ მოუვიდა, მოჰბერა თავისი ჩვეულებრივი დავიწყება და მშვიდობიანობა თუ არა, – ეგ ჩვენ არ ვიცით.

III

დილაზედ ადრე მეორეს დღეს ჯერ მზეს ძლივს გადმოეხარა თავისი მაცხოვნებელი სხივები მდუმარედ აყუდებულ მთებზედა, რომ ჩვენი ყმაწვილი კაცი თეთრახალუხა იდგა მუაჯარზედ და ნაღვლიანად ატარებდა თვის გარშემო მწუხარე თვალსა. მის დათენთილს, მაგრამ ლამაზს სახეს ეტყობოდა ღამის უძილობა. მუაჯარიდამ იყო საუცხოვო გადასახედ-გადმოსახედი. ერთ მხრივ ტრიალი მინდვრები, ზოგან აჯეჯილებულნი, ზოგან ტყით მუქად ამწვანებულნი, ჰსცემდნენ ერთნაირად და

თანასწორად მაჯამომატებულ ცხოვრების ძარღვსა. მდელოები შეჰღიმოდენ და შეჰხაროდენ მზის სხივებსა, როგორც ახალგაღვიძებული ბაშვი თავის დამბადებელ დედასა. მოძრავნი ჩრდილნი, სუბუქ ღრუბლებისაგან მოდგმულნი, წყლის ჭავლსავით მიცურავდნენ განწოლილი, აბიბინებულ მინდორზედა. დიდრონნი, თავმამწონე მთები, ზოგან თოვლისაგან გაჭაღარავებულნი მოხუცისავით, გულის სიგრილით გადმოჰყურებდნენ თავის მიუწვდომელ სიმაღლიდამა გაზაფხულისაგან გახალისებულთ, მწვანით მოსილთა მთათა. ის თოვლიანი მთები იყვნენ სიბერესავით გრილნი და დაფიქრებულნი, მაშინ როდესაც მათ ქვემოდამ ზოგან ტყიანი, ზოგან ტიტველა მთები მწვანით მოსილნი ჰფეთქდნენ მთელის სიჭაბუკის და განახლების სიცხოველითა. მათში ყოველიფერი იყო ჭაბუკობასავით ისე მაოცნებელი და მოუსვენარი. როგორც იმ თოვლიან მთებში სიბერესავით დამჯდარი და დამშვიდებული. მუაჯარის გვერდით დიდი ბაღი, უპატრონობისაგან თავმინებებული, ათასფერად იყო აჭრელებული. ხეხილთა ყვავილნი სხვადასხვანაირნი აფერადებდნენ საუცხოვოდ ერთნაირსა ციაგსა და გრილს ჰაერსა, რომელშიაც უხვად იყო გაფანტული ყვავილთაგან აღმოსუნთქული სურნელება. ძლიერი იყო სიცოცხლე იმ დილისა. ყოველი ძარღვი ბუნებისა სრულის თავის სიცოცხლით ჰფეთქდა დაუჩუმარად; სადღესასწაულო, გაურჩეველი გალობა დედამიწისა მიდიოდა მადლით სავსე განცვიფრებულ ცისაკენა. ცაც ისე დაჟინებით მდუმარე იყო, თითქო ქვეყანას ყურს უგდებსო. ახალგაღვიძებული, ნამით პირდაბანილი ბუნება მთელის მხიარულობით იყო გაღიმებული, მაგრამ ჩვენ ყმაწვილ კაცსა ისიც თავისავით დაღონებული ეგონა; ეგრეთ ეგოისტია და თავმოყვარეა კაცი: ყველაფერი უნდა თავის დონეზედ მოიყვანოს, თავის ნებას დაუმონავოს, და ბუნებაც იმისთანა ლბილია, რომ კაცის გული, რასაც უნდა, იმას გამოსახავს მასზედა.

ჩვენ ყმაწვილ კაცსა დიდხანს ნაცნობთა ალაგთა დანახვაზედ მთელ თავის წარსულ ცხოვრებამა გაუარა თვალწინა. მას მოაგონდა თავისი სიყრმე, აქ სამუდამოდ დამარხული. ამისი დედ-მამანი კარგ დედულ-მამულიანნი იყვნენ, უბრალო, მარტივნი ქართველნი, იმისთანა ქართველნი, რომელთაც ჩვენ ვეძახით, არ ვიცი კი რის გამო, ძველ ქართველებს. მთელმა ცხოვრებამ მათმა გაიარა მშვიდად და გაუგებრად ამ სოფელში. არაფერი დიდი მწუხარება მათ არ ენახათ და იმიტომაც ვერ გამოჰსცადეს დიდი სიხარულიცა. მაგრამ ყოველი კაცი თავისდაგვარად ეტრფის სიცოცხლესა, თავისდაგვარად ბედნიერია. ისინიც ამ სახით ბედნიერნი იყვნენ, რადგანაც კმაყოფილნი იყვნენ თავის ცხოვრებისა, და თვით ბედნიერებაც რა არის, თუ არ ხანგრძელი გრძნობა დაკმაყოფილებულ გულისა. ამათ ერთი შვილის მეტი არა ჰყოლიათ თავდაპირველ და, როგორც მოგეხსენებათ, მთელი თავის სიცოცხლე შეჰყურებდნენ და შეჰხაროდნენ იმასა. ასე იფიქრეთ, საწყალი მამა ისე მოყვარული იყო თავის შვილისა, რომ კოლა (ჩვენს გმირს ესე ჰქვიან) ცამეტ წლამდინ ვერ გამოიმეტა სასწავლებელში გასაგზავნად. "სწავლას ყოველთვის მოესწრებაო. – იტყოდა ხოლმე გულმტკივნეული მამა: – ჯერ პატარაა, გული დაეჩაგრება".

როცა ან მეზობელი, ან ნათესავი ეტყოდა ხოლმე: "შვილს ნუ აუბედურებო, გაგზავნე ქალაქშიაო", ძალიან შორს დაიჭერდა ხოლმე: "ღვთის მადლით, ეგ ერთი შვილი მომეცაო, ვერ გამოვიმეტებო, ვისაც ექვსი შვილი ჰყვანდეს, ეგ იმან უნდა ქმნასო". ხანდიხან, როცა ლამაზად მიძღებოდა და კმაყოფილი გადაგორდებოდა ხოლმე

სუფრიდამ ტახტზედ, დაიკრამდა მუცელზედ ხელს და იტყოდა: ”მე თუ არ მისწავლია, მე ვიცი...” იმისთანა კაცი იყო ჩვენი კოლას მამა.

ერთხელ ამაზედ ცოტაოდენი უთანხმოებაც ჩამო...

[1858 წ.]

კაკო

I

სოფელი ე... იყო ერთი პატარა სოფელი კახეთისა ზედ ალაზნის პირას. ის სოფელი ჰგვანდა ყოველ ჩვენს სოფელს, არაფერი შესანიშნავი არ იყო-რა იქ; ესახლა ოთხმოცი კომლი კაცი საბატონო, რამდვენიმე – საეკლესიო და უფრო ნაკლები – სახელმწიფო; არეულად მიყრილ-მოყრილი წნული სახლები, რომელთ შორის შიგადაშიგ გამოჩნდებოდა კრამიტიანი ფიცრულიც, ერთი საყდარი, დაჩაგრული ბედისაგან და დროთა ბრუნვისაგან, რაოდენიმე ნანგრევი ციხეები და გალავნები, აი რა ეცმოდა თვალში პირველ დანახვაში, როცა კაცი დააცქერდებოდა კაკლებში დამალულს სოფელს ე....სა. გლეხების სახლებშორის მოჩანდნენ შვიდიოდე თავადისშვილის თეთრი სახლები. თეთრი მეთქი?.. თეთრი კი არა, რაღაცა გამოუთქმელი ფერისა, რომელიც ამტკიცებდა, რო იგი სახლები ოდესმე ყოფილან თეთრად. ამა თავადისშვილის სახლებს ჰქონდათ ფანჯრებიცა, როგორც მოგეხსენებათ, მინებდამტვრეული; ცარიელი ჩარჩო შიგადაშიგ მინებშორის ლამაზად ხატავდა სახლსა, ზოგან კი, რომელსა სახლსაც ჰყვანდა ზრუნველი ბატონი, ცარიელ ჩარჩოს მინის მაგიერ ქონით წასმული მჭვირვალე ქაღალდი ეკრა. ამ სურათსა რო დაუმატოთ უწმინდურობა, ლაფი, ნეხვი ქუჩებში და ეზოებში, ორიოდე კაკლის ხე, რომლის ქვეშა შუადღის პაპანაქებაში მოგროვდებოდა ხოლმე სოფლის ძროხა, ესე ყველაფერი რო დაუმატოთ, წარმოგიდგებათ სრული სურათი ქართვლის სოფლებისა, რომელნიც საოცრათა ჰგვანან ერთმანეთსა.

ერთ იმ ზემოხსენებულ თავადისშვილის სახლებთაგანში სცხოვრობდა ტკბილად და აუმღვრეველად ორმოცის წლის კაცი – თავადი ლუარსაბ თათქარიძე თავის განუშორებელ საყვარელ მეუღლითურთ, რომელსაც ერქვა ქეთევანი. თავად ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული კაცი, მრგვალი (უკაცრაოდ კი არ ვიყო შედარებაზედ) – როგორც კარგი ნასუქი კურატი. ისე რო შეგეხედნათ, რომ როგორმე არ დაგენახათ თავ-კისერი, იტყოდი, გაბერილი რუმბიაო. თავი და კისერი ასეთი ჰქონდა, რომ ოფლის მაგიერ ქონი დასდიოდა თითქმის; სამკეცად ჰქონდა ნიკაბქვეშ ჩამოსული ღაბაბი, თვალები დიდრონი, დაწითლებულნი ბევრის, რასაკვირველია, ძილისაგან და არა შრომისგან, არაფერს კარგს არ ამბობდნენ თავის პატრონზედ; სახე ყოველთვის უცინოდა როგორღაც განსხვავებულ სულელობით, ამასთანავე აჩვენებდა, რო ლუარსაბი კეთილი კაცია. ყოვლისფრით სხვაში ლუარსაბი ჰგვანდა იმ ქართველს, რომელსაც ჩვენ, არ ვიცით კი რისთვის, ვეძახით ძველებურ ქართველს. იგი იყო უდარდელი, როგორც ჩიტი, თუმცა ჩიტსავით მარდი არ იყო, უზრუნველი, გულუხვი, სტუმრის მოყვარული და პატივისმცემელი. სწავლა, ღვთის მადლით, არაფრისა არა ჰქონდა, მგონი თითონაც კი არ იცემდა ბევრს თავში, რატომ არა მაქვსო. – “ეგ ეხლანდელი ჭირიაო” – იტყოდა ხოლმე

თავადი ლუარსაბი. იგი ხედავდა, რო უსწავლელადაც შეიძლება არტალის ჭამა, გადაკვრა კახურის ღვინისა მოსვენებითა და იმავე მოსვენებით სუფრაზედვე თვლემა და სუფრის შემდეგ კარგი მადიანი ძილი შესაფერ ცხვირის სტვენითა და სხ. "თუ ჩვენი მამა-პაპანი სწავლულები არ იყვნენ, როდი ვარგოდნენ, შენმა მზემ!" – იტყოდა ხოლმე ხშირად ლუარსაბი. "ჩვენი სწავლული ბოლოქანქარა დიამბეგი წინ არ დაუდგეს იმათ; აი ღმერთი ააშენებს!" – მოუმატებდა დაბლა ხმით, რომ დიამბეგმა არ გამიგოსო. – "არა, შვილო, როგორც მამა-პაპას უცხოვრია, ისე უნდა ჩვენც ვიცხოვროთ", – ამბობდა და არ იცოდა კი, იმის მამა-პაპას როგორ უცხოვრია.

ამისი ძვირფასი მეუღლე კნეინა ქეთევანი იყო სწორედ და ნამდვილი ნახევარი თავის ქრმისა. იგივე სიმგრგვლე, იგივე სიმსუქნე, იგივე მოცინარი სახე და თითქმის იგივე სულელობა და სიკეთე. ხოლოდ ორიოდე თვისებით ირჩევოდა ცოლი ქრმისაგან: ქეთევანს უყვარდა სიფაქიზე, – ლუარსაბს არც უყვარდა და არც ეჯავრებოდა. იმისთვის სულ ერთი იყო, ოღონდ კარგათ ეჭამა და მადიანად ეხვრინა ძილში, და თუნდა ლაფით ყოფილიყო გარშამო გათხუპნული; ქეთევანი ყოველთვის მოძრაობაში იყო; საკვირველი იყო, რომ ეს ამოდენა დედაკაცი, რგვალი, როგორც გორგალი, მთელი დღე ფეხზედ იდგა და დაგორავდა; ხან იქ მიგორდებოდა, ხან აქ, იქ მუჯლუგუნს წაჰკრავდა საკერავზედ მთვლემარე გოგოსა, აქ მტვერს შეჰბერტყდა; გამოვარდებოდა ბალკონზედ და მოჰყვებოდა კივილს: – "ბიჭო, ბიჭო!" – მოვარდებოდა ბიჭი. – "სად ხართ, თქვე წყეულებო? გეძახით, გეძახით, გული გამიწვრილდა. სად დაიკარგებით ხოლმე, იქნება უწყლოობით ვიხჩობით, აღარ მოგვხედამთ?!.."

– წყალი გნებავთ?... – ჰკითხამდა ხოლმე გაკვირვებული ბიჭი და გასწევდა წყლის მოსატანად.

– წყალი ვინა გთხოვა? ნეტავი, როცა წყალი გთხოვო, მაშინ წახვიდე ეგრე მარდათ! – დააყვედრებდა კნეინა. – გუშინ ვინ იყო ბაზარში?

– თავდიდა გახლდათ.

– კარგი, წადი.

პატარა ხანს უკან კიდევ მოგორდებოდა გოგოსთან, კიდევ წაუთავაზებდა მუჯლუგუნს და გამოაღვიძებდა. მერე ისევ მოვიდოდა ბალკონზედ და ისევ ისე მოჰყვებოდა ყვირილს: "ბიჭო, ბიჭო!" – მოვიდოდა ბიჭი.

– თავდიდა დამიძახეთ; სად არის? – ჰკითხამდა, ასე გონია, დიდი საქმე აქვსო.

– ბაღს ჰბარავს, შენი ჭირიმე, – მიუგებდა ბიჭი.

– წადი, უთხარ, ეხლავ აქ მოვიდეს.

– *ბატონი ხარ, – ეტყოდა ბიჭი და წავიდოდა თავდიდას მოსაყვანად. მოიყვანდა საწყალს ოფლში გაწურულს თავდიდას.

– გუშინ შენ იყავ ბაზარში? – ჰკითხამდა ქალბატონი.

– დიახ, მე გახლდი, – მიუგებდა ის.

– მაშ კარგი, წადი, კარგად დაბარე ბაღი! – ეტყოდა ხოლმე ქეთევანი, მერე შემობრუნდებოდა დაღლილი, ამოვლაში ერთს კიდევ წაჰკრამდა მუჯლუგუნს საწყალ გოგოსა და შემოვიდოდა ოთახში, სრულად დარწმუნებული, რომ ბევრი რამ გაარიგა. თავდიდა კი ჩაღუნამდა [თავსა], ზლაზვნითა მობრუნდებოდა და გაიღიმებდა როგორღაც გულმტკივნეულად: "აი დასწყევლოს ღმერთმა, რას არ მოიგონებს", გაიქნევდა ხელს და მიუბრუნდებოდა თავის ბარსა. ესე ფაციფუცობდა დილიდამ

საღამომდინ კნეინა ქეთევანი, მაგრამ იმის ფაციფუციდამ რაღაც ეშმაკის მანქანებით არაფერი არ გამოდიოდა. კნეინა ჰგვანდა სწორედ იმ სახლის მზრუნველსა, რომელიც – აქაო და შუა ბაზარში ძვირად იყიდებაო წვანილი – ჩაჯდებოდა დროშკაში, გავიდოდა ავლაბარში და იქ იყიდდა, ასე რომ, ორი შაურის მწვანილი რო სდომებოდა, ორ აბაზს წასვლა-მოსვლაში მედროშკე წაიღებდა, და თითონ კი დარწმუნებული იყო, რო ეგრეთ ყიდვაში ბევრს იგებს. თავადი ლუარსაბისათვის სიკვდილი იყო, რომ ეგრეთ მოძრაობაში ყოფილიყო. – მადლობა ღმერთსაო, რო ამისთანა ცოლი მყავს!... – იტყოდა ხოლმე სიამოვნებით ლუარსაბი, – კაი ოჯახის ბურჯია, კაი, რო მეტი არ იქნება! ერთხელ ფიქრადაც არ მოსვლია ეკითხნა, ან ეთვარიელებინა, ცოლმა რა გაარიგა დილიდამ საღამომდინ ფეხზედ დგომით. თუმცა ლუარსაბი ცოტა ზარმაცი იყო, მაგრამ იმასაც კი თავისდაგვარად საქმე ჰქონდა. მამლის ყიულისას წამოდგებოდა, დაიჭერდა გძელ ჩიბუხს, წითელ პერანგით და აბრეშუმის განიერ პერანგის ამხანაკით მძიმედ გამობ[ძანდებოდა] ბალკონზედ.

– დათო! ურმები მიდიან დღეს თუ არა?

– დიახ, გიახლებიან, – მიუგებდა დათო.

– რამდვენი?

– ოთხი საბატონო და ხუთი ბეგარისა, შენი ჭირიმე.

მერე მიუბრუნდებოდა მეჯინიბეს, რომელსაც ქერი მიჰქონდა ხოლმე ცხენებისთვის ამბარიდამ.

– ცხენებს ხომ კარგად მოუარე?

– კარგათა, შენი ჭირიმე.

– ბარაქალა, ბარაქალა! – იტყოდა კმაყოფილი ლუარსაბი, მაგრამ არც იცოდა, სად მიდიან ურმები, ან რისთვისა, არც გაიფიქრებდა თითონ გაესინჯა ურმები, – მატყუებენ თუ არა; არც ცხენს ნახამდა თითონ, ფიქრათაც არ მოუვიდოდა, რო ბიჭს შეუძლიან მოტყუება, და ეს ამბავი სწორეთ ეგრე იმეორებოდა ხოლმე ყოველ ცისამარე დღეს... მერე შემოვიდოდა შინ, მოუჯდებოდა ჩაის და კარგათ გაიბერებოდა თბილ წყლით, როგორც გლეხები იტყვიან, პატარა ხანს უკან სადილობაც მოვიდოდა; ერთი მაშინ მიძღებოდა მამაპაპურად. მერე ძილი, მერე ისევ გაღვიძება, მერე ჩაი, მერე ისევ ვახშამი და ბოლოს ისევ ძილი, – და ესე ტკბილად და განსვენებით ატარებდა დროს და იქნება თავისზედ ბედნიერი დიამბეგიც არ ეგონა ქვეყანაზედ.

როგორც ლუარსაბი, ისე იმისი მეუღლე კნეინა ქეთევანი, იყო ძალიან გულკეთილი, შემბრალებელი, თავდაბალი და გულშემატკივარი. რამდვენჯერ გლეხის დედაკაცები ყაჭის რთვითა ესტუმრებოდნენ ხოლმე საღამოზედ ღობის ჩრდილში ხალიჩაზედ მჯდომარეს ქეთევანს, ლუარსაბი კი ხოლმე, თუმც მაცდურის თვალით გადმოხედავდა ხოლმე თავის ცოლის სტუმრებს, მაგრამ ჩიბუხის წევით ბოლთასა ჰკრამდა იქით შორს, ან ელაპარაკებოდა გლეხკაცს ვისმეს; ცოლისა ცოტად ეშინოდა ამგვარ შემთხვევებში.

– ქალბატონი ადღეგრძელა ღმერთმა, – მოესალმებოდნენ გლეხის დედაკაცები.

– რასა იქ, ჩემო ბაბალე, ხო კარგათა ხარ? – ეტყოდა ხოლმე ერთს მათგანს ქეთევანი.

– თქვენის კითხვით გახლავართ, შენი კვნესამე. გუშინ ჩვენებიანთების მაზლისწულებმა კამეჩი დაიჭირეს წანახედში და გამოაშვებინეთ, აგრემც ღმერთი გაცოცხლებს შენცა და შენს ქმარსაცა, – ეტყოდა ტუჩებმოპრუწვით და თავის ქნევით ბაბალე.

– ლუარსაბ, ლუარსაბ! ქა, არ გესმის, ლუარსაბ! – შეჰკივლებდა ლუარსაბს.

– რა გინდა, ქალო? – ეტყოდა ბოხის ხმით ლუარსაბი. კნეინა უამბობდა ბაბალეს სათხოვარს; ლუარსაბიც მაშინვე გამოაშვებინებდა კამბეჩს და ჩააბარებდა პატრონს. მადლობელი ბაბალე ამოიღებდა ერთ პატარა შულო აბრეშუმს და მოართმევდა კნეინას.

– რათ ირჯებოდი, ჩემო ბაბალე! განა ეგ რო არ ყოფილიყო, ისე კი არ გირიგებდი! – თითონ კი ხელს წაავლებდა სანატრელ შულოსა.

– განა იმისთვის მოგართვი, ქალბატონო! – მიუგებდა მზაკვარი ბაბალე მორცხობით.

– ვიცი, ვიცი, მაინც რად სწუხდებოდი, – ეტყოდა კნეინა, შულო კი წაიღებოდა და ჩავიდოდა ქეთევანის ზანდუკში.

რასაკვირველია, ამისთანა სტუმრობა იშვიათი იყო. უფრო შხირად ამოვიდოდა საღამოს სადარბაზოდ მეზობელ თავადისშვილის ცოლი. მოვიდოდა ლუარსაბიც ამ დროს, წამოიძახებდა ერთს გაუთავებელს "როგორ ბძანდები" და ისევ გაბრუნდებოდა კმაყოფილი თავის პატივისცემისა.

დაჯდებოდნენ ორნივ დედაბერები, ბატონო, და მაშინ უნდა გეგდოთ ყური, რაებს ლაპარაკობდნენ. ისეთნაირად ატყუებდნენ ერთიერთმანეთს რო კაი დიპლომატებს სად შეუძლიანთ?... უცხადებდნენ ერთიერთმანეთს სიყვარულს, გულში კი ეჯავრებოდად ერთმანეთი. ერთი მეორეს აჯერებდა თავის ერთგულობას, გულში კი ფიქრობდნენ: ერთი როდის იქნება, შენი ქელეხი ვჭამოვო, რო ქვეყანამ მოისვენოსო. მერე მოჰყვებოდნენ ჭორებს, ჭორებს და ჭორებს!.. ჩვენო კეთილნო დედებო! ოხ! რა ოსტატები ხართ ჭორებში!.. არ კი ჩვენ ვაკლებთ, კაცები, სწორეთ უნდა ვსთქვათ!...

– იცით, გუშინ ზაქარიას ცოლს რა უქნია!... ბიჭს გაუჯავრებია რაღაცაზედ, – ეტყოდა ერთი მეორეს, – ზაქარიას ცოლი ხო ანჩხლია!...

– მერე რარიგი, – საშინელი! – დაჰკრამდა კვერს მეორე.

– გამოსდგომია ბიჭს, წაუძვრია ფეხიდამ ჩუსტი და, თქვენ არ მამიკვდეთ, ამთვენი უცემია, ბიჭი ლამის მოკვდეს ეხლა, – იტყოდა თავმოწონებით პირველი, რომ ახალ-ახალი, ახლად გამომცხვარი ამბავი თქვა.

– ეგ დღეს დილასვე ვიცოდი, – მიუგებდა მეორე, რო პირველობა იმას არ დარჩენოდა, მაგრამ კი არც დილას იცოდა და არც შუადღისას, იმიტომ რომ კნეინა კეკეს მოგონებული იყო, ეს-ეს არის რამდვენიმე საათის წინად.

– რას ბძანებთ! – იტყოდა გაკვირვებით კეკე; გულში ფიქრობდა: "რა მეჭორეა, ღმერთო!... ეს ორი საათი არ არის, რაც მე ეს გავიფიქრე და ამან საიდამ იცის".

– მაშ მართალი იქნება! – მიუბრუნდა კეკე ქეთევანს.

– ისე, როგორც თქვენ აქა ბძანდებით, – ეტყოდა დარწმუნებით ქეთევანი. – მე უფრო კარგი გითხრათ: იმ წუწკს ნიკოლოოზს რა უქნია!... გამოუყვანინებია თავისი გოგო... – წაუჩურჩულა რაღაც ყურში, – და ცოლიც ზედ მოსწრობია!... აი, ბატონო!...

– მართლა?

– მე მოგახსენებთ, – თავმოწონებით დაარწმუნა ქეთევანმა, დარწმუნებული იყო კი, რო არ დაუჯერებდა.

– საწყალი ბაბალე მებრალება, თორემ ნიკოლოოზმა თავში ქვა იხალოს! – გულში კი იტყოდა: ნეტავი კი ეს მართალი იყოს!... და სხვანი და სხვანი. ჭორით დაიწყებოდა დარბაზობა და ჭორითვე გათავდებოდა ხოლმე. ესე გადიოდა დღეები, თვეები,

წელიწადები და თავად ლუარსაბის ცხოვრებაში არაფერი არ იცვლებოდა. სულ ერთნაირად მძიმედ და სამაგლად მიმდინარობდა ცხოვრება ბედნიერ ცოლ-ქრმისა.

ხოლოდ კვირაობით იცვლებოდა ერთნაირად მოდენარე ცხოვრება ქეთევანისა და ლუარსაბისა: დილაზედ, რაკი მოისმოდა ნაღვლიანი ხმა დამსხვრეულ სოფლის ზარისა, კნეინა და კნიაზი დაიწყებდნენ მზადებას საყდარში წასასვლელად წირვაზედ. მივიდოდნენ, ლუარსაბი ჩადგებოდა კაცებში და ქეთევანი ჩაკუნტდებოდა ხოლმე ქალებში; და დაიწყობოდა მაშინვე ჭორი – ეს არსებითი პური ჩვენ დედებისა, ურომლისოთ გაძლება არ შეუძლიანთ, როგორც თევზსა უწყლოდ. ჩურჩული, ჩუმი სიცილი, წყევლა, ქოქვა და ყოველიფერი ესე აირევოდა ხოლმე დიაკვნის მძინარე და ერთნაირ მოდუდუნე ხმასთან. გათავდებოდა თუ არა წირვა, საყდრის დერეფანში მოგროვდებოდა სოფლის არისტოკრატია; თავადისშვილები აქ მოიკითხამდნენ თავადისშვილების ცოლებს, რომლის შემდეგაც მთელი საყდრის საზოგადოობა გაიყოფებოდა ორ დიდ ნაწილად: ერთგან კაკლის ჩრდილში მოგროვდებოდნენ თავადისშვილები გლეხებითურთ, მეორეთგან თავადისშვილის ცოლები შესაფერ უმარილით, ფერითა, ტუჩების პრანჭვითა და ყოველთვის განუშორებელ ჭორებითა. ერთს კიდევ ესე პატიოსანი დედაბერები დაატრიალებდნენ ენით ჯარასა, ერთს კიდევ გამოაცხობდნენ ცოცხალ-ცოცხალ ტყუილებს. მერე, რა დაარწმუნებდნენ ერთმანეთს ურთიერთის ერთგულობაზედ, მძიმედ დაუკრამდნენ თავსა და მთელი ეს სამაია შავებ და ჭრელებ-ჩაცმულ ქალებისა დაიშლებოდა, ყოველი მათგანი გასწევდა შინისკენ მამალ ინდაურის მედიდურობით და მსუქან ბატის სიმძიმითა. კაცები კი კიდევ დიდხანს იდგებოდნენ კაკალქვეშ, ლაპარაკობდნენ მოსავალზედ, წანახედზედ; ხშირად ხუმრობდნენ და ლაზღანდარობდნენ, რომლისა გამო მაღალი ხარხარი გლეხებისა შორს განისმოდა. ბოლოს ამათაც მოსწყინდებოდათ ესე დგომა და ესენიც თავის გონიერ ცოლებსავით დაბრუნდებოდნენ თავთავიანთ სახლში, სადაც გაშლილი სუფრა დახვდებოდათ ხოლმე მადის გასაღვიძებლად. ჩვენ ლუარსაბისათვის ეგ საშუალობა საჭირო არ იყო; ლუარსაბი ყოველთვის მზად იყო ეცა პატივი ყოველთვის მაჩივარ მუცლისათვის. რაკი შინ შემოვიდოდა და ნახამდა გაშლილ სუფრას, რომელზედაც, როგორც მოგეხსენებად, ყოველ საჭმელზედ ადრე იქნებოდა მწვანილი, ყველი, ზურგიელი, რაკი ამას ერთად დაინახავდა, პირში ნერწყვი მოუვიდოდა, მაგრამ როგორც გმირი თავს იმაგრებდა, რომ არ შეეცდინა მაცდურსა ყველსა, წითლად მოღუვო ზურგიელსა; – ადრე რო ვსჭამო, სადილი წამიხდებაო, – იტყოდა ხოლმე ენის ტყლაშუნით პირში. უყურებდა დიდხანს, დიდხანს მაცდურსა სუფრას. ბოლოს გამოვიდოდა მოთმინებიდამ და მისწვდებოდა ყველსა, მიაგორებდა ყველის თებშს, მისწვდებოდა ზურგიელს, მიაგორებდა ზურგიელსაც, მისწვდებოდა მწვანილს, მიაგორებდა მწვანილსაც შესაფერ პურის მასალით და მერე კმაყოფილი ბოყინით და თავის განუშორებელ სულელურ ღიმილით, რომელიც თითქო ამბობდა უსიტყვოთ: “შევცდიო”, მიეგებებოდა დაღლილს და უბრალოდ დაქანცულს ქეთევანს; ქეთევანი შეატყობდა რაც მოუხდენია ლურასაბს და ეტყოდა გამოჯავრებით:

– რაო, ღორო, ვეღარ მოითმინე?... დღეს არტალა გვაქვს, [მადა] ხო წაგიხდება?...

– შენ მაგისი ნუ გეშინიან, კუჭოჯან, – ეტყოდა მოხარული, რო ამითი თავდება საქმე, რო მეტი სასჯელი არ მოადგა ცოლისაგან. – შენ მაგისი ნუ გეშინიან, არც არტალას

დავაკლებ გულსა!... – იტყოდა და აასრულებდა კიდეც ჩვენი ლუარსაბი; ჭამაში იმას ყველა დაეჯერებოდა.

სადაც კი შეყრილობა იქნებოდა კაცებისა, გარიბალდიზედ რო ყოფილიყო ლაპარაკი, ის სულ ცდილობდა ჭამაზედ გადაეგდო ბაასი; სულწასულად უყვარდა თავის მადის ქება, რასაკვირველია, შესაფერ დამატებითა. ერთხელ დიამბეგის სახლში ერთმა ვიღაც ჩინოვნიკმა რუსმა ნახა და გაკვირვებით დააცქერდა ლუარსაბსა. ლუარსაბი მიხვდა, რო გააკვირა თავის სიმსუქნით რუსის ჩინოვნიკი, უთხრა სრულ კმაყოფილებით და იმავე თავისებურ სულელურ ღიმილით:

– შტო, რუსო! ტოლსტი ბურდუკ! – და დაიკრამდა თავმოწონებით მუცელზედ ხელს.

– და, კნიაზ! დავოლნო ტაკი, – ეტყოდა რუსი.

– კაკოი ტიკი? ბურდუკ, რუმბი! – მიუგებდა გამწყრალი ამ დამცირებისაგან ლუარსაბი. – ზნაიშ სკოლკო ია კუშილ? ადინ კატოლ პოლნი... ეი ბოღუ პრავდა. ვოტ სპრასი პრევოჭიკ. ონ ზნაი...

– ა მნოგო პიოტე?

– ტრი (აქ სამ თითს აჩვენებდა) თუნგი და პოტომ უხლაი!...

გაბრუნდა რუსი გაკვირებული და ფიქრობდა მგონი: "აი ოყრაყი, ამას შაუჭამია საქართველო!.."

– შტო, ბრატ, მალადეც!... – მისძახებდა მარტო დარჩომილი ლუარსაბი, რომ შაეტყო, გააკვირა რუსი თუ არა.

ერთხელ ამათს სოფელში მოსულიყო იმერეთიდამ ვიღაც პოვერნია ვიღაც თავადისშვილისა, რათა გამოერთვა ხარჯი გამოქცეულ იმერლებისათვის. გავარდა ხმა, რო ამისთანა მჭამელი თითონ მეფე გიორგიც არ ყოფილაო; რა ლუარსაბმა ეს შეიტყო, აინთო ცეცხლით, "როგორ თუ იმერელმა ჭამაში მე მაჯობოსო" და, როცა ერთ მის მეზობელს თავადსა ჰყვანდა დაპატიჟებული ყმაწვილები და მათ შორის ის იმერელიც და ლუარსაბიც, მაშინ ლუარსაბმა საზოგადოობაში გამოითხოვა ის პოვერნია: ვნახოთ, ვინა სჯობიაო. დაიწყეს ჭამა, მაგრამ რა ჭამა!... ასე გაძღა და გაიტენა საწყალი ლუარსაბი, რო სიტყვის არაქათი აღარა ჰქონდა, ფეხზედ ვეღარა დგებოდა, ასე რომ საკაცეთი წაუყვანეს კნეინა ქეთევანს თავისი სასაცილო ქმარი, რომელიც რა შლიდა ხელებს და ფეხებს, მარტო ამას ყვიროდა, მოხარული, მძიმედ და ქნეშით გზადაგზა: მე ვაჯობე, მე ვაჯობე!... თუნდა ხალხსა ჰკითხეთ! ღმერთი, რჯული, მე ვაჯობე! – ფიცულობდა ასე გულფიცხად, რო გეგონებოდათ, ამის ჯობნითა ორ სახელმწიფოს ბედი გადაწყდებაო. ისეთი მადლობელი დარჩა მას აქეთ თავის მუცლისა და მადისა, რო უცხო კაცთან არ შერცხვა მათ გამო, რო თავის სიცოცხლეში აღარ ავიწყდებოდა ეს სახელოვანი გამარჯვება.

რამდვენჯერ უამბნია, რამდვენჯერ უქია თავისი თავი ნაცნობთან და უცნობთან ამ ამბითა. მერე უნდა მოგახსენოთ, რომ ლუარსაბი დარწმუნებული იყო, რომ ის პოვერნია ძალად იყო გამოგზავნილი იმერლებისაგან, რომ შეერცხვინა ჭამაში კახელები.

– შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს, – ეუბნებოდა ვიღაცას ლუარსაბი, რომელიც სიცილით არწმუნებდა, რო იმ პოვერნიას ფიქრათაცა არა ჰქონია კახელების დამარცხება ჭამაში და სმაში, რომ იმას თავისი საქმე ჰქონდა.

– მეც არ მოგიკვდე, ეგრე არ იყოს! ძალად იყო გამოგზავნილი, – განაგრძელებდა ლუარსაბი დაჟინებით, – მაგრამ ასე გავხადე, მამაჩემი დავით არ წამიწყდება, ასე გავხადე,

რო თითონვე მითხრა, მაჯობეო. ეხლა წავიდეს და დაიკვეხოს, კახელებს ვაჯობეო!... წავიდეს, ჰიი!... სადაც თავისი თქვას, იქ ჩემიცა!... ფეხზედ დავაყენე კახელები, ფეხზედ, თორე მოგვთხრიდა სუყველასა, – იტყოდა თავის თავისვე მადლობელი ლუარსაბი. თითქო მართლა იმით დაეცვას სახელი და პატივი თავისი მამულისა. თითონ კი ამაზედ იყო დარწმუნებული და თქვენ, როგორც გინდოდეთ, ჩემო მკითხველო, ისე გადაწყვიტეთ ეს კითხვა: "ლუარსაბმა ასახელა თუ არა თავისი მამული?"

საწყალი ლუარსაბი!... ამასაც კი ჰქონია თავისი პატივმოყვარეობა, სახელის შოვნის სურვილი და მამულის სახელის წახდომის შიში!... დიაღ, ჰქონია!... აკი წვრილმან ხალხში არ არის ეგ თვისებებიო?!

II

ამ ყოვლისფრით ბედნიერ ცოლ-ქმარს თავდაპირველ ჯვარისწერის შემდეგ სდევდა უკან ერთი უბედურობა: შვილი არა რჩებოდათ ხოლმე. ხან რას მიაწერეს და ხან რასა უშვილობის მიზეზი, ბოლოს გადაწყვიტეს, რო მკითხავისთვის ეკითხათ. ჰკითხეს მკითხავსა და მკითხავმა უთხრა, რომ "თელეთში უნდა წახვიდეთ სალოცავადო, ხატია თქვენზე გამწყრალიო". დაუჯერეს მკითხავსა, შააბმევინეს ურემი, გადააფარეს შიგადაშიგ ამოგლეჯილი ფარდაგები და გასწიეს სალოცავად; მაგრამ ქალაქში კი არც გავლით და არც ჩამოვლით არ შეუვლიათ, იმისთვის, რო ქეთევანს გაეგო, რო ვინც პირველად ქალაქში შედიოდა, სამი კენჭი უნდა ჩაეყლაპა, თორე ქალაქი ცუდად დასცდიდა; ქეთევანს კენჭების ჩაყლაპა არ ეჭაშნიკებოდა. ვერც თელეთმა უშველა; ჰკითხეს მეორე მკითხავს მიზეზი უშვილობისა, ამან სწორეთ უთხრა, რო თავლის უკან რო ორმო არი, იქ ჯადო დევსო, ჯადო რო ამოიღოთ, შვილები შეგრჩებათო. დაბრუნდნენ შინ, ბევრი ათხრევინეს თავლის უკან, მაგრამ ორმო ვერსად ვერ იპოვეს; ბოლოს ნახეს ერთი რაღაც ნათხარი. ამოყარეს ნაგავი და, რასაკვირველია, იმ ნაგავში ბევრი რაღაც მჩვრები იპოვეს. როცა ბიჭებმა მოუტანეს ბატონებს მჩვრები, ორივემ ერთად შეჰყვირეს: "ეგ არის, სწორედ ეგ არის!... დაწვით და ფერფლი წყალში ჩაყარეთ"! უნდა გენახათ რა განცვიფრებით იგონებდნენ მკითხავსა.

– საიდამ იცოდა იმ კუდიანმა, რომ ჩვენ ორმო გვაქვს? – ეტყოდა ცოლს გაკვირვებული ქმარი. – აი დასწყევლოს სამმა და სამმა წმინდა სალოცავმა!... – და გადიწერდა პირჯვარს.

– წყალი რო ედგა წინ, იმაში დაინახა!... – მიუგებდა ქეთევანი, თითქო იცის რამეო.

– თუ ღმერთი გწამს! აი დასწყევლოს ჩემმა გამჩენმა! – გადიწერდა კიდევ პირჯვარს, – მართალ წყალში დაინახა!... – დაუმატებდა გაოცებული ლუარსაბი.

– მეც დავინახე, თორე იმან რო დაინახა, რა საკვირველია, – იტყუვა ქეთევანმა.

– შენც დაინახე?... აი რაღაც რგოლებსავით რო გაკეთდებოდა ხოლმე, როცა ხორბლის მარცვალს ჩააგდებდა ჯამში, ის ხო არ იყო? – ჰკითხავდა გახარებული ქმარი მისგან, რო ეგონა ამასაც ერგებოდა რამე გამოცანისათვის.

– ჰო, სწორეთ ის იყო, ვერ დაინახე? – კიდევ იტყუებდა ქეთევანი.

– როგორ არა, როგორ არა! დავინახე, მეც დავინახე! – მიუგო უფრო და უფრო თავის ჭკვისაგან აღტაცებაში მოსულმა ქმარმა. მერე მოჰყვნენ, ვის რა გაეგო მკითხავებზედ, ყველაფერი თქვეს, რასაკვირველია, პტყელ-პტყელ ტყუილებითა.

რა გავაგრძელოთ, ვერც ამ ჯადოს დაწვამ უშველათ; ბოლოს გატყვრა ერთი ბრმა ბედი და მოეცათ ვაჟიშვილი. დიდი სიხარული, დიდი ამბები შეიქმნა ლუარსაბის სახლში!... აქ ძეობაო, იქ ნათლობაო, წირვები დ პარაკლისები და სხვანი დ სხვანი!... ახალ ნაშობ დედისერთა შვილს დაარქვეს ნიკოლოოზ, რადგანაც პაპის სახელით ერთიც ვერ შერჩათ შვილი. წავიდა რამოდენიმე წელი და კოლა (ეგრე მოდისამებრ ეძახდნენ ნიკოს მაგიერ შვილსა) შეიქმნა ათის წლისა. მაშინ მამამ შემოიყვანა სახლში ერთი ობოლი ბიჭი თავის კაცისა შვილის კომპანიონად; ამ პატარა ობოლს ბიჭს ერქვა კაკო, რომელიც იყო თერთმეტის თუ თორმეტის წლისა მაშინ. კოლა თერთმეტისაც შესრულდა, მაგრამ ჩვეულებისამებრ არსად არა სწავლობდა, რადგანაც დედ-მამამ – შემდეგ ღრმა განსჯისა – სრულად გადაწყვიტეს, რომ კოლასთვის ჯერ ადრეა სწავლა.

– სწავლას ყოველთვის მოესწრობაო, – იტყოდა ხოლმე ღრმა ჭკვის პატრონი ლუარსაბ თათქარიძე. – ჯერ პატარაა, გული დაეჩაგრება!... ხან დაუმატებდა: – მამისერთა შვილია! ძლივს შემრჩა ღვთის მადლით! სწავლა დააჭლექებს, მერე რაღა ვქნა! – იტყოდა ხოლმე შეშინებული მამა. ხან როცა ლამაზად გაძღებოდა და გადაგორდებოდა სუფრიდამ ტახტზედ, დაიკრამდა მუცელზედ ხელს და იტყოდა: “მე თუ არ მისწავლია, მე ვიცი...” და ვეღარ გაათავებდა დაწყებულ სიტყვას: იქნება თავის თავისავე შერცხვებოდა ხოლმე, რო ეგრე უსირცხვილოდ ტყუოდა?!. არა მგონია!... ის იმისთანა კაცი არ იყო!

ამისთანა მზრუნველ დედ-მამის პატრონი კოლა და მისი ერთგული ამყოლი კაკო ეყარნენ დილიდან საღამომდინ საგამდლოში, ან სამზვარეულოში, ან ბიჭებში, რომელთ შორის პირველ დასაწყის სწავლას მიიღებს ხოლმე ქართვლის შვილი და რა სწავლასა!... მურტალ სიტყვებს, რომელზედაც უხვნი არიან მოსამსახურენი, საძაგელს ლანძღვას, რომელიც ბოლოს თითონვე მსახურებს მოხვდებად ხოლმე, შაირებს, გასარყვნელ ლექსებს და სხვ. ხან ორნივ ყმა და ბატონი გამოვარდებოდნენ ეზოში, დარბოდნენ ხან იქით, ხან აქეთ, წინდაუხედავად ლაფში თუ წყალში, ასე რომ, სადილად რო ამოიყვანდნენ კოლასა, კოლა იყო როგორც გოჭი გასვრილი და მოტლაპული ლაფშია. “უი შენ დედასა, – შეჰყვირებდა ხოლმე გულმტკივნეული დედა კნეინა ქეთევან, – სად მოსვრილხარ ეგრე, შენ გენაცვალოს ჩემი თავი!... გოგო! გოგო მელანავ! გამაუცვალე ყმაწვილს ახალუხი!” – შემოვიდოდა წირპლიანი, ძილისგუდა, დაგლეჯილი გოგო, რომელსაც თავზედ მოხვეულ დახეულ ხელცახოციდამ მუჭა-მუჭა წილიანი შავი თმები ამოშვერილი ჰქონდა, როგორც გახეულ მუთაქასა მატყლი. გაიყვანდნენ ფეხებისა და ხელების ქნევით კოლასა ახალუხის გამოსაცვლელად. იქნება ჩემმა მკითხველმა გაიკვიროს, რო კოლას, როცა მოიტურტლებოდა ლაფში, ახალუხს უცვლიდნენ. მართალია, თუმც მე ჩემის თვალით მინახამს, რომ ყმაწვილს დიდმარხვის პირველ დღის ლობიო აღდგომის კვირებშიაც ზედვე სცხობია, მაგრამ უნდა კაცმა მართალი სთქვას, კნეინა ქეთევანი არ იყო ამ მხრით იმ კეთილ დედებთაგანი, რომელთაც, როგორც თვალში ეკალი, ეჯავრებოდათ შვილის სიფაქიზეზედ ზრუნვა. ზემოთაცა ვსთქვი და ეხლაც მოგახსენებთ საქებარად კნეინა ქეთევანისა, რომ ერთი ჩვენის ჩვეულების წინააღმდეგი თვისება სჭირდა: ისე გაგიჟებით უყვარდა თავისთავის და შვილის სიფაქიზე, როგორც სხვა კნეინებს გაგიჟებით ეჯავრებოდათ.

ერთის სიტყვით, გაიყვანდნენ მტირალსა პატარა კოლასა, გამოუცვლიდნენ ახალუხს, მოიყვანდნენ და მოაკეცინებდნენ სუფრაზედ (კაკო, რაღა თქმა უნდა, ამ დროს

სამზვარეულოში ღრღნიდა მზვარეულისაგან მოგდებულ ძვალსა). ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ნებიერ კოლას წვენი ეცოტავებოდა.

– ცოტაა, ცოტაა!.. არ მინდა, არ მინდა, – წაიწუნებდა ხოლმე ბუტიობით და ცხვირჩამოშვებით ბუტია კოლა. თუ ვინმე შენიშნავდა, რომ ეგ ცუდი ქცევაა, ან დაუშლიდა, ან ეტყოდა რასმეს შესახებ წვენისა, მაშინ უნდა გენახათ, რა ყოფა იყო!... გადავარდებოდა გულდაღმა, ჩაჰყოფდა ფეხებს მათლაბაში და აჭყაპუნებდა ყვირილ-კივილით: – "ცოტაა, ცოტაა, არ მინდა, არა!" აიყვანდა კეთილი დედა ალერსით, ხელცახოცით გაუწმენდდა წვენში გაბანილ ფეხებს და უბძანებდა სავსე მათლაბის მოტანას.

თავადი ლუარსაბი ღიმილით უყურებდა ხოლმე თავის პატარა კოლას, ხანდისხან ბევრსაც იცინებდა: – "აი დასწყევლოს ღმერთმა, რა ეშმაკია!... ჩვენ საგვარეულოს სულ დაღუპავს"!... უხაროდა ხოლმე კმაყოფილ მამასა, რომ საგვარეულოს დაუღუპავდა შვილი.

ხანდისხან შვილის გულშემატკივარი მამა ჩაისვამდა კალთაში თავის შვილს და ამრიგად უკითხამდა რა მორალსა, გაუსხნიდა გონებას პატარა კოლასა:

– ცემი კოლა, – ყმაწვილს გამოაჯავრებდა ლუარსაბ, – ცემი კოლა რო გაიზდება, ღიმნაზიაში წავა; იქიდამ დიდი, დიდი კაცი გამოვა, დიამბეგობას მისცემენ; ალა, ცემო პატარა დიამბეგო?... – თითონ კი ნერწყვი მოუვიდოდა დიამბეგის ხსენებაზედ.

– კაკო, მამილო, სინ დალცება? – ჰკითხამდა შვილი.

– ალა, სვილო, ისიც წამოგყვება.

– სადა?

– ღიმნაზიაში.

– ლა ალის ღიმნაზიაში? – ჰკითხამდა ცნობისმოყვარე ბაშვი.

– ღიმნაზია სასწავლებელია, შვილო! იქ სულ რუსები არიან, სულ ჯოხით ხელში დადიან, ვინც კარგათ არ ისწავლის, როზგით სცემენ, პურს არ აჭმევენ, ბნელ ოთახში ჩასმენ ეშმაკებთანა, – ღრმა გონიერებით მიუგებდა ხოლმე მამა ცნობისმოყვარე შვილსა...

– იქ ალ წავალ, ალ წავალ!... შეჰყვირებდა ხოლმე შეშინებული კოლა. ისეთ გულამომჯდარათ ტიროდა, რო ასე გონია ეხლავე იმ ჯოჯოხეთში გზავნიანო. გამოვარდებოდა დედა ოთახიდამ შვილის ყვირილზედ. საწყალი შეშინებული კოლა სიბრალულის და საცოდავ სახით მიუბრუნდებოდა დედასა და ეხვეწებოდა: "დედაჯან! სენი ჭილიმე, სენი კუწისა იქ ნუ გამისვებ!..." კანკალით და თრთოლით წამოიძახებდა საწყალი ბაშვი და მივარდებოდა დედასა და შეჰყურებდა თვალებში, თითქო იქ უნდა წაეკითხაო თავის ბედისწერის გადაწყვეტილობაო.

როგორც იქნებოდა დააშოშმინებდნენ შეშინებულ კოლასა; რამდვენ ხანისამე შემდეგ პატარა კოლა ისევ უდარდელად გაიქცევოდა სათამაშოთ, მაგრამ ყმაწვილის გულში რჩებოდა ხაზი იმგვარ შემთხვევისა. მაშინ, როცა გაიცილებდა ქეთევანი კოლასა, კნეინა მიუბრუნდებოდა თავის სულელს ქმარსა:

– მაგოდენა ჭკვა როგორ არა გაქვს, რო იფიქრო, რო ყმაწვილის შეშინება არ ვარგა! ჰა! როგორ არა გაქვს? – ეტყოდა გულზედ მოსული ცოლი.

– შე დალოცვილო, რა უთხარი იმისთანა, რო გული გახეთქოდა, – მიუგებდა ქმარი მცირედი კრთომით, – მაშ აქაო და ყმაწვილიაო, ნურაფერს ნუ იტყვიო!...

– მაშ არ იცი, რო არა უნდა უთხრა რა მაგისთანა, არ იცი? – დააყრიდა და დააყრიდა ენატარტალა კნეინა, რა ნახამდა, რო ქმარს ამის ყვედრებისა ეშინიან. საწყალი ლუარსაბი! დაბრიყვებულია!... "მერე, რო გაიზდება, როგორღა წავა სასწავლებლად, ახლავ რო აშინებ, ჰა, როგორღა წავა?" დაუმატებდა ქეთევანი, რათა სრულად დაემარცხებინა ქმარი ამ კითხვით.

– არ წავა და ნუ წავა!... – ჩაიბუტბუტებდა ცხვირში ლუარსაბი. – მე თუ უსწავლელი ვარ, მე ვიცი... და ჩვეულებისამებრ აღარ გაათავებდა, რა იცის. შეჰყვებოდნენ სიტყვაზედ სიტყვით და ერთი კარგი ლაზათიანი ჩხუბი მოუვიდოდათ. ასე რომ, რამოდენიმე საათის განმავლობაში ერთმანეთს ხმას არ გასცემდნენ; ლუარსაბის მეტი ამ ხმის გაუცემლობაში არავინ არ იტანჯებოდა. გულჩვილი იყო ეგ საწყალი, ჭკვის გლახა.

ხომ ქვეყანაზედ ესრეა: ღმერთი რო კაცს დააკლებს ერთს რასმეს, მეორესგან მოუმატებს. ამბობენ, ბრმას ხელის თითები ძალიან შემტყობი აქვსო, ყრუს შორმხედავი თვალი აქვსო და ჭკვის გლახასაც მგრძნობელი გულიო.

ლუარსაბი, რაც შეეძლო, იჭერდა თავს, ცდილობდა, რომ ხმა პირველად ამას არ გაეცა ცოლისათვის, მაგრამ ეს წყეული გული არ ითმენდა, ძალას ატანდა; ბოლო მივიდოდა ცოტაოდენ კრთომით ცოლთან და გაუხუმრებდა: ხან ცხვირში შეაბოლებდა ჩიბუხის ბოლს, ხან თავს მოხდიდა, ხან ნაწნავს ჩამოსწევდა, ხან უჩკმეტდა კიდეც. ოხ! ნეტარო დროებავ! რა მამასახლისების დროის სიმარტივითა ხარ სავსე!... მაგრამ ქეთევანი, უფრო მტკიცე თავის გადაწყვეტილობითა და გულის სიმაგრითა, მაინც ხმას არა ჰსცემდა: ჩკმეტაზედ კი ეტყოდა:

– "თვალიც გამოგძვრება!... დაბერებულხარ და ტვინი გაგლაყებია!..." – თითონაც კი ჩუმად ჩაიცინებდა, თავის ქრმის სინაზეს რო განიცდიდა; ამგვარი ტრფობის გამოცხადება, როგორც ლუარსაბმა იცოდა ხოლმე, ვის არ დაასხავდა თავბრუს, ვის არ დაავიწყებდა აწინდელს ცოდვებს?! გული ხომ ქვა არ არის, რომ ამ გზითაც არ დალბეს. ოხ, ქართველო, რა კარგი რამ იქნებოდა, რო ამისთანა ცუდი არ იყო!... თუმც გული ქეთევანისა ქმრის ალერსითა ცოტაოდენ დალბებოდა, მაგრამ ქეთევანი მაინც არ ურიგდებოდა, იქნება იმისთვისაც, რომ ქმარი პირველად გამოაცხადებდა შერიგების სურვილს; აქ, რასაკვირველია, ბუნებით წვრილმანი თავისმოყვარება მაღლდებოდა კნეინასი და კნეინასაც ეს მოსწონდა გაგიჟებით; იქნება ამისდა გამო ცდილობდა, რათა განეგრძელებინა ხმის გაუცემლობა, რადგან ეგე სტანჯავდა ლუარსაბს და გამოაცხადებინება ადამის დროის მარტივ ალერსსა და სინაზეს ცოლისადმი. თითონ შემსჭვალულთა ტრფიალთა უყვარდათ ამგვარი ტანჯვა ერთმანეთისა; არამც თუ მარტო ამათ, ყოველ კაცს მოსწონს რაღაც თავისმოყვარულ, ეგოისტიკურ ფიქრით თავის თავითა დასტანჯოს მოყვარე, რომელსაც მტანჯველი თავისი უყვარს გაგიჟებით. ეს საზოგადო სნეულებაა ადამის ტომისა. თუმცა სასაცილოა ამისთანა თავისმოყვარეობა, მაგრამ ჩვენ მარტივ ცოლ-ქმარსა რათ უნდა ჩაუთვალოთ ცოდვად ის, რაც განათლებულებში თითქმის საზოგადო ჩვეულებათ არი, გავიდოდა რაოდენიმე ხანი და ბოლოს, რასაკვირველია, შარიგდებოდნენ, ჯერ კი ტკბილად დააყვედრებდნენ ერთმანეთს ურთიერთის ცოდვებს, როგორც იცით თქვენ თითონ, ჩემო მკითხველო!

ხშირად იტყოდა ხოლმე დიდ სურვილით ჩვენი ლუარსაბი: – "ნეტავი ჩემი კოლა კი დიამბეგათ მაჩვენა, რომ ათიოდე იასაული უკან მოზდევდეს და ფულებით კოჭაობდეს, და მერე თუნდა მოვკვდე!..." უნდა მოგახსენოთ, რო დიამბეგი

ლუარსაბისათვის იყო, თუ არ პირველი, არც უკანასკნელი ხარისხი კაცის სიმაღლისა; ამისდა გამო თავის მოკლე ჭკვით თავის შვილისთვის უკეთეს[ს] ვერას ინატრებდა. რამდვენჯერაც რო გეკითხათ, – რას ინატრებ შენის შვილისთვის? – ერთი და იგივე პასუხი იყო ლუარსაბის მხრით: – დიამბეგობას!

ლუარსაბი ამაში ჰგვანდა სწორეთ იმ ანგლიელსა, რომელსაც ჰკითხეს ერთხელ თურმე, რას ინატრებ ქვეყანაშიო. ანგლიელმა მიუგო, ერთ ბოთლს პორტერსა და ერთს თებშს პუდდინგს, – სრულად დადინჯებით და ცივად.

– მაინც უკეთეს[ს] სხვას რას ინატრებდი? – ჰკითხეს კიდევ თურმე.

ანგლიელი ჩაფიქრდა და რაოდენიმე ხანს კიდევ უთხრა ისევ ისე ცივად: ერთს ბოთლს პორტერს და ერთ თებშ პუდდინგს.

კიდევ გაუმეორეს კითხვა: მაგაზედ მაღალი ნატვრა და უდიდესი სურვილი მაინც რა გაქვს ქვეყანაშიაო? რას უფრო ინატრებ უდიდეს[ს] და უმაღლეს[ს] მაგაზედ?

კიდევ ჩაფიქრდა ანგლიელი დიდხანს დ მერე თქვა ისევ იმ დადინჯებით: ერთს ბოთლს პორტერს და ერთს თებშს პუდდინგს!... ასე გონია, ამაზედ უკეთესი აღარა იყო რა ქვეყანაში.

ლუარსაბი ესე გახლდათ სწორეთ: შვილისთვის დიამბეგობის მეტს არასა ნატრობდა სხვას; ან რა უნდა ენატრა სხვა?... გარშამო მიიხედავდა, დახვდებოდნენ თავის მგზავსი კაცები, რომელნიც სჭამდნენ, სვამდნენ და იძინებდნენ მთელ თავის სიცოცხლეში; იმ კაცებშორის იგი ხედავდა ყველაზედ მაღლა აწეულ დიამბეგს. ხედავდა რარიგათაც იგი კაცები ეხვევოდნენ გარშამო დიამბეგს, როგორც თაფლსა ბუზი, რარიგად პატივსა სცემდნენ, რარიგ კისრის მტვრევით მიეგებოდნენ, ეპატიჟებოდნენ. ამისთანა მოწყობილობა, რასაკვირველია, განაცვიფრებდა ჭკვაზედ უკაცრაოდ ნამყოფსა ლუარსაბს. თითონაც კი, სწორეთ გითხრათ, გულცივად არ უყურებდა დიამბეგობას; ერთს დროს თითონაც კი ცდილობდა ეშოვნა დიამბეგობა, ბევრი ფული დახარჯა, გააფუჭა იმ თანამდებობის შოვნაში, მაგრამ ვერ მისწვდა იმ მიუმწვდარს ა ნაყოფსა. სცადა მეორეთ, როცა ღვინოები გაყიდა, სცადა მესამეთ, მაგრამ ჰეჩ!... საუკუნოდ გაექცა დიამბეგობა!... მაშინ კი სრულად დარწმუნდა, რო დიამბეგობა დიდი რამ არი. “რაც ძნელი საშოვარია, ის ძვირიც არისო”, “ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარ ღირდეს არცა ჩირად”, – ამბობდა ხოლმე დიამბეგობიდამ ხელცარიელი ლუარსაბი თავისთავის სანუგეშებლად. მეტი რა ილაჯი იყო. ამის გარდა სხვა ნუგეშიც შეეპარა გულში თავადს თათქარიძესა: “მე თუ არ გავხდი დიამბეგად, ჩემი შვილი ხო გახდება” – ამბობდა გულში ლუარსაბი. – “დაიცა ერთი, ღიმნაზიაში გავგზავნო!...” მაგრამ სად იყო ღიმნაზია საწყალ კოლასთვის! ჯერ შინაური, დასაწყისი შკოლა სრულად არ გაევლო!...

როცა საღამოჟამზედ შეიყრებოდნენ ხოლმე ლუარსაბის სახლში ან სადარბაზოდ, ან სტუმრობა ჰქონდა ლუარსაბს, უნდა გენახათ მაშინ ჩვენი კოლა რა ბედნიერებაში იყო!... ამოიყვანდნენ პრუწუნით ოთახში, დედა ჩაისვამდა კალთაში და ეტყოდა: – “აგე, ძია რას გეუბნება, აბა შენც უთხარი რამე; ჩემო, კარგო!...” ამასთან რაღაცას წაუჩურჩულებდა ხოლმე კეთილი დედა პატარა ბაშვსა. ჭკვიანი კოლა ჯერ მორცხობდა; ახლა მამა გამოუვლიდა ჩიბუხის წევით პატარა კოლასა და შეაბოლებდა თავისებურ ღიმილით საწყალს ყმაწვილს თვალებში ბოლს, ასე რომ ცრემლები წამოსცვიოდა კოლასა ლამაზ ჟუჟუნა თვალებიდამ. – “აბა,– ეტყოდა მამა, – ერთი შენებურად შეუკურთხე შენს ბიძიას!...” გათამამებული მამისაგან კოლა მართლადაც შეუკურთხამდა, მერე ასერიგად,

რომ აქ არ ითქმის, ჩემო მკითხველო! ასტყდებოდა სიცილი, ქება პატარა კოლასი, კოცნა და ხვევნა ყმაყოფილ და ბედნიერ დედისა, რომელსაც არ ესმოდა, რომ აქავე, დედის კალთაში საუკუნოთ ხდება და ირყვნება შვილი.

– "საკვირველი გონების ყმაწვილი გახლავთ, თქვენმა მზემ, კნეინა!" – უთხრა ერთხელ ღიმილით კარის ღვდელმა კნეინა ქეთევანს, როცა კოლამ ყმაწვილურ ენაჩლუნგობით უთხრა ღვდელს "წვერ-ძაღლო".

ასე იზდებოდა კოლა, ასევე იზდებოდა ყოველი ქართვლის შვილი, რომელიც შინავე დედის კალთაში მიიღებს ხოლმე თესლსა მომავალ წარხდენისას და თავის უბედურობისას, საწყალს დედას კი ფიქრად არ მოუვა ესა... უნდა კი ვსთქვა, რომ ცქვიტი და ცელქი კოლა იყო ძალიან ნიჭიერი და გონიერი ბუნებითა; ვინ იცის ჩვენო მკითხველო, რა კაცი გამოსულიყო იგი სხვა საზოგადოობაში და სხვარიგ შინაურ გაზდაში; ვინ იცის, რა სახელს დაიგდებდა იგი თავის სიკვდილის შემდეგ; ეხლა კი... მაგრამ ეს მერმე იყოს... ბევრი კიდევ სხვა რამ არის სატირელი ჩვენ უფერულ ცხოვრებაში!...

III

რასაკვირველია, ჩემო მკითხველო, ბევრი იმედი იყო, რომ კოლა მართლა-და დიამბეგი გამოვიდოდა!.... კოლა შესრულდა ცამეტის წლისა, მაგრამ დედ-მამა მეტისმეტი სიყვარულის გამო არ იმეტებდნენ შვილსა, რო სასწავლებლად გაეგზავნათ; საწყალ მარტივ გაუნათლებელ ქართველებს ამ გამოუმეტლობაში ეგონათ მართალი სიყვარული!...

ბოლოს, როცა კოლა გადადგა თოთხმეტის წლიდამ მეხუთმეტეში, მაშინ კი ძლივს-ძლივს გაბედეს მისი ქალაქში გაგზავნა. ბევრი ტირილი, ხვევნა და კოცნა დედის მხრით, გულამომჯდარად სლოკინი თხუთმეტის წლის ბაშვის მხრით, რასაკვირველია, იქნებოდა გაყრის დროსა, მაგრამ ჩვენ ამას დავანებებთ თავსა. ამას კი ვიტყვით, რო როცა კოლა გამოესალმა შინაურობას და აპირობდა უგულოდ ცხენზედ შეჯდომას, მაშინ ჩაეგება ქვევით გულმტკივნეული დედა და ტირილით უთხრა:

– სად მიდიხარ, შვილო, სათუთობით და ნებივრად გაზდილო! ვუი შენ დედასა, რო ის გიმეტებს შენ! ვინ იცის, რამდვენი გცემონ, რარიგად დაგტანჯონ!... – ტიკტიკებდა ქეთევანი, ის კი არ იცოდა საწყალმა, რომ ამ სიტყვებით აქავ აძულებს სასწავლებელსა და სწავლასაცა, – "თუ, ვინიცობაა, ვერ გაძლო, მომწერე, შვილო; თუ წერა არ გეცოდინება, შემომითვალე მეურმეების პირით, რომელნიც ხშირად ჩამოდიან ქალაქში ქირაზედ, და მეორე დღესვე ცხენებს გამოგიგზავნი. სულე, შენ გენაცვალოს შენი დედა", – აშოშმანებდა ხუთმეტის წლის ბაშვსა კნეინა, – "სულე, შენი ჟუჟუნა თვალების ჭირიმე! ღმერთი ხომ ხედავს, მე არ მინდოდა შენი გაგზავნა, სულ მამისშენის ბრალია!" – გადააბრალა სრულად უმიზეზოთ ლუარსაბსა მეჭორე ქეთევანმა. აქ პირველად გაურბინა ძარღვებში კოლასა მამის უსიყვარულობის ეჭვმა. საწყალო კოლავ!... რარიგად გიხლართამენ გზებს! მერე ვინა? შენივე დედ-მამა, რომელთა თვით არ იციან რა ცოდვაში დგებიან!...

ერთი სიტყვით, ამ გაზეპირებულ შესაბრალებელ სიტყვებ შემდეგ, შემდეგ წარამარა ტირილის, ნუგეშის ცემისა, კოლა შეჯდა ცხენზედ და გასწია ქალაქისაკენ. უკან მიზდევდა ორი ბიჭი და კაკო, ერთ ძუნძულა ჯორზედ მჯდარი, მიჩაკჩაკებდა თავის პატარა ბატონის უკან. მესამეს დღეს, შუადღისას, ჩვენი მგზავრები ჩავიდნენ ქალაქში.

პირველ ქალაქის ნახვამვე შეაძულა ქალაქი. მტვერი ქალაქისა, გროვა უსაქმო ხალხისა, შემაგუბებელი სულისა ჰაერი, დროშკის რახარუხი, ყრუ კიჟინა და ხმაურობა, მერე თავისთავის მარტოობა ამ უცხო ქვეყანაში, სადაც ეს არავის იცნობდა და ამასაც არავინ, ესე ყოველიფერი მოუწყლავდა გულს დაღლილს კოლასა. ნამეტნავად ამ შემთხვევის შემდეგ სრულად შეიძულა ქალაქი ნებიერმა კოლამა.

შუა ბაზარში რო მიდიოდნენ ეს ოთხი ჩვენი ნაცნობი მგზავრები, წყეულ ბაყლებმა მაშინვე სულით იცნეს, რო ახლები არიან და მოჰყვნენ დაცინებას.

– კნიაზო, კნიაზო! ვა, ცხენს ნალი დავარდა! – დაუყვირა კოლასა ერთ მათგანმა. ხარხარი ხალხისა ამ სიტყვაზედ დააყრუვებდა კაცს. კოლა გაწყრა და გაწითლდა. მერე ცოტა კიდევ რო აიარა, მეორე ბაყალმა წამოავლო ერთ მოდიდო გოგრას ხელი, დაანახვა კოლასა და უთხრა დაცინებითა: "კნიაზო, ვირის კვერცხი არა გნებავს? ხათრისათვის იაფად მოგართმევთ!" კოლას მოესმა კიდევ ხარხარი ხალხისა, გაწყრა, ალიმული აუვიდა სახეზედ, მიუბრუნდა ბაყალს და ერთი ასეთი გადუჭირა ცხვირპირში თავის ჩერქეზული მათრახი, რომ ტყლაშანი გამოიღო. "გიჟია, გიჟია", – მისძახა ერთობ ხალხმა, როცა კოლამ ყოჩაღად შემოატრიალა ცხენი და გაახტუნა ოქრომჭედლების ქუჩისაკენ. "გიჟია, გიჟია!" – მისძახდა ხალხი, ვიდრე კოლა არ მიეფარა ქუჩასა.

როგორც იყო, მივიდნენ ჩვენი მგზავრები იმ სახლში, სადაც იდგნენ ნათესავები ლუარსაბ თათქარიძისა და სადაც უნდა დამდგარიყო ჩვენი კოლა თავის კაკოთი. კოლას აქედამ უნდა ევლო ღიმნაზიაში. ეს სახლობა იყო სწორეთ მეორე ეგზემპლიარი ლუარსაბის სახლობისა, ხოლოთ ესე ცოტად უფრო გარყვნილი იყო ქალაქის ჩვეულობითა. თავი სახლისა იყო ერთი მოხუცებული ქვრივი, თავადის ცოლი; თუმცა გული კეთილი ჰქონდა და კეთილის მსურველი იყო, მაგრამ ეგ იყო იმ ადამიანთაგანი, რომელიც თავის სიკეთით უფრო აფუჭებს კაცს, ნამეტნავად ყმაწვილს, ვიდრე სხვა თავის ბოროტებითა. ორ დღეს უკან კოლა წაიყვანა ამ კეთილმა დედაკაცმა ღიმნაზიაში და ჩააბარა ერთს ქართველ ზედამხედავს სკოლისასა, რომელსაც დაჰპირდა სააღდგომოთ ბატკანი და ყველი, თუ კარგათ უპატრონებს კოლასა. კოლა შეიყვანეს და დასვეს პირველ კლასში; ოსტატი ჯერ არ მოსულიყო. კოლა ძალიან მორცხობდა უცნობ ყმაწვილებ შორის, რომელნიც გიჟობდნენ. დახტოდნენ და ერთი ყოფა გაჰქონდათ; რა კოლა ნახეს ყმაწვილებმა, ერთს წუთს ალიანქოთი დადგა, ყველანი გარს შემოეხვივნენ და ცნობისმოყვარეობით შაჰცქეროდენ პირში. ზოგი, უფრო ცელქნი, უკანიდამ საწყალს ახალსმოსულს ხან თმას გაუწევდნენ, ხან თავში ჩაჰცხებდნენ; ხან მუჯლუგუნებს უთავაზებდნენ. კოლა გაწყრებოდა; რა მის წყრომას ნახავდნენ ყმაწვილები, უფრო გააწვალებდნენ; იყო ერთი ხათქათი, სიცილი და ყვირილი; ამ დროს შემოვიდა ოსტატი ერთ კაი სქელ და პტყელ ჯოხით, რომელსაც სახაზეს ეძახდნენ სკოლებში. მყის ჩაჩუმდნენ ყმაწვილები ისე, რომ ბუზი გაფრენილიყო, შეიტყობდი. ოსტატის სახე იყო მრისხანე და ზედ ეწერა სურვილი ცემისა.

– ვინა ყვიროდა აქა! – წაავლო ერთს ყმაწვილს, რომელიც მოხვდა ხელში, ყურებში, – ვინა ყვიროდა, მითხარი, – დაუყვირა ოსტატმა საზარელ ხმით.

საწყალი ყმაწვილი გაფითრდა და აირია და ისე უნებლიეთ გაიშვირა ხელი კოლასაკენ. ყმაწვილებმა ერთბამად მისძახეს: – ეგა ყვიროდა, ეგაო! – და უხაროდათ, რო იპოვეს, ვისაც დააბრალონ.

მივარდა კოლას გახარებული ოსტატი, რო მიეცა შემთხვევა ვისიმეს ცემისა. – გამოშალე ხელი, – დაუყვირა წარბებშეკრულმა ოსტატმა. კოლამ ხელი არ გაუშალა. – შე ძაღლო, არ გესმის, გამოშალე-მეთქი, – შეჰყვირა უფრო მრისხანეთ. აინთო ცეცხლით კოლა, შაშინდა, მაგრამ მაინც ხელი არ გაუშალა. – არ გამოშლი, შე საძაგელო? – და გადასწვდა, რო გამოაშლევინოს ძალად ხელი.

მაშინ დაჯდომილმა კოლამ ჰკითხა ნახევარტირილით თითქმის:

– რა დავაშავე, რო ცემას მიპირობთ?

– შენ აქ ჰბედავ სიტყვა შემომიბრუნო! ჰა, შენ აქ შეიძელი კიდეც ოსტატსა ჰკითხო, რათა მცემო, ჰა! – და გადააწნა ერთი ათიოდე სახაზე ბეჭებზედ საწყალ კოლას, რომელსაც დანაშაული არა ჰქონდა რა. მერე გამაათრია სკამიდან, თმებით წამოითრია და დაახალა ფიცრის იატაკზედ მუხლებზედ. – მე შენ გასწავლი, როგორ უნდა იქცევოდე, ჯერ პატარა დამაცა!... – უთხრა დორბლიანმა ოსტატმა და ერთიც წაუთავა ლაწანი ყბაში. ამ შემთხვევამ და ბევრმა კიდევ ამის მგზავსმა შემთხვევაებმა პირველად დაარწმუნეს კოლა, რო ქვეყანაზედ სამართალი არ არი და ასწავლეს კოლასა უსამართლობა! ბევრი ხანი გავიდა, რაც კოლა ღიმნაზიაში დადიოდა, და აქაურმა სწავლამ, თუ ქცევამ, თუ ოსტატებმა, სრულად დააჯერეს ჭაბუკი გული კოლასი, რომ კაცი სხვა კაცის საუბედუროთ უნდა სცხოვრებდეს.

რასაკვირველია, ამ საზოგადოებაში ყოფნამა შეაძულა სწავლა კოლასა და აუცრუვა გული! აბა რაღას ისწავლიდა, რაც პირველ დღესვე ნახა, იმის შემდეგ?... მერ საწყალ გონიერს ყმაწვილს, რომელმაც რუსული ინჩეც არ იცოდა, რუსულად უსხნიდნენ და რუსულად ასწავლიდნენ; დიდი ჭკვიანი პედაგოგები კოლას უსწავლელობას უნიჭობას და ზარმაცობას აწერდნენ და სცემდნენ, სცემდნენ და სცემდნენ საწყალსა ამის გამო. ის კი ვერ მოეფიქრათ, რომ რუსული არ ესმით ახალთ მოსწავლეთა.

ერთხელ იყო ღრამმატიკის კლასსი. კოლა საწყალი წამომდგარიყო დილის ოთხ საათზედ და დუდუნებდა გაკვეთილსა რვა საათამდინ. კითხულობდა და კითხულობდა და, რასაკვირველია, არა ესმოდა რა, და რადგანაც არა ესმოდა რა, არც არაფერი შესდიოდა თავში. წავიდა, როგორც იყო, ღიმნაზიაში, დაღლილი, გაყვითლებული და ერთი ღამის უძილო, იმისთვის [რომ] იმ წინა ღამეს კიდევ ღვთისმეტყველება ესწავლა დიდხანს.

პირველადვე კოლა გაიყვანა ღრამმატიკის ოსტატმა და, როცა ოსტატმა მრისხანეთა ჰკითხა: – შტო ტაკოე ღრამმატიკა? – მაშინ ღრამმატიკა და ღვთისმეტყველება აერივნენ ერთად შაშინებულ კოლასა.

– ნუ, შტო ტაკოე ღრამმატიკა, გოვორი, ბალვან! – უფრო მრისხანეთ ეტყოდა ოსტატი, რომელიც სთვლემდა სკამზედ.

– გრამმატიკა იესტ კ პრავილნომუ ურაზუმენიუ სვიასჩენავო პისანია, – ამბობდა საწყალი კოლა და თითონაც არ ესმოდა რას ამბობდა; მიხვდა კი რომ ღვთისმეტყველებიდამ რაღაც შემოურივა, მაგრამ არა სჯეროდა.

– ვოტ ტებე კ პრავილნომუ ურაზუმენიუ, – შეჰყივლა შესაფერ სილითა კაცმოყვარე პედაგოგმა, – ვოტ ტებე ი სვიასჩენოე პისანიე, დურალეი! – და გაიგდო წიხლქვეშ, მერე ჰკრა პანჩური და გამოაგდო კარში.

ეგრე იზდებოდა კოლა ღიმნაზიაში. კოლა რამდვენჯერმე გამოაგდეს კლასიდამ გარეთ, მერე იფიქრა, ეგრე ხშირა დრო მაგდებენ კარში, მოდი, ქუდს დავმალავ გარეთ სადმე და, როცა გამომაგდებენ, დავიხურამ და შინ წავალ. თქვა და აღასრულა კიდეც

მეორე დღესვე. კიდევ იმ ღრამმატიკის ოსტატმა გამოუძახა გარეთ კოლა; კოლა გამოვიდა, წავიდა, იპოვნა დამალული ქუდი, გადმოხტა ღობეზედ და დააპირა გაქცევა.

– თათქარიძე, თათქარიძე! – მოესმა ძახილი ყმაწვილებისა; მიიხედა, ნახა რო ათიოდე ყმაწვილი დგანან სწორეთ თავისებურად გამოგდებულნი გარეთა და თავისებურად გამოპარულნი სკოლიდამ.

– გაბაან-ტოტზედ არ წამოხვალ საბანაოთ? – ჰკითხა ერთმა მათგანმა.

– გაბაან-ტოტი კი არა, ყურები მიწივის ცემისაგან, რა დროს ბანაობაა? – უთხრა შეწუხებულმა კოლამ.

– ჩვენ კი არ გვიწივის?... შენ თუ მაგას აჰყევი, კლდეზედ გადავარდი. აი, ჩვენ გვიყურე, დღეში ხუთჯერა გვცემენ, მაგრამ ყურსაც არ ვიბერტყამთ, გამოგვაგდებენ და ჩვენც ეგ გვიხარიან. წამო, რას ამბობ! წავიდეთ, ცურვას გასწავლით, – ატყუებდნენ ყმაწვილები. ბოლოს აჰყვა ესეც იმათა და მაშინ შეეჩვივა სკოლიდამ ხშირად სირბილს გაბაანთ-ტოტისაკენ, სადაც ბევრი ამხანაკები დახვდებოდნენ ხოლმე. იქ გააბამდნენ სადილობამდინ ხან ართურმას, ხან ბურთსა და სადილად წიგნებით იღლიებქვეშ მოვიდოდნენ შინ და ატყუებდნენ დედ-მამას, რო ღიმნაზიაში ვიყავითო. აქ გაირყვნა სრულიად კოლა; რაც სამაგლობა იქნებოდა ქალაქში, სულ აქ მოხდებოდა ხოლმე; კოლას ჯერ სრულიად სძაგდა ესე ყოველი, მერე ცოტ-ცოტად შეეჩვივა და ბოლოს თითონაც დაემგზავსა იმას, რომელის ყოფაც უწინ დასანახავათაც ეძაგებოდა. ეგრე წახდა საუკუნოდ ჩვენი კოლა!... ნიჭიერი, მახვილი, ცქვიტი და გონიერი ყმაწვილი!...

კაკო კი შინ ეგდო ხოლმე, როცა კოლა ამ ყოფაებს სჩადიოდა. კაკო პატარაობითვე ფიქრიანი ბიჭი იყო, ყოველთვის უყვარდა გაეკეთებინა რამე. ნამეტნავად საშინლად უნდოდა წიგნი ესწავლა. სადღაც მოეპარა ერთი დაბეჭდილი წიგნი და იმას ინახამდა როგორც ხატსა და ნაწილებსა. ის წიგნი იყო ჩვენი უკვდავი "ვეფხვისტყაოსანი". ხშირად ამბობდა ხოლმე გულში: "მოვკვდები და ამას წავიკითხამო!"

ერთხელ, როცა მოხუცებულმა დედაბერმა დაიძინა სადილშემდეგ და კოლა სადღაც წავიდა, როცა კაკომ ყველაფერი მიალაგა, გამოვიდა და დაჯდა ქუჩის გარეთ; მიიხედა იქით მარჯვნივ და დაინახა ბიჭები შეგროვებულან და რაღაცას ყურს უგდებენ ყურადღებით; ამას ეგონა ზღაპრებს ამბობენო და მოყვარული ზღაპრისა კაკო მაშინვე მივარდა იქ. მაშინ ნახა, რო ერთი იმერელი ბიჭი იჯდა და კითხულობდა რაღაც ხელნაწერსა. გაუხარდა, გაუხარდა ცნობისმოყვარე კაკოსა, რომ ის ბიჭი წიგნს კითხულობდა, მიუჯდა გვერდით და დიდხანს იჯდა იმასთან მოწიწებით მზირალი. როცა ბიჭები დაიშალნენ და დარჩნენ ის მეცნიერი ბიჭი და კაკო მარტოკანი, მაშინ კაკო მიუბრუნდა ღრეჯით ბიჭსა და უთხრა: – თუ ღმერთი გწამს, წიგნი მასწავლეო!

ის იმერელი ბიჭი იყო კეთილი, მას გარდა ამას ძალიან მოეწონა ოსტატის როლიცა და აღუთქვა სწავლება. რაღა გავაგრძელოთ, ტანჯვით და ვაი-ვაგლახით კაკომ ისწავლა ექვს თვეში კითხვა ხელნაწერისაც და ბეჭდურსაც ასე, რომ თავის "ვეფხისტყაოსანი" შეეძლო წაეკითხა. მაშინ მიუჯდა "ვეფხვისტყაოსანს" და ყოველ ცისმარე დღეს კითხულობდა და კითხულობდა; ბევრი ლექსიც ისწავლა ზეპირად. როცა ავთანდილის და შერმადინის ამბავი წაიკითხა, მთელი არსება ბეჯით კაკოსი აინთო სიხარულითა; მაშინ, სწორეთ მაშინ კაკომ შეადგინა თავის გლეხურ ჭკვით თავისი იდეალი ბატონყმობისა. "აი თუ ბატონი იყოსო, ავთანდილისავითა, თუ ყმა იყოს, შერმადინისავითო!" იტყოდა ნატვრით კაკო ხოლმე. მაშინ დააპირა კაკომ, რო თითონ

იქნება შერმადინი და ავთანდილად კოლა ეყოლება; ბევრ მაგისთანა პლანებს დააწყობს ხოლმე ხალისიანი გონება ჭაბუკისა, მაგრამ დროს შეუბრალებელი კვერთხი მათ დაუკითხავათა სცემს და ანგრევს ჭაბუკის სიზმრებს. ეგრე "ვეფხვისტყაოსნის" კითხვაში გაზარდა კაკომ თავისი თავი; თუმცა, მართალია, ბევრი სიტყვა და აზრი არ ესმოდა, მაგრამ წმინდა გაუფუჭებელი გული კაკოსი აიბეჭდ[დ]ა ხოლმე პოეზიის ყვავილების ჩრდილს; ის სიტყვა, პირდაპირ გულიდამ ამოსული, ყოველთვის გაეგება ყოველ კერძს უფლისასა; პოეზიაში "გულსა გულის პასუხი ესმის"* და იმ სიტყვას, რომელიც გულიდამ ამოიძახება პირდაპირ, მეორე გულამდინ შუამავალი არ უნდა! ამაშია ის გაუგებარი და საოცარი ძალა და ნაპერწკალი სამღვთო პოეზიისა. ბევრჯელ წაიკითხა კაკომ და გადაიკითხა "ვეფხვისტყაოსანი", თანდათან უფრო და უფრო ესმოდა, რასაც კითხულობდა; და როცა უფრო ბევრი ესმოდა, ვიდრე არა, მაშინ დაიწყო თავისთავის განხილვა. თუ ასწორებდა რასმეს თავისთავში, რუსთაველის გმირების ყალიბით ასწორებდა. იმიტომაც კაკო გამოვიდა ბოლოს იმისთანა რომანტიკული კაცი, როგორც იხილავთ თავის დროზედ, ჩემო კეთილო მკითხველო, თუ წაიკითხამთ ბოლომდინ და არ მოიწყენთ ჩემს უბრალო ყბედობისაგან.

ესე სულ სხვადასხვანაირად იზდებოდნენ ბატონი და ყმა, რომელთაც გაგიჟებით უყვარდათ ერთმანეთი; არ ვიცი რის გამო, მაგრამ კი უყვარდათ. იქნება ყმაწვილ-ყრმობა ერთათ გატარებული, ყმაწვილ-ყრმობის წუხილი და სიხარული ურთიერთს შორის გაყოფილი, დასასრულ სრულ ერთად ყოფნა, ერთი მოგონება ყმაწვილობისა, სურვილი ყმაწვილის გულისა, რო გათბეს რითამე გრძნობითა, სიყვარულითა, როცა გარშამო არ არის [– – –] გული. იქნება ესენი ყოველნი ერთად მოქმედობდნენ სასარგებლოთ ბატონ-ყმის მეგობრობისა, ვინ იცის!... კაცის გული უძიროა, მიზეზი და დასაწყისი ყოველ იმისი, რაც გულში იძვრის, უთქმელი და აუხსნელია, როგორც საიდუმლო ცისა, როგორც ის ძალა, რომელიც თესლში გამოჰკვანძავს მომავალს მცენარესა!

ხშირად ღამე, ოდეს გულაცრუებული სწავლაზედ კოლა დაუძახებდა თავის კაკოს და უბძანებდა, ზღაპარი სთქვიო, კაკო აიღებდა "ვეფხვისტაყოსანს" და უკითხამდა ბატონსა. პირველში კოლა ცოტა ხანს დაუგდებდა ყურს და რა ნახავდა, რო "ვეფხვისტყაოსანში" თავის ცხოვრების საყვედურის მეტი იქ არ არი რა, დაფიქრდებოდა ხოლმე და იქნება ცოტაოდენ სინანულშიაც შევიდოდა, მაგრამ ეგ სინანული იყო წუთისა; გავიდოდა ის წუთი თუ არა, კოლა, თავის თავით შერცხვენილი, უნებლიეთ დაჰკრავდა გაჯავრებული ხელს წიგნს და გააგდებინებდა კაკოსა ხელიდამ.

– კარგი, გეყოფა! – იტყოდა ხოლმე გულზედ მოსული, – მეორე სახარებაც ერთი ეგა ყოფილა!...

როგორც ლაფი არ გარდაიცემს მზის თბილ სხივებს, ისე საწყალ კოლას გული არ იკარებდა არარა კეთილს. კაკო კი სულ მუდამ დასტრფოდა თავის იდეალის აღსრულებას, არ იცოდა კი ბედი ბოლოს რარიგად შეუბრალებლად მოატყუებს.

IV

გაიარა რაოდენამე წელმა და დროთა დაუდგრომელ ბრუნვამ ბევრი რამ გამოსცვალა ქვეყანაზედა. მოკვდა თავადი ლუარსაბი ისე, როგორც იხოცებიან ბევრი

---

* სიტყვები ბარათაშვილისა.

ჩვენგანი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმე ქვეყანასა და რაც თავის სიკვდილით აკლებენ ხოლმე. გადაჰყვა რაოდენიმე ხანს უკან საწყალი, დაჩაგრული უქრმოდ კნეინა ქეთევანი; წაიშალა ამ ორთა პირთა ცხოვრების კვალი დედამიწის ზურგიდამ, არაფერი არ მააგონებდა კაცს ამათ ამქვეყნიერ ცხოვრებასა. ხოლოდ ორი უბრალო საფლავის ქვა სათავადო სოფლის სასაფლავოზედ ერთად დაღონებით მდგარნი აჩვენებს ეხლა ცნობისმოყვარე მკითხველსა, რომ თავად ლუარსაბ თათქარიძე და მისი განუშორებელი მეუღლე კნეინა ქეთევანი ერთს დროს ცოცხალნი ყოფილან და ეხლა დახოცილან!... კარგი მხვედრია! დალოცა ღმერთმა! ღმერთმა დაივიწყოს იმათი ცოდვები ისე, როგორც ხალხი დაივიწყებს იმათ სახელსა!

როცა მამის სიკვდილი შეიტყო კოლამა, ბევრი აღარ იფიქრა, ვისწავლო თუ არაო, გამოვარდა ავლაბარში, დაუჯდა ქირაზედ ჩამოსულ ურმებს და წამოვიდა შინ; რასაკვირველია, კაკოც გამოჰყვა თანა. დარჩა კოლა მთელს ქვეყანაში მარტოთ და ობლად, არავის თავის გარეშემო არა ხედავდა გულშემატკივარს. არც თითონ არავიზედ შესტკიოდა გული. ერთი კაკოღა იყო, რომელიც უყვარდა კოლასა, და ვინ იცის, უყვარდა თუ ჩვეულება იყო, რო კაკოს თავიდამ ვერ იშორებდა?... კაკოს კი თავის მხრით უანგაროთ უყვარდა თავისი ბატონი, კაკოს ეცოდებოდა კიდეც იგი, როგორც ობოლი, უთვისტომო ოცის წლის ყმაწვილი კაცი; მაგრამ ესე კავშირი ორთა სულ სხვადასხვა ფიქრიანთა კაცთა დიდი ხანი ვერ გასძლებდა. კოლა იყო სრულებით, ხელაღებით გარყვნილი; რით უნდა გაკეთებულიყო იგი? თავისი ბრალია თუ სხვისა? რასაკვირველია, სხვისა. ჯერ რა გამოიტანა თავის დედ-მამის სახლიდამ? ენატარტალობა, ენის გარყვნილობა, რომელსაც თვითვე დედ-მამა უქებდა, უდარდელობა ცხოვრებაში, ჭორიკანაობა დედისა, ზარმაცობა მამისა, რომელიც სულ ყმების ოფლით სცხოვრობდა, ჩვეულება უფიქრელობისა; მერე გაგზავნეს სკოლაში; რა გამოიტანა იქიდამ? აზრი, რომ სამართალი არ არის ქვეყანაში, ამაში დაეფიცებოდა იგი ყოველდღე, რომ კაცი თავის მოძმის სატანჯველად უნდა იყოს, როგორც მისი ოსტატები, რომ ძლიერი უნდა სრესდეს უძლურსა, როგორც ოსტატები, რომ, სადაც ძალა, იქაც კანონია, როგორც ოსტატებში, რომ ენამტანიობით და ცუდკაცობით შეიძლება იპოვოს უფროსთა სიყვარული, როგორც კიდევ ოსტატებში და სხვანი და სხვანი, ყველას ვინ მოსთვლის! მაგრამ ყოველი წვეთი გესლისა – რომ სწავლა ტანჯვაა, როგორც თვითანვე გამოსცადა, რომ შრომა უსარგებლოა, როგორც თითონ დარწმუნდა – თითო-თითოც ეყოფა კაცს, რომ საუკუნოდ დაიღუპოს, და ეს ყოველი ერთად რაღა იქნება?...

ასეთი იყო ჩვენი კოლა, როცა მოვიდა შინ სახლის მოსავლელად .

მაშინვე დაიბარა თავის მამის ნაცვალი მოხუცებული და პატიოსანი დათო და უბძანა, რომ “ასის თუმნის მაგიერ, რომელიც მამაჩემს შემოსდიოდა, ორასი თუმანი უნდა შემომივიდესო!”.

– რომელს ქარხანებიდამ, ჩემო კოლავ? – ეგრე უთხრა ბებერმა დათომ, რადგან დარწმუნებული იყო, რო კოლას, თითქმის თავის ხელში გაზრდილს, არ ეწყინება.

– რაო, კოლავო! – მიუგო გამწყრალმა ბატონმა, – ქოფაკო, არ გეკადრება ბატონი დამიძახო?...

– რა ვიცოდი, შენი კვნესამე! – მიუგო დაღონებით ამ სიტყვებისგან გულნაკლულმა დათომ. – მე მეგონა, თქვენ ისევ ის კოლა ბრძანდებოდით, რომელსაც ერთხელ ხელში ვათამაშებდი ხოლმე სიამოვნებით, როგორც შვილსა.

– ეხლა ხომ არ გნებავს მათამაშო, ვირო! გასწი! შენ შენი საქმე უნდა იცოდე, – გამოაგდო საწყალი დათო, რომელსაც სიყვარულის და პატივისცემის მეტი გულში არაფერი არ ჰქონია.

– მათამაშებდი როგორც შვილსა?... ის კი არ იცი, ქოფაკო ძაღლო, რო მე და შენს შვილში დიდი ზღვა არი? – აი ეს ერთი მაგალითი, როგორც კოლამ თავისი ტეორია შეაკავშირა ცხოვრებასთან!...

სხვისგან თუ თავის თავისაგან კოლა წახდა და ასე წახდა, რო იმისთვის ცოდვა ცოდვად აღარა იყო, სიკეთეს იმის თვალში არა ჰქონდა თავისი მიმზიდველი სითბო და სილბილე და ბოროტებას თავისი შავი დაღი სიძულილისა. არც ერთს კაცობრიულ გულგამათბობელ გრძნობას აღარ დარჩათ ალაგი კოლას გულში, ისე იყო მოსვრილი ლაფითა; თუმც ხანდისხან, როგორც მინდორში დავიწყებული ცეცხლი, ან კლდის ნაპრალში შემთხვევით ჩავარდნილი სხივი მზისა, იმის ბნელ გულსა გაანათლებდა პატიოსანი გრძნობა და კეთილშობლური აზრი, მაგრამ ეგ განათლება იყო ერთის წამისა; გავიდოდა ის წამი და კოლა იყო ისევ ის გარყვნილი, უნამუსო და ჟინიანი კოლა; რასაც ფიქრში ჩაიდებდა, ვერა გზით არ დაიშლიდა, იმისი გულისწალიდიც იყო გულსავითვე ლაბიანი და შავი; და იმ წადილის აღსასრულებლად ის ოცის წლის ყმაწვილი კაცი არა საშუალობას არ დაიშურებდა. მამას მოსტაცებდა ქალს, შეაგინებდა და ერთს მცირედს სინანულს მაინც გაერბინა იმის ძარღვებში!... ქმარს გაურყვნიდა ცოლსა და სვინიდისი დააკმაყოფილებდა თავის თანხმობითა!... აი რა კაცი იყო კოლა! აღსრულდა საწყალ ლუარსაბის სურვილი!... მერე რარიგად, ყოველფერში შეიქმნა არამც თუ დიამბეგი, დიამბეგსაც გადააჭარბა, განა საქმით, ზნეობითა!...

ამნაირად დაიწყო კოლამ ცხოვრება თავის ყმებში. რამდვენი საძაგლობა მაახდინა, რამოდენა ცოდვა ქმნა... კაკო ამას ყოველფერსა ხედავდა და იმისი მარტივი, გლეხური, პატიოსანი გული ვერ იტანდა ბატონის საძაგლობას. ბევრჯელ ურჩევნია თავის ბატონისთვის, რო დაიშალოს საძაგლობა, მაგრამ, როგორც კლდეს, ისე იმას ვერა შეასმინა-რა.

– კოლავ, (ესე ეძახდა ბატონის ნებით ხოლმე კაკო) ღმერთი, რჯული, ნუ შვრები მაგასა! ცუდია! შემოაკვდები ვისმეს, – უთხრა კაკომ, როცა მარტოკანი იყვნენ ოთახში.

– დამეკარგე, სულელო! ტვინი წაიღე ბევრის ყბედობით, – უთხრა კოლამ წყრომითა.

– მე გინდა მართლა დავიკარგები, ოღონდ შენ მოისვენე ცუდ საქმეებისგან! – უთხრა სიყვარულით ბიჭმა.

– რა ცუდი საქმეები, რას მიჰქარავ, მე შენი თავი არა მაქვს, გამეცალე აქედამ! – მიუგო ამღვრეულმა კოლამ.

– რა ცუდი საქმეებიო? ვაი შენ, ჩემო თავო, დაგავიწყდა? – ეტყოდა შებრალების ღიმილით მოსამსახურე, – აბა მოთვალე ერთი მაინც, რაც აქა ხარ, რომ ცოდვა არ გექმნას.

– შენ რა ღვდელი ხარ, რომ მოგითვალო? დამესხენ მეთქი, სულელო!

– რათ მინდა, რო მომითვალო? მე უშენოთაც სულ ყველაფერი ვიცი, რაც კი რამ შენ ჩაგიდენია; შენ თავს მიუთვალე.

– ბიჭო! არ დამესხნები?... რა გინდა ჩემგან შენ, რა ჩემი სულთამხუთავი ხარ!.. ფიე!...

– შენ იცი, კოლავ! შენი ნებაა! როგორც მე შენ მალე დაგესხნები, ისე ნეტავი შენ დაესხნა საძაგლობას და სხვა არ მინდა რა.

– რა საძაგლობას? რას როტავ, ნეტავი მითხრა?

– შენ კარგად იცი, რასაც ვროტავ, მაგრა გაგება არ გინდა!

– რისა?

– აი იმისა, რო ნუ რყვნი გლეხის დედაკაცებსა, იმისი, რო ნუ ართმევ და უფუჭებ ძალადა საწყალ გლეხკაცსა ცოლსა და საწყალს მამასა უმანკო ქალებსა. ჩვენ კაცნი ვართ! – განაგრძელა კაკომ უფრო და უფრო საყვედურითა. – ჩვენ თქვენსავით კაცები ვართ, ერთის ღმერთისა შექმნილები, ერთის კაციდამ ჩამოსულები!...

– კარგი, ბრიყვო, მომშორდი! – ეტყოდა გულნატკენი კოლა, – მე ოსტატები ღიმნაზიაშიაცა მძულდნენ და აქ უფრო მეძულება.

– მე ოსტატობა არ მინდა, მე მარტო იმას გეუბნები, რომ შეგვიბრალე საწყალი ყმები, შენ ჩვენი მფარველი უნდა იყო და არა წამწყმედელი!

– ეეჰ! მოთმინებიდამ გამოიყვან კაცს! გამეცალე-მეთქი, თორემ ცუდათ მოგივა, – უთხრა დამუქრებით კოლამ.

– მე გაგეცლები, მაგრამ ფთხილად იყავ, გეუბნები, კოლავ, თორემ აი ეს დღე ნიშანი, – თქვა და მაშინვე გამოვიდა კაკო გარეთ.

რაკი კაკო გავიდა, კოლამ მოუკიდა პაპიროზსა და დაიწყო წინ და უკან ოთახში სიარული, შავიდა ფიქრებში. ჯერ მოაგონდა ქალაქის არამხანები, დაცემული ქალები, მერე ორთაჭალაში ლოთობა, მერე ღიმნაზია, გაბაანთ-ტოტი, ოსტატები და ბოლოს თავისი საწყალი დედ-მამა.

“საწყალი მამაჩემი! – წამოიძახა კვნესით გულამომჯდარმა კოლამა – საწყალი დედა!... რარიგათ უყვარდი!... მე აქ დავდივარ ჩემთვისა და იმათ კი, ვინ იცის, რამთვენი მატლი ღრღნის” – ჩამოუგორდა უნებურად ცრემლი თვალთაგან.

მერე მოაგონდა ისევ თავისი ყოფა-ცხოვრება, თავისი კაკოცა, როგორც იმის ცოდვების დარაჯი.

“ეს კაკო რაღას გადამკიდებია, – ამბობდა თავისთავად კოლა, – ლამის თავი შემაძულოს ამ ბიჭმა!... ჭკვიანი ბიჭი ხელიდამ წასულა ბატონისთვისა, სულ რაღაც სულელურ ვეფხვისტყაოსანმა კი ქნა! აი დასწყევლოს ღმერთმა ის, ვინც მაგას წიგნი ასწავლა. ბიჭი და წიგნის კითხვა ვის გაუგია?... სასაცილოა!... თუ კიდევ ბევრს ყბედობას დაიწყობს, მე ვიცი, – კარგათაც მიგიტყეპამ იმ მეცნიერ ბიჭსა!...” კიდევ დიდხანს იფიქრა... ბოლოს შემოესმა საყდრის ზარის ხმა. ეს იყო კვირა დილით. გაიზმორა, დაამთქნარა ორიოდჯერ და მერე დაუძახა კაკოს. კაკო შემოვიდა.

– მოიტა, ტანთ ჩამაცვი! – უბძანა კოლამ. კაკომ მოუტანა ტანისამოსი, ჩაიცვა კოლამ და გამოემგზავრა საყდრისაკენ, სალოცავად კი არა, ისე, თვალის გასახილებლად, რომ თვალს წყალი დაალევინოს გოგოების ყურებით.

– მოვიდა საყდარში და წირვის შემდეგ შეასწრო თვალი ერთს თექვსმეტის წლის გოგოს, ფაქიზად ჩაცმულს, და ჰკითხა იმის მშვენებით გაკვირვებულმა კოლამა მაშინ იქ მდგომსა დათოს:

– ეს ვისი გოგოა?

დათოს ფერი ეცვალა.

– ჩემი გახლავთ, – თრთოლით მიუგო დათომ, რა იცოდა რომ საშიში იყო ბატონის მოწონება.

– კარგი საპროშტავი გყოლია! – უთხრა კოლამ და წამოვიდა შინისკენ.

მოკვდა, მოკვდა საწყალი დათო, რო გაიგო, რო იმის ბატონს მოეწონა ქალი ამისი.

– დავიღუპე, დავიღუპე, – მოსთქვამდა გზადაგზა ღრმათ მოწყლული დათო! – ნეტავი, შვილო, არც კი გამჩენოდი!... ადრე და მალე დამიბრმავდეს ეს ბებერი თვალი, მინამ შენ ნამუსწართმეულს გნახამდე!... ვაიმე, ჩემო მამისერთავ თამრო! – თითქმის ტიროდა პატიოსანი დათო.

ეგრე გაფითრებული იყო დათო, როცა შინ მოვიდა. დერეფანში დახვდა თავისი თამრო, რომელმაც ვეღარ იცნო თითქმის მამა.

– რა დაგმართვია, კაცო! თითქო უცემიხარ ვისმეო! – უთხრა გაკვირვებულმა თამრომა.

– არაფერი, შვილო, ნუ გეშინიან! ჩემი ნათესავი და ძმადფიცი კაცი მოუტაცნიათ ლეკებს, – უმალავდა საბრალო დათო, – და იმაზედ ვსწუხვარ.

– ვინ შენი ძმადფიცი, მამავ?

– აი ის... რა ჰქვიან... დამავიწყდა... – ამბობდა არეულად ტყუილისუჩვევი დათო.

– არა, შენ მატყუებ, როგორღაც იზლაზნები ლაპარაკში, უთუოდ ხიფათი რამე გვდევს და არ მეუბნები! – უთხრა შეშინებულმა ლამაზ გოგომა.

– არაფერი-მეთქი! არ გეყურება, რას გეუბნები? – მიუგო გულმოწყვეტილმა მამამა.

თამროს ძალიან უყვარდა მამა; რა ის ესეთ უცნაურ მდგომარეობაში ნახა, სულ აუტირდა პატარა და ნაზი გული; გული მოსწყდა, რო მამა უმალავდა რაღაც უბედურობას, რომელიც თამრომ წამოიდგინა, ღმერთმა თუ იცის, რამოდენად.

– მამი, ღვთის გულისათვის, ნუ მიმალავ! ვიცი, რო რაღაც არი და მე არ მეუბნები, მიმალავ! – ეხვეწებოდა ეჭვში შესული თამრო თავისთავზედაც და მამაზედაც.

დათო პასუხს არა სცემდა. ბევრი ეხვეწა კიდევ პატარა თამრო, მაგრამ მამამ არაფერი არ უთხრა. გამოეცალა გამწყრალი შვილი თავის მამასა, შავიდა ბაღჩაში და ერთ კაკლის ქვეშ ბალახზედ დაჯდა; დაიწყო გამოცნობა, რა უნდა ყოფილიყო მამის ნაღვლის მიზეზი; დიდხანს იფიქრა, მაგრამ ვერა გახდა რა. ბოლოს მოაგონდა, რო როცა ამან გამოიარა, ბატონმა თვალი შეასწრო და დათოს რაღაცა ჰკითხა; მაშინ კი მიხვდა რაღაცა ეჭვსა, რო მამის ნაღვლის მიზეზი იქნება მე ვიყოვო, და გადაწყვიტა, რომ სწორეთ ათქმევინოს მამას ყველაფერი. ამ ფიქრებში რომ იყო, ღობიდამ ვიღაცამ დაუძახა:

– თამრო, აქა ხარ?

– აქა ვარ, გადმოდი! – უთხრა აწითლებულმა თამრომა, რომელმაც იცნო ხმა დამძახელისა.

პატარა ხანს უკან ერთი კარგი თქვენი მოსაწონი კოხტა ყმაწვილი ბიჭი გადმოხტა და მოვიდა თამროსთან და წამოუწვა წინ ბალახზედ. ეს იყო ჩვენი ნაცნობი კაკო. მათ ერთმანეთი უყვარდათ და პირობა ჰქონდათ ცოლქრმობისა.

– რათა ხარ ეგრე მოწყენილი, ჩემო გვრიტო? – ჰკითხა ალერსით კაკომა, რა ნახა თავის საყვარელი რაღაც ნაღვლით მოცული.

– დღეს ავი დღეა ჩემთვისა, – მიუგო პასუხად, მორცხობით კი არა, იმიტომ რომ დიდი ხანია შეჩვეულნი იყვნენ ერთმანეთთან ლაპარაკსა.

– რათა, გენაცვალოს ჩემი თავი, – უთხრა ეშხით სავსემ კაკომა.

– ისე! – მიუგო ნაღვლიანათ ლამაზმა გოგომ.

– მაინც?

– დღეს მამაჩემი საყდრიდან გუნებნაქცევი მოვიდა და იმისთვის.

– შენ დღეს საყდარში იყავ? – წამოვარდა კაკო რაღაც შიშითა, ჩქარა ჰკითხა თამროსა.

– ვიყავ, რაზედ შეკრთი ასე? – ჰკითხა თავის რიგზედ გაკვირვებულმა თამრომა.

– ბატონი იქ იყო? – ჰკითხა იმავ აჩქარებით მოუთმენელმა კაკომ.

– იქ იყო, დერეფანში იდგა, როცა მე წინ გამოუარე, – მიუგო უფრო გაკვირვებულმა.

– იქ იყო? – გააგძელა სიტყვა კაკომ და დააკრაჭუნა კბილები. პატარა ხანს იდგა, იდგა, დიდხანს ჩასცქერდა თამროს ლამაზ, შავ, ჩარღმავებულ თვალებში, მერე არაფერი არ უთხრა თამროს და გამწყრალსავით ისევ იმ ღობეზედ გადმოხტა და გასწია საითკენაც.

დარჩა ამ ყოფით გაკვირვებული თამრო, ვერა გაიგო რა იმისი, რაც ნახა და რაც გაიგო.

“იქნება მამიჩემის ნაღველი მე ვიყოო!” გაიფიქრა თამრომა, მაგრამ მის უბიწო გულმა, რა მოათვალიერა თავის პატიოსანის ცხოვრება, ვერაფერი ვერა იპოვა, რომ შვილი მამასთან პირშავად გამოჩენილიყო. შხამად შემერგოს დედისჩემის რძეო, არამი იყოს ჩემზედ დედისჩემის ამაგიო, თუ “... და ვეღარ გაათავა სიტყვა უცოდველმა გოგომ და რაღაც ნელ მწუხარებითა, რომელიც იყო ტკბილი და საოცრად მაამებელი, აევსო სული და გული პატარა თამროსა; კიდეც უხაროდა რაღაცა, კიდეც ეწუხებოდა და ეტირებოდა. ამ ყოფით გამოვიდა გარეთ, შავიდა სახლში და – თითონაც არ იცოდა, რისთვის, – უნებლიეთ მოეხვია მოხუცებულ მამასა. რომელიც თავპირჩამოშვებული მწუხარედ იჯდა ცეცხლთან გაშლილ თეთრ ნაბადზედ. გაუგებარია მოძრაობა უმანკო გულისა!...

V

“რა კარგი გოგო ჰყოლია იმ ქოფაკსა!...” – ფიქრობდა სადილნაჭამი კოლა რამდვენიმე დღეს შემდეგ გაშლილ ხალიჩაზედ. – “მართლა რო კარგი ყოფილა! მერე ქორბაც არი!... ისე მაისის პირველნაშობ მარწყვსავით ღვივის, მოწყვიტე, ჩაიდე პირში, ნუ კი დაღეჭ, ისე გაიდნე პირში და ჩაყლაპე!...” აეშალა გულის წადილები უბედურსა წასაწყმენდსა. ცეცხლი ნასროლი იყო, იგი მოხვდა დამპალ ხესა და მაშინვე, როგორც აბედს, მოეკიდა. კოლამ შეატყო, იგრძნო, რომ, როცა კი ფიქრობდა საწყალ თამროზედ, მთელი ძარღვები გულითურთ გაიელებდნენ რაღაც გაუგებარ გრძნობითა, რაღაც წადილითა, რომელშიაც არაფერი სიწმინდე არ ერია. ის გრძნობა სიყვარული არ იყო, არა. ეგ ამამაღლებელი, ციური ცეცხლი იმოდენა წმინდა არი, რომ თავის სადგურად არ ამოირჩევს არადროს უწმინდურსა გულსა; რაც გინდათ დაარქვით კოლას გულის თრთოლას, თუნდ ჟინი, ხურუში, მხეცური მიმზიდველობა, ხოლოთ კი ნუ დაარქმევთ სიყვარულს – ამ უწმინდეს სახელს გრძნობისას, რომელსაც განიცდიან ხოლმე ხოლოთ მაღალი არსებანი, ხოლოთ ისინი, ვინც იმისთვის ოდითვე აღნიშნულნი არიან. არა, იგი გრძნობა კოლასი, გრძნობაც არ იყო თითქმის, ის იყო ხოლოთ მეტის სისხლის დუღილი, რომელსაც ხშირად მივიღებთ ხოლმე სიყვარულად.

სადაც სურვილია დატკბობისა, იქ სიყვარული არ არი; სიყვარული ტანჯვაა; “ტანჯვაა ვალი დ სხვერპლი უზომო სიყვარულისა” – ამბობს ერთი ჩვენი ქართველი პოეტი. მართალიც არი!... სიყვარულში თვითონ სიყვარული უნდა ეძებოს კაცმა, სიყვარულში თვით სიყვარული უნდა უყვარდეს სიყვარულისთვის კაცსა და არა რაიმე სურვილისთვის. სადაც გამოერევა ადამიანის “მე”, იქ უთუოდ უნებლიეთ წარმოსდგება მონებაცა ერთის მეორეზედ. უფრო უძლურმა უნდა დაუთმოს უფრო ძლიერსა, იქ იქნება დესპოტობა, მონება და არა სრული ერთხმოვანი გარმონია ორთა თანასწორთა სულთა, რომელთ შეერთება შეიქმს ხოლმე ერთ დაკარგულს ერთარსებასა; უნდა დაივიწყო შენი “მე” და შეერთდე იმის “მესთან”, მაშინ აღსრულდება მნიშვნელობაც სიყვარულისა, მაშინ გარდაიშლება მთელი ზღვა ტანჯვისა, მართალია, მაგრამ იმ ტანჯვას სამოთხეზედ არ გაცვლი.

არა, არა! კოლას უყვარდა თამრო იმისთვის, რომ დაეკლა იგი, როგორც სამღთო კრავი, დასაკმაყოფილებლად თავის უზნეო სურვილისა, რომ დამტკბარიყო იმის უბედურობით, იმის დაცემით!... ბევრი იფიქრა, დაღალა თავისი ჭკვა და გონება, რათა მოეხერხებინა რამე თამროს დასაღუპავად, მაგრამ ვერაფერი ვერ მოაგვარა.

“როგორ ჩავიგდო ხელში?...” – ამბობდა თავისთავად უგულო კოლა. – “ღირს კი, ღვთის წინაშე, იმაზედ ნადირობა, თევზი ძალიან კარგია, თუ მოვახვედრე ბადე!...” წამოდგა უფრო და უფრო გამსუნაგებული კოლა, გაიარ-გამოიარა და უნებლიეთ მივიდა და დადგა სარკის წინ; ჩაიხედა სარკეში, თითქო უნდა დაერწმუნოსო თავის სილამაზეზედა, მაგრამ დაგარწმუნებთ, მკითხველო, რომ ეგ ფიქრათაც არ მოსვლია; ის იმის სარკესთან მისვლა და ჩახედვა სარკეში შემთხვევით მოხდა.

რა ჩაიხედა მართლა სარკეში, თვალწინ წარმოუდგა მშვენიერი ყმაწვილი კაცი, რომელიც იყო თვითვე. შავი ლამაზი თვალები, ღრმანი და ჟინიანნი, მაგრამ დაღლილნი პატრონის წარამარა თრევითა; მშვენიერი სახის მოყვანილობა, შავი პატარა ულვაშები, უწვერო ლოყები, რომელზედაც წაშლილიყო კვალი უწინდელის სიწრფელისა და რომელზედაც დამკვიდრებულიყო სიფერმკრთალე დაღლილ ბუნებისა; მშვენიერი წამოსადეგი ტანი, ლამაზი, მაღალი შუბლი, მიყრილ-მოყრილი მაზედ [და] ლოყებზედ გიშრის აბრეშუმის თმები, – ესე ყოველიფერი აიტაცებდა კაცსა!... რომ შეხედავდით და ძალიან დააკვირდებოდით იმის სახეს, იტყოდით გულის ტკივილითა: ამ მშვენიერ ტანში, როგორ უნდა იყოსო საძაგელი სულიო!

და არც მოტყუვდებოდით თქვენს სიტყვებში, ჩემო მკითხველო. მთელი სახის მეტყველობა, სახის დაქანცულობა, მაშინ როდესაც იგი უნდა დუღდეს სიცოცხლითა, – რადგანაც კოლა იყო ცხრამეტის წლისა, – ყოველი მოძრაობა, მიხრა-მოხრა დაგარწმუნებდათ, რო კოლა შესაბრალებელია! ცხრამეტის წლის ყმაწვილი დაბერდა გარყვნაში, ცხრამეტ წელში ჩამდგარი ათავებდა თავის სიცოცხლესა, ცხოვრებასა, მაშინ, როდესაც სხვანი იწყობენ პირველად ცხოვრებას!..

შეხედა კიდევ თავის სახეს და გამობრუნდა არ[ც] მადლობელი და არც გამწყრალი თავის სილამაზეზედ. კოლას სულ არა ჰქონდა იმედი, თავის სილამაზით მოეხიბლა თამრო. “ძალა, ძალა”, ამბობდა ხოლმე კოლა. “მე ბატონი ვარ და ის ყმა არი! ჩემი სურვილი კანონია იმისთვის!... დღეს, მინამ ძალა გაქვს, სრესე, სრესე უძლური, თუ ეგ საამო არის, თორე ხვალ იმათაც რო მიეცეს ძალა, ისინიც გაგვსრესენ ჩვენა, ესეა ქვეყანაზედ”, – ამბობდა კოლა თავის ყმებზედ და არც კი ეჭვიანობდა, რო იმათაც აქვს

გრძნობა, თავის გაუთელელი თავისი პატივი, რომ იმათშიაც არს ის ღვთიური სული, რომელიც თანასწორად ასულდგმარებს გლეხსაც და თავადსაც.

დადიოდა დიდხან წინ და უკან ამგვარ განსჯაში ჩვენი კოლა, ფიქრობდა, ფიქრობდა თამროზედ და ბოლოს წამოიძახა: "ბიჭო, გიტო!" ამოვიდა ერთი გამხდარ-გამხდარი ბიჭი, რომლის თვალები იყვნენ ავსებულნი ეშმაკობითა და მზაკვრობითა. ეგ გიტო იყო საძაგლობაში გამოცდილი, კარგი და ერთგული აიარი კოლასი. რასაც კი კოლა მოისურვებდა, ის ჯადოქარის მანქანებითა მაშინვე აუსრულებდა და იმისთვისაც უყვარდა იგი თავის ბატონსა.

ამოვიდა ბიჭი და გაჩერდა კარებთან, მომლოდნელი ბატონის ბძანებისა. კოლამ თუმცა შენიშნა გიტოს მოსვლა, მაგრამ დიდხანს დადიოდა ჩაფიქრებული და არას ეუბნებოდა; ბოლოს უთხრა:

– კაკო შინ არი?

– არ გახლავსთ.

– სად არი?

– რა მოგახსენოთ. სადილს უკან სადღაც წავიდა და არ მოსულა.

კიდევ გაჩუმდა კოლა და დაიწყო ისევ ისე სიარული.

მერე მიუბრუნდა კიდევ ბიჭსა და უბძანა:

– კარები მოხურე.

გიტომ მოხურა კარები. კიდევ გაჩუმდა კოლა, ბოლოს მივიდა, წამოწვა ტახტზედ და თითი რაღაცას სწერდა, თუ ხატავდა ხალიჩაზედ. დიდხანს გაგრძელდა ამგვარი მდგმოიარობა; ბოლოს კოლამ, ისევ ხალიჩას რა ჩაჰყურებდა, უთხრა დაბალ ხმით ბიჭსა:

– დათოს სახლში დადიხარ?

– თუ მიბძანებ, გიახლები.

– მე რას გკითხავ, ვირო, იმის პასუხი მითხარ! – უთხრა გაჯავრებით კოლამ, მაგრამ კი თავი არ აუღია, რო შეეხედნა.

– არა, შენი ჭირიმე, უწინ კი გიახლებოდით ხოლმე, როცა დიდი ბატონი საქმისთვის გამგზავნიდა.

– გინახავს იქ ერთი ლამაზი გოგო? – კიდევ ისე თავაუღებელად ჰკითხა კოლამ.

– როგორ არა, შენი ჭირიმე! აბა გოგო ის არი, აი!

– ვერ მომგვრი აქა? – ეხლა კი შეხედა ბიჭსა გაშტერებით.

– რა მოგახსენო, ვსცდი კი, შენი ჭირიმე, - მიუგო მეტისმეტ სიერთგულით ბიჭმა.

– თუ კაი ჩოხა გინდა, თუ არა და კატასავით ჩამოგახრჩობ ხეზედ, – დაემუქრა კოლა. – სული კი გაინაბე, არავის შეატყობინო.

– ბატონი ბძანდები.

ბიჭი გავიდა და დარჩა ისევ თავის პატიოსან ფიქრებთან მარტო ჩვენი კარგი ბატონი.

დატრიალდა ჩვენი კოლას აიარი, რომელიც გარდანქეშანზედ უკეთესი იყო ამგვარ საქმეებში; ამ დღით დაიწყო ხმარება მთელ თავის მზაკვრობისა, ხერხისა, რომ როგორმე გაება მახეში მწყერი, როგორც ამბობდა თითონ ხოლმე. "თუ ერთი ჩავიგდე, პირველად კი მე ვაკოცებ, თუნდ ბატონმა პალოზედ ჩამომაგოს", ამბობდა ნერწყვყლაპითა გიტო. "აბა, გიტო! – ეუბნებოდა თავის თავს ღიმილით და თვალის ხუჭვით, – თუ ჩოხა გინდა, დატრიალდი შენებურად". ხშირად შურით იტყოდა ხოლმე: "ბატონობა რა კარგია!... რაც

გულში გაიტარე, იმას აასრულებ! ბატონი რო ვიყო, ჩიტის რძესაც კი ვიშოვიდი, არამც თუ ჩემის ყმის გოგოს. სულელია ჩემი ბატონი! რო არ იცის ბატონობა!... გოგო ჩემი ყმისა მომეწონოს და დავღონდე?! ერთი კი დაიყვირე და აბა ნუ გამიგონებ! თითონ მამას უბძანებდი: შენი გოგო მომგვარე-მეთქი. აბა ერთი უარი ეთქო, სულ წვერებზედ დავკიდებდი. ეს დალოცვილი ღმერთიც იმას აძლევს ბატონობას, ვინც არ იცის! მე უნდა ვიყო, გიჩვენებდი თამაშას!...” აი, რა ფიქრებში იყო ჩვენი ბატონის ღირსი გიტო, როცა ჩავიდა სამზვარეულოში.

საწყალო თამრო, დედამიწა სქდება შენ ფეხქვეშ, რო თან ჩაგიტანოს და შენ კი არ იცი და ყურსაც არ იბღერტამ!

კოლა ჩაისა სვამდა მარტოკა ოთახში, როცა შემოვიდა დაღონებული დათო, რომელმაც, შემდეგ მძიმე თავის დაკვრისა, მოახსენა მოწიწებით:

– ბატონი ადღეგრძელა ღმერთმა!

– რა გნებავს? – ჰკითხა გულცივად კოლამა.

– ხვალ, შენი ჭირიმე, – მიუგო დათომ, – მე ტყეში მივდივარ, მუშა მიმყავს, ვენახიც შესამუშავებელია, არ ვიცი, ვენახში ვინ გაჰყვება მუშას?

– მეც არ ვიცი, – უთხრა ისევ ისე გულცივად კოლამ.

– თქვენ ხო არ ინებებთ, შენი ჭირიმე! – უთხრა გაუბედაობით დათომა.

– მამაშენს აქ ცხონება, სწორეთ იქ გიახლები, შენ ნუ მოუკვდე ჩემ თავს, – უთხრა ჯავრიანმა კოლამ.

– მაშ რა ვქნა, შენი ჭირიმე, მე ორად ხომ არ გავიჭრები?

– ნუ მიჰქარავ ბევრს!... თავში ქვა იხალე და ისა ქენი.

დათო დაღონდა, კოლაც დაჩუმდა, მერე თითქოს რაღაც მოაგონდაო კოლასა, წამოიძახა:

– კაკო ხე-ტყეზედ წავიდეს და შენ ვენახში წაასხი მუშა, გესმის თუ არა!

– მესმის, შენი ჭირიმე, – მიუგო დაღონებით დათომა და გამოვიდა ამ სიტყვებით: ღმერთო, რა ცეცხლში ჩავარდი ამ სიბერის დროს!

კოლას ძალიან იამა, რომ ამისთანა განკარგულება მოახდინა. ორს თავის მტერს და თავის წადილის დამშლელს იშორებდა თავიდამ. თუმცა კოლას ფიქრათაც არა ჰქონდა, რო კაკოს თამრო უყვარს, მაგრამ იმის ყვედრების თითქმის სცხვენოდა და ეშინოდა კიდეც. “ყოჩაღათ მოვიდა საქმე”, – თქვა მხიარულმა კოლამ, როცა დათო გავიდა: “ბიჭო, ბიჭო!” – დაიყვირა კოლამ. ამოვიდა გიტო თავმოკატუნებული.

– ხვალ არც დათო იქნება შინ და რაც კა... – უნდა ეთქვა “კაკოვო”, მაგრამ გიტოსი შერცხვა. ბიჭი რას გაიფიქრებდა? კაკოსი ეშინიანო, თუ? – გესმის, დათო ხვალ შინ არ იქნება; დაისხომე კარგად! – უთხრა ბძანებით კოლამ.

– მესმის, შენი ჭირიმე! – მიხვდა გიტო, რო ბატონს უნდა, რო ხვალ მოხერხდეს, რაც მოსახერხებელია.

– აი, ღმერთმა შენც შეგარცხვინა და შენი ბატონობაც!... თავის ყმისა რო ბატონს ეშინოდეს, რაღა ბატონია!... – ამბობდა დაცინებითა გიტო, როცა ჩამოდიოდა ბატონის ოთახიდამ.

საკვირველია, ღმერთმან იცის!... ერთი და იგივე სულშემხუთველ ძალის ქვეშ კაცნი ზოგიერთნი ვერ იტანენ სიმძიმეს, ჩივიან და აყვედრიან უღმერთობას მომსრესელ ძალასა, ზოგნი კი აყვედრიან და ჩივიან იმავე დროს, რომ ისე ვერა ხუთავს სულს,

როგორც შეუძლიან ეს, რომ დახუთოს. პირველ ნახვითა ეს საკვირველება აღარ არის შემდეგ საკვირველებად, როცა კარგად დააცქერდები საქმეს. რით გაიგება ეს წინააღმდეგობა? აი რით: პირველნი, რომელნიც უსამართლობას ჩივიან, ისინი გრძნობენ თავის დათრგუნვილს ბუნების საზარლობას და იმისთვის აყივდებიან. მეორენი, თუმცა გრძნობენ ამასვე, მაგრამ გამთბარნი არიან დესპოტის ხელის სიმძიმეს ქვეშ; ამად თავის სარგებლობა ხელს აღებინებს თავის ბუნებაზედ. ეგრე მოუხდა სწორედ გიტოსაც. ამას ფეხებზედ ეკიდა, თუ ბატონი მისი თუნდ ყველას ჩაჰყრიდა წყალში. "მე ხომ კარგათ ვიქნებიო, – ფიქრობდა ხოლმე გიტო, – დაე ბატონმა ყველანი დასწოს თუნდ ცეცხლში, მე მივალ და ხელებს გავითბობ! რა მენაღვლება მე!"... აი რა ფილოსოფია ამართლებდა თავის თვალში გიტოსა! ნუ განკიცხავთ საწყალ გიტოსა, ნუ ამოფხვრით ძირიანად გიტოს გულს, ნუ გამოიმეტებთ სასიკვდინოდ! ეგ გლეხია, უსწავლელი, უმეცარი, ეგ მთელ თავის სიცოცხლეში გრძნობდა თავის ბატონის ხელს, რომელიც მიწაში აძვრენდა საწყალს და თავის მოსარჩენათ ეგ მოახერხა, რომ კვერი დაუკრას ბატონს. რამდვენი არიან ეპოლეტებიანი გიტოები ჩვენ თავადიშვილებში, რომელთაგანაც უნდა გადიოდეს წმინდა სხივი ჭეშმარიტებისა, სამართლისა და სიკეთისა დაბალ ხალში; რამდვენი არიან გიტოები, რომელნიც სხვის ძვლების წვაში ხედვენ საშუალობას, რათა გაითბონ თავისი ხელები! რამდვენი არიან!... თქვენცა გყავთ იმისთანა ნაცნობები, ჩემო მკითხველო, და მეცა, მაშ რადღა ვკიცხავთ საწყალ მიწასთან გასწორებულ გლეხსა?

VI

გიტო ჩამოდიოდა ძირს და ფიქრობდა: "კაკო რო იკითხა, სად არიო, უთუოთ იმისთვის უნდა ჩაებარებინა ეგ საქმე. რა კარგია, რო მე შევხვდი!... ეხლა მე ვიცი, რა ბიჭობასაც უზამ ჩემს სულელს ბატონსა! ღვთის წყალობა მე მქონდეს ისე, როგორც მე შევაყვარო ბატონს ჩემი თავი ჩემ ხერხიანობით! როცა შევაყვარებ, მაშინ მეც მეორე ბატონი ვიქნები!... შახტი, გიტო, ბედაურები დაიხოცნენ და ვირებს არ დაუგდო მოედანი, აბა ჰაა! შენ იცი, როგორც დატრიალდები!..." ფიქრობდა ჩვენი გიტო, თანდათან უფრო აღტაცებაში შესული.

გიტოს მართლა ეგონა, რო თითონ არ შეხვედრიყო ბატონსა, ბატონი სწორეთ კაკოს გახდიდა მაჭანკლად იმიტომ, რო ხედავდა ის, რო თითქმის ბატონი და კაკო ამხანაკებსავით იყვნენ; არ იცოდა კი, რა დიდი ზღვაა ბატონსა და კაკოს შორის მაგვარ საქმეებში. გიტო ცოტა შურიანი ბიჭიც იყო და ქვეყანამ იცის, რომ შური ბრმა არი, იქ აჩვენებს იგი მტერსა, სადაც მოყვარეა, და იქ აჩვენებს მოყვარესა, სადაც მართალი მტერია. სწორედ ეგრე მოუხდა გიტოსა; კაკო თუმცა ეჭვში ჰყვანდა აყვანილი, რომ ბატონთან ბევრი რამ შეუძლიანო, მაგრამ კაკოსი არ ეშინოდა, რო ბატონის გულს ეგ მოიგებსო და მე ხელცარიელ დამაგდებსო; ამას ეშინოდა ბებერ დათოსი, რომელიც არც ბატონის ხელში დაჭერას ფიქრობდა და არც არაფერსა; მაგრამ ეშინოდა კი იმისთვის, რომ დიდ ბატონის ავან-ჩავანი დათო იყო, ყველაფერი დათოს ეკითხებოდა მაშინ და ყველასაც დათოს უჯერებდა კურთხეული ლუარსაბი; პირველი გიტოს მტერობის მიზეზი დათოსადმი ეგ იყო, მეორე ისა, რომ დათოს, როგორც ძაღლსა კატა, ეჯავრებოდა გიტო, ყოველთ[ვის] აბეზღებდა ხოლმე დიდ ბატონთან და არა ერთხელ გაილახა ლუარსაბისაგან; მართალია, ღირსი იყო, მაგრამ მაინც ჯავრი ჩაჰყვა დათოსი და ამბობდა ხოლმე: "დამაცადე, ბებერო, შენ ჯავრს ამოვიყრი, დამაცადე!..." ამისი ეშინოდა ძალიან გიტოსა და ფიქრობდა: "თუ

იმისთანა შინაკაცი გახდება კოლასთან დათო, როგორიც იყო ლუარსაბთან, ბარემ ავიღო თავზედ ხელი და ადრე და მალე დავმიწდეო!...” გიტომ ეხლა გაიგო, რო მოვიდა დრო ჯავრის ამოყრისა და დათოს დაცემისა ბატონის თვალში. რარიგად უხაროდა, როცა კოლამ გააბიაბრუა დათო პირველ ნახვაში, შურიან გიტოსა. კიდეც ლუარსაბზედ და დათოზედ ამბობდა გიტო: ”ბედაურები დაიხოცნენ, ვირებს მოედანი არ უნდა დარჩესო!” საწყალი დათო კი არც მოედანზედ ფიქრობდა, არც შინაკაცობაზედ ბატონთან. ის საწყალი, პატიოსანი, მოხუცებული გლეხკაცი ცოდვილობდა, რაც შეეძლო, იმისათვის კი არა, რო ბატონი ხელით ვატრიალოო, იმისათვის, რო მაგას თავის სიცოცხლის ვალად სთვლიდა.

”მე ყმა ვარ, უნდა ვიმუშავო, – ამბობდა კეთილი დათო, – ის ბატონია, იმან უნდა მიირთოს ჩემი ნაღვაწევი”. ესე არი ყველაფერი ქვეყანაზედ. დათო არც მადლიერი იყო თავის მდგომიარობისა, რომ ყმა არი, და არც უმადური, იმიტომ რომ კურთხეული ლუარსაბი, როგორც მარტივი ჩვენი ქართველი, გულშემატკივარი იყო, ბევრს ძალას არ ატანდა ყმებსა; რასაც დებულება მოითხოვდა, იმას არ გადასცილდებოდა, რაც უნდა გასჭირებოდა. მერე კეთილი, თავდაბალი კაციც იყო, ყოველ გლეხს, როგორც თავის ამხანაკს ელაპარაკებოდა, ეხუმრებოდა, ლხინობდა აღდგომა დღეს და ახალ წელიწადს გლეხებთან, როცა ძღვენს მაართმევდნენ. ამისთანა ბატონის ხელქვეშ მძიმე უღელი ბატონყმობისა სუბუქად მიაჩნდათ გლეხებსა და ჩვენ დათოსაც.

ბოლოს კი, მართალი, დაღონდა ჩვენი დათო, როცა ნახა პირველად კოლა; მაგრამ ამან ისე არ დააღონა, როგორც გული მოსწყვიტა დათოსა კოლას საძაგლათ ქცევამა. აი მაშინ გაიგო, რო ყმა სულით და ხორცით ბატონის ხელში არი, რომ ყმამ უნდა იტიროს, თუ ბატონს ნებავს, მაშინ როცა ყმას სალხინარი აქვს; მაშინ უნდა ხარობდეს, როცა სატირალი აქვს. კოლამ რაც საძაგლობა მოახდინა, სულ იცოდა არამც თუ დათომა, ყოველმა კაცმა იმ სოფელში. როცა დათომ ესენი შეიტყო და დარწმუნდა, რომ ყველაფერი მართალია, მაშინ დაღონებით გაიქნივა თავი და თქვა: ”თურმე ჩვენი სულებიც იმათ ხელში ყოფილა!” მაშინ გაეხილნენ თვალნი საწყალ მოხუცსა, მაშინ ნახა, რო არამც თუ ოფლი და შრომა ეკუთვნის ბატონსა, არამც თუ მარტო ცემა და ტყება შეუძლიან, არამც თუ ხორცის გლეჯა ძალუძს სამართლით და უსამართლოდ, არამედ შეუძლიან წარუწყმიდოს სულიცა, წაართვას ქალის ნამუსი, ცოლის სიერთგულე, პატიოსნება, გრძნობა, ყოველიფერი, რაც კი უკეთესია და უწმინდესია კაცის ბუნებაში თუნდა გლეხში და თუნდ ბრწყინვალე თავადში! ”ვაი ჩვენი ბრალი!... ვაი ჩვენი ბრალი!...” ამბობდა ღრმა მწუხარებით დათო, როცა უთხრეს, რომ კოლამ კიდევ ვიღაც გლეხის ცოლი შეაგინაო; მაშინ გაიგო ამ საწყალ გლეხკაცმა, რა მძიმეა ბატონის ხელი, მაშინ პირველად შეეზარა თავისი ყოფა, ცხოვრება, სახლი, კარი და ხშირადა გაიფიქრებდა თითქო რაღაც შიშით: ”ნეტავი შვილი არა მყოლოდა! ნეტავი თესლი დედის მუცელშივე გადაიქცეს გველად, მინამ დაჰბადავდეს გლეხს, რომელსაც ყმობა ელის!...” მაგ თითონვე შეეშინდებოდა ამგვარ ნატვრისა და მაშინვე დაუმატებდა: ”ნეტავი შვილი არა მყოლოდა-მეთქი?... მაშ თამრო აღარ მეყოლებოდა. მაშ ვიღა იქნებოდა ჩემი მანუგეშებელი სიბერის დროს, თუ თამრო დედის მუცელშივე გველად გადაქცეულიყო; ღმერთო შეგცოდე, ღმერთო შეგცოდე!” და მოიხდიდა ქუდს და გადიწერდა პირჯვარს. მერე რო მოაგონდებ[ოდ]ა კიდევ თავისი ბატონი კოლა, რაღაც ჟრჟოლა გაუვლიდა ხოლმე ტანში, ათრთოლდებოდა, რაღაც ეჭვი უღრღნიდა გულს და

წამოათქმევინებდა: ”მეც სიბერის დროს რო ის ლაფი დამასხას თავზედ, როგორც სხვას? მეც რომ ჩემი თამრო...” ვერ ათავებდა სიტყვას, თქმაც კი ეშინოდა საწყალს. ”ოხ, ღმერთო, თუ ეგ მოხდება, დამეცი მეხი მეც და ჩემს უბედურს სისხლსა და ხორცსა, თუ ის ჩემი ნაშობი წაიმურტლოს რითამე!... ღმერთო, ნუ შემასწრობ იმ მიწასთან გასასწორებელ, დასაღუპავ დღეს!... ღმერთო, მფარველო და შემწეო გლახაკისა და უძლურისავ, დამიფარე მე, გადმომხედე შენ გაუთავებელ მოწყალებითა; ღმერთო, თუ ჩემს ცოდვების სამაგიეროთ მაგით დამსჯი, ნუ ინებებ, მოწყალეო ჩვენო, იმიტომ რომ ქვეყანაზედ არ არის იმისთანა ცოდვა, რომ ეგ სასჯელი იმის შესაფერი იყოს. ეგ სასჯელი ძალიან დიდია ქვეყნის ცოდვისათვის. ღმერთო! ღმერთო!... დამისხენ წაწყმედისაგან მეცა და ჩემი გოგოცა!” ტიროდა მოხუცებული დათო, სასოებით მზირალი ცისადმი. ამ ლოცვის შემდეგ თითქმის შეუსუბუქდა გულის სიმძიმე, თავისი ეჭვი, უბედურობის შიში მოკლა სასოების ძალამა ღვთისადმი! დააჯერა გული ამ მხურვალე და მარტივ ლოცვის შემდეგ, რო ღმერთი იზრუნავს ამის თამროსათვის, ღმერთი დაიფარავს, დაისხნის იმ ყოფისაგან თამროსა, რომლის წარმოდგენაც ისე აშინებდა და აჟრჟოლებდა მოხუცებულ მამასა!

ჰოი, დიდო ღმერთო, ნუგეშმცემელო მეფისაც და მწყემსისაც თანასწორად! მარტო შენღა ჰყევხარ დავრდომილსა გლეხსა გულის შემატკივარათ! შენ შემოგჩივის, რა იცის, რომ შენ შეისმენ ჩივილს, შენ წინ დაჩოქილი ტირის, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ამაოდ არა ცვივან ცრემლები და შენ უხილავად მოარჩენ ხოლმე გულს და ითმენ კიდევ მიწასთან გასწორებულ სიცოცხლის ტარებას, ხოლოთ იმ იმედით, რო შენ ყოვლად შემძლებელი ხარ!...

მაგრამ მას აქეთ, რაც კოლამ მოიწონა ამისი ქალი, მას აქეთ კიდევ აეშალა ბებერ დათოს თავისი შიში, თრთოლა და მოურჩენელი დარდები!... მაშინ გადაწყვიტა, რო უშველოს როგორმე თავის საყვარელ ქალსა; ვერც გაებედნა გადეშალა თავისი გული საბრალო, უმანკო, უცოდველ გოგოსათვის, არ უნდ[ოდ]ა ამ გულის გადასხნით აემღვრივა მისი უმანკო სისხლი, გადაეფარებინა შავი ღრუბელი იმის ცხოვრებაზედ, რომელიც იყო ბრწყინვალე, ანკარა, წმინდა, როგორც მთის წყარო, მოტიკტიკე ქორფა ბუჩქებშია. არ ეთქვა, მაინც სიკვდილი იყო: “ვაი თუ შესცდეს, მერე რაღა ვქნა მე დაღუპვილმა და წაწყმედილმა”, – ამბობდა თავში ცემით სასოწარკვეთილი დათო ამ გამოუსხნელ მდგომიარობაში. გაუარა ფიქრად, რო ნეტავი მომიკვდესო. მაგრამ ამ ფიქრმა, როგორც ელვამ გაურბინა ჟრჟოლით ძარღვებში, და ელვასავით უკვალოდ მალევე ჩაქრა. შეშინებულს მამასა, როგორც ზარი ეს აზრი დაეცა თავში და ფეხებამდინ ჟრჟოლით გაიარა. მაგრამ კი, თუ რომ გეკითხათ დათოსათვის, – სიკვდილ გირჩევნია ქალისაო თუ უნამუსობაო, – დათო გადაწყვეტილად, უფიქრელად მაშინვე გეტყოდათ, თითქმის სიხარულითაც ამოირჩევდა სიკვდილს, თუ მეტი საშველი არ იყო.

იმ წყეულ კვირადღიდამ, როდესაც კოლამ შეასწრო მურტალი თვალი თამროსა, იმ წყეულ დღიდამ გულმოწყვეტილ დათოს მოსვენება არა ჰქონია: ძილში თუ ცხადათ სულ რაღაც საშინელი, აუარებელი, უღვთო საქმე ელანდებოდა. ხშირად იჯდა ხოლმე ცეცხლაპირას პირდაპირ თავის ქალისა, რომელიც საღამოჟამზედ ცეცხლის ნათელზედ უდარდელად საქმობდა, უყურებდა, უყურებდა სიყვარულით და სინაზით თავის ქალსა და უნებლიეთ ცხელ-ცხელი ცრემლები მოერევოდნენ თვალებში. ”საწყალო თამრო”... შენ არ იცი, რა ხიფათი გდევს უკან! – ამბობდა თავის გულში დათო, – შენ არ იცი, რა ჭია მიღრღნის გულსა!. და ღმერთმაც ნუ შეგატყობინოს, შვილო!..” მაგრამ თამრო ისეთი

სულელი არ იყო, რო არ დაენახა მამის ნაღველი. თუმცა სწორეთ არ იცოდა მიზეზი, მაგრამ მიხვდა კი რაღაცას; იმიტომაც აღარ ეხვეწებოდა მამასა, რო ეთქვა, რაც გულზედ აწევს. ხშირად მოუვიდოდა ფიქრად, ეთქო მამისათვის და დაეჯერებინა გული თავის წრფელობაზედ და სიკეთეზედ, მაგრამ ეშინოდა, ვაი თუ ის არ იყოსო. ტყუილად რად შევიყვანო ეჭვშიაო, გადასწყვეტდა ხოლმე ჭკვიანი თამრო; ამის შემდეგ დააპირებდა ათქმევინოს მამასა თავის ნაღველი, მაგრამ მამა რო დაჟინებულად გაიცლიდა ხოლმე თავიდამ თამროსა? სჩანს, თქმა არ უნდაო, იტყოდა, ცოტად გულნატკენი კი, მამის გაგიჟებით მოყვარული თამრო. ეგრე გადიოდნენ დღეები და ერთიმეორეს მამა და შვილი უმალავდნენ თავიანთ ნაღვლებსა: ქალი ნაღვლობდა მამაზედ, მამა – ქალზედ და არაფერს არ ეუბნებოდნენ ერთმანეთსა.

ბოლოს დათომ გადაწყვიტა, რო ვისმეს უთხრას: ან თავადისშვილს, რომელი დაახლოვებული არის კოლასთან, ან გლეხკაცს ვისმეს, თავის ძმაკაცსა, რომელსაც ან ხვეწნით, ან თხოვნით, შეეძლოს კოლას სვინიდისში მოყვანა, ან თუ არა-და შველა ამ უბედურობაში. "თავადისშვილს უთხრა ვისმეს, – ჰფიქრობდა დათო, – ვაი თუ უფრო გაწყრეს, სხვას რად ეუბნები ჩემზედ მაგისთანა ამბებსაო, და უფრო ჭირი ჭირზედ მომიმატოს; ისევ კაკო სჯობს მოვიხმარო როგორმე ამ საქმეში, ის ძმასავით შეზრდილია ბატონთან, ის უფრო გაუბედავს და კაი კაციც არის; ვა, ი კაკოშიაც რო მოვტყუვდე, რო მე თითონ გაუშალო უნებურად მახე ჩემ ქალსა", – ეჭვობდა დათო, – განა იმისთვის, რო კაკოსი ცუდი რამ გაეგოს, არა; ქვეყანამ იცის, რო ამისთანა დიდ საქმეში, სადაც კაცს ეკარგება ყოველიფერი, რაც იმისთვის უკეთესია, უწმინდესია და უძვირფასესია ქვეყანაზედ, ამისთანა საქმეში კაცი ძმასაც ძნელად ენდობა. ეს ბუნებითვე შთაგონებული შიშია და უნებური ეჭვი, ეს ცოდვად არ ჩაეთვლება კაცსა, ნამეტნავად მამასა, რომელიც შვილის დასხნას ფიქრობს უნამუსობისაგან. "კაკომ რომ მამატყუოს? მე რომ დამაბრავოს და გაახაროს ჩემი მტერი, რომლის მტრობაც, – ღმერთო, ხომ შენ იცი, – მე არა მქონია, მერე რაღა ვქნა?" – იცემდა თავში მოკლული მამა.

კაკოც იმ დღის აქეთ, რაც ჩვენ ვნახეთ თამროსთან ერთად, ჩავარდა ნაღველში. იცოდა, დარწმუნებული იყო, რო ბატონი საძაგლობას მოახდენდა, რაკი მოიწონა თამრო, თუ თითონ არ დაუშლიდა. მაგრამ როგორ დაუშალოს? წავიდეს, – პირდაპირ უთხრას კოლას, რო მაგს ნუ იქს, რა გამოვა? იქნება დასაჯოს, გადაკარგოს, – მაშინ უფრო ცუდი იქნება. იქნება არ დასაჯოს და დაჰპირდეს კიდეც, რო არა იქს, – როგორ დაუჯეროს იმისთანა კაცს? წავიდეს – დათოს უთხრას ყველაფერი და ერთად მოაგვარონ რამე, ისა სჯობია ყველაფერსა. ესე გადაწყვიტა კაკომა, ბოლოს კი შედგა ამაზედა: უთხრას თუ არა, რო თამრო უყვარს. სჯობია უთხრას, უფრო დაერწმუნება დათო, თორე ვინ იცის, რას გაიფიქრებს საბრალო მამა!... თორე ესე რო მივიდეს, დათო გაიფიქრებს, ძალად გამოგზავნილია ბატონისაგან, რო მამატყუოსო, გამაცუროსო და უკანიდამ კი ორმო გამითხაროსო, მიმიყვანოს ტკბილის სიტყვით და ხელი მკრასო! მაშინ მე ისე აღარ მომენდობაო. თქვა კაკომა და დააპირა პირველ შეხვედრაზედვე ყველაფერი უთხრას დაჩაგრულ დათოსა და გააფთხილოს. ის კი არ იცოდა, რო საწყალი დათო თვალს აღარ ხუჭავდა, ძაღლი რო გაიჩუჩუნებდა, იმას თავისი დაემართებოდა ხოლმე.

გიტო კი მეორე დღეს, როცა კოლამ დათო ვენახში გაისტუმრა და კაკო – ხე-ტყეზედ, წავიდა დათოს სახლში, რო თამრო ენახა, მაგრამ კარები დაკეტილი დახვდა კლიტით, მეორეთ მივიდა, მესამედ მივიდა – იგივე კლიტე ედო დათოს კარებს.

– დამაცა, ბებერო, მოგედინა მგლის სუნი განა? – ამბობდა თავისთავად პირღიადარჩომილი გიტო, – შენ ხერხიანი ყოფილხარ, მაგრამ არც კი მე ვარ უხერხო; ასეთი ქამანდი გიგდო, რო სულ "აღარა ვიქ" იძახო.

კოლა დიდხანს ტუჩების ლოკვით ელოდა გიტოს დაბრუნებას; ბრაზიანობდა, რო დიდხანს არ მოდის და მოუთმენლობით ტუჩებს იკვნეტდა. ბოლოს მოვიდა გიტო.

– სად იყავ აქამდინ, შე ვირიშვილო! – შეჰსძახა კოლამ; რა აღარ დააცალა პასუხის თქმა. კიდევ ჰკითხა: – რა ქენ?

– შინ არავინ არ იყო, შენი ჭირიმე! – მიუგო მცირედის შიშით გიტომ, – სამჯერ გახლდით და არავინ არა ვნახე.

– წადი, – შეუკურთხა საძაგლად კოლამა და ერთი ასეთი სილა შემოჰკრა, რო გიტო დაბარბაცდა. – ვირო! შენ კვეხნის მეტი არა გცოდნია რა, – და ერთი კიდევ უთავაზა პრისტავული იმედმოტყუებულმა ბატონმა.

– დამეკარგე თვალიდამ, გადი კარში!... – უბძანებდა გამწყრალი კოლა. გიტო გავიდა კარში და იცემდა გულში ხელს.

– მაშ დამაცადე, ქოფაკო დათო!... თუ შენი ჯავრი ამოვიყარე, ხო ამოვიყარე, თუ არა და ვერც ბიჭი [ვყოფილვარ],– და უნდოდა გადესო ჩვეულებისამებრ ულვაშებზედ ხელი, მაგრამ ულვაშები არა ჰქონდა.

– სულ შენის გულისათვის მომდის ეს საქმეები! დამაცადე, დამაცადე!... – ამბობდა დაჯილდოვებული ორის სილით ერთგული ბიჭი.

VII

ამოვიდა მუშა ვენახიდამ სიმღერით და ერთის ყოფით; მუშებ შორის მოფაცფაცებდა თავჩაკიდებული, დაღონებული, ბებერი დათო. ტყიდამაც მოვიდა კაკო. როცა ხალხმა პური ჭამა და მუშები წაეყარნენ თავ-თავის ალაგებზედ, დათო კი არ მიდიოდა შინ, იჯდა ისევ თავის ალაგზედ და რაღაცასა ფიქრობდა; ამ დროს კაკო ჩამოვიდა ბატონის ოთახიდამ, რადგანაც ბატონს გახადა ტანთა და დააძინა, და თითონაც მიდიოდა დასაძინებლად, მაგრამ, რა დაინახა დათო მარტოკა მჯდარი გარეთ ფურცლის ქვეშ, მიუბრუნდა დათოსა:

– დათოს გაუმარჯვოს!...

– ღმერთმა გაგიმარჯოს, შვილო! – მიუგო გულმოწყვეტილად და რაღაც დაღონებით.

– დათო! მე შენთან მოსალაპარაკები მაქვს, – უთხრა პირდაპირ კაკომა. დათოს ელდამ გადაჰკრა, ვაი თუ ბატონისაგან იყოს ჩემს ქალზედ სალაპარაკოთ გამოგზავნილიო.

– რა გინდათ, შვილო, ჩემგან, ხომ არ მომკლამთ სიბერის დროს, დამაცადეთ, ისეც ჩემი აღსასრული შორ არ არის. – აყვედრებდა დათო; – როგორ არ გებრალებით ბებერი კაცი! ღმერთი არ არი თქვენში?!..

კაკო გაოცებული უგდებდა ყურს დათოს საყვედურსა, ბოლოს უთხრა:

– მეც მაგასა ვჩივი და ვტირი, ჩემო დათო, რომ უსამართლოდ გტანჯვენ, საწყალო! მეც მაგაზედ მინდა მომელაპარაკნა შენთან...

– კარგი, კარგი, თუ ღმერთი გწამს! – გააწყვეტინა სიტყვა დათომა, – კარგი!... ვიცი, რა შველაც გინდა, ვიცი!... თუ ღმერთი გწამს, მე მომშორდი, ნუ ჩამიძვრები გველსავით

გულში, რო დამშხამო მოღალატობით, მე კი დამესხენ და რაც გინდა ქენი. მე შენთვის და შენ ბატონისთვის საშიშარი არ ვარ, მე უღონო, უძალო, ბებერი კაცი ვარ!... დამესხენ, დამესხენ!... – გააგძელა თრთოლით და ყვედრებით: "მე რა შემიძლიან თქვენთან, ქვეყანა თქვენკენ არი!" ამას ამბობდა, მაგრამ სისხლით ევსებოდა გული უბედურ დათოსა.

დათო ეჭვში იყო უწინაც კაკოზედ და ეხლა უფრო დარწმუნდა, რო კაკო ეხმარება თავის ბატონსა და უხლართამს უღონო მამას საქმესა. – თორე რად შესტკივის გული ჩემ უბედურობაზედ? მე ვინა, ეგ ვინა, რო შველა უნდა ჩემი? არა, შვილო, გაგიგე, რაც გინდა! – გაიფიქრა კაკოს მზაკვრობა კეთილმა დათომ; მართალიც იყო, რო ეფიქრა ესა; თავის სიცოცხლეში არ უნახავს არც ერთი კაცი, რო მოძმესათვის იქ ეშველა, სადაც ბატონი იყო გარეული, მერე ბატონის შინაყმა, ყურმოჭრილი, ერთად შეზდილი, როგორ გაეფიქრა, რო წინააღმდეგ ბატონისა წავიდოდა და უშველიდა საწყალ გლეხსა, როგორ გაეფიქრა გამოცდილ და ჭირნახულ დათოსა?

კაკო შეფხუკიანდა დათოს სიტყვებზედ, ეწყინა მაგისთანა ცილი და თითქმის მწყრალად უთხრა:

– რას ამბობ, კაცო! ვაი შენ, ჩემო თავო, მაშ შენ კაკო ვერ გიცვნია! – უთხრა იმ თავმოწონებით, რომელიც სულ არა ჰგავს კვეხნასა. – ადრე და მალე დამიწდეს ეს ობოლო თავი, თუ შენი ღალატობა მე მინდოდეს! ვაი შენ, ჩემო თავო!... განა მიქნია შენთვის სიავე რამე, ან სხვისთვისა, რო მაგას ფიქრობ ჩემზედ? განა მიქნია რამე? სულს ნუ წაწყმედ მაგ ფიქრით, მოხუცებული კაცი ხარ!... – ეს სიტყვები კაკომ წარმოსთქვა იმ დაღონებით, იმ ჭეშმარიტის გულის სითბოთი, რომელიც კაცის გულსა, როგორც ჯადო, მოხიბლავს ხოლმე სანდობლად და შეანანებს უწინდელ ეჭვიანობას.

დათომ შეხედა ამ სიტყვებით შერხეულმა კაკოსა; კაკო იყო მწუხარე, რო არ ენდობიან, და ასეთ სიმშვიდით, ასეთ სიკეთით იყურებოდნენ იმის დაღონებული თვალები, რო დათოს შეეზარა თავისი ეჭვიანი გული. არა, გველი ესე ვერ შეხედავს კაცსა, რომლის დაშხამვა უნდაო, იფიქრა სინანულში შესულმა დათომ.

მინამ ამას ფიქრობდა დათო, კაკომ მწუხარეთ ამოიოხრა და დააპირა გამობრუნება, მაგრამ დათო წამოხტა, წაავლო ხელი და თრთოლით, კანკალის ხმით, ასე გონია ტირისო, უთხრა სინანულით კაკოსა:

– ნუ გამიჯავრდები, შენი ჭირიმე, – ეხვეწებოდა დათო, – ნუ გამიჯავრდები!... ღმერთი ხომ მოწამეა, შენზედ ცუდი არ გამიგია, მაგრამ რა ვქნა? გასინჯე ჩემი ყოფა! შვილი მეღუპება, შვილი ცოცხალი მემარხება!... – ეხვევოდა და ტიროდა გულამომჯდარი უბედური მამა. – მე მეგონა მთელი ქვეყანა ჩემი მტერია-მეთქი!... – საცოდავად კნაოდა დათო; – შენი ჭირიმე, კაკო, ნუ იწყენ ბებერ, სიბერისაგან ჭკვაგალაყებულ, მიწასთან გასწორებულ დათოს სიტყვასა!... რა ვქნა? რა უნდა ვქნა? – ამბობდა სლოკვით მართლა-და მიწასთან გასწორებული ბებერი. – ჩემი შვილია!... ჩემი სისხლი და ხორცია!... ძმას არ ვენდობი, ძმასა მაგ საქმეში, – ღმერთო, ხომ შენ იცი!... მაგრამ შენ რო არ მოგენდო, ცოდვაა, რაღაც მეუბნება გულში, რო ცოდვაა!.. – მოსთქვამდა ჭეშმარიტის სინანულით დათო.

– შენ იცი, შვილო, რასაც მიზამ, შენ ხელში ვართ დღეის იქით ბებერი, უძლური, უჭკვო, ბებერი მამა!... გინდა გველივით მამსრისე, მე ხმასაც არ ამოვიღებ, გინდა დამისხენი წაწყმედისაგან! შენ იცი!... მე არა შემიძლიან რა, ხომ ხედავ!... – დაიწყო ქვითინი, ხმაჩაწყვეტით კი, უბედურმა დათომა.

კაკო სულ გაშრა, აემღვრია გული, ასე რომ, ეხლა ბატონი რო შეხვედროდა, სასიკვდინოთ გამოიმეტებდა; სულ ვეღარ უთხრა რა კაკომა, ვერც ნუგეში მისცა, ვერც იმედი, ისე შეეკრა ენა და სიტყვა ამის მსმენელს; ვის არ შეებრალება ეს პატიოსანი, უძლური მოხუცი, რომელიც მოწიწებით თითქმის დაჩოქილი იდგა კაკოს წინ და ცრემლით თვალში, თრთოლით ტანში, ეგრე თავგაწირულად, გამომეტებით აძლევდა ხელში თავის ყელის საბელსა გამოუცდელ ოცდაოთხის წლის ბიჭსა. ვის არ შეებრალება თავადისშვილის გარდა, ვისა?

დიდხან იდგა კაკო ამ მდგმოიარობაში, დიდხანს ტიროდა მოკლულ ტირილითა დათო; ბოლოს კაკომ წაავლო ხელი უბედურსა, წამოაყენა ფეხზედ და უთხრა მონაწილეობით:

– კარგი, გეყოფა!... ეხლა ტირილის დრო არ არი, ეხლა უნდა როგორმე მოვაგვაროთ საქმე, თორემ ღრუბელი საშიშარია.

– აჰა, შვილო, შენ ხელში ვარ, შენ გეთაყვანო ჩემი თავი! – ეუბნებოდა ნდობითა ბებერი მტირალი: – აჰა, რაც გინდა მიბძანე, ყველას, როგორც ყმა, გაგიგონებ. ოღონდ მიშველე რამე, შენი კვნესამე, – საცოდავის ხმით შეჰბღავოდა ბებერი: – ღმერთი გადაგიხდის, ჩემო კაკო, ღმერთი!...

კაკომ, თითქმის ტანში დაშლილმა ამ ბებერის სიტყვებისაგან, მაინც ვერაფერი ვერ უთხრა, თუმცა კი ძალიან უნდოდა დაემშვიდებინა საცოდავი მამა თამროსი.

უნებლიეთ ამ ორმა კაცმა გასწია პირდაპირ დათოს სახლისაკენ, მივიდნენ დერეფანთან თუ არა, კაკომ დაუწყო ისევ ლაპარაკი დათოსა:

– დათო, ეცადე, ცრემლი შეიშრო და ცრემლით არ ეჩვენო ბატონსა, ეცადე, ჩვენი დღევანდელი ლაპარაკი ჩვენში დარჩეს, ჩემთან ხშირად ლაპარაკს ერიდე ხოლმე; როცა დრო მოითხოვს, მე თითონ მოგნახამ, მინამ კი შენ ჩუმად იყავ; ძალიან ფთხილადაც იყავი გარშამო მტრები გახვევიან. თვალის დახუჭვის დრო არ არი, ფხიზლად და ფთხილად იყავი; შენი გოგო მარტო სახლში არადროს არ დააგდო, გესმის თუ არა?

– მესმის, შენი ჭირიმე, კაკო, მესმის, შენ თვალებს ვენაცვალე, როგორც ყურმოჭრილი ყმა, ისე მოვიქცევი შენ სიტყვაზედ. ოღონდ.....” – აუტირდა კიდევ გული და შეეკრა სიტყვა საწყალ დათოსა და გადაეხვივა კაკოს, ჰკოცნიდა ხელზედ, კალთაზედ, კაკო კი ირიდებდა თავიდამ, მაგრამ დათო არ ეშვებოდა:

– შენ იცი!... შენა!... – ვეღარ გაათავა ის, რაც უნდა ეთქვა, მეტის მწუხარებით და შიშით – ერთის მხრით, მეტის სიხარულით და ნდობით – მეორის მხრით, რო მეშველი და შემწე იშოვნა.

შემდეგ ამ მწუხარე სცენისა, როცა დათომ დაიშოშმანა კიდევ თავისი გული, მიუბრუნდა კაკოს:

– რას ფიქრობ, შვილო, როგორ უნდა მოიქცე?

– მეც არ ვიცი, ღმერთმან იცის! – მიუგო მცირეს ხან შემდეგ დაფიქრებულმა კაკომ, – არ ვიცი, როგორ დავიწყო საქმე!

– მე წავალ; ფეხებქვეშ ჩაუვარდები, ენით აულოკამ ფეხებს და ხელებს, იქნება როგორმე ღმერთი გაუწყრეს და შემიბრალოს! – უთხრა დათომა გადაწყვეტილად.

– შენ იმ კაცს კარგად ვერ იცნობ! აი, ეს არის იმის გული, – წამოჰკრა კაკომ საჩვენებლად ფეხი ერთ დიდ ლოდსა: – შენ ცრემლით უნდა დაალბო რკინა?

– მაშ რა ვქნა, შენი ჭირიმე, – უთხრა საცოდავად დათომ, თითქო იმედი გადუწყდაო ყოველფერზედა.

– კიდევ მე იქნება ჩავაგონო რამე; შენ კი ყოჩაღად მოიქეც, ნამეტნავად გიტოსი გეშინოდეს, ის ძაღლი კაცია, იმას ვერც კი დაინახამ, ისე შემოგეპარება სახლში, ფთხილად იყავი, – არიგებდა კაკო.

– ვაი თუ, შვილო, გააჯავრო როგორმე და ციმბირისკენ გიკრას თავი, მერე მე რა მეშველება? – შებღავლა საცოდავად ამ ფიქრით შეშინებულმა.

– ღმერთი მოწყალეა!... ნუ შიშობ, ეს კლავები გახმეს, თუ ის იმ საქმემდი მიუშო, რაც უნდა დამემართოს, – თქვა გრძნობითა კაკომა.

– ეგრე, შენი ჭირიმე, ეგრე!... – ეუბნებოდა დათო, ასე რო ეს სიტყვები ყოველ ლოცვა-კურთხევასა სჯობდა კაკოსათვის. – ღმერთო! შენ გადიხადე ჩემ მაგიერ სიკეთე, თორემ შენ თითონ ხედამ, მე არ შემიძლიან, – შეხედა სასოებით ღმერთსა ღვთისმოყვარე დათომ.

– შენც შეგიძლიან და ღმერთსაც, – მიუგო მორცხობით კაკომ.

– მე საიდამ? – თქვა რაღაც ფიქრით გახარებულმა დათომ, – ჩემი სიმდიდრე სულ ერთი გოგოა!

– აბა კიდეც ის გოგოა გადამხდელი, – მიუგო უფრო მორცხობით კაკომა. – ეჰ, რაღას გიმალამ, შენმა გოგომ მახეში გამაბა, მე ის მიყვარს და იმასაც უყვარვარ, ცოლქრმობის პირობა გვაქვს.

ამ სიტყვებმა ძალიან შეაწუხეს ეჭვიანი დათო, რომელმანცა ჩაღუნა თავი და ხმა არ გასცა; კაკომ შეატყო, რო დათო რაღაც ავ ფიქრს გადაეკიდა, დაუმატა მაშინვე;

– მაგრამ არც შენთან და არც ღმერთთან პირშავად არა ვართ, ღმერთო, ხომ შენა ხარ მოწამე, – თქვა და შეხედა კაკომ ცასა, თითქო ცას უხმობდა ამის დასამოწმებლად. – ჩვენი სიყვარული წმინდა არის აქამდის, როგორც წყარო, ჩემო დათო! და წმინდაც იქნება, მინამ შენ დაგვლოცავ და ღვდელი ჯვარს დაგვწერს. ღმერთო, აქავ დამეცი თავში მეხი და გამაქერ, თუ ვსტყუოდე.

ღვთისმოყვარე დათოს ეს ფიციც ეყოფოდა, რო დაეჯერებინა კაკოსათვის, თუნდ არ ყოფილიყო ის მხურვალე და პატიოსანი მეტყველობა კაკოს სახისა და ის მიმზიდველი, დამარწმუნებელი ხმა მართალის კაცისა; დათო დაჯერებული იყო, რო ღმერთი მართლა ქვას დასცემდა თავში კაკოსა, თუ კაკოს ეტყუვნა, ამისთანა მოშიში იყო ღვთისა ჩვენი საბრალო დათო; ის კი არ იცოდა, ქვეყანაში რა ამბებია!... რამდენი მაგისთანა ფიცები ჩაჰბარებია პატრონსა და შეჰრგებია, როგორც კარგი ბოზბაში შეერგებოდა ხოლმე კურთხეულ ლუარსაბსა. შენდობა ლუარსაბსა, რა დროს იმის მოგონებაა!...

ერთის სიტყვით, როგორც იყო, კეთილმა დათომ ბეჭდად მიიღო კაკოს სიტყვები, მიენდო სრულის თავის კეთილის გულითა კაკოს სიტყვებს და როგორც ცეცხლმოკიდებული წამოვარდა და გადაეხვივა კაკოსა:

– მომკალ, აქავ მომკალ, კარგო კაკოვ! ღმერთმან იცის, ღირსი ვარ!... ცუდი გული მაქვს ეს ტიალი, მერე საწყალი თამროც ძალიან მიყვარს; იმის ბედნიერება მეტისმეტის სიყვარულით ხან უბედურობად მიმაჩნია ხოლმე!... მომკალ, გამაქერ, ცუდი გული მაქვს, ცუდი! – ეხვევოდა და ეუბნებოდა თავის ეჭვიან გულზედ გამწყრალი დათო. – ოღონდ შენ ჩემი ქალი შაირთე და მე ყმად გაგიხდები! შენზედ უკეთეს პატრონს სად უშოვი ჩემს ქალსა, სად უშოვი!... – ეუბნებოდა ეხლა კი სიხარულითა ბედნიერი მამა.

– მაშ ვალიც გადაგიხდია, – უთხრა გაცინებით კაკომა, – არამც თუ გადაგიხდია, წინადვე მოგიშორებია. ეხლა ჩემზედ ჰკიდია საქმე!... ეხლა ხო მიჯერებ და მომენდობი, სიმამრო კაცო, ჰა, – ეუბნებოდა მხიარული კაკო.

– მოგენდობი ისე, როგორც კაი კაცს და ჩემს თამროს ქმარსა; ეხლა შენ იცი, შვილო, ღმერთმა გზა დაგილოცოს!... – დალოცა წმინდის გულით დათომა ბედნიერი კაკო. ნუთუ მართლა ბედნიერი?

კაკო გამოეთხოვა დათოსა და წამოვიდა შინ ბედნიერიც და უბედურიც ერთად. დათო დარჩა შინ იმავ ქვაზედ მჯდარი დერეფანში; კაშკაში მთვარე უნათებდა ვერცხლისფრად დათოს თეთრ წვერსა; დიდხანს იფიქრა, არცა სჯეროდა ეს დღევანდელი ამბავი და სჯეროდა კიდეც, მოხარულიც იყო და დაღონებულიც ერთიმავე დროს; ეშინოდა კიდეც და იმედოვნებდა. ერთის სიტყვით, დათო ჰგვანდა დახჩობისაგან გადარჩომილს და შეშინებულ კაცსა, უეცრად გამოგდებულ[ს] მშრალ მიწაზედ, რომელსაც პირველ ხანში კიდევ ეჭვი აქვს და ფიქრობს, "გადავრჩი თუ არაო".

მერე ადგა ქვიდამ უნებლიეთ, წამოიჩოქა მიწაზედ, ამართა თვალები ცრემლებით და ხელები თრთოლით ცისაკენ და ეგრე იყო დიდხანს, და იმის წმინდა, სასოებიანს, მშვიდობიანს დუმილს ნიავიც არ უშლიდა განგრძელებასა!.... ვინ იცის, რას ევედრებოდა ღმერთსა გაჩუმებული დათო? ეს კი თქვა ბოლოს: "ღმერთო, ობლების პატრონო, შენ მიიბარე, შენ დაიფარე ჩემი უცოდველი თამრო აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე!..."

VIII

ორი კვირა მეტი გავიდა, რაც გიტო იყო მიგზავნილი თამროსთან, მას აქეთ; თამრო ამ დროების განმავლობაში ცხოვრებდა ალაზანგაღმა თავის დედიდაანთასა მამის სურვილისა გამო. თამრო იყო თექვსმეტის წლისა, ლამაზი ლოყაწითელი გოგო; თავის სილამაზით იგი იყო განთქმული თავის სოფელში, ნამეტნავად დაუვარდა კარგი ხმა ხელმარჯვეობისა და საქმიან გოგოსი.

მამამისი, ჩვენი ნაცნობი დათო, იყო ძალიან კეთილი, დარბაისელი და პატივცემული გლეხკაცი, ასე რომ თავადისშვილებიც კი ჰსცემდნენ პატივსა, იქნება იმისთვისაც, რო წელიწადში ორჯერ თუ სამჯერ დაჰპატიჟებდა ხოლმე მარანში და კარგ მაძღარს ქეიფს გააწევინებდა. კარგი წელღონიერი კაციც იყო, შემძლებელი, თუმცა სრულად მარტოხელი იყო. რაღაც ღვთის წყალობით ემსებოდა სახლი და კარი ღვთისა და შრომის მოყვარე დათოსა. კალოობას რო გენახათ იმისი ფრთამოქცეული, ერთ კაი დიდ საბძელსავით თავწამოღერებული, მოგეწონებოდათ. გლეხები კი, რო გაუვლიდნენ ახლოს, პირს დააღებდნენ და იტყოდნენ ნეტარებით: "აი მოსავალი შენმა პატრონმა დაიკვეხოს! თორემ ერთ ათიოდე ათეულს წამოვაკუნკულებთ კალოს პირზედ და ვიძახით – მოსავალი მოგვივიდაო; აი დალოცა ღმერთმა შენი დამთესის მარჯვენა, მადლიანი ხელი ჰქონია იმ დალოცვილსა", – გაიქნევდა ცოტაოდენ შურით თავს გლეხკაცი და წავიდოდა თავის გზაზედ. ღვინო ამისთანა არავის უდგებოდა თითქმის გლეხკაცებში. ასეთი ღვინო იცოდა, თეთრი ქარვასავით და წითელი ნავთსავით, რო პირში ნერწყვი მოუვი[დო]და კაცსა; მერე ამ მოწყალებასთან ერთი კაი ფიცრული, კრამიტით დახურული სახლიც ედგა ბაღჩის გვერდზედ და ერთი პატარა წისქვილი

უბრუნამდა შინ. ცხოვრობდა ეგრეთ ჩვენი დათო, მადლიერი ღვთისაც და კაცისაც, მინამ ამისი საწყალი ჯალაბი, შემდეგ რამთვენიმე ხნის ციებისა და სოფლის დალაქის წარმატებულ აქიმობისა, არ ჩაბარდა პატრონსა. ბევრი იწუხა და იდარდა ქვრივმა დათომა, მაგრამ რა გაეწყობოდა, შეეჩვივა თავის მარტოობას და მთელი თავის სიყვარული მიაქცია თავის პატარა თამროსა, რომელიც მაშინ ცამეტის წლისა დარჩა.

დათო ძალიან პატივცემული იყო სოფ. ე... გლეხებისაგან. ჭირში თუ ლხინში დათო უთუოდ უნდა ყოფილიყო, თორე ჭირი ჭირად არ იყო და ლხინი ლხინად; გაყრა მოხდებოდა, ან ჩივილი რამე, ან უკმაყოფილება, – მაშინვე დათოს მონახამდენენ და იმას დაეკითხებოდნენ. – "ის მართალი, ღვთისკაცი კაციაო, – იტყოდნენ ხოლმე გლეხები, – ის ყველაფერს სწორეთ გადასჭრის". მართალიც იყო, თავის დღეში დათოსა მზაკვრობა და მტრობა არავისთვის ჰქონია; თუმცა კი ამასაც ახსოვდა თავის ყმაწვილობის ბევრი რამ ცოდვები, მაგრამ მას აქეთ ბევრად გაკეთდა დათო.

კვირაობით წირვის შემდეგ, როცა თავადები დაიშლებოდნენ, უნდა გენახათ ჩვენი მოხუცებული, თეთრწვერა დათო, დაყუდებული ჯოხზედ, ტყაპუჭით მხრებზედ მოგდებული, როგორ მოსაწონად და მშვიდად იდგა გლეხებში! "არა, შვილო, ცოდვაა, ცოდვაა ძმა ძმას ეჩხუბებოდეს, – ეუბნებოდა ტკბილის ხმით მოშურნე ძმასა ხოლმე, რომელიც ჩივოდა ძმაზედა, – ცოდვაა, ცოდვა! უნდა შერიგდეთ! რა დროს გაყრაა, ორივე ჯერ პატარები ხართ, ჯერ უნდა ერთად გაისარჯნეთ და ერთმანეთს უშველოთ. ის წკეპლებზედ ზღაპარი ხომ გაგიგიათ? მართალია, შვილო, სად ორი ზურგი და სად ერთი! ნუ იქთ, ნუ იქთ, ქვეყანა დაგძრახამთ; თუ ერთიერთმანეთს არ დაუთმობთ სიტყვას, როგორ იქნება, თუ ღმერთი გწამთ? არა, ხალხო?" – მიუბრუნდებოდა ხალხსა – და ხალხი ერთის ხმით შემოსძახებდა პასუხად: "მართალია, მართალი! ძმამ რო ძმას არ დაუთმოს, მაშ კაცმა როგორ იცხოვროს!" ან წანახედზედ იყო საჩივარი, ან მამულებზედ, ჩვენი დათო ყველას მოარიგებდა როგორღაც, ყველას დააკმაყოფილებდა და დააშოშმანებდა.

რაკი მზე მაღლა წამოვიდოდა და ხალხი დააპირებდა დაშლას, დათო ერთი კიდევ მიბრუნდებოდა საყდრისაკენ, მოიხდიდა ქუდს, გადიწერდა პირჯვარს და, შემდეგ ორიოდ მეტანიის მოყრისა, ემთხვევოდა კედლებსა და ფაცფაცით გამოემგზავრებოდა სახლისაკენ; ერთ ორიოდე კაი გამოჩენილ გლეხებს – თავის დროულ კაცებსაც წამოასხამდა შინ; უსტუმროთ კვირადღეს პური არ შეერგებოდა ხოლმე. "შხამად ამომივა, რო უსტუმროთ პური ვჭამოო, ღვინო როგორღაც ყელში არ ჩადის, თუ ალავერდი არვის უთხარიო", – იტყოდა ხოლმე.

მარანში გააშლევინებდა ლურჯ სუფრასა, დააწყობდა სუფრაზედ ქორფა მწვანილსა და შოთებსა ბლომად; მერე ხონჩით ცივ ხორცსა და სველ-სველ ხელადით მოაცუნცულებდა ღვინოსა, ამის ზედ დატანებით: "უჰ, უჰ, რა ღვინოა, რა ღვინოა! დალოცა ღმერთმა შენი დამწურავი!..." და ამ ყოფით მიუჯდებოდა სუფრასა. კარგად, თქვენ მოსაწონად მიძღებოდნენ, შაქეიფიანდებოდნენ ღვინის ღლევითა და განშორდებოდნენ ხოლმე საღამოჟამზედ, შემდეგ მეგობრულ და ტკბილ ლაპარაკისა ქვეყნიარობაზედ.

როცა მოეზარდა დათოს თავისი საყვარელი თამრო, დათომ დაიწყო ფიქრი ქალის გათხოებაზედ; "კაი ოჯახი მაქვს და კაი ქალიცა მყავს და შესაფერი კაცი უნდა ვიშოვო ზედსიძეთა, თუ კაი მამობა მინდა", – ამბობდა ხოლმე დათო.

მართლა-და, თამრო იყო ძალიან კარგი გოგო, ცქვიტი, მარდი, მხიარული, ხელმარჯვე და საქმიანი. იმისი მომცრო ტანი, იმისი შავი მელნის თვალები, გძელი გიშრის თმა, ვაშლასავით ჩასუქებული და წითელი ლოყები მოაწონებდნენ კაცსა თამროს. ბევრიც კი ეტრიალებოდნენ გლეხკაცები, მაგრამ დათოს შორს ეჭირა. "შორს დაიჭირე, შენის თავის მზემ, სწორეთ დიამბეგი შეირთამს შენ გოგოსა, მინამ პურს ნუ ჰსჭამ", ამბობდნენ ხოლმე გაცრუებულნი და გულნატკენი საქრმოები.

მერე ამ სიკეთეებთან თამრო ძალიან ნამუსიანი გოგოც იყო; და რატომ არ უნდა ყოფილიყო? საწყალი ამისი დედა ბაბალე იყო პატიოსანი დედაკაცი. ხშირად არიგებდა ხოლმე თავის ქალსა დედურეული ტანჯვითა და სითბოთი. ეუბნებოდა ხოლმე, რო ჩემობას უნამუსო გოგოსა ვირზედ შესვამდნენ და სოფელებში თავლაფდასხმულს ჩამოატარებდნენ; ბევრს კიდევ რაღაც ამისთანაებს, ტყუილს თუ მართალს, ასმენდა თავის გოგოსა დედა. მერე მამა უნერგდა ხოლმე თამროს ჩვილ გულში, – უფრო გონიერად, რასაკვირველია, ვიდრე მისი ჯალაბი, – ღვთის შიშსა, ღვთისმოყვარებასა, უხატავდა ხოლმე მარტივ, უბრალო, მდაბიურ სიტყვით ჯოჯოხეთსა, როგორც ეგ გამოსახული ჰქონდა თითონ დათოსა და თითქმის ყოველ გლეხსა. "ადუღებულ ნავთში ჩააგდებენ ცოდვილსაო, – ეტყოდა მამა, – და იქ იწვის საუკუნოდაო, ვერავინ ვეღარ უშველისო; გარშამო გველები და გველეშაპები ახვევიანო. სულ შხამს ასხამენ პირში და აქეთ-იქით კბილებდაღრეჭილი ეშმაკები დახტიან და კბილით ხორცსა ჰგლეჯენო. ღმერთმა დაგიფაროს, შვილო, იმ საცოდავობას!" რასაკვირველია, ყმაწვილ, ჩვილ გოგოს გულსა ეს მამის სიტყვები თრთოლით და შიშით ზედ აებეჭდებოდა ხოლმე; ამის გარდა დედ-მამა ძალიან უფთხილდებოდა გოგოსა და წარამარა თრევას უშლიდნენ, ნამეტნავად აუკრძალეს ბატონის გოგოებთან და სახლში სიარული; ამისდა გამო თამრო თავის გარეშემო ცუდს არას ხედავდა, რო მაგალითი აეღო, მერე ესმოდა, ვინც კი ცუდ რასმეს მაახდენდა, რარიგად ჰძრახავდნენ ყველანი, ვინც შეხვდებოდა. "ჩასაქოლავია, სწორეთ ჩასაქოლავია!" – ამბობდნენ ხოლმე გლეხები უნამუსო გოგოზედა. ეგრე გამოიკვება, გაიზარდა თამროს გულში ის ბუნებითვე შთაგონებული ნიჭი, რომელიც თანასწორად ხან სწორე გზაზედ წავა და ხან ცუდს, ბოროტების გზაზედ, იმის ყურებით, როგორც მიმართულებას მისცემს გარემოება და საზოგადოობა.

თუმც თამრომ ბოლოს შეიყვარა კაკო, მაგრამ ის უბრალო, წრფელი სიყვარული, რომელიც აენთო ქორფა გულში, ძმის სიყვარულად მიაჩნდა და ცოდვათ არა სთვლიდა; მამასათვისაც ხშირად უნდოდა თქმა, მაგრამ რიღაცისა სცხვენოდა, არ იცოდა, როგორ ეთქვა. როცა დააპირებდა გამჟღავნებას, რო ძმადფიცი ვიშოვე, სიტყვა შეეკვრებოდა და ამით უკუქცეული პატარა თამრო იტყოდა ხოლმე: "მერე ვეტყვი, როცა იქნება, სულ ერთიაო". ეგრე გადიოდა დღეები და თვეები და ცელქი თამრო სულ იძახდა: "ხვალ ვეტყვი, ხვალაო!"

ჩვენ როგორც ვიცით, ჩემო მკითხველო, დათომ შეიტყო ეგ ამბავი არა თამროსაგან, არამედ კაკოსაგან; ისიც ვიცით, რომ პირველად შეშინდა თავის გოგოს წრფელობაზედ და მერე ისევ დამშვიდდა. ბოლოს გადასჭრა თავის გულში, რო ეთქო ყველაფერი თავის გოგოსათვის და დაერიგებინა როგორც მოიქცეს.

იყო საღამო ხანი, თამრო დერეფანში თავის მამის სარეცხსა რეცხამდა; მზე ის-ის იყო ათავებდა თავის მოგზაურობას ცის ლაჟვარდზედა. დათო იმ დღის შემდეგ, რაც კაკოსთან მოილაპარაკა, ცოტაოდენათ მოლხენილი იყო; როცა დათო საქმეში დაღლილი,

დღიურ შრომისაგან, გამოვიდა ბაღჩიდამ, სადაც ჰბარავდა კვლებსა, შინ შესასვენებლად, მოუვიდა ფიქრად მამასა, რო თამროს უთხრას, რის თქმაც უნდა. მოუახლოვდა თუ არა თამროსა, თამრომ აიღო პატარა, ლამაზი თავი და გაუღიმა მამასა.

– ეი, შენ, ეე! პატარა ცუღლუტო! – უთხრა მხიარულმა მამამ ღიმილით ქალსა, – უჩემოდ რაებს ჩადიოდი! ჰა. შე ეშმაკო!... მე ვიცი შენი... – გაუხუმრა მამამ.

– რას ამბობ, ნეტა ვიცოდე, მე არ მესმის, – მიუგო თამრომ მართალის გულით, – რა საქმეებს მეუბნები?

– ჰო, ჰო, რა საქმეებს!... მითამ არ იცი, შე წყეულო, არ იცი განა? კარგი, კარგი, შეგრჩეს, რო მამას არას ეუბნებოდი, – აჯავრებდა პატარა გოგოს ტკბილად მოუბარი და მოხუმარე მამა. – დამაცადე, მასხარავ, ასეთ კაცს მიგათხოვო, რო სულ შენი დღენი იწყევლო.

ქალს თუმცა ესმოდა მამის ხუმრობა, მაგრამ კი ფიქრობდა: არ იქნება აქ ცოტაოდენი მართალიც არ ერიოსო, ისე ლაპარაკობს მამაჩემი.

– რას ამბობ, მამი! ღმერთი, რჯული, არ მესმის.

– ჰო, კარგი! მერე გაიგებ, როცა ერთ რეგვენ ქმარს მიგცემ!... დამაცა! – უფრო და უფრო ტკბილის ხმით და ღიმილით ემუქრებოდა გოგოსა.

– მიმათხოვე[ბ] და მიმათხოვე, რა მენაღვლება! შენ თითონ დაიტანჯები, მე რო ხესავით ჩამოვხმები! – დაუშვა პატარა მოწითური ტუჩები ძირს ცოტად შეფხუკიანებულმა თამრომ.

– მაშინ მაგას აღარ იტყვი, შე მასხარავ, დამაცა!...

– მაშ არც გავთხოვდები, – მიუგო მწყრალად გოგომ.

– რატომ?

– მიტო! – დაატანა ზედ თამრომა.

– არავის არ შეირთავ?

– არავის!

– გულით ამბობ?

– სულითაც, არამც გულით.

– მაშ არც კაკოს?

თამრო გაწითლდა, გაწითლდა, საშინლად და მორცხვობისაგან ჩაღუნა თავი; ვერაფერი ვერ მიუგო მამასა..

– არ შეირთამ, ბატონი ხარ! ძალად ხო არ გაგათხოვებ, თუ შენ არ გინდა, – უთხრა ცდითა მამამა.

თამრო მაინც ჩუმად იყო, ხმას ვერ იღებდა და ვერ შეეხედნა მამისათვის.

– მოლოზნობა ხომ არ გინდა, დედო? – ჰკითხა, თუმცა იცოდა კი პასუხი, ნაზად და სიყვარულით დათომა.

თამრო მაინც ჩუმად იჯდა თავჩაღუნული.

– ხმა ამოიღე და!... არ გეყურება ჩემი ლაპარაკი? – მისწვდა და წამოაყენა მოყვარულმა მამამ საყვარელი ქალი.

თამროს უფრო შერცხვა; წამოდგა, კიდეც ეტირებოდა და კიდეც ეხარებოდა, მაგრამ მაინც ხმაგაწყვეტილი და თავდაკიდებული იდგა.

– პირობა ხო არ მიგიცია ვისთვისმე, მითხარი! აი შე ცუღლუტო, იქნება გააბი ვინმე მახეში?... – გაუცინა მამამა.

– დამესხენ, კაცო, დამესხენ!... რა გინდა ჩემგან, – ამბობდა თავჩაღუნული გოგო და ცდილობდა გამოსძრომოდა მამას ხელიდამ.

– თქვი და, აბა თქვი, თუ მართალი ხარ, შე გიჟო, შენა, თქვი და!...

– იჰ! რა გინდა ქა ჩემგან? – ფხუკიანობდა გოგო.

– თქვი, თუ მართალი ხარ! – აჯავრებდა ალერსით მამა.

– რა ვთქვა!... იჰ, დამესხენ!... – გამოვარდა და გაექცა ხელიდამ ლამაზი გოგო მამასა.

– აქ მო, კარგი!... მე გეტყვი ყველაფერს, თუ შენ არ გინდა და გცხვენიან, – ეუბნებოდა ეხლა ხუმრობაგაშვებით დათო, – აქ, მო, შვილო! მამისა იმას უნდა ცხვენოდეს, ვინც მამასთან პირშავია! შენ იმისთანა არა ხარ, ჩემო თვალის ჩინო! აქ მოდი, კარგი!... – მიუბნობდა და მიდიოდა თამროსაკენ, რომელიც გაჩერდა და ისევ-ისე მორცხვი იდგა უძრავად და უხმოთ.

– მე კაკომ ყველაფერი მითხრა და შენ კი არას მეუბნები!... მე ყველაფერი ვიცი! ღმერთმა, შვილო, ერთმანეთს შეგაბეროსთ ტკბილად, როგორც შაქარი და მეც გამახაროს თქვენის ბიჭი-ბუჭულებითა სიბერის დროს!...

თამრო, გახარებული ამ ამბით, ისევ-ისე ჩუმად იდგა, სულ ვერაფერი ვერ ეთქვა მამისათვისა, ისე სცხვენოდა კიდეც და უხაროდა.

– კაკო კაი მარჯვე ბიჭია, მოჭირნახულე, მოსაქმე და კაი გულისაც არი, – გააგძელა მართალის გულით კეთილმა მამამა. – ისე გაგიფთხილდება, როგორც თავის ორ თვალსა, თუ შენც კარგად მოიქცევი. კაი პატრონი გიშოვე, შვილო! მე ერთი დროში შესული კაცი ვარ, დღესა თუ ხვალე უნდა მოვკვდე! პატრონი ვიღა გეყოლებოდა შენ, თუ ეგ საქმე არ მომხდარიყო? ეხლა გულდადინჯებით დავხუჭავ სამუდამოდ თვალებს და მივებარები მიწასა; შენ დასახლკარებული მეყოლები, – რის დარდიღა გამყვება თანა?! კაკო, მართალია, ერთი ობოლი, საწყალი ბიჭია, შენ მამისერთა ხარ, შვილო! ღვთის მოწყალება ბევრი გვაქვს, – პური, ღვინო, მამული, მადლობა ღმერთსა, ბლომათ არის; კაკო დალოცვილი საოჯახო ბიჭია, შენც თუ კაი მოჯალაბე ეყოლები, ღმერთი შეგეწევათ, შვილო, ობლებს. მე მინამ ცოცხალი ვარ, ვიცოდვილებ, რაც შემიძლიან; როცა მოვკვდები – ღმერთმა მშვიდობაში და დღეგრძელობაში მოგახმაროთ, ჩემო შვილო!... ღმერთი იყოს თქვენი მფარველი და შემწე! ეცადენით, ღმერთს არაფერი შეჰცოდოთ და ის არ დაგივიწყებთ თავის მოწყალებითა.

თამრო იდგა გულდადინჯებული და იმ სასოებით და ღაღადებით ისმენდა მამის სიტყვებსა, როგორც სასოწარკვეთილი გლახა, მუშაკი, დაღლილ და ტანჯული მოისმენს ამ მანუგეშებელ უკვდავ სიტყვებს უკვდავის ჯვარცმულისას: “მოდით, მაშვრალნო და ტანჯულნო, და მე განგისვენებთ თქვენ!”

IX

გადიოდნეს დღეები და კვირაები, მაგრამ კოლამ და გიტომ ვერა მოაგვარეს რა; ხან, როცა თამრო მარტო ეგულებოდათ, მივიდოდა გიტო, თამრო შინ არ დახვდებოდათ; ხან დათო უშლიდა ვითომც უნებლიეთ და ხან თვალხილული და ყურებაცქვეტილი კაკო. ერთი ფეხითაც წინ ვერ წადგნენ ბატონი და ყმა იმ საძაგელ არშიყობაში. კოლა, ისეც აღრინებული, უფრო აღრინდა, რომ ვერ აისრულა საწადელი, თავის ჯავრს იყრიდა

საწყალ ყმებზედ, ვინც კი მოხვდებოდა დამნაშავე და უდამნაშავო; მთელი დღე დილიდან საღამომდინ, როგორც ჟინიანი სნეული, ღრინავდა, ილანძღებოდა, არაფერი არ მოსწონდა, ტყუილ-უბრალოდ ხან ერთს მოსამსახურეს წასწვდებოდა, ხან მეორეს, ჰსცემდა, ჰსტყეპდა უანგარიშოდ და უსამართლოდ.

არაფერი აღარ იამებოდა: არც ლხინი, არც არაფერი; სულ რაღაც ფიქრებში იყო. ვინც კი უშლიდა ფიქრსა, აღრინებული ელაპარაკებოდა, ერთი ტკბილი სიტყვა თავადებსაც არ გაეგო მისგან მას აქეთ.

ერთხელ, დილა იყო, კოლა ეგრე შეწუხებული და ამღვრეული იჯდა მუაჯარზედ, ჩაის სვამდა, და ესტუმრა დიამბეგი. დიამბეგის სახე მინდა აგიწეროთ, ჩემო მკითხველო, მაგრამ ამაოდა ვრაცხ, რადგანაც თქვენ ყველამ იცით ის ერთი და იგივე ტიპი კანონიერ მოქრთამეთა. აი, როგორი ნიშნები აქვთ იმათ თავის ბაშპორტებში, ანუ ფორმულიარში: ფერი ყვითელი (უფრო მეტს) მეტის ნერწყვის ყლაპითა სიმდიდრის ნახვაში; თვალები – თაფლის მთოველნი, ოდეს უყურებენ ძლიერსა ამ ქვეყნისასა, ესე იგი უეზდის ნაჩალნიკსა; თვალები იგივე – რისხვის მოქუხარნი, ოდეს დასცქერიან უძლურსა ამა ქვეყნისა; და იგივ თვალები – უსიტყვოთა მთხოველნი, ოდეს უყურებენ მაძღარსა ამა ქვეყნისასა, ესე იგი მდიდარსა. შუბლი მაღალი, კანონების საპენტავი, ყოველთვის სამ რიგათ შეკეცილი. რიგი პირველი – რომელიც გაიშლება და ქრება შესაფერ თვალის დახამხამებით, ოდეს დიამბეგის წინ დგას მოჩივარი ლამაზი ქვრივი; რიგი მეორე – რომელიც იკარგება შუბლიდამ, როცა ქრთამზედ ვაჭრობს დიამბეგი; რიგი მესამე – რომელიც ჰქრება, როცა დიამბეგი წითელ-წითელ ასიგნაციებს ხელიდამ ჯიბეში ჩააცურებს. ეგ მესამე რიგის წაშლა აპატიოსნებს დიამბეგის მაღალ და გონიერ (მითამ თუ?) შუბლსა. თუ ეს სამივე ნაკეცი ერთად არი, – ვაი შენ მტერს! – ცუდი ნიშანია: სჩანს დიამბეგს ხელიდამ გასძრომია კარგი გასაცქვეფი; ცხვირი იმისთანა, რო, ვინიცობაა, წერომ დაჰპატიჟოს და ქოთანში მოუხარშოს საჭმელი, იქვაც ჩასწვდეს, იმისთანაც, რო, თუ სადმე ჯიბე გატენილია, იქაც ჩასუნოს. ულვაშები გაბზეკილნი, თუ ნაჩალნიკს არ მოელის; თუ მოელის – მიშლილ-მოშლილი, რათა აჩვენოს, რო იმთვენი საქმე აქვს, რო ულვაშებისთვისაც ვერ მოუცლია; ლოყები კოცნის მაგივრად სილის მთხოველნი; ტუჩები კრილოვის მელასავით ყოველთვის ნიშნებით წარსულ ცოდვისა; ხელები მარდი, ნამეტნავად ქრთამის აღებაში; მთელი ტანი იმისთანა, რო, თუ ვინიცობაა, ეღირსა ნუგეშმცემელი პანჩური ნაჩალნიკისა, სამჯერ რეზინის ბურთსავით ახტეს და დაეცეს, ან როცა დრო მოითხოვდეს, სამკეცად დაიკეცოს ძლიერის წინ; ფეხები მორბენალნი უფროსის წინ და ნამეტნავად მდიდრის უკან; გვირგვინი ამ მშვენიერ ღვთის ქმნილებისა არის თავი, მოტვლეპილი მომცდარ ყანასავით ხალხთა კეთილ მდგომიარობის ზრუნვისა და ფიქრის გამო.

ამას არა გვანდა ეს დიამბეგი, რომელიც კოლასთან მობძანდა; ეს იყო ახალგაზრდა ყმაწვილი, თუმცა, რო შეგეხედნათ ამისთვის, იტყოდით, თუ ეხლა არ არი, იმედი არი, რო იქნება იმისთანა, როგორც მოგახსენეთ, თუ დრო შეეწევა და არ გამოაგდებენ სამსახურიდამ კაი კაცობის გამო. სახარე ხბოსაო სასკორავში შეეტყობაო, – სადიამბეგო კაცსა ფეხებში შეეტყობა.

– გამარჯობა კოლა ბატონსა, – უთხრა დიამბეგმა იმ ღიმილით, რომელიც ამტკიცებდა, რო კოლას ხშირად გაუძღვია დიამბეგი.

– გაგიმარჯოს! – მიუგო კოლამ, – ჩაი დაგილევია?

– ჰმ, მაშ არა-და არ დამილევია, – მიუგო ამგვარ კითხვით ნაწყენმა დიამბეგმა. – ერთი მითხარ, რას აკეთებ?

– რასაც შენ, იმასაც მე, – უთხრა დაცინებით კოლამ.

– შტო ტი! ჩემოდენა საქმე რო გაარიგო, მეტი რა გინდა, – მიუგო გახურებულმა ხალხთა ზნეობის მცველმა.

– ბიჭო! მე რას მატყუებ, განა არ ვიცი, რარიგად კისრებს იმტვრევთ საქმეებში!

– ეჰ, მაგას თავი დავანებოთ; რას შვრები, სულ შინა გდიხარ?

– მა რ ვქნა?

– გადი ან აქეთ, ან იქით!... მართლა, იმ დათოს გოგოსი რა ქენი? – ჰკითხა უეცრად დიამბეგმა.

– შენ რა?

– ისე: კაი გოგოა, ღვთის წინაშე! დათო რო საბატონო არ იყოს, იმის გულისათვის ნაცვლობას მივსცემდი, – თქვა თავის ძალის კმაყოფილმა დიამბეგმა.

– თუ ღმერთი გწამს! შენც კი გქონია პირში წყალი! – დაჰსცინა კოლამ.

– ვოტ იესჩო, ატჩევო ნე იმეტ?

– ოტტოვო, შტო ტყუილად მადა გესხნება.

– ეტო პოჩემუ? – გააწყვეტინა სიტყვა დიამბეგმა.

– ისე, შვილო! შენ იმას ხელში ვერ ჩაიგდებდი.

– კოლა ხომ არა ვარ?

– კიდეც ეგ არი, რომ არა ხარ და...

– რითა მჯობიხარ?

– ყველაფრით: თოფში, ხმალში, ცხენით და ქვეითი, რაშიც გინდა, – გაუხუმრა კოლამ.

– პაშოლ კ ჩერტიამ!...

– გოგოების ბადეში გაბმაში კი შენ, შენის თავის მზემ, – უფრო გაუხუმრა კოლამ.

– შენ ეგრე თქვი და...

– რაღა ეგრე ვთქვა, შვილო! ის როგორ იყო, ქარანიაშვილმა რო დაგიფრინა, როცა იმის ცოლს ეპარებოდი.

– შტოჟ, ეტო ნესჩასტიე! მერე შენი ქარანიაშვილი რო ორი კვირა ბორკილშეყრილი გომში ჩავსვი, ის იცი? – ჰკითხა თავმოწონებით დიამბეგმა.

– ბარაქალა, ვაჟკაცობა გიქნია, შენი თავის მზემ, რო იასაულებისათვის დაგიჭერინებია! – გაიცინა კოლამ.

– შენ რაღა გიქნია? – ჰკითხა, რათა გამოაჯავროს ღმეჯითა.

– წადი და გლეხებსა ჰკითხე, რეებიც მიქნია!

– მაინც?

– რაც მსურებია, სულ აღმისრულებია.

– მაშ დათოს გოგოცა...

– ეე, დალეკო მახნულ!... ჯერ ეგ შორსა არის.

– ვირი და სულელი ყოფილხარ. – უთხრა და გამობრუნდა.

– რათა, ბიჭო?

– ეგეც რო ვერ მოგიხერხებია, სხვას რას მოახერხებ.

– თუ ღმერთი გწამს, მართლა? მართლადა, შენ ვირო, ეგ ეგრე ადვილი გგონია?

– მე დამითმე, მე, და გიჩვენებ, როგორ ძნელი არი. ერთი გადაყრუებული მამა ჰყავს მარტო, სხვა არავინ და კიდევ აქამდინ... ფუ, შენი კაცობაც და შენი ბატონობაც კი...

– ნეტ, ნეტ! გეხუმრები, მალე იქნება, შენ პირღია დამრჩები! ნუ გეშინიან, – უთხრა სიცილით კოლამა.

– თუ ღმერთი გწამს!... – მიუგო მსუნაგის ღრეჯითა დიამბეგმა, – კაი მსუქანი ნაჭერია, შენმა მზემ; მე ერთის წლის ჯამაგირის ნახევარს მივსცემდი, რო...

– რასაკვირველია მისცემდი, შვილო! შენ ქრთამიც გეყოფა.

– იესჩობი! მინამ გამომაგდებენ, ვყვლეფამ, და მერე ჯანი გავარდეს ნაჩალნიკსაცა და ღუბერნატორსაც.

– კარგია, ღმერთმან იცის, თქვენი თანამდებობა! ჰკრიფე, ხვეტე ორი ხელით, ვინ არის მოდავე.

– ი ნა ეტო ცოდნა ნუჟნა, ბრატეც! შენისთანა ოყრაყები იქ ერთ დღესაც არ დარჩებიან, – მოიწონა თავი დიამბეგმა. – იქ კანონების ცოდნა უნდა, იცი მერე რამთვენი ტომია? – თითონაც არ იცოდა; იფიქრა, იფიქრა, რამდვენი ვთქვაო, ბოლოს წამოიძახა: – ას სამოცდათოთხმეტი და ნახევარი და ორი ფურცელი. ნახევარი და ორი ფურცელი ძალად დაუმატა, რო უფრო დამიჯერებსო.

– ეს სულ უნდა, როგორც შენი ხუთი თითი, იცოდე, – გააგრძელა თავის ქება დიამ[ბეგმა], – ხუმრობა არ არი! ა ზდეს ვსიო ესტ, – დაიკრა შუბლზედ ხელი დიამბეგმა და უღმერთოდ იტყუვა, იქ ქარის მეტი არა იყო რა.

კოლას წასცდა სიცილი და უთხრა:

– შე ოხერო, ჩემთან რო ეგრე ტყუი, სხვასთან რაღასა იქ.

– ტი, ბრატეც, აბიჟაეშ მენია, ნაკონეც, – უთხრა აპრუწულმა დიამბეგმა.

კიდევ დაიწყო კოლამ სიცილი; დიდხანს იცინა, იცინა, მერე ცრემლებმორეულ თვალებით შეხედა მხრებაწევულ დიამბეგს და კიდევ წაიფრუტუნა.

– როდის აქეთ დასდე პატიოსნებაზედ ხელი?

პატიოსნება რომ გაახსენდა დიამბეგს, თითონაც კი შერცხვა და გაეცინა: მე ვინა და პატიოსნებაო, მგონია გაიფიქრა გულში.

– კარგი, ბევრს ნუ ხარხარებ, – მიუბრუნდა, – დღეს სადილად ჩემთან წამოდი, ყმაწვილები მყვანან.

– აი ეგ ადრევ გეთქო, შე სულელო! ყველაზედ კარგი იქნებოდა, – უთხრა ისევ სიცილით.

– ნუ წამოხვალ თუ არ...

– თავფეხიანად, – მიუგო კოლამ

– მაშ მშვიდობით, – გამოართო ხელი და გასწია კიბისაკენ, მაგრამ მობრუნდა კიდევ და ჩუმად უთხრა:

– რას გეუბნები, დათოს გოგო, მე და შენ რო ვიცით, არ დამივიწყო, თორე მეც როდისმე დაგჭირდები, შვილო!

– კარგი, გამეცალე!

– ხომ იქნება?

– დიახ, დიახ, მოგერთმევათ!

– ნუ მაწვალებ, მითხარი.

– ჰო-მეთქი და რა ვქნა.

– მშვიდობით.

– დღეგრძელობით, სწავლულო დიამბეგო!

– აი, მოჰყვა კიდევ, ვირი! შენ ჭკვაში რო არა შედის რა?

– შენში კი ოთხკუთხივ ქარი! – და წასქდა სიცილი კოლასაც და დიამბეგსაც, რომელმაც აღარა თქვა-რა და გასწია უჩასტკოვოი პრავლენიასაკენ.

მოვიდა სადილობაც; კოლამ გადიცვა თეთრი შალის ჩერქეზული ჩოხა, ჩამოვიდა მუაჯრიდამ და გასწია დიამბეგის სახლისაკენ, დიამბეგი სახლი იყო მორთული სხვადასხვანაირ ბრწყინვალე თავადისშვილებით, რომელთაც როგორც განკითხვის დღეს, ისე წარმოგიდგენთ, ჩემო მკითხველო, თუ მეყოლები.

აი, ის ყინწაგრეხილი და წინწამოწვდილი, უწყალოთ აწოწილი თავადისშვილი, რომელიც ხელების ქნევით ლაპარაკობს, გახლავთ, თქვენი ჭირიმე, გძელაძე გვარად, ძალიან გამოჩენილი სწავლული კაცი, როგორც ამბობდნენ.

სახე მომჭკნარი ჰქონდა, როგორც ლეღვის ჩირი, თუმცა არ იყო არც ოცდახუთის წლისა, თითონ ჩამომხმარი, როგორც შახის არამხანის ხოჯა; შუბლზედ და თვალებში, სახეზედ, ბევრი რო გეძებნათ, ერთ ნიშანსაც ვერ იპოვიდით ჭკვისასა; თავი რო კარგათ გაგესინჯათ, იტყოდით: "ეს ბატონი ჭკვაზედ უკაცრაოდ ბძანდებაო!" მართლაც გძელაძე გახლდათ ერთი უნიჭო, უგონო ჭკვისა და ღვთის გლახა. ერთი სიტყვით, იგი იყო ერთი მწარე პამფლეტი კაცზედა, რომელთა შორის იგი იყო გარეულით – არ ვიცი ბუნების შეცდომითა, თუ ბუნების მასხარობითა, როგორც ევროპიელები ამბობენ. მაგრამ კი გძელაძე ძალიან გათქმული იყო თავის სოფელში, როგორც ჭკვიანი, სწავლული კაცი, რადგანაც ღიმნაზია დასრულებული ჰქონდა.

იმ დროს, როცა კოლა შემოვიდა, გძელაძე ერთ ოთხიოდე კაცს უამბობდა რაღაცა ამბავს ამრიგათ:

– ასე გავხადე ის ჩინოვნიკი, – ამბობდა თავმოწონებით და სიხარულით, – ასე გავხადე, რო კრინტი ვეღარ ამოვაღებინე; მე ხემწიფეებზედ ასეთი წიგნები მიკითხამს (დაგიფიცებთ კი, მკითხველო, რო არ წაუკითხავ და, თუ წაუკითხავს, არ გაუგია), რომ მეტი არ იქნება. ნაპოლეონი ბონაპარტე ათას რვაას, – ჩაფიქრდა, თითქო იგონებსო, – ორმოცდაორში, – თქვა ბოლოს, – რო ანგლიაში გავიდა, მაშინ დიდი, დიდი ამბები მოხდა, – ტყუოდა უწყალოთ სწავლული გძელაძე და უხაროდა, რო მსმენელი იშოვა. ესე ულოღიკოთ, რაც მოხვდებოდა და რაც გაეგო ღიმნაზიაში, წინდაუხედავათ წამოჰყრიდა ხოლმე თავადისშვილებში; ჩვენი თავადისშვილებიც ისე უბრალოები და მარტივები იყვნენ, რო ყველას უჯერებდნენ. გძელაძემ ხშირად იცოდა თავის ქება. ეს პირველი ნიშანია, რო კაცი ღრმა ჭკვისა უნდა იყოს, როგორც გძელაძე.

– მე აღრონომია ძირიანად გადამიბრუნებია: ხიმია ისე ვიცი, რო რა ფოკუსიც გინდათ, გავაკეთებ, ვერა ფოკუსნიკი ვერ მომატყუებს; ზოოლოგია ასეთი ვიცი, რო ხე რო გასჭრა, შავატყობ რამდვენი წლისაა; ბატანიკა ასეთი ვიცი, რო საქონელს ჭირიდამ გადავარჩენ და სხვა და სხვა. უყურებდნენ განცვიფრებულნი თავადისშვილები ამ მეცხრამეტე საუკუნის ბრძენსა და საწყლებს ყველაფერი სჯეროდათ. მოდი და ნუ დაიჯერებ! რა ჩარაა!

გძელაძეს გვერდით იდგა ერთი ცუგრუმელა, ტანდაბალია, ყოველთვის მოძრაობაში მყოფი, ვაცივითა, თ. ტრახაძე. რო შეგეხედნათ ტრახაძეს ფაციფუცობისათვის და კმაყოფიერ ღიმილისათვის, როცა გძელაძეს ციდამ

ვარსკვლავები ჩამოჰქონდა, იტყოდით, ეს კაცი გძელაძეს ტაკიმასხარა არისო. მინამ გძელაძე ლაპარაკობდა, ის სულ თვალებში შესცქეროდა, როგორც ძაღლი უყურებ პატრონს და ელოდება, ძვალს როდის გადმომიგდებსო. რასაც გძელაძე ჩასძახებდა, ეს ტრახაძე, როგორც ცარიელი ქვევრი, იმასვე ამოიძახებდა და უთუოდ ბედნიერებისა გამო ატოკდებოდა და სულელურად გაიღიმებდა. გოგოლის ბობჩინსკის ცოტად ჰგვანდა და უფრო ეგვანებოდა, რო ქართული კოლორიტი არა ჰქონოდა.

მესამე, მარჯვნივ მდგომარე, გახლდათ დარბაისელი, ხანში შესული თავადისშვილი ზაალ ზუმბერიძე. ეს გაოცებით უყურებდა ორატორსა და, გაკვირვებული გძელაძეს ღრმა ჭკვითა და სწავლულობითა, მთელის თავის გულის სიმარტივით ამბობდა: “ეს დალოცვილი ღმერთი, ერთს ამოდენა სწავლას და ჭკვას მისცემს, რო ძლივს დაუძრავს, მეორეს კი, როგორც თქვენ და მე, ხელცარიელ დააგდებს”! და მეტის ლმობიერებით დაიწყო ტირილი, განცვიფრებულმა ღვთის ამგვარ უსამართლობით. ის კი არ იცოდა უბედურმა, რო თითონ უფრო ჭკვიანია იმ მაღალფეხებიან წეროზედა.

მეოთხე, ზუმბერიძესთან მდგომარე, არაფერი შესანიშნავი კაცი იყო; ის იმ ადამიანთაგანი იყო, რომელიც, რო მხეცად გადიქცეს, – კაცს არა დააკლდება რა, და მხეციდამ ისევ კაცად შეიცვალოს, – არც თვით მხეცებს დააკლდებათ რამე; იმის ყოფნას, როგორც იმის უყოფნობას, არავინ არ შენიშნავდა.

მეხუთე გახლდათ ვიღაც ყაბანაშვილი, თავადი, იმას ყველაზედ უფრო ჭკვა მოეხმარა კარგათ: ვიდრე სადილი მოვიდოდა, ის მიწვა რაღაც ჭუჭყიან მუთაქაზედ და თქვენ მოსაწონად მიიძინა სადილის ლოდინშია.

მეექვსეს იქავ მეედო მუთაქაზედ თავი და ერთ ალიანქოთით ხვრინავდა, ფშვენდა, როგორც ლოკომოტივი; ლოკომოტივსავითაც სრული გახლდათ, და ლოკომოტივსავითაც ცარიელ ორთქლით იყო სავსე თავიდამ მოყოლებული ფეხებამდინ.

მეშვიდე... მაგრამ ესე რო წავიდეთ, შორს წავალთ... ერთის სიტყვით გავათავებ, რო დიამბეგის ოთახში სულ ქართველები იყვნენ, ეს გეყოფათ, ჩემო მკითხველო!

როცა კოლა შემოვიდა, ერთი ოთხიოდე ყმაწვილებმა, რომელთ შორის თვით დიამბეგი ბძანდებოდა, ერთის ხმით შეჰსძახეს: – ااااا!.... ვაშე სიატელსტვო! გძელაძე ამ ხმაზედ შეხტა, – ცოტა მშიშარაც გახლდათ, თუმცა მამაცობაში თავს იქებდა, – მობრუნდა და სიძულილით წაიღრინა: – უზნევო და გარყვნილებო! – მერე მიჰყო ხელი თავის ორატორობას.

– რა კვეთება დაგემართათ? – ჰკითხა ღიმილით კოლამ, – რა იყო?

– შენი მოსვლა გვიამა!

– აქ მო, კოლავ! – დაუძახა დიამბეგმა, – ჩემთან დაჯექ! – მივიდა კოლა და მიუჯდა გვერდით. დაიწყეს ჩვეულებრივი ლაზღანდარობა და ხუმრობა, სიცილი, კივილი დ ერთი ყოფა, ერთის სიტყვით ჩვენი ქართული, უბრალო, უპედანტო ბაასი, რომელშიაც უფრო ბევრი ჭკვა არი, ვიდრე ათას გძელაძეს თავში და რიტორებაში ერთად. სიცილმა და მხიარულებამ დიამბეგის ახლო შეგროვილ ყმაწვილებისამ წაართო მსმენელნი გძელაძესა, რომელიც მაშინ ხელების ქნევით და ყურების ტაშის კვრით შევიდა რაღაც ფილოსოფიურ აღფრთოვანებაში. ბოლოს ნახა, რო გარშამო თვისა არავინ არის, თქვა შებრალებითა: ”ამ სულელებს რაც გინდა უთხარი, ღმერთმან იცის, გააგებინებ?! ამათ ქალებზედ ელაპარაკე,

მაშინ თუნდ საღამომდინ ყურს და გიგდებენ, ხელიდამ წასულები არიან. აქედამა სჩანს, რო ტრახაძე ჭკვიანი[ა] და ზუმბერიძე ყაბანაშვილის ჩაწხუბებას აპირობს დიამბეგთან!”

საკვირველი გამოყვანაა, ჩემო მკითხველო! საიდამა ჩანდა ეს, თითონ მეც არ ვიცი!... აი, რა ლოღიკის პატრონი იყო ფილოსოფოსი გძელაძე!...

ეს ყოფა რო იყო, ყაბანაშვილმა თითქმის ბურანში წამოიძახა ბოხის ხმით: შე დალოცვილო დიამბეგო, თუ გვაჭმევ, გვაჭამე, თორე ნაწლეები ჩივიან. წამოხტა დიამბეგი და უთხრა იასაულს და რაოდენიმე ხანის განმავლობაში სუფრა გაიშალა ტახტზედ. მე ლხინის აწერა არ მინდა, ჩემო მკითხველო, ისეც მგონია დაგღალეთ უთავდაბოლო ყბედობით; ყოველმა თქვენგანმა იცის, როგორ ლხინობენ კახეთში, მაგრამ ყოველმა თქვენგანმა არ იცოდა, რო ზუმბერიძე, გძელაძე, ტრახაძე და სხვანი და სხვანი არიან იქა. ჩვენცა გვყვანან ქართველი ბობჩინსკები და დობჩინსკები, ჩიჩიკოვები, საბაკევიჩები და სხვანი, მაგრამ ამათ სუყველას ქართვლის სუნი უდის. იქნება ოდესმე სულ დაწვრილებით აგიწეროთ შინაგანი და გარეგანი ჩვენის ბრწყინვალე თავადებისა, რომელთ შორის, კვეხნით ვიტყვი, მეც ურევივარ. ეხლა მარტო მინდოდა მოტივტივებულნი ცოდვანი მომეხადნა ჩემის კალმით ამ დიამბეგის საზოგადოობაში; თუ ეს ავასრულე, ჩემი განძრახვაც ასრულებულა.

X

კოლა კარგათ გადაღლეული ბარბაცით სადილს უკან გამოემგზავრა შინისაკენ, რა გადაეგდო ჩოხა მხარზედ; მოდიოდა სიმღერით გზადაგზა და როცა დაუსწორდა დათოს სახლსა, მაშინ რაღაც წადილის ჟრჟოლამ გაუარა ტანში, მოაგონდა თამრო და აერია გულ-მუცელი. მაშინ სიმღერას თავი დაანება და ჩავარდა რაღაც ფიქრებში და ისე დაივიწყა თავი ფიქრის გამო, რო ვერც კი შეიტყო, როგორ ავიდა თავის სახლის მუაჯარზედ; კოლას აუღრინდა რაღაცაზედ გული; “ეს ვირის გავარდნილი გიტო სულ მატყუებს; მე უჩვენებ იმას”, – ამბობდა კოლა მუქარებითა. – გიტო! გიტო! – დაიძახა მრისხანე ხმით კოლამა. გიტო მაშინ საკუჭნავოში იჯდა; რა გაიგო ბატონის ძახილი, ხმაზედვე იცნო, რაც ელის კეთილ გიტოს, თუ ეახლება ბატონსა; მიხვდა ბატონის გულის ამღვრევას, იქავ აკანკალდა, მაგრამ კი გამოვარდა გაფითრებული, მოვარდა კიბესთან და იქ გაჩერდა, როგორც გაქვავებული.

– აქ ამოდი!... – უბძანა კოლამ იმ ხმით, რომელიც არაფერს კეთილს არ მოასწავებს. გიტოს არ უნდოდა ასვლა, მაგრამ რა ჩარა იყო სხვა? ის ყმა არი და ეს ბატონია! გიტო ავიდა.

– კიდევ ვერაფერი ვერა ქენი? შე ნაბიჭვარო, ჰა? – გაუწყრა ბატონი. გიტო დაჩუმდა, რადგანაც ვერაფერს ბატონის დასაწყნარებელს ვერ იტყოდა.

– არ გეყურება, შე ძაღლის შვილო! – შეჰყვირა უფრო მრისხანეთ კოლამ. გიტო აკანკალდა, მაგრამ მაინც არა უთხრა რა.

– ენა არა გაქვს, შე... (კიდევ ლანძღვა) თქვი, თორე ტყავს გაგაძრობ!... უფრო რისხვით შესჭყივლა კოლამა.

გიტო თითქოს გაჯიუტდაო, არას ამბობდა, მაგრამ ყოველი ასო საწყალ ბიჭსა აუთრთოლდა შიშით.

– თქვი მეთქი, შე... (კიდევ ლანძღვა) – დაუბრაცუნა ფეხები ბიჭის უჯაათობით მოთმინებიდამ გამოსულმა კოლამ.

გიტო მაინც არას ამბობდა; საწყალ ბიჭის სახის მეტყველობა ამტკიცებდა, რო გიტოს ვეღარ აუტანია უსამართლობა, ვეღარც გაუბედნია თავის გამართლება. გიტომ კარგათ იცოდა, რო ეთქვა: "ვერაფერი გავარიგეო", წიხლქვეშ გაიგდებდა, როგორც ხშირად გაუგდია ამ წინა დღეებშიაც, იმიტომაც უფრო არათქმა ირჩივა თქმასა, იქნება ამით გადავრჩეო; მაგრამ მოტყუვდა გიტო.

– არა გნებავს ხმა ამოიღო? ჰა! არა? – საზარლად შეჰყვირა ბატონმა, მივარდა მშიერ ლომსავით თმებში გიტოსა, წამოზიდა, დასცა აგურიან იატაკზედ და ერთი ასეთი წიხლი ჩააზილა, რო უბედურმა გიტომ საცოდავად დაიხნეშა; მერე მისდგა, ბატონო, ამდვენი სცემა ხან წიხლით, ხან ხელით, რო გიტო დაოსებული ძლივძლივ კნავოდა, ეხვეწებოდა, ეხვევოდა მუხლებზედ, ჰკოცნიდა ფეხებს, ხელებს, კალთებს: "შენი ჭირიმე, ბატონო! შენი კვნესამე, ბატონო! შემიბრალე, მეყოფა, მეყოფა!... მოვკვდი!... ნუ მკლამ!... შენი ჭირიმე, შენი დედ-მამის სულისათვის!..." მაგრამ შენც არ მომიკვდე. ის ქვაკაცი გრძნობაში ვერ მოიყვანა. ბოლოს, რო დაოსებულმა და დასუსტებულმა გიტომ ხმა ჩაიწყვიტა, თითქო მოკვდაო, და როცა თითონ კოლაც დაიღალა ცემითა, მაშინ საზარელ სახით, თმებაწეწილი, საშინელი გამოვარდა მუაჯარზედ და დაიყვირა რაღაც დაქანცულობით და მრისხანეთ:

– ეი! ვინა ხართ? მოდით, ჩაათრიეთ ეს მამაძაღლი!

ამოცვივდნენ ბიჭები, რომელთაც აქომამდინ არა იცოდნენ რა ამბავია; ამათ ეგონათ ბიჭს გულს შემოჰყრიაო და იმის ჩამოყვანას გვიბძანებსო; მაგრამ, როცა ამოვიდნენ ოთახში და ნახეს გონებამიხდილი, კვდარსავით ნაცემი ბიჭი, თუმცა ყველას ეჯავრებოდათ, მაინც შეებრალათ, ისე საცოდავათ, უხმოთ ეგდო გიტო.

ერთმა ბიჭმა ხელი არ ახლო გიტოსა, ყოველი მადგანი გულამღვრეული იდგა და განცვიფრებით და სიბრალულით დაჰყურებდა საწყალ გიტოსა.

– რას უყურებთ, თქვე... (კიდევ ლანძღვა)..

ორმა ბიჭმა, რომელმაც ვეღარ მოითმინეს, უთხრეს ამაყად ბატონსა:

– შე დალოცვილო, ღმერთი არ არი შენში, რო ესე მოგიკლავ? ძაღლი ხომ არ არი, კაცია.

ყველას მიეცათ გული გლეხებსა ამ სიტყვებ-შემდეგ და ყველამ დაიწყო დუდუნი, თუმცა კი ცოტაოდენ კრთომით და შიშით: – რაო, მართლა? აქაო-და გლეხები არიანო, განა უნდა დაგვხოცოთ, ჩვენც სულები გვიდგა, ადამიანები ვართ!...

– ხმა, ხმა-მეთქი ჩაიწყვიტეთ, თქვე... – შეჰყვირა გაბრაზებულმა კოლამ.

– რად უნდა ჩავიწყვიტოთ?... – მიუგეს ისევ ისე ამაყად იმ ორმა ბიჭმა, შე დალოცვილო, გვხოცამ და არაფერიცა ვსთქვათ!...

რა ბიჭებმა ეს მიუგეს, ალიმული აუვიდა კოლასა, გამწარდა, გამწარდა, ასე გონია ნაღველა გაუსქდაო, წამოხტა, წამოავლო ერთ დიდ კეტს, მივარდა ცოფიანად ბიჭებს და, როცა უნდა დაეკრა, მაშინ ვიღაცამ დაუჭირა, როგორც ჭახრაკით, ისე მაგრათ მაჯა. ეს იყო ჩვენი კაკო, რომელიც, რა შეეტყო ეს ამბავი, ამოვარდა საიდღამაც ეს-ეს არის ეხლა, გაოფლიანებული. პატარა ხანს უკან მთელმა სოფელმა შეიტყო ეს ამბავი. ტრახაძეს თავადისშვილებში ადრე გაეგო, მოვარდნილიყო კოლას სახლში, მიეხედ-მოეხედნა, ყველაფერი შეეტყო და გახარებული და მადლიერი თავისთავისა, როგორც ბორბალი

დატრიალებულიყო და გაეკურცხლა ხელების ქნევით და ქუდის სროლით გძელაძესთან. ასულიყო, გეეღვიძებინა ფილოსოფოსი ჩვენი და დაეყარა და დაეყარა ტყუილი და მართალი ერთად, გახარებულს, რო ახალი ამბავი მოუტანა თავის უპირატესს ფილოსოფოსსა.

გძელაძე ამდგარა, გაეზმორა და ეთქვა თავისებურად: აქედამა ჩანს, რო თავადი და გლეხი ერთნი არ არიან; არ ვიცი, რისათვისა ეთქვა ეს და ან საიდამ გამოეყვანა; მაგრამ ის ბძენი კაცია, ხშირად ხოლმე მათ ღვთიურსა აზრსა ჩვენი საცოდავი გონება ვერ მისწვდება. აქედამ ტრახაძე მივარდნილიყო გულხეთქებით დიამბეგთან, იქაც დაეფქვა, დაეფქვა ტყუილი და მართალი უპრაგონოთ, ასე რომ დიამბეგს ბუნტი ეგონა და შეშინდა.

კოლა გაცოფიანდა კაკოს ამისთანა საქციელზედ. “გამიშვი, შე...” (ლანძღვა)– ძლივღა ამბობდა ბრაზიანი კოლა.

– დადექ, თორე შემოაკვდები ვისმე! – შეჰყვირა კაკომაც.

– დაესხენ, დაესხენ! ერთი დაგვარტყას და ჩვენ ვიცით! – ამბობდნენ გლეხები. – გვეყო, რაც მოგვითმენია, ეხლა აღარ მოუთმენთ, თუნდ საციმბიროდ გაგვხადონ!...

კოლა მოკვდა სიანჩხლისაგან, გაშრა, – სისხლი შიგ ყელთან მოებჯინა:

– დამაცათ, თქვე... (ლანძღვა), ტყავებ დაგაძრობთ!... თვალებ დაგთხრით!... – ძლივსღა ამბობდა სიცოფისა გამო მაგრად დაჭერილი კოლა.

– დაგვთხრი კი არა!... – დასცინეს ყმებმა. – მანდამდინ ნუ მივა საქმე, თორე შენ ერთი ხარ და ჩვენ ორმოცი, – მიუგეს უშიშრათა ყმებმა და კმაყოფილმა ღიმილმა გაურბინათ ყველასა.

– გამიშვი, გამიშვი, შე... (ლანძღვა) – ეუბნებოდა კოლა კაკოსა თითქმის ხვეწნითა, – გამიშვი, მაგათ ჯავრს ნუ შემარჩენინებ, – იძახდა საწყალი კოლა და იწევდა ბიჭებისაკენ.

– შენც არ მოუკვდე კაკოსა! – ეუბნებოდა სიბრალულით, რო ეგრეთ მდგმოიარობაში ხედავდა მართლა შესაბრალებელ კოლასა.

კაკომ რო ეს უთხრა, კოლა გაცოფდა, გამოიძრო როგორღაც ხელი და ერთი სილა გააკრა კაკოსა; მაშინ კაკომ წაავლო ხელი, მობღუჯა, დასცა ტახტზედ და დაუჭირა ხელები. მინამ ეს საქმე ესე მოხდებოდა, ვიღაცამ დაიძახა: დიამბეგი ყაზახებით მოდისო; იგრიალა ამოდენა ხალხმა და გაიქცა სულერთიანად. ამოვიდა შეშინებული დიამბეგი და მოასწრო კაკოსა, რო ბატონი ქვეშ ამოედო. არაფერი არ უთხრა კაკოს და მიუბრუნდა ყაზახებს: ეი, ლიუდი, სვიაზატ ეტოვო მალადცა.

– რისთვისა, შენი ჭირიმე, რა დამიშავებია სამაგისო, – ჰკითხა კაკომ. შეუკრეს მაგრათ ხელები კაკოსა და გაჩერდნენ მაშინებსავით ყაზახები და ელოდნენ ბძანებას.

– ვაზმიტე ვ პრავლენიე.

წაიყვანეს კინწისკვრით თავმამწონე კაკო. აინთო ამაყი კაკო, ათრთოლდა, აიმღვრია, დააკრაჭუნა კბილები, მაგრამ არა უთქვამ რა. ან რა უნდა ეთქვა?

დიამბეგმა უბძანა გიტოსიც წაყვანა ჩალურში. მერე, როცა ორნი დარჩნენ, მიუბრუნდა კოლასა:

– ბიჭო, ეს რა დაგმართვია!

– თავიდამ გამეცალე! – უთხრა ჯავრით კოლამა.

– მე გაგეცლები, მაგრამ შენი საქმე ცუდათ წავა, მეთორმეტე ტომის ძალით პასუხისგებაში შეხვალ, – უთხრა თავმოწონებით ცრუ დიამბეგმა.

– შენ მაგაზედ ნუ სწუხარ, გამეცალე აქედამ, ეხლა შენთვის არა მცალიან – მიუგო აღრინებულმა კოლამა.

– ეჰ, კოლავ! ნუ გეშინიან, როგორც ინებებ, ისე მოვიქცევი კანონის ძალით, – მიუგო ჭკვიანმა დიამბეგმა.

– კარგი!... კარგი!... ეგ მერე იყოს!...

ამ დროს შემოვიდნენ ტრახაძე, ზუმბერიძე და გამოჩნდა წინწამოწვდილი ყინწიც გძელაძისა. დაუწყეს კითხვა, მაგრამ კოლამ ყველა გამოლანძღა.

– აქედამა ჩანს, რო წარღვნა მალე იქნება, – გამოიყვანა ახალი დამტკიცება გძელაძემ და წარბშეკრული გამოვიდა კარში.

[1859 წ.]

გუბე

შენ ეხლა მკვდარი ხარ და წევხარ ცივს საფლავშია, რომელიც შენ მშობლებმა თავის ხელით გაგითხარეს. მე მინდა შენი ამბავი ქვეყანას ვაუწყო, ქალო, რომელიცა ერთხელ იმედითა ჰყვავოდი. შენი ამბავი მრავალი სხვის ამბავიცა იქნება.

მე მახსოვს ის დრო და ის შეყრილობა, საცა პირველად მე შენა გნახე. კარგი რამ იყავი მაშინ: ჯერ ახლად იშლებოდი და დაჰხაროდი ქვეყანასა, რომელიც სიკეთით აღვსილი გეგონა. შენ იყავ მრთელი; შენ ცხოველს სახეს ცხოველის სულის მღვიძარობა ცეცხლს უკიდებდა: მას ჯერ არ დასტყობოდა შინაურის მტარვალობის თელვა, თუმცა კი შენს ფიქრთა ოდნად მიჰკარებოდა ობი იმ დამპალის გუბისა, რომელსაც, ქვეყნის სამასხარაოდ, ცხოვრებას ვეძახით, მაგრამ ერთის ცხოველის აზრის მობერვა გეყოფოდა, რომ ის ობი დაკარგულიყო. შენ იყავ მაშინ გასათხოვარი, ესე იგი, შენ ჯერ გაყიდული არ იყავ. შენ იჯექი კუთხეში, გვერდით მოგჯდომოდა ყმაწვილი კაცი; დედაშენი, თითქო ნემსებზედ იჯდაო, ისე ტოკავდა შენი მაყურებელი. ხან თითით, ხან თავის დაქნევით განიშნებდა, ამდგარიყავ და თავი დაგენებებინა ყმაწვილკაცისათვის, რომლის ლაპარაკშიაც გართული იყავი.

– დედა მეძახის, – ეუბნებოდი მას.

იმას შეუძლიან გეძახოს და თქვენ შეგიძლიან არ წახვიდეთ, – მიუგო ყმაწვილკაცმა: – არ მიწყინოთ, მე ზრდილობიანი ლაპარაკი არ ვიცი; იმასა ჰგონია, მე თქვენა გრყვნით; და თუ ამჟამად იმის ძახილზე წახვალთ, მე დამარწმუნებთ, რომ თქვენც მაგ აზრისა ხართ.

– სულაც არა, – უპასუხე შენ გულისტკივილითა, – მე თუ წავალ, იმისათვის, რომ მორჩილების თოკი ხელთა მდევს.

– გაიწიეთ, თქვე დალოცვილო, და გაწყვიტეთ; ეგ თოკი იმოდენად დაძველდა, რომ დიდი ღონე არ მოუნდება.

– იქნება ეგრე იყოს, მაგრამ ქვეყანა მაინც და მაინც ამაგრებს.

– ქვეყანა ჩვენგან არ არის...

– მაშ მორჩილება თქვენთვის უქმი სიტყვა ყოფილა?

– არამც თუ უქმი, კაცის სულის დამამდაბლებელია. მე მარტო ერთნაირი მორჩილება ვიცი, საცა გონება უფალია...

[1861 – 1863]

ზოგიერთი ხანა მოთხრობისა
"მარგალიტი ლექში"

– მოიცა, მოიცა, თუ ღმერთი გწამს! ერთ იასეთი ყმაწვილი კაცი მოვა ჩვენსა ამაღამ, რომ თავის განათლებით დაგიშოშმანებს მაგ უჯერო გულსა. მაშინ აღარ იტყვი, რომ განათლებულები იშვიათნი არიან ჩვენში, – ეუბნებოდა ერთი გასათხოვარი ლამაზი ქალი ერთ მოხდენილ ყმაწვილ კაცს, როცა ეს წამოიწია სკამიდამ და დააპირა გამოთხოება.

– განა მე როდისმე მითქვამს შენთვის, – მიუგო კაცმა, – რომ ტფილისში განათლებულები არ არიან-მეთქი? უნივერსიტეტში, მადლობა ღმერთს, ბევრს მიგვიღია განათლება და ხარისხი, – და ეხლა აქ ვაწარმოვებთ ჩვენ სწავლას და ცოდნასა, მაგალითები ათასია, – აქ თვით ყმაწვილ კაცსაც გაეცინა და მის ლამაზმა მოსაუბრემაც ჩაიღიმა.

– დაგწყევლოს ღმერთმა! აქებ კაცს თუ აძაგებ, ყველგან ეკლებს ხმარობ. ეგ შენს სიბოროტეს ამტკიცებს.

– რასაკვირველია, ბოროტი ვარ, რადგანაც ბოროტების სიძულილით ხმას ვიღებ. გახსოვს ეს სიტყვები: ვინც სიძულილი არ იცის, მას სიყვარულიც არ ეცოდინება. შენ ჯერ ყმაწვილი ხარ, ჩემო კარგო, და იქნება არ დაიჯერო სიმართლე ამ სიტყვებისა...

– მჯერა, მჯერა! აბა როგორ არ დავიჯერო, როცა ვხედავ ამისთანა მაგალითს თვალწინ: აი ამ ბრძენმა, ქვეყნის სიყვარულისა გამო, დაუხუჭავს თავისი თვალები, რადგანაც არა სურს, რომ დაინახოს შესაძულებელი გარემოება. – აქ იმ წყეულმა შეხედა ერთ კურთხეულ ფაშვიან მებატონესა, რომელსაც სთვლემავდა სკამზედ, თუმცა დროს გასატარებლად მობძანებულიყო, მიიქნივა იმისკენ თავისი ლამაზი თავი და ეშმაკობით სავსე ღიმილით სთქვა:

– მე რომ ამისი ქალი ვყოფილიყავ, ერთს აბრეშუმისსახიან სარტყელს მოუქსოვდი და ზედ ამ სიტყვებს გამოვსახავდი: "ოხ! ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსღა მექნება მე გაღვიძება?" უსიტყვოთაც ამ კითხვას მისცემდა პასუხს აგებულება ამ ბედნიერ სტუმრისა, – გაიშვირა მებატონისაკენ ხელი და წასქდა სიცილი.

– ეგრე მადიანად ნუ იცინი, ჩემო ცელქო! ეგ არ არის პირველი და უკანასკნელი. მეც, შენც და სხვანიც, სწორედ მაგისთანანი ვართ, ხოლოდ იმით განვსხვავდებით, რომ ყოველი ჩვენგანი სხვადასხვანაირად გამოსთქამს თავის თავის და გულის ცარიელობას. ეგ კიდევ ჩვენზედ უკეთესია: მაგას არა მიუღია და არას გვაძლევს. ჩვენ კი... ეჰ, რა ჩვენ? ჩვენი დედ-მამა გატყავებულა ჩვენთვის, გავუზდივართ, გავუგზავნივართ შორს, ჩვენც გავიზარდენით და რა ნაყოფი მივიტანეთ? ისა, რომ ქვეყანას ვარწმუნებთ, ქართველები არ ვარგანანო. ქართველები ისეთნი არიან, როგორიც უნდა იყვნენ, როგორც დროს და ისტორიას მოუტანია. ჩვენ არ ვარგივართ, ჩვენ, განათლებულები. განათლება იმაში კი არა მდგომარეობს, რომ მიწასთან გავასწოროთ კაცი, რატომ შენც განათლებული არა ხარო; არამედ, როგორც ძმას, რომელსაც არა ჰქონია ბედი განათლებისა, მოჰკიდო მზრუნველი ხელი და დააყენო ფეხზედ. აი, კაცი განათლებული, მარგებელი ქვეყნისა, აი ამგვარ კაცის წინ მოვიდრეკ თავსა და თაყვანსა ვცემ. თორემ დაგვინიჟია, რომ ჩვენს აზრს თანამოზიარე, თანამგრძნობელი არა ჰყავსო, და ამისა გამო დაგვიკრეფია გულხელი და

არაფერში ვერევით. ერთი ჰკითხე იმ საზოგადოობის გულცივობაზედ განთლებულს მოჩივარს, თავის სიცოცხლეში უთქომ რამე იმისთანა და იმ რიგად, რომ გაგება შეიძლებოდეს?...

[1861 – 1863 წ.]

კ ა ტ ო

I

ზაფხულის დღე იყო ძალიან მხურვალე, ასე რომ თუ საღამოზედ წვიმას არ დაენამა ქალაქის ქუჩები და არ გაეგრილებინა ჰაერი, ძალიან შესწუხდებოდნენ ქალაქის მცხოვრებნი შეგუბებულ ჰაერისაგან. გაგრილებული ტფილისის ღარიბი ბუნება თითქო გამხიარულდაო, გაცოცხლდაო. ხალხით აივსო ბულვარი და სიცხისაგან აქამდის დამწყვდეულ ხალხმა გაიხმაურა ქუჩებში. მზე ჯერ არ იყო ჩასული და, როგორც მორცხვი ლამაზი ქალი, იჭყიტებოდა მთის წვერიდამა, თითქოს არ უნდა, რომ დაინახოს ვინმემო. გარშამო მთები და მინდვრები ალამაზდნენ წვიმის შემდეგ, როგორც ლამაზი ქალის ლოყები ცრემლისაგან. სხივი მზისა ზედ დახაროდა მინდვრებს და მთებს, ხან წამოაფარებდა ჩრდილს, როცა თვით მიეფარებოდა ღრუბელსა. ერთი სიტყვით, იყო იმისთანა საღამო, რომ შინ ჯდომა ცოდვა იყო. გული ისე სუბუქად იყო, გრძნობაც ისე ხალისიანად იღვიძებდა კაცში, რომ უყურებდა ამისთანას ერთბაშად გაღიმებულ გარემოებასა.

ერთ ღარიბ და საწყალ ვიწრო ქალაქის ქუჩაში იდგა ერთი დაბალი, ძველი სახლი. პატარა ქუჩის პირას ორი ფანჯარა გაეღო პატრონსა, რათა გაეგრილებინა ოთახის ჰაერი. ყვავილებით იყო მორთული ორივე ფანჯარა, ყვავილებშორის მოჩანდა თავი ახალგაზრდა ქალისა, რომელიც იჯდა სკამზედ და ჰკერავდა რაღაცასა. იგი მთლად მიზიდული იყო საკერავისაგან, მთელი თავისი ყურადღება მიექცივა ხელსაქმეზედ, და ეს მშვენიერი საღამო, ეს მშვენიერი ლაჟვარდი ცა, ეს სიგრილე და ეს სიცოცხლე ბუნებისა იყო თითქმის უქმი იმ ქალისათვის. ხანდისხან, თუ გაიხმაურებდა ვინმე ქუჩაში, ქალი აიღებდა თავს და უნებურად გარდმოხედავდა ქუჩას, მაგრამ შემოხედვა იგი ცხადად აჩვენებდა კაცს, რომ ქალს არაფრის დანახვა არცა სურს და არც იამება. მერე ისევ ჩაღუნავდა თავს და მუშაობდა. არაფერი არ უშლიდა ამ ქალს: შინაც ჩუმობა იყო და გარეთაც იმ ქუჩაში, სადაც საქმისათვის თუ გაივლის კაცი, თორემ ისე ძნელად მოხვდება ხოლმე.

არ გასულა რამოდენიმე ხანი, რომ იმ ფანჯარას, სადაც ის ქალი იჯდა, მოადგა ერთი წმინდად ჩერქეზულად ჩაცმული ყმაწვილი ბიჭი.

– ჩემმა ბატონის ქალმა მოგართოთ ეს წიგნი და მოგახსენათ, პასუხი მიბოძეთო, – უთხრა ბიჭმა.

ქალმა გამოართო წერილი, ლამაზ ფოშტის ქაღალდზედ დაწერილი, და დაიწყო კითხვა.

– კარგი, მაახსენე, მზად ვიქნები-თქო, – უთხრა ქალმა. ბიჭმა დაუკრა თავი და წავიდა, ქალიც ადგა სკამიდამ, მოახლოვდა უფრო ფანჯარას და დადგა დაფიქრებული.

მშვენიერის ტანისა იყო ქალი იგი; სახე არ იყო ძალიან ლამაზი, მაგრამ არც უფრო ბევრს უყურებდი, უფრო და უფრო მოგწონდა; მისი მშვენიერი შავი თვალები და თვით მთელი სახის მეტყველობა ამტკიცებდა, რომ... [პატრონი] ამა შავი თვალებისა ჩვეული იყო ფიქრისა; ეს იყო მგონი მიზეზი, რომ სახე მისი თანდათან უფრო მიიზიდავდა. თუ გნებავთ, სიამაყეც ეწერა სახეზედ, მაგრამ ის სიამაყე კი არა, რომელსაც მამაკვდინებელ ცოდვად ვუხმობთ, არამედ ის სიამაყე, რომელმაც იცის თავისთავის პატივი, რომელიც რა ამაღლებს თავისთავს, არამც თუ ამდაბლებს სხვას, არამედ სხვაც აჰყავს თავის თანასწორად.

– რაო, შვილო? ლიზოს წიგნი მოგივიდა? – ჰკითხა ერთმა მოხუცებულმა დედაბერმა, რომელიც ისე მოახლოვდა, რომ ქალმა ვერ გაიგო.

– ჰო, დედაჯან! მეპატიჟება, შემოგივლი და ცოტად გავისეირნოთო, – მიუგო დაღონებულმა ქალმა.

– რაღას უყურებ, ჩაიცვი, შვილო, და წადი.

– წასვლით კი წავალ, მაგრამ საკერავი უნდა ხვალზევით მზად იყოს; ვაი თუ ვეღარ მოვასწრო და მერე რა ვქნა?

– ჯანი გავარდეს მაგ საკერავსაც, – სთქვა გულმტკივნეულად დედამა, – და ჩვენ წყეულ ბედსაც. შენ კი ლამის მოგიდნოს მაგვდენ შინ ჯდომამ და შრომამა. წადი, შვილო, ჩაყლაპე წმინდა ჰაერი, იმხიარულე. ღმერთი მოწყალეა, როგორმე გვიშველის.

ქალმა აღარა უთხრა რა, მობრუნდა და წავიდა ტანთ ჩასაცმელად. დედაბერი დარჩა ფანჯარასთან. ცრემლები მოსდიოდა თვალში, მაგრამ თავს იმაგრებდა, თითქო ეშინიანო, რომ არავინ შეასწროს თვალი იმის ცრემლსა. იმას არავისი არ ეშინოდა, თავის ქალს უმალავდა თავის მწარე ცრემლსა. პატარა ხანს შემდეგ მოგრიალდა კალიასკა. შიგ იჯდა ერთი ლამაზი, მხიარული, 18 ანუ 19 წლის ქალი, რომელიც კალიასკის დაყენებისვე უმალ ქორსავით გადმოფრინდა კალიასკიდამ. ჯერ მივარდა ერთ ფანჯარას, იქ არავინ დაინახე, მერე მეორეს, იქ იდგა მწუხარე დედაბერი.

– კატო სად არი, დედიჯან? – ჰკითხა ფანჯრიდამ ქალმა.

– ტანთ იცვამს, ჩემო კარგო ლიზავ, და ეხლავ გიახლება, შენი ჭირიმე, შენი, – მიუგო ალერსით დედაბერმა.

– უჰ! რა მძიმედ იქცევა ეგ თქვენი ზარმაცი ქალი, ყურები უნდა გაუწიო ხოლმე, რომ გადააჩვიოთ ზარმაცობას, – უთხრა ღიმილით ქალმა.

– კაი დროც იქნება, – მიუგო ღიმილითვე კატომ, რომელსაც ჩაეცო ტანთ და მოდიოდა.

– რა ცუდი დრო იქნება! წამო, კარგი, წავიდეთ, ხალხით სავსეა ბულვარი. მშვიდობით, დედაჯან, – უთხრა ლიზომ დედაბერს, რომელსაც მთელ ამ ლაპარაკის განმავლობაში ღიმილი არ მოშორებია დამჭკნარ სახიდამ.

ლიზო გაიქცა კალიასკისაკენ და ჩაჯდა, კატოც გამოვიდა და ჩაუჯდა გვერდით. მობრუნდა კალიასკა და გასწია ბულვარისკენ. მინამ ისმოდა გრიალი კალიასკისა, მანამ დედაბერი იგი, რომელიც ერთის წუთით გაღიმებული იყო, წარბშეკრული და სველ თვალებით იდგა უძრავად, თითქო მიკერებულია იმ ალაგსაო. რაკი კალიასკის ხმა მისწყდა, მივიდა, მიჯდა ტახტზედ და წამოსქდა თვალთაგან დიდიხნის მოგუბებული ცრემლი.

– ღმერთო!.. – მოსთქვამდა ბებერი, – ღარიბის კაცის გაჩენაში [არ] რეულა შენი მოწყალება! დაგვბადე და გვიბძანე: ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენი! მინამ შემეძლო, შემომიჩივლია განა შენთვის, მაღალო ღმერთო, ჩემი სიღარიბე? დავბერდი, თვალთ დამაკლდა და ხელი მიკანკალებს, ჯანში ღონე არ შემრჩა. მინამ შემეძლო და ჩემი პატარა კატო იყო ინსტიტუტში, პურის ცხობით ვინახამდი ჩემს თავსა. ეხლა აღარ შემიძლიან-რა, ეხლა ჩემი საწყალი კატო დღე და ღამეს ასწორებს ჩემის შენახვისათვის, მე კი, როგორც ბატონი, ხელგაუნძრევად, ჩემის ქალის თითების ნაშოვარს და მონაგარს ვჭამ და ვსვამ. ტყუილია, რომ შ ვილმა ხელზედ ერბოკვერცხი მაიწვასო და ისე გამოზარდოს მშობელი დედაო, მაინც იმის ამაგს ვერ გადიხდისო, ეგ ბედნიერმა უნდა თქვას, რომელმაც არ იცის, რა არის შრომა, რომელსაც არ გამოუცდია დღე შრომითა და ღამე იმ ფიქრითა, რომ ხვალაც ეს დღე დღე იქნება, ღამეც – იგივე ღამე...

იგი წავა და სხვა მოვა
ტურფასა საბაღნაროსა

I

მე იმას შევხვდი ერთის დიდის კაცის წვეულებაში. ტურფად დარახტულ და დაკაზმულ ქალ-კაცთა შორის, რომელნიც მის გარეშემო ჯიანჭველასავით ირევოდნენ, განდეგილად და განშორებულად მათგან იჯდა იგი მარტო ერთს კუთხეში და უყურადღებოდ გამოიჭრიტა თავის კუთხიდან, როგორც ია სურნელი და მშვიდობიანი თავის ჩრდილიდანა. იმ უგემურს და თითქო ნაბძანებს მხიარულებაში იგი არ ერეოდა, თუმცა კი გონიერნი თვალნი მისნი თან სდევდნენ იმ ჭრელს ხალხსა.

იმის სახის მეტყველება, რაღაც მშვიდობიანის მშვენიერებით და კეთილშობილის სიამაყით სავსე, არას აჩენდა იმისთანასა, რომლითაც მის მაყურებელს შეეძლო ეცნო, რომ იგიც თანაზიარია იმ უგულო მხიარულებისა, რომელიც დიდკაცის შეყრილობაში მეუფებს ხოლმე. მშვენიერო ქალო! წარსულთა დროთა მოგონებამ განმიღვიძა ბევრი რამ იმისთანა, რომლის წარმოდგენითა უკეთესნი ძარღვნი მწყდებიან; სხვათა შორის განმიღვიძა შენი სახეცა, შენი სახელიცა, რომელსაც არავის ვაუწყებ და რომლის მოგონებითაც განმიცხოველდება ხოლმე უკეთესნი ჩემნი იმედნი კაცის სიწმინდეზედ და სიკეთეზედ..

კავშირი, რომელიც ჩვენ შრის იყო, იყო წმინდა, ვით მცნება ღვთისა: მე შენ პატივს გცემდი, ვით უკეთესსა დედაკაცსა, და თაყვანება ჩემი ამის გარედ არ გადიოდა და არც გასულა.

ხსენებულს ყრილობაში მე შევხვდი მას მეორედ, იგი იყო მაშინ თექვსმეტის წლისა. მე მის სახე არ აგიწერ, მკითხველო, იმისათვის, რომ საცა ლაპარაკია სულის სიღონეზედ და ადამიანის ზნეობითს ძალაზედა, იქ სახე შენთვის საჭირო არ არის.

მე, როგორც ნაცნობი, მივედი მასთან და ნება ვსთხოვე მასთან დაჯდომისა. თავის დაქნევით მანიშნა ნების დართვა. მე დავჯეგ.

– მე მიკვირს, რომ ამ საუცხოვო მხიარულებაში თქვენ მონაწილეობა არ მიგიღიათ, – დავიწყე მე, – რათა ზიხართ მარტო?

– მე მიკვირს, რომ თქვენ ეგ გიკვირთ, – მიპასუხა მან და, თითქო ლაპარაკი აღარ უნდაო, თვალი აადევნა ხალხსა.

– საკვირველი რა არის, რომ მე გავიკვირვე თქვენი მარტოობა ამ დიდს წვეულებაში. თქვენს ხანში ეგ სწორედ საკვირველია.

იმან ამაზედ მე პასუხი არ მაღირსა, ხოლო ტუჩები აიწურა და მით მაჩვენა, რომ ჩემი ეგ სიტყვები არ მოეწონა.

– მე როგორც გატყობთ, დღეს ვერა ხართ ლაპარაკის ქეიფზედ, – კვლავ დავიწყე მე.

– მაგისას ვერას მოგახსენებთ, – მიპასუხა იმან, – არის ერთგვარი ლაპარაკი, რომელიც კაცს ქეიფზედ ვერ მოიყვანს.

– ესე იგი სულელური, – დავასწარ მე.

– თუნდა სულელურიცა.

– მადლობელი ვარ დაურიდებლობისათვის და პირში თქმისათვის.

– არა ღირს მადლობად.

– რატომ? დაურიდებლობა და პირში თქმა ჩვენს საუკუნეში ღირსებაა.

– ნუთუ მართალს ბძანებთ? – მომიგო მან გაკვირვებით და ჩემკენ მობრუნდა, – ღირსებააო, პირველად მესმის.

– საკვირველიც არ არის: თქვენ იმისთანა წრეში ცხოვრობთ, რომ მართლადაც უნდა დავიჯერო, რომ პირველად გესმისთ.

– თქვენ ჩემ წრეს თავი დაანებეთ. იგი განსაკიცხველი კი არ არის, შესაბრალისია.

– მე იმ წრის განკიცხვას დავეჩვიე და ამ ჩვეულებას თქვენის პატივისცემით ვერ გადავეჩვევი.

– როგორ თუ დაეჩვივეთ? მე არ მესმის.

– იქნება ვერც გაიგოთ.

– იმიტომ ხომ არა, რომ მამა-პაპის თქმულისამებრ დედაკაცს თმა გძელი აქვს და ჭკვა მოკლე.

– მე ეგ არ მინდა მეთქო. მე მარტო იმას ვამბობ, რომ კაცმა უნდა ან თვალით იხილოს, ან გამოსცადოს ტანჯავ მრავალთა, რომ სრულის სიძულილით შეიძულოს ის, რაც იმ ტანჯვის მიზეზია. ჩემის ფიქრით ერთ მიზეზთაგანი ის არის, რომ კაცთა ცხოვრების ანბანში ასომთავრულები არიან, რომელნიც იხმარებიან წერტილის შემდეგ, ესე იგი მის შემდეგ, როცა აზრი წყდება.

— კარგი მკაფიო ოხუნჯობა გცოდნიათ, – მიპასუხა მან დაცინვით: – მაგრამ ამ ქებასთან ესეც უნდა გითხრათ, რომ მე თქვენთან ლაპარაკი არ შემიძლიან. ამას უღონობაში კი ნუ ჩამომართმევთ, მე იმიტომ არ შემიძლიან, რომ თქვენ ერთს საგანზედ არა სდგეხართ და ფეხს ვერ იმაგრებთ, რაზედაც დადგებით ხოლმე. მაგრამ რა? ეგ საზოგადო თქვენის ყალიბის ხალხის ჭირია. მე ვგონებ, რომ მრავალთა ტანჯვის მიზეზი თანმიუყოლებლობა და დაუდგრომელობა არის. თქვენ როგორ ფიქრობთ?

– იქნება ეგეც მართალი იყოს.

– მე მიხარიან, რომ თქვენ მართლმსაჯულობის ნიჭი გქონიათ, რადგანაც თქვენი თავი თქვენვე განკიცხეთ.

ძალიან მომეწონა იმ ქალის ესეთი გაბედვით ლაპარაკი და პირში თქმა. ეგ პირში მიხლა სიმართლისა, დაურიდებლობა, რომელსაც ქვეყანაში უზდელობას ეძახიან, მე

ყოველთვის ტალანტის და ნიჭიერების ნიშანი მგონია. მე ჩემს გულში გავიფიქრე, რომ ამ ქალს გაფრთხილება უნდა და ისე დავიჭირე საქმე.

– რაში შემწამეთ დაუდგრომელობა? – ვკითხე მე.

– ნუთუ არ გესმით, რაში? თქვენ დაიწყეთ ლაპარაკი მასზედ, რომ უნდა თუ არა უგუნურებას განკიცხვაო, მერე – არ ვიცი, რომელ ხიდით, – ამ განკიცხვიდამ გადახვედით სიძულილზედ. რომელზედ მოგცეთ პასუხი?

– თუნდ იმაზედ, რომ მე ვამბობ, უგუნურებას განკიცხვა უნდა-მეთქი.

– ჯერ მიბძანეთ, რაზედ ააშენეთ ეგ განკიცხვის უფლება?

– კაცის წაუმხდარ ბუნებაზედ. ყოველს ცუდს გამოაშკარავება უნდა, საქვეყნოდ გამოფენა.

– რისთვის?

– სხვათა საზიზღრად.

– ნუთუ ეგ არის თავი და ბოლო კაცის მოქმედებისა?

– მე მგონია.

– სრულებით შემცდარი ხართ. ცუდი თითონ საზიზღარი არ არი, საზიზღარი არის იმისათვის, ვისაც უთქვენოთაც განწმენდილი აზრი აქვს, ამგვარ ხალხს თქვენი გამოფენა არ უნდა. ჩემის ფიქრით, ცუდი და კარგი ქვეყანაზედ თავისთავად არ არსებობს. მგონი, თუ მეხსიერებამ არ მიღალატა, შექსპირი ერთ ადგილას ამასვე ამბობს და უმატებს, რომ კაცის აზრისაგან არისო – ერთი საგანი ცუდი და მეორე კარგი.

– ეგ მართალია.

– მაშ თუ ეგ მართალია, თქვენ მტყუანი ხართ, იმიტომ რომ აქ განკიცხვა, ესე იგი გამოფენა ცუდისა, კი არ უნდა, კაცის აზრის განწმენდა უნდა. ესე იგი ყოველი ჩვენგანი იქამდინ უნდა განვითარდეს, რომ მის გონიერებას თავისი საკუთარი საზომი ჰქონდეს. აი მოედანი. იღვაწეთ, გულმტკივნეულნო გამკიცხველნო!

– განკიცხვა ერთი იმ ღონისძიებათაგანია, რომლითაც ადამიანს შეუძლიან მაგ განვითარებამდინ მისვლა.

– კაცის გამცარცველს, ანუ კაცის მკვლელს დაუხატეთ მისი ავკაცობის სურათი, განეწმინდება გონება?.. იმისთანა სურათს ხომ ვერ დაუხატავთ, რომელსაც იგი თავისთვისა შეჰქმნის ხოლმე და ყოველთვის თვალწინა აქვს. რატომ არ ეზიზღება თავისი ხელობა?

– იმათთვის განკიცხვას ძალა არა აქვს, ისინი სნეულნი არიან ჩვენ შორის. იმათ წამლობა უნდა. ხოლო იმათი სიცუდის გამოფენა სხვას შეაყენებს.

– თუმცა მე ეგ არა მწამს, მაგრამ მაგაზედ დაგეთანხმებით. ახლა გადავიდეთ იმ წრეზედ, რომლის განკიცხვაც თქვენ ჩვეულებად გაგიხდიათ. თქვენის აზრით, თქვენი განკიცხვა იმ წრეს ვერ გაასწორებს, როგორც ცუდს კაცს მისი ცუდის საქმის გამოფენა. ახლა ერთი ეს მითხარით, მაშ რიღასთვისა ჰკიცხავთ? რომ სხვანი შევაყენოო, მეტყვით მე. რაზედ უნდა შეაყენოთ?

– რომ ის ცუდი არ მიითვისონ, რაც თან სდევს იმ წრესა.

– არ შეიძლება დამისახელოთ ის ცუდი?

– უქმობა, ფართიფურთობა, ქარაფშუტობა და ყველაზედ მავნებელი – სხვისით ცხოვრება.

– ქარაფშუტობა და ფართიფურთობა ყველა კაცის ჭირია საერთოდ და განსაკუთრებით თქვენისთანა კაცებისაც, უკაცრავოდ კი არ ვიყო.

– ნურას უკაცრავოდ. თქვენის ლაპარაკის ჰანგს მე ყური შევაჩვიე. თუმცა ყურსა სჭრის, მაგრამ გონებას აღვიძებს.

– რაც შეეხება უქმობას და სხვისით ცხოვრებას, ამაზედ აი რას გეტყვით. უქმნი თავიდამ ბოლომდინ ყველანი ვართ. სხვისით ცხოვრება ყველას გვიყვარს. არც ერთზედ და არც მეორეზედ მგონი თქვენც უარი არა თქვათ. ჩემის ფიქრით, შრომა კაცის ბუნებას ეჯავრება და სიამოვნებას, სიტკბოებას კი კაცის ბუნება ეტანება. მთელი კაცობრიობის ცხოვრება ამ ორთა გრძნობათა ბრძოლაა, ერთ მხრივ იბრძვის შრომის სიძულილი, მეორე მხრივ სიამოვნების სურვილი.

– არა, შრომა – ცხოვრებაა, ცხოვრება – სიამოვნებაა.

– ეგ მარტო ლამაზი ფრაზაა, ჩემის ფიქრით. მე კიდევ ჩემს აზრს მივუბრუნდები, რომელიც არ გამათავებინეთ. უნდა ამაზედ დამეთანხმოთ, რომ შრომა კაცის ბუნებასა ჰსძულს. ეს სიძულვილი ასეთი ძლიერი, რომ, მე მგონია, კაცი იმოდენა შრომასაც არ იკისრებდა, რომ პური ეღეჭნა, თუ რამ სხვა ღონისძიება ჰქონოდა იმავე საჭიროების შესამსებელად. მაგრამ აი საქმე რაში მდგომარეობს. სიამოვნება, რომლისათვისაც კაცი იბრძვის, რომლისათვის თვისთა შეძულებულს შრომას კისრულობს, ის სიამოვნება – უნდა კაცობრიული იყოს, აზრით და ზნეობით სავსე. მართალია, ის წრე, რომლის განკიცხვაც თქვენ ჩვეულებათ გამხდარა, იმ სიამოვნებით კმაყოფილია, რაც მას გარს ახვევია. დანაშაულობა იმათი მხოლოდ იმაშია, რომ კაცობრიულს, ესე იგი უმაღლეს სიამოვნებას, როგორც ზრუნვას მოყვასისათვის, მოქმედებას სხვის კეთილდღეობისათვის, შველას ქვეყნიერობის ფეხის წინ წადგმაში, არა ჰსცნობენ. არა ჰსცნობენ იმიტომ, რომ მეცნიერების სინათლე არ მოხვედრია მათ და თავისი სიამოვნება – ჭამა-სმასა, ტანსაცმელსა და მეჯლიშობას იქით ვეღარ გადუცილებიათ. განგვანათლეთ, აღგვიმაღლეთ, განგვწმინდეთ და ჩაგვისახეთ დიდნი სიამოვნებანი და მაშინ დამერწმუნეთ, გულხელდაკრეფით არვინ გაიფუჭებს ცხოვრებასა.

რამოდენაც კაცში დიდია სიამოვნების სურვილი, იმოდენად მასში ძლიერია ბეჯითობა შრომაში, რადგან ქვეყანაზედ სიამოვნება უშრომოდ არ მოიპოვება. შრომა კაცსა სძულს, მაგრამ აუცილებელია. რამოდენადაც სიამოვნება მაღალია და შესაფერია ღვთისკერძ კაცისა, იმოდენად შრომა, როგორც გზა – მიმავალი სანატრელ საგნამდინა, ხალისიანია. მხოლოდ მაშინ კაცი შეიყვარებს ხოლმე შრომას და ბუნებით სიძულილს მოჰსპობს, როცა იგი მიახწევინებს ხოლმე დიდ საგნამდინა. საქმე საგანია, რომლის მიხწევაც ადამიანისათვის არის უმაღლესი სიამოვნება. ხალხს მიეცით სურვილი დიდის კაცობრივის საგნის მოპოვებისა, და შრომას იგი სურვილი არამც თუ წაართმევს ყოველს მას, რაც კაცს შრომაში სძულს, არამედ თვით შრომას, თავისთავად საძულველსა, დიდი საგანი სიამოვნებადა ხდის. მარტო ამით აიხსნება ის საკვირველნი ღვაწლნი და შრომაში და ჯაფაში ჯანის დალევა, რომელნიც უკეთეს კაცთა ცხოვრებაშია წაგვიკითხავს. წინ გამოხატული საგანი სცვლის სიამოვნებად შრომასა, თავისთავად უსიამოვნოსა. ეს არის ჩემი აზრი. ამას მერმეთ მგონი უბრალოდღა მკითხავთ, რატომ ჩემი წრის ხალხი არა შრომობსო. იმიტომ არა შრომობს, რომ საგანი არა აქვს. იმ მცირედს საგანს, რომლითაც იგინი იოლად მიდიან, მცირედის შრომითაც ადვილად პოულობენ. რიღასთვის იშრომონ? შრომა ღონისძიებაა მისაღწევად რისადმე. ეგრე რომ არ იყოს, ნაცარქექიობაც შრომა

იქნება, და, თქვენის აზრით, იგივე ნაცარქექიობა, ვითარცა შრომა, ცხოვრება იქნება და ის ცხოვრება – სიამოვნება.

– კარგად გამრიყეთ, – ვუპასუხე მე.

– დიახ, ჩემო ბატონო, იმისთანა ხალხი, რომლის გამოხატულობაც ჟამთა ვითარებით უმაღლესს საგნებიდამ მარტო ჭამა-სმაზედ დამდგარა, ანუ რომელსაც მცირე საგნებიდამ გონება მაღლა ვეღარ აუცილებია, ის ხალხი უფრო შებრალების ღირსია, ვიდრე განკიცხვისა. ან რად გინდათ, რომ მაგ წვრილმანის საგანთა მისახწევად იშრომონ, ეგ ნაცარქექიობა იქნება. სხვისით ცხოვრებენო, მართალია. ეგ არის ცხადი საბუთი იმათის უღონობისა, შეუძლებლობისა. ჩემი კანონია: უღონო შეიბრალე და ნუ განკიცხავ.

– მაშ, თქვენის აზრით, შებრალებაზედღა უნდა დავდგეთ და ქვეყანა თავისთავად გასწორდება.

– ეხლანდელნი მცონარე და უქმობით სავსენი ყმაწვილკაცნი დიახ გაიხარებენ, რომ ეგ აგრე იყოს. მაგრამ არა, ბატონო! თქვენს სიხარულს ფრთები მოეკვეთება, როცა ვიტყვი, რომ ქვეყანას გონების გახსნა უნდა, ქვეყანას სწავლა უნდა, ქვეყანას გაზრდა უნდა. თუ რამ შეგიძლიანთ, იმოქმედეთ.

– თქვენ რაღა აპირობთ?

– მე? ამჟამად მარტო ტანციობას. გნებავთ?

– დიდის სიამოვნებით.

მოვხვიე ხელი და ტრიალით შევერიენით ხალხში.

II

გავიდა ორი თუ სამი თვე. იმ ქალს კიდევ შევხვდი ტეატრში. თუმცა მინდოდა იმის ლოჟაში შესვლა, მაგრამ მოვერიდე, რადგანაც ვიზიტი არ გამეკეთებინა. იმანაც თალი შემასწრო და მანიშნა, რომ შემიძლიან იმის ლოჟაში შევიდე. მეც ავედი. შევედი ლოჟაში თუ არა და დავჯეგ მის გვერდით სკამზედ, იმან მითხრა:

– მინამ თქვენ აქ ამოხვიდოდით, მე ვფიქრობდი: ეს ადამიანები, რომელთაც მე და თქვენ ვეკუთვნით, რად იჭირებენ საქმეს, რომ სხვადასხვა მოგონილის სულელურის წესით, რომელსაც ზრდილობას ეძახიან, ერთი-ერთმანეთს თავისუფლებას ართმევენ.

მე მეგონა, ამას ჩემზედ ამბობს-მეთქი, რომ მე თითონ ლოჟაში არ ავედი.

– მეც, სწორედ მოგახსენო, – ვუპასუხე ჩემის თავის გასამართლებლად, – ეგრე ვფიქრობ, მაგრამ ვერ გავბედე აქ ამოსვლა, მით უფრო, რომ...

– მე არ გეგონეთ თანამოზიარე მაგ ფიქრისა, განა? – გამაწყვეტინა სიტყვა: – მაგრამ ესეც კი უნდა ვჰსთქვა, რომ მე სრულიად თქვენზედ არ მოგახსენეთ ის, რაცა ვსთქვი. მე ამ პიესაზედ ვფიქრობდი. ის სულელი ქალი სცენაზედ იტანჯება მისთვის, რომ მისი სულელი მამა ნებას არ აძლევს, რომ თავის საყვარელ კაცთან შეერთდეს, რადგანაც ქალის არჩეული კაცი დიდი ჩინების და შემლების პატრონი არ არის. მე ვიცი, რომ ამ ტეატრში ორი კაციც არ იპოვება, რომ მამა არ გაამართლონ. საკვირველი კია. თითონ გონების დაუკითხავად დაიხატვენ ხოლმე კაცის ღირსების სახეს და ვინც იმ დახატულობით აღტაცებაში არ მოდის, არ მოსწონთ. რად იკლავს ის სულელი ქალი თავს, წავიდეს და თითონ დაიწეროს ჯვარი. მაგრამ სულელს ეშინიან, გარყვნილობაა მამის უნებურად გათხოვებაო, – ეს არის რიგიანის ზრდილობის დასკვნა. კაცის ბედნიერება ისეთი

ძვირფასია, რომ მაგისთანა წვრილმანის წესიერებით არ უნდა შებრკოლდეს. მაგრამ ნახეთ, რა გავლენა აქვს დამდგარს და ცხოვრებაში მიღებულს სულელობას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს ის ქალი იმას შეირთავს, ვისაც მამა ურჩევს და, თუ ავტორი უხეირო მწერალია, ამ მამის ქცევას ქებას შეასხამს.

– იმისათვის, რომ კაცმა მონების ჯაჭვი გაწყვიტოს, სულის ღონე უნდა. იმ ქალს ეგ არა აქვს.

– მე მაინც იმას ვამბობ, რომ კაცი კაცად გახდეს, ამის ღონეთ მარტო ცოდნა და განათლებაა. არა ღონე არ ექნება გაუნათლებელ კაცს თავის ჯაჭვის დასამტვრეველად. მე ვფიქრობ, რომ ჩვენში ან სულ არ არიან ამისთანა კაცნი, და თუ არიან, ძალიან ცოტა.

– ეგ ცხადია.

– უნივერსიტეტში ნამყოფი კი ბევრი ხართ.

– ეგ რაზედ მიბძანეთ?

– იმაზედ, რომ თუ ჩვენში მცოდნენი და განათლებულნი ცოტანი არიან ან სულ არ არიან, მაშ უნივერსიტეტში რას აკეთებდით მაგდენი ხალხი?

– იმას ვაკეთებდით, რომ შინაურობაში წამხდარი გული და ზნეობა ჩვენი ცოტად თუ ბევრად გავისწორეთ, გადავიკეთეთ. ჩვენ ვჯობივართ ჩვენზედ ცუდებს, ეს არის ჩვენი სახელი.

– შორს არ წასულხართ.

– ცოტათი მაინც ხომ წავედით წინ, თქვენ კი უკან და უკან მიდიხართ.

– ვინ ჩვენ?

– ქალები, ესე იგი მთელი ნახევარი საქართველოსი.

– უნივერსიტეტი ჩვენთვის დახურულია.

– გაიღეთ კარები და შედით.

– მოუმზადებელნი?

– მოემზადენით.

– რომ არ გვამზადებთ?

– კიდეც ეგა, რომ თქვენ სულ მზა-მზაობა გინდათ. თქვენ ვერას კარგს ვერა იქთ, თუ ძიძაობის შველაზედ ხელს არ აიღებთ. იბრძოლეთ და წაიღეთ. თორემ დაგიკრეფიათ ხელები და შესცქერით: აცა, კარს გაგვიღებენო და ჩვენც დავინახავთო მზიან ქვეყანასაო.

– ძალიან კარგი. ვსთქვათ, გამოვამტვრიეთ ჩვენთვის დახურული უნივერსიტეტის კარები, დავასრულეთ კურსი, მერე სად მოვიხმაროთ ჩვენი სწავლა და ცოდნა? რისთვის გვინდა?...

[1861 – 1863 წ.]

უღელტეხილი

I

სოფელი კილხა, ბაღებით და ვენახებით მორთული, დგას მთის დაქანებულს ფერდობზედა; წინ უფენია ერთი იმ მშვენიერ ველთაგანი, რომელნიც თავის სიტურფითა

და შემკულობითა ეგრე ხშირად აკვირვებს ხოლმე საქართველოში მოსიარულე მგზავრსა. იგი სოფელი ფრიად დიდია, მდიდარია წყლით, მინდვრით, ვენახებით და ტყითა და გაწყობილი კარგისა და რიგიანის დუქან-ბაზრითა, რომელიც, რასაკვირველია, ხელთ უპყრიათ სომხებსა. მასში დგას შვიდასი კომლი სხვადასხვა წოდების გლეხი და ოთხი კომლი თავადიშვილი ერთისა და იგივე გვარისა.

ამ თავადისშვილებ შორის არის ერთი ოჯახი თავად ქაიხოსრო ბაიდურაძისა, რომელსაც ამ ოცის წლის წინად თქვენი ჭირი წაეღო. ქაიხოსროს ცოლი, კნეინა თამარ, დარჩა ქვრივად ოცდაცამეტის წლისა. თუმცა ხანი აძლევდა კიდევ, რომ მეორედ გათხოვილიყო, თუმცა თამარს ბევრნიცა თხოულობდნენ, მაგრამ ქრმისა და შვილების ერთგულმა თამარმა გათხოვება აღარ მოინდომა და შეჰსწირა თავი იმ ოჯახსა, რომელშიაც დაქვრივდა. ოთხი ვაჟიშვილიდამ უბედურმა თამარმა სამი შვილი თავის ქრმის შემდეგ კიდევ დამარხა; შერჩა მარტო უმცროსი შვილი, რომელიც ქაიხოსროს ოთხის წლისა დარჩენოდა. ამ ხუთის წლის წინად ეს დედისერთა შვილიცა წასვლოდა თამარს პეტერბურგის უნივერსიტეტში, მას შემდეგ, რაკი ტფილისის ღიმნაზია დაესრულებინა, და აქამომდე არ დაბრუნებიყო.

ამ ოცი წლის განმავლობაში უბედურის თამარის სახლსა სიხარული და მხიარულება სტუმრადაც არა სწვევია. მხოლოდ იმ დღეს, რა დღიდამაც მე ვიწყებ ამ ამბავსა, თამარის სახლში დიდი ფაცაფუცი და მზადება იყო; ეგონებოდა კაცს, რომ ამ სახლში ქორწილისათვის ემზადებიანო. ბიჭები და გოგოები წინა და უკან დარბოდნენ, ჰსწმენდდნენ, ჰგვიდნენ და ბღერ[ტდნენ] საფენსა. მზარეული გადმომდგარიყო სამზარეულოს წინ დ აპირებდა გოჭის დაკვლასა, რომელიც ხელში ეჭირა და საშინელის ხმითა ჭყიოდა; ხაბაზს აელაპლაპებინა თორნე, რომელშიაც უნდა გამოეცხო გამტკიცული პური. ეს მზადება იმისთვის იყო, რომ თამარი, ეხლა ფრიად მოხუცებული ხნიერობისაგან და გამოვლილის მწუხარებისაგან, სწორედ იმ დღეს მოელოდა თავის დედისერთა შვილსა, რომელსაც რუსეთში შეესრულებინა სწავლა და ამ ორი კვირის წინად მოსულიყო ქალაქში. ჯერ დილა არ გათენებული[ყო], რომ გახარებული თამარი წამოდგა იმ დღეს ქვეშაგებიდამ და სანატრელის შვილის მისაღებად თავდარიგი დააწყო. ამავე თავდარიგისათვის აქეთ და იქით დაფაცფაცებდა თამარზედ უფრო მოხუცებული გამდელი, რომელსაც ერქვა თითია. ეს თითია იყო ერთი იმ ძველებურ გამდელთაგანი, რომელთაც მუდამ უღელი დამონებისა და კირთება უანგარიშო მორჩილებისა დააკარგვინებდა ხოლმე თავის საკუთარის ბედნიერების გრძნობასა, დაავიწყებდა თავის საკუთარ თავსა, ოჯახსა, ნათესავობასა და თავს დაადებინებდა იმ სახლისათვის, რომელსაც ბედი დაუნიშნავდა და რომელშიაც უდრტვინველად დაასრულებინებდა თავის ყოფა-ცხოვრებასა უქრმოდ, უშვილოდ და უსახლკაროდ. მე ჟრჟოლა მამდის ხოლმე, როცა მომაგონდებიან ის საკვირველნი, ერთგულობით განთქმულნი გამდელნი, ის თავის თავისათვის დაკარგულნი, დათრგუნვილნი, ამომშრალნი, ცოცხალმკვდარნი ადამიანები.

– ქა, თითიავ, – იძახოდა ოთახის კარებში გადმომდგარი თამარი: – თითიავ, ერთი აქ შემოიხედე, სადა ხარ?

– აქა ვარ, ქალბატონო, – ხმა მოსცა თითიამა საგამდლო ოთახიდამა: – ფქვილსა და თაფლს ვამზადებ ფალუსტაკისათვის. ჩემს დიმიტრის პატარაობისას ძალიან უყვარდა ჩემი გაკეთებული ფალუსტაკი.

– ერთი ჯერ აქ შემოდი, თავდარიგი დავაწყოთ, სიხარულისაგან ლამის ტვინი გამომელაყოს. ერთი აქ შემო.

პატარა ხანს შემდეგ თითია, სიბერისაგან დაპატარავებული, შემოგოგდა თამარის ოთახშია.

– თითიავ, – უთხრა თამარმა: – მითამ ჩემი დიმიტრი დღეს მოვიდეს? უი, ვენაცვალე იმის ლამაზს თვალებსა!

თითია ჩამოჯდა ტახტის პირსა, ჯიბიდამ ამოიღო შავი გამდლური კრიანოსანი და ხელში საანგარიშებლად გაიმართა.

– ქალბატონო, ცხენები როდის გაუგზავნეთ?

– ოთხშაბათს.

– დღეს რა არის?

– სამშაბათი.

– ოთხშაბათი ერთი, – ჩააგდო თითიამ კრიანოსნის მარცვალი, – ხუთშაბათი ორი, პარასკევი სამი, შაბათი ოთხი, კვირა ხუთი, ორშაბათი ექვსი, ესეც სამშაბათი შვიდი. სამი დღე ბიჭებს აქედამ დაუგვიანდებოდათ, ეს სამი დღე გამოვიდეთ, ახლა სამი დღე იქიდამ სიარულს მოუნდებიან, – ეს სამი დღეც გამოვიდეთ, ერთს დღესაც ქალაქში შეასვენებდნენ ცხენებსა, – ეს ერთი დღეც გამოვიდეთ, – ჩამოაგდო თითიამ უკანასკნლი დანიშნული მარცვალი და თქვა: – ბარი-ბარში გამოვიდა, დღეს უთუოდ მოვლენ. მერე თითონაც მეეწერა, რომ უთუოდ მოვალო.

– შენი კი არ ვიცი და მე კი, სწორედ გითხრა, ჩემო თითიავ, გული თავის ალაგას აღარ მიდგება სიხარულისაგან, – უთხრა თითიას თამარმა.

– ვენაცვალე ჩემს მაცხოვარს, – მიუგო თითიამ, – რომ ჩემი დიმიტრის ნახვას კიდევ შევესწრები. გმადლობ შენ, ყოვლად მოწყალეო ღმერთო და ნეტარხსენებულო ღვთისმშობელო დედავ!

თითიამ გულზედ ხელი დაიკრა და პირჯვარი გადიწერა.

– მოეწერა, სამშაბათს მოვალო, – ესეც სამშაბათი. ღმერთო, ეს დღე ისე არ დამიღამო, რომ ჩემი დიმიტრი არ მაჩვენო. ჩემო თითიავ, მე და შენ იმ ხანშია ვართ, რომ ჩემის დიმიტრის ერთის დღით წინ ნახვა ჩვენთვის დიდი რამ არი. უი, გენაცვალოს, შვილო, შენი მოუთმენელი დედა!

– მართალია, ქალბატონო, მაგრამ მე, რაკი იმასა ვნახავ, თუნდა მაშინვე მოვკვდე, ბევრს არას ვინაღვლი.

– რას ამბობ, დედაკაცო!.. სიცოცხლე ეხლა გვინდა, რომ დღედაღამ ჩემს დიმიტრის ზედ დავხაროდეთ. აქამდის რა იყო ჩვენი სიცოცხლე? ორი გამოყრუებული ბებრები ვისხედით ბუებსავით ამ ოთხ კედელშუა და ეს წუთისსოფელი ხან გვაკვნესებდა, ხან გვატირებდა. ეხლა კი, ”ღმერთო, ზოგჯერ პატიჟთა მომცემო, ზოგჯერ კეთილთა მზათაო”, ვენაცვალე შენს მადლს, რომ ამ ბედნიერ დღეს შემასწარ.

ეს თქვა თუ არა, თამარმა, მიიბრუნა პირი სახატესაკენ და სასოებით პირჯვარი გამოისახა. ამასობაში სიჩუმე ჩამოვარდა. თითიამ ჩაღუნა თავი და რაღაცაზედ ჩაფიქრდა. ხშირად ჩაღუნულს თავს ისევ მაღლა აიღებდა და შეხედავდა თამარს, რომელსაც დაეკვირვა თვალი ხატებისათვისა და ტუჩებს აცმაცუნებდა, თითქო ჩუმად ლოცულობსო. თითიას ეტყობოდა, რომ თქმა უნდა რისამე და არც უნდა, თითქო მორცხობსო.

– თითიავ, – მოუბრუნდა პატარა ხანს შემდეგ თამარი, – რაზედ ჩაგიღუნავ თავი? ეგ ჩვენს სიხარულს დღეს არ უხდება.

– ქალბატონო, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ერთი რამ მინდა გკითხო და რიდი კი მაქვს: მართლა ეგრე მოეწერა დიმიტრის, რომ "ჩემს საყვარელს თითიას, ჩემს მეორე დედასაო, გულმხურვალედ მოვეხვევიო?".

– იმის ნახვა არ მეღირსოს, რომ მართალია.

ამის გამგონეს თითიას, ამ საწყალს ბებერს, სიტყვა შეეკრა, სიხარულისაგან გული ამოუჯდა; ეტყობოდა, რომ თვალში ცრემლი მოერია, მაგრამ ცდილობს თავის შემაგრებას. ბოლოს კი გულმა ვეღარ გაუძლო, ტუჩები აუთრთოლდა, ნიკაპი აეწურა და აუკანკალდა და ორი მარგალიტი ცრემლი ობლად გადმოუცვივდა დამჭკნარს ლოყებზედა. თითიამ სწრაფლად მოიწმინდა სიხარულისა და მადლობისაგან გარდმოდენილი ცრემლი.

– თითიავ, ქა, რა გატირებს, – უთხრა ღიმილით თამარმა, – აბა ერთი ადეგ, სალომე, თევდორე და მზარეული აქ დამიძახე, შენც აქ შემოდი.

თითია წამოდგა და გავიდა გარედ.

– საწყალს გამდელს რარიგად იამა, რომ ჩემმა დიმიტრიმ ეგრე მოიწერა, – თქვა თამარმა, – სიხარულისაგან ცრემლი თვალში ვეღარ შეიმაგრა საწყალმა.

სალომე – გოგო, მოურავი თევდორე, მზარეული და თითია შემოვიდნენ. თითია ისევ ჩამოჯდა ტახტზედ, სხვანი კი ფეხზედ იდგნენ.

– შენ, ჩემო სალომე, – ბძანა თამარმა, – ჩემი დიმიტრის ოთახი ლამაზად დაგავე, აბლაბუდები ჩამოწმინდე, დიდი ორხუა გააბღერტინე და იმით იატაკი მოჰფინე.

– ქალბატონო, – გააწყვეტინა სიტყვა თითიამ, – ფეხთა ქვეშ სულ წახდება დიდი ორხუა.

– რას ამბობ, დედაკაცო, ჩემი დიმიტრის ფეხთა მეც გავეშლები, არამც თუ ორხუას დავიშურებ. შენ, ჩემო სალომევ, ისე მოიქეცი, რასაც მე გეუბნები. მეორე პატარა ორხუა ტახტზედ გაშალე, ზედ დააფინე ახალი ქეჩები, ქალაქიდამ რომ მოვატანინეთ; ხავერდის მუთაქები რომ გვაქვს, თავსა და ბოლოში დააწყე. ვინძლო, ჩემო სალომევ, ოთახი ლამაზად მოურთო, ფაქიზად დაახვედრო.

– ბატონი ბძანდებით, – უპასუხა სალომემ, – სხვას ხომ არაფერს მიბძანებთ?

– არა, ჯერ კიდევ მამიცადე, იქნება მომაგონდეს რამე. შენ, ჩემო თევდორევ, ეზო ლამაზად დააგვევინე. შე ავო კაცო, როგორ ვერ მოასწარ ხეივნის გაახლება, სულ ჩამოწოლილია. ჰო, მართლა, სალომევ, ის კაი სტოლი რომ გვაქვს, ფანჯრებშუა დაუდგი. საწერ-კალამი და ფოშტის ქაღალდი სტოლზედ დაუწყე. თევდორევ, თავლაც დააგვევინე.

– თავლას რა დაგვა უნდა? – მოახსენა თევდორემ, – იქ ხომ არ შემობძანდება?

– რა ვიცი, შვილო, იქნება თავლის ნახვაც მოუნდეს. პატარაობისას იმას ცხენები ძალიან უყვარდა. ახლა, თითიავ, სადილად რა გავაკეთებინოთ, იქნება სადილად მოვიდეს ჩემი დიმიტრი.

– რაც უყვარს, ის გავაკეთებინოთ, – უპასუხა თითიამ, – აქ ყოფნაში ძალიან უყვარდა ჩიხირთმა, ჩიხირთმა გავაკეთოთ. მე კი უნდა გავაკეთო, იმიტომ რომ მარტო ჩემი გაკეთებული ჩიხირთმა უყვარდა.

– განა ჩიხირთმას მე კი ვერ გავაკეთებ? – თქვა წყენით მზარეულმა, – ასეთს ჩიხირთმას გავაკეთებ, რომ თითიას თვალითაც არ ენახოს.

– უი, მეხი კი დაგაყარე მაგ სულელს თავზედა, – წააყარა ქოქოლა თითიამა, – ვერ უყურებ? არ ენახოსო! არა, ქალბატონო, ჩიხირთმა და ფალუსტაკი მე უნდა გავაკეთო. ვიცი, რომ სხვის განაკეთს ის ისე მადიანად არ მიირთმევს.

– კარგი, თითიავ, შენ ჩიხირთმა და ფალუსტაკი გააკეთე, შენ კი, – მიუბრუნდა მზარეულს თამარი, – ლამაზი გოჭი დაკალ, ცივად მოხარშე, კარგი ინდაური შეწვი და შაქრის პურებიც გააკეთე. ჰო, მართლა, თევდორევ, ხაბაზსა უთხარი, რომ პური გამტკიცოს და კარგი შოთები დააკრას, ჩემს დიმიტრის შოთები ძალიან უყვარდა. თითიავ, ღვდელი უნდა დავიბაროთ, რომ ჩემი დიმიტრის მოსვლის უმალ პარაკლისი ვახდევინოთ.

– არ იქნება ურიგო, ოღონდაც, პარაკლისი უნდა ვახდევინოთ, – მიუგო პასუხად თითიამ.

– მაშ, თევდორე, ერთი ვინმე გაგზავნე ღვდელთან, რომ შინ იყოს და დიმიტრის მოსვლის უმალ აქ ამოვიდეს. ეხლა წადით, ყველამ თქვენ-თქვენი თავდარიგი ნახეთ. თითიავ, შენ აქ იყავ, ყველას უთხარი, რომ ვინც პირველად მახარებს ჩემი დიმიტრის მოსვლას, კაცი იქნება, – კაი ჩოხას უყიდი, გოგო იქნება, – კაი კაბასა.

სალომე, თევდორე და მზარეული გავიდნენ.

– თითიავ, შენც უნდა მაირთო დღეს. შენი ჭირიმე, ჩემი დიმიტრის გამოგზავნილი ახალი კაბა ჩაიცვი.

– უი, რას მიბძანებ, ქალბატონო! მეტად მხიარულია, ჩემ ხნიერობას არ მოუხდება. ვინ რას იტყვის! არა, მე ახალი თალხი კაბა რო მაქვს, იმას ჩავიცვამ.

– არა, თუ გიყვარდე, დიმიტრის გამოგზავნილი კაბა ჩაიცვი.

– რას ბძანებთ, გეთაყვა, სიცილად არ ვეყოფი ხალხსა.

– თუ დიმიტრი გიყვარს. დღეს, ჩემო თითიავ, ჩვენი, ბებრუხანების, ქორწილია, მეც პატარძალსავით მოვიპრანჭები, ჩემს ქვრივობის აქეთ სოსანი კაბა არ ჩამიცვავს და დღეს მეც იმის ჩაცმას ვაპირობ. თუ დიმიტრი გიყვარს, ჩემო თითიავ! იამება, რომ მხიარულად დავხვდებით.

– ბატონი ხარ, რაკი ეგრეა, ჩავიცვამ, ამაზედ უკეთესს დღეს სადღა შევეყრებით, ჩავიცვამ, თქვენმა მზემ.

– მადლობელი ვარ. მაშ ეხლა წადი, შენ შენი საქმე ნახე და მე ხატებს ჩამოვიღებ და გავწმინდავ, ვენაცვალე ამათ მადლს, რომ ჩემი შვილის ნახვას მაღირსებენ.

თითია გავიდა. თამარი წამოდგა ტახტიდამ, მივიდა სახატესთან, მოიყარა მუხლი და ხელებაწვდილი დიდხანს და დიდხანს ლოცულობდა.

ეს ამბავი იყო თექვსმეტს მარიამობისთვეს, დილის ხუთს საათზედა.

II

თამარის სახლში ყოველიფერი მზად იყო დიმიტრის მისაღებად, მაგრამ თითონ დიმიტრი არსაით ჩანდა. თამარი და თითია მორთულები ისხდნენ ფანჯარასთან, რომლიდამაც მთელი ეზო ჭიისკარებამდინა ჩანდა, და მოუთმენლად შეჰყურებდნენ წინ გაზიდულს საურმე გზასა. ის დღეც დაღამდა. საწყალი თამარი და თითია არ მოშორებიან ფანჯარასა, მინამ მოხშირებულმა ბინდმა არ დაუშალათ ყურება. მხოლოდ მაშინ ჩამოეცალნენ საწყალნი ბებრები ფანჯარას და მოწყენილის სახით დასხდნენ ტახტზედა.

დაიდგეს თამარმა და თითიამ შუაში სანთელი, ამაიღეს კრიანოსნები ხელში სათამაშებლად და გასართობლად. იმ ოთახის სიჩუმესა კრიანოსნების მარცვლის ერთმანეთზედ ცემა არღვევდა. გაჩუმებულნი და სევდიანი ბებრები ხან ერთმანეთს შეხედავდნენ ხოლმე, ხან უნებლიეთ მიიბრუნებდნენ თვალს ფანჯრისაკენ. ვახშმობაც მოვიდა, მაგრამ დიმიტრი არსად იყო.

– თითიავ, – წამოიძახა ბოლოს თამარმა, – მგონი დღეს აღარ მოვიდნენ. ლამის დიდი ვახშმობაც მოვიდეს.

– ჰო, ჰო, ლამის მოვიდეს დიდი ვახშმობა. უი, ტყუილუბრალოდ არ წამიხდა ჩიხირთმა! მერე ასეთი გამოვიდა, რომ თავისთავს თითონ შეჰსჭამდა. დიდი ხანია მაგისთანა ჩიხირთმა მე არ მამსვლია. თქვენ მაინც მიგერთოთ, ქალბატონო!

– რა მაგისი მცხელოდა, სიხარულისაგან დღეს არც კი დავნაყრებულვარ. მე მაინც იმედს არა ვკარგავ, იქნება ამაღამ მოვიდნენ.

– იქნება მოვიდნენ, მაგრამ ჩიხირთმა მაინც აღარ ევარგება. აბა, დილით გაკეთებული საჭმელი, მერე ჩიხირთმა, ვახშმისათვის რაღად გამოდგება. ჩემს დიმიტრის ეგონება, რომ თითიას ჩიხირთმის გაკეთება დავიწყებიაო. თქვენმა მზემ, ქალბატონო, თუ უწინდელზედ უკეთ არა, ნაკლებ არც ეხლა ვაკეთებ. ფალუსტაკს კი არა უშავს რა, თუნდა ორი კვირაც დარჩეს. ფალუსტაკიც კარგი მომივიდა.

ბებრები კიდევ ჩაჩუმდნენ. დადგა დიდი ვახშმობაცა. ბოლოს მამალმაც იყივლა. არც ერთს ბებერს დიმიტრის ლოდინში ძილი არ მორევია. ბიჭებსა და გოგოებსა დიდი ხანია ეძინათ მუშაკის ძილითა. ეზოში თუ სახლში არაფერი ხმაურობა არ ისმოდა. თამარმა გადიწყვიტა იმედი დიმიტრის მოსვლაზედა, მაგრამ ძილს მაინც არ აპირობდა. თითია გვერდით უჯდა და ხანდიხან გაეხმაურებოდა. უეცრად კარებმა იგრიალა და ერთი თოთხმეტიოდ წლის პატარა ბიჭსა ტყაპანი გასძვრა თამარის ტახტის წინ. ბებრები შეკრთნენ.

– ქალბატონო, ქალბატონო, – ყვიროდა წაქცეული პატარა ბიჭი, – ქალბატონო, ჩოხა, ჩოხა!

– უი, გაგიწყრა ღმერთი, შე კუჟნავ, შენა, – წამოიძახა თამარმა, რაკი იცნო თავისი მეძროხე, – გულები არ დაგვიხეთქა ამ წყეულ-შეჩვენებულმა. რამ გაგაგიჟა, ამ მამლისყიულისას რისთვის მეეთრიე აქ?

– ჩოხა, ჩოხა, ქალბატონო, – იძახოდა დაღალული პატარა ბიჭი, რომელიც ამ ლაპარაკში წამოდგა და დაგლეჯილის ჩოხის კალთით იწმენდდა ცხვირიდან წამსკდარს სისხლს: – ქალბატონო, ჩოხა, ჩოხა!

– რა ღმერთი გასწყრომია ამ ბიჭსა, ეშმაკის დაკრულსა ჰგავს. ბიჭო, რა ჩოხა, რას მიედ-მოედები? თითიავ, ერთი უშველე, ხომ არ გაგიჟებულა.

– არა, ღმერთმან იცის, ქალბატონო, არ გავგიჟებულვარ. თქვენ რომ ჩოხა დაჰპირდით, ვინც მახარებსო.

– მერე? – ჰკითხა ელდანაცემსავით თამარმა.

– მერე ისა, რომ ის ჩოხა ჩემია.

– ბიჭო, თქვი ერთი რას ამბობ, ლამის გული დამელიოს.

– მე მინდოდა, რო ეგ ჩოხა მე მრგებოდა. დაბინდდა თუ არა, მე წაველ და ჭიისკარებთან დავწექ. თუ მოვლენ-მეთქი, მე პირველად გავიგებ.

– მერე მოვიდნენ? – ჰკითხა ღელვით თამარმა.

– მოვიდნენ, ქალბატონო, მოვიდნენ. ჭუკალას ხმა ვიცან, იმან დაიძახა, ვინა ხართ, კარი გააღეთო. მე მაშინვე აქეთ გამოვიქეცი.

– კარი არ გაუღე? – ჰკითხა ისევ თამარმა.

– იმისთვის ვისა სცალოდა, მე მაშინვე მახარობლად გამოვწკრინდი, კარი ისევ გაუღებელი დარჩა. ჩოხა მე უნდა მიბოძოთ.

მოისმინა ეს თუ არა თამარმა, გატაცებულსავით წამოვარდა ტახტიდამ თითიაც, თითქო თავს ზარი დაეცა, ხან ერთის კარისაკენ გაცუნცულდებოდა, ხან მეორისაკენ და არ იცოდა რა ექნა. თამარი კი გამოვარდა გარეთ და საშინელის ხმით ყვიროდა:

– სალომე, თევდორე, ხაბაზო, ვინა ხართ, მოვიდნენ, მოვიდნენ, არიქა, კარები გაუღეთ.

ამ ხმაურობაზედ ბიჭები და გოგოები გამოცვივდნენ გარეთ და ჭითკარებისაკენ გასწიეს.

[1861 – 1863 წ.]

უცნაური ამბავი

(ეტიუდი)

I

– ბიჭო-და, აქ რომ ზიხარ და ჩაჰყუდებიხარ მაგ წიგნებს, – რა გამოდის? ტანთ შენ არ გაცვია და ფეხთ, მშიერ-მწყურვალი გდიხარ ამ ნესტიან მიწურში, მითამ რაო? – ეუბნებოდა ერთი ყმაწვილი კაცი მეორეს, რომელიც ერთ კარგა მოზდილ მიწურის დარბაზში გვერდით ეჯდა და შუბლშეკრული იყურებოდა.

– ჩემო კარგო დავით, – უპასუხა მეორემ იმ საამურ დაწყნარებით და დინჯობით, რომელიც თითქმის უტყუარად მოასწავებს ხოლმე ჭკუადამჯდარს და რწმენის კაცს: – სად წავიდე? შენ არ იცი, ეს მიწური ჩემთვის რა განძია. ეს ერთადერთი ქონებაა, მამიჩემისგან დარჩენილი, და გინდ დამცინე, სხვაგან სამოთხეს მირჩევნია. სად არ ვიყავ, მაგრამ გულმა მაინც აქეთ წამომიღო. საწყალი მამაჩემი, შენც იცი, ერთი ღარიბი, მაგრამ მეტისმეტი პატიოსანი მღვდელი იყო ამ სოფელში. დედიჩემის შემდეგ დიდხანს ვეღარ იცოცხლა და თან გადაჰყვა. ეს მიწური, სადაც ჩვენა ვცხოვრობდით, სადაც მე დავიბადე, გავიზარდე, სადაც ჩემი პატარაობა გავატარე, სადაც თვითვეული მტკაველი ან დედას მაგონებს, ან მამას, – ეხლა მამაჩემიც არის, დედაჩემიც, ჩემი ძმაც და ჩემი დაც. ხომ ობოლი ვარ, არც და მყავს, არც ძმა, არც დედა, არც მამა, არც არავინ სხვა ვინმე მახლობელი, მაგრამ მე მარტოს ამ მიწურში თავი ისე მგონია, ვითომც ყველანი ესენი გარს მახვევიან-მეთქი. აი ეხლაც ისე მგონია, რომ მე პატარა ვარ, დედაჩემი იქ თაროსთან რაღასაც ჰფუსფუსებს და მამაჩემი ტახტზე მოკეცილია, ცხვირზე ძველებური დიდი სათვალეები წამოუცვამს, აგრე ცხვირწაჭირებული წიგნსა კითხულობს და მე კალთაში უზივარ. ესენი რომ მაგონდება, ვტკბები ადამიანურ გულისძგერითა. დამიჯერე, ამ სიამოვნებასა თავისი ფასი აქვს ქვეყანაზედ და უსასყიდლოდ არავის ეძლევა. აქ ეს ჩემი სიღარიბე არაფრად მიმაჩნია და ვინ იცის, სიმდიდრე მომცემს თუ არა ამ სიამოვნებას.

– შე კაი კაცო, სემინარიაში პირველი შეგირდი შენ იყავ, ჩვენს დროს შენზე უკეთესად სემინარია არავის გაუთავებია, მერე ხომ უნივერსიტეტშიაც წახვედი, ორი წელიწადი იქა სწავლობდი, – ნუთუ მარტო იმისთვის, რომ აქ, ამ ყრუ ადგილას, მოსულიყავ და სოფელს მწერლად დასდგომოდი.

– უნივერსიტეტში წავედი, მაგრამ ვერას გავხდი.

– თუ შენც ვერას გახდი, სხვა ვინღა რასმე გახდებოდა. შენი ჭირიმე, შექცევას და ქეიფს მოუნდებოდი!... შენი ამბავი განა არ ვიცი: იქაც დღედაღამ წიგნებიდამ ხომ თავს არ აიღებდი, როგორც აქ.

– ვერაფერს გავხდი-მეთქი, დამიჯერე, სიღარიბემ არ დამაყენა. სხვა ქვეყანაში სიღარიბე ძნელი ასატანია და ცარიელი დავბრუნდი უკან. თუ რამ ორიოდ გროშსა ვშოობდი, ამ წიგნებს ძლივს გავაწვდინე.

დავითმა ძალაუნებურად გადახედა ორპირს გძელს თაროს, წიგნებით ძალზე ჭედვით არიგებულ-ჩამორიგებულს.

– სავსე თარო წიგნებითა და ცარიელი მუცელი – არა მგონია, ბევრს რასმე შველოდნენ ერთმანეთსა.

– რად ამბობ მაგას? მე აქ სოფლისაგან თუმანი მაქვს თვეში და, წარმოიდგინე, მყოფნის. ან რა არის სიღარიბე და სიმდიდრე? ვხედავ, ერთს ბევრი აქვს, მეორეს ცოტა, მაგრამ ჩემის ფიქრით, ამითი არ უნდა ირჩეოდეს ღარიბი მდიდრისაგან. საქმე ის არის, სურვილი ქონებას არ გადაამეტო. მე მგონია, – ღარიბი არ არის, ვინც ნდომობს იმას, რაც ეშოვება და არა მეტსა. მეტის მდომი მდიდარიც ღარიბია.

– მაგ ფილოსოფიას, ჩემო სოლომან, დღეს გასავალი არა აქვს, ბევრს მუშტარს ვერ უშოვი.

– მე კანონს ცხოვრებისას სხვას არ ვუწერ. მე ეგ ფილოსოფია ჩემთვისა მაქვს და, ხომ ჰხედავ, არც არავის ვემდური, არც არავის ვემუნათები, არც არავის შევჩივი, ვარ ჩემთვის კმაყოფილი.

– არა მგონია კმაყოფილი იყო. მაგდენი გისწავლია, მაგრამ კიდევ სწავლობ, და ნუთუ შენისთანა კაცისათვის სოფლის მწერლად ყოფნა კმასაყოფელი საქმეა? მაგას ხომ უბრალო, უსწავლელი დიაკვანიც თავს აუვა.

– ეგ სხვა ამბავია. აქამდის შენ ხორცზე მელაპარაკებოდი, ახლა სულისა და გულის საქმეზე მიმახედე. აქ, იქნება, შენ მართალიც იყო. სოფლის მწერლობა მეტად პატარა საქმეა, მაგაზე მოცდენა დროს დაკარგვაა მომზადებულ კაცისათვის, – მხოლოდ მომზადებულ კაცისათვის კი. მე კი, სწორედ გითხრა, ჯერ კიდევ ვემზადები.

– ამოდენა ხანს იმდენად როგორ ვერ მოემზადე, რომ ერთი ბაშვი მაინც ჩაიბარო და კაცად გამოიყვანო. საქმე საქმეს მაინც ეგვანებოდა, სხვა არა იყოს რა.

– აი, ნეტავი, შენის დღეგრძელობით, ეგ შემეძლოს და უკეთესს საქმეს მე ვერ ავიჩენდი. უნდა გითხრა, ჩემო დავით, ჩემი სიზმარი ცხოვრებისა, დიაღ, სწორედ სიზმარი, მარტო ეგ საქმეა. ბევრსა ვცდილობ წიგნით, ხილვით, თუ სმენით, რომ წრთვნა ყრმისა ვისწავლო, შევიგნო და მაგ, ჩემის ფიქრით, უდიდესს საქმეს ისე მოვკიდო ხელი, ისე ვემსახურო. მაგ საქმის სიყვარული სემინარიიდამვე დამყვა და დღეს-აქამომდე ჩემს ჭკუა-გონებას მაგ საქმეს ვანდომებ. ძნელი საქმეა და უფრო დიდი და მძიმე ვალია. მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედია. რასაც ერთი მიჰმადლებს ბაშვს, მეორემ უნდა

წრთვნას და ჰზარდოს. მე თუ ამ მიწურს დავანებებდი ოდესმე თავს, მარტო მაგ საქმისათვის, თუმცა დიდი გაბედვა კი უნდა, რომ ეგ საქმე კაცმა თავს იდოს.

– შენ გაჰბედავ, რომ შემთხვევა მოგეცეს?

– როგორ გითხრა? გავბედავ კიდეც და ვერც გავბედავ.

– ეგ რა პასუხია?

– ის პასუხია, რომ როცა ჩემს თავს ვეკითხები, თითქო იმედი მეძლევა. შევიძლებ-მეთქი მაგ საქმეს, და როცა მაგონდება, რა დიდი პასუხსაგებელი საქმეა, – გინდა დამიჯერე, გინდა არა, – კანკალი ამიტანს ხოლმე შიშისაგან. სოფლის სკოლაში მიწვევდნენ და ვერ გავბედე.

– ეგ ადვილად გამოსაცნობია: იქ ბევრნი არიან და მაგას შეუშინდებოდი.

– მართალი ხარ. მაგას შევუშინდი. თუ წვრთნა გინდა ბაშვისა, იგი შენ უნდა ჩაისო გულში და იმან შენ. ბევრში ეგ, ჩემის ფიქრით, შეუძლებელია, უმაგისოდ კი შესაძლოა – სწავლა, ცოდნა მისცე და ადამიანობა კი არასდროს. მე კი ასე მგონია, რომ ადამიანობას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს ბაშვის წრთვნა-სწავლებაში. მე თუ გავბედავ, მარტო ერთს ბაშვს მივიბარებ.

– აი, სწორედ მაგისათვის ვარ შენთან მოგზავნილი. ამირინდო დებედაძეს ხომ იცნობ?

– ამ ჩვენს სოფელზე ახლო სცხოვრობს და ერთი-ორიოდჯერ შევხვედრილვარ მინდორში. გამომლაპარაკებია კიდეც, მაგრამ ისე, ცოტად. კაი კაცი უნდა იყოს: ვისაც კი ჰკითხავ, ყველა სიყვარულით იხსენიებს.

II

დავითს უხაროდა, რომ საქმე ასე კარგად მოეწყო. ის კი არ იცოდა, რომ სოლომანი გულში თითქო ჰნანობდა, – ამ დიდს საქმეში ჩემი საბელი ყელისა ეგრე ადვილად ხელთ რად ჩავუგდეო.

– კარგი კაცია, ცოლი უფრო უკეთესი, – განაგრძო დავითმა, – შვიდის შვილისაგან ერთი შვილიღა დარჩენიათ და, რასაკვირველია, ისე შესტრფიან და შეჰხარიან საწყლები, როგორც ერთადერთს საგანს თავის ცხოვრებისას. მთელი თავისი ჭირი და ლხინი, მთელი თავისი ადამიანობა, მთელი ქვეყანა ამ შვილში მოუქცევიათ და იმის იქით არარა სწამთ-რა, არარა ენატრებათ, არარა უხარიანთ. რომ ღმერთი გაუწყრეთ და პატარა პატიკო ხელიდამ გამოეცალოთ, მე მგონია, ეს უბედურობა საკმაო იყოს – იმავე დღეს დედაც და მამაც თან გადაჰყვნენ საყვარელს შვილს. ეს არის მიზეზი, რომ შინა ჰზდიან და სასწავლებელში სადმე მისაბარებლად არ ემეტებათ. ცოლიცა და ქმარიც შემომეხვეწნენ, რომ შენ როგორმე დაგიყოლიო, იმათს ოჯახში შეხვიდე და შვილი მიიბარო სასწავლებლად. ჯამაგირს თვეში ორ თუმანს გპირდებიან, ჭამა-სმა და სადგური ხომ იმათთან გექნება.

– ჯამაგირს აქ ბევრი ადგილი არა აქვს ჩემს დასაყოლიებლად. ხომ ჰხედავ, მე ნაკლებითაც გაუჭირვებლად ვცხოვრობ, საქმე ის არის, მე საიდამ მომაგნეს.

– ნუ იფიქრებ, რომ შენი აზრები, ან სხვა რამ ამისთანა მოსწონდეთ. ცოლიცა და ქმარიც ერთი უსწავლელი სოფლელები არიან და ფიქრადაც არ მოსდით ამისთანა რაღაცეები მოჰკითხონ შვილის ოსტატსა. იმათა ჰგონიათ – ოსტატობა ყველა წიგნის

მცოდნეს შეუძლიან, და რა აზრისანი არიან ეს ოსტატები, რა გზას და წესს სწავლა-წრთვნისას დაადგებიან, ამისი არამც თუ არა გაეგებათ რა, არც კი იციან, რომ საჭიროა ამისთანა რამ გამოიკითხონ. მე ვუქე შენი თავი იმ მხრით კი არა, რითაც უნდა იქოს ყოველი მასწავლებელი. ჯერ ერთი, ამას ვერ გაიგებდნენ და, მეორე, არც მე ვიცი, ამ მხრით შენ რა ხარ. ჩემთვის საკმაოა, რომ პატიოსანი კაცი ხარ, რასაც ხელს მოჰკიდებ, გულდადებით შეეჭიდები, და იცი თუ არა წესი და რიგი პედაგოგიისა, ესე იგი სწავლა-წრთვნისა, მე ამის გასინჯვაში არ შევდივარ. მე მგონია, ეს ამისთანა უცოდინარი დედ-მამა ერთრიგად კარგიც არის: არ დაგიშლიან მაინც ბაშვი სწურთნო ისე, როგორც შენი პატიოსნება, ნამუსი და ცოდნა გამხელს. თორემ ხომ იცი ჩვენი ეხლანდელი ანაბანიანი დედ-მამა: აქაო-და ყური რაღაცისათვის ალალბედად მოუკრავთ, თავის უთავბოლო სიბრძნით ყველგან წამოეჩხირებიან, ვითომდა ჩვენც გვესმის ავი და კარგიო, არახუნებენ, რაც ენაზე მოადგებათ, და ჭირვეულობენ, თუ არ გაუგონე. ეს უსიამოვნება მაინც არ გექნება. გინახავს სადმე პატარა პატიკო?

– არა, არსად შემხვედრია.

– საკვირველის გუნების ბაშვია. ჩემს სიცოცხლეში ბალღი ბევრი მინახავს და მაგისთანა კი ჯერ არა. ისე ხომ ცოცხალი, მალხაზი ბიჭია, და თუმცა ხუთი-ექვსის წლისაა, მაგრამ უეცრად რაღაც მოუვლის ხოლმე, ჩაფიქრდება, თითქო რთული აზრი რამ გამოეკვანძა და იმისი გამოხსნა უნდაო. მაშინ სახეზე აშკარად დაეტყობა ხოლმე, რომ მისი პატარა ტვინი და გული იძვრის და მუშაობს. ცოდოა ერთს ბრიყვს მწიგნობარს ვისმე ჩაუვარდეს ხელში და უფრო ცოდოა, რომ მის დედ-მამას, რომელთაც გაგიჟებით უყვართ შვილი, არ ესმით ეს სულის ძვრა პატარა ადამიანისა.

– ჩვენში მიღებულია, რომ დედ-მამა, თუ იფიქრებს შვილის სწავლას, რვა-ცხრა წლისაზე ადრე არ შეუდგებიან ხოლმე ამისათვის ზრუნვას, და პატიკო კი სულ ხუთის-ექვსისა ყოფილა. უსწავლელები არიანო, და ასე ადრიანად ამაზე ფიქრი უსწავლელობას არ მოასწავებს.

– ეგ ჩემი ბრალია და აი რის გამო. გუშინ მე სადილად იმათთან ვიყავი. მოიტანეს ხაშლამა. დედამ აიღო და ერთი ნაჭერი დაუდო შვილს თეფშზე. ბაშვი ჯერ წასწვდა ნაჭერს, მაგრამ, თითქო რაღაცამ დაუშალაო, ხელი ჰაერში გაუჩერდა.

– დედი, – ჰკითხა პატარამ, – ხორცი საიდამ არის?

– როგორ თუ საიდამ? ძროხას დაჰკვლენ და იქიდამ.

– მერე ცოდო არ არის?

– რა ვუყოთ, რომ ცოდოა, – უთხრა დედამ.

სოლომანს როგორღაც ეჩხვლიტა ამისთანა პასუხი დედისა, შეკრთა და ისე უეცრად გაინძრა, თითქო ეტკინა რამეო.

დავითმა ეს ვერ შენიშნა და განაგრძო:

– არ მინდა!... – სთქვა ბაშვმა და თეფში თავის კერძით იქით გადასდგა.

– ჭამე, შვილო, – შეეხვეწა დედა, – თითქო ხორცს პირველადა ჰხედავდე.

– არ მინდა!.. – გაიმეორა ბაშვმა.

ის-ის იყო, მთელი სადილი აღარც ხმა ამოუღია, აღარც პირი მიუკარებია რისთვისმე, თუმცა დედ-მამა ზედ გადააკვდა.

– საკვირველი არ არის ხუთი-ექვსის წლის ბაშვისაგან? – იკითხა ბოლოს დავითმა.

– რად არის საკვირველი? მართალია, ძნელი გამოსაცნობია, – ეს უეცარი კითხვა და მოულოდნელი განაჩენი პატარა პატიკოსი რის დასასრული იყო. ვინ გაიგოს, ბაშვის პატარა ჭკუამ და პატარა გულმა ამ შემთხვევაში თვალი რადა და როგორ აახილა და ერთმანეთს რა მიაწოდა. ამაზე, რასაკვირველია, ბევრი რამ ითქმის, მაგრამ, ჰამლეტისა არ იყოს, ბევრი იმისთანა საიდუმლოა ქვეყანაზე, რომელიც ჩვენს ფილოსოფოსებს სიზმრადაც არ მოეჩვენებათ ხოლმე. ბაშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბაშვი იგივ ადამიანია და მით უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძნელ წასაკითხ ქარაგმით დაწერილია, თუ ესე ითქმის, და არა სხვილ და სრულ ასოებით, როგორც დამთავრებული კაცი. არ უნდა გვიკვირდეს, რომ რასაც დიდ მდინარეში ვპოულობთ, იმას მის პატარა სათავეშიაც ვხედავთ. ბაშვი სათავეა, დასაწყისია დიდის ადამიანისა.

– შენი არ ვიცი და მე კი, ჩემის თვალით რომ არ მენახა, ამისთანა ამბავს სხვისაგან არ დავიჯერებდი. ესეა თუ ისე, მე ამ ამბის გამო ვიფიქრე, რომ პატიკოს, თუმცა პატარაა, ეხლავ პატრონობა უნდა, გამოველაპარაკე დედ-მამას და ძლივს დავაჯერე, რომ დროა ბალღს კაი კაცი მიუჩინონ მზრდელად და მასწავლებლად. დედა ძალიან ურჩობდა და ამბობდა, – ჯერ პატარაა და სწავლის წვალებას ვერ გაუძლებსო. ბევრი ვეჩიჩინე და ვეუბენ, რომ სწავლა და წრთვნა ბაშვისა კაი კაცის ხელში წვალება კი არ არის, სიამოვნებაა ბაშვისათვისვე-მეთქი, და ბოლოს, როგორც იყო, დამყვნენ და მთხოვეს მაგისთანა კაცი ვუშოვო ვინმე. მაშინვე შენ დაგასახელე და დღეს შენთან იმათგანა ვარ მოგზავნილი.

სოლომანი დიდის სურვილით ყურს უგდებდა პატიკოს ამბავს. ჩაუფიქრდა, თითქოს დიდ საგონებელს რასმე გადაეკიდაო. ბოლოს წამოდგა, მხარზე ხელი დაადო დავითს და უთხრა:

– იცი, რას გეტყვი? მე ძალიან ჩამაფიქრა იმ ბაშვის ბუნებამ თუ გუნებამ. როგორც შენა სთქვი. მე მიმიზიდა კიდეც. თანახმა ვარ, დებედაძეს შვილს მე ჩავიბარებ. თუნდა ხვალვე გადავალ დებედაძესთან. არა უშავს რა, ღმერთი მოწყალეა. პატარა ამბავია ეგ შენი ნაამბობი, მაგრამ დიდი საზიდი, დიდი გასატანი, დიდი გასაბედია...

III

დავითი რომ გამოეთხოვა და წავიდა, სოლომანი დიდხანს დადიოდა წინა და უკან თავის სადგურში დაფიქრებული. ეტყობოდა, რომ მისი ჭკუა და გონება რაღაცას ღრმად ჩაუკვირდა, ძალზე ირჯება, მუშაობს და აზრი აზრზე გააქვს და გამოაქვს. ბოლოს შედგა თახჩის წინ, ჩამოიღო ერთი ხელნაწერი რვეული. ეს იყო უბის წიგნი სოლომანისა, საცა თავის ნაფიქრს, ნაგრძნობს, ნახულს თუ გაგონილს ჩასწერდა ხოლმე, თუ მისი მიერ ყურადღების ღირსი იყო. გადაფურცლა რვეული და ერთს ადგილს დააკვირვა თვალი. იქ ეწერა: ”რა მადლია ქვეყანაზე, რომ ყველა სხვა მადლი იქიდამ გამოდიოდეს, როგორც სხივები მზისაგან? მწამს და ვაღიარებ, რომ ამისთანა მადლი – მადლია სიბრალულისა. მადლსაც სიმართლისას, პატიოსნებისას, სიყვარულისას, ნუგეშცემისას, ერთმანეთის განკითხვისას, შეწყნარებისას, შენდობისას, – დასაბამად. სათავედ სიბრალულის მადლი აქვს. თუ გებრალება, უსამართლობას ვერ უზამ; თუ გებრალება, უნამუსოდ ვერ მოექცევი; თუ გებრალება, გეყვარება კიდეც; თუ გებრალება, ნუგეშსაცა სცემ; თუ გებრალება, გულით წმინდით განიკითხავ; თუ გებრალება, შეიწყნარებ; თუ გებრალება, შეუნდობ”.

სოლომანმა გადიკითხა ეს თავისი ნაწერი და მთელ თავის ჭკუა-გონებით მიეცა ფიქრსა, თითქო თავის აზრს ხელახლად ჩაუკვირდა და უნდა შეატყოს, ხომ არა ვცდებიო.

– არა, – წამოიძახა ბოლოს ხმამაღლა, – მადლი სიბრალულისა დედაა ყველა სხვა მადლისა. ადამიანის გულს ამან უნდა აწოვოს თავისი ძუძუ...

მერე აიღო კალამი და იქავ ჩაუმატა რვეულს: ”პატარა პატიკოს ამბავი – დიდი ამბავია. ხნული მზად არის, თესლიც გაღივებულია. უუწმინდესო მადლო სიბრალულისავ, გიცან შენ!...”

IV

თავადი ამირინდო დებედაძე და მისი მეუღლე სალომე სულ მუდამ სოფლად სცხოვრობდნენ. ძალიან გაჭირებული საქმე უნდა ასჩენოდათ, რომ ამირინდოს გაებედნა ქალაქში ჩასვლა. ქალაქი ჭირივით ეჯავრებოდა და ხშირად იტყოდა: ხომ ჩვენი ქალაქია, მაგრამ იქ გული არ მიდგება, თითქო ჩვენები აბარგებულან და გახიზნულან და სხვები დასახლებულანო. გული გულს აღარ ეკარება და სურვილი სურვილსაო. ლეჩაქი რა არის, ლეჩაქიც კი ვეღარსად დაგინახავს, თითქო ნამუსთან ერთად ისიც მოუხდიათ და გადაუგდიათო.

ცოლიცა და ქმარიც ძველ დროის ადამიანები იყვნენ, ცოტას კმარებაც იცოდნენ და ბევრითაც თავს არ გადიოდნენ. ეხლანდელს წვა-დაგვას არსებობისათვის ჭიდილისას ჯერ კარის ზარი ამირინდოსი არ დაერეკა. ამ ცოლ-ქმარზედ ამბობდნენ: ტკბილს ლუკმას სჭამენ და ალალ პურსაო.

ამირინდოს ოჯახი გათქმული იყო იმ არემარეში პურმარილობითა და მასპინძლობით. სტუმარი თითქმის გამოულეველი ჰყვანდათ. ცოლ-ქმრისათვის ის დღე დღე არ იყო, როცა სადილ-ვახშამზე მარტო ორთ მოუხდებოდათ ყოფნა. ამირინდო სოფლის კვალობაზედ საკმაოდ შეძლებული კაცი იყო და ოჯახი უტკივარად იტანდა ამ გულუხვობას და დაუსრულებელს მასპინძლობას. ცოტა ჰქონდათ – ცოტათი დახვდებოდნენ და ბევრი ჰქონდათ – არც ბევრს დაიშურებდნენ. ორსავ შემთხვევაში მასპინძლობდნენ ”გულითა მხიარულითა”.

არც საკვირველია, რომ ოჯახი ამოდენა სტუმრობას იტანდა. ამირინდოს სუფრაზე ძნელად ნახავდით რასმე ბაზრიდამ მოტანილს და, არ ვიცი ამირინდო მართალი იყო თუ არა, და ამას კი ამბობდა ხოლმე: საქართველოს თავადაზნაურობა ”სარდინკამ” დაღუპაო.

დილა იყო, რომ დავითმა მოიყვანა ამირინდოსთან სოლომანი. ამირინდო ახალუხა დახვდათ სავაზეთი ხელში. ის-ის იყო ამოსულიყო კარის ვენახიდამ.

– სოლომანს გაუმარჯოს! – მიეგება ამირინდო და ხელი გაუწოდა: – კეთილი იყოს შენი აქ მობძანება. დავითი გეტყოდა ჩემს დარდს.

– დიაღ, ბატონო, და გიახელი კიდეც თქვენის სურვილის ასასრულებლად.

– მადლობელი ვარ. ერთადერთი შვილიღა შემრჩა შვიდისაგან და მინდა, რომ ჩემ თვალწინ გაიზარდოს. პატიკო, ა, პატიკო, – დაუძახა შვილს მამამ.

– მამი, მამი! – მოისმა პატარა კარის ბაღჩიდამ ყმაწვილის ხმა, – შენი ჭირიმე... შენ გეთაყვანე!..

– კიდევ აიკვიატებდა რასმე ის ცუღლუტი, – სთქვა ამირინდომ, – ერთი წავიდეთ, ვნახოთ, რას გადაჰკიდებია.

ყველანი წავიდნენ ბაღჩისაკენ. შეაღეს კარები და ერთ ხის ახლო ვარდის ბარდთანა დაინახეს პატიკო. იგი მისდგომოდა ბარდსა და რაღაცას ეძიძგილავებოდა. შალვარი და ახალუხი აქა-იქ შემოჰგლეჯოდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა სახეზე. ეტყობოდა, ბევრს წვალებულა.

– აკი მოგახსენეთ, – სთქვა ამირინდომ იმ ხმით, თითქო თაკილობსო, რომ ამ ყოფით ჰხედავს ბაშვს მისი ახალი ოსტატი: – აბა რასა ჰგევხარ დაგლეჯილ-შემოფხრეწილი, თითქო გლეხის ბიჭი იყო, – უთხრა მამამ შვილსა.

– აგე, ბღარტი!.. – უპასუხა შვილმა და გაიწოდა საჩვენებლად პაწია თითი: – შენი ჭირიმე, მამილო, შენ გეთაყვა, ან შენ, ძიავ, ან შენ, სხვა ძიავ, – ეხვეწებოდა პატარა ხან მამას, ხან დავითს, ხან სოლომანს და ხვეწნის ნიშნად თითით ყელს უწევდა თვითვეულს ცალკე.

მიიხედეს და დაინახეს, ბღარტი გადაფოფხილიყო პატარა ფრთებით ეკლიან ბარდზე, პირი დაეღო, თითქო საჭმელს აწვდიანო, და შეშინებული იყურებოდა. სოლომანმა შეხედა და დაინახა ზედ ჩიტის ბუდე. აშკარა იყო, იქიდამ ჩამოვარდნილა ბღარტი და უღონობით შორს ვეღარ წასულა და ბარდს დასცემია იმისთანა ადგილას, რომ პატიკო წვალებულა და ვერ მიმწვდარა.

– გეთაყვა, ბღარტი, გეთაყვა! – იმუდარებოდა ბაშვი.

სოლომანი გადასწვდა, დაიჭირა ბღარტი და მისცა პატიკოს. ბაშვმა დაუყვავა ბღარტს და სიხარულით არ იცოდა, რა ექმნა.

ბღარტის დედა, ბუმბულაბურძგნული სიმწარისაგან, იქავ შორიახლო მეორე ხეზე იჯდა და მოუსვენარად ჰტოკავდა უილაჯო მწუხარებითა. რომ ვერა ექნა რა, ხან ერთს შტოზე შესკუპდებოდა, ხან მეორეზე, წამდაუწუმ ხან პირს ამათკენ იქმოდა, ხან ზურგს, ხან კიდევ გაბედულად და უშიშრად წინ გამოუფრინდებოდა შურდულივით პატიკოს, თითქო უნდა ბაშვს ხელიდამ გამოსტაცოს საყვარელი შვილიო, ხან შეფრინდებოდა ბუდის პირად და ფრთების ცემით და გამწარებულ ჭიკჭიკით ერთი ყოფა და ამბავი გაჰქონდა.

– ახლა, რად გინდა საწყალი ბღარტი? – ჰკითხა ბაშვს სოლომანმა.

ბაშვმა პასუხი ვერ უთხრა და შეაჭყიტა ჭკვიანი თვალები, თითქო უნდაო პასუხი სოლომანისგანვე შეიტყოს.

– აგე ბღარტის დედა – დაანახვა სოლომანმა ჩიტი – რარიგად ჰნაღვლობს და იქნება სტირის კიდეც, შვილს რად მართმევთო, იმას უნდა ბღარტი ბუდეში ჰყვანდეს თავისთან.

– აბა ბუდე? – იკითხა ბაშვმა.

– აგე, – დაანახვა სოლომანმა ხეზე ბუდე.

– ამსვი.

სოლომანმა აიყვანა ხელში პატიკო და ბუდის სისწვრივ გააჩერა. ბაშვმა ჩასვა ბღარტი. სოლომანმა პატიკო ძირს დაუშვა თუ არა, უთხრა:

– აბა უყურე, დედა ეხლავ მოჰფრინდება დ რარიგად გაიხარებს!..

მართლა, ერთი წუთიც არ გასულა, დედა შემოსკუპდა ბუდეზე და, რა დაინახა თავისი შვილი მთელი და ცოცხალი, იმის სიხარულს ბოლო არა ჰქონდა. ტანზე ბუმბული დაულაგდა, დამშვიდდა, ხმაც დაუტკბა და ისეთს ჭიკჭიკს სიხარულისას მოჰყვა, თითქო ჰლოცავს თავის შვილის მხსნელსაო.

– მართლა, მართლა, უყურე, სხვა ძიავ! – წამოიძახა ღიმილით პატიკომ და გაიშვირა თითი ბუდისაკენ, საცა გახარებული დედა ბღარტისა სიხარულის ნიშნად ფრთას ფრთასა სცემდა და თავის მადლობის ლოცვას ჰგალობდა.

პატარა ბაშვმა თავი აღარ დაანება სოლომანს, ხელიხელს ჩაჰკიდა და თითქო დიდის ხნის ნაცნობები და დაშინაურებულნი არიან, ისე ერთად წამოვიდნენ.

ბაშვის პატარა გულმა მაშინვე იგრძნო მეგობარი.

მთელი დღე ბაშვი სოლომანს აღარ მოშორებია.

V

სოლომანს ცალკე ოთახი დაუცალეს. ყველაფერი, რაც საჭირო იყო, გაუმართეს. როცა ქვეშაგებს უგებდნენ, პატიკომ ძალიან მოინდომა, რომ ამისი პატარა საწოლიც სოლომანის ოთახში დაედგათ, მაგრამ დედამ არა ქმნა, შეაწუხებო. უფრო მგონი იმიტომ, რომ შვილი არ ემეტებოდა, შვილის მოშორება ემძიმებოდა.

ღამით, როცა ყველანი დალაგდნენ დასაძინებლად და სოლომანი მარტო დარჩა თავის ახალ ოთახში, ამოიღო უბის წიგნი და ჩასწერა: ”დღეს 15 მაისს 18... წლისას, ჩემი პირველი გაკვეთილი იყო. ღმერთო შენით!.. ბაშვი ძალიან მომეწონა. ძნელი დასაწყისი სწავლა-წრთვნისა ერთს დღეს მომიხერხდა: მე და ბაშვი დავმეგობრდით. ბეწვის ხიდი გავიარე”...

[1893 წ.]

პატარა ამბავი

შემოდგომამ ზამთრისაკენ პირი ჰქმნა. ჩვენი ტფილისი, ზაფხულის სიცხისაგან დაოსებული, ეხლა ცოტა არ იყოს სიცივითა ჰთრთის. ღამღამობით ისე აღარა კაშკაშებს მთვარე, ისე აღარა ციმციმებენ მხიარულნი ვარსკვლავნი, რადგანაც ეხლა შავი, ტყვიასავით მძიმე ღრუბლები ხშირია ცაზედ. ხშირია წვიმებიც, და თუმცა სულის შემხუთავ მტვერის მაგიერ ქუჩებში ტალახია, მაგრამ ხომ არც ტალახია სასიამოვნო სანახავი. გარდა ამისა ღარიბისათვის ისევ მტვერი სჯობია ტალახსა. მტვერს ჩამოიბღერტავს კაცი და ტალახს კი ჩამობანა უნდა, ჩამობანას წყალი და წყალს სყიდვა. წადი და გაუძელ!

დიდი ხანია, რაც ქალაქის ფარნები აანთეს, და თუმცა ბნელს ღამეს არაფერსა შველიან, მაგრამ ის უნარი მაინცა აქვთ – გვაჩვენონ, რომ ქალაქის გამგეებს გულში ჰქონიათ ქალაქის განათება. ამ მხრით ეს ფარნები დიდს სამსახურს უწევენ ქალაქსა... უკაცრაოდ, ქალაქის გამგეებსა. რატომ? ეგ ფარნები უტყვი და მოუსყიდველნი მოწამენი არიან მისი, რომ აზრად განათება ჰქონიათ, თუმცა კი ვერ გაუნათებიათ. ამ ფარნებს მარტო მაშინ შეამცნევთ, როცა ზედ ფარნის ბოძს მიაწყდებით, და საწყალი ძლივ-ძლივ

მბჟუტავი ფარანი მაშინვე შემოგჩივლებთ ხოლმე: ღმერთი-რჯული, ჩემი ბრალი არ არის, მე მსურს და ღონე არ მომდევსო.

დაიკეტა ზოგიერთი დუქნებიცა. ხოლო ერთგან, ერთს მიყრუებულ კუთხეში, შუა ბაზარში, დარაბებაფარებულ დუქნიდამ სინათლე გამოდის. ერთი დარაბაღაა თავის ადგილას დაუმაგრებელი და ორ სხვა დარაბას შუა გადახიდული. აქედამ შევიხედე შიგ და დავინახე ერთი ხნიერი კაცი, ქლიბი ეჭირა და რაღაცას აფხაკუნებდა. უშველებელი ძველებური სათვალეები ცხვირზედ უნაგირსავით ედგა და ისე მოჭერილი ჰქონდა, რომ საბრალო ცხვირით აღარა სუნთქავდა და მხოლოდ ღია პირით იბრუნებდა სულსა. ტანთ ეცვა შავი მაუდის ჩოხა, ან უკეთ ვსთქვათ, ერთს დროს ყოფილი მაუდად; ისე ჰაოგაცვივნული და გაგლესილი იყო, რომ კაცი ძლივსღა იცნობდა, რისაა. თავზედ ძველებური მაღალი ქუდი ეხურა კალმუხისა. ესეც ვაივაგლახს გამოვლილი ქუდი იყო და, ეტყობოდა, დიდის ხნის ნამსახურია. მე მგონია, ეს ქუდი იმდროინდელი უნდა ყოფილიყო, როცა ამისი ეხლანდელი პატრონი ოცისა და ან ოცდახუთის წლისა იქნებოდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ქუდი ჩათუქესნურად რა კოხტად ჩატეხილი ჰქონდა, როგორც თავმომწონე ყმაწვილკაცობამ იცოდა ხოლმე უწინ...

[1890 წლის შემდეგ]

დედის ანდერძი

ეს ერთი წელიწადია, რაც ანტონა მწყერიაშვილის ჯალაბი ბაბალე ქვეშაგებად არის ჩავარდნილი. არ იქნა, ვერ მორჩა და ვერ – და, სწორედ რომ ვსთქვათ, არც არა იმედია მორჩენისა. კაცმა რომ ჰნახოს, იტყოდა: ეს ამ ქვეყნისა აღარ არის, პირი იმ ქვეყნისაკენ აქვს მიბრუნებულიო. სულ ოცდაათის წლის დედაკაცია, მაგრამ ბედმა ჰლამის გამოასალმოს ამ წუთისსოფელს. თვითონ საცოდავ დედაკაცსაც გულმა შეუტყო, რომ დღენი მისნი დათვლილია. თითქო შეეჩვია კიდეც ამ წყეულ, შეჩვენებულ ფიქრს და არც არავის უჩივის, არც არავის ემდურება, არც არავის ესაყვედურება.

– აღსრულდეს, ღმერთო, ნება შენიო, რაკი ასე ინებე, რომ ჩემი ორი ობოლი უპატრონოდ უნდა დარჩეს ამ ტრიალ ქვეყანაზედაო, – იტყოდა ხოლმე უნუგეშო სნეული და გულში რა ტკივილი აუვარდებოდა ამის თქმაზე, ეგ იცის ღმერთმა, რომელსაც ასე უდრტვინველად, ასე მოთმინებით ემორჩილებოდა სასოწარკვეთილი, იმედგადაწყვეტილი საწყალი ბაბალე.

მისი ქმარი ანტონი, კაი პატიოსანი გლეხკაცი, ჰხედავდა ამ ყოფას თავის საყვარელ და ერთგულ მეუღლისას, სწუხდა და თავში იცემდა. ამანაც იცოდა, რომ ყოველი ღონე ადამიანისა უქმია საყვარელი ჯალაბი კვლავ ამ ქვეყნისათვის გამოუბრუნოს. რა არ იმოქმედა, რა არ იცა თავში, სხვისა სიტყვით და სწავლებით, რა ხარჯი არ გასწია: ეს ხატი რამდენჯერმე არ ალოცვინა, ეს ექიმი არ მოიყვანა ქალაქიდამ, ეს ათასნაირი წამლები არ გაუკეთა, ეს ათსნაირ ბალახებში არ ჩააწვინა, ეს სოფლები არ მისძრა-მოსძრა კითხვითა და ექიმების ძებნითა, ეს ვის არ დაადებინა ხელი, ვის არ ეხვეწა და ემუდარა ჩოქვითა, – თქვენი ჭირიმე, ცოცხალს ნუ გამომასალმებთ ტოლ-ამხანაგსა და ეს ჩემი ერთსული და

ერთხორცი დედაკაცი შემარჩინეთ, ამაზე შავებს ნუ ჩამაცმევთო, – მაგრამ არსაიდამ არა ეშველა რა. ბაბალე, როგორც სანთელი, დღედადღე თვალწინ უდნებოდა.

საცოდავი ანტონი, ამისი მნახველი და მაყურებელი, გარეტებულსავით დადიოდა. იმისთვის აღარც სადმე ლხინი იყო, აღარც სადმე ჭირი, აღარც სადმე ერი, აღარც სადმე ბერი, აღარც მეზობელი ვინმე ეხალისებოდა, აღარც მახლობელი. ამ, ლხინში პირველ მოლხინარს, ჭირში პირველ მომჭირნეს კაცს. დღეს თავისთავი მეტხორცად მიაჩნდა ქვეყანაზედ. ქვეყანა მისთვის შეიქმნა უცხო და იგი ქვეყნისათვის, თითქო მარტო ბაბალე ანათესავებდა ქვეყანას და ანტონს ერთმანეთთან.

ღვთის განგებას ანტონი ისე მოთმინებით არ ემორჩილებოდა, როგორც საწყალი ბაბალე. ამის სიტყვებში ჩივილი და სამდურავი ისმოდა.

– დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალიო! – იტოდა ხოლმე, როცა დაუფიქრდებოდა თავის უბედურებას: – შე დალოცვილო, რა დააკლდებოდა ქვეყანას, რომ ამ ახალგაზრდა დედაკაცსაც თავისი პატარა ადგილი სჭეროდა ჩემს პატარა ქოხშიო. ვის რას ართმევდა, ვის რას აკლებდა, ვის რას უშავებდა, რომ აგრე ადრე და მალე დღე მოუსწრაფეო და სიცოცხლემოუჭარბელს ადამიანს, ჩემს ერთსულად და ერთხორცად შენგანვე ნაკურთხს, ჩემის ხელითვე შავს მიწაში მამარხვინებო. ან რა იყო შენი წყალობა, რომ მაგ დედაკაცს შემყარე, ან რა არის შენი რისხვა, რო ეხლა მყრიო.

ზაფხული იყო, პაპანაქება. საცოდავი ბაბალე იწვა ქვეშაგებში და წინ ხის კუნძზედ უჯდა თავისი უფროსი შვილი გიტო, თორმეტ-ცამეტი წლისა, და ფოთლით ბუზს უნიავებდა. იქავ ახლოს დაცუცუნებდა პატარა გოგო ბაბალესი – თაფლო, ხუთისა თუ ოთხის წლის ბაშვი, დღეს ბაბალე უფრო მიხრწნილი და ღონეგამოლეული სჩანდა. რამდენსაც დასუსტებული დედა თვალს აახელდა და ამ ორ ბაშვს დაინახავდა, ცრემლი მოერევოდა ხოლმე და ეს ცრემლი მით უფრო ემწარებოდა, რომ ჰცდილობდა შვილებს არ დაენახათ. ნამეტნავად პატარა თაფლომ იცოდა ხოლმე გამოკითხვა: დედილო, რა გატირებს, რომ სტირიო, და ხშირად გულამომჯდარი დედა ვერა პასუხს ვერ ეტყოდა ხოლმე. გიტო კი, რაკი თვალს შეასწრობდა დედის ცრემლსა, თვითონაც მაშინვე თვალებიდამ ცრემლს წამოჰყრიდა ხმაამოუღებლივ და გული ისე ამოჯდომით დაუწყებდა ძვრასა, თითქო ბუდიდამ ამოვარდნას ჰლამისო. დედას მეტად ემძიმებოდა ამ ყოფაში ჩაგდება შვილებისა და იმათ დანახვაზე თვალში მოსულს ცრემლს, – რომ იტყვიან, – ჰყლაპავდა, ჰმალავდა.

თაფლომ იცუცუნა, იცუცუნა და ბოლოს მიწის იატაკზე რაღაც საქმე აიჩინა და ჩიჩქვნა დაუწყო მიწასა. დედამ შეჰნიშნა, რომ მისი საყვარელი თაფლო ძალიან გულით გაერთო თავის საქმეს და უთხრა გიტოს:

– შვილო, ახლო მოდი ჩემთან, ქვეშაგებზედ შემოჯეგი.

გიტო მიუჯდა დედას, გადაწვა, პირქვე დაემხო და ცხვირპირი დამალა დედის გულზე. ბაბალემ ორივე ხელი მოჰხვია თავს, მაგრა გულს მიიკრა და ქოჩორზედ ზედ დაეკონა კოცნითა.

– შვილო, ჩემო კარგო, – უთხრა დედამ, – არვინ იცის ხვალინდელი დღე რას მოიტანს. ყველა ღვთის ნებაზეა, ვენაცვალე იმის მადლს, სიკვდილი და სიცოცხლე ორივ იმის ხელშია. უიმისნებოდ არა მოხდება რა ქვეყანაზედ. შენი პატრონიც და მფარველიც ის არის. ერთი ბეწვიც თმისა არ მოგაკლდება, თუ ღვთის ნება არ არის, და თუ მისი ნებაა –

წინ ვერავინ დაუდგება. თუნდ ეგეც არ იყოს, ქვეყანას ვერავინ ვერ შეაბერდება. წესია ქვეყნისა, დედ-მამა...

[1890 წლის შემდეგ]

ვარიანტები და შენიშვნები

მგზავრის წერილები (გვ. 9 – 32)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები U, № 150, 4 გვ. (B); U, № 149, 6 გვ. (C); K, № 1046, 8 გვ. (D)[1].
ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. "კრებული", 1871, № 2, გვ. 191 – 212; № 5, გვ. 1 – 16 (E); თხზულებანი, 1892, ტ. II, გვ. 1 – 36 (A).
ს ა თ ა უ რ ი: "ვლადიკავკასიდამ ქალაქამდე" B, "მგზავრის წერილებიდამ" CDE.
თ ა რ ი ღ ი: – BCDE.
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: – BD, *** CE.

BCD ავტოგრაფები არასრულია: BD ბოლონაკლულია, წარმოდგენილია I–II თავი სრულად და III თავის ნაწილი, C ავტოგრაფი კი თხზულების V – VIII თავებს მოიცავს.

BD ავტოგრაფები უთარიღოა, C-ს კი ბოლო გვერდზე აქვს ცენზორის მინაწერი: "Дозволено цензурою 23 июня 1871 года".

C ავტოგრაფის დასაწყისში ილიას მიუწერია: "16 ფურცელი "კრებულისა", ხოლო ბოლოში, ცენზორის ნებართვის ქვეშ, მიუწერია: "ცენზორს სუნის აღება ჰსცოდნია", შემდეგ ეს მინაწერი გადაუხაზავს; ცენზორის მიერ გადახაზული ადგილების გასწვრივ არეზე კი აღდგენის ნიშნად მიუწერია: "უნდა".

B ავტოგრაფის I თავის ბოლოს ოთხკუთხა ფრჩხილებში ილიას გვიანდელი მინაწერია: "მერე დაბეჭდილიდამ V თავამდე და V თავიდამ ამ ხელნაწერიდამ".

სამივე ავტოგრაფი 1871 წლით უნდა დათარიღდეს; ამათგან D ავტოგრაფი ილიას 1871 წ. ჟურნ. "კრებულში" დასაბეჭდად გაუმზადებია (დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში კირილე ლორთქიფანიძის არქივში) და იმავე წელს ჟურნალის № 2-ში დაბეჭდილა კიდეც (სათაურით "მგზავრის წერილებიდამ"), მაგრამ ცენზურისაგან დამახინჯებული. სახელდობრ, I თავი საერთოდ არ დაბეჭდილა (იგი D ავტოგრაფშიც ირიბი ხაზით არის გადახაზული), შეცვლილი და ამოღებულია ზოგი სხვა ადგილიც (დაწვრილებით იხ. ვარიანტებში).

1871 წ. ჟურნ. "კრებულის" № 5-ში დაბეჭდილია ნაწარმოების V – VIII თავები სათაურით "მგზავრის წერილებიდამ". ყველა ის ადგილი, რომელიც თხზულების ამ ნაწილში ცენზორის მიერ არის ამოღებული და მის ნაცვლად მრავალწერტილია დაბეჭდილი, C ავტოგრაფში გადახაზულია. აქედან ჩანს, რომ ჟურნ. "კრებულში"

[1] U ლიტერით ყველგან აღნიშნული გვაქვს აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ი. ჭავჭავაძის ფონდში დაცული ხელნაწერი, K ლიტერით – ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში კ. ლორთქიფანიძის არქივში დაცული ხელნაწერი.

ნაწარმოების V – VIII თავები C ავტოგრაფიდან არის დაბეჭდილი (ამასვე ადასტურებს ცენზურის ნებართვის თარიღიც). ძირითადად C ავტოგრაფს თანხვდება ჟურნ. "კრებულში" დაბეჭდილი V – VIII თავების ტექსტი, თუმცა ზოგიერთი სიტყვის ფორმა იძლევა სხვაობასაც (დაწვრილებით იხ. ვარიანტებში).

ავტოგრაფებიდან ადრეულია B ხელნაწერი, რაზედაც მიგვანიშნებს ნაწარმოების პირვანდელი სათაურიც – "ვლადიკავკასიდამ ქალაქამდე".

B-სთან შედარებით ცოტა უფრო გვიანდელია D ავტოგრაფი, რომელიც ავტორის ბოლო ნებას გამოხატავს, მაგრამ B ავტოგრაფის I თავის ბოლოს ოთხკუთხა ფრჩხილებში მოგვიანებით ავტორის მინაწერი – "მერე დაბეჭდილიდამ V თავამდე და V თავიდამ ამ ხელნაწერიდამ"[2] – გვაფიქრებინებს, რომ ილია 90-იან წლებში კვლავ ადრინდელ B ავტოგრაფს დაბრუნებია, ვინაიდან D ავტოგრაფი დაკარგულად მიაჩნდა, "კრებულში" კი ტექსტი დამახინჯებული იყო ცენზურის მიერ. ამიტომ ავტორს ზემომოტანილი მინაწერი გაუკეთებია და მომავალი გამოცემისათვის ასე გაუთვალისწინებია: "მგზავრის წერილების" I თავის ტექსტი დაბეჭდილიყო B ავტოგრაფიდან, II თავიდან V თავამდე – უკვე დაბეჭდილი, ე. ი. ჟურნ. "კრებულში" გამოქვეყნებული ტექსტიდან და V – VIII თავები – ხელნაწერიდან, ცენზურის მიერ ამოღებული ადგილების აღდგენით[3].

1892 წელს, როცა "ქართველთა ამხანაგობამ" ილიას უშუალო მეთვალყურეობით გამოსცა მისი თხზულებათა ტომეულები, ამ გამოცემის II ტომში დაბეჭდილი "მგზავრის წერილების" I თავს D ავტოგრაფთან შედარებით მეტი მსგავსება B ავტოგრაფთან აქვს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ჩვენც, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის წინა გამომცემლის პ. ინგოროყვას მსგავსად, უპირატესობა D ავტოგრაფის I თავს მივანიჭეთ, ვინაიდან აქ უფრო მკვეთრად არის გამოხატული ავტორის პოლიტიკური მრწამსი და შეხედულება.

ჩვენი გამოცემის ძირითად წყაროდ ავიღეთ მწერლის სიცოცხლეში უკანასკნელად გამოქვეყნებული სრული ტექსტი, წარმოდგენილი 1892 წლის "ქართველთა ამხანაგობის" გამოცემაში, მაგრამ ამ თხზულების I თავს და ცენზურის მიერ დამახინჯებულ ადგილებს ვასწორებთ D ავტოგრაფის მიხედვით.

E ნაბეჭდ წყაროში VIII თავი ცალკე არ არის გამოყოფილი.

1892 წ. "ქართველთა ამხანაგობის" გამოცემაში (ე. ი. A წყაროში) "მგზავრის წერილები" 1861 წლით არის დათარიღებული (თარიღები წარმოდგენილია წიგნის ბოლოს დართულ სარჩევში, რომელსაც პ. ინგოროყვა "ქრონოლოგიურ ნუსხას" უწოდებს). როგორც ვიცით, ი. ჭავჭავაძე უშუალოდ მონაწილეობდა 1892 წლის გამოცემის მომზადებაში და, ცხადია, "მგზავრის წერილებიც" მის მიერ არის დათარიღებული 1861 წლით. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ნაწარმოები პირველად მხოლოდ 1871 წ. გამოქვეყნდა, ადრინდელი ავტოგრაფები კი არ შემონახულა. ამიტომ ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას, შევამოწმოთ, რა ხასიათის შესწორებანი შეიტანა ავტორმა მოთხრობაში 1871 წელს. ამგვარი შესწორების შედეგი უნდა იყოს ტექსტში რუს ოფიცერთან საუბრის ის ადგილი, სადაც აღნიშნულია, რომ "იქნება ასე სამოცდაათი წელიწადი", რაც საქართველო რუსეთს შეუერთდაო. ამის მიხედვით გამოდის, რომ საუბარი შედგა არა 1861 წელს, არამედ 1871 წელს.

---

[2] "ამ ხელნაწერიდამ" – იგულისხმება C ავტოგრაფი.

[3] ამას ადასტურებს ცენზურის მიერ ამოღებული ადგილების გასწვრივ არეზე ილიას მინაწერი: "უნდა".

თუკი გვეცოდინებოდა, რომ 1871 წელს ავტორმა ტექსტში მნიშვნელოვანი რედაქციული შესწორებანი შეიტანა, შეიძლებოდა ნაწარმოებისათვის მიგვეცა ფართო თარიღი (1861 – 1871 წწ.), მაგრამ რაკი ამგვარი ანალიზის საშუალებას მოკლებული ვართ, ავტორისეული დათარიღება (1861 წ.) რჩება უცვლელად.

9. 4 სასტუმროს+კარების B; 7 ეს იყო ვლადიკავკასში – D; 10 იმისი ოყრაყული სანახაობა – AB; 13 – 20 სიტკბოებაზედ... ვხედავთ] სიტკბოებისა კი რა მოგახსენოთ და სიამოვნებისას კი ამას გეტყვით, რომ კვამლი ფრიად სასიამოვნოა, ნამეტნავად მაშინ, როცა თვალებიდამ ცრემლებს გვაყრევინებს ხოლმე AB; 21 ბოხჩის ოდენა+ცალთვალა AB.

10. 2 ფრანსიელს] ფრანციელს D; B-ში ჯერ დაუწერია "ფრანციელს", შემდეგ გადაუხაზავს და ზევით წაუწერია "ფრანგს", შემდეგ ისიც გადაუხაზავს და გვერდით მიუწერია "ფრანსიელს"; 3 ეგ] ეს A; 5 უგემურად] უგემურადა B, უგემურათა D; სთვლემდა] ჰსთვლემდა D; 7 მგონი... შეეცილოს – D; რომ] მე AB; 8 თქვენ+რომ AB; გაალაყებინოთ+თქვენი AB; გაადღვებინოთ+თქვენი AB; 10 – 11 არა უშავს-რა... დამიშავდეს რამე] რა ვქნათ, თუ მთელი რუსეთი მაგით დადის მე რაღა დამიშავდება? AB; 12 მაგით დადის?! – AB; შორს+არ AB; 13 მშვიდობის] მშვიდობით BD; მოგცეთ] მოქცეთ BD; 14 ჩავმჯდარიყავ] ჩავმჯდარვიყავ BD; 18 ხელი+ხელს D; 20 ჩავჯექ] ჩავჯეგ BD; 21 – 22 პოვოსკა... დამიწყო] "იამშჩიკმა" ერთი შემომიბღვირა AB; 22 აკრიბა] აკრიფა D; სადავეები] აღვირის ტოტები D; 23 უჭმელობისაგან... ყურებჩამოყრილს] მჭლე AB; 24 – 25 ცხენები... არ დაიძრნენ] მჭლე ცხენებმა ყურიც არ შიებერტყეს AB; (B-ში "შეიბერტყეს" ნაცვლად წერია "შეიბღერტეს"); 26 დაიყვირა "იამშჩიკმა"] დაუყვირა ცხენებს AB; სადავენი] აღვირის ტოტები D; 27 მომიკვდე] მამიკვდე B; ყურიც არ გაიბღერტეს] ფეხი არ შესძრეს AB; 28 ფრანსიელი] ფრანციელი D; 31 მაგით დადის] მთელი რუსეთი მაგით დადის განა? AB; ხითხითებდა] ქვითინებდა AB; 33 მჭირდა-რა] B-ში ჯერ დაუწერია "მქონდა-რა", შემდეგ გადაუხაზავს და ზევით დაუწერია "მჭირდა-რა".

11. 1 მოაბრუნა] მოიბრუნა D; ისე მრისხანედ... ეგრეო] პირუტყვულად ბღვერა დამიწყო AB; შემომიბღვირა] შემომიღვერა D; 2 – 3 ცხენებს... თითო] ცხენებისაკენ მიიგრიხა სქელი კისერი და ორიოდე AB; 3 "გადაუჭირა"ს შემდეგ B-ში გადახაზულია "თითო-თითო შოლტი"; ამის პასუხად] შეიტყვეს რა, რომ მეტი გზა არ არის, ყოველს დაკვრაზედ AB; 4 ტლინკი აყარეს] ტლინკები ჰყარეს AB; 4 – 5 როგორც იყო... პოვოსკა] დაიძრნენ როგორც იყო ადგილიდამ AB; 7 აქეთ] აქედ A; 9 ამ ყოფით – B; ვლადიკავკასს] ვლადიკავკავს B; 10 ვქენი] ვქმენი BD; ხიდი] ხიდზედ BDE; არამც თუ+მისი B; 11 რომ+ჩვენებურებმა B; "რომ"-ს შემდეგ გადახაზულია "ჩვენმა დიდებულმა ქართველმა" და ზევით აწერია "ჩვენებურებმა" B; 12 – 20 თერგდალეულები... ქართველობას] თუმცა ჩვენში კი დარჩეს ის თერგდალეულები მე და შენ, დაობებულო ქართველო, ერთი ათასად გვჯობიან B; 14 აქვთ] აქვსთ D; 16 მეორედაც] მეორეთაც DE; 18 მესამედაც] მესამეთაც E; 22 უქნია] უქმნია BDE; 23 და გაუვაკნია – B; ჩასწყვეტია] ჩაჰსწვეტია B; 24 ჩვენი... ვლადიკავკასთან] ვლადიკავკასთან ჩვენი დამთხვეული თერგი B; ვლადიკავკასთან] ვლადიკავკაზთან E; 25 აღარ] არ E; 25 – 27 რომელზედაც... კლდენი] რომლის "ღრიალსაც" მთანი B; 28 მიმკვდარა] დადუმებულა B; 29 – **12.** 4 მაგრამ... "ემუქრებიან"] იქნება იმიტომაც არის ეგრე თერგი, რომ იქ მობანე მთანი აღარა ყვანან? ვინ იცის? B.

12. 2 შავადა] შავათა DE; დასწოლიან] დაჰსწოლიან E; 5 ჩემო] ჩვენო [პირველ შემთხვევაში – ე. შ.] D; 6 ზოგიერთ კაცსავით – B; 8 ზარიანი... ფოთვა] ძლიერი ბღავილი B;

10 საწოლში] საწყლეში B; B-ში ჯერ დაუწერია “საწოლში”, გადაუხაზავს და ზევით დაუწერია “საწყლეში”; 12 დენაშია] დენაში B; მიმრჩვალხარ] მიმხჩვალხარ E; 13 ცოდვა] ცოდო DE; 13 – 14 ცოდვა... შვრები – B; 18 მიიღო-რა] მიიღო B; 19 რამოდენადაც] რამოდენათაც DE; ვუახლოვდებოდი] ვუახლოვდები B; 20 ჩემის] ჩემი BDE; 21 ღელვა] ჭექა-ქუხილი B; B-ში ჯერ დაუწერია “ღელვა”, გადაუხაზავს და გვერდით მიუწერია “ჭექა-ქუხილი”; 22 ოთახში] ოთახშია DE; 23 შევუკვეთე] შეუკვეთე B; ერთს] ერთ BD; 27 ვიმყოფებოდი] ვიყავი B; 28 მკითხველო+რომ B; ეს] ეგ B; 29 რა ოთხი... რომ – B; 30 – 31 მეორე... წელიწადი] მერე იცი, რომ ეგ ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია მისთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა მაგ ოთხის წლის მეოხებით ჭაბუკობიდამ ყმაწვილ კაცობაში გადავიდეს B; 33 – 13. 2 მაგრამ ...აადგმევინოს] ნეტა იმას, ვისაც ეგ ბეწვის ხიდი ფეხთა ქვეშ არ ჩასწყდომია B; 33 ყველასთვის] ყველასათვის DE;

13. 1 ტვინსა] ტვინში E; ჭკუა] ჭკვა D; 6 ძაღლყურძენაცა+ადამიანობის, ავკარგიანობის სათავე მაგ ოთხ წელიწადშია B; ოო] ჰოი BE; 7 – 8 ნეტავი იმას... ჩასწყდომია – B; 7 ნეტავი] ნეტა BDE; 8 ჩასწყდომია] ჩაჰსწყდომია D; იმას] მას BD; 10 გამოვედი] გამოველ BDE; 11 გულმა+სულ BDE; სხვარიგად] სხვარიგათ E; 11 – 12 ქვებზედ... ფიქრთა] უკეთესთა ფიქრთა ქვებზე ხათქა-ხუთქი ADE; 13 სტანციის ოთახის – B; 15 ყოველიფერი] ყველაფერი E; 17 მეცადნა] მეცადა B; უცხოეთშია AE; 18 მრავალნაირი] სხვადასხვანაირი B; რეულად+ და რთულად B; 19 წარმომიდგნენ მაგრამ] გამირბოდა B; ერთი . . . მეორეზედ] ფიქრი ფიქრზედ B; 20. ერთდაიგივე] ერთსადაიმავე B; 22. ტვინში] ტვინსა და გულში B; მილაგებულნი] მილაგებული B; 23 მაღლა მოექცნენ] ზევით მოეგცნენ B; მაღლა დალაგებულნი] ზევით მილაგებულნი B; 23 – 24 და მერე... ერთმანეთში – B; 24 – 27 სიტყვამ... ქვეყანაზედ – AE; 25 – 27 იმისთვის... ქვეყანაზედ] დაწყნარების სათავეა. ესეა ყოველიფერი ამ ქვეყანაზედ: ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, დაირიოს და მერე დაწმნდება ხოლმე B; 29 თვითვეულად – D; 32 ბოლოს... განუწყვეტელ] და უეცრად ერთმა ფიქრმა თავიდან ფეხამდინ ელვასავით დამირბინა. პირველ ფიქრს მოჰყვა მეორე, მეორეს მესამე და ბოლოს ულეველ ზედმიყოლილ B; ბოლოს+სულ ყოველნი ერთად D; სულ ყოველნი E; განუწყვეტელ] რთულ და ზედმიყოლილ DE;

14. 4 უცხო] სხვა A; 5 აღზრდილსა] აღზდილსა D; იქნება... შემომაქციოს – A; შემომაქციოს] შემაქციოს E; 6 კიდეცა] კიდეც D; 8 – 9 თავის... იმედი და] თავისი დარდი, წუხილი, მხიარულება, იმედი თუ B; გულისტკივილი... უიმედობა] ამბავი AE; 11 თავისი – B; 14 გულისტკივილი... აღვადგინო] დავრდომილს აღდგომის იმედი მოვფინო B; გულისტკივილი... აღვადგინო – AE; 15 ნუგეში მოვფინო] ნუგეშინი ვცე B; 16 – 18 იმ სიტყვით... მცხოვრებნი – AE; “იმ სიტყვით მცხოვრებნი” – გადახაზულია B; 18 თვითოეული] თვითვეული DE; 18 – 22 და ის... გადავწყვიტე რომ – B; 19 არა] არ B; 20 ერთ... ცეცხლად] ერთად E; 20 – 21 ერთ... გასათბობლად] ერთად შევიგროვო A; ჩემის... გასათბობლად – E; 22 ღვიძლის – A; თქმასა] თქმას B; 23 კიდეც – B; 24 სიტყვასაც] სიტყვას BDE; 25 რომ+მამულის სიტყვას D; 26 რომლისთვისაც] რომლისათვისაც BE; 28 – 29 ამას... საქმეშია] სიტყვა სიტყვაა B; 29 საქმე რომ - B; 30 მე – B; და გავჩერდი] შევდეგ B; 31 შესწყვიტა] შეჰსწყვიტა BDE; 32 ჩემი... გრეხილი] ფერადი გრეხილი ჩემის ფიქრებისა B; 33 ვქნა] ვქმნა D.

15. 1 მიირთოვო] მიირთოთო B; რომელმაც+ სწორედ B; 4 ჩაი] ჩაიო D; ჩაიო, არა ჩემო ძმაო B; “ძმაო”ს შემდეგ “გაგიგონია, თევზს ვითომცა ეთქვას იმიტომ არ ვლაპარაკობ,

რომ პირში წყალი მიდგაო. გაგიგონია” გადახაზულია B; 5 სამოვარი... მიბრძანეთ] ნება თქვენი იყოს B; მიბრძანეთ] მიბძანეთ DE; 6 გარეთ] გარედ ABD; 7 – 8 გაიღო... თავი] გაეღო და ერთი რუსის აფიცერი შემოვიდა ოთახში B; რუსის – AE; შემოჰყო] შემოყო D; 8 იმისი] მისი B; 9 დაახლოვებით] დაახლოებით BE; იცნობდა] იცნობს BD; 10 წლისას ჰგვანდა] წლისა იქნებოდა და B; 12 რუსულად – A; გაგაცნოთ] გაგაცნოდ E; 13 N – A; 15 მოხარული ვარ] ბედნიერი ვარ ამ შემთხვევითა B; წამოვუდეგ ფეხზედ ~ DE; ფეხზედ] ფეხზე E; 17 მობრძანდებით] მობძანდებით DE; 19 უდაბურსა] უდაბურს D; უდაბურსა და ვერანა] უდაბურს B; 20 სიამოვნებაღა] სიამოვნება DE; 21 განათლებულის] განათლებულს B; ქვეყნიდამ] ქვეყნიდამა BDE; სცხოვრობს] ჰსცხოვრობს DE; 25 ესა] ეს BDE; 28 გახლავართ] გახლავარ D; ერთი] ერთის BD; 30 დიაღ] დიახ BDE; 31 დიდკაცური] დიდკა B [აქ წყდება B ავტოგრაფი – ე. შ.]; 33 შესცვალა] შეჰსცვალა DE;

16. 3 პეტერბურგიდამ] პეტერბურგიდამა DE; 4 აფიცერმა] აფიცარმა D; 6 სთქვა] თქვა DE; 12 ჰფიქრობდა] ფიქრობდა DE; მისი] მის E; 13 განვუფანტე] განუფანტე DE; 15 მთელის] მთელი DE; 19 შევატყვე-რა] შევატყე-რა DE; 25 ესე იგი... სომხები – AE; 26 ერთის] ერთი E; 29 მოგდით] მოგდისთ DE.

17. 5 ჰა+აი D; 7 ვთარგმნოთ] ვსთარგმნოთ D; იმასა] იმას E; ჰნიშნავს] ნიშნავს D; 10 კაცს] კაც E; 14 სიტყვებზედ] სიტყვაზედ E; აფიცერმა] აფიცარმა DE; 16 სდგას] ჰსდგას DE; 22 უკაცრავოდ] უკაცრავოთ E; 28 სჯობიან] ჰსჯობიან DE; პაპიროზები] პაპიროსები D; 29 გექმნებათ] გექნებათ DE; 30 გახლავთ] გახლავსთ E.

18. 2 იქმნება] იქნება DE; 4 ამრიგად] ამრიგათ E; 6 რომ+პატარა DE; 8 ვთქვა] ვჰსთქვა DE; 9 ვთქვა] ვჰსთქვა DE; 17 ვთქვით] ვჰსთქვით D, ვსთქვით E; 20 დიაღ] დიახ DE; 22 ვთქვათ] ვჰსთქვათ D, ვსთქვათ E; 22 – 23 რა არის] არ არის E; 28 მომივიდა] მამივიდა DE; 33 უეცრად] უეცრათ E; განათდა] განათლდა DE.

19. 3 არა... ვიყიდე – E; ვლადიკავკასში ვიყიდე] ვლადიკავკასისაა D; 12 რამდენი – E; 13 გენერლები] ღენერლები D; 15 წარმოსთქვა] წარმოსჰსთქვა DE; 17 გენერალი] ღენერალი E; 19 ვთქვათ] ვჰსთქვა D, ვჰსთქვათ E; 20 – 21 გენერლებშია სთვლით] ღენერლებშია ჰსთვლით DE; 21 ვთქვა] ვჰსთქვა DE; შტაცკის] შტატის D; 22 გენერლებსა] ღენერლებსა DE; ვთქვა] ვჰსთქვა DE; 23 გენერლებსა] ღენერლებსა DE; ვთქვა] ვჰსთქვა D; 24 გენერლებსაც] ღენერლებსაც DE; გენერლებში] ღენერლებშია DE; სთვლით] ჰსთვლით DE; 27 გენერლებს] ღენერლებს DE; 28 გენერალი] ღენერალი DE; 28 – 29 მართლმადიდებელ რუსეთს] მართლმადიდებელო რუსეთო D; 29 შესდგამს, დაამყარებს] შესდგამ, დაამყარებ DE; 31 რუსეთი] ჩვენ D [აქ წყდება D ავტოგრაფი – ე. შ.]; 33 გენერალი] ღენერალი E [ეს სიტყვა ყველგან ასეა E-ში – ე. შ].

20. 2 შეიქნება] შეიქმნება E; 14 ყველაფერს] ყოველფერ E; 15 ჩავუფიქრდი] ჩავფიქრდი E; მწუხარებას] მწუხარებაზედ E; 16 ვთქვი] ვჰსთქვი E; 22 – 23 ხან გასაღები... ხოლმე – A; 30 ვისმე] ვისმეო E; 34 არხეინადა] არხეინათ E.

21. 1 უებარი – A; 3 ოჯახში] ოჯახობაში E; არავისათვის] არავისთვის E; 8 ირჩობიან] იხჩობიან E; губа не дура – E; 10 ფრანცუცებმაც] ფრანციელებმაც E; 11 იმათის] იმათი E; 12 კი – A; 13 ჰნახეთ] ნახეთ E; 14 ექნება] ექმნება E; 16 აღებ-მიცემობაც] აღებ-მიცემობაცა E; 19 იშოვნის] იშოვის E; 20 მეცნიერის] მეცნიერი E; 25 უნდა-მეთქი] უნდა E; 26 ხანი] ხანს E; 27 ვთქვი] ვჰსთქვი E; 30 მეცნიერის] მეცნიერი E; მთელის] მთელი E; 31 ჰნახავთ] ნახავთ E; რომ – E; 33 დაიწყებენ] დაიწყობენ E.

22. 2 მდაბიურად] მდაბიურადა E; 3 ვთქვათ] 3 სთქვათ E [ორივე შემთხვევაში – ე. შ.]; 9 სანახავების] სანახაობის E; 12 გარედ] გარეთ E; 15 სთქვას] ჰსთქვას E; ქუდად] ქუდათა E; მაქვს] მაქვსო E; ქალამნადაო] ქალამნათაო E; 16 ერთის] ერთი E; 18 შევერცხლილს] შეკვერცხლილს E; 19 დაჰნათიდა] დანათიდა E; 23 ერთის] ერთი E; 26 ერთ] ერთს E.

23. 1 – 2 მიდის და მიბღავის] მოდის და მობღავის E; 6 სჩანს] ჩანს E; 8 უკვდავება] უკვდაება E; 10 ქვაკუთხედი] ქვაკუთხეთი E; 10 ძირიდამ] დაბლიდამ E; 12 დაწყებულა] დაწყობილა E; 14 ჰსუსხავს] სუსხავს E; 17 დიდ] დიდებულს E; 27 ქვეყნიერებასა] ქვეყნიერობასა CE; 28 სჩანს რა] ჩანს-რა CE; 30 – 31 არა მქონდეს] არ მქონოდა E.

24. 3 გარედა] გარეთა E; 5 სდუმობ] ჰსდუმობ CE; 10 სთქვა] ჰსთქვა CE; 14 ”რისთვის” შემდეგ გადახაზულია ”ვერ ვიტყვი მყინვარის მეშინიაო... მითამ?!” C; 18 გუგუნი] ბგერა E; C-ში ჯერ დაუწერია ”ბგერა”, გადაუხაზავს და ზევით დაუწერია ”გუგუნი”; 19 სჩანს] ჩანს CE; 26 დასცეს] დაჰსცეს CE; 27 აქეთ] აქედ AC; 29 დამფრთხალი] დაფრთხალი ACE; 31 შენის] შენს CE; 34 სჭედავს] ჰსჭედავს CE.

25. 2 თვალთმაქცობას] თვალთმაქციობას C; 3 დამფრთხალს] დაფრთხალს ACE; 5 სიბნელისა+და უმეცრებისა CE; 8 სტანციაში] ჯერ დაუწერია ”იმ დღეს სტანციაში”, გადაუხაზავს და გვერდით კვლავ დაუწერია ”სტანციაში” C; 9 მიმავალისათვის] მიმავლისათვის CE; 11 გადავსულიყავ] გადავსულვიყავ C; 17 ჰბღავის] ბღავის CE; 18 სჩანს] ჰსჩანს CE; 22 სძინავს] ჰსძინავს C; 23 ამისთანანი] იმისთანანი E; 25 გარეთ] გარედ C; 28 ძალიან] ძალიანი E; 31 ქვეყნისა] ქვეყანისა E.

26. 1 რომელიცა] რომელიც E; 5 სიმაღლიდამ] სიმაღლიდამა CE; იმ დილით – E; 10 თითონ – E; 12 მთელს გზას] მთელი გზა E; 15 გულაუმღვრევლად] გულაუმღვრელად CE; 21 ღუნიას] ფუნიას E.

27. 5 მოგცემთ] მოქცემთ C; 6 თვის] თავის E; 11 სვამეხის] სვამახის E; 12 ჭამადი] ჭამიდი E; 14. სჯობნებია] ჰსჯობნებია CE; 16 ჯანი არა აქვნ – E; 19 სჯობია] ჰსჯობია C; 23 გაჭირდის] თუ გაჭირდის E; 26 ვერ] ვეღარ CE; 27 ”გასწორდა”-ს შემდეგ გადახაზულია ”და” C; 29 გადაწვდიდი და გადაჯდიდი] გადავწვდიდი და გადავჯდიდი E.

28. 1 მოხევეს] მახევეს CE; 6 დიაღ] დიახ CE; 7 წმიდა] წმინდა CE; 12 ”მცხეთაიდ”-ს შემდეგ გადახაზულია ”მახვილ ჯერ” C; მცხეთაიდ+მრავალჯერ E; საუნჯეი] საუნჯი E; მრავალჯერ – E; 21 დასხმიან] დასხმინ CE; 22 ხთისგან] ღთისგან C; ღვთისგან E; 23 სთქმიან] ჰსთქმიან E; გადასჭრიდიან] გადაჰსჭრიდიან E; 28 მომცა] მამცა C; 29 ”მკითხა”ს შემდეგ გადახაზულია ”მან” C; 33 სახელგანთქმულნი] სახელგანთქმული C.

29. 4 არნა] არნ E; 19 ამის] იმის E; 20 მომეცი] მამეცი C; 21 კვლავ მე] კვლავ E; 25 შეუთქვეს] შეუთქვის E; 30 ”რუსობამ” გადახაზულია C; რუსობამ] ... E.

30. 5 – 6 ”ადრიდა ავად... უკედ” გადახაზულია C; 7 ერთურთს] ერთურთი E; 13 – 23 ”აწინა... მახევე” გადახაზულია C-ში და მრავალწერტილია (. . . . . .) E-ში.

31. 5 ვშაობდით] ვშოობდით CE; 15 მასცის] მაჰსცის E; 16 მოხოცნეს] მახოცნეს CE; 24 დასცის] დაჰსცის CE; 25 ”ციხე”-ს შემდეგ გადახაზულია ”კახნი” C; 30 ჰღონობს] ღონობს CE; 31 ამბით] ამბავით E.

32. 1 იგ] იქ E; 6 გაგგვიხდნის] წაგვიხდნის E; 9 ეგა] ეგე CE; 11 იმის] იმისის E; 12 განზრახვაც] განძრახვაც A; 18 – 24 ”მიგიხვდი... პასუხი” გადახაზულია C; 18 ნესტარითა] ნესტარითაცა E; 19 – 24 ”ჩვენი... პასუხი”-ს ნაცვლად მრავალწერტილია E-ში.

კ ა ც ი ა - ა დ ა მ ი ა ნ ი?! (გვ. 33 – 130)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. ”საქართველოს მოამბე”, 1863, № 4, გვ. 3 – 46; № 5, გვ. 3 – 34; № 6, გვ. 1 – 29 (B); “კაცია, ადამიანი”, პეტერბურგი, 1869 წ. (C); “კაცია-ადამიანი?!” 1880 წ. (D); თხზულებანი, 1892 წ., ტ. II, გვ. 1 – 146 (A).
ს ა თ ა უ რ ი ს ქ ვ ე შ: (მოთხრობა) B.
თ ა რ ი ღ ი: არა აქვს BCD, 1863 A[4].
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: მ. ჯიმშერიძე B.

ავტორის სიცოცხლეში “კაცია – ადამიანი?!” ოთხჯერ დაისტამბა. პირველი პუბლიკაციისას (ჟურნ. “საქართველოს მოამბე”, №№ 4, 5, 6, 1863 წ.) მოთხრობას სათაურად აქვს “კაცია, ადამიანი”. პირველად ასეთივე სათაურით გამოიცა იგი ცალკე წიგნად პეტერბურგში 1869 წელს[5]. “საამხანაგო ქართული წიგნის მაღაზიის” გამოცემაში კი (1880 წ.) სათაური წარმოდგენილია შეცვლილი სასვენი ნიშნებით: “კაცია — ადამიანი?!” აქ სათაურის შემადგენელ სიტყვებს შორის მძიმის ნაცვლად დასმულია ტირე (და არა დეფისი), რაც იმის ნიშანია, რომ ეს ორი სიტყვა (“კაცი” და “ადამიანი”) ავტორს სინონიმური მნიშვნელობით აქვს ნახმარი, ბოლოს დასმული კითხვისა და ძახილის ნიშნები კი ხაზგასმით გამოხატავს ავტორის გაკვირვებას; ნუთუ ამ მოთხრობის გმირს შეიძლება “კაცი”, “ადამიანი” ეწოდოსო[6].

ამგვარივე პუნქტუაციით არის წარმოდგენილი მოთხრობის სათაური ილია ჭავჭავაძის თხზულებათა II ტომში (1892 წ.), მწერლის გარდაცვალების შემდეგდროინდელ გამოცემებში კი ტირეს ნაცვლად რატომღაც დეფისი დამკვიდრდა.

საერთოდ, “კაცია — ადამიანის” სათაური პირველი პუბლიკაციის დროიდანვე არ ყოფილა ყველასათვის ერთნაირად გასაგები[7]. კამათი ამ სათაურის გამო, შეიძლება ითქვას, დღემდე გრძელდება[8]. ჩვენ, რასაკვირველია, სათაურის დაწერილობის მხრივაც ვიცავთ ავტორის ბოლო ნებას.

---

[4] თარიღი მოცემულია წიგნის ბოლოს დართულ სარჩევში.

[5] ამ გამოცემის შესახებ იხ. ი. ლორთქიფანიძის ნარკვევი ”კირილე ლორთქიფანიძე” (”ტექსტოლოგიის საკითხები”, IV, 1974, გვ. 113 – 115); მისივე, ”უნდა გასწორდეს” (”წიგნის სამყარო”, № 21, 12, XI, 1986).

[6] ამ სათაურის გასაღებს წარმოადგენს ავთანდილის სიტყვები ”ვეფხისტყაოსნიდან”: ”კაცი ვარ, ადამიანი”.

[7] ამ საკითხს ეხება ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის წერილი აკად. მ. ბროსესადმი (იხ. შ. ხანთაძე, მარი ბროსე, თბ., 1966, გვ. 167).

[8] კარპეზ დონდუა, ”კაცია — ადამიანი?!”-ს სათაურისათვის (გარჩევა) “კომუნისტური აღზრდისათვის”, 1938, № 10 — 11; ალ. ჩავლეიშვილი, ილია ჭავჭავაძის ”კაცია-ადამიანის?!” გამო, “სახალხო განათლება”, 1947, № 14; გ. შალამბერიძე, ”კაცია-ადამიანის” სათაურის გაგებისათვის, “სახალხო განათლება”, 1949, № 34; ალ. ბარამიძე, ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები, საიუბ. კრებული “ილია ჭავჭავაძე”, 1957, გვ. 27 – 57; მისივე, ილია ჭავჭავაძის რუსთველოლოგიური ნააზრევი, “კომუნისტი”, 1962, 17/XI; მისივე, ისევ ”კაცია-ადამიანის?!” სათაურის გაგების თაობაზე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, 1971, გვ. 319 – 320. ა. მირიანაშვილი, როგორ გავიგოთ სათაური მოთხრობისა ”კაცია-ადამიანი?!” ჟურნ. “სკოლა და ცხოვრება”, 1962, გვ. 79 – 82; ვ. ვახანია, ისევ სათაურის

“კაცია — ადამიანის” პირველი ჩანასახი გვხვდება დაუმთავრებელ მოთხრობებში “კოლა” და “კაკო”, რომლებიც ილიას სტუდენტობის დროს, 1858 – 1859 წლებში, დაუწერია[9]. ამის საფუძველზე ნაწარმოები დავათარიღეთ არა 1863 წლით, როგორც 1892 წლის გამოცემის II ტომის სარჩევშია დათარიღებული, არამედ, პავლე ინგოროყვას მსგავსად, თხზულებას მივეცით ფართო თარიღი: 1858 – 1863 წწ.

ნაწარმოების ტექსტის დადგენისას ძირითად წყაროდ აღებულია მწერლის თხზულებათა 1892 წ. გამოცემა (ტ. II), რომელიც ავტორის ბოლო ნებას გამოხატავს.

ამ ნაწარმოების მთლიანი ტექსტის ავტოგრაფს ჩვენამდე არ მოუღწევია. აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ილია ჭავჭავაძის პირად არქივში, დაცულია ავტოგრაფები თხზულების მხოლოდ წინასიტყვაობისა ოთხ ვარიანტად (№№ 147, 148); მათ აქვე ვბეჭდავთ მთლიანად. შემდეგ კი წარმოვადგენთ ნაბეჭდი წყაროების ვარიანტულ წაკითხვებს.

I

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა

სახელი ღვთისა ვახსენე, ავიკიდე ჩემი გუდა-ნაბადი და შევუდეგი მგზავრობასა. ამბობენ მგზავრობა გონებას უხსნისო. ერთს კარგად მოზდილს, ხავსმოკიდებულს გუბეს ზედ წავაწყდი. იმ გუბეს გარეშემო მშვენიერად აყუდებულიყვნენ დიდებულნი მთანი, მაგრამ იმ მთების დიდებულება არ ისახებოდა იმ გუბეშია: მღვრიე ზედაპირი გუბისა ვერ გარდა მოიცემს დიდებულის სახეს, მაგას ანკარა წყალი უნდა. იმ გუბის ახლო-მახლო მეტად ცუდი ოშხივარი იყო მოდებული: კაცს სული შეუგუბდებოდა, გონებას და გულს ობი ეკიდებოდა, მუხლი, წინ წასადგმელად მოცემული, მოეჭროდა და დაეხუთებოდა.

შიგ მრავალი ცხოველი მოჩანდა; მათ შორის ორფეხიანი მხეცნი იყვნენ; ამ ორფეხიან მხეცებში კაცის სახის მქონენიც იყვნენ, მაგრამ ძალიან ცოტა. ვჰსთქვი ჩემ-თავად: ეს რა გუბეა ამოდენა? ამ გუბის ხსენება რატომ არსად არის? ამ საძაგელს, დამყაყებულს და ერთს ალაგს გაჩერებულს წუმპეს რატომ აქამდინ კაცის ყურადღება არ მიუქცევია? ნეტა ვიცოდე ამ გუბეს სახელად რას ეძახიან?

ამ გუბეს ქართველები ქვეყნის სამასხაროდ ცხოვრებას ეძახიანო, – ვიღაცამ წამჩურჩულა და ზედაც დაატანა: – ახლო არ მიხვიდეო, თორემ ერთი ბრიყვი ვინმე კუდს მოიქნევს და ზედ შემოგასხამს ამ გუბის ტალახსა.

“ვისაც ტალახისა ეშინიან, ის გარედ არ გამოვაო”, – ვიღაცამა ჰსთქვა, და ეს სიტყვები ჩემის გულის გასამაგრებლად სწორედ მაშინ მომაგონდა. თუნდ ეგ არ ყოფილიყო, ეს ხომ გამეგონა, რომ ტალახისა მარტო დიდყურაანთს გვარს ეშინიანო. მე, სწორედ მოგახსენოთ, მაგ ბრწყინვალე გვაროვნებაში გარევა არ მოვიწადინე, აბა რა ჩემი

შესახებ, “ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში”, 1978, № 2. ტ. ჭანტურია, “კაცი ვარ, ადამიანი!” იქვე; შ. ძიძიგური, ”კაცია-ადამიანის?!” სათაურის გაგებისათვის, “სახალხო განათლება”, 1979, 23/III.

[9] იხ. კიტა აბაშიძის წერილი ”ილია ჭავჭავაძე” (კრიტიკული მიმოხილვა), რომელიც ერთვის ი. ჭავჭავაძის თხზულებათა მ. გედევანიშვილისეულ გამოცემას (1914 წ.), გვ XCII.

საქმე იყო: “არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო”, ნათქვამია. ამისათვისაც ტალახის შიშით უკან დახევა ვერ ვიკადრე.

წინ წავდეგი. ჩემი ფეხის წინ წადგომა და იმ გუბის სიმყაყის სუნის ცხვირში მოხვედრა ერთი იყო: ჯერ შევტოკდი და თავბრუდასხმულმა წავიბარბაცე, მაგრამ მერე, როცა ყნოსვამან ჩემმან მაგრძნობინა, რომ იგი ცხარე სუნი ჩვენებურია, ძველებურია, თავი შევიმაგრე. დიახ, ბატონო, იგი სუნი ვიცან, ვცან და განვიცადე.

მე არამც თუ ახლო არ მივედი, შიგ იმ გუბეში შესვლაც მოვიწადინე. ცნობისმოყვარეობის საღერღელი ამეშალა. მინდოდა შემეტყო: ამ გუბეს ცხოვრების ნიჭი აქვს, თუ არა? მინდოდა მეცნო, როგორ და რა ფრად ალპობს იგი ყოველს მას, რასაც ცხოვრება აქვს მინიჭებული.

ამ განზრახვით შევტოპე შიგ. პირველშივე საფლობი ლექი დამხვდა. ათასნაირი ქვეშემძრომი ზედ მომეხვია. რაც გინდოდათ, ყოველგვარი ქვეშემძრომი აქ იყო, ნამეტნავად წურბელა. სულ ყველამ, ვისაც კი პირი ჰქონდა, კბენა დამიწყო, მაგრამ ღმერთმა უშველოთ, არც ერთს კბილი არ უვარგოდა: ზოგს ბევრი მჟავე-მჟუვის ჭამისაგან კბილი მოჰსჭროდა, ზოგისათვის ღმერთს დაბადებიდგანვე მჭრელი კბილი არ მიეცა, ზოგ კიდევ კბენის მოხერხების თავიც არ ჰქონდა. კბენასაც, როგორც ვატყობ, ჭკვა ჰსდომებია. აბა, რასაკვირველია, იმ ჭია-ჭუბეს ყურიც არ ვათხოვე.

ერთი ფეხი კიდე წინ წავდეგი. აქ დამპალ წყლის ქვეშ ამოზდილნი ბალახ-ბულახი უხილავნი და ხავს-ქვეშ დამალულნი ფეხებზედ მომედვნენ. რის ყოფით ფეხები განვითავისუფლე და იმ ბალახ-ბულახს თავი დავახწიე.

კიდევ წინ წავდეგი. ფეხი დავაბჯინე თუ არა მოლხობილ გუბის მიწას, იმ გუბემ ასეთი სუნი ამოუშვა, რომ სული შემიგუბდა. მაშინვე თავი გუბის ზედაპირს ამოვაცილე. ეგ რომ არ მექმნა, კატასავით შიგ ამოვიხჩვებოდი. კარგია, რომ ცურვა ვიცოდი და გუბეზედ ნავ-ტიკისავით მოვეტივტივე, თორემ შენი მტერი, ჩემი საქმე იქნებოდა. ჰოი, წმინდა, ციაგო ჰაერო და ჩემო ცურვავ! თქვენ დამიხსენით, რომ იმ წუმპეში ჩემის ცოცხალის თავით არ დავიღუპე.

– გაინაპირე, გაინაპირე, – ვუთხარი ჩემს თავსა, – თუმცა ნაპირზედაც ფრთა ვერ გაიშლება, როგორც რიგია, თუმცა იქაც დამპალს ჰაერში უნდა სული ვიბრუნო, მაგრამ მაინც იქა ჰსჯობია. იქიდამა ჩანს ის დიდებული მთანი, დაუდგრომელის ბუნების ცხოვრების ძალით დედამიწის გულიდამ აღმოზდილნი. იქიდამა ჰსჩანს მწვანე მინდვრები და ზედ კვალი კაცური კაცის დაუდგრომელის შრომისა; იქიდამა ჰსჩანს ცხოვრება, სიცოცხლე, აქ არის გახრწნილება და სიკვდილი; აქ მზე ალპობს და აობებს, იქ მზე ათბობს და აცხოვრებს, აქ წყალი ხავსს უკიდებს, იქ აგრილებს და ზრდას ახალისებს. გაინაპირე, გაინაპირე, ჩემო თავო, აქ ყოველივე დგას, იქ ყოველივე ჩანს, რომ დაუდგრომელად წინ მიიწევს. გაინაპირე, გაინაპირე, ჩემო თავო! თუ იმ დაუდგრომელს წინ ლტოლვაში ჩვენ არ გავერევით, შორიდამ ხილვით მაინც დავსტკბეთ, თვალს წყალი დვალევინოთ, გლეხისა არ იყოს.

II

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

სახელი ღვთისა ვახსენე, ავიკიდე ჩემი გუდა-ნაბადი და შევუდეგი მგზავრობასა. ამბობენ, მგზავრობა კაცს თვალს უხილებსო, გონებას უხსნისო. ვიარე და ვიარე, გარდავიარე კლდენი და ღრენი და ერთს მშვენიერს მთათა შორის დაცემულს ტრიალს მინდორზედ ერთს კარგა მოზდილს ხავსმოკიდებულს გუბეს ზედ წავაწყდი. იმ გუბის გარეშემო მშვენივრად აყუდებულიყვნენ დიდებულნი მთანი, მაგრამ ამაოდ: იმა მთების დიდებულება არ ისახებოდა იმ გუბეშია: ხავსმოკიდებული ზედაპირი გუბისა ვერ გარდამოიცემს დიდებულების სახეს, მაგას სხვა ანკარა წყალი უნდა, დაუდგრომელად მიმავალი.

იმ გუბის გარეშემოში მეტად ცუდი ოშხივარი იყო მოდებული, გახრწნილების სუნი ჰაერში ტრიალებდა: კაცს სული შეუგუბდებოდა, გონებას და გულს ობი ეკიდებოდა, მუხლი მოეჭროდა და დაეხუთებოდა.

შიგ მრავალგვარი ცხოველი ირეოდა, სულ კი, უნდა მოგახსენოთ, ორფეხიანები იყვნენ, მაგრამ გასაოცარნი: ზოგს მგლის თავი ჰქონდა, ზოგს ფოცხვერისა, ზოგს მელისა, ზოგს გველისა და ბევრსაც, ასე იფიქრეთ, წურბელისა. საკვირველნი მხეცნი იყვნენ[10]. ყველას კი ქვეშემძრომის თვისება ჰქონდათ, ეს იყო საყოველთავო, სხვაში კი გარეგანობით სხვადასხვაობდნენ. რასაკვირველია, მათ მხეცთა შორის ადამიანებიც ჩანდნენ, მაგრამ ძალიან ცოტა.

ვჰსთქვი ჩემ-თავად: ამ გუბის ხსენება არსად არის? ნეტა რა სახელს ეძახიან?!...

– ამ გუბეს ქართველები, ქვეყნის სამასხაროდ, ცხოვრებას ეძახიან. – წამჩურჩულა ვიღაცამ. მივიხედე, ვნახე, ეშმაკი იყო. გადავიწერე პირჯვარი და სამჯერ შევაფურთხე და წარმოვსთქვი სამჯერვე: ფუ, ეშმაკო-მეთქი. ეშმაკი მაშინვე გაქრა.

აბა ეშმაკს რას დავუჯერებდი. მე წინ წავდეგი, გუბესთან ახლო მინდოდა მისვლა.

– ახლო არ მიხვიდეო, თორემ ერთი ბრიყვი ვინმე გუბეში კუდს მოიქნევს და ლაფს შემოგასხამსო, – მითხრა იმავე ხმამ. მივიხედე, კიდევ იგივე ეშმაკი იყო. რასაკვირველია, კიდევ სამჯერ შევაფურთხე[11]. ფუ, ეშმაკო-მეთქი, და ეშმაკი კიდევ გაქრა.

– ვისაც ტალახისა ეშინიან, ის გარედ არ გამოვაო, – სადღაც წამეკითხა. თუნდ ეგეც არ იყოს, ტალახისა მარტო დიდყურაანთს გვარს ეშინიან. მე, სწორედ მოგახსენო, მაგ ბრწყინვალე გვაროვნობაში გარევა არ მოვიწადინე. აბა, რა ჩემი საქმე იყო: არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო, – ვინ მე და ვინ დიდყურაანთ გვარი. ამისათვისაც ტალახის შიშით უკან დახევა ვერ ვიკადრე.

იმ ეშმაკის გამოჯავრებით არამც თუ უკან დავიხივე, შიგ იმ გუბეში შესვლაც მოვიწადინე. ცნობისმოყვარეობის საღერღელი ამიშალა იმ ეშმაკის სიტყვებმა, თუმცა კი ის სიტყვები არ ვიწამე. მინდოდა შემეტყო, იმ წყეულმა ეშმაკმა საიდამ მოიგონა, რომ ამ გუბეს ქართველები ცხოვრებას ეძახიან. ამ განძრახვით შევტოპე შიგ. მოლხობილს გუბის ლექში ფეხი ჩამეფლო. ათასნაირი ჭია-ჭუა და ქვეშემძრომი მომესია. ის სხვილ-სხვილი ორფეხიანი ცხოველები აქედ-იქიდ მიიმალნენ. იმ ჭია-ჭუებს ყური არ ვათხოვე. როგორც იყო ამოვიღე საფლობიდამ ფეხი და წინ გადავადგი. ფეხებზედ მრავალგვარი ბალახ-ბულახი მომედო. ამასაც რის ყოფით და ამბით მშვიდობით გადურჩი. ერთი ფეხი კიდევ გადავდგი. მომეხვია უმრავლესი.....

---

[10] ”იყვნენ”-ის შემდეგ გადახაზულია ”მართალია”.

[11] ”შევაფურთხე”-ს შემდეგ გადახაზულია ”კიდევ”.

III

კაცია, ადამიანი

“მოყვარეს პირში უძრახე,
მტერს პირს უკანაო”.

(გ ო ნ ი ე რ ი ა ნ დ ა ზ ა)

ზღაპარი, წინასიტყვაობის მაგიერი.

გაეგონა, რომ მგზავრობა გონებას უხსნისო; იმანაც აიღო თავისი გუდა და ნაბადი და შეუდგა მგზავრობასა. ერთს კარგად მოზდილს, ხავსმოკიდებულს გუბეს ზედ წააწყდა. ამ გუბიდამ მამაკვდინებელი ოშხივარი ბუღსავით ამოდიოდა: კაცს სული შეუგუბდებოდა, გონებას და გულს ობი ეკიდებოდა, მუხლი, წინ წასადგომად მოცემული, ეხუთებოდა. ყველამ იცის, გუბე რა მავნებელია.

შიგ მეტად მრავალი ცხოველი მოჩანდა, ნამეტნავად ორფეხნი, რომელთაც იქ ადამიანებსა ეძახოდნენ. ამ ადამიანებში ნამდვილნი ადამიანის სახის მქონენიც იყვნენ, მაგრამ ძალიან ცოტა. “ჰსჯობს, იქნების რაცა ძვირად”, – ეს სიტყვები ამ შემთხვევაში მისაღებნი არ უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ იქ მიღებული იყვნენ და დამტკიცებულნიცა.

თქვა მგზავრმა თავის-თავად:

– ამ გუბის ამბავი და ხსენება არსად არის: ჰსჩანს მეტად საძაგელი წუმპე ყოფილა, არა ღირსი ხსენებისა. ნეტავი მითხრას ვინმემ, რა უნდა ერქვას ამ საძაგელს, დამყაყებულს და ერთს ალაგს გაჩერებულს გუბესა?

მეორე მგზავრი შეესწრო იქავ და პასუხი მიუგო:

– ამ წუმპეს აქაურები სამასხაროდ ცხოვრებას ეძახიან, როგორც იმ ორფეხა ცხოველებს, რომელნიც შიგა ლპებიან, ადამიანებსა. აგე იქით რომ ხედავ ხალხსა ჯგუფათა, ისინი კი, ღვთის წინაშე, ადამიანები არიან: მათ შორის ყმაწვილებიც არიან და პატიოსანნი, გულმხურვალე მოხუცნიცა, მაგრამ ხომ ხედავ, რომ ისინი ისე ცოტანი არიან, რომ სხვანი ვერც კი ხედვენ, თუ კარგად გონიერად არ დააკვირდნენ; იმათ, იმ გულმხურვალეთ, ამ წუმპელებში პატივი არა აქვთ. ახლო რომ მივიდნენ, (მისულან კიდეც ბევრჯელ, მივლენ კიდენაც), მაშინვე ლაფს შემოასხმენ, თუმცა კი იმათა ლაფისა თავის დღეში არა შინებიათ და ლაფისაგან უკან არ დაუხევიათ. შენც გირჩევ ახლო ნუ მიხვალ, თუ შენი თავის სიფაქიზე გინდა, თორემ ის ორფეხა წუმპელები სულ წიხლებს ისვრიან, სხვა ასონი კი, ნამეტნავად თავი, უძრავათა აქვსთ. ზედ შემოგასხმენ ტალახსა[12].

– მე, ჩემო ძმაო, ერთი კაი სიტყვა მომაგონდა, – უთხრა პირველმა მგზავრმა, – სადღაც ამოკითხული: “ვისაც ტალახისა ეშინიან, ის გარედ არ გამოვაო”, ესეც კი ვიცი, რომ მარტო ვირი შედგება ხოლმე, როცა წინ ლაფი დახვდება, შედგება, – რაც უნდა კაი საქმეზედ მიდიოდეს, შედგება, – თუნდა იმ ლაფის მეტი სხვა გზა არ იყოს. ლაფისა ვირს ეშინიან, თუ შენთან უკაცრავოდ არ ვიქნები.

---

[12] ”ტალახსა” – გადახაზულია “ლაფსა”.

არამც თუ ახლო არ მივიდა პირველი მგზავრი, შიგ შესვლაც მოიწადინა. იმას იქ საქმე ჰქონდა. უნდოდა შეეტყო: ის გუბე, თუ სამასხაროდ რომ ვსთქვათ, ის ცხოვრება, რა თვისებისაა? უნდოდა ეცნო, როგორ და რაფრად ალპობს იგი ცხოველსა, მცენარესა, – ერთის სიტყვით – ყველასფერს, რასაც კი სიცოცხლე აქვს ჩასახული, ზრდა და აღყვავება მინიჭებული.

ამ განძრახვით შიგ შეტოპა. პირველშივე საფლობი ლექი დახვდა[13], რომელსაც რუსები "ტინა"-ს ეძახიან. აქედამ ხომ არ წარმოდგაო აქაური "ტვინიო", – ფიქრობდა მგზავრი. იქნებაო, დაატანა ზედ: თუ ხე ნაყოფით იცნობებაო, აქაური "ტვინი" რუსულის "ტინის" შედეგი უნდა იყოსო". ფილოლოგიას თავი დაანება[14], კარგიცა ჰქმნა: ფილოლოგიაში ბრმა იყო, როგორც ხედავს თითონვე მკითხველი.

ამ ლექსში ათასნაირი ქვეშემძრომი დაძვრებოდა: წურბელა, ჯიანყელა[15], სხვადასხვანაირი გველიცა, ბაყაყებიც იყვნენ.

მგზავრი წინ წადგა.

უჰ, რამდენი მყრალა ბალახ-ბულახი, მალვით იმ დამპალ წუმპის ქვეშ ამოზდილი, მოედო ფეხებზედ. რის ყოფით, ვაი-ვაგლახით ის დამპალი ბალახები, რომელთაგანაც მოწამლული იყო გუბე, მოაშორა ფეხებსა და თავი დაახწია.

გადადგა კიდევ წინ ფეხი. იქ კი სული შეუგუბდა, დაეხუთა ასე, რომ თავი იმ წუმპიდამ არ ამოეღო, კატასავით შიგ ამოიხჩობოდა.

რაც იმ გუბეში ცხოველები იყო, რომ სულერთიანად ანბანს შევადაროთ, გამოვა, რომ საცა სული შეუგუბდა და დაეხუთა, სწორედ იქ ასომთავრულები ჭყუპალაობდნენ და ლაფის გუნდების სროლით ოხუნჯობდნენ. კარგია, რომ ცურვა იცოდა და თვის გადასარჩენად გუბეზედ მოეტივტივა, თორემ იმისი გზა და კვალი პატრონს ჩაჰბარდებოდა. ერთხელ არ მომხდარა ეგა და ორჯერა.

შორს ვეღარ გაბედა გუბეში შესვლა. რაც აქამდინა ნახა, რომ გითხარ, მკითხველო, ისიც ხომ გითხრა, რომ ის წუმპელები იმ გუბეს სამასხაროდ "ცხოვრებას" ეძახიან. რომ შემიტყონ წუმპელებმა ეს სიტყვები, რამდენს ლანძღვას დამიწყებენ!... იმ წუმპიდამ რამდენი შემომაჭყაპუნებს ლაფიან წყალსა!... მე ეგ წინადვე ვიცი. იმიტომ ვიცი, რომ გაგონილი მაქვს, რომ მძოვრი მაშინ უფრო ცუდს სუნს ამოუშვებს, როცა ხელს ახლებ.

მაგრამ ის ერთი მუჭა ხალხი განაპირებული, რომელთ შორის ჭაბუკნიც არიან და პატიოსანნი მოხუცნიცა, თუ ამ აღწერას ჭეშმარიტებას შეამცნებს, დამლოცამს მე. იმ ერთ მუჭა ხალხის "ბარაქალა" (თუ ვეღირსე ამას) იმოდენა წუმპელების ხროვის "ბარაქალას" უნდა ერჩივნოს ყოველს იმას, ვინც იცის აზრის ააწონა[16] არა იმითა, რომ ათასმა თქვაო, არამედ იმითა, რომ ერთმა თქვა და კარგმა თქვაო: ოქრო მცირეა, მაგრამ ძვირია.

– გაინაპირე, ჩემო თავო, გაინაპირე, – დაუძახა თავის თავსა მგზავრმა, როცა სული ეხუთებოდა, – თუმა ამ გუბის ნაპირზედაც ფრთა ვერ გაიშლება, როგორც რიგია, თუმცა[17] ისევ იმ გუბის ოშხივარით არის მოწამლული ამ ნაპირის ჰაერი, რომელშიაც კვნესით სული უნდა იბრუნო, მაგრამ მაინც კიდევ იქა ჰსჯობია. თუმცა იქ სიკეთე არ არის,

---

[13] "დახვდა"-ს შემდეგ გადახაზულია "ამ ლექსში ათასნაირი ქვეშევრდომი დაძვრებოდა".

[14] "დაანება"-ს შემდეგ გადახაზულია "ფილოლოგ".

[15] "ჯიანყელას"-ს შემდეგ გადახაზულია "გველებიცა".

[16] "აწონას" შემდეგ გადახაზულია "არა რიცხვითა, არამედ ღირსებითა. ოქრო მცირეა, მაგრამ ძვირია".

[17] "თუმცა"-ს შემდეგ გადახაზულია "ეს ნაპირიც".

იქიდამა ჩანს მაინცა ის სიკეთე. იქიდამ შორს თვალს წარიტყვევს ლურჯი, ციაგნარევი, სუბუქი, გრილი, გულის და გონების გადამშლელი გუმბათი ცხოვრების მიმნიჭებელის ჰაერისა. იქ გული ხალვათია, გონების საფრენი ფართოა. იქ სულ ცხოვრების ფერად არის, და არა სნეულის ფერისა, როგორც აქა. იქ ცხოვრებაა, აქ გახრწნილება; აქ მზე ალპობს, იქა ჰბადავს და აცხოვრებს; აქ წყალი აობებს, იქ კი აგრილებს და ზრდას ახალისებს. გაინაპირე, ჩემო თავო! თუმცა ის სიკეთე შენ მოძმეთათვის და თვით შენთვისაც შორს არის, მაგრამ ისიც კარგია, რომ ხილვით მაინც დაჰსტკბე და შორიდამ თვალს წყალი დაალევინო, გლეხისა არ იყოს. ვისაც თვალი ისეთი გაწმენდილი აქვს, რომ სიკეთის ხილვა ეხალისებოდეს, იმას გულიც გაეწმინდება; ის თვითონაც სიკეთეს შეიძლებს. გაინაპირე, გაინაპირე, ჩემო მოძმევ!...

მაგრამ ხელცარიელი კი არ უნდოდა, რომ გაენაპირნა. ჰსთქვა:

– ერთი ორიოდე ქვეშემძრომი მაინც დავიჭირო, თუნდა წურბელა, თუნდა ჯიანყელა, რომ წუმპეში სიარულმა ტყუილად არ ჩამიაროს.

ესროლა ბადე და მოხვდა ქვეშემძრომსა. მძიმე რამ იყო და ძლივს გამოათრია ნაპირზედ "ვაი-ვაის" და "მეტკინას" ძახილითა.

– ვინა ხარ, რა სულიერი ხარ? – ჰკითხა მგზავრმა.

– კაცი ვარ, ადამიანი, – მიუგო იმანაცა.

– რომ არ გეთქო, ღმერთი, რჯული, ვერ მივხდებოდი. მართლა კაცი ხარ, ადამიანი?

– თავი არ მამიკვდება.

– თუ ადამიანი ხარ, მაგ დამპალ გუბეში ბაყაყებთან და ჯიანყელებთან რა გინდა?

– ბიჭოს!... თუ არ აქა, განა სხვაგან სადმე იცხოვრება!!!

– ხალხში, კაცებთან, კარგ ჰაერის ქვეშ და ნაყოფიერ დედამიწის ზემოთა.

– ფიე! კაცები არ არიან[18], რომ აქ არიან?

– სადა?

– ვერა ნახე? ბრმა ყოფილხარ.

– ეგ ღმერთმა იცის, მე ვარ ბრმა, თუ შენა. შენ ეს მითხარ, სად არიან? აი იმ გუბეში?

– გუბეში რას ჰქვიან? გიჟი ხომ არა ხარ? ჩვენი ცხოვრებაა ეგა.

– ზედაც დაგტყობია.

– როგორც ჩემ მოძმეებს დაჰსტყობია ზედა, ისეც მე.

– მართლა?

– თავი არ მამიკვდება. სუყველას ერთნაირი ნიშანი გვაძევს ზედა.

– მაშ კაი ნიმუში მომხვედრიხარ ხელში.

– კარგი, ნუ მასხარაობ, მამა ნუ წაგიწყდება. შენ სიტყვას აგძელებ, მე კი არა მკითხამ.

– რა უნდა გკითხო?

– ისა, რომ სინათლეზედ დიდხანს დგომა არ შემიძლიან, თავი დამანებე.

– რატომ არ შეგიძლიან?

– ჩვენ ძმაკაცსა სინათლე ეჯავრება.

– რათა?

– იმიტომ, რომ თვალებში ჰსწყინს.

– სინათლე განა საწამლავია, რომ ჰსწყინს?

---

[18] "არიან"-ს შემდეგ გადახაზულია "ბრმა ყოფილხარ".

– იქნება საწამლავიც არ იყოს, მაგრამ პატარაობაში გამიგია და გონებაშია ჩამრჩენია, რომ “დაუჩვევარს ნუ დამაჩვევ, დაჩვეულს ნუ გადამაჩვევო”, აი რისთვის გვეჯავრება სინათლე! არა ვართ დაჩვეულნი და არც გვინდა დავეჩვივოთ, იმიტომ რომ დაჩვეულს გადაგვაჩვევს ეს შენი მოწონებული სინათლე. მამიშენის მზეს – თავი დამანებე.

– შენც არ მამიკვდე.

– თუ გიყვარდე, თუ ჩემი ხათრი გაქვს და პატივი, გამიშვი, საცა დავბადებულვარ, იქავ მოვკვდე, თორემ თვალებმა სინათლისაგან ტეხა კიდეც დამიწყეს, ლამის მე ჩემი დამემართოს.

– როგორ არ მოგწყინდა იმ საძაგელ ალაგას ყოფნა, რომ ეგრე გინდა კიდევ იქ ყოფნა?

– იქნება მომწყინდა კიდეც, მაგრამ ნათქვამია: “ნუ დააგდებ ძველსა გზასაო” და ეხლა როგორ დავაგდო? არა, გეთაყვა, დამეხსენ, როგორც მიწერავს, ისე ვწერო.

– შენ, ჩემო მეგობარო, იშვიათი ადამიანი ყოფილხარ.

– შენ ისე გგონია. აი იქ ათასია ჩემისთანა და ათასზედ მეტიცა.

– მართლა?

– თავი არ მამიკვდება.

– მაშ ეხლა გაგიშვებ, აი!

– რატომ არ გამიშვებ?

– იმიტომ[19] აღარ[20] გაგიშვებ, რომ ნიმუშად მინდიხარ: შენ ათასსა ჰგვანებიხარ და ათასი შენა.

– ახლა რა გინდა, ვთქვათ თავი არ დამანებო?

– ქვეყანას მინდა დაგანახვო, რომ “კაცი ხარ, ადამიანი” – გზა და კვალი კი აგრევია.

– რას ამბობ, ადამიანო? – შეჰყვირა გულგახეთქილმა “კაცმა – ადამიანმა”, – ეგრე ამოტლაპული ვის უნდა დამანახვო? სირცხვილი არ არის?

– ჩემთვის, თუ შენთვის?

– ჩემთვის ხომ რაღა და შენთვის უფრო მეტი.

უფრო მეტი გულის ტკივილი და სიყვარული გამოიცნოს თითონ მკითხველმა.

IV

კაცია, ადამიანი

(მოთხრობა)

“მოყვარეს პირში ძრახვენო,
მტერს პირს უკანაო”.

(გ ო ნ ი ე რ ი ა ნ დ ა ზ ა)

მითამ ესეც წინასიტყვაობაა!!!

---

[19] ”იმიტომ”-ს შემდეგ გადახაზულია ”თავს”.

[20] ”აღარ”-ს შემდეგ გადახაზულია ”დაგანებ”.

სახელი ღვთისა ვახსენე, ავიკიდე გუდა-ნაბადი და შევუდეგი მგზავრობასა. ამბობენ, მგზავრობა გონებას უხსნისო. ერთს კარგად მოზდილს, ხავსმოკიდებულს გუბეს ზედ-წავაწყდი. ამ გუბიდამ მეტად ცუდი ოშხივარი ამოდიოდა: კაცს სული შეუგუბდებოდა, გონებას და გულს ობი მოკიდებოდა, მუხლი, წინ წასადგომად მოცემული, დაეხუთებოდა. ყველამ იცის, გუბე რა მავნებელია.

შიგ მეტად მრავალი ცხოველი მოჩანდა; მათ შორის ორფეხა ცხოველებიც იყვნენ, რომელთაც ჩვენში ადამიანებს ეძახიან. ამ ადამიანებში ნამდვილნი კაცებიც მოჩანდნენ, მაგრამ ძალიან ცოტა "ჰსჯობს, იქმნების რაცა ძვირად", დიდი ხანია ჩვენ ეს სიტყვები გვწამს.

ვჰსთქვი ჩემ-თავად:

– ამ გუბის ამბავი და ხსენება არსად არის: ჰსჩანს მეტად საძაგელი წუმპე ყოფილა, არა ღირსი ხსენებისა. ნეტავი მითხრას ვინმემ, რა უცნდა ერქვას ამ საძაგელს, დამყაყებულს და ერთს ალაგს გაჩერებულს გუბესა?

– ამ წუმპეს ქართველები სამასხაროდ ცხოვრებას ეძახიან, როგორც იმ ორფეხა ცხოველებს, რომელნიც შიგა ლპებიან, ადამიანებსა. ქართველი ხომ ოხუნჯია[21], აქაც კი უოხუნჯნია[22], როგორც ხედავ – ვიღაცამ წამჩურჩულა და ზედ დაატანა: ახლო არ მიხვიდეო, თუ შენი თავის სიფაქიზე გინდა, თორემ ის ორფეხა ცხოველები სულ წიხლებს იქნევენ, სხვა ასონი კი, ნამეტნავად თავი, სულ უძრავი აქვთ. ზედ შემოგასხმენ ტალახსა.

მაშინ მე ერთი კაი სიტყვა მომაგონდა, სადღაც ამოკითხული: "ვისაც ტალახისა ეშინიან, ის გარედ არ გამოვაო"; ესეც კი ვიცოდი, რომ მარტო ვირი შედგება ხოლმე, როცა წინ ლაფი დახვდება, შედგება, – რაც უნდა კაი საქმეზედ მიდიოდეს, შედგება – თუნდა იმ ლაფის მეტი სხვა გზა არ იყოს. ლაფისა ვირს ეშინიან.

არამც თუ ახლო არ მივედი. შიგ იმ გუბეში შესვლაც კი მოვიწადინე. მე იქ საქმე მქონდა. მინდოდა შემეტყო: ეს გუბე, თუ ცხოვრება, რა თვისებისაა? მინდოდა მეცნო, როგორ და რა ფრად ალპობს იგი ცხოველსა, მცენარესა, – ერთის სიტყვით – ყველასფერს, რასაც კი სიცოცხლე აქვს ჩასახული დ ზრდა და აღყვავება მინიჭებული.

ამ განძრახვით შიგ შევტოპე. პირველშივე საფლობი ლექი დამხვდა, რომელსაც რუსები "ტინა"-ს ეძახიან. აქედამ ხომ არ წარმოდგა ქართული სიტყვა "ტვინი"? იქნება. თუ ხე ნაყოფით იცნობება, ქართული "ტვინი" რუსული "ტინი"-ს შედეგი უნდა იყოს. ფილოლოგიას თავი დავანებოთ: მე იმის არა გამეგება რა.

იმ საფლობს ლექში ათასნაირი ქვეშემძრომი დაძვრებოდა. სულ ყველამ, ვისაც კი პირი ჰქონდა მარტო ჭამისათვის, ჭამას თავი დაანება და მე დამიწყო კბენა. ღმერთმა მიფარა, რომ არც ერთს ხეირიანი კბილი არ ჰქონდა: ზოგს ბევრის მჟავე-მჟუვის ჭამისაგან კბილი მოჰსჭროდა; ზოგისათვის კიდევ თითონ ღმერთს დაბადებითგანვე მჭრელი კბილი არ ეღირსებინა, ამან მიშველა, თორემ შენი მტერი!...

მე წინ წავდეგი.

---

[21] ავტოგრაფში წერია "უხუჯია".

[22] ავტოგრაფში წერია "უოხუჯნია".

– უჰ, რამდენი მყრალ ბალახ-ბულახი, მალვით იმ დამპალ წუმპის ქვეშ ამოზდილი, მომედო ფეხებზედ. რის ყოფით, ვაივაგლახით ის დამპალი ბალახები, რომელგანაც მოწამლული იყო იქაური ჰაერი, მოვაშორე ფეხებსა და თავი დავახწივე.

გადავდგი კიდევ წინ ფეხი. იქ კი სული შემიგუბდა, ასე რომ თავი იმ წუმპიდამ არ ამომეღო, კატასავით შიგ ამოვიხჩობოდი. რაც იმ გუბეში ცხოველები იყო, რომ ანბანს შევადარო, გამოვა, რომ საცა სული დამეხუთა, იქ ასომთავრულები ჭყუპალაობდნენ. კარგია რომ ცურვა ვიცოდი და თავის გადასარჩენად გუბეზედ მოვეტივტივე, თორემ ადრე და მალე ჩემი გზა და კვალი პატრონს ჩაჰბარდებოდა.

ჰოი, წმინდა, ცხოვრების მომნიჭებელო ჰაერო და ჩემო ცურვავ! თქვენ დამიხსენით, რომ იქ არ დავიმარხე, თორემ წავხდებოდი კაკალი კაცი.

შორს ვეღარ გავბედე გუბეში შესვლა. რაც აქამდინ ვნახე, ხომ გითხარ, მკითხველო! ისიც ხომ გითხარ, რომ ქართველები ამ გუბეს სამასხაროდ "ცხოვრებას" ეძახიან.

რამდენი დამიწყებს ლანძღვას!... რამდენი იმ წუმპიდამ შემომასხამს აყროლებულს წყალსა!... მე ეგ წინადვე ვიცი, იმიტომ რომ გაგონილი მაქვს, რომ მძოვრი მაშინ უფრო აყროლდება ხოლმე, როცა ხელს ახლებ.

რასაკვირველია, ვისაც თავის-თავი იმ წუმპეში ეგულება, ის გამიგულიანდება, ვისაც არა – ის ხომ ჩემკენ იქნება. ვაი რომ ეს უკანასკნელნი ძალიან ცოტანი არიან. ეს დასაღონია, დამაბრკოლებელი კი არა: ოქრო მცირეა, მაგრამ ძვირია.

– გაინაპირე, ჩემო თავო, გაინაპირე! თუმცა ამ გუბის ნაპირზედაც ფრთა ვერ გაიშლება, როგორც რიგია, თუმცა იქაც დამპალ ჰაერში უნდა სული იბრუნო, მაგრამ მაინც კიდევ იქა ჰსჯობია, იქიდამა ჩანს სხვა ლურჯი, ციაგ-გაკრული, სუბუქი, გრილი, გულის და გონების გადამშლელი გუმბათი ცხოვრების მომნიჭებელის ჰაერისა, იქიდამა ჩანს ჯანმრთელი ცხოვრებით აღბეჭდილი მინდვრები, ფუსტუხად აბიბინებულნი[23], და არა სნეულის ფერისანი და გადამხმარნი, როგორც აქა. იქიდამ ჩანს მწკვრივად კორდები მიყოლილნი. ის ნაყოფიერნი კორდები დიდის და სახელოვანის ცხოვრების ნაფეხურია, – და ის ხიდები, ზედგაბმულნი, წინად მცხოვრებსა გაუდვიათ მომდევართა მშვიდობისათვის და წინ წადგომისათვის. გაინაპირე[24], ჩემო თავო, გაინაპირე! იქიდამ ცხოვრება ჩანს, აქ კი გახრწნილებაა. აქ მზე ალპობს, იქიდამ კი ჩანს, რომ მზე ჰბადავს და აცხოვრებს. აქ წყალი აობებს, იქ კი აგრილებს და ზრდას ახალისებს. გაინაპირე, ჩემო თავო! თუმცა ის სიკეთე შენ მოძმეთათვის და თვით შენთვისაც შორს არის, მაგრამ ისიც კარგია, რომ ხილვით დაჰსტკბე და შორიდამ თვალს წყალი დაალევინო, გლეხისა არ იყოს.

მაგრამ ხელცარიელი კი არ მინდოდა რომ გამოვბრუნებულვიყავი. ვჰსთქვი: ერთი ორიოდე ქვეშემძრომი მაინც დავიჭირო, თუნდა წურბელა იყოს, ჯიანყელა მაინცა, რომ წუმპეში სიარულმა ტყუილად არ ჩამიაროს. ამ განძრახვით დავიწყე ნადირობა და ერთს ასეთს ტახს წავავლე ხელი, რომ უკეთესი აღარ უნდოდა. წავავლე მაშინვე ყურზედ ხელი და "ვაი-ვაის" ძახილით და "მეტკინას" ძახილით გამოვათრივე ნაპირზედ.

– ვინა ხარ? – ვკითხე მე – რა სულიერი ხარ?

– კაცი ვარ, ადამიანი, – მომიგო იმან.

– რომ არ გეთქო, ღმერთი, რჯული, ვერ მივხვდებოდი. მართლა კაცი ხარ?

---

[23] "აბიბინებულნი"-ს შემდეგ გადახაზულია "მრთელს".

[24] "გაინაპირე"-ს შემდეგ გადახაზულია "იქ ცხოვრ."

– თავი არ მამიკვდება! კაცი ვარ, ადამის ტომისა, ყმისა და მამულის პატრონი; ლუარსაბ თათქარიძეს მეძახიან.

– თუ ადამიანი ხარ, მაგ დამპალ გუბეში ბაყაყებთან და ჭიანყელებთან რა გინდა?

– ბიჭოს!... მაშ სად უნდა ვიყო?

– კაცებთან, თუ კაცი ხარ.

– კაცები არ არიან, რომ იქ არიან? ათასია ჩემისთანა და ათასზედ მეტიც. ბრმა ყოფილხარ.

– ეგ ჯერ ვინ იცის, მე ვარ ბრმა, თუ შენა. შენ ერთი ეს მითხარ, მაგ გუბეში არიან ისინიცა?

– გუბეში რას ჰქვიან, გიჟი ხომ არა ხარ? ჩვენი ცხოვრებაა ეგა.

– ზედაც გეტყობა.

– როგორც სხვას ეტყობა ზედა, ისეც მე.

– მართლა?

– თავი არ მამიკვდება.

– მაშ კი ნიმუში ხარ შენ, ჩემო ლუარსაბ, თუ ეგრეა.

– კარგი ნუ მასხარაობ, მამა ნუ წაგიწყდება! თავი დამანებე, სინათლეზედ ნუ გამომიყვანე.

– კიდეც იმიტომ მინდა ქვეყანას დაგანახვო, რომ ამოტლაპული ხარ გუბეში, რომელსაც შენ სამასხაროდ ცხოვრება დაგირქმევია: იქნება შეგრცხვეს ქვეყნისა და გაირეცხო[25].

– რაღა მე წამავლე, შე უღმერთოვ, ხელი[26], ათასია სხვა ჩემისთანა.

– აბა უფრო მაგისათვის წაგავლე, რომ შენ ათასსა ჰგევხარ და ათასი შენა! რაც ბევრს ეგვანები, უფრო კარგია. აქედ მობძანდი, აქედ, შენ ძვირფასი მარგალიტი ხარ.

წავავლე ყურზედ ხელი და გამოვსწიე. ლუარსაბი უგემურად დაიღმიჭა ამ ჩემი ნაზის ალერსისაგან და დამიყვირა:

– რომ მიგყევარ, სად მიგყევარ?[27]

– მოთხრობაში, ჩემო კარგო!

– მოთხრობა რა არი?

– პატარა ტილოა, ზედ ადამიანებსა ხატავენ.

– არ მინდა, არ მინდა! – დაიღრიალა საშინელის ხმით ლუარსაბმა: – ძმანო და ნათესავნო, მიშველეთ![28]

ლუარსაბის ღრიალზედ გამოცვივდა გუბიდამ ადამიანების ხროვა და ერთის ხმით დამიჭყივლეს:

– შენ ეი! რა გინდა მაგისაგან? გაუშვი ეგ ჩვენი ძმაკაცი, არავინ არ შეასწროს თვალი, თორემ არ ვიცით რასა გიქთ.

– თქვენ რა, რომ ეს დაინახოს ვინმემ, აბა თქვენ რა?

---

[25] ”გაირეცხო”-ს შემდეგ გადახაზულია ”ესეც უნდა იცოდე, რამოდენათაც ხერხიანად დაგაყენებ, რომ თავიდამ ფეხამდინ გაშინჯონ, უფრო კარგი იქნება”.

[26] ”ხელი”-ს შემდეგ გადახაზულია ”და აუწივე”.

[27] “მიგყევარ”-ს შემდეგ გადახაზულია “ცოლი მყავს, ცოლსაც წამოგიყვან, რძალიცა მყავს, იმასაც თან გაახლებ”.

[28] ”მიშველეთ”-ს შემდეგ გადახაზულია ”უნდა დამხატონ, თქვენც შერცხვებით და მეც, ხარი ხართან დააბიო, ან ფერს იცვლის, ან ზნესა. ამოდენა ხანი თქვენთან ვიყავ დაბმული, ყველა...”

– როგორ თუ ჩვენ რა? ხარი ხართან დააბიო, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო. ყველამ იცის, რომ დაბადების დღითვე ეგ ჩვენთან იყო დაბმული, ვინც მაგასა ნახავს – მითამ ჩვენც უნახვივართ[29]. ყველა იტყვის, ვისთან ეს ყოფილა – ყველა ამისთანა იქნებაო. ეს ჩვენ არ გვინდა, გესმის თუ არა?

– კარგად შემატყობინეთ, არ მესმის.

– აი ღმერთმა ნუ გაგაგონოს! როგორ არ გესმის? ჩვენი ლაფი მაგას აცხია და მაგისი ჩვენა, გაიგე? რომ მიგყავს, სად მიგყავს? მაგის შერცხვენა ჩვენი შერცხვენაა. ამოდენა ხანია ვიმალებით ამ ოხერს ადგილას და ჩვენის სახელისათვის გუბიდამ თავი ვერ ამოგვიყვია, უცხომ არ დაგვძრახოსო, დღეს კი შენ მოსულხარ, ქვეყანას უნდა გაჩვენოთო. სადაურია? თავი დაგვანებე, თორემ ტირილის სული მოგვდის.

– მეც ეგ მიხარიან, რომ თქვენ ესა გგავთ და მას თქვენა. იმისთვის მეძნელება ამის თავის დანებება, რომ კაი ნიმუშია.

– ფიე! თავი დაანებე, ქრისტიანულად გეუბნებით, თორემ კიჟინას დაგცემთ.

– რაც გინდა ჰქენით: ძაღლიცა ჰყეფს, მაგრამ ქარვანი კი მიდის ხოლმე.

– ლაფს გესვრით.

– რამდენიც გინდათ.

დამიშინეს საშინელი ლაფის სეტყვა და თან დამყვიროდნენ: გიჟია, გიჟია! მაგრამ არც ერთხელ მე არ მამხვედრია, სულ საწყალს ლუარსაბსა ხვდებოდა და წებოსავით ზედ ეკვროდა, ასე რომ იმათი ნიმუში ლუარსაბი ხომ ამოტლაპული იყო, უფრო ამოიტლაპა.

ახლა, მკითხველო, ზიანი ვის მიჰსცეს იმათა? მე, თუ თავიანთ თავსა? რასაკვირველია, თავიანთ თავსა, იმიტომ რომ თუმცა მე მესროდნენ ლაფსა, მაგრამ ის ლაფი ჯერ ხომ იმათ უსვრიდა ხელებს, მერე იმათვე პორტრეტს ხვდებოდა და მით უფრო ტალახის ფერი და ნიშანი ემატებოდა.

ვინც ლუარსაბის სახეში თავის თავს იცნობს[30], იმან ოღონდ კი გამოაჩინოს, რომ მე მგავსო, და დაე თუნდ საფლავის კარამდინ ასორსლოს გუნდებად ლაფი და "გიჟია" ეძახოს ამ მოთხრობის დამწერსა.

33. 5 სწერია] ჰსწერია BCD; 9 დაიწყებს] დაიწყობს BCD; 11 ვწერთ] ვჰსწერთ BCD; 12 სთქვას] თქვას BCD; 18 გულს] გულსა CD; სტკივა] ჰსტკივა BCD; 20 ცოდვად... გულისტკივილსა] გულისტკივილს ცოდვად უთვლიან BC; 21 ვუყოთ] უყოთ CD; იჩენს] აჩენს CD;

34. 6 ორსართულიანი] ორეტაჟიანი BC; 7 სართულები] ეტაჟები BC; 9 მოაჯრითურთ] მუაჯირითურთ BD, მუაჯრითურთ C; მოაჯარს] მუაჯირს BD, მუაჯარს C; 11 ჰთამაშობდა] თამაშობდა BCD; 20 სიგრძეზედ] სიგძეზედ BC; გაზიდული] განზიდული BCD; 21 გარშემო] გარეშემო BC; რომელიც] რომელიცა BC; 25 ნახევარი] კარი BC; 26 გადმოჰკიდებოდა] გადმოჰკიდებია C; გგონია] გონია BCD; 27 საცემლადაო] საცემლათაო CD; 28 იწყება] იწყობა BCD; დიაღ] დიახ BCD; 29 მოზრდილი] მოზდილი BC; 29 მხრივ+გორასავით B; 30 ნაპირზედ გორასავით] ნაპირზედ B; 29 – 30 მთელ. . . გორასავით] გორასავით მთელ კალოს სამხრეთის ნაპირზედ C.

---

[29] "უნახვივართ"-ს შემდეგ გადახაზულია "ეს ჩვენც არ გვინდა".

[30] "იცნობს" შემდეგ გადახაზულია "იმან ლაფი ესროლოს იმ".

35. 1 გვერდაწეული] გვერდაწევული C; 2 მინახავს] მინახამს BC; 3 ჩემს] ჩემ BC; 6 გგონია] გონია CD; 12 სთქვა] ჰსთქვა BCD; 13 საოხუნჯო] საოხუჯო CD; 15 არის] არი BCD; 16 ძველი] ძველის BCD; 17 იყო+რომ BC; მიგეღწიათ] მიგეხწიათ BD; 21 ფრთხილად] ფთხილად BC; 24 დარჩენილა] დარჩენილან B; 26 მოსტყდება] მოჰსტყდება BCD; 27 სახლის – BD; 30 თუ – BC; 32 ოთახი მაინც] მაინც კიდევ ოთახი BCD.

36. 1 სჯობია] ჰსჯობია BCD; 2 სჯობია] ჰსჯობია BCD; 3 მინახავს] მინახამს BCD; 4 მინახავს] მინახამს BCD; 9 მოსწყენია] მოჰსწყენია BCD; მოსწოლია] მოჰსწოლია BCD; 14 სჯობიაო] ჰსჯობიაო BCD; 15 ერთმანეთის] ერთი ერთმანეთის BC; 20 კედელზედ] კედელში BCD; 27 სხვანი და სხვანი] სხვ. და სხვანი C; 29 მკითხველნო] მკითხველო BD; 30 ღარიბს] ღარიბსა BCD; გულშეუტკივარად] გულშეუტკივრად BC; 32 კომლი – BC.

37. 3 მოზრდილი] მოზდილი BCD; 5 დაწყებული] დაწყობილი BCD; 6 რაღად] რაღათა BCD; სდგას] დგას BC; ჰსდგას D; 7 მკითხავს] მკითხამს BCD; 10 დიაღ] დიახ BCD; აქ სცხოვრებდა] აქა ცხოვრებდა BCD; 11 აუმღვრევლად] აუმღვრეველად BCD; 15 უკაცრაოდ] უკაცრავოდ BCD; 17 შეხედულება] შეხედულობა BCD; 19 ვაშლსავით] ვაშლისავით A; 20 აღმგზნები] აღმზნები B; 21 დასისხლიანებულნი] დასისხლებულნი BCD; 23 დიაღ] დიახ BD; 27 სჩანდა] ჩანდა BCD; 29 გატანილი] გადატანილი B;

38. 2 ჰყვავის] ყვავის CD; ჭლექები+უფროს ერთი BC; უფრო D; 3 არიანო] არიან ხოლმე B; არიანო ამბობენ] არიან C; ამბობენ ხოლმე – B; 8 ბრძანდებოდა] ბრძანდებოდა BCD; მისის] მის BC; 10 კიდევ მაინც - BCD; 11 ჰხედავდა] ხედავდა BCD; 12 რომ] რომა B; უსწავლელადაც] უსწავლელათაც BCD; 16 სკოლები] შკოლები BCD; 18 ჩვენს] ჩვენ CD; 19 სჭამენ] ჰსჭამენ BCD; ვეღარა] არა BC; 20 აღარ] აღარა D; მხურავს] მხურავ B; 21 განა – BC; 22 ხომ – BC; 27 დროს] დროსა BD; 28 დროში] დროშია BCD.

39. 2 სჯობს] ჰსჯობს BCD; ვთქვათ] ვჰსთქვათ BCD; 4 სწუხდა] ჰსწუხდა BCD; 8 სახლში] სახლშია BCD; 9 ქმრის] ქრმის B; 11 საღმრთო] სამღვთო B, სამღთო CD; 14 სცხოვრობდნენ] ცხოვრობდნენ BCD; 17 ნებიერმა] ნებიერ BC; 18 განაზება] დაზანტება BCD; 18 ის] ისე BCD; 20 რაღაცეებით] რაღაცებით C; 22 ბლომად] ბლომაც D; 24 იმისაგან+არ C; 25 რადა ჰცდილობს] რათა ცდილობს BCD; იმისთვის] იმისთვისა C; 27 აქვთ] აქვსთ BCD; 32 დამწერს] დამწერსა C; 33 იმის] იმისი [პირველ შემთხვევაში – ე. შ.] BCD; შეჰნატროდა] შენატროდა BCD;

40. 7 ერეკებოდეს+მოდი და ნუ დაიჯერებ, რომ "ცუდად ჯდომას, ცუდად შრომა ჰსჯობია", ე. ი. ბუზის რეკა BC; 15 – 16 არ ვწერ] არა ვჰსწერ C, არა ვჰწერ B, არა ვსწერ D; 18 გაუყრელნი] განუყრელნი B; 20 ჩამაფიქრებელია] ჩამაფიქვრელია BC; 21 შესძლო] შეჰსძლო BCD; 22 არც] არცა BC; 24 სჯობია] ჰსჯობია BCD; ამით] მით B; 27 ზემოთ] ზემოდ C; ბძანდებოდა] იყო BC.

41. 2 ესე] ისე BCD; ამის] ამისი B; 6 ეწვეოდა] ეწვევოდა BCD; 8 ვწერ] ვჰსწერ BC; ვჰწერ D; 9 დიდკაცად] დიდი კაცად B; 10 ბძანდებოდა] ბრძანდებოდა BCD; 14 ყოველ] ყოველმა D; 17 ერთმანეთს] ერთმანერთს BCD; 20 შუბლსაფენსა] შუბსაფენსა ABCD. [ილიას ტექსტში სწორება შეტანილია რედკოლეგიის გადაწყვეტილებით]; 26 ტყუილ-უბრალოდ] ტყუილუბრალო D; 29 სჩანს] ჩანს BCD; 32 სწმენდდა] ჰსწმენდდა BCD; 34 თითონ] თითქო A; გამოგილანძღავდა] გამოგილანძღამდა BCD.

42. 2 დაჰქოლავდა] დაქოლავდა BCD; დატუქსავდა] დასტუქსავდა BCD; 4 დაჰხვდებოდა] დახვდებოდა BCD; 11 დარეჯანმა] დარეჯან B; 12 ზემოხსენებულგვარი]

ზემოხსენებული გვარი BCD; 14 ჩამოსდის] ჩამოჰსდის BCD; 15 წითელ] წითურ BCD; სთქვა] თქვა BCD; 18 სთქვა] თქვა BCD; თავისი] თავის C; უბრყვილო] უბრალო BC; ლიტონის D; 19 ერთის] ერთი BC; 30 დასტრიალებდე] დაჰსტრიალებდე BCD.

43. 2 ტყუილუბრალოდაც] ტყუილუბრალოთაც CD; დასტუქსო] დაჰსტუქსო BCD; 3 გავლანძღავ] გავლანძღამ BCD; 4 გავუჯავრდები] გაუჯავრდები BC; დავტუქსავ] დავსტუქსავ B; დავწყევლი] დავჰსწყევლი BCD; 6 ოღონდაც, შენი მტერი] შენი მტერი BCD; 7 შედგა] შადგა C; 8 მისდგე] მიჰსდგე BCD, 13 ვთქვი] ვჰსთქვი BCD; 21 გამოიცანი] გამოიცან B; 28 სთქვა] თქვა BC; ჰსთქვა D.

44. 1 სთქვი] თქვი BCD; 4 დიაღ] დიახ BCD; 18 სთქვა] თქვა BCD; ნიშნის] ნიშის BD; დიაღ] დიახ BCD; 21 სთქვა] თქვა BD; 25 სთქვა] თქვა BCD; 27 სთქვა] თქვა BCD; 28 დალახვრა] დალახვროს C.

45. 1 სთქვა] თქვა BCD; 5 რა] რაღა D; 16 გოშიაობაზედ] გოშიობაზედ D; რომ] რო BCD; სჩანს] ჰსჩანს BCD; გულიც] გული BCD; 18 ტყუილუბრალოდაც] ტყუილ უბრალოთაცა BCD; 23 სთქვა] თქვა BC; ჰსთქვა D; 26 ამისთანა – D; 33 ვთქვა] ვჰსთქვა BCD; არ] არა BD.

46. 1 ვთქვი] ვჰსთქვი BCD; 3 მხიარულობის მხიარულების BC; 6 ჩვენს] ჩვენ C; 11 ტახტიდამა] ტახტიდანა D; 14 და – A; ანაბარას] სინაბარას BCD; 15 მუაჯირის] მუაჯრის BC; 16 გადასძახებდა] გადაჰსძახებდა CD; 20 დიაღ] დიახ BCD; 25 მადლიერი] მადრიელი B; 31 ჰკითხავდა] ჰკითხამდა BC.

47. 1 სთქვა] თქვა BC; ჰსთქვა D; 13 სთქვა] თქვა BCD; 15 შენს] შენ BCD; 17 სთქვა] თქვა BC, ჰსთქვა D. 30 აღარ] აღარა BC; 31 ვუჩვენებ] უჩვენებ C; 33 ათის] ათი BCD; 34 შეჰბმია] შებმია CD.

48. 2 დიაღ] დიახ BCD; 5 ჰჩემობდა] ჩემობდა BCD; მოსამსახურეების] მოსამსახურების C; 8 ბრძენი] დიპლომატი BC; ცისმარა] ცისამარა D; 9 მკბენარსავით] კბენარსავით BCD; 15 აქვთ] აქვსთ BD; სთქვა] თქვა BC; ჰსთქვი D; 16 მაძღარი] მაძღრები B; 17 აქვთ] აქვსთ BCD; ცოდნისაგან] ცოდნისაგანა BCD; აქვთ] აქვსთ BCD; 24 დალახვროს] დალახვრას B; 25 დასჭყივლებ] დაჰსჭყივლებ BCD; 26 გასძრავს] გაჰსძრავს BCD; 26 ვყოფილიყავ] ვყოფილვიყავ CD; 29, 30 აქეთ] აქედ A; 32 ნათქვამი] გლეხებზედ – BC.

49. 2 ჰლაპარაკობ] ლაპარაკობ BCD; ggონია] გონია BCD; 10 არის] არისო BC; ასხიაო] ასხია B; 13 ხომ – BCD; 14 დიაღ] დიახ BCD; 21 შეპარულა] შაპარაულა BD; ჩაუყლაპავს] ჩაუყლაპამს BCD; 27 დაუწყია] დაუწყვია ABCD; 32 დაგარჩობდნენ] დაგახჩობდნენ BCD; 33 ჩავყლაპავდი] ჩავყლაპამდი BC, 34 ვერ] არ BC.

50. 21 მიწაში+უნდა BCD; 28 გააქრობდა+სად არიან ეხლა ამისთანა პოლიტიკები? მერე ამისთანა გაჭირებაში რა რიგად ხელს გაგვიმართამდნენ: რამდენი საწერი გვაქვს. აბა ისინი დაჰსწერდნენ, აი! BC; 34 მსგავსისა] მგზავსისა BD; ზემოხსენებულია] ზემოხსენებული B.

51. 1 – 2 “ძველებურადა, ჩვენებურადა”] “ძველებურათა, ჩვენებურათა” BCD; 2 დაღლილის] დაღლილ BC; 4 გამოისახავდა] გამოისახამდა BC; 6 თავისის] თავის BC; 9 დიაღ] დიახ BCD; 10 ერთს] ერთი C; 12 რა – BC; ჰნახავდა] ნახავდა CD; 13 დიაღ] დიახ BC; 14 გახლავთ] გახლავსთ B; 17 ესრეთ] ესრედ C; 18 წუთისოფელში] წუთის სოფელშია BCD; 23 ჭკუის გონიერ] გონიერ ჭკვის C; 26 გრძლად] გძლად BCD; 28 დაბრძანდებოდა] დაბძანდებოდა BCD.

52. 1 ანაბარას] სინაბარას BC; 2 სცემდა] ჰკრავდა BCD; 10 უკაცრავად] უკაცრავოდ BCD; იკეთებდა] გაიკეთებდა BCD; 11 ვწერ] ვჰსწერ BCD; 13 იუბკების] იუპკების CD; 14 ასკინკილობს] ასკინკილაობს BC; 17 გაეტეოდა] გაეტევოდა BC; 22 ბაბალე] ბაბალევ BC; 26 კამბეჩი] კამეჩი BC; შეპარულა] შაპარულა D.

53. 6 შეგვაძლებინებს] შეგვაძლევინებს B; კიდევაც] კიდენაც BC; ყმანი] ყმა BC; 13 სცემდა] ჰსცემდა BCD; 14 მაცდურის] მაცთურის D; გადმოჰხედა] გადმოხედა BCD; 19 შეჰხედა] შეხედა BC; 29 სთქვა] თქვა BCD.

54. 1, 2 ჰხედავ] ხედამ BCD; 4 გავარდნილი] დავარდნილი B; 5 დავით] დავითი C; 6 მოუწვდებათ] მოჰსწვდებათ BC; 11 მეზობლიანთას] მეზობლიანთსა C; 12 იმათზედ] იმაზედ BC; 14 მოუთმენლად] მოუთმენელად BC; 16 თავისის] თავის BC; 17 მოგროვილის] მოგროვილ BC; უნახავს] უნახამს BCD; 18 იკრავს] აკრავს BC; 20 ჰლაპარაკობდა] ლაპარაკობდა BCD; თქვენის] თქვენი CD; 25 კი – CD; 26 გამოჰყო] გამოყო BC; 29 არა] არ BC.

55. 9 დედისერთა] დედის ერთი C; დამიმიწდეს] გამიმიწდეს BCD; 14 გვყვანდეს] გყვანდეს BD; ვუყავი] უყავი BC; 17 მომასწავლეს] მამასწავლეს CD; ვითამც] ვითამ BCD; 22 ჰო] ო B; 27 სტკივა] ჰსტკივა BCD; 30 სცოდნია] ჰსცოდნია BCD; 31 იმისი] ამისი BC; 32 ჰლაპარაკობდა] ლაპარაკობდა BCD; ვითომც] ვითომ B.

56. 2 ეგრეაო] ეგრეა BCD; 5 დარეჯანზედა+ბოლოს შეიტყობთ რაებიც მოუგონია BC; 8 მომავალი] მამავალი C; 10 ჩაჰყო] წაჰყო CD; 18 აქეთ] აქედ A; 20 სთქვა] თქვა B, ჰსთქვა D; 21 დარეჯანის] ქეთევანის ACD; [შეცდომით გაპარულია ავტორის მიერ დარეჯანისათვის პირველად დარქმეული სახელი "ქეთევანი" – ე. შ.]; 23 ბრძანდებით] ბძანდები BCD; 24 დავითი] დავით BC; 28 სთქვა] თქვა BC, ჰსთქვა D; 29 ნიშნის მოგებით] ნიშით BC; შეჰხედა] შეხედა BC; 30 სცემდა] ჰსცემდა BCD.

57. 2 ასე] ისე B; 3 დასიცხავს] დაჰსიცხამს BCD; 7 გასჭირებია] გაჰსჭირებია BCD; 8 გლეხობა] გლეხკაცობა BC; 11 გაჭირებულია] გაჭირვებულია D; 19 იმისთვის] იმისათვის BC; 21 ერთის] ერთი C; 24 ნამდვილის] ნამდვილი C; 25 სწორედაც] სწორეთაც BCD; 27 ბრძანებაა] ბძანებაა BC; 29 ბრძანებას] ბძანებას BCD; 33 საწერელობას] საწერლობას D; ჰთამაშობდა] თამაშობდა BCD.

58. 5 სთქვა] თქვა BCD; დარეჯანმა] ესა BC; 9 ბალახზედ და] ბალახზედ C; 10 მუცელზედა+და BC; 11 მშვენიერს] მშვენიერ BC; წარმოადგენდა] წარმაადგენდა C; აღვწერ] აღვსწერ D; 14 ხამის] ხამი CD; 15 გაირჩეოდა] გაირჩევოდა CD; 17 დახეულებიდამ] დახეულებიდან D; 18 დამპალის] დამპალ BC; 20 სდომებია] ჰსდომებია BCD; 21 გამონაცვალი] ჩამონაცვალი B; 23 უკაცრავად] უკაცრავოდ BC; და – BC; 24 ამოშვეროდა] ამოშვეროდნენ BCD; 26 ამგვარი] იმგვარი D; 28 გულხელდაკრებილი] გულხელდაკრეფილი BCD; 32 თვალდაფაციცებით] თვალგაფაციცებით C; 34 სწერსო] ჰსწერსო BCD.

59. 1 სთქვა] თქვა BCD; 2 სთქვაო] თქვაო BCD; 3 პირზე] პირზედ BD; 4 იბრუნებს] მიიბრუნებს B; 5 ჰცდილობს] ცდილობს BCD; მიმხვდარა] მიხვედრილა D; ჰმორცხობს] მორცხობს BCD; 6 აქეთ] აქედ A; 14 ჰღრინავს] ღრინავს CD; უფთხობენ] უფრთხობენ BC; 15 სდგას] დგას BCD; 19 შეჰნატრისო] შენატრისო] CD; 21 ვყოფილიყავი] ვყოფილვიყავი BCD; 23 ამ] იმ BC; 27 მისცა] მიჰსცა BCD; 28 მოიქეცი-თქო] მოიქეც თქო BCD; 32 გაქვთ] გაქვსთ BCD.

60. 9 გექნებოდათო] გექნებოდათ CD; 11 თქვენზედ] თქვენზე BD; 13 თუნდ] თუნდა C; 23 ჰნახავ] ნახამ BCD; 27 კახეთში – A; ნახევარიც] ნახევარი AD; 28 მოუვათ] მოუვა C; საიდამ] საიდამა BC; 30 არა] არ CD; ხომ – BC; შევირცხვენ 1 შავირცხვენ BD; 31 – 32 რომ ქირაობით ვიცხოვრო, თავადიშვილი ვარ – A.

61. 8 სთქვა] თქვა BCD; 11 სთქვა] თქვა BC; 16 სთქვი] თქვი BCD; 18 სთქვა] თქვა BCD; 22 სცხოვრობს] ცხოვრობს BCD; 25 ცოლმაც] ცოლმაცა CD.

62. 1 სთქვა] თქვა BCD; 2 მაშ] მაშა D; სთქვა] თქვა BCD; 3 სამის] სამი C; 4 გააგძელა] გააგრძელა B; 7 ქირაზედ ეტარებინა] ექირავებინა BC; 8 ეხლა+აი BC; 13 სთქვა] თქვა BD; 15 წარმოსთქვა] წარმოჰსთქვა BCD; 25 ამდენი] ამდვენი BC; უცემია+ამდვენი უცემია BC; დაუოსებია] დაუსიებია C; 30 სცემა] ჰსცემა BCD; 31 სცემოს] ჰსცემოს BCD; 32 ვსცემ] ვჰსცემ BC; სთქვა] თქვა CD; 33 უპასუხა] თქვა BC.

63. 1 სცემოს] ჰსცემოს BCD; ბიჭს] ბიჭსა BC; სცემოს] ჰსცემოს BCD; 7 სთქვა] თქვა D; 9 სცემოს] ჰსცემოს BCD; 10 დასძრახავს] დაჰსძრახავს BCD; 11 ვცემ] ვჰსცემ BCD; 12 სცემოს] ჰსცემოს BCD; 13 რამდენიც] რამდვენიც D; სცემოს] ჰსცემოს BCD; 20 ჭიქას] სტაქანს C; 22 მოსვა] მოსო BCD; 24 ნიკოლოზს] ნიკოლოოზს C; 25 მოახლისათვის] მუახლისათვის B; 26 წასჩურჩულა] წაჰსჩურჩულა BCD; 31 შესტკივა] შეჰსტკივა BCD.

64. 2 სთქვა] ჰსთქვა -BCD; 8 გაგვშრობია] გაგვშრომია CD; 11 სთქვა] თქვა CD; 16 მომხდარა] მომხვდარა D; 19 არაფრისა] არაფერისა CD; აღარ] აღარა BC; ეშინიათ] ჰსცხვენიანთ BC; 23 შევიტყე] შევიტყვე D; 24 სთქვა] თქვა BCD; 26 ჰნახა] ნახა BCD; 28 კარგად] კარგათ D; 30 გახსოვთ] გახსომთ CD; 32 დიაღ] დიახ BCD; 33 გველეშაპი] გველაშაპი B; გამოსდგომოდა] გამოჰსდგომოდა BCD.

65. 1 დიაღ] დიახ [ორივე შემთხვევაში – ე. შ.] BCD; 2 ქმარმა] ქმარმაცა BC; 4 უთქვამთ] უთქმოთ BCD; 5 დაიდაბლა+და უთქომთ B, და უთქომთ რომ D; 8 სთქვი] თქვი BCD; 9 ჩვენისავე] ჩვენივე D; 12 უნარია+ ქვეყანას შავყრი და სახლკარიანად ამოვბუგავ BCD; 16 სთქვეს] თქვეს BCD; სდგას] დგას BCD; დედამიწა+რომ C; 17 მოსტეხია] მოჰსტეხიაო BCD; გადაბრუნდესო] გადმობრუნდესო BC; 19 მოსტეხია] მოჰსტეხია BCD; 20 მომაგონდა] მამაგონდა BC; სთქვა] თქვა BD; 22 ერეკლეს – BCD; 27 სთქვა] თქვა BCD; 31 ბატონებადაო] ბატონებათაო BCD; 32 ბატონადა] ბატონათა BCD; ყმადაო] ყმათაო BCD; 33 ინგლისის] ინგლიზის BC; 34 დიდკაცებსაცაო] დიდკაცებსაო A.

66. 1 მინამ] მანამ A; 2 მანდ] მანდა BC; 5 სთქვა] თქვა BCD; 7 სწერია] ჰსწერია BCD; 14 ჰქმნათ] ქმნათ BC; 18 – 19 უთხრა ქმარს - BC; 19 ელისაბედზე] ელისაბედზედ BCD; ელისაბედზედ დარეჯანმა - BCD; 20 მოიგონა] მაიგონა C; 23 სთქვაო] თქვაო BCD; 24 მომაგონდა] მამაგონდა BC; ბევრჯერ] ბევრჯელ BCD; 27 მომაგონდა] მამაგონდა BCD; 29 ბრძენი] ბძენი D; 32 მოჰხდეს] მოხდეს BCD; სიფრთხილეს] სიფთხილეს BD.

67. 1 ასტკივდებაო] აჰსტკივაო BC, აჰსტკივდებაო D; 6 დაუყვირა] დაიყვირა BC; 9 შემდეგ – D; შემდეგ] უკან B; 11 იმას] იმასა BCD; ჩამოგვერთმევაო] ჩამოგვერთმევავო D; 13 დავარჩობ] დავახჩობო BCD; 16 ჰფიქრობს] ფიქრობს BCD; 18 იყბედებენ+იყბედებენ BCD; 19 სთქვი] თქვი BCD; 23 დიაღ] დიახ BCD; ბრძანდებით] ბძანდებით BC; 29 გაგება] მიგნება BC; 30 იყოს] იყოსო BCD; 32 იმათისავე] იმათ BC;

68. 2 დასტუქსავს] დაჰსტუქსავს BCD; 4 ბრძანებაა] ბძანებაა C; 7 თითებზედ] თითზედ D; 8 იმისთვის] ამისთვის B; 12 სთქვა] თქვა BC; დათომა] დათომ C; 13 მაშ] მაშა

BCD; ეხლა] ახლა D; 19 ჩამოგვერთოს] ჩამოგვართოს C; 25 მაგას] მაგასა BCD; კერძი] კერძო BCD.

69. 1 უბატონოდ] უბატონოთ BCD; 7 სთქვა] თქვა BCD; 8 ჯანიც] ჯანიმც B; 10 დიაღ] დიახ BCD; 11 როდი] როდის BC; 24 ვახშმად... გვაქვს] რა გვაქვს ვახშმად BCD; 25 მეუღლეს] ცოლსა BC; 26 მოაღწია] მოახწია BCD; 29 გვაქვს] გვაქს D.

70. 3 მზემ+რომ CD; რადაც] რათაც BCD; ჰღირს] ღირს BCD; 6 გასდის] გაზდის B; 12 მოუთმენლად] მოუთმენელად D; უკან] უკანა D; 13 სცემდა] ჰსცემდა BC; 18 ხვალისთვის დაიწყებდა] ხვალისათვის დაიწყობდა C; დაიწყებდა] დაიწყობდა D; 22 ვჭამოთ] ვსჭამოთ D; 23 გამოსარჩევი] გამოსარკვევი BD; 28 თავადმა] კნიაზმა BC; 29-30 სახელმწიფოდა ჰღირს] სახელმწიფოთა ღირს BCD.

71. 1 სჯობია] ჰსჯობია BCD; 3 ეხლა] ახლა BC; სჯობია] ჰსჯობია BC; 8 კარგად] კარგად BD; 9 სჯობდეს] ჰსჯობდეს BCD; 11 გაკეთებულს] გაკეთებულ C; 14 ქვაბ] ქვაბს BCD; 15 შემდეგ] უკან BC; სჯობია] ჰსჯობია BCD; 16 აღარ] აღარა BCD; არა] აღარა BC; აღარ D; 17 იტყვი+იტყვი BC; ხომ] რომ BC; 19 დაჟინებულ] დაჟინებულს BD; დანიჟებულს C; 21 სთქვას] თქვას BCD; ხვალ] ხვალე BCD; 28 სთქვა] თქვა BCD; 34 სჯობია] ჰსჯობია BCD.

72. 1 მაგონდება] მომაგონდება BC; მომდის] მომივა BC; მშიერიც] მშიერიცა BCD; 2 სჯობნებია] ჰსჯობნებია BCD; 3 წარმოსთქვა] წარმოჰსთქვა BC; 4 გგონია] გონია BCD; 5 ამბობო] ამბობ CD; 6 ჭკუისა] ჭკვისა BCD; 7 ძლიერის] ძლიერ BC; 9 წყალობა+თქვენა BC; 11 სიტყვებზედ] სიტყვაზედ BC; სდგეხარ] ჰსდგეხარ BCD; 13 ვდგევარ] ვჰსდგევარ BCD; 16 პირამდინ] პირთამდინ BC; 24 სტყუი] ტყუი BCD; ნიშნის] ნიშის BC; 25 კნეინამ] კნეინამა BCD; 26 ცოტა] ცოტად BCD; გაიძრახა] გაიზრახა D; 29 ეხლა] ახლა BCD; დაიჟინებ] დაინიჟებ B; 32 დასძახა] დაჰსძახა BCD.

73. 3 ეთქვა] ეთქო BC; 4 სწერიაო] ჰსწერია BCD; 5 და – BCD; 7 ჰნახა] ნახა BCD; 10 სთქვი] ჰსთქვი D; სჯობია] ჰსჯობია BCD; 15 ისე] ისევ BD; 21 ჰნახა] ნახა CD; თავისი] თავის BC; 12 აღიარება] აღვიარება BC; 30 სჯობია] ჰსჯობია BCD.

74. 1 სტყდები] ტყდები BCD; 5 თქვი] ჰსთქვი BCD; იცრუა] იცრუვა BC; 7 ვთქვი] ვსთქვი B; ვჰსთქვი CD; 8 მოიგონა] მაიგონა B; 10 ამდენი] ამდვენი C; დაბალ] დაბლა BCD; 12 სთქვა] ჰსთქვა BCD; 13 ვთქვი] ვჰსთქვი BCD; ამისა და იმისი] იმისი და ამისი BD; 15 მისძახა] მიჰსძახა BCD; 29 მამიკლავს] მამიკლამს BC; 33 კაცისთვის] კაცისათვის C; გექნა] გექმნა C.

75. 1 გიქნია] გიქმნია C; სჯობია] ჰსჯობია BCD; 3 დიაღ] დიახ BCD; მისვამს] მისვავს B; 6 ყოველთვის] ყოველთვინ D; 7 ზეცისა] ზეცის B; შენ] შენც BC; 8 მაგისთვის] მაგისათვის BC; სცდილხარ] ცდილხარ BCD; 9 სცხოვრობ] ცხოვრობ BCD; შენ+იმისათვის B; სცხოვრობ] ცხოვრობ BC; 9 – 10 სვა და სჭამო – BCD; 10 იმისთვის+რომ B; სჭამ] ჰსჭამ BCD; 11 რომ – B; შენც] შენ BCD; 14 კალთას] კალთის BC; 16 ოცი] ოცის BC; 18 შეერთო] შაერთო BCD; 19 გვარისშვილიც] გვარიშვილი C; 21 გაიზრახა] გაიძრახა BCD; 22 შეიკეროს] შაიკეროს BCD; ბუზმენტებით] ბუზმეტებით D; 23 მორთული – BCD; თუმანს] თუმანსაც B; 24 თავი+თავს BCD; ჩავიდეს] ჩასულიყო BC; 25 გავაჭენებ] გავაქანებ BCD; 26 შვილი] შვილის C; 29 დიაღ] დიახ BCD; პატიოსან] პატიოსანს A. მიყვარდით] შამიყვარდით C.

76. 5 გძელაძისაგან] გძელაძესაგან B; 7 აქეთ] აქედ A; 18 ლუარსაბთანა] ლუარსაბთან BD; 20 დასცინცლოს] დაჰსცინცლოს BCD; 21 მოჰხდა] მოხდა BCD; 24

სადილის შემდეგ] სადილს უკან BC; 30 უკაცრავადა] უკაცრავოთა B, უკაცრავათა CD; დაგიფრთხეთ] დაგიფთხეთ BCD.

77. 9 რაღადა] რაღათა BCD; 15 სთქვა] თქვა B; 17დიაღ] დიახ BCD; 19 დაუჯექ] დაუჯეგ C; 20 იამება+დიახ, ეს მამათქვენის სიტყვებია BCD; ნახვა] ნახვაც C; 22 ყველასგან] ყველასაგან BCD; 31 ეს] ეგ D; 33 ოცის] ოცი D.

78. 6 ჰფიქრობდა] ფიქრობდა BD; მოახერხოს] მაახერხოს CD; 8, 9 განზრახვით] განძრახვით BCD; 9 ჰლაპარაკობს] ლაპარაკობს CD; 15 დიდის] დიდი C; 19 ცრემლები] ცრემლი CD; 22 შევცდები] შევჰსცდები BCD; 26 უნდა] უნდოდა BC; 31 ეშოვნათ] იშოვეს BCD; 33 შე-

79. 1 ნაშობი+შვილი BC; 2 თქვენ ხომ – B; 5 მომიკვდა] მამიკვდა C; 6 აქეთ] აქედ A; შინიდამა] შინიდამ BCD; 7 არის] არი BCD; 10 გავაგრძელო] გავაგძელო BC; 11 სჯობია] ჰსჯობია BCD; რომ+მე BC, 12 აქეთ] აქედ AB; 14 შევხვდებოდი] შავხვდებოდი CD; ვკითხავდი] ვკითხამდი BC; 19 შენის გულითადის] შენი გულითადი BD; შენის] შენი C; 21 მუხლებზედ] მუხლზედ BC; მოვეხვიე] მოვეხვიე BC; 22 მუხლებზედ] მუხლზედ C.

80. 2 უბედურის] უბედურ CD; 3 ჰფიქრობთ] ფიქრობთ BCD; 4 ჰდნება] დნება BCD; 5 უნებლიედ] უნებლიეთ BC; 10 არც+კი BC; 11 შენა] შენ BD; 13 შთამომავლობა] შთამამავლობა A; 16 ნათესაობა] ნათესავობა BC; დიანბეგია] დიამბეგია D; 18 წუხელაც] წუხელიც CD; 29 მორცხობით] მორცხვსავით BC; სიტყვაზედ] სიტყვებზედ BCD; 30 გინახავს] გინახამს BCD; 31 მინახავს] მინახამს BCD; 32 დამრთავთ] დამრთამთ BCD.

81. 1 სთქვა] თქვა CD; 5 იმისგან] იმისაგან BCD; გათავდებოდა] გათავებული იქნებოდა BC; 8 სდგას] დგას BCD; 9 სდგასო] დგასო BCD; 10 იმაზედ] იმაზე D; 13 მაშ . . . რაღა – BC (შეცდომების გასწორებაში აღნიშნულია, რომ გამოშვებულია ფრაზა “მაშ არა იქს?” C); 16 მაშ] მაშა BC; 21 ჩემს] ჩემ CD; 26 არ] არა BCD; 31 დავულბოთ] დაულბოთ BC; 32 ცხვირპირჩამოშვებულმა+და BC.

82. 1 შესწუხდები] შეჰსწუხდები BCD; 5 ჰნახა] ნახა BCD; 6 ვუთხარიო] უთხარიო BC; 9 გამოგვართმევენ] გამოგართმევენ B; 10 რამდენს] რამტონს BCD; 11 თუმანზედ] თუმანზე BCD; 14 რა] რამ BC; 16 მოვუჭიროთ] მოუჭიროთ BC; დავსტყუოთ] დავჰსტყუოთ BCD; 19 დილაზედ] დილაზე BCD; 20 შენც] შენ BC; 22 ქა – BCD; 23 დავუჭერ] დაგიჭერ BCD; 24 მომაბადა] მამაბადა BCD; 28 ორჯერ] ორჯელ BCD; 29 და პურმარილობაში – D; 31 იმის] ამის BC; 32 გვარს] გვარსა B.

83. 3 გაწურთვნილია] გაწურთვნილი BC; 7 ნუღარ მკითხავ] ნუღარა მკითხამ BCD; 9 სიტყვაზედ] სიტყვებზედ BCD; 11 დიაღ] დიახ BCD; 13 გამორჩენა] გამორჩომა BC; 16 იკითხავს] იკითხამს BCD; 23 სთქვა] თქვა BCD; აპირებსო] აპირობსო BCD; 24 გადაგიწყვეტნია] გადაგიწყვეტია BCD; 27 დასტყუოს] დაჰსტყუოს BCD.

84. 5 სთქვი] თქვი BCD; მოიყიდე] მოისყიდე B; 12 არის] არი BCD; 13 იტყუა] იტყუვა BC; 21 ნეტავი+ეგ BC; ჩემს] ჩემ BCD; 22 მე მაგას ბოლო] მაგას ბოლო მე BCD; მოვუღო] მოუღო BC; 25 აქეთ] აქედ A; 28 ერთს] ერთ B; 32 მომეცი და+თუნდ BCD.

85. 3 გააგრძელა] გააგძელა BC; 11 დასაწერად] საწერად C, წერის საწერად D; გადასწერდნენ] გადაჰსწერდნენ BC; 12 მათრევენო] მათრევენ D; 13 გამორჩენა] გამორჩომა BCD; 17 დაარჩობდა] დაახჩობდა BCD; 20 გამოაშკარავდეს] გამოაშკაროს D, გამოაშკაროს გულზედ მოსულმა ლუარსაბმა, რომ გამოაშკაროს BC, 22 კიდევ] კიდენ D; 23 მომცა] მამცა

BCD; 24 გავარდეს] გავარდნია B; ერთის] ერთი BCD; 25 სითხილეს] სიფრთხილეს BC; 26 სჯობია] ჰსჯობია BCD; 30 რადა] რათა BCD.

86. 1 მეორე] მეორეს C; 8 ირთავს] ირთამს BCD; 11 მოსწონს] მოჰსწონს BCD; 13, 14 , 15 უნახავს] უნახამს BCD; 18 ჩემს] ჩემ BCD; 25 აქეთ] აქედ A.

87. 2 ეხლა] ახლა BCD; 6 ნიშნის] ნიშანის BC; 8 სანახავადაც] სანახავათაც BCD; 10 ჩემს] ჩემ BCD; 11 გადავწერ] გადავსწერ D; 17 ჰნახავს] ნახავს BCD; 18 მიჰქარავ] მიჰქარავო BCD; 22 ჰნახავს] ნახავს BC; 26 ბეედ] ბეთ BCD; 27 მისცა] მიჰსცა BCD.

88. 3. მოვულბობ] მოულბობ BCD; 6 სწუხს] ჰსწუხს BCD; 7 რაო] რა BD; 8 მამიკვდები] მომიკვდები CD; 9 შენის] შენი C; ჩემს] ჩემ CD; უბედურს] უბედურ D; 15 აპირებს] აპირობს BCD; 27 ჰხედავს] ხედავს BC, ხედამს D; 31. სთქვა] ჰსთქვა BCD; 32 ჰფიქრობს] ფიქრობს BCD; 33 სუტ-კნეინამა] სუტ-კნეინამ BCD; 34 მსუქანის] მსუქანი BCD.

89. 5 გამორჩენის] გამორჩომის BC; 7 სთქვა] თქვა BCD; გამორჩენაა] გამორჩომაა BCD; 16 ჰნახა] ნახა BCD; რომ] რო D; 17 კისერზედ] კისერზე BCD; 19 ლამაზად] ლამაზათ D; 20 გაგცეს] გაგვცეს BC; 24 – 25 თუ გინდა] თუნდა BC; 27 ვერ] არ BC; 28 ჯერ] ჯერა BC.

90. 1 სთქვი] თქვი BCD; 2 ჩემს] ჩემ CD; 4 შეკერვა] შაკერა B, შაკერვა C; 6 გავსწორდებით] გავჰსწორდებით BC; 7 მოსტყუვდა] მოტყუვდა BCD; 8 გავაგრძელო] გავაგძელო BCD; 11 აღტაცებულმა ლუარსაბმა – BC; აქაო და] რომ BC, აღტაცებულმა რომ D; 12 გარიგდაო] გარიგდა BCD; 15 მისწერა] მიჰსწერა BCD; 17 აღმატებულო ბედნიერო – BC; 19 აღსავსე] აღავსე B; 26 აწ] აქ C; აწ – D; 28 ჩემს] ჩემ C; დიაღ] დიახ BC; 29 ნათესაობა] ნათესავობა BC; გყავს] გყავთ B; 30 უნათესაო] უნათესავო BCD; როგორათაც+რომ BCD.

91. 2 ნოშრევანისძე] ნოშრევანიძე D; 3 გძელაძე] გძელაძიანთ გვარისა BC; 7 ავად] ავათ CD; 8 კარგად] კარგათ D; 9 გასინჯოს] გაშინჯოს B; 10 დავითი] დავით D; 11 დავითი] დავით B; 13 ამასთან] ამასთანა BCD; 20 ავადა] ავათა CD; თასლიბს] თესლიბს D; 21 ისე – BCD; ავადმყოფი] ავათმყოფი კაცი BC, ავათმყოფი D; 22 იმდენი] იმდვენი B; 23 ნათესაობა] ნათესავობა BCD; 26 კისერზედ] კისერზე D; 27 ბძანა] ბრძანა D; 28 სჯობიაო] ჰსჯობიაო BCD; 29 კი – D; ჰნახოს] ნახოს BCD; 30 წამშივე] წამსვე B; მომიკვდება] მამიკვდება BCD; 33 სთქვა] თქვა CD.

92. 2 ტკბილად] ტკბილათ D; ერთმანეთს] ერთმანეთი BCD; 4, 8 სჯობია] ჰსჯობია BCD; 6 გავაგრძელოთ] გავაგძელოთ BC; 8 ჩემის] ჩემი BC; სთქვა] თქვა D; 9, 11 ჰდნება] დნება BCD; 14 მიბძანებთ] მიბრძანებთ D; სთხოვა] ჰსთხოვა რჩევა BC, ჰსთხოვა D, 16 გადასწყვიტეს] გადაჰსწყვიტეს BC; 20 დავითი] დავით CD; 24 სთქვა] თქვა BCD; ღიმილით] ღიმილითა BC; 26 მოვუგდო] მოუგდო BCD; 30 ჰთამაშობდა] თამაშობდა B, თამაშობდა; რომ სუტკნეინა CD; 33 გავწიე] გავჰსწიე BCD.

93. 5 გგონია] გონია CD; 8 ჰხუმრობ] ხუმრობ BCD; 12 მაშინაც] უწინაცა BCD; 15 სადაც] საცა BC; 21 ცხენსავით] ცხენისავით BD; 26 სოფლიდან სოფლად] სოფლად-სოფლად BD; 27 თუმნად] თუმნათ B.

94. 4 მოსემ] მოსემა BC; 16 ვთქვი] ვჰსთქვი BCD; 23 ჩამოგარჩო] ჩამოგახჩო BC, ჩამოგახრჩო D; 24 სიფრთხილეს] სიფთხილეს BD; 27 წყალობა+თქვენა B; 28, 30 ხელსახოცის] ხელცახოცის B; 29 ეხვია] ეხვივა CD; 31 ხელუხლებლად] ხელუხლებელად CD; ჰნახა] ნახა BCD; 32 მოჰხვდა] მოხვდა BCD; 34 დასტყუვა] დაჰსტყუვა B.

95. 1 თავისი – A; 3 დავანებო] დავანებოო BCD; 5 მივწერ] მივჰსწერ BCD; მზითევს] მზითებს B; 6 ვუმზადებ] უმზადებ BCD; 11 მზად] მზათა BCD; 12, 24 ეხლა] ახლა BCD; 13

შენის] შენ B, შენი D; 16 დიანბეგს] დიამბეგს BCD; წარვუდგენთ] წარუდგენთ BCD; 22 გასწიოს] გაჰსწიოს BCD; 26 ესტიბარი] ეხტიბარი CD; მომდის] მამდის BCD; 27 თუნდ+რომ გატყუებდე B; 30 მომატყუებ] მამატყუებ BC; დამრჩება] დამჩება B; 33 მოსემ] მოსემა BCD.

96. 2 ქვეშსაგებიც] ქვეშაგებიც BCD; 3 ჰქნა] ქნათ BC, ქნა D; 6 გაინძრა] გაიძრა BCD; 9 გამოსწია] გამოჰსწია BCD; 12 მოახერხა] მოიხერხა C; 15 ჰგონია] გონია BCD; 21, 23 მისწერა] მიჰსწერა BCD; 21 მზითევს] მზითებს B; 23 ვუმზადებო] უმზადებო BCD; 24 რთვა] დართვა BD; 30 რცხვენოდა] ჰსცხვენოდა BCD; 31 გადმოხტა] ჩამოხტა BC.

97. 4 ქალი+ჯერ BCD; 8 მომიკვდები] მამიკვდები CD; 9 შეჰხედა] შეხედა BCD; 11 შეირთავდი] შეირთამდი BCD; 16 – მე CD; 25 გავუყრი] გაუყრი BCD; 30 უგანზრახვოდ] უგანძრახვო BCD; 31 მხრით+ჯერ BCD.

98. 2 ზრდილობასაც] ზდილობასაც BCD. 4 წაჰსკდა] წაჰსქდა C; სირცხვილით] საწყალი ცეცხლსავით BCD; 6 უმსგავსო] უმგზგავსო BCD; მღვდელს] ღვდელს BCD; 9 ჯვარს – BC; მღვდელმა] ღვდელმა BCD; 11 ესა] ეგა BCD; 27 რომ ჩემს] რომა ჩემ BC; ჩემს] ჩემ D.

99. 2 მოსემ] მოსემა BC; 6 წარმოსთქვა] წარმოჰსთქვა BCD; 8 აქეთ-იქით] აქედ-იქით A; 9 ჰნახეს] ნახეს BCD; ამათი] იმათი CD; კი – B; 11 მოახდენდა] მოაჰხდენდა B; 13 ჩემის] ჩემი BCD; 14 თავით+მაგას BCD; 20 აქეთ] აქედ A; 24 ირთავ] ირთამ BCD; 26 უპასუხა+დავითმა BC.

100. 2 მისცა] მიჰსცა BCD; 6 მოვუხერხებ] მოუხერხებ BC; 9 საწყალ] საწყალს BCD; 11 მისცა] მიჰსცა BCD; 15 მზეთუნახავის] მზედუნახავის B; 17 ქმარს] ქმარსა BCD; 18 ნიშნი] ნიშანი BC; მოეგო] მოგეგო BD; 24 მაგრამ+ალბათ BCD; 32 მეორისთვის] მეორისათვის BCD.

101. 1 დაიწყებს] დაიწყობს BCD; 4 სთქვა] ჰსთქვა BCD; ბევრჯერ] ბევრჯელ BC; 5 თაობას] თავობას BCD; 8 თაობა] თავობა BCD; 10 სჯერდებიან] ჰსჯერდებიან BCD; 20 ბევრჯერ] ბევრჯელ BCD; 25 ჩასცხო] ჩაჰსცხო BCD;

102. 5 პირჯვრისწერით] პირჯვარის წერით BC; 8 სთქვეს] თქვეს BCD; 18 ალბათ] ალბად D; 19 ღვთისმშობელი] ღვთისშობელი B.

103. 1 ერთ] ერთს BC; 4 თავის+წითელს BC; 6 უამისოდაც] უამისოთაც BCD; 8 წელში გაყრილი – BCD; 12 გრძელფოჩებიანი] გძელფოჩებიანი BCD; 15 ხმლის] ხლმის BCD; 17 ფეხამდინ] ბოლომდინ D; 21 გამოჰხედა] გამოხედა BCD; 29 არა] არ BCD; 32 სწამს] ჰსწამს BCD; 33 ჩაჰყლაპავს] ჩაყლაპავს BCD; დასცდისო] დაჰსცდისო BC.

104. 8 დაწანწალებს] დაწაწანებს B; დაწაწალებს CD; 10 მოსჭრიანო] მოჰსჭრიანო CD; 14 სთქვი] თქვი BCD; 22 რუსების] რუსეთის D; 23 შენის] შენი BC; 24 თვალმაქციობას] თვალმაქცობას D; ჰთამაშობენ] თამაშობენ BCD; 25 გინახავს] გინახამს BCD; 32 ღმერთმა] ღმერთმან BC.

105. 2 ვთქვი] ვჰსთქვი BCD; 3 თვალთმაქცობაა] თვალთმაქციობაა BCD; 6 სთქვი] თქვი BCD; 9 რაღაცაებია] რაღაცეებია BC, 11 მოსთვლის] მოჰსთვლის BC; 16 ხვრინვა] ხვრინა BCD; 21 გაუჩნდებოდათ] გაუჩნდებათ BCD; 21 – 22 ყმაწვილმა . . . თვე – A; 24 ასტკივდა] აჰსტკივდა BCD; 30 კალთაში] კალთაშია CD; 32 მისცა] მიჰსცა BCD.

106. 2 ვინავარდოო] ვინავარდოვო BCD; ჰკლავდა] ჰკლამდა BCD; 3 უყოლობა] უყოლიობა B; ამისთვის] ამისათვის BCD; 4 უბედურება] უბედურობა BCD; 5 აქეთ] აქედ A;

8 ჰფიქრობდა] ფიქრობდა (ორივე შემთხვევაში) BCD; იმაზედ] იმაზედა C; 16 სთქვა] თქვა BCD; 20, 21 ჰშობე] შობე BCD; 24 შენ] შე B; 26 წუხელის] წუხელ B; 29 იაკობიო] იაკობო BCD; მაგიერადაც] მაგიერათაც BCD.

107. 8 ამაების] ამაებისა BCD; 17, 20 ჰშობე] შობე BCD; 21 როგორ] როგორა BC; 27 რომ] რო D; 28 ერთს] ერთ BC; 29 წამომაროშვინებს] წამომაროშინებს BC; 30 იმდენი] იმდვენი [ორივე შემთხვევაში] BCD.

108. 2 მღვდელსაც] ღვდელსაც BCD; შესცდებაო] შეჰსცდებაო BC; 3 აწყენინო] აწყინო BCD; 8 ჰნახა] ნახა [ორივე შემთხვევაში] BCD; 9 არის] არი BCD; 11 ვინავარდოო] ვინავარდოვო BCD; სტკივა] ჰსტკივა BCD; 13 ჰქნას] ქნას C; 15 სალოცავადა] სალოცავათა BCD; 17 უამისოდაც] უამისოთაც BCD; 18 გამიტეხია] გამიტეხნია BCD; 19, 26 მღვდელსა] ღვდელსა BCD; 21 მოსთვლის] მოჰსთვლის BCD; 23 მიწაზედ] მიწაზედა BC; ჰხედავს] ხედავს BCD; 24 იქნება] იქნებ D; 25 სჭამს] ჰსჭამს BC.

109. 1, 2 დასძლევს] დაჰსძლევს BCD; 3 დავუძლევივარ] დაუძლევივარ BCD; 6 ჰნახა] ნახა BCD; 10 დავითს+კი BC; 11 გასჭრა] გაჰსჭრა BCD; 12 ჯავრით] ჯავრითა B; 15 ლუარსაბს] ლუარსაბსა BC; 16 ავადა] ავათა BCD; 17 ჰხდება] ხდება [ორივე შემთხვევაში] BCD; ძალიანაც] ძალიანაცა B; 18 რომ+ყველაფერი ესმის და B; 19 სტირის] ტირის BCD; მოტირალე] მომტირალე B; 21 ჰხტიან] ხტიან BC; 22 ავეჯეულობა] ავეჯულობა B; 25 სიტყვებზედა] სიტყვაზედა BC; 26 სთქვას] თქვას BCD; მისცემთო] მიჰსცემთო BCD; 29 ჰქნას] ქნას BCD; 32 შეხვდი] შეხვდა D; 35 გულმოდგინედ] გულმოდგინეთ BCD; 36 აბეზღებს] აბიზღებს B.

110. 6 მღვდლებიც] ღვდლებიც BCD; ასწიეს] აჰსწიეს BCD; 10 სასაფლაოზედაც] სასაფლავოზედაც BC; სთქვას] თქვას BCD; დამმარხავთო] დამმარხამთო D; 13 სდგას] დგას BCD; დიანბეგს] დიამბეგს BCD; 14 ჰბოდავ] ბოდამ BCD; 16 ჰხვნეშის] ხვნეშის BCD; ჰწვალობს] წვალობს BCD; 17 ჰკანკალებს] კანკალებს BCD; 25 მისწყდა] მიჰსწყდა BCD.

111. 1 ზემოდამ] ზემოდამა. ეხლა კი ვეღარ მოითმინა BCD; 3 ამოსულიყო+და CD; 7 მოიღო] მაიღო CD; 8 ისევ] ისე BC; ასე – BCD; 9 ფილაქვანზედ] ფილაქანზედ B; გაშოტილი] გაშოტვილი BCD; 15 ჩასძინებოდა] ჩაჰსძინებოდა BCD; 18 გასცა] გაჰსცა BC; 20 აგურებზედ] აგურებზედა BCD; უძრავადა] უძრავათა BCD; ჰგდია] გდია BCD; 27 ჰხედავდა] ხედავდა BD; 28 დიაღ] დიახ BCD; 29 ჩემს] ჩემ BCD; 30 მოჰხდაო] მოხდაო BCD; 33 ჰხედავს] ხედავს BCD.

112. 1 ლუარსაბს] ლუარსაბსა CD; 5 გაუქნივა] დაუქნივა D; 7 სთქვა] თქვა BCD; 10 ცოტაღა] ცოტად ღა BC; 13 სიზმრის] სიზმარის D; 18 ვუყვარდი] უყვარდი ABCD; დამაცალოს] დამაცადოს BC; 20 ვყოფილიყავ] ვყოფილვიყავ BCD; ვუჩვენებდი] უჩვენებდი BC; 23 ჰლაპარაკობს] ლაპარაკობს CD; 28 მომაყარე] მამაყარე BCD; 29 მიწაში] მიწაშია CD; 31 ცარიელი] ცარიელის D.

113. 2 ჩაუკრავს] ჩაუკრამს ABCD; 5 ჰყვიროდა] ყვიროდა D; მოაჯრიდამ] მუაჯირიდამ BCD; 9 ჰყვიროდა] ყვიროდა CD; 15 კიჟინაზედ+და ვაივაგლახზედ BCD; 18 შეესწარ] შაესწარ C; 19 ჰწიოდა] წივოდა BCD; 20 იმისი] ამ თავის BCD; 21 ჰნახა] ნახა BCD; ეხლა] ახლა BCD; 23 გადასძახა] გადაჰსძახა BCD; 29 ხანდისხან] ხანდიხან BC; 31 შემომხედე] შამომხედე BCD; 33 სთქვა] თქვა BCD; შეჰხედა] შეხედა BCD; 34 ჰლაპარაკობდი] ლაპარაკობდი BCD.

114. 3 გაშოტილი] გაშოტვილი BCD; 4 მმარხავდნენ მმარხამდნენ] CD; საფლავიდამ] საფლავიდან BC; 9 ლუარსაბთან] ლუარსაბთანა CD; შემოსცინა] შემოჰცინა BCD; 15 კარგადა] კარგათა BCD; 28 ეს] ის BC; 31 სტიროდი] ტიროდი BCD.

115. 10 შემოვარდა] შამოვარდა BC; 12 ჩამჩიაშვილს] ჩამჩიშვილს BC; 13 იმისთვის] იმისათვის BC; 14 მკითხაობაც] მკითხავობაც C; 15 არა] არ C; 17 შენს] შენ [პირველ შემთხვევაში] BC; 19 მოიყვანე] მაიყვანე BC; 25 რომ] რო BCD; 31 ავადმყოფს] ავათმყოფს BD.

116. 1 რომ – BCD; 2 უშენოდაც] უშენოთაც CD; 11 გგონია] გონია CD; 16 შეჰხვდა] შეხვდა BCD; 17 გულთამხილაობა] გულთამხილავობა BCD; 18 ფიქრადაც] ფიქრათაც BCD; 19 ყველაფერი+რომ BCD; 22 სთქვა] თქვა BCD; 23 მოუთმენლად] მოუთმენელად D; 31 შეჰხედეს] შეხედეს BCD; 33 მიჰხვდებოდა] მიხვდებოდა BCD; მიჰხვდა] მიხვდა BCD.

117. 1 ჭექა-ქუხილის დროს] ჭექა-ქუხილში BCD; 5 გასცა] გაჰსცა BCD; 6 გოგოს] გოგოსა BC; 8 მომიტანე] მამიტანე CD; დანა+და BCD; 12 იქმნება] იქნება C; 14 მოიტანა] მაიტანა CD; 19 გიკითხვინებიათ+კარგი გიქმნიათ, რომ გიკითხვინებიათ BCD; 23 ამისთანა+საოხარი BC; გულთამხილაობა] გულთამხილავობა BCD; 25 ვითომ] მითამ BCD; 27 წყალში] წყალშია C; 31 გასწყვიტა] გაწყვიტა CD; 33 წასძახეს] წაჰსძახეს BCD.

118. 5 მკითხავისათვის] მკითხავისთვის CD; 7 არის] არი CD; 12, 16 დიაღ] დიახ BCD; 13 გასწყვიტა] გაჰსწყვიტა BCD; 14 გადაიქცნენ] გადიქცნენ CD; 18 არა] არ BCD; 27 შევხედავ] შევხედამ BCD; გასინჯე] გაშინჯე BCD; დავხუჭავ] დავხუჭამ B; 29 ჰნახე] ნახე BCD.

119. 3 ჭირიმე] ჭირიმეთ CD; 6 ჰყვიროდა] ყვიროდა BCD; აქეთ] აქედ AB; 9 ჰყვირი] ყვირი BC; 13 დაგარჩობს] დაგახჩობს BCD; 17 გრცხვენიან] გცხვენიან BCD; 20 დავუძახებ] დაუძახებ BC; 26 ამოსაღებად] ამოსაღებათ BCD; 27 ჰნახეს] ნახეს BCD; 32 სთქვა] თქვა BC; 33 თქვენის] თქვენი BCD; ჰნახოთ] ნახოთ BCD.

120. 1 უჩვენოდ] უჩვენოთ CD; 1, 14 ჰნახე] ნახე BCD; 2 გვინახავს] გვინახამს BCD; 5, 6 შემოიტან] შამოიტან BCD; 5 ჰყვიროდა] ყვიროდა B, უყვიროდა D; 15 შენ] შენა BCD; 17 მინახავს] მინახამს BCD; 23 არის] არი BC; ჰნახავდნენ] ნახავდნენ BCD; 26 ორმოდ] ორმოთ BCD; 27 სთქვა] ჰსთქვა BCD; 28 წასჩურჩულა] წაჰსჩურჩულა BCD; 29 ჰხედავ] ხედავ BC.

121. 5 მაშ] მაშა B; ჭიაკოკონობას] ჭიაკოკოლობას CD; 6 გადაჯდებიან] გადააჭდებიან D; 12, 15 მკითხაობა] მკითხავობა BCD; 16 შენთვის] შენთვინ BCD; აქიმობაო] ექიმობაო CD; 19 სოლომონ] სოლომან B; 26 მომაგონე] მამაგონე BC; 28 სახლში] სახლშია D; 31 ტანში] ტანშია B.

122. 2 სთქვა] თქვა BCD; 6 მკითხაობა] მკითხავობა B; 9 ორივენი] ორივე [ორივე შემთხვევაში – ე. შ.] BCD; 12 არა] არ B; 12, 15 ჰხედავდა] ხედავდა BCD; 14 ჩემს] ჩემ BC; 20 ჩემმა] ჩემ C; გასჭრა] გაჰსჭრა BCD; 23 რაღაცა] რაღაც BCD; 26 სთქვი] თქვი BCD.

123. 2 ორივენი] ორივე [ორივე შემთხვევაში – ე. შ.] BCD; 12 დაიჟინებ] დაინიჟებ BC; 13 ასეა] ესეა BC; 14 სოლომონ] სოლომან B; 15 ეტყვი] იტყვი B; 23 მშვენიერს] მშვენიერ CD; 29 შევხტი] შავხტი BD; 30 არა] არ BCD.

124. 2 შეხტი] შახტი BCD; 3, 4 შევხტებოდი] შავხტებოდი BCD; 4 ისე] ასე B; დავცემულიყავი] დავცემულვიყავი D; 5 გავსკდებოდი] გავჰსკდებოდი BCD; თვალთ] თვალი BCD; 6 გავწიოთ] გავჰსწიოთ BC; გავსწიოთ D; 9 გულაღმა] გულდაღმა BCD; 12 მოჰხდა] მოხდა BCD; 14 დავითიანთ+კი B; 15 გამოიბრუჟა] გაიბრუჟა C; 18 ორიოდ ჭიქა]

ორიოდე სტაქანი BC; ჭიქა] სტაქანი BC; 19 გადაჰყლაპა] გადაყლაპა BCD; 20 ესეც+ცოტა BC; 21, 30, 31 ჭიქა] სტაქანი BC; 25 შენ] შენც BC; დავლიეთ] დავლევთ D; 26 მივეცი] მივეციო BC; 27 არა] არ B; 33 უამისოდაც] უამისოთაც BCD.

125. 2 ზედა] ზედ BCD; ჰშორდებოდა] შორდებოდა BCD; ქვეითი] ქვევითი C; 3 ჩამოეშვა] ჩამოეშვო BCD; 5 მიუშვა] მიუშვო BCD; მოდუნებულს] მოდუნებულ BCD; 6 ტიტინს] ტიტინი BCD; 7 შესცინოდა] შეჰსცინოდა BCD; 10 ჩემს] ჩემ BCD; 11 ვინღა] ვიღა BCD; 13 შავის] შავი BCD; 15 ვიცოდე+მე BC; მომერევა] მამერევა BCD; 24 დაირქვა] დაირქო BCD; 25 ჩამომართმევ] ჩამამართმევ BC; 27 შენმა] შენ BCD; 29 მომიკაკვა] მამიკაკვა B; 30 სანაძლეო] სანაძლევო BCD; 33 ოხრადა] ოხრათა BCD; რაღად] რაღათ BCD.

126. 1 შენს] შენ BD; ახლა+მგონია D; 2 ზის] გიზის C; ჰზის D; მგონია] მგონი BC; მგონია – D; ჭყუმპალაობს] ჭყუპალაობს BCD; 4 ეხლა] ახლა [ორივე შემთხვევაში] C; 9 შესრულდება] შასრულდება B; 8 გასწევს] გაჰსწევს BCD; 12 დავუვლი] დაუვლი BCD; ეხლა] ახლა BCD; 13 ვუთხარი] უთხარი BCD; 14 სთქვა] თქვა BCD; სთქვი] თქვი BCD; 32 გამოს... ძრომია] გამოჰს...ძრო...მია BCD.

127. 2 ჰბოდავდა] ბოდავდა BCD; რაღაცეებსა] რაღაცეებსაცა BD; კიდეცა] კიდეც BCD; 12 სჯობდეს] ჰსჯობდეს BCD; 17 რამოდენმამე] რამოდენიმე C, რამოდენამე B, რამოდენმა AD; 18 ბრუნვამ] ბრუნვამა BC; გამოსცვალა] გამოჰსცვალა BCD; ზურგზედ] ზურგზედა BC; 21 მისცა] მიჰსცა BCD; 23 ჩაიცა] ჩაიცო BCD; 25 ფეხთ] ფეხთით BCD; 27 აძინებდა] დააძინებდა CD; 31 ამასთანაც] ამასთანაცა BD.

128. 1 განსხვავებითი] განსხვაებითი B; 4 მოართვა] მოართო BCD; 13 წაიწერონ] წააწერონ BC; 19 საბოდიშოდ] საბოდიშოთ BCD; უფროსთაგანს] უფროსთაგან BC; 21 ეხლა+მე BC; 25 არის] არი BCD; 27 სტკიოდეს] ჰსტკიოდეს BCD; დაინახავ] დაინახამ BCD; 30 წაიკითხავ] წაიკითხამ BCD; 32 გარშემო] გარეშემო BC; 33 ნახავდი] ნახამდი BCD.

129. 4 დედაკაცობა] კაცობა BCD; 6 მთელი] ერთი BC; 7 მინახავს] მინახამს BCD; 10 ორივენი] ორივე CD; იმიტომ] იმიტომა BCD; ჰხედავდნენ] ხედავდნენ BCD; 13 სჩანს] ჰსჩანს BCD; 17 თუ+ამასთან BC; 19 მომიგონე] მამიგონე ABCD; 23 ვმალავ] ვმალამ BC; 24 ჩვენდა] ჩვენ BC; 28 დაბადებულან] დაბადებულა BC; გაზრდილან] გაზდილა BC; გაზდილან D; 29 იმათ] ამათ BC; დასცინებ] დაჰსცინებ BC; თავისთვის] თავისათვის BCD; 30 დასტირებ] დაჰსტირებ BCD; 30, 31 სჩანს] ჰსჩანს BCD; 30 სწუხარ] ჰსწუხარ BCD; 31, 34 გასწორების] გაჰსწორების BCD; 34 განზრახვა] განძრახვა BC.

130. 3 რამოდენადაც] რამოდენათაც BCD; 9 ჰნახოს] ნახოს BCD; 17 ჰყოფილხარ] ყოფილხარ BCD; გულხელდაკრებილს] გულხელდაკრეფილს C; 19 არა] არ D; 21 ბრძანდებოდეთ] ბძანდებოდეთ BCD.

გლახის ნაამბობი (გვ. 131 – 219)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი K, № 1044, გვ. 1 – 30 (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. "საქართველოს მოამბე", 1863, № 1, გვ. 7 – 53 (C); ჟურნ. "კრებული", 1873, № 1, გვ. 1 – 95; № 2, გვ. 1 – 56; № 3, გვ. 1 – 39 (D); "გლახის ნაამბობი", 1879, პეტერბურგი, ა. საფაროვის გამოცემა (E); თხზულებანი, 1892, ტ. II, გვ. 3 – 140 (A).

ს ა თ ა უ რ ი ს ქ ვ ე შ: (პირველი ხუთი თავი ჯერ არ დაბოლოებულ მოთხრობისა) C.

თ ა რ ი ღ ი: არა აქვს BCE, პეტერბურგი, 1859 წ. D, 1862 A[31].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: მ. ჯიმშერიძე C.

B ავტოგრაფი დიდი ფორმატის ქაღალდზე შავი მელნით ნაწერია და შეიცავს ნაწარმოების მეორე ნაწილს – VI თავიდან XII თავამდე (ავტოგრაფის VI თავი უდრის ჩვენი გამოცემის VII თავს დ შესაბამისად ყველა მომდევნო თავის ნომერაცია იძლევა სხვაობას).

B ავტოგრაფი ილია ჭავჭავაძეს კირილე ლორთქიფანიძისათვის გაუგზავნია ჟურნ. "კრებულში" დასაბეჭდად (იგი დაიბეჭდა კიდეც (1873 წ. "კრებულის" №№ 2, 3-ში; ავტოგრაფი დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში კირილე ლორთქიფანიძის არქივში).

C-ში (ჟურნ. "საქართველოს მოამბე", 1863, № 1) ნაწარმოების მხოლოდ I – V თავებია დაბეჭდილი, რაც ჩვენი გამოცემის I – VI თავებს უდრის (აქ I – II თავი გაერთიანებულია და დაბეჭდილია I თავად).

D-ში (ჟურნ. "კრებული", 1873, №№ 1, 2, 3) დაბეჭდილი ტექსტის I თავი იწყება ჩვენი გამოცემის II თავიდან (შესაბამისად ყველა მომდევნო თავის ნომერაცია იძლევა სხვაობას), ხოლო ჩვენი გამოცემის I თავი აქ წინასიტყვაობის მაგივრობას ასრულებს.

D-ში თარიღი უზის მხოლოდ № 1-ში დაბეჭდილ ტექსტს "პეტერბურღი 1859 წ." (ე. ი. I – VI თავები ილიას პეტერბურგში ყოფნის დროს დაუწერია).

"გლახის ნაამბობის" I – VI თავების ადრინდელი მონახაზი, უფრო სწორად, მისი ჩანასახი, გვხვდება დაუმთავრებელ მოთხრობებში "კოლა" და "კაკო", რომლებიც ილიას სტუდენტობის დროს, 1858 – 1859 წლებში, დაუწერია (მოთხრობის პირველი ნაწილი 1859 წლით არის დათარიღებული მოგვიანებით – 1873 წ. ჟურნ. "კრებულის" № 1-ში).

1862 წელს იგივე თავები მწერალმა ხელახლა გადაამუშავა და დაბეჭდა კიდეც 1863 წ. ჟურნ. "საქართველოს მოამბის" № 1-ში (ამის გამო მთელი ნაწარმოები 1862 წლით არის დათარიღებული 1892 წ. გამოცემის II ტომის სარჩევში).

ჟურნ. "საქართველოს მოამბის" დახურვის (1863 წ.) შემდეგ, 1864 წლის აპრილიდან, ილია ჯერ ქუთაისში, ხოლო იმავე წლის ნოემბრიდან დუშეთში გადავიდა სამუშაოდ და მოუცლელობის გამო "გლახის ნაამბობის" მეორე ნაწილი დაუმთავრებელი დარჩა. მისი დასრულება ავტორმა შეძლო ჟურნ. "კრებულის" დაარსების მეორე წლის ბოლოდან – 1872 წ. დეკემბრიდან – 1873 წ. თებერვლამდე[32] და ხსენებულ ჟურნალში დაბეჭდა კიდეც მოთხრობის მთლიანი ტექსტი (1873 წ. №№ 1, 2, 3).

---

[31] თარიღი წარმოდგენილია წიგნის ბოლოს დართულ სარჩევში.

[32] იხ. ილიას პირადი წერილები დუშეთიდან: 1872 წ. 9 დეკემბრის თარიღით – ჟურნ. "კრებულის" ერთ-ერთ რედაქტორთან, კირილე ლორთქიფანიძესთან; 1873 წ. 15 იანვრის თარიღით – ჟურნ. "კრებულის" რედაქტორთან, ნიკო ნიკოლაძესთან; 1873 წ. 29 იანვრის თარიღით – ისევ კირილე ლორთქიფანიძესთან და ბოლოს 1873 წ. 1 თებერვლის თარიღით – თავის მეუღლესთან, ოლღასთან.

”ჩვენ ”გლახის ნაამბობს” მივეცით ფართო თარიღი 1859, 1862 – 1873, ჩავსვით ოთხკუთხა ფრჩხილებში და მოვათავსეთ ქრონოლოგიურ ჩარჩოში 1873 წ. თებერვლამდე.

ამ მოთხრობის ძირითად წყაროდ ავიღეთ მწერლის სიცოცხლეში უკანასკნელად გამოქვეყნებული ტექსტი – ქართველთა ამხანაგობის გამოცემა 1892 წ. ტ. II, რომელიც ავტორის ბოლო ნებას გამოხატავს.

131. 2 ქმნას] ქნას CDE; B დროზედ... მოვა] თუ დუშაში არ მოუვა CD; 6 საკვირველად] საკვირვლად C; დაბურულს] დაბურულ CDE; 7 მილეულის] მილეულ C; ნათვალევის] ნათვალევ C; 8 მოუწყინარი] მოუწყენარი E; 10 ყველას] ყველასა CDE; 13 საღმრთო] სამღთო C, სამღვთო DE; 15 მინახავს] მინახამს C; 16 მის] მისს CDE; 19 მიურბის] ექცევა CD; 22 ირმის] იმის D; მისი] მის C.

132. 3 დაუახლოვდა] მოახლოვდა CD; 4 საყვარელის] საყვარელ C; 6 ჰნახოთ] ნახოთ CDE; 7 გაფეთებით] გაფოთებით C; 8 დაიწყებს] დაიწყობს CDE; ნაღვლიანის] ნაღვლიან C; 9 გაგანიერებულის] გაგანიერებულ C. სუნის] სულის CDE; 12 შემოიკრიბაო] შემოიკრიფაო CDE; 13 დამალულს] დამალულ CDE; 15 სუნი] სული CDE; 17 გაირთხო] გაიფრთხო CDE; 18 მიესალმოს] მიესალამოს CDE; 21 ჰნახოთ] ნახოთ CDE; 22 უდრტვინველად] უდრტვივნელად C; მშვიდად] მშვიდათა C; მშვიდადა DE; 28 და როცა] როცა კი C; შეიშრობდა+და C; 29 ქმნილებათა] ქმნულებათა CDE; 31 ვუთმობთ] უთმობთ CDE.

133. 1 ჰკვდები] კვდება DE; 2 მოკლებულნი] მოკლებული CDE; 5 თხუთმეტიოდე] ხუთმეტიოდ CE; ხუთმეტიოდე D; 7 ჩვენს] ჩვენ CD; 11 სოფელს] სოფელ C; 16 ნათელ-მირონად] ნათელ-მირონათ E; 18 აღარ] აღარა CDE; 19 მშვენიერს] მშვენიერ CD; 20 ორლულიანი+შტუცრის CD; 23 იწყებოდა] იწყობოდნენ CDE; 25 გარშემო... სჩანდა] გარეშემო... ჰსჩანდა CDE; 26 აყრილის] აყრილი CDE; 30 ჩამომივლია] ჩამამივლია CDE; 31 იქ – C; დამინახავს] დამინახამს C;

134. 2 სჯიჯგნიდა] ჰსჯიჯგნიდა CDE; 3 გასაკვირვლად] გასაკვირველად CDE; 4 დილაზედ] დილაზე E; 5 მწოლიარე] მწოლარე CDE; 6 მოჰრეოდა] მორევოდა C, მორეოდა DE; 8 გამოვკითხავ] გამოვჰკითხავ C, გამოვჰკითხამ DE; 9 მეთქი – C; კითხვაზედ] კითხვაზე DE; 19 მისწყდება] მიჰსწყდება C; ამვლელ-ჩამვლელი] ამვლელ-ჩამომვლელი CE; 22 ჰთხოულობს] თხოულობს CDE; 24 გაუწყრებოდა] გაწყრებოდა D; 30 გამოგიკითხავს] გამოგიკითხამს C; 32 როგორ არ გამომიკითხავს] როგორ არა, გამომიკითხამს C.

135. 1 ძმობილო] ძმობილოო C; 5 ნაწვეტმა] ნაწყვეტ CD; 7 გავიზრახე] გავიძრახე CDE; 14 ვსთქვი] ვჰსთქვი CD; 19 გადღეგრძელოთ] გადღეგძელოთ CD; 23 შეიკრიბა] შეიკრიფა CDE; 27 მოზრდილი] მოზდილი CDE; 28 მოჰხვედრიაო] მოხვედრიაო CDE; 30 ლეკური] ლეკურ C, ლეკურის D; ნაბდის] ნაბადის AE; 32 სხვილი] სხვილის E; მოზრდილი] მოზდილი CDE; 33 ერთგული] ერდგული CDE; ყოველის] ყოველ C; 34 სჩანდა] ჰსჩანდა CDE.

136. 2 მისის – CD; მისის] მისი E; 3 სიცხოვლე] სიცხოველე D; 4 პირქუშად] პირმქუშად CDE; 6 უნახავს] უნახამს C; შესწრებია] შესწრობია C; 8 მოუკლავთ] მოუკლამთ C; სანახაობა] სანახავობა CDE; 9 ვსთქვა] ვჰსთქვა CDE; 11 სდიოდა] ზდიოდა

CDE; 14 დაგვემილის ხმით] დაგვემილ ხმითა C; 18 მეტყველებას] მეტყველობას CD; 19 ვგრძნობდი] ვჰგრძნობდი CDE; ჩემის] ჩემ CD; 21 და – C; მეთქვა] მეთქო CDE; 22 ბრძანდები] ბძანდები ACD; 23 ჩემს] ჩემ CD; ბრძანდები] ბძანდები CDE; 29 ბძანებთ] ბრძანებთ E; 32 უნდა] მე უნდა C; წამოვმდგარიყავი] წამომდგარვიყავი CDE; 34 პატიოსნურ] პატიოსნურის DE.

137. 5 ჩარდახის] ჩარდახისა D; 7 კაცსავით] კაცისავით CDE; 12 ვა] ვაი CE; 18 გასწირავს] გაჰსწირავს CDE; 23 სთქვა] თქვა CE; შეჰხედა] შეხედა CDE; 24 გახვეულის] გახვეულ C; 25 ”ვეფხვისტყაოსნის”] ”ვეფხვისტყაოსანის” DE; 27 უკვდაო] უკვდავო C; 29 ვთქვი] ვჰსთქვი CDE; ჩემს] ჩემ CD; 30 გასცილდა] გაჰსცილდა DE, გაჰცილდა C, 31 გამიგრძელა] გამიგძელა CDE; 33 დიდის] დიდი C.

138. 3 ჩემსკენ] ჩემკენ CD; 4 შესცვლოდა] შეჰსცვლოდა C; 8 ვთქვი] ვჰსთქვი CDE; გამვარდეს] გავარდეს CE; 12 ბრძანებაა] ბძანებაა E; 13 ვყოფილიყავი] ვყოფილვიყავი CDE; 18 დიაღ] დიახ CDE; 20 თუნდა] თუნდ CDE; მოჰკითხავს] მოჰკითხამს C; 22 ძალადა] ძალათა CDE; 28 სთქვა] ჰსთქვა CDE; 32 სთქვი] თქვი CDE.

139. 2 მეთქვა] მეთქო CDE; 3 გავუსხვაფერე] გაუსხვაფერე ACDE; 13 გინდ] თუნდ CDE; 16 მეც] მეცა CDE; 21 აღსარებად] აღსარებათ E; 22 მოვასწარ] მოვაჰსწარ C; 27 ვაღიარებ] ვაღვიარებ CDE.

140. 7 ჩემის] ჩემი CDE; 10 მაღალის ღმერთის] მაღალ ღვთის CD; 13 ვუყვარდი] უყვარდი CDE; 15 ბაშვის ამბავი] ბაშვი C, ბავში D; 16 ალიაქოთს] ალიანქოთს C; 17 შევიჩვიე] შევიჩვივე CD; 18 ჩვენი] ჩემი CDE; 19 სიყვარულად] სიყვარულათ E; 20 დაჰხედავს] დახედავს CDE; 22 და+ადრეულად CD; 28 ვუყვარდი] უყვარდი CD; 29 უფროს-უმცროსობაში] უფროს-უნცროსობაში CD; 33 ჩავიწურავდი] ჩავიწურებდი CE; 34 გავიტარებდი] გავატარებდი CDE.

141. 4 სთხოვა] ჰსთხოვა CDE; 11 აცხონოს] აცოცხლოს ACDE; 20 ალმური] ალიმული CD, ალუმული E; 24 ვსთქვი] ვჰსთქვი CD, ვჰთქვი E; 26 დამიხსნა] დამისხნა DE; 27 ბავშვი] ბაშვი CD; იტყოდა+იტყოდა CD; 34 ირჩია] ირჩივნა CD.

142. 3 შევჩვივნენ] შეეჩვევიან CDE; 4 შეზრდილობა] შეზდილობა CDE; 4 გრწამს] გწამს CDE; 9 შევიმჩნიე] შევიმცნიე C; 12 მარტოდ] მარტოდ-მარტო CD; 15 ობოლის] ობოლი CD; 16 ქალაქში] ქალაქშია CD; 19 იმისთვის] იმისათვის CDE; 21 ვთქვი] ვჰსთქვი CDE; ჩემს] ჩემ CDE; 22 მეთქი – C; 25 დაგვყაროსო] დაგვყაროს CDE; სთქვას] თქვას CE; 26 გვინახავდა] გვინახამდა CE; 27 სულს] სულსა CD; 29 დარეკვის] დარეკის CD; დაკვრის E; 30 რაღაცა] რაღაც CE; 31 ისე] ასე CD; 33 შეეჩვია] შეეჩვივა CD; 34 – 35 და სახლს დავგვიდი – E; 35 გულხელდაკრებილი] გულხელდაკრეფილი CDE.

143. 2 ჰყიდულობდა] ყიდულობდა CDE; 3 თავს] თავსა CDE; 4 თვალებს] თვალს C; 5 ჩამომვლელს] ჩამომვლელსა CD; 6 ჩვენის] ჩვენ CD; აუბრუნდებოდა] უბრუნდებოდა E; 7 დასწვრივ] დაჰსწვრივ CDE; 8 დიდი] დიდის C; 9 მოზრდილი] მოზდილი CDE; 15 სცოდნია] ჰსცოდნია CDE; 16 საყოველთაო] საყოველთავო C; 18 იმან] ამან E; 21 სწავლაზედ] სწავლაზე DE; 22 მოგახსენეთ] მოგახსენე CD; 25 აქეთ] აქედ ACD; 26 დავუწყე] დაუწყე CD; 27 ჩაიცინებდა] ჩაიცინა E; დასცქეროდა] დაჰსცქეროდა CDE; 28 გადაშლილ] გაშლილ E; მომითმინა] მამითმინა E.

144. 2 მოჯამაგირედ] მოჯამაგირეთ E; დავუმატე] დაუმატე E; 3 დიაღ] დიახ CDE; სომეხთან] სომეხთანა CDE; 11 მინახვიხარ] მინახავხარ A; 12 აქ] იქ E; 18 გრწამს] გწამს CDE;

22 ვუგდე] მივუგდე C; მეცნო] მეცნოო CDE; 23 გამეგონოს] გამეგონოსო CDE; 27 დიაღ] დიახ CDE; 29 გლახუკამ] გლახუკამა CD; 30 თქვენის] თქვენ CDE; 31 საიდგან] საიდამ CD.

145. 1 გავაგრძელო] გავაგძელო E; 2 სიცოცხლეში] გაჩენაში CDE; 5 კითხულობდა+და CE; 8 გრწამს] გწამს CDE; 9 გადავიხდი] გადაგიხდი C; 22 გიშოვნი] გიშონი D; 20 ჰხარობს] ხარობს CDE; დაინახავს] დაინახამს CDE; 22 სიტყვებზედ] სიტყვაზედ E; წახალისებულმა] წახალისებულ CD; 31 ტყუილ-უბრალოდ] ტყუვილ-უბრალოდ E; 35 ჰფეთქავ] ფეთქამ C; ფეთქავ DE.

146. 1 ექნება] ექმნება CD; 6 რომ – CD; 9 მასწავლა] მაჰსწავლა CD; გადაუხადოს] გადუხადოს CE; 13 იმდენს] იმდვენს CDE; 18 შემიჩვია] შემიჩვივა C; 28 ინახავს] ინახამს CE; 29 ჩემს] ჩემ CDE; 30 თავისებურად] თავისუფლად E; 32 თავისი] თავის CD; გავუგზავნე] გაუგზავნე DE.

147. 10 თქვენის] თქვენ CD; 17 სცხოვრობს] ცხოვრობს CE; 23 იმისი] იმის CDE; 24 გადაუხადოს] გადუხადოს C; 25 თითონაც] თვითონაც C; 30 შეერია] შეერივა CDE; ერთი] ერთ CD; 31 ახალგაზრდა] ახალგაზდა CDE; მღვდელი] ღვდელი CDE; [ეს სიტყვა BCDE-ში ყველგან იკითხება "ღვდელი", ამიტომ ვარიანტებში აღარ მივუთითებთ – ე. შ.] 34 ვსთხოვოთ] ვჰსთხოვოთ CDE.

148. 4 გარშემო] გარეშემო CD; ზოგს] ზოგი C; ზოგს+ის D; თითონ ზოგს E; 7 შესცქეროდა] შეჰსცქეროდა CDE; 8 თითქოს] თითქო CDE; 9 შიშობს] შიშობსო CDE; 11 კაციც] კაცი E; ჰხურავს] ხურავს CDE; ალბად] ალბათ E; 14 მოსწყურდება] მოჰსწყურდება CDE; 15 გადავიხარე] გადავიწვდინე CD; 17 აღარ] არ CDE; 23 გეყოფა] გეყოფაო DE; ისწავლეო] ისწავლე CDE; 24 არის] არი DE; 32 სჭამს] ჰსჭამს CDE.

149. 2 სთქვა] თქვა CE; 5 მესამემ] მესამემა E; 6 ელაზღანდარათ] ეყალაღნათ CD. ეყაყანათ E; 7 მოსწრებოდათ] მოჰსწრებოდათ CDE; 16 თქვენიო] თქვენი CD; 19 გაგვიძღობს] გაგვიძღებს D; 23 ამოვაწებთ] ამოვაწებებთ CDE; გადვუხსნით] გადუხსნით CDE; 24 ჩავაყრით] ჩავუყრით CDE; 31 გაგიბედავთ] გაგიბედამთ CDE.

150. 1 დასცინოდა] დაჰსცინოდა CDE; 8 ვარ – E; 12 გცოდნოდა] გვცოდნოდა DE; 13 ბარ-საკვეთს] ბარ-საკვეთსა C; 14 სთლი] ჰსთლი CDE; 15 მოხნავდი] მოხნამდი CDE; 21 მინახავს] მინახამს C; 24 გინახავს] გინახამს C; 26 სთქვასო] თქვასო CDE.

151. 1 შენზედ+და ჩემზედ CD; 4 მჯობს] მჯობნს D; მჯობი] მჯობნი D; 6 არ იქნება] იქნება CDE; 8 წყალობა+თქვენა C; 11 რამე] რამ CDE; 12 მთელის] მთელი CDE; 14 ერთი] ერთის CDE; 16 რასაც] რაც C; 23 დიდხანს] დიდხან CD; 27 გადაგიკოცნო] დაგიკოცნო E; ბევრჯერ] ბევრჯელ D; 30 შეჰხედა] შეხედა DE; 31 შენის] შენი CE; 32 ღვთისგან] ღვთისაგან CDE; 33 წაწყმენდისაგან] წაწყმედისაგან CDE; 34 შენის მადლიანის] შენ მადლიან CD.

152. 4 გემთხვიო] გემთხვივო D; 9 ბაშვი] ბავშვი E; 15 დაუმალოს] დაუმალოსო CDE; 16 შვილსაცაო] შვილსაცა CD; 21 სჩადი] ჰსჩადი E; 25 ჰცრუობ] ჰსცრუობ CDE; 26 სიყვარულიც] სიყვარული A; 29 გრცხვენიან] გცხვენიან A; 29 ჰხედავს] ხედავს CDE; 35 ჰჩხუბობთ] ჩხუბობთ CDE.

153. 1 შენს] შენ CE; 3 სთქვა] თქვა CD; ჰსთქვა E; 5 ჩემს] ჩემ CD; შემოსცინა] შემოჰსცინა CDE; 8 ჩამოართვა] ჩამოართო CDE; 10 აკურთხა თუ არა] იმან რომ აკურთხა CD; გადასდო] გადაზდო CDE; ხელგადაჭდობილი] ხელგადაბჭობილი CDE; 12 კი – C; 14 გადასდო] გადაზდო CDE; მაშინ მე] მაშინვე CD; 16 ჰჩანდი] ჰსჩანდი CDE; ჰკითხავდა]

ჰკითხამდა C; 21 არა] არ DE; 25 გიახლებოდით] გიახლებოდი CDE; ვნახავ] ვნახამ C; 26 სჯობია] ჰსჯობია DE; 28 ავასრულოთ] ავასრულოდ C; 30 არის] არი CDE; 31 შენის] შენი DE; 33 ჩამოსცილდნენ] ჩამოჰსცილდნენ C; 34 ჩემის] ჩემი CDE.

154. 4 ხელგადაჭდობილი] ხელგადაბჭობილი CDE; 7 მადლიანის] მადლიან CD; 8 თვალით+მე CD; 9 თითქო] ასე გონია C; 10 სწყდებოდა] ჰსწყდებოდა CDE; 14 ჰხატავენ] ხატავენ CDE; 15 იმის] იმისი CD; 16 გამოსცეს] გამოჰსცეს CDE; 20 პირველადა] პირველათა CDE; 22 ცოტაოდნად] ცოტაოდენად CD; ემჩნევა] ექნება CD; 26 თავიდან] თავიდამ CDE; ფეხებამდინ] ფეხამდინ CDE; სანახაობა] სანახავობა C.

155. 8 წიგნისთვის] წიგნისათვის CDE; 9 შეგირდი] შაგირდი CDE; 11 გავუბედე] გაუბედე DE; 16 მოსცდე] მოჰსცდე CDE; გარედ] გარეთ DE; 17 სწავლებამა] სწავლამა CD; 18 მოვცდე] მოვსცდე CDE; საქმისთვის] საქმისათვის CDE; 19 მოვცდები] მოვჰსცდები CD, მოვსცდები E; 20 სჯობს] ჰსჯობს CDE; 21 დასო] დაჰსწო CDE; გააკეთო] დაიწყო CD; 24 გაიქნია] გაიქნივა CDE; 26 აქვე] აქავე C; 28 სჩანხარ] ჰსჩანხარ CDE; 31 რად] რას CE; მოინდომოს] მოინდომოსო CDE.

156. 2 ვცადოთ] ვჰსცადოთ CDE; 4 ვცდი] ვჰსცდი CDE; 7 მოჰხვდაო] მოხვდაო CDE; 10 შეგირდი] შაგირდი CD; 20 დავუძახე] დაუძახე D; აღტაცებულმა] ატაცებულმა CDE; 28 ქოფაკს] ქოფაკ CD; გასცვლის] გაჰსცვლის CDE; 35 ეხლა] ეხლაც CDE.

157. 3 თავმომწონე] თავმამწონე CDE; ბიჭი – D; 6 აღტაცებულსავით] ატაცებულსავით CDE; 11 სწერს] ჰსწერს CDE; 12 – 13 თითქო გაუკვირდა] გაუკვირდა თუ არა CD; 16 – 17 ხვალ თუ ზეგ] დღესა თუ ხვალ CDE; 17 ასე] ასრე CDE, 18 გავსწორდებით] გავჰსწორდებით CDE; 22 გაგიჭირდება] გაუჭირდება C; 24 მითომ] მითამ CD; 25 სჩანს] ჰჩანს C, ჩანს DE; 29 ჰყოფილხარ] ყოფილხარ CDE; 30 წადილი] ნდომა CD; 31 ვთქვათ] ვჰსთქვათ CDE; 33 მაგით] მაგითი CDE; ვითომ] მითამ CDE; იმისთვისაც] იმისათვისაც CDE.

158. 1 მოვახსენებიო] მოახსენებიო C; 2 გაბრიელ+რომ შენი CD; გაბრიელ+რომ E; დაგლოცავს] დაგლოცამს C; 3 აცხონოს] აცხოვნოს DE; 12 ჩვენ] ჩვენს E; 15 რომ] როგორ CDE; 16 ვქნათ] ვჰქნათ CDE; 18 რაღაცები] რაღაცეები CE; 22 კაცისაც] კაცისაცა CDE; მრცხვენოდა] მცხვენოდა CDE; 30 ამისა] ამისი E.

159. 9 დასტრიალებდა] დაჰსტრიალებდა CDE; 12 დავუკარი] დავუკარ CDE; 17 ვითამ] მითამ CD; 24, 25 თხუთმეტისა] ხუთმეტისა CDE; 29 შესვენებით] შასვენებით CDE; 32 თხუთმეტის] ხუთმეტის CDE; 33 სთქვა] თქვა CDE.

160. 3 ვფიქრობ] ვჰფიქრობ CDE; 4 ვიტყვი] გეტყვი CDE; 5 გვექცეოდა] გვექცევოდა CD; 7 ლოცვებიც] ლოცვები DE; 13 შეგირდებს] შაგირდებს CDE; 14 ჰყოფილხარ] ყოფილხარ CE; 15 შეგირდები] შაგირდები CDE; 17 მოვუჯდეთ] მოუჯდეთ CDE; 19 მოვწონდი] მოვჰსწონდი C, მოვსწონდი DE; 24 გავათავე] გავათავეთ CDE; 25 მომისვა] მომისო CDE, 27 მოვცდებოდი] მოვჰსცდები CDE; მოვჰსცდებოდი E; 28 ვკითხავდი] ვჰკითხავდი CDE; 34 რამ] რამა CDE; სჯობია] ჰსჯობია CDE.

161. 4 გაუნათებია] გაუნათლებია CD; 6 დალოცვილის] დალოცვილ CD; მეფის] მეფე CD; 8 ქართველობით+დაგვიკვეხნია და CDE; 18 იმის] ამის CDE; 19 გაგიწვრთნიან] გაგიწურთნიან C, გაგიწვრთვნიან D; 21 საღმრთო] სამღვთო DE, სამღთო C; 22 საღმრთოა] სამღთოა C, სამღვთოა DE; 25 ნამუშავარს] ნამუშევარს C; 27 საღმრთოა] სამღთოა C,

სამღვთოა DE; 28 სწერია] ჰსწერია CDE; 31 მისცეს] მიჰსცეს CDE; 33 სწერია] ჰსწერია CDE; საღმრთო] სამღთო CE; საღმთო D; 34 არის] არი [ორივე შემთხვევაში] CDE.

162. 6, 9 სთქვა] თქვა CDE; აქეთ-იქით] აქედ-იქიდ ACDE. 19 ჩემთვისაც] ჩემთვისაცა CDE; 22 ”ვეფხვისტყაოსნის”] ”ვეფხვისტყაოსანის” DE; 30 სწერია] ჰსწერია CDE; გასცემ] გაჰსცემ CD.

163. 3, 4 მოსამსახურეებიც] მოსამსახურებიც CDE; 6 მეორისა] მეორესათვის CDE; მესამისათვის] მესამესათვის E; 7 ასარგებლეთ] ასარგებლეთო CDE; და – CDE; 12 ჩაუფლავს] ჩაუფლამს C; 15 ჩაფლა] ჩაჰფლა C; 22 გაჭირვებულია] გაჭირებულია CE; 23 გავცეთ] გავჰცეთ CD, გავჰსცეთ E; 24 მოგვკითხავს] მოგვკითხამს CDE; 26 გასცემ] გაჰსცემ CDE; 31 ღარიბი+ხნიერი C; 34 ქმარი+დღეს CDE.

164. 9 სახეზე] სახეზედ CDE; 11 ეტეოდა] ეტევოდა CDE; 14 წინ] წინა CDE; 15 აცლის] აცლისო CDE; ჰნახა] ნახა CDE; 20, 23, 24 სტირი] ჰსტირი CDE; 22 მოჭირნახულე] ჭირნახული CD; 29 მოერიოს] მოერივოს CDE; 30 სჯობს] ჰსჯობს CDE; თუნდა] თუნდ CDE; 31 სჭირს] ჰსჭირს CDE; 33 დიაღ] დიახ CDE.

165. 2 თქვენს] თქვენ C; 3 მრცხვენიან] მცხვენიან CE; შემოგყურებთ] შამოგყურებთ CDE; 6 გასძახა] გაჰძახა C, გაჰსძახა DE; 11 სიწითლემორეულმა] სიწითლე მორეულ CD; 12 შერცხვა] შერცხვაო CDE; 16 ვიქნებით-თქო] ვიქნებით CD; 19 სთქვა] თქვა CDE; მერე] მერმე CE; 20 ქმრის] ქრმის CDE; 23 სჭამდა] ჰსჭამდა CD; 27 გულგახარებულმა] გულხარებულმა C; გულგახურებულმა E; 30 მოსწმინდა] მოჰსწმინდა CDE; კაცს თან] კაცთან D.

166. 1 ჰხედავს] ხედავს CE; სწერს] ჰსწერს CDE; 9 გულშემატკივრობა] გულშემატკივარობა CDE; 10 სთქვა] თქვა CE; 13 სიტყვა] სიტყვაც C; 15 არის] არი CDE; ასე] ისე C; 17 ხო] ხომ CDE; 20 შიაღწევს] მიახწევს CDE; ამისთანა] იმისთანა C; 22 სცემენ] ჰსცემენ CDE; 25 იმისი] იმის CD; 26 შენს] შენ CDE; ქმარსა] ქმარსაო CDE; გავიხსნი] გავისხნი E; 28 ხელსახოცსავით] ხელცახოცსავით C.

167. 2 დაჩაგრულს] დაჩაგრულ C; 4 ცხოვრება] ცხოვრებაც C; მოისხამს] მოისხავს C; ყვავილსა] ყვავილებსა C; 6 სჯერდებოდა] ჯერდებოდა CD; ჰჯერდებოდა E; ინახავდა] ინახამდა CDE; 9 მოიწადინა+რომ C; 12 სთქვა] ჰსთქვა CDE; 15 სწერია] ჰსწერია CDE; 20 ბოლოს] ბოლოდ CDE; 21 მხცოვანი] მცხოვანი E; 22 სჯობს] ჰსჯობს CDE; 24 აყალმაყალის] ყალმაყალის C; ალიაქოთის] ალიანქოთის CD; 27 უცბად] უცბათ DE; 28 გარეთ] გარედ CDE; 30 ამბავია] ანბავია C; 32 ირჩობა] იხჩობა CDE; 33 ვიღაცამ] ვიღაცამა CD, ვიღამაცა E; 34 ამის] ამისი CD; 35 გაფრინდა] გაწკრინდა C.

168. 2 ალიაქოთი] ალიანქოთი CD; დააყრუებდა] დააყრუვებდა C; 3 საცოდაობას] საცოდავობას C; ნუღარ] ნუღარა CDE; 6 დაირჩობაო] დაიხრჩობაო C, დაიღრჩობაო DE; სჩანს] ჰსჩანს CDE; 9 გასცა] გაჰსცა CDE; შეჰხედა] შეხედა C; 11 საუნჯე+იმას C; 14 სთქვა] თქვა CD; 15 ირჩობა] იხჩობა CDE; 20 იმისი] იმის CDE; დარჩობის] დახჩობის CDE; 21 ვქნა] იქნა CDE; დაირჩო] დაიხჩო CDE; 34 დამხსნელი] დამსხნელი E.

169. 7 გაჰზარდოს] გაზარდოს CDE; 11 სთქვა] თქვა CDE; ბძანებ] ბძანებთ CD; 17 დასტრიალებდა+ასულიერებდა C; 20 სცემდა] ჰსცემდა CE; ჰკანკალებდა] კანკალებდა CDE; 21 ვიღაცას] ვიღასაც CE; 22 მიეცი] მიეც C; 23 მაგას] მაგრამ CD; 24 გულისათვის] გულისთვის CD; 25 დაირჩე] დაიხჩე CDE; მივცემ] მივსცემ CDE; 27 მოსცვივდა]

მოჰსცვივდა CDE; ციმციმით] ციმციმათ CDE; 30 ჰკანკალებ] კანკალებ CDE; 34 აგერ] აგე CDE.

170. 2 მოჰშორებია] მოშორებია CDE; 5 გადაიტანა] გადიტანა C; 6 ვყოფილიყავ] ვყოფილვიყავ CDE; 7 ანაბარას] სინაბარას CD; გავუშვებდი] გაუშვებდიო CDE; რამეო] რამე CDE; 9 იკლავდი] იკლამდი CDE; ირჩობოდა] იხჩობოდა CDE; 10 შეჰხვდებოდი] შეხვდებოდი CD, შევხვდებოდით E; 14 შენს] შენ C, შენის E; გამაჩნია] გამაჩნივა C; 18 შენს] შენ CDE; 19 მკვდარსავით] მკდარსავით D, კვდარსავით C; 21 დედიჯან] დედაჯან CDE; 24 შამასწროს] შემაჰსწროს CDE; დღეს] დღესა C; შენის] შენი CDE; 26 მორჩენილი] მორჩომილი CDE; 28 ჰყოფილხარ] ყოფილხარ CDE; 31 არ არის] არ არი CDE; 32 ჭირნახულს] ჭირნახულსა CD; 33 მოჯექ] მოჯეგ CE.

171. 2 შვილი რომ] შვილი რო CDE; 3 შენს] შენ CDE; 4 საუკუნო] საუკუნოდ CDE; მაგას] მაგასა CDE; 5 ჩემი] ჩემის CDE; 7 აღელვებულ] აღელებულ CDE; მივცემოდი] მივჰსცემოდი CDE; 10 ის] ისა E; 11 სჯობია] ჰსჯობია CDE; ეხლა] ახლა CDE; 13 სჯობს] ჰსჯობს CDE; 15 სთქვას] თქვას CDE; 18 ამისი] ამისა CE; 23 ჰშვრება] შვრება CDE; 26 იქმონენ] იქმოდნენ A; იმისთვის] იმისათვის E; 27 საქმეს სახელზედ] საქმესა სახელზედა CDE; 32 ჰფიქრობდა] ფიქრობდა CDE; 33 მისცეს] მიჰსცეს C; 35 მისცა] მიჰსცა CDE.

172. 3 დასძლევს] დაჰსძლევს CDE; ქვეყნიერების] ქვეყნიერობის CDE; 4 ჰკითხულობს] კითხულობს CDE; 5 გონებას] გონებასა CE; საქმისათვის] საქმისათვის C; 6 ცუდის – C; 8 ფიქრადაც] ფიქრათაც CDE; 11 ვთქვი] ვჰსთქვი CDE; 15 საცოდაობას] საცოდავობას CD; 20 ვარსკვლავები] ვარსკლავები CD; სჩანან] ჰსჩანან CE, ჰჩანან D; სწერს] ჰსწერს CDE; 25 მიაჩნია] მიაჩნივა C; 26 გახსოვს] გახსომს C; 27 სჯობს] ჰსჯობს CDE; ნაძრახსა] ნაზრახსა DE; 29 მახსოვს] მახსომს C; 32 ბაშვსავით] ბავშვსავით DE.

173. 1 მე – D; 4 არა] არ D; 7 ირჩობა] იხჩობა CDE; 8 გულხელდაკრებილი] გულხელდაკრეფილი CE; 10 მისცემთ] მიჰსცემთ CDE; 13 გაჭირვებულის] გაჭირებულის CDE; 17 იესომ] იესომა CD; მწყურვალი] მწყურვალე D; 25 ჰხედავ] მხედავ C, ხედავ DE; 34 სჯობია] ჰსჯობია CDE.

174. 1 მისი] იმისი CDE; 4 დაღონებულადა] დაღონებულათა CDE; სთქვა] ჰსთქვა CDE; 5 ქუდადა] ქუდათა ACDE; 6 ქალამნადა] ქალამნათა CDE; 10 დღიდან] დღიდგან CDE; 11, 12 მოჰხვედრია] მოხვედრია CDE; 12 რასაკვირველია] რასაკვირელია E; 13 რადა] რათა CDE; 15 ყოველთვის] ყოველთვისა C; 20 გაიწიოს] გაიწივოს CDE; 21 რაღადა] რაღათა CDE; 24 მგონია+თავის C; 26 წასახალისებლადაც] წასახალისებლათაც CDE; 30 მკითხავ] მკითხამ CDE; იცოდეო] ვიცოდეო D.

175. 8 გამოუვა] ამოუვა CDE; 11 სდომებია] ჰსდომებია CDE; 16, 21 დიაღ] დიახ CDE; 30 მოებმის] მოემბის D, მოების A; 32 “მუშაკსა” [ამ სიტყვით წყდება ჟურნ. “საქართველოს მოამბეში” (1863, № 1) დაბეჭდილი ტექსტი, რომელიც ჩვენ C ლიტერით გვაქვს აღნიშნული – ე. შ.].

176. 2 გაგიგრძელე] გაგიგძელე BDE; 11 ქვეყანასთან+მე BDE; 16 გამკიცხავ] გამკიცხამ BDE; 18 გაგვითავდა] აგვითავდა B; 19, 29 რომ] რო BDE; 30 მეორე] მეორეს BDE; გავსულიყავით] გავსულვიყავით BDE.

177. 2 ვაპირებთ] ვაპირობთ BDE; 6 ძლიერ] მეტად BDE; 15 კარგა] კარგი D; 18 მისცეს] მიჰსცეს BDE; 25 თუ] – BDE; წავსულიყავ] წავსულვიყავ BDE; 28 ვთხოვე] ვჰსთხოვე BDE.

178. 1 ძნელი] ძნელ BD; 3 ჩვენი] ჩვენის DE; ბოლოში] ბოლოებში BDE; 8 რომ] რო BDE; 11 ნაღველში] ნაღველშია BDE; 13 რაღაცას] რაღასაც B; 14 რომ] რო BDE; 19 მოჰშორებია] მოშორებია BDE; 24 რომ] რო BD.

179. 1 რომ] რო BD; 2 ჩაითვლებოდა] დაისახებოდა BD; 3 სთქვას] თქვას BD; 4 მინახავდა] მინახამდა BDE; 8 ძირობაზედ] პირობაზედ DE; არა სჯობდა] არ ჰსჯობდა BE, არა ჰსჯობდა D; 9 რომ] რო BDE; ყარაბაღულ] ყარაბახულ D; 10 ყველაფერით] ყველაფრით DE; 11 სჭირდა] ჰსჭირდა BDE, 12 არ] არა D; 13 ამისთანაებში] იმისთანაებში DE; 14 ვისმე] ვისიმე DE; 16 გასდებდა] გაზდებდა BDE; 18 თავის ნათესავსაც] დასა და ძმას B, არავის D; 19 დაინახავდა] დაინახამდა BDE; 23 დავუმიწებდი] დაუმიწებდი DE; 24 მხარბეჭს] მხარბეჭსა BDE; 26 ყველაფერში] ყოველფერში BDE; 30 რაღას] რაღასა D; 32 მემღვრეოდა] მემღვრევოდა BDE.

180. 2 შევეპუე] შევეპოვე BD; 7 ჩემს] ჩემ BDE; 10 დაქვრივებულს] დაქვრიებულს B; პეპიას] პეპიასა D; 11 სთხოვა] ჰსთხოვა BDE; თითქოს] თითქო BDE; 16 ლერწამს] ლელწამს BD; 19 მოვკარი] მოვჰკარი DE; 23 მისცემოდა] მიჰსცემოდა BDE; 24 ოცდაერთის] ოცდაერთი DE; 25 – 26 ჩემ... ვიყავ – BD; 25 ჩემ] ჩემს E; 26 თვალად-ტანადაც] თვალად-ტანად B, თვალად-ტანად არც D; არაფერი+მე BD; 29 ამომივიდა] ამოვიდა E; 31 ისე – BDE; პირქუშო] პირმქუშო BDE; 33 მოვდიოდი] მოვიდოდი E; ორღობეში] ორღობებში D; რომ] რო DE.

181. 2 ეს ამოდენა] ის BDE; 3 ვაჟიკაცი] ვაჟკაცი BD; 4 მოვიკრიბე] მოვიკრიფე BDE; 6 შველი] მშველ**ი** ADE; 7 აღარ] არ BDE; 8 ფეხაკრეფით] ფეხაკრებით B; 9 მივაძახე] მივძახე BD; 11 მიგარბენინებს] მიგარბეინებს B; მიგარბევინებს A; 19 შევუშინდი] შეუშინდი BD; 23 ღმერთმან] ღმერთმა D; 26 წმინდაა+რომ D; 28 ფეხთქვეშ] ფეხთქვეშა BDE; 29 სანაცვლოდ] სანაცლოდ DE; 32 ვთქვი] ვსთქვი BDE; 33 აღარ სჩანდა] აღარა ჩანდა DE; სჩანდა] ჩანდა E; 34 ტბა-თვალში] ტბა-თვალშია BDE; ბედმან] ბედმა D.

182. 4 რომ] რო BDE; 8 დახსნა] დასხნა D; 10 უგუნურ] უგუნური BDE; ტრედივითა] მტრედივითა E; 11 ჩემი] ჩემის BDE; 13 რომ] რამ B; რამ – DE; 14 მოვეშვი] მოვეშვევი BD; 18 ჩემის] ჩემ BDE; დამღუპავ] დამღუპამ BDE; 20 რამე] რამ DE; 21 გამიფრთხეს] გამიფთხეს BDE; 25 ველი] გელი B; 28 შენის] შენი E; 31 რომ] რო BDE; 34 ჩემი] ჩემის BDE.

183. 1 გამწკრივებული] გამწკვრივებული BD; 3 დამიღამა+მე ის BD; 4 მითხრა+იმან BD; 7, 19 რომ] რო BDE; 14 სთქვა] თქვა BDE; 22 სცოდნია] ჰსცოდნია BDE; უბედურობის] უბედურების BDE; 23 ვეღარსად] ვეღარა B; წავიდა] წარვიდა BD; 24 წავიდა] წარვიდა BD; 25 მხედავთ] მხედამთ BDE.

184. 3 მიეწვია] მიეწვივა BD; 6 რომ] რო BDE; 7 დაშოშმანდა] დაშოშმინდა B; 15 რადა] რათა E; ავი] ვაი AE; 24 აჰფეთქდი] აფეთქდი B; 27 გამოუარე] გამაუარე B; 31 ჩაღრმავებულ] ჩაღრმავებულს BDE; 32 შემომცქეროდა] შემომცქერდა BD.

185. 3 ეგ] ეს BD; 4 შესცვლია] შეჰსცვლია BE, ჰსცვლია D; 8 რომ] რო [ორივე შემთხვევაში – ე. შ.] DE; 18 მისცეს] მიჰსცეს DE; 20 მოვეხვიე] მოვეხვივე D; 22 რომ] რო BDE; გარეთ] გარედ BDE; 23 გასცემ] გაჰსცემ BD; 26 ამ – B; [აქ ადრე ყოფილა "ჩემს" შემდეგ გადაუხაზავს ავტორს], 28 რომ] რო D; სჯობდა] ჰსჯობდა BDE; 31 ორივე] ორივ BDE; 32 ვადევნოთ] ვადევნოთ BDE; ვთქვი] ვჰსთქვი BDE; 33 სწვიმდეს] წვიმდეს BDE.

186. 5 მოახლოვებული] მოახლოებული B; 6 რომ] რო BD; 8 ბნელ] ბნელს DE; 11 შემოქცეული] შამოქცეული DE; 16 იმის] იმისი BDE; 21 ჩამოგარჩობ] ჩამოგახჩობ BDE; 25

დედაკაცია] დედაკაცი დედაკაცია BD; 26 იმისი] იმის B; 31 გააგრძელა] გააგძელა BDE; 32 ვსთქვი] ვჰსთქვი BDE; 33 დამინებებიაო] დამინებებია BD; 34 გაირჯებაო] გაირჯები BD, გაირჯებიო E.

187. 1 შესძლო] შეჰსძლო BDE; 3 რომ] რო BDE; 9 გაბრიელსა] გაბრიელს BDE; 13 დიაღ] დიახ BDE; 16 არი] არის BD; 17 ჰლოცულობდა] ლოცულობდა BDE; ფეხაკრებით] ფეხაკრეფით E; 18 აქეთ] აქედ ABDE; ავეტუზე] ავეფარე D; 22 მართლისა] მართლისაო D; 26 გაემართა] გაიმართა BDE; მივაძახე] მივძახე BD; 30 მოსალაპარაკებელი] მოსალაპარაკები BD; 31 მაქვს+რამე D; 33 შენი] შენის BDE.

188. 1 თაობაზედა] თაობაზედ BD; 4 სძინავს] ჰსძინავს BDE; 7 რომ+მე შენთან BD; 9 შენის] შენი DE; 16 დამიწდეს] გამიწდეს BD; დამიწყდეს E; მოვუჭერ+მე BDE; 19 ჩასძვრენოდეს] ჩაჰსძვრენოდეს DE; 21 ჰხედავ] ხედავ DE; პირდაპირ] პირდაპირაც B; დიაღ] დიახ BDE; 23 საცოდაობაში] საცოდავობაში B; 30 საცოდაობამ] საცოდავობამ B; 32 ჰხედავს] ხედავს B, ხედავს, რომ DE; 33 იმისათვის] იმისთვის D.

189. 1 გაბრიელი] გაბრიელ BD, გაბრიელა E; 6 ჰნახავ] ნახავ BDE; 13 ჰბღავოდა] ბღავოდა DE; 17 – 18 შვილს ვკარგავ, შვილს] შვილსა ვკარგავ, შვილო DE; 18 ვიქნები] იქნები BD; 27 ჰხედავ] ხედავ BDE; 29 მე] მეც D; 32 ამისთანა] ამდენი BD; 33 გაჩენილ] გაჩენილს BD; 34 შენს] შენსა BDE.

190. 1 სევდამ] სევდამა D; 5 რომ ვნახე] რო ვნახე BDE; 7 რომ] რო BDE; 8 სწვიმს] BDE; 11 შენს] შენ BDE; 12 რომ] რო BDE; 19 ავულოკავ] ავულოკამ BDE; 21 საცოდაობით] საცოდავობით BD; 27 გაუფრთხილდე] გაუფთხილდე B; 29 დაგსუნთქავს] დაგსუნთქამს BDE; 33 და – B; 35 არაფერს] არას ფერს BD.

191. 1 რიღაცის] რიღასიც BDE; 4 ცოლქმრობის] ცოლ-ქრმობის D; 7 შემარჩინა] შემარჩუნა BDE; 11 სიხარულმა+ისე DE; 12 რომ] რო BDE; 15 სთქვი] თქვი BDE; 15, 19, 27 ცოლ-ქმრობა] ცოლ-ქრმობა D; 21 რომ] როს; 23 ცოლ-ქმრობის] ცოლ-ქრმობის D; რომ] რო BDE; 24 შევატყვე] შევატყე DE; 28 არა] არ D; 32 ჰშიშობ] შიშობ DE; 33 პირნათლადა] პირნათლად DE.

192. 10 წამოველ] წაველ E; 11 რომ] რო BD; 12 მბრწყინავი] ბრწყინავი DE; შეჰნატრიან] შენატრიან BDE; 16 ვყოფილიყავ] ვყოფილვიყავ BDE; 17 რომ] რო BDE; მოვმკვდარიყავ] მომკვდარვიყავ BDE; 23 გამაფრთხობინებს] გამაფრთხობინებს BE; 29 მისცემია] მიჰსცემია BDE; 33 გაფრთხობა] გაფთხობა BDE; სცოდნია] ჰსცოდნია BDE.

193. 2 რაჟრაჟ] რიჟრაჟს BD; 3 ლურჯ] ლურჯს BDE; 5, 13 რომ] რო BDE; ძმა რომ] ძმა რო DE; 14 გაფრთხობა] გაფთხობა BD; 19 რომ] რო DE; 19 – 20 რომ . . . იქით] დავინახე A; 21 მოსჯდომოდა] მოჰჯდომოდა DE; 23 ამშვენებდა] აშვენებდა BDE; 27 ეგ] ე BD; 28 ნეტავი] ნეტა BD; 31 მოიკატუნე] მაიკატუნე BD; მომიტანა] მამიტანა BDE; 32 ადამიანო, რას] ადამიანო DE; 33 რომ] რო BDE.

194. 1 მომიკვდეს] მამიკვდეს BDE; 4, 10 რომ] რო BDE; 6 ცხადივ ამბობ] ცხადივ ანბობ E; რაებს] რეებს BDE; 7 რეგვენს] რეგვენ D; 10 სთქვა] ჰსთქვა E, თქვა D; 11 სარეცხს სრესა] სრესა სარეცხსა BD; სარეცხსა – E, რომ – BD; 17 სთქვა] თქვა BD, ჰსთქვა E; 18 რომ] რო BDE; 21 დამეხსენ] დამესხენ E; 27 სთხოვდები] თხოვდები BD; 34 რომ] რო BDE.

195. 1 გატყობ] გეტყობა E; 3 ალმური] ალიმული BDE; 4 პასუხად] პასუხადა BD; 6 უნდა] უნდაო BDE; 7 შეირთავ] შეირთამ BDE; 9 შემოჰხედა] შემოხედა BDE; 15 მისწვდა] მიჰსწვდა B; 19 დამეხსენ] დემეხსენ D, დემესხენ E; 20 სთქვი] თქვი BDE; 23 დამეხსნები]

დამესხნები E; 26 ჰთაკილობ] თაკილობ BDE; 30 იმისკენ] იმისაკენ DE; 34 შეგაბეროთ] შეგაბეროსთ BDE; შენს] შენ BD.

196. 2 ისე] ის E; 4 თუნდა] თუნდ DE; 6 შემასწრებს] შემაჰსწრობს BDE; 14 თქვენს] თქვენ DE; 19 ხანდისხან] ხანდიხან D; 24 ვთქვი] ვჰსთქვი BDE; 25 მეთქი – BD; 28 რამოდენიც] რამოდენაც DE; 29 გავიდა] გადიოდა B; 30 ველოდით] ველოდდით DE; 31 დაიწყებს] დაიწყობს BDE; 33 ვცდილიყავ] ვცდილვიყავ როგორმე BDE; 35 მიმტყუნა] მიმტუვნა BDE.

197. 5 მომიმწყვდია] მომიწყვდია DE; 7 ვიყავ] ვიყავი BDE; 9 შერმადინ] შარმადინ B; დაცინვით] დაცინებით BDE; 14 ეგ] ეს BD; 15 გავუჩენივარ] გაუჩენივარ E; ღმერთს] ღმერთსა BDE; 27 გამეხარდა] გამიხარდა D; 32 მგლოვიარედ] მგლოვიარეთ E.

198. 1 ჰყოფილხარ] ყოფილხარ BDE; 2 რადა] რათა E; 3 რომ] რო DE; 6 მზითევი] მზითები BD; 8 მზითევს] მზითებს BD; 10 იხსნებოდა] ისხნებოდა BE; 11 მზითევსაც] მზითებს B, მზითებსაც D; 13 სთქვი] ჰსთქვი BDE; 14 ვთქვი] ვჰსთქვი BDE; 20 შენთანა] შენთან B; 21 დამხსენ] დამსხენ BE; 30 აღარ] აღარა BDE; ჰხუმრობ] ხუმრობ BDE; 32 რომ] რო BDE.

199. 2 დაცინვით] დაცინებით BDE; 13 ცოლ-ქმრობის] ცოლ-ქრმობის DE; 27 დათიკოსაკენ] დათიკოსკენ D; 28 გამოცვივდნენ] გამოცვივდა BD; 31 მივცემოდი] მივეცი B; ამით მე – B; 33 დამჭერები] დამჭერლები BD; წავუვიდე] წაუვიდე D.

200. 2 უნამუსობას] უნამუსობაზედ BDE; 6, 17 რომ] რო BDE; 10 საწყალ] საწყალის DE; 15 დიანბეგი] დიამბეგი BDE; რომ] რო E; 16 აკეთებდი] აკეთებდით BDE; 18 ჰლაპარაკობდით] ლაპარაკობდით BDE; 19 მერე] მერმე BDE; 23 ვუამბე] უამბე DE; 27 ერთიანად] ერთიანათ E; 29 დიანბეგს] დიამბეგს B; 30 დიანბეგმა] დიამბეგმა B; 32 საძაგელ] საძაგელს DE.

201. 3 ადამიანის] ადამიანი BD; 5 მწვავეა] მწვავია DE; 7 მკლავდა და მკლავდა] მკლამდა და მკლამდა BDE; 13 ვიქცეოდი] ვიქცევოდი BDE; დამქროლავდა] დამქროლამდა BDE; 16 რომ] რო BDE; 17 რომ – B; რომ] რო DE; გავფუჭებულიყავ] გავფუჭებულვიყავ BDE; 25 უწმინდურ] უწმინდურს BDE; ოთახში] ოთახშია BDE; 26 მოსთვლის] მოჰსთვლის BDE; 28, 30 რომ] რო BDE; 30 უბრალობა] უბრალოება E.

202. 4 სამოთხეა] სამოთხე არის B; 8 წარღვნი] წარღვნამ B; 12 ველოდი] ველოდდი DE; 15 შემხსნეს] შემსხნეს BDE; 19 ხუთმეტიოდ] თხუთმეტიოდ D; 21 ბოლოს – B; 23 გრძელთეთრწვერა] გძელთეთრწვერა] DE.

203. 2 ეხლა] ახლა E; 3 დახსნისა] დასხნისა DE; 7 ვთქვათ] ვჰსთქვათ BDE; 8 რაღად+რაღად B; 13 სტირი] ჰსტირი BDE; 14 ჰღვრი] ღვრი BDE; 19 დამრჩენია-რა] დამრჩომია-რა BDE; 25 მობობღავდნენ] მობობღამდნენ BDE; 26 რომ]] რო DE.

204. 1 ხვალ] ხვალაო BDE; 2 გავცილდებითო] გადავცილდებითო D; 3 რომ] რო BD; 8 არის] არი [ორივე შემთხვევაში] BD; 9 გაქვს] გვაქვს BD; 11 სხვაგან] სხვა B; 19 დასცალებია] დაჰსცალებია, BDE; 20 დასჭყივლეს] დაჰსჭყივლეს BDE; 23 ასტეხეს] ატეხეს BDE; ალიაქოთში] ალიანქოთში BD; 24 დავეშვით] დევეშვით DE; 27 შესძლებია] შეჰსძლებია BDE; 28 რომ] რო BDE; 30 გვითხარი] გვითხარ B; 31 დაგვალოცვინე] დაგვალოცინე BD.

205. ბნელაში+სრულებით E; მიგვემალა+სრულიად BD; 3 შესძლო] შეჰსძლო BDE; 4 ჰთაკილობდა] თაკილობდა BDE; მომინდა] მამინდა DE; 5 ჩავედით] ჩავედი BD; 7

რიჟრაჟზედ] ირაჟრაჟზედ E; 8 კარგად] კარგათ D; მზე . . . გამომეღვიძა – A; 9 არ] არა B; 11 წავსულიყავი] წავსულვიყავი BDE; 12 არას] არრას D; 15 იმედმა] იმედი BD; ნუგეში – BD; არსაიდამ+არ BDE; 22 აღარა] აღარ BD; ვარ – B; ქვეყნისათვის] ქვეყნისთვის BD; 23 გულისთვის] გულისათვის B; 24 გულისთვის] გულისათვის BDE; 28 რომ] რო BDE; 30 ჩემზედ] ჩემზე D.

206. 2 მოიცვლი] მაიცვლი DE; 4 აქეთ-იქით] აქედ-იქით ABE; ზვერა] მზერა DE; 5 მოჰხუოდა] მოხუოდა BDE; აქეთ] აქედ ABDE; 8 უშიშრად] უშიშარად BD; მივუხტი] მიუხტი DE; 9 რომ] რო BDE; შევატყე++რო BDE; 16 შევუტივე] შეუტივე DE; 18 მოგიკვდეს] მომიკვდეს A; 19 რომ ჰნახა] რო ნახა BDE; 29 გაიძრე] გაიძერ DE; 33 ბევრს] ბევრ B; ჰლაპარაკობ] ლაპარაკობ BDE.

207. 11 ერთი] ერთის BDE; 13 გამოვქუსლე] გამოვჰქუსლე BDE; 18 ორი] ორის B; 19 გამოვუძეღ] გამოვუძეხ BDE; 20 მესამე] მესამეს B; 21 სჭამდა] ჰსჭამდა BDE; 22 სვამდა] ჰსვამდა BDE; 24 ძლივძლივობით] ძლივძლიობით BDE; 30 გადაიხარა] გადახრილი იყო BD; ჰფეთქავდა] ფეთქამდა BDE; 31 დავუჯექ] დავუჯეგ BDE; უშველებელს] უშველებელის BDE; 32 წვერზედა] წვერზედ BDE; 33 ჰღუოდა] ღუოდა BDE; 35 ბავშვი] ბაშვი BD.

208. 1 გარშემო] გარეშემო D; ჩვენ გარდა] ჩვენს გარდა E; 5 რომ] რო BDE; 7 ჰნახო] ნახო BDE; 26 თავის] თავისი DE; 30 წაწყმდეს] წაწყმნდეს BDE; 31 სამყოფელო] სამყოფელი BDE; 34 კიდევ] კიდე E.

209. 5 ამ – B; 8 ნაქენჯნი] ნაქეჯნი E; 15 ხმლითა] ხლმითა DE; 18 კელაპტარი] კელამპტარი D; 20 გულჩათუთქული] გულჩათუთქვილი D; მოვაჯექ] მოვაჯეგ DE; 24 ქნა] ქმნა DE; 25 დამიდინჯდა] დამიდინჯა E.

210. 5 ორს წუთს] ორი წუთით BD; 8 მოსაფიქრებლად] მოსაფიქრებელად BD; რამდენადაც] რამდენათაც B; 9 ჩემს] ჩემ DE; 15 დავიხსნა] დავისხნა E; 24 ბრაზმორეული] ბრაზმოსული E; 30 ჩემ] ჩემს BDE; 31 მომელოდეს] მომელოდდეს DE; 32 დეე] დაე BDE [ორჯერ]; 34 ჰხედავს] ხედავს BDE.

211. 1 დავუთმე] დაუთმე E; 5 ჩემ] ჩემს BDE; 8 გადვუშალე] გადუშალე BDE; 11 წინათვე] წინადვე BDE; 15 ჩამოველ] ჩამოვედი BDE; 17 მოსასვლელი] მოსავლელი DE; დავუჯერე] დაუჯერე; 18 გამოვწიე] გამოვწივე BDE; 24 ჭამა დავიწყე] ჭამას მოვყევ BDE; 25 რომ] რო BDE; 26 ერთიც] ერთი DE; 34 რომ] რო BDE.

212. 4 მომაძახა] მომძახა DE; მკერდზე] მკერდზედ BDE; 7 მოშორდა] მოჰშორდა E; 9 მკითხავ] მკითხამ BD; სტიროდა] ტიროდა BDE; 13 აღარ] აღარა BDE; 17 გამოვვარდი] გამოვარდი E; 18 გარეთ] გარედ BDE; 19 გამოვწიე] გამოვჰსწიე BDE; 20 თაობაზე] თაობაზედ BDE; სრულიად] სრულად BDE; 28 შევყროდით] შევხვედროდით DE; 31 გავძარცვე] გავცარცვე E; 34 გაფრთხილებულიყო] გაფთხილებულიყო BDE.

213. 2 ძარცვა] ცარცვა E; 3 მოჰხდა] მოხდა BDE; 5 ერეოდათ] აერევოდათ BD, ერევოდათ E; 6, 8 გაძარცვა] გაცარცვა E; 7 შემიკრავდნენ] შემიკრამდნენ B; იმავე] იმავ B; 8 სამი] სამის BDE; 9 დაებნეოდათ] დაებნევოდათ B; მიჰხვდნენ] მიხვდნენ BDE; 11 რომ] რო BDE; წმიდა] წმინდა D; ჯვარს] ჯვარი DE; 12 დამიჭერდა+და DE; 14 ჰნახეთ] ნახეთ BDE; 17 დღეც] დღე D; 18 შევხვდით] შევხდით D; 21 ვიჯექ] ვიჯეგ D; 23 რომ] რო BDE; 25 მოკაზმული] მოკმაზული BDE; სჩანს] ჰსჩანს BDE; 26 რომ] რო BD; 31 იმან] მან D.

214. 2 თავზედ] თავზე DE; 4 დავეცი] დავეც BDE; 7 მოასწრო] მაასწრო BDE; ხმლის] ხლმის BDE; 9 დავეცით] დავეცენით BD; 12 ძლივღა] ძლივსღა B; ჰფეთქავდა] ფეთქამდა BDE; 16 ქვეშსაგებში] ქვეშაგებში DE; 17 შერმადინობა] შარმადინობა B; 18 იყავ] იყავი B; 23 არის] არი BD; 26 ჰყოფილხარ] ყოფილხარ BDE; 29, 31 რომ] რო BDE; 29 გითხარი] გითხარით DE; 31 დაგვიხსენი] დაგვისხენ E.

215. 1 ჰხედავ] ხედავ BDE; დღისათვისა] დღისთვისა D; 6 ვნანობ] ვინანი BDE; 8 დასცალდა] დაჰსცალდა BDE; 12 მისი] იმისი DE; შევჯექ] შევჯეგ BDE; 13 იმისი] იმის E; 17 ვძარცვავდი] გავძარცვავდი (გავცარცვავდი E). ხოლმე DE; 20 შევეჩვიე] შევეჩვივე DE; 22 ვიშოვნი] ვიშოვნიდი E; 26 გამოვწიე] გამოვწივე BDE.

216. 2 მუშაობისათვის+კი B; 3 ქვეშსაგებად] ქვეშაგებად BDE; 7 აქეთ] აქედ ABDE; 9 აქეთ] აქედ ABD; წამოვედი] წამოვედ DE; 11 თუმანიც სართი] თუმანი სართიც BD; ვირჩინე] ვირჩუნე BD; 14 ჰხედავთ] ხედავთ BDE; 15 მოვაღწიე] მოვახწიე BDE; 16 მოსწყდება] მოჰსწყდება B; 18 აქეთ] აქედ ABDE; 20 მიჰხვდება] მიხვდება BDE; 26 გულუტკივრად] გულუტკივარად BDE; 27 ვეთხოვები] ვესალმები DE; ქვეყანას] ქვეყანასა DE; 28 მემადლება-რა] მემადლებოდა რა E; 30 ნაამბობი] ნაანბობი D; 32 ჩემი] ჩემის BDE; ნათლიმამისკენ] ნათლიმამისაკენ D.

217. 5 დაუნიშნავთ] დაუნიშნავთო DE; 6 სწვევია] ჰსწვევიაო BDE; 7 მოჰხდა] მოხდა BDE; 9 წავედი] გადავედი D; 12 დასტუქსა] დაჰსტუქსა BDE; 13 დიაკვანიც] დიაკვანი BDE; 14 გამოიყოლია] გამოიყოლა BDE; 17 ბეწვზედა] ბეწვზედაღა BD, ბეწვზედღა E; 19 ცეცხლსავით+ისევ სიცოცხლით BD; 22 ის] ისა BDE; რასაც+ის D; ჰხედავდა] ხედავდა BDE; 23 ხილვასა] ხილვასაო DE; 24 ჰხედავსო] ხედავსო DE; 27 მე გამიკვირდა] ჯერ დაუწერია "ჩვენ გაგვიკვირდა", შემდეგ "ჩვენ" გადაუსწორებია "მე"დ, ხოლო "გაგვიკვირდა" შეუსწორებელი დარჩენია B; ვთქვი] ვჰსთქვი BDE; 30 წმიდა] წმინდა DE.

218. 9 შენ] შენს BD; 14 მადლსა] მადლს B; 22 სახეზედ] სახეზედა BDE; ჩაუვარდა+და B; თითონ] თვითონ BDE; 23 იყო] იყოვო BDE; საცოდაობის] საცოდავობის BDE; გასცა] გაჰსცა BDE; 24 ზიარებისთვის] ზიარებისათვის DE; 26 გლახამ] გლახამა BD; 29 გამიძარცვავს] გამიცარცვავს B.

219. 1 ჰლაპარაკობდა] ლაპარაკობდა BDE; 3 – 4 ხორცი . . . დანთხეული – AE; 4 წმიდა] წმინდა BD; 5 სჭამე] ჰსჭამე B; სთქვა] ჰსთქვა BDE; 7 ჯვარცმულ] ჯვარცმულსა BDE; წარმოსთქვა] წარმოჰსთქვა DE; 9 წმიდა] წმინდა DE; 11 წარმოსთქვა] წარმოჰსთქვა BDE; 13 მოსავი] მესავი BDE; 17 მხსნელსა] მსხნელსა D; 19 წმიდა] წმინდა BDE; 22 მისივე] მისვე DE; 28 ხანდისხან] ხანდიხან D; შესწყვიტა] შეჰსწყვიტა BDE; 29 დასწვდა] დაჰსწვდა BDE; 31 დასცალდა] დაჰსცალდა BDE; დაჰსცალდა+თუმცა კაცის მკვლელი იყო, მაგრამ ყველამ იქ მდგომმა, ერთხმადა შენდობა და საუკუნოდ განსვენება ვუთხარით B.

ამბავად გაგონილნი (გვ. 220 – 222)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი U, № 155 (ძველი № S 5263), გვ. 1 – 4 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1877, № 5, გვ. 13 – 14 (B); თხზულებანი, 1892, ტ. III, გვ. 193 – 199 (A).

ს ა თ ა უ რ ი: ამბავათ გაგონილნი B.

თ ა რ ი ღ ი: არა აქვს AB.
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს B.

ზემოაღნიშნული ხელნაწერი (C), სხვა ხელნაწერი კრებულების მსგავსად, როგორც მკვლევარ ლევან ჭრელაშვილს აქვს დადგენილი[33], ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულების გამოცემისათვის ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლების ბოლოს, ილიასთან შეთანხმებით და წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების დავალებით, შიო მღვიმელის ხელით უნდა იყოს გადაწერილი 1877 წ. გაზ. "ივერიიდან". ბოლოში კიდეც აქვს მინაწერი: გ. "ივერია" 1877 წ." (პ. ინგოროყვას ეს ხელნაწერი შეცდომით ავტოგრაფად მიაჩნია).

B-ს აქვს შენიშვნა სქოლიოში: "გთხოვთ, ვისაც ამგვარი ამბები გაგონილი ჰქონდეთ, რედაქციას აცნობოს".

ნაწარმოები დავათარიღეთ მისი პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

მ. გედევანიშვილის გამოცემაში (ი. ჭავჭავაძის თხზულებანი, 1914 წ. ტ. I), პ. ინგოროყვა – ალ. აბაშელის გამოცემებში (ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული 1926 წ., ტ. III, 1937 წ., ტ. I) და პ. ინგოროყვას გამოცემაში (ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1950 წ., ტ. II). ეს ნაწარმოები 1887 წლით არის დათარიღებული. პ. ინგოროყვას ცნობით, თარიღი ქართველთა ამხანაგობის 1892 წ. გამოცემიდან არის აღებული.

ეს ცნობა არ დადასტურდა. 1892 წ. გამოცემის III ტომში, სადაც არის დაბეჭდილი "ამბავად გაგონილნი", ტექსტს თარიღი არ უზის და საერთოდ ტომს არა აქვს დართული ე. წ. ქრონოლოგიური ნუსხა (აქ არის ჩვეულებრივი სარჩევი ნაწარმოებთა გვერდების მითითებით).

A წყაროში ნაწილების გამყოფი ციფრების ნაცვლად ხაზებია.

220. 9 ბრძანა] ბძანა B; 10 თან] ზედ BC; 11 კია] კიაო BC; არავის] არვის B; 12 უბრძანა] უბძანა BC; 14 უბრძანა] უბძანა BC; ვახშმად] ვახშმათ B; 22 დაჰხვდა] დახვდა BC; 24 უბრძანა] უბძანა BC.

221. 6 აი] ამ BC; 8 ჩემმა+ბედნიერმა BC; 13 მეფე] მეფეს B; ერეკლე] ერეკლეს B; ჰხლებოდა] ხლებოდა B; 15 მამინაცვალო] მამინაცვალოო B; 18 ებრძანებინა] ებძანებინა BC; 22 პატრონი+ხარ BC; 23 საგლახაოდ] საგლახაოთ B; 27 გიორგი XIII-ს] გიორგის XIII B; 29 ებძანებინა] ებძანა B.

222. 8 სწვევია] ჰსწვევია BC; 14 შესხდნენ] შესხდა BC.

სარჩობელაზედ (გვ. 223 – 239)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი U, № 151, გვ. 1 – 15 (B).
ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. "ივერია", 1879, № 2, გვ. 39 – 56 (C); თხზულებანი, 1892, ტ. III, გვ. 41 – 68 (A).
ს ა თ ა უ რ ი: სახრჩობელაზედ B, სახჩობელაზედ C.

---

[33] ლ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ატრიბუციისა და გამოცემის ისტორიის საკითხები, "მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, № 3, გვ. 45 – 56.

თ ა რ ი ღ ი: არა აქვს ABC.

ნაწარმოები დავათარიღეთ მისი პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

მოთხრობის “სარჩობელაზედ” ერთგვარი პარალელი შეიმჩნევა დაუმთავრებელ მოთხრობაში “მარგალიტი ლექში”[34], მაგრამ ის ამ მოთხრობის ვარიანტად ვერ ჩაითვლება; ილიას ჯერ დაუწყია მოთხრობა “დიამბეგობა”, მაგრამ არ დაუსრულებია. მისგან გადამუშავებული ტექსტისათვის დაურქმევია “მარგალიტი ლექში”. მაგრამ არც ეს მოთხრობა დაუსრულებია. გაცილებით გვიან კი ამ უკანასკნელის შესავალში წარმოდგენილი სურათი (ქარავანის მოგზაურობის აღწერა) მცირეოდენი ცვლილებით შეუტანია მოთხრობის “სარჩობელაზედ” I თავში.

223. 6 სწვავდა] ჰსწვავდა BC; 7 ასდიოდა] აზდიოდა C; 17 აქეთ] აქედ ABC; 18 თვალებდახუჭულნი] თვალებდახუჭვილნი A; 19 მოუსვენარ] უსიამოვნო BC.

224. 1 სცოხნიდა] ჰსცოხნიდა BC; 5 დასძრას] დაჰსძრას BC; 12 ჩერქეზულქუდიანი] ჩერქეზული ქუდიანი C; 25 დადგებოდა] დაადგებოდა BC; ქურდბაცაცობის] ქურდბაცაციობის AC; შესძლებდა] შეჰსძლებდა C; 27 გამარჯვება] გამარჯობა B; 28 მისცეს] მიჰსცეს BC.

225. 10 გაწყვეტილს] გაწყვეტილ B; 18 პოვოსკიდამ] პოვოზკიდამ B; თითონ] თვითონ B; 25 თუმნადა] თუმნათა BC.

226. 4 იქნებით] იქმნებით B; 11 გამოსთქვა] გამოჰსთქვა BC; 13 მისცა] მიჰსცა BC; დალოცვილს] დალოცვილ B; 22 ორივე] ორნივე AC; 23 ქარვანი] ქარავანი B; 28 შესწო] შეჰსწო BC; 30 სჭამეს] ჭამეს BC; 32 გვერდით] გვერდთ AC.

227. 4 ჰნახა] ნახა BC; 12 სთქვა] ჰსთქვა BC; 17 გამოვდეგ] გამოვდექ B; 20 ურმით] ურმითა BC; 24 არ არი] არ არს A, არ არის C; სჩივის] ჩივის BC; 27 დამაჭრეს] დამჭრეს C; 30 არა] არ B; 31 სირცხვილადაც] სირცხვილათაც C; 32 სიცილადაც] სიცილათაც C; 34 სცხვენოდა] ჰსცხვენოდა BC.

228. 6 აქეთ] აქედ AC; 9 ხარ-კამეჩს] ხარ-კამბეჩს BC; ჰხმარობდა] ხმარობდა BC; 10 რუმბზედ] რუმბზე BC; 14 მოსწონდა] მოჰსწონდა BC; 15 ბებრუცანა] ბებრუცუნა B; 19 სთქვეს] ჰსთქვეს BC; 23 სთქვა] ჰსთქვა BC; 24 მოედანზედ] მოედანზე BC; შევიტყობ] შავიტყობ BC; 26 ჟრიამული] ჟღრიამული AC; 34 ფხიზელს – BC; ხარ-კამეჩის] ხარ-კამბეჩის BC.

229. 4, 6, 17 სთქვა] ჰსთქვა BC; 1, 6 მახათაზედ] მახატაზედ BC; 2 ჩამოარჩობენო] ჩამოახრჩობენო+კაცის მკვლელობაში მოუსწრიათო, (მოუსწვრიათო C) BC; 4 სიცოცხლეში] სიცოცხლეშიო C; 5 ვნახოო] ვნახოვო B; 8 სარჩობელა] სახჩობელა C; 9 ახლო] ახლოს B; 10 ჰნახა] ნახა C; 12 ვთქვათ] ვჰსთქვათ BC; 13 გასწყრომიათო] გაჰსწყრომიათო BC; 15 თვალთმაქცობა] თვალთმაქციობა C; 17 უფრო – A; 18 იქნება] იქმნება B; ჩამორჩობა] ჩამოხჩობა BC; 22 თვალთმაქცობაზედ] თვალთმაქციობაზედ BC; 23 არჩობენო] ახჩობენო BC; 26 წამოვსულიყავ] წამოვსულვიყავ B, წამოსულვიყავ C; 27 დარჩობის] დახჩობის BC; 31 თვალთმაქცობა] თვალთმაქციობა BC; 31 იქნება] იქმნება B.

230. 1 ნახა] ჰნახა A; 6 ჰნახოს] ნახოს C; 7 ჩამოუარეს და – B; 9, 21, 30 სთქვა] ჰსთქვა BC; 11, 12 რომ] რო C; 21, 24; იქნება] იქმნება B; 24 არჩობენ] ახჩობენ C; 25 მომატყუებთ] მამატყუებთ C; 31 სუყველანი] სულყველანი B.

---

[34] იხ. აქვე, დაუმთავრებელ მოთხრობებში და მის შენიშვნებში.

231. 5 საცოდავის] დალოცვილის B; 7 დიაღ] დიახ BC; 8 სოფლელი ვარ] სოფლელია BC; 10 სთქვი] თქვი BC; იქნება] იქმნება B; 15, 18, 23, 29 სთქვა] ჰსთქვა B; 24 გასთენებია] გაჰსთენებია BC; 26 ახლა] ეხლა BC; ამისი] მისი B; 31 შეკრა] შეჰკრა B.

232. 5 ცალმხრივ] ცალი მხრივ BC; 7 ბიჭი – BC; სარჩობელას] სახჩობელას BC; 10, 11 მღვდელი] ღვდელი BC; 11 იქნება] იქმნება B; 15 თალისმის] თილისმის C; სთქვა] ჰსთქვა BC; 18 ეუბნა] ეუბნება B; 23 სარჩობელაზედ] სახრჩობელაზედ BC; 24 სარჩობელის] სახჩობელის BC; 25 კიბეზედ] კიბეზე BC; მოსწია] მოჰსწია BC; 29 ამოიქშინა] ამოიქშენა BC; 32 ფორთხალი] ფართხალი B.

233. 4 ჰყაყანებდა] ყაყანებდა BC; ჰლაზღანდარობდა] ლაზღანდარობდა C; 7, 8 ჰნახა] ნახა C; 9 სარჩობელასთან] სახჩობელასთან C; 10 გამოსწია] გამოჰსწია BC; სარჩობელაზედ] სახჩობელაზედ BC; 13 სთქვა] ჰსთქვა BC; 14, 30, 32 თვალთმაქცობა] თვალთმაქციობა BC; 19 სჯობდა] ჰსჯობდა BC; ვთქვათ] ვჰსთქვათ BC; 20 იქნება] იქმნება B; 21 ჩამოარჩეს] ჩამოახჩეს C; 23 დარჩობა] დახჩობა BC; 30 ჩამორჩობა] ჩამოხჩობა BC; ჩამორჩობაა] ჩამოხჩობაა C; 33 მაჩვენოს] მაჩვენოსო B.

234. 1 ჰყაბულობდა] ყაბულობდა BC; 5 შვილოსა] შვილოს BC; 6 სჯობიაო] ჰსჯობიაო BC; 7 მიბარბაცებდა] მიბაცბაცებდა C; ჩვენი – B; 9 ჟრიამული] ჟღრიამული A; 11 აქეთ] აქედ A; 8 – 29 გზაზედ . . . იყო, რომ – BC; 24 მზე] მზემ A; 31 ისევ ის] ერთი BC.

235. 3 სთქვა] ჰსთქვა BC; 4 ისე] ასე AC; 8 ნაბადიანმა] ნაბდიანმა AC; გასწია] გაჰსწია BC; 9 აღარ] არ B; 10 სარჩობელაზედ] სახჩობელაზედ BC; 11 საითაც] საიდაც C; 13, 19 სთქვა] ჰსთქვა BC; 18 გადააატრიალ-გადმოატრიალა+ნახა ლაქით დაბეჭდილია BC; 31 ჩამოსდიოდა] ჩამოჰსდიოდა BC.

236. 1 ჰნახა] ნახა BC; 8 ადეგ] ადექ B; 15 წიგნი გახსნა] ახსნა ბეჭედი BC; გადაშალა+წიგნი BC; 19 სწერია] ჰსწერია C; 22 დაარჩეს] დაახჩეს BC; 24 ჩამოარჩესო] ჩამოახჩესო B; ჩამოახრჩესო C; 25 ჰხარხარებდა] ხარხარებდა BC; 28 ჰლაპარაკობ] ლაპარაკობ B; 31 ციება – A.

237. 3 გვექნებოდა] გვექმნებოდა B; 4 ცარიელზედ] ცარიელზე BC; 9, 10 ჩვენა] ჩვენ A; 11 შეეძლო+და არ შეეძლო C; 17 ვითმინეთ+ვითმინეთ BC; 21 შესტკივდებოდა] შეჰსტკივდებოდა BC; 26 ჰხედავდა] ხედავდა BC; 27 გვძარცვავდნენ] გვცარცვავდნენ BC; 30 გაგვძარცვეთ] გაგვცარცვეთ BC; ჩვენ] თქვენ B.

238. 12 დამირჩეს] დამიხჩეს BC; 21 მძარცველია] მცარცველია BC; 22 გამაძარცვინებდა] გამაცარცვინებდა BC; 24 აქეთ] აქედ ABC; 25 გაგვეძარცვოს] გაგვეცარცვოს BC; 28 ლამობდა] ლამოდა AC; 29 საითღაც] საიდღაც C; 34 შეგვიტყვეს] შეგვიტყეს AC.

239. 2 ერთადერთი] ერთათერთი (ორივე შემთხვევაში – ე. შ.) C; 3 ჩამომირჩეს] ჩამომიხჩეს BC; 7 აქეთ] აქედ ABC; 10 დასდებდეს] დაჰსდებდეს C; 13, 17 სარჩობელაზედ] სახჩობელაზედ BC; 17 არის] არი C; 23 ნაღვერდალი] ნაკვერჩხალი C; 25 დამირჩე] დამიხჩე BC; 26 სარჩობელამდე] სახჩობელამდე BC; 28 თრთოლით] თრთოლვით B.

ოთარაანთ ქვრივი (გვ. 240 – 314)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი U, № 153, გვ. 1 – 69 (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. ”ივერია”, 1886, № 209, გვ. 2 – 3 (C); გაზ. ”ივერია”, 1888, № 2, გვ. 1 – 3; № 3, გვ. 1 – 3; № 4, გვ. 1 – 3; № 7, გვ. 1 – 3; № 8, გვ. 1 – 3; № 11, გვ. 1 – 3; № 12, გვ. 1 – 3; № 13, გვ. 1 – 3; № 14, გვ. 1 – 2 (D); თხზულებანი, 1892, ტ. III, გვ. 69 – 182 (A).

თ ა რ ი ღ ი: არა აქვს BC, 6 ქრისტიშობისთთვეს 1887 წელსა D, 6 ქრისტიშობისთთვეს 1887 წ. A.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს BC, ილ. ჭავჭავაძე D.

C-ში ნაწარმოების მხოლოდ ერთი თავია დაბეჭდილი X თავად, რაც უდრის ჩვენი გამოცემის VII თავს. სათაურად აქვს: ერთი ხანა მოთხრობიდამ “ოთარაანთ ქვრივი”.

ავტოგრაფი (U, № 153) ნაწერია სქელ საერთო რვეულში, რომლის ბოლო ფურცლები (70 – 114) ცარიელია. პირველ ფურცელზე (1rv), რომელიც სინამდვილეში ბოლო ფურცელია და შეცდომით არის წინ გადმოტანილი და დანომრილი, ილიას ამონაწერები და შენიშვნებია სხვადასხვა საკითხზე. ეს ამონაწერები გვიანდელია და მოთხრობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ავტოგრაფს ბოლო თავი (XXII) აკლია.

მოთხრობა გადაწერილია ორი სხვადასხვა ხელით. დასაწყისში (2r – 9v, რაც ჩვენს გამოცემაში შეესაბამება გვ. **240,** 1-დან — გვ. **248,** 21 სტრ., თავიდან სიტყვებამდე “ვაი, ვაი მე უბედურსა...”) ნაწერია უცნობი ხელით, შედარებით მსხვილი ასოებით. იგივე ხელი გვხვდება შემდგომაც (22r — 30v, ჩვენს გამოცემაში გვ. **261,** 28-დან — გვ. **270,** 27-მდე. გადამწერი წერას აგრძელებს შუა წინადადებიდან “...ქვრივს დილამდე ძილი არ...” და მთავრდება სიტყვებით “... არჩილიანთას მივიდა”). დანარჩენი მონაკვეთები (9v — 22r და 31r — 69v) — უდიდესი ნაწილი მოთხრობისა — გადაწერილია თვით ილიას ხელით. გზადაგზა ორივე ნაწილი ნასწორებია ავტორის მიერ.

“ოთარაანთ ქვრივის” ერთი თავი, როგორც ვთქვით, დაიბეჭდა გაზეთ “ივერიაში” 1886 წელს, ხოლო მთლიანი პუბლიკაციის დროს მოთხრობა დათარიღებულია 1887 წლის 6 დეკემბრით. ცხადია, ეს ნაწარმოების დასრულების თარიღია, საერთოდ კი იგი 1886 — 1887 წლებით უნდა დათარიღდეს.

240. 11 ისეთს] ასეთს BD; ალიაქოთს] ალიანქოთს BD; 14 მობძანდა] მიბძანდა B; სოფლად] სასოფლოდ BD.

241. 3 გაიფანტებოდნენ] გაიფანტებოდენ; აქეთ-იქით] აქედ-იქით ABD; 17 მნახესო] მნახეს B; 21 ტყუილუბრალო] ტყუილუბრალოდ B; 24 დედაკაცია] დედაკაციაო BD; 28 დადგებაო] დადგება B.

242. 1 გულზედ] ყელზედ BD; 4 იქმნებოდა] იქნებოდა B; 7 წუთისოფელში] წუთის-სოფელში B; 8 თვალთმაქცობაა] თვალთმაქციობაა D; 9 მოჰფხანს] მოჰფხანსო BD; 11 იქმნება] იქნება B; 12 აქეთ] აქედ ABD; 16 თავადიშვილები] თავადის-შვილები B; 17 ასმევინებენ] ასმეინებენ B; მოიგვარონ B (გადამწერს ეწერა “მოჰგვარონ” და “ჰ” “ი”-დ არის გადაკეთებული განსხვავებული მელნით); 18 წუთისოფელს] წუთის-სოფელს B.

243. 1 ხეთქეო] ჰხეთქეო B; 3 აგერ] აცა BD; 6 გათხვირულა] გათხვირულსა B; 7 არა] არ B; 15 მუქთაა] მუქთია BD; 17 გახიე] გაჰხიე B; გაფხრიწე] გაბხრიწე AD; 19 გლახა-მთხოვარა] გლახა-მათხოვარა B; 27 შენ] შენც BD; 29 ძლივსა] ძლივს ღა B; ჰშოულობს] შოულობს B; 30 არა] აღარ B; 33 თავისი] თავის B.

244. 1 შეხვდებოდა] შეჰხვდებოდა B; 4 გაქრეს] გაჰქრეს B; 7 ჩასცეცხლო] ჩაცეცხლო B (იყო "ჩაცეცხლეო" და "ე" წაშლილია); 8 ერთ] ერთი BD; 16 შევარდა] შეჰვარდა B; 21 გადმოაღებინა] გამოაღებინა A.

245. 7 სიგანეზედ] სიგანეზე D; ერთ] ერთი B; 8 სდგას] დგას B; 11 ვთქვით] ვსთქვით B; 21 სთოხნის] ჰთოხნის B; 25 გაიგონონო] გაიგონო B; 29 ხელი და+ორი BD.

246. 1 გაუწყვეტლად] განუწყვეტლად B; ჩამოჩუხჩუხებდა] მოჩუხჩუხებდა D; სოფლის] სასოფლო B; 2 წამოყვანილი – B; 4 ერთმანეთსა] ერთმანერთსა D; 5 სტაცებდნენ] ჰტაცებდნენ BD; 9 თავამდინა] სათავემდინა BD; 14 გახიდულია] გაზიდულია BD; 18 კარგი] კაი BD; 20 აქეთ-იქით] აქედ-იქით ABD; 21 კარგა ხნის ფარდაგებია – A; 24 ნაკეთობაა] ნაკეთებია B; 26 გრეხილ-ხვეულები] ხვეულები და რეხილი B; 35 ქმრისაგან] ქრმისაგან B; დარჩა] დაჰრჩა D.

247. 20 ფოსტის – B ფოსტის ფულსა – D; 28 მოიშველიებდა] მოიშველებდა B; "უჭირდებოდა"-ს შემდეგ გადახაზულია "ხოლმე" B.

248. 4 ქმრისაგან] ქრმისაგან B; 15 მოჰკვდომოდა] მოჰკდომოდა B; 16 აქეთ] აქედ ABD; 23 გახდა] გაჰხდა B; 26 მიწამ] მიწამა B; 28 ჩვენის წუთისოფლის] ჩვენი წუთის-სოფლის B; 32 მღერით] მღერითა B.

249. 2 მარტო] მარტოც B; 6 შეჰრჩები] შერჩები B; წუთისოფელსაო] წუთის სოფელსაო B; 17 კაცობდესო] ჰკაცობდესო B; 19 ხაზინიანია] ხაზინიანი B; 21 მაგის] მაგისი B; რათმედა] რამეთა B, რათმეთა D; 22 წუთისოფელს] წუთის-სოფელს B; 24 მერმე] მერე B; 27 მერმედ] შემდეგ B; 28 ამოიკვნესა] ამოიხვნეშა B; 29 ამოაყოლა] ამოატანა B; მითხრა] დამიძახა B; 32 თვალებიდამ] თვალებისაგან B.

250. 1 ქმრის] ქრმის B; სარჩო-საბადებელსაც] სარჩო-საბადებელს B; 7 ძლივ] ძლივს B; 8 "ერთი"-ს შემდეგ გადახაზულია "ხუთის" B; დარჩა] დაჰრჩა B; ლურჯი] ლურჯის B; 13 გათხოვდა] გაჰთხოვდა B; 15 ამბობდა+ხოლმე B; აი] უი B; 18 გაგცე] გაქცე AD; "დედა-მიწა"-ს შემდეგ გადახაზულია "გასკდება" B; 20 დაგედოს] დეგედოს AD; 26 ოცდაერთის]. B-ში ჯერ დაუწერია "ოც და ხუთის" შემდეგ "ხუთი" გადაუხაზავს და მის თავზე მიუწერია "ერთის"; 29 მოყვანილს] მოყვანილ B; 30 მეტად – B; 31 იქმნებოდა] იქნებოდა B.

251. 3 ბევრს] ცოტა არ იყოს B; უნებურად – AD; 5 დააკვირდებოდით] დაუკვირდებოდით B; პირისახეს] პირის-სახეს B; 17 საპატარძლოს] საპატარძლო B; დარჩენია] დაჰრჩენია B; 18 ბევრს – A; შევარდნია] შეჰვარდნია B; 19 "გიორგის კი"-ს შემდეგ გადახაზულია "არავინ" B; 22 სწორი . . . თითქმის] თითქმის სწორი არა ჰყვანდა B; 26 ძნის . . . დაუდებს] დაუდებს ძნის ურემს B; 35 ღრეობასა] დროებასა A; ეს კი] ესეც B; იმისავით] იმასავით BD.

252. 1 ხელმართალი – AD; 2 პირდაღვრემილია] პირდაღვრემილი D; 5 ამის] მის B; 17 შეუტყობინებია] გაუგებინებია B; 23 ჯიანჭველასაც] ჯიანჭველას BD; 24 დღეში+საწყენად B; უნდა] გინდ B; 31 არმობა+ტყუილი და მოტყუება B.

253. 2 კი – B; 3 ათი-თორმეტი] ათის-თორმეტის B; 6 გიორგიც] გიორგი B; 8 და აემღვრა პაწაწა გული – AD; 9 მივარდა] მიჰვარდა B; 11 მეტიჩარასთვის] მეტიჩარასათვის B; 16 დაბეგვილი] დაგვებილი B; 32 გაგიკაწრავს] გაგიკაწრავ A; 33 უთხრა+დედამ B.

254. 5 დაიმარხა+ოთარაანთ ქვრივმა B; 9 უფრო] უფროც B; ჰტიროდა] სტიროდა B; 12 აღარა] აღარ B; 16 მიეფარა+თავ-მოწონებით B; 17 გენაცვალე] B-ში ეწერა "გენაცვალოს"

და “ოს” “ე”– დ არის გადაკეთებული; 21 დასჩემდა] B-ში ეწერა “დასცემდა” და “ც” “ჩ”– დ არის გადაკეთებული; 21 – 22 დედისავით . . . რამ იყო] თავისია, თუ სხვისა, თუ ცუდი რამ იყო, დედისავით B; 30 გამოუტანებიათ+ტყეში AD.

255. 2 ურემზე] ურემზედ B; თვალთან] თავთან BD; 12 ვთქვათ] ვსთქვათ BD; 14 არა] არ B; 20 გაგეშო] გაგეშვა B (B-შიც “გაგეშო” ეწერა და “ო” “ვა”დ არის გადაკეთებული); 21 გამეშო] გამეშვა B; 23 უნამუსო] უნამუსოვ B; 25 კამეჩი] კამბეჩი B; შებრალება] შაბრალება AD.

256. 4 თქმაზე] თქმაზედ B; 16 აცია] აცივა B; 17 გამოჰკრა] წამოჰკრა A; 24 დააკარა] მიაკარა B; 25 დამარცხება] წაქცევა B; თავმოწონებული] თავმომწონე B; 26 წამოხტა] წამოუხტა B; 31 და – B.

257. 3 ვთქვათ] ვსთქვათ B; 4 ამაზედ] ამაზე B; 7 მაგდენი] მაგდონი B; ურემზე] ურემზედ B; 8 მოეჩვენა] მეეჩვენა BD; 17 სთქვა... მოსამართლემ] გაეხმაურა ერთი მოსამართლე B; 26 დაღუპული+დღეს ომარაშვილს უყო ეგ საქმე, ხვალ მე მიზამს B; ვეღარა] ვეღარ AD; 28 კამეჩებიც] კამბეჩებიც B; მიეღრძო] მიეღძო BD; იმათ] იმათმა B; 29 საცოდაობამ] საცოდავობამ D; რომ – B; არა იყოს რა+აქაო და პირუტყვია, არას იტყვისო. მაშ ქრისტიანობა აღარ ყოფილა ქვეყნიერობაზე B; 33 “ეგეც არ”-ის შემდეგ გადახაზულია “იყოს” B; 34 თვალწინ] თვალწინა B.

258. 4 30 მიპატიებია] მიპატივებია B; 8 გვერდებში+უპატივებია B; 15 დამსწრეთაგანი] დამსწრე B; 18 მადლი+რამ B; 22 მოჰქონებოდა] მოჰქონებია B; 23, 29 კამეჩები] კამბეჩები B.

259. 4 გამოჰნახეო] გამონახეო A; ჰტრიალებს] B-ში ჯერ ეწერა “ჰსტრიალებს” და “სტ” “ტ”-ად არის გადაკეთებული; 12 ოცდაერთის] ოცდახუთის BC; ვაჟკაცი] ვაჟი-კაცი C; 14 ჰნაღვლობდა] სწუხდა და ნაღვლობდა C; 15 ცოლქმრობის] ცოლქრმობის B; 18 გამიგორა კალთაში] მაჩვენა C; გულხელი] გულთ-ხელი BD; 24 მხიარულის] მხიარული D; 28 – 29 ამოიდებდა . . . გულაღმა] ამოიდებდა და გულდაღმა გარინდებული იდო ხოლმე მთელის საათობით C; 29 გულაღმა] გულდაღმა B.

260. 9 შვილისაკენ+ და BC; 10 თავს რომ — BCD; 14 დედიჯან] დედაჯან BD.

261. 1, 2 ორჯელ] ორჯერ B; 3 სადილ-ვახშამზე] სადილ-ვახშამზედ C; მოგიქნევია+უცბად თვალი გაგშტერებია C; 10 მოჰხვდა] მოხვდა C; 12 მისი] იმისი C; 18 წამოდგა] წამოჰდგა B; გაიქნია] გაიქნივა BC; ტკბილად მოჰკიდა მკლავზედ] მკლავზედ ტკბილად მოჰკიდა C; 26 ჰტრიალებს] ტრიალებს D.

262. 4 აქეთ] აქედ ABCD; მიეკარა] მოეკარა C; 6 მივკვლიე] მივკვლივე AD; B-ში ეწერა “მივჰკვლიე” და “ჰ” გადახაზულია; 18 ვისზედმე] ჯერ დაუწერია “ვისმეზე”, გადაუხაზავს და გვერდით მიუწერია “ვისზედმე” B; 23 გადაექანა] გადექანა B; 28 “შინ”-ის შემდეგ გადახაზულია “არ” და ზემოთ მიწერილი აქვს “აღარ” B; სულელს] სულელსა C; 34, 35 აქეთ] აქედ ABCD.

263. 19 მოჰღალა] მიჰღალა BCD; 28 გადმოხედა] გადმოჰხედა B; 29 ბრჭყვიალა] ბრჭყიალა B.

264. 1 და – B; 4 გაახვია] გაჰხვია B; 13 ძლიერდება] ჰძლიერდება B; 14 სხვა] სხვას B; 25 დასაგველ-დასაწმენდად] დასაგვავ-დასაწმენდად B; 33 თავისი] თავის B.

265. 23 ღიჭინი] ღიჯინი B; 26 მადლს] ჯერ დაუწერია “სახელს”, გადაუხაზავს და გვერდით მიუწერია “მადლს” B.

267. 10 გადატრიალდა] “გადატრიალდება” ეწერა B-ში და “ებ” გადაშლილია; 15 ჩაღუნა] ჩაჰღუნა B; 26-27 დიდმა . . . ამისათვის] ამისათვის დიდმა საგონებელმა BD; 31 ვეღარ] აღარც BD.

268. 1 სცხოვრობდნენ] ცხოვრობდნენ D; 10 გაიგონებდნენ] გაიგებდნენ B; 11 ქვრივი] ქვრივიო B; 18 ჭკუა] ჭკვა B; 29 გიახლათ] B-ში ეწერა “გეახლათ” და “ე” “ი”-დ არის გადაკეთებული.

269. 5 რასა] რას B; 12 გნებავთ] B-ში “გნებავს” ეწერა და “ს” “თ”-დ არის გადაკეთებული; 23 გავუტეხივარ] გაუტეხივარ A; 28 ორისავე] ორისავ B; 29 “ვიშოვით” ეწერა და “თ” გადახაზულია B.

270. 12 შენ] შე B; თავს] B-ში ეწერა “თავსა” და “სა” “ს”-დ არის გადაკეთებული; 17 გადვურჩებით] გადურჩებით B; 20 მამიკვდე] მომიკვდე B; 26 მერმედ] ჯერ დაუწერია “შემდეგ”, გადაუხაზავს და გვერდით მიუწერია “მერმედ” B.

271. 4 მიიწვია] მიიწვივა AD; 15 უთხრა] უპასუხა B; 24 იყოს] იყო B; 26 იმაზე] იმაზედ B; 26 – 27 გაფრთხილება . . . ჩემი] ჩემი გაფრთხილება გინდა B.

272. 9 ჩემს] ჩემ B; 17 მე – B; 26 სარქველი] სარქვეველი AD; 28 თითონ] თვითონ B; 29 ასეა] ესეა BD; შვილს+რომ B; შენატროდეს] შეჰნატროდეს B; 32 ისეთის] ისეთი B.

273. 6 შეხედა] შეჰხედა B; იმას] ამას B; 7 ვთქვი] ვსთქვი BD; 9 წუთისოფელი] წუთის-სოფელი B; 15 წამოდგა] წამოსდგა B; 21 დამ] კესომ B.

274. 13 ერთმანეთში] ერთმანერთში D; 15 შალვარი] შარვალი B; 17 ყაითნებით – BD; 18 ყაითნებითვე] ყაითნებით BD.

275. 7 ხომ უფრო საბოლოვო] საბოლოო უფრო B; 10 გათხოვდება] გასთხოვდება B; 19 ახლოს] ახლო B; 23 ბარგი-ბარხანით] ბარგი-ბარგახანით B; მიუვალ] მივუვალ B; 33 ფეხთმდგომელას] ფეხმდომელას B.

276. 2 ნიკაპით] ნიკაფით B; 14 ცეცხლმოკიდებულ გულსა] ცეცხლმოკიდებულს გულს B; 16 მუხლების თავზედ] B-ში ეწერა “მუხლებზედ”, “ზედ” გადაკეთებულია “ის”-ად და ჩამატებულია სიტყვა “თავზედ”; 18 ფიქრმა] ფიქრებმა B; 21 მაინც – B; 29 წამოდგა] წამოსდგა B; 32 მაყურებელს] მაყურებელ B.

277. 3 დადგა] B-ში ეწერა “დაჰდგა” და “ჰ” გადაშლილია; 6 მწკრივად] მწკრივად B, 7 ასე] ესე BD; 8 ესე] ასე B; უჯრა-უჯრა] უჯრა-უჯრად BD; 11 მწკრივზეა] მწკვრივზეა ABD; 12 თანაბრად] თანაბარად BD; 25 საქმეც] საქმე AD; 30 ხომ – B.

278. 5 მერე – B; რომ] რო B; 9, 19 თავთავქვესაკენ] თავთავქვისაკენ BD; 9 წყალს] წყალსა B; 12 ზემოდამ . . . მიწას] მიწას ზემოდამ სულ ქვევით ჩაიტანდა BD; 13 ვენახსა – AD; ვაზს] ვაზებს B; ძირს] ძირებს B; 19 თუ – B; 30 ეხლა – B.

279. 6 B-ში ეწერა “სიყვარულითა”, “თა” გადაკეთებულია “ს”-დ და დამატებული “კილომა”; 10 უწიგნოდაც] უწიგნოთაც B; 11 აქეთ] აქედ ABD; 13 აღარსად] არსად B; 20 თუნდა] გინდა B; 28 ძლივ] ძლივს B.

280. 8 ცემითა – B; 19 გიორგის] გიორგი B; 23 მოსვლიათ] მოჰსვლიათ BD; 24 ვისა და ვის] ვისა და ვისა B; 29 სცდილობდა] ჰცდილობდა B.

281. 1 ჩხუბზედ] ჩხუბზე BD; 3 გაშოტილიყო] გაშოტვილიყო B; 4 ცოტა] ცოტას B; 11 დამიძახა] დამიყვირა B; 13 დედიჩემის] დედაჩემის BD; 14 “ეგრე”-ს შემდეგ ეწერა “იყო”, გადახაზულია და წერია “კი იყო?” B; 19 დავთარში] დავთარი B; გამოუტანე+უთხრა არჩილმა დას B; 28 “კაი კაცობაზედ” შემდეგ გადახაზულია “მაინც”, და შეცვლილია

სიტყვებით “სხვას მაინც” B; 29 გალანძღავ] გაჰლანძღავ B; 30 შებრუნდნენ] B-ში ეწერა “შემოჰბრუნდნენ” და “მო” გადახაზულია.

282. 1 დასძველდები] დაძველდები D; 9 შემოხიზნული] შემოჰხიზნული ABDE; 13 მშვიდობიანად] შვიდობიანად D; 26 გამოკვებილია] გამოკვებულია D.

283. 3, 11 ჰნახა] ნახა B; 4 ერთმანეთს] ერთმანერთს D; 5 ხომ – B; 10 პირველადა] პირველად B; და – B; 13 ეხლა+მე B; 15 მომავალს] მონავალს B; 18 გავიფიქრე] ვიფიქრე B; 20 პატიოსანს] პატიოსან B; 21 ჭკვადასმით] ჭკუადასმით B; 30 შეჰდგა] შესდგა B; 31 რომ – B; 34 იქნება] იქმნება D; ჭკვაგონებიანი] ჭკუა-გონებიანი B.

284. 1 ანიშნე+ხან მეც მეგეშველებით B; მაშინვე – A; მიგიხვდება] მიგიხვდება B; 7 გავაგებინო] გავაგებინოთ B; 15 მაგრამ] და B; 18 თავის] თავისი B; 20 არ] არა BD; 21 ტახტზე] ტახტზედ B; 25 აქეთ] აქედ ABD; უნდა] მინდა B; 27 ვერ წასდგა] არ წადგა AD.

285. 3 ჩაჰხედა] ჩასცქერა BD; 5 ძლივას] ძლივა B; 10 თავისთავს] თავის თავსა B; 26 ყვავილები] ყვავილი B.

286. 6 გუნებაო] გუნება B; 7 მოხდა] მოჰხდა B; დამდეგსა] დამდეგს BD; 8 დადგა თიბათვეცა] მოვიდა თიბათთვე B; 13 ერთმანეთს] ერთმანერთს D; 15 თითქო – B; 16 დაებერტყნათ] დაებღერტნად B; 17 ასე] ესე [ორივე შემთხვევაში ე. შ.] BD; 18 დიდიხნის] დიდის ხნის B; 22 სახლშიაც] სახლშიც B; 23 ყვავილებს] ყვავილებ BD; 24 მდელოებს] მდელოებ BD; 30 იმის] მის B; 31 ყოფილიყო] ჰყოფილიყო B.

287. 1 ბარით] ან ფოცხით B; 3 B-ში ჯერ ეწერა “წინამძღვრობით”, შემდეგ ეს სიტყვა გადაუხაზავს და ზემოთ მიუწერია “სწავლებითა და დაკითხვით”, ბოლოს კი “დაკითხვით” კვლავ შეუცვლია “ჩვენებით”; 4 ის] ეს B; გიორგისვე] გიორგისავე BD; 9 ერთმანეთისათვის] ერთმანერთისათვის AD; ორი-სამის ორის-სამის B; 16 ყოველ – A; 17 ამითი] ამით B; 18 რომ – B; 19 ხმადაბლა] ხმამაღლა A; 26 თვენი] თთვენი B; 30 დასაკრეფად] დასაკრებად A; 31 დაიკრიფა] დაიკრიბა A; B-ში “დაიკრიბა” ეწერა და “ბა” “ფა”-დ არის გადაკეთებული.

288. 3 მიჩუმდა] მიჰჩუმდა B; 5 ორღობეებში] ორღობებში BD; 9 – 25 არჩილსაც ოთხი . . . ენასა ვსწავლობო – B; 9 B-ში “თივის” შემდეგ ეწერა “ზიდავდა” და გადასწორებულია “აზიდვინებდა”-დ. 10 შორიახლო] შორი-ახლოს B; მაღალ] მაღალს B; 13 ჯერ მთას — B; 16 უნესტო] უნესტიანო AD; 23 ლაზღანდარობაც] ლაზღანდარობაცა B; 24 “ჭკუასა” შემდეგ ეწერა “ვსწავლობ” და გადაშლილია B; 28 ჰჩანდა] სჩანდა B.

289. 1 იმ – B; 5 მოვიდა] მივიდა BD; 14 წამოდგა] წამოჰდგა B.

290. 2 გამობმულ] გამობმულს B; ჩამოცურდა] ჩამოჰცურდა B; 8 შვილდი] მშვილდი B; “დასდოს” შემდეგ B-ში ეწერა “შენს ხანში ხელს არ მოვიტეხდი, რომ ეს ამბავი მომსვლოდა” და გადახაზულია. ზუსტად ეს სიტყვები აქაც და ნაბეჭდ წყაროებშიც რამდენიმე სტრიქონის შემდეგ არის შეტანილი; 19 ჩამოჰყარა] ჩამოყარა B; 23 ცეცხლი] ცეცხლია B; 34 სათივედამ] თივიდამ B.

291. 1 გაუწყდა წნელი — B; 10 და — A; 12 ცალ-ცალკე] ცალკ-ცალკე AD; 28 სინჯა] ჰსინჯა B; 30 მე – B.

292. 5 დაჩოქილიყო] დაჩოქილი იყო B; 9 B-ში ეწერა “წვალებაღაა”, ბოლო “ა”-ს ზემოდან გადაწერილი აქვს “იქნება”, “წვალებაღა იქნება” B; 13 მწუხარებით] მწუხარებითა B; 17 საიდამაც] საიდამ B; 19 მოვარდნილიყო] B-ში ჯერ ეწერა

“მივარდნილიყო” და შემდეგ პირველი “ი” “ო”-დ არის გადაკეთებული B; 20 მობუზული] მიბუზული B; 22 დასტრიალდა] დაჰტრიალდა B; 26 ეხლა კი – B.

293. 2 მოსულიერებული] მოსურიელებული BD; 11 თვალზედ] თვალზე B; 15 ძმამა] ძმამ B; 20 “მერჩის” შემდეგ B-ში გადახაზულია “არ” და ზემოთ მიწერილი აქვს “აღარც”; 32 კესოს] კესოსა B.

294. 20 მოეშვა] მოეშვო D; 23 მანამ] მინამ B; მოხდებოდა] მოჰხდებოდა B; 24 გულსა] გულს B; 26 წვა-დაგვას] წვა-დაგვასა B; 28 მუხლზედ] მუხლზედ-ღა B.

295. 4 გამცესო] გამცეს BD; 14 დააჩნია] დააჩნივა B; 17 ამოაბეჭდვინა] ამოაბეჭვდინა B; 21 “დედაკაცის” შემდეგ B-ში გადახაზულია “გულის ძვრა იგივ დედამიწის ძვრაა და უფრო საშინელი, თუ შიგავე დაჰტრიალდა, უფრო ძლიერ გამოჰხეთქს თავის დროზედ”; 24 მიაწოდეთ] მოაწოდეთ B; 29 მოსულიერდა] მოჰსულიერდა B, მოსურიელდა D.

296. 1 ძლივ-ძლივობით] ძლივ-ძლიობით B; 8 გაოცებით – B; 9 გაფითრდა] გაჰფითრდა B; 21 მოსულიერდა] ჰმოსულიერდა D, ჰმოსულიერდა AB.

297. 20 ჩუმად] ჩუმათ A; 22 ფეხაკრებით] ფეხაკრეფით B; 27 იგულა] B-ში “იგულვა” ეწერა და “ვა” “ა”-დ არის გადაკეთებული; 28 ხმადაბლა] ხმამაღლა B; 31 შენა] შენ B; 32 დასატირებელი+მე B.

298. 3 გაცივებულს] გაციებულს B; 5 ვიღასიც] ვიღაცის B; 12 გულჩვილი] გულჩჩვილი B; 13 გადაიქცა] გადიქცა B; 20 ვთქვი] ვსთქვი BD; 27 წუთისოფელში] წუთის სოფელში B; 29 არა არ B; 32 მობუზული] მიბუზული BD; წინანდებურად] წინანდებულად BDE;

299. 3 მამშორდი] მომშორდი B; 6 ყოფითა] ყოფით B; 8 ამისთვის] ამისათვის B; 9 “სახლის კაცი”-ს შემდეგ B-ში გადახაზულია “იყო”; 10 ჰყოფილიყო] ყოფილიყო B; 12 არჩილს – B; 16 ჩაუშვეს] ჩაასვენეს B; 18 წამოდგა B-ში ჯერ დაუწერია “წაჰდ” . . . და მერე გადაუკეთებია ”წაჰმოდგა”-დ 23 ერთმანეთი] ერთმანერთი D; ჰყვარებიათ] ჰყვარებიათო B; 26 იყო+თუ B.

300. 7 წმინდა] წმინდის B; 11 აქეთ] აქედ ABD; 12 ერთმანეთისათვის] ერთმანერთისათვის D; 14 კაცს კაცია – B; მსგავსებით] მზგავსებით D; 23 ეუცხოვებათ] ეუცხოებათ B; 27 ჭირსა] ტირილს AD; 30 ერთმანეთისა] ერთმანერთისა D; 31 ერთი – AD; 31, 33 პრტყელი BD;

301. 4 დამუნჯებულია] B-ში გადახაზულია “დაჩუმებულია” და ზემოთ მიწერილი აქვს “დამუნჯებული”; 6 მაინც] მაინცა BD; 7 ერთმანეთს] ერთმანერთს D; 9 დახუჭვილი] დახუჭული B; 12 ორ] ორს B; 18 მოჰხდეს] მოჰხვდეს A; 21 ვეღარა] ვეღარ AB; 22 კეთილიც კი+კეთილიც B; 30 მებრალება] მეტირება B; 31 თავისი] თავის BD; 32 გულითაც+ესეც ვიცი, მაგრამ B.

302. 5 ჩვენი] ჩვენის BD; 6 ნახევრისაა] ნახევარისაა B; 6, 7, 8 ერთმანეთს] ერთმანერთს D; 8 ვიზამთ] ვიზავთ B; 11 გაიკითხავს] განიკითხავს B; 32 დაძონძებულ] დაძონძებულს B.

303. 1 ცახცახით – B; 4 ნებივრობა] ნებიერობა A; 8 ამითი] ამით B; 11 ემჩნევოდეს] ეჩნევოდეს B; 19 მეც] მე B; 22 რაც] რაცა BD; 23 ძირში] ძირს B; 26 იმათს] იმათ B; 27 მარტო – B; 28 სახით] სახითა B.

304. 19 ჩაჰღუნა] ჩაღუნა B; 23 აუფანცქალდა] უფანცქალებდა B; 27 მოვიქცეოდი] მოვიქცევოდი BD.

305. 7 ამოგვეკითხნა] ამოგვეკითხა D; 8 ვაცვამდით] ვაცმევდით BD; 15 აგებს] ისევ აგებს B; 20 ჭკვა] ჭკუა B; 21 ჩვენისთანებს] ჩვენისთანაებს B; 24 ამებით] ამებითა B; 26 გიორგი+მთელი B; 32 უკვდავება] უკვდაება B; 35 ენაზედ] ენაზედაც B; არ] არც A.

306. 3 ვის] ვისა B; 4 არ] არც 10 დახვედროდა] დაჰხვედროდა B; 17 მოკვდა] მოჰკვდა B; 27 – 28 არ არის . . . წყალი] უბრალო წყალი არ არის B.

307. 3 ვტირი] ვსტირი D; 6 ერთმანეთში] ერთმანერთში D; ჩაიწნა და+სასოწარკვეთილსავით B; 8 წინა] წინ B; 10 – 11 რომ . . . ეგრე] ჩატეხილის გასამთელებლად და B; 16 ერთმანეთს] ერთმანერთს D; 25 ედებოდა] ეკიდებოდა B; 29 თვალგადუწვდენელს] თვალგადუწვდენელ B.

308. 2 ორღობეებში] ორღობებში B; 4 დახურულებს] დახურულს B; 5 თავსახურავები] B-ში "თავსახურები" ეწერა და გადაკეთებულია "თავსახურავებ"-ად; 6 ძალზე] ძალზედ B; 9 გამოლამაზდა] გამოჰლამაზდა B; ზოგან ჯარჯით, ზოგან – A; 10 დახურული, სქლად – B; 11 სჩანდა] "სჩანდნენ" ეწერა და "ნენ" "ა"-დ არის გადაკეთებული B; 19 ცაზე] ცაზედ B; 22 ერთმანეთს] ერთმანერთს D; 26 ხმაც] ხმა B; 31 იყო სახლი] ერთი სახლი იყო B; 32 კუნძს] ჯერ ეწერა "ხეს", მერე გადაუშლია და მიუწერია ზემოთ "კუნძს" B.

309. 7 თავზედ] თავზე B; 9 კერასთან – B; 13 მიხრწნილი] მიღრწნილი B; 26 დაინახა] ჰნახა B; 27 "ბოლოში" შემდეგ ეწერა "თავი", რომელიც გადახაზულია და "ცხვირით"-ად არის შეცვლილი B.

310. 1 გაყუჩდა] გაჰყუჩდა B; 5 ქვეშაგებში] ეწერა "ქვეშაგებზედ" და "ზედ" გადასწორებულია "ში"-დ B; წამოჰჯდა] წამოსჯდა B; ქვეშაგებში] ეწერა "ქვეშაგებიდან" და "დან" გადაკეთებულია "ში"-დ B; 9 ვეღარ] ვერ A; 16 გამოსდგა] გამოჰდგა D, გადმოჰდგა A; B-ში ეწერა "თოვლი ხელ", გადაშლილია და წერია "ფეხუხლებელი თოვლი"; 18 ფეხი] ეწერა "ხელი", გადაშლილია და წერია "ფეხი" B; 28 ვერ შეუტყო ავადმყოფს] ავადმყოფს ვერ შეუტყო B; 30 ერთმანეთს] ერთმანერთს D; 31 წუთისოფელი] წუთის-სოფელი B; 32 მამინაცვალიო] მამინაცვალი B, [აქ წყდება ხელნაწერი B].

311. 7 ციოდა] ჰციოდა D; 29 აქეთ] აქედ ABD.

ნიკოლოოზ გოსტაშაბიშვილი (გვ. 315 – 320)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890, № 1, გვ. 2 – 3; (B); თხზულებანი, 1892, ტ. III, გვ. 183 – 192 (A).

ს ა თ ა უ რ ი ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი B.

თ ა რ ი ღ ი: არა აქვს AB.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: * * B.

მ. გედევანიშვილის გამოცემაში (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1914 წ.), პ. ინგოროყვა – ალ. აბაშელის გამოცემებში (ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული 1926 წ. ტ. III, 1937 წ. ტ. I) და პ. ინგოროყვას გამოცემაში (ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1950 წ., ტ. II) ეს ნაწარმოები 1880 წლით არის დათარიღებული.

პ. ინგოროყვას ცნობით, ამ თხზულების თარიღი მან 1892 წ. “ქართველთა ამხანაგობის” გამოცემიდან აიღო, მაგრამ ხსენებული გამოცემის III ტომში, სადაც არის დაბეჭდილი “ნიკოლოოზ გოსტაშაბიშვილი”, ტექსტს თარიღი არ უზის და წიგნს არც ქრონოლოგიური ნუსხა არა აქვს დართული.

დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ მ. გედევანიშვილის გამოცემაში (1914 წ.) “ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი” 1886 – 1887 წლებში დაწერილი მოთხრობის “ოთარაანთ ქვრივის” წინ არის დაბეჭდილი, იქვე შენიშვნების XXVIII გვერდზე 1880 წლით არის დათარიღებული და სარჩევში (გვ. IV) 1880 წლის თარიღით არის შეტანილი. გაურკვეველია, რატომ დაათარიღა გამომცემელმა თხზულება 1880 წლით. შეიძლება მას რაიმე საბუთი ჰქონდა ხელთ. ჩვენ კი არავითარი სხვა საბუთი ნაწარმოების დათარიღებისათვის არა გვაქვს, გარდა მისი პირველი პუბლიკაციისა – გაზ. “ივერია”, 1890 წ. № 1 (ცენზურის ნებართვა 1889 წ. 31 დეკემბერი), და ამიტომ მას 1889 წლით ვათარიღებთ.

315. 14 ნუშს] ნუშსა B; 16 ჩაიმტკბარუნეთო] ჩაიტკბანურეთო A; 16, აქეთ] აქედ AB.

316. 1 ყველაზედ] ყველაზე B; 3 აქეთ] აქედ AB; 15 იქ] იქა B; 32 გვიბრძანა] გვიბძანა B.

317. 15 აქეთ-იქიდამ] აქედ-იქიდამ AB; 22 მამასა] მამას B.

318. 14 მოჰხდა] მოხდა B.

319. 6 ნიკოლოოზ] ნიკოლოზ B, ნიკოლოოზი] ნიკოლოზი B; 11 აქეთ-იქიდამ] აქედ-იქიდამ AB; 17 უწინდებურად] უწინდებულად B.

პ ი ე ს ე ბ ი

გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები (გვ. 323 – 348)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. ”დროება”, 1867 წ., 18(30) აგვისტო, № 33, გვ. 2 (B) (ცალკე წიგნის სახით გავრცელდა აგრეთვე ამონაბეჭდი ამ გაზეთიდან – ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემოთ შენიშვნებში); კრებ. ”ჩანგი”, ვ. აბაშიძის გამოცემა, წ. II. 1892 წ., გვ. 535; თხზულებანი, ტ. III, 1892, წ., გვ. 3 (A).

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ***B.

”გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები” ილია ჭავჭავაძის თხზულებათა III ტომში (1892 წ.) მოთავსებული იყო მოთხრობებს შორის ქრონოლოგიური რიგით. მიხ. გედევანიშვილმა იგი ილიას თხზულებათა პირველ ტომში (1914 წ.) დაბეჭდა განყოფილებაში ”მოთხრობანი”. საბჭოთა პერიოდის გამოცემებში თავდაპირველად ”გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები” მოთხრობების განყოფილებაში იბეჭდებოდა (1926, 1937 წ.წ.), ეს ტრადიცია დაირღვა 1950 წელს, როცა პ. ინგოროყვამ ილ. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის მეორე ტომში იგი კომედია ”მაჭანკალთან” ერთად დაბეჭდ განყოფილებაში ”სცენები. პიესა”. ჩვენ

რუბრიკაში თხზულებათა ასეთი კლასიფიკაცია არამართებულად გვეჩვენება, ამიტომ ორივე ზემოხსენებულ თხზულებას პიესების განყოფილებაში ვბეჭდავთ, მიგვაჩნია რა, რომ მათ შორის ჟანრობრივი სხვაობა არ არის.

”გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენების” ზემოაღნიშნული ავტორისდროინდელი სამი სხვადასხვა გამოცემის [35] ტექსტზე დაკვირვება აშკარად ადასტურებს, რომ ”თხზულებანის” (1892 წ.) ტექსტი ძირითადად იმეორებს ”დროების” ტექსტს, რამდენადმე შეცვლილი სახით არის წარმოდგენილი ტექსტი ვ. აბაშიძის მიერ გამოცემულ ჟურნალში – ”ჩანგი”. აქ, გარდა იმისა, რომ გასწორებულია ზოგიერთი სიტყვის მართლწერა, ყველგან ”შაიაშვილის” ნაცვლად წერია ”შაიშვილი”, ”ქვრივის მაზლის” ნაცვლად – ”მაზლი”, ”გლახა ჭრიაშვილის” ნაცვლად – ”ჭრიაშვილი”. ”მოხუცებული მებატონის” ნაცვლად – ”მოხუცი მებატონე”. აგრეთვე შეცვლილია რემარკების ტექსტი, გადანომრილია პერსონაჟთა გამოსვლები, სათაურად უწერია – ”გლახა ჭრიაშვილი”, ხოლო სათაურის ქვემოთ კი – ”გლეხთა განთავისუფლების პირველდროინდელი სცენები”.

ჩვენი აზრით, ”ჩანგის” ტექსტში შეტანილი ყველა სწორება ამ კრებულის რედაქტორს ეკუთვნის და მასში ილ. ჭავჭავაძეს მონაწილეობა არ მიუღია. კიდევ მეტიც, ილიას არ გაუზიარებია ეს შესწორებები. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ თავის თხზულებათა მესამე ტომში ილიამ ”დროების” ტექსტი შეიტანა და არა ”ჩანგისაც”. ”ჩანგის” ტექსტში გასწორებები ილია ჭავჭავაძის მიერ რომ იყოს შეტანილი, მაშინ, რაღა თქმა უნდა, ზოგიერთ მათგანს მაინც დატოვებდა იგი ”თხზულებათა” ტექსტში. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ მთლიანად უგულებელყო ”ჩანგის” ტექსტი მიხ. გედევანიშვილმაც, რომელიც, ყველა სხვა გამომცემელთან შედარებით, ზედმიწევნით იცავს ავტორისეულ ტექსტს.

ჩვენი მოსაზრების საწინააღმდეგოდ შეიძლება გამოითქვას ეჭვი: ”ჩანგიც” და ”თხზულებათა” III ტომიც ხომ ორივე 1892 წელს გამოვიდა და ეგების ”ჩანგის” გამოსვლას დაასწრო ”თხზულებათა” გამოცემამო. მაშინ, რა თქმა უნდა, ”თხზულებანში” ვერ გაითვალისწინებდნენ ”ჩანგის” გასწორებებს. ეს ვარაუდი საკმაოდ ბუნებრივია, მაგრამ საკითხის ღრმა შესწავლა საწინააღმდეგოზე მიუთითებს:

საქმე ის არის, რომ როგორც ”ჩანგი”, ისე ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ტომეულები ”ქართველთა ამხანაგობის” გამოცემებია. ეს უკანასკნელი კი ყველა თავის გამოცემას უსვამდა რიგით ნომერს. აი, როგორია ამ ნომრების თანამიმდევრობა:

ილია ჭავჭავაძის ”თხზულებათა” პირველი ტომი ”ქართველთა ამხანაგობის” გამოცემათა შორის მე-10 ნომრით მიდის; ”თხზულებათა” II ტომი – მე-11 ნომრით, ხოლო ჩვენთვის საინტერესო III ტომს (რომელშიაც დაიბეჭდა ”გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები” უზის № 15; კრებული ”ჩანგი” კი ამ ნუმერაციაში მე-12 ნომრით მოიხსენიება. ამასვე ადასტურებს ცენზურის ნებართვაც. ”ჩანგი” ცენზურის მიერ დასაბეჭდად ნებადართულია 1892 წლის 30 იანვარს, ხოლო ”თხზულებათა” III ტომი კი –

[35] ეს ტექსტებია: ”დროების” (1867 წ. № 33), კრებ. ”ჩანგისა” (1892 წ.) და ”თხზულებანის (1892 წ.) ტექსტები, რაც შეეხება გაზ. ”დროებიდან” ამონაბეჭდ ტექსტს, რომელიც წიგნის სახით აკინძა და გაავრცელა გაზეთის რედაქციამ იმავე 1867 წელს, რა თქმა უნდა, ”დროების” ტექსტს იმეორებს და ამიტომ, ბუნებრივია, მას დამოუკიდებელ გამოცემად არ ვიხსენიებთ. დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ქვემოთ. გვ. 620 – 621.

5 მარტს. ამრიგად, ილიას საშუალება ჰქონდა "ჩანგის" გასწორებები "თხზულებათა" ტექსტში გადაეტანა, თუკი საამისო სურვილი ექნებოდა. გარდა ამისა, შეუძლებელია, ილიას პიესის ტექსტი ჩაესწორებინა "ჩანგისათვის" და ამის შესახებ არაფერი ეცნობებინა თხზულებათა მესამე ტომის გამომცემლებისათვის.

ეგების ის ფაქტიც, რომ მ. გედევანიშვილმა გვერდი აუარა "ჩანგის" ტექსტს და თავის გამოცემას (1914 წ.) საფუძვლად "დროებიდან" მომდინარე ტექსტი დაუდვა, იმაზე მიუთითებს, რომ მას ამ ტექსტების თაობაზე რაიმე ცნობა ჰქონდა თვით ავტორისაგანაც კი.

ამიტომ, ბუნებრივია, პასპორტში ჩვენ "ჩანგის" ტექსტს ლიტერს არ ვაძლევთ და არც მის ვარიანტულ წაკითხვებს ვუჩვენებთ ქვემოთ.

რაც შეეხება მომდევნო – საბჭოთა პერიოდის – გამოცემებს, მათში ამ თხზულების "დროებასა" და "ჩანგში" გამოქვეყნებაზე არაფერია ნათქვამი. როგორც ირკვევა, პ. ინგოროყვასათვის (საბჭოთა პერიოდში დასტამბული ილიას თხზულებათა ყველა გამოცემის შენიშვნები პ. ინგოროყვას ეკუთვნის) ცნობილი არ ყოფილა არც "დროების" და არც "ჩანგის" ტექსტი, ეს კარგად ჩანს მისი მსჯელობიდან, რომელიც ამ თხზულების ნაბეჭდ წყაროებს ეხება. პ. ინგოროყვა წერს: "სცენები პირველად გამოიცა ცალკე წიგნად 60-იანი წლების მეორე ნახევარში, შემდეგ იგი მეორედ დაიბეჭდა ქართველთა ამხანაგობის გამოცემაში 1892 წელს"[36]. როგორც ვხედავთ, აქ არაფერია ნათქვამი თხზულების არც "დროებაში" და არც "ჩანგში" გამოქვეყნების თაობაზე. რაც შეეხება "პირველ ცალკე წიგნად გამოცემას", როგორც პ. ინგოროყვა აღნიშნავს, ამის შესახებ მისთვის ცნობა მიუწოდებია ნ. ნიკოლაძეს. პ. ინგოროყვა წერს: "ცნობა ამ პირველი გამოცემის შესახებ გადმოგვცა განსვენებულმა ნ. ნიკოლაძემ; ეს გამოცემა ნ. ნიკოლაძეს უნახავს 1869 წელს, როცა იგი ევროპიდან საქართველოში ჩამობრუნდა, ზედმიწევნითი თარიღი ამ გამოცემისა ნ. ნიკოლაძეს არ ახსოვდა. მისი ცნობით იგი დაბეჭდილი იყო 1865 – 1868 წლებს შორის"[37]. ნ. ნიკოლაძის ამ განცხადების ასახსნელად ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას: 1867 წელს გაზ. "დროების" № 33-ში დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის "გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენების" ამონაბეჭდი "დროების" რედაქციამ უყდოდ და უთავფურცლოდ ცალკე აკინძა და წიგნის სახით გაავრცელა. ალბათ, ეს წიგნი სახით აკინძული ამონაბეჭდი ჰქონდა ხელთ ნ. ნიკოლაძეს როდესაც იგი ამ თხზულებას რუსულად თარგმნიდა[38]. "გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენების" "დროებაში" გამოქვეყნების შესახებ რომ ნ. ნიკოლაძეს რაიმე სცოდნოდა, იგი ამის შესახებ პ. ინგოროყვას აცნობებდა. მაგრამ 1867 წელს, როცა აღნიშნული თხზულება "დროებაში" დაიბეჭდა, ნ. ნიკოლაძე საზღვარგარეთ იყო, ამიტომ მოხდა, რომ იგი არაფერს ამბობს "დროების" ტექსტზე, ხოლო "დროების" ამონაბეჭდს კი ცალკე გამოცემად მოიხსენიებს. ცალკე გამოცემას უწოდებს ამ ამონაბეჭდს თვით ილ. ჭავჭავაძეც. იგი თავის ავტობიოგრაფიაში წერს: "..."სცენები გლეხთა განთავისუფლების პირველი დროისა", დაბეჭდილი 1865 წელს "კრებულში" და მერე ცალკე წიგნად"[39]. საგულისხმოა, რომ ილიას ამ ავტობიოგრაფიას, რომელიც 900-იანი

---

[36] ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, 1950, გვ. 600 და 638.
[37] იქვე, გვ. 600.
[38] იხ. "Изящная литература", 1883 წ., გვ. 270.
[39] ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, 1957, გვ. 312.

წლების დასაწყისშია დაწერილი, აშკარად ემჩნევა, რომ დაწერილია ზეპირად, მხოლოდ მეხსიერებაზე დაყრდნობით. ამას ადასტურებს მისივე სიტყვები ამ ავტობიოგრაფიიდან: "აღარ მახსოვს კიდევ რომელიღაშიაც...", "რამდენადაც მახსოვს...", "აღარ მახსოვს" და სხვა მსგავსი გამოთქმები, რომლებიც არა ერთხელ გვხვდება ავტობიოგრაფიაში. ასევე ნაჩქარევობა იგრძნობა ილიას ზემომოყვანილ ციტატაშიც, რომელიც "გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენების" ბეჭდვის ისტორიას ეხება. აქ მოყვანილი ოთხი ცნობიდან არც ერთი ზუსტი არ არის: 1) არაზუსტად არის მითითებული თხზულების სათაური; 2) მისი დაბეჭდვის წლად აღნიშნულია 1865 და არა 1867 წელი. 3) ნაცვლად "დროებისა", სადაც ეს თხზულება პირველად დაიბეჭდა, მითითებულია "კრებული", 4) ამონაბეჭდის ნაცვლად – ცალკე გამოცემა. მაგრამ, ეს უკანასკნელი რომ ცალკე გამოცემა არ არის, ამას ადასტურებს შემდეგი: 1. "დროებისა" და ამ ტექსტის ყ ო ვ ე ლ ი ს ტ რ ი ქ ო ნ ი თანხვდება ერთმანეთს: ორივეგან ს ტ რ ი ქ ო ნ ე ბ ი ე რ თ ი დ ა ი გ ი ვ ე ს ი ტ ყ ვ ი თ ან ს ი ტ ყ ვ ი ს ნ ა წ ი ლ ი თ ი წ ყ ე ბ ა დ ა მ თ ა ვ რ დ ე ბ ა, ასეა თ ა ვ ი დ ა ნ ბ ო ლ ო მ დ ე, მ თ ე ლ ი ტ ე ქ ს ტ ი ს მ ა ნ ძ ი ლ ზ ე; 2. როგორც "დროებაში", ისე ე. წ. "ცალკე გამოცემაში", თხზულება XXX-ით არის ხელმოწერილი ტექსტის ბოლოს, ასეთი ხელმოწერა კი ცალკე გამოცემისათვის არ არის დამახასიათებელი. 3. ორივეგან ერთი და იგივეა ცენზურის ნებართვის თარიღი: 1867 წ. 18 აგვისტო.

ამიტომაც არის, რომ სპეციალისტი ბიბლიოგრაფები აღნიშნულ "გამოცემას" "დროებიდან" ცალკე "ამონაბეჭდს" უწოდებენ (იხ. ქართული წიგნი, ტ. I, 1941, გვ. 115 და თ. ნაკაშიძე, ნ. კორძაია, "ილ, ჭავჭავაძის ნაწერების ბიობიბლიოგრაფია", 1966, გვ. 20). ასევე ვიხსენიებთ ჩვენც ამ ამონაბეჭდს და თხზულების პასპორტში მას "დროებისგან" განსხვავებულ ლიტერს არ ვაძლევთ.

"გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენების" დაწერის თარიღად ავტორის გარდაცვალების შემდეგდროინდელი ყველა გამოცემა 1865 წელს ასახელებს (მაგრამ, სამწუხაროდ, არ მიუთითებენ, თუ საიდან მომდინარეობს ეს თარიღი). ავტორისდროინდელ არც ერთ გამოცემაში ეს თხზულება დათარიღებული არ არის. პ. ინგოროყვა თავის გამოცემებში იმოწმებს "თხზულებათა" III ტომის (1892 წ.) ქრონოლოგიურ ნუსხას, რომელშიაც, თითქოს, ეს თხზულება 1865 წელს დაწერილად იხსენიება. მაგრამ არავითარი ქრონოლოგიური ნუსხა "თხზულებათა" III ტომს არ ახლავს[40]. ილიას თხზულებათა ქრონოლოგიური ნუსხა ერთვის მიხ. გედევანიშვილის 1914 წლის გამოცემას ("თხზულებანი", ტ. I), რომელშიაც "გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენების" დაწერის თარიღად 1865 წელია მითითებული, მაგრამ გედევანიშვილი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ საიდან აიღო მან ეს თარიღი.

ჩვენი ვარაუდით, ეს თარიღი, პირველ ყოვლისა, მომდინარეობს თვით თხზულების ტექსტიდან. რომლის პირველ ორ ავტორისდროინდელ გამოცემაში (გაზ. "დროებასა" და კრ. "ჩანგში") ვკითხულობთ: "წლევანდელი წელიწადი, როგორც თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, ათას რვაას სამოცდამეხუთეა".

---

[40] ქრონოლოგიური ნუსხა ერთვის მხოლოდ "თხზულებათა" I და II ტომებს, მაგრამ იქ, რა თქმა უნდა, არაფერია ნათქვამი ამ თხზულების დაწერის თარიღზე, რადგან იგი "თხზულებათა" III ტომშია დაბეჭდილი.

თვით ილია კი თავის ავტობიოგრაფიაში, თუმცა არაფერს ამბობს ამ თხზულების დაწერის თარიღზე, მაგრამ მიუთითებს მისი პირველი პუბლიკაციის თარიღს – 1865 წ. (ნაცვლად 1967 წლისა). ვფიქრობთ, ეს შეცდომაც იქიდან მომდინარეობს, რომ თხზულება კი არ დაბეჭდილა, არამედ დაიწერა 1865 წელს.

ქვემოთ ვუჩვენებთ იმ განსხვავებულ წაკითხვებს, რასაც ჩვენი გამოცემის ტექსტთან შეპირისპირებისას იძლევიან ავტორისეული გამოცემები:

323. 7 სთქვა] ჰსთქვა B.

324. 2 რომა] რომ B. 11 დღეგრძელობა+მინდა B. 9 მაგისთანა] მაგისთანას B. 17 ჰხედავ] ხედავ B. 23 და 25 სთქვი] ჰსთქვი B.

325. 12 კარგად] კარგათ B. 22 შავი] შავია B. 26 სჯობია] ჰსჯობია B.

326. 1 მოვკრიბო] მოვკრიფო B. 10 აქეთ] აქედ AB (შესწორდა სარედაქციო კოლეგიის მითითებით), 31 დაეხსენ] თავსხენ B.

327. 5 მკითხავ] მკითხამ B. 29 კარგად] კარგათ B, დიაღ] დიახ B, 30 მოვიკრებ] მოვიკრეფ B.

328. 2 სჯობია] ჰსჯობია B. 3 მოვიკრებ] მოვიკრეფ B. 17 კი – B.

329. 9 და 19 ფრთხილად] ფთხილად B. 21 დავიკრიბოთ] დავიკრიფოთ B. 24 შხამად] შხამათ B. 25 ვსთქვათ] ვჰსთქვათ B. 28 მესამედა] მესამეთა B. 29 მოვუსმინო] მოუსმინო B.

330. 1 ლაპარაკით] ლაპარაკითა B. 3 რადა] რათა B. ვსთქვი] ვჰსთქვი B. 8 ფიქრადაც] ფიქრათაც B.

331. 9 სთქვა] თქვა B. 32 სჩივი] ჰსჩივი B.

332. 3 აქეთ] აქედ AB (შესწორდა სარედაქციო კოლეგიის მითითებით). 11 მომცეთ] მამცეთ B; მოვუსმინო] მოუსმინო B. 24 დაჯექ] დაჯეგ B; ადექ] ადეგ AB. 29 მომხდარა+B. 31 სჩივიან] ჩივიან B. (ორივე შემთხვევაში ასეა ამ სტრიქონზე).

333. 1 სჩივის] ჩივის B. 4 ყველაფრის] ყველაფერს AB. 12 მღვდელმა] ღვდელმა B; დასწერა] დაჰსწერა B. 15 მღვდელიც] ღვდელიც B. 20 აქეთ-იქით] აქედ-იქით (შესწორდა სარედაქციო კოლეგიის მითითებით). 26 დიაღ] დიახ B. 27 სთქვას] თქვას B.

334. 5 ჰშინებია] შინებია B. 19 ვინახავ] ვინახამ B; მაგათის] მაგათი B. 23 ვალადა] ვალათა B. 29 აღსრულებისათვის] აღსრულებაში B. 34 სთქვა] თქვა B.

335. 3 დიაღ] დიახ B.

336. 3 შევბერებულიყავით] შევბერებულვიყავით B. 18 სწერა] ჰსწერია B; პოსრედნიკო] პოსლედნიკო B. 19 ჰკითხულობს] კითხულობს B. 32 დიღა] დიახ B.

337. 2 ჰცდილობს] ცდილობს B. 13 მოვუწერო] მოუწერო B. 16 სწერს] წერს B.

338. 12 მისცა] მიჰსცა B. 14 სჭერია] ჰსჭერია B. 18 რომ] რო B; გასწვდება] მისწვდება B. 19 მეფეთ-მეფის] მეფედ მეფის AB. 20 კარგად] კარგათ B. 24 მისცემდით] მიჰსცემდით B.

339. 11 დიაღ] დიახ B. 15 გგონია] გონია B. 17 ვსთქვა] ვჰსთქვა B. 19 ჩემის] ჩემი B. 25 დიაღ] დიახ B.

340. 3 რომ] რო B. 8 ჰრგებოდათ] რგებოდათ B. 13 დიაღ] დიახ B. 28 რომ] რო B; არის-თქო] არი-თქო B.

341. 3 უთქმელადა] უთქმელათა B. 10 ჩამოურთმევია] ჩამოურთმევიაო B. 19, 24 დიაღ] დიახ B. 25 კარგად] კარგათ B. 26 დავიფიცავ] დავიფიცამ B. 28 ყოფილა+ პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. თქვენვე არ ბძანეთ წეღან, რომ სწორედ წელს თებერვალში

ჩამოვართვითო. წლევანდელი წელიწადი როგორც თქვენ თითონ კარგად მოგეხსენებათ, ათას რვას სამოცდამეხუთეა. ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი მართალია.

342. 1 რომ] რო B. 5 დიაღ] დიახ B. 13 თავმომწონედ] თავმომწონეთ B. 16 არ ჰყოფილიყავით] არა ყოფილიყავით B. 22 აქეთ] აქედ AB (შესწორდა სარედაქციო კოლეგიის მითითებით) 27 დავწერ] დავსწერ B. 28 ხედავთ] ჰხედავთ B. 32 ggონია] gონია B; gამეთავებინოს] mამეთავებინოს B. 33 დავწერ] დავსწერ B.

343. 5 სთქვა] ჰსთქვა B. 6 მოსდის] მოჰსდის B; სწორედა ბძანეთ] სწორეთა ბრძანეთ B. 7 სთქვა] ჰსთქვა B; მოვუჭერი] მოუჭერი B. 9 მოვუჭერი] მოუჭერი B. 9 ვთქვი] ვჰსთქვი B. 12 გაჯავრებული] და გაჯავრებული B. 13 კარებიდან მისძახის] კარებიდან მიჰსძახის B. 16 სტყუის] ტყუის B. 17 გამოსცხადებია] გამოჰსცხადებია B. 18 რომ] რო B. 19 ავის] ავი B. 23 რომ] რო B. 34 მისცა] მიჰსცა B; მივუgზავნე] მიუgზავნე B.

344. 1 შევუთვალე] შეუთვალე B; რომ] რო B. 2 შეებღერტა] შეებღერტა B. 3 მივუვარდი და ვუთხარი] მიუვარდი და უთხარი B. 5 თქვენზედ] თქვენზე B. 7 ამხანაგი] ამხანაკი B. 11 რომ] რო B; სჩადის] ჩადის B. 18 მივტყეპდი] მივტყებდი B. 20 ქვრივ-ოხერს] ქვრივს-ოხერს B. 21 ჩაგეთვლებოდათ] ჩეგეთვლებოდათ B. 23 თქვენის] თქვენ B. 25 მივჯოხავდი] მივჯოხამდი B; რომ] რო B. 30 გასწყვეტს] გაჰსწყვეტს B.

345. 3 თრევით] თრევითა B. 4 გაგვანთავისუფლა] გაგვათავისუფლა B. 12 რომ] რო; სიცრუვისათვის] სიცრუისათვის B. 15 არის] არი B. 18 gნებავდეთ] gნებავდესთ B. 21 სწყევლის] ჰსწყევლის B; მისძახის] მიჰსძახის B. 22 ისეთებოო] ისეთებო B. 25 კი – B. 30 სწერიხარ] ჰსწერიხარ B. 32 შუაზედ] შუაზე B.

346. 1 ჩაგარჩობ] ჩაგახრჩობ B. 2 ძაღლსავითა] ძაღლისავითა B. 14 რადა] რათა B. 22 არის] არი B. 30 gიორgი-მეთქი] gიორgი-მეთქინ B.

347. 4 შენებურადა] შენებურათა B. 7 არის-მეთქი] არი-მეთქი B. 8 მოუgონია] მოიgონებს B. 10 დედაშვილურადა] დედაშვილურათა B. 4 რომ] რო B. 15 რაები] რეები B. 18 სწერია] ჰსწერია B. 21 ჩემს] ჩემ B.

348. ჭირადაც და ლხინადაც] ჭირათაც და ლხინათაც B. 3 gთხოვთ] mთხოვ B. 14 მეორედაც] მეორეთაც B. 21 ყელს] ყელ B.

მ ა ჭ ა ნ კ ა ლ ი (gვ. 349 – 398)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი ავტოgრაფი ინახება ყვარლის ილ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში[41].

”მაჭანკალი” წარმოადgენს ილ. ჭავჭავაძის მოთხრობა ”კაცია-ადამიანის” VI –VIII თავების gადმოkეთებას პიესად. მასში ნაჩვენებია ხორეშანის (მაჭანkალ სუტ-kნეინას) ”ღvაწლი” ლუარსაბის დაქორწინების საkმეში.

”მაჭანkლის” ტექსტი ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. მის ავტოgრაფს მიაkვლია პოეტმა-აkადემიkოსმა ი. gრიშაშვილმა. მან kომედიის დასაბეჭდად

[41] ეს ის ავტოgრაფია, რომელიც ადრე შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის მუზეუმში ინახებოდა და ასეც არის მითითებული ამის თაობაზე ილ. ჭავჭავაძის თხზულებათა წინა gამოცემებში.

გამზადებული ტექსტი გადასცა პ. ინგოროყვასა და ალ. აბაშელს, რომელთაც შეიტანეს იგი ილ. ჭავჭავაძის თხზულებათა ხუთტომეულის პირველ ტომში 1937 წელს. 1939 წელს კი "მაჭანკალი" ი. გრიშაშვილმა დაბეჭდა ილ. ჭავჭავაძის საიუბილეო კრებულში, ხოლო პ. ინგოროყვამ 1950 წელს ათტომეულის II ტომში. მაგრამ არც მაშინ და არც ადრე ი. გრიშაშვილის მიერ მომზადებული ტექსტი ავტოგრაფისათვის არავის არ შეუდარებია, ამიტომ ყველა ის შესწორება თუ უნებლიე შეცდომა, რომელიც ი. გრიშაშვილის მიერ მომზადებულ ტექსტში გაიპარა, დღემდე მეორდებოდა ყველა გამოცემაში [42]. წინამდებარე ტომში "მაჭანკალი" იბეჭდება ავტოგრაფის მიხედვით. სარედაქციო კოლეგიის მითითებით შევასწორეთ მხოლოდ რამდენიმე ავტორისეული ფორმა: **353**, 5 არ ვუპატრონო] არ უპატრონო – წერია ავტოგრაფში. **360,** 7 მოჰრცხობს] მორცხობს. **374,** 24 გესწავლება] გესწაულება. **384,** 14 არ გავუშვებ-და] არ გაუშვებ-და. აგრეთვე ყველგან "აქეთ-იქით"] აქედ-იქეთ – უწერია ილიას.

საკითხი – შეიძლება თუ არა "მაჭანკალი" ჩაითვალოს ილიას დამოუკიდებელ თხზულებად? – აფიქრებდა მის გამომცემლებსა და მკვლევარებს. ამიტომ იყო, რომ 1937 წელს ილიას თხზულებათა I ტომის გამომცემლებმა "მაჭანკალი" მხატვრული პროზის განყოფილებაში დაბეჭდეს რუბრიკით – "გადმოკეთებული პიესა", ხოლო 1950 წელს თხზულებათა II ტომში პ. ინგოროყვამ იგი შეიტანა როგორც დამოუკიდებელი პიესა. ასეთივე აზრისა იყო ამ თხზულებაზე მისი პირველი მკვლევარი და ტექსტის მომმზადებელი ი. გრიშაშვილი. იგი წერს: "...ილიას პიესა "მაჭანკალი", თუ არ მივიღებთ მოთხრობიდან ზოგიერთი მონოლოგების უსიტყვოთ გადმომღერებას, შეიძლება დამოუკიდებელ ნაწარმოებად ჩაითვალოს"[43]. წინამდებარე გამოცემაშიც ეს უკანასკნელი თვალსაზრისია გაზიარებული.

"მაჭანკლის" ავტოგრაფს თარიღი არ უზის. ი. გრიშაშვილმა თავის წერილში "ილ. ჭავჭავაძე და ქართული თეატრი", რომელიც ილიას საიუბილეო კრებულში დაიბეჭდა (1939 წ.), დაადასტურა, რომ პიესა სპეციალურად არის დაწერილი ცნობილი მსახიობი ქალის ნატო გაბუნია-ცაგარლის ბენეფისისათვის, რომელიც 1881 წლის 31 მაისს გამართულა. ამის საფუძველზე ი. გრიშაშვილმა პიესა 1881 წლით დაათარიღა. რადგან იგულისხმება, რომ პიესა აღნიშნულ ბენეფისზე რამდენიმე ხნით ადრე დაიწერებოდა, მას ასე ვათარიღებთ: 1881 წლის 31 მაისამდე.

წარმოგიდგენთ "მაჭანკლის" ავტოგრაფის დახასიათებას:

ავტოგრაფში მოქმედი გმირების გასწვრივ ილიას ხელით მიწერილია მათი როლების სავარაუდო შემსრულებლები:

დავით თათქარიძე – შიშნიევი; ელისაბედი – კორინთლისა; ლუარსაბ თათქარიძე – ყიფიანი; მოსე გძელაძე – მაჩაბელი; ხორეშანი – გაბუნია. როგორც ი. გრიშაშვილი მიუთითებს[44], ილიას ეს ვარაუდი რეჟისორს რამდენადმე შეუცვლია. მაგ., კოტე ყიფიანის ნაცვლად პიესის პირველ წარმოდგენაში (1881 წ. 31/V-ს) ლუარსაბის როლი უთამაშნია ნოდარ ჯორჯაძეს, ხოლო მოსე გძელაძისა ზაალ მაჩაბლის ნაცვლად – ვასო აბაშიძეს.

---

[42] ი. გრიშაშვილმა "მაჭანკლის" ტექსტში თითქმის ყველგან ჩაასწორა ვითარებითი ბრუნვის ნიშანი, რომელიც ყოველთვის "თანით" იყო წარმოდგენილი, ასევე შეცვალა ზმნისწინები ("მა" "მო"-თი), ამოიღო ორმაგი პირის ნიშანი ("ჰს" შეცვალა "სანით"), სიტყვა "ქრმის" ნაცვლად ყველგან "ქმარი" დაბეჭდა, ხოლო "შეკმაზული"-ს ნაცვლად "შეკაზმული" და სხვა.

[43] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, "საიუბილეო კრებული", 1939, გვ. 105.

[44] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, "საიუბილეო კრებული", 1939, გვ. 81.

ავტოგრაფის მეორე გვერდის მარჯვენა არშიაზე ვასო აბაშიძის ხელით (როგორც ი. გრიშაშვილი აზუსტებს სქოლიოში მითითებულ წერილში) მიწერილია: მ ო ქ მ ე დ ნ ი პ ი რ ნ ი თავ. დავით თათქარიძე; ელისაბედი, ამისი ცოლი; ლუარსაბი, დავითის ძმა; აზნაური მოსე, გძელაძე; ხორეშან, მაჭანკალი; მსახურნი.

350. 7 – 23 "მზარეული... (გადის)" ავტოგრაფში გადახაზულია. "დედა... თუ" ავტოგრაფის ტექსტში ჩამატებულია.

357. 16 "გააგძელა ლაპარაკი" – ეს სიტყვები გამორჩენილია ამ თხზულების დღემდე გამოქვეყნებულ ყველა ტექსტში.

364. 10 – **365.** 1 "რომ გაეგზავნათ... ვიცოდი" მიწერილია ხელნაწერის არშიაზე. 9 სიხარული ჩემთვის სიხარული აღარ არის] სიხარული ჩემთვის აღარ არის – წერია ამ თხზულების ადრე დაბეჭდილ ყველა ტექსტში.

376. 17 "დღეს" შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია "უთუოდ".

377. 28 ვერა გნახე] ძლივს გიპოვე*.

378. 3 "ნახვის" ავტოგრაფში ჩაწერილია უცნობი ხელით, აზრობრივად ტექსტი მოითხოვს ამ სიტყვას, ამიტომ ჩვენ იგი ტექსტში შევიტანეთ, რაც შეეხება პიესის დღემდე გამოცემულ ტექსტებს, არსად ეს სიტყვა არ გვხვდება.

380. 17 – 18 ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მაგრამ რა? ხ ო რ ე შ ა ნ ი – ეს სიტყვები არ იკითხება ამ თხზულების არც ერთ დღემდე გამოცემულ ტექსტში, ჩვენ ისინი ავტოგრაფიდან შემოვიტანეთ.

382. 8 – 10 "თუ ფული... გაახლებ" ავტოგრაფში არშიაზეა მიწერილი.

386. 4 დაეთრევი] დადიხარ*.

389. 12 გიჟი] სულელი*; "ვარ", სიტყვის შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია: "(თავისთა...". 31 "კიბე"-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია შემდეგი: "ხალხია და ხმაურობს".

392. 9-10 "ხალხს.....საყდარში" ჩამატებულია ხელნაწერში.

397. 8 "იქნება"-ს შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია: "მორჩილების ქვეშ".

398. 10 ეგ ძალიან მწყინს] ამაზედ ძალიან ვწუხვარ*.

დაუმთავრებელი პროზაული ნაწერები

დიამბეგობა (გვ. 401 – 412)

თხზულების ავტოგრაფები, რომლითაც წინა გამომცემლებს უსარგებლიათ, ამჟამად დაკარგულია (ამის თაობაზედ დაწვრილებით იხ. ქვემოთ). ამიტომ მისი როგორც ძირითად ნაწილში დაბეჭდილი, ასევე ვარიანტებისა და ნაწყვეტების ტექსტი

* ამ ნიშნით ყველგან აღნიშნულია ის ფორმები, რომელიც თავდაპირველად დაუწერია ილიას და შემდეგ კი შეუცვლია ისე, როგორც ამჟამად იკითხება ტექსტში.

გადმოვბეჭდეთ ილ. ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეულის მეორე ტომიდან (1950 წ.). პირველად ხსენებული მასალები დაიბეჭდა ცხრატომეულის[45] მესამე ტომში (1926 წ.).

პ. ინგოროყვა მიუთითებს, რომ "დიამბეგობისა" და კიდევ რამდენიმე სხვა თხზულების[46] ავტოგრაფები თავდაპირველად ი. გრიშაშვილის კუთვნილება ყოფილა; შემდეგ კი ისინი შეუძენია გამომცემლობა "ქართულ წიგნს". აი, რას წერს იგი ამის შესახებ ცხრატომეულის მესამე ტომში (1926 წ.): "ხელნაწერი[47] ამჟამად დაცულია "ქართულ წიგნში", რომელმაც შეიძინა ეს ავტოგრაფი" (გვ. 305), მაგრამ, რატომღაც, ამის შემდგომ გამოცემებში პ. ინგოროყვა გამომცემლობის მიერ ხელნაწერების შეძენაზე აღარაფერს ამბობს და ამ ავტოგრაფებს კვლავ მოიხსენიებს, როგორც ხელნაწერებს "პოეტი გრიშაშვილის არქივიდან".

ჩვენ საგულდაგულოდ დავძებნეთ აღნიშნული ავტოგრაფები არა მარტო ი. გრიშაშვილის არქივში, არამედ ყველა საცავში, სადაც კი სავარაუდო იყო მათი მიკვლევა, მაგრამ ვერ მივაგენით. ამიტომ, როგორც უკვე მივუთითეთ, ეს ტექსტები გადმოვბეჭდეთ პ. ინგოროყვას ზემოხსენებული გამოცემიდან.

"დიამბეგობის" თარიღის დასადგენად პ. ინგოროყვა იშველიებს იმ ზემოხსენებულ ავტოგრაფებსაც, რომელთა ტექსტებიც მას არ გამოუქვეყნებია, და დაუმთავრებელ მოთხრობას "კაკო". აღნიშნულ მასალაში მსგავსი ადგილების დაძებნითა და მათი შეპირისპირებით პ. ინგოროყვა დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ "დიამბეგობა" 1858 – 1859 წლებზე ადრე არის დაწერილი. პ. ინგოროყვა შეეცადა კიდევ უფრო დაეზუსტებინა ეს თარიღი. იგი წერს: "დიამბეგობის" ელემენტები ილიას სხვა ნაწარმოებშიაც აქვს გადაღებული. ეს არის ლექსი "ხმა სამარიდამ", რომელიც დიამბეგის აღსარებას წარმოადგენს და რომელიც დაწერილია 1857 წელს, 27 დეკემბერს, პეტერბურგს. ამ ორი ტექსტის შედარებიდან ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ილიას, რაკი დაუწუნებია მოთხრობა "დიამბეგობა", მას იგივე თემა გამოუყენებია აღნიშნული ლექსისათვის. ამის მიხედვით "დიამბეგობა" დაწერილია 1857 წლის დეკემბრის ადრე"[48]. ჩვენი აზრით, ამ მსჯელობით არ მტკიცდება ის, რომ ლექსი აუცილებლად მოთხრობის შემდეგ არის შექმნილი. გამორიცხული არც ის არის, რომ ილიას ჯერ ლექსი დაეწერა, შემდეგ – "დიამბეგობა", ან ერთდროულად შეექმნა ორივე თხზულება.

ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია პ. ინგოროყვას ის მოსაზრება, რომ "დიამბეგობა" დაწერილია 1858 – 1859 წლებზე ადრე. ამიტომ წინამდებარე გამოცემაში თხზულება სავარაუდოდ 1857 წლით დავათარიღეთ.

გარდა ძირითად ნაწილში გამოქვეყნებული ტექსტისა, არსებობს ამ მოთხრობის კიდევ ორი განსხვავებული ვარიანტი და ერთი პატარა ნაწყვეტი, რომელთაც ვბეჭდავთ ქვემოთ:

---

[45] იგულისხმება ილ. ჭავჭავაძის "ნაწერების სრული კრებული", რომელიც 1925 – 1929 წლებში გამოვიდა ათ ტომად, თავდაპირველად კი იგი ცხრა ტომად იყო ნავარაუდები და ტომებზე ასეც იყო მითითებული.

[46] ეს თხზულებებია: დაუმთავრებელი მოთხრობები "ცხოვრების გამონაცადი და გამონაფიქრი" და "გუბე" (ვარიანტი და ნაწყვეტი).

[47] იგულისხმება ხელნაწერები, რომელშიაც შედიოდა "დიამბეგობის" რამდენიმე ავტოგრაფი და წინა სქოლიოში მითითებულ თხზულებათა ავტოგრაფები.

[48] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, 1950, გვ. 605.

პირველი ვარიანტი

დიამბეგობა

დიამბეგობა – შენ რას იტყვი, მკითხველო? – კარგია. – ჰმ, ჰმ, – ჩაიცინებ ჩუმ-ჩუმად და იტყვი ჩემზედ "ამის დამწერსაც კი ჰქონია პირში გემოო!" არა თუ?

მიყვარს შავი ხავერდის საყელოთი დარბაისლურად დაშვენებული შავი სერთუკი; მიყვარს, თუნდა იმ სერთუკით მუთაქა იყოს მორთული; მიყვარს იმიტომ, რომ ისე მოსახდენი არ არის, როგორც მოსაგებია. მიყვარს მასზედ ჩამომწკრივებული ყვითელი ღილები, რომლებიც ქამრისათვის ხშირად ენატრებათ გლეხის ბიჭებსა; მიყვარს იმ სერთუკის განიერი ჯიბეცა, რომელიც მუდამ სტუმრის მოყვარულია, რადგანაც ყოველთვის კარი ღია აქვს; მიყვარს იმიტომ, რომ გლეხკაცის ჭუჭყიან ჯიბიდან ამოპარული ცოდვის შვილები – ფულები საქეიფოდ იქ მოიყრიან ხოლმე თავსა. მიყვარს თითონ დიამბეგიც, იმიტომ რომ ჩათუქესანია ყოველთვისა: მრავალს თითონ გამორჩება ხოლმე და თავის რიგზედ თითონაც ზოგიერთს არჩენს; მიყვარს უფრო მისი მარჯვენა – სულ ერთია მათრახით არ[ის] მოსილი, თუ უმათრახოდ, – ორივე შემთხვევაში კარგია, იმიტომ რომ ისე დაიჭერს ხოლმე საქმეს, რომ მარცხენაც ვერ შეუტყობს, სახარების სიტყვისამებრ; მიყვარს ჩვენი ბეჟან კალმახიძეც, იმიტომ რომ დიამბეგია.

ეს ბეჟან კალმახიძე ერთს მშვენიერს ზაფხულის საღამოს იჯდა მუაჯარზედ, გულგადაღეღილი, ხელში ეჭირა გძელი ჩიბუხი და ისე გაჯავრებული ძალზედ სწევდა, თითქო ჩიბუხზედ უნდა ჯავრი ამოიყაროსო. წინ ედგა პერევოჩიკი.

მინდა აგიწეროთ ბეჟან კალმახიძის სახის მეტყველება, მაგრამ ვშიშობ, მეტი არ იყოს. მაგრამ ჩვეულება რჯულზედ უმტკიცესიაო, ნათქვამია.

ბეჟან კალმახიძე იქნებოდა ორმოცდასამის თუ ოთხის წლისა. თვალად თუ ტანად ასეთი იყო, თითქო დიამბეგის სერთუკისათვის გამოჭრილიაო. სახეს მოყვითანო ფერი დასცემდა, ცხადი ნიშანი, რომ თავის სიცოცხლეში ბევრი ნერწყვი უყლაპავს; თვალები საოცრად სწრაფნი და წვრილნი, – ასეთის თვისებისანი, რომ თაფლს ჰსთოვს, ოდეს უყურებს "ძლიერსა ამა ქვეყნისასა", ე. ი. უეზდის ნაჩალნიკსა, სოვეტნიკსა და სხ., და რისხვას აქუხებს, ოდეს უყურებს "უძლურსა ამა ქვეყნისასა", ე. ი. გლეხსა; იგივ თვალები ნუგეშმცემელნი, ოდეს შეჰხარის მდიდარსა ამა ქვეყნისასა; შუბლი მაღალი, კანონების საპენტავად მოყვანილი, სამ რიგათა ჰქონდა შეკეცილი. საკვირველია ამ შუბლის და ნაკეცების საქმე. ერთი რიგი წაიშლებოდა და ქრებოდა მაშინ, როცა მის წინ იდგა ხოლმე მოჩივარი ლამაზი ქვრივი; მეორე რიგი იმისთანა იყო, რომ როცა კალმახიძე ქრთამზედ ვაჭრობდა, მაშინ მოვიდოდა მოძრაობაში და ვაჭრობის გადაწყვეტაზედ ეკიდა იმისი შუბლიდამ გაქრობა; რიგი მესამე მეტად გადახვლანჭილი იყო შუბლზედ, ასე რომ მისი გაშლა შეუძლებელი იყო, მაგრამ ნაჩალნიკის ღიმილსა კი ვერ გაუმაგრდებოდა და მსწრაფლ ქრებოდა. თუ შუბლზედ ეს სამი რიგი ნაკეცი ერთად იყო, ვაი შენს მტერს, ცუდი ნიშანია: სჩანს დიამბეგს ხელიდამ გასხლტომია კაი ნაჭერი. ცხვირი, პირი ისე მარჯვედა ჰქონდა მოყვანილი, რომ თუ ვინიცობაა წეროს დაეპატიჟნა და ქოთანში მოეხარშა საჭმელი, იქაც ჩასწვდებოდა, და თუ მელას დაეპატიჟნა და თეფშზედ მოეტანა

საჭმელი, იქაც ცარიელი არ დარჩებოდა; ხელები მარდი, ნამეტნავად აღებაში; აღებ-მიცემა კარგი იქნებოდაო, ხშირად იტყოდა ხოლმე კალმახიძე, რომ მარტო აღება იყოსო და მიცემა კი არაო; ტანი ასეთი მრხევი ჰქონდა, რომ შვინდის სახრე იმასთან ღმერთმა შეარცხვინოს; ფეხები მარდად მორბენალნი უფროსის წინ და ნამეტნავად მდიდრის უკან. გვირგვინი ამა მშვენიერი დანაბადისა გახლდათ თავი მოტვლეპილი, მომცდარ ყანასავით, ხალხთა კეთილმდგომარეობისათვის ზრუნვისა და ფიქრისა გამო.

ამისთანა იყო ჩვენი ბეჟან კალამახიძე რომელიც შეწუხებულის სახით იჯდა მუაჯარზედ და აბოლებდა ჩიბუხსა.

– გამოცვალეს და სხვა დანიშნესო? – წარმოჰსთქვა თავისთავად მწუხარე დიამბეგმა.

– დიახ, – უპასუხა პერევოჩიკმა.

– წადი ახლა, თავში ქვა იხალე და შეიჩვიე! აბა რა უნდა ქნა? ხარჯამ, ხარჯამ, ემსახურები, პატივსა სცემ, შეაყვარებ თავსა, – ერთბაშად დაჰკრამენ კვერსა და გამოგიცვლიან. დაგეკარგა ურარაოდ ამაგი, ფუჭად ჩაგიარა ხარჯმა. რასა იქ? აი, ეს არის დიამბეგის ცხოვრება!

– ოღონდაც, – უპასუხა გულმტკივნეულად პერევოჩიკმა.

– დიამბეგობა ხომ კარგია – ამას სიტყვა არა აქვს – მაგრამ ესე ახლო პრავლენიაზედ კი ვერაფერი. ბატონო! მოსვენება კი არა გვაქვს და! ეს სტოლნაჩალნიკიო, ეს სოვეტნიკიო, ეს ისაო, ეს ესაო, ყველას გაძღოლა და პატივისცემა უნდა.

– ოღონდაც, გაძღოლა უნდა, – წამოიძახა კვლავ პერევოჩიკმა.

– რომ არა სცე პატივი, არ იქნება, – შენც პატივი აღარ გექნება. პატივს ჯანი გავარდეს, ოღონდ შეგარჩინონ, მაგას წაგართმევენ და დარჩები ცარიელი.

– ოღონდაც, რომ ცარიელი დარჩები, – წაიდუდუნა კიდევ პერევოჩიკმა.

– ღმერთმა ხომ იცის, მე პურადძვირი არა ვარ, არც ისეთი უსწავლელი ვარ, რომ უფროსის პატივი და სამსახური არ ვიცოდე; თუნდ ეგ არ იყოს, ჩემის ჯიბით ხომ არ ვემსახურები, მეც აქა-იქა გამოვრჩები ხოლმე, მეც ვირგებ და იმათაც ვარგუნებ ხოლმე, თორემ შენც კარგად იცი, ჩემო ძმაო!

– ოღონდაც, რომ ვიცი.

– განა ისეთი ბრიყვი ვარ, არ ვიცოდე, რომ რასაც იმათ ვაძლევ და პატივსა ვსცემ, დაკარგული არ არის, მაგრამ ჭირი ეს არის, რომ აღარ დასცალდებათ კი ხოლმე, რომ სიკეთე გადამიხადონ და! დღეს ერთია სოვეტნიკად, ემსახურები, ემსახურები. შაიჩვევ თუ არა კარგად და ერთი კაი საქმის ჩადენას გაიფიქრებ გულში თუ არა, – ნახამ, რომ გამოგიცვალეს. რა უნდა ქნა? უნდა გადადო საქმე, მინამ ახალს შეიჩვევ. ამაში დრო მიდის და ხარჯიცა. აი, ძმაო, ეს არის გუბერნსკის პრავლენიაზედ ახლო დიამბეგობა! შორს რომ იყო, მაშინ სხვა არის: მაშინ მეფე ხარ შენს უჩასტკაში, არც სტოლნაჩალნიკიო და არც სოვეტნიკიო, ყველანი ფეხებზედ გკიდია. მართალია, იქაც კი მოვა ხოლმე კალია, მაგრამ იქ ერთია და აქ – ათასი; ერთს ან მოატყუებ, ან დაეღრიჯები, ან... ერთის სიტყვით, ერთს, როგორც იქნება, გაუძღვები.

– ოღონდაც, მართალი ბძანებაა!

– არა, თუ ღმერთი გწამს? ახლა მე რომ გეუბნები, გამოცდილი ვარ.

– ოღონდაც!..

– ახლა ჩვენი ხელობაც აღებ-მიცემობაა; აღებ-მიცემობა კარგია, მაგრამ უფრო კარგი იქნებოდა, რომ მარტო აღება ყოფილიყო და მიცემა კი არა. აი, თურაშაულიშვილის საქმეში...

– კვდარი რომ ეზოში შაუგდეთ?

– ჰო, მდიდარი კაცია, სამოცი თუმანი დახარჯა, თორემ შენც ხომ კარგად იცი, ის სამოცი თუმანი რომ მარტო ჩვენი ყოფილიყო – რა გვიჭირდა? არა? თუ ღმერთი გწამს.

– ოღონდაც...

– მაგრამ არა, სხვისთვისაც კერძი უნდა დაგვედო, რომ დანარჩენი მაინც შეგვრგებოდა.

– ოღონდაც...

– ოღონდაც და აი წილი დაუდეთ თუ არა, გამოგვიცვალეს კიდეც, ეხლა ახალი, ვინ იცის, საქმეს როგორ გადაგვიტრიალებს. თუ ყმაწვილი კაციც არის, ვინ იცის, რა ხათაბალა გაგვიმართოს. მართალია, ჩვენ გამოცდილი კაცები ვართ, წამალს არ ავაფეთქებთ...

– ოღონდაც არ ავაფეთქებთ; მაგრამ იმაზედ ამბობენ, გამკვრელი არ არიო.

– მაგას არ დავიჯერებ.

– ოღონდაც, დასაჯერი არ არის. მაგრამ თუნდაც რომ მართლა გამკვრელი არ იყოს, დადუღდება ახალ დაწურულ მაჭარსავით, ცოტა რომ დავაცადოთ.

– ეგეც კი, მაგრამ ზოგიერთი კაცი ახირებულია.

– ეჰ, ბატონო! ისე ლაპარაკობ, ასე გონია გუშინდელი დიამბეგი იყოვო. დაე ფულს ნუ აიღებს, ცხენი ხომ აქ არის; ცხენს არ აიღებს ღვინო ხომ აქ არის; ღვინოს არ აიღებს, პურია, ერბოა, ცხვარია, – სულ ერთია, ან ერთით მოინადირებ, ან მეორითა.

– ეგეც კი.

– მე რომ ნუხში პერევოჩიკად ვიყავი, იქ დიამბეგად ერთი – თუ გახსოვთ – ტურიძე იყო. მე იმისთანა, – აი ხუთმეტ დიამბეგის ხელში გამომივლია, – არ მინახავს. ერთი ვიღაც რუსი მოვიდა ბრაზიანი, ნაჩალნიკად. მილიონი რომ მიგეცა, არ აიღებდა. ტურიძე – აბა მრავალ საქმეში გაბმული კაცი, – დიამბეგია; ვსთქვი, აი ან დღეს, ან ხვალ, საიდამაც მოსულა, იქავ გაისტუმრებენ-მეთქი. მაგრამ არა! მართალია, ხან აქეთ უტრიალა, ხან იქით, რა არ შეაძლია, აუთქვა თურმე ჯამაგირიდამ ხელი ამიღიაო, – ერთი სიტყვით – იმ კაცს გული ვერაფრით მოუგო. ვნახო, ერთს მშვენიერს დილას პრავლენიიდამ სეკრეტარის წიგნი მოუვიდა, რომ ცუდათა ხარ ახალ ნაჩალნიკთან დაბეზღებულიო და ცუდს საქმეს გიპირობსო. აბა შენ იცი და შენმა კაიკაცობამო, თუ ეხლაც თავს დაიჭერო. ინტერესი მოგივიდაო...

მ ე ო რ ე ვ ა რ ი ა ნ ტ ი

მარგალიტი ლექში

I

შუა ზაფხული იყო. საშინელი ცხარე მზე სწვავდა ქვეყანასა, ასე რომ მინდვრებისათვის და ქედებისათვის ფერი ეცვლევინებინა. ამისთანა დღეს ღვინის

ურმებს საქონელი გამოეშოთ ლაკბეზედა, რომლის წყალი გოლვისაგან ისე მილეული იყო, რომ ქანცგაწყვეტილსავით მოიპარებოდა ხევშია, ზოგან კი გუბეები დაეყენებია, უწინდელ წყლისაგან დარჩომილი. საწყალი მეურმეები, სიცხისაგან დაოსებულნი, კონკილაზედ აყენებულ ურმებს ქვეშ ეყარნენ გაშოტვილები. ყველას ეძინა, მარტო ერთი თუ ორი პატარა ბიჭი ჩამდგარიყვნენ გუბეში, ხის ჯამებითა წყალს ასხამდნენ პირდაღებულ კამეჩებს, რომელნიც გუბეში ეყარნენ; აქეთ, პატარა მოშორებით, გრილოში თავი მოეყარნათ ხარებსა, თვალებდახუჭვილნი ღეჭდნენ რაღასაცა და კუდით ერეკებოდნენ უსიამოვნო ბუზებს.

მზე გადიხარა თუ არა, ეს ამ ენაჩავარდნილმა ადგილმა გაიხმაურა. წამოდგნენ მეურმეები, მოიფშვნიტეს თვალები, გასაგრილებლად პირზედ წყალი შეისხეს და მორეკეს შესაბმელად საქონელი, რომელიც სიცხის გატეხაზედ მინდვრად გასულიყო და სცოხნიდა გოლვისაგან გადამწვარ ბალახსა. ”ჰოო, ხიო, პატრონძაღლო, გამჩენძაღლო!” და სხვა ამისთანა ათასი ალერსი ისმოდა იმ ხმაურობაში. როცა შეაბეს და წინა ურემმა შოლტი გაუტყლაშუნა ხარებს და დაიძრა, მაშინ ჯაგებიდამ უეცრად ორი ყმაწვილი გამოვიდა. ორივეს სალდათის მაუდის შავი კურტკები ეცვათ ტანზედ, თავზედ ერთს ეხურა უშველებელი ჩერქეზული ქუდი, რომელიც ისე ჩამოფხატოდა თავზედ, რომ ცხადი იყო, პატრონი სხვა ყოფილა და მხმარებელი სხვაა, მეორეს კი სალდათური უკიზიროკო ქუდი ედვა თავზედა. ერთი, რომელსაც ჩერქეზული ქუდი ეხურა, იქნებოდა შვიდმეტ-თექვსმეტის წლისა, მეორე ან თოთხმეტისა, ან ხუთმეტისა. უფროსს სახე სანდომიანი და მარილიანი ჰქონდა, მაგრამ იმისი გაწკვეტილი ნიკაპი, იმისი სწრაფი და წვრილი თვალი დიდს პლუტობასა სწამებდა თავის პატრონსა. მეორე, უნცროსი, ჰგვანდა უფროსსა, და საკვირველიც არ არის, რადგანაც ღვიძლი ძმები იყვნენ. მაგრამ უნცროსი უფრო მხდალსა ჰგვანდა, თუმცა პლუტობა ამასაც გამოუვიდოდა ხელიდამ, ისე სულგანაბული იყო, ისეთი დაშინებული, თითქო ამისი სული უფროსის ხელში არისო.

ეს ყმაწვილები იყვნენ ერთის ღარიბის აზნაურშვილის შვილები. ამათ დედ-მამას დიდი ხანია ჭირი წაეღოთ და ესენი კი ობლად დარჩომილიყვნენ მეტად მცირეწლოვანები. ქვეყანაზედ ამათ აღარავინ ეგულებოდათ ერთი ბიძის მეტი, რომელსაც იმდენი მზრუნველობა გაეწია, რომ კანტანისტებად მიუბარებია, რომ თავიდამ მოიშოროს, და ცოტაოდენი მამული კი, რომელიც ამ ობლებს წილად უნდა რგებოდა, ის კი პატრონისათვის ჩაუბარებია, ესე იგი, წაურთმევია და გაუყიდნია. მოდავე ვინ ეყოლებოდა? მაგრამ ობლების შემწე ღმერთიაო.

ესენი ყოფილან კანტანისტებად თუქურმიშაზედ, ხუთი წელიწადი მეტი, და არც ერთხელ არამც თუ უნახავთ თვალით ბიძა, იმისი ამბავიც აღარ გაუგიათ; დაავიწყდათ კიდეც, რომ ამათ ბიძა ჰყავთ. ბოლოს მოსწყენოდათ, თუ ის ცემა-ტყეპა სალდათებისა ვეღარ აეტანათ, დაეკრათ ფეხი და გამოქცეულიყვნენ. უფროსს მოეპარა უნდრაფიცრის ქისა, რომელშიაც ორი მანეთი და ერთი ტალი ყოფილიყო, და ის ჩერქეზული ქუდი კი ერთ აფიცრისათვის, დაეხწიათ თავი და გამოპარულიყვნენ ორივ ძმანი. სამის დღის გამოპარულები იყვნენ, რომ ლაკბეზედ მეურმეებს გამოემცნაურეს. უფროსს ერქვა ბეჟან, მეორეს მათე, გვარად კალმახიძენი იყვნენ, ბეჟან კალმახიძის შვილები.

– გამარჯობა თქვენი, – უთხრა ბეჟანმა მეურმეებს.

– ღმერთმა გაგიმარჯოთ, – უპასუხეს მეურმეებმა.

– თქვენ ქალაქს ხომ არ მიდიხართ?

– ქალაქს მივდივართ.

– აი, დასწყევლოს ღმერთმა რუსი კაცი. მამაჩვენმა, იმ დღეს რომ თუქურმიშაზედ იყო, ერთი პოვოსკა დაგვიჭირა; ხუთი მანეთი მისცა, რომ როცა დაითხოვენო, ქალაქში ჩამოიყვანეთო, მაინც ქალაქში მოდიხართ და მოდიხართო. რუსმა პირობა მისცა; წამოგვიყვანა და მაღაროს ბოლოს დაითვრა და გადმოგვყარა პოვოსკიდამ და თითონ კი უკან დაბრუნდა. დავრჩით ესე. ჩვენი ბარგი და ათიოდ მანეთი ფულიც თან გაიყოლა იმ სულძაღლმა, თორემ სხვას ვინა ჩივის? ეხლა არც ფული გვაქვს, არც არაფერი, ორი დღის უჭმელები ვართ; თუ ღმერთი გწამს, ხელი გაგვიმართეთ და ქალაქში ჩაგვიყვანეთ, და იქ მამაჩემი, მდიდარი კაცი, გულნაკლულად არ გაგიშვებთ. თქვენთვის ხომ სულ ერთია, ღამის ხარსაც ვუყარაულებთ და ურემზედაც დაგეხმარებით, და იქაც მამაჩემს გამორჩებით რასმეს, თუ ღმერთი გწამსთ, ქრისტიანი კაცები ხართ, უნუგეშოდ ნუ დაგვაგდებთ.

– ბიჭო-და, მაგაზედ რა ხვეწნა გინდა, აი, ერთი ჩემს ურემზედ დაუჯექით და მეორე გოგიას ურემზედა. პურსაც გაჭმევთ და ღვინოსაც დაგალევინებთ, ურიები ხომ არა ვართ, რომ უნუგეშოდ დაგაგდოთ. – უთხრა ერთმა დროულმა გლეხკაცმა, გახსნა ხურჯინი, ერთი შოთი ერთს მისცა, მეორე მეორესა და ერთი ჩარექა ღვინოც ჩამოუსხა:

– დალიეთ, შვილო! სალეკოში ხომ არა ხართ, რომ ეგრე იმუდარებით, საქრისტიანოში ხართ.

უკანასკნელად ამ მეურმეებმა ქალაქის პირში გამოუშვეს ურმები, რადგანაც ბინდი იყო და ქალაქში ღამის ხარჯს მაერიდნენ. დილით ადრიანად აპირობდნენ შესვლას, რომ საღამოზედ ისევ გამობრუნებულიყვნენ; ხარ-კამეჩის საჭმელს ვინ აუვიდოდა. დაღალულ მეურმეებმა, რაკი საქონელი გამოუშვეს, ისამხრეს და მკვდრებსავით ძილს მიეცნენ. ჩვენი ბეჟანი და მათეც დაწვნენ, მაგრამ ესენი ძილს თავიდამ იშორებდნენ.

გათენდა დილა ტრედისფრად. გაიშალენ მეურმეები, მაგრამ ბეჟანი და მათე კი არსად იყვნენ. თურმე ნუ იტყვით, იმ კეთილმყოფელი მეურმისათვის ჯიბე მოუჭრიათ და ღამიანათვე გაპარულან.

II

ქალაქში საწყალი ობლები, უსახლკარონი, უპატრონონი, ხან სად ეყარნენ, ხან სად. ამათთვის არც ბინა იყო არსად, არც საზდო. ბევრჯელ შიმშილიც და წყურვილიც გამოიარეს, ბევრჯელ ცემა-ტყეპაცა. საცა ქურდობა შეეძლოთ, ქურდობდნენ, საცა არა და იყვნენ ისე უწყალოდ. ბოლოს კი ბედმა გამოიხსნა ბეჟანი. ერთ ვიღაც პაჟარნს აჰყვა, ფულიც იშოვა, კაი ჩოხაც ჩაიცვა, საწყალი მათე კი თავისგნით გააგდო. ”წადი, მე რა მაქვსო, რომ შენც შეგინახოო, წადი საცა გინდაო, როგორც მე ვირჩენ თავსა, შენც დაირჩინეო”. გააგდო სახლიდამ. ამ დღიდგან ძმები ურთიერთს განშორდნენ და თავის დღეში აღარ შეყრილან.

ის პაჟარნი გახლდათ გუბერნსკის პრავლენიის სტოლნაჩალნიკი, შთამომავლობით სომეხი იყო, გვარად ავეტიქ პერანგოვი. იმან, რომ ბეჟანის ვითარება შეიტყო, – შეიტყო, რომ ბეჟანი აზნაურშვილია, – ერთხელ ბეჟანსა ჰკითხა:

– აზნაურობის მოწმობა არა გაქვსო?

– არა.

– მაშ სოფელში არავინ იცის, რომ შენ სწორედ აზნაურშვილი ხარ? შენ რომ მღვდელმა მოგნათლა, ცოცხალია თუ არაო?

– ვინ იცის?

– ერთი არ შეიძლება შევიტყოთ?

– აბა საიდამ?

– გამოიკითხე, თქვენებურები ავლაბარში ბევრი ჩამოდიან, ჰკითხე ვისმეს.

– რა ვკითხო, რომ ღვდლის სახელიც არ ვიცი.

– ერთი როგორმე შეიტყე და ბედსა გწევ: წერა-კითხვა ხომ იცი რუ[სულად]?

– ძალიან კარგად.

– მაშ ერთი შეიტყე, რომ იმ ღვდელს მოწმობა გამოვართოთ.

– რად გინდა?

– ვა, ჩემს სტოლზედ მწერლად დაგანიშვნინებ. ახლა ეგრე ხომ არ იქნები. კარგია, რომ ეხლა ყმაწვილი ხარ, დაბერდები, პირზედაც არ შემოგაფურთხებენ, იცი თუ არა.

ბეჟანს ეს სიტყვები ჭკუაში დაუჯდა და ამის ფიქრმა აიტანა. ყოველ ცისმარე დღეს ავლაბარში გადიოდა და თავის სოფლის კაცებს კითხულობდა. ერთს დღეს ბაკში ჩამომხდარიყო ერთი მოხუცებული ღვდელი. ხურჯინი ჩამოხსნა თუ არა, ბეჟანიც მივიდა და "შენდობა მამაო" უთხრა.

ღვდელმაც დალოცა და ხელზედ ამთხვევინა.

– მამაო, საიდამ მობძანდებით?

– ღვდელმა ბეჟანის სოფელი დაასახელა. იმამა ბეჟანს.

– დიდი ხანია, რაც იქ ბძანდებით?

– დაბადებითვე, შვილო, ის ჩემი სოფელია, მეც თითონ იქაური ვარ.

– იქ, რასაკვირველია, კალმახიძე გაგეგონებათ.

– აბა რა კითხი უნდა, ჩვენი სოფლის ძირეული აზნაურშვილები არიან. ერთი ბეჟან კალმახიძე იყო, – იმან ეს რვა წელიწადია შენი ჭირი წაიღო, ორი შვილი დარჩა საწყალსა და იმათი ამბავი კი აღარავინ არ იცის, სად არიან, ცოცხლები არიან თუ მკვდრები. ბიძა მეტად ავი კაცია, მამულები წაართო, დაუყიდა და ისინი სადღაც გააბარა, მეცოდებიან! კაი მამის შვილები იყვნენ.

– ერთი იმათგანი მე გახლავარ.

– რას ბძანებ, – ჰკითხა გაკვირვებით მოხუცებულმა ღვდელმა: – მაშ მობძანდით ოთახში, აქ რა ადგილია. ერთი თქვენი ამბავი მიამბე. მამათქვენსა და მე ნათელმირონობა გვქონდა, დიდი სიყვარული გვქონდა ერთმანეთისა. ის ცხონებული მეტად ტკბილი კაცი იყო. ღმერთი არ დაჰკარგავს იმის შვილებს. არა, გევხართ კი ღვთის წინაშე მამათქვენსა თვალადაც და ტანადაც, ასე გონია, ის მიდგა-მეთქი თვალწინ.

ერთი სიტყვით, ამ ღვდლისა და იმ სტოლნაჩალნიკის შემწეობით ბეჟანმა აზნაურშვილობა დაიმტკიცა და ქაღალდი გამოიტანა. ერთ თვეს უკან გუბერნსკის პრავლენიაში მწერლად განაწესეს და თვეში რვა მანეთი დაუნიშნეს. ამრიგად სამსახურის გზაზედ დადგა ჩვენი ბეჟანი, მეტად ბედნიერადაც მსახურებდა. მეორე წელსვე თექვსმეტი მანეთი გაუხადეს და სამი წლის უკან სტოლნაჩალნიკის პომოშნიკობამდინაც ავიდა. მეტი მოხერხებული ბიჭი იყო. ძალიან მალე მიხვდა ჩინოვნიკობის ეშმაკობას, თითონაც ხომ უიმისოდაც ეშმაკი იყო...

(ნ ა წ ყ ვ ე ტ ი)

... შეღებილი იყო მოჭირებულის ლურჯის ფერითა. ამ სახლში სცხოვრებდა ერთი ჩინოვნიკი კაცი, აღასი პერანგოვი. იქნებოდა ოცდაჩვიდმეტის წლისა; არა ჰყვანდა ცოლი. სახლობაში ერთი ბებერის დედის მეტი სხვა არავინ ეგულებოდა.

თვალადობით აღასი პერანგოვი წარმოგიდგენდათ სრულს სიტლანქეს ქვემოურის სომხისას, თითქო ნაჯახით არის გათლილიო. მისი დიდი აღმართ-დაღმართიანი ცხვირი, ბოლოს ქორის ნისკარტივით გადახრილი; ცხვირის აქეთ-იქით შავი დიდრონი თვალები, გუბეებსავით გაჩერებული; ცხენის ძუასავით სქელი შავი ხშირი თმა; შავივე პტყელი წარბები ურთიერთზე გადაბმული; შავი ბუსუსი ვიწრო შუბლზედ, შავი გძელი წამწამი, მაგარი ულვაში, ბოლოებში და ტუჩის გადასწვრივ შეკრეჭილი; ლურჯი სახე ნაპარსევი ბალნის ძირისა გამო; ბოხი, უსიამოვნო, შემაზრზენი, მკვახე ხმა, – ესენი სულ ერთად ცხადი ნიშანია იმ ქვემოურის სომხის სისხლის ჩამომავლობისა, რომელნიც ჩვენში ხშირად იხილვებიან და რომელთაც სისხლი ჯერაც არ გასწმენდიათ...

”დიამბეგობის” მეორე ვარიანტი – ”მარგალიტი ლექში” შემდეგში გადაუმუშავებია ილიას და შეუტანია მოთხრობაში ”სარჩობელაზედ” (იხ. ამ მოთხრობის პირველი თავი).

ცხოვრების გამონაცადი და გამონაფიქრი (გვ. 413 – 417)

ეს ნაწყვეტი იბეჭდება ილიას თხზულებათა ათტომეულის მეორე ტომში (1950 წ.) გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით, რადგან მისი ავტოგრაფი, რომლითაც წინა გამომცემლებს (პ. ინგოროყვა, ალ. აბაშელი) უსარგებლიათ, დ ღ ე ი ს ა თ ვ ი ს ა რ ჩ ა ნ ს (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. წინ ”დიამბეგობის” შენიშვნები). იგი პირველად დაიბეჭდა ილიას თხზულებათა ცხრატომეულის III ტომში 1926 წელს (გვ. 263).

რაც შეეხება თარიღს, პ. ინგოროყვა ყველა თავის გამოცემაში მას ტექსტის ბოლოს 1857 – 1863 წლებს უწერს, მაგრამ შენიშვნებში, იქ სადაც ამ თარიღს იხსენიებს, დასძენს: ”უფრო საფიქრებელია 1857 – 1858 წლების ახლო დრო, რადგან ესკიზი (”ცხოვრების გამონაცადი და გამონაფიქრი” – ლ. ს.) – შესრულების მხრივ – საკმაოდ უსრულია, რომ შეიძლებოდეს მისი უფრო გვიანი დროისთვის მიკუთვნება”[49]. ჩვენ გავიზიარეთ ინგოროყვას ეს უკანასკნელი მოსაზრება და ეს თხზულება 1857 – 1858 წლებით დავათარიღეთ.

კ ო ლ ა (გვ. 418)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი U, № 142.

---

[49] ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, 1950, გვ. 609.

პირველად ეს ტექსტი დაიბეჭდა მიხ. გედევანიშვილის გამოცემაში 1914 წელს.

ამ თხზულების ტექსტისა და დაწერის თარიღის შესახებ იხ. მოთხრობა "კაკოს" შენიშვნები.

419. 4 ნაპატივობა] მოვლილობა*.

421. 17 გვირჩევნია] ურჩევნია – წერია ავტოგრაფში.

425. 31-32 "იმ . . . გაკვირვებული" – ხელნაწერში ჩამატებულია.

426. 15 "გამოადგებიან"-ს შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია: "ბატონთან მინახვანან ასეთები, რო თვალი ვერ მო..." 15 ნამუსშენახული] ფეხმაგარი*. 31 "დრო მოვა"-ს წინ ხელნაწერში გადახაზულია: "მაგრამ". 32 "მართალია... ცხენსავით" – ჩამატებულია. მის წინ კი გადახაზულია: "ცხენსავით".

427. 9 "ლიახვო"-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: "რომ".

430. 31 "ქვეშაგებშია"-ს შემდეგ ავტოგრაფში წერია ფრჩხილებში ჩასმული ასეთი სიტყვები: "მაგრამ ძილმა მოჰბერა იმას თავის ჩვეულებრივი მშვიდობიანობა თუ არა, ან მოუვიდა თვით ძილი თუ არა, ეგ ჩვენ აღარ ვიცით".

431. 10 "მუაჯარიდამ... გადასახედ-გადმოსახედი" – ჩამატებულია ავტოგრაფში, მის ნაცვლად კი თავდაპირველად ავტორს დაუწერია: "გაზაფხულის [...ალ] გაღვიძებული ახალ პირდაბანილი ბუნება სიამოვნებდა მის გარშემო, მაგრამ მას ისიც თავისავით დაღონებული ეგონა. აგრეთი ეგოისტია კაცი და თავ-მოყვარე, ყველაფერი უნდა თავის დონეზე მოიყვანოს და ბუნებაც იმისთანა ლბილია, რო კაცის გული რასაც უნდა იმას გამოსახავს მასზედა". 25 "დამშვიდებული"-ს შემდეგ ავტოგრაფის ტექსტში წერია ფრჩხილებში ჩასმული შემდეგი ტექსტი: "მუაჯარს მარჯვნივ თავმინებებული უპატრონობისაგან დიდი ბაღი ათას ათას ფრად იყო აჭრელებული. ხეხილის სხვადასხვანაირი ყვავილი აფერადებდა ერთნაირსა გაზაფხულის ციაგსა ჰაერსა. სასიამოვნო სურნელება გაფენილიყო გარშემო. ძლიერი იყო სიცოცხლე იმ დილისა, ყოველი ძარღვი ბუნებისა მოძრაობაში იყო".

432. 11 "ჩვენ ყმაწვილკაცსა"-ს წინ ხელნაწერში ბრჩხილებში წერია შემდეგი "ჩვენი ყმაწვილ კაცმა რა [. . . .] თავის დიდ-ხნის ნაცნობთა ალაგთ".

მივანიშნებთ იმ სწორებებზე, რომელიც ავტოგრაფისაგან განსხვავებით შეტანილია ჩვენი გამოცემის ტექსტში სარედაქციო კოლეგიის მითითებით (მარჯვნივ ავტოგრაფის წაკითხვებია):

433. 11 გადმოხედვა] გადმოხედა. **425.** 26 ამათ] ამად. **427**. 22 ცალლულიანი] ცალფულიანი. **432**. 26 იფიქრეთ] იფიქრედ (ასეა ყველა ანალოგიურ შემთხვევაში).

ქვემოთ ვბეჭდავთ ამ თხზულების განსხვავებულ ვარიანტს (U 141).

კ ო ლ ა

I

მშვენიერ გაზაფხულის დღეს მოეფინა თავისი გამაცოცხლებელი ოქროს სხივები ახალამწვანებულ და გაღვიძებულ ქვეყანაზედა. გომბორის მთა აბიბინებული

მხიარულად გადმოიყურებოდა. მის მწვანით მოსილნი მინდვრები, მდელოები, ველები ნებივრობდნენ მზის სხივებშია, საუცხოვო იყო მის თვალახილული ბუნება!

ჯერ კიდევ მზე მაღლა იყო. ერთ უშველებელ მუხის ჩრდილქვეშ, რომლის დაქანებულ ბექურის ძირში ჰსჩქებდა ცივი, კამკამი მთის წყარო, იჯდა ორი კაცი. მათ შორიახლო სამი ცხენი ხარბადა ჰსძოვდა ახალ და წყლიან ბალახსა. ერთი იმ ცხენთაგანი იყო წმინდა ყარაბახი. როცა იგი, თითქო მადლიერი და კმაყოფილი, წამოიწევდა ცოხნით ლამაზსა თავსა და განიერის ნესტოებით შეისუნთქავდა გაზაფხულის ჰაერსა, როცა იგი, თითქო ძოვნით დაღლილი, მოიღერდა კისერსა, იმისი მშვენიერი თავ-კისერი, განიერი დიდი მკერდი, იმისი შავი შმაგი თვალები, იმისი სიამაყე, იმისი ერთი ვაჟკაცური გადმოხედვა კაი მხედრისათვის რათაც უნდა ღირდა. მდიდრად იყო მორთული ის თავმამწონე ყარაბაღული: ყოველ მის ფეხის გარდაცვლაზედ ხშირი გულის რახტი გამოჰსცემდა ვერცხლის ხმასა; ქართულ უნაგირის მორთულობა, თექალთო იერიშის ნაკერობა, ყოველიფერი ამ ცხენზედ გააგებინებდა კაცსა, რომ მისი პატრონი თავმამწონე და ნებიერი თავადიშვილია. სხვა ორი ცხენი ამასთან არ იყო სრულიად სახსენებელი.

მუხის ჩრდილში თუმცა მოჩანდა მარტო ორი კაცი, მაგრამ პატარა ახლო რომ მისულიყავით, ნახავდით მესამესაც, რომელსაც მიედო თავი მუთაქასავით დასორსლებულ შავ ნაბადზედ და ტკბილად ეძინა. ის იყო ყმაწვილი კაცი და, როგორც ეტყობოდა, ამ ორ მღვიძარე კაცთა ბატონი. მის შორიახლო ისხდნენ ის ორი კაცი და ჩუმად ლაპარაკობდნენ, თითქო ეშინიანთო, რომ ხმამ ბატონი არ გააღვიძოსო. ერთი ამათგანი იყო კარგა ხნიერი, პატიოსანი, დარბაისელი გლეხკაცი, იმისთანა გლეხკაცი, რომლისაგანაც ბატონი არაფერსა შეიმცნევს და რომელიც, თუმცა ყველაფერს გაუბედავს, მაგრამ თავის დღეში ისე არ გაკადნიერდება, რომ სიტყვით აწყინოს ბატონსა. ამისთანანი ბევრნი არიან ჩვენ დაბალ ხალხში. მეორე ბიჭი იყო ახალგაზდა და მოხდენილი მოსამსახურე. მისი ფაქიზა ტანისამოსი, კოხტურად მოწყობილი ტანზედ, მისი ლაღი შავის თვალის მეტყველება, მის[ი] თავისუფალი მიმოხვრა ცხადად ამბობდა, რომ ეს ბატონთან შეყალაღნებული და ბატონის საყვარელია. პატარა ლეკური ვერცხლით მოწყობილი ჩიბუხი ეჭირა პირში და ხანდაზმით გამოაბოლებდა ბოლსა ხოლმე.

– ზაქრო! – უთხრა ხნიერმა ახალგაზდასა: – დროა ბატონი გავაღვიძოთ, თორემ ამაღამ ჩვენ შინ კი არა, იქნება თელავსაც ვერ ჩავიდეთ.

– ცოდოა, – უპასუხა ზაქრომ და მზრუნველობით გადახედა თავის საყვარელ ბატონსა: – ცოდოა. წუხელ ქალაქიდამ გამოვედით და დღევანდლამდინ თვალი არ მოუხუჭავს. გუშინღამაც შინ განთიადისას მოვიდა. ცოდოა, დეე პატარა კიდევ ეძინოს.

– შენი ნებაა, – მიუგო თანხმობით ხნიერმა: – შენ უფრო იცი მაგის ანგარიშები; პატარაობითვე მაგასთანა ხარ; მაგრამ ესეც კი უნდა იცოდე, რომ უალაგო ალაგას რო დაგვიღამდეს, კარგი არ იქნება.

– განა დუქანი გზაზედ არსად არის? ჩემ დროს მგონი იქ სადღაც იყო, – ჰკითხა ზაქრომა.

– იყო მართალია, ერთი დუქანი, მაგრამ მას აქეთ, რაც აქ კაცები დახოცეს ლეკებმა, აღარავინა ბედამს იქ დუქნის გაღებას.

– კიდეც იმიტომა გკითხე. ჩემ დროს აქ დუქანი იყო.

– მას აქეთ ბევრ წყალს ჩაუვლია, ჩემო ზაქრო – თქვა დიდის მნიშვნელობით ხნიერმა და წამოწოლილი წამოებჯინა მკლავზედ.

– ალბათ. რვა წელიწადი ხუმრობა არ არი.

– განა რვა წელიწადი იქნება, რაც თქვენ რუსეთში ხართ?

– უნდა იყოს. დიახ არის, – დაატანა ზაქრომ მცირე ფიქრის შემდეგ: – ჩვენ რომ აქედამ წავედით, მაშინ კახეთში კალია იყო. აბა მას აქეთ რამდენი ხანია, იანგარიშე.

– კალია რო გაჩნდა? – დიახ, რვა წელიწადი უნდა იყოს. ეგ კარგა ხნის ამბავია, დალახვროს ღმერთმა, მე კი გუშინდელი ამბავი მგონია. მართლა რომ ეს წუთისსოფელი სიზმარი ყოფილა. დღეები, წელიწადები ისე ხელიდამ გეპარება, რომ არც გესმის.

ამ ხნიერ კაცს ძალიან უყვარდა ფილოსოფია, ხშირად იცოდა ამან ამგვარები.

– რვა წელიწადი!... – თქვა მცირეს ხანს [შემდეგ] კიდევ ხნიერმა: – ბიჭო, როგორ გასძელი ამდენი ხანი უცხო ქვეყანაში, ამბობენ იქ ღვინო არ არისო.

– მართალია.

– მიკვირს როგორ გასძელი?

– მეტი რა ჩარა იყო. თუ ბატონმა გასძლო, მე რა წითელი კოჭი ვიყავ.

– ეგ, შვილო, თავადისშვილია, მაგისათვის სულ ერთია სადაც უნდა იყოს, ყველგან შეეჩვევა და ყველას შეიჩვევს, ჩვენ გლეხკაცები კი უცხოობაში ვერ გავძლებთ.

– მართალია, მაგრამ ხომ გაგიგონია, ძალა აღმართსა ხნავსო.

– ეგეც მართალია, გამიგონია, მაგრამ, გამიგონე, განა შენ ძალად წაგიყვანა?

– არა, ძალად არ წაუყვანივარ. თუნდ რო არ წავეყვანე, მე თითონ წავყვებოდი; მე მაგას მინამ ცოცხალი ვარ, არ მოვშორდები, თუნდა რო ჯოჯოხეთში წავიდეს – იქაც გავყვები. პატარაობითვე, ძამო, ძმასავითა ვარ მაგასთან შეზდილი და ეგეც არ არის ჩემთვის ურიგო ბატონი.

– მართალია, კაი ბატონის ხელში სიკვდილი ურჩევნია კარგს მსახურს, სხვაგან სიცოცხლესა, მაგრამ შემიტყვია, რომ ანჩხლი არისო, თურმე ერთი უფროსი შემოჰკდომია კიდეც და იმისთვისაც გადაჰკარგესო. ცხონებული დიდი ბატონი კი ამბობდა, უფროსსა ჰსცემაო და იმიტომაო, მაგრამ ის მამა იყო, იქნება მალავდა.

– არა, მართალია ეგა. ამას არავინ არ შემოჰკდომია, ამას შემოელახა უფროსი კი არა, ფეთფებელს რო ეძახიან რუსები, ისა.

– ფეთებაა, თუ რაღაც ეშმაკი, განა დიდი კაცი იყო?

– დიდი კაცი კი არა, ჩვენებურად უზბაშს რო იტყვიან, ის არის.

– მაგისათვის თავადიშვილი ცხრა მთას იქით გადაჰკარგეს!... ვაი, შენ ჩემო თავო!... ჩვენი თავადისშვილები მილიციაში დღე არ გავა, რომ უზბაში არ გაბღერტონ, რატომ იმათ არა გზავნიან?

– ის ხომ ჯარი არ არი რუსისა, იქ სულ ქართველები არიან, იმიტომ არ გზავნიან, აბა რუსის ჯარის უზბაშსა ჰსცემონ, იმათ იციან საითაც უკვრენ თავსა.

– მაინც კიდევ უბრალო უზბაშის გულისათვის თავადიშვილი როგორ უნდა მოაშორონ თავის მიწაწყალსა?

– ეგრეა რუსების "ზაკონი" და რა ვქნა.

– ეგ ვერაფერი "ზაკონი ჰქონიათ". მაშ რის თავადისშვილი ვარ, თუ უზბაშსაც ვერა ვჰსცემ.

– ეგრე კია და, შენ რაც გინდა თქვი.

– მერე იქ რო იყავით, ბატონმა არა დაიმსახურა რა?

– როგორ არა, პრაპორშიკის ჩინი მიჰსცეს.

– დიდი ჩინია?

– სულ ყველაზედ პატარაა, პირველი ჩინია.

– სამსახურიცა აქვს?

– აღარა აქვს, თავი დაანება.

– ბიჭოს!... – წამოიძახა გაკვირვებით ხნიერმა: – თავი დაანებაო?... ცხონებული ბატონი სულ იმას შეჰხაროდა, რო შვილი იქიდამ დიდი კაცი მომივაო და მაგან თავი დაანება სამსახურსა?!...

– ეგ, ძმაო, სწორედ გითხრა, სამსახურის კაცი არ არი. ეგ ერთი თვითრჯული, თავის ნების კაცია, ეგ სამსახურში ვერ გამოდგება. ერთხელ უფროსმა მეტი სიტყვა რად მითხრაო, კინაღამ თავი არ შეაკლა, მაგრამ, კიდევ მადლობა ღმერთს, ხელში მაარტყა ტყვია, თორემ ვინ იცის, რა მოუვიდოდა.

– რა, ჩხუბი მოუვიდათ?

– გეუბნები, ერთიერთმანეთს კინაღამ თავები არ შეაკლეს-მეთქი.

– რის გულისათვის?

– აკი გითხარ, მეტი სიტყვა რად მითხრაო!

– ბიჭოს!... უფროსმა უნცროსს მეტი სიტყვა რად მითხრაო?...

– მაშ! იმისთანა ახირებული არის?

– როგორ ეტყობა, რო თავადისშვილის სისხლი უდგა ძარღვებში, კაცს არაფერ დაუთმობს.

– ეგრეა, ეგრე! – მიუგო ზაქრომა, რა სხვა პასუხი ვერ მოახერხა ამ შენიშვნაზედ. მერე ადგა, მოაკრა ხურჯინის თვლები, წამოიცო მკლავზედ ხურჯინი და გაჰსწია ცხენისაკენ.

– დაიცა, ზაქრო, ერთ რასმე გეტყვი, – უთხრა მცირეს ხანს შემდეგ უფრო დაბლა ხმით ხნიერმა: – თუ მაგისთანა კაცი ყოფილა, ჩვენ რა გვეშველება?

– კიდეც ეგ არის, ძმაო, საკვირველი, რომ რასაც ეგ შენ დაგითმობს, არამც თუ შენ, გლეხკაცსა, ერთის სიტყვით, იმას თავის ტოლს არ მოუთმენს, იმისთანა გაუგებარი ხასიათისა არის.

– ეგ კიდევ ღვთის წყალობაა, თორემ...

ზაქრომ აღარ გაათავებინა სიტყვა ხნიერსა.

– ადექ, ადექ, დათო, ცხენები მოვამზადოთ, ეხლა კი დროს არის, – წამოჰსძახა ზაქრომ დათოსა და მოზიდა თოკით თავის ცხენი.

დათო ადგა. მცირე ხანს უკან ცხენები აკიდებულები და აღვირამოდებულები მორეკეს ჩრდილოშია. ზაქრო მივიდა და ნელა ხელით გააღვიძა ბატონი. ბატონმა გაახილა თავის მშვენიერი დიდრონი შავი თვალები, გაიზმორა და წამოდგა.

– დრო არის, თორემ დღეს თელავსაც ვერ უწევთ, – უთხრა ზაქრომა. იმან ხმა არ გაჰსცა. ადგა, ჩავიდა წყაროზედ, შეისხა პირზედ წყალი, ამოიღო წმინდა ტილოს ხელცახოცი და მოიწმინდა პირი. მერე ამოიღო ჯიბიდამ პატარა სავარცხელი და დაუწყო ვარცხნა მშვენიერ ცოტად შეხუჭუჭებულ შავ თმასა.

მშვენიერი რამ იყო ეს წამოსადეგი ყმაწვილი კაცი! ლამაზი გამომეტყველი სახე დამწვარი ჰქონდა მზისაგან; შავი, გონიერი, ჭკვით სავსე დიდრონი თვალები სავსე იყვნენ ეშხითა. არაფერს ნაკლულოვანობას კაცი ვერ შენიშნავდა, რაც უნდა ღრმად გაესინჯა მისი პირისსახე. შავი წვერი, ჩერქეზულად გრგვლად დაყენებული, მშვენივრად

შემორტყმოდა მის რგვალ სახესა. თითონ იყო დაღონებულსავით, თუ დაღლილი იყო მეტად ადრე დაწყობილ ცხოვრებისაგან, არ ვიცი. თეთრი შალის ფართე ჩერქეზული, შავი ძვლის მასრებით მოწყობილი, ლამაზადა ხატავდა მის საროს, მაღალ ტანსა და განიერ ვაჟკაცურ გადმოგდებულ მკერდსა. უბრალო, მაგრამ ლამაზ ვერცხლის ბალთებიან ჩერქეზულ ქამარზედ ეკიდა ვერცხლით შემოსილი პატარა ხანჯალი და წითელ ბუდით ვერცხლითვე შეჭედილი დამბაჩა. ხმალი ჩერქეზული, ისიც მოხდენით შეკაზმული, ეკრა ქართულ ხმალსავით წელზედ. ლამაზად შეკერილი ევროპიული მაღალყელიანი ჩექმა ეცვა გაწყობილად ლაზათიანად მოყვანილ ფეხზედა. პიკეს ახალუხი წმინდა, წმინდა თეთრი ტილოს პერანგი, რომელიც უჩანდა გულზედ გადასხნილ ახალუხიდამ, ამბობდა, რომ ეს ლაზათიანი ყმაწვილი კაცი ჩვეულია სიფაქიზესა.

ბიჭმა ცხენი მოართო. ამან ერთხელ კიდევ ზარმაცად დაამთქნარა და გამოაჩინა მშვენიერი ლარივით სწორედ გაწყობილი თეთრი კბილები. მერე მივიდა ცხენთან და ვეფხვივით, თვალის დახამხამების უმალ, ზედ მოახტა. ცხენმა, რა იგრძნო მხედარი, გაიგანიერა ცხვირის ნესტოები, მოიხარა კისერი, დაიწივა უკან, თითქო ფთხისო, აათამაშა წინა ფეხები და, რა შეკრა კამარა ლომსავით, ერთი ისკუპა. მხედრის მარჯვე მოხმარებამა მალე ჩააგდო ფიცხი ცხენი ნაბიჯშია. უკეთესს თვალი ვერასა ნახავდა, როგორც ამ მშვენიერ ცხენს და მის მშვენიერს და ლაზათიან მხედარსა!

II

სწორედ იმ საღამოს, რა დღიდამაც ჩვენ დავიწყეთ ჩვენი მოთხრობა, სწორედ იმ საღამოს ჩვენი ნაცნობი მგზავრები ქაფით მოსხმულ ცხენებით მიდიოდნენ თქაფა-თქუფით ერთ კახეთის პატარა სოფლის ოღრო-ჩოღროიან ორღობეებშია. ჩვენ ნაცნობს ყმაწვილს კაცსა დაღლა ძალიან ზედ დასჩნევოდა, რადგანაც ერთი ფეხი გადმოედო უნაგირის ტახტზედ და ისე მიდიოდა. ამისი ლამაზი ცხენი ისე ფიცხად აღარ მიხტოდა. პატარა ხანს უკან ეს სამივ ცხენოსანი შავიდნენ ერთ დიდ ჭიის-კარებში, მივიდნენ სახლის კარებთანა და ჩამოხტნენ. ის ყმაწვილი კაცი თითქო ცხენზედ დაიხუთავო, ორიოდე ნაბიჯი კოჭლობით გადადგა.

– ზაქრო! სანთელი, – გადმოჰსძახა თავის ბიჭსა კიბიდგან.

– მოგართმევ, – მიუგო მოსამსახურემ. და მცირის ხანსა შემდეგ ერთი პატარა ოთახი, ქართულად მორთული, განათლდა სანთლისაგანა.

ბატონი წამოწვა ტახტზედ და ჩაი უბძანა ზაქროსა. ეს ყმაწვილი კაცი ეხლა უფრო დაღონებული და მოღრუბლული იყო, ვიდრე დილას. ის თითქო სწუხსო რაზედმეო, თითქო რაღაც სევდა მოაწვაო გულზედ, დიდხანს იყო ის ისე დაღონებული და ხმა ამოუღებელი; რაღაც სიამოვნებითაც და ნაღვლითაც ატარებდა თვალებს ამ ოთახშია, თითქო რასმეს იგონებსო. მერე ადგა, როცა წოლა მოსწყინდა, და დაიწყო ამ პატარა ოთახში წინა და უკან სიარული. პაპიროსსაც მოუკიდა, მაგრამ რადგანაც ფიქრებში იყო გართული, და ამასთან ძალიანაც, პაპიროსი ხელში უქრებოდა დავიწყებისა გამო. თანდათან უფრო მწუხარება ეკიდებოდა უიმისოთაც ყოველთვის მოწყენილ სახეზედ.

ვინ იცის, – იქნება რვა წელიწადის, თავის სახლ-კარის უნახავმა ეხლა მის დანახვაზედ სიამოვნებისა გამო დაღონდა. ესე იცის დიდხნის თავის მიწა-წყლის

უნახავობამ, ნამეტნავად იმ ალაგის დანახვამ, სადაც ყმაწვილობა გაუტარებია კაცსა. მისგან მობერილი სიამოვნება, რაღაც ჩამაფიქვრელი სიამოვნებაა. იგი უფრო ნელს წუხილსა ჰგავს, ვიდრე სიხარულსა, მაგრამ მის მექონე კაცი იმ ნელს, რაღაც გულის გამათბობელ წუხილს არა სიხარულზედ არ გაჰსცვლის; ისე ტკბილია იგი, ისე მაცხოვნებელია. ვინ იცის რის გამო, მაგრამ ესე კია.

მაგრამ ჩვენს გმირს სახეზედ არ ეტყობოდა ეგეთი სიამოვნება, უფრო ვგონებ წინააღმდეგს შენიშნავდა კაცი, თუ კარგად თვალი დაეკვირვა. ეს ისეთ მდგმოიარობაში იყო, რომ უფრო ცრემლი მოუხდებოდა, ვიდრე სხვა რამე. მაგრამ თითქო თავს იმაგრებსო, მალე შეიშრობდა ხოლმე მორეულ თვალზედა სისველესა, თითქო ცრემლს ვისმეს უმალავსო.

ზაქრომ ჩაი მოართო კარგა ხნის შემდეგ. ბატონმა ისევ ისე ხმაამოუღებლივ აიღო სტაქანი და დადგა ფანჯრის დირეზედა. ზაქრო ფადნოსით ხელში იდგა კარებთან და აყოლებდა თვალს წინა და უკან მოარულ ბატონსა. ბატონმა ეს შენიშნა, მოუბრუნდა და დაითხოვა.

– წადი, როცა მომინდები, დაგიძახებ, – უთხრა ბიჭსა.

ზაქრო მოტრიალდა და გავიდა, მაგრამ თავი კი გაიქნივა, თითქო ცუდი რამ შენიშნაო.

მუაჯირზედ მოგროვილიყვნენ შინამოსამსახურეები, რომ როგორმე დაენახათ თავისი ახალი, რვა წლის უნახავი, ბატონი, მაგრამ ზაქრო რო გავიდა, იმათ უთხრა დაღონებით:

– ეხლა წადით, თორემ ბატონი ძალიან მოწყენილია და არ იამება, რომ თქვენ გარედამ ათვალიერებთ.

– რათა ბიჭო? – ჰკითხეს გაკვირვებულ გლეხკაცებმა.

– რა ვიცი? ათასი ჯავრი მოაწვებოდა გულზედ. ქვეყანაზედ გულშემატკივარი კი აღარავინ დარჩა საწყალსა, მამა მაგას მოჰკდომია და დედა, მოდი და ნუ ინაღვლებ. სავსე სახლი გაუშო და ეხლა ერთი კაციც არ დახვდა, რომ "შვილო" ეთქოს. ძნელია, შვილო, ოცდახუთის წლის უთვისტომო, ობოლი, მარტოხელი კაცი.

ზაქრომ ეს სიტყვები იმ შემატკივარ გულის ხმით გამოჰსთქვა, რომელიც ეგრე საოცარია ხოლმე ქართველ მოსამსახურეში და ამასთან ხშირი.

ბიჭებმაც დიდის მნიშვნელობით გაიქნივეს თავი და ნელა ჩავიდნენ ძირსა.

დაღონებული ყმაწვილი კაცი ისევ ისე დადიოდა, როგორც ამას წინად, შემაწუხებელ ფიქრებს ისე წაეღოთ საწყალი, რომ ჩაიც დავიწყებოდა და თავიცა. დიდხანს დადიოდა ეგრე, ბოლოს მოერივა ცრემლი და საცოდავ მწუხარედ და გულამომჯდარად ძლივსა თქვა თავისთავად: "საწყალი მამაჩემი!... საწყალი დედა!... რა რიგად უყვარდი!... სად არიან ეხლა!" ამის მეტი ვეღარა თქვა რა, დაეცა პირქვე ტახტზედ და ის ვაჟკაცი ყმაწვილი, ის ამაყი და ამპარტავანი დილას რო ვნახეთ, როგორც ბაშვი, ტიროდა ეხლა. დიდხანს ეგდო ეგრე საცოდავი ყმაწვილი კაცი და დიდხანსაც კიდევ ეგდებოდა, თუ გულმოდგინე მსახურს არ დაეშალა. იმან რა ნახა, რომ მეორე სტაქნისათვის აღარ ეძახის ბატონი, იფიქრა, იქნება მწუხარებაში ჩაეძინაო, მაგრამ, რომ ამოვიდა და ნახა ამ ყოფით, გაკვირდა. თავის დღეში ამოდენა კაცი იმასთან გაიზარდა და, თუ არ პატარაობისას, ამის თვალზედ ზაქროს ცრემლი არ ენახა. მაშინვე გონიერი

მსახური მიხვდა, რასაც აუტირებია და, არ იყო რომ, თითონაც ლმობიერებაში არ შევიდა. შეებრალა მსახურს თავისი საწყალი ბატონი.

ბატონი წამოდგა, მაგრამ არ იყო რომ ზაქროს აქ ყოფნა არ ითაკილა. მას თითქმის ეწყინა კიდეც, რომ კაცმა ეს მოტირალი დაინახა. მაგრამ ეხლა რაღა ეშველებოდა? მარდად შეიკავა ცრემლი, და თითქო დამნაშავესავით თავს იმართლებსო. უთხრა თავის ერთგულს მსახურს მოწყენით კი, მაგრამ გულამომჯდარად:

– შენ დედ-მამა კიდევა გყავს, ჩემო ზაქრო? ნეტავი შენ!...

– რა უყოდ, შენი ჭირიმე! ეგრე, მამა მოკვდება, შვილი დარჩება, – ჰსცა ნუგეში მსახურმა.

– მართალია. – და თითქო ეს აქამდის არ იცოდა, მოისო თვალებზედ ხელი და წამოდგა. წამოავლო დავიწყებულ სტაქანს ხელი, ნახა რო ცივია, უბძანა ახლის მოტანა. ბიჭი წავიდა.

ბატონი მწუხარე უკან ხელებდაწყობილი ისევ ისე დაღონებული დადიოდა წინა და უკან. ცხადად ჰსჩანდა, რომ ის ტანჯვაშია, მაგრამ ნუგეში არსად იყო.

ბიჭმა თუმცა ჩაი ამოუტანა კიდევ, მაგრამ ბატონმა არ დალია.

– მე ჩაი არ მინდა, დადგი ფოდნოსი მანდ და გამიშალე ქვეშაგები, – უბრძანა გაკვირვებულ მსახურს ხმამაღლა. – იქნება ძილმა დამიბრუნოს მშვიდობიანობა, – დაატანა მერე ჩუმად.

პატარა ხანს უკან ქვეშაგები იყო გაშლილი და ჩვენმა გმირმა გაიხადა ტანთ და ჩაწვა. ვინ იცის, ძილმა მართლა მოჰგვარა მშვიდობიანობა თუ არა?

III

მეორეს დღეს ჯერ მზეს ძლივ გადმოეფინა თავისი დამატკბობელი დილის სხივები მდუმარე მთებზედა, რომ ჩვენი ყმაწვილი კაცი თეთრ პიკეს ახალუხა იდგა მუაჯარზედ და ნაღვლიანად ატარებდა გარშამო თვალსა. მის დანთეთილს, მაგრამ მშვენიერს სახეს ეტყობოდა ზედ ღამის მოუსვენრობა და ტანჯვა. გაზაფხულის ბუნება მთელის თავის სიტურფით გადაშლილი იყო ნამით შესხმული მის ნაღვლიან თვალწინა. დიდრონი მთები, ერთ მხრივ ზოგან თოვლისაგან ჭაღარარეულნი მოხუცისავით, გულის სიგრილით გადმოჰყურებდნენ დაღონებულნი გაზაფხულისგან გახალისებულ მწვანით მოსილთა უნცროსთა მთათა. თოვლიანნი მთები იყვნენ სიბერესავით გრილნი და დაფიქრებულნი, მაშინ როდესაც მზის სხივებქვეშა მათ ქვემოდამ მწვანით განზიდულნი დაბალი მთები ჰფეთქდნენ მთელის სიჭაბუკის და განახლების სიცხოვლითა. ერთში ყოველიფერი იყო ჭაბუკობასავით ისე მაოცნებელი და მოუსვენარი, როგორც მეორეში სიბერესავით დამჯდარი და დამშვიდებული. მეორე მხრივ ალაზნის ველი ზოგან ახალ აშლილ ჯეჯილებით, ზოგან შეფოთლილი ტყეებითა, ჰსცემდა ერთნაირად და თანასწორად მაჯამომატებულ ძარღვსა.

ქვემოთ მოგვყავს ამ ხელნაწერის (U 141) აღწერა:

639. 7 ”იქნება”-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: ”თქვა ასე და ხელზე წამოწოლით წამოებჯინა”. 37 ”გამიგონია”-ს შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია ”დაიცა”.

640. 9 ”რო” ხელნაწერის ტექსტში ჩამატებულია.

624. 7, 12 ”გაიგანიერა . . . . . კისერი” ჩამატებულია ავტოგრაფში. 13 სტრიქონის წინ (სწორედ...) II თავის დასაწყისში გადახაზულია: ”იმ ყმაწვილი კაცის სილამაზისაგან გაკვირვებულნი”. 36 დაღონდა... კია] მოიწყინა. ესე იცის დიდმა სიამოვნებამა. თუ კაცი ნამეტნავად მგრძნობელია, მისი სიამოვნება უფრო წუხილსა ჰგავს, ვიდრე სიხარულს, მაგრამ მის მექონე კაცი ნელს, რაღაც გულის გამათბობელ წუხილს და სიხარულზედაც არ გასცვლის ისე ტკბილია იგი*.

664. 7 რომ . . . . . დაინახა] თავის წინ კაცი დაინახა, მერე იმისთანა კაცი, როგორიც იყო ზაქრო, ამასთან გულშემატკივარი და ძმასავით შეზდილი*. 6 მარად . . . . . გულამომჯდარად უნდა როგორმე დამნაშავესავით გაემართლა თავი თითქმის და ამისათვისაც უთხრა მოწყენით კი, მაგრამ გულამომჯდარმა*. 11 ”ნეტავი შენ” – შემდეგ ავტოგრაფში წერია: “უთხრა დაღონებით კი მაგრამ ცრემლშეკავებითა და გულამომჯდარად ბატონმა თავის ერთგულ მსახურსა” [50] . 16 “წავიდა”-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია:

“სულელურად არის გაჩენილი კაცი! მოარიდებს თუ არა თვალს რასმეს და მცირეს ხანს მოიხედავს უკან, ის, რაც...” 20 “დალია”-ს შემდეგ ხელნაწერში ილიას გადაუხაზავს: “და მიუბრუნდა და უთხრა”. 21 “ქვეშაგები”-ს შემდეგ გადახაზულია: “იქნება ძილმა”.

ავტოგრაფში მესამე თავის დასაწყისში გადახაზულია ამ თავის დასაწყისის რამდენიმე ვარიანტი, მოგვყავს ეს გადახაზული ტექსტები მთლიანად:

“მეორეს. დღეს ჩვენი ყმაწვილი კაცი გამოვიდა მოაჯარზედ. ჯერ ისევ დილა იყო, (მზეს) მუაჯირიდამ მშვენიერი გადასახედ-გადმოსახედი გაიტაცებდა კაცს. წინ მთები, ზოგან ისევ თოვლიანნი”.

”მეორეს დღეს, ადრე დილაზედ ჩვენი ყმაწვილი კაცი თეთრ სპეტაკ ახალუხა, იდგა მუაჯარზედ და დაღონებულ თვალით გადაჰყურებდა ახალგაღვიძებულ გაზაფხულის ბუნებას. წინ მთები, რომელსაც ეგრე საოცრად შეეთვისება ხოლმე ქართვლის თვალი და გული პატარაობითვე, ზოგან ჯერ კიდევ თოვლიანნი, ზოგან კიდევ მწვანე მოსილნი გადმოჰყურებდნენ ერთად ალაზნის ველსა, იმ სახით თითქო ერთ მხრივ მთები, რომელთაც ეგრე მტკიცედ შეეთვისება ხოლმე ქართვლის თვალი და გული, რომ ვერა სიამოვნება ვერ დაავიწყებს. მერე, ზოგან მოხუცსავით ჯერ კიდევ თოვლიანნი თეთრად გამოიყურებოდნენ, ზოგან კიდევ (ჭაბუკივით) მწვანე მოსილნი ჭაბუკსავით ხალისით სავსენი ახარებდნენ თვალს”.

”მეორე დღეს, ჯერ მზეს კიდევ არ გადმოევლო მდუმარე მთები, რომ ჩვენი ყმაწვილი კაცი თეთრ სპეტაკ ახალუხა იდგა მოაჯარზედ და მოწყენილად ატარებდა თვალსა. ახალ გაღვიძებული გაზაფხულის ბუნება მთელის თავის სიტურფით გადაშლილიყო დუმილით მის ნაღვლიან თვალწინა. დიდრონი მთები ზოგან მოხუცსავით ჭაღარარეულნი თოვლისაგან, მოხუცსავითვე გულის სიგრილით დაღონებულნი ჩამოჰყურებდნენ ჭაბუკსავით გაზაფხულის გახალისებულთ მწვანით მოსილთ უნცროსთა მთათა. მაგ ორგვარ მთებში ორგვარიც იყო სილამაზე. ერთში ჰფეთქდა სიცხოვლით სავსე ძარღვი მაოცნებელის სიჭაბუკისა. მაგ ორგვარ მთებში ორგვარიც იყო სილამაზე: ერთი, როგორც სიბერე, იყო გრილი, დაფიქრებული, მისი

---

[50] ამ სიტყვების ადეკვატურ ტექსტს შეიცავს ძირითადი ტექსტის შესაბამისი წინადადება. ალბათ, ამიტომ ამოიღეს იგი ტექსტიდან პირველმა გამომცემლებმა ალ. აბაშელმა და პ. ინგოროყვამ (იხ. თხზულებანი, ტ. III, 1926, გვ. 154). ჩვენც საჭიროდ არ ვცანით ამ სიტყვების დატოვება თხზულებაში.

ძარღვი ჰსცემდა ერთნაირად და თანასწორად ახალ გაღვიძებულ მზის სხივქვეშა. მეორე, როგორც ჭაბუკი ჰფეთქდა მთელის სიჭაბუკის და განახლების სიცხოვლითა, ამაში ყველაფერი იყო ისე მაოცნებელი, მოუსვენარი, როგორც იმაში დამჯდარი, დამშვიდებული.

ჩრდილნი ერთისა და სინათლე მეორისა".

ტექსტის ბოლოს, უკანასკნელი სიტყვის ("ძარღვსა") შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია:

"ყოველიფერი მასზედ", "მუაჯარის მარჯვნივ დიდი ბაღი, თავმინებებული აღყვავებულიყო ათას ფერად. ნუშის ხე, ვაშლისა, ატმებისა აფერადებდნენ სხვადასხვანაირად ციაგსა ჰაერსა, რომლის სუბუქ მობერვაზედ ცვივოდნენ ძირს შეურჩენელნი ხეხილის ყვავილები. მშვენიერი იყო ის დილა და დამატკბობელი. მაგრამ ჩვენი ყმაწვილი კაცი მოუსვენრად ატარებდა თვალსა, თითქო ამ დიდის ხნის უნახავ დედამიწაზედ იგონებს წარსულსაო. მართლაც, ყოველიფერი მის გარეშემო მოაგონებდა მას თავის საუკუნოდ დამარხულს სიყმაწვილესა. აგერა ის ალაგი, სადაც მისი უბრალო და პატიოსანი სოფლელი მამა ჩაისომდა ხოლმე თავის დედისერთა შვილსა კალთაში.

ათას ნაირად..."

კ ა კ ო (გვ. 434 – 508)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი U, № 140.

"კაკო" პირველად დაიბეჭდა 1908 წელს ყოველკვირეულ გაზეთ "ფასკუნჯში" № 5, 6 (დეკემბერი).

"კოლასა" და "კაკოში" გაერთიანებული სახით არის წარმოდგენილი "გლახის ნაამბობისა" და "კაცია – ადამიანის" სიუჟეტი[51]. ამ თხზულებების მიხედვით "გლახის ნაამბობის" მთავარი მოქმედი გმირი დათიკო (იგივე კოლა) "კაცია – ადამიანის" მოქმედი გმირების – თათქარიძეების ვაჟიშვილია. შემდეგ ილიას შეუცვლია თავისი ჩანაფიქრი, შეუწყვეტია ამ მოთხრობების წერა, მათი ერთი ნაწილი "გლახის ნაამბობში" შეუტანია, ნაწილი – "კაცია – ადამიანში", ბევრი რამ შეუცვლია, დაუმატებია და გაუუმჯობესებია. ამის გამო, ზოგი გამომცემელი (ალ. აბაშელი, პ. ინგოროყვა) "კოლსა" და "კაკოს" ვარიანტების განყოფილებაში ბეჭდავს. "გლახის ნაამბობის" ვარიანტად მოიხსენიებს ამ მოთხრობებს კ. აბაშიძეც 1912 წელს დაწერილ თავის გამოკვლევაში, რომელიც 1914 წელს გამოცემულ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა I ტომს ერთვის (გვ. XCII). მიუხედავად ამისა, საგულისხმოა ის გარემოება, რომ ამავე გამოცემაში "კოლა" და "კაკო" შეტანილია არა "ვარიანტებში", არამედ "ნაწყვეტებში". წინამდებარე გამოცემაშიც ჩვენ "კოლა" და "კაკოც" დაუმთავრებელი პროზაული ნაწერების განყოფილებაში მოვათავსეთ, რადგან ისინი იწერებოდა როგორც დამოუკიდებელი მოთხრობები, რომლის ნაწილები შემდეგ ილიას

[51] მიუთითებენ აგრეთვე «კაკო ყაჩაღთან" მათ კავშირზეც, რაც, ჩვენი აზრით, ამ თხზულებებში არ არის საგრძნობლად გამოკვეთილი. ამის შესახებ დაწვრილებით იხ. გ. გ ვ ე ნ ე ტ ა ძ ე, ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებითი პროცესის ისტორიიდან, "მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 1980, № 3, გვ. 25.

სხვადასხვა თხზულებებში შეუტანია, ისევე, როგორც “დიამბეგობის” III ვარიანტის (“მარგალიტი ლექში”) პირველი თავი შეიტანა მოთხრობაში “სარჩობელაზედ”

“კოლა” და “კაკო” ავტოგრაფში დათარიღებული არ არის. პირველად მათი დაწერის თარიღზე მსჯელობას ვხვდებით კ. აბაშიძის ზემოხსენებულ გამოკვლევაში. აქ ეს თხზულებები 1858 – 59 წლებში დაწერილად არის მიჩნეული, ხოლო პ. ინგოროყვა – ალ. აბაშელის 1926 წლის გამოცემის III ტომის 296-ე გვერდზე ამ საკითხთან დაკავშირებით ნათქვამია: “როგორც “კოლა”, ისე “კაკო” დაწერილია 1857 – 1859 წლებს შორის, საფიქრებელია, რომ 1858 წელს, ყოველ შემთხვევაში [არა] უგვიანეს 1859 წლის დასაწყისისა”. ხუთტომეულის პირველ ტომში (1937 წ.) ოდნავ შეცვლილია ეს ქრონოლოგიური ჩარჩო და “კოლა” 1858 წელს დაწერილად არის მიჩნეული, ხოლო “კაკო”– არაუგვიანეს 1859 წლისა – 1858-1859 წლებს შორის. ეს დათარიღება ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ ორივე მოთხრობა დაწერილია “გლახის ნაამბობსა”, “კაცია-ადამიანსა” და “კაკო ყაჩაღზე” ადრე[52]. ხოლო, თავის მხრივ, “კოლა” უფრო ადრეა დაწერილი, ვიდრე “კაკო”. ჩვენ სარწმუნოდ ვცანით წინა გამოცემაში წამოყენებული ეს ქრონოლოგიური ჩარჩო და სავარაუდოდ “კოლა” 1858 წლით დავათარიღეთ, ხოლო “კაკო” – 1859 წლით.

ავტოგრაფის პირველი ფურცლის recto-ზე ილიას ხელით მელნით წერია:

”დარდთა მოთქმითა,
ნაღვლიან ხმითა,
თუ მიგდებ ყურსა,
მოგილხენ გულსა.

ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე”.

ამავე ფურცლის verso-ზე კი ფანქრით ილიას ხელით დაწერილია ლექსი ”ნიავო, ჩემო ნიავო”[53], ხოლო მელნით ლექსის გვერდზე წერია სიტყვა ”იყო”.

ავტოგრაფი დაწერილია შავი მელნით, სათაურის ქვემოთ წერია: ”მოთხრობა”.

434. 8 ”შორის” სიტყვის შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია ”მოჩანდნენ”.

436. 9 ”რომ” ავტოგრაფის ტექსტში ჩამატებულია.

437. 3-4 ”ამოვლაში . . . . შემოვიდოდა” ჩამატებულია ხელნაწერში. 7 ”გულმტკივნეულად” სიტყვის ნაცვლად თავდაპირველად ავტორს დაუწერია ”ყვედრებით”, ორივე ეს სიტყვა ავტოგრაფში ჩამატებულია.

439. 33 ”თქვენ არ მომიკვდეთ” – ჩამატებულია ტექსტში.

440. 23 “ცხოვრება” სიტყვის შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: “ორივე”; ამავე სტრიქონის ბოლოს კი – “ამათა ჰყვანდათ ექვსი თუ შვიდი წლის შვილი . . . . მაგრამ ამაზედ მეორე თავში ვიტყვით, ეხლა ცოტა შევისვენოთ თქვენ, ჩემო მკითხველო, უბრალო ყბედობისაგან და მე ბღაჯვნისაგან, რომლის წამკითხველის იმედი არა მაქვს”.

---

[52] ”გლახის ნაამბობი” ილიამ 1873 წელს ”კრებულში” ასე დაათარიღა: 1859 წ., პეტერბურგი; ხოლო ”კაკო ყაჩაღი” ანუ ”რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ” – 1860 წლის დეკემბრით არის დათარიღებული. რაც შეეხება “კაცია-ადამიანს” მას ზუსტი ავტორისეული თარიღი არ გააჩნია, მაგრამ ფაქტია, რომ ისიც დაწერილია მას შემდეგ, როცა ილიამ “კოლასა” და “კაკოზე” მუშაობა შეწყვიტა.

[53] იხ. ამ გამოცემის ტ. I, გვ. 498.

441. 20 “ლუარსაბისათვის” შემდეგ გადახაზულია: “რამდენჯერ უქია თავი ნაცნობ და უცნობთან ამ ამბით? ამასაც კი ჰქონია თავის პატივმოყვარეობა და სახელის შოვნის სურვილი, აკი წვრილმან ხალხში არ არის ეგ თვისებაო?”

445. 26 ეძახდნენ] დაერქმივნათ*.

453. 23 ”გაურბინა”-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: ”მამისადმი”.

454. 35 ”კლასში” სიტყვას ავტოგრაფში მოსდევს შემდეგი გადახაზული სიტყვები: ”კოლა ძალიან მორცხობდა”.

455. 11 ”მყის” ავტოგრაფის ტექსტში ჩამატებულია. 15 ”ყურში” – ამ სიტყვის შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: ”ოსტატმა”. 34 ”თმებით” – სიტყვის შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია: “თრევით”.

456. 1 “მუხლებზედ” ხელნაწერში ჩამატებულია.

459. 9 კერძს] კერძო – წერია ავტოგრაფში. 10 – 11 “რომელიც . . . . პირდაპირ” ავტოგრაფში ჩამატებულია. 28 გათბეს] გათბება – წერია ავტოგრაფში.

460. 16 “კეთილს” შემდეგ ავტორს ჯერ დაუწერია: IV, რომელიც გადაუხაზავს.

461. 30 “როგორც . . . . . გამოსცადა” ავტოგრაფში ჩამატებულია 30 17 “მზისა” სიტყვის შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: “ის განი [. . . . . .] პატიოსან ფიქრითა”.

466. 27 “თამროსთან”-ს შემდეგ გადახაზულია ხელნაწერში: “ის იყო ჩვენი ნაცნობი კაკო”.

467. 21 სტრიქონის შემდეგ (“გაიგო”) გადაშლილია თავის აღმნიშვნელი ციფრი – V.

468. 3 “რამდვენიმე დღის შემდეგ”, ხელნაწერში ჩამატებულია, მის ქვემოთ კი გადახაზულია: “წამოწოლილი მოაჯარს”. 28 “მეორეზედ”-ს შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია: “იქ იქნება დესპოტობა და სრული ერთხმოვანი გარმონია ორთა სულთა”.

469. 3 სტრიქონის წინ (“არა, არა”) ხელნაწერში გადახაზულია:

“არა, არა კოლას უყვარდა თამრო იმისთვის, რომ იგი დაეკლა როგორც სამღვთო კრავი დასაკმაყოფილებლად თავის უზნეო სურვილისა!.. ბევრი იფიქრა, როგორ მოახერხოს, რომ თამრო ჩააგდოს გარყვნილების გუბეში, საიდამაც ძნელია აღმოსვლა, და თუ მოახერხებს, რომ ამოვიდეს ვინმე, უნდა გითხრად, რომ თუ არ ყველას, [უმეტესობას] მაინც დაუკარგავთ მთელი მიმზიდველი სუნნელება სიწრფელისა მაგ უკეთეს ყვავილისა ცხოვრების კონაში; გარყვნა მაინც და მაინც დაასვავს თავის საზარელ დაღსა, [. . . . .] მის განშორებას; დიდი ძლიერი ბუნება უნდა ჰქონდეს კაცსა, რომ სრულად წაიწმინდოს ნიშანი მაგ დამღუპავ გესლისა. აი ამ ყოფას უმზადებდა საწყალ წრფელსა, უმანკო სოფლის გოგოს, რომელსაც ქვეყანაზედ არც კი ჰგონია ბოროტება!...” 19 ”ჭკვიანი” ჩამატებულია ხელნაწერში, იქ ეს სიტყვა კარგად არ იკითხება. 27 ”იტყოდით გულისტკივილითა” ჩამატებულია ავტოგრაფში. 28-29 სტრიქონებს შორის (”სულიო... და არც”) ხელნაწერში გადახაზულია:

”ეგ შესაძლებელია, ჩემო მკითხველო, თუმცა უწინდელი ესტეტიკები მოგახსენებენ, რომ მშვენიერ ტანში მშვენიერი სულიც არისო, მაგრამ ჩვენ ხშირად ვხედავთ წინააღმდეგს. მშვენიერებაში თვითონ მშვენიერება არის უცილობელი. მარტო ფორმა ყალბი არ შეიქმს მშვენიერებას, იგი შედგება ხოლოთ მაშინ, როცა ყალბი და ის, რაც ყალიბშია ჩამოსხმული, ურთიერთს ეთანხმებიან. ფორმა უნდა თანა ხვდებოდეს იდეასა და იდეია ფორმასა.

კაცი, რო ჰგვანდეს მშვენიერს ცხენსა აქ მშვენიერება კი არა იქნება, იქნება სრული სიმახინჯე, იმიტომ რომ იდეია კაცის არ შეჰფერის ცხენის ფორმას. ხომ ვერ ვიტყვით იმ კაცზედ, რომელიც ცხენსა ჰგავს, მშვენიერიაო!... მშვენიერებაში ისმის ფშვენა დიდის შემოქმედისა, რომელსაც უებრო სიბრძნე ასულდგრძელებს – ფორმას, ცოცხალ და შესაფერ სულთა, მეტყველითა შემოქმედის დიდებაზედ. სადაც ფორმაა და არ არის შესაფერი იდეა, იქ მშვენიერებაც არ არის. ვაი რით აიხსნება ის, რომ ვხედავთ ხოლმე მშვენიერს და ზოგიმათგანი არამც თუ მიგვიზიდავს ჩვენ, სრულად განირიდებს ჩვენს გულს ხოლმე, იმიტომ, რომ უახლოვდებით მას რამთვენსაც, იმდენს უფრო და უფრო ვრწმუნდებით, რომ სული და ტანი შეუსაბამოდ შეკავშირებულან".

473. 13 "სიმძიმეს" – შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: "და".

"მყოლოდა"-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: "გმადლობ, შენ ღმერთო". 29-30 "რაღაც... წარმოთაქმევინებდა" ხელნაწერში ჩამატებულია.

476. "მოწყალეო ჩვენო" – ჩამატებულია ხელნაწერში.

477. 30 "უმანკო სისხლი" ჩამატებულია ხელნაწერის ტექსტში.

478. 2 "გაუარა"-ს შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია: "როგორც ელვამ". 9 "სიხარულითაც"– სიტყვის შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: "რომ სიკვდილი".

479. 2 სტრიქონის შემდეგ (ერთმანეთსა) ავტოგრაფში გადახაზულია: "გათენდა ორშაბათი დღე დათო უნდა წასულიყო". 23-24 სტრიქონებს შორის ("მამა . . . კაკოც...") ხელნაწერში გადახაზულია: "კაკოც რამდვენიმე მას უკან, რაც". 29 "გადაკარგოს . . . იქნება" ავტოგრაფში ჩამატებულია. 35 "თორე . . . . მაიფიქრებს" ჩამატებული ხელნაწერის ტექსტში.

480. 2 [. . . . .] წინა გამოცემაში წერია: "მომიქალაცუნოს", მაგრამ აქ ჩვენ ეს სიტყვა ვერ ამოვიკითხეთ.

481. 31 სტრიქონის წინ ("კარგი...") ხელნაწერში არის გადახაზული შემდეგი სიტყვები:

"– კარგი, თუ ღმერთი გწამს, კარგი, – გააწყვეტინა დათომ. დათო ეჭვში იყო უწინაც კაკოზედ და ეხლა უფრო დარწმუნდა, რო კაკო უხლართამს მას საქმეს და შველის თავის ბატონსა, "თორე რად შესტკივა გული ჩემ უბედურობაზედ, მე ვინა და ეგ ვინა, რო შველა უნდა ჩემი" – ფიქრობდა საწყალი მამა, მართალიც იყო დათო: მთელს თავის სიცოცხლეში არ უნახავს კაცი, რო მოძმესათვის ეშველა, მერე ბატონის შინა ყმა, ყურმოჭრილი".

482. 29 "ჯადო"-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: "გადააბრუნებს ხოლმე სულ წინააღმდეგად უნიადო . . . აზრიან".

487. 15 "კიდეც"-ს შემდეგ ხელნაწერში არის გადახაზული სიტყვები: "არც მხიარული იყო". 17 "ჰგვანდა"-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: "ერთ საშინელ სიზმრიდან გად[. . . .]ებულ კაცსა, რომელსაც"... "წყლიდამ, რაღაც ბედით გადარჩომილ შეშინებულ კაცსა, რომელსაც არა სჯერა პირველ ხანში გადავრჩი თუ არაო". 24 "განგრძელებასა" სიტყვის შემდეგ ავტოგრაფში ყოფილა: "როცა წამოდგა მაშინ", რომელიც გადახაზულია.

488. 3 სტრიქონის შემდეგ ("....გოგოსი") ხელნაწერიდან ამოღებულია ტექსტი, რომელიც მცირეოდენი ცვლილებებით მეორდება.

490. 17–20-ზე ("ბევრიც....საქრმოები").

492. 1 დათო საქმეში დაღლილ] ხელნაწერში წერია: ”მამა საქმეში დაღლილი დათო”, ჩანს, ილიას გადაუშლელი დარჩა სიტყვა ”მამა”, ჩვენ საჭიროდ ვცანით აქ აღნიშნული ცვლილების შეტანა. 2-3 ”ბაღჩიდამ... კვლებს” ჩამატებულია ხელნაწერში, ხოლო ამ სიტყვების შემდეგ კი გადახაზულია: ”და ჩამოვიდა დერეფანთან, სადაც თამრო საქმობდა”.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, 492-ე გვერდის პირველ სტრიქონზე ხელნაწერში წერია: ”როცა მამა საქმეში დათო დაღლილი”, ალბათ, ამ გაუგებრობისა და იმის გამო, რომ აქ ტექსტი ნასწორებია, წინა გამოცემაში ეს ადგილი ასე იყო გამართული: ”როცა თამროა ამ საქმეში, დათო დაღლილი დღიურ შრომისაგან ამოვიდა ბაღჩიდამ”.

494. 22 – 26 თამრო . . . . . თქვენ] თამრო იდგა და იმ სასოებით ისმენდა მამის დარიგებას, როგორც ერთი სასოწარკვეთილი მლოცველი ისმენს ხოლმე ღაღადებითა, როცა უეცრად საკურთხევლიდამ მოესმის უკვდავნი სიტყვანი უკვდავის ჯვარცმულისა: ”მიიღეთ და სჭამეთ. ესე არს სისხლი ჩემი თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული მისატევებლად ცოდვათა!* 27 IX თავის დასაწყისში ხელნაწერში გადახაზულია შემდეგი:

“გადიოდნეს დღეები და კვირაები, მაგრამ კოლამ და მიტომ ვერა მოაგვარეს რა; ერთის ფეხითაც წინ ვერ წადგნენ ბატონი და ყმა იმ საქებელ მაჭანკლობაში და არშიყობაში. კოლას აღრინებული გული, უფრო აღრინდა, რომ ვერ აისრულა საწადელი; თავის ჯავრსა იყრიდა საწყალ თავის ყმებზედ, ვინც კი მოხვდებოდა უდანაშაულო, თუ დამნაშავე, მთელი დღე სულ ილანძღებოდა, არაფერი არ მოსწონდა ტყუილ უბრალოთ ხან ერთს მოსამსახურეს წასწვდებოდა, ხან მეორეს ეცემოდა, სტყებდა უანგარიშოთ და უსამართლოდ; ყველაზედ მეტი მოხვდა საბრალო მიტოსა: დილა არ გავიდოდა, რომ ის ნაცემ მინატყეპი არ ჩამოსულიყო ბატონიდამ, დათოსაც ბევრი ტანჯვა მიაყენა კოლამა, თუმცა გალახვით არ გაულახავ, მაგრამ ის უშვერი ლანძღვა, რომელშიაც განვითარებული იყო კოლა პატარაობითვე, ლანძღვაზედ უარესი იყო მოხუცებულ და თავმოყვარე დათოსთვის; მარტო ბატონის ჯავრსა გადაურჩა კაკო, რომელსაც თავი ძალიან კარგათ ეჭირა ბატონთანაც და ყმასთანაც, თუმცა სულ თვალახილული და ყურდაცქვეტილი დადიოდა, რო არაფერი არ გამოეპაროს. მიტოს ავანჩავანობა სულ იცოდა კაკომა, იმისთვისაც კაკო დადარაჯებული იყო აშკარა თუ...”

495. 29 ”ჰქრება”-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: ”თავის წაშლით, გაქრობით მოხარულ დიამბეგ...”

496. 5 ”ლოყები.....მთხოვნელნი” ჩამატებულია ავტოგრაფში. 6 – 7 ნიშნით წარსულ ცოდვისა] მოსვრილი ბუმბულში – დაუწერია პირველად ავტორის. 13 სიტყვას “ყანასავით” ხელნაწერში მოსდევს გადახაზული ტექსტი: “შიგა და შიგ თმებით”.

500. 3 “როგორც ლეღვის ჩირი” ჩამატებულია ხელნაწერში. 12 მასხარაობითა] თამაშობითა – დაუწერია ავტორს პირველად.

501. 7 “ყოველთვის მოძრაობაში მყოფი” – ხელნაწერში ჩამატებულია. 10 – 13 “მანამ . . . . გადმომიგდებსო” ჩამატებულია ავტოგრაფში. 18 სტრიქონის წინ (“მესამე მარჯვნივ”) ავტოგრაფში გადახაზულია:

“მესამე გახლდათ ზუმბერიძე ეს არაფერი შესანიშნავი კაცი იყო. ის რამხელა [. . . . .] მაშინაც კაცი მას არ იწყენდა”.

“არც დაღონდებოდა მხეციდამ რომ ისევ კაცად ქცეულიყო, არც მხეცები დაიხოცებოდნენ ჯავრით, მეოთხე გახლდათ... მაგრამ სად წავა ამოდენა ხალხის აღწერა... ბევრი მოგვივა... ერთის სიტყვით, დიამბეგის ოთახში სულ ქართველები იყვნენ ეს ეყოფათ, ჩემო მკითხველო.

როცა კოლა შემოვიდა, რამდენმა ყმაწვილმა და მათ შორის ჩვენმა დიამბეგმაც ერთის ხმით შესძახეს: “ااااا!... ვაშე სიატელსტვო!... გძელაძე [54] კი მობრუნდა და დაიყვირა ცხვირჩამოშვებით: უზნეო და ბრიყვებო!

– რა კვეთება შეგეყარათ, რა იყო, – მიუგო სიცილით კოლამ.

– შენი მოსვლა გვეამა”.

21 ”სიმარტივით” სიტყვის შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: ”იმღვრეოდა და ამბობდა”.

502. 13 ”გძელაძე”-ს შემდეგ ხელნაწერის ტექსტში გადახაზულია: ”კი მობრუნდა”.

503. 4 სტრიქონის წინ (”ეს ეყოფა”) ხელნაწერში გადახაზულია:

”ბოლოს მოიტანეს სადილი და ყიჟინით მიირთვეს ყველაფერი და ბოლოს ბარბაცით ყოველი სტუმარი დაბრუნდა თავის სახლისაკენ”.

32 რაც... გიტოს] რასაც მოასწავებდა ეს ხმა*.

505. 17 რომლებმაც] რომელმაც – წერია ავტოგრაფში.

მოგვყავს იმ ცვლილებების სია, რომელიც ავტოგრაფის ტექსტში სარედაქციო კოლეგიის მითითებით იქნა შეტანილი:

388,71 წარმოგიდგებათ] წარმოგიდგებად. 392,15 რთვითა] რთვიდა. 393,20 სიყვარულს] სიყვარული; ეჯავრებოდათ] ეჯავრებოდად. 395,9 გლეხებითურთ] გლეხებითთურთ. 400,1 გავაგრძელოთ] გავაგრძელოდ; 400,1 მოხვდებათ] მოხვდებად. 404,20 უყვარდათ] უყვარდად. 403, 21 დავარდა] დავვარდა. 411,4 მოეფიქრათ] მოეფიქრად. 417,1 ქოფაკო] ქოპაკო. 21 ლაფიანი] ლაბიანი. 418,4 ბევრჯელ] ბევრჯელ. 423,5 ქორფაც] ქორბაც. 429,7 ხელებს] ხელებ. 434,11 ეუბნებოდნენ] ებნებოდნენ. 438,7 სულს] სულ. 440,10 გითხრათ] გითხრად. 443,23 პირს] პირ. 444,25 უშვილოთ] უშვილოდ. 461,6 უჯაათობით] უჯადობით. 461,15 დაიხვნეშა] დაიხნეშა; ბატონი] ბატონო. 462,2 ეჯავრებოდათ, მაინც შეებრალათ] ეჯავრებოდად მაინც შეებრალათ. 10 მიეცათ] მიეცად 463,24 გაცოფდა] გაცობდა.

გ უ ბ ე (გვ. 509)

რადგან ჩვენ ხელთ არ გვქონდა ამ დაუმთავრებელი თხზულების იმ ტექსტის დედანი[55], რომელიც დაბეჭდილია ტომის ძირითად ნაწილში, იგი გადმოვბეჭდეთ ილ. ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეულის მეორე (1950 წ.) ტომიდან (გვ. 466 – 468).

გარდა ძირითად ნაწილში გამოქვეყნებული ტექსტისა, არსებობს “გუბის” კიდევ ერთი ნაწყვეტი – U № 157, რომელსაც ვბეჭდავთ ქვემოთ და ვიძლევით მისი ხელნაწერის

---

[54] ამ სიტყვიდან აბზაცის ბოლომდე (...ბრიყვებო) ხელნაწერში ჩამატებულია.

[55] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. წინ მოთხრობა ”კაკოს” შენიშვნები.

დახასიათებას (ორივე ტექსტი პირველად გამოქვეყნდა 1926 წელს ილიას თხზულებათა III ტომში).

თხზულების დათარიღების შესახებ კი იხილეთ ქვემოთ – “იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა”-ს შენიშვნები.

შენ ეხლა მკვდარი ხარ. მე მინდა შენი ამბავი ქვეყანას ვაუწყო, უბედურად გაჩენილო ქართვლის ქალო! შენი ამბავი მარტო შენი არ არის; მასში მრავალნი ქალნი აღმოიკითხვენ თავის საკუთარს ამბავსა, რომელსაც გაუვლია და რომელიც მათ თავზედ გარდასასვლელია.

მე მახსოვს ის დრო, როცა პირველად მე შენა გნახე: მაშინ შენ ახლად იშლებოდი; შენ იყავ მრთელი, შენს ცხოველს სახეს ჯერ არ დასტყობოდა შინაური მტარვალობის ბეჭედი, და ჩვენ დამპალს გუბეს, რომელსაც ცხოვრებას ვეძახით, თავის ოშხივარით არ მოეკიდნა შენს სახეზედ ობი.

შენ იყავ მაშინ გასათხოვარი, ესე იგი შენ ჯერ არ იყავ გაყიდული. გყიდდნენ კი, მაგრამ ფასზედ ჯერ მორიგებული არ იყვნენ. შენ უდარდელად დედ-მამის საპყრობილის ჩრდილში დადიოდი, და, საწყალო, არ იცოდი, რომ დღესა თუ ხვალ ეგ საპყრობილე, საცა მზრუნველობა მაინცა გპატრონობდა, შეგეცვლებოდა სხვა უარესს საპყრობილეზედ, და მონების, მოთმინების, პირუტყვობის ხუნდი კისრად დაგედებოდა, და ყალბი ოქროს გვირგვინი ქვეყანას აჩვენებდა, რომ ადამიანობა შენი, გათელილი შინ, იყიდა სხვა კაცმა ხელახლად მოსათელავად.

შენ, როგორც ყოველი ადამიანი, ბედნიერებისათვის იყავ გაჩენილი; შენი ფიქრი, შენი ლამაზი ღრმა თვალი...

ავტოგრაფში ეს ნაწყვეტი უსათაუროა, მაგრამ მისი შედარება “გუბის” ტექსტთან ეჭვს არ ბადებს, რომ იგი ამ თხზულების განსხვავებული ვარიანტია.

ავტოგრაფი მოყავისფრო შავი მელნით არის დაწერილი, ხოლო ფანქრით პირველი გვერდის არშიაზე მიწერილია: “არ დაიბეჭდება”.

ხელნაწერის დასაწყისში გადახაზულია “ეხლა შენ მკვდარი ხარ. მე მინდა შენი ამბავი ქვეყანას ვაუწყო, კარგო და უბრალოდ დაღუპულო ქალო”; “ცოდვამან”; “შენი ცოდვა იყოს შენს მშობლებზედა”.

“ჯერ მე იმ დროში ვიყავ, როცა შენ, როგორც ახლადგაშლილი”;

“შენი ამბავი ჰგავს მრავალ სხვა ამბავს, ბევრნი ქალნი ჩვენს უბედურს ქვეყანაში შენს ამბავში აღმოიკითხავენ ცოტად თუ მეტად თავის საკუთარს ამბ...”; “წარსულს ამბავს და, ჩვენ საუბედუროთ, მომავლის ბედისწერასაც”; “მე ბედნიერი ვიქნები, თუ ამ ამბავმა ერთს სულიერს მაინც აუფეთქა გულში ადამიანის გრძნობა”. გარდა ამისა მე-10 სტრიქონში “ობი”-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: “შენის დედ-მამის მძიმე ჟანგიანი ხუნდი არ [. . . .] ჯერ არ გადაგვეცვალა”;

“შენ იყავ მაშინ გასათხოვარი, ესე იგი ჯერ შენ არ იყავ გაყიდული. დედ-მამის საპყრობილიდამ არ გადასულიყავ უცხო კაცის საპყრობილეში. მაშინ რომ კაცს შენთვის ეყურებინა, შენ ჯერ კიდევ შეგეძლო აღგეფეთქა მასში კაცობრიული აზრი”. 15 გპატრონობდა] გქონდა*. ”გვირგვინი”-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: ”წინამორბედი ცოლ-ქრმობის მძიმე ხუნდისა”. 19 ”მოსათელავად” – სიტყვას შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია: “შენი ფიქრი, შენი ლამაზი ღრმა თვალი

ტყუილად დადიოდა... ის ბედნიერება, ის ცხოვრების სიო, რომელიც შენს სულში ადამიანის თვისებად წარმოდგებოდა – შენი არ იყო, ტყუილად იყურებოდი...”

ზოგიერთი ხანა მოთხრობისა “მარგალიტი ლექში” (გვ. 511 – 512).

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი U, № 143. ეს ტექსტი პირველად დაიბეჭდა მიხ. გედევანიშვილის გამოცემაში 1914 წელს.

თარიღთან დაკავშირებით იხ. შენიშვნები თხზულებისა “იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა”.

ავტოგრაფი სუფთაა, იქ ნასწორები არაფერია, მხოლოდ ყდის მეორე თავისუფალ გვერდზე მიწერილია: “იგი”, “ქართველი იყო სიყრმიდანვე ობლად რჩენილი”.

ამ მოთხრობის სათაურად ილიას თავდაპირველად რვეულის ყდაზე დაუწერია: “მოთხრობა “მარგალიტი ლექში”; შემდეგ კი პირველი სიტყვის ზემოთ წაუწერია: “ზოგიერთი ხანა”, ხოლო “მოთხრობა” გადაუსწორებია ასე: “მოთხრობისა”. ამრიგად, საბოლოოდ ავტოგრაფში იკითხება: “ზოგიერთი ხანა მოთხრობისა “მარგალიტი ლექში”. მართლაც, ასეთი სათაურით დაბეჭდა ეს ნაწყვეტი პირველად მიხეილ გედევანიშვილმა ილია ჭავჭავაძის “თხზულებათა” პირველ ტომში 1914 წელს, ხოლო შემდეგ ინგოროყვა-აბაშელმა ცხრატომეულის მესამე ტომში (1926 წ.). მაგრამ, რატომღაც, ამ უკანასკნელი გამოცემის სარჩევსა და შენიშვნებში მისი სათაური ასეთი ფორმით არის წარმოდგენილი: “რამდენიმე ხანა მოთხრობისა “მარგალიტი ლექში”. ეს გაუგებრობა უცვლელად არის გამეორებული ილიას თხზულებათა ხუთტომეულის I ტომში (1937 წ.). კიდევ უფრო მოულოდნელ ცვლილებებს გვხვდებით ათტომეულის II ტომში (1950 წ.), სადაც ეს თხზულება ძირითად ტექსტსა და სარჩევში მოიხსენიება სათაურით: “ზოგიერთი მოთხრობები “მარგალიტი ლექში”, ხოლო შენიშვნებში კი ასე – “რამდენიმე ხანა მოთხრობისა “მარგალიტი ლექში”.

როგორც უკვე მივუთითეთ, ავტოგრაფში ამ ნაწყვეტის საბოლოო სათაურია: “ზოგიერთი ხანა მოთხრობისა “მარგალიტი ლექში”, ამიტომ იგი წინამდებარე გამოცემაში ამ სათაურით შევიტანეთ.

კ ა ტ ო (გვ. 513 – 516)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი U, № 143.

ეს ტექსტი პირველად დაიბეჭდა მიხ. გედევანიშვილის გამოცემაში 1914 წელს.
ამ ტექსტის განსხვავებული ვარიანტია U № 144.

ძირითად ნაწილში დაბეჭდილი ტექსტის ხელნაწერი – U № 143 უსათაუროა. წინა გამომცემლების მსგავსად (გედევანიშვილი, ინგოროყვა-აბაშელი), იგი U № 144 ხელნაწერის მიხედვით დავასათაურეთ.

ქვემოთ ვიძლევით ძირითად ნაწილში დაბეჭდილი ტექსტის ავტოგრაფის (U № 144) დახასიათებას.

513. 9 "ბულვარი"-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: "აჭრელდნენ და გაიხმაურეს ქუჩებმა". 22 ორივე ფანჯარა] ფანჯრები*.

514. 2 ხელსაქმეზე] ხელსაქმეზედა*. 4 "ქალისათვის" შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია: "რომელიც იყო იმ ხანებში, როდესაც", "თუმცა ხანდახან აიღებდა და გადმოიხედამდა ქუჩისაკენ, მაგრამ ის გამოხედვა არ აჩვენებდა ხილველთ, რომ იგი ტკბებოდა". 25 "პატრონი" არ წერია ხელნაწერში, იგი ჩვენ ჩავამატეთ ტექსტში.

515. 6 "გულმტკივნეულად" სიტყვის შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: "და მაგის პატრონმა", "თუ შენ არ მეყოლები".

515. 4 "თვალთაგან"-ის შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია: "ცრემლი".

ეს ნაწყვეტი ილიას იმ რვეულში ჩაუწერია, რომელშიაც "ზოგიერთი ხანა მოთხრობისა "მარგალიტი ლექში". იგი უშუალოდ მოსდევს "ზოგიერთი ხანის"... ტექსტს. ამ ორი თხზულების ერთ რვეულში ჩაწერა შემთხვევითი არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, ორივე ერთი ჩანაფიქრის განხორციელებას ისახავდა მიზნად. ამაზე მიანიშნებს ტექსტების მსგავსება, რომელიც შეინიშნება " ზოგიერთი ხანის..." დასაწყისსა და "კატოს" ამ ვარიანტის ბოლო აბზაცს შორის.

როგორც უკვე მივუთითეთ, არსებობს ამ თხზულების განსხვავებული ვარიანტი, რომლის ტექსტს და ხელნაწერის დახასიათებას (U № 144) ვბეჭდავთ ქვემოთ:

კ ა ტ ო

I

საკვირველი გოლვიანი დღე იყო, იმისთანა დღე, როგორიც ხშირია ხოლმე ტფილისში შუა ზაფხულში. ქალაქის ქუჩები სავსე იყო მტვრითა და სიცხითა. მცხოვრებნი, შემწყვდეულნი თავიანთ სახლებში, დიდის სურვილით ეხვეწებოდნენ ღმერთს წვიმასა; – ისმინა ღმერთმა ხვეწნა მათი და საღამოს ჟამს წამოვიდა ერთი კარგი თქვენი მოსაწონი წვიმა. გაგრილებული ტფილისი ღარიბი ბუნება გამხიარულდა, გაცოცხლდა. ხალხმა გაიხმაურა ქუჩებში, რომელნიც არ იყვნენ ჩვეულებისამებრ ალაფულნი: დიდხნის დაუნამავებმა მწყურვალსავით შეიშრეს წვიმის წყალი. მზე ჯერ არ იყო ჩასული; იგი, როგორც ლამაზი და მორცხვი ქალი, იჭყიტებოდა მთის მწერვალიდამ და ისე ზარმაცად გადადიოდა მთის წვერსა, თითქო ეზარებაო ქვეყნის მოშორება. ის უგემური მთები ტფილისის გარეშემო, ის დაღონებული მინდვრები, მომწვარი გოლვისაგან, ალამაზდნენ წვიმის შემდეგ იმოდენად, რამოდენათაც შეუძლიან გალამაზება მახინჯსა. ყველა გაცოცხლდა, გაცოცხლდა გულიც, გრძნობაც ბაშვსავით გახალისიანდა, – ერთი სიტყვით იყო მისთანა საღამო, რომ შინ ჯდომა ცოდვად მიეთვლებოდა კაცსა: ბულვარი აივსო ყოველ მილეთის ხალხითა. მაგრამ, მკითხველო, მე

არ მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ბულვარსა. იქ დადის ბედნიერი, უსაქმო ხალხი. მე მინდა გაჩვენოთ ამ საღამოს ერთი დაბალი, ძველი სახლი, ერთს ვიწრო ქუჩაში, სადაც დღე ღამდება შრომით და ღამე თენდება მძიმე ზრუნვითა. აქაურს მცხოვრებს დღის სხივი არ უთბობს გულსა და ღამის სიბნელე არ აძლევს მოსვენებასა.

აგერ ხედავთ ა იმ დაბალ სახლსა, რომლის ორი პატარა ფანჯარა გადმოჰყურებს უსიხარულო ქუჩასა. ის ორი ფანჯარა გაღებული იყო იმ საღამოს, რომლის აღწერით მე დავიწყე ეს მოთხრობა. ფანჯრები იყვნენ მორთული იაფის ფასის ყვავილებითა და ყველაფერი გარეშემო ამბობდა, რომ იმ სახლის პატრონის მხოლოობითი სიამოვნება ხოლოთ ეგ ყვავილები იყვნენ. ერთს ფანჯარაში ვარდებ შორის მოჩანდა ერთი ცოცხალი ვარდი, ესე იგი ახალგაზრდა ქალი, რომელიც იჯდა სკამზედ და დიდის მეცადინეობით ჰკერავდა რაღაცასა. მთელი მისი ყურადღება იყო მიქცეული თავის ხელსაქმეზედა, და ეს მშვენიერი საღამო, ეს მშვენიერ. თავისუფლად გადაშლილი ლაჟვარდი ცა, ეს სიგრილე და სისუბუქე ჰაერისა იყო თითქმის უქმი იმ ქალისათვის. ხანდისხან, თუ გაიხმაურებდა ვინმე ქუჩაში, ის ქალი აიღებდა დაღლილ თავს და უნებურად გარდმოხედავდა ქუჩას, მაგრამ იმ გადმოხედვაში ჩანდა, რომ ქალს არაფრის დანახვა არცა სურს და არც იამება. მერე ისევ ჩაღუ... ...უმალ უშიშრად გადმოფრინდა კალიასკიდამ, ჯერ მივარდა ერთ ფანჯარას, იქ არვინ დაინახა მერე გადიწია და შეაჭყიტა თავისი ცისფერი მხიარული თვალები ოთახში და იქაც ვერავინა ნახა, მივარდა მეორეს ფანჯარას, იქ დახვდა მწუხარე დედაბერი.

– მაიას ვახლავარ უმორჩილესი მონა, – მიესალმა მხიარულად ახალმოსული ქალი.

– ღმერთმა გაცოცხლოს, შვილო, ღმერთმა შენი ბედნიერება მაჩვენოს, შენი კაი ქმარი, – მიუგო იმ სახით, როგორც ბედისაგან დაჩაგრული მიუგებს ხოლმე ბედნიერსა.

– კატო მზათ არ არის? უჰ, რა თავისმომწონე რამ არის ეგ შენი შვილიშვილი აქამდინ იპრანჭება, იპრანჭება და ვერ მოიპრანჭა, – უთხრა სიცილით და ოხუჯობით მოსულმა. ბებერსაც ჩაეცინა.

– ეხლავ მოვა, შენ გეთაყვა, ლიზო, ეხლავ! – მერე მიბრუნდა და იწყო ძახილი: – კატო, ლიზო აქ კარზედ გელის, გამოდი ჩქარა.

პატარა ხანს შემდეგ გამოვიდა მარტივად, მაგრამ მოხდენით ჩაცმული კატო.

– ძლივს, მადლობა ღმერთსა! – მიატანა იმავ ოხუჯობით ლიზამა, – მე კი მოთმინებიდამ გამოველ, და!

– მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენი, ბრძანებს სახარება, ჩემო ლიზიკო, – მიუგო კატომაც ოხუჯობით.

– აკი მეც მოგიპოვე შენ, ძლივს კი გამოგიყვანე და.

– განა დიდი ხანია, რაც მელი?

– არა, მაგრამ ლოდინი, თუნდ ერთის წუთისა, მაინც მოსაწყენია.

– შენისთანა ქარიანისათვის, – მიუგო სიცილით კატომა.

– თუნდ შენისთანა უქაროსათვის. კარგი, შეიკარ ბანტი შლიაპისა და გამოდი გარედ, გვეყობა ლაზღანდარობა. – თქვა და გასწია კალიასკისაკენ. მინამ ლიზა კალიასკაში ჩაჯდებოდა, კატოც მოვიდა. ჩასხდნენ ორნივე, კალიასკა მოტრიალდა და გაიგრიალა ბულვარისკენ.

დარჩა მარტოკა ჩვენი მწუხარე დედაბერი. ვიდრე ისმოდა გრიალი კალიასკისა, ბებერი იგი წარბშეკრული და სველთვალებიანი იდგა უძრავად, თითქო მიკერებულა

ერთს ალაგს. რაკი მისწყდა ხმა კალიასკისა, მიბრუნდა ბებერი იგი, წასწვდა ცოცხსა და ტირილით დაიწყო გვა სახლისა.

II

– მოიცა, მოიცა ცოტა ხანს კიდევ, თუ ღმერთი გწამს! – ეუბნებოდა ერთს დღეს ჩვენი ცელქი ლიზო თავის ბიძაშვილს ალექსანდრეს, როცა იგი წამოიწია სკამიდამ...

ორივე ეს ნაწყვეტი პირველად დაბეჭდა მიხ. გედევანიშვილმა ილიას თხზულებათა სრული კრებულის I ტომში 1914 წელს.

ამ თხზულების დათარიღების შესახებ იხ. მომდევნო მოთხრობის – "იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა" – შენიშვნები.

ამ ვარიანტის ავტოგრაფში სათაურის ქვემოთ მიწერილია: მოთხრობა.

656. 93 9 ტფილისის] ტფილის – წერია ხელნაწერში. იგი] მაგრამ*. **657.** 25 "ისევ ჩაღუ..." ამის შემდეგ ხელნაწერს აკლია გვერდები **658.** 5 აკი გამოვიყენე და] აკი მეც მოვიპოვე შენში, რასაც ველოდი, მიუგო კატომ*. 18 "გწამს" შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია: "საშინლად მოწყენითა ვართ".

იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა ვაბაღნაროსა (გვ. 517 – 526)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი U, № 145.

ეს ნაწყვეტი პირველად გამოქვეყნდა ილიას თხზულებათა გედევანიშვილისეულ გამოცემაში (1914 წ.). იქ მას ეწოდა "მოთხრობა", ხოლო "იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა" დაბეჭდილია როგორც ეპიგრაფი. მაგრამ ავტოგრაფი ეჭვს არ იწვევს, რომ იგი სათაურია. აქ ეს სიტყვები წერია, როგორც სათაური და არა მარჯვნივ ოდნავ შეწევით – ისე, როგორც, ჩვეულებრივ, ეპიგრაფებს წერენ. მას ზემოთ აწერია "მოთხრობა", ხოლო ქვემოთ უზის თავების აღმნიშვნელი ციფრი - 1.

ავტოგრაფი დაუთარიღებელია. პ. ინგოროყვას აზრით, როგორც ეს ნაწყვეტი, ისე წინა სამი თხზულება ("კატო", "ზოგიერთი ხანა...", "გუბე"), 1861 – 1863 წლებშია შექმნილი. ამის საბუთად მას მოჰყავს შემდეგი: "1) ფრაგმენტებში ჩვენ გვხვდება ციტატა ილიას ლექსიდან "ელეგია", რომელიც დაწერილია 1859 წელს... 2) ერთი ფრაგმენტი,... შენახულა "კაცია-ადამიანის" წინასიტყვის პირველ ვარიანტთან ერთად... ეს გვაფიქრებინებს, რომ ეს ფრაგმენტები იმ დროს იწერებოდა, როცა "კაცია-ადამიანი" ჯერ კიდევ არ ყოფილა დასრულებული, ხოლო "კაცია-ადამიანის" უკანასკნელი რედაქცია 1862 – 1863 წლებს ეკუთვნის . . . 3) რომ ეს ფრაგმენტი "კაცია-ადამიანის" დროს იწერებოდა, ამას, სხვათა შორის, ისიც ადასტურებს, რომ ფრაგმენტებში არის შეხვედრა ზოგიერთი სახეებისა და გამოთქმებისა"[56].

[56] ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, 1950, გვ. 606 – 607.

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ეს თხზულებები უფრო ადრე უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ ამჯერად პ. ინგოროყვას მიერ ზემოთ შემოთავაზებული თარიღის უარყოფის არავითარი ხელშესახები საბუთი არ გაგვაჩნია, ამიტომ ყველა ზემოხსენებულ დაუმთავრებელ თხზულებას ჩვენც 1861 – 1863 წლებით ვათარიღებთ.

ავტოგრაფი ძლიერ ნასწორებია. ჩვენ ვერ შევძელით ყველა გადახაზული სიტყვის ამოკითხვა. ამიტომ ვიძლევით მის დახასიათებას იმ მასალის მიხედვით, რისი ამოკითხვაც მოვახერხეთ.

517. 5 “ქალი” ჩამატებულია ხელნაწერის ტექსტში. 6 “და”-ს შემდეგ გადახაზულია: “დაუდე”. 7 იგი] იმისი სული*. 21 ”იმედნი”-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია ”და სასოებანი”; ”სიკეთეზედ”-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: ”შენც ცოცხალი ხარ და მეც, მაგრამ არც შენ და არც მე ურთიერთის წარმოდგენითა ერთმანეთზედ[57] ვერ ვიტყვით ვერაფერს იმისთანას, რომელსაც შეეძლოს ცოტა მაინც ჩრდილი მიაყენოს ჩვენდა შორის დაძმურს კავშირს. შენ[58] მიყვარდი მე როგორც უკეთესი სული [. . . .] კაცი და მე არ ვიცი გიყვარდი თუ არა. მე გნახე შენ და პატივი მეცი, როგორც უკეთესს კაცსა, ხოლო როგორ მიყურებდი შენ მე”. 24 ”ღვთისა”-ს შემდეგ არის ხელნაწერში შემდეგი გადახაზული სიტყვები: ”რაც უნდ”, ”არც ერთი ჩრდილი რომ [. . .] არ მიადგება იმ”, ”გულ...”, ”ერთგულ კავშირს იგი იყო [. . .] სულის”.

518. 2 ”გასულა”-ს შემდეგ ხელნაწერის ტექსტში გადახაზულია შემდეგი: ”როცა პირველად შევხვდი მე იმას, იგი იყო თექვსმეტის წლისა – სხვა რა ვიცი. მეორედ იმავე წელს შევ. და გავიცან კიდეც. ერთი ორიოდ ნათქვამმა მისმა სიტყვამა, რომელიც პირველ გაცნობაში”. 12 დავიწყე] ვკითხე*. 17 თქვენს] მაგ*. 24 ”დღეს” ჩამატებულია ხელნაწერში; ლაპარაკის ქეიფზედ] ქეიფზედ არა ხართ*. 25 ”კვლავ” ჩამატებულია ხელნაწერის ტექსტში. 27 ”იმან” – სიტყვის შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: “მე ერთგვარის ლაპარაკის”. 30 “საუკუნეში”-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: “და ნამეტნავად იმ წრეში, სადაც თქვენ გაზდილხანთ, იშვიაათი და ძვირ...” 32 ნუთუ] იქნებ*.

519. 3 ”კი” ხელნაწერში ჩამატებულია. 14 ჩვენის] კაცით*. 17 ”წყდება”-ს შემდეგ გადახაზულია ავტოგრაფში:

” – თქვენ მე ვერ მელაპარაკებით, თქვენ ერთს საგანზედ ვერა დგეხართ და ფეხს ვერ იმაგრებთ, მრავალთა ტანჯვის მიზეზნი მაგგვარნი თანამიუყოლებელნი ხალხნი არიან.

– არ მესმის რას ბძანებთ?

– მე მიხარიან, რომ ჩ...”

18 ოხუნჯობა] შედარება*. 28 ”გქონიათ” სიტყვის შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია: ”თქვენ თქვენშიც”.

520. 15 შემცდარი] შემცდარ*; ”ხართ” სიტყვის შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია: ”კაცს რომ არჩობენ, მაყურებლისათვის არ”... 15 – 21 (”სრულებით... კარგი”). ეს ადგილი ავტოგრაფში ძლიერ ნასწორებია. აქ ჩამატებული სიტყვები გვხვდება როგორც სტრიქონებს შორის, ასევე მინდორზეც. ალბათ ამის გამო, წინა გამომცემელს შეცდომით გაუმართავს ტექსტის აღნიშნული ადგილი და სიტყვები: ”ცუდი თითონ

---

[57] ეს სიტყვა ხელნაწერში ჩამატებულია.

[58] ამ სიტყვიდან, ვიდრე სიტყვამდე ”თუარა”, ავტორს უფრო ადრე გადაუხაზავს სწორი ხაზით, ვიდრე მთლიანად ამ ტექსტს გადახაზავდა ირიბი ხაზებით.

საზიზღარი არ არის” გადაუტანია მომდევნო წინადადების (საზიზღარი . . . . არ უნდა) შემდეგ, რაც აზრს აშკარად აბუნდოვანებს. 20 ”რომ”-ის შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: ”ჩვენ ესე იგი”; ”აზრისაგან . . . . კარგი] აზრი ხდის საგანს ანუ ცუდად ანუ კარგად*. 30 ”განკიცხვა”-ს წინ ხელნაწერში გადახაზულია: ”ერთი ღონისძიებათაგანი”.

521. 8 იმ წრეს] იმათ*. 17 ”ფართიფურთობა”-ს შემდეგ გადახაზულია: ”უკაცრავად არ ვიყო თქვენისთანა კაცების და [. . . .]. 21 ”აღვიძებს” შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია: ”მიხარია, რომ ჩემი უზდელობა მაშ...” 32 ”მარტო”-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია ”იქნება”; ხოლო ”ფრაზაა”-ს შემდეგ – “ჩემო ბატონო”. 34 “ჰსძულს” შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: “ასე რომ არ...”; “ეს სიძულვილი . . . . რომ” ჩამატებულია ავტოგრაფში.

522. 3 “იმავე”-ს შემდეგ გადახაზულია: “საქმის აღსრულებისათვის”; “შესამსებლად”-ს შემდეგ გადახაზულია: “დაგვრჩა მეორე”. 4 “მდგომარეობს”. შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: “სიამოვნებს”. **522.** 18 – 19 სტრიქონსა და მომდევნო აბზაცს შორის (“ცხოვრებასა . . . . რამოდენაც”) ხელნაწერში გადახაზულია “დიდს”, “სიამოვნება უშრომლათ არ მოიპოვება. შრომა, თუმცა კაცს სძულს, მაგრამ აუცილებელია. არაფრით არ მოიპოვება სიამოვნება, თუ არ შრომით”. 29 “არამც თუ” ავტოგრაფში ჩამატებულია. **522.** 31 – **523.** 2 “არამედ... უსიამოვნობისა” ხელნაწერში ჩამატებულია.

523. 7 “არ იყოს” შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: “ყოველ დილიდამ საღამომდის”. В “საგნებიდამ”-ს შემდეგ გადახაზულია: “ჭამა-სმაზე”. 14 “რომელსაც”-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: “ჭამა-სმის სურვილიდა”. 19 ჩემი] ზნეობით*. 21 ”აზრით” სიტყვის შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: ”რით წარსდგეს – კაცობრ...”, “მარტო განათლება ქვეყნიერ...” 23 “ეხლანდელი”-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია “ყმაწვილკაცობის”.

524. 2 “ტეატრში”-ს შემდეგ არის გადახაზული სიტყვები: “ლოჟიდამ მანიშნა”. 8 “მინამ”-ის წინ გადახაზულია: “საკვირველია”. 19 ვჰსთქვა] გაგახსენოთ*. 20 ”აძლევს, რომ”-ს შემდეგ გადახაზულია: ”მასის შე...” 22 ”არ არის” შემდეგ. 26 ”მოსწონთ” სიტყვის შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია ”მე ამ შემთხვევაში არ ვიცი ეს კომედია ცხოვრებასა ჰგავს, თვით ცხოვრება კომედიაა”. 28 გარყვნილობაა] უზრდელობაა*. 29 ”ეს... დასკვნა” ხელნაწერში ჩამატებულია. 32 ”დამდგარს....სულელობას” ხელნაწერში ჩამატებულია.

525. 8 თავის... დასამტვრევლად] ბრძოლისათვის*. 14 ”რომ”-ის შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: ”იმ ბევრში არავინ არა ხართ, ან თუ ხართ, ძალიან ცოტანი, სამწუხაროა”. 15 ”არიან”-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: ”როცა უნივერსიტეტში ნაყოფნი ბევრნი არიან”. 31 ”გინდათ” სიტყვის შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: ”არავის შველა გინდათ”.

526. 1 ”შესცქერით”-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია შემდეგი: ”ცას აცა [. . .] ჩამ...”

ულელტეხილი (გვ. 527 – 535)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი U, № 146.

ეს ტექსტი პირველად დაიბეჭდა მიხ. გედევანიშვილის გამოცემაში (1914 წ.).

ავტოგრაფი დაუთარიღებელია. პ. ინგოროყვა წერს: “თუ როდის არის დაწერილი “უღელტეხილი” – ამის შესახებ პირდაპირი ცნობა არ შენახულა. ჩვენ მას ვათარიღებთ 1861 – 1863 წლებით, რადგან “უღელტეხილის” ავტოგრაფის ხელი, დამწერლობის ხასიათის მიხედვით, უახლოვდება პირველი პერიოდის ხელნაწერებს, და კერძოდ ფრაგმენტისას – “იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა”, ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც გამოირკვა, 1861 – 1863 წლებშია დაწერილი”[59].

რაიმე დამატებითი საბუთი თხზულების დასათარიღებლად ჩვენ არ გაგვაჩნია, ამიტომ ვიზიარებთ ზემომოტანილ თარიღს.

ავტოგრაფის ტექსტში ჩამატებულია სიტყვები:

528. 25 “თავსა”.

530. 4 “წინ”.

532. 7 “მარტო”; 15 “სხვის”.

533. 28 “მხოლოდ მაშინ”. **533**. 31 – **534.** 4 “ამოიღეს . . . . იყო”.

535. 1 “დაღალული”; ხოლო 5 სტრიქონში სიტყვების – “რა ღმერთი”-ს – წინ გადახაზულია “ბიჭო”.

უცნაური ამბავი (გვ. 536 – 547)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი U, № 156.
ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. “მოამბე”, 1894 წ., № 1, იანვარი, გვ. 102.

“მოამბის” და ხელნაწერის ტექსტის ბოლოს წერია: “(შემდეგი იქნება) ილია ჭავჭავაძე”. მაგრამ მოთხრობის გაგრძელება არ დაბეჭდილა და, საერთოდ, ეს თხზულება ილიას აღარ დაუმთავრებია. ამასვე ადასტურებს ნიკოლოზ ნათიძის მოგონება (იხ. “ლიტერატურული მემკვიდრეობა”, 1935 წ., წიგნი I, გვ. 573). მიუხედავად ამისა, ამ დაუმთავრებელ მოთხრობას საკმაო ადგილი დაუთმეს თავიანთ წერილებში სტ. ჭრელაშვილმა და მაზაკვალმა (გ. წერეთელმა), როდესაც მიმოიხილეს ჟურნალ “მოამბის” 1894 წლის № 1 (იხ. 1894 წ. გაზ. “ივერია”, № 10 და გაზ. “კვალი”, 1894 წ. №№ 6, 7).

თხზულების ამ ნაწყვეტის ძირითად წყაროდ ჩვენ ავტოგრაფი ავირჩიეთ, რადგან, როგორც სამართლიანად მიუთითებს პ. ინგოროყვა [60], ეს ის დედანია, რომლის მიხედვითაც აიწყო და დაიბეჭდა “მოამბის” ტექსტი. ავტოგრაფში შემონახულია ის ადგილიც, რომელიც ცენზორს ამოუღია “მოამბიდან”. საგულისხმოა, რომ ეს ცენზორის მიერ ამოღებული ტექსტი აღდგენილია თხზულების პირველ გამოცემაშიც – 1914 წ. (მიხ. გედევანიშვილის გამოცემა) [61]. ჩანს, გედევანიშვილსაც თავისი გამოცემისათვის ამ ტექსტის ძირითად წყაროდ ავტოგრაფი აქვს გამოყენებული.

რაც შეეხება პ. ინგოროყვას გამოცემებს, როგორც თვითონ მიუთითებს, ტექსტის საფუძვლად მას “მოამბის” ის ცალი აუღია, რომელიც ილიას მიერ ყოფილა ჩასწორებული და რომელიც მისთვის თედო სახოკიას გადაუცია. თუმცა ჩვენ ხელთ არ გვქონია “მოამბის” ეს ცალი, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი არც არავითარ არსებით ცვლილებებს არ

---

[59] ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, 1950, გვ. 608.
[60] იქვე, გვ. 609.
[61] ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1914, გვ. 661 – 662.

შეიცავდა, გარდა იმისა, რომ ილიას იქ აღუდგენია ის ტექსტი, რომელიც ცენზორს ამოუღია "მოამბიდან". ამაში დაგვარწმუნა ავტოგრაფისა და პ. ინგოროყვას ტექსტის ერთმანეთთან შეჯერებამ, რამაც ცხადყო, რომ ეს ორი ტექსტი ერთმანეთისაგან (გარდა ცენზორის მიერ ამოღებული ადგილისა) განსხვავდება მხოლოდ ოთხ შემთხვევაში: პ. ინგოროყვას გამოცემაში ოთხ ადგილას გამოტოვებულია სიტყვები. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ, ეგების, ეს სიტყვები ილიამ გადაშალაო "მოამბის" სახოკიასეულ ცალში. მაგრამ ამ ვარაუდს უარყოფს ის, რომ ყველა სიტყვას მოითხოვს ტექსტის მართებული გაგება, ქვემოთ მოგვყავს ოთხივე ეს შემთხვევა:

1) "ნუთუ შენისთანა კაცისათვის მწერლად ყოფნა კმასაყოფელი საქმეა?" ვკითხულობთ პ. ინგოროყვას უკანასკნელი გამოცემის (ტ. II, 1950 წ.)[62] 476-ე გვერდზე. მაგრამ აქ ლაპარაკია არა საერთოდ მწერლობაზე, არამედ სოფლის მწერალზე, ამიტომ როგორც ავტოგრაფში, ისე "მოამბესა" და გედევანიშვილის გამოცემაში (1914 წ.), "მწერლად ყოფნის" ნაცვლად წერია: "სოფლის მწერლად ყოფნა". მართლაც, ცოტა ქვემოთ ყველა გამოცემაში წერია, რომ ისეთი ნასწავლი კაცისათვის, როგორიც ამ მოთხრობის გმირია, "სოფლის მწერლობა მეტად პატარა საქმეა".

2) ამავე გვერდზე პ. ინგოროყვას გამოცემისაგან განსხვავებით, შევიტანეთ სიტყვა "თუმცა" შემდეგ კონტექსტში: "მე თუ ამ მიწურს დავანებებ ოდესმე თავს, მარტო მაგ საქმისათვის, თუმცა დიდი გაბედვა კი უნდა, რომ ეგ საქმე კაცმა თავს იდოს". აქ პერსონაჟი ხაზს უსვამს იმას, რომ, თუმცა ბავშვის აღზრდა ძნელი საქმეა, მაგრამ კეთილშობილი, და მხოლოდ ამიტომ თუ დაანებებს იგი თავის მიწურს თავს, სადაც მას საშუალება აქვს მშვიდად იკითხოს წიგნები. ამიტომ არის, რომ "თუმცა" იკითხება "მოამბეშიც", ავტოგრაფშიც და გედევანიშვილის გამოცემაშიც.

3) ასევე აღვადგინეთ სიტყვა "ახალი" წინადადებაში – "თითქო თაკილობსო, რომ ამ ყოფით ხედავს ბაშვს მისი ახალი ოსტატი". აქ ეს სიტყვა ხაზს უსვამს იმას, რომ ბავშვის მამა ეს-ეს არის შეუთანხმდა ოსტატს, რომ ის იკისრებდა მისი შვილის აღზრდას.

4) ერთგან კი ვკითხულობთ: "– შენი ჭირიმე, მამილო, შენ გეთაყვა, ან შენ ძიავ, ან შენ სხვა ძიავ..." აქედან აშკარაა, რომ ბავშვი მიმართავს მამას და კიდევ ორ სხვა პიროვნებას. ამიტომ ავტოგრაფში, "მოამბესა" და გედევანიშვილის გამოცემაში ორივე ეს პირი დასახელებულია და წერია "ეხვეწებოდა პატარა ხან მამას, ხან დავითს, ხან სოლომანს". ინგოროყვას გამოცემებში კი გამოტოვებულია სიტყვები "ხან დავითს", რის გამოც აღარ ჩანს "სხვა ძია", რომელსაც ბავშვი მიმართავს.

ყოველივე ამის გამო, წინამდებარე გამოცემაში ამ თხზულების ტექსტს ავტოგრაფი უდევს საფუძვლად, რომელშიაც ოთხივე ეს სიტყვა იკითხება.

რადგან ეს მოთხრობა 1894 წელს ჟურნ. "მოამბის" იანვრის ნომერში დაიბეჭდა, საფიქრებელია, რომ იგი 1893 წელს დაიწერა. ალბათ, ამას ვარაუდობდა პ. ინგოროყვა, როცა თხზულება 1893 წლით დაათარიღა, რასაც ჩვენც ვიზიარებთ.

"მოამბისა" და ავტოგრაფის ტექსტებს შორის არავითარი სხვაობა არ შეინიშნება, ისინი ერთმანეთს ემთხვევა. ამიტომ ქვემოთ ვიძლევით მხოლოდ ავტოგრაფის დახასიათებას:

---

[62] ასეა ინგოროყვა-აბაშელის გამოცემაშიც (1926, 1937).

536. 10 “საამურ”-ის შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: “მშვიდ”; აქვე “რომელიც” სიტყვის შემდეგ გადახაზულია: “ხშირად”. 17 მღვდელი] კაცი*. 20 ”სადაც თვითეული . . . . მამას” ავტოგრაფში ჩამატებულია.

537. 5 ”სათვალეები”-ს შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია: ”წაუჭირებია”. 6 ”უზივარ”-ს შემდეგ ხელნაწერში არის გადახაზული სიტყვა: ”ხელში”. 8 ”თავისი” ჩამატებულია ხელნაწერში. 26 ჭედვით] გაჭედილს და*. 29 მაქვს] მეძლევა*. 31 მეორეს] სხვას*.

538. 22 ”სიზმარი”-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: ”ეგ იყო”. 25 ”საქმეს” ხელნაწერში მოსდევს გადახაზული ”ვახმ...” 28 ”ვალია”-ს შემდეგ ავტორს დაუწერია: ”დიდი გაბედვა უნდა, რომ ეგ ვალი კისრად იდოს კაცმა [. . . . . .]”, რაც შემდეგ გადაუხაზავს. 33 ”შენ” ხელნაწერში ჩამატებულია.

539. 3 ”მეძლევა”-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: ”რომ” 7 ”გამოსაცნობია” სიტყვას შემდეგ ხელნაწერში იმავე მელნით გადაშლილია სიტყვები: ”რატომ ვერ გაძელ”. 22 II თავის დასაწყისში (დავითს....) გადახაზულია: ”კაი კაცია, ცოლი უფრო უკეთესი, განაგრძო”. 25 ”ადვილად” სიტყვის შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია: ”როგორ დაუთმეო: კაი ოჯახია”; ”ხელთ” სიტყვის შემდეგ კი – “როგორ მივეციო”.

540. 1 “პატარა” ავტოგრაფის ტექსტში ჩამატებულია. 7 “სასწავლებელში”-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: “არ ემეტებათ”. 24 “არა”-ს შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია: “პედაგოგი”.

541. 25 “სოლომანს” შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: “თითქო”; “როგორც... დედისა” ხელნაწერში ჩამატებულია. 26 “რამეო”-ს შემდეგ გადახაზულია ავტოგრაფში: “დავითმა ეს ვერ შენიშნა”. 27 “ეს ვერ შენიშნა და” – ავტოგრაფში ჩამატებულია. 33 “პირი”-ს შემდეგ გადახაზულია ავტოგრაფში. “დაუ”. 13 “და როგორ” ჩამატებულია ხელნაწერის ტექსტში. 29 ურჩობდა] იურჩებოდა*.

542. 22 ”შენთან” სიტყვის შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: ”ვარ”. 22 გეყვარება] შეიყვარე*. 23 ”თუ . . . . . განიკითხავ” ხელნაწერში ჩამატებულია.

544. 1 – 13 და ხშირად . . . . . გადაუგდიაო – არ წერია ”მოამბეში”. 12 – 13 ”ლეჩაქი . . . . გადაუგდიათო” ავტოგრაფში ჩამატებულია. 17 ”ზარის”ს შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია: ”ჩამოე”. 24 უტკივრად] გულუხვობით*.

545. 17 ახლო] ქვეშ*; ”მისდგომოდა”-ს შემდეგ გადახაზულია: ”ვარდის”. 22 ”ბაშვს” შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია ”ოსტატად მოწვეული კაცი”. 31 ”დაეღო”-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: ”და შეშინებული”.

546. 10 ხან ზურგს] ”ხან უეცრად” – დაუწერია თავდაპირველად ავტორს. 19 – 20 “რარიგად . . . . . მართმევო” ჩამატებულია. 21 “ბუდეში”-ს შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია: “ჩაუსვამთ”.

პატარა ამბავი (გვ. 548 – 549)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი U, № 154.

ეს თხზულება პირველად დაიბეჭდა ინგოროყვა-აბაშელის გამოცემაში 1926 წ. (ტ. III).

ხელნაწერი უთარიღოა. უთარიღოდ იბეჭდებოდა ეს მოთხრობა დღემდე. წინამდებარე გამოცემაში კი იგი სავარაუდოდ ასე დავათარიღეთ – 1890 წლის შემდეგ. ამ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას კი იძლევა ილიას ხელნაწერებზე დაკვირვება. ისინი ძირითადად ორი ფერის მელნით არის დაწერილი – მუქი შავი ფერისა და მოყავისფრო შავით. ამ უკანასკნელს ილია 90-იან წლებამდე ხმარობდა, ხოლო 1890 წლის შემდეგ მის ხელნაწერებში ჩნდება მუქი შავი ფერის მელანი. ამავე შავი მელნით არის დაწერილი მოთხრობა "უცნაური ამბის" ავტოგრაფიც, რომლის ბეჭდვა ილიამ 1894 წლის იანვარში დაიწყო. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი ფაქტი: მუქი შავი მელნით ილიას "ოთარაანთ ქვრივის" ავტოგრაფის (U, № 153) წინა თავისუფალ გვერდზე ამოუწერია ზოგიერთი ადგილები 1893-94-95 წლების გაზეთ "კვალიდან". თვით "ოთარაანთ ქვრივის" ავტოგრაფი კი დაწერილია არა მუქი შავი, არამედ მოყავისფრო შავი მელნით. როგორც ცნობილია, "ოთარაანთ ქვრივი" 1886 – 1887 წლებში დაიწერა.

ამრიგად, მუქი შავი მელანი ილიას ხელნაწერებში მხოლოდ 1890-იანი წლების შემდეგ ჩნდება.

ჩვენ ვარაუდს არ ეწინააღმდეგება არც პ. ინგოროყვას თვალსაზრისი, რომელიც მას გამოთქმული აქვს "პატარა ამბისა" და "უცნაური ამბის" დათარიღებასთან დაკავშირებით: "ჩვენ მათ დაახლოვებით 80-იან – 90-იან წლებს მივაკუთვნებთ, რადგან ავტოგრაფები, წერის ხასიათით, ილიას იმ დროის ხელნაწერებს უახლოვდება"[63].

548. 7 "წვიმაც" სიტყვის შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია: "ხშირია სისველე". 8 "ქუჩებში"-ს შემდეგ ავტორს გადაუხაზავს სიტყვები: "სისველეა მორწყული". 10 ჩამოიბღერტავს] გაიბღერტავს*. 11 "უნდა"-ს შემდეგ გადახაზულია: "და ეს უბრალო საქმე". 16 "ქალაქსა"-ს შემდეგ სამი წერტილი ავტორს გვიან დაუსვამს, იგი ჩამატებულია სტრიქონს ზემოთ. 18 "მისი, რომ"-ს შემდეგ გადახაზულია "სხდომები..." 19 "კი ვერ გაუნათებიათ"-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: "არც ეს".

დედის ანდერძი (გვ. 550 – 552)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი U № 152.

ეს ნაწყვეტი პირველად დაიბეჭდა გედევანიშვილის გამოცემაში 1914 წელს.

მოთხრობის ავტოგრაფი უთარიღოა, ისიც, ისე როგორც წინა მოთხრობის – "პატარა ამბის" ავტოგრაფი, მუქი შავი ფერის მელნით არის დაწერილი (ამის შესახებ დამატებით იხ. წინ "პატარა ამბავის" შენიშვნები), ამიტომ ვვარაუდობთ, რომ იგი 90-იანი წლების შემდეგ არის დაწერილი.

550. 4 "იმედია"-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: "იყო". 10 ფიქრს და არც არავის] ფიქრს და არც არაფერს*.

551. 4 ჩემი ერთგული] საცოდავი*; "შემარჩინეთ" სიტყვის შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: "მაგრამ არსაიდამ არ ეშველა". 7 "უნდებოდა"-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: "მღვთის განგებას ანტონი ისე მოთმინებით არ ემორჩილებოდა, როგორც

---

[63] ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, 1950, გვ. 609.

საცოდავი ბაბალე”. 10 ”ჭირი”-ს შემდეგ გადახაზულია: ”აღარც სადმე”. 20 ”დაუფიქრდებოდა”-ს შემდეგ ავტოგრაფში წერია: ”მოსალოდნელ”, რომელიც გადახაზულია. 21 ”რომ”-ის შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: ”შენგანვე ნაკურთხ ჩემს მეუღლეს”. 24 ”მოუსწრაფეო და” – სიტყვების შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: “ღონით”. 25 “ადამიანს” შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: “შენგანვე ნაკურთხს ჩემს ერთგულს და ერთხორცს ჩემის ხელით შიგ მიწაში მამარხვინებო”. 30 “შვილი გიტო”-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: და ფოთლით ბუზს უნიავებდა”. 33 “დღეს ბაბალე... ჩანდა” ჩამატებულია ავტოგრაფში. 471. 17 “გადაწვა”-ს შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: “და თავი”; “და ცხვირ პირი დამალა” ჩამატებულია ხელნაწერში. 19 “თავის” ჩამატებულია ხელნაწერში; კოცნითა] ტუჩებით*. 20 ”უთხრა დედამ” ჩამატებულია ხელნაწერში. 29 ”არ იყოს” შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: ”დედ-მამა”, ხოლო 30 სტრიქონში ”დედ-მამა”-ს შემდეგ გადახაზულია: ”წინ”.

ჩვენს მიერ დაუმთავრებელი მოთხრობების განყოფილებაში გამოქვეყნებული ყველა თხზულება (”კოლასა” და ”კაკოს” გარდა) პ. ინგოროყვას გამოცემებშიც ამავე განყოფილებაშია დაბეჭდილი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ დაუმთავრებელი მოთხრობების განსხვავებული ვარიანტებიც შესაბამისი ტომის ძირითად ნაწილშია დაბეჭდილი, ჩვენ კი ერთი ტექსტი ძირითად ნაწილში შევიტანეთ, ხოლო მისგან განსხვავებულები – ვარიანტების განყოფილებაში.